ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ძველი ქართული
სამართლის, რომანისტიკისა და სამართლის ისტორიის ინსტიტუტი

გიორგი დავითაშვილი

დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2011

უაკ (UDC) 343.23+343.24+340.141
დ – 151

წიგნში XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების საფუძველზე შესწავლილია დანაშაულისა და სასჯელის ინსტიტუტი ქართულ ჩვეულებით სამართალში. კერძოდ, გადმოცემულია ამ ინსტიტუტების ზოგადი დახასიათება.

განკუთვნილია ქართული ჩვეულებითი სამართლით დაინტერესებული მკითხველთა ფართე წრისათვის და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

რეცენზენტები: პროფესორი ნ. სურგულაძე
პროფესორი დ. ბოსტოღანაშვილი

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011
© გ. დავითაშვილი

ISBN 978-9941-10-453-4

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 7

თავი პირველი

დანაშაულის არსი, დანაშაულთა კლასიფიკაცია ქართულ ჩვეულებით სამართალში 11

1. დანაშაულის არსის შესახებ ქართულ ჩვეულებით სამართალში 11
2. დანაშაულთა კლასიფიკაცია ქართულ ჩვეულებით სამართალში .. 13

თავი მეორე

შურისძიების ინსტიტუტის ზოგადი დახასიათება ქართულ ჩვეულებით სამართალში 39

1. სისხლის აღების ინსტიტუტის რელიგიურ-სამართლებრივი ასპექტები ქართულ ჩვეულებით სამართალში 41
2. სისხლის აღების ინსტიტუტის განვითარებისა და კომპოზიციათა სისტემის წარმოშობის ზოგადი ასპექტები ქართულ ჩვეულებით სამართალში 52

თავი მესამე

დანაშაულის სუბიექტი ქართულ ჩვეულებით სამართალში 58

1. პასუხისმგებლობა მცირეწლოვნისა და შეურაცხადის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის ქართულ ჩვეულებით სამართალში 59
2. ნათესაური ჯგუფი და ტერიტორიული ერთეული, როგორც დანაშაულის სუბიექტი, ქართულ ჩვეულებით სამართალში 63
3. პასუხიმგებლობა პირუტყვის მიერ მიყენებული ზიანისათვის ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით 70

თავი მეოთხე

ბრალის საკითხი ქართულ ჩვეულებით სამართალში 76

1. ბრალის ფორმები და მათი აღმნიშვნელი ტერმინები ქართულ ჩვეულებით სამართალში 78
2. ობიექტური შერაცხვის პრინციპების გამოვლინება ქართულ ჩვეულებით სამართალში 88
3. სუბიექტური შერაცხვის პრინციპების გამოვლინება მხარეთა შერიგებისას ქართულ ჩვეულებით სამართალში 111
4. სუბიექტური შერაცხვის პრინციპების გამოვლინება პასუხისმგებლობის დაკისრებისას ქართულ ჩვეულებით სამართალში 122

თავი მეხუთე

თანამონაწილეობის საკითხი ქართულ ჩვეულებით სამართალში 137

1. თანაამსრულებლის პასუხისმგებლობის საკითხი ქართულ ჩვეულებით სამართალში 137
2. დანაშაულის მაპროვოცირებლის პასუხისმგებლობა ქართულ ჩვეულებით სამართალში 152

თავი მეექვსე

დანაშაულის მცდელობის საკითხი ქართულ ჩვეულებით სამართალში 165

1. დანაშაულის მცდელობის საკითხი ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით. ე. წ. „შეკვეცილი შემადგენლობების“ შესახებ ქართულ ჩვეულებით სამართალში 166
2. დანაშაულის მცდელობის საკითხი სვანურ ჩვეულებით სამართალში 173
3. დანაშაულის მცდელობის საკითხი ხევსურულ ჩვეულებით სამართალში 179

თავი მეშვიდე

სასჯელის ინსტიტუტის ზოგადი დახასიათება ქართულ ჩვეულებით სამართალში 187

1. სასჯელთა სისტემა და კლასიფიკაცია ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით 187
2. სასჯელის მიზნები ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით 189
3. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი, შემამსუბუქებელი და გამომრიცხავი გარემოებები ქართულ ჩვეულებით სამართალში 194
4. პასუხისმგებლობის დაკისრების ზოგიერთი ასპექტი ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით 226

თავი მერვე

სასჯელების ცალკეული სახეები ქართულ ჩვეულებით სამართალში 240

1. სიკვდილით დასჯა 240
2. მოკვეთა, ბოიკოტის (უნდობლობის) გამოცხადება 264
3. გაძევება 325
4. ქონებრივი სასჯელები 348
5. გამაწბილებელი სასჯელები 435
6. დაწყევლა 469
7. სხვა სასჯელები 516

დასკვნები 540

REZUME 555

ლიტერატურა 569

აბრევიატურები:

გაზ.	გაზეთი
დასახ. ნაშრ.	დასახელებული ნაშრომი
თბ.	თბილისი
იხ.	იხილე
კგ·	კილოგრამი
კვ·	კვადრატული
კრ.	კრებული
მუხ.	მუხლი
ნაკვ.	ნაკვეთი
ტ·	ტომი
ტფ.	ტფილისი
ფ·	ფონდი
ჟურნ.	ჟურნალი
М.	Москва
Т.	Том

შესავალი

ქართული ჩვეულებითი სამართლის სრულფასოვანი შესწავლისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულისა და სასჯელის ინსტიტუტის კვლევას.

დანაშაულისა და სასჯელის ინსტიტუტის შესასწავლად ქართულ ჩვეულებით სამართალში ძირითადად ვეყრდნობით XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის ეთნოგრაფიულ მასალებს. მათგან დავასახელებთ მხოლოდ უმნიშვნელოვანეს მონაცემებს, რომლებიც არსებით ცნობებს შეიცავენ სწორედ დანაშაულისა და სასჯელის ინსტიტუტების შესახებ ქართულ ჩვეულებით სამართალში.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის მასალებიდან გამოვყოფთ ნ. ხიზანაშვილის მონაცემებს ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე,[1] ბ. ნიჟარაძის მონაცემებს სვანურ ჩვეულებით სამართალზე[2] და ცნობილი რუსი მეცნიერის მ. კოვალევსკის ცნობებს სვანურ, ფშაურ, თუშურ და ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე.[3]

XX საუკუნის დასაწყისის ავტორთაგან პირველ რიგში დავასახელებთ ბ. გაბუურის „ხევსურულ მასალებს.“[4] დანაშაულის ინსტიტუტის შესახებ ქართლის ჩვეულებით სამართალში საინტერესო ცნობებს გვაწვდის გიორგი ჟორდანია.[5] სვანურ ჩვეულებით სამართალში დანაშაულისა და სასჯელის ინსტიტუტის შესასწავლად მნიშვნელოვანია ეგ. გაბლიანის ცნობები.[6]

XX საუკუნის შუა ხანების ავტორებიდან უმნიშვნელოვანეს ცნობებს დანაშაულისა და სასჯელის ინსტიტუტის შესახებ ქართულ ჩვეულებით სამართალში, საქართველოს სხვადასხვა კუთხის მიხედ-

---

[1] ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940.

[2] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I., თბ., 1962.

[3] М. Ковалевский, Законъ и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890.

[4] ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, ქართლის საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, 1923-1924.

[5] გ. ჟორდანია, სისხლის სამართალი ქართლის სოფლებში (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1908, ინახება საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში, ფ. 1813.

[6] ეგ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925; მისივე, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927.

ვით, გვაწვდის რ. ხარაძე,[1] ხოლო ფშავ-ხევსურეთის ჩვეულებით სამართალზე ალ. ონიაური.[2] ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია მისი გამოუქვეყნებელი, უნიკალური საარქივო მასალები,[3] რომლებიც ძირითადად XX საუკუნის 30-50-იან წლებშია დაფიქსირებული. ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია მ. კედელაძის ასევე გამოუქვეყნებელი მასალები ფშავ-ხევსურეთის, თუშეთის, რაჭა-ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე.[4] საინტერესო ცნობებს სვანურ ჩვეულებით სამართალში დანაშაულისა და სასჯელის ინსტიტუტის შესახებ ვხვდებით ა. დავითიანის მასალებში.[5]

XX საუკუნის II ნახევარში ჩაწერილი ეთნოგრაფიული ცნობებიდან ქართულ ჩვეულებით სამართალში დანაშაულისა და სასჯელის ინსტიტუტის შესასწავლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს მ. კეკელიას მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში XX საუკუნის 60-80-იან წლებში ჩაწერილ უნიკალურ მასალებს.[6] XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარსა და 90-იანი წლების დასაწყისში ჩაწერილია ჩვენი კვლევისათვის ასევე უაღრესად მნიშვნელოვანი, მ. კეკელიას მიერ 1986 წელს დაარსებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეროვნული ტრადიციების ცენტრის „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის“ თანამშრომელთა მიერ შეკრებილი მასალები.[7]

---

[1] რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939; მისივე, ხევსურული რჯული, ანალები, ტ. 1, 1947; მისივე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV. ნაკვ. II, თბ., 1959.

[2] ალ. ონიაური, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980.

[3] ალ. ონიაურის პირადი არქივი ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში.

[4] მიხ. კედელაძის მასალები ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში.

[5] ა. დავითიანის მასალები ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში.

[6] მ. კეკელიას მიერ ჩაწერილი მასალები ინახება მეცნიერის ოჯახში. მ. კეკელიას მასალები ჩაწერილი აქვს სვანეთში, თუშეთში, ხევში, მთიულეთში, ქსნის ხეობაში, იმერეთში, სამეგრელოში, ხევსურეთში, ფშავში.

[7] აღნიშნული მასალები ამჟამად ინახება ლაბორატორიის თანამშრომელთა ოჯახებში. ლაბორატორიის თანამშრომლებს მასალები ჩაწერილი აქვთ ხევსურეთში, სვანეთში, ფშავში, თუშეთში, კახეთში, პანკისის ხეობაში მცხოვრებ ქისტებში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელოში, მესხეთში, იმერეთში, ლეჩხუმში.

სამეცნიერო ნაშრომებიდან, რომლებიც არსებითია ქართულ ჩვეულებით სამართალში დანაშაულისა და სასჯელის ინსტიტუტის შესასწავლად, გამოვყოფდით „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის“ მიერ მომზადებულ ნაშრომს „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“, რომლის ორი თავი ეხება სწორედ დანაშაულისა და სასჯელის ინსტიტუტს ფშაურ ჩვეულებით სამართალში (დანაშაულის ინსტიტუტი შესწავლილი აქვთ ჯ. მერაბიშვილსა და დ. ჯალაბაძეს, ხოლო სასჯელები ფშაურ ჩვეულებით სამართალში – ო. ზოიძეს)[1] და დ. ჯალაბაძის ნაშრომს, რომელიც ასევე ეხება დანაშაულისა და სასჯელის ინსტიტუტს ფშაურ ჩვეულებით სამართალში.[2]

როდესაც ვსაუბრობთ დანაშაულისა და სასჯელის ინსტიტუტზე ქართულ ჩვეულებით სამართალში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საკვლევ პერიოდში (მხედველობაშია პერიოდი, რომელიც XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებით აისახება), ქართული ჩვეულებითი სამართლის მოქმედება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, არსებითად განსხვავებულია. განსაკუთრებით ეს ეხება ჩვეულებითი სამართლის ნორმების გამოყენებას დანაშაულთან მიმართებაში. ცნობილია, რომ ჩვეულებითი სამართლის მოქმედება საქართველოს მთის რეგიონებში უფრო ინტენსიური იყო და უფრო დიდხანს შემორჩა, ვიდრე ბარში. განსაკუთრებით ეს ეხება ზემო სვანეთსა და ხევსურეთს.[3] აქ მძიმე დანაშაულთა ჩადენის შემთხვევაშიც (მაგალითად, მკვლელობის დროსაც კი) საკითხი ჩვეულებითი სამართლის მიხედვით წყდებოდა და რუსეთის იმპერია თუ საბჭოთა ხელისუფლებაც კი ვერ ახერხებდა (მცდელობის მიუხედავად) დანაშაულის ჩადენისას ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის მოქმედების შეზღუდვას.

საკვლევ პერიოდში ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის მოქ-

---

[1] იხ. ფშაური ჩვეულებითი სამართალი, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 3, „მეცნიერება“, თბ., 1991, თავი I – დანაშაული (გვ. 15-93), თავი II – სასჯელები (გვ. 94-140).

[2] დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2003.

[3] გ. დავითაშვილი, ქართული ჩვეულებითი სამართალი – ქართველოლოგიური იურიდიული დისციპლინა – სახალხო თვითმმართველობა საქართველოში, თბ., 2007, 5-6.

მედება დანაშაულის ინსტიტუტთან დაკავშირებით საქართველოს სხვა მთის რეგიონებშიც ფიქსირდება, თუმცა არა ისეთი სრულყოფილი სახით, როგორც ორ აღნიშნულ კუთხეში. სახელმწიფო ორგანოების გავლენა აქ უფრო დიდი იყო, ვიდრე ზემო სვანეთსა და ხევსურეთში. აქვე აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო ამ ორ კუთხეში ჩვეულებითი სამართლის მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი მოქმედება დანაშაულთა ჩადენისას, უფრო დიდხანს შემორჩა, ვიდრე სხვა მთის რეგიონებში. ბარის რეგიონებში კი საკვლევ პერიოდში დანაშაულთა გამოძიება სახელმწიფო ორგანოების პრეროგატივას წარმოადგენდა, თუმცა გვხვდება ცალკეული შემთხვევები, როდესაც დანაშაულის განხილვა ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ხდებოდა, სახელმწიფო ორგანოების გვერდის ავლით. დანაშაულისა და სასჯელის ინსტიტუტის კვლევა ქართულ ჩვეულებით სამართალში სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებითაა მიზანშეწონილი.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში ფიქსირდება დანაშაულისა და სასჯელის ინსტიტუტებისათვის დამახასიათებელი უძველესი ელემენტები. განსაკუთრებით ეს სვანეთს, ხევსურეთს და გარკვეულწილად სხვა მთის რეგიონებსაც ეხება. შემორჩენილია უძველეს (ქრისტიანობამდელ) რწმენა-შეხედულებებზე, მათ შორის, მიცვალებულთა სამყაროს შესახებ წარმოდგენებზე დაფუძნებული ინსტიტუტები, ასევე, ობიექტური შერაცხვის პერიოდისათვის დამახასიათებელი გარემოებები. გვხვდება არაერთი ისეთი ინსტიტუტი, რომელიც ქართული სამართლის ძეგლებშიც არ ჩანს. ასე რომ, აღნიშნული პერიოდის ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების საშუალებით შესაძლებელია საქართველოში დანაშაულისა და სასჯელის ინსტიტუტებისათვის დამახასიათებელი უძველეს პერიოდში მოქმედი ელემენტების რეკონსტრუირება.

თავი პირველი

დანაშაულის არსი, დანაშაულთა კლასიფიკაცია ქართულ ჩვეულებით სამართალში

1. დანაშაულის არსის შესახებ ქართულ ჩვეულებით სამართალში

დანაშაულის ინსტიტუტის ზოგადი დახასიათება ქართულ ჩვეულებით სამართალში უპრიანია დავიწყოთ დანაშაულის რაობის, მისი არსის გარკვევით. ქართული ჩვეულებითი სამართლის კაზუისტური და დაუწერელი ხასიათის გამო ამის გაკეთება ჩვეულებითი სამართლის შესაბამისი მასალების განზოგადებითაა შესაძლებელი. ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საზოგადოებაში, სადაც დასტურდება ჩვეულებითი სამართლის მოქმედება, დანაშაულად აღიქმება ისეთი ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს საზოგადოებრივ თუ კერძოსამართლებრივ ინტერესს. დანაშაულებრივი ხელყოფის უშუალო ობიექტი კი შეიძლება იყოს პიროვნება, მისი სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება (ეკლესიის, ჯვარ-ხატის, თემის, სოფლის, ნათესაური ერთეულის, ოჯახის, ინდივიდის), საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობის ნორმები, სარწმუნოებრივ-რელიგიური წესები და სხვა.

დ. ჯალაბაძე ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, დანაშაულის საკმაოდ სრულყოფილ და ყოვლისმომცველ განმარტებას გვთავაზობს. მისი დაკვირვებით, „დანაშაულად გვევლინება ხალხურ-სამართლებრივი ნორმით დაცული კერძო თუ საზოგადოებრივი სიკეთის დამრღვევი ქმედება (მოქმედება თუ უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს საზოგადოებაში მტკიცე ტრადიციად — თემურ-გვაროვნულ-რელიგიურ პრინციპებად და დოგმებად ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ და კერძო ინტერესებს და საზოგადოებისა (თემის) თუ კერძო პირთა მხრიდან სათანადო სასჯელებისა და კომპოზიციების გამოყენებას (ან თვითგასწორებას) იწვევს.“[1] დ. ჯალაბაძე ქართულ ჩვეულებით სამართალში დანაშაულის განმარტების ჩამოყალიბებისას სრულიად სამართლიანად ამოდის იქიდან, რომ ჩვეულებითი სამართლის მიხედ-

[1] დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2003, 28.

ვით, დანაშაულად განიხილავს ისეთ ქმედებას, რომლისთვისაც სასჯელის დაკისრება ხდება. ჩვეულებითი სამართლით ესა თუ ის ქმედება იმდენად არის დანაშაული, რამდენადაც ის ასეთად ითვლება საზოგადოებრივი აზრის მიხედვით და მისთვის გათვალისწინებულია გარკვეული პასუხისმგებლობა, სასჯელი. სწორედ სასჯელის არსებობა რაიმე ქმედებისათვის მეტყველებს მის დანაშაულებრიობაზე. დ. ჯალაბაძის განმარტებით, „მთავარი დამახასიათებელი ელემენტი, რაც აშკარად შეინიშნება ხალხურ სისხლის სამართალში, მდგომარეობს იმაში, რომ ამა თუ იმ ქცევის დანაშაულებრივ ქმედებად გამოცხადება მჭიდროდ უკავშირდება თემის (საზოგადოების) დამოკიდებულებას ამ ქცევისადმი.. ეს კი გამოხატულებას პოულობს იმ ღონისძიებების დაწესებაში (მაგ., თვითგასწორება, სამაგიეროს მიზღვა, კომპოზიციები), რაც არსებითად აღიქმება, როგორც საზოგადოებრივი ზემოქმედების საშაულება — სასჯელი.“[1]

ცნობილია, რომ საზოგადოებრივი განვითარების ადრეულ ეტაპზე, როდესაც გვაროვნული ურთიერთობები ჯერ კიდევ მყარი იყო, დანაშაულის შემადგენლობა მხოლოდ და მხოლოდ ვინმეს ქმედებით მიყენებული ზიანის ფაქტით და ზომით განისაზღვრებოდა.[2] მ. კოვალევსკის განმარტებით, ეს ზიანი თავისი ხასიათით შეიძლება ან არ შეიძლება დაექვემდებაროს ქონებრივ კვალიფიკაციას. ერთ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ შურისძიება, მეორე შემთხვევაში კი ქონებრივი ანაზღაურებაც. ამის იქით დანაშაულის ფსიქოანალიზი არ მიდის. ქმედების გაცნობიერებას თუ გაუცნობიერებას, დამნაშავის ნებას, არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება, ამიტომ გვროვნული საზოგადოებისათვის უცხოა როგორც მცდელობის დასჯადობა, ასევე პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, ასევე განსხვავება უბედურ შემთხვევასა და განზრახ დანაშაულს შორის.[3]

ქართული ჩვეულებითი სამართლის XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის ჩვენს ხელთ არსებული მასალებით თუ ვიმსჯელებთ, დანაშაულის ინსტიტუტი ქართულ ჩვეულებით სამართალში (მთის რეგიონების ჩვეულებითი სამართლის ჩათვლით) ასეთ

[1] დ. ჯალაბაძე, დასახ. ნაშრ. 26.

[2] М. Косвен, Преступление и наказание и догосударственном обществе, М., 1925, 117.

[3] М. Ковалевский. Современный обычай и древний закон, Т. 2, М., 1886, 81.

პრიმიტიულ დონეზე არ დგას, რაც თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ, მაგალითად, განასხვავებს ერთმანეთისაგან განზრახვით და განზრახვის გარეშე, შემთხვევით ჩადენილ დანაშაულობებს და ითვალისწინებს ამ გარემოებას პასუხისმგებლობის დაკისრებისას, იცნობს ასევე მცდელობის დასჯადობას, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ქართულ ჩვეულებით სამართალს მ. კოვალევსკის მიერ აღწერილი გვაროვნული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი გარკვეული ელემენტებიც საკმაოდ დიდხანს შემორჩა.

2. დანაშაულთა კლასიფიკაცია ქართულ ჩვეულებით სამართალში

ქართულ ჩვეულებით სამართალში დანაშაულის ინსტიტუტის დასახასიათებლად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია დანაშაულთა კლასიფიკაცია. ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, დანაშაულობანი შეიძლება პირობითად დაიყოს ორ ჯგუფად:

1. დანაშაულობანი, რომლებიც მიმართულია საზოგადოების (ხეობის, თემის, სოფლის) წინააღმდეგ, ე. ი. რომელიც ხელყოფს მთელი საზოგადოების ინტერესს და იწვევს მთელი საზოგადოების რეაგირებას. დანაშაულთა ამ ჯგუფს მიეკუთვნება საზოგადოების ღალატი. აქ, ძირითადად, იგულისხმება საზოგადოების თავისუფლების ხელყოფა, საზოგადოების მტრების დახმარება, ხელშეწყობა.[1] აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ამ დანაშაულს იხსენიებენ, როგორც თემისა და ხატის ღალატს, რომელსაც საკმაოდ მრავალფეროვანი შემადგენლობა აქვს და არაერთი დანაშაულებრივი სეგმენტის ერთობლიობას წარმოადგენს. თითოეული სეგმენტი ცალკე აღებული ქმნის თემისა და ხატის ღალატის, როგორც დანაშაულის შემადგენლობას.[2] საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ გავრცელებულ დანაშაულთაგან გამოვყოფთ ეკლესიის (სალოცავის) გაძარცვას (ამ უკანასკნელს ფშავ-ხევსურეთში თემისა და ხატის ღალატის შემადგენლობის ელემენტად მოიაზრებენ), გვარსა და ნათელმირონობაში ქორწინებას და სხვა.[3]

---

[1] გ. დავითაშვილი, დანაშაულის ბუნებისათვის ქართულ ჩვეულებით სამართალში, ჟურნ. „სამართალი", 2004, №1-2, 111.

[2] იხ. დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, გამომცემლობა „უნივერსალი", თბ., 2003, 37-38.

[3] გ. დავითაშვილი, იქვე.

2. დანაშაულობანი, რომლებიც მიმართულია არა საზოგადო, არამედ კერძო ინტერესების წინააღმდეგ (კერძო დელიქტები). ეს შეიძლება იყოს პიროვნების, ოჯახის, გვარის, გვარის შემადგენელი სტრუქტურული ერთეულის (სამხუბი, მამიშვილობა) ინტერესი. ეს დანაშაულობანი იწვევს სწორედ კერძო ხასიათის რეაგირებას. ამ ჯგუფის ყველაზე გავრცელებული დანაშაულებია: მკვლელობა, დაჭრა-დასახიჩრება, ქურდობა და სხვა.[1]

ნ. ხიზანაშვილი ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე საუბრისას აღნიშნავს: „ხევსურულმა სამართალმა თითქმის არ იცის განსხვავება სამოქალაქო და სისხლის სამართალს შორის, — ყველა დანაშაულობა კერძო ზარალია და ზარალს კიდევ ზედ ჯარიმა მოსდევს; მთლად საზოგადოებას დანაშაულობისა არა ეკითხვის რა. მეორედ, თვით დანაშაულობის სხვადასხვაობა მცირეა. სამართალმა იცის მოკვლა, გახაიბრება, დაჭრილობა (დაკეჭნა), და ძლიერ ნაკლებად იცნობს სხვაგვარ ბოროტმოქმედებას...“[2] ნ. ხიზნაშვილთან ნათლად ჩანს, რომ მკვლელობა და დაჭრა-დასახიჩრება ხევსურეთში კერძო სამართალდარღვევაა, რაც ბევრად უფრო გვიანდელი მასალებითაც დასტურდება. თუმცა ყველა დანაშაულის განხილვა კერძო სამართალდარღვევად მცდარია. ხევსურული, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეების ჩვეულებითი სამართალი, იცნობს ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ საჯარო სამართალდარღვევებს. ქართლის სოფლებში ჩვეულებითი სამართლის მოქმედებასთან დაკავშირებით გ. ჟორდანია აღნიშნავს, რომ: აქ „დანაშაულთა ორი ძირითადი სახე არსებობს — დანაშაულები, რომლებსაც სახალხო მართლშეგნება თვლის საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებად და დანაშაულები, რომლებშიც ანტისაზოგადოებრივი ელემენტი არ შეიმჩნევა.“[3] საჯარო სამართალდარღვევების არსებობას სვანეთში საკუთარი მასალის საფუძველზე ადასტურებს რ. ხარაძე. მისი განმარტებით, სვანეთში ფიქსირდება საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, რომლისთვისაც გათვალისწინებულია საზღაური საზოგადოების სასარგებლოდ. მის მიხედვით, ბალსზემო სვანეთის სინამდვილე ადას-

[1] გ. დავითაშვილი, იქვე.

[2] ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 46.

[3] გ. ჟორდანია, სისხლის სამართალი ქართლის სოფლებში (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1908, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1813.

ტურებს, საზოგადოებრივი ხასიათის სასჯელების არსებობას არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ თემური საზოგადოების პირობებში, რომელიც გასცდა გვაროვნული საზოგადოების ფარგლებს.[1] საჯარო ხასიათის სასჯელის მაგალითად რ. ხარაძეს მოჰყავს ე. წ. „ჰიბარი“, რომელსაც „იხდიდა საურავის სახით, სოფლისა თუ თემის სასარგებლოდ ის ოჯახი, რომელიც საზოგადოების მიერ დადგენილ წესებს არღვევდა და ამით საზოგადოების წევრებს ზიანს აყენებდა.....“[2]

„ჰიბარის“ გადახდა ბალსზემო სვანეთში მთელი საზოგადოების სასარგებლოდ ნატურის სახით ხდებოდა და მას საზოგადოება რელიგიური დღესასწაულის დროს მოიხმარდა.[3] სათავადო სვანეთში კი დამნაშავეს დაზარალებულისათვის კომპოზიციის გადახდის გარდა, დამატებით ჯარიმა უნდა გადაეხადა თავადისათვის, რაც, ძირითადად, პირუტყვის სახით ხდებოდა.[4]

დანაშაულთა დაყოფა ორ აღნიშნულ ჯგუფად ჩვეულებით სამართალში ფორმალურია. ზუსტი მიჯნის გავლება საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა და კერძო პირთა ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის შეუძლებელია. ჩვეულებითი სამართალი თავისი არსით პრეცედენტულია, არ არის ზუსტად რეგლამენტირებული. დანაშაულთა ასეთი სისტემატიზცია, ძირითადად, მეცნიერული თვალსაზრისით აადვილებს საკითხთა უკეთ შესწავლას, რეალურად კი საკმაოდ დიდი პირობითობის მატარებელია.

საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობებად განვიხილავთ ყველა იმ დანაშაულს, რომელთაც თვით საზოგადოება ჩათვლის მისი ინტერესების ხელმყოფად და თვითონ აკისრებს მის ჩამდენს პასუხისმგებლობას. ასეთ დანაშაულობებს თვით საზოგადოება და მისი მესვეურები განიხილავენ და დამნაშავეს შესაბამის საზოგადოებრივ სასჯელს უსჯიან (ეს სასჯელებია: ჩაქოლვა, მოკვეთა, გაძევება, შერისხვა, გამაწბილებელი სასჯელები). ცხადია, საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების არსებობა დაკავშირებულია ტერიტორიული თემის ჩამოყალიბებასთან და მოცემულ ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები ადამიანების (სხვადასხვა გვა-

[1] რ. ხარაძე, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, 1953, 198.

[2] იქვე, 193.

[3] იქვე, 198.

[4] М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 19.

რისა თუ ოჯახის წარმომადგენლების) საერთო ინტერესების არსებობასთან და ამ ინტერესების ხელყოფისაგან საერთო ძალისხმევით დაცვის მისწრაფებასთან. ქართულ ჩვეულებით სამართალში გვხვდება საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, რომლებიც ხელყოფენ ცალკეული სოფლის თუ თემის ინტერესს, ასევე თემების გაერთიანების თუ მთელი კუთხის ინტერესს, რაც მთის კუთხეების ჩვეულებით სამართალში ფიქსირდება. მაგალითად, გვხვდება დანაშაულები, რომლებიც ხელყოფენ სრულიად ფშავის (და არა მხოლოდ მისი ცალკეული თემის), მთელი ხევსურეთის, თუშეთის, ხევის, ბალსზემო სვანეთის (ანუ მთელი ე.წ. თავისუფალი სვანეთის) საერთო ინტერესს. მთელი კუთხის საერთო ინტერესის ხელმყოფ დანაშაულზე რეაგირება ძირითადად ამ კუთხეების ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მოქმედი თვითმმართველობის ორგანოების (ამ კუთხეებში შემავალი ცალკეული თემების გამაერთიანებელი საერთო ორგანოების) ფუნქციას წარმოადგენდა.[1]

კერძო პირთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების განხილვაში კი საზოგადოება არ ერევა. ასეთ დანაშაულობებად შეიძლება ჩავთვალოთ ისინი, რომელთაც საზოგადოება არ მიიჩნევს მისი ინტერესების ხელმყოფად, ხოლო კერძო პირთა მიერ იქნება აღქმული მათი ინტერესების შემლახველად (ეს დანაშაულობანი დაზარალებული მხარისგან იწვევდა შურისძიებას ან კომპოზიციის მოთხოვნას).

ამა თუ იმ დანაშაულის მიკუთვნება დანაშაულთა ერთ-ერთი ჯგუფისადმი შეიძლება იმის მიხედვითაც მოვახდინოთ, თუ ძირი-

---

[1] საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც, ძირითადად, ჩვეულებითი სამართალი არეგულირებდა სამართლებრივ ურთიერთობებს (მხედველობაშია მთის რეგიონები — სვანეთი, ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი და სხვა), სახალხო თვითმმართველობის ორგანოები მოქმედებდა ყველა ტერიტორიულ ერთეულში (სოფელი, თემი, ხეობა, მთელი კუთხე, მაგალითად, სრულიად ხევსურეთის, ფშავის ხევის, თუშეთის, ბალსზემო სვანეთის სახალხო ყრილობები), ხოლო ბარის რეგიონებში, ძირითადად, გვხვდება სოფლის ან რამდენიმე სოფლის გაერთიანების (თემის) სახალხო თვითმმართველობის ორგანოები. ყველა ამ ორგანოს — სოფლის, თემის, მთელი კუთხის სახალხო ყრილობებს — გააჩნდა სასამართლო ფუნქციებიც. ისინი განიხილავდნენ მთელი საზოგადოების (შესაბამისად, ეს იქნებოდა მთელი კუთხის, ხეობის, თემისა თუ სოფლის საზოგადოება) ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს (გ.დავითაშვილი, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, 203).

თადად ვინ განიხილავდა ამ დანაშაულებს. საზოგადოების ღალატი, ეკლესიის გაძარცვა, აკრძალული ქორწინება, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, საზოგადოების განხილვის ობიექტია, ხოლო მკვლელობა, დაჭრა-დასახიჩრება, ძირითადად, კერძო პირთა მიერ არჩეული მედიატორების, შუამავლების რეგულირების ობიექტია, თუმცა სრულიად შესაძლებელია, რომ რაიმე დანაშაული ერთ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში საზოგადოების მიერ ჩაითვალოს მის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად, სხვა შემთხვევაში კი არა.[1] ამიტომ მიგვაჩნია, რომ მიჯნა დანაშაულთა ამ ორ ჯგუფს შორის ჩვეულებითი სამართლით რეგლამენტირებული არაა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულთა ამ ორ ჯგუფს შორის ჩვეულებითი სამართლით დადგენილი ზუსტი მიჯნა არ არსებობდა, სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა გათვალისწინებით, მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარკვეული დანაშაულობანი, კონკრეტულ შემთხვევებში, უმთავრესად საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობებად ითვლებოდა, ხოლო მეორენი კერძო სამართალდარღვევებად.[2] ეს რეალობაა და საშუალებას გვაძლევს დანაშაულობანი ორ ზემოთ აღნიშნულ ჯგუფად დავყოთ.

მთელი საქართველოს მასშტაბით თუ ვიმსჯელებთ, ყველა კუთხეში დაახლოებით ერთგვაროვანი სურათია. ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებით, საზოგადოების ყრილობის განსჯადობას და ამდენად, საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს (საჯარო სამართალდარღვევებს) ძირითადად მიეკუთვნება: საზოგადოების ღალატი, საზოგადოების თავისუფლების ხელყოფა (ეს, ძირითადად, მთის რეგიონებს ეხება, მაგალითად, ბალსზემო სვანეთს), საზოგადოების პირის გატეხვა, საერთო საქმისადმი თავის არიდება, ქურდობა (საკუთარ სოფელსა თუ თემში ჩადენილი, ძირითადად, განმეორებითი, სისტემატური), უზნეო საქციელი (უკანონო სქესობრივი კავშირი, გაუპატიურება, ბუშის გაჩენა), საზოგადოების გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, ეკლესიის ქონების ხელყოფა (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჯვარ-ხატის), საზოგადოების (თემის, სოფლის) საერთო საკუთრების, საერთო ქონების ხელყოფა, მისი უკანონო ექსპლოატაცია (მაგალითად, მოხვნა, ტყის მოჭრა),

[1] გ. დავითაშვილი, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2004, 205.

[2] იქვე, 207.

უკანონო ქორწინება (ნათესავებს შორის ქორწინება, ნათელ-მირონის გატეხვა), საზოგადოებრივი წესრიგის ხშირი დარღვევა (სალხის ხშირად შეწუხება, აყალ-მაყალის ატეხვა, ჩხუბი, საჯარო ლაძღვა-გინება, უფროსის, მშობლის შეურაცხყოფა), თემში, სოფელში რაიმე უპირატესობის (სოციალურის, ქონებრივის) მოპოვებისაკენ სწრაფვა და თემისაგან განცალკევების მცდელობა (ეს ფიქსირდება ზოგიერთ მთის რეგიონში), უქმის გატეხვა და სხვა.[1]

ცხადია, ეს არ არის სრულყოფილი ჩამონათვალი იმ საქმეებისა, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, შესაძლოა, საზოგადოების ყრილობას განეხილა. ჩვეულებითი სამართალი კაზუისტურია, კაზუსები კი შეიძლება ძალზედ მრავალფეროვანი ყოფილიყო და საზოგადოების ყრილობას ისინი თავისი მსჯელობისა და სასამართლო განხილვის ობიექტად გადაექცია.

რაც შეეხება სამედიატორო სასამართლოს, ძირითადად, მისი განსახილველი საქმეები და ამდენად, კერძო სამართალდარღვევები იყო: მკვლელობა, დაჭრა-დასახიჩრება, ქურდობა, შეურაცხყოფა, ქონების დაზიანება, ვალის დაუბრუნებლობა და სხვა.[2]

როგორც აღინიშნა, არის დანაშაულები, რომლებიც კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა კერძო სამართალდარღვევად ჩათვლილიყო და მედიატორთა განხილვის ობიექტი გამხდარიყო, ხოლო სხვა შემთხვევაში საჯარო სამართალდარღვევად. მაგალითად, თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ ისეთი გავრცელებული დანაშაული, როგორიცაა ქურდობა. საერთოდ, ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, ქურდობას უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე დღეს. ქურდობა არ გულისხმობდა მხოლოდ სხვისი ქონების ფარულ, მართლსაწინააღმდეგო მითვისებას. იგი გულისხმობდა სხვისი ნივთის ყოველგვარ დაუფლებას მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, თუ ეს მოქმედება საზოგადოების თვალსაზრისით დანაშაულად ითვლებოდა.[3] თუ მოხდებოდა ეკლესიის გაქურდვა ან ჯვარ-ხატის

[1] გ. დავითაშვილი, დასახ. ნაშრ., 207-208.

[2] იქვე, 208.

[3] აღნიშნულს ადასტურებს მ. კოვალევსკი. მისი განმარტებით, ქონების საწინააღმდეგო ყველა დანაშაული: ძარცვა, ქურდობა, თაღლითობა ხევსურებისა და თუშების გაგებით, ქურდობის ცნების ქვეშ ერთიანდება, როგორც ეს იყო ერთ დროს რომში (ფურტუმი) (М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 120). იმავე ითქმის ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ჩვეულებით სამართალზეც. მაგალითად, მ. კოვალევსკი ოსურ ჩვეულებით სამართალზე საუბრი-

გაძარცვა, ან საერთოდ ჯვარ-ხატის საკუთრების ხელყოფა, ეს ყოველთვის საზოგადოების (თემის, სოფლის) ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ითვლებოდა, ხოლო ოჯახის, კერძო პირის საკუთრების ხელყოფა კი, კერძო დელიქტს წარმოადგენდა.[1] ე. ი. თუ დანაშაულთა რომელ ჯგუფს ეკუთვნის ქურდობა, დამოკიდებულია კონკრეტული ქურდობის ხელყოფის ობიექტზე. თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელი იყო, რომ ქურდობა (მხედველობაში არაა ჯვარ-ხატის ან ეკლესიის ქონების) საზოგადოების რეაგირების საგანი გამხდარიყო და საზოგადოებას თვითონ დაესაჯა ქურდი. ქურდობა საზოგადოების განსჯის ობიექტი ძირითადად მაშინ ხდებოდა, როდესაც ქურდი საკუთარ სოფელში (თემში) ჩაიდენდა ამ დანაშაულს. განსაკუთრებული სიმკაცრით სოფელი ქურდს სჯიდა მაშინ, როდესაც იგი განმეორებით, არაერთხელ ხელყოფდა სოფლის მცხოვრებთა საკუთრებას, მის ასეთ საქმიანობას სისტემატური ხასიათი ექნებოდა. ამ დროს ქურდობას საზოგადოება მისი ინტერესების ხელმყოფ დანაშაულად აღიქვამდა, რაც მთელი საზოგადოების სიმშვიდეს არღვევდა.[2]

როდესაც ვახდენთ დანაშაულთა კლასიფიკაციას საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებად და კერძო სამართალდარღვევებად, ზოგიერთ დანაშაულთან მიმართებაში უნდა გავითვალისწინოთ (როგორც ქურდობასთან დაკავშირებით გამოჩნდა), ეს დანაშაული საკუთარ სოფელშია (თემშია) ჩადენილი, თუ საკუთარი სოფლის (თემის) გარეთ. ცხადია, თუ პიროვნება საკუთარ სოფელში ჩაიდენდა დანაშაულს, საზოგადოების მხრიდან რეაგირება უფრო რეალური იყო, ვიდრე სხვა სოფლის (თემის) მცხოვრების მიერ ჩადენილი დანაშაულისას.[3]

სას აღნიშნავს, რომ ოსეთში, ისე, როგორც ძველ რომში, XII ტაბულის კანონების მიხედვით, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, გაერთიანებულია ქურდობის ცნების ქვეშ (М. Ковалевский. Современный обычай и древний законъ, Т. 2, М., 1886, 156).

[1] საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფიქსირდება ქურდობის განხილვა სამედიატორო სასამართლოთა მიერ, რაც მას კერძო ხასიათის სამართალდარღვევის მნიშვნელობას ანიჭებს.

[2] გ. დავითაშვილი, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2004, 209.

[3] საერთოდ, საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჩადენისას დანაშაულის სუბიექტად, ძირითადად, მოცემული საზოგადოების მკვიდრი ითვლე-

გ. ჟორდანია დანაშაულის ინსტიტუტის შესახებ საუბრისას ქართლის ჩვეულებით სამართალში აღნიშნავს, რომ ,,საკუთარი სოფლის მცხოვრები, სისხლისსამართლებრივი დასჯის თვალსაზრისით, განიხილება სხვა სოფლის მცხოვრებისაგან განსხვავებულად.“[1] მისი მონაცემებიდან გამოდის, რომ ქართლის ერთი სოფლის მცხოვრების მიერ სხვა სოფლის მცხოვრების მიმართ ჩადენილი დანაშაული კერძო ხასიათის სამართალდარღვევას წარმოადგენს და ობიექტური ნიშნით ფასდება, სუბიექტური ფაქტორების გაუთვალისწინებლად, მაგალითად, ჭრილობის ადგილმდებარეობით, ჭრილობათა რაოდენობით, ჭრილობათა სიღრმით, სიფართოვით და სხვა. ამ დროს დავა წყდება სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით ან უბრალო ფიზიკური დაპირისპირებით, განაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთი სოფლის მცხოვრებთა პრეტენზიებს მეორე სოფლის მცხოვრებლებისადმი კოლექტიური ხასიათი აქვს. თანასოფლელის მიმართ ჩადენილი დანაშაულისას კი დამნაშავის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებაა და სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინება ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი მოვლენაა. ავტორი სწორედ სოფლის შიგნით ჩადენილი დანაშაულების შესახებ საუბრობს და საჯარო ხასიათის ელემენტებს მხოლოდ მათ შორის აფიქსირებს.[2]

სვანეთში საჯარო ხასიათის მატარებელი სასჯელის — ,,ჰიბარის“ გამოყენებაც თემის (სოფლის) შიგნით ჩადენილი დანაშაულისას ფიქსირდება. რ. ხარაძის განმარტებით, მისი ,,გადახდა ევალება იმ ოჯახს, რომლის წევრიც თემის ცალკეული წევრების მიმართ ჩადენილი დანაშაულით არღვევს თემის გადაწყვეტილებას.“[3]

ის, რომ ზოგიერთ დანაშაულს, რომელსაც ერთი სოფლის (თემის) წარმომადგენელი მეორე სოფლის (თემის) მაცხოვრებლის მიმართ ჩაიდენდა, კერძოსამართლებრივი ხასიათი ჰქონდა, ხოლო სოფლის (თემის) შიგნით ჩადენის შემთხვევაში გარკვეული საჯარო

ბოდა. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, საზოგადოების (სოფლის, თემის, თემთა გაერთიანების) ყრილობას შესაძლოა საზოგადოების არაწევრიც დაესაჯა. ამ საკითხის სრულფასოვანი განხილვა ცალკეული დანაშაულების შესწავლისას მიგვაჩნია მიზანშეწონილად.

[1] გ. ჟორდანია, სისხლის სამართალი ქართლის სოფლებში (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1908, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1813.

[2] გ. ჟორდანია, იქვე.

[3] რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., 198.

ელემენტის მატარებელი შეიძლება ყოფილიყო, განპირობებული იყო იმით, რომ შესაბამის თემებს თუ სოფლებს საერთო ორგანოები არ გააჩნდა (მხედველობაშია ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მოქმედი სახალხო თვითმმართველობის ორგანოები). ხოლო, თუ სოფლის სახალხო თვითმმართველობის ორგანო (ან თემის, თუ კონკრეტულ თემში შემავალ სოფლებს ასეთი საერთო ორგანო გააჩნდა) მოცემული სოფლის (თუ თემის) შიგნით ჩადენილ ასეთ დანაშაულს საზოგადოებისათვის საშიშად მიიჩნევდა, შეეძლო დამნაშავის დასჯა.

აღნიშნულ საკითხს გვსურს ზოგიერთი ცალკეული დანაშაულის მიხედვით შევეხოთ.

პირველ რიგში ისევ ქურდობას დავუბრუნდეთ. ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში კარგად ჩანს, რომ ქურდობა საჯარო სამართალდარღვევად ძირითადად სოფლის თუ სახალხო თვითმმართველობის საერთო ორგანოების მქონე ტერიტორიული გაერთიანებების (თემი, თემების გაერთიანება) შიგნით ჩადენისას ითვლებოდა. ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია ბ. გაბუურის ინფორმაცია ხევსურეთის სინამდვილიდან. ავტორი წერს: „....ქურდს სოფელიც აღარ გაავლევს ჯარზე. ერთ წელს მაინც დაახსონებენ ქურდს. ხალხ ლანძღვას დაუწყებს, ეტყვიან: „არ გცხვენისაევ, თავის სოფელში კაცმ რაგორ უნდა იქურდას?“ ეს ერთხან. თუ მეორ-მესამედ კიდევ მაუხდ ქურდობა, მაშინ სოფელი ჩახქოლავს ქურდს.“[1] ქურდობა, როგორც ვხედავთ, განსაკუთრებით სამარცხვინოდ ხევსურეთში საკუთარ სოფელში ჩადენის შემთხვევაში ითვლებოდა. ქურდობის განმეორებისას კი სიკვდილით დასჯაც ხდებოდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ სოფლის შიგნით ქურდობა (განსაკუთრებით არაერთგზის ქურდობა) საზოგადოების საწინააღმდეგოდ მიმართულ საჯარო სამართალდარღვევად აღიქმებოდა. იმავე ითქმის თუშეთში თემის შიგნით ჩადენილ ქურდობაზე.[2] თემი საკმაოდ მძიმე საზოგადოებრივ სასჯელს აკისრებდა ქურდს ფშავშიც. დ. ჯალაბაძე მიუთითებს, რომ ძველად საქართველოს ამ კუთხეში ქურდის მიმართ არ ერიდებოდნენ საჯარო ხასიათის ისეთ სასჯელებს, როგორიცაა მოკვე-

[1] ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდული, I-II, 1923-1924, 139.

[2] ვასილ ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ ეთნოგრაფიული წარსულიდან, თბ 1966, საკანდიდატო დისერტაცია, 147. სადისერტაციო ნაშრომი ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

თა, ხატში დარისხება.[1] ასეთივე მაგალითები არსებობს არა მარტო მთის რეგიონების, არამედ იმერეთის, გურიის, სამეგრელოს სინამდვილიდან, როდესაც სოფლის სახალხო კრება აძევებს გამოუსწორებელ ქურდს, ან მის მიმართ იყენებს რაიმე გამაწბილებელ სასჯელს (მაგ., ნაქურდალით სოფელში საჯაროდ ჩამოტარება). არის შემთხვევები, როდესაც ქურდს ნაქურდალის ანაზღაურების გარდა, საზოგადოება ჯარიმას აკისრებს თავის სასარგებლოდ, გარკვეული ხნით ბოიკოტს უცხადებს და სხვა.[2]

საინტერესოა, რომ სოფლის შიგნით ჩადენილი ქურდობა საჯარო სამართალდარღვევად, XX საუკუნის დასაწყისის მასალების მიხედვით, ქართლის ჩვეულებითი სამართლის მიხედვითაც ჩანს. გ. ჟორდანია აღნიშნავს, რომ ქურდობა ადრე ქართლის სოფლებში კერძო სამართალდარღვევად ითვლებოდა. ქურდის გამოვლენა მთლიანად დაზარალებულის საქმე იყო და ნაქურდალის ორმაგი, ოთხმაგი თუ შვიდმაგი ანაზღაურება დაზარალებულის სასარგებლოდ ხდებოდა. თუმცა შემდგომ ქურდობის გახშირების კვალობაზე უკვე საზოგადოება იწყებს ბრძოლას ქურდობის წინააღმდეგ საზოგადოებრივი სასჯელის დაწესებით.[3]

იმავე შეიძლება ვთქვათ ლეჩხუმთან დაკავშირებითაც, სადაც სოფლის შიგნით ქურდობის ჩამდენს სოფელი აძევებდა.[4] ასევე აჭარაშიც ქურდობის საქმეს სოფლის საზოგადოება განიხილავდა.[5]

საკუთარ თემში ჩადენილი ქურდობა ბალსზემო სვანეთშიც საჯარო სამართალდარღვევად აღიქმებოდა და თემის ყრილობის განხ-

---

[1] დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში (ფშავის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით), გამომცემლობა „უნივერსალი," თბ., 2003, 139.

[2] გ. დავითაშვილი, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2004, 99-100, 101-102, 105.

[3] გ. ჟორდანია, სისხლის სამართალი ქართლის სოფლებში (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1908, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1813. ავტორის მიხედვით, დღისით-მზისით მთელი სოფელი მიდის ქურდის სახლში, გამოჰყავს იქიდან ხარების წყვილი, გამოაქვს ასევე ღვინო და იმართება საზოგადოებრივი ქეიფი (იქვე)

[4] მ. კედელაძე, ლეჩხუმის მასალა, 1951, პირადი არქივი, ხელნაწერი, ეთნოგრაფიული რვეული №7, 5.

[5] გ. დავითაშვილი, დასახ. ნაშრ., 65, 67.

ილვის ობიექტი ხდებოდა.[1] ეგ. გაბლიანის განმარტებით, თემის ყრილობა ახდევინებდა ქურდებს ნაქურდალის ორმაგ ფასს და ასევე ჯარიმას (ჰიბარს). იმავე დასტურდება ბ. ნიჟარაძის მონაცემებითაც.[2] ამ თვალსაზრისით ძალზედ საინტერესო მაგალითი მოჰყავს ბ. ნიჟარაძეს კალის თემის სინამდვილიდან. მისი თქმით, ,,ეს ყრილობის უფლება დღემდეა მტკიცედ დაცული. 1880 წ. კალის საზოგადოებაში ერთმა პირმა – მიქელ მარგველანმა მეზობელს ცხვარი მოჰპარა. როგორც კი საზოგადოების ყურამდე მიაღწია ამ დანაშაულობამ, მაშინვე სოფლის ყრილობა მოხდა, მიადგა ქურდს, წაართვა ერთი ხარი და ორი ცხვარი; ორი ცხვარი მოპარულ ცხვრის პატრონს მისცა ყრილობამ და ხარი თვით მოიხმარა – დაჭკლა და შესჭამა.... ამ გვარი შემთხვევები სხვა საზოგადოებშიც ბევრი გვინახავს უკანასკნელს ხანებში. რაოდენობა ქურდისაგან ამოსაღებ ჯარიმისა ყრილობის შეხედულებაზე და ნებაზე იყო დამოკიდებული ქურდის ნივთიერის შეძლებისა და მდგომარეობის მიხედვით. მოხდებოდა, რომ ცხვრის მოპარვისათვის საზოგადოება ერთს ძროხასაც დასჯერდებოდა ჯარიმად ქურდს, მაშინ როდესაც მეორე ქურდს ამ გვარივე დანაშაულისათვის სამს ხარსაც წაართმევდა“.[3] ამ მაგალითში ძალზედ კარგად ჩანს, რომ საზოგადოების (თემის ყრილობის) რეაგირება მოჰყვა საკუთარ თემში, სოფელში ჩადენილ დანაშაულს, კერძოდ, მეზობლისათვის ცხვრის მოპარვას.

აღსანიშნავია, რომ სვანეთში სოფლის შიგნით ჩადენილი ქურდობის წინააღმდეგ ღონისძიებებს ატარებდნენ ამ სოფლის მიერ არჩეული ე.წ. ხერსთავები. სხვა ფუნქციებთან ერთად მათ ერთერთ უმთავრეს საქმიანობას წარმოადგენდა ქურდების გამოვლენა.[4] ხერსთავების საქმიანობა XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს მ. კეკელიას მიერ ბალსზემო სვანეთში ჩაწერილ მასალებშიც კარგად იკვეთება. მის ინფორმატორებს ახსოვთ ეს ინსტიტუტი და ზოგი-

[1] დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975, 107.

[2] ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 69; ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, 87.

[3] ბ. ნიჟარაძე, იქვე.

[4] რ. ხარაძე, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, 1953, 184-185; რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, 80.

ერთი მათგანი თვითონაც ყოფილა ხერსთავი. მათი ინფორმაციით ბალსზემო სვანეთში თითოეულ სოფელს განსაზღვრული ვადით არჩეული ჰყავდა გარკვეული რაოდენობის ხერსთავი, რომლებიც წელიწადში ერთხელ ჩამოივლიდნენ სოფელში ქურდების გამოსავლენად. მათ ხალხი ინფორმაციას აწვდიდა, თუ რა დაუკარგავს, ვისზე აქვს ეჭვი და სხვა, ხოლო ხერსთავები ამ ინფორმაციის საფუძველზე ხატზე აფიცებდნენ ქურდობაში ეჭვმიტანილებს, ან იმათ, ვინც რაიმე იცოდა ქურდობის შესახებ, საჭიროებისას ჩხრეკდნენ ეჭვმიტანილის სახლს, ხოლო ქურდის გამოვლენის შემთხვევაში დაზარალებულისადმი დახმარების გაწევის ნიშნად გასამრჯელოდ იღებდნენ ქურდის მიერ ანაზღაურებული ღირებულების მეათედს.[1] ხერსთავებს, შესაძლოა, მათ სოფელში მომხდარი ქურდობის შესახებ ეცნობებინათ მეზობელი სოფლების ხერსთავებისათვის და მათი დახმარებით გამოევლინათ ქურდი და დაებრუნებინათ ნაქურდალი.[2]

ის გარემოება, რომ სოფელი სპეციალურად ირჩევდა პირებს ქურდების გამოსავლენად, მაჩვენებელია იმისა, რომ ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლა მთელი საზოგადოების საერთო ინტერესს წარმოადგენდა. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ქურდობის, როგორც დანაშაულის აღსაკვეთად და ქურდების გამოსავლენად, ბალსზემო სვანეთში შემავალი ყველა თემი საერთო ძალისხმევასაც იჩენდა. კერძოდ, ბალსზემო სვანეთის მთელი მოსახლეობა პერიოდულად იკრიბებოდა კალის თემში მდებარე წმინდა ნიკოლოზისა და ივლიტას სახელობის ეკლესიაში დასაფიცებლად. იქ თავშეყრილი საზოგადოება დებდა ფიცს, რომ არ ჩაიდენდა ქურდობას, ასევე ხდებოდა იმათი დაწყევლა, ვინც არ აღიარებდა ქურდობას, არ განაცხადებდა, რაც იცოდა ქურდობის შესახებ. ამ საშინელი წყევლის შიშით ხდებოდა უკვე მომხდარი ქურდობების გამოაშკარავება. ვინც რაიმე იცოდა ქურდობის შესახებ, ინფორმაციას აწვდიდა სპეციალურად შერჩეულ პიროვნებებს, რომლებიც იწერდნენ ყველაფერს და ამის შემდეგ რომელი დაზარალებულიც მოიკითხავდა დაკარგულს, მიუთითებდნენ ქურდზე. ეს უკანასკნელიც ვალდებული იყო დაებრუნებინა ნაქურდალი.[3]

---

[1] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული № 4, 1968, 75, 85; ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 2, 29, 36, 64.

[2] რ. ხარაძე, იქვე.

[3] რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., 193; მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამარ-

აქვე უნდა ითქვას, რომ სვანეთში საჯარო სასჯელი მხოლოდ საკუთარ თემში ჩადენილ ქურდობას მოჰყვებოდა. სვანეთში დაფიქსირებული მასალებით, სხვის თემში ჩადენილი ქურდობისათვის, დამნაშავე მხოლოდ დაზარალებულს უნაზღაურებდა ნაქურდალის ღირებულებას (გარკვეულ შემთხვევაში ორმაგად) და რაიმე საჯარო ხასიათის დამატებითი საზოგადოებრივი სასჯელი მას არ ეკისრებოდა.[1] ამას იმ შემთხვევაშიც ჰქონდა ადგილი, როდესაც ქურდის გამოვლენა და ნაქურდალის ანაზღაურება ხერსთავების ძალისხმევით

თალზე, ეთნოგრაფიული რეული №3, 1968, 11; ეთნოგრაფიული რეული №4, 1968, 75; ეთნოგრაფიული რეული №5, 1968-1969, 24-25, 91. ამ თვალსაზრისით, ძალზედ საინტერესო კონკრეტულ ფაქტს ბალსზემო სვანეთის სინამდვილიდან გვიამბობს ეგ. გაბლიანი. იგი იხსენებს, რომ XX საუკუნის დასაწყისში ბალსზემო სვანეთში ბოქაულთა უმოქმედობის გამო საშინლად იყო გავრცელებული ქურდობა. ამ საშინელი მდგომარეობიდან გამოსავალი თვით ეგ. გაბლიანმა იპოვა. მან 1912 წელს პირადად ჩამოიარა ბალსზემო სვანეთი, მოაწვევინა კრებები, რომლებზედაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ 15-50 წლის ყველა მამაკაცი უნდა წასულიყო კალის წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიაში დასაფიცებლად. კალაში ბალსზემო სვანეთის ყველა თემიდან 3000 კაცი შეიკრიბა. ეკლესიიდან გამოიტანეს ე. წ. „შალიანის" ხატი, რომელიც მთელს სვანეთში ყველაზე ძლიერ ხატად ითვლებოდა. ხალხი თვით ეგ. გაბლიანმა დააფიცა. დაფიცების შემდეგ თითოეული დაიკითხა, რის შედეგადაც ქურდობის 750 შემთხვევა დადგინდა. ამის შემდეგ შედგა კომისია, რომელშიც თემიდან ორ-ორი კაცი შევიდა. ეს კომისია ჩამოჰყვა მთელ სვანეთს, ქურდებს ჩამოართვა ნაქურდალის ორმაგი საფასური და დაზარალებულებს ჩააბარა. ამის შემდეგ ხალხმა დაიფიცა, რომ 5 წლის განმავლობაში არაფერს მოიპარავდნენ. ეგ. გაბლიანი მიუთითებს, რომ შემდგომი ხუთი წლის განმავლობაში ქურდობას ფაქტობრივად ადგილი აღარ ჰქონია (ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., 88).

[1] სხვის თემში ქურდობა რომ კერძო სამართალდარღვევაა, კარგად ჩანს მ. კეკელიას მიერ სვანეთში დაფიქსირებულ მასალებში. მის მიერ ჩაწერილი ერთერთი კონკრეტული შემთხვევის მიხედვით, ქურდებმა, რომლებმაც სხვა თემში ჩაიდინეს დანაშაული, მხოლოდ ნაქურდალის ღირებულება აანაზღაურეს (მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული № 1, 1967, 68-69). ასევე მ. კოვალევსკის მიხედვითაც, სვანეთში ქურდობა კერძო სამართალდარღვევად ჩანს. გამოჩენილი მეცნიერი მიუთითებს, რომ სვანეთში მოპარულის დამბრუნებელი ქურდი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან (М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 34). მ. კოვალევსკი არ განასხვავებს ქურდობას თემის შიგნით თუ გარეთ, რაც გარკვეული ხარვეზია.

ხდებოდა ან წმინდა ნიკოლოზისა და ივლიტას სახელობის ეკლესიაში საყოველთაო დაფიცების მეოხებით.

ამრიგად, ქურდობასთან დაკავშირებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ ჩვეულებით სამართალში, საკუთარ თემში თუ სოფელში (გააჩნია კუთხეს) ჩადენილი ქურდობა (განსაკუთრებით არაერთგზისი, სისტემატური) მთელი საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად აღიქმებოდა, რისთვისაც საჯარო ხასიათის სასჯელი იყო გათვალისწინებული, რაც მას საჯარო ხასიათის სამართალდარღვევად წარმოაჩენს. სხვის თემსა თუ სოფელში ჩადენილი ქურდობა კი ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, კერძო სამართალდარღვევად ჩანს.[1] ამ კონტექსტში, საინტერესოა მთელი ბალსზემო სვანეთის (რომელიც რამდენიმე თემის გაერთიანებაა) საზოგადოების საერთო ძალისხმევა ქურდების დასადგენად და

---

1 იმავე სურათი ფიქსირდება ჩრდილოკავკასიელ მთიელებშიც. თ. ლეონტოვიჩის მონაცემებით, ქურდობა სხვაგან ჩრდილოკავკასიელ მთიელებში ვაჟკაცობად ითვლება და თუ ქურდი ნაქურდალს დააბრუნებს, მეტს აღარაფერს იხდის. თავისიანებში ქურდობა კი საყოველთაო ზიზღს იწვევს და ქურდი ნაქურდალის ანაზღაურებასთან ერთად ჯარიმასაც იხდის (Ф. Леонтович, Адаты Кавказских горцев, Т.1, Одесса, 1882, 14-15, 18; Т. 2, Одесса, 1883, 5). იმავე დასტურდება მ. კოვალევსკისთანაც. მისი განმარტებით, სხვაგან ქურდობისას ოსების 1836 წლის ადათთა კრებულის მიხედვით ხდება ნაქურდალის ჩამორთმევა. ისე როგორც რესპუბლიკის ხანის რომის სამართალში, ქურდობა სამოქალაქო სამართლის განყოფილებაში მოიხსენიება, ოსეთში შეიძლება მისი განხილვა ვალდებულებათა შესახებ განყოფილებაში. (М. Ковалевский. Современный обычай и древний закон, Т. 2, М., 1886, 156-157). იქვე მ. კოვალევსკი მიუთითებს, რომ თუ სხვაგან ქურდობისათვის მხოლოდ ნაქურდალის დაბრუნება ხდება, თავისიანებში ქურდობისათვის ნაქურდალის პატრონი იღებს ხუთმაგ ანაზღაურებას და კიდევ დამატებით ნაქურდალის ერთმაგ ღირებულებას იხდის საზოგადოების სადილისთვის. აქედან გამოდის, რომ ოსები განასხვავებენ ქურდობას სხვაგან და თავისიანებში. პირველი არსებითად დანაშაულად არც ითვლება. მეორე შემთხვევაში ქურდობა არღვევს შიდა სიმშვიდეს, ამიტომ წარმოადგენს მოქმედებას, რომელიც საშიშია მოცემული საზოგადოების სიმშვიდისა და თანხმობისათვის. და მის წინააღმდეგ მიღებული უნდა იყოს მკაცრი ზომები. კერძოდ, ქურდს აძლევენ საშუალებას გამოისყიდოს დანაშაული და საზოგადოებრივი დაშინების მიზნით, ზრდიან დაზარალებულის სასარგებლო გადასახადს. ამავე დროს ხდება გარკვეული ჯარიმის ამოღება საზოგადოების სასარგებლოდ. კერძოდ, ქურდმა უნდა ასადილოს საზოგადოება, გაუმასპინძლდეს მას (М. Ковалевский. Современный обычай и древний закон, Т. 2, М., 1886, 159-160).

ნაქურდალის ასანაზღაურებლად, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. ამ შემთხვევაში შეიძლება ვიფიქროთ მთელი ბალსზემო სვანეთის მასშტაბით ქურდობის საჯარო დანაშაულად ჩამოყალიბების გარკვეულ ტენდენციაზე, თუმცა საჯარო სასჯელის დაფიქსირება მხოლოდ თემის შიგნით ჩადენილი ქურდობის შემთხვევაში, მიუთითებს იმას, რომ აღნიშნული ტენდენციის მიუხედავად, საკვლევ პერიოდში მთელი ბალსზემო სვანეთის მასშტაბით ქურდობაზე, როგორც საჯარო სამართალდარღვევაზე, საუბარი მაინც არ შეიძლება.

ძირითადად, ქართულ ჩვეულებით სამართალში საჯარო სამართალდარღვევად ჩანს ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. უკანონო, დაუშვებელი სქესობრივი კავშირი (მაგალითად, სქესობრივი კავშირი ნათესავებს შორის, ბოზობა, მრუშობა, უკანონო შვილის გაჩენა), ასევე უკანონო ქორწინება (ნათესავებს შორის ქორწინება, ნათელმირონის გატეხვა) საზოგადოების რეაგირების ობიექტი ხდებოდა. ეს განსაკუთრებით ცალსახად ჩანს მაშინ, როდესაც მოცემულ დანაშაულთა სუბიექტები ერთი თემის თუ სოფლის წევრები იყვნენ, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც თანამეთემეთა თუ თანასოფლელთა ქორწინება თავისთავად ითვლებოდა დამოუკიდებელ დანაშაულად.[1] ამ დროს საზოგადოება ორივეს დასჯიდა. ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში ასევე ჩანს, რომ საზოგადოება არ ურიგდებოდა სოფელში ვინმეს სისტემატურ უპატიოსნო ცხოვრებას,[2] უკანონო შვილის გაჩენას, როდესაც, ისჯებოდა ბავშვის დედა (ან მისი ოჯახი) იმისდა მიუხედავად, ხდებოდა თუ არა უკანონო ბავშვის მამის დასჯა იმავე საზოგადოების მიერ. მაგალითად, ბ. ნიჟარაძე აღნიშნავს, რომ თუ გაუთხოვარი ქალი ისიძვებდა და ბუშს გააჩენდა, თემის ყრილობა ქალიშვილის მშობლებს ჯარიმად ჩამოართმევდა ერთ დღიურ ყანას, ან მის შესაბამის ტყეს, სათიბს, ხოლო მეძავ ქალსა და მის ბუშს ეკრძალებოდა ნაკურთხ მიწა-

---

[1] ეს დანაშაულად, ითვლებოდა მაგალითად, ხევსურულ და ფშაურ ჩვეულებით სამართალში (იხ. დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში (ფშავის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით), გამომცემლობა „უნივერსალი," თბ., 50; ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 33, 35).

[2] მაგალითად, იმერეთში ერთ-ერთ ქალბატონს, რომელიც სისტემატურად უპატიოსნოდ ცხოვრობდა, სოფელმა სამი დღით სამარცხვინო ბოძზე გაკვრა მიუსაჯა (გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 32).

ში დამარხვა, ეკლესიებში სიარული, სახალხო და რელიგიურ დღესასწაულებზე დასწრება.[1] ფშაურ მასალებშიც ფიქსირდება კონკრეტული შემთხვევა, როდესაც უკანონო შვილის გამჩენი სოფლიდან გააძევეს.[2] ამ მონაცემებში არაა მითითებული უკანონო ბავშვის მამის დასჯის თაობაზე. ეს, სავარაუდოდ, მაშინ შეიძლება მომხდარიყო, როდესაც იგი უცხოთემელი იყო.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში გვხვდება გარკვეული მონაცემები, როდესაც ნათესავებს, თუმცა სხვადასხვა სოფლელს (თუ სხვადასხვა თემელს) შორის ქორწინება, ან მათი უკანონო შვილის გაჩენა უფრო კერძო სამართალდარღვევის ბუნების მატარებელია. კერძოდ, ამის კონკრეტული მაგალითები გვხვდება ხევსურეთში, როდესაც ასეთ ქალ-ვაჟს მათი ნათესავები უსწორდებიან.[3] განსაკუთრებით დამამცირებელი ეს ქალის ოჯახისთვისაა და იმის გარდა, რომ ქალის ახლობლები მათ შემარცხვენელ ქალიშვილს სჯიან, შესაძლოა, ვაჟსაც გაუსწორდნენ. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევებშიც საზოგადოება მთლად განზე არ დგას. კერძოდ, ჯერ ერთი, ვაჟის ოჯახმა სოფლის ჯვარში საკლავი უნდა დაკლას, მეორეც, ქალ-ვაჟის მამა-ბიძები და ძმა-ბიძაშვილები საზოგადოების თვალში შერცხვენილები არიან და მათგან ყველა რეაგირებას ითხოვს.[4] ასე რომ, ამ დანაშაულში კერძო საწყისი ჭარბობს, თუმცა არც საჯარო ელემენტია იგნორირებული.

ცალსახად კერძო სამართალდარღვევას ქართულ ჩვეულებით სამართალში წარმოადგენდა დაჭრა-დასახიჩრება. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს საქართველოს მთის რეგიონების ჩვეულებით სამართალში. ეს დანაშაული ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით კერძო სამართალდარღვევად ჩანს, მიუხედავად იმისა, იგი ჩადენილია თანამოთემის, თანასოფლელის თუ უცხოს მიმართ. დაჭრა-დასახიჩრება რომ კერძო სამართალდარღვევას წარმოადგენდა იმითაც დასტურდება, რომ იგი ხშირად იყო მოწინააღმდეგე მხარეების მიერ ფორმირებული ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მოქმედი სამედიატორო სასამართლოს განხილვის ობიექტი. მაგალი-

---

[1] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I., თბ., 1962, 88.

[2] დ. ჯალაბაძე, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1987, 9.

[3] ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 40-44, 79-80.

[4] იქვე.

თად, ხევსურული სინამდვილიდან დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ამ კუთხეში სამედიატორო სასამართლო, ანუ „რჯული“ ძალზედ ხშირად (თუ ყველაზე ხშირად არა) სწორედ „ჭრა-ჭრილობის“ საქმეზე იმართებოდა.

დაჭრა-დასახიჩრების აღქმა კერძო სამართალდარღვევად საქმის ჩვეულებითი (ხალხური) სამართლით განხილვისას ჩანს არა მხოლოდ საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც ჩვეულებითი სამართალი სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირების ძირითადი ინსტრუმენტი იყო (სვანეთი, ხევსურეთი და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეები), არამედ ჩვენს ხელთ არსებული მასალებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ამ თვალსაზრისით ძალზედ საინტერესო შემთხვევას ვხვდებით მიხ. კედელაძის მასალებში მთის რაჭის ჩვეულებით სამართალზე. მიხ. კედელაძის რაჭველი ინფორმატორი მოგვითხრობს საბჭოთა პერიოდში მომხდარ შემთხვევას, როდესაც ერთმა პიროვნებამ მეორე თოფით დაჭრა. ამ დროს, ინფორმატორის თქმით, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, სახელმწიფოს კანონი სრულფასოვნად მოქმედებდა, თუმცა დაზარალებულმა სახელმწიფო სამართალდამცავ ორგანოებს კი არ მიმართა, არამედ დაჭრის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება მან ჩვეულებითი (ხალხური) სამართლის საფუძველზე მოსთხოვა დამნაშავეს. აღნიშნული საქმე მხარეთა შუაკაცებმა გადაწყვიტეს სწორედ ჩვეულებითი სამართლის მიხედვით და დამნაშავეს დაზარალებულის სასარგებლოდ გარკვეული გადასახადი დააკისრეს.[1] მ. კედელაძის ინფორმატორი, რომელიც შუაკაცი ყოფილა ამ საქმეზე, გადმოგვცემს დაზარალებულის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ გადაწყვიტა მან არ მიემართა ოფიციალური სახელმწიფო ორგანოებისათვის და ურთიერთობის დარეგულირება ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ჩათვალა მიზანშეწონილად (ამის თაობაზე დაზარალებულმა შუაკაცებს თავად ამცნო). მისი განმარტებით, მას რომ ეჩივლა, დამნაშავეს დაიჭერდნენ, იგი შეიძლება ციხეში გარდაცვლილიყო, რისთვისაც სოფელი მას დამნაშავედ ჩათვლიდა, დამნაშავის ახლო ნათესავები მას მტრად გადაეკიდებოდნენ და მასაც არაფერი დარჩებოდა. სწორედ ამ მიზეზების გამო გადაწყვიტა მან შინაურულად, ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე შერიგება.[2]

[1] მ. კედელაძე, პირადი არქივი, რაჭის მასალა, 1951, რვეული №7, 14-15.

[2] იქვე.

დაზარალებულის ეს მოტივაცია გვიჩვენებს, რომ იგი მის მიმართ ჩადენილ დაჭრას კერძო სამართალდარღვევად აღიქვამს, ხოლო ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე საქმის განხილვა სრულდება იმით, რომ დამჭრელი დაზარალებულს შუაკაცების მიერ დადგენილ მატერიალურ საზღაურს უხდის და მისთვის რაიმე საზოგადოებრივი ხასიათის სასჯელის დაკისრებას ადგილი არა აქვს. ეს გარემოება მიუთითებს, რომ რაჭაში მოქმედი ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, დაჭრა კერძო ხასიათის სამართალდარღვევას წარმოადგენდა, თუნდაც დამჭრელი და დაჭრილი თანასოფლელები ყოფილიყვნენ, როგორც ამას მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი.

ახლა შევეხოთ მკვლელობას. ჩვენი დაკვირვებით ეს უმძიმესი დანაშაული XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით ძირითადად კერძო სამართალდარღვევაა. მაგალითად, ამაზე ცალსახად მეტყველებს ნ. ხიზანაშვილის ზემოთ მოყვანილი ფრაზა, რომ მკვლელობა და სხვა დანაშაულები (დაჭრა-დასახიჩრებასაც ასახელებს) „კერძო ზარალია“ და „საზოგადოებას დანაშაულობისა არა ეკითხვის რა.“[1] აქ კარგად ჩანს, რომ ხევსურეთში მკვლელობა საზოგადოების განსჯის ობიექტი არ ყოფილა და იგი მოსისხლე გვარებს შორის ურთიერთობაში ფაქტობრივად არ ერეოდა. იმავე ითქმის საქართველოს სხვა მთის რეგიონებზეც, სადაც ჩვეულებითი სამართალი არსებით როლს ასრულებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგალითად, ბალსზემო სვანეთში მკვლელობას ან სისხლის აღება მოჰყვებოდა, ან სამედიატორო სასამართლოს განხილვის ობიექტი გახდებოდა. თანამოთემის (თანასოფლელის) მკვლელობის შემთხვევაში საზოგადოება (თემი) შესაძლოა ჩარეულიყო საქმეში იმ თვალსაზრისით, რომ აეძულებინა მოსისხლე მხარეები შეეწყვიტათ მტრობა, სისხლისღვრა და დათანხმებულიყვნენ შერიგებას (მაგალითად, სვანეთში სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით). ამ თვალსაზრისით ძალზედ საინტერესოა ხევსურეთში, ლიქოკის თემში მომხდარი შემთხვევა: სოფელ კარნაულის მცხოვრებმა აბიკა ლიქოკელმა შემთხვევით მოკლა სოფელ ბაჩქვილის მცხოვრები სუმბატ ლიქოკელი.[2] ამას მოჰყვა საპასუხო მკვლელობა, რამაც ძალიან გაართულა საქმე, რადგანაც სისხლის აღება, ანუ წინასწარგანზრახვით მკვლელობა შემთხვევით მკვლე-

[1] ნ. ხიზანაშვილი, დასახ. ნაშრ., 46.

[2] მხარეები ერთი გვარის განსხვავებულ მამიშვილობებს მიეკუთვნებოდნენ.

ლობას მოჰყვა. მოსალოდნელი იყო განმეორებითი მკვლელობა და საქმის დასრულებას ბოლო არ უჩანდა. ამის გამო კარატის ჯვარში, რომელიც სათემო ჯვარი იყო, შეიკრიბნენ კარატის ჯვრის ყმები (ორივე მოსისხლე მხარე ამ ჯვარის ყმას წარმოადგენდა). თემის საერთო გადაწყვეტილებით, სამრისხველო (საწყევარი) სამანი ჩაუსვეს იმ მხარეს, რომელიც გააგრძელებდა მტრობას და უარს იტყოდა შერიგებაზე. იმავეს განმეორების შემთხვევაში ორივე მხარეს ჯვარში მიუშვებლობით დაემუქრა[1]. ეს კონკრეტული შემთხვევა მიუთითებს, რომ ხევსურეთში თემს შესაძლოა გარკვეული ღონისძიებები გაეტარებინა მის შიგნით მშვიდობის დასამყარებლად, როდესაც მოსისხლეები ერთი თემის წევრები, ერთი ჯვარის ყმები იყვნენ. ამასთან, ამ მაგალითში კარგად ჩანს, რომ თემი მხოლოდ მაშინ ჩაერია საქმეში, როდესაც მოსისხლეთა შორის დაპირისპირება გამწვავდა და შესაძლებელი გახდა მტრობა დიდხანს გაგრძელებულიყო, რაც თემის სიმშვიდეს საფრთხეს შეუქმნიდა. ეს, ჩვენი აზრით, მიუთითებს იმას, რომ თანამოთემის მკვლელობა მაინც კერძო სამართალდარღვევას წარმოადგენდა, რადგანაც დაპირისპირების არგამწვავების შემთხვევაში თემი (საზოგადოება), სავარაუდოდ, საერთოდ არ ჩაერეოდა საქმეში და როგორც არაერთი სხვა მონაცემი მიუთითებს, ეს ასეც ხდებოდა. თუმცა ეს კონკრეტული შემთხვევა გვიჩვენებს, რომ თემის შიგნით ჩადენილი მკვლელობა, მოსისხლეთა მტრობის გამწვავების შემთხვევაში, შესაძლოა საზოგადოებას აღექვა თემში მშვიდობიანობის დარღვევად და ჩარეულიყო შემდგომი შურისძიების შეწყვეტის მიზნით, რაც გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივ ცნობიერებაში თემის შიგნით მკვლელობის საჯარო სამართალდარღვევად აღქმის ტენდენცია ჩანასახურ მდგომარეობაში იყო.

მსგავსი მონაცემები ბალსზემო სვანეთთან დაკავშირებითაც გვხვდება. ბ. ნიჟარაძის მიხედვით, თუ თემის შიგნით გვარებს შორის მოსისხლეობას ჰქონდა ადგილი და თემის მახვშის ძალისხმევა მათ შორის მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად უშედეგო იქნებოდა, მახვში უკვე მთელ საზოგადოებას მოიწვევდა და სწორედ მისი მეოხებით შეაჩერებდა დაპირისპირებულ მხარეებს.[2] ბ. ნიჟარაძის ამ ცნობასთან დაკავშირებით შეიძლება იმავე კომენტარი გავაკეთოთ, რაც ხევსურეთთან (კერძოდ, ლიქოკის ხეობაში მომხდარ შემთხვევასთან) დაკავშირებით.

[1] მ. კედელაძე, პირადი არქივი, ხევსურული მასალები, 1951, რვეული №23, 12-13.

[2] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, 93.

ამრიგად, საქართველოს მთის რეგიონებში (სვანეთი, ხევსურეთი და სხვა), სადაც ჩვეულებითი სამართალი XX საუკუნის განმავლობაშიც არსებით როლს ასრულებდა, მათ შორის მძიმე დანაშაულებთან მიმართებაში, მკვლელობა კერძო სამართალდარღვევას წარმოადგენდა. ამაზე მეტყველებს ამ კუთხეებში სისხლის აღების ინსტიტუტის შემონახულობაც – რაიმე დანაშაულისთვის შურისძიების არსებობა ამ დანაშაულის კერძოსამართლებრივ ბუნებაზე მეტყველებს, რადგანაც დანაშაულისათვის სამაგიეროს მიზღვა უშუალოდ დაზარალებულის მიერ ხორციელდება.[1]

[1] აღნიშნულ კონტექსტში საინტერესოა რ. ხარაძის ცნობა ბალსზემო სვანეთში, უფრო ზუსტად კი უშგულში დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მონაცემებიდან. მისი განმარტებით, თუ მკვლელობა თემის შიგნით მოხდებოდა, მკვლელის ოჯახს „წორის" (ანუ სისხლის ფასის) გარდა, რომელსაც მოკლულის ოჯახს უხდიდა, თემისათვის უნდა გადაეხადა გარკვეული ოდენობის ჰიბარი (რ. ხარაძე, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, 1953, 195). ეს ცნობა მიუთითებს, რომ უშგულის თემის შიგნით მკვლელობისას კერძოსთან ერთად საჯარო ხასიათის სასჯელიც იყო გათვალისწინებული. უნდა ითქვას, რომ თემის შიგნით მკვლელობისათვის საჯარო ხასიათის სასჯელის (ჰიბარის სახით) არსებობა, ბალსზემო სვანეთის ჩვეულებით სამართალზე ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან, მხოლოდ რ. ხარაძის ამ ცნობაში გვხვდება, ისიც მხოლოდ უშგულთან დაკავშირებით (ბ. ნიჟარაძის, მ. კოვალევსკის, ეგ. გაბლიანის, მ. კეკელიას, დ. დავითულიანის, ა. დავითიანის მონაცემებში ასეთი ცნობა არ არის). ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ აღნიშნულ ცნობას ეჭვქვეშ ვაყენებთ. რ. ხარაძის დიდი მეცნიერული ავტორიტეტი და მონაცემების სანდოობა უდავოა. რ. ხარაძის აღნიშნული ცნობა მიუთითებს, რომ ბალსზემო სვანეთის ერთ-ერთი თემის – უშგულის – ჩვეულებით სამართალში ფიქსირდება გარკვეული პროცესი თემის შიგნით მკვლელობის საჯარო სამართალდარღვევად ჩამოყალიბების, თუმცა რამდენად უნივერსალური იყო ეს პროცესი მთელი ბალსზემო სვანეთის მასშტაბით, ძნელი სათქმელია, მით უმეტეს მხოლოდ ერთი ზოგადი ცნობის მიხედვით. უფრო გვიანდელ მასალაში (მაგალითად, მ. კეკელიას მიერ XX საუკუნის 60-იან წლებში დაფიქსირებულ მასალაში, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ უშგულშია ჩაწერილი) აღნიშნული პროცესის განვითარება არ ჩანს და თემის შიგნით მკვლელობისას ჰიბარის გადახდას ვერ ვხვდებით.

ჩვენი აზრით, თემის შიგნით მკვლელობისას კერძოსთან ერთად საჯარო სასჯელის არსებობა ბალსზემო სვანეთის ერთ-ერთ თემში არ მიუთითებს იმას, რომ აქ საქმე უკვე ჩამოყალიბებულ საჯარო სამართალდარღვევასთან გვაქვს. ჯერ ერთი, საზოგადოებაში, სადაც შემორჩენილია სისხლის აღება, მკვლელობა კერძო სამართალდარღვევას წარმოადგენს (სამწუხაროდ, რ. ხარაძესთან არ ჩანს სისხლის აღების შემთხვევაში თუ მოხდებოდა ჰიბარის გადახდა). თუ მხარეები სისხლის აღებაზე უარს იტყვიან და შერიგებაზე განაცხადებენ თანხმობას, საქმეს მათ მიერ ფორმირებული სამედიატორო სასამართლო განიხილავს და „წორის" ოდენობას განსაზღვრავს, ასე რომ, მკვლელობისას დაპირისპირებულ მხარეთა შორიგება უშუალოდ მათი შეთანხმების საფუძველზე ხდება, რაშიც საზოგადოება

აღსანიშნავია, რომ მკვლელობა კერძო სამართალდარღვევად გვეელინება არა მარტო მთის რეგიონების ჩვეულებით სამართალში, სადაც საკმაოდ დიდხანს შემორჩა სისხლის აღების ინსტიტუტი. გ. ჟორდანიას მონაცემების მიხედვით, XX საუკუნის დასაწყისში მკვლელობა ქართლშიც კერძო სამართალდარღვევად ითვლებოდა. ავტორის განმარტებით, მკვლელობა ქართლის სოფლებში კერძოსამართლებრივ სფეროს განეკუთვნება. სოფლის საზოგადოება

არ ერევა (ეს მკვლელობის შედეგად წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობის ძირითადი მახასიათებელია), რაც ასევე ადასტურებს, რომ აღნიშნული დანაშაული კერძო სამართალდარღვევაა. საჯარო ხასიათის სასჯელი აქ შეიძლება დამატებით სასჯელად განვიხილოთ, რაც მკვლელობას უშგულის თემში გარკვეულ საჯარო ელემენტს სძენს.

საერთოდ, როცა ვსაუბრობთ ბალსზემო სვანეთში საჯარო და კერძო დანაშაულთა შესახებ, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ სვანური საისტორიო ძეგლების მიხედვით (მხედველობაშია ზემო სვანეთში დაცული ადიშისა და მესტიის ოთხთავების აშიებზე XIII-XVI საუკუნეებში გაკეთებული სამართლებრივი ხასიათის მინაწერები, რომელიც პ. ინგოროყვამ გამოაქვეყნა — იხ. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, ტექსტები, თბ., 1941) საჯარო საწყისი დანაშაულებში (მათ შორის მკვლელობასა და სხვა დანაშაულებში) უფრო მკვეთრადაა გამოხატული, ვიდრე XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით. ამის შესახებ მითითებს გერონტი გასვიანი. მისი განმარტებით, „ადრინდელ სამართლის ძეგლებში დანაშაულის საჯარო პასუხისმგებლობა საერთოდ სუსტადაა წარმოდგენილი. ქართული სამართლის მკვლევარს XIV-XVI საუკუნეების სვანეთის საისტორიო ძეგლებში შეუძლია ამის უმრავი მაგალითის პოვნა, რომ სვანეთის ჩვეულებითი სამართალი კომპოზიციის საჯარო ელემენტს მრავლად შეიცავდა... ჩვენამდე მოღწეული სვანეთის წერილობითი წყაროები მოწმობენ მესისხლეობიდან დაწყებული და მსუბუქი დანაშაულით გათავებული, დამნაშავე პირი პასუხს არა მარტო დაზარალებულის თუ მისი ჭირისუფლის წინაშე აგებდა, არამედ მთელი „ერთობილი სვანეთის“ ან მისი ცალკეული ნაწილის ხელისუფლის თუ საზოგადოების წინაშეც (გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973, 184-185). დასკვნის სახით გ. გასვიანი აღნიშნავს: „დამნაშავის საჯარო პასუხისმგებლობის არსებობა იმისი მაჩვენებელიც უნდა იყოს, რომ დანაშაული საზოგადოებრივ ბოროტებადაც ყოფილა მიჩნეული. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ შუა საუკუნეთა ჩვეულებითი სამართალი თავისი დროის, საერთო-ქართული სამართლის შესაფერ დონეზე მდგარა. კომპოზიციების საჯარო ელემენტების განვითარების თვალსაზრისით სვანეთის რიგ საისტორიო ძეგლებს თვით XVIII საუკუნის ცნობილი სახელმწიფოებრივი ძეგლებიც კი ვერ შეედრება“ (იქვე, 187). არ არის გამორიცხული, რომ უშგულში რ. ხარაძის მიერ დაფიქსირებული მკვლელობისათვის გათვალისწინებული საჯარო ხასიათის სასჯელი იმ დროის გამოძახილი იყოს. შემდეგ, როგორც ჩანს, გარკვეული მიზეზების გამო, ბატონყმური ურთიერთობების შერყევის კვალდაკვალ, დანაშაულებში საჯარო საწყისი შემცირდა, რაც საკვლევ პერიოდზეც აისახა.

არ თვლის საჭიროდ ჩაერთოს მკვლელობის საქმეში და მის მოგვარებას მთლიანად დაინტერესებულ მხარეთა კერძო შეთანხმებას უკავშირებს. თუმცა საზოგადოება არც დაზარალებულის ახლობლებს აძლევს უფლებას შური იძიონ მკვლელზე, ან მის ნათესავებზე. შურისძიების მოსურნე მოკლულის ნათესავს სოფელი დიდ წინააღმდეგობას უწევს.[1] როგორც ვხედავთ, სოფლის საზოგადოება აქაც მხოლოდ შურისძიების თავიდან არიდების მიზნით შეიძლება ჩარეულიყო მკვლელობის საქმეში, სხვა მხრივ დაპირისპირებულ მხარეთა მორიგებაში არ ერეოდა, რაც ადასტურებს იმას, რომ გ. ჟორდანიას მიერ ქართლში მასალების დაფიქსირების პერიოდში, საზოგადოება მკვლელობას კერძო სამართალდარღვევად აღიქვამდა. ამის საილუსტრაციოდ მკვლელობის კონკრეტულ შემთხვევას მოვიყვანთ ქართლის სინამდვილიდან, რომელიც გ. ჟორდანიამ დააფიქსირა. ავტორი გვიამბობს: 1906 წლის 28 ივნისს სოფელ ბ-ს მცხოვრებმა პ. ბ-მ ჩხუბის დროს მოკლა იმავე სოფლის გლეხი ი. შ. რევოლუციური დრო იყო, მიყრუებულ სოფლებში ხელისუფლება საერთოდ არ ჩანდა, ამიტომ შესაძლებელი იყო დანაშაულის დამალვა და საქმის გადაცემა განსახილველად ..... სამედიატორო სასამართლოსათვის. ამ უკანასკნელმა მკვლელს მიუსაჯა შემდეგი: 1) მას თავისი ხარჯით უნდა დაეკრძალა მოკლული და წლის განმავლობაში მისთვის უნდა გადაეხადა ხალხური წესით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სუფრა; 2) 17 წლამდე უზრუნველეყო მოკლულის მცირეწლოვანი შვილი საჭმელით, სასმელით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ხოლო როცა შეუსრულდებოდა 17 წელი, უნდა გადაეცა მისთვის საკუთრებაში ერთი დესეტინა სახნავი მიწა, სადაც ის მოითხოვდა; 3) კვირაში ორი დღე უნდა ემუშავა მოკლულის ქვრივისათვის, მის გარდაცვალებამდე ან ხელმეორე გათხოვებამდე. ეს ვალდებულებები განმტკიცებულ იქნა ფიცით და მკვლელი ერთი წლის განმავლობაში ძალზედ კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის ვალდებულებებს. მეზობლებიც გაჩუმდნენ. ისინი ასე მსჯელობდნენ: „რა ხეირია, რომ ერთი დაობლებული ოჯახის ნაცვლად დარჩეს ორი და ახლა კი ის ორივე ოჯახზე მუშაობს“. მხოლოდ წელიწად-ნახევრის შემდეგ

[1] გ. ჟორდანია, სისხლის სამართალი ქართლის სოფლებში (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1908, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1813.

მივიდა ცნობები ამ მკვლელობის შესახებ პროკურატურამდე და ჩატარდა გამოძიება.[1]

ამ კონკრეტულ შემთხვევაში აშკარად ჩანს, რომ მედიატორმა მოსამართლეებმა ეს მკვლელობა განიხილეს როგორც კერძო დელიქტი და მკვლელს მხოლოდ ქონებრივი პასუხისმგებლობა (დაკრძალვისა და წლის გამავლობაში სავალდებულო სუფრების ხარჯი, 17 წლამდე მოკლულის არასრულწლოვანი შვილების რჩენა) და ასევე გარკვეული შრომითი მოვალეობების შესრულება დააკისრეს. საჯარო ხასიათის სასჯელზე აქ ლაპარაკიც ზედმეტია და კომპოზიციაც კი არ არის მკვლელისთვის დაკისრებული. ფაქტობრივად, მედიატორებმა მკვლელს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისრეს. ეს განაჩენი გვიჩვენებს, რომ ხალხის მართლშეგნება მკვლელობას კერძოსამართლებრივ დარღვევად მიიჩნევს. როგორც დავინახეთ, სოფლის მცხოვრებლები დადებითად შეხვდნენ მედიატორთა გადაწყვეტილებას და ხელისუფლებისათვის ამ მკვლელობის შესახებ არავის შეუტყობინებია. მეზობლებმა უპირატესობა აშკარად ხალხური სასამართლოს გადაწყვეტლებას მიანიჭეს, რომლის მეოხებითაც მოკლულის ოჯახს მკვლელი ფაქტობრივად მზრუნველად, მარჩენლად მოევლინა, რომელსაც მატერიალური უზრუნველყოფისა თუ ფიზიკური შრომის თვალსაზრისით, მოკლულის მაგივრობა უნდა გაეწია. ხოლო სახელმწიფო სასამართლომდე რომ მისულიყო საქმე, დამნაშავეს დასჯიდნენ და ორივე ოჯახი (მკვლელისაც და მოკლულისაც) მარჩენალის გარეშე დარჩებოდა. ამ გადაწყვეტილების გამართლების ეს მოტივაციაც მიუთითებს, რომ საზოგადოება მკვლელობას კერძო სამართალდარღვევად აღიქვამდა.

საინტერესოა, რომ გ. ჟორდანია, რომელიც მკვლელობას ქართლის ჩვეულებით სამართალში კერძო სამართალდარღვევათა რიგს მიაკუთვნებს, მიიჩნევს, რომ ეს ვითარება მის მიერ მასალების შეგროვების მომენტში (XX საუკუნის დასაწყისი) უკვე ცალსახა აღარაა. მისი განმარტებით, ზოგიერთ ადგილას, თუმცა არა ყველგან, ბოლო დროს გვხვდება შემთხვევები, რომლებიც მიუთითებს, რომ ყველაზე უფრო მძიმე დანაშაულები, უპირველეს ყოვლისა, მკვლელობა, გლეხების თვალსაზრისით, საზოგადოებრივი სამართალდარღვევის ფორმას იძენს. საილუსტრაციოდ მას მოჰყავს რამდენიმე ფაქტი კახეთის

[1] Г. Жордания, Народно-уголовные суды Карталинии, «Закавказье», 1911, №258.

სინამდვილიდან. ერთ-ერთი შემთხვევა ასეთია: შვილიშვილმა მოკლა პაპა ფულის გამო და გვაში გადამალა. სოფლელებმა აღმოაჩინეს გვამი, ხოლო მკვლელი მდინარის ნაპირზე ქვებით ჩაქოლეს.[1] გ. ჟორდანიას განმარტებით, მის მიერ მოყვანილი მაგალითები კი არის კახეთის სინამდვილიდან, თუმცა მეზობელ ქართლშიც ანალოგიური ვითარებაა.[2] საინტერესოა, რომ მკვლელობა ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით საკმარო სამართალდარღვევად ჩანს საქართველოს სხვა კუთხეებშიც (მხედველობაშია არა მთის რეგიონები). მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ მონაცემები გურიის ჩვეულებითი სამართლიდან. ერთ-ერთი გურული ინფორმატორი ბაბუამისის მონათხრობს იხსენებს, რომლის მიხედვითაც სოფელ ზემო ხეობში ოჯახის გაყოფის შემდეგ ერთი მსხლის ხე მამას ერგო. შვილი ხეზე ასულა და მსხლის კრეფა დაუწყია. მამა შვილს დაემუქრა მოკვლით, თუ ამ მოქმედებას არ შეწყვეტდა, თუმცა უშედეგოდ. გაბრაზებულმა მამამ მართლაც მოკლა შვილი, რის გამოც იგი სიკვდილით დასაჯეს.[3] მეორე ინფორმატორის ცნობით კი მკვლელი სოფლიდან გააძევეს.[4]

ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოს არა მთის რეგიონებში, სადაც მკვლელობათა განხილვა ხალხური წესით (ჩვეულებითი სამართლის მიხედვით) არცთუ ხშირად ხდებოდა (განსაკუთრებით რუსული მმართველობის პირობებში), საზოგადოების მიერ მკვლელობის აღქმა კერძო სამართალდარღვევად დაახლოებით XX საუკუნის დასაწყისშიც შემორჩა, თუმცა სოფლის შიგნით მკვლელობის მიმართ, რიგ შემთხვევებში, განსხვავებული დამოკიდებულებაც გვხვდება და იგი სოფლის საზოგადოების საერთო განსჯის ობიექტი ხდება, რაც მისი საკმარო სამართალდარღვევად ჩამოყალიბების პროცესს მიანიშნებს.

როგორც ვხედავთ, ისეთი გავრცელებული დანაშაულები, როგორიცაა მკვლელობა, დაჭრა-დასახიჩრება, ქურდობა (არა საკუთარ თემსა თუ სოფელში ჩადენილი), ქართული ჩვეულებითი სამართლის

---

[1] გ. ჟორდანია, სისხლის სამართალი ქართლის სოფლებში (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1908, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1813.

[2] იქვე.

[3] ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 1-2.

[4] დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 40-41.

მონაცემების მიხედვით, ძირითადად, კერძო სამართლის სფეროს განეკუთვნებოდა. არსებითად, ეს დანაშაულები (ისევე როგორც სხვა კერძო ხასიათის სამართალდარღვევები) კერძო დელიქტებია. ისინი ვალდებულების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენდნენ. საერთოდ, ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებია: ხელშეკრულება და ზიანის მიყენება. ე. ი. ქართულ ჩვეულებით სამართალში ვხვდებით სახელშეკრულებო და დელიქტურ ვალდებულებებს (რა თქმა უნდა, აქ ორიგინალური არაფერია). ისეთი კერძო დელიქტები, როგორიცაა მკვლელობა, დაჭრა-დასახიჩრება, ქონებრივი ზიანის მიყენება და სხვა, დაზარალებულის მხრიდან იწვევდა შურისძიებას, ან კომპოზიციის მოთხოვნას, ხოლო ამის შესაბამისად დამნაშავეს უჩნდებოდა ვალდებულება გადაეხადა ცალკეული დანაშაულისათვის დაწესებული კომპოზიცია. ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა შეფასებული იყო განსაზღვრული კომპოზიციით, ასევე ანაზღაურებული უნდა ყოფილიყო მიყენებული ქონებრივი ზიანიც, თანაც არა მარტო პირდაპირი ზიანი, არამედ მიუღებელი შემოსავალიც, განაცდური, ასევე მკურნალობის ხარჯი, რაც პიროვნების დაჭრა-დასახიჩრების შედეგად გახდა საჭირო.[1]

ვალდებულების შეწყვეტის საფუძველიც ასევე ტრადიციული იყო. დანაშაულის, კერძო დელიქტის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულების შეწყვეტა მხარეთა მორიგების შედეგს წარმოადგენდა. ეს შეიძლება მომხდარიყო დაწესებული კომპოზიციის გადახდით, მიყენებული ზიანის ანაზღაურებით, ე.ი. ვალდებულების შესრულება მისი შეწყვეტის ყველაზე გავრცელებული საშუალება იყო. ვალდებულების შეწყვეტას ადგილი ჰქონდა ვალდებულების პატიების შედეგადაც. არცთუ იშვიათად დაზარალებული პატიობდა დამნაშავეს და ირიგებდა კომპოზიციის გადახდის გარეშეც. ეს პრაქტიკის გათვალისწინებით, ძირითადად მაშინ ხდებოდა, როდესაც დანაშაული განზრახვის გარეშე იყო ჩადენილი, ასევე მძიმე შედეგი არ მოჰყოლია, ხოლო დამნაშავე პატიებას ითხოვდა და ინანიებდა მის მიერ ჩადენილ ქმედებას, ან მხარეები ნათესავები იყვნენ.[2]

ვალდებულების შეწყვეტის საკმაოდ გავრცელებულ საფუძველს ქართულ ჩვეულებით სამართალში წარმოადგენდა ვალდებულების

[1] გ. დავითაშვილი, დანაშაულის ბუნებისათვის ქართულ ჩვეულებით სამართალში, ჟურნ. „სამართალი," 2004, №1-2, 112.

[2] იქვე, 113.

გაქვითვა. თუ ორივე მხარეს ერთმანეთის მიმართ რაიმე დანაშაული (ან დანაშაულები) ჰქონდა ჩადენილი, ე. ი. თუ მხარეთა შორის ურთიერთვალდებულება არსებობდა, ადგილი ექნებოდა დანაშაულის გაბრას — ამ დანაშაულთა საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულების გაქვითვას. დანაშაულის ჩადენის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულების გაქვითვა ხორციელდებოდა, ძირითადად, სასამართლოს მიერ. სასამართლო განიხილავდა ორივე მხარის მიერ ერთმანეთის მიმართ ჩადენილ ყველა დანაშაულს, ადგენდა გადასახადს თითოეული მათგანისათვის და ერთობლივად განსაზღვრავდა ორივე მხარის მიერ ერთმანეთისათვის გადასახდელი კომპოზიციის ოდენობას. შემდეგ სასამართლო ადგენდა მის მიერ დადგენილ გადასახადთა შორის სხვაობას და მას აკისრებდა იმ მხარეს, რომლის გადასახდელი კომპოზიცია მეტი ოდენობისა იყო. მეორე მხარის გადასახადი, რადგანაც უფრო მცირე იყო, უქმდებოდა, ე. ი. ადგილი ჰქონდა ამ მხარის ვალდებულების გაქვითვას — მეტი გადასახადი შთანთქავდა მცირეს. ამით სასამართლო, ფაქტობრივად დანაშაულის გაბრას ახორციელებდა.[1]

როგორც ვხედავთ, დანაშაულის მიმართ ვალდებულებითი სამართლის გარკვეული პრინციპები ვრცელდებოდა. ის, რომ შესაძლებელი იყო დანაშაულის გაბრა, ე. ი. დანაშაულის შედეგად წარმოშობილი ვალდებულების გაქვითვა კერძო სამართალში დადგენილი წესების შესაბამისად, მეტყველებს იმაზე, რომ ქართულ ჩვეულებით სამართალში დანაშაულთა მნიშვნელოვანი ნაწილი (მათ შორის მკვლელობა და დაჭრა-დასახიჩრება) კერძო ხასიათის სამართალდარღვევა იყო.

[1] გ. დავითაშვილი, დასახ. ნაშრ.; 113.

თავი მეორე

შურისძიების ინსტიტუტის ზოგადი დახასიათება ქართულ ჩვეულებით სამართალში

ქართულ ჩვეულებით სამართალში დანაშაულის ინსტიტუტის განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით შურისძიების ინსტიტუტს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ შურისძიების ინსტიტუტი საზოგადოებრივი განვითარების უძველეს სტადიაზე (გვაროვნული ურთიერთობების დროიდან) იღებს სათავეს და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, გვაროვნული წყობილების დროს ერთადერთ სამართლად საგვარეულო შურისძიება უნდა ყოფილიყო.[1]

საკმაოდ საინტერესოდ წარმოაჩენს შურისძიების ინსტიტუტის ფორმირებასა და განვითარებას მ. კოსვენი. მისი განმარტებით, პირველყოფილი ადამიანისათვის მასზე ხელყოფის აღქმა ყალიბდება განსაკუთრებულ განცდად, განსაკუთრებულ ემოციად, რომელიც შეიძლება გამოიხატოს ტერმინით „შეურაცხყოფა“ („обида“). ყოველი დანაშაული პირველყოფილ საზოგადოებაში წარმოადგენს სწორედ შეურაცხყოფას, რომელიც მოცემული ჯგუფისადმი არის მიყენებული. ნებისმიერი მტრული აქტით გამოწვეული შეურაცხყოფის ეს ემოცია გამოხატულებას პოულობს აქტიურ თავდასხმაში, ანუ შურისძიებაში. ამრიგად, შურისძიების ინსტინქტი ღრმად ჯდება ადამიანის ძვალსა და რბილში.[2] იქვე მ. კოსვენი მიუთითებს, რომ შურისძიება დამახასიათებელია არა მხოლოდ კაცობრიობის ისტორიის პირველყოფილი ეპოქისათვის. იგი მყარადაა შენარჩუნებული კულტურული განვითარების უფრო მაღალ დონეზე. იგი არა მარტო ცოცხლობს სახელმწიფოს წარმოშობამდე, არამედ მისი წარმოშობის შემდეგაც დიდხანს რჩება.[3]

გვარი მისი წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივისა და ღირსების, გვარის საკუთრების ხელყოფისას შურისძიებას მიმარ-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.VII, თბ., 1984, 221.

[2] М. Косвен, Преступление и наказание в догосударственном обществе, М., 1925, 18.

[3] იქვე, 19.

თავდა. გვაროვნული სოლიდარობის პრინციპი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ვლინდებოდა, უპირველეს ყოვლისა კი, გვარის ინტერესის დანაშაულებრივი ხელყოფისას. ქართულ ჩვეულებით სამართალში შურისძიების სხვადასხვა ფორმას ვხვდებით. ესენია: შურისძიება მკვლელობისათვის — იმავე სისხლის აღება, შურისძიება დაჭრა-დასახიჩრებისთვის, რაც სამაგიერო დაჭრა-დასახიჩრებით გამოიხატება, ასევე ქონებრივი შურისძიება.

საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე შურისძიების პარალელურად ჩნდება კომპოზიციათა სისტემა, ანუ როგორც მას ქართული სამართლის ძეგლები იხსენიებენ, „სისხლის დაურვების" სისტემა. კომპოზიციათა სისტემის გაჩენა, ცხადია, მყისიერად არ იწვევს შურისძიების ინსტიტუტის გაქრობას. სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგაც კი შურისძიების ინსტიტუტი აგრძელებს მოქმედებას. შურისძიებისა და კომპოზიციათა სისტემის პარალელურად არსებობის პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივია. საქართველოს მთიანეთის სინამდვილეში, ჩვეულებითი სამართლის მასალების შესაბამისად (უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ბალსზემო სვანეთსა და ხევსურეთში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის განმავლობაში დაფიქსირებული მასალები), სწორედ ამ პერიოდთან გვაქვს საქმე. ცნობილი მეცნიერის, ჰოლდაკის აზრით, კავკასიელ მთიელებში (მათ შორის ქართველ მთიელებშიც) სისხლის დაურვება წარმოებს არა დამოუკიდებელი ფორმით, არამედ შერბილებულ სისხლის აღებასთან ალრეული ფორმით.[1] კომპოზიციათა სისტემის მიერ შურისძიების ინსტიტუტის სრული განდევნა თანდათანობით ხდება. ქართული სამართლის ძეგლებში გვხვდება შურისძიების ინსტიტუტის როგორც შეზღუდვა სახელმწიფო ხელისუფლების მიერ (მაგ., გიორგი ბრწყინვალის სამართლით), ასევე მისი სრული აკრძალვა, რაც კარგად ჩანს ვახტანგის სამართლის წიგნში.[2]

საქართველოს მთიანეთში, განსაკუთრებით კი ხევსურეთსა და სვანეთში, შურისძიების ინსტიტუტის არსებობას XX საუკუნეშიც ვხვდებით, თუმცა მისი მოქმედების ინტენსივობა, ცხადია, შემცირების ტენდენციას იჩენს.

---

[1] ჰოლდაკის მოსაზრება მოყვანილია ალ. ვაჩეიშვილის წიგნიდან „ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან", ტ. 2, თბ., 1948, 121.

[2] იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., ტ. 1, 1963, 414, 524.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ შურისძიებით მკვლელობის შესახებ ქართულ ჩვეულებით სამართალში, მხედველობაში გვაქვს სისხლის აღების ინსტიტუტი. ზოგადად, შურისძიებით მკვლელობა შესაძლოა ყველაზე უფრო ცივილიზებულ და მაღალგანვითარებულ საზოგადოებაში მოხდეს და ხდება კიდეც. ეს პიროვნების მხრიდან წმინდა ემოციური აქტია. კონკრეტულ სიტუაციაში იგი შესაძლოა, თვითონ გაუსწორდეს თავისი ახლობლის მკვლელს, თავისი ქონების ხელმყოფს, შეურაცხმყოფელს და სხვა. თუმცა შესაძლოა, თავი აარიდოს შურისძიებას, თუნდაც ვერ გაბედოს იგი დიდი სურვილის მიუხედავად, ე. ი. თვით პიროვნების ფსიქიკურ განწყობაზეა დამოკიდებული მის მიერ შურისძიების აქტის განხორციელება. რაც შეეხება სისხლის აღებას, რომელიც უძველესი დროიდან იღებს სათავეს, ყველა ხალხის ისტორიისა და სამართლებრივი კულტურის განუყოფელი ნაწილია და კავკასიის მთიანეთში საკმაოდ დიდხანს შემორჩა, იგი თავისი არსით მკვეთრად გამოხატული ვალდებულებაა და წმინდა სამართლებრივი ინსტიტუტია. გვარმა, რომელსაც წარმომადგენელი მოუკლეს, აუცილებლად სისხლი უნდა აიღოს, ან ისეთი რამ მოიმოქმედოს, რომელსაც ხალხის თვალში იმავე მნიშვნელობა ექნება, რაც ნატურალურ სისხლის აღებას აქვს.

1. სისხლის აღების ინსტიტუტის რელიგიურ-სამართლებრივი ასპექტები ქართულ ჩვეულებით სამართალში

როგორც აღვნიშნეთ, სისხლის აღების ინსტიტუტი ყველა ხალხისათვის იყო ცნობილი. ისევე როგორც სხვა ჩვეულებით სამართლებრივ ინსტიტუტებს, მასაც სარწმუნოებრივი საფუძველი ჰქონდა. სწორედ სარწმუნოებრივი საფუძვლის შეძენამ, ჩვენი აზრით, საზოგადოების აღქმაში სისხლის აღება მკვეთრად გამოხატულ ვალდებულებად ჩამოაყალიბა. სისხლის აღების ინსტიტუტი მიცვალებულის კულტთანაა დაკავშირებული. მიცვალებულის კულტს კი ცენტრალური ადგილი ეკავა მრავალი ხალხის რელიგიურ წარმოდგენებში. მათ შორის კავკასიელ მთიელთა წარმართულ სარწმუნოებაში. საერთოდ, რელიგიური წარმოდგენები (განსაკუთრებით მიცვალებულთა სამყაროზე) უდიდეს გავლენას ახდენდა ადამიანთა ყოფაზე, მათი ქცევის წესებზე, ადამიანთა მართლშეგნებასა და ჩვეულებითი სამართლის ნორმების ჩამოყალიბებაზე. ეს განსაკუთრებით კარგად

ჩანს კავკასიელ მთიელთა ჩვეულებით სამართალთან დაკავშირებით. მათი რწმენა-წარმოდგნით, საიქიო ცხოვრება მჭიდროდაა დაკავშირებული სააქაოსთან და უდიდეს ზეგავლენას ახდენს მასზე. ხალხის რწმენით, მიცვალებულის სული გარკვეულწილად აგრძელებს ხორციელ ცხოვრებას, საიქიოში მას ესაჭიროება საგზალი, წყალი, ცეცხლი, თამბაქო, ტანსაცმელი და სხვა. ხალხის კეთილდღეობა, ბედნიერება თუ უბედურება, მიცვალებულთა სულების განწყობაზეა დამოკიდებული. ყოველი ოჯახი ცდილობს დააკმაყოფილოს თავისი მიცვალებულის სული, მშვიდად ამყოფოს. იგი. ამისათვის აუცილებელია სხვადასხვა წესის შესრულება მიცვალებულთა მიმართ, რაც არსებით მატერიალურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. საკუთარი მიცვალებულის სულის მომსახურებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კავკასიელი, მათ შორის ქართველი, მთიელების ყოფაში. თუ ამ წესებს არ დაიცავენ, ან არასრულყოფილად შეასრულებენ, ეს ხალხის შეხედულებით, სულს გაანაწყენებს და იგი სხვადასხვა სახის პრობლემას შეუქმნის სააქაოდ დარჩენილ მის ნათესაობას.

სანიმუშოდ მოვიყვანთ ხევსურთა შეხედულებებს საიქიო ცხოვრებაზე. მ. ბალიაურისა და ნ. მაკალათიას მონაცემებით, ხევსურეთში მიცვალებულს დაბანდნენ, ახალ ტანსაცმელს აცმევდნენ, თუ ვაჟი იყო, გულზე აბჯარსაც დაუწყობდნენ. მიცვალებულთან დააყენებდნენ ცხენს, რომელსაც დასაფლავებამდე უკურთხებდნენ, შეკაზმავდნენ, ძუა-ფაფარს დაუწნავდნენ, ხურჯინს გადაჰკიდებდნენ, ხურჯინში პურებს ჩაუწყობდნენ. მიცვალებულის ცოლი ან დედა ცხენს მათრახს დაარტყამდა სამჯერ და იტყოდა: „შენიმც სახმარი ას, შენამც გემსახურების, სწორებმსაც ნუ ჩამორჩებიო“. ყოველივე ამას მიცვალებულს იმქვეყნიური ცხოვრებისათვის უმზადებდნენ. დასაფლავების შემდეგ მას „წყალთ დაულოცავდნენ“ — ჭირისუფალი ამოირჩევდა სადმე წყაროს, უფრო გზის პირას, სადაც მეტი მგზავრი დადიოდა. იქ, წყაროზე ქვის კოშკს ააშენებდა და კოშკის თავზე თეთრ ბროლებს დააწყობდა. როცა წყარო მზად იქნებოდა, არაყს გამოხდიდნენ, გამოაცხობდნენ ქადებს, კვერებს, სუფრაზე ერბოსა და ყველს დაალაგებდნენ და იქ წაიღებდნენ, სადაც წყარო იყო. ხუცესი წყალს დალოცავდა, აქვე ხალხი მოვიდოდა, არაყს დალევდა და ქადა-პურებს შეჭამდა, გამვლელ-გამომვლელი ხალხი წყაროსთან ისვენებდა, წყალს დალევდა და მიცვალებულს შენდობას ეტყოდა. ხალხის წარმოდგენით, ამის გარეშე მიცვალებული საიქიოს უწ-

ყლოდ დარჩებოდა. ჭირისუფალთა მიერ გასაღები საკმაოდ დიდი ხარჯები, მრავალრიცხოვანი სუფრის გაშლა მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად აუცილებელი იყო იმისათვის, რომ მიცვალებულს საიქიოს არაფერი მოჰკლებოდა. საიქიოში, რომელსაც ხევსურები „სულეთს“ უწოდებენ, სულ მხიარულებაა, სილაღეა (თუ, რა თქმა უნდა, სული სამოთხეში მოხვდა და არა ჯოჯოხეთში, ან კუპრის ალში). დილა-საღამოობით მინდორში გადიან და ლხინს მართავენ, არის სიმღერები, უკრავენ ფანდურს და სხვა. „სულეთში“ ძალზედ უყვართ მხიარულება, მით უმეტეს, მაშინ, თუ „სამზეოს“ ხალხი მხიარულობს. მათ არ უყვართ არც ტირილი, არც გლოვა სამზეოს მყოფი პატრონებისა. სამოთხეში მყოფი სულები დილა-საღამოს ერთად იკრიბებიან, ერთად თამაშობენ, ცეკვავენ, მღერიან, ცხენებს აჯიბრებენ, რის შემდეგაც გაშლილ სუფრასთან სხდებიან.[1]

ამ ხევსურულ მასალებში ნათლად ჩანს, რომ, ხალხის წარმოდგენით, მიცვალებული საიქიოში ისევე ცხოვრობს, როგორც სააქაოში, ისეთივე ვნებებით, მისწრაფებებით. მიცვალებულთა კეთილდღეობა საიქიოში კი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ აკმაყოფილებენ მათ სააქაოს დარჩენილი ნათესავები. მიცვალებულთა სულების მიმართ ცოცხლად დარჩენილ ნათესავთა მიერ ვალდებულებების მთელი რიგის შესრულება განაპირობებდა სწორედ მიცვალებულთა გონება-განწყობას საიქიოში და მათ დამოკიდებულებას თავიანთი ნათესავებისადმი. ხევსურულ მასალებში ჩანს, თუ რა ზეგავლენას ახდენდა მიცვალებულთა სამყარო ამქვეყნიურ ცხოვრებაზე. ხევსურთა რწმენით, საიქიოში ყველაფერს ადრე იგებენ, თუ სამზეოში ვის რა მოელის. პირველად „სულეთში“ გაარჩევენ სამზეოს ბედ-იღბალს — სამზეოში საიქიოს განაჩენის თანახმად მოხდება ყველაფერი. იქ იციან, ვინ როდის მოკვდება, ან ვის რა ბედი აქვს ცოლქმრობაში, ვაჟი ვის შეეძინება, ან ქალი, აგრეთვე სამზეოში თუ მტრები არიან შესარიგებელი, ძალიან ბევრსაც რომ ეცადონ „რჯულის კაცები“, ვერ შეარიგებენ, სანამ საიქიოში არ გადაწყვეტენ შერიგებას. აგრეთვე, თუ ვინმემ სამზეოში კაცი მოკლა, ამასაც საიქიოში გადაწყვეტენ. მოსისხლე მტრები ჯერ საიქიოში უნდა შეარიგონ. სანამ სულეთს არ დასხდებიან „რჯულის კაცები“ და არ გაარჩევენ მათ საქმეს, მანამდე სამზეოში მოსისხლეები ვერ შერიგდებიან. მათი შერიგება

[1] მ. ბალიაური, ნ. მაკალათია, მიცვალებულის კულტი არხოტის თემში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, III, თბ., 1940, 10-12, 20-24, 59-60.

არ მოხდება, სანამ სულეთიდან ხელს არ მოუმართავენო. როდესაც სამზეოში მოხდება მკვლელობა, როგორც აქ გადაემტერებიან ერთმანეთს გვარები, ისევე სულეთშიც — იქაც „აირევიან“. რაც სამზეოში ხდება, — გაჭირვება თუ დალხინება, ქორწილი თუ სხვა, — მასში მიცვალებულებიც მონაწილეობენ.[1] მიცვალებულის სული ცოცხლად დარჩენილებს საიქიოდან აფრთხილებდა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, ამცნობდა ავადმყოფობის მიზეზს, მოითხოვდა მათგან ლუდსა და ტაბლას. თუ მიცვალებული რაიმე ჭრილობისაგან იყო მკვდარი, საიქიოდან ითხოვდა „სახვიელს“ (შესახვევს) და წყლულის საპოხს. ამ შემთხვევაში ჩვრებს, კარაქს, შენდობას ეტყოდნენ.[2]

როგორც ვხედავთ, მიცვალებულთა სამყაროს გავლენა ამქვეყნიურ სამყაროზე, ხალხის რწმენით, მართლაც დიდია, იმდენად დიდი, რომ მიცვალებულთა სულები წინასწარ ატყობინებენ ნათესავებს მოსალოდნელი უბედურების შესახებ, ცოცხლად დარჩენილთა ბედიღბლის განმსაზღვრელნიც კი არიან. სააქაოს არსებული მტრობა საიქიოშიც აისახება. მკვლელობის გამო გვარები საიქიოშიც გადაემტერებიან, იმავე გვარების მიცვალებულთა სულები საიქიოშიც მტრობენ ერთმანეთს.

ასეთი რწმენა-შეხედულებები დამახასიათებელია არა მარტო ხევსურებისათვის, არამედ კავკასიის სხვა მთიელებისათვისაც. მ. კოვალევსკი აღნიშნავს, რომ კავკასიელ მთიელთა რწმენით, მიცვალებულთა სული საიქიოში აგრძელებს მიწიერ ცხოვრებას და საკმაოდ მომთხოვნია სააქაოს დარჩენილ მოგვარეთა მიმართ. იგი საჭიროებს საჭმელ-სასმელს, ტანსაცმელს და სხვა. ცოცხლები ვალდებულნი არიან, მიცვალებულს მიართვან და გაუკეთონ ყველაფერი, რასაც ისინი ითხოვენ, რათა სულები მათი მტრები არ გახდნენ.[3]

[1] გ. ბალიაური, ნ. მაკალათია, დასახ. ნაშრ., 61.

[2] იქვე, 40. მიცვალებულის სული თავის ნათესავებს ესაუბრებოდა ე. წ. „მესულთნეს“ მეშვეობით, რომელიც, ხალხის რწმენით, მიცვალებულის ენით ელაპარაკებოდა მის ჭირისუფლებს.

[3] М. Ковалевскиий, Закон и обычай на Кавказе, Т. 1, М.. 1888, 33. მსგავსი რწმენა-შეხედულებების შესახებ თუშეთში გვიამბობს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ი. ცისკარიშვილი. იგი თუშეთის შესახებ ჩანაწერებში მიუთითებს: „თუშები თვლიან, რომ ადამიანები საიქიოში ცხოვრობენ ჩვეულებრივი მატერიალური ცხოვრებით, ღარიბულად ან მდიდრულად. მიცვალებულს რაც მეტი შენაწირები ექნება ცოცხალთაგან, მით უკეთ იქნება იქ. რაც მეტ პირუტყვს დაკლავენ მის ქელეხზე, მით მეტი ექნება ეს პირუტყვი იქ. (И.

მ. კოვალევსკის განმარტებით, ამ ვალდებულებათა შესრულების შემთხვევაში სული თავისი ნათესაობის მფარველი ხდება, ზრუნავს მათზე. ოსები, ჩერქეზები, სვანები, ფშავლები, თუშები და სხვანი დარწმუნებულნი არიან, რომ წინაპართა სულები იცავენ მათ ყოველგვარი უბედურებისა და საშიშროებისაგან, მაგრამ როგორც კი შთამომავლები ზუსტად აღარ შეასრულებენ იმ ვალდებულებებს, რომლებიც მათ მიცვალებულების სულების მიმართ აქვთ, წინაპართა სულები ბოროტდებიან, შურისმაძიებელნი ხდებიან და უვლენენ თავიანთ შთამომავლებს ავადმყოფობას, მრავალგვარ უბედურებას, უიღბლობას საქმეებში და სხვა.[1] განსაკუთრებით ბოროტდებიან სულები, თუ ცოცხლად დარჩენილი ნათესავები მათ გამო შურს არ იძიებენ. ისინი მათი მკვლელების მოკვლას ითხოვენ თვიანთი ნათესავებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში კი საშინელი უბედურების მოვლენით ემუქრებიან მათ. აქედან გამომდინარე, სისხლის აღება ვალდებულებაა, რომლის საფუძველი მიცვალებულთა სამყაროს შესახებ შეხედულებებიდან მომდინარეობს და მიცვალებულის კულტს ეფუძნება. საკმაოდ სრულყოფილად წარმოაჩენს სისხლის აღების სარწმუნოებრივ საფუძვლებს გამოჩენილი ქართველი რუსთველოლოგი ვიქტორ ნოზაძე. იგი აღნიშნავს: „ხალხური ჩვეულებრივი შეხედულებით, რომელიც მთელ მსოფლიოში იყო გავრცელებული და საქართველოშიც, სადაც ამისი გადმონაშთი უკანასკნელ ხანამდე იყო შერჩენილი კავკასიელ ხალხთა შორის, მოკლულის სული მოსვენებას მოკლებულია, დახეტიალობს, დაძრწის და თავისი ნათესავებისაგან თუ სოფლელებისაგან სამაგიერო სისხლის აღებას მოითხოვს. თუ მოკლულის ნათესავებმა, გვარმა ან თემმა შური არ იძია, მაშინ მოკლულის სული თვითონ გადაიქცევა შურისძიების სულად და მისი რისხვა მთელ თემს დაატყდება და თაობათა

---

1 Цискаров, Заметки о Тушетии, «Кавказ», 1849, №11). საიქიო ცხოვრების შესახებ ანალოგიური შეხედულებები სვანეთშიც ფიქსირდება. ა. დავითიანის მასალების მიხედვით, ხალხის რწმენით, მკვლელს სასჯელი სწორედ საიქიოში ელოდა. მისი მოკლული მას იმ იარაღით შეებრძოლებოდა, რა იარაღითაც თვითონ ჰყავდა მოკლული, ასე მაგალითად, დანით მოკლულთან მკვლელს ხშირად გალესილ დანას ატანდნენ (ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რეული №6, 42, 91).

1 М. Ковалевский, Современный обычай и древний закон, М., Т. 2, 1886, 90.

მანძილზე საშინლად იმოქმედებსო. ამიტომ სულის სურვილის აღსრულება წმინდა ქმედება იყო. მკვლელი უნდა მოკვდეს, ან მისი ნათესავი უნდა მოიკლას, ან მისი მოგვარე, ან მისი თემის რომელიმე წევრი, მხოლოდ ამ შემთხვევაში მოისვენებს მოკლულის სული."[1]

მაგალითად, თუშების წარმოდგენით, „მოკლულის სული სამუდამო მონაა მისი მკვლელისა. სისხლის აღებით, მოკლულის ნათესავები არა მხოლოდ ათავისუფლებენ მონობაში ტანჯული მისი ნათესავის სულს, არამედ იგი იმორჩილებს მოკლულის სულს."[2]

ამრიგად, მკვლელის მოკვლა, სისხლის აღება, მოკლულის სულის მოთხოვნილების დაკმაყოფილება და ვალდებულებაა სწორედ მოკლულის წინაშე, რომელიც თავისი ნათესავებისაგან მკვლელის ან მისი ნათესავის სისხლს მოითხოვს. თუ იგი არ დაკმაყოფილდება, მაშინ სიკვდილიანობას, ავადმყოფობას და სხვა უბედურებას მოუვლენს მის ნათესაობას. სისხლის აუღებლობის შემთხვევაში ასეთი საშინელი საფრთხის (ერთგვარი რელიგიური სანქციის), როგორც სრულიად რეალურის წარმოსახვის გამო, სისხლის აღება მთიელთა წარმოდგენაში ვალდებულებად აღიქმება.

ასე რომ, კავკასიელ მთიელთა შეხედულებით, საზოგადოების წევრებს (კონკრეტული სულის მოგვარეებს, შთამომავლებს) მიცვალებულთა სულებთან ვალდებულებათა ურთიერთობების მთელი ჯაჭვი აკავშირებს. მიცვალებულთა სულები მათი სააქაოს დარჩენილი ნათესავებისაგან მოითხოვენ გარკვეული მოთხოვნილებების, ვალდებულებების შესრულებას, მათ შორის მათი მკვლელის მოკვლას, ხოლო საზოგადოების წევრები ვალდებული არიან, ეს წარმოსახვითი მოთხოვნები შეასრულონ. აღნიშნული ურთიერთობის საფუძველი რელიგიურ-სარწმუნოებრივია. ამ ვალდებულებების, მათ შორის სისხლის აღების, არსებობა ეფუძნება ხალხის წარმოდგენას იმის თაობაზე, რომ მიცვალებულის სულს აქვს უნარი გავლენა მოახდინოს თავისი ნათესავების ბედ-იღბალზე, შეცვალოს მათი ბედისწერა. სწორედ მიცვალებულთა სულების ეს შესაძლებლობა, ეს ძალა არის აღნიშნული ვალდებულების შესრულების უზრუნველმყოფი. ე. ი. ხალხის რწმენით, მიცვალებულთა სულების

[1] ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის" საზოგადოებათმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1958, 220-221.

[2] И. Цискаров, Заметки о Гушетии, «Кавказ», 1849, №11.

მიმართ არსებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ამ სულებისაგან იწვევს ზემოქმედებას (ხალხის ცნობიერებაში არსებული ეს შესაძლებელი ზემოქმედება ალბათ უფრო ძლიერია, ვიდრე სახელმწიფოს იძულებითი ზემოქმედების შიში სამართლის ნორმის შესაძლო დარღვევისათვის). აღნიშნული ვალდებულებების განუხრელად შესრულების შემთხვევაში კი მიცვალებულთა სულები, პირიქით, კეთილგანწყობილნი არიან ცოცხლად დარჩენილი ნათესავების მიმართ, მფარველობენ და იცავენ მათ.

სისხლის აღება რომ რელიგიური ხასიათის ვალდებულებაა, თუნდაც იმაშიც ჩანს, რომ ვინც სისხლი აიღო, მიდის მოკლულის საფლავზე, რათა ახაროს მას: „ახლა შეგიძლია დამშვიდდე, მე შური ვიძიე შენი მკვლელობისათვის.“[1] ასე ხშირად სვანეთშიც ხდებოდა, როცა ისისხლებდნენ, მივიდოდნენ მოკლულის საფლავზე, ჯოხს ჩაარჭობდნენ და ჩასძახებდნენ: „გისისხლეო.“[2] იმავეს ადასტურებს ა. დავითიანიც. მისი განმარტებით: „სისხლაღებული დაკმაყოფილებულად მიაჩნდათ საიქიოში, თუ ანგარიში გასწორებულად ითვლებოდა სააქაოში. ზოგ შემთხვევაში მას კიდეც დაუძახებდნენ საფლავში, რომ მისი სისხლი აღებული იყო.[3]

ა. დავითიანის მასალების მიხედვით ჩანს, რომ სწორედ მიცვალებულთა სამყაროს შესახებ წარმოდგენებით იყო განმტკიცებული ობიექტური შერაცხვის პრინციპის არსებობა, რისი გამოვლინებაც ქართულ ჩვეულებით სამართალში XX საუკუნის მასალებითაც ფიქსირდება. ა. დავითიანის მიხედვით, „კაცის მოკვლა მაინც დიდ ცოდვად ჩაეთვლებოდა მკვლელს საიქიოში, რა მდგომარეობაშიც უნდა მოეკლა სინამდვილეში. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა და რამე საშელავათო პატიების იმედი არ ჰქონდა მკვლელს: მოეკლა პირდაპირ მიზნობრივად თუ შეცდომით, უნებურად, გამშველებელი მოკლა თუ ის ვისკენაც შეიარაღებული გაიწეოდა. შემომტევი მოეკლა....., დადარაჯებული, თუ პირდაპირი შეტევით, მოკლა ერთი ჭრილობის მიყენებით, თუ რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობებით, ან კიდევ რითაც უნდა მოეკლა ღალატით კლდეზე გადაგდებით, ხიდიდან გადაგდებით, შეჩენით თუ პირდაპირ აშკარა

[1] М. Ковалевскиий, Современный обычай и древний закон, М., Т. 2, 1886, 9.

[2] ეგ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფ., 1925, 134.

[3] ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რვეული №6, 45.

მტრობით. მკვლელს არც ერთ ასეთ და სხვა შემთხვევაში არ ჰქონდა იმედი რამე შეღავათი მისცემოდა საიქიოში და მისი სული სამუდამოდ არ წაწყმედილიყო, ან თვითონ სულების ღვთაებისაგან ოდნავი რამე პატიება მიეღო."[1] აქ კარგად ჩანს, რომ საიქიოში მკვლელის პასუხისმგებლობისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ როგორ მოხდა მკვლელობა: განზრახვით, განზრახვის გარეშე, აუცილებელი მოგერიებით, თუ სხვა. ასეთი რწმენა-შეხედულებები, ცხადია, გავლენას ახდენდა საზოგადოების დამოკიდებულებაზე სააქაოში მომხდარ შემთხვევებზეც.

მკვლელობა მთელი გვარის უდიდესი შეურაცხყოფაა, — როგორც ცოცხლად დარჩენილების, ასევე მიცვალებულთა სულებისა. ამიტომ მკვლელისა და მოკლულის გვარები სააქაოშიც მტრობენ ერთმანეთს და საიქიოშიც. ასეთ შეურაცხყოფაზე პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ სისხლის აღება. სისხლის აუღებლობა კი უდიდეს სირცხვილად ითვლება. კავკასიელ მთიელებში მოკლულის გვარი მანამ, სანამ შურს არ იძიებს, უაღრესად დამცირებულია. მაგალითად, სვანეთში მოკლულის მოგვარეები სანამ სისხლს არ აიღებენ, მანამ ისინი ვინმესთან ხმამაღლა დალაპარაკებასაც კი ძალიან ერიდებიან, რადგან თუ ვინმესთან წალაპარაკება მოუხდა, მაშინვე ეტყვიან: „შე სისხლის აუღებლის შვილოო". სისხლის აღების შემდეგ მოკლულის მთელი გვარეულობა თავს იყრის და დიდ ზეიმს იხდის, სისხლის ამღები დიდ პატივისცემას იხვეჭს ხალხში და ამის შემდეგ ყველას ამაყად შეუძლია ხალხში გამოსვლა, ხმამაღლა ლაპარაკი და სხვა.[2] სისხლის ამღები გვარის შეურაცხმყოფელსაც პასუხობს და მოკლულის სულის მიმართაც პირნათელია. მკვლელობის აღქმა გვარის უდიდეს შეურაცხყოფად და სისხლის აუღებლობისა — დიდ სირცხვილად, თემურ საზოგადოებაში სისხლის აღებას ვალდებულების სახეს ანიჭებს.

კავკასიელ, მათ შორის ქართველ მთიელებში (ძირითადად ეს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს ეხება) სისხლის აღების ინსტიტუტი მიცვალებულისადმი შეწირვასთან არის დაკავშირებული. „შეწირვა" აუცილებელი იყო მოკლულის შურისძიებით აღტყინებული სულის სავსებით დასაკმაყოფილებლად, დასაშოშმინებლად. კავკასიელ მთიელთა რწმენით, სისხლის ამღები თუ ნათესავის

[1] ა. დავითიანი, დასახ. ნაშრ, 92.

[2] იქვე, 134-135.

მკვლელს თავის მიცვალებულ ნათესავს „შესწირავდა“, ამით მის მიერ მოკლულს, ე. ი. ნათესავის მკვლელს, საიქიოში ამ ნათესავის მონა-მოსამსახურედ აქცევდა, რომელსაც სხვადასხვაგვარი სამსახური უნდა გაეწია მისთვის. ამით საბოლოოდ დააკმაყოფილებდა მიცვალებულის სულს. ეს გაბლდათ „მიცვალებულისადმი შეწირვის“ არსი კავკასიელ მთიელებში. მისი საფუძველი კი ასევე საიქიო ცხოვრების შესახებ წარმოდგენებში უნდა ვეძიოთ. ამ წარმოდგენით, სრულიად შესაძლებელია, რომ ერთი მიცვალებული საიქიოში მეორეს მოემსახუროს, უზიდოს წყალი, დაუკეროს ფეხსაცმელი და გაუკეთოს მრავალი სხვა რამ. მკვლელის მიცვალებულისადმი (მის მიერ მოკლულისადმი) „შეწირვისათვის“ კი საჭირო იყო განსაზღვრული რიტუალური მოქმედებების ჩატარება სათანადო ფრაზების წარმოთქმით. მაგალითად, ქისტებში მკვლელი მის მიერ მოკლულისადმი „შესაწირად“ ამ უკანასკნელის საფლავზე უნდა დაეკლათ, რის შემდეგაც იგი საიქიოში მის მონა-მორჩილად გადაიქცეოდა. თუმცა ის, ვისაც საფლავზე კლავენ, თუ არ შედრკებოდა, მკვდრისადმი „შეწირულად“ არ ითვლებოდა და იგი რომც მომკვდარიყო, ასეთ შემთხვევაში მიცვალებულს სრულად ვერ დააკმაყოფილებდა[1] (ამ რიტუალს შესანიშნავად აღწერს ვაჟა-ფშაველა თავის სტუმარ-მასპინძელში).

აღსანიშნავია, რომ მოკლულის ნათესაობა შეიძლება დაეკმაყოფილებინა ისეთ მოქმედებას, რომელიც მკვლელის მოკვლასთან არ იყო დაკავშირებული, მაგრამ ხალხის წარმოდგენით, იმავე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც სრულფასოვან სისხლის აღებას. იმავე ქისტებში (კერძოდ კი, პანკისის ხეობაში მცხოვრებ ქისტებში) ფიქსირდება მოკლულის საფლავზე მკვლელის „შეწირვა“. იგი მოკლულის ოჯახის მიერ მკვლელის პატიების რიტუალის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია. ამ შემთხვევაში მკვლელის საფლავზე დაკვლა აღარ ხდება, თუმცა „შეწირვა“ მაინც ხორციელდება. როდესაც არსებობს პატიების საფუძველი (ძირითადად გაუფრთხილებელი, უნებლიე მკვლელობის დროს), მთელი სოფელი მიდის მოკლულის ოჯახთან პატიების სათხოვნელად, ხოლო მკვლელს მიცვალებულივით თეთრ სუდარაში გახვეულს წაიყვანენ და დააწვენენ საფლავზე, სადაც

[1] გ. დავითაშვილი, „მიცვალებულისადმი შეწირვა“, როგორც სასამართლი მტკიცებულების ელემენტი ქართულ ჩვეულებით სამართალში, ჟურნ. „სამართალი“, 1999, №5, 106-107.

იგი ყველას გასაგონად თანხმდება შეეწიროს მოკლულს და გახდეს საიქიოში მისი მოსამსახურე. თუ მოკლულის ოჯახი დასთანხმდა ჰატიებას, მაშინ მისი ახლო ნათესავი მივა მკვლელთან და საფლავიდან წამოაყენებს მას.[1] როგორც ჩანს, მკვლელის საფლავზე დაკვლა დროთა განმავლობაში ტრანსფორმირდება, თანდათანობით სიმბოლურ ხასიათს იღებს და მკვლელის სიცოცხლის ხელყოფასთან აღარაა დაკავშირებული, თანაც იგი მკვლელის ახლობლების ინიციატივით მოკლულის ოჯახთან შერიგების მიზნით სრულდება. ამ შემთხვევაში მკვლელის სიმბოლური „შეწირვა" სრულიად აკმაყოფილებს მოკლულის ოჯახს და ამიტომ თანხმდება იგი ამ რიტუალის შესრულების შემდეგ მკვლელთან შერიგებას. სისხლის აღების მიზანი ხომ მიცვალებულისადმი მისი მკვლელის შეწირვაა, მიცვალებულის სულს მხოლოდ ეს ფაქტორი აკმაყოფილებს. მოცემულ შემთხვევაში მკვლელი, მიცვალებულის მსგავსად თეთრ სუდარაში გახვეული, საფლავზე დაწოლილი, ყველას გასაგონად აცხადებს, რომ საიქიოში მოკლულის მოსამსახურე გახდება. ასეთი თანხმობა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა და თუ მკვლელი ნებაყოფლობით აკეთებს ამას სათანადო რიტუალის შესრულებით, ეს მოცემულ შემთხვევაში საკმარისადაა მიჩნეული მოკლულის ოჯახის მიერ, რადგან სისხლის აღების ძირითადი მიზანი შესრულებულია და იგი აღარ უნდა უფრთხოდეს მოკლულის სულის გამძვინვარებას. ასეთი უსისხლო, სიმბოლური „შეწირვა" მაჩვენებელი უნდა იყოს სისხლის აღების ინსტიტუტის შესუსტებისა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს მხოლოდ განზრახვის გარეშე ჩადენილი მკვლელობის დროს არის შესაძლებელი. განზრახი მკვლელობისას შერიგების, ჰატიების ალბათობა უკიდურესად მცირეა და, აქედან გამომდინარე, სიმბოლური „შეწირვაც" არ ხდებოდა.

როგორც ჩანს, სიმბოლური შეწირვა, როგორც ნატურალური სისხლის აღების ალტერნატივა და შერიგების წინაპირობა ყალიბდება საზოგადოებრივი განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც საზოგადოების მიერ დანაშაულის აღქმაში სუბიექტური შერაცხვის ელემენტები მკვიდრდება, ხოლო არაგანზრახი მკვლელობისას საზოგადოება უკვე უშვებს შერიგებისა და მკვლელის ჰატიების შესაძლებლობას. ამისათვის კი აუცილებელია მკვლელის მიერ დანაშაულის მონანიება და მოკლულის სულისადმი ნებაყოფლობითი „შეწირვა", რაც სიმ-

[1] გ. დავითაშვილი, ვაჟა-ფშაველა და ქართული ჩვეულებითი სამართალი, კრ., „ქართლი ჩვეულებითი სამართალი", 2, თბ., 1990, 40.

ბოლურ ხასიათს ატარებს და მკვლელის მოკვლას აღარ ითვალისწინებს. საფიქრებელია, რომ ამის შესაძლებლობა დაკავშირებულია მიცვალებულთა სამყაროს შესახებ რწმენა-წარმოდგენების გარკვეულ კორექტირებასთან. კერძოდ, იმასთან, რომ ხალხის შეხედულებით, მოკლულის სულის დაკმაყოფილება უკვე შესაძლებელია მოხდეს მკვლელის არა მხოლოდ მოკვლით, არამედ მისი მხრიდან მონანიების და სათანადო რიტუალის (მაგალითად, მოკლულის სულისადმი ნებაყოფლობითი, სიმბოლური „შეწირვის“) ჩატარების მეშვეობით.

იმავე მნიშვნელობა აქვს ოსეთში ე. წ. თვითშეწირვის რიტუალს (კიფელდისირნ): სამგლოვიარო ტანსაცმელში გამოწყობილი მკვლელი მიდის მოკლულის საფლავზე და ნებაყოფლობით „ეწირება“ მას. ამის სანაცვლოდ კი მოკლულის ჭირისუფალნი პატიობენ მას.[1]

ქართველი მთიელები მოკლულის საფლავზე მკვლელის დაკვლას არ იცნობდნენ, თუმცა სისხლის აღებასთან დაკავშირებული „მიცვალებულისადმი შეწირვა“ მათთვისაც ცნობილი იყო. მაგალითად, ბესარიონ გაბუური გვამცნობს „მიცვალებულისადმი შეწირვის“ ჩვეულების თაობაზე ხევსურეთში. მისი თქმით, სისხლის აღებისას ხევსური მოკლულს ყურს მოსჭრიდა და ამით თავის მიცვალებულს შესწირავდა. ყურის მოჭრის შემდეგ მკვლელი (ამ შემთხვევაში მიცვალებულისადმი შემწირავი) წარმოთქვამს შეწირვის გამომხატველ სიტყვებს: „უნცროსიც ხარავ ჩემის ძმისაო, წყალსამც უზიდავა, ტაბლასაც უმზადებავ, ჯღანთამც უბანდავავ, უნცროსადაც ყვიხარავ“[2] როგორც ჩანს, მიცვალებულისადმი „შეწირვის“ არსი ხევსურეთში იმავეა, რაც ქისტებში. აქ ყურადღებას იპყრობს შესაწირავისათვის ყურის მოჭრა. ეს სიმბოლური გამოხატულება უნდა იყოს იმისა, რომ ის, ვისაც ყურს სჭრიან, „ყურმოჭრილი“ მონა-მოსამსახურე ხდება საიქიოში მის მიერ მოკლულისა, ე. ი. იმისა, ვისაც მას „სწირავენ“. ეტყობა, ძველად ხევსურეთში სისხლის აღება სრულფასოვანი რომ ყოფილიყო, სისხლის ამღებს მისი ნათესავის მკვლელი თავისი მიცვალებულისადმი უნდა „შეეწირა“, რასაც უნდა დაეკმაყოფილებინა ამ უკანასკნელის სული. შედარების თვალსაზრისით, ძალზე საინტერესოა დიგორებში დაფიქსირებული ჩვეულება,

[1] М. Ковалевскиий, Современный обычай и древний закон, М., Т. 2, 1886, 10.

[2] ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული“, I-II, 1923-1924, 178-179. მსგავს ცნობას რ. ხარაძეც გვაწვდის (რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები“, ტ. 1, თბ., 1947, 168.

რომლის მიხედვითაც, თუ მკვლელს მოკლულის ნათესავი მხოლოდ ყურს მოაჭრის, ესეც დამთავრებულ შურისძიებად ითვლება და ყურს ზეიმით მარხავენ მოკლულის საფლავში.[1] იმავეს ვხვდებით ყაბარდოელებსა და ჩერქეზებშიც.[2]

როგორც ჩანს, ამ ხალხის რწმენით, მკვლელისათვის ყურის მოჭრა მისი მოკვლის გარეშეც კი აკმაყოფილებდა მიცვალებულს, რადგანაც ასეთ შემთხვევაში მკვლელი მიცვალებულის „ყურმოჭრილი" მონა ხდებოდა საიქიოში — მიცვალებულის სურვილი კი სწორედ ეს იყო.

2. სისხლის აღების ინსტიტუტის განვითარებისა და კომპოზიციათა სისტემის წარმოშობის ზოგადი ასპექტები ქართულ ჩვეულებით სამართალში

სისხლის აღების სუბიექტთა და ობიექტთა წრე გვაროვნულ პრინციპზეა დაფუძნებული. უძველეს პერიოდში ამა თუ იმ ჯგუფის, გვარის წარმომადგენლისადმი ზიანის მიყენებისას, აღნიშნული ჯგუფის წევრებისათვის შურისძიების ობიექტი ხდება იმ ჯგუფის, გვარის თითოეული წევრი, რომლის წარმომადგენელიც დანაშაულის უშუალო ჩამდენია. ამასთან, დაზარალებულის ყველა ნათესავი ამ ზიანს პირად შეურაცხყოფად აღიქვამს და თავს ვალდებულად თვლის მონაწილეობა მიიღოს საპასუხო მოქმედებებში.[3] სისხლის აღების მიმართ არავითარი ხანდაზმულობის ვადა არ მოქმედებდა. მოსისხლეობა თაობიდან თაობას გადაეცემოდა. თავდაპირველად საქართველოშიც მთელი გვარის ვალდებულება იყო მოკლული მოგვარის გამო სისხლის აღება. სისხლის აღების ობიექტიც შეიძლება მკვლელი ან მისი საგვარეულოს ნებისმიერი წარმომადგენელი ყო-

[1] Н. Берзенов, Дигория, «Закавказский Вестник», 1852, №39.

[2] М. Ковалевский, Современный обычай и древний закон, М., Т. 2, 1886, 34.

[3] М. Косвен, Преступление и наказание в догосударственном обществе, М., 1925, 22-23. ამ გარემოებას მ. კოსვენი შემდეგნაირად ხსნის: ძველად სხვადასხვა ადამიანური ჯგუფები ათასწლეულების მანძილზე იზოლირებულნი არიან ერთმანეთისაგან და მეზობელი ჯგუფების ცალკეული წევრები სხვა ჯგუფებისათვის პერსონალურად უცნობნი იყვნენ, ამიტომ უცხო ადამიანი ჯგუფის ნაწილად აღიქმება. დღესაც მრავალ კავკასიელ ხალხში ყველა ნათესავი თავს შეურაცხყოფილად თვლის, თუნდაც ზიანი მატერიალურად და ფიზიკურად უშუალოდ გვარის მხოლოდ ერთ წევრს მიადგა (იქვე.)

ფილიყო (ცხადია, მხედველობაშია სრულწლოვანი მამაკაცები).[1]

შემდეგ, დროთა განმავლობაში, იკვეთება როგორც სისხლის აღების სუბიექტთა, ისე ობიექტთა წრის თანდათანობით შემცირება. ეს გვაროვნული ურთიერთობების შესუსტების კვლდაკვალ ხდება. დროთა განმავლობაში გვარი განსაზღვრულ სტრუქტურულ ერთეულებად იყოფა (მაგალითად, „სამხუბი" – სვანეთში, „მამიშვილობა" – ხევსურეთში). სწორედ ეს ნათესაური ერთეულები წარმოადგენენ სუბიექტებს სისხლ-მოსისხლეობის გამო წარმოშობილ ურთიერთობაში. ე. ი. უკვე არა მთელი გვარი, არამედ გვარის შემადგენელი ახლო ნათესაური ერთეულია ვალდებული, იძიოს შური. იმავე ითქმის სისხლის აღების ობიექტთა წრეზეც. ეს წრე შემდგომშიც შევიწროების ტენდენციას იჩენს და უშუალოდ მკვლელით, მისი ოჯახის წევრებით, ან ახლო ბიძაშვილებით შემოიფარგლება.[2]

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საპასუხო მკვლელობა უცილობლად არ იწვევს სისხლ-მოსისხლეობის შეწყვეტას. იგი ახალი შურისძიების საფუძველია. ერთი მკვლელობის საფუძველზე წარმოშობილ სისხლ-მოსისხლეობას, შესაძლოა, ორივე მხრიდან რამდენიმე მსხვერპლი გამოეწვია. ამ თვალსაზრისით არავითარი ზღვარი არ არსებობდა.[3] სისხლ-მოსისხლეობას თან სდევდა სახლ-კარის გადაწვა, მკვლელისა და მის ნათესავთა აყრა და სხვაგან გადასახლება და სხვა. ყოველივე ეს მოსისხლე გვარების ურთიერთგანადგურების საფრთხეს ქმნიდა. თვითგადარჩენის ინსტინქტი, იმის შეგნება, რომ შეუზღუ-

---

[1] გ. დავითაშვილი, სისხლის აღების ინსტიტუტის რელიგიურ-სამართლებრივი ასპექტები, „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები", საიუბილეო კრებული მიძღვნილი თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი, თბ., 2003, 64.

[2] იქვე.

[3] ამ მოვლენას უნივერსალური ხასიათი ჰქონდა, რასაც მ. კოსვენი შემდეგნაირად ხსნის: თავდასხმა პირველი შეურაცხყოფისათვის თავის მხრივ აღიქმება, როგორც შეურაცხყოფა და იწვევს შურისგებას, ანუ კონტრ-შურისძიებას და ა. შ., რომელმაც არ იცის არც ფარგლები და არც ვადები. ერთხელ გაღვივებული შურისძიება იზრდება და ფართოვდება, გარდაიქმნება ორ ჯგუფს შორის ბრძოლად, რომელშიც ორივე ჯგუფის ყველა წევრია ჩართული. ეს დაუნდობელი ომია, რომელსაც თან ახლავს ურთიერთძარცვა და ქონების განადგურება და გადაეცემა თაობიდან თაობას და არცთუ იშვიათად წყდება ერთ-ერთი ჯგუფის სრული განადგურების შედეგად (М. Косвен, Преступление и наказание в догосударственном обществе, М., 1925, 24).

დავი სისხლ-მოსისხლეობა აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანებს უქმნის უზარმაზარ პრობლემებს, უბიძგებს საზოგადოებას, დააწესოს კომპოზიციათა სისტემა — გამოსასყიდი სხვადასხვა დანაშაულისათვის, მათ შორის მკვლელობისათვის. ეს იყო კაცობრიობის უდიდესი მიღწევა. კომპოზიციათა სისტემის დაწესება მოსისხლეთა შერიგების გარანტიაა. ამით ხდება ზღვარის დადება სისხლ-მოსისხლეობისათვის, რადგანაც უკვე შესაძლებელია მტრების მორიგება, ხოლო დაზარალებული მხარე გარკვეულ კომპენსაციას იღებს დაკარგული ნათესავისათვის.[1]

[1] კომპოზიციის სისტემის დაწესება ასევე ეკონომიკურმა ფაქტორებმაც განაპირობა, კერძოდ, საზოგადოების მიერ მისთვის მიყენებული ზიანის მატერიალურ ზარალად აღქმამ. ეს საკითხი საკმაოდ სრულყოფილად გამოიკვლია მ. კოსვენმა. იგი მიუთითებს, რომ მას შემდეგ, რაც ადამიანი ხდება მეპატრონე, ჩნდება ცნება სამეურნეო სიკეთისა. ამასთან, ნებისმიერი დანაკარგი, მიუხედავად მისი მიზეზისა, ადამიანის წარმოდგენაში ფორმირდება, როგორც სამეურნეო ზარალი (ცოცხალი შრომითი ერთეულის, შთამომავლობის მწარმოებლის, მატერიალური სიკეთის დაკარგვა). თანაც, ამავე დროს, ნარჩუნდება „შეურაცხყოფის" განცდაც (M. Косвен, Преступление и наказание в догосударственном обществе, М., 1925, 32-33). შურისძიების ინსტინქტი დიდხანს რჩება ადამიანის ცნობიერებაში, მაგრამ მისი შეუზღუდაობა უკვე ეწინააღმდეგება საზოგადოების (გვარის) მისწრაფებას სამეურნეო მშვიდობისაკენ. ჯგუფებს, გვარებს შორის დაუსრულებელი მტრობა ხომ მათი სამეურნეო ცხოვრების პარალიზებას იწვევს. ეს ეკონომიკური მომენტები კი ქმნის ნიადაგს იმისა, რომ დაზარალებულმა უარი თქვას შურისძიებაზე სამეურნეო მშვიდობის შენარჩუნების მიზნით (იქვე, 34). მ. კოსვენის მიხედვით, თავდაპირველად, ხდება შურისძიების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა. მისი განმარტებით, ერთი ჯგუფის მიერ მეორისადმი ზიანის მიყენება იწვევს მათ შორის წონასწორობის დარღვევას. კონფლიქტის ლიკვიდაცია შესაძლებელია ამ წონასწორობის აღდგენით. ეს გამოიხატება იმაში, რომ ზიანის მიმყენებელს იმავე ზომის ზიანი უნდა მიადგეს, რაც მან მიაყენა. შეიძლება ითქვას, რომ დაზარალებული მხარე, რომელიც მატერიალურ დანაკარგს იაზრებს, დაკარგულის სანაცვლოდ არავითარ სიკეთეს არ იღებს. იგი მხოლოდ ისწრაფვის აღადგინოს მხარეებს შორის დარღვეული სამეურნეო წონასწორობა და დააკარგვინოს მოწინააღმდეგეს იმავე სიკეთე, რაც თვითონ დაკარგა. ზიანის მიმყენებელი მხარეც აღიარებს მეორე მხარის უფლებას შურისძიებისა გარკვეულ ფარგლებში და ამ ზარალის გარდუვლობას, აღიქვამს შურისძიებას, როგორც ჯეროვანს და მართლზომიერს. დარღვეული წონასწორობის აღდგენის შემდეგ ორივე მხარის ცნობიერებაში კონფლიქტი ლიკვიდირებულია (იქვე, 36-37). მ. კოსვენის აზრით, ის, რომ ჯგუფის, გვარის დარღვეული სამეურნეო წონასწორობის აღდგენა არ ითვალისწინებდა ამ ზიანის ანაზღაურებას, დამაკმაყოფილებელი შეიძლება

საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე კომპოზიციათა სისტემა საქართველოშიც მკვიდრდება. იგი ჯერ კიდევ ჩვეულებითი სამართლის ბატონობის პერიოდში ჩნდება. თავდაპირველად ყველა ადამიანის სიცოცხლე თანაბრად ფასდება, შემდეგ კი საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის ფონზე სხვადასხვა წოდებისა თუ სახელოს წარმომადგენლისათვის განსხვავებული კომპოზიცია დგინდება. ეს კარგად ჩანს გიორგი ბრწყინვალის, ბექა-აღბუღასა და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნებში. რაც შეეხება საქართველოს მთიანეთს (მაგ., ფშავი, ხევსურეთი და სხვა), აქ საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია არ მისულა იმ დონემდე, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ჩამოყალიბებულიყო და ბოლომდე შემორჩა (XIX-XX საუკუნემდე) თანაბარი კომპოზიცია ნებისმიერი მამაკაცის მკვლელობისათვის. კომპოზიციის გადახდას შეიძლება მოსისხლეთა შერიგება მოჰყოლოდა როგორც პირველივე მკვლელობის შემდეგ, ასევე ორივე მხრიდან მომხდარი მკვლელობების შემდეგაც. იმ რეგიონებში, სადაც ჩვეულებითმა სამართალმა დიდხანს შეინარჩუნა პოზიციები (სვანეთი, ხევსურეთი), კომპოზიციათა სისტემა მხოლოდ სისხლის აღების ინსტიტუტის პარალელურად არსებობდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთის რეგიონებში მაინც სირცხვილად ითვლებოდა, როდესაც მოკლულის ნათესაობა სისხლს არ იღებდა და ისე შეურიგდებოდა მკვლელის მხარეს, ცხადია, კომპოზიციის მიღების პირობით (ე. ი. სირცხვილი იყო მკვლელისაგან გამოსასყიდის მიღება, „სისხლის“ გაყიდვა). როგორც ჩანს, ძველი ტრადიცია ძალზედ მყარად იყო ჩაბუდებული ადამიანთა ცნობიერებაში.[1]

ყოფილიყო მხოლოდ პრიმიტიული და არა განვითარებული სამეურნეო ცნობიერებისათვის. საზოგადოებრივი განვითარების შემდგომ ეტაპზე ყალიბდება მიყენებული ზიანის რეალური ანაზღაურების იდეა ბრალეული მხარის ხარჯზე, დაკარგული სიკეთის ეკვივალენტურის შეძენის ფორმით. ყველაზე უფრო ღრმა ცვლილება დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სფეროში კი მოიტანა გაცვლის განვითარებამ, გაცვლითი ღირებულების წარმოშობამ (გაცვლითი ერთეულის არსებობა იძლევა საშუალებას დაკარგული სიკეთის ზუსტი ღირებულების დადგენისა), რამაც საბოლოოდ კომპოზიციათა სისტემის დანერგვა გამოიწვია. ეს სისტემა სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ საკმაოდ დიდხანს შემორჩა და ყველა კულტურულმა ერმა გაიარა (იქვე, 67, 77-78).

[1] იმავე მრავალი ხალხისთვის იყო დამახასიათებელი. საერთოდ, კომპოზიციათა სისტემა ძალზედ რთულად მკვიდრდებოდა პრაქტიკაში. მაგალითად, კავკასიელების, არაბების, ალბანელების შეხედულებით, „შეურაცხყოფისათვის“

მიუხედავად ამისა, ასეთი შემთხვევები იშვიათი არ იყო, რაც კომპოზიციის სისტემათა შემოღების დადებით მნიშვნელობას წარმოაჩენს.

ცხადია, თუ ზიანის მიმყენებელი ვერ (ან არ) გადაიხდიდა დაკისრებულ კომპოზიციას, შერიგება ჩაიშლებოდა და შურისძიება განახლდებოდა. საინტერესოა, რომ, მაგალითად, სვანეთსა და ხევსურეთში მედიატორები („მორვები", „რჯულის კაცები") გარკვეულ ღონისძიებებს ატარებდნენ იმისათვის, რომ ხელი შეეწყოთ დამნაშავე მხარისათვის გადაეხადა კომპოზიცია. კერძოდ, აყოვნებდნენ განაჩენის გამოცხადებას, რომ ხელმოკლე დამნაშავეს დროულად მოესწრო გადასახადი თანხის შეგროვება,[1] ან ცდილობდნენ დაეთანხმებინათ დაზარალებული კუთვნილზე მცირე გადასახადით დაკმაყოფილებულიყო.[2]

კომპოზიციის გადახდის მიუხედავად გამორიცხული არ იყო ადგილი ჰქონოდა შურისძიებას. ამ შემთხვევაში სავალდებული იყო მიღებული კომპოზიციის დაბრუნება.

საინტერესოა, თუ როგორ ხდებოდა კომპოზიციათა სისტემის წარმოშობა. როგორც აღვნიშნეთ, ამის საფუძველი ისაა, რომ საზოგადოებაში ჩნდება შეგნება შურისძიების შეჩერების, ზღვარის დადების აუცილებლობისა. მაგრამ, როგორია პროცესი კომპოზიციათა სისტემის ჩამოყალიბებისა? ამ საკითხს შეეხო მ. კოვალევსკი. იგი აღნიშნავს, რომ სხვადასხვა ხალხში კომპოზიციათა სისტემაზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გადავიდნენ. ეს გადასვლა, მისი თქმით, ძალზე ბუნებრივად განხორციელდა. ცნობილია, რომ მკვლელობის შემდეგ მკვლელი ტოვებდა თავის საცხოვრისს და სხვაგან გადაიხვეწებოდა. თუ დაზარალებულ მხარეს არ შეეძლო განეხორციელებინა თავისი შურისძიება, იგი მკვლელის სახლ-კარს, მამულს და საერთოდ მთელ ქონებას ეუფლებოდა. როდესაც დღის წესრიგში დადგა კომპოზიციის განსაზღვრა ადამიანის მკვლელობისათვის, მხედველობაში იქნა მიღებული სწორედ ოჯახის ქონების შესაძლოდ

ფულადი ანაზღაურების მიღება ბოლო დრომდე მიუღებლად ითვლებოდა, ხოლო კომპოზიციის გადახდა ზიანისათვის მხოლოდ მონანიების ცერემონიის შემდეგ ხდებოდა (ასეთი ცერემონიები მრავალი ხალხისათვის იყო დამახასიათებელი) (იქვე, 78-79).

[1] გ. დავითაშვილი, სამედიატორო სასამართლო სვანეთში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2002, 110-111.

[2] გ. დავითაშვილი, სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული" ხევსურეთში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2001, 53.

მაქსიმალური ღირებულება.[1] ასე დადგინდა გადასახადის ოდენობა მამაკაცის მკვლელობისათვის. როგორც ჩანს, კომპოზიციათა სისტემის ჩამოყალიბებისას, ადამიანის სიცოცხლისა და ღირსების მატერიალური შეფასება არ მომხდარა. თუ რა ღირს ადამიანის სიცოცხლე და ღირსება, ეს ძველი ადამიანისათვისაც ისეთივე გადაუჭრელი პრობლემა იყო, როგორც თანამედროვე ადამიანისთვისაა.[2] სწორედ სრულწლოვანი მამაკაცის მკვლელობისათვის დადგენილი გადასახადი დაედო საფუძვლად კომპოზიციათა სისტემას.[3]

უნდა ითქვას, რომ ქართულ ჩვეულებით სამართალშიც კომპოზიციათა სისტემა, ადამიანის მკვლელობისათვის გადასახადის დაწესება იმავე მექანიზმით უნდა განხორციელებულიყო. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის გარემოება, რომ ხევსურული სამართლით მკვლელის ქონების, მამულის დაუფლება დაზარალებული მხარის მიერ იწვევდა „სისხლის“ დაკარგვას. ეს კარგად ჩანს ალ. ოჩიაურის მასალებში. იგი მიუთითებს: „მკვლელი თუ სახლ-კარს და მიწა-წყალს თავს დაანებებდა და სადღაც გაიხიზნებოდა, იმის სახლ-კარს და მამულს დაზარალებულის მეპატრონე დაეპატრონებოდა და სისხლი ამით იკარგებოდა. ხოლო ამ მამულს სამუდამოდ უნახავდნენ, ვინიცობა არის, დაზარალებულის გვარს დამნაშავის გვარიდან ვინმე მოეკლა, ისევ იმ მამულს დაუბრუნებდნენ.“[4] ასეთი ჩვეულების არსებობა ჯერ კიდევ კომპოზიციათა სისტემის ჩამოყალიბებამდე უნდა ვივარაუდოთ. შურისძიების სანაცვლოდ დაზარალებულს შეეძლო, გახიზნული მკვლელის ქონებას დაპატრონებოდა. აქედან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელია, რომ „კაცის თავი“ (კომპოზიცია მამაკაცის მკვლელობისათვის) ხევსურეთში, ვთქვათ, შეძლებული ოჯახის მამულის ღირებულების მიხედვით შეფასებულიყო. საერთოდ, ხევსურეთში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც „სისხლში“ მამულის აღება ხდება, სვანეთში კი მკვლელობისათვის გადასახადის — „წორის“ — განმსაზღვრელი სწორედ მამული იყო.

---

[1] М. Ковалевскиий, Современный обычай и древний закон, М., Т. 2, 1886, 54, 60.

[2] იქვე, 60.

[3] М. Косвен, Преступление и наказание в догосударственном обществе, М., 1925, 92.

[4] ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, 1949-1950, მომთაბარეობა ხევსურეთში, კრ., „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 2, თბ., 1990, 172.

თავი მესამე

დანაშაულის სუბიექტი ქართულ ჩვეულებით სამართალში

საზოგადოებრივი განვითარების ადრეულ ეტაპზე, როდესაც შურისძიების ინსტიტუტს გაბატონებული მდგომარეობა უკავია, ცალკეული ინდივიდის სამართალსუბიექტურობაზე საუბარი შეუძლებელია. ამ პერიოდში დამნაშავის პერსონიფიცირების ხარისხი ძალზედ დაბალია. დამნაშავის ვინაობის დადგენა აქტუალურია იმ თვალსაზრისით, რომ გაირკვეს, თუ ადამიანთა რომელმა ჯგუფმა, რომელმა გვარმა უნდა აგოს პასუხი მისი წევრის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის. დანაშაულის სუბიექტად განსაზღვრული კოლექტივი, ადამიანთა ჯგუფი გვევლინება, ძირითადად, გვარის სახით. გვარის ამა თუ იმ წევრის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, შურისძიების აქტი შესაძლოა მიმართულიყო ამ გვარის ნებისმიერი წევრისადმი, ხოლო დანაშაულის უშუალოდ, ფიზიკურად ჩამდენის პიროვნება დაზარალებულ მხარეს ნაკლებად აინტერესებდა. მ. კოსვენი კოლექტიური პასუხისმგებლობის შესახებ საუბრისას აღნიშნავს, რომ ჯგუფი შთანთქავს ინდივიდს და დაზარალებულის რეაქცია ჯგუფისადმია მიმართული.[1] დანაშაულის უშუალო ჩამდენის პიროვნებისადმი ყურადღების მიუქცევლობა განაპირობებდა იმას, რომ არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა დამნაშავის შერაცხადობას, კერძოდ, თუ დანაშაულს ჩაიდენდა სულით ავადმყოფი ან მცირეწლოვანი, დაზარალებული მხარე შურისძიებას მაინც მიმართავდა იმ ნათესაური ჯგუფის მიმართ, რომლის წარმომადგენელიც იყო დანაშაულის უშუალოდ ჩამდენი. ამ უკანასკნელს, როგორც წესი, არსად უსწორდებოდნენ და შურისძიებას გვარის სრულწლოვან, ჯანმრთელ წევრზე მიმართავდნენ. ყოველივე ეს ობიექტური შერაცხვის პრინციპის გამოვლინებაა, როდესაც მთავარი მიყენებული ზიანია და არავითარი ყურადღება არ ექცევა სუბიექტურ ფაქტორებს, მათ შორის დანაშაულის უშუალოდ ჩამდენის ასაკსა და შერაცხადობას.

როდესაც ობიექტური შერაცხვის პრინციპის ბატონობის პი-

[1] М. Косвен, Преступление и наказание в догосударственном обществе, М., 1925, 127.

რობებში, დროთა განმავლობაში, სუბიექტური შერაცხვის ელემენტებიც ჩნდება, თანდათანობით დანაშაულის ჩამდენის პერსონიფიცირების ხარისხი მატულობს და მეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ კონკრეტულად ვინ ჩაიდინა დანაშაული, თუმცა კოლექტიური, ნათესაური პასუხისმგებლობა, დანაშაულის უშუალოდ ჩამდენის ასაკისა და შერაცხადობის გაუთვალისწინებლობა მაინც რჩება და ყველა იმ საზოგადოებას ახასიათებს, სადაც შურისძიების ინსტიტუტია შენარჩუნებული.

ამასთან დაკავშირებით მ. კოსვენი მიუთითებს, რომ, საზოგადოებრივი განვითარების კვალობაზე ზიანის მიმყენებლის პიროვნებისადმი გარკვეული ყურადღების მიქცევის მიუხედავად, სამართალი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში არ ქმნის სუბიექტური ბრალეულობის იდეას და მას წარმოდგენა არა აქვს პიროვნების შეურაცხადობაზე. დელიქტის ჩამდენის არც ასაკი და არც ჯანმრთელობის მდგომარეობა გავლენას არ ახდენს პასუხისმგებლობის დადგომასა და მისი საზღვრების დადგენაზე. ყველა ხალხში, სადაც შენარჩუნებულია შურისძიება, იგი აუცილებლად მოსდევს მცირეწლოვნის მიერ ჩადენილ დელიქტს. კერძოდ, ოსებსა და სხვა კავკასიელ მთიელთა ტომებში შურისძიებას იწვევს ბავშვებს შორის ჩხუბის შედეგად მომხდარი მკვლელობა. ხოლო უფრო გვიანდელ კომპოზიციათა სისტემის მოქმედების ეპოქაში არ ხდება მატერიალური ანაზღაურების შეზღუდვა დამნაშავის ასაკის, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.[1]

1. პასუხისმგებლობა მცირეწლოვნისა და შეურაცხადის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის ქართულ ჩვეულებით სამართალში

ჩვენს ხელთ არსებული ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც კომპოზიციათა სისტემის პარალელურად ფიქსირდება სისხლის აღების ინსტიტუტი (სვანეთი, ხევსურეთი), მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის უშუალოდ ჩამდენის პიროვნების სრული იგნორირება (გვარის ყველა წარმომადგენლის თანაბარი პასუხისმგებლობით) აღარ გვხვდება, აღნიშნულ რეგიონებში კოლექტიური პასუხისმგებლობა ნათესავთა პასუხისმგებლობის სახით და ასევე დანაშაულის უშუალოდ ჩამდენის ასაკისა და შეურაცხადობის

[1] მ. კოსვენი, დასახ. ნაშრ., 127-128.

გაუთვალისწინებლობა, მასალების მიხედვით, მაინც ფიქსირდება. ამ გარემოებას XX საუკუნის დასასრულის არაერთი ხევსური ინფორმატორი ადასტურებს. საილუსტრაციოდ რამდენიმე მათგანის ცნობას მოვიყვანთ. ერთ-ერთი მათგანი აღნიშნავს: „მკვლელობა მცირეწლოვანმა, გიჟმა რომ ჩაიდინოს, მასაც თავი დაედება. მოძებნიან მის გვარში ვინმე ჭკვიანს და მას მოჰკლავენ, გიჟს არ მოჰკლავენ.“[1] მეორე ინფორმატორის განმარტებით: „ჩვენთან მკვლელობა მკვლელობაა და ყველა შემთხვევაში დაედება მკვლელს თავი, გიჟიც რომ იყოს იგი. მაგრამ ასეთ შემთხვევაში თავად გიჟს კი არ მოკლავენ, ამოარჩევენ მის გვარში საუკეთესოს, ჭკვიან, ძლიერ პირს და მას მოჰკლავენ.“[2] კიდევ ერთი ინფორმატორი ასევე მიუთითებს, რომ „გიჟმა რომ მოკლას კაცი, სიგიჟით მას არ შერჩება. ან გიჟს მოკლავენ, ან მის ახლობელს, უფრო კი მის ახლობელს.“[3] ეს მონაცემები აშკარად მიუთითებს, რომ ხევსურეთში მცირეწლოვნის თუ შეურაცხადის მიერ დანაშაულის, კერძოდ, მკვლელობის ჩადენა პასუხისმგებლობის არც შემამსუბუქებელ და მით უმეტეს არც გამომრიცხავ გარემოებას არ წარმოადგენს. სისხლის აღება ჩვეულებრივ მოხდება, თუმცა თვით მკვლელ მცირეწლოვანსა თუ გიჟს არ ისისხლებენ და მის ნათესავთა შორის ყველაზე სახელოვან ვაჟკაცს შეარჩევენ შურის საძიებლად. კომპოზიციის გადახდის შემთხვევაში კი მისი დაფარვა სრული ოდენობით ხდება და მკვლელის მცირეწლოვნობა და შეურაცხადობა მხედველობაში არ მიიღება. ანალოგიური ვითარება დასტურდება ფშაურ ჩვეულებით სამართალშიც.[4]

ეს სრულად ესადაგება მ. კოსვენის ზემოთ მოყვანილ საერთო დებულებას კომპოზიციათა სისტემის მქონე საზოგადოებებთან დაკავშირებით. საინტერესოა, რომ XX საუკუნის დასასრულის

---

[1] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 41.

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული,1988, 75.

[3] იქვე, 47.

[4] ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“, I თავის – „დანაშაული“ – მე-2 ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი,“ 3, გამომცემლობა „მეცნიერება,“ თბ., 1991, 35.

ეს მონაცემები ანალოგიურია XIX საუკუნის ბოლოს მ. კოვალევსკის მიერ ხევსურეთში ჩაწერილი მონაცემებისა, რომელთა საფუძველზეც გამოჩენილი რუსი მეცნიერი აღნიშნავს, რომ დანაშაულად ითვლება შვიდი წლის ბავშვის მიერ მისი მეგობრის ჩხუბში მკვლელობა.[1]

დაახლოებით იმავე სურათი იკვეთება სვანეთში დაფიქსირებული მასალების მიხედვითაც. მ. კეკელიას მიერ სვანეთში XX საუკუნის 60-ანი წლების ბოლოს ჩაწერილი მასალებით, სულით ავადმყოფის თუ მცირეწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენას, ჩვეულებრივ მოჰყვება ამ დანაშაულისათვის დაწესებული პასუხისმგებლობა. თუმცა აღსანიშნავია, რომ სვანი ინფორმატორები ბავშვის ან სულით ავადმყოფის მიერ მკვლელობის თუ დაჭრის ჩადენის შემთხვევაში ხაზს უსვამენ იმას, რომ ამ დროს იშვიათია შურისძიება, ძირითადად ხდება დამნაშავის ოჯახის მიერ ქონებრივი საზღაურის („წორის“) გადახდა და შურისძიებისათვის თავის არიდება. ერთ-ერთი ინფორმატორის თქმით: პატარა ბიჭის მიერ მისი თანატოლის მოკვლის შემთხვევაში „იშვიათად ისისხლებენ. ამ დროს მკვლელის მშობლებს წორს გადაახდევინებენ, ასევე შერიგდებიან დაჭრის დროსაც.“[2] მეორე ინფორმატორის განმარტებით: „გიჟი ან პატარა ბავშვი თუ მოკლავს ვინმეს, სისხლება თითქმის გამორიცხულია. ამ დროს მისიანები აგებენ პასუხს მთელი წორის გადახდით.“[3] მსგავს ცნობებს გვაწვდიან სხვა ინფორმატორებიც.[4] ცხადია, თუ დამნაშავე გიჟის ან ბავშვის ოჯახი, ან მისი ახლობლები, არ გადაიხდიან სათანადო ქონებრივ საზღაურს, მაშინ სისხლის აღების ექნება ადგილი. სვანი ინფორმატორი ამ ვითარებას ასე განმარტავს: „თუ გიჟმა მოკლა ვინმე, ან არასრულწლოვანმა ... ამ შემთხვევაში გადაიხდის მისი მამა, ძმა, ბიძა, ან რომელიმე ნათესავი. თუ გიჟს ან არასრულწლოვანს არაფერი გააჩნია და არ ჰყავს გადამხდელი (ახლობელი), მაშინ

---

1 М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М., 1890, 118.

2 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 4.

3 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 107.

4 მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 15, 42. მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 45.

მართალია მათი სისხლება არ შეიძლება (გიჟის, ბავშვის), მაგრამ მის ახლობელს ისისხლებენ."[1] როგორც ვხედავთ, თუ საქმე სისხლის აღებაზე მიდგა, ხევსურეთის მსგავსად, უშუალოდ მკვლელობის ჩამდენ გიჟს თუ მცირეწლოვანს არავინ ისისხლებს, არამედ მის ახლობელზე იძიებენ შურს.

მცირეწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრება სვანეთსა და ხევსურეთში კონკრეტული ფაქტებითაც დასტურდება.[2]

ამრიგად, სვანურ და ხევსურულ ჩვეულებით სამართალში (სწორედ ამ ორი კუთხის ჩვეულებითი სამართალი გვიქმნის ყველაზე სრულყოფილ წარმოდგენას ზოგადად ქართულ ჩვეულებით სამართალზე) ფიქსირდება სამართალგანვითარების ის ეტაპი, როდესაც მცირეწლოვნის ან სულით ავადმყოფის მიერ დანაშაულის ჩადენა, ჩვეულებრივ იწვევს პასუხისმგებლობას, ხოლო დამნაშავის განსაზღვრული ასაკი და შერაცხადობა პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელი პირობა არაა. მცირეწლოვნისა და სულით ავადმყოფის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მისი

[1] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1968, 43.

[2] ერთ-ერთი სვანი ინფორმატორი გვიამბობს, რომ მის პატარაობაში ერთმა ბავშვმა მეორეს თამაშის დროს, უნებლიეთ ქვა ჩაარტყა და ცალი თვალი გაუფუჭა, რისთვისაც დამნაშავე ბავშვის ოჯახმა დაზარალებულის სასარგებლოდ ქონებრივი საზღაური გაიღო (გარკვეული ოდენობის სახნავი მიწა). ინფორმატორის განმარტებით, რაკი დანაშაული უნებლიეთ იყო ჩადენილი, ამიტომ დაკისრებული საზღაურის ოდენობა განახევრდა (მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 57). ალ. ოჩიაურის მასალებში აღწერილია არხოტის ჯვარში მომხდარი შუღლი. ერთ-ერთი დღეობის დროს, როდესაც ხალხი დათერა, სოფელ ახიელისა და ამღის მცხოვრებლები ხანჯლებით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. როდესაც უფროსები შუღლობდნენ, ყმაწვილები ცალკე იყვნენ გასულები და მოშუღლარებს ქვებს ესროდნენ: ახიელელები — ამღელებს, ამღელები — ახიელელებს. ერთმა ახიელელმა ყმაწვილმა ქვა თავში მოარტყა ერთ-ერთ ამღელ მოშუღლარს და ჭრილობა მიაყენა. ამ უკანასკნელმა თავიდან ყურადღება არ მიაქცია ჭრილობას, რომელიც დროთა განმავლობაში დაჩირქდა და საბოლოოდ მისი გარდაცვალება გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ სასიკვდილო ჭრილობის მიმყენებელი ყმაწვილი 11-12 წლისა თუ იქნებოდა, მას და მის ახლო ნათესავებს ჩვეულებრივ დაეკისრა ხევსურული რჯულით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის (ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/6, მოსისხლეობა ხევსურეთში, 66-67).

ოჯახი თუ ნათესაობა ისევე გვევლინება დანაშაულის სუბიექტად, პასუხისმგებლად ამ დანაშაულისათვის, როგორც ეს სრულწლოვანი, შერაცხადი პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში იქნებოდა.

2. ნათესაური ჯგუფი და ტერიტორიული ერთეული, როგორც დანაშაულის სუბიექტი, ქართულ ჩვეულებით სამართალში

ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით დანაშაულის სუბიექტად გვევლინება როგორც ცალკეული ინდივიდი, ასევე გარკვეული ჯგუფი, გაერთიანება — გვარი, გვარის შემადგენელი სტრუქტურული ერთეული (მამიშვილობა, სამხუბი), ასევე სოფელი, თემი. ეს გაერთიანებები ძირითადად პასუხს აგებდნენ მისი წევრის (თუ წევრების) მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის. გვარის ასეთი პასუხისმგებლობის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ამ გაერთიანებათა პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე მათი წევრის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ყველა ხალხისთვის იყო დამახასიათებელი და მრავალი ხალხის უძველეს თუ შუა საუკუნეების სამართლის ძეგლებში ფიქსირდება.

აღნიშნულ გაერთიანებათა, როგორც დანაშაულის სუბიექტთა შესახებ შესაძლოა უფრო კონკრეტულადაც ვისაუბროთ. მაგალითად, გვარის შემადგენელი სტრუქტურული ერთეული — სამხუბი/ლამხუბი სვანეთსა და მამიშვილობა — ხევსურეთში, დანაშაულის სუბიექტად გვევლინება ძირითადად მკვლელობის, ასევე სხვა დანაშაულთა შემთხვევაში. აქ გვარი აღარ წარმოადგენს მყარ ნათესაურ ერთობას და ნათესაური სოლიდარობა მის სტრუქტურულ ერთეულებში ვლინდება. გ. გასვიანის განმარტებით: „სვანეთში სისხლის აღება გვარსა და გვარს შორის (გვარი, როგორც სისხლით ნათესავთა ერთობა დაშლილია) კი არ მიმდინარეობდა, არამედ საძმოთა (ლამხუბ-სამხუბ) შორის. ადათის მიხედვით სისხლის აღებაში მთელი საძმო ერეოდა, მაგრამ სისხლის უშუალო აღება ძმას, მამას, შვილს ან ბიძაშვილებს (მამის გვარით, დედის გვარზე არ გადადიოდა) ევალებოდა.“[1] რ. ხარაძეც ადასტურებს

[1] გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973, 167-168.

მკვლელობის თუ სხვა დანაშაულთა ჩადენის შედეგად წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობაში სამხუბთა მონაწილეობას: „ერთი სამხუბის მიერ მეორე სამხუბის წევრის მოკვლისა, ან რაიმე შეურაცხყოფის მიყენების დროს, ორი მოწინააღმდეგე სამხუბის მონაწილეობა, ერთ-ერთ ძირითად მომენტად უნდა ჩაითვალოს იმ ხალხური სამართლისა, რომელიც გვაროვნული წყობილების დარჩენილ ფაქტს წარმოადგენს.“[1] საქართველოს ამ კუთხეების ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, დანაშაულის ჩადენისას სამხუბის თუ მამიშვილობის ყველა წევრის პასუხისმგებლობა თანაზომიერი არ არის და დიფერენცირებულია დანაშაულის ჩამდენისადმი ნათესაური სიახლოვის მიხედვით. ეს განსაკუთრებით კარგად ვლინდება მკვლელობის შემთხვევაში. კერძოდ, მკვლელობის ჩამდენისა და მისი უახლოესი ნათესავების (ძმები, ახლო ბიძაშვილები) პასუხისმგებლობა მეტია, ვიდრე მამიშვილობასა და სამხუბში შემავალი გარე ბიძაშვილებისა, როგორც კომპოზიციის გადახდის, ისე სისხლის აღებისას. მაგალითად, სვანეთში „წორის“ ანუ სისხლის ფასის გადახდისას მკვლელი და მისი ძმები უფრო მეტს იხდიან, ვიდრე მკვლელის ახლო ბიძაშვილები (ძირიშ მეხუბარარ). ეს უკანასკნელნი კი უფრო მეტს, ვიდრე გარე ბიძაშვილები (ქახიქა მეხუბარარ).[2] სისხლის აღების შემთხვევაში შურისძიების ობიექტი პირველ რიგში მკვლელია, თუმცა შესაძლოა მისი უახლოესი ნათესავიც მოკლან. რ. ხარაძის ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორის განმარტებით: „.... თუ მაჰკლეს მეხელე (მკვლელი, — გ. დ.), ხომ მაჰკლეს, თუ არა და მისი ძმა უნდა მაჰკლან. მოკვლის შიში მხოლოდ ძმასა აქვს. შინშსა (ახლო ბიძაშვილი, — გ. დ.) და გარეშე ბიძაშვილს არ მაჰკლავენ, მაგრამ დაკეჭნის შიში აქვს.“[3] როგორც ვხედავთ, მკვლელის მამიშვილობის ყველა მამაკაცი წევრი შესაძლოა გამხდარიყო მოკლულის ნათესავთა მხრიდან საპასუხო ქმედების ობიექტი, თუმცა სხვადასხვა ხარისხით — მკვლელი და მისი ძმები შესაძლოა მოეკლათ, ბიძაშვილები კი დაეჭრათ.

ზემოთ თქმული საკმაოდ ადასტურებს, რომ ქართულ ჩვეულებით

[1] რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, 25.

[2] იქვე, 34.

[3] რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1947, 167.

სამართალში სამხუბი თუ მამიშვილობა დანაშაულის სუბიექტს წარმოადგენს, რაც სვანეთსა და ხევსურეთში ცალსახად ვლინდება, მიუხედავად მათი წევრების დიფერენცირებული პასუხისმგებლობისა. ამის მაჩვენებელია ის, რომ თუნდაც მკვლელობისას სამხუბის თუ მამიშვილობის ყველა წევრი გარკვეულ მონაწილეობას იღებს კომპოზიციის გადახდაში, ან შესაძლოა გახდეს შურისძიების ობიექტი. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დანაშაულის ჩამდენის ვინაობის დადგენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება და მისი პერსონიფიცირების ხარისხი არსებითია. სწორედ მკვლელია პირველ რიგში სისხლის აღების ობიექტი (თუ ის მცირეწლოვანი ან გიჟი არ არის) და ის (მისი ოჯახი) იხდის კომპოზიციის მეტ ნაწილს. პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის მაჩვენებელია ასევე, მაგალითად, ის გარემოება, რომ ხევსურეთში დაჭრა-დასახიჩრებისას შესაბამის ქონებრივ საზღაურს სრულად იხდის ჭრილობის მიმყენებელი, მისი ოჯახი. აქედან გამომდინარე, შესაძლოა საუბარი ცალკეულ ინდივიდზე, როგორც დანაშაულის სუბიექტზე, დაჭრა-დასახიჩრების დროს, რაც კომპოზიციის გადახდისას ვლინდება. ეს სხვა დელიქტებთან დაკავშირებითაც ჩანს. აღნიშნული გარემოებები, ჩვენი აზრით, ქართულ ჩვეულებით სამართალში პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციისაკენ მიმართული პროცესის მაჩვენებელია.

მამიშვილობის თუ სამხუბის წარმოშობა და დროთა განმავლობაში დანაშაულის სუბიექტად სწორედ მათი ჩამოყალიბება, გვარის გამრავლების და შედარებით ახლო და მყარ ნათესაურ ერთეულებად დაყოფის პროცესის შედეგია. თუმცა საქართველოს მთიანეთში გვხვდება მცირერიცხოვანი გვარები, რომლებიც არ არის დაყოფილი სტრუქტურულ ერთეულებად. ასეთ შემთხვევაში დანაშაულის სუბიექტად გვარი გვევლინება. გ. გასვიანის დაკვირვებით, სვანეთში ასეთი გვარები არ შეინიშნება.[1] ძველად, სანამ მოხდებოდა გვარების დაყოფა ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ნათესაურ ერთეულებად, დანაშაულის სუბიექტი, ცხადია, მთელი გვარი იქნებოდა. გვარის, როგორც დანაშაულის სუბიექტის შესახებ ცნობას თუშეთის სინამდვილეშიც ვხვდებით. ვ. ლაგაზიძის მიხედვით: „თუ ქურდს არ აღმოაჩნდებოდა იმდენი, რომ დაზარალებულის დანაკარგი აენაზღაურებინა, მაშინ საგვარეულო იყო ვალდებული ზარალი აენაზღაურებინა.“[2] აქ ნათ-

[1] გ. გასვიანი, დასახ. ნაშრ., 168.

[2] ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან, საკანდი-

ლად ჩანს, რომ შესაძლოა გვარს ერთობლივად ეგო პასუხი მისი წევრის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის.

საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც სვანეთისა და ხევსურეთისაგან განსხვავებით, აღარ შემორჩა სისხლის აღების ინსტიტუტი, გვაროვნული სოლიდარობის პრინციპი გამოხატული გვარის პასუხისმგებლობაში მისი წევრის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის (მაგალითად, იმერეთი, გურია, ქართლ-კახეთი და სხვა), დანაშაულის სუბიექტად საქართველოს ამ რეგიონებში მოქმედი ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, უშუალოდ დანაშაულის ჩამდენი გვეკლინება და მხოლოდ ის აგებს პასუხს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის. ამ კუთხით უაღრესად საინტერესოა გ. ჟორდანიას მიერ XX საუკუნის დასაწყისში გამოთქმული თვალსაზრისი დანაშაულის სუბიექტის შესახებ ქართლის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. მისი განმარტებით, ქართლის სოფლებში ყველა პასუხს აგებს საკუთარი ქმედებისათვის. სოლიდარული პასუხისმგებლობა, განპირობებული დანაშაულზე ობიექტური შეხედულებით, რომელიც გვაროვნული წყობილებისას გვხვდება, აქ აღარ შემორჩა და უკვალოდ გამქრალია. ამ მხრივ ქართული ოჯახი გვერდით უდგას თანამედროვე კულტურულ ხალხებს, რომლებიც აღარ აწესებენ ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფის კოლექტიურ პასუხისმგებლობას მისი წევრის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის.[1] აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად გამორიცხულია სულით ავადმყოფისა თუ მცირეწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მის ნაცვლად მისი რომელიმე მოგვარის პასუხისმგებლობა. გ. ჟორდანიას დაკვირვებით, ქართლის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, სულით ავადმყოფები და მცირეწლოვნები არანაირ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ ექვემდებარებიან. მცირეწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის შედეგად მიყენებული ქონებრივი ზიანისათვის პასუხს აგებს მისი მშობელი,[2] ანუ ეკისრება მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა და არა სისხლისსამართლებრივი.

ქართულ ჩვეულებით სამართალში, დანაშაულის სუბიექტად ნათესაური ჯგუფის გარდა, ტერიტორიული ერთეულიც გვევლინე-

---

დატო დისერტაცია, ხელნაწერი, თბ., 1966, 147.

[1] გ. ჟორდანია, სისხლის სამართალი ქართლის სოფლებში (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1908, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1813.

[2] გ. ჟორდანია, დასახ. ნაშრ., იქვე.

ბა, კერძოდ, თემი და სოფელი. ამ ტერიტორიული ერთეულების მცხოვრებთა ერთობლივი პასუხისმგებლობა შესაძლოა დამდგარიყო, როგორც მათ მიერ ერთობლივად ჩადენილი დანაშაულისათვის, ასევე ამ ტერიტორიული ერთეულის ცალკეული მცხოვრების მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის.

ტერიტორიული ერთეულის, როგორც ერთიანი კორპორაციის პასუხისმგებლობა, მის წევრთა მიერ ჩადენილი ერთობლივი დანაშაულისათვის, ქართულ ჩვეულებით სამართალში კონკრეტული ფაქტებით დასტურდება. მაგალითად, უშგულის თემის მცხოვრებლებმა ერთობლივი მოქმედებით მოკლეს ფუთა დადეშქელიანი, რომელსაც უშგულის დამორჩილება ჰქონდა განზრახული. მათ უშგულის ყველა ოჯახიდან მოაგროვეს თითო მარცვალი ტყვიის წამალი და მისგან დაამზადეს ფუთას მოსაკლავი ერთი ტყვია, მკვლელობისათვის გამოიყენეს ეკლესიის თოფი, რომლის ჩახმახს გამოაბეს თოკი და თითოეული ოჯახიდან მოყვანილმა თითო ბავშვმა გამოჰკრა მას ხელი,[1] რაც იმიტომ გაკეთდა, რომ უშგულის ყველა ოჯახს თანაბარი მონაწილეობა მიეღო მკვლელობის ჩადენაში და აქედან გამომდინარე, ერთობლივად ეგო პასუხი ამისათვის. მეორე მსგავსი შემთხვევაც უშგულს უკავშირდება. ბალყარეთის თავადმა დევეთგერ მურზაყულოვმა თავის თანმხლებ პირებთან ერთად გაძარცვა უშგულის წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესია. უშგულელებმა შეიპყრეს მძარცველები, მოიწვიეს თემის ყრილობა, რომელმაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა მათ, რაც აღსრულებულ იქნა. ბალყარელებმა უშგულელთაგან თავიანთი თავადის მოკვლისათვის შესაბამისი კომპოზიციის გადახდა მოითხოვეს. ორივე მხარის მიერ არჩეულმა სამედიატორო სასამართლომ უშგულელებს 200 მოზვერის გადახდა დააკისრა, თუმცა 100 გამოუქვითა ეკლესიის „საუპატიოდ.“[2] ამ შემთხვევაში, რაკი სასიკვ-

[1] მ. კოვალევსკი, დასახ. ნაშრ., 17; ეგ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფილისი, 1925, 65.

[2] ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, ტფილისი, 1927, 24. აღნიშნული შემთხვევა მრავალმხრივაა საყურადღებო. ეკლესიის გაძარცვა საჯარო სამართალდარღვევას წარმოადგენდა და თემმა დამნაშავენი სიკვდილით დასჯა. მაგრამ დამნაშავე უცხო ტომის წარმომადგენელი აღმოჩნდა — ბალყარელი (ბალყარელთა თავადი). მისი ოჯახისათვის სიკვდილით დასჯა შეფასდა როგორც მკვლელობა, რაც მთელმა უშგულმა ჩაიდინა. ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელებში იმ დროისათვის გარკვეულწილად შემორჩენილი ობიექტური შერაცხვის პრინციპებიდან გამომდინარე, ბალყარელი თავადის ოჯახის წევრებისათვის სახეზე იყო

დილო განაჩენი თემის ყრილობის გადაწყვეტილებით დადგა, ჩაითვალა, რომ ბალყარელი თავადის მოკვლაში მთელმა თემმა ერთობლივად მიიღო მონაწილეობა და ამიტომ ბალყარელებმა კომპოზიციის გადახდა მთლიანად თემისგან მოითხოვეს და თემმაც ერთობლივად აგო პასუხი.

ორივე ამ შემთხვევაში დანაშაულის სუბიექტად გვევლინება თემი, რომლის ყველა წევრი, წარმოდგენილი ერთ გაერთიანებად, სოლიდარულად აგებს პასუხს ერთობლივად ჩადენილი დანაშაულისათვის.

ქართულ ჩვეულებით სამართალში ფიქსირდება თემის თუ სოფ-

მოკლული ნათესავი. თუ რა მოტივით მოკლეს იგი, ამას მათთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამ მკვლელობისათვის ან შური უნდა ეძიათ (რაც ამ შემთხვევაში რთული იქნებოდა დანაშაულის სუბიექტის პერსონიფიცირების შეუძლებლობის გამო), ან კომპოზიციის გადახდა მოეთხოვათ. კომპოზიციის ოდენობა კი უნდა განესაზღვრა სამედიატორო სასამართლოს, რომელიც უნდა დაკომპლექტებულიყო ორივე მხარის წარმომადგენლების მიერ. ამ შემთხვევაში სასამართლომ გაითვალისწინა ორივე მხარის მიერ მიყენებული ზიანი. მან თავადის სიკვდილით დასჯა განიხილა, როგორც მკვლელობა და უშგულელებს გადასახადი სწორედ მკვლელობისათვის დააკისრა. თემის ყრილობის (ამ შემთხვევაში უშგულის) უფლებამოსილება და კომპეტენცია ვრცელდებოდა მხოლოდ თემის წევრებსა და მის ტერიტორიაზე. დამნაშავე უშგულელი რომ ყოფილიყო, მის სიკვდილით დასჯას თემის გადაწყვეტილებით არავითარ შემთხვევაში არ მოჰყვებოდა კერძო-სამართლებრივი დავა თავადის ოჯახის წევრებსა და თემს შორის. დამნაშავის სიკვდილით დასჯა მთელი თემის ნების გამოხატულებაა, მაგრამ, რაკი დამნაშავე არაუშგულელი (ბალყარელი, ისიც თავადი) იყო, მისმა ნათესაობამ სიკვდილით დასჯა ჩვეულებრივ მკვლელობად შეაფასა. ასე რომ, უშგულელთათვის მათი ეკლესიის გაძარცვა, მთელი თემის შეურაცხმყოფელი დანაშაულია, ე. ი. საჯარო ხასიათის და ამიტომ დამნაშავეთა მიმართ საჯარო სასჯელის სახით სიკვდილით დასჯა გამოიყენეს. ხოლო ბალყარელი თავადის ნათესავების მიერ სიკვდილით დასჯის ფაქტი განიხილება, როგორც მათი კერძო ინტერესის ხელმყოფი დანაშაული — მკვლელობა. ამრიგად, კონკრეტულ შემთხვევაში, საჯარო ხასიათის სასჯელი პიროვნების მიმართ, მაგალითად, შესაძლოა, დასჯილის ნათესავების მხრიდან განხილულიყო, როგორც კერძო ხასიათის დანაშაული. ყოველივე ამის მიზეზი თვით ჩვეულებითი სამართლის ბუნებიდან მომდინარეობს. სწორედ ჩვეულებითი სამართლის რეგლამენტაციის დაბალი ხარისხისა და მისი პარტიკულარული ხასიათის გამოა, რომ დანაშაული, რომელიც ერთი თემისთვის საჯარო ხასიათისაა და ამისათვის საჯარო სასჯელის გამოყენებაა გათვალისწინებული, მეორე თემის წარმომადგენელთათვის ასეთი სასჯელის მიმართ, თუ დასჯილი მათი წევრია, განსხვავებული დამოკიდებულება შეიძლება არსებობდეს.

ლის პასუხისმგებლობა, მისი ცალკეული წევრის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, ძირითადად, ქურდობის შემთხვევაში. კერძოდ, თუ ნაქურდალის კვალი დაზარალებულს რომელიმე თემის ან სოფლის საზღვართან მიიყვანდა, მისი მოსახლეობა ერთობლივად აგებდა პასუხს, თუ დამნაშავეს არ გამოავლენდა, ან არ დააფიქსირებდა ნაქურდალის კვალის თავისი ტერიტორიის გარეთ გასვლას. ეს წესი თემური ურთიერთობებიდან მოდის და მრავალი ხალხისთვის იყო დამახასიათებელი საზოგადოებრივი განვითარების ადრეულ ეტაპზე. მაგალითისთვის ხევსური ინფორმატორის ცნობას მოვიტანთ: „ვისაც რაიმე დაეკარგებოდა და მის კვალს „მოხელავდა“, შეეძლო კვალი მიეტანა რომელიმე სოფელში. თუ ეს მოხდებოდა, უფლება ჰქონდა სოფლისაგან მოეთხოვა ან ქურდის მოძებნა, ან თვითონ სოფლისაგან ნაქურდალის ანაზღაურება. სოფელს შეეძლო გაეტანა კვალი სოფლიდან და ამ დროს დამკარგავი სოფელს ვერაფერს მოსთხოვდა.“[1] როგორც ჩანს, სოფელში მიტანილი ნაქურდალის კვალი იმის დამამტკიცებელი იყო, რომ ქურდი ამ სოფლის მკვიდრია და ეს საკმარის საფუძვლად ითვლებოდა იმისათვის, რომ დაზარალებულს ამ სოფლისათვის პრეტენზია წაეყენებინა, ხოლო სოფლიდან კვალის გატანის დაფიქსირება კი საწინააღმდეგოს დამამტკიცებელი, რაც სოფლისათვის პასუხისმგებლობის თავიდან არიდების საფუძველი იქნებოდა.

სოფლის პასუხისმგებლობა მისი მცხოვრების მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის აჭარაშიც ფიქსირდება. იქ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, სოფელი კოლექტიურად აგებდა პასუხს მის ტერიტორიაზე ჩადენილი ქურდობის, ასევე სოფლამდე ნაქურდალის კვალის მიტანის შემთხვევაში, თუ ნაქურდალის კვალი სოფლიდან არ გავიდოდა. 1879 წლის გაზეთ „დროებაში“ ვკითხულობთ, რომ აჭარაში დამკვიდრებული წესის თანახმად, მთელი სოფელი ვალდებული იყო მოენახა დამნაშავე. თუ რაიმე დაიკარგებოდა სოფელში, თვით ამ სოფლის მოსახლეობას უნდა ეპოვნა ქურდი, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელ სოფელს უნდა გადაეხადა დაკარგული ნივთისა თუ იარაღის ღირებულება.[2] ერთ-ერთი აჭარელი ინფორმატორი ძალზედ საინტერესო შემთხვევას მოგვითხრობს სოფლის

[1] გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1991, 6.

[2] გაზ. „დროება“, 1879, № 12.

საზღვრამდე ნაქურდალის კვალის მიტანის საფუძველზე სოფლის პასუხისმგებლობის შესახებ. მისი მონაყოლის მიხედვით, მახვილაურელ ოსმან დუმბაძეს მოჰპარეს ექვსი სული ძროხა. შეიკრიბნენ შარაბიძელები და მახვილაურელები (მეზობელი სოფლებია) და კვალი სხვა სოფელში მიიტანეს. ამ სოფლის მცხოვრებლებმა კიდევ სხვა სოფელში და ა. შ. ბოლოს კვალი სოფელ აგარაში მიიტანეს. აგარის თავკაცებმა აღიარეს, რომ კვალი მართლაც მათ სოფლამდეა მიტანილი (ეს მათ თვითონვე შეამოწმეს და უყოყმანოდ იკისრეს პასუხისმგებლობა). მეორე დილით პატრონმა თავისი პირუტყვი უკლებლივ ნახა საკუთარ ეზოში.[1]

3. პასუხისმგებლობა პირუტყვის მიერ მიყენებული ზიანისათვის ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით

ქართულ ჩვეულებით სამართალში დანაშაულის სუბიექტის შესახებ საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით პირუტყვის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის საკითხს.

ცნობილია, რომ ძველად, მრავალ ქვეყანაში, დანაშაულის სუბიექტებად ადამიანის გარდა ცხოველები, ფრინველები, მწერები, უსულო საგნები გვევლინებოდნენ. ჩვეულებრივი მოვლენა იყო მათი სასამართლო პროცესები და პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის. მ. კოვალევსკის მიხედვით, ასეთი რამ წარმოიქმნება აზროვნების ჩვილობისას, როცა ბატონობს ე. წ. „ანიმიზმი“, ე.ი. ადგილი აქვს ადამიანის მიერ მთელი ხილული სამყაროს გასულიერებას. ამ ეპოქაში ისჯებოდა მატერიალური ზიანის გამომწვევი ყოველგვარი ქმედება, მიუხედავად იმისა, განზრახ იყო ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით, ადამიანის, ცხოველის, თუ მცენარის მიერ, რომელიც გაასულიერა ადამიანის ფანტაზიამ. აქედან გამომდინარე, შურისძიების ობიექტი ადამიანებთან ერთად იყვნენ ცხოველები, მცენარეები, აგრეთვე ისეთი საგნები, მაგალითად, როგორიცაა, თოფი და შესაძლებელი იყო სასამართლო პროცესი, ვთქვათ, იმ ხარის მიმართ, რომელმაც შემთხვევით მოკლა ვინმე, ან იმ ხის მიმართ, რომელმაც წაქცევისას გასრისა მის ქვეშ მყოფი ადამიანი.[2]

---

[1] ო. ზოიძე, მასალები, აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 11-12.

[2] М. Ковалевский, Современный обычай и древний законъ, М., Т. 2, 1886,

ჯ. ჯ. ფრეზერს სხვადასხვა ველური ტომების სინამდვილიდან მოჰყავს კონკრეტული მაგალითები ცხოველების თუ უსულო საგნების მიმართ შურისძიების გავრცელებისა, თუმცა იმასაც მიუთითებს, რომ მათი პასუხისმგებლობა უცხო არ ყოფილა წარმართული ეპოქის ცივილიზებული ხალხებისთვისაც. მაგალითად, პირუტყვის პასუხისმგებლობაზეა საუბარი ებრაულ სამართალში, ძაღლის პასუხისმგებლობაზე — ზენდ-ავესტაში, ხოლო ათენში, მისი აყვავების ხანაში, ჩამოყალიბდა სპეციალური სასამართლო ცხოველებისა და უსულო საგნებისთვის, რომლებიც გამოიწვევდნენ ადამიანის სიკვდილს ან დასახიჩრებას. კუნძულ ტასოსზე კი მოქმედებდა კანონი, რომლის მიხედვითაც, უსულო საგანი, რომლის დაცემაც ადამიანის სიკვდილს გამოიწვევდა, ექვემდებარებოდა სასამართლოს და დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში მას აგდებდნენ წყალში.[1] საინტერესოა, რომ მსგავს მოვლენებს შუა საუკუნეების ევროპაშიც და რუსეთშიც ჰქონდა ადგილი. აქაც გვხვდება სასამართლო პროცესები შინაური ცხოველების, თაგვების, ვირთხების, მწერების წინააღმდეგ. ჯ. ჯ. ფეზერის განმარტებით, შინაურ ცხოველებს სისხლის სამართლის სასამართლოები ასამართლებდნენ, ხოლო გარეული ცხოველები და მწერები საეკლესიო სასამართლოების იურისდიქციას ემორჩილებოდნენ. ასეთ სასამართლო პროცესებს საკმაოდ სერიოზულად უდგებოდნენ: ყველა საქმეზე ინიშნებოდა ადვოკატი ცხოველების დასაცავად, ხოლო პროცესი ტარდებოდა პროცესუალური ნორმების სრული დაცვით.[2] საფრანგეთში მოიძიეს და გამოაქვეყნეს XII-XVIII საუკუნეების განმავლობაში ცხოველების წინააღმდეგ ჩატარებული სასამართლო პროცესების 92 ოქმი. ამ მართლმსაჯულების უკანასკნელი მსხვერპლი აღმოჩნდა ძროხა, რომელიც სიკვდილით დასაჯეს 1740 წელს.[3] ჯ. ჯ. ფრეზერის მიხედვით, აღნიშნული მართლმსაჯულება ეფუძნებოდა ბიბლიას, სადაც პირუტყვის პასუხისმგებლობაზეა საუბარი, მის მიერ ადამიანის მოკვლის შემთხვევაში, კერძოდ, „გამოსვლათას“ XXI თავში გადმოცემულ სამართლებრივ ნორმას,[4] რომლის მიხედ-

101, 109; М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М., 1890, 30.

[1] Дж. Дж. Фреззер, Фольклор В Ветхом Завете, М., 1990, 464-469.

[2] ჯ. ჯ. ფრეზერი, დასახ., ნაშრ., 470. ზოგიერთი პროცესი დაწვრილებითაა აღწერილი ჯ. ჯ. ფრეზერის მიერ. იხ. ჯ. ჯ. ფრეზერი, იქვე, 471-483.

[3] იქვე, 470.

[4] იქვე.

ვითაც კურო, რომელიც ურქენს ადამიანს და მოკლავს, ქვებით უნდა ჩაიქოლოს, ხოლო ხორცი მისი არ იჭამოს.[1]

ამ საკითხს გამოჩენილი ქართველი იურისტი მეცნიერი გ. ნადარეიშვილიც შეეხო.[2] იგი ცხოველების, ფრინველების, მწერების თუ უსულო საგნების წინააღმდეგ შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში ჩატარებულ სასამართლო პროცესებს ხალხზე რელიგიის ყოვლისმომცველ გავლენას მიაწერს. მისი განმარტებით, „რომ ნათლად წარმოვიდგინოთ რელიგიის გავლენა იურისპრუდენციაზე საკმარისია გავიხსენოთ, რომ შუა საუკუნეებში მოსახლეობის ყველა კლასებში სწამდათ, რომ როგორც ცხოველს, ისე ადამიანს შეუძლია კავშირი დაამყაროს ეშმაკთან და გახდეს კუდიანი და ჯადოქარი. ათეულ ათასობით ქალს ბრალს სდებდნენ, რომ მათ ეშმაკთან ჰქონდათ სქესობრივი კავშირი და ამისათვის კოცონზე წვავდნენ."[3]

ძველი ქართული სამართლისათვის მსგავსი მოვლენები სრულიად უცხოა. გ. ნადარეიშვილის მტკიცებით: „ქართული სამართალი არ ცნობდა დანაშაულის სუბიექტად ცხოველებს, ფრინველებს, მწერებსა და უსულო საგნებს, როგორც ეს შუა საუკუნეების ევროპაში იყო. ამავე დროს, საქართველოში არასდროს არ ჰქონია ადგილი ე.წ. ჯადოსნებისა და კუდიანების საწინააღმდეგო სამარცხვინო პროცესებს."[4] დანაშაულის სუბიექტთან დაკავშირებით იმავე ითქმის ქართულ ჩვეულებით სამართალთან მიმართებაშიც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთიანეთში (სვანეთი, ხევსურეთი) დღემდე მოქმედებს ჩვეულებითი სამართალი, მისთვის დამახასიათებელი უძველესი ელემენტებით, დანაშაულის სუბიექტად მხოლოდ პიროვნება გვევლინება და არც ერთ შემთხვევაში ცხოველები, მწერები თუ უსულო საგნები. ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, შინაური ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის შემთხვევაში, პასუხს მისი პატრონი აგებდა, ისე როგორც ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ჩვეულებით სამართალში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მ. კოვა-

---

[1] წიგნნი ძველისა აღთქუმისანი, ნაკვეთი I, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ, თბ., 1989, 434.

[2] გ. ნადარეიშვილი, ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI-XII სს. საქართველოში, თბ., 1959, 21-25.

[3] იქვე, 25.

[4] იქვე.

ლევსკის დაკვირვებანი აღნიშნულ საკითხზე.

მისი განმარტებით, სამართალგანვითარების შემდგომ, უფრო მაღალ ეტაპზე (იმ ეტაპთან შედარებით, როდესაც ცხოველებსა და უსულო საგნებს სჯიდნენ), ადამიანი კვლავ მისთვის სხვისი მოქმედებით მიყენებულ ზიანზე რეაგირებს, არ ასხვავებს განზრახვას და შემთხვევას, თუმცა, ამავე დროს, პასუხისმგებლობა გადააქვს ცხოველიდან მის პატრონზე და ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად მის პატრონს მიმართავს. ეს ახასიათებდა ზოგიერთ ჩრდილოკავკასიელ ხალხს, მაგალითად, ოსებს. მათი სამედიატორო სასამართლოები სჯიდნენ პირუტყვის პატრონს, ამ პირუტყვის მიერ შემთხვევით მიყენებული ზიანისათვის. მაგალითად, თუ ხარის ან ძროხის მიერ მთიდან დაგორებული ქვა ვინმეს თავზე დაეცემოდა და მოკლავდა, მოკლულის გვარი პირუტყვის პატრონისაგან ითხოვდა სისხლის ფასს, შურისძიების მუქარით.[1] მ. კოვალევსკი უფრო ორიგინალურად მიიჩნევს ოსებში გავრცელებულ ჩვეულებას, რომლის მიხედვითაც, პასუხისმგებლობა სხვისი იარაღით მკვლელობისათვის, მკვლელის თანაბრად, იარაღის პატრონს ეკისრებოდა. მისი აზრით, ამ ჩვეულებას საფუძვლად უდევს თავის დროზე არსებული უსულო საგნების პასუხისმგებლობა, მათ მიერ გამოწვეული ზიანისათვის, რომელიც შემდეგ, დროთა განმავლობაში, მათ მეპატრონეებზე გადავიდა. ამას კი, როგორც თვით მ. კოვალევსკი ამბობს, ადასტურებს მის დრომდე შემორჩენილი წესი, როდესაც მკვლელის გვარმა მოკლულის გვარს უნდა გადასცეს იარაღი, რითაც მკვლელობა მოხდა.[2]

რაც შეეხება განსახილველ საკითხს ქართულ ჩვეულებით სამართალში, მასთან დაკავშირებით მ. კოვალევსკიმ ძალზედ საინტერესო გამოკვლევა ჩაატარა სვანეთში. მან სვან მოხუცებულებს დაუსვა კითხვა: შინაური ცხოველის მიერ მიყენებული ზიანისათვის აგებს თუ არა პასუხს მისი პატრონი? როგორც თვითონ აღნიშნავს, მან მოისმინა რადიკალურად განსხვავებული პასუხები სათავადო სვანეთსა და თავისუფალ სვანეთში. კერძოდ, იგი წერს: ,,სათავადო სვანეთში მოხუცები არა მარტო უარყოფდნენ პატრონის ასეთ პასუხისმგებლობას ცხოველის მიერ მიყენებული ზიანისათვის, არამედ ეჭვს გამოთქვამდნენ, რომ ასეთი რამ სადმე იყო შესაძლებელი. თავისუფალ სვანეთში,

[1] М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М., 1890, 30.

[2] М. Ковалевскиий, Современный обычай и древний закон, М., Т. 2, 1886, 106.

პირიქით, მოვისმინე, რომ ძველად მკვლელობა ჩადენილი ცხოველის მიერ იწვევდა სისხლის სრული ოდენობის ან ნახევრის გადახდას. ეს ნიშნავს, რომ სვანები ცნობენ ადამიანს პასუხისმგებლად იმ მატერიალური ზიანისათვის, რომელიც მიყენებულია მისი ნივთის მიერ, მისგან დამოუკიდებლად. ამას ადასტურებს ჩვეულება, რომლის მიხედვითაც დაზარალებული ოჯახი იღებს მკვლელობის იარაღს, რომლის პატრონი მკვლელი არ ყოფილა."[1] მ. კოვალევსკის მტკიცებით, იმავეს მიუთითებს უშგულელთა მიერ ფუთა დადეშქელიანის მკვლელობის ფაქტიც. რა მოიმოქმედეს უშგულელებმა იმისათვის, რომ თავიდან აერიდებინათ შურისძიება მათ მიმართ? მათ ესროლეს ფუთას ეკლესიის ფანჯრიდან, ეკლესიისვე თოფით, რითაც ფუთას საგვარეულოს შურისძიება მიმართეს ეკლესიისკენ. ცხადია, ასეთი საქციელის მოტივი იყო შეხედულება იმის თაობაზე, რომ ნივთის მეპატრონე უცილობლად აგებს პასუხს ამ ნივთისგან გამოწვეული ზიანისათვის. მოცემულ შემთხვევაში კი მესაკუთრე ეკლესიაა, რომლისგანაც წორის მიღება, ბუნებრივია, ადვილი არაა და სწორედ ამიტომ იყო ხელსაყრელი მისკენ შურისძიების წარმართვა.[2]

პირუტყვის მიერ ვინმესთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, მისი პატრონის პასუხისმგებლობა სვანეთში ფიქსირდება ეგ. გაბლიანის მიერაც. იგი იხსენებს, რომ თვითონ იყო იმის მოწმე, როცა ერთი სვანი სასიკვდილოდ დასდევდა მეორეს იმისათვის, რომ 40 წლის წინათ ამ სვანის მამის ჯორს მიურტყამს წიხლი თეძოში მისი ბაბუისთვის, ხოლო სვანეთში ძაღლი რომ უკბენდა ვინმეს, ეს ხშირად იწვევდა შურისძიებასა და სისხლის ღვრას.[3]

იმავე საკითხზე გარკვეული მონაცემები ხევსურეთშიცაა დაფიქსირებული. ხევსური ინფორმატორის განმარტებით, „პირუტყვმა რომ მოკლას კაცი, მაშინ ნახევარი კაცის თავი მაინც დაეკისრება პატრონს."[4] მეორე ინფორმატორს კი გაუგონია, რომ ძაღლმა მოკლა ქალი. სამაგიეროდ, ამ ქალის პატრონებმა ძაღლის პატრონს მოუკლეს ქალი.[5] არაერთი ხევსური ინფორმატორი აფიქსირებს,

[1] М. Ковалевский, Законъ и обычай на Кавказѣ, Т. 2, М., 1890, 31.

[2] იქვე.

[3] ეგ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფ., 1925, 135.

[4] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №6, 1977, 27.

[5] იქვე.

აგრეთვე, სხვისი იარაღით მკვლელობისას იარაღის პატრონის მიერ ე. წ. „არბითის“ სახით 5 ძროხის[1] გადახდას.[2]

ფუთა დადეშქელიანის მკვლელობის ისტორია, მ. კოვალევსკის აქ მოტანილი მონაცემები, ხევსურეთში შეკრებილი მასალები ადასტურებს, რომ ქართულ ჩვეულებით სამართალში (სვანეთსა და ხევსურეთში) სხვისი იარაღით მკვლელობისას, მკვლელის გარდა, იარაღის პატრონიც აგებს გარკვეულწილად პასუხს (თუნდაც სხვისი იარაღით მკვლელობისას, მკვლელობის იარაღის გადაცემა მოკლულის ოჯახისათვის, ხევსურეთში „არბითის“ სახით 5 ძროხის გადახდა, ამ პასუხისმგებლობის გამომხატველია). ეს პასუხისმგებლობა განსხვავებულია პირუტყვის მიერ მიყენებული ზიანის შემთხვევაში პირუტყვის პატრონის პასუხისმგებლობისაგან, რომელიც შესაძლოა სრულიც ყოფილიყო (ანუ მიყენებული ზიანისათვის გათვალისწინებული კომპოზიციის სრულ გადახდას, მიყენებული ზარალის სრულ ანაზღაურებას გულისხმობდა), ან სანახევრო მაინც და ცხადია მხოლოდ პირუტყვის პატრონს დაეკისრებოდა, მაშინ როდესაც იარაღის პატრონი მკვლელთან ერთად აგებდა პასუხს და ეს პასუხისმგებლობა არსებითად მცირე იყო მკვლელის პასუხისმგებლობასთან შედარებით. მაგალითად, ხევსურეთში მკვლელი სრულ სისხლს — 60 ძროხას იხდიდა, მკვლელობის იარაღის პატრონი მხოლოდ 5-ს. ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორის ზემოთ მოყვანილი კონკრეტული ცნობის მიხედვით კი, შინაური ცხოველის მიერ ადამიანის მოკვლას შესაძლოა შურისძიებაც მოჰყოლოდა. ამ ცნობის მიხედვით გამოდის, რომ პირუტყვის პატრონი, მის ნათესაობასთან ერთად, ისევე აგებდა პასუხს მისი პირუტყვის მიერ ჩადენილი მკვლელობისათვის, თითქოს თვითონ იყო მკვლელი.

---

[1] ძროხა ფშავ-ხევსურეთში კომპოზიციის გადახდის ძირითად ეკვივალენტს წარმოადგენდა.

[2] დანაშაულის ჩადენის იარაღის პატრონის პასუხისმგებლობის შესახებ, ძირითადად ხევსურულ მასალებზე დაყრდნობით, უფრო სრულად თანამონაწილეობის ინსტიტუტის განხილვისას შევჩერდებით.

თავი მეოთხე

ბრალის საკითხი ქართულ ჩვეულებით სამართალში

ცნობილია, რომ ბრალის ინსტიტუტმა განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია მოსაზრება, რომ ეს გზა ორ დიდ ეტაპად იყოფა: 1. ობიექტური შერაცხვის პერიოდი და 2. სუბიექტური შერაცხვის პერიოდი. ალ. ვაჩეიშვილის განმარტებით, პირველ „უძველეს პერიოდს წარმოადგენს ის ხანა, როდესაც ადამიანი ყურადღებას აქცევს მხოლოდ მოქმედების გარეგან მატერიალურ შედეგს, მას აინტერესებს ის ნივთიერი ზარალი, რომელიც მოქმედებით არის გამოწვეული და იგი ანგარიშს არ უწევს მოქმედის შინაგან განწყობილებას, მის სულიერ მდგომარეობას, რომლიდანაც ესა თუ ის ქმედობა გამომდინარეობს. ..... ამგვარ შეხედულებას ვხვდებით სხვადასხვა ხალხის ცხოვრებაში, იგი არაა რომელიმე ცალკეული ხალხის სპეციალური თვისება, პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ იგი საერთოდ ახასიათებს საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ საფეხურს, განვითარების იმ დონეს, როცა სისხლის სამართლის დარგის პასუხისმგებლობა განისაზღვრება გარეგანი, ობიექტური ნიშნის მიხედვით. ობიექტური საწყისის ბატონობით აიხსნება ისეთი მოვლენები, როგორიცაა პირუტყვისა და თვით უსულო საგანთა და საზოგადოებრივი ჯგუფების კოლექტიური პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის წესით. მეორე პერიოდი სუბიექტური შერაცხვის პერიოდია. საზოგადოების ცხოვრებაში უკვე ახალი აზრი, ახალი შეხედულება წარმოიშვა. ამიერიდან სასჯელის საკითხი არ იჭრება მხოლოდ მატერიალური ზიანის საფუძველზე, საზოგადოება უკვე მხედველობაში იღებს, თუ როგორი იყო დამნაშავის შინაგანი სულიერი მდგომარეობა, ჰქონდა მას შეგნებული თუ არა თავისი მოქმედების მნიშვნელობა, ჰსურდა მას თუ არა მოქმედების მავნე შედეგები და ამის შესაბამისად აკისრებს ადამიანს პასუხისმგებლობას. თავისთავად ცხადია, რომ ამ ახალი შეხედულების წარმოშობა, მისი განმტკიცება და გავრცელება მრავალი საუკუნის მანძილზე ხდებოდა ..... სუბიექტური ბრალეულობის ცნებით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობამ ახალი საფუძველი მოიპოვა. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ბრალეულობის სხვადასხვა ფორმა ერთდროულად იქნა შემუშავებული. პირველად

მონათმფლობელურ სახელმწიფოთა კანონმდებლობაში შემოღებულ იქნა განზრახვის ცნება; შედეგის წარმოდგენა, მისი გათვალისწინება და სურვილი, ე. ი. სწორედ ის, რაც განზრახვის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს, ნათლად მოჩანს უძველეს კანონებში. მხოლოდ ხანგრძლივი განვითარებისა და იურიდიული აზროვნების მომწიფების შედეგად აღმოცენდა ბრალეულობის მეორე ფორმა — გაუფრთხილებლობა".[1]

ძველი ქართული სამართლის წერილობითი წყაროების მიხედვით, ბრალის ინსტიტუტი საკმაოდ მაღალგანვითარებული სახითაა წარმოდგენილი. ჯერ კიდევ ექვთიმე მთაწმინდელის მიერ შედგენილ „მცირე სჯულისკანონში" ვხვდებით ბრალის ფორმათა მრავალფეროვნებას: ნებსით ანუ განზრახ, განზრახვასთან მიახლოებულ, უნებლიე ბრალს. ავტორს აშკარად კარგად ესმის გაუფრთხილებლობის მნიშვნელობაც და განზრახვას, გაუფრთხილებლობასა და შემთხვევას ერთმანეთისგან განასხვავებს.[2] ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით კი განზრახვასთან და შემთხვევასთან (ფათერაკთან) ერთად გაუფრთხილებლობის მაგალითებიცაა მოცემული.[3] ყოველივე ეს კი მიუთითებს, რომ ქართული სამართლის ძეგლები ძირითადად სუბიექტური შერაცხვის პრინციპს ეფუძნება. მაგრამ ჩვენ არ გვექნება სრულყოფილი სურათი ძველ ქართულ სამართალში ბრალის ინსტიტუტის განვითარების შესახებ, თუ არ იქნა შესწავლილი ეს საკითხი ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით. ბრალის ინსტიტუტის ისტორიული გენეზისი საქართველოში შეიძლება სწორედ მათ მიხედვით იყოს წარმოჩენილი. ამ თვალსაზრისით კი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საქართველოს ის მთის რეგიონები, სადაც ჩვეულებითი სამართლის პრიორიტეტული მნიშვნელობა XIX-XX საუკუნის მასალებით დასტურდება (უპირველეს ყოვლისა, მხედველობაშია ხევსურეთი და ზემო სვანეთი). საერთოდ ითვლება, რომ იმ საზოგადოებისათვის, სადაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვეულებითი სამართალი, ძირითადად დამახასიათებელია ობიექტური შერაცხვის პრინციპის დომინირება. საინტერესოა, რა სურათი გვაქვს ამ მხრივ ქართულ ჩვეულებით სამართალში. სამწუხაროდ, ბრალის საკითხი ქართულ ჩვეულებით სამართალში არაა

[1] ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, I, თბ., 1946, 137-138.

[2] იქვე, 153.

[3] იქვე, 190-193.

სათანადოდ შესწავლილი და ამ ხარვეზის გამოსწორებას ნაწილობრივ შევეცდებით.

1. ბრალის ფორმები და მათი აღმნიშვნელი ტერმინები ქართულ ჩვეულებით სამართალში

სანამ განვიხილავთ ობიექტური თუ სუბიექტური შერაცხვის პრინციპების გამოვლინებას ქართულ ჩვეულებით სამართალში, გვინდა შევეხოთ იმას, თუ როგორი წარმოდგენა ფიქსირდება ბრალის ფორმებთან დაკავშირებით XIX-XX საუკუნის ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით და რა ტერმინებით მოიხსენიებენ მათ საქართველოს მთის რეგიონების ჩვეულებითი სამართლის მცოდნე ადგილობრივი წარმომადგენლები.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პერიოდის მასალებით საქართველოს ზოგიერთ მთის რეგიონში ფიქსირდება ობიექტური შერაცხვის პრინციპების გარკვეული გამოვლინებანი, ადგილობრივი ინფორმატორები მაინც ცალსახად განასხვავებენ განზრახ ჩადენილ დანაშაულს განზრახვის გარეშე (შემთხვევით, გაუფრთხილებლობით) ჩადენილი დანაშაულისაგან და საზოგადოებაში დამკვიდრებულ შესაბამის ტერმინებსაც იყენებენ მათ აღსანიშნავად. ეს ხევსურეთსაც კი ეხება, სადაც საქართველოს რეგიონებიდან ყველაზე მეტად შემორჩა ობიექტური შერაცხვის პრინციპების მოქმედება (ეს აქ ჩაწერილი XX საუკუნის დასასრულის მასალებითაც დასტურდება და ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი ბრალის ფორმებზე საუბრისას განმარტავს: „შემთხვევით მკვლელობას „იშობრათ“ კვლა ჰქვია, ხოლო, თუ განზრახ მოკლა, ამას გიზმაობით მკვლელობას ვეძახით. გიზმაობით იმიტომ ქვია, რომ კაცი კაცს ეტყვის: „ამ საქმეს გიზამ – მოგკლავო,“ რასაც შემდეგ ალასრულებს კიდეც. ამიტომ ასეთ მკვლელობას გიზმაობით მკვლელობას ვეძახით. „იშობრად“ სიდანაა წარმოებული არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ ამ დროს კაცს არ უნდა კაცის სიკვდილი და ისე მოხდების, შემთხვევით.“[1] ანალოგიური განმარტებები ჩვეულებრივია ხევსური ინფორმატორებისათვის. იმავეს ადასტურებს გამოჩენილი ქართველი ეთნოლოგი რ. ხარაძე. იგი მის მიერ ხევსურეთში ჩაწერილი მასალების საფუძველზე მიუთითებს: „ხევსურული რჯული ასხვავებს

[1] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №3, 1977, 17.

ერთმანეთისაგან მკვლელობის ორ სახეს: იშობრად მოკლულს და გიზამობით მოკლულს. პირველი უცაბედად, წინასწარი განზრახვის გარეშე მოკლულს გულისხმობს (შდრ. საბა, იშობრივ — ფათერაკსავით, ფათერაკად), მეორე კი წინასწარი განზრახვით, წადილით მოკლულს გულისხმობს."[1] ამრიგად, ხევსურული ჩვეულებითი სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს განზრახ და შემთხვევით (გაუფრთხილებლობით) ჩადენილ დანაშაულებს. განზრახ დანაშაულს „გიზამობით," „გიზამობით" ჩადენილ დანაშაულს, ხოლო შემთხვევით, განზრახვის გარეშე დანაშაულს „შემთხვევით", ანუ „იშობრად" ჩადენილს უწოდებენ. ტერმინ „გიზამობის" წარმოშობას კარგად ხსნის ხევსური ინფორმატორი და იგი ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშია გავრცელებული. რაც შეეხება ტერმინს „იშობრად," იგი საკმაოდ კარგად ცნობილი და ძველი ტერმინია და ჯერ კიდევ „მცირე სჯულისკანონში" გვხვდება უნებლიე მკვლელობასთან დაკავშირებით. ალ. ვაჩეიშვილის განმარტებით, „მცირე სჯულისკანონში" ტერმინი „იშობრივ" „ფათერაკის" მნიშვნელობითაა ნახმარი,[2] რაც სრულად ეთანხმება „იშობრობის" სულხან-საბასეულ განმარტებას. თავისთავად საინტერესო ფაქტია, რომ იმავე მნიშვნელობით ეს ტერმინი ხევსურულ „რჯულს" ფაქტობრივად დღემდე შემორჩა. ხევსური ინფორმატორები შემთხვევით ჩადენილი დანაშაულის აღსანიშნავად ფათერაკსაც იყენებენ.[3] მასალებში ზოგჯერ „იშობარის" მნიშვნელობით გვხვდება „უგონებოდ," „უგონებლივ".[4]

რაც შეეხება განზრახვას, „გიზამობის" გარდა მის აღსანიშნავად ხევსურული ჩვეულებითი სამართლის მასალებში ვხვდებით ტერმინებს: „განგებ," „გონებით."[5]

---

[1] რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1947, 187.

[2] ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946, 148.

[3] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 18-19; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 24.

4 დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 89; ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/11, მოსისხლეობა ხევსურეთში, 122.

[5] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 24, 41, 54, 77; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1977, 17.

დაახლოებით იმავე სურათია ხევსურეთის მეზობელ ფშავშიც. ჯ. მერაბიშვილის განმარტებით, „ფშაური ჩვეულებითი სამართალი იცნობს ტერმინებს: „განგებ“, „მოფიქრებით,“.....„გიზამობას“, რომელსაც განზრახვის მნიშვნელობით ხმარობს და ტერმინებს – „შემთხვევით“, „უცაბედად“, „ფათერაკი“, „შემოკვდომა“, რომელშიც გაუფრთხილებლობის ან შემთხვევითობის ცნებას დებს.“[1]

სვანი ინფორმატორები მ. კეკელიასთან ქართულად საუბრისას განასხვავებენ „განზრახ“ და „უნებლიე“ დანაშაულს. განზრახვის გარეშე ჩადენილ დანაშაულს „ფათერაკსაც“ უწოდებენ.“[2] ა. დავითიანი თავის სვანურ მასალებში განზრახ მკვლელობას „ნებით“ მკვლელობას, ხოლო განზრახვის გარეშე მკვლელობას „უნებურ“ მკვლელობას უწოდებს.[3] ეგ. გაბლიანი კი საუბრობს „უცაბედად“ მომხდარ მკვლელობაზე.[4] მ. კეკელიას ინფორმატორები ბრალის ამ ფორმების სვანურ შესატყვისსაც გვთავაზობენ. ერთ-ერთის განმარტებით: „ნაბუშ დაგრა“ – განზრახი მკვლელობაა, ხოლო „უნბილათ დაგრა“ – გაუფრთხილებელი მკვლელობა.[5] მეორე ინფორმატორი: „ჩვენ განვასხვავებთ განზრახ „ნაბუშ“ (ქვემო სვანეთში „ნებუშ“) მკვლელობას თუ დაჭრას, უნებლიე, შემთხვევით „უნბილათ“ მკვლელობას თუ დაჭრას.“[6] იმავე ტერმინებს სხვა ინფორმატორებიც გვიდასტურებენ.[7]

---

[1] ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“, I თავის – „დანაშაული“ – მე-2 ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი,“ 3, გამომცემლობა „მეცნიერება,“ თბ., 1991, 38.

[2] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 25; ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 48; ეთნოგრაფიული რვეული №7, 1970, 20.

[3] ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რვეული №6, 73.

[4] ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, ტფ., 1927, 117.

[5] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 33.

[6] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968, 36.

[7] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 7, 8, 37-38. ლენჯერელი ინფორმატორები „უნებლით დაგრას“ ხმარობენ (მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 48). „ნაბუშ“ ფაქტობრივად ნებელობითი

გარკვეული მონაცემები ბრალის ფორმების აღმნიშვნელ ტერმინებზე საქართველოს სხვა კუთხეებში ჩაწერილ ჩვეულებითი სამართლის მასალებშიც გვხვდება.

აჭარელი ინფორმატორები შემთხვევის აღსანიშნავად აქ დამკვიდრებულ თურქულ ტერმინს — „ყეზად“ იყენებენ.[1] მაგალითად, შემთხვევით მკვლელობას — „ყეზად“ მკვლელობას ეძახიან.[2] მთიულეთში, კერძოდ, ქსნის ხეობაში, განზრახ მკვლელობას „სიმტერისით“ მკვლელობას უწოდებენ, ხოლო განზრახვის გარეშე მკვლელობას — „უცაბედად,“ „შემთხვევით“ მკვლელობას.[3] მესხეთში კი განზრახვის აღსანიშნავად იყენებენ ტერმინებს: „განგებ“, „ინტერესით“, „მოფიქრებით“, ხოლო შემთხვევითობის გამოსახატად კი — „ფათერაკით“, „უცბად“, „უცაბედად.“[4] ბრალის ფორმების აღმნიშვნელ საინტერესო ტერმინებს ვხვდებით მ. კეკელიას მიერ ხევში ჩაწერილ მასალებშიც. მოხევე ინფორმატორები ასევე განასხვავებენ განზრახ და შემთხვევით მკვლელობას. განზრახ მკვლელობას ისინი „განგებისაით“ მკვლელობას უწოდებენ, ხოლო შემთხვევით მკვლელობას — „უნებურ“ მკვლელობას.[5] ხევში ტერმინ „ფათერაკსაც“ იყენებენ.[6] საინტერესოა, რომ მოხევე ინფორმატორები განასხვავებენ „ფათერ-

---

მოქმედების აღმნიშვნელია („ნაბ“ — ნება). „უნბილათ“, „უნებლით“ უნებლიე, შემთხვევითი მოქმედების.

[1] მ. კეკელია, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 15, 51.

[2] გ. დავითაშვილი, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 16; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 51; ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1989, 68.

[3] მ. კეკელია, მასალები მთიულურ (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 2, 18, 22, 38, 76.

[4] მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1986, 25; ეთნოგრაფიული რვეული №2, 1986, 25-26; ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1986, 31.

[5] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1984, 48; ეთნოგრაფიული რვეული №2, 1984, 51, 68, 75, 82, 96; ეთნოგრაფიული რვეული №3, 1984, 15.

[6] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1984, 2.

აკს“ „უნებურისაგან“. მათი განმარტებით, თუ „უნებური“ დანაშაულისას პირი პასუხს აგებს, „ფათერაკი“ ყოველგვარ პასუხისმგებლობას გამორიცხავს.[1]

ახლა განვიხილოთ, თუ რას გულისხმობენ ზემოთ აღნიშნული ტერმინები, რა შინაარს დებენ მათში სხვადასხვა ავტორები თუ ჩვეულებითი სამართლის მცოდნე ადგილობრივი ინფორმატორები.

თავდაპირველად განზრახვის აღმნიშვნელი ტერმინების განმარტებებს შევეხებით. ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი აღნიშნავს, რომ „გიზამაობით“, „განგებ“ ჩადენილი მკვლელობა, წინასწარ განზრახული მკვლელობაა.[2] მეორე ინფორმატორის განმარტებით კი, მაგალითად, ჩხუბში თუ მოკლა კაცი, მაშინ ამბობენ გიზამობით მოკლაო, ე.ი. განგებ მოკლაო, იმავეა თოფით მოკვლა, ხმლით მოკვლა და ა.შ. მისივე თქმით, „გიზამობით მკვლელობაა ყველა შემთხვევაში, მაშინ როცა სისხლის აღების მიზნით კლავ.“[3]

საინტერესოა, რომ ზოგიერთი ხევსური ინფორმატორი ერთმანეთისაგან განასხვავებს „განგებ“ და „გიზამაობით“ ჩადენილ დანაშაულებს. მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით, „განგებ“ მკვლელობაა მაშინ, როდესაც მეხელეს (მკვლელს) კლავენ შურისძიების მიზნით, ანუ წინასწარი განზრახვით, ხოლო „გიზამაობით“ მკვლელობაა, როდესაც ჩხუბის დროს კლავენ კაცს.[4] კიდევ ერთი ინფორმატორი იმეორებს ფაქტობრივად იმავეს. მისი განმარტებით: „განგებ მკვლელობა ისაა, როცა წინასწარ განსაზღვრული გაქვს კაცის მოკვლა, მაგ., სისხლის აღება ყველა განგებ მკვლელობაა, გიზამობით — მაგ., ჩხუბში წვერით რომ დაკრავ ხანჯალს და მოკლავ.“[5] როგორც ვხედავთ, ეს ინფორმატორები ორივე ტერმინს („განგებ“, „გიზამაობით“) განზრახვის მნიშვნელობით ხმარობენ, თუმცა მათთვის „განგებ“ ჩადენილი დანაშაული ეს წინასწარი განზრახვით, წინასწარი მოფიქრებით ჩადენილი დანაშაულია (მაგალ-

[1] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №2, 1984, 75, 89.

[2] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №3, 1977, 17.

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 24.

[4] იქვე, 54.

[5] იქვე, 77.

ითად, შურისძიებით მკვლელობა), ხოლო „გიზამაობით“ ამის გარეშე ჩადენილი, მაგალითად, სპონტანურად წარმოქმნილი ჩხუბისას (რაც ხევსურეთში ხშირად ხდებოდა, განსაკუთრებით სიმთვრალეში) განზრახ ჩადენილი მკვლელობა, რომელიც, ცხადია, წინასწარ მოფიქრებული ვერ იქნებოდა. ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხევსურეთში ტერმინები „განგებ“, „გიზამაობით“ ზოგადად განზრახი დანაშაულის გამოსახატად გამოიყენება, თუმცა ზოგიერთი ინფორმატორის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შესაძლოა, ხევსურეთში ეს ტერმინები ერთმანეთისაგან განსხვავებული მნიშვნელობითაც ეხმარათ, კერძოდ, განზრახვის სხვადასხვა სახის — წინასწარი განზრახვითა და წინასწარი განზრახვის გარეშე — აღსანიშნავად.

საქართველოს სხვა კუთხეებში დაფიქსირებულ ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში განზრახვის რაიმე სახეების გამოყოფას ვერ ვხვდებით. განზრახვის აღმნიშვნელი ტერმინები ზოგადად გამოხატავს ბრალის ამ ფორმის შინაარს. ადგილობრივი ინფორმატორები თუ ცალკეული ავტორები განზრახვის აღმნიშვნელ ტერმინებში დამნაშავის ნებელობას გულისხმობენ და მათ ყველა იმ დანაშაულს უკავშირებენ, რომელიც დამნაშავის ნება-სურვილით ხორციელდება.

ახლა რაც შეეხება შემთხვევითი დანაშაულის აღმნიშვნელი ტერმინების შინაარსს.

როგორც დავინახეთ, ფშავ-ხევსურეთში შემთხვევის აღმნიშვნელი ყველაზე გავრცელებული ტერმინი „იშობარია.“ ალ. ოჩიაურის განმარტებით, „იშობარი“ უცბად, მოულოდნელად, უნებურად, თავის სურვილის გარეშე, შემთხვევით ჩადენილი დანაშაულია.[1] მისი თქმით, „იშობარია“, მაგალითად, როდესაც პირი ხანჯლის მოქნევის შედეგად დაჭრის არა იმას, ვისი დაზიანებაც სურდა, ან თუ თოფი გაუვარდა და შემთხვევით სხვას მოხვდა.[2] „იშობრობას“

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/1, მოსისხლეობა ხევსურეთში, 2.

[2] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, ხელნაწერი, რვეული №1, 7. ალ. ოჩიაურს „იშობარი“ მკვლელობის მაგალითად მოჰყავს კონკრეტული შემთხვევა, როდესაც მონადირეს შემთხვევით გაუვარდა თოფი და მისი ამხანაგი შემოაკვდა (ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/1, მოსისხლეობა ხევსურეთში, 7). ასევე ალ. ოჩიაურის მასალებში გვხვდება კონკრეტული ფაქტები, როდესაც პიროვნებას ჩხუბისას სურს დააზიანოს ერთი პიროვნება, მაგრამ მის მიერ მოქნეული ხანჯალი მას ასცდება და სხვას მოხვდება. რადგან მისი დაზიანება დამნაშავეს არ სურდა, ამიტომ მისი ქმედება ყველა ამ შემთხვევაში „იშობრად“ ჩადენილ დანაშაულად ჩაითვალა. მოვიყვანთ ორ კონკრეტულ შემთხვევას. პირველი: „სიმთვრალის დროს

ანალოგიური შინაარსით ახასიათებენ XX საუკუნის დასასრულის ინფორმატორებიც. ერთ-ერთი მათგანი განმარტავს: „იშობრად ნიშნავს, მაგალითად, მე ვიწევდი ამ კაცისკენ და მეორე შემომეჭრა. იშობრივ იხმარება როგორც მკვლელობის დროს, ისე დაჭრის დროს.“[1] მეორე ინფორმატორის თქმით, „იშობრად“, ანუ შემთხვევით ჩადენილ დანაშაულად ითვლება, მაგალითად, როდესაც პირს უნდოდა სხვისი დაჭრა, მაგრამ ისეთ ადგილას მოუხდა, რომ მოკლა, ასევე, დათვის მაგივრად კაცი რომ მოკლა.[2] ჩხუბისას გამშველებლის მოკვლა, ან დაჭრა ასევე „იშობრად“ ითვლება,[3] რადგან ამ დროს ზიანი ადგება არა იმ პიროვნებას, რომლის დაჭრის სურვილი ჰქონდა მოჩხუბარს.[4] „იშობრობის“ ასეთივე ახსნა სხვა ინფორმატორებთანაც გვხვდება.[5]

„იშობარის“ ანალოგიურ შინაარსს დებენ ტერმინებში „უნებური“, „უნებლიე“ სვანეთში. ა. დავითიანი განმარტავს: „ხშირ მკვლელობათა შორის სვანეთში ხშირად ხდებოდა უნებური მკვლელობა. ასეთი მკვლელობა განზრახი მკვლელობისაგან გარკვევით განსხვავდებო-

---

იშულლეს ახიელელებმა და ამღვივნელებმა. ამღიონმა ბავშვალათ გაგამ ხანჯარი გაუშვა სხვა კაცისკენ წვერით დასაკრავად. როგორღაც იმ კაცს ასცდა და სხვა კაცს მოხვდა მუცლის არეში..... ბავშვალათ გაგას ეს თავის უნებურად მოუვიდა“ (ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/6, მოსისხლეობა ხევსურეთში, 71). მეორე: მთვრალმა ბიძურამ სხვებს შარი აუტეხა, მაგრამ არავინ აჰყვა. ბოლოს თოთიას სილა შემოჰკრა. ფხიზელი არც თოთია იყო, ამოიღო ხანჯალი და ბიძურას გაუქანა წვერით. ხანჯალი ბიძურას ასცდა და ჩონქარათ აპარეკას მოხვდა ბარკალში. აპარეკამ უპასუხა: იშობარი მოგივიდა, არ მოგკლავ, გაშორდი აქაურობას ჩვენებმა არ მოგისწრონო (ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/6, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 69).

[1] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1977, 25.

[2] კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1977, 17.

[3] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 61.

[4] ალ. ოჩიაურს მოჰყავს რამდენიმე კონკრეტული ფაქტი ჩხუბში გამშველებლის დაჭრისა, რაც „იშობრად“ ჩადენილ დანაშაულად ჩაითვალა. დაჭრილმა დამჭრელს აპატია სწორედ იმიტომ, რომ ზიანის მიყენება „იშობრად“ მოხდა (ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/6, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 64, 67).

[5] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 24, 54, 77.

და. მკვლელს შეცდომა მოსდიოდა და შემოაკვდებოდა უდანაშაულო კაცი, რომელთანაც მტრობა არც ჰქონია და არც უფიქრია. ამ რიგის მკვლელობა ხდებოდა თოფის შეცდომით გასროლით, ჩხუბში გამშვებლის მოკვლით, ნადირობაში შეცდომით და სხვა.“[1] მ. კეკელიას მიერ XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისში ზემო სვანეთში ჩაწერილი მასალების მიხედვითაც არის საუბარი აღნიშნულ საკითხზე. ერთ-ერთი ინფორმატორი განმარტავს, რომ „უნებლიე“ მკვლელობაა, როდესაც, მაგალითად, „თოფით ვთამაშობ, გამივარდა და კაცი მოკლა, ან მთიდან დავაცურე ხე ძირს, კაცი მდგარა, დაეჯახა და მოკლა, ასევე ჭიშკარი ვერ გავაკეთე კარგად, ვთქვი, ხვალ გავაკეთებ-თქო, მაგრამ იმავ საღამოს მიეყრდნო მეზობელი, წაიქცა და მოკლა.“[2] სხვა ინფორმატორის თქმით კი, თუ ტყეში თოფი ვესროლე დათვს და მოხვდა კაცს, ესაა უნებლიე მკვლელობა. აშკარად ჩანს დათვის მოკვლა მინდოდა თუ კაცის.[3] ინფორმატორთა ზოგადი შეფასებით, „უნებლიე“ დანაშაულია სახეზე, მაშინ, როდესაც დანაშაულებრივი შედეგი დამნაშავის ნებასურვილის საწინააღმდეგოდ დადგა.[4]

ანალოგიურია მოხვევი ინფორმატორების დამოკიდებულება ტერმინისადმი „უნებურად.“[5] აქაც, თუ ერთ პიროვნებას სურს დააზიანოს მეორე, თუმცა ზიანს მიაყენებს სხვას, ითვლება „უნებურ“ ზიანად. ერთ-ერთი მოხვევი ინფორმატორი იხსენებს: „ჩვენში მოხდა ასე. კაცი სხვისკენ გადიოდა ხანჯალ ამოღებული და სულ სხვა შეებუცა ზედ. ეს განზრახვის გარეშეა.“[6]

ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ აქ მოყვანილი ტერმინები: „იშო-

---

[1] ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რვეული №6, 73.

[2] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 33-34.

[3] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 3.

[4] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 48; ეთნოგრაფიული რვეული №7, 1970, 20.

[5] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1984, 48.

[6] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1984, 51.

ბრად", „უნებურად", „უნებლიეთ", „ფათერაკით", „შემთხვევით" დღევანდელი გაგებით მოიცავს როგორც გაუფრთხილებლობას, ისე შემთხვევას, კაზუსს, ანუ შეიძლება მათი დაკავშირება განზრახვის გარეშე, დამნაშავის ნება-სურვილის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთან. ამ საკითხზე ანალოგიურ დასკვნას აკეთებენ ჯ. მერაბიშვილი და დ. ჯალაბაძე ფშაურ ჩვეულებით სამართალში ფათერაკის ინტიტუტთან დაკავშირებით. მათი განმარტებით, ჩვეულებითი სამართალი ვერ მიჯნავს ერთმანეთისაგან გაუფრთხილებლობასა და შემთხვევას, რასაც ფშავში ორივეს მომცველი ფათერაკის ინსტიტუტიც მოწმობს.[1]

ინფორმატორთა მიერ მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, თოფის შეცდომით გავარდნის, ნადირობისას შეცდომის გამო ვინმეს დაზიანება, ერთი პიროვნების ნაცვლად შეცდომით სხვა პირის (აქედან გამომდინარე, ჩხუბში გამშველებლის) მოკვლა თუ დაჭრა, მთიდან ხის მორის დაცურებისას მთის ქვეშ მდგარი პიროვნების მოულოდნელი დაზიანება და სხვა განზრახვის გარეშე ჩადენილ დანაშაულთა რიგში ერთიანდება და „იშობრად", „უნებლიეთ", „უნებურად", „ყეზად", „შემთხვევით", „ფათერაკით" ჩადენილ დანაშაულებად მოიხსენიება. როგორც მასალებში გამოჩნდა, განზრახვის გარეშე, „უნებლიეთ" მომხდარი დანაშაული შესაძლოა უმოქმედობით ჩადენილიყო. მაგალითად, როგორც ზემოთ დავინახეთ, ერთ-ერთი სვანი ინფორმატორი „უნებლიე" მკვლელობათა რიგს მიაკუთვნებს შემთხვევას, როდესაც პიროვნება სათანადოდ არ გააკეთებს ჭიშკარს, საქმის დასრულებას გადადებს მეორე დღისთვის, მაგრამ იმავე საღამოს სხვა პიროვნება მიეყრდნობა მას, წაიქცევა და მოკვდება. როგორც ჩანს, ჭიშკრის პატრონი პასუხს აგებს დაუდევრობისათვის, რომ მის მიერ საქმის ბოლომდე მიუყვანლობამ დანაშაულებრივი შედეგი, კერძოდ, ადამიანის სიკვდილი გამოიწვია.

საერთო ტენდენციიდან გარკვეული გამონაკლისი გვხვდება მ.

---

[1] ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თავის – „დანაშაული" – მე-2 ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1991, 39; დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში (ფშავის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით), გამომცემლობა „უნივერსალი," თბ., 108.

კეკელიას მიერ ხევში ჩაწერილ მასალაში. როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი მოხევე ინფორმატორი „უნებურ“ დანაშაულს განასხვავებს „ფათერაკისაგან.“ ერთ-ერთი ინფორმატორი, რომელიც საუბრობს „უნებურ“ მკვლელობაზე, იქვე მიუთითებს, რომ ხევში არსებობს სხვა გამოთქმაც — „ფათერაკი.“ მისი განმარტებით, „ფათერაკი“ მაშინაა, როცა პიროვნება გადავარდება კლდიდან, ან მას წყალი წაიღებს, „ე. ი. ფათერაკის დროს მე არაფერ შუაში არა ვარ.“[1] მეორე ინფორმატორი ასევე გამოყოფს „ფათერაკს.“ მისი თქმით, „წამიწუმის თანა“ რომ მოხდება, ამას ფათერაკი ქვია. „წამიწუმის თანა“ იმას ქვია, რომელიც ყოველ წუთში შეიძლება მოხდეს.“[2] კიდევ ერთი ინფორმატორი კონკრეტული ფაქტის მიხედვით ცდილობს გამიჯნოს „ფათერაკი“ „უნებური“ დანაშაულისაგან. იგი იხენებს: „მაგალითად, ჩემ ბიძაშვილს რომ მოუვიდა, ეს ფათერაკი იყო. მიდიოდა დედა და შვილი, დედამ ბავშვს წამოარტყა თავში, ბავშვი გაიქცა და მანქანას შეუარდა უკანა თვალში. რომ წინ შევარდნოდა, მაშინ იქნებოდა გაუფრთხილებლობა.“[3] ამ მონაცემებიდან ერთი შეხედვით ჩანს, რომ ხევის ჩვეულებითი სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს გაუფრთხილებლობასა და შემთხვევას თანამედროვე გაგებით. ჩვენი აზრით, ეს ცალსახად გამოკვეთილი არაა. ერთი რამ შეიძლება ითქვას, რომ ხევში ტერმინი „ფათერაკი“ ტერმინ „უნებურისაგან“ განსხვავებული შინაარსით იხმარება, მხოლოდ, მაინცდამაინც თანამედროვე გაგებით შემთხვევის, კაზუსის მნიშვნელობით არა. შემთხვევა, კაზუსი რომ იყოს სახეზე, უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი პირის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ხევში „ფათერაკი“, მ. კეკელიას მასალების მიხედვით, საერთოდ უბედური შემთხვევის აღმნიშნელია, რაც შესაძლოა სხვა პირის ზემოქმედების გარეშე დამდგარიყო, როდესაც არ იყო არავითარი მიზეზობრივი კავშირი სხვა პირის მოქმედებასა და დამდგარ უბედურ შემთხვევას შორის. იმავე შეიძლება ითქვას ერთ-ერთი ინფორმატორის მიერ აღწერილ შემთხვევაზე, როდესაც ბავშვი უკანა ბორბლებში ჩაუვარდა მანქანას.

[1] მ კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 48.

[2] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №3, 15.

[3] მ კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №2, 89.

აქაც შეიძლება ითქვას, რომ არ ჩანს უშუალო მიზეზობრივი კავშირი მძღოლის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, რის გამოც შეუძლებელია საუბარი მძღოლის მოქმედებაში კაზუსის არსებობა-არარსებობაზე. ხოლო ბავშვი წინა ბორბლებში რომ ჩავარდნოდა მანქანას, კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა ყოფილიყო გაუფრთხილებლობაც და შემთხვევაც, რასაც ხევში, ჩვენი აზრით, ტერმინი „უნებური“ გამოხატავს.

2. ობიექტური შერაცხვის პრინციპების გამოვლინება ქართულ ჩვეულებით სამართალში

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ როგორც ქართველ, ისე ჩრდილო-კავკასიელ მთიელთა ჩვეულებით სამართალში, საკმაოდ დიდხანს შემორჩა ობიექტური შერაცხვის პერიოდისთვის დამახასიათებელი ზემოთ აღნიშნული ელემენტები. ეს თვალნათლივ დასტურდება XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის ეთნოგრაფიული მონაცემებით.

საზოგადოებაში, სადაც მოქმედებს გვაროვნული სოლიდარობის პრინციპი, შურისძიებისა და კომპოზიციათა ინსტიტუტი, არსებითია ობიექტური შერაცხვის პრინციპი. დაზარალებული მხარისათვის მთავარია შედეგი, იგი დანაშაულში ხედავს მხოლოდ ზიანს და მისწრაფვის ამ ზიანის ანაზღაურების მიღწევისაკენ ან შურისძიებისაკენ.

ცნობილი მეცნიერი მ. კოვალევსკი ოსურ ჩვეულებით სამართალზე საუბრისას განმარტავს, რომ გვაროვნულ საზოგადოებაში დანაშაულებრივი ქმედებისას მსხვერპლის ნათესავთათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ზიანი და სრულიად უინტერესოა ეს ქმედება შეგნებულადაა ჩადენილი თუ შეუგნებლად, მას მათი მხრიდან მაინც შურისძიების დაგეგმვა მოჰყვება. ამიტომაა, რომ გვაროვნული საზოგადოებისათვის სრულიად უცხოა მცდელობის დასჯადობა, შემთხვევის გარჩევა განზრახვისაგან. ცხადია, გაუფრთხილებლობის, შემთხვევის, განზრახვის ასეთი აღრევა აიხსნება იმით, რომ დანაშაულის შეფასებისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ მისით მიყენებული ზიანი და საერთოდ უგულებელყოფილია დამნაშავის ბრალი. რადგანაც ოსები ყურადღებას აქცევდნენ მხოლოდ დანაშაულის ობიექტურ მხარეს, იმ კერძო ზარალს, რომელიც დაზარალებულს მიადგა, ისინი ბოლო

დრომდე პასუხს აგებინებდნენ მხოლოდ დანაშაულის უშუალო ჩამდენთ და არა წამქეზებელთ, ან დანაშაულის მცდელობის ჩამდენთ.[1]

გვაროვნული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სუბიექტური შერაცხვის ფაქტორის ასეთი იგნორირება ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ჩვეულებით სამართალში არაერთი მაგალითით დასტურდება. კერძოდ, 1859 წელს ჩაწერილ ოსურ ადათთა კრებულში ვკითხულობთ: თუ მთელი სისწრაფით მორბენალი ცხენი სრულიად შემთხვევით კაცს გაიტანს და დაზარალებული მოკვდება, ამ უკანასკნელის ნათესავები ყოველნაირად ცდილობენ, სისხლი აიღონ, ხოლო თუ საქმეს სამედიატორო სასამართლო განიხილავს, დამნაშავე მხარეს დაეკისრება სრული სისხლის გადახდა, ე.ი. შედეგი ისეთივეა, როგორიც, ჩვეულებრივ, განზრახ მკვლელობას მოჰყვებოდა. ასევე, განზრახი მკვლელობის ჩამდენის მსგავსად, სდევნიან ნადირობისას სრულიად შემთხვევით მოკლულის მკვლელს.[2] დანაშაულის სუბიექტური მხარის იგნორირება კარგად ჩანს ოსური სამართლის იმავე კრებულში მოტანილ მაგალითში, რომლის მიხედვითაც, თუ თოფის ქურდობისას სრულიად შემთხვევით თოფი გაისვრის და ქურდს მოკლავს ან დაჭრის, მოკლულის ნათესავები თოფის პატრონს ისევე სდევნიან, როგორც ნამდვილ მკვლელს, ხოლო დაჭრის შემთხვევაში მოითხოვენ შესაბამისი გადასახადის გადახდას მისგან.[3] მსგავსი ვითარება დასტურდება სხვა ჩრდილოკავკასიელ მთიელებშიც. მაგალითად, მკვლელობა ჩადენილი ნებისმიერ გარემოებაში — ჩხუბში, წინასწარი განზრახვით, შემთხვევით, ან თუნდაც თავდასხმისაგან თავდაცვის მიზნით, ჩეჩნეთში იწვევდა „კანლის“ (სისხლის აღების).[4] ინგუშეთშიც განზრახი თუ შემთხვევითი მკვლელობისას იდენტური გადასახადი იყო გათვალისწინებული.[5]

ობიექტური შერაცხვის პრინციპისათვის დამახასიათებელი ტენდენციები ქართულ ჩვეულებით სამართალშიც შეიმჩნევა. ნ. ხიზანაშვილი ხევსურულ სამართალზე საუბრისას ძალზე ზუსტად ახასიათებს ამ კუთხეში დანაშაულის სუბიექტური ფაქტორის გაუ-

[1] М. Ковалевскиий, Современный обычай и древний закон, М., Т. 2, 1886, 81, 93.

[2] იქვე, 91.

[3] მ. კოვალევსკი, იქვე, 92.

[4] Ф. Леонтович, Адаты Кавказских горцев, Т.2, Одесса, 1883, 129.

[5] იქვე, 148.

თვალისწინებლობის მომენტს. იგი წერს, რომ აქ „...სამართალს ყურადღება მიქცეული აქვს დანაშაულობის გარეგანს მხარეზედ და უარჰყოფს ბოროტ-მომქმედის ნებას, თუ რა შორს მიდის ამ ნების უარყოფობა, მტკიცდება იმით, რომ ხევსურულ სამართლისათვის სულერთია – შემთხვევით შემოგაკვდა კაცი, თუ განზრახ მოჰკალი იგი; კაცი როგორც უნდა შემოგაკვდეს, ზარალი ერთი და იგივეა.“[1] როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ ხევსურები განასხვავებდნენ განზრახ და განზრახვის გარეშე ჩადენილ დანაშაულებს და კარგად ესმოდათ, დანაშაული განზრახვითაა ჩადენილი თუ შემთხვევით, ამას დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. ეს განსაკუთრებით გამოკვეთილად მკვლელობასთან დაკავშირებით ჩანს. ხევსურეთში მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება მთლიანად ობიექტური შერაცხვის პრინციპს ეფუძნება. ხევსური რჯულით (სამართლით) არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მკვლელობა ვისი მიზეზით მოხდა, რა მოტივით, განზრახაა ჩადენილი თუ განზრახვის გარეშე, მას ნებისმიერ შემთხვევაში შესაძლოა შურისძიება მოჰყვეს, ხოლო მხარეთა შერიგებისას, შემთხვევით მკვლელობის ჩამდენს იმავე ოდენობის კომპოზიციის გადახდა უწევს და იმავე ვალდებულებების შესრულება, რაც განზრახ მკვლელობის ჩამდენს. ეს კარგადაა გამოხატული ალ. ოჩიაურის მასალაში. მისი განმარტებით, „... კაცი რომ მოკვდეს, მაინც თავი დაედება, არაფერი არ შეელის, არც იშობრობა და არც სხვა. ხევსურები იტყოდნენ, „მაგან მამკლ, თუნდაც კოცნით მოვეკალ იარაღით კი არ, მაინც მაგისგან მამიკვდ„. აიღებდნენ იარაღს და ეძებდნენ მკვლელს და იმის ნათესავებს მასაკლავად და სისხლის ასაღებად, მკვლელი და მისი მოგვარეები გაიხიზნებოდნენ და იმალებოდნენ.„[2] აქ მოცემული ფორმულა – „თუნდაც კოცნით მოვეკალ იარაღით კი არ, მაინც მაგისგან მამიკვდ“ – აშკარად მიუთითებს, თუ რამდენად ძლიერია ხევსურეთში საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ობიექტური შერაცხვის პრინციპების გავლენა. ეს ფრაზა მ. კეკელიას და მის მიერ დაარსებული „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის“ თანამშრომელთა მიერ XX საუკუნის 80-იან წლებში ხევსურეთში ჩაწერილ მასალაშიც არაერთხელ გვხვდება. ერთ-ერთი ინფორმატორი მიუთითებს: „ჩვენთან ნათქვამია – კოცნაში რომ მოკლან

[1] ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 46-47.

[2] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/1, მოსისხლეობა ხევსურეთში, 12.

კაცი, მაინც მკვლელია, ასე რომ, პატიება არ შეიძლება."[1] მეორის თქმით: „მკვლელობისას მნიშვნელობა არ ჰქონდა, გინდ კაცი კოცნაში მოგეკლა, მაინც სისხლს აიღებდა."[2] ამ ფრაზაში გამოხატულ აზრს ადასტურებს ამ პერიოდის უკლებლივ ყველა ინფორმატორი, რომელიც აღნიშნულ საკითხს ეხება. ისინი ერთხმად აცხადებენ, რომ ხევსურეთში არა აქვს მნიშვნელობა მკვლელობა განზრახ მოხდა, თუ იშობრივ, მკვლელს თავი მაინც დაედება (ანუ მკვლელობისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრება).[3]

როგორც ვხედავთ, მკვლელობისათვის პასუხისმგებლობა XX საუკუნის ბოლოსაც, ხევსურულ ჩვეულებით სამართალში, ობიექტური შერაცხვის პრინციპზე დაფუძნებული დარჩა. ალ. ოჩიაურის მასალებში მოტანილია არაერთი კონკრეტული ფაქტი, როდესაც იშობრად მკვლელობას ფაქტობრივად იმავე შედეგი მოჰყვა, რაც განზრახი მკვლელობისას იქნებოდა. მაგალითად, სოფელ ჯუთაში, ამღელ თათარა წიკლაურს, გაშველებისას, სრულიად შემთხვევით შემოაკვდა ადგილობრივი მკვიდრი, თავისი უახლოესი მეგობარი. ეს ამბავი მან ძალზედ განიცადა და თავდაპირველად თავის მოკვლაც კი გადაწყვიტა, თუმცა შემდეგ იფიქრა, რომ მოკლულის ახლობლები მის ძმა-ბიძაშვილებს ამ მკვლელობას მაინც არ აპატიებდნენ და პასუხს მოსთხოვდნენ. ამიტომ თავის მოკვლის ნაცვლად უფრო მიზანშეწონილად ჩათვალა, მოკლულის ძმებს თვითონ იგი მოეკლათ და პირდაპირ მათ სახლში შევარდა, სადაც მხოლოდ მოკლულის ცოლი დახვდა. ამ უკანასკნელს კიდევ სისხლის დაღვრა აღარ სურდა და მკვლელს წასვლა ურჩია, შემდეგ მოვიდნენ სხვებიც და მკვლელი იქაურობას განარიდეს. ყოველივე ამას, მიუხედავად მკვლელობის შემთხვევით ჩადენისა, მოჰყვა მოკლულის ძმების მიერ მკვლელის ძებნა შურის საძიებლად, მკვლელის გახიზვნა ოჯახიდან და სხვა. ასევე, მოკლულის მხარემ, რიგის ყენებაზეც[4] (რაც ხევსურეთში

---

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 24.

[2] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 61.

[3] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 18, 40; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 41, 54, 75.

[4] „რიგის ყენება" მკვლელობის საქმეზე მხარეთა შერიგების საკმაოდ რთული

მხარეთა შერიგების წინაპირობა იყო) კატეგორიული უარი თქვა. მოკლულის ძმები ძალზედ ამაყი და თავმომწონე მამიშვილობიდან იყვნენ და მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი მკვლელის ან მისი ძმა-ბიძაშვილების მოკვლა, ხოლო რიგის ყენებაზე დათანხმება მათ დიდ სირცხვილად მიაჩნდათ, „ჩვენ რიგის ყენებით რა კაცობა მოგვემატებაო,“ — ეუბნებოდნენ ისინი რიგის ყენებაზე დათანხმების სათხოვნად უამრავჯერ მოსულ შუაკაცებს, მოკვლის მიზნით უსაფრდებოდნენ ხოლმე მკვლელს და მის ძმა-ბიძაშვილებს, მაგრამ ამაოდ. ეს უკანასკნელნი სხვადასხვა ადგილას იმალებოდნენ, საჭიროებისას სხვის ტანსაცმელს იცვამდნენ და ისე გამოდიოდნენ. მოკლულის მხარე რიგის ყენებაზე წლების შემდეგ დათანხმდა, როდესაც მოკლულის ორი ძმა გარდაიცვალა და დარჩენილმა ერთადერთმა ძმამ შუაკაცთა არაერთგზისი თხოვნა ბოლოს და ბოლოს შეისმინა.[1] მრავალმხრივ საინტერესო ფაქტია. მიუხედავად იმისა, რომ ხევსურეთში იშობრად მკვლელობისას რიგის ყენებაზე და აქედან გამომდინარე, შერიგებაზე დათანხმება უფრო ადვილად ითვლება, ვიდრე განზრახი მკვლელობისას, ამ შემთხვევაში ასე არ მოხდა. რიგის ყენებაზე დათანხმება ისევე გართულდა, როგორც განზრახი მკვლელობისას, ხოლო მოკლულის ძმებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მკვლელი ან მისი რომელიმე ძმა-ბიძაშვილი მოეკლათ, ხოლო მკვლელობა რომ იშობრად მოხდა და თვითონ მკვლელმა ძალზედ განიცადა ეს, ყურადღება საერთოდ არ მიუქცევიათ. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ხევსურეთში იშობრად მკვლელობისას შერიგების შედარებით იოლად მიღწევა ზოგადი ტენდენციის მაჩვენებელია და არ ნიშნავს, რომ

და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ხევსურულმა რჯულმა შექმნა, როგორც სისხლის აღების ალტერნატიული მექანიზმი. „რიგის ყენება“ აფერხებს შურისძიებას და არცთუ იშვიათად მკვლელის მხარე, რომელიც „რიგს უყენებს“ მოკლულის მხარეს და სათანადოდ შეასრულებს მასთან დაკავშირებულ ყველა მოთხოვნას (ასევე შერიგების პროცესის სხვა კომპონენტებს), აღწევს სისხლის აღების თავიდან აცილებას და დიდი დროისა და ხანგრძლივი ძალისხმევის შემდეგ ხდება მხარეთა საბოლოო შერიგება. რიგის ყენება გულისხმობს ყოველწლიურად, დათქმულ დღეს (ეს უნდა იყოს რაიმე დღეობა) მოკლულის ოჯახისათვის მკვლელის მიერ საკლავის გაგზავნას, სანამ არ მოხდება მხარეთა საბოლოო შერიგება. ასევე არსებობს სხვადასხვა სახის რიგი, რომელსაც მკვლელის ნათესავები ერთჯერადად უხდიან მოკლულის ნათესავებს. ესაა: საგვარო რიგი, საძმო რიგი, სადედო რიგი, სამამიდო რიგი, სადო რიგი.

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/2, 7/3, მოსისხლეობა ხევსურეთში, 20-26.

ყოველთვის ასე ხდებოდა. როგორც ჩანს, ეს დაზარალებულ მხარეზე იყო დამოკიდებული და სავსებით შესაძლებელია კონკრეტულ ვითარებაში იგი ისევე მოქცეულიყო, როგორც აღწერილ შემთხვევაში მოიქცნენ მოკლულის ძმები.

ალ. ოჩიაურის მასალებში სხვა ფაქტებიცაა აღწერილი, როდესაც იშობრად მკვლელობისას უაღრესად გართულდა შერიგება[1] და ისეთ შემთხვევასაც ვხვდებით, როდესაც ქალის იშობრად მკვლელობას მისი ძმის მხრიდან მკვლელის მოკვლა მოჰყვა.[2] აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობს საკმაო მონაცემი, მათ შორის ალ. ოჩიაურის მასალებში, სადაც ჩანს გაადვილებული შერიგება იშობრად მკვლელობის

---

[1] ვინმე გიგიტა ცისკარაული ე. წ. არხოტის ჭალას წასულა ჩირახის (ფიჭვის ძირის) დასამზადებლად (მას ცეცხლი კარგად ეკიდებოდა და არხოტელები იყენებდნენ ლამპის სანაცვლოდ). გიგიტა ამ მიზნით მაღალ, კლდიან ადგილას ავიდა, ერთი ფიჭვის ხის ძირკვი ამოთხარა და იმავეს გასაკეთებლად სხვა ადგილას გადავიდა. ამ დროს კლდიდან ქვები დაგორდა და ერთ-ერთი მათგანი მოხვდა ქალს, ლელა წიკლაურს, რომელსაც დიდი ჭრილობა მიაყენა, რისგანაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა. გიგიტაც და მის მიერ მოკლულის ოჯახში გაგზავნილი შუაკაცები უმტკიცებდნენ დაზარალებულ მხარეს, რომ ადგილი ჰქონდა იშობრად მომხდარ უბედურ შემთხვევას და ამის საფუძველზე ითხოვდნენ შერიგებას, თუმცა ამაოდ. გიგიტა იძულებული გახდა კახეთში გადასახლებულიყო. ბოლოს შერიგებაზე მას შემდეგ დათანხმდნენ, რაც გარდაცვლილი ქალის მამას და ძმებს რაღაც ავადმყოფობა შეეყარათ, რომელმაც ისინი ხანგრძლივი დროის განმავლობაში დატანჯა. ქალის მამამ, როგორც ეს ხევსურებმა მსგავს სიტუაციებში იცოდნენ, მკითხავებს მიმართა, მათ კი ეს დაუსრულებელი ავადმყოფობა მათზე არხოტის ჯვრის გაწყრომას მიაწერეს, გიგიტასადმი უსამართლო მოპყრობის გამო და გამოჯამრთელების მისაღწევად მასთან შერიგება მოსთხოვეს (ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/2, მოსისხლეობა ხევსურეთში, 15-19).

[2] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/11, მოსისხლეობა ხევსურეთში, 121-123. მსგავსი შემთხვევა მ. კედელაძის საარქივო მასალებშიც გვხვდება. მხედველობაში გვაქვს ამ მასალებში აღწერილი ლიქოკის ხეობაში მომხდარი ფაქტი, როდესაც აბიკა ლიქოკელმა შემთხვევით მოკლა სუმბატ ლიქოკელი. მოკლულის ახლობლებმა კი ამის საპასუხოდ მკვლელი, ანუ შემთხვევით მკვლელობას წინასწარგანზრახული საპასუხო მკვლელობა მოჰყვა, რის გამოც მკვლელობათა ჯაჭვის გაგრძელება დადგა დღის წესრიგში, რაც მთელი ლიქოკის თემის ჩარევის შედეგად იქნა აღკვეთილი (მ. კედელაძე, პირადი არქივი, ხევსურული მასალები, რვეული №23, 12-13. მ. კედელაძის პირადი არქივი ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში).

შემთხვევებში (მათ ქვემოთ შევეხებით), თუმცა, იშობრად მომხდარი მკვლელობისას, მიუხედავად იმისა, შერიგება შედარებით ადვილად მოხდა თუ რთულად, კომპოზიციის გადახდა ყველა შემთხვევაში იმავე მოცულობით ხდებოდა, რაც განზრახი მკვლელობის დროსაა, ხოლო შერიგებამდე, შესაძლოა, ჩვეულებრივ განხორციელებულიყო დაზარალებული მხარის წარმომადგენელთა მხრიდან მკვლელისა და მისი ნათესავების დევნა შურისძიების მიზნით. ამასთან დაკავშირებით, სამართლიანად შენიშნავს მ. კოვალევსკი სწორედ ხევსურეთზე საუბრისას, რომ სისხლის აღება და მისი შემცვლელი გამოსასყიდი სავალდებულოა მკვლელობის ყველა შემთხვევაში, იქნება ის განზრახი, გაუფრთხილებელი თუ შემთხვევითი, ჩადენილი წინასწარ შემუშავებული გეგმით თუ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში.[1]

ის, რომ დანაშაულებრივი შედეგი განმსაზღვრელი იყო პასუხისმგებლობის დაკისრებისას და არა დამნაშავის სუბიექტური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი დანაშაულისადმი, იმაშიც გამოიხატება, რომ, თუ პიროვნება არა მკვლელობის მიზნით დაჭრიდა მეორეს, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ დაჭრილი ამ ჭრილობის გამო გარდაიცვლებოდა, დამნაშავე პასუხს დამდგარი შედეგის მიხედვით აგებდა, ანუ მკვლელობისათვის, თუნდაც, დაჭრილის გარდაცვალება ჭრილობისათვის სათანადო ყურადღების მიუქცევლობის (მაგალითად, უყურადღებობის მიზეზით ჭრილობაში ინფექციის შეჭრას მისი დაჩირქება, გართულება და დაჭრილის გარდაცვალება მოჰყვა), ან არასწორი მკურნალობის შედეგად დამდგარიყო. ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორის განმარტებით: „....სიმთვრალეში მომხდარი ჩხუბის დროს ერთმანეთს დაჭრიდნენ, მაგრამ არა მკვლელობის მიზნით, თუმცა ჭრილობას თუ სიკვდილი მოჰყვებოდა, დამნაშავე მაინც მამკალ-მამკვდრობის წესით აგებდა პასუხს.“[2]

---

[1] М М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М.,. 1890, 117.

[2] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 53. არაერთი სხვა ინფორმატორიც მიუთითებს, რომ თუ პიროვნება მისი დაჭრიდან რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვლებოდა ამ ჭრილობის მიზეზით, დამჭრელი, თუნდაც მას არ ჰქონოდა მკვლელობის განზრახვა, მკვლელობისთვის აგებდა პასუხს. ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას, როდესაც პიროვნება დაჭრიდან შვიდ წელიწადში გარდაიცვალა, ხოლო დამნაშავეს მკვლელობისთვის დაეკისრა პასუხისმგებლობა (მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №6, 1977, 29;

ხევსურეთში ობიექტური შერაცხვის პრინციპი დაჭრა-დასახიჩრებისას პასუხიმგებლობის დაკისრების დროსაც ვლინდება. ალ. ოჩიაურის მასალებში ვკითხულობთ: „... ხევსურეთში მნიშვნელობა არა აქვს... ვისი ბრალი იყო და ვინ გამოიწვია ჩხუბი, ან რის შედეგად დაიჭრა კაცი. ანგარიშობენ მარტო ჭრილობებს. ესა თუ ის ჭრილობა, ხევსურეთის რჯულით როგორც არის შეფასებული, რითაც უნდა იყოს გამოწვეული ჭრა-ჭრილობა, ამას მნიშვნელობა სულ არა აქვს."[1] ე. ი. მთავარი შედეგი მიყენებული ზიანია და საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა მოტივით, ვისი მიზეზით დაიწყო ჩხუბი, რომელსაც შედეგად დაჭრა-დასახიჩრება მოჰყვა. ასეთი დამოკიდებულება გვიანობამდე შემორჩა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის დასასრულის მასალების მიხედვით, შემთხვევითი დაჭრის ან დასახიჩრებისას დრამის (კომპოზიციის) ოდენობა მცირდება (ამის შესახებ ასევე ქვემოთ ვისაუბრებთ).

ალ. ოჩიაურის მასალებში მოიპოვება სხვა მონაცემებიც, რომლებიც ასევე მიუთითებენ ხევსურეთში ობიექტური შერაცხვის პრინციპების გავლენას ცალკეულ შემთხვევებში პასუხისმგებლობის დაკისრებისას. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ცნობა ე. წ. „სამარხის" შესახებ. ალ. ოჩიაურის განმარტებით, „კაცი თუ ისე მოკვდა, რომ ბრალი სხვას ედება და მისი ხელით არ არის მომკვდარი, მკვდრის პატრონი ცდილობს თავი დასდოს და ის კი თავს არ იდებს, მაგის სიკვდილი ჩემი ბრალი არ არისო. ასე საარდარაოდ რომ გახდება საქმე, მაგალითად, თუ ვინმემ სადმე გაგზავნა ან გაიყოლა კაცი და ამ გზაზე შემთხვევით მოკვდა, მკვდრის პატრონი იტყვის: მაგას რომ არ გაეგზავნა არ მოკვდებოდაო, თავი უნდა დაიდოს, თუ არა მოვკლავო. აუტყდება კაცშუაკაცი და გაიყვანს რჯულში. რჯული ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტს სამარხს. სამარხი ქვიან იმას, რომ ამ შემთხვევაში ბრალდებულმა უნდა გადაუხადოს თექვსმეტი ძროხა დრამა."[2] როგორც ეხედავთ, ხევსურეთ-

---

მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1977, 25).

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/3, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 30.

[2] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, ხელნაწერი, რვეული №1, 10. დრამა — სასანიდთა ირანიდან შემოსული ფულისა და წონის ერთეულის სახელწოდება ფეოდალურ საქართველოში, რომელიც ხევსურეთში დღემდე შემორჩა სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული ქონებრივი საზღაურის ზოგად სახელწოდებად.

ში სრულიად შესაძლებელი იყო პიროვნების პასუხი ეგო არათუ მის მიერ ვინმეს შემთხვევითი მკვლელობისათვის, არამედ მაშინაც, როცა მკვლელობას მისი მხრიდან საერთოდ არ ჰქონია ადგილი და ადამიანი დაიღუპა მაშინ, როდესაც იგი ამ პიროვნებამ, მაგალითად, სადღაც გაგზავნა, ან წაიყოლა. ამ შემთხვევაში დაზარალებული მხარისათვის მთავარია შედეგი — მათი ახლობლის გარდაცვალება და ამას მის გამგზავნს ან გამყოლს აბრალებს და მისგან პასუხს ითხოვს, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს გულშიც არ გაუვლია მისი გარდაცვალება და არანაირი უშუალო ბრალეული კავშირი ამასთან არა აქვს.

იმავე მასალებით, თუ ფეხმძიმე ქალს მისი მამა ქმრის ოჯახიდან წამოიყვანს და ქალს მუცელი მოეშლება, ან მკვდარი ბავშვი დაებადება, ან ახალშობილი დაეღუპება, მაშინ ხევსურული რჯულით, ქალის მამა მის ქმარს უხდის 30 ძროხა დრამას, ხოლო თუ იმავე შედეგი დადგება ქმრის მიერ ფეხმძიმე ცოლის გაგდების შემთხვევაში, მაშინ ქმარი ვერავის ვერაფერს მოსთხოვს, რადგანაც ცოლი მამის ოჯახში მისი მიზეზით აღმოჩნდა.[1] ამ საზღაურის გადახდა, ცხადია, ბავშვის დაკარგვის გამო ხდება. ეს შედეგი განაპირობებს სწორედ მამის მიერ ქალიშვილის ქმრისგან უკითხავად წამოყვანის შემთხვევაში 30 ძროხის ქმრისთვის გადახდას. ეს მაგალითები ხევსურული სინამდვილიდან გვიჩვენებს, რომ, თუ დამდგარი მძიმე შედეგი (პიროვნების გარდაცვალება, ახალშობილის სიკვდილი და სხვა) თუნდაც ირიბად უკავშირდება სხვა პირის ქმედებას, რომელსაც საერთოდ არ სურდა იგი, ხოლო აღნიშნული შედეგის დადგომასთან არანაირი უშუალო კავშირი არა აქვს, მაინც არის გარკვეული პასუხისმგებლობის საფუძველი. ცხადია, პირის მიერ მეორე პიროვნების სხვაგან გაგზავნა, ან ქმრისგან უკითხავად ფეხმძიმე ცოლის წამოყვანა მისი მამის მიერ, თავისთავად არ არის იმ მძიმე შედეგის დადგომის საფუძველი, რომელზედაც იყო საუბარი, თუმცა ხევსურები ამ ქმედებებსა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივ კავშირს მაინც ხედავენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჩამდენთ არანაირი სუბიექტური დამოკიდებულება დამდგარი შედეგისადმი არა აქვთ.[2]

---

[1] ალ ოჩიაური, იქვე, 10-11.

[2] მ კოსვენის მიხედვით, ასეთი რამ დამახასიათებელია უძველესი სამართლისათვის. მისი თქმით, რადგანაც უძველესი სამართლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შედეგს, ამიტომ იგი ეძებს მოპასუხეს ზიანისათვის და პოულობს კიდეც მას. მისი განმარტებით, უძველესი ადამიანის ცნობიერება

თუშეთისა და მთიულეთის ჩვეულებით სამართალზე ძალზედ მწირი მასალა გვაქვს ხელთ, თუმცა ობიექტური შერაცხვის პრინციპები მათშიც კარგად ჩანს. აქაც მკვლელობას, მიუხედავად იმისა, განზრახ იყო ჩადენილი თუ შემთხვევით, სისხლის აღება მოსდევდა.[1] ობიექტური შერაცხვის პრინციპების გამოვლენის ელემენტი მთის რაჭის ჩვეულებით სამართალშიც გვხვდება. კერძოდ, მ. კედელაძის რაჭულ მასალებში ვხვდებით შემთხვევითი მკვლელობის მაგალითებს, რომლებსაც მოკლულის ნათესავების მხრიდან სისხლის აღება მოჰყვა.[2] გარკვეული მინიშნებანი ობიექტური შერაცხვის პრინციპების არსებობაზე გვხვდება XX საუკუნის დამდეგს დაფიქსირებულ ქართლის ჩვეულებითი სამართლის მასალებში. გ. ჟორდანიას მიხედვით, თუ ქართლის ერთი სოფლის წარმომადგენელი დანაშაულს ჩაიდენდა სხვა სოფლის წარმომადგენლის მიმართ, პასუხისმგებლობა დგებოდა

შედეგის ნებისმიერ ფორმალურ მიზეზს ანიჭებს მნიშვნელობას. აქედან გამომდინარე, სამართალდარღვევად ითვლება ისეთი შედეგიც, რომელიც მხოლოდ ირიბად მოსდევს ვინმეს ქმედებას (М. Косвен, Преступление и наказание в догосударственном обществе, М., 1925, 118).

[1] И. Цискаров, Записки о Тушетии, Кавказ, 1849, №11; Л. Зиссерман, Двадцать пять лет на Кавказе, М., 1879, 249. მ. კეკელია, მასალები მთიულეთის ჩვეულებით სამართალზე (ქსნის ხეობა), ეთნოგრაფიული რეული, 1985, 2.

[2] ერთი შემთხვევა ასეთია: ერთ-ერთი პიროვნება, სახელად სარდიონი, თავისი დანიშნულის ოჯახში მივიდა. სწორედ ამ დროს ოჯახმა ძროხები დაკარგა. მათ საძებრად წასულ ქალებს სასიძოც გაჰყვა და ოჯახის ნათესავი სულით ავადმყოფი პიროვნებაც. ეს უკანასკნელი წინ გაიქცა, ტყის პირას დაიმალა და ტყის ძერა დაიწყო, რომ სხვები შეეშინებინა. მათ მართლაც შეეშინდათ, რადგანაც დათვი ეგონათ. სარდიონმა თურმე თოფი ისროლა ტყის მიმართულებით და მოკლა ეს სულით დაავადებული პიროვნება. ამის გამო ჩამოვარდა მტრობა და მოკლულის ნათესავმა სისხლის აღების ნიადაგზე მოკლა სარდიონის ბიძაშვილი (მ. კედელაძე, პირადი არქივი, რაჭის მასალა, ეთნოგრაფიული რეული №9, 23-24). ცხადია, სარდიონს არავითარი განზრახვა ამ სულით დაავადებული პიროვნების მკვლელობის არ ჰქონია, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ მკვლელობის შემთხვევითობა ყველასათვის ნათელი უნდა ყოფილიყო, სისხლის აღება მაინც განხორციელდა. ეს კი ცალსახად ადასტურებს, რომ სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინება არ მოხდა, ამიტომ ეს კონკრეტული ფაქტი მთის რაჭაში ობიექტური შერაცხვის პრინციპის გამოვლინების მაგალითია. მ. კედელაძეს მოჰყავს მეორე მაგალითიც მთის რაჭის სინამდვილიდან, როდესაც შემთხვევით მკვლელობას მოჰყვა სისხლის აღების მცდელობა (მ. კედელაძე, პირადი არქივი, რაჭის მასალა, ეთნოგრაფიული რეული №4, 1-3).

ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით (მაგალითად, ჭრილობის ადგილმდებარეობით, ჭრილობათა რაოდენობით, ჭრილობათა სიღრმით და სხვა). მნიშვნელობა არ ჰქონდა დანაშაული ჩადენილი იყო განზრახ თუ განზრახვის გარეშე, არ ხდებოდა ზოგადად დანაშაულის მოტივის გათვალისწინება.[1]

ობიექტური შერაცხვის პრინციპების მოქმედებაზე საუბარი სვანურ ჩვეულებით სამართალშიცაა შესაძლებელი. განსაკუთრებით გამოკვეთილად ეს ჩანს ეგ. გაბლიანის მიხედვით. მისი განმარტებით, „სვანეთის იურიდიული წყობილების უმთავრეს ნაკლს“ სხვა ფაქტორებთან ერთად შეადგენს უცაბედი მკვლელობისას შურისძიების არსებობა.[2] იგი იხსენებს კონკრეტულ შემთხვევას, როდესაც სვანეთის შესახებ მოცემული ნაშრომის დაწერიდან სამიოდე წლით ადრე, მულახის თემში, ერთმა მუშამ ტყიდან ხე ჩამოუშვა გზის პირას. ამ დროს იმავე ტყეში სხვა გლეხიც მუშაობდა, რომელსაც უცაბედად მოხვდა ეს ხე და გასრისა. ხის პატრონმა ამაზე წორი — სისხლის ფასი გადაიხადა.[3] ამ მონაცემების მიხედვით გამოდის, რომ სვანეთში მკვლელობა განზრახ იქნებოდა ჩადენილი თუ შემთხვევით, მაინც იწვევდა სისხლის აღებას, ხოლო, თუ საქმე სისხლის ფასის („წორის“) გადახდაზე მიდგებოდა, შემთხვევითი მკვლელობის დროსაც მკვლელობის ჩამდენს სრული სისხლი უნდა გადაეხადა. ეს სვანეთში პასუხისმგებლობის დაკისრებისას სუბიექტური ფაქტორის სრულ გამორიცხვას ნიშნავს და, ბუნებრივია, ობიექტური შერაცხვის პრინციპისათვის დამახასიათებელი მომენტია.

სვანურ ჩვეულებით სამართალზე სხვა მასალების ანალიზს თუ გავაკეთებთ, საქმე ისე ცალსახად არ არის, როგორც ეს ეგ. გაბლიანთანაა გადმოცემული. კერძოდ, მ. კოვალევსკის განმარტებით, თავისუფალ სვანეთში შემთხვევითი მკვლელობა ან დაჭრა იწვევს წორის გადახდას სრულად ან ნაწილობრივ.[4] მ. კოვალევსკი, როგორც ვხედავთ, უშვებს შემთხვევითი მკვლელობისას ან დაჭრისას სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინებას — წორის შემცირებას, ანუ ერთ კონკრეტულ სიტუაციაში შემთხვევითი მკვლელობისას ან დაჭრისას,

[1] გ. ჟორდანია, სისხლის სამართალი ქართლის სოფლებში (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1908, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1813.

[2] ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, ტფ., 1927, 117.

[3] იქვე.

[4] М М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М.,. 1890, 32.

შესაძლოა სრული წორი დაკისრებოდა დანაშაულის ჩამდენს, სხვა სიტუაციაში – შემცირებული. თუმცა მ. კოვალევსკი არ განმარტავს, თუ რა ფაქტორები განაპირობებდა ერთ შემთხვევაში წორის სრულად გადახდას, მეორეში კი მის შემცირებას.

ამ საკითხზე ძალზედ საინტერესო მსჯელობას ვხვდებით ალი დავითიანის მასალებში. ეს ავტორიც ფაქტობრივად ადასტურებს, რომ სვანეთში შემთხვევითი მკვლელობისას შესაძლოა მომხდარიყო მკვლელობის ჩამდენისათვის სრული წორის დაკისრება (რაც, მის მიხედვით, უპირატესად ხდებოდა კიდეც), თუმცა წორის შემცირებაც არ იყო გამორიცხული. მისი თქმით, ერთ მხრივ, სვანებს ძალიან კარგად ესმოდათ განსხვავება განზრახ და შემთხვევით მკვლელობას შორის, ეცოდებოდათ კიდეც დანაშაულის უნებურად ჩამდენი, მითუმეტეს მაშინ, როდესაც იგი სულიერად იტანჯებოდა და საშინლად ქენჯნიდა საკუთარ თავს. თუმცა, მეორე მხრივ, მკვლელობის ფაქტი მაინც ფაქტი იყო და მას ვერავინ გაექცეოდა, რაც მკვლელს მოკლულის ოჯახის მტრად აქცევდა.[1] ა. დავითიანის კომენტარი ამ საკითხზე ასეთია: „ნებით თუ უნებურად კაცი მაინც მკვდარი იყო – ტყვიის თუ სხვა იარაღის მსხვერპლი იყო და მკვლელი ათასნაირად მართალიც რომ ყოფილიყო, მაინც კაცის მკვლელი იყო და ამ შემთხვევაში დანაშაულობა და უდანაშაულობა არაფერ შუაში იყო. ასე თუ ისე მოხდა თუ არა ეს – მკვლელობის საქმეს ველარ შველიდა, კაცი მოკლული იყო და მკვდარი არ აიყენებოდა, არ გაცოცხლდებოდა, რაგინდ ემწუხრა და ეგლოვა უნებურად თუ ნებით მკვლელს. საბოლოოდ ეს აზრი იმარჯვებდა და მოკლულის ოჯახი მკვლელს მოსისხლე მტრად ჩაეთვლებოდა და მტრული ანგარიშებით გამოუდგებოდა.“[2]

ცხადია, შემთხვევითი მკვლელობისას, მოკლულის ოჯახი ისე აქტიურად არ დევნიდა მკვლელს, როგორც განზრახი მკვლელობისას, შერიგებაც ბევრად გაადვილებული იყო, თუმცა, როგორც ა. დავითიანის მასალებიდან გამომდინარეობს, როდესაც საქმეს სამედიატორო სასამართლო განიხილავდა, მხარეთა საბოლოოდ შერიგების მიზნით, პროცესიც განზრახი მკვლელობის შემთხვევისათვის დამახასიათებელი წესით მიმდინარეობდა, მედიატორ-მოსამართლეთა

[1] ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რეული №6, 73.

[2] იქვე.

— „მორევთა“ — რაოდენობაც იმავე იყო და განაჩენიც, უპირატესად, განზრახი მკვლელობისათვის გამოტანილის ანალოგიური. ა. დავითიანი წერს: „უნებურად მოკლულის საქმეს თორმეტი ნაფიცი მორევი მედიატორე განიხილავდა. ასე იყო თუ ისე, მაინც მკვლელობა იყო და სამართალიც სრული უნდა ყოფილიყო. იმავე ფიცი .... იმავე მხარეების დაფიცება, ჩვენება და სხვა განმეორდებოდა. თორმეტი ნაფიცი კაცისგან შემდგარი სამსჯავრო განიხილავდა საქმეს, როგორც ნამდვილ მკვლელობას და განაჩენიც ნამდვილი მკვლელობისა გამოჰქონდათ. ამ შემთხვევაში უნებურად მოკვლა ზოგჯერ არც მიიღებოდა სახეში. სამსჯავრო არც კი დაეძებდა მკვლელობის შეღავათს, როგორც უნდა მომხდარიყო, კაცი მაინც მკვდარი იყო და მის ჭირისუფალს დაკარგული ჰყავდა, მაშასადამე, სამართალიც მკვლელობის უნდა გამოტანილიყო.“[1] როგორც ვხედავთ, მედიატორები შემთხვევითი მკვლელობის საქმეს „ნამდვილი მკვლელობის“, ანუ განზრახი მკვლელობის საქმისგან არ განასხვავებდნენ და შესაძლოა, საერთოდ არ მიეღოთ მხედველობაში მკვლელობის განზრახვის გარეშე ჩადენის გარემოება, არ ემსჯელათ რაიმე შეღავათზე დამნაშავისათვის და განაჩენიც ისეთივე გამოეტანათ, როგორსაც განზრახი მკვლელობის შემთხვევაში გამოიტანდნენ (მხედველობაშია „წორის“ იმავე ოდენობის შენარჩუნება). ერთნაირი ოდენობის „წორის“ დაკისრება როგორც განზრახი, ისე განზრახვის გარეშე ჩადენილი მკვლელობისათვის, მიუთითებს, რომ მედიატორები გადამწყვეტ მნიშვნელობას დანაშაულებრივ შედეგს ანიჭებდნენ და არა მკვლელის სუბიექტურ დამოკიდებულებას ჩადენილი დანაშაულისადმი. ეს აშკარად მიუთითებს სვანეთში ობიექტური შერაცხვის პრინციპების შემონახულობას. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ა. დავითიანის მასალების მიხედვით, სრულიად შესაძლებელია მედიატორებს კონკრეტულ შემთხვევაში გაეთვალისწინებინათ მკვლელობის შემთხვევით ჩადენის ფაქტი და არსებითად შეემცირებინათ „წორის“ ოდენობა. ეს ადასტურებს მ. კოვალევსკის ზემოთ მოყვანილ ინფორმაციას, რომ შემთხვევითი მკვლელობისას შესაძლოა დამნაშავეს დაკისრებოდა სრული „წორი“, ან გარკვეულ შემთხვევებში მომხდარიყო მისი შემცირება. ა. დავითიანი, მ. კოვალევსკისგან განსხვავებით, მიუთითებს, თუ რა შეიძლება გამხდარიყო წორის შემცირების საფუძველი. მისი განმარტებით: „წორის დადგენაში მედიატორეებს ზოგჯერ ფიცის

[1] ა. დავითიანი, დასახ. ნაშრ., 75.

დადგენა სჩვეოდათ. მკვლელს უნდა დაეფიცებინა მთელი ოჯახის მამაკაცებით და ზოგჯერ ექვსი თანამოფიცრის ჩაყოლით, რომ დაზარალებულ ოჯახს პირაქეთ ამდაგვარად რომ მოეკლა კიდეც, შეურიგდებოდა და სრულ მკვლელობადაც არ ჩათვლიდა. ამ შემთხვევაში მედიატორებს ..... წორისთვის მესამედი შეეძლოთ დაეკლოთ ანდა ნახევრამდე შეემცირათ, მაგრამ თუ ოჯახი მიიღებდა ასეთ ფიცს, თანამოფიცრების შოვნა მაინც ძნელი იყო, რადგან ფიცით ფანატიკურად დაშინებულებს, მაინც არ მოეპოვებოდათ იმდენი გამბედაობა, რომ მკვლელობაში შელავათის მიღებისათვის თვითონ მიეღოთ ფიცი. თანამოფიცარი უფრო მეტად გარეშე კაცი იყო, იგი მკვლელსა და მის ოჯახს მხოლოდ კარგად იცნობდა და ნათესაურად არც კი უკავშირდებოდა. ამდენად, თანამოფიცრობა ძნელი იყო და მკვლელის ოჯახიც არ შეეცდებოდა მაინცდამაინც ფიცით შეესყიდა წორის დაკლებულობა და მიეღწია შელავათისათვის. კაცი მკვდარი იყო თავისი ოჯახიდან და მკვდარს კი წორი მაინც გაუთანაბრდებოდა. ასე მსჯელობდა სვანური კანონი და ამ გზას იშვიათად გადაუხვევდა. ქონება ყოველთვის ხელახლა შეიძინებოდა, ცოცხალი ადამიანი შიმშილით არ მოკვდებოდა და მოკლულს საფლავიდან არავინ არ ააყენებდა, თუნდაც უნებურად მკვდარი ყოფილიყო."[1] როგორც ჩანს, სრულიად შესაძლებელი იყო სვანეთში „წორის" შემცირება შემთხვევითი მკვლელობისას ერთი მესამედით, ან ნახევრადაც კი, თუმცა ეს ავტორის მიხედვით, საკმაოდ იშვიათად ხდებოდა და უმრავლეს შემთხვევაში, მედიატორები, განზრახვის გარეშე მკვლელობის ჩამდენს, მაინც სრულ წორს აკისრებდნენ. ეს განპირობებული იყო იმით, რომ „წორის" შემცირება მკვლელის ფიცს უკავშირდებოდა. მას თანამოფიცრებთან ერთად უნდა დაეფიცა, რომ დაზარალებულის მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში ისიც აპატიებდა და შეურიგდებოდა მკვლელს, თანაც „სრულ" მკვლელობად არ ჩათვლიდა და აქედან გამომდინარე, წორის ოდენობის შემცირებაზე დათანხმდებოდა. ეს კლასიკური „ტოლობის" ფიცია, ძალზედ გავრცელებული სვანეთში, რომლის მიხედვითაც დამფიცებელი ვის წინაშეც იფიცებს, მის ტოლად, მის მდგომარეობაში მყოფად გულისხმობს თავს დაფიცებისას. ეს ძალზედ სამძიმო ფიცია და სვანები, განსაკუთრებით მკვლელობის საქმეზე, ერიდებოდნენ მის დადებას. თანაც მკვლელს არა მხოლოდ თავის ნათესავებთან უნდა დაეფიცა, არამედ გარეშე

[1] ა. დავითიანი, იქვე, 75.

თანამოფიცრებთან ერთადაც, რომლებიც მისი ნათესავები არ იყვნენ. ეს უკანასკნელნი კი განსაკუთრებით მოერიდებოდნენ მკვლელთან ერთად ფიცს. ასევე, როგორც ა. დავითიანთან გამოჩნდა, კარგ ტონად არ ითვლებოდა მკვლელის ოჯახის ზრუნვა ფიცის მეშვეობით „წორის“ შემცირებაზე. სწორედ ეს ფაქტორები, ა. დავითიანის მიხედვით, განაპირობებდნენ ასეთი დაფიცების და აქედან გამომდინარე, შემთხვევითი მკვლელობისას „წორის“ შემცირების იშვიათობას.

ა. დავითიანის მასალების მიხედვით, სუბიექტური ფაქტორის გაუთვალისწინებლობა არა მარტო შემთხვევითი მკვლელობისას ჩანს. მისი მასალებიდან გამომდინარე, მკვლელობის საქმის განმხილველი მედიატორები, კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლოა კარგად ხედავდნენ, რომ განაჩენის გამოტანისას უპრიანი იყო სუბიექტური ფაქტორის (მკვლელობის მოტივის, მიზეზის) გათვალისწინება, რასაც მკვლელის პასუხისმგებლობა უნდა შეემცირებინა, თუმცა იძულებულნი იყვნენ სვანური რეალობისთვის ანგარიში გაეწიათ და დაზარალებული მხარის დასაშოშმინებლად (რათა მათ ხელი აეღოთ შურისძიებაზე) მკვლელობის მოტივები არ გაეთვალისწინებინათ. შედეგად კი მკვლელს, რომელიც მისი მსხვერპლის შეურაცხმყოფელ თუ ძალადობრივ ქმედებაზე რეაგირებდა, ისეთივე ქონებრივი საზღაური ეკისრებოდა, როგორიც მკვლელობის სრულიად უმიზეზოდ ჩამდენს.

ყოველივე ამის უკეთ გაანალიზების მიზნით მოვიყვანთ შესაბამის ამონარიდს ალი დავითიანის მასალებიდან: „მედიატორეს თვალწინ უდგებოდა სურათი მკვლელობისა და მისი გამომწვევი მიზეზი. მედიატორებმა ყველაფერი იცოდნენ მკვლელობის გარშემო, იცოდნენ ისიც, თუ რამ გამოიწვია მკვლელობა და ისიც, რომ ზოგჯერ მოკლული იყო პირველი დამნაშავე, მას მიუძღვოდა მკვლელობის გამომწვევი დანაშაულობა მკვლელის წინაშე, ან სიმთვრალით, ან წინასწარი ჩხუბის ატეხით, ცემით, დაჭრით, საუგო გალანძღვით საჯაროდ, რაც ხშირად ოჯახსა და გვარს გაჰყვებოდა სასაყვედუროდ. ამ რიგის შემთხვევებში მიუდგომელი სამართლით მკვლელი არ იყო მთლიანად დამნაშავე და მედიატორებს ეს მხარეც უნდა გაესინჯათ, რომ მკვლელი არ დაჩაგრულიყო და ზოგი ბრალი მოკლულზე გადატანილიყო. ასეთი შეხედულება, თუ სამსჯავროს მაინც არ აძლევდა საბაბს მოეკლოთ წორის ფუძე-საზღაური ათას ორასი მანეთისათვის, კამათს მაინც იწვევდა სამსჯავროში, სადაც ზოგი საღად მოაზროვნე მორევი მედიატორე იბრძოდა მართებული დანა-

შაულობა გადატანილიყო მოკლულზედაც, რომელიც მოკვლის ღირსი იყო ზოგჯერ, რადგანაც მისი წინასწარი დანაშაულობა მთლიანად ფარავდა მის მოკვლას. მედიატორები მაინც ფაქტის წინაშე იდგნენ. მათ ეშინოდათ სისხლის ღვრის გაგრძელების და ამდენად მოკლულის მხარე უნდა დაეჭირათ ასე თუ ისე. სვანური წორ მოკლულის სულის საფასურად იყო ცნობილი და მკვლელს უნდა გადაეხადა, რადგანაც მან თავისთანა ადამიანს სული წაართვა თვითნებურად, მოკლა, მიწას შეაჭამა და თვითონ ცოცხალი დაიარებოდა მიწაზე. ეს იყო სამსჯავროსათვის საგანაჩენო ბირთვი და მედიატორეები იქიდან ამოდიოდნენ, რომ ცოცხალი ადამიანი, რაგინდ დასჯილიყო ქონებრივად, მაინც ცოცხალი იყო და ცოცხალ ადამიანს ლუკმა მაინც ეშოვნებოდა. მისი მოკლული კი მიწაში იწვა და იხრწნებოდა. მაშასადამე, მკვლელობის გამომწვევი მიზეზები იჩრდილებოდნენ და მედიატორეთა ნაფიც სამსჯავროს მაინც მიუდგომელ სამართლად მიაჩნდათ მთელი წორი მოეცათ მოკლულის ჭირისუფლისათვის, რომ მკვლელობის განმეორებისათვის ბოლო მოეღოთ და მოსისხლე მხარეებში მშვიდობა დაემყარებინათ."[1]

„წორის" დაკისრებისას სუბიექტური ფაქტორის გაუთვალისწინებლობას გ. ჟორდანიას მასალებშიც ვხვდებით. ავტორი აღწერს მკვლელობის ფაქტს სვანეთში და ამ დანაშაულის თაობაზე სამედიატორო სასამართლოს მიმდინარეობას: მკვლელი ამბობს, რომ მოკლული პირველი დაესხა ხანჯლით ხელში, მას არ მოუკლავს წინასწარი განზრახვით და თავს იცავდა. მოკლულის შვილი მოითხოვს მედიატორებისაგან, რომ მკვლელმა დაიფიცოს ამასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ მკვლელმა დაიფიცა და დაამტკიცა, რომ პირველი მას თავს დაესხა მოკლული, მედიატორთა გადაწყვეტილებით, მკვლელს ჩამოართვეს მთელი ქონება,[2] ე. ი. მკვლელობის მოტივის გათვალისწინება არ მომხდარა და მკვლელს სასჯელი არ შეუმსუბუქდა.

ობიექტური შერაცხვის პრინციპის ამ გამოვლინების შენარჩუნებას, როგორც ა. დავითიანის მსჯელობაში ჩანს, გარკვეული ფაქტორები უწყობდა ხელს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია გარკვეული ადგილი ამ ძალზედ ყურადსაღები ფაქტორების განხილვას დავუთმოთ. ერთი შეხედვით უცნაურია: სვანი მედიატორები კარგად ხედავდნენ,

[1] ა. დავითიანი, იქვე, 59-60.

[2] Г. Жордания, Третейский суд в Сванетии,. «Закавказье», 1912, №#2-3.

რომ სამართლიანი იქნებოდა სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინება და „წორის" შემცირება შემთხვევითი მკვლელობისას, მსხვერპლის მიერ მისი მკვლელობის პროვოცირებისას, თუმცა, უპირატესად, მაინც სრული „წორის" გადახდას აკისრებდნენ მკვლელს.[1] ა. დავითიანის მიხედვით, ძირითადი ფაქტორი, რომელიც განაპირობებდა ამას, იყო სისხლის ღვრის გაგრძელების შიში. ეს შიში ნამდვილად არ შეიძლება ყოფილიყო უსაფუძვლო. ცნობილია, რომ სისხლის აღება სვანეთში წმიდათაწმიდა მოვალეობა იყო და სისხლის აუღებლობა უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა (მიუხედავად იმისა, მკვლელობა განზრახ მოხდა თუ განზრახვის გარეშე). მედიატორთა უმთავრეს მიზანს მესისხლეთა შერიგება წარმოადგენდა. განსაკუთრებით რთული იყო დაზარალებული მხარის დათანხმება შერიგებაზე, რადგანაც ეს სისხლის აღებაზე უარს ნიშნავდა. მოკლულის ოჯახი, რომელმაც საკუთარი წევრი დაკარგა, თუ დათანხმდებოდა მკვლელთან შერიგებას და სამედიატორო სასამართლოს ჩატარებას, მისთვის სისხლის აუღებლობის საპირწონე შეიძლება გამხდარიყო მხოლოდ სრული წორის დაკისრება მკვლელისადმი. მკვლელობის „წორს", როგორც დავინახეთ, ა. დავითიანი მოკლულის „სულის საფასურს" უწოდებს, რომელიც მკვლელს უნდა გადაეხადა, რადგანაც ადამიანს სული წაართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში შუამავალთა და მედიატორთა ძალისხმევა უშედეგო იქნებოდა, ხოლო მხარეებს შორის მტრობის გაგრძელებას კი, შესაძლოა, ორივე მხრი-

[1] „წორის" შემცირება ა. დავითიანის მიხედვით, მაშინ მოხდებოდა, როდესაც მომავალი მსხვერპლის მხრიდან ადგილი ექნებოდა მკვლელის ან მისი ახლობლის თოფით დაჭრას, დასახიჩრებას — ხელის დაკარგვას, მკლავის დაზიანებას, თვალის დაკარგვას, ფეხის მოურჩენელ დაზიანებას (ა. დავითიანი, იქვე, 74). ამ შემთხვევაშიც სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინებას ადგილი არა აქვს, რადგანაც, დაჭრა-დასახიჩრება, ცხადია, დამოუკიდებელ დანაშაულს წარმოადგენდა და მისთვის გათვალისწინებული „წორის" გადახდა მის ჩამდენს ეკისრებოდა. ამ შემთხვევაში მკვლელობისათვის დადგენილი „წორის" ღირებულება რაიმე სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინებით კი არ მცირდებოდა, არამედ მკვლელობის „წორს" მექანიკურად აკლდებოდა მკვლელის ან მისი ახლობლის დაჭრა-დასახიჩრებისათვის გათვალისწინებული საზღაური და ამიტომ მკვლელი იხდიდა არა სრულ წორს, არამედ მასზე მისთვის მიყენებული ზიანისათვის გათვალისწინებულ საზღაურით ნაკლებს. ა. დავითიანის მიხედვით, თუ მკვლელის მიმართ, ამ, ან სხვა ფიზიკურად დამაზიანებელ შემთხვევებს ადგილი არ ექნებოდა, მკვლელობისათვის დადგენილი „წორის" შემცირების იმედი თითქმის არ იყო (იქვე).

დან არაერთი ადამიანის სიკვდილი და დაზიანება მოჰყოლოდა. წასულიყო დიდ კომპრომისზე, უარი ეთქვა სისხლის აღებაზე და სრული „წორიც“ არ მიეღო, არ დააკმაყოფილებდა დაზარალებულ მხარეს და მას კვლავ შურისძიების სურვილს აღუძრავდა. მედიატორების მისია კი მშვიდობის უზრუნველყოფა იყო და განაჩენის გამოტანისას ისინი სწორედ ამით ხელმძღვანელობდნენ. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ შემთხვევითი თუ მოკლულის მიერ პროვოცირებული მკვლელობისას, მედიატორები ნაკლებად ითვალისწინებდნენ სუბიექტურ ფაქტორს და მკვლელს სრულ „წორს“ აკისრებდნენ. მხოლოდ ეს შეიძლება გამხდარიყო მომავალი სისხლის ღვრის თავიდან აცილების და მშვიდობის დამყარების გარანტია. როგორც ა. დავითიანი მიუთითებს, მედიატორები ანგარიშს უწევდნენ იმას, რომ მკვლელი ცოცხალი იყო და მნიშვნელოვანი ქონებრივი დანაკლისის მიუხედავად, ლუკმა-პურის შოვნა მაინც შეეძლო, მოკლული კი მიწაში იხრწნებოდა, რაც მკვლელობის ყოველგვარ მიზეზს აფერმკრთალებდა და მოკლულის ოჯახისათვის სრული „წორის“ მინიჭებას განაპირობებდა მედიატორთა მხრიდან.

აღნიშნული ფაქტორები, ჩვენი აზრით, ხევსურეთშიც განაპირობებდა სუბიექტური ელემენტის გაუთვალისწინებლობას მკვლელობის საქმეზე, სადაც, როგორც ზემოთ დავინახეთ, შემთხვევითი მკვლელობის დროს სისხლის ფასის სრულად გადახდა, ბოლო პერიოდამდე ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა.

ეს ასევე ეხება ქურდის თუ ცოლის საყვარლის მკვლელობას, ასევე მკვლელობას აუცილებელი მოგერიებისას. ეს ის გარემოებებია, რომელთა შემთხვევაშიც (არაგანზრახ დანაშაულთან ერთად) ობიექტური შერაცხვის პრინციპებით მოქმედმა საზოგადოებებმა პირველ რიგში დაიწყეს ანგარიშის გაწევა სუბიექტური ფაქტორებისათვის. რამდენიმე სიტყვით გვსურს ამ გარემოებებსაც შევეხოთ.

როგორც მ. კოსვენი აღნიშნავს, პრიმიტიული სამართლისათვის სრულიად უცნობია ცნება დამნაშავის განსაკუთრებული მდგომარეობის შესახებ, დანაშაულის ჩადენის მომენტში აფექტის შესახებ, ასევე არ ხდება აუცილებელი მოგერიებისას პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება.[1] მ. კოვალევსკი ოსურ ჩვეულებით სამართალთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ, რადგან აქ იდევნებოდა მხოლოდ დანაშაულის შედეგად გამოწვეული მატერიალური ზიანი, ამიტომ

[1] М. Косвен, Преступление и наказание в догосударственном обществе, М., 1925, 129.

ჩვეულებრივ ისჯებოდა თავდაცვის მიზნით ჩადენილი ძალადობრივი მოქმედება. ასევე, ქმრის ან მამის მიერ წასწრებული საყვარლის მკვლელობა, ქურდის მკვლელობა დანაშაულის ადგილზე, იწვევს იმავე შედეგს, რასაც სხვა სახის ნებისმიერი მკვლელობა, ანუ შურისძიებას, ან „სისხლის ფასის“ გადახდას. მაგალითად, 1849 წლის ოსური ადათების კრებულში ვკითხულობთ, რომ, თუ ქმარი წაასწრებს თავის ცოლთან საყვარელს და მოკლავს, მოკლულის ნათესავებს უნდა გადაუხადოს 324 ძროხა, სხვა სიტყვებით, იმდენივე, რაც სხვა ნებისმიერი მკვლელობისას. თუ ქალი თავს იცავდა მოძალადისაგან — დაჭრიდა, ან მოკლავდა მას, მოკლულის ნათესავები სისხლს აიღებდნენ.[1] საინტერესოა, რა ვითარებაა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს ხელთ არსებული ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით. ხევსურეთში აუცილებელი მოგერიებისას მკვლელობის დროს პასუხისმგებლობა არ მცირდებოდა. აქ ხშირად ხდებოდა მკვლელობები და დაჭრა-დასახიჩრებები ჩხუბისას. ამ დროს არავინ არკვევდა ვინ იყო თავდამსხმელი, ვინ იცავდა თავს — ზიანის მიმყენებელი აგებდა დამდგარი შედეგის მიხედვით ადეკვატურ პასუხს. ზემოთ კარგად გამოჩნდა, რომ ხევსურეთში ნებისმიერი მკვლელობისას პასუხისმგებლობა ბრალის ფორმის, ასევე მოტივის მიუხედავად, ერთნაირი იყო. ასევე სვანეთთან დაკავშირებით არის მონაცემები, რომელთა მიხედვით, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობის მიუხედავად, მორვებმა მკვლელს სრული წორი დააკისრეს.[2]

რაც შეეხება ქურდის თუ ცოლის საყვარლის მკვლელობას, ამ საკითხებზე ძალზე მწირი მონაცემები გაგვაჩნია, თუმცა გარკვეულ მინიშნებებს მათზე ვხვდებით ბ. ნიჟარაძესა და მ. კოვალევკისთან სვანეთთან დაკავშირებით. ბ. ნიჟარაძე ქურდის მკვლელობის შესახებ აღნიშნავს: „ჩვეულებითი მართლიერება არ აძლევს უფლებას სვანს მოჰკლას, ან მძიმედ დაჭრას ქურდი, რა გინდ ქურდობაზე მოასწროს; თუ მოჰკლავდა, ქურდის ჭირისუფალი ეძიებდა „სისხლს“, აგრეთვე მძიმე დაჭრასაც ეძიებდა. ორივე შემთხვევაში 12 აცსიში გამოირიცხებოდა „წორი“-საგანაც და ნახევარის „წორი“-საგანაც სასარგებლოდ გა-

[1] М. Ковалевскиий, Современный обычай и древний закон, М., Т. 2, 1886, 94-95.

[2] გ. ჯორდანიას მიერ ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში გამოჩნდა, რომ მკვლელობა აშკარად თავდაცვის მიზნით მოხდა, თუმცა პასუხისმგებლობა არ შემცირებულა.

ტეხილის სახლის პატრონისა“.[1] დაახლოებით ასეთივე ცნობას ცოლის საყვარლის მკვლელობასთან დაკავშირებით გვაწვდის მ. კოვალევსკი. მისი განმარტებით, თუ ქმარი საკუთარ სახლში ცოლის საყვარელს მოკლავდა, მას ჩვეულებრივ უნდა გადაეხადა მკვლელობისათვის გათვალისწინებული წორი, რომელსაც გამოაკლდებოდა 12 აცხში საყვარლის მიერ სახლში უნებართვოდ შეღწევისათვის.[2] როგორც ვხედავთ, XIX საუკუნის 80-იან წლებში დაფიქსირებულ სვანური ჩვეულებითი სამართლის მასალებში ქურდის მკვლელობა და ცოლის საყვარლის მკვლელობა იმავე პასუხისმგებლობას იწვევდა, რასაც სხვა ნებისმიერი მკვლელობა (იმავე ითქმის მძიმე დაჭრაზე). მხოლოდ მკვლელობისა და მძიმე დაჭრისათვის გათვალისწინებულ სასჯელს გამოაკლდებოდა 12 აცხში სახლში უნებართვოდ შეღწევისათვის („სახლის გატეხვისათვის“), რაც სვანეთში დამოუკიდებელ დანაშაულს წარმოადგენდა. ასე რომ, მოყვანილი მონაცემების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სვანურ ჩვეულებით სამართალში, XIX საუკუნის ბოლოსთვის მაინც ქურდისა და ცოლის საყვარლის მკვლელობისა და მძიმე დაჭრისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ობიექტური შერაცხვის პრინციპების მიხედვით ხდებოდა და დანაშაულის მოტივს არანაირი ყურადღება არ ექცეოდა.[3]

[1] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, 120. 12 აცხშის (ერთი აცხში 6 მანეთს უდრიდა) გადახდა ქურდს ეკისრებოდა „სახლის გატეხვისათვის“, თუნდაც არაფერი მოეპარა. თუ სახლის პატრონი ქურდს მოკლავდა, ან მძიმედ დაჭრიდა, ამ დანაშაულთათვის გათვალისწინებულ სასჯელს (შესაბამისად, სრულ წორს და ნახევარ წორს) გამოაკლდებოდა 12 აცხში.

[2] М. Ковалевский, Законъ и обычай на Кавказе, Т. 2, М.,. 1890, 33-34.

[3] აღნიშნულ საკითხზე ძალზედ მცირედი მონაცემები მოგვეპოვება ხევსურთთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ცნობის მიხედვით, დაზარალებულს შეუძლია დაჭრას ქურდი, ხელი, ან ფეხი მოკვეთოს მას, თუ ნამდვილად დამტკიცებულია, რომ იგი ქურდია და ამისათვის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება (გივი დოლიძე, ხევსურული ტექსტები, თბ., 1975, 54). ამ ცნობაში არაფერია ნათქვამი ქურდის მოკვლის შესაძლებლობაზე. სავარაუდოა, რომ ქურდის მკვლელობის შემთხვევაშიც საპასუხო მკვლელობას, ან სრული სისხლის გადახდას ექნებოდა ადგილი, ანუ ობიექტური შერაცხვის პრინციპის საფუძველზე მოხდებოდა პასუხისმგებლობის დაკისრება. აღსანიშნავია ისიც, რომ აქ არ არის საუბარი ქურდის დანაშაულის ადგილას დაჭრა-დასახიჩრებაზე, არამედ შემდეგ, როდესაც დაზარალებული დაადგენდა თუ ვინ არის ქურდი, გზაში მასთან შეხვედრის შემთხვევაში. თანაც ქურდის დაჭრა-დასახიჩრებისას ქურდის გადასახდელი საზღაური (ნაქურდალის სამმაგი ოდენობა, ოჯახში შეღწევისათვის, სახლის გატეხვისათვის 5 ძროხა) ბათილდებოდა (იქვე). აქედან გამომდინარე, ქურდის

ქართულ ჩვეულებით სამართალში ობიექტური შერაცხვის პრინციპის გამოვლინებას ასევე წარმოადგენდა სისხლის აღებისას მკვლელის ახლო ნათესავის მოკვლის შესაძლებლობა. ამის კონკრეტული მაგალითები არა მარტო სვანეთსა და ხევსურეთში გვხვდება, არამედ მ. კედელაძის ზემოთ მოყვანილი მასალის მიხედვით, მთის რაჭაშიც ფიქსირდება.

ეგ. გაბლიანი სვანური სამართლის ნაკლოვანების მაჩვენებელ ფაქტორად ასევე მიიჩნევს ნამდვილი მკვლელის მაგივრად მისი ნათესავის მოკვლის შესაძლებლობას და იქვე მიუთითებს, რომ, როცა მკვლელობა ხდება სვანეთის გარეთ, მაგ., რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელო-აფხაზეთში, ყარაჩა-ყაბარდოში და თუ სვანს არა აქვს საშუალება პირდაპირ მკვლელზე იძიოს შური, სვანი კლავს იმ სოფლის, ანუ თემის მცხოვრებ კაცს, საიდანაც არის მისი ნათესავის მკვლელი.[1] ამ შემთხვევაში შესაძლებელია შურისძიების მიზნით მოეკლათ მკვლელის არა ნათესავი, არამედ მისი თანამეთემე თუ თანასოფლელი. იმავე იოქმის ხევსურეთთან დაკავშირებითაც, ვთქვათ, ქისტის მიერ ხევსურის მოკვლის შემთხვევაში. ალ. ოჩიაურს თავის მასალებში მოჰყავს კონკრეტული შემთხვევა ქართველი მთიელებისა და ქისტების დაპირისპირებისა, რომლის დროსაც მრავალი ქართველი დაიღუპა. მათ შორის იყო ხევსური გიგია ჭინჭარაული. მისმა ბიძაშვილმა გადაწყვიტა შური ეძია მისთვის და, რადგანაც არ იცოდა, ვინ იყო მისი ნათესავის უშუალო მკვლელი, ნებისმიერი ქისტის მოკვლას ცდილობდა და ერთ-ერთი მათგანი მოკლა კიდეც.[2] ამ შემთხვევაში საერთოდ, მკვლელის თანამოძმეზე შურისძიების დასაშვებობაზე არის საუბარი.

სისხლის აღებისას არა მხოლოდ მკვლელის, არამედ მისი უახლოესი ნათესავის (მით უმეტეს მისი თანასოფლელის, თანამოთემის, თუ თანამოძმის) მოკვლის უფლება აშკარად მიუთითებს, რომ მოცემულ საზოგადოებაში, დანაშაულის ჩადენისას, სუბიექ-

---

დაზიანება სრულიად უდანაკარგო დაზარალებულისათვის არ ყოფილა. ხოლო რაც შეეხება ცოლის საყვარლის მკვლელობას ხევსურეთში, მ. კოვალევსკის განმარტებით, ასეთი ქმედება უპასუხოდ არც ერთ შემთხვევაში არ დარჩებოდა. (М. Ковалевский, Законъ и обычай на Кавказе, Т. 2, М.,. 1890, 119). ეს გარემოებაც სუბიექტური ფაქტორის გაუთვალისწინებლობის მიმანიშნებელია. სამწუხაროდ, აღნიშნულ საკითხებზე ხევსურეთთან დაკავშირებით სხვა ცნობები არ მოგვეპოვება და მიგვაჩნია, რომ საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.

[1] ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, ტფ., 1927, 117.

[2] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/14, მოსისხლეობა ხევსურეთში, გვ. 162.

ტური ფაქტორის გათვალისწინება პრიორიტეტს არ წარმოადგენს (ან ყოველთვის არ ხდება) და კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მის სრულ იგნორირებას. ამ დროს ხომ დიდი ალბათობაა მოკლან პიროვნება, რომელსაც არ ჰქონია არავითარი კავშირი ჩადენილ მკვლელობასთან, არ მიუძღვოდა არანაირი ბრალი მის ჩადენაში. ამ შემთხვევაში ლაპარაკიც ზედმეტია სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინებაზე. ამის მიზეზი უნდა იყოს დანაშაულის, ძირითადად კი მკვლელობის ჩადენისას, საქართველოს ზოგიერთ მთის რეგიონში ჯგუფური, კოლექტიური პასუხისმგებლობის შემორჩენილობა, როცა დანაშაულის სუბიექტად გვევლინება გარკვეული ნათესაური ჯგუფი (სამხუბი – სვანეთში, მამიშვილობა – ხევსურეთში).[1] სხვა კუთხის ან სხვა ხალხის (ძირითადად აქ ჩრდილოკავკასიელი მთიელები იგულისხმება) წარმომადგენლის მიერ ქართველი მთიელის მოკვლის შემთხვევაში, დანაშაულის სუბიექტად ქართველი მთიელები აღიქვამდნენ მკვლელის არა მხოლოდ ახლო ნათესავს, არამედ მის თანასოფლელებს, თანამეთემეებს და თანამოძმეებსაც კი.

ისეც ხდებოდა, რომ დაზარალებული მხარე მკვლელის ნათესავთაგან შეარჩევდა კონკრეტულ პიროვნებას და გამოაცხადებდა, რომ მას მკვლელის თანაბრად დევნის სისხლის აღების მიზნით, ან სულაც, თუ მკვლელი არ ითვლებოდა საზოგადოებაში ვაჟკაც პიროვნებად, მოკლულის მხარე მის გვარში, უახლოეს ნათესავთაგან, შეარჩევდა გამორჩეულ ვაჟკაცს და მიზანმიმართულად მას დევნიდა შურის საძიებლად და არა მკვლელს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა „დატანებულის“, იმავე „სათოფედ გაწირულის“ ინსტიტუტი ხევსურეთში. ალ. ოჩიაურის განმარტებით, მოკლულის ოჯახი უშუალო მკვლელს მის ერთ-ერთ ნათესავს „დაატანდა“ და, მას შემდეგ, რაც შეურიგდებოდა მკვლელის ძმა-ბიძაშვილებს, სისხლის აღების საშიშროების ქვეშ მკვლელთან ერთად „დატანებულიც“ რჩებოდა და რომელსაც მოიხელთებდნენ, მას მოკლავდნენ. შერიგე-

[1] გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973, 167-168.; რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, 25, 34; რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1947, 167; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 53; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 70.

ბის შემთხვევაში „დატანებულს“ მკვლელთან ერთად ირიგებდნენ.[1] აღნიშნული ინსტიტუტი გასული საუკუნის 70-იან-80-იან წლებში ჩაწერილ მასალაშიც ფიქსირდება. ერთ-ერთი ინფორმატორი აღნიშნავს, რომ „სათოფედ გაწირულს“ მკვლელობიდან ახლო ხანებში შეარჩევდნენ. იგი მკვლელის ბიძაშვილი, უცილობლად სახელოვანი ვაჟკაცი უნდა ყოფილიყო. მისივე განმარტებით, მოკლულის ოჯახს შესაძლოა საერთოდ უარი ეთქვა მკვლელის მოკვლაზე, თუ ჩათვლიდა მას ლაჩრად, ბეჩავად და სახელგანთქმულ „სათოფედ გაწირულს“ დევნიდა.[2] თუ მკვლელი მცირეწლოვანი ან გიჟი იყო, მაშინ მით უმეტეს მოკლულის ოჯახი საპასუხოდ არა მკვლელის მოკვლაზე ფიქრობდა, არამედ მკვლელის გვარში გამორჩეულ ვაჟკაცზე ცდილობდა შურისძიებას.[3] ცხადია, „დატანებულის“, თუ „სათოფედ გაწირულის“ ინსტიტუტი იმ საზოგადოებაში შეიძლება ჩამოყალიბებულიყო, სადაც ობიექტური შერაცხვის პრინციპები ჯერ კიდევ აქტუალურია, რადგანაც მოკლულის ოჯახის მსხვერპლი, სისხლის აღების მიზნით მისი უშუალო დევნის ობიექტი, შესაძლოა გამხდარიყო სრულიად უდანაშაულო პიროვნება.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულ ჩვეულებით სამართალში ობიექტური შერაცხვის პრინციპების მოქმედება აშკარად ჩანს XIX-XX საუკუნის მასალების მიხედვით. კერძოდ, ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებით აშკარად დასტურდება ფათერაკით მკვლელობისას განზრახი მკვლელობის ანალოგიური პასუხისმგებლობის არსებობა, ასევე მკვლელობისას დანაშაულის მოტივისა და მიზეზის გაუთვალისწინებლობა პასუხისმგებლობის დაკისრებისას. ეს განსაკუთრებით ცალსახად ვლინდება ხევსურეთში დაფიქსირებული მასალით (მათ შორის XX საუკუნის 70-80-იანი წლების მასალებითაც კი). ძირითადად, იმავე სურათია სვანური მასალებითაც, თუმცა, აქ განსაზღვრულ შემთხვევებში შესაძლებელი ჩანს მკვლელობის საქმეზე სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინება, რაც კიდევ უფრო მეტად ვლინდება მ. კეკელიას მიერ XX საუკუ-

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/3, მოსისხლეობა ხევსურეთში, 29.

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატი, 1988, 37.

[3] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატი, 1988, 41; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატი,1988, 47, 75.

ნის 60-იანი წლების მასალებით, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ობიექტური შერაცხვის პრინციპის გამოვლინებას წარმოადგენს ასევე სისხლის აღებისას არა მარტო მკვლელის, არამედ მის ნაცვლად მისი ახლო ნათესავის (თუნდაც სრულიად უდანაშაულოს) მოკვლის უფლება.

როგორც ვხედავთ, ქართულმა ჩვეულებითმა სამართალმა საქართველოში სამართალგანვითარების უძველესი პლასტები შემოგვინახა, დამახასიათებელი ჯერ კიდევ ობიექტური შერაცხვის პერიოდისათვის. საქართველოს ზოგიერთი მთის რეგიონის ჩვეულებით სამართალში XX საუკუნეში შემორჩენილი ობიექტური შერაცხვის პრინციპები საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ საქართველოში სამართალგანვითარების იმ უძველეს ეტაპზე, როდესაც სწორედ ეს პრინციპები იყო პრიორიტეტული.

3. სუბიექტური შერაცხვის პრინციპების გამოვლინება მხარეთა შერიგებისას ქართულ ჩვეულებით სამართალში

საქაროველოს ზოგიერთ მთის რეგიონში ობიექტური შერაცხვის პრინციპების არსებობა და გარკვეულ შემთხვევებში მათი დომინირება, არ გამორიცხავდა ქართულ ჩვეულებით სამართალში სუბიექტური შერაცხვის ელემენტების არსებობასაც. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატებოდა განზრახვის გარეშე დანაშაულისას შერიგების გაადვილებაში.

როგორც დავინახეთ, ობიექტური შერაცხვის პრინციპების რეალურ გამოვლინებას განსაკუთრებით ადგილი ჰქონდა მკვლელობის შემთხვევაში. ყველაზე თვალნათლივ ეს ხევსურულ ჩვეულებით სამართალში შეიმჩნევა. აქ შემთხვევით მკვლელობასაც შესაძლოა მოჰყოლოდა მკვლელის დევნა სისხლის აღების მიზნით, მკვლელისა და მისი ოჯახის გახიზვნა და ყველაფერი ის, რაც განზრახი მკვლელობის თანმდევი იყო საქართველოს ამ კუთხეში. კომპოზიციის ოდენობაც კი არა მცირდებოდა და შემთხვევითი მკვლელობის ჩამდენი იმდენივე დრამას იხდიდა, რამდენსაც განზრახი მკვლელობის დროს. მიუხედავად იმისა, რომ უნებლიე მკვლელობისას მხარეთა შერიგება შესაძლოა ისევე გართულებულიყო, როგორც განზრახი მკვლელობისას (შესაბამისი კონკრეტული ფაქტები ალ. ოჩიაურის მასალებიდან ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ), ხევსურულ ჩვეულებით სამართალში აშკარად ჩანს ტენდენცია, რომ არაგანზრახი, უნებლიე მკვლელობისას

შერიგება (უფრო ზუსტად დაზარალებული მხარის, მოკლულის ოჯახის, ნათესაობის დათანხმება შერიგებაზე) ბევრად უფრო გაადვილებული იყო, ვიდრე განზრახი მკვლელობისას. არაერთი ხევსური ინფორმატორი ცალსახად ადასტურებს ამ გარემოებას. ისინი საუბარში ხაზს უსვამენ იმას, რომ სასჯელის განსაზღვრისას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა მკვლელობა განზრახ მოხდა თუ უნებლიეთ, თუმცა მიუთითებენ, რომ შერიგება ამ უკანასკნელ შემთხვევაში უფრო გაადვილებულია. სილუსტრაციოდ ზოგიერთი მათგანის გამონათქვამს მოვიყვანთ ამ საკითხზე. ერთ-ერთის თქმით: ,,იშობრივ მოკლავდა თუ გიზმობით, თავი მაინც დაედებოდა, თუმცა შერიგება გაიოლებული იყო და მკვლელსაც იმდენად არარ დასდევდნენ.“[1] მსგავს განმარტებას იძლევა მეორე ინფორმატორიც: ,,მკვლელი ამტკიცებდა, რომ თოფი შემთხვევით გამივარდა და შემომაკვდა, თუმცა ჩვენი რჯული ერთმანეთისაგან არჩევს გონებით და უგონებით ჩადენილ მკვლელობას, მაგრამ სასჯელის განსაზღვრისას მნიშვნელობას თითქმის არ ვანიჭებთ. მხოლოდ ერთი რამ – თუ მკვლელობა უგონებოდ, ე. ი. იშობრად მოხდა, მაშინ დაზარალებული მხარე შერიგებაზე შეიძლება უფრო ადვილად დათანხმდეს.“[2] აღნიშნულ საკითხზე კიდევ ერთი ინფორმატორის გამონათქვამს მოვიტანთ: ,,ჩვენთან ასეთი არა აქვს მნიშვნელობა, როგორ მოკალი კაცი შემთხვევით, თუ განზრახ, ე. ი. იშობრად თუ გიზმობით, თავი თავია და უნდა ზღონ, მაგრამ იშობრად ჩადენილი მკვლელობის დროს შერიგება ადვილდება, იმდენად არარ დევნიან მკვლელს და პირველივე წინადადებაზე იწყებენ შეთანხმებას შერიგებაზე.“[3] იმავე დასტურდება ალ. ონიაურისა[4] და რ. ხარაძის[5] მიერაც. ალ. ონიაურის მა-

[1] ვ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული,1988, 54.

[2] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 41; 88-89.

[3] ვ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული,1988, 75.

[4] ალ. ონიაური აღნიშნავს, რომ ,,რიგის ყენებაზე დათანხმების ერთ-ერთი ფაქტორია მოკლა წინასწარი მოფიქრებით, თუ ფათერაკით“ (ალ. ონიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, ხელნაწერი, რეული №3, 28).

[5] რ. ხარაძე ასევე მიუთითებს, რომ ,,იშობრად მომხდარი მკვლელობის დროს შერიგება უფრო ადვილია, გიზამობით მომხდარი მკვლელობა კი უეჭველად სისხლის აღებას მოითხოვს“ (რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1947, 187). აქედან გამომდინარე, იმავე გვერდის სქოლიოში რ. ხარაძე არ ეთანხმება ნ. ხიზანაშვილის (ურბ-

სალებში კონკრეტული შემთხვევებიცაა აღწერილი, რომლებშიც კარგად ჩანს შემთხვევითი მკვლელობისა თუ დაჭრისას შერიგების შედარებითი სიადვილე განზრახ დანაშაულთან შედარებით.[1]

შერიგება ხევსურეთში არ გულისხმობდა დაზარალებულის მიერ დამნაშავის სრულ პატიებას და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას. შერიგება, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავდა იმას, რომ დაზარალებული თანახმაა უარი თქვას შურისძიებაზე და ამის სანაცვლოდ მიიღოს მოცემული დანაშაულისათვის გათვალისწინებული საზღაური. საზღაურის გადახდას კი მოჰყვებოდა მხარეებს შორის შერიგების ცერემონიალი. ხევსურეთში, განსაკუთრებით მკვლელობისას, უდიდეს სირთულეს წარმოადგენდა სწორედ დაზარალებული მხარის დაყოლიება უარი ეთქვა შურისძიებაზე და შესაბამისი კომპოზიციის მიღების საფუძველზე შერიგებოდა დამნაშავეს და მის ნათესავებს, რადგანაც შურისძიებაზე უარი სირცხვილად ითვლებოდა.

ნელის) შენიშვნას იმის შესახებ, რომ „ხევსურულ სამართლისათვის სულერთია – შემთხვევით შემოგაკვდა კაცი, თუ განზრახ მოკალი იგი. კაცი როგორც უნდა შემოგაკვდეს, ზარალი ერთი და იმავეა“. ჩვენი აზრით, ნ. ხიზანაშვილი (ურბნელი) სწორ აქცენტს სვამს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მკვლელი და მისი ნათესაობა როგორც განზრახი, ისე შემთხვევითი მკვლელობისათვის თანაბარ საზღაურს იხდიდა და ორივე შემთხვევაში ერთნაირ ზარალს განიცდიდა. ამიტომ ნ. ურბნელის შეფასება ამ თვალსაზრისით ზუსტია და არ გამორიცხავს შერიგების გაადვილებას არაგანზრახი მკვლელობისას.

[1] მაგალითად, ერთ-ერთი შუღლისას შემთხვევით დაიჭრა გამშველებელი. როგორც ალ. ოჩიაურის ინფორმატორი აღნიშნავს, მან ეს არ იწყინა და თქვა, რომ შუღლში ბევრი რამ ხდება, „...განა გონებითად, გიზმაობით დამკრ“. დაზარალებულის სწორედ ასეთი დამოკიდებულების გამო შერიგება საკმაოდ გაადვილდა (ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/6, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 64). მეორე მსგავს შემთხვევაში უნებლიეთ დაიჭრა გამშველებელი ქალი. როგორც ალ. ოჩიაური მიუთითებს, შერიგება აქაც იშობრობის გამო გაადვილდა (ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/1, მოსისხლეობა ხევსურეთში, 2-3). ალ. ოჩიაურის მასალებში შემთხვევითი მკვლელობის დროს შედარებით ადვილად შერიგების მაგალითებსაც ვხვდებით. ახიელელებისა და ამღელების (არხოტის თემის სოფლებია) შუღლისას მოხდა უნებლიე მკვლელობა. მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობა არ იყო განზრახ ჩადენილი, მკვლელი, მისი ორი ძმა და ბიძაშვილებიც სხვა სოფლებში გაიხიზნენ და იმალებოდნენ. შუაკაცებმა მალე შეძლეს რიგის ყენების მიღწევა (ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/6, მოსისხლეობა ხევსურეთში, 71). დაზარალებლი მხარის რიგის ყენებაზე სწრაფი დათანხმება მხოლოდ უნებლიე მკვლელობისას იყო შესაძლებელი და როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც ამის გამო მოხდა.

შერიგების რთული პროცესი ხევსურეთში იწყებოდა მაშინ, როდესაც დაზარალებული მხარე დათანხმდებოდა რიგის ყენებას, რასაც დროთა განმავლობაში (თუ მანამდე მკვლელზე შურს არ იძიებდნენ) მკვლელის ბიძაშვილების, ძმების და თვით მკვლელის პირშესამყრელოები (შერიგების ცერემონიალი მოკლულის სალოცავში) და თავის გათავება (საბოლოო შერიგება) მოჰყვებოდა. დანაშაულის ჩადენიდან უმოკლეს ვადაში შუაკაცები მაქსიმალურად ცდილობდნენ დაზარალებული მხარის დათანხმებას რიგის ყენებაზე, რაც შერიგების პროცესის დაწყების წინაპირობას წარმოადგენდა, მაგრამ ეს ძალზედ რთული იყო, განსაკუთრებით, განზრახი მკვლელობისას. ამ დროს დაზარალებულ მხარესთან საუბარიც კი ჭირდა და პირველივე მისვლაზე, ან მკვლელობიდან მოკლე ხანში რიგის ყენებაზე მისი დათანხმება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ეს თანხმობა არ ავალდებულებდა დაზარალებულ მხარეს უარი ეთქვა სისხლის აღებაზე და შერიგების გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა. ამიტომ შუაკაცების სიარული მოკლულის ოჯახში, ამ უკანასკნელის რიგის ყენებაზე დათანხმების მიზნით შესაძლოა ძალზედ დიდხანს გაგრძელებლიყო და შუაკაცებს არაერთხელ დასჭირვებოდათ მისვლა დაზარალებულის ოჯახში. როდესაც ხევსური ინფორმატორები საუბრობენ შერიგების შედარებით გაადვილებაზე არაგანზრახი მკვლელობისას, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში აქვთ სწორედ რიგის ყენებაზე მოკლულის ოჯახის შედარებით სწრაფად და ადვილად დათანხმების შესაძლებლობა. როგორც დავინახეთ, ერთ-ერთი ინფორმატორი მიუთითებს, რომ შემთხვევითი მკვლელობისას შეთანხმება შერიგებაზე პირველივე წინადადებაზე იწყება, რაც განზრახი მკვლელობისას გამორიცხულია. ინფორმატორთა ზემოთ მოყვანილი გამონათქვამები აშკარად მიუთითებს, რომ ხევსურეთში მკვლელობის შემთხვევაშიც მოკლულის ოჯახი, ნათესაობა ძირითადად ანგარიშს უწევდა დამნაშავის სუბიექტურ დამოკიდებულებას მის მიერ ჩადენილი მკვლელობისადმი და უნებლიე, არაგანზრახი მკვლელობისას შედარებით ადვილად თანხმდებოდა რიგის ყენებას, ვიდრე ეს განზრახი მკვლელობისას იქნებოდა. ეს კი აშკარად მიუთითებს იმას, რომ ხევსურეთში, მკვლელობისას, სუბიექტური ფაქტორი სრულიად იგნორირებული არ ყოფილა და მას რიგის ყენებაზე დათანხმებისას მაინც ითვალისწინებდნენ.

ალ. ოჩიაური სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინებას უკავ-

შირებს ასევე „სიცოცხლით თავის გათავებას," რაც შერიგების გარკვეული ფორმაა. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ერთი პიროვნება მეორეს მძიმედ დაჭრიდა და საეჭვო იქნებოდა გადარჩებოდა თუ არა იგი. თუ დაჭრილის გარდაცვალებამდე დამჭრელი შუაკაცების ხელით 30 ძროხა დრამას (თავსისხლის ნახევარს) გადაუხდიდა დაზარალებულ მხარეს, დაჭრილის გარდაცვალების შემთხვევაში მკვლელობისათვის პასუხისმგებლობა აღარ დაეკისრებოდა. დაჭრილის გარდაცვალების შემთხვევაში დამჭრელისათვის ეს იყო ერთადერთი საშუალება თავი დაეღწია ხევსურული რჯულით მკვლელობისათვის გათვალისწინებული ძალზედ მძიმე პასუხისმგებლობისათვის. თუ დაჭრილი მაინც გადარჩებოდა, დამჭრელს გადახდილი დრამის უკან დაბრუნების უფლება აღარ ჰქონდა. თუმცა „სიცოცხლით თავის გათავება" რომ მომხდარიყო, ამისათვის საჭირო იყო დაზარალებული მხარის თანხმობა. ეს კი ძალზედ რთულ საქმეს წარმოადგენდა და როგორც ალ. ოჩიაურის ინფორმატორი მიუთითებს, შესაძლოა გაადვილებულიყო მაშინ, როცა დანაშაული უნებლიეთ მოხდა. დაჭრილის ნათესავების უარის შემთხვევაში შესაძლოა თვით დაჭრილს ეთქვა მათთვის: „მე მაგისგან ძალმომრეობით და გონობით არ ვკვდები, ეს მაგას არ უნდოდა, მაგრამ ალბათ ასეთი იყო წერა და იშობარი მოუვიდაო, მე მინდა, რომ სიცოცხლით გაათაოთ და ჩემს თაობაზე აღარაკინ მოკვდესო;...შეასრულეთ რასაც გეუბნებით, რომ მოვკვდე სამარით ნუ გადმომაგდებთო."[1] ამის მერე დაჭრილის ნათესაობაც დათანხმდებოდა „სიცოცხლით თავის გათავებას."[2] როგორც ჩანს, დანაშაულის არაგანზრახ, უნებლიეთ ჩადენა ზრდიდა „სიცოცხლით თავის გათავების" მეშვეობით მხარეთა შერიგების ალბათობას.

ხევსურეთის მსგავსად სვანეთშიც, უნებლიე დანაშაულისას, მათ შორის მკვლელობისას, უფრო ადვილდებოდა მოკლულის ოჯახის დაყოლიება, რომ უარი ეთქვა შურისძიებაზე და დათანხმებოდა მედიატორი მოსამართლეების (მორვების) მიერ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე შერიგებას. საბოლოო შერიგებისათვის აუცილებელი იყო დამნაშავეს დაზარალებულისათვის გადაეხადა მორვების მიერ დაკისრებული საზღაური.

ა. დავითიანის მიხედვით, უნებური მკვლელობა განზრახი მკვ-

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, რვეული №1, 7-8.

[2] იქვე.

ლელობისაგან იმით მაინც განსხვავდებოდა, რომ „ჭირისუფალი სისხლის აღების ნიშნად თოფს არ გაისვრიდა მიცვალებულის დაკრძალვისას და ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სისხლის აღებას ჩვეულებრივად მოკლისდაგვარად არ გამოუდგებოდა.“[1] ავტორი იქვე საუბრობს უნებლიე მკვლელობისას შერიგების სიადვილეზეც. მისი თქმით: „ამ შემთხვევაში მოკლულის ოჯახი ნაკლებად მოსარიდებელი იყო. მართალია, მას ადამიანის სული მაინც აკლდა ....., მაგრამ უნებურად მომხდარი ფაქტი ყველას უფლებას აძლევდა დაემტკიცებინა დაზარალებულისათვის, რომ უნებურ მკვლელობას შერიგების გარდა არაფერი უდგებოდა. თუ მოკლულის ოჯახი დიდხანს გაკერპდებოდა და შერიგების უარს იტყოდა, ხევი აქაც გამოსავალს იპოვნიდა. დაზარალებულს ფიცს შეაძლევდა დამზარალებელი, რომ ამდაგვარად პირაქეთ რომ მოეკლა დაზარალებულს ხევის მოთხოვნით შეურიგდებოდა თვითონაც. ეს ყველაზე უფრო სწორი და მიუდგომელი სამართლიანი ფიცი გადაწყვეტდა საკითხს და ამ ფიცის შეძლევის შემდეგ დაზარალებულს ურჩობის ძალა ეკარგებოდა. ის უნდა დათანხმებულიყო, რადგან ხევ-სოფელი დაადანაშაულებდა და დამზარალებელს პირიქით დაიცავდა და მფარველობას დაუწყებდა. ასე მოწესრიგდებოდა და მტრობას შერიგება მოჰყვებოდა“.[2] როგორც ამ ამონარიდიდან ჩანს, სვანეთში უნებლიე მკვლელობისას ხეობის, ანუ თემის და სოფლის საზოგადოება უფრო აქტიურად ერეოდა შერიგების პროცესში, რადგანაც მოკლულის ოჯახი ამ დროს ნაკლებად მოსარიდებელი იყო. საზოგადოების წარმომადგენლები ცდილობდნენ დაეჯერებინათ დაზარალებულები შერიგების გარდუვალობაში შემთხვევითი მკვლელობისას და თუ ისინი გაჯიუტდებოდნენ და უარს იტყოდნენ შერიგებაზე, ამ შემთხვევისთვისაც არსებობდა გამოსავალი: მკვლელი სათანადო წესების დაცვით დაიფიცებდა დაზარალებულთა წინაშე, რომ, პირიქით, თვითონ რომ ყოფილიყო დაზარალებული და დაზარალებული მკვლელი, თემის მოთხოვნით ისიც შეურიგდებოდა (ტოლობის ფიცი). ამ ფიცის შემდეგ დაზარალებულს შერიგების მეტი აღარაფერი რჩებოდა, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოების რისხვას ვერ ასცდებოდა. ცხადია, განზრახი მკვლელობის შემთხვევაში საზოგადოება ასეთი ფორმით შერიგების პროცესში ვერ ჩაერეოდა და მოკლულის ოჯახის მიმართ ბევრად უფრო

[1] ა. დავითიანი, იქვე, 73.

[2] იქვე, 74.

მორიდებული იქნებოდა.

ა. დავითიანის მიხედვით, გამოდის, რომ განზრახი მკვლელობისაგან განსხვავებით, უნებლიე მკვლელობისას, შურისძიების ჩადენის ალბათობა არსებითად მცირდებოდა და შერიგება უფრო რეალურად მისაღწევი იყო. ამ მონაცემებით აშკარად ჩანს, რომ სვანური საზოგადოება ყველანაირად ცდილობს შემთხვევითი მკვლელობისას არ დაუშვას შურისძიება და მას ამ თვალსაზრისით დაზარალებულ მხარეზე ზემოქმედების გარკვეული ბერკეტები გააჩნია. ა. დავითიანის თქმით, ხევი (თემი) „არასდროს არ მისცემდა ნებას, რომ ჭირისუფალს უნებური მკვლელობის სისხლი აეღო, პირდაპირ მკვლელს გამოსდგომოდა და მოეკლა ან ის ანდა სხვა ოჯახის წევრი,“[1] რადგანაც საზოგადოებას ეს დაუშვებლად და უმართებულოდ მიაჩნდა. ცალკეული ოჯახი, თუ გვარი საზოგადოებას, ძირითადად, ემორჩილებოდა, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ხევს შეეძლო დაეგმო და გაეკიცხა უწესო საქციელის ჩამდენი.[2] საინტერესოა, რომ მ. კეკელიას მიერ ჩაწერილი მასალით, ასევე დასტურდება, რომ შემთხვევითი მკვლელობისას შერიგება უფრო გაადვილებულია, ვიდრე განზრახი მკვლელობისას. ზოგიერთი ინფორმატორის განმარტებით კი, შემთხვევითი მკვლელობა აუცილებლად შერიგებით სრულდება. ერთ-ერთი ინფორმატორი ბალსქვემო სვანეთიდან ამბობს, რომ „განზრახი მკვლელობისას მხარეთა შეთანხმება უფრო ძნელია, უნებლიე მკვლელობის დროს კი ადვილი.“[3] კალელი ინფორმატორი კი უფრო კატეგორიულია: „გაუფრთხილებელი მკვლელობა ყოველთვის მორიგებით მთავრდება, განზრახ მკვლელობისას მორიგებაზე დათანხმება მეტად ჭირს, რომელსაც დიდი მოციქულობა უძღვის წინ.“[4] კიდევ ერთი ინფორმატორი ასევე აცხადებს, რომ „უნებლიე მკვლელობის, ან დაჭრის დროს აუცილებლად შერიგებით უნდა დასრულდეს საქმე.“[5]

---

[1] ა. დავითიანი, იქვე, 74.

[2] იქვე, 74.

[3] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 104.

[4] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968, 15.

[5] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 4.

ამრიგად, ჩვენ მიერ მოყვანილი მონაცემები სვანურ ჩვეულებით სამართალთან დაკავშირებით გვიჩვენებს, რომ სვანური საზოგადოება მოსისხლეთა შერიგებისას ითვალისწინებს დამნაშავის სუბიექტურ დამოკიდებულებას მის მიერ ჩადენილი დანაშაულისადმი. ა. დავითიანისა და მ. კეკელიას მასალები ცალსახად გვიჩვენებს, რომ შემთხვევითი მკვლელობისას დაპირისპირებულ მხარეთა შერიგება გაადვილებული იყო, ვიდრე განზრახი მკვლელობისას. მეტიც, ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, შერიგება არაგანზრახი მკვლელობისას აუცილებლობას წარმოადგენდა. ეს სუბიექტური შერაცხვის პრინციპების აშკარა გამოვლინებაა.

აღსანიშნავია, რომ იმავე მონაცემები ფიქსირდება აჭარაშიც. აქაც „ყეზად“, ანუ განზრახვის გარეშე მკვლელობისას შერიგება გაიოლებული იყო[1] და როგორც ინფორმატორები მიუთითებენ, ამ დროს სისხლის აღება (განსხვავებით განზრახი მკვლელობისაგან) არ ხდებოდა.[2] განზრახი მკვლელობისას კი (თუ სისხლის აღებას ვერ შეძლებდა დაზარალებული მხარე), შერიგება ძალზედ რთულდებოდა და მისი მიღწევისათვის შესაძლოა წლებიც კი გამხდარიყო საჭირო. შემთხვევითი მკვლელობისას მკვლელის ნათესაობა იმ დღესვე უნდა მისულიყო მოკლულის ოჯახში პატიებისა და შერიგების სათხოვნელად. წინააღმდეგ შემთხვევაში დაზარალებული მხარე ამას შეურაცხყოფად, საკუთარი თავის აბუჩად აგდებად ჩათვლიდა და შურს იძიებდა.[3] აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დაზარალებულ მხარეს სისხლი რომ არ აეღო, ის დარწმუნებული უნდა ყოფილიყო იმაში, რომ მკვლელობა მართლაც შემთხვევით მოხდა. ამიტომ, როგორც იბ. აბაშიძე აღნიშნავს: „ასეთ შემთხვევაში მოახდენდნენ ძიებას, გამოარკვევდნენ, ხომ არ ყოფილა მხარეთა შორის შეხლა-შემოხლა, ახლო თუ შორეულ წარსულში, თუნდაც მცირედი წყენა, კონფლიქტი, რასაც, შესაძლებელია შემთხვევითობის საფარქვეშ მოჰყოლოდა ადამიანის სიკვდილი სამაგიეროს გადახდის მიზნით და როცა დარწმუნდებოდნენ მკვლელობის შემთხვევითობაში, სამაგიეროს არ

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 24.

[2] მ. კეკელია, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 59; გ. დავითაშვილი, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 16.

[3] გ. დავითაშვილი, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 51.

მიუზღავდნენ."[1] როგორც ვხედავთ, აჭარაშიც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მკვლელობა ჩადენილია განზრახ თუ განზრახვის გარეშე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შერიგება საკმაოდ გაიოლებული ჩანს და თუ დამნაშავის მხრიდან ადგილი არ ექნებოდა დაზარალებული მხარისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებას, მაშინ დაზარალებული მხარე შურს არ იძიებდა.

შერიგება უნებლიე მკვლელობისას და დაჭრისას უფრო ადვილდებოდა ხევშიც[2] და ფშავიც.[3]

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ მასალებში ჩანს, რომ შემთხვევითი მკვლელობისას, დაზარალებული მხარე მკვლელს ისე არ სდევნიდა შურისძიების მიზნით, როგორც განზრახი მკვლელობისას. ეს ხევსურულ ჩვეულებით სამართალშიც კარგად ჩანს და მისთვის დამახასიათებელი ტენდენციაა, მიუხედავად იმისა, რომ ხევსურეთში ადგილი ჰქონდა შურისძიების ფაქტებს შემთხვევითი მკვლელობისას. ამ ვითარებას საკმაოდ ზუსტად გამოხატავს ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი, რომლის თქმითაც: „იშობრად მოკვლის დროს, შედარებით გიზამობით მკვლელობასთან, დაზარალებული მხარე იმდენად მაინც არ დევნის მოსაკლავად მკვლელს, თუმცა ეს მტკიცე წესი არ არის."[4] იმავეს ვხედავთ სვანეთსა და აჭარაშიც. ეს დამოკიდებულება ყველაზე უკეთ ვლინდება იმაში, რომ შემთხვევითი მკვლელობისას, როგორც ა. დავითიანი მიუთითებს, ჭირისუფალი მოკლულის საფლავზე თოფს აღარ გაისროდა (ანუ საჯარო პირობას აღარ დებდა მოკლულის საფლავზე რომ სისხლს აიღებდა) და მკვლელის ისევე აქტიურ დევნას აღარ დაიწყებდა, როგორც ეს განზრახი მკვლელო-

[1] იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 10.

[2] გ. დავითაშვილი, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2004, 173.

[3] დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში (ფშავის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით), გამომცემლობა „უნივერსალი," თბ., 99-100; ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის — „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თავის — „დანაშაული" — მე-2 ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1991, 42.

[4] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერი, 1988, 40-41.

ბის შემთხვევაში იქნებოდა. არც საზოგადოება დაუშვებდა იმას, რომ მოკლულის ნათესავები პირდაპირ გამოსდევნებოდნენ მოსაკლავად მკვლელსა და მის ნათესავებს.

აჭარულ მასალებშიც ჩანს, რომ საზოგადოება არსებით ზღვარს ავლებს განზრახ და განზრახვის გარეშე ჩადენილ დანაშაულებს შორის, რაც მკლელობის შემთხვევაშიც კარგად ვლინდება. აქაც შემთხვევითი მკვლელობისას, როგორც დავინახეთ, დაზარალებული მხარე არ დევნის მკვლელს, თუ დარწმუნდება, რომ დანაშაული შემთხვევითაა ჩადენილი.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც XX საუკუნის ჩვეულებითი სამართლის მასალებითაც ფიქსირდება სისხლის აღების ინსტიტუტი (ხევსურეთი, სვანეთი, ზემო აჭარა), შესაძლებელია საუბარი ტენდენციაზე, რომლის მიხედვითაც, შურისძიების განხორციელების ინტენსივობის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, მკვლელობა განზრახ მოხდა თუ შემთხვევით. როგორც დავინახეთ, ხევსურეთში ყოველთვის ამ ტენდენციის მიხედვით არ იქცეოდნენ, ხოლო სვანეთსა და აჭარაში, შემთხვევითი მკვლელობისას დაზარალებული მხარე, ძირითადად, თავს იკავებდა შურისძიებისაგან, თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ შურისძიება შემთხვევითი მკვლელობისას საერთოდ გამორიცხული იყო. აჭარულ მასალაში გამოჩნდა, რომ თუ მკვლელის ნათესაობა მკვლელობის დღესვე არ მივიდოდა ჭირისუფლებთან მონანიების ნიშნად და ამით უპატივცემლობას გამოხატავდა მათ მიმართ, არაფრად ჩააგდებდა მოკლულის ოჯახს, მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობა „ყეზად“, ანუ შემთხვევით მოხდა, შეურაცხყოფილი დაზარალებულები უკვე ისევე დაუწყებდნენ მკვლელს დევნას, როგორც განზრახი მკვლელობის ჩამდენს. სვანეთშიც, შემთხვევითი მკვლელობისას, თუ მკვლელის მხარე უპატივცემლობას გამოიჩენდა დაზარალებული მხარის მიმართ, იმავე შედეგი დადგებოდა. ეს ა. დავითიანის მასალაშიც კარგად ჩანს.[1] ასე რომ, შესაძლოა, მკვლელისა და მისი ნათესაობის სუბიექტურ დამოკიდებულებას გავლენა მოეხდინა შურისძიების

[1] ა. დავითიანის მიხედვით, ენის მიტან-მოტანას, მკვლელის მხრიდან ისეთ საქციელს, რომელსაც დაზარალებული მხარე მის უპატივცემლობად და აბუჩად აგდებად ჩათვლიდა, შესაძლოა ემოქმედა დაზარალებულის დამოკიდებულებაზე მკვლელობისადმი და მკვლელისადმი და მკვლელობის შემთხვევით ჩადენის მიუხედავად სისხლის ასაღებად შესდგომოდა მოქმედებას (ა. დავითიანი, იქვე, 74).

განხორციელება-არგანხორციელებაზე, დაზარალებული მხარის აქტიურობაზე შურისძიების განხორციელებისას.

მ. კოვალევსკის მიხედვით, თუ საზოგადოებრივი განვითარების თავდაპირველ ეტაპზე გაუფრთხილებელი თუ განზრახი ზიანი სისხლის აღებას ერთნაირად იწვევდა, დროთა განმავლობაში დამოკიდებულება ამ საკითხისადმი იცვლება. კერძოდ, ყალიბდება შეხედულება, რომლის მიხედვითაც შემთხვევითი და გაუფრთხილებელი მოქმედებები, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი ზიანი მოჰყოლოდა მათ, იწვევდა შურისძიებას ნაკლები ხარისხით, ვიდრე განზრახი ზიანისას.[1] ქართული ჩვეულებითი სამართლის XX საუკუნის მასალებით (უფრო ზუსტად ზემოთ დასახელებულ კუთხეებში დაფიქსირებული მასალით), როგორც დავინახეთ, დაახლოებით იმავე დამოკიდებულება შეიმჩნევა: შემთხვევითი მკვლელობისას დაზარალებული მხარე, როგორც შურისმაძიებელი, ძირითადად, ნაკლებად აქტიურია (ან სულაც არ დევნის მკვლელს), ანუ მისი მხრიდან შურისძიების განხორციელება ნაკლები ხარისხით ხდება, ვიდრე განზრახი მკვლელობისას. ასეთ ვითარებაში, ცხადია, დაზარალებული მხარე უფრო განწყობილია შესარიგებლად, ვიდრე განზრახი მკვლელობისას იქნებოდა.[2]

[1] М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М.,. 1890, 71.

[2] ჩვენს ხელთ არსებული მასალებით არის გარკვეული მონაცემები, რომელთა მიხედვით, დაზარალებული მხარე, შესაძლოა, შერიგებაზე შედარებით ადვილად წასულიყო, თუ დარწმუნდებოდა, რომ მკვლელობა უმიზეზოდ არ მომხდარა და მკვლელს გარკვეული მოტივი ჰქონდა დანაშაულის ჩასადენად. მაგალითად, არაერთი აჭარელი ინფორმატორი აცხადებს, რომ შერიგება შეიძლება მაშინაც ყოფილიყო შედარებით გაადვილებული, როდესაც მოკლულსაც მიუძღოდა გარკვეული ბრალი მკვლელის წინაშე, ვთქვათ, პირველმა მან ესროლა, დაჭრა, ან რაიმე დაუშავა მკვლელს (მ. კეკელია, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 39-41; ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 7). გ. ჟორდანიას მიერ ზემო სვანეთში მომხდარი მკვლელობის საქმის განხილვის აღწერილობაში ჩანს, რომ მოკლულის ჭირისუფალი მკვლელისაგან ითხოვს დაფიცებას იმის დასადასტურებლად, რომ მას ჩხუბი პირველს არ დაუწყია და არ ჰქონია წინასწარი განზრახვა მკვლელობისა (Г. Жорданиа, Гретеиский суд в Сванетии,. «Закавказье»,. 1912, №2-3). ასეთი ფიცი, ცხადია, შეამცირებდა მკვლელის მიმართ დაზარალებული მხარის აგრესიას და შეამსუბუქებდა მის მდგომარეობას. წინააღმდეგ შემთხვევაში დაზარალებული მხარე დაჟინებით არ მოითხოვდა მისგან ამ შინაარსის ფიცს. ეს კი ხელს შეუწყობდა დაზარალებულის შერიგებაზე დათანხმებას.

საზოგადოების ასეთი შეგნება განაპირობებდა სწორედ, შემთხვევითი, გაუფრთხილებელი მკვლელობისას, შერიგების შედარებით გაადვილებას, რაც საზოგადოებაში სუბიექტური შერაცხვის პრინციპების არსებობისა და გამოვლინების მაჩვენებელია.

4. სუბიექტური შერაცხვის პრინციპების გამოვლინება პასუხისმგებლობის დაკისრებისას ქართულ ჩვეულებით სამართალში

ჩვენს ხელთ არსებულ ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში, სუბიექტური შერაცხვის პრინციპები მხოლოდ მხარეთა შერიგებისას არ ვლინდება. არის გარკვეული მონაცემები, განსაკუთრებით XX საუკუნის II ნახევარში დაფიქსირებულ მასალებში, რომელთა მიხედვითაც ხდება დამნაშავის სუბიექტური დამოკიდებულების გათვალისწინება მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას.

ასეთი მონაცემები ხევსურეთშიცაა დაფიქსირებული. კერძოდ, XX საუკუნის 80-იანი წლების მასალებიდან კარგად ჩანს, რომ შემთხვევითი დაჭრისას პასუხისმგებლობა ნახევრდება. საილუსტრაციოდ რამდენიმე ინფორმატორის ცნობას მოვიყვანთ. ერთ-ერთი განმარტავს: „მკვლელობისას მნიშვნელობა არა აქვს, განზრახ მოკლავს, თუ იშობრობით (ფათერაკით). ეს მკვლელობისას, ხოლო დაჭრისას კი, თუ იშობრობით მოხდა, ნაკლები სასჯელია — ნახევარს იხდიან. მაგ., ან თოფი გაგივარდეს, ან სხვისთვის მოქნეული ხმალი სხვას მოგიხვდეს, იხდი იმის ნახევარს, რაც დაწესებულია.“[1] მეორე ინფორმატორიც ადასტურებს ამას: „შემთხვევით დაჭრისას (მაგ., გაშვებისას), დადგენილი იყო გადასახადის ნახევრის დაკისრება.“[2] იმავეს სხვა ინფორმატორიც იმეორებს.[3]

XX საუკუნის II ნახევარში ჩაწერილი ეს მონაცემები გარკვეულწილად არ ეთანხმება ალ. ოჩიაურის ჩვენ მიერ მოტანილ მონაცემს. როგორც ზემოთ გამოჩნდა, ალ. ოჩიაურის მიხედვით, ხევსურეთში დაჭრა-დასახიჩრების შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრებისას ითვალისწინებენ მხოლოდ ჭრილობებს და იმას, თუ რა საზღაურია

[1] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 18-19.

[2] იქვე, 61.

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 54.

მათთვის გათვალისწინებული ხევსურული რჯულით, ხოლო სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინება, კერძოდ, დანაშაულის მიზეზისა და მოტივის, არ ხდება და აქედან გამომდინარე, ეს დანაშაული განზრახაა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით, სასჯელის ზომაზე გავლენას არ ახდენს. XX საუკუნის ბოლოს ხევსურეთში დაფიქსირებული მასალა გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდისათვის აქ დაჭრა-დასახიჩრების საქმეზე უკვე ხდებოდა სუბიექტური ფაქტორებისათვის მნიშვნელობის მინიჭება, კერძოდ, ჩანს პასუხისმგებლობის დაკისრებისას იმის გათვალისწინება, დანაშაული განზრახაა ჩადენილი, თუ განზრახვის გარეშე, რასაც ვერ ვიტყვით მკვლელობასთან დაკავშირებით. იმავე ინფორმატორების თქმით, კომპოზიციის ოდენობა შემთხვევითი მკვლელობისას იმავე დარჩა, რაც განზრახი მკვლელობისას.

ამ თვალსაზრისით განსხვავებული ვითარებაა მ. კეკელიას მიერ სვანეთში XX საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე ჩაწერილი მასალის მიხედვით. მათში სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინება მკვლელობის საქმეზეც კი ცალსახად ჩანს. მ. კეკელიას არაერთი სვანი ინფორმატორი აცხადებს, რომ შემთხვევითი მკვლელობისას ხდება „წორის" მნიშვნელოვანი შემცირება. ცხადია, იმავე ვითარებაა სხვა დანაშაულებთან (კერძოდ, დაჭრა-დასახიჩრებასთან) დაკავშირებითაც.

ეს მასალა გვიჩვენებს, რომ სვანეთში შემთხვევითი მკვლელობისას მორევები დამნაშავეს ახდევინებდნენ ნახევარ წორს,[1] ან ნახევარზე ცოტათი მეტს.[2] ამ გარემოებას ბალსზემო სვანეთის სხვა-

[1] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 12, 33; ეთნოგრაფიული რვეული №2, 1968, 42, 68: ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 12; ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968, 36, 56; ეთნოგრაფიული რვეული № 5, 1968-1969, 29, 31, 38, 51. აღსანიშნავია, რომ მ. კეკელიას მასალებში აღწერილია შემთხვევა, როდესაც უნებლიე მკვლელობისას დამნაშავეს გადაახდევინეს სრული წორი. ეს არ ყოფილა გადახვევა ზოგადი წესიდან, რომ ამ დროს ნახევარი წორის გადახდაა საჭირო. საქმე ისაა, რომ მოკლული იყო იფარის მცხოვრები, გვარად ქურდიანი, ანუ როგორც ინფორმატორი მიუთითებს, „კარგი გვარიშვილი," რომლის წარმომადგენლის მკვლელობისათვის ორმაგი წორი იყო გათვალისწინებული (აზნაურთა გვარების წარმომადგენელთა მიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის სვანეთში ორმაგი საზღაურის დაკისრება წესი იყო). ასე რომ, ქურდიანის მკვლელობისათვის სრული წორის დაკისრება ფაქტობრივად პასუხისმგებლობის განახევრებას ნიშნავდა (მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968, 60).

[2] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეუ-

დასხვა თემის (ლატალი, უშგული, კალა, წვირმი, იფარი, ლენჯერი, მესტია, ჰადიში) მცხოვრებნი ადასტურებენ, რაც აღნიშნული წესის მთელი ბალსზემო სვანეთის მასშტაბით გავრცელებაზე მიუთითებს.[1] იმავე შეიძლება ვთქვათ შემთხვევითი დაჭრის შესახებაც.[2] მთხრობლები შესაბამის კონკრეტულ ფაქტებსაც იხსენებენ.[3]

ზოგიერთი ინფორმატორის განმარტებით, თუ დაზარალებული დარწმუნდებოდა, რომ მკვლელობა შემთხვევითაა ჩადენილი, შესაძლოა, საერთოდ უარი ეთქვა წორის მიღებაზე.[4] ერთ-ერთი ინფორმატორის თქმით კი, შემთხვევითი დაჭრისას, შესაძლოა, საქმე

ლი №2, 1968, 87; ეთნოგრაფიული რეული №3, 1968, 45, 83; ეთნოგრაფიული რეული №5, 1968-1969, 70; ეთნოგრაფიული რეული №6, 1969, 24.

[1] გარკვეულწილად განსხვავებულ ცნობას გვაწვდის მ. კეკელიას ერთ-ერთი მუსახელი ინფორმატორი, რომლის თქმითაც უნებლიე მკვლელობისას მთელ წორს აკლებდნენ ხან მესამედს, ხან მეოთხედს, ხოლო ნახევრამდე არასდროს ჩამოდიოდნენ (მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №5, 1968-1969, 8). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცნობა განსხვავდება იმ საერთო სურათისაგან, რაც აღნიშნულ საკითხზე სხვა ინფორმატორებთან ფიქსირდება (უნებლიე მკვლელობისას წორის ნახევრის, ან ნახევარზე ცოტა მეტის გადახდა), თუმცა ეს მონაცემი ასევე გამოხატავს ზოგად ტენდენციას, რომელიც ბალსზემო სვანეთში ფიქსირდება მ. კეკელიას მასალების მიხედვით და უნებლიე მკვლელობისას წორის აუცილებელ შემცირებას გულისხმობს.

[2] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1967, 56. ეთნოგრაფიული რეული №3, 1968, 45.

[3] ლატალელი ინფორმატორი იხსენებს მისი ბავშვობის დროინდელ შემთხვევას, როდესაც ერთმა ბავშვმა ქვის ჩარტყმით თვალი გაუფუჭა მეორე ბავშვს. რაკი დაზიანება უნებლიეთ მოხდა, თამაშისას, მორვებმა დამნაშავეს იმის ნახევრის გადახდა დააკისრეს, რასაც განზრახი დაზიანებისას დააკისრებდნენ (მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1967, 56); 1963 წელს ერთმა წვიმრელმა მძიმედ დაჭრა მეორე. დამჭრელმა მორვების გადაწყვეტილების საფუძველზე დაიფიცა, რომ შეცდომით, განზრახვის გარეშე დაჭრა მეორე. ამის გამო მორვებმა დამნაშავეს 26000 მანეთი (ე. წ. ძველი კურსით) გადაახდევინეს დაზარალებულის სასარგებლოდ და არა 50000, როგორც ეს განზრახვის შემთხვევაში იქნებოდა (მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №3, 1968, 69-70).

[4] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №3, 1968, 45.

დაზარალებულისათვის საჩუქრების მიტანით დასრულებულიყო.[1] როგორც ჩანს, სვანეთში შესაძლებელი იყო შემთხვევითი დანაშაულისას (მათ შორის მკვლელობისას) დაზარალებულს უარი ეთქვა წორის აღებაზე და დანაშაულის ჩამდენი ფაქტობრივად გაეთავისუფლებინა პასუხისმგებლობისაგან.[2]

უნებლიე მკვლელობისას პასუხისმგებლობის შემცირებას სვანეთში გამოჩენილი ქართველი ეთნოგრაფი რ. ხარაძეც ადასტურებს. მისი განმარტებით: „მკვლელობის დროს წორი იცვლებოდა მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როგორც, მაგ., უცაბედი მკვლელობა და სხვ., რის დროსაც წორის რაოდენობა იკლებდა.“[3] როგორც ვხედავთ, რ. ხარაძე მხოლოდ უნებლიე მკვლელობისას წორის შემცირებაზე საუბრობს და საკითხთან დაკავშირებით უფრო კონკრეტულს არაფერს ამბობს. მ. კეკელიას მონაცემები იმავე საკითხზე უფრო სრულია და შემთხვევითი მკვლელობისას წორის ნახევრად, ნახევარზე ცოტა მეტით, თუ მესამედით შემცირების შესაძლებლობაზე მიუთითებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, იმავე ოდენობით წორის შემცირების შესაძლებლობაზე ზემო სვანეთში ა. დავითიანიც საუბრობს. თუმცა ა. დავითიანის (ისევე როგორც მ. კოვალევსკის) მიხედვით, შემთხვევითი მკვლელობისას წორის შემცირება სრული წორის დაკისრების პარალელურად ხდებოდა. ა. დავითიანის თანახმად კი, როგორც დავინახეთ, შემთხვევითი მკვლელობის ჩამდენს, ძირითადად, სრულ წორს აკისრებდნენ, რასაც გარკვეული ფაქტორები განაპირობებდა, ხოლო წორის შემცირება დამნაშავის მხრიდან გარკვეული პირობების შესრულებას უკავშირდებოდა. მ. კეკელიას მასალების მიხედვით კი, შემთხვევითი მკვლელობისას წორის არსებითი შემცირება უპირობო და უალტერნატივოა. არც ერთი მისი ინფორმატორი შემთხვევითი მკვლელობისას სრული წორის დაკისრების შესაძლებლობას არ ადასტურებს. აქედან გამომდინარე, ცალსახად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, მაშინ როდესაც მ. კეკელია ბალსზემო სვანეთში

---

[1] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 34.

[2] არაა გამორიცხული ეს გამოხატავდეს გარკვეულ ტენდენციას, რომ ბალსზემო სვანეთის საზოგადოებაში თანდათან ისახება შეხედულება შემთხვევითი დანაშაულის ჩადენისათვის არა მარტო პასუხისმგებლობის შემცირების, არამედ მისგან საერთოდ გათავისუფლების შესახებ.

[3] რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, 33.

მასალებს იწერდა (XX საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნა), უნებლიე მკვლელობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრებისას აქ ცალსახად სუბიექტურ ფაქტორებს უწევდნენ ანგარიშს, მაშინ როდესაც უფრო ადრე, მ. კოვალევსკის თუ ა. დავითიანის მასალების მიხედვით, მაინც ობიექტური შერაცხვის პრინციპების უპირატესობა ჩანს. აღნიშნული პრინციპები და ის ფაქტორები, რომლებიც ა. დავითიანის თანახმად, მათ შენარჩუნებას უწყობდნენ ხელს, მ. კეკელიას მასალებით თუ ვიმსჯელებთ, მის მიერ ზემო სვანეთში მასალების ჩაწერის პერიოდში, ფაქტობრივად არანაირ გავლენას აღარ ახდენდა მორევების საქმიანობაზე.

ეს გარემოება კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მ. კეკელიას მასალებით, სუბიექტური შერაცხვის პრინციპები ბალსზემო სვანეთში განზრახი მკვლელობის შემთხვევაშიც კი ვლინდება.

მ. კეკელიას ინფორმატორთა განმარტებით, მორევთა მიერ პასუხისმგებლობის დაკისრებისას მხედველობაში მიიღებოდა არა მხოლოდ დანაშაულის განზრახ თუ უნებლიეთ ჩადენის ფაქტი, არამედ დანაშაულის ჩადენის მიზეზი, მოტივი.[1] მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორის თქმით: „მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რატომ დაჭრეს, რამ გამოიწვია იგი, რა იყო მიზეზი," ამის მიხედვით გადასახდელი საზღაური შეიძლება შეცვლილიყო.[2] მეორე ინფორმატორის განმარტებით კი: „მკვლელობისას მხედველობაში ვიღებთ და ვსწავლობთ მიზეზებს, რამდენად სურდა დამნაშავეს მკვლელობის ჩადენა. ასევე ვაკეთებთ დაჭრის საკითხის შესწავლისას."[3] ინფორმატორები იმასაც მიუთითებენ, რომ დანაშაულის მოტივის თუ მიზეზის გათვალისწინება ხდებოდა მორევების მიერ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას. ეს კი მხოლოდ მას შემდეგ იყო შესაძლებელი, როდესაც შუამავლები დაითანხმებდნენ მხარეებს სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით შერიგებაზე. მანამდე კი დანაშაულის, კერძოდ, მკვლელობის მოტივისა თუ მიზეზის მიუხედავად დაზარალებული მხარე სისხლის ალებაზე ზრუნავდა.[4]

---

[1] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 58; ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 3.

[2] იქვე, 24.

[3] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 44-45.

[4] იქვე, 13.

მორვების მიერ დანაშაულის მიზეზის თუ მოტივის გათვალისწინებას კონკრეტული ფაქტებიც ადასტურებენ, რომელთა შესახებაც სვანი ინფორმატორები გვამცნობენ. ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს ჩხუბის დროს განზრახი მკვლელობის ფაქტს (თვითონ იხსენიებს განზრახ მკვლელობად), როდესაც მკვლელს მხოლოდ ნახევარი წორი მიუსაჯეს. მორვებმა აქ გაითვალისწინეს ის, რომ ჩხუბის დამწყები იყო მოკლული, რომელიც თან მომავალ მკვლელს გზად მიმავალს ჩაუსაფრდა.[1] ამ მაგალითში კარგად ჩანს, რომ განზრახი მკვლელობის მიუხედავად, მორვებმა მხოლოდ ნახევარი წორი დააკისრეს მკვლელს, რადგანაც ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ჩხუბის პროვოცირება, რომელსაც მკვლელობა მოჰყვა, მოკლულმა მოახდინა, ის ჩაუსაფრდა მომავალ მკვლელს და თვითონ დაიწყო ჩხუბი, ანუ დანაშაულის მიზეზების გათვალისწინებამ განაპირობა წორის განახევრება. მეორე ფაქტი: სოფელ ხალდეში თანასოფლელებს ყანის საზღვარზე მოუვიდათ დავა, რომლის შედეგადაც ერთმა, თოფის გასროლით მოკლა მეორე. ამ მკვლელობისთვისაც, რომელიც აშკარად განზრახ მოხდა, მორვებმა მკვლელს ნახევარი წორი დააკისრეს, რადგანაც, როგორც ინფორმატორი აღნიშნავს, მოკლული მკვლელის მიმართ მთლად მართალი არ ყოფილა.[2] როგორც ჩანს, მორვებმა ანგარიში გაუწიეს სწორედ მკვლელობის მოტივს და ამის გამო სრული წორის დაკისრება ამ დანაშაულისათვის არ მომხდარა.

მოტივისა და მიზეზის გათვალისწინება „ნაცვრიელის"[3] ოდენობის განსაზღვრის დროსაც ხდებოდა. საერთოდ, „ნაცვრიელი" ნახევარი წორი იყო, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც, ქმარი ცოლს უმიზეზოდ მიატოვებდა, ან პირიქით.[4] სვანი ინფორმატორის განმარტებით, „ნაცვრიელის" განსაზღვრისას მხედველობაში მიიღებოდა ის მოტივები, რამაც გამოიწვია ოჯახის დანგრევა.[5] კერძოდ, ცოლის მიერ ქმრის მიტოვებისას, აუცილებლად იქნებოდა გარკვეული მიზეზი იმისა, თუ რამ აიძულა ცოლი ეს ნაბიჯი გადაედგა.[6] ამ

[1] მ. კეკელია, იქვე, 1-4.

[2] იქვე, 59-63.

[3] გადასახადი, რომელსაც იხდიდა ქმარი ცოლის მიტოვებისთვის და, პირიქით.

[4] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №3, 1968, 53.

[5] იქვე, 42.

[6] იქვე, 47.

ფაქტორებს შესაძლოა შეემცირებინა „ნაცვრიელის“ ოდენობა.

მორვების მიერ განაჩენის გამოტანისას დანაშაულის გამომწვევი მიზეზების გათვალისწინებას რომ ჰქონდა ადგილი, ისიც მიუთითებს, რომ მკვლელობის, ან დაჭრა-დასახიჩრების საქმის განხილვის შედეგად განსაზღვრული წორის ნაწილი დანაშაულის ჩამდენის გარდა შესაძლოა დაეკისრებინათ იმ პიროვნებისათვის, ვისი მიზეზითაც მოხდა იმ ჩხუბის პროვოცირება, რომელსაც დანაშაული მოჰყვა. ამ თვალსაზრისით გვინდა განვიხილოთ კონკრეტული შემთხვევა, რომელიც დაახლოებით 1960 წელს მოხდა. ერთ-ერთ ოჯახში ქეიფისას სუფრის ერთმა წევრმა, გვარად ქალდანმა, მეორეს არყიანი ჭიქა შეასხა თვალებში, რასაც სუფრის დანარჩენ წევრებს შორის მოჰყვაა ჩხუბი, რა დროსაც ერთ-ერთ გამშველებელ ქალბატონს დაუზიანდა თვალი. ამ საქმეზე შედგა სამედიატორო სასამართლო, რის შედეგადაც მორვებმა დაზარალებული ქალის დაზიანებული თვალის საფასურად დაადგინეს 16 ათასი მანეთის (მხედველობაშია საბჭოთა მანეთი ე. წ. ძველი კურსით) გადახდა. აქედან ზიანის მიმყენებელს დააკისრეს მხოლოდ 12 ათასი მანეთის გადახდა, დანარჩენი 4 ათასის კი ჩხუბის წამომწყებს.[1] ეს შემთხვევა გვიჩვენებს, რომ დანაშაულისათვის დადგენილი საზღაური მთლიანად ზიანის მიმყენებელს კი არ დააკისრეს, არამედ ჩხუბის მაპროვოცირებელსაც, რომელსაც პირდაპირი მონაწილეობა ზიანის მიყენებაში არ მიუღია. რადგანაც ჩხუბის დაწყება ზიანის მიმყენებლის მიზეზით არ მომხდარა, ამიტომ მას, მის მიერ მიყენებული ზიანისათვის მორვების მიერ გადაწყვეტილი საზღაურის მხოლოდ ნაწილი დააკისრეს, ანუ შეუმსუბუქეს პასუხისმგებლობა.

ზიანის მიმყენებლისათვის პასუხისმგებლობის შემცირება, როდესაც ის არ იყო იმ ჩხუბის გამომწვევი, რომელსაც ეს ზიანი მოჰყვა, სხვა შემთხვევებშიც დასტურდება, რაც მიუთითებს, რომ დანაშაულის მიზეზი გავლენას ახდენდა ზიანის მიმყენებლისათვის მორვების მიერ დაკისრებული საზღაურის ოდენობაზე. მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს მძიმე დაჭრის ფაქტს, როდესაც დამნაშავეს მიუსაჯეს ასეთი დანაშაულისათვის გათვალისწინებულ საზღაურზე შედარებით მცირე გადასახადი. ეს მორვებმა იმით ახსნეს, რომ ამ დანაშაულის ჩადენაში სხვა პირებსაც მიუძღვოდათ ბრალი, რადგანაც ჩხუბი, რომელსაც დაჭრა მოჰყვა, მათ დაიწყეს, ამიტომ

[1] მ. კეკელია, იქვე, 53.

გარკვეული გადასახადის გადახდა მათაც მოუწია.[1] ამ შემთხვევაშიც მორვებმა ჩადენილი დანაშაულისათვის გარკვეული პასუხისმგებლობა დააკისრეს იმ პირებს, რომელთაც უშუალო მონაწილეობა არ მიუღიათ დანაშაულებრივი შედეგის დადგომაში, ხოლო ზიანის უშუალო მიმყენებელს, დანაშაულის მიზეზის გათვალისწინებით, სასჯელი შეუმსუბუქეს.

ცხადია, ყოველივე ეს, რაზეც ვსაუბრობთ მ. კეკელიას მასალების მიხედვით, საკმაოდ წინგადადგმული ნაბიჯია იმასთან შედარებით, რასაც ა. დავითიანის და მით უმეტეს ეგ. გაბლიანის მასალებში ვხვდებით. როგორც დავინახეთ, ა. დავითიანის მიხედვით, მორვები კარგად ხედავდნენ, რომ ზოგჯერ მკვლელობის ჩადენა მოკლულის მხრიდანაა პროვოცირებული, სწორედ მან ატეხა პირველმა ჩხუბი, მიაყენა საჯარო შეურაცხყოფა თუ სხვა, ასევე მკვლელს მკვლელობის ჩადენის გარკვეული მოტივი ჰქონდა და იგი პასუხისმგებლობის შემსუბუქებას იმსახურებდა, თუმცა გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებით მკვლელს მაინც სრულ წორს აკისრებდნენ. მ. კეკელიას მასალების მიხედვით კი, ჩანს, რომ მორვების საქმიანობაში არანაირი დამაბრკოლებელი ფაქტორი არ არსებობს, რომელთა გამოც მათ განაჩენის გამოტანისას არ გაეთვალისწინებინათ დანაშაულის ჩადენის მიზეზი და მოტივი. როგორც ჩანს, ბალსზემო სვანეთში მორვების საქმიანობა, მ. კეკელიას მასალებით, სუბიექტური შერაცხვის პრინციპებზეა დაფუძნებული. მათ მიხედვით ობიექტური შერაცხვის პრინციპების კვალი ძირითადად სისხლის აღების ინსტიტუტის შემონახულობასთან დაკავშირებით ვლინდება. მოკლულის ჭირისუფალი, მისი ახლობლის მკვლელობის შემთხვევაში, მით უმეტეს განზრახი მკვლელობისას, უცილობლად იწყებდა ზრუნვას სისხლის აღებაზე. ამ დროს იგი დანაშაულის მიზეზებსა და მოტივს, ბუნებრივია, ანგარიშს არ გაუწევდა და შესაძლოა მკვლელისთვის ანგარიში გაესწორებინა. დანაშაულის მიზეზისა და მოტივის გათვალისწინება, როგორც კარგად გამოჩნდა, მორვების მიერ პასუხისმგებლობის განსაზღვრისას ხდებოდა. მორვები დაწვრილებით იხილავდნენ დანაშაულთან დაკავშირებულ ყველა ნიუანსს და თუ საჭიროდ ჩათვლიდნენ, დანაშაულის მიზეზებისა და მოტივის გათვალისწინებით, ამცირებდნენ პასუხისმგებლობას, რაც სუბიექტურ

[1] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეჟული №4, 1968, 68-69.

ფაქტორებზე დაფუძნებული განაჩენის გამოტანას ნიშნავს.[1] რაკი მორვები განაჩენის გამოტანისას მკვლელობის მოტივებსა და მიზეზებს უცილობლად ითვალისწინებდნენ, საფიქრებელია, რომ იმავეს ექნებოდა ადგილი არა მარტო თავდამსხმელის მკვლელობისას (ანუ აუცილებელი მოგერიებისას), არამედ ქურდის თუ ცოლის საყვარლის მოკვლის შემთხვევაშიც.[2]

განაჩენის გამოტანისას სუბიექტური შერაცხვის პრინციპების გათვალისწინება, ჩვენს ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით აჭარასა და ხევშიც ფიქსირდება.

აჭარაში მკვლელობის თუ სხვა დანაშაულის ჩადენისას, მხარეთა შერიგებას, ანუ როგორც აჭარლები იტყვიან, „დარიგებას“ ახდენდნენ სოფლის თავკაცები – ე. წ. „წინაიკაცები,“ რომლებიც ცალკეულ შემთხვევებში, თუ ამის საჭიროება იქნებოდა, მოსამართლის ფუნქციებსაც იღებდნენ თავის თავზე და დამნაშავე მხარეს გარკვეული საზღაურის გადახდას აკისრებდნენ.[3] ამას ისინი მკვლელობის საქმეებზეც აკეთებდნენ, რასაც იბ. აბაშიძეც ადასტურებს. მისი განმარტებით: „მკვლელის ოჯახი ვალდებულია სისხლის საზღაური გაიღოს დაზარალებული ოჯახის სასარგებლოდ, რომლის სახესაც (ფული, საქონელი, მიწა) და ოდენობას ადგენდნენ მომრიგებლები.“[4] ზემოთ აღინიშნა, რომ აჭარაში „ყეზად“ მკვლელობისას სისხლის აღება არ ხდებოდა, თუ მკვლელის მხარე სათანადოდ მოინანიებდა და პატივს მიაგებდა მოკლულის ჭირისუფლებს, თუმცა ადგილი ჰქონდა „სისხლის ფასის“ გადახდას.[5] ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს: „მამაჩემი მეგობარმა ყეზად მოკლა. ამ საქმეში კაცები ჩამდგარან. .... მკვლელისათვის ჩვენს

---

[1] აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მორვების მხრიდან პასუხისმგებლობის სრულ გამორიცხვას, ვთქვათ, შემთხვევითი მკვლელობისას, თავდამსხმელის მკვლელობისას თავდაცვის მიზნით, ადგილი არ ჰქონდა. ამ დროს სასჯელის შემცირება (ძირითადად, წორის განახევრება) ფიქსირდება.

[2] სამწუხაროდ, აღნიშნულ საკითხებზე პირდაპირი ცნობები მ. კეკელიას მასალებში არ გვხვდება.

[3] გ. დავითაშვილი, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2004, 73-78.

[4] იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, №455, 48.

[5] გ. დავითაშვილი, დასახ. ნაშრ., 76.

სასარგებლოდ დაუკისრებიათ უღელი ხარის, ხალიჩის და ორი ქვეშაგებელის გადახდა. ამით დამთავრებულა ეს საქმე.“[1] მეორე ინფორმატორი ასევე იხსენებს კონკრეტულ შემთხვევას, როდესაც „ყეზად მკვლელობისას მკვლელს დააკისრეს ..... უღელი ხარი, ნოხები, ერთი წყვილი ლოგინი.“[2] როგორც ჩანს, „ყეზად“ მკვლელობისას აჭარაში გარკვეული გადასახადის გადახდა, როგორც წესი, ხდებოდა, თუმცა მისი ოდენობა ნაკლები იყო, ვიდრე განზრახ მკვლელობის დროს.[3] ეს კი მიუთითებს, რომ „წინაიკაცები“ გადასახადის განსაზღვრისას ითვალისწინებდნენ სუბიექტურ ფაქტორს და „ყეზად“ მკვლელობისას მკვლელს შედარებით მცირე საზღაურის გადახდას აკისრებდნენ. ასევე საჭიროებისას ისინი დაწვრილებით იხილავდნენ დანაშაულთან დაკავშირებულ ყველა არსებით ნიუანსს: თუ რატომ მოხდა მკვლელობა, რა იყო ამის მიზეზი, მოტივი და გადასახადს, რომლის ოდენობა წინასწარ არ იყო განსაზღვრული, ამის გათვალისწინებით ადგენდნენ.[4]

ხევში ჩაწერილი მასალების მიხედვით, ასევე ცალსახად ჩანს, რომ აქაც „სისხლის ფასი“ წინასწარ განსაზღრული არ ყოფილა და ამიტომ მის ოდენობას ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში ადგენდნენ ე. წ. თემის კაცები — თემის ავტორიტეტული პირები. ამ დროს ისინი ითვალისწინებდნენ დანაშაულის გარკვეულ დეტალებს, ბრალის ფორმას (უნებლიე მკვლელობისას გადასახადი ნაკლები იქნებოდა), დანაშაულის ჩადენის მიზეზს, მოტივს, რა ვითარებაში მოხდა იგი და სხვა.[5]

---

[1] მ. კეკელია, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 51.

[2] ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1989, 68.

[3] გ. დავითაშვილი, დასახ. ნაშრ., 77.

[4] იქვე, 77-78.

[5] იქვე, 174. ნათქვამის დასადასტურებლად ერთ-ერთი მოხევე ინფორმატორის ცნობას მოვიყვანთ. მისი თქმით, ხევში თემის კაცები ადგენდნენ გადასახადს ფულის სახით. მკვლელობისათვის სისხლის ფასი წინასწარ განსაზღვრული არ იყო. თემის კაცები მხედველობაში იღებდნენ, თუ რა ვითარებაში მოხდა მკვლელობა, ვინაა მოკლული ან მკვლელი. შემდეგ კონკრეტულ საქმეზე საუბრისას იგი იხსენებს: „ამ საქმეზე ჩვენ შუაკაცებმა ვიმსჯელეთ იმაზე, თუ რამდენი უნდა მიგეტანა ფული. აქ ლაპარაკი გვქონდა იმაზე, რომ მკვლელობა შემთხვევითი იყო“ (მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული

პასუხისმგებლობის დაკისრებისას სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინება ჩანს ასევე ქართლის ჩვეულებით სამართალშიც. ეს დაფიქსირებულია ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში გ. ჟორდანიას მიერ ჩაწერილი მასალის მიხედვით. მისი განმარტებით, თუ პიროვნება თანასოფლელის მიმართ ჩაიდენდა დანაშაულს, პასუხისმგებლობის დაკისრებისას მაქსიმალურად ხდებოდა დანაშაულის მოტივის გათვალისწინება. პასუხისმგებლობის სიმძიმე მატულობდა ან მცირდებოდა სწორედ დანაშაულის გამომწვევი მოტივების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, სასჯელიც სხვადასხვა იყო, იმისდა მიხედვით, თუ ვის ეფარდებოდა იგი. ასე რომ, ადგილი ჰქონდა სასჯელის ინდივიდუალიზაციას.[1] გ. ჟორდანიას დაკვირვებით, ადგილობრივ მოსამართლეს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ უბრალო ადამიანია, მისი დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და თანასოფლელი ბრალდებულის კარგად ცნობის გამო, უფრო ხელეწიფება გაითვალისწინოს დამნაშავის ინდივიდუალობა, ვიდრე განათლებულ მოსამართლეს, რომელიც დამნაშავეს პირველად ხედავს. სოფლის მოსამართლეს, რომელიც, ამავე დროს, ბრალდებულის მეზობელია და ხშირად თანამეინახე, ღრმად შეუძლია ჩასწვდეს მის სულიერებას, გამოწვლილვით გაერკვიოს იმ მოტივებსა და მიზეზებში, რამაც იგი დანაშაულამდე მიიყვანა. ბრალდებულის ფსიქიკის თავისებურებების გათვალისწინებით, იგი ერთის მიმართ უფრო მკაცრ სასჯელს იყენებს, მეორის მიმართ უფრო დამთმობია.[2] გ. ჟორდანიას ეს დაკვირვებანი აშკარად მიუთითებს ქართლში ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე ადგილობრივ მოსამართლეთა მიერ განაჩენის გამოტანისას, დანაშაულის მოტივისა და მიზეზის უცილობელ გათვალისწინებას და ამდენად, პასუხისმგებლობის დაკისრებისას სუბიექტური შერაცხვის ელემენტების გამოვლინებას.

განაჩენის გამოტანისას სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინება არც ფშაური ჩვეულებითი სამართლისათვის იყო უცხო. მეზობელი ხევსურეთისაგან განსხვავებით, ფშავში ჩაწერილ მასალებში დასტურება „სისხლის ფასის“ განახევრება შემთხვევითი მკვლელობისას.

რვეული №2, 29).

[1] გ. ჟორდანია, სისხლის სამართალი ქართლის სოფლებში (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1908, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1813.

[2] იქვე.

ეს საკითხი ფშაურ ჩვეულებით სამართალში შესწავლილი აქვს ჯ. მერაბიშვილს.[1] მის მიერ დაფიქსირებული მასალის მიხედვით, ზოგიერთი ფშაველი ინფორმატორი აცხადებს, რომ თუ სრული სისხლი შეფასებული იყო 60 ძროხად, შემთხვევით ჩადენილი მკვლელობისათვის მკვლელი იხდიდა 30 ძროხას.[2]

როგორც ვხედავთ, შემთხვევითი მკვლელობისას „სისხლის ფასის" არსებითი შემცირება, შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად დამახასიათებელია ქართული ჩვეულებითი სამართლისათვის. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ხევსურული რჯული ამ თვალსაზრისით გამონაკლისიც კია. სამწუხაროდ, ჩვენ აღნიშნულ საკითხზე მასალების სიმწირის გამო არ მოგვეპოვება სრულყოფილი ინფორმაცია საქართველოს ყველა იმ კუთხიდან, სადაც მკვლელობის შემთხვევები ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის მიხედვით განიხილებოდა, ამიტომ დარწმუნებით არ შეგვიძლია ვთქვათ, ხევსურეთი ამ მხრივ საერთოდ გამონაკლისია ქართულ ჩვეულებით სამართალში და მხოლოდ იქ შემორჩა იდენტური გადასახადი როგორც განზრახი, ისე შემთხვევითი მკვლელობისას თუ არა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს ხელთ არსებულ ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში არის ცალკეული ცნობები, რომელთა მიხედვითაც, საკმაოდ მძიმე დანაშაულთა შემთხვევაში, დანაშაულთა მოტივისა თუ მიზეზის გათვალისწინებით, პასუხისმგებლობის დაკისრება არ მომხდარა. მათ შორის მკვლელობის დროსაც. ეს ძირითადად ფიქსირდება თავდამსხმელის, ქურდის თუ ცოლის საყვარლის მიმართ ჩადენილი მკვლელობისა და დაჭრა-დასახიჩრებისათვის. მაგალითად, აჭარელი ინფორმატორები მიუთითებენ, რომ თუ ქურდს ქურდობის ადგილზე წაასწრებდნენ და მოკლავდნენ, შურისძიებას ადგილი არ ექნებოდა.[3] სამეგრელოში

---

[1] ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თავის – „დანაშაული" – მე-2 ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1991, 38, 42.

[2] იქვე, 42.

3 იხ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965, 19; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 39.

დაფიქსირებული ცნობით, „თუ ქმარმა თავის ცოლს წაასწრო სხვა კაცთან და მოკლა ორივე, ხალხური წარმოდგენით მან პასუხი არ უნდა აგოს.“[1] მრუში ცოლის მოკვლისას პასუხისმგებლობის არდაკისრება აჭარაშიც ფიქსირდება.[2] მკვლელობისას პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საინტერესო ფაქტებია დაფიქსირებული მესხეთშიც. მაგალითად, ადგილობრივი ინფორმატორი გვიამბობს, „რომ ბიძაშვილმა შეიყვარა თავისი ბიძაშვილის გოგო. ეს ქალიც თანაუგრძნობდა. ქმარმა კლდიდან გადმოაგდო და მოკლა ბიძაშვილი, რომელმაც შეურაცხყო ოჯახის ღირსება. სოფელმა ..... გაამართლა მკვლელი.“[3] მესხეთში სხვა მსგავსი შემთხვევებიცაა ჩაწერილი, როდესაც მკვლელი, ინფორმატორთა განმარტებით, სოფელმა გაამართლა.[4] ანალოგიურ მონაცემებს ვხვდებით ფშაურ ჩვეულებით სამართალშიც. პასუხისმგებლობის გამორიცხვას ფშავში ჯ. მერაბიშვილი თავდაცვის მიზნით მოძალადის მკვლელობას უკავშირებს.[5] ამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ დ. ჯალაბაძის მიერ დაფიქსირებული ფშაველი ინფორმატორის მონაყოლი: „სოფელ ზემო თიანეთში ერთ ოჯახს დაესხნენ ქალის მოსატაცებლად. ქალმა ხანჯალი იშიშვლა და მოკლა მომტაცებელი. ამ ამბავმა ჩაიარა, როგორც თოვლის წყალმა, რადგან ქალის ასეთი მოქმედება დანაშაულად არ ითვლებოდა.“[6] მასალების მიხედვით, გაუპატიურების, ქალის ღირსების შეურაცხყოფისათვის მკვლელობა ასევე არ ისჯებოდა.[7] ფშაურ მასალებშიც ვხვდებით

---

[1] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 28.

[2] იბ. აბაშიძე, იქვე, 9.

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 23.

[4] იქვე, 23-24.

[5] ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის — „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“, I თავის — „დანაშაული“ — მე-2 ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი,“ 3, გამომცემლობა „მეცნიერება,“ თბ., 1991, 44.

[6] დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში (ფშავის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით), გამომცემლობა „უნივერსალი,“ თბ., 63.

[7] ჯ. მერაბიშვილი, იქვე, 45; დ. ჯალაბაძე, იქვე, 63-64.

შემთხვევას, როდესაც ცოლის შეურაცხმყოფლის მკვლელი თემმა გაამართლა.[1] როგორც ვხედავთ, მეზობელი ხევსურეთისაგან განსხვავებით, ფშავში მკვლელობის მოტივი და მიზეზი გავლენას ახდენდა პასუხისმგებლობის ხარისხზე.

ზემოთ მოყვანილ მასალებში კარგად გამოჩნდა, რომ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ჩვეულებითი სამართალი განსაზღვრულ სიტუაციაში უკვე უშვებს მკვლელობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის გამორიცხვას, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს იმ რეგიონებზე, სადაც ჩვეულებითი სამართალი ყველაზე სრულყოფილი სახით შემორჩა და ყველაზე ნაკლებად განიცადა გარე ზეგავლენა (მხედველობაშია ზემო სვანეთი და ხევსურეთი). ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, არის ის, რომ ამ რეგიონებში (ზემო სვანეთი, ხევსურეთი) ბოლო ხანებამდეც კი (კერძოდ, XX საუკუნის II ნახევრის მასალების მიხედვითაც თუ ვიმსჯელებთ), ჩვეულებითი სამართალი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფაქტობრივად ყველა სფეროს არეგულირებდა, საკმაოდ სრულყოფილად იყო შემონახული უძველესი სამართლებრივი ინსტიტუტები, მათ შორის სისხლის აღება, რაც, ბუნებრივია, არსებით გავლენას ახდენდა საზოგადოების ცნობიერებაზე. ყოველივე ამის გამო, ასევე გარე ფაქტორების შედარებით ნაკლები ზეგავლენის მიზეზით, საქართველოს ამ რეგიონებში ჩვეულებითი სამართლის დიდი ხნის მანძილზე მყარად ჩამოყალიბებული პრინციპების შეცვლა, განსაკუთრებით მკვლელობის ინსტიტუტთან დაკავშირებით, ძალზედ ნელა ხდებოდა, რაც ჩვენ მიერ განსახილველ საკითხზეც აისახა (ეს განსაკუთრებით ხევსურეთთან დაკავშირებით გამოჩნდა). იმ რეგიონებში, საიდანაც მკვლელობებისას პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების დამადასტურებელი მასალები მოვიყვანეთ, ჩვეულებითი სამართალი სხვადასხვა ფაქტორის გამო შედარებით ნაკლებ გავლენას ახდენდა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ვიდრე ზემო სვანეთსა და ხევსურეთში. მიუხედავად ამისა, როგორც დავინახეთ, საზოგადოებრივმა ცნობიერებამ შესაძლებლად მიიჩნია, განსაზღვრულ სიტუაციებში მკვლელობის ჩადენისას, პასუხისმგებლობის გამორიცხვა. ეს, ბუნებრივია, წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, ხევსურეთში ბოლო დრომდე (XX საუკუნის დასასრულის მასალებით), არანაირი სახის მკვლელო-

[1] დ. ჯალაბაძე, იქვე, 64.

ბისას არ ხდებოდა არათუ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, არამედ სასჯელის შემსუბუქებაც კი. ხევსურეთის მეზობელ ფშავში, სადაც ბარის დაწოლის შედეგად ჩვეულებითი სამართალი უფრო ნაკლებად სრულყოფილი სახით შემორჩა, ვიდრე ხევსურეთში, განსაზღვრულ სიტუაციებში მკვლელობას, მაგალითად, ქალის ღირსების შელახვის მოტივით ჩადენილ მკვლელობას, ფშაური საზოგადოება ამართლებდა და მკვლელს პასუხისმგებლობისაგან მთლიანად ათავისუფლებდა.

თავი მეხუთე

თანამონაწილეობის საკითხი ქართულ ჩვეულებით სამართალში

ობიექტური შერაცხვის პრინციპის არსებითი გავლენა ქართულ ჩვეულებით სამართალზე თანამონაწილეობის ინსტიტუტთან დაკავშირებითაც ვლინდება. საზოგადოებაში, სადაც ეს პრინციპი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, შეუძლებელია თანამონაწილეობის ინსტიტუტზე საუბარი თანამედროვე კლასიკური გაგებით. ეს ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებითაც დასტურდება. ამ თვალსაზრისით, საინტერესო ცნობებს ვხვდებით ხევსურეთთან დაკავშირებით და აღნიშნულ საკითხზე ძირითადად, სწორედ, ხევსურული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით გვექნება საუბარი. საინტერესო მონაცემებს ვხვდებით თანამონაწილეობის ინსტიტუტის შესახებ სვანურ ჩვეულებით სამართალშიც.

1. თანაამსრულებლის პასუხისმგებლობის საკითხი ქართულ ჩვეულებით სამართალში

თავდაპირველად განვიხილავთ, თუ როგორ წყდებოდა პასუხისმგებლობის საკითხი თანაამსრულებლობის შემთხვევაში.

ცნობილია, რომ კავკასიელ მთიელთა ჩვეულებით სამართალში ისეთ გავრცელებულ დანაშაულობებს, როგორიცაა მკვლელობა, დაჭრა-დასახიჩრება, ქურდობა და სხვა, კერძო დელიქტის სახე ჰქონდა. დაზარალებული დაინტერესებული იყო მხოლოდ მისთვის მიყენებული ზიანის კომპენსირებით. ამოსავალი აქ ობიექტური შერაცხვის პრინციპია, როდესაც განმსაზღვრელია დანაშაულებრივი შედეგი – თუ ვინ გამოიწვია იგი, როგორია მისი მატერიალური გამოხატულება. დაზარალებულს სურდა მიეღო კომპოზიციის ის ოდენობა, რაც კონკრეტული დანაშაულისათვის იყო გათვალისწინებული და მისთვის აბსოლუტურად არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ რამდენი კაცი მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში. კერძოდ, მკვლელობაში ერთი კაცი მიიღებდა მონაწილეობას, თუ მეტი, კომპოზიციის ოდენობაზე ეს არავითარ გავლენას არ ახ-

დენდა. ამიტომ დაზარალებულისთვის სულერთი იყო სისხლის ფასს ერთი გადაუხდიდა, თუ ყველა თანაამსრულებელი სოლიდარულად, ხოლო თუ სისხლის აღებაზე, შურისძიებაზე მიდგებოდა საქმე, იგი მხოლოდ ერთ-ერთი თანაამსრულებლის მიმართ შეიძლება განხორციელებულიყო, სხვები კი თავისუფლდებოდნენ მკვლელობისათვის პასუხისმგებლობისაგან. კომპოზიციასაც, ხშირად მხოლოდ ერთი მათგანი იხდიდა. მაგალითად, დაღესტანში ორი ან მეტი პირი თუ ჩაიდენდა მკვლელობას, დაზარალებული მხარე პასუხს სთხოვდა მხოლოდ ნებისმიერ ერთ მათგანს, საკუთარი შეხედულებით.[1] ამ მონაცემიდან გამოდის, რომ პასუხისმგებლობა მკვლელობაში თანაამსრულებელთაგან მხოლოდ ერთ მათგანს ეკისრებოდა, ხოლო სხვები, ამ დანაშაულისათვის პასუხს არ აგებდნენ. აქ ფაქტობრივად საქმე გვაქვს თანამონაწილეობის ინსტიტუტის იგნორირებასთან, როდესაც პასუხისმგებლობის დაკისრებისას არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება თითოეული თანაამსრულებლის დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილეობის ხარისხს. ე. ი. შესაძლებელია, პირმა უშუალო მონაწილეობა მიიღოს წინასწარგანზრახული დანაშაულის ჩადენაში, კერძოდ, მკვლელობაში და საერთოდ არ დაეკისროს არავითარი პასუხისმგებლობა.

ზემოთ აღნიშნული ტენდენციები კარგად ჩანს ხევსურეთში დაფიქსირებულ ეთნოგრაფიულ მონაცემებში. ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორის ცნობით: „თუ ორმა ერთი მოკლა, ერთ რიგს იყენებენ. მოკვლითაც მხოლოდ ერთს მოკლავენ... და თავსაც ერთს გადაინდიან."[2] მეორე ინფორმატორიც ადასტურებს იმავეს: „რამდენიმე კაცმა რომ მოაწყოს ვინმეს მკვლელობა, მაშინ მხოლოდ ერთს გამოარჩევდნენ და მის თავს დადებდნენ."[3] აქ კარგად ჩანს, რომ

---

[1] М. Косвен, Преступление и наказание в догосударственном обществе, М., 1925, 130. მსგავს ცნობას აჭარაში ჩაწერილ მასალებშიც ვხვდებით. მაგ., ერთ-ერთი აჭარელი ინფორმატორის ცნობით: „თუ უშუალოდ მკვლელი ვერ მოიხელთეს, მის თანმხლებს მოკლავდნენ. მაგრამ ორივეს არც ერთ შემთხვევაში არ მოკლავდნენ" (მ. კეკელია, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 18).

[2] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1977, 27.

[3] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 41-42.

დაზარალებული მხარე მხოლოდ ერთ თანაამსრულებელს აკისრებს პასუხისმგებლობას, შურს მხოლოდ ერთ მათგანზე იძიებს, ხოლო კომპოზიციის ოდენობა თანამონაწილეობის შემთხვევაშიც უცვლელი რჩება.

ხევსურული რჯულით პირდაპირაა დაკონკრეტებული მკვლელობის ის ერთი თანაამსრულებელი, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა. ეს არის მოკლულისათვის სასიკვდილო ჭრილობის უშუალოდ მიმყენებელი, ანუ ვის ქმედებასა და დამდგარ სასიკვდილო შედეგს შორის არსებობს უშუალო მიზეზობრივი კავშირი. ამ გარემოებას არაერთი ხევსური ინფორმატორი ადასტურებს. საილუსტრაციოდ რამდენიმე მაოგანის ცნობას მოვიხმობთ. ერთის თქმით, „თუ რამდენიმე კაცი მოკლავდა ვინმეს, თავი დაედებოდა იმას, ვინც მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა. დანარჩენებს იმისდა მიხედვით გადახდებოდა დრამა, ვინ რა ჭრილობა მიაყენა.“[1] მეორე ინფორმატორის განმარტებით: „თუ მკვლელობა ჯგუფმა ჩაიდინა, ვისი ხელითაც უშუალოდ მოკვდება პირი, იმას დაედება სისხლი. თუ ჭრილობა ყველამ მიაყენა, ვისი ჭრილობაც სასიკვდილო იყო, იმას დაედება სისხლი.“[2] კიდევ ერთი ინფორმატორის ცნობით: „როცა სამი კაცი კლავს ერთ კაცს, აუცილებლად უნდა დადგინდეს, ვისი ტყვიით ან დანით მოკვდა კაცი.“[3]

ალექსი ოჩიაურის მასალებში კონკრეტული ფაქტებია მოყვანილი, სადაც კარგად ჩანს, რომ პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის სასიკვდილო ჭრილობის მიმყენებელს ეკისრება. მოვიყვანთ ერთ შემთხვევას: „სოფელ მუცოში ცხოვრობდა ერთი ვაჟკაცობით სახელგანთქმული კაცი ჩხუბრე (ჩხუბია) სუხიას ძე დაიაური. იგი ..... ერთხანს ყაჩაღადაც კი გავიდა, ცარცვავდა მგზავრებს, იპარავდა პირუტყვს და სხვა. ამავე დროს სოფელ შატილში, მანგიათ მამაში ცხოვრობდა მგელა ბოციას ძე ჭინჭარაული. მოწინავე ვაჟკაცებში არა სჩანდა, მაგრამ საშუალო ვაჟკაცად მაინც ითვლებოდა. გაზაფხული იყო და მგელიას თივა გაუთავდა. შოვნაც არსად იყო. მგელიამ ჩხუბრეს დაავალა, ვინმეს თივა მოპარე, მე მომეცი და ხუთ ცალს

---

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 47.

[2] იქვე, 75.

[3] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 42.

ბერდენკას ვაზნებს მოგცემო. ჩხუბრემ შეუსრულა თხოვნა, თავისივე თანასოფლელს ვაჟიკათ გიორგის მოპარა თივა და მგელიას მისცა..... მგელიას პატრონები თან არ ჰქონდა და ვალად დარჩა. კარგა ხნის შემდეგ ჩხუბრე მივიდა მგელიასთან, ვალის გამოსართმევად. მგელიამ ნაწილი მისცა და უთხრა ეხლა აღარ მაქვს, მადროვე, ვიშოვნი და მოგცემო. ჩხუბრე მეტად ამაყი კაცი იყო და დაიწყო ჩხუბი, ახლავე მიშოვნე, თუ არა შენს პირუტყვს რამეს წავიყვანო. მგელია ჯერ არაფერს ეუბნებოდა და ბოლოს ამანაც უთხრა: მე კაცი ვარ და ჩემს პირუტყვს არ გაგატან ცოცხალიო. მოუვიდა შუღლი და ცარიელი ხელით გაართყეს ერთიმეორეს. მანგიანთ მამისავე კაცი იყო წიქა (მეტსახელად ბრუცას ეძახდნენ). მას სამი შვილი ჰყავდა: ნიკო, ჩალხია და ბათიკა. მგელიას ერთი იმაც ყავდა, ვაუკაცად ქებული სამუკა. ჩხუბრემ ჯერ მგელიას სცა და მემრე მთელ მანგიათ დაუწყო გინება..... მერე კი სამუკამაც დაკრა ჩხუბრეს, ბრუცათ ნიკომ ხანჯარი დაკრა ჩხუბრეს და ჩალხიამ ჯოხი იმავე ნახანჯრალში. ჩხუბრე წავიდა შინ და თანდათან ტკივილი დაუწყო ნახანჯრალმა და ნაჯოხარმა თავმა. დააყენეს სოფლისა ექიმი, დაუჩირქდა თავი და გარდაიცვალა..... ჩხუბრე რომ გარდაიცვალა, საჭირო გახდა რიგის ყენება, გახდა საარდარაოდ. ბრუცა ამბობდა: ჩემმა შვილებმა მგელიაის გულისად იშულლეს, მერე მაგათმა ნაჭრევმა არც მოკლა, სამუკამაც დაკრა ჯოხი და იმან მოკლაო. სამუკა ეუბნებოდა: მართალია ჩვენის გულისად იშულლეს, მაგრამ დრამა და სისხლისათვის გაძღოლა ხელს მისდევს, მე არც დამიკრავს რამე ჩხუბრესთვისო.....“[1] როგორც მაგალითიდან ჩანს, ჩხუბრეს წინააღმდეგ მოშულლარ ნათესავებს შორის სადავო გამხდარა, თუ ვის უნდა ეკისრა პასუხისმგებლობა მომხდარი მკვლელობისათვის. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ ხევსურეთში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მკვლელობის უშუალო ჩამდენის გამოვლენას. შულლის ერთ-ერთი მონაწილის ფრაზა: „დრამა და სისხლისათვის გაძღოლა ხელს მისდევს“ (ე. ი. მკვლელობისათვის სისხლის ფასის, ქონებრივი საზღაურის გადახდა და ამასთან დაკავშირებული ხევსურული რჯულით გათვალისწინებული წესების შესრულება, მხოლოდ იმის ვალდებულებაა, ვისი ხელითაც სასიკვდილო ჭრილობის მიყენება ხდება), ნიშნავს, რომ ჯგუფური მკვლელობის შემთხვევაში ხევსურული რჯულით, პასუხისმგებლობა

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/10, მოსისხლეობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 112-113.

მკვლელობისათვის ეკისრება მხოლოდ და მხოლოდ სასიკვდილო ჭრილობის მიმყენებელს.[1] სხვა თანაამსრულებლებს, როგორც ზემოთ მოყვანილ ერთ-ერთ ცნობაში გამოჩნდა, შესაძლოა პასუხი ეგოთ, მათ მიერ სასიკვდილო ჭრილობის გარდა მიყენებული სხვა ჭრილობებისათვის, თუ ასეთის ადგილი ექნებოდა (რაც დამოუკიდებელ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს), მათი შესატყვისი ქონებრივი საზღაურის გადახდით და არა მკვლელობისათვის.

ზემოთ მოყვანილი ცნობები და კონკრეტული მაგალითი, რომლებიც ხევსურულ სინამდვილეს ასახავს, ჩვენი აზრით, კარგად წარმოაჩენს მკვლელობის, როგორც კერძო დელიქტის, ბუნებას ხევსურულ ჩვეულებით სამართალში. სწორედ ამით უნდა აიხსნას ჯგუფური მკვლელობის შემთხვევაში მკვლელობისათვის მხოლოდ ზიანის (ამ შემთხვევაში სასიკვდილო ჭრილობის) მიმყენებლის პასუხისმგებლობა.

ამრიგად, ჯგუფური მკვლელობის შემთხვევაში, ხევსურული ჩვეულებითი სამართალი მოითხოვს იმის გარკვევას, თუ კონკრეტუ-

[1] როცა ვსაუბრობთ ხევსურეთში ჯგუფური მკვლელობისას ამ მკვლელობისათვის მხოლოდ სასიკვდილო ჭრილობის მიმყენებლის პასუხისმგებლობაზე, ვგულისხმობთ სწორედ ამ პიროვნების ახლონათესაური ჯგუფის პასუხისმგებლობას, რადგანაც ხევსურეთში მკვლელობის შემთხვევაში დანაშაულის სუბიექტად არა ცალკეული პიროვნება, არამედ სწორედ ეს ჯგუფი (მკვლელობის ჩამდენის გვარის შემადგენელი სტრუქტურული ერთეული – მამიშვილობა) გვეელინება. ამიტომ, დაზარალებული მხარის მიერ შურისძიების აქტის განხორციელებისას, არ უნდა გამოვრიცხოთ უშუალო მკვლელის ახლო ნათესავის შესაძლო საპასუხო მკვლელობა, რომელიც შურისძიების ობიექტთა წრეში შედის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ უშუალო მკვლელს ვერ მოკლავდნენ. ეს მკვლელობა განხილულ უნდა იქნეს უშუალო მკვლელის პასუხისმგებლობის კონტექსტში. იგი ჩაითვლებოდა საპასუხო მკვლელობად, რაც წინა მკვლელობას გაბრიდა. თუ უშუალო მკვლელის თანაამსრულებელი, ამავე დროს, შურისძიების ობიექტთა წრეში შემავალი მისი ახლო ნათესავი იყო, ამ შემთხვევაში, თუ რომელ მათგანზე იძიებდნენ შურს მოკლულის ნათესავები, ამას სამართლებრივი მნიშვნელობა არ ჰქონდა და საპასუხო მკვლელობად ჩაითვლებოდა (თუმცა, პირველ რიგში, ცხადია, მკვლელის მოკვლას ცდილობდნენ). თუ მოკლულის ნათესავები უშუალო მკვლელის არანათესავ თანაამსრულებელს მოკლავდნენ, მაშინ ხევსურული რჯულის პრინციპებიდან გამომდინარე, მოკლულის ნათესავები არ ჩათვლიდნენ ამას საპასუხო მკვლელობად და შეუძლებლად მიიჩნევდნენ ამ მკვლელობათა ურთიერთგაბრას. ამ შემთხვევაში შესაძლებელია წარმოქმნილიყო ახალი მესისხლეობა.

ლად რომელმა პიროვნებამ ჩაიდინა მკვლელობა (ან მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა) და პასუხს ის აგებს.

საინტერესოა, რომ ხევსურეთში ჩაწერილ მასალაში გვხვდება რამდენიმე მონაცემი, რომლის მიხედითაც გარკვეული პასუხისმგებლობა ჯგუფური მკვლელობისას, სასიკვდილო ჭრილობის უშუალო მიმყენებლის გარდა, სხვა თანაამსრულებლებსაც ეკისრება. ერთერთი ხევსური ინფორმატორი, რომელიც ადასტურებს, რომ ჯგუფური მკვლელობისას „სისხლი დაედება" მხოლოდ სასიკვდილო ჭრილობის უშუალოდ მიმყენებელს, იქვე მიუთითებს: დანარჩენები კი გადაიხდიან ხელჩასამრთაოს.[1] მსგავს ცნობას ვხვდებით კიდევ ერთ ინფორმატორთან. მისი თქმით, თუ ჯგუფური მკვლელობის დროს, ყველა მიაყენებს ჭრილობას მოკლულს, მკვლელობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა მხოლოდ სასიკვდილო ჭრილობის მიმყენებელს დაეკისრება, დანარჩენები კი პასუხს აგებენ მხოლოდ ხელჩასამრთაოს გადახდით, თითოეული 5 ძროხის ოდენობით.[2] ამ ინფორმატორის მიხედვით გამოდის, რომ ხელჩასამრთაოს იხდიდა მხოლოდ მკვლელობის ის თანაამსრულებელი, რომელიც რაიმე ჭრილობას (არასასიკვდილოს) მიაყენებდა მოკლულს. ალ. ოჩიაურის მასალითაც გამოდის, რომ ხელჩასამრთაოს იმავე ოდენობით იხდის ის თანაამსრულებელი, რომელიც სულ მცირე, თუნდაც უმნიშვნელო ჭრილობას მიაყენებდა მოკლულს.[3]

ჩვენი აზრით, აქ არ გვაქვს საქმე მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის პასუხისმგებლობასთან თანამედროვე გაგებით, როდესაც ჯგუფური მკვლელობის თითოეული თანაამსრულებელი (უშუალო მკვლელიც და სხვებიც) მკვლელობისათვის გათვალისწინებული მუხლით აგებს პასუხს და ისჯება ჩადენილ დანაშაულში მისი მონაწილეობის ხარისხის თანაზომიერად. მოცემული მონაცემების მიხედვით, ხელჩასამრთაოს სახით 5 ძროხის გადახდა, ჩვენი აზრით, არ ნიშნავს მკვლელობისათვის დადგენილი წესით პასუხისმგებლობას. ხევსურეთში მკვლელობისათვის პასუხისმგებლობა გულისხმობს საჭიროებისას ოჯახის გახიზვნას შურისძიების თავი-

[1] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 41-42..

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 75.

[3] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/5, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 57.

დან არიდების მიზნით, სისხლის ფასის – „თავსისხლის“ გადახდას, „რიგის ყენებას“, „პირშესამყრელოებს“,[1] ე.წ. „პატივს“,[2] „თავის გათავებას“.[3] ყოველივე ეს კი მხოლოდ და მხოლოდ სასიკვდილო ჭრილობის მიმყენებელს და მის ახლო ნათესავებს ეკისრება, ხოლო სხვა თანაამსრულებლების მონაწილეობა ამაში არ ჩანს და აქედან გამომდინარე, არ შეიძლება მკვლელობისათვის გათვალისწინებული წესით მათ პასუხისმგებლობაზე საუბარი. ადგილი რომ ჰქონოდა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების შესრულებაში არასასიკვდილო ჭრილობის მიმყენებელ თანაამსრულებელთა (თანაამსრულებლის) რაღაცა სახით ჩართვას, მით უმეტეს მათთვის ამ კომპონენტთა მკვლელისგან დამოუკიდებლად შესრულების ვალდებულებას, მხოლოდ მაშინ შეიძლება გვესაუბრა ამ თანაამსრულებელთა მკვლელობისათვის დადგენილი წესით პასუხისმგებლობასა და თანამონაწილეობაზე თანამედროვე გაგებით. ისინი არც სისხლის აღების ობიექტები ხდებიან.[4]

როდესაც ჯგუფური მკვლელობის დროს პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთ თანაამსრულებელს ეკისრება და სხვები არავითარ პასუხს არ აგებენ, ეს, როგორც დაღესტნის შესახებ მონაცემთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, თანამონაწილეობის ინსტიტუტის სრული იგნორირებაა. ხევსურეთში ჯგუფური მკვლელობისას არასასიკვდილო ჭრილობის მიმყენებელ თანაამსრულებელთა მიერ „ხელჩასამრთაოს“ გადახდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მკვლელობისათვის დადგენილი წესით პასუხისმგებლობას არ გულისხმობს, თანამონაწილეობის

[1] „პირშესამყრელო“ – მოკლულის სალოცავში (,,ჯვარში“) მკვლელისა და მოკლულის ბიძაშვილების, შემდეგ ოჯახის წევრების შერიგების ცერემონიალი. „პირშესამყრელო“ მკვლელის შემოსარიგებლადაც ტარდებოდა.

[2] „პატივი“ – მკვლელის ახლობლების მიერ მოკლულის ახლობლებისადმი ხათრის გაწევა, რაც განსაზღვრული წესების შესრულებას გულისხმობს.

[3] „თავის გათავება“ – მხარეთა საბოლოო შერიგება, რაც შესაძლოა მკვლელობიდან მრავალი ათეული წლის შემდეგ მომხდარიყო. „თავის გათავების“ ცერემონიალის შემდეგ საბოლოოდ წყდებოდა ყოველწლიური „რიგის ყენება“ და მკვლელის ნათესავებისათვის მოკლულის ნათესავების მიმართ „პატივის“ ვალდებულება.

[4] მხედველობაში არაა არასასიკვდილო ჭრილობის მიმყენებელი ის თანაამსრულებელი, რომელიც სასიკვდილო ჭრილობის მიმყენებლის ახლო ნათესავია და ისედაც შევიდოდა სისხლის აღების უშუალო ობიექტთა წრეში, თანაამსრულებელიც რომ არ ყოფილიყო.

ინსტიტუტის იგნორირებას უკვე არ წარმოადგენს. ფაქტია, რომ არასასიკვდილო ჭრილობის მიმყენებელი თანაამსრულებლები ქონებრივ საზღაურს („ხელჩასამრთაოს“) იხდიან უშუალო მკვლელთან (სასიკვდილი ჭრილობის მიმყენებელთან) ერთად მოკლულის საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედების განხორციელებისათვის. „ხელჩასამრთაო“ არ არის გადასახადი მკვლელობის თანაამსრულებლის მიერ მიყენებული არასასიკვდილო ჭრილობისათვის. ამ ჭრილობისათვის გადასახადს იგი ცალკე გადაიხდიდა. ხელჩასამრთაო ნებისმიერ შემთხვევაში 5 ძროხა იყო, მიუხედავად მიყენებული ჭრილობის სიმძიმისა. უმნიშვნელო ჭრილობის შემთხვევაშიც, როდესაც ცალკე აღებული ამ ჭრილობისათვის, ხევსურული რჯულით, რაიმე საზღაური კი არ იყო გათვალისწინებული, მისი მიმყენებელი მკვლელობის თანაამსრულებელი, ხელჩასამრთაოს, 5 ძროხის ოდენობით, მაინც გადაიხდიდა. ე. ი. ხელჩასამრთაოს ოდენობას მიყენებული ჭრილობის სიმძიმე და ადგილმდებარეობა არ განაპირობებდა, როგორც დაჭრის დროს ხევსურული რჯულისთვის იყო დამახასიათებელი. არასასიკვდილო ჭრილობის მიმყენებლები ხელჩასამრთაოს მხოლოდ მაშინ იხდიდნენ, როდესაც სასიკვდილო შედეგი დადგებოდა. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ჯგუფური მკვლელობისას არასასიკვდილო ჭრილობის მიმყენებლებს ხელჩასამრთაოს ახდევინებდნენ იმის გამო, რომ მათ თავიანთი მოქმედებით, გარკვეულწილად, ხელი შეუწყვეს („ხელი ჩაურთეს“) მკვლელობის ჩადენას.

ამდენად, ხევსურული რჯული ჯგუფური მკვლელობისათვის პასუხისმგებლობას მკვლელობის უშუალოდ ჩამდენს აკისრებს, მხოლოდ მას ევალება მკვლელობის შემთხვევაში რჯულით გათვალისწინებული სისხლის გადახდა და სათანადო წესების აღსრულება, რაც თავის გათავებით სრულდება (აქ მოქმედებს პრინციპი: „სისხლი ხელს მოსდევს“), თუმცა, ამავე დროს, პასუხისმგებლობის გარეშე არც არასასიკვდილო ჭრილობის მიმყენებელ თანაამსრულებლებს ტოვებს (მხედველობაში არაა ამ ჭრილობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა). ჩვენი მოსაზრებით, აქ საქმე გვაქვს თანამონაწილეობის გარკვეულ ადრეულ ფორმასთან, თანამედროვე თვალთახედვით თანამონაწილეობის ინსტიტუტის რაღაც ჩანასახთან, როდესაც თანაამსრულებელი ისჯება, თუმცა მას არ ეკისრება იმ დანაშაულისათვის (ამ შემთხვევაში მკვლელობისათვის) გათვალისწინებული წესით პასუხისმგებლობა, რომლის ჩადენაშიც ზიანის

უშუალო მიმყენებელთან ერთად მონაწილეობდა, ანუ რომლის თანაამსრულებელიც იყო. როგორც ჩანს, საზოგადოება არასასიკვდილო ჭრილობის მიმყენებელი თანაამსრულებლების წვლილს დანაშაულებრივი შედეგის დადგომაში ხედავს და ზიანის უშუალოდ მიმყენებელთან ერთად საჭიროდ მიაჩნია მათი დასჯა „ხელჩასამრთაოს“ სახით, თუმცა იმის გამო, რომ მკვლელობა და მთელი რიგი სხვა დანაშაულები კერძო დელიქტის თვისებების მატარებელია და სამართალზე არსებითია ობიექტური შერაცხვის პრინციპის გავლენა (როდესაც მთავარია შედეგი და კონკრეტული დანაშაულისათვის პასუხს მხოლოდ დანაშაულებრივი შედეგის უშუალო გამომწვევი აგებს), ჩამოყალიბდა თანამონაწილეობის ზემოთ ნახსენები ფორმა. თანამონაწილეობის ინსტიტუტის თანამედროვე გაგება მაინც უკავშირდება საზოგადოების მიერ მკვლელობის და სხვა დანაშაულების საჯარო სამართალდარღვევებად აღქმას და ობიექტური შერაცხვის პრინციპის სუბიექტური შერაცხვით შეცვლას. ხევსურულ სამართალში ეს პროცესი მხოლოდ საწყის მდგომარეობაში გვხვდება.

სრულიად შესაძლებელია, სადავო გამხდარიყო სასიკვდილო ჭრილობის მიმყენებლის ვინაობა. რადგანაც მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თვალსაზრისით ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ხდებოდა დაფიცება იმის გასარკვევად, თუ შულლის რომელმა მონაწილემ მიაყენა მოკლულს სასიკვდილო ჭრილობა. ალ. ოჩიაურის მასალებში რამდენიმე კონკრეტულ ფაქტს ვხვდებით. ერთ-ერთი ცნობა ასეთია: „გუროელ-შატილიონთ შულლში დაიჭრა და ჭრილობისაგან გარდაიცვალა კოკოთ გიგლა (შატილიონი). მისი ნაჭრევი საარდარაო (სადავო) გახდა, ჩონქარაი და სიგირგალი (გუროველებია) იბრძოდნენ: არა შენმა ნაჭრევმა მოკლა არა შენმაო. რჯულმა სიგირგალს ფიცი უთვალა. მან 16 კაცი ხელ მაიკიდა და დაიფიცა. თავი დაედო ჩონქარას.“[1] მეორე შემთხვევა: „ჩხუბის დროს ჭრილობის შედეგად მოკვდა ლაგაზა არაბული..... მას სჭირდა ხუთი ჭრილობა. ორი ჭრილობა თავში. თავში ერთიმეორის ახლო სჭირდა და ძალიან აწუხებდა..... ამას ნაჭრევები სჭირდა სოფელ ჭიეში მცხოვრებ ბაჯიგათ იაისაგან და გუდანში მცხოვრებ გაგათ წიქაისაგან. ისინიც ლაგაზაისაგან ორივე იყვნენ ნაჭრევიანები..... ბოლოს ლაგაზა გარდაიცვალა და საქმე გაურჩეველი იყო,

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/11, მოსისხლეობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 128-129.

ვისზე უნდა შევარდნილიყო თავ-სისხლი, ვის უნდა ეყენა რიგი და დამდგარიყო მეთავედ. ის კი გაიგეს, რომელმა ნაჭრევმა მოკლა...., მაგრამ ვისგან იყო ეს დაკრული, ეს აღარ იცოდნენ. შეიყარა რჯულის კაცები და წიქას ფიცი უთვალეს: დაიფიცე, რომ ის შენი ნაჭრევი არ იყოვო. წიქამ გუდანის ჯვარში ფიცი ვერ გაბედა და სთქვა: მე არ ვიცი რომელი ნაჭრევი იყო ჩემი დაკრულიო. მაჯიგად იამ კი თქვა: მე დავიფიცავ, რომ ჩემი ნაჭრევი მეორე იყო, რომელმაც მოკლა, ის არ იყოვო. ადგა და იამ მართლა დაიფიცა. ..... იამ კაცის თავისისხლი გადაიგდო."[1] ამ ორივე მაგალითიდან ცალსახად ჩანს, რომ მკვლელობისათვის პასუხს მხოლოდ სასიკვდილო ჭრილობის მიმყენებელი აგებდა. მეორე ცნობაში პირდაპირ არის მითითებული, რომ სასიკვდილო ჭრილობის მიმყენებლის დადგენა აუცილებელია იმის გასარკვევად, „თუ ვისზე უნდა შევარდნილიყო თავ-სისხლი, ვის უნდა ეყენა რიგი და დამდგარიყო მეთავედ," ანუ ვის უნდა ეგო პასუხი მკვლელობისათვის გათვალისწინებული წესით, რადგანაც ამ ამონარიდში მოტანილი კომპონენტების შესრულება გულისხმობს ხევსურეთში მკვლელობისათვის დადგენილ პასუხისმგებლობას. როგორც ჩანს, აღნიშნული დავის გადასაწყვეტად ხდებოდა სამედიატორო სასამართლოს, ანუ რჯულის მოწვევა, რომელიც იმის გამო, რომ სხვა რაიმე მტკიცებულება არ იყო სახეზე, დავის გადასაწყვეტად ფიცს აკისრებდა მხარეებს და როგორც პირველ ცნობაში გამოჩნდა 16 თანამოფიცართან ერთად (თანამოფიცართა ასეთი დიდი რაოდენობა განპირობებული იყო იმით, რომ დავა მკვლელობის საქმეზე იყო და მკვლელობაში ეჭვმიტანილებს ხევსურეთში, თავის მართლების მიზნით, ძირითადად, 16 თანამოფიცართან ერთად აფიცებდნენ). ეჭვმიტანილს ფიცით უნდა დაემტკიცებინა, რომ მის მიერ მიყენებული ჭრილობა სასიკვდილო არ იყო. თუ იგი სათანადოდ შეასრულებდა ფიცის რიტუალს, მკვლელობისათვის გათვალისწინებული წესით პასუხისმგებლობას თავს აარიდებდა, თუარა და „თავისისხლი" მას გადახდებოდა. ორივე მოყვანილ შემთხვევაში სწორედ ფიცის მეშვეობით დადგინდა, თუ ვის უნდა დაჰკისრებოდა მკვლელობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

გამორიცხული არ იყო საერთოდ ვერ დადგენილიყო ჯგუფური მკვლელობისას სასიკვდილო ჭრილობის მიმყენებლის ვინაობა. მაგალითად, როდესაც თანაამსრულებლები ერთმანეთს კი არ აბრალებდნენ

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/5, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 56.

სასიკვდილო ჭრილობის მიყენებას, არამედ თითოეული მათგანი ერთობლივად იღებდა საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას მკვლელობაზე და არავინ უარყოფდა მის მიერ სასიკვდილო ჭრილობის მიყენებას. ამ დროს თითოეული ჩაითვლებოდა მკვლელად.

როდესაც შეუძლებელი იყო ჯგუფური მკვლელობის თანაამსრულებელთაგან სასიკვდილო ჭრილობის მიმყენებლის დადგენა, დაზარალებულ მხარეს შეეძლო შური ეძია ნებისმიერ მათგანზე, თუმცა მხოლოდ ერთზე მათ შორის. ამ შემთხვევაში სხვა თანაამსრულებლები მკვლელობისათვის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებოდნენ. თუ დაზარალებული მხარე შურს ერთზე მეტ თანაამსრულებელზე იძიებდა, მას „სისხლი დაედებოდა“. ერთი მოკლულის საპასუხოდ, შეიძლებოდა მხოლოდ ერთის მოკვლა, რაც დანაშაულის „გაბრას“ გამოიწვევდა და საპასუხო მკვლელობის ჩამდენს ამ მკვლელობისათვის პასუხისმგებლობა არ დაეკისრებოდა. კიდევ სხვა თანაამსრულებლის მკვლელობა კი დამატებით ზიანს ნიშნავდა და ამიტომ პასუხისმგებლობის გამომწვევი იყო. კომპოზიციას კი ასეთ შემთხვევაში მკვლელობის ყველა თანაამსრულებელი თანაზომიერად გადაიხდიდა, ე.ი. პიროვნებათა ჯგუფი კოლექტიურად აგებდა პასუხს ერთობლივად ჩადენილი დანაშაულისათვის. თქმულის საილუსტრაციოდ ხევსური ინფორმატორის ცნობას მოვიტანთ: „თუ მკვლელები ამბობენ ჩვენ მოვკალით ერთადო, მაშინ ყველა ერთნაირად აგებს პასუხს და ყველაზე შეიძლება ისისხლოს დაზარალებულმა, მაგრამ ისისხლებს ერთ თავს, თავის გათავების დროს კი ყველა გამოდის, როგორც ერთი.“[1] ბოლო ფრაზა: „თავის გათავების დროს კი ყველა გამოდის, როგორც ერთი,“ ნიშნავს სწორედ იმას, რომ სისხლის ფასის გადახდა ყველა თანაამსრულებლის მიერ ერთობლივად ხდება. მეორე ინფორმატორი უფრო აზუსტებს ამ გარემოებას. მისი თქმით, როდესაც ორ პიროვნებას ეკისრება პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის, „თავი თანაბრად გაიყოფა, ნახევარს მე გადავიხდი, ნახევარს მეორე. რიგის ყენებაც წელგამოშვებითაა.“[2] აქ კარგად ჩანს, რომ ყოველგვარი ქონებრივი საზღაური თანაამსრულებლებს შორის თანაბრად იყოფა, „რიგის ყენებას“ კი ისინი რიგრიგობით ასრულებენ

[1] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 42.

[2] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1977, 42.

– ერთ წელს ერთი, მეორე წელს – მეორე.

ამრიგად, როდესაც ვერ დგინდებოდა ჯგუფური მკვლელობის მონაწილეთაგან რომელი იყო სასიკვდილო ჭრილობის მიმყენებელი, თითოეული ითვლებოდა მკვლელობისათვის პასუხისმგებლად, თუმცა ყველა ცალ-ცალკე არ აგებდა პასუხს დაზარალებულის წინაშე. როგორც დავინახეთ, დაზარალებულ მხარეს შეეძლო შური ეძია მხოლოდ ერთ თანაამსრულებელზე,[1] ხოლო კომპოზიცია მათ ცალ-ცალკე კი არ უნდა გადაეხადათ, არამედ ერთობლივად. ფაქტობრივად, თანაამსრულებლები პასუხს აგებდნენ, როგორც ერთი სუბიექტი – რასაც ერთი მკვლელი გადაიხდიდა, იმავეს იხდიდნენ თანაამსრულებლები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს გადასახადი მათ შორის თანაბრად ნაწილდებოდა. ამდენად, მკვლელობის, როგორც კერძო დელიქტის ჩადენისას, მთავარია, ამ დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაზედაც ამ მკვლელობის ჩადენაში მონაწილე პირთა რაოდენობა არანაირ გავლენას არ ახდენს.

თანაამსრულებლობით ჩადენილი მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წესები სხვა დანაშაულებზეც ვრცელდება. მაგალითად, დაჭრა-დასახიჩრების დროს, თუ რამდენიმე პიროვნება მონაწილეობდა ჯგუფურ ჩხუბში და ვინმე დაიჭრებოდა, ჭრილობის საზღაურს იხდიდა მხოლოდ უშუალოდ ჭრილობის მიმყენებელი. თუ ჯგუფური ჩხუბისას სხვადასხვა პირი დაჭრიდა ერთ კაცს, თითოეული აგებდა პასუხს მხოლოდ მის მიერ მიყენებული ჭრილობისათვის. საილუსტრაციოდ ერთ კონკრეტულ შემთხვევას მოვიტანთ ალ. ოჩიაურის მასალებიდან: „პირაქეთ ხევსურეთში სოფელ ჩხუბაში ცხოვრობდა ერთი თავგადადებული კაცი – მეხატე (მეხატე მისი სახელი იყო). მეხატე ჯვარში მოიყვანეს..... ხალხი როცა დაითრო, ერთ ლებაისკარელს სახელად ალეკას და მეხატეს შუღლად მოუხდა (ჩხუბი მოუვიდა). შუღლში სხვებიც ჩაერივნენ და მეხატე ვიღაცამ დასჭრა ხანჯრით. ვერ გაიგეს ვინ დაჰკრა, რადგან შუღლი ერთბაშად მოხდა და ბევრი ხანჯრები ტრიალებდა. მეხატემ აქიმი დაიყენა და ჭრილობა მოირჩინა. ამ შუღლში მონაწილეები სხვებიც დაიჭრნენ ერთი მეორისაგან და ყველამ იცოდა ვინ ვისგან იყო დაჭრილი და ხევსურეთის რჯულის მიხედვით ყველამ თავ-თავის ნაჭრევიანს დააყენა აქიმი, მოარჩინა, ისჯულა და რაც რჯულმა დაადო, დრამაც მისცეს.

[1] ან მის უახლოეს ნათესავზე, რომელიც შურისძიების ობიექტთა წრეში შედის.

ხოლო მეხატეს ნაჭრევი გახდა საარდარაო. არავინ არ იბრალებდა, ყველა უარს ამბობდა — ჩემგან არ არის მეხატე დაჭრილიო. ამ შუღლში მონაწილეები იყვნენ: ბერდია, გიგოლა, ხოლოგა, სუმბატა და სხვები, სულ ერთი-მეორის სახლიკაცები (ბიძაშვილები). რაკი ეს ნაჭრევი საარდარაოდ გახდა, გადაწყდა დაფიცვა, ... რაკი ყველამ დაიფიცა, საერთოდ მისცეს ხუთი ძროხა „სამართალი“ ანუ „დრამა.“[1] როგორც ვხედავთ, ყველამ მხოლოდ მის მიერ მიყენებული ჭრილობისათვის აგო პასუხი. მხოლოდ ერთ შემთხვევაში გახდა ჭრილობის უშუალოდ მიმყენებლის ვინაობა სადავო და რაკი ეს დავა ფიცმაც ვერ გადაწყვიტა, დაჭრილთან შუღლში მონაწილე ყველა პიროვნებამ ერთობლივად გადაიხადა ამ ჭრილობისათვის გათვალისწინებული საზღაური. ამ მაგალითმა ცალსახად წარმოაჩინა, რომ დაჭრას ხევსურულ ჩვეულებით სამართალში კერძო დელიქტის შინაარსი აქვს. მკვლელობის მსგავსად, აქაც მთავარი აღმოჩნდა დაჭრის შედეგად მიყენებული ზიანის კომპენსაცია. რაკი ჭრილობის უშუალოდ მიმყენებელი ვერ დადგინდა, შესაბამისი საზღაურის გადახდა მოხდა სოლიდარულად, რამდენიმე პიროვნების მიერ. მისი დადგენის შემთხვევაში, ზუსტად იმავე საზღაურს მხოლოდ ერთი პირი გადაიხდიდა. ასე რომ, როგორც მკვლელობის, ისე დაჭრის დროს, პასუხისმგებლობის ზომა (გადასახდელი ქონებრივი საზღაურის ოდენობა) არ იყო დამოკიდებული დანაშაულის ჩადენაში მონაწილე პირთა რაოდენობაზე.

ქურდობის დროსაც დამნაშავენი ვალდებულნი იყვნენ დაებრუნებინათ ნაქურდალი (ან მისი ეკვივალენტის ქონება), არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენი კაცი ჩაიდენდა ამ დანაშაულს — ერთი თუ რამდენიმე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დაზარალებულს შეეძლო, თითოეულისაგან ცალ-ცალკე მოეთხოვა ნაქურდალის ანაზღაურება (თუ ერთ-ერთი თანამონაწილე სრულად აანაზღაურებდა ნაქურდალს, მაშინ, ბუნებრივია, სხვა დამნაშავეთაგან მოთხოვნის უფლება დაზარალებულს აღარ ჰქონდა). შესაძლოა, თანამონაწილეებს ერთობლივად აენაზღაურებინათ ნაქურდალი. მთავარია, დაზარალებულს მიეღო შესაბამისი ოდენობის კომპოზიცია — ქონებრივი საზღაური დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანისათვის. მისთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ერთ-ერთი თანამონაწილე გადაუხდიდა მას

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, სამამო მიწისმფლობელობიის შესახებ ხევსურეთში, ხელნაწერი, 1953, რვეული №3, 31-32.

კომპოზიციას სრული ოდენობით, თუ ყველა თანამონაწილე სოლიდარულად, იმავე ოდენობით.

გარკვეული მონაცემები თანამონაწილეობის შესახებ სვანური ჩვეულებითი სამართლის მასალებშიც გვხვდება. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მ. კეკელიას მიერ XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ბალსზემო სვანეთში ჩაწერილი მასალა. ცნობილი იურისტი მეცნიერი მასალების სხვა შემკრებთაგან განსხვავებით, წმინდა იურიდიული კუთხით ცდილობდა ინფორმაციის მიღებას სვანი ინფორმატორებისაგან. მას სპეციალურად ჰქონდა წინასწარ მომზადებული კითხვები თანამონაწილეობის ინსტიტუტთან დაკავშირებითაც და თუ ჩვენ დღეს შეგვიძლია ვისაუბროთ თანამონაწილეობის ინსტიტუტზე სვანურ ჩვეულებით სამართალში, სწორედ მ. კეკელიას ამ მასალების დამსახურებაა. მათ მიხედვით, თანამონაწილეობის ინსტიტუტი სვანეთში უფრო ჩამოყალიბებული სახით ჩანს, ვიდრე ხევსურეთში, რაც პირველ რიგში მკვლელობის თუ დაჭრის თანაამსრულებლის პასუხისმგებლობას ეხება.

ხევსურეთის მსგავსად სვანეთშიც, ჯგუფური დანაშაულისას, ადგენდნენ ზიანის უშუალო მიმყენებელს და პასუხისმგებლობა სწორედ მას ეკისრებოდა: პირველ რიგში მას ისისხლებდნენ, ხოლო შერიგების შემთხვევაში წორის (მკვლელობისათვის განსაზღვრული გადასახადის) გადახდა მას ეკისრებოდა (თავის ნათესავებთან ერთად). მაგალითად, ერთ-ერთი სვანი ინფორმატორის განმარტებით, „თუ პირმა კაცის მოსაკლავად ან დასაჭრელად ახლობელი წაიყვანა და ჩაიდინეს დანაშაული, მორევები (დაპირისპირებული მხარეების მიერ კონკრეტული საქმის გასარჩევად არჩეული მედიატორები, სამედიატორო სასამართლოს მოსამართლეები, — გ. დ.) პირველ რიგში იმის დადგენას ცდილობდნენ, ვისი ხელით მოხდა დანაშაული ...“[1] ცხადია, ეს იმისათვის ხდებოდა, რომ დაედგინათ ის პიროვნება, ვისაც მკვლელობისათვის თუ დაჭრისათვის სვანური ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებული ძალზედ მძიმე პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა. ინფორმატორთა განმარტებით, თუ დანაშაულის უშუალო ჩამდენი სახეზე არ იქნებოდა (გაიქცა, ხელში ვერ ჩაიგდეს), შესაძლოა, დაზარალებულ მხარეს მისი თანაამსრულებლისათვის მოეთხოვა პასუხისმგებლობა. ამ გარემოებას რამდენიმე ინფორმატორი

[1] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №2, 1968, 43-44.

მიუთითებს.[1] ერთ-ერთი მათგანის თქმით, „თუ უშუალო მკვლელი ან დამჭრელი გაიქცა, გადაიკარგა, ხოლო მასთან ამ დროს მყოფი კაცი ცნობილია (მხედველობაშია დანაშაულის ჩადენისას მისი თანამზრახველი, — გ. დ.), წორი მას გადახდება, ან მასვე ისისხლებენ“.[2] ამ თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო შემთხვევას მოგვითხრობს ლატალელი ინფორმატორი: „მკვლელობაში თანამონაწილე ამხანაგის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მახსენდება ასეთი საქმე: დაახლოებით 1934 წელს ეცერელმა (ბალსქვემო სვანეთის სოფელია) გერლიანებმა მოკლეს ლატალელი გირგვლიანი. მკვლელობიდან ცოტა დროის გავლის შემდეგ მკვლელი გერლიანი გარდაიცვალა, ამიტომ ისისხლეს მკვლელის ამხანაგი.“[3] თუ ჯგუფური დანაშაულისას მისი უშუალო ჩამდენი ვერ გამოვლინდებოდა, სავარაუდოდ, პასუხისმგებლობა ხევსურეთში მოქმედი პრინციპების საფუძველზე დადგებოდა.

თუ ჯგუფური მკვლელობისას, მისი უშუალო ჩამდენი სახეზე იყო და შერიგების საკითხი იდგა დღის წესრიგში, წორის გადახდა, როგორც აღვნიშნეთ, სწორედ მას ეკისრებოდა, თუმცა, როგორც რამდენიმე ინფორმატორი ერთხმად ამტკიცებს, გარკვეული გადასახადი მის თანაამსრულებელსაც (თანაამსრულებლებსაც) დაეკისრებოდა. საილუსტრაციოდ რამდენიმე მათგანის განმარტებას მოვიტანთ. ერთი ლატალელი ინფორმატორის მიხედვით, „თუ რამდენიმე კაცმა განიზრახა ვინმეს მოკვლა და განზრახვა სისრულეში მოიყვანა, უშუალო მკვლელს (ვინც ესროლა) მთელ წორს გადავახდევინებთ, ხოლო მის ამხანაგს წორის მესამედს მაინც (ნახევარს არასოდეს).“[4] უშუალო მკვლელი რომ უფრო მეტს იხდიდა, ვიდრე თანაამსრულებელი, ხოლო ამ უკანასკნელის გადასახადი დაახლოებით წორის მესამედი, ან უფრო ნაკლები იყო, სხვა ინფორმა-

---

[1] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, .25; ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 42.

[2] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1968, 43.

[3] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 7. მასალების მიხედვით, მკვლელობის ჩასადენად თუ ვინმე წავიდოდა, დამხმარედ, ძირითადად, თაყისი ახლო ნათესავი მიჰყავდა.

[4] იქვე, 63.

ტორებთანაც დასტურდება.[1] როგორც ვხედავთ, თანაამსრულებლის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით სვანეთში ხევსურეთისაგან გარკვეულწილად განსხვავებული ვითარებაა. აქ არ გვხვდება თანაამსრულებლისათვის წინასწარ განსაზღვრული გადასახადი, „ხელჩასამრთაოს“ რაღაც ანალოგი, თანაამსრულებელი გარკვეულ გადასახადს ნებისმიერ შემთხვევაში იხდის და არა მხოლოდ მაშინ, თუ არასასიკვდილო ჭრილობას (თუნდაც უმნიშვნელოს) მიაყენებს მოკლულს, როგორც ეს ხევსურეთშია (მხედველობაში გვაქვს ის, რომ „ხელჩასამრთაო“ ხევსურეთში იმ თანაამსრულებელს დაეკისრება, რომელიც არასასიკვდილო ჭრილობას მიაყენებს მოკლულს). მასალები გვიჩვენებს, რომ ჯგუფური მკვლელობისას თანაამსრულებლის მიერ გადასახდელი საზღაურის ოდენობას მორვები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წყვეტენ. როგორც წესი, მისი ოდენობა წორის მესამედს არ აღემატება, თუმცა შესაძლოა ნაკლებიც იყოს. თუ რაზეა ეს დამოკიდებული, ერთ-ერთი სვანი ინფორმატორი ასე განმარტავს: „თანამონაწილეობის დროს, თუ დადგინდა, ვინ იყო უშუალოდ შემსრულებელი, იმას გადახდება ის, რაც ასეთ მოქმედებებზეა დაწესებული, ხოლო დანარჩენ თანამონაწილეებს ცოტა გადახდებოდათ. ეს გააჩნია როგორი საქმეა და რაში გამოიხატება თანამონაწილეობა.“[2] როგორც ჩანს, სვანი მორვები თანაამსრულებლის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას ითვალისწინებდნენ დანაშაულებრივ ქმედებაში მისი მონაწილეობის ხარისხს. ეს ფაქტორი (სხვა ფაქტორებთან ერთად), ჩვენი აზრით, მიუთითებს იმაზე, რომ სვანურ ჩვეულებით სამართალში თანამონაწილეობის ინსტიტუტი უფრო სრულფასოვნადაა გამოვლენილი, ვიდრე ხევსურეთში.

2. დანაშაულის მაპროვოცირებლის პასუხისმგებლობა ქართულ ჩვეულებით სამართალში

ხევსურულ ჩვეულებით სამართალში გარკვეული ფორმით თანამონაწილის ისეთ სახესაც ვხვდებით, როგორიცაა წამქეზებელი. კერძოდ, თუ მკვლელობა მოხდებოდა ენის მიტანის საფუძველზე, პასუხს

[1] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №2, 1968, 44; ეთნოგრაფიული რეული №5, 1968-1969, 42; ეთნოგრაფიული რეული №6, 52.

[2] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №6, 1969, 52.

არა მარტო მკვლელობის ჩამდენი აგებდა, არამედ ენის მიმტანიც. ასევე, სხვისი იარაღით მკვლელობის შემთხვევაში, გარკვეული პასუხისმგებლობა იარაღის პატრონსაც ეკისრებოდა.

მ. კოვალევსკი ოსურ ჩვეულებით სამართალზე საუბრისას მიუთითებს, რომ ბოლო დრომდე (ე.ი. XIX საუკუნის ბოლოსთვის) ოსები პასუხისმგებლობას აკისრებდნენ მხოლოდ დანაშაულის ფიზიკურად ჩამდენს და არა წამქეზებელს, რადგანაც დანაშაულის მხოლოდ ობიექტურ მხარეს აქცევდნენ ყურადღებას – იმ კერძო ზიანს, რომელიც დამნაშავეს მიადგა.[3]

ხევსურულ ჩვეულებით სამართალში, პირიქით, ცალსახად ჩანს ენის მიტანის საფუძველზე მომხდარი დანაშაულისას (მაგალითად, მკვლელობისას) ენის მიმტანის პასუხისმგებლობა. ზოგიერთი ხევსური ინფორმატორი ენის მიმტანის პასუხისმგებლობას დანაშაულის ჩამდენისას უთანაბრებს. ერთ-ერთი მათგანის განმარტებით: ,,თუ ვინმეს ვიღაცამ ენა მიუტანა – შენზე ასე და ასე თქვაო და ამის გამო მკვლელობა მოხდა, მეენეზე ამბობდნენ: თუ ამის ხმალმა მოკლა, ამის ენამ მოკლაო. რა ბედენაა, ორივე მკვლელია.... და რომელსაც მოასწრებენ, მეენესა თუ უშუალო მკვლელს, იმას მოჰკლავენ. ორივე თუ მოკლეს, თავი დაედებათ.“[4] მეორე ინფორმატორის თქმით: „წამქეზებლის (მეენის) მეშვეობით თუ მოკლავდნენ კაცს, ხელსაც (მეხელე), და მეენესაც თანაბრად ედებოდა სისხლი.“[5] როგორც ვხედავთ, ამ მონაცემების მიხედვით, ენის მიმტანის (,,მეენე“) და მკვლელის პასუხისმგებლობა დაახლოებით ისეთია, როგორიც თანაამსრულებლების, სასიკვდილო ჭრილობის უშუალოდ მიმყენებლის დაუდგენლობის შემთხვევაში. ორივე თანაბრად ითვლება მკვლელად. დაზარალებული თუ მეენეს მოკლავდა, მკვლელის მოკვლის ან მისთვის კომპოზიციის მოთხოვნის უფლება მას აღარ ჰქონდა, ანუ შესაძლოა უშუალო მკვლელს მკვლელობისათვის პასუხისმგებლობა საერთოდ არ დაჰკისრებოდა. კომპოზიციის გადახდაში კი ორივე სოლიდარულად მონაწილეობდა.

აღსანიშნავია, რომ ხევსურ ინფორმატორთა უმრავლესობა

---

[3] М. Ковалевский, Современный обычай и древний законъ, М., Т. 2, 1886, 93.

[4] ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 75.

[5] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 48.

მეენის პასუხისმგებლობას სპეციალურ გადასახადს — „არბითს“ უკავშირებს, რაც მისი და მკვლელის პასუხისმგებლობას მაინც სხვადასხვა სიბრტყეზე აყენებს. „არბითის“ გადახდა მაშინ ხდება, როდესაც მკვლელობა რკინის იარაღითაა ჩადენილი — თოფით, ხანჯლით, დანით. „არბითი რკინას დაედების,“ — განმარტავს ერთ-ერთი ინფორმატორი.[1] არბითი, როგორც ქონებრივი საზღაური, არ შედის „თავსისხლის“ შემადგენლობაში და რკინის იარაღით მკვლელობისას „თავსისხლის“ ზემოთ გადახდება არბითის გადამხდელს, ანუ „მეარბითეს.“[2] არბითის ოდენობა 5 ძროხაა.[3] ზოგიერთი მონაცემით, იგი შეიძლება მეტიც იყოს: 5-დან 16 ძროხამდე.[4] ენის მიმტანის პასუხისმგებლობას 5 ძროხის ოდენობით ფშავის სინამდვილეში ადასტურებს ვაჟა-ფშაველა. მისი თქმით: თუ ვინმეს ენატანიობით, ანუ „ენაკაჭლაობით“ ერთიმეორეს გადაემტერებოდა და ამას სისხლის დაქცევა მოჰყვებოდა, მაშინ ამ ლაქლაქას დაზარალებულის ნათესავებისათვის უნდა გადაეხადა „საენაო„ — ხუთი ძროხა.[5] როგორც ვხედავთ, ვაჟა ენის მიტანის შედეგად მომხდარი დანაშაულისას, ენის მიმტანის გადასახადს, „საენაოს“ უწოდებს. მასთან არ ვხვდებით „არბითის“ მოხსენიებას. „საენაო“ მხოლოდ ენის მიტანისთვის დაწესებულ გადასახადს გულისხმობდა, ხოლო „არბითს“ ბევრად ფართო დანიშნულება ჰქონდა და არა მარტო ენის მიმტანის პასუხისმგებლობისათვის გამოიყენებოდა.

ხევსურეთში „არბითს“ იხდიდა, ასევე დამნაშავისათვის იარაღის მიმცემი. მას ხევსურები დანაშაულის მაპროვოცირებლად აღიქვამდ-

---

[1] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 36.

[2] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული № 5, 1977, 12.

[3] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 18, 36: ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 20, 81; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1977, 12; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 95.

[4] რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები“, ტ. I, 1947, 188; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული № 6, 1977, 9.

[5] ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964, 76.

ნენ. ვინც პიროვნებას იარაღს ათხოვებდა და ამ იარაღით მოხდებოდა მკვლელობა (ან დაჭრა), იგი „არბითს“ გადაიხდიდა.

სხვისი იარაღით მკვლელობისას, იარაღის მთხოვებლის პასუხისმგებლობა გავრცელებული მოვლენაა სამართალგანვითარების ადრეულ ეტაპზე მყოფი ხალხებისათვის. მაგალითად, მ. კოვალევსკის მიხედვით, ოსეთში მკვლელობის იარაღის პატრონი, ჩვეულებრივ, მკვლელის თანაბრად აგებდა პასუხს: ნახევარს თოფის პატრონი იხდიდა, ნახევარს კი მკვლელი.[1] მ. კოვალევსკი ამ ძველი წესის შენარჩუნებას იმას უკავშირებს, რომ იარაღის მთხოვებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება, ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც სასჯელი შეიძლება დაეკისროს ზნეობრივ დამნაშავეს. იგი იარაღის სხვისთვის მთხოვებელს წამქეზებლად განიხილავს. მისი აზრით, ძნელია იმის დაშვება, რომ უმრავლეს შემთხვევაში თოფის თხოვება, დაკავშირებული არ იყო ბოროტმოქმედების ჩადენის პირდაპირ წაქეზებასთან.[2] იარაღის პატრონის პასუხისმგებლობა განპირობებულია იმით, რომ ზოგადი წესის მიხედვით, პიროვნება პასუხს აგებდა მისი პირუტყვის მიერ, მისი ნივთის მეშვეობით ჩადენილი დანაშაულისათვის.

ხევსურული რჯულით, ჩვენს ხელთ არსებული ყველა მონაცემის თანახმად, მკვლელისთვის იარაღის მიმცემი „არბითის“ სახით 5 ძროხას იხდიდა. არც ერთი ინფორმატორი არ ადასტურებს იარაღის მიმცემის ჩართვას „თავსისხლის“ გადახდაში. ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი განმარტავს: „მე რომ კაცს მივცე იარაღი და ამ კაცმა ამ იარაღით მოკლას კაცი, მე უნდა გადავიხადო არბითი 5 ძროხა, იმიტომ, რომ ჩემი იარაღით მოიკლა კაცი.“[3] იმავეს ადასტურებს XX საუკუნის დასაწყისში ხევსურული სამართლის შესანიშნავი მცოდნე ბ. გაბუური: „თუ კაცმა კაცი სხვისი იარაღით მოკლა, მაშინ იარაღის პატრონი გადაიხდის 5 ძროხას.“[4] არაერთი მონაცემია ხევსურეთთან დაკავშირებით, სადაც დასტურდება „არაბითის“ გადახდა როგორც ენის მიტანით, ისე სხვისი იარაღით დანაშაულის ჩადენისას.[5]

---

[1] მ. კოვალევსკი, დასახ., ნაშრ., 106-107.

[2] იქვე, 107.

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატი, 1988, 20.

[4] ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, 1923-1924, 142.

[5] რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები“, ტ. I, 1947, 188; ალ. ოჩიაური,

„არბითის“ გადახდას, ცხადია, მაშინ ექნებოდა ადგილი, როდესაც დაპირისპირებული მხარეები დავას შერიგებით მოაგვარებდნენ და შურისძიება თავიდან იქნებოდა აცილებული. ერთ-ერთ ზემოთ მოყვანილ ცნობაში გამოჩნდა ენის მიმტანის ჩართვა „თავისისხლის“ სანახევროდ გადახდაში, მონაცემთა დიდი უმრავლესობა კი მიუთითებს ენის მიმტანის მიერ 5 ძროხის გადახდას „არბითის“ თუ „სამენეოს“ სახით. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საერთო წესიდან გამომდინარე მკვლელობისათვის კომპოზიციის გადახდა უშუალოდ მკვლელს ეკისრებოდა, ხოლო ენის მიმტანი, ძირითადად, „არბითს“ გადაიხდიდა. თუმცა, როგორც ჩანს, მისი „თავისისხლის“ გადახდაში ჩართვაც არ იყო გამორიცხული. თუ როდის შეიძლება მომხდარიყო ეს, მხოლოდ ერთი ინფორმატორის მინიშნება გვაქვს ამასთან დაკავშირებით: „როგორც წესი, როდესაც ვისიმე იარაღით, ან ვისიმე ენით მოკლავენ კაცს, იარაღის მიმცემს ან ენის მომტანს ედება არბითი, მაგრამ, როგორც ჩანს, თუ აღმოჩნდება, რომ ენის მიმტანი სტყუოდა და არ გამართლდა, და რასაც იგი აბრალებდა მოკლულს სინამდვილეში არ ყოფილა, მკვლელს შეუძლია იგი სისხლში ჩართოს, ე. ი. მკვლელმა თვითონ დაადოს ნახევარი თავი, ე. ი. თუ მკვლელმა იმარჯვა თავისას მიაღწევს და ჩართავს სისხლში. არბითი ამ შემთხვევაში აღარ გადახდება, რადგან იგი სისხლში იქნება ჩართული.“[1] ამ ცნობით დასტურდება, რომ „როგორც წესი“ ენის მიმტანი „არბითს“ გადაიხდიდა, თუმცა, თუ აღმოჩნდებოდა, რომ ენის მიმტანმა შეგნებულად ცრუ ინფორმაცია მიუტანა მკვლელს, შესაძლოა მკვლელის ზემოქმედებით, ენის მიმტანი მისი თანამოზიარე გამხდარიყო „თავისისხლის“ გადახდაში. რამდენად ხშირად ჰქონდა ასეთ ფაქტს ადგილი, ძნელი სათქმელია სათანადო ცნობების არქონის გამო. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამას ცალკეულ, გამონაკლის შემთხვევებში თუ ექნებოდა ადგილი, მკვლელის შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

მასალებით დასტურდება „არბითის“ გადახდა შუღლის წა-

ხევსურული რჯული, ხელნაწერი, 1945, რვეული №3, 35-36. დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 18, 36: მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1977, 12, ეთნოგრაფიული რვეული №6, 42-43.

[1] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 42-43.

მომწყების მიერაც, როდესაც პიროვნება დაიწყებდა ჩხუბს, მერე გამოეცლებოდა მოჩხუბრებს, ამ ჩხუბს კი შედეგად მკვლელობა, ან დაჭრა მოჰყვებოდა.[1]

ზემოთ მოტანილი მასალები აშკარად მიუთითებს, რომ ხევსურეთში დანაშაულებრივი შედეგის დადგომის შემთხვევაში, დანაშაულის მაპროვოცირებელი, ძირითადად, არბითის გადახდით აგებდა პასუხს, კერძოდ, დამნაშავისათვის ენის მიმტანი, იარაღის მიმცემი, ჩხუბის დამწყები. ხევსურული რჯული მათ დანაშაულის თანამონაწილეებად მოიაზრებს, რადგანაც არბითის გადახდა სწორედ მკვლელობის თუ დაჭრის ჩადენაში მათ გარკვეულ მონაწილეობას უკავშირდება. თუმცა, საკითხავია, რამდენად შეიძლება აქ საქმე გვქონდეს თანამონაწილეობასთან თანამედროვე გაგებით, შესაძლებელია, თუ არა ენის მიმტანი, თოფის მიმცემი, ან თუნდაც ჩხუბის დამწყები ჩაითვალოს წამქეზებლად? თანამედროვე გაგებით წამქეზებელი არის პიროვნება, რომელიც სხვას დაიყოლიებს სწორედ განზრახი დანაშაულის ჩასადენად. ენის მიმტანი, იარაღის მიმცემი, წამქეზებლად შეიძლება განხილული იყოს მაშინ, როდესაც ენის მიტანის, იარაღის გადაცემის მიზანი იქნება, დანაშაულის ჩადენისაკენ უბიძგოს ადამიანს, ანუ ენის მიმტანს, იარაღის მიმცემს ასეთი განზრახვა ექნება და ამისათვის აგებს პასუხს. მასალების მიხედვით, ეს გარემოება გამოკვეთილად არ ჩანს. ენის მიტანის, იარაღის მიცემის შედეგად თუ დანაშაული იქნებოდა ჩადენილი, ენის მიმტანი, იარაღის მიმცემი იხდიდა „არბითს“, სავარაუდოდ მაშინაც, როცა ენა მიიტანა, იარაღი გადასცა, რაიმე ბოროტი განზრახვის გარეშე და, შესაძლოა, არც ფიქრობდა, რომ მის მიერ ენის მიტანას, იარაღის გადაცემას დანაშაული მოჰყვებოდა და მაშინაც, როდესაც იგი ამას აკეთებდა სწორედ იმ მიზნით, რომ ვისთანაც ენა მიჰქონდა, ვისაც იარაღს აძლევდა, მას დანაშაული ჩაედინა. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ენის მიმტანი, იარაღის მიმცემი არ შეიძლება კლასიკური სახით ჩაითვალოს წამქეზებლად, რადგანაც ხევსურული რჯული მნიშვნელობას არ ანიჭებს ენის მიმტანის, თუ იარაღის მიმცემის განზრახვას დანაშაულის ჩადენასთან მიმართებაში და ნებისმიერ შემთხვევაში აკისრებს მას „არბითის“ გადახდას, დანაშაულებრივი

[1] რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები“, ტ. I, 1947, 188; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1977, 12.

შედეგის დადგომისას. განზრახვის გარეშე, მის გაუთვალისწინებლად კი თანამედროვე გაგებით თანამონაწილეობას, მათ შორის წამქეზებლობას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს.

როგორც დავინახეთ, მ. კოვალევსკი სხვისი იარაღით მკვლელობისას, იარაღის მკვლელისთვის გადამცემს ავტომატურად განიხილავს წამქეზებლად, რადგანაც თვლის, რომ იარაღის თხოვების მიზანი, ძირითადად, დანაშაულის ჩადენის წაქეზება იყო. ასეთი მიდგომა საკითხისადმი არასწორად მიგვაჩნია. რატომ არ შეიძლება დანაშაული ჩადენილი ყოფილიყო სხვისი იარაღით, მაგრამ იარაღის პატრონს აზრადაც არ ჰქონოდა, რომ მისი იარაღი დანაშაულის ჩასადენად იქნებოდა გამოყენებული. ხევსურეთში მკვლელობა საკმაოდ ხშირად ხდებოდა შემთხვევით. სრულიად შესაძლებელია, შემთხვევითი მკვლელობა ნათხოვარი იარაღით მომხდარიყო (მაგალითად, ერთმა პიროვნებამ მეორეს იარაღი სანადიროდ ათხოვა და ნადირობისას მოხდა შემთხვევითი მკვლელობა). ცნობილია, რომ ხევსურული რჯულით, შემთხვევითი მკვლელობისათვის მკვლელი ისევე აგებდა პასუხს, როგორც განზრახი მკვლელობის ჩამდენი. ჩვეულებრივ ხდებოდა „არბითის" გადახდაც. ასე რომ, ნათხოვარი თოფით მკვლელობა თუ შემთხვევით (განზრახვის გარეშე) მოხდებოდა, იარაღის მიმცემი მაინც იხდიდა „არბითს". ამ შემთხვევაში, როდესაც მკვლელსაც კი არ ჰქონია მკვლელობის განზრახვა, ლაპარაკიც ზედმეტია იარაღის მიმცემის განზრახვაზე მკვლელობასთან მიმართებაში. აქ ვერავინ იტყვის, რომ იარაღის თხოვება მოხდა დანაშაულის ჩადენის წასაქეზებლად. ნათხოვარი იარაღით მკვლელობისას იარაღის მიმცემის პასუხისმგებლობა „არბითის" გადახდის სახით, ნათელი მაგალითია იმისა, რომ იარაღის მიმცემისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ხევსურეთში არ ყოფილა დამოკიდებული იმაზე, იარაღი მან დანაშაულის ჩადენის განზრახვით ათხოვა მომავალ მკვლელს, თუ ამის განზრახვის გარეშე. ეს კი ამყარებს ჩვენს მოსაზრებას, რომ იარაღის მიმცემი არ შეიძლება ჩაითვალოს თანამონაწილედ, კერძოდ, წამქეზებლად თანამედროვე გაგებით. ასევე შეუძლებელია აპრიორული დაშვება იმისა, რომ ენის მიმტანს ნებისმიერ შემთხვევაში იმიტომ მიაქვს ენა, რომ ამით მაინცდამაინც დანაშაულებრივი შედეგი (მაგალითად, მკვლელობა) გამოიწვიოს. დანაშაული შესაძლოა ენის მიტანიდან საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ მომხდარიყო და ენის მიტანის გარდა სხვა ფაქტორებს მოეხდინა მკვლელზე გავლენა. დავუშვათ, „მეენეს" საერთოდ არ ჰქონია განზრახვა, რომ ენის მიტანით ვინმეს მკვლელობა გამოეწვია, თუმცა

მისმა ერთი შეხედვით უწყინარმა ჭორაობამ დაძაბა ურთიერთობა ორ პიროვნებას შორის. საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ მათ მოუვიდათ შელაპარაკება, რაც ერთ-ერთის მკვლელობით დამთავრდა. ამ შემთხვევაშიც, ენის მიმტანი, რომელსაც შესაძლოა ვერც წარმოედგინა, რომ მისი უბრალო ჭორაობა მკვლელობას გამოიწვევდა და ენა მკვლელობის განზრახვით არ მიუტანია, პასუხს აგებს „არბითის" გადახდით. ასეთ დროს აუცილებლად მოხდებოდა გარკვევა იმისა, თუ როდის და საიდან დაიწყო ამ პიროვნებებს შორის დავა და თუ აღმოჩნდებოდა, რომ ენის მიტანას ჰქონია ადგილი, თუნდაც დიდი ხნის წინ და რაიმე ბოროტი განზრახვის გარეშე, ენის მიმტანს „არბითი" აუცილებლად გადახდებოდა. ამ დროს არც იმას ჰქონდა მნიშვნელობა ენის მიმტანმა სიმართლე თქვა, თუ არა. ყოველივე ამის გათვალისწინებით ვამბობთ, რომ ენის მიმტანის სახითაც ფშავ-ხევსურეთში არ გვაქვს საქმე თანამედროვე გაგებით წამქეზებელთან. ასევე, ჩხუბის დამწყებზე, რომელიც შემდეგ გამოეცალა მოჩხუბრებს და ამ ჩხუბს დანაშაულებრივი შედეგი მოჰყვა, დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რომ მან ჩხუბის პროვოცირება იმ განზრახვით მოახდინა, რომ ეს ჩხუბი მკვლელობით ან დაჭრა-დასახიჩრებით დასრულებულიყო, მაგრამ მას „არბითი" უნდა გადაეხადა.

„არბითის" დაკისრებისას ბრალის ფაქტორის გაუთვალისწინებლობას რომ ჰქონდა ადგილი, ვლინდება მისი ისეთი პირებისთვის შესაძლო გადახდევინებაში, რომლებსაც მომხდარ დანაშაულთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. კერძოდ, თუ მკვლელობა, ან დაჭრა მოხდა ენის მიტანის ან სხვისი იარაღის გარეშე, არბითს გადაიხდიდა ის პიროვნება, რომელიც ჩხუბს დაესწრო და მოშუღლარნი არ გააშველა, თუ ასეთიც არ იყო, მაშინ არბითის გადახდა დაეკისრებოდა იმას: „ჩხუბის დროს ვინც სახლში იყო სოფელში, და კარები ღია იდგა და გასაშველებლად არ გამოვიდა."[1] აშკარაა, რომ ამ ორივე შემთხვევაში სწორედ ასეთ გარემოებასთან გვაქვს საქმე.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხევსურული სამართალი მკვლელისათვის ენის მიმტანს, იარაღის მიმცემს, იმ ჩხუბის დამწყებს, რომელსაც მკვლელობა მოჰყვა, განიხილავს დანაშაულის თანამონაწილედ, მის მაპროვოცირებლად, მიუხედავად იმისა, მან ეს გააკეთა ამ დანაშაულებრივი შედეგის დადგომის განზრახვით, თუ მის გარეშე. ეს არ არის გასაკვირი, იმის გათვალისწინებით,

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, ხელნაწერი, 1945, რვეული №3, 36.

რომ ხევსურეთში მკვლელობისათვის სასჯელის ზომაც კი არ იყო დამოკიდებული იმაზე, მკვლელმა დანაშაული განზრახ ჩაიდინა თუ განზრახვის გარეშე. ყოველივე ეს ობიექტური შერაცხვის პრინციპის გამოვლენაა, როდესაც მთავარია მძიმე შედეგი და თუ ის სახეზეა, ყველა ისჯება — ამ შედეგის უშუალო გამომწვევიც და ისიც, ვინც რაღაც გავლენა იქონია ამ შედეგის დადგომაზე (დამნაშავისათვის ენის მიმტანი თუ იარაღის მიმცემი), ამ შედეგისადმი მათი სუბიექტური დამოკიდებულების მიუხედავად.

„არბითთან“ დაკავშირებით ბოლოს გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს არ იყო თანამონაწილეობისათვის გათვალისწინებული გადასახადი. ამაზე ის გარემოებაც მეტყველებს, რომ გარკვეულ შემთხვევაში იგი შესაძლოა დაჰკისრებოდა პირებს, რომელთაც ჩადენილ დანაშაულთან არ ჰქონიათ არანაირი დამოკიდებულება, გარდა იმისა, რომ შეესწრნენ ჩხუბს, რომელსაც დანაშაულებრივი შედეგი მოჰყვა და არ აღკვეთეს იგი, ხოლო ასეთი პირების თანამონაწილეობაზე საუბარი შეუძლებელია. ასევე ისიც, რომ, თუ „არბითის“ გადამხდელი ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიებიდან არც ერთი არ იქნებოდა სახეზე, „არბითი“ არ იკარგებოდა და მას გადაიხდიდა თვითონ დანაშაულის ჩამდენი.[1] არბითი არ შედიოდა „თავსისხლის“ შემადგენლობაში, იგი დამატებით გადაიხდებოდა და მისი გადამხდელი უშუალოდ მკვლელობისათვის გათვალისწინებული კომპოზიციის გადახდაში მონაწილეობას არ იღებდა (თუ, რა თქმა უნდა, „არბითის“ გადახდა თვით მკვლელს არ მოუწევდა). „არბითი“, როგორც ქონებრივი საზღაური, აქ ჩვენ განვიხილეთ თანამონაწილეობის ინსტიტუტთან მიმართებაში, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, იგი არ ყოფილა თანამონაწილეებისათვის გათვალისწინებული გადასახადი. მისი უფრო სრულყოფილი კვლევა უნდა მოხდეს ქართულ ჩვეულებით სამართალში სასჯელების, კერძოდ, ქონებრივი საზღაურების შესწავლისას.

სვანურ ჩვეულებით სამართალში არ გვხვდება ისეთი ქონებრივი საზღაური, როგორიც „არბითია“, თუმცა სხვისი იარაღით მკვლელობისას ან დაჭრისას იარაღის პატრონის, მკვლელობის, ან დაჭრის გამომწვევი ჩხუბის წამომწყების პასუხისმგებლობა ფიქსირდება მ. კეკელიას მიერ ჩაწერილ მასალებში.

სვანეთში დამკვიდრებული წესის მიხედვით, შერიგებისას სათანადო საზღაურის გადახდის გარდა მკვლელს მოკლულის ჭირ-

[1] ალ. ოჩიაური, დასახ. ნაშრ., 36.

ისუფალთათვის უნდა მიეცა ის თოფი, რომლითაც მკვლელობა მოხდა.[1] ეს წესი, ცხადია, ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც მკვლელობა სხვისი იარაღით ხდება. ამ შემთხვევაში იარაღის პატრონს გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება. მოკლულის ახლო ნათესავებს, შესაძლოა, მკვლელის გარდა ისიც მოეკლათ. ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს ასეთ შემთხვევას: „ლატალელმა გულედანებმა ფილფანის თოფით მოკლეს უდესიანი. მათ ისისხლეს. გულედანებს უნდოდათ მოეკლათ ფილფანიც, მაგრამ ბოლოს მათ შორის ქორწინება მოხდა და საქმეს ეშველა“[2] საფიქრებელია, რომ მკვლელზე შურისძიების შემდეგ თოფის პატრონის მოკვლა ახალ მესისხლეობას გამოიწვევდა, თუმცა ეს მაგალითი კარგად გვიჩვენებს სვანების მტრულ დამოკიდებულებას იმ თოფის პატრონისადმი, რომლითაც სხვა პიროვნებამ ჩაიდინა დანაშაული. იგი მკვლელობის თანამონაწილედ აღიქმება, რომელმაც პასუხი უნდა აგოს ამისათვის. მასალების მიხედვით მას გარკვეული ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება. ინფორმატორის განმარტებით, თუ მოკლულის მხარე არ აპატიებდა იარაღის პატრონს, მაშინ საქმეს მორვები (მედიატორი მოსამართლეები) გაარჩევდნენ და იარაღის პატრონს გარკვეულ გადასახადს დააკისრებდნენ.[3] გადასახადის ოდენობა ხევსურეთის მსგავსად წინასწარ განსაზღვრული არ ყოფილა და მორვები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადგენდნენ მას. ამ თვალსაზრისით ძალზედ საინტერესო ფაქტს (მომხდარს 1931 წელს) ვხვდებით მ. კეკელიას მასალებში. ლატალელი ინფორმატორი იხსენებს, რომ აფხაზეთის სვანეთში ცხოვრობდნენ მისი სოფლელები, ბესარიონ და ვასილ კვანჭიანები. მათთან სტუმრად მისულა ეცერელი კაცი, რომელსაც თავისი თოფი სახლში ჩამოუკიდია, ხოლო თვითონ მასპინძლებთან ერთად ყანის სათოხნად გასულა. ამ ოჯახისა და მეზობლის ბავშვებს ჩამოუღიათ თოფი და თამაში დაუწყიათ. სწორედ ამ თამაშისას ბესარიონ კვანჭიანის ბავშვმა მოკლა ვასილ კვანჭიანის ბავშვი. მორვებმა მკვლელი ბავშვის მამას ნახევარი წორის გადახდა დააკ-

[1] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, გვ.. 24, 61, რვეული №5, 10.

[2] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 31.

[3] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 64.

ისრეს, რადგანაც მკვლელობა შემთხვევით მოხდა, თოფის პატრონს კი მეოთხედი წორის. ინფორმატორი თვითონ ყოფილა ამ საქმეზე ერთ-ერთი მორევი. მისი განმარტებით, თოფის პატრონს მორევებმა ბრალი იმაში დასდეს, რომ მან უმეთვალყურეოდ დატოვა დატენილი თოფი.[1] ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ სხვისი თოფით მკვლელობისას თოფის პატრონის პასუხისმგებლობაც დგება, ხოლო გადასახადის ოდენობა, რომელიც მას მორევების მიერ ეკისრება, ყოველი კონკრეტული საქმის დეტალების გათვალისწინებით დგინდება. ამ მაგალითში საინტერესოა ისიც, რომ თოფის პატრონი მორევებმა მკვლელობაში ბრალეულად მიიჩნიეს, მისი დაუდევრობის (დატენილი თოფის უმეთვალყურეოდ მიტოვების) გამო, რასაც დანაშაულებრივი შედეგი მოჰყვა. მათ ჩათვალეს, რომ იგი ვალდებული იყო ყურადღება მიექცია თოფისთვის, უმეთვალყუროდ არ მიეტოვებინა იგი და აქედან გამომდინარე, ამ საქმეში თანამონაწილედ ცნეს.[2]

---

[1] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატები №1, 1967, 12-13.

[2] ამ მაგალითში საქმე გვაქვს თოფის პატრონის დაუდევრობასა და დანაშაულის (მოცემულ შემთხვევაში მკვლელობის) არაგანზრახ, შემთხვევით ჩადენასთან. როგორც ჩანს, სვანურ ჩვეულებით სამართალში არაგანზრახი დანაშაულის შემთხვევაშიც შესაძლებელი იყო პირის დანაშაულში თანამონაწილედ განხილვა, მისი დაუდევარი მოქმედების გამო, რასაც დანაშაულებრივი შედეგი მოჰყვა და ამის გამო მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება. დღევანდელი თვალთახედვით აქ საქმე გვაქვს გაუფრთხილებლობის ერთ-ერთ ფორმასთან — დაუდევრობასთან. მორევებმა უნებლიე, შემთხვევითი მკვლელობისათვის დასაჯეს მკვლელის ოჯახი და ცალკე გამოყვეს თოფის პატრონის პასუხისმგებლობა დაუდევრობისათვის. ეს შემთხვევა გარკვეულ ასოციაციას იწვევს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 195, 196, 210, 211, 230 მუხლებთან, რომლებშიც გამოკვეთილად ჩანს პასუხისმგებლობა სწორედ დაუდევრობისათვის. ალ. ვაჩეიშვილის მიხედვით, გაუფრთხილებლობა ხასიათდება იმით, „რომ ადამიანს ევალება თავისი მოქმედების მავნე, საზიანო შედეგის გათვალისწინება და თავიდან აცილება და იგი ივიწყებს ამ მოვალეობის შესრულებას. როცა კანონმდებელი შეიგნებს ამ დებულებას და ასახავს მას სპეციალურ ნორმაში, ეს ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის დარგში დიდი ნაბიჯია წინ გადადგმული, რომ კანონმდებლობაში განზრახვის გვერდით უკვე სათანადო ადგილი დაიკავა ბრალეულობის მეორე ფორმამ — გაუფრთხილებლობამ“ (ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1946, 185). ყოველივე ეს გამოხატულია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ზემოთ დასახელებულ მუხლებში. მაგალითად, 195-ე მუხლის მიხედვით,

მოკლულის მხარეს შესაძლოა ეპატიებინა თოფის პატრონისათვის, თუ ეს უკანასკნელი დაზარალებულის მიერ დასახელებულ თანამოფიცრებთან ერთად ტოლობის ფიცს დადებდა მის წინაშე, ე. ი. დაფიცებისას თავს მის ტოლად ჩათვლიდა, მის მდგომარეობაში ჩაიყენებდა და დაიფიცებდა, რომ დაზარალებულის ადგილზე რომ ყოფილიყო, ისიც აპატიებდა მას.[1]

ასევე წინასწარ არ ყოფილა განსაზღვრული სვანეთში იმ ქონებრივი საზღაურის ოდენობა, რომელიც მკვლელობის ან დაჭრის გამომწვევი ჩხუბის წამომწყებს ეკისრებოდა. მის ოდენობასაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მორვები ადგენდნენ. საილუსტრაციოდ მაგალითებს მოვიტანთ. ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს ვინმე ნარიმან პირველის მძიმედ დაჭრის ფაქტს. მორვებმა მის დამჭრელს გარკვეული საზღაურის გადახდა დააკისრეს. ამის შემდეგ ნარიმან პირველმა მოციქულები გაუგზავნა მისი დაჭრის გამომწვევი ჩხუბის ორ წამომწყებს და შეუთვალა, რომ მათაც მიუძღვით ბრალი მის დაჭრაში, რადგანაც მათ პირველებმა დაიწყეს ჩხუბი, რომელსაც მისი დაჭრა მოჰყვა (ამ ჩხუბში დაზარალებული თურმე გამშვები ყოფილა). მორვებმა ორივეს გარკვეული თანხის გადახდა დააკისრეს.[2] მ. კეკელიას კიდევ ერთი ინფორმატორი აფიქსირებს დაჭრის გამომწვევი ჩხუბის დამწყების პასუხისმგებლობის ფაქტს. ჩვენ ეს ფაქტი ბრალის საკითხის განხილვისას უკვე მოვიყვანეთ.

პიროვნება პასუხს აგებს იმისათვის, რომ იგი მოვალე იყო მიეღო სათანადო ზომა მოსალოდნელი მავნე შედეგის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ თავისი მოვალეობა არ შეასრულა, რის გამოც დადგა მავნე შედეგი. ამდენად, მას პასუხისმგებლობა ეკისრება დაუდევრობისათვის (ალ. ვაჩეიშვილი, დასახ. ნაშრ., 187). როგორც მ. კეკელიას მიერ სვანეთში ჩაწერილი მასალებიდან ჩანს, სვან მორვებს შესაძლოა პასუხი დაეკისრებინა პირისათვის იმავე საფუძვლით, რა საფუძვლითაც ეს გათვალისწინებულია ვახტანგის სამართლის წიგნის ზემოთდასახელებულ მუხლებში. აქედან გამომდინარე, ხომ არაა შესაძლებელი საუბარი სვანურ ჩვეულებით სამართალში გაუფრთხილებლობის, როგორც ბრალის ცალკე ფორმის სახით ჩამოყალიბებისაკენ გარკვეული ნაბიჯის გადადგმაზე? ამ კითხვაზე პასუხის ცალსახად გაცემა ერთეული კონკრეტული მონაცემების მიხედვით შეუძლებელია და დამატებით კვლევას მოითხოვს.

[1] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 64.

[2] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1968, 70.

მხედველობაშია შემთხვევა, როდესაც ჩხუბში თვალის დაზიანებისათვის მორვებმა დაზარალებულის სასარგებლოდ განსაზღვრეს 16 000 მანეთი[1], თუმცა უშუალოდ ზიანის მიმყენებელს აქედან მხოლოდ 12000 მანეთი დააკისრეს, დანარჩენი 4 000 კი ჩხუბის წამომწყებს.[2] როგორც ამ ორი მაგალითიდან ჩანს, ჩხუბის წამომწყები სვანეთში დანაშაულის თანამონაწილედ აღიქმება, რომელიც ზიანის უშუალო მიმყენებელთან ერთად პასუხს აგებს ჩადენილი დანაშაულისათვის, რადგანაც ითვლება, რომ მასაც მიუძღვის ბრალი ამ დანაშაულის ჩადენაში და ამიტომ დანაშაულისათვის მორვების მიერ განსაზღვრული ქონებრივი საზღაურის ნაწილი მანაც უნდა გადაიხადოს. ცხადია, მისი გადასახდელი წილი არსებითად მცირეა ზიანის უშუალოდ მიმყენებლის გადასახდელ წილთან შედარებით, რადგანაც დანაშაულებრივ ქმედებაში მისი მონაწილეობის ხარისხი უფრო ნაკლებია.

რაც შეეხება დანაშაულის წამქეზებლის (ენის მიმტანის) პასუხისმგებლობას, სვანურ ჩვეულებით სამართალში იგი არ გვხვდება. რამდენიმე ინფორმატორი ადასტურებს, რომ წამქეზებელი არ ისჯება და მას არაფერს ახდევინებენ.[3] ერთ-ერთი მათგანის განმარტებით, ეს იმიტომაა ასე, რომ კაცმა ყური არ უნდა ათხოვოს წამქეზებელს, არ უნდა დაიჯეროს მისი.[4]

---

[1] მხედველობაშია საბჭოთა მანეთი ე. წ. ძველი კურსით – 1961 წლის ფულის რეფორმამდე.

[2] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №7, 1970, 53.

[3] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1967, 35, 70.

[4] იქვე.

თავი მეექვსე

დანაშაულის მცდელობის საკითხი ძართულ ჩვეულებით სამართალში

საზოგადოებაში, სადაც გაბატონებულია ობიექტური შერაცხვის პრინციპი, დანაშაულის მცდელობისათვის პასუხისმგებლობა არ დგება. ეს ბუნებრივია, რადგანაც ასეთ საზოგადოებაში დანაშაულად ითვლება მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელსაც რეალური დანაშაულებრივი შედეგი მოჰყვა (მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ქონებრივი ზიანი და სხვა). თუ ასეთი შედეგი არაა სახეზე, მიუხედავად დანაშაულის ჩადენის (ვთქვათ, მკვლელობის) მცდელობისა, ან დანაშაულის მომზადებისა, არც დანაშაულს აქვს ადგილი.

ასეთი დამოკიდებულება დანაშაულის მცდელობისადმი კარგად ჩანს კავკასიელ მთიელთა ჩვეულებით სამართალში, სადაც ობიექტური შერაცხვის პრინციპი პრიორიტეტულ როლს ასრულებდა. მაგალითად, მ. კოვალევსკის განმარტებით, ძირძველი ოსური ჩვეულების მიხედვით, დანაშაულის მცდელობა სრულიად დაუსჯელი იყო. იარაღიდან გასროლა მკვლელობის მიზნით, თუ ტყვია არ გავარდა, ან ასცდა, არ ითვლებოდა შურისძიების ან კომპოზიციის მოთხოვნის საფუძვლად. ყველაზე დიდი, რაც შეიძლება ამას მოჰყოლოდა ოსეთში, იყო შესარიგებელი სუფრა, რომელიც მცდელობის ჩამდენს უნდა გაეშალა.[1]

მ. კოსვენის მითითებით, სახელმწიფომდელი პრიმიტიული სამართლისათვის დამახასიათებელი გარემოება, რომ ქმედება, რომელიც არ იწვევს პირდაპირ ან ირიბ ზიანს, არ ითვლება დანაშაულად და არც სისხლისსამართლებრივ რეაქციას იწვევს, საკმაოდ დიდხანს შემორჩა. მისი დაკვირვებით, დანაშაულის მცდელობისა და მომზადების კრიმინალიზაცია შედარებით გვიანდელი მოვლენაა და არა მხოლოდ პრიმიტიული ხალხების დაუწერელ ჩვეულებით სამართალში, არამედ ზოგიერთ უძველეს წერილობით ძეგლშიც არ გვხვდება, მაგალითად, ძველი იუდეური და გერმანული ძეგლებისათვის დანაშაულის მცდელობა და მომზადება, როგორც დელიქტი, სრულიად უცნობია.[2]

[1] М. Ковалевскиий, Современный обычай и древний закон, М., Т. 2, М 1886, 93-94.

[2] М М. Косвен, Преступление и наказание в догосударственном обществе, М.,. 1925, 126.

სანამ განვიხილავდეთ დანაშაულის მცდელობის საკითხს ქართული ჩვეულებითი სამართლით, ჯერ გვინდა შევეხოთ მას ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით, რათა ზოგადი წარმოდგენა გვქონდეს იმ ტენდენციებზე, რომლებიც ახასიათებდა მოცემულ ინსტიტუტს შუა საუკუნეების ქართულ სამართალში. შემდეგ კი გვსურს განვიხილოთ დანაშაულის მცდელობის საკითხი, სვანური და ხევსურული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, სწორედ ზოგადქართულ კონტექსტში (განსახილველ საკითხზე მეტ-ნაკლებად არსებითი მსჯელობა მხოლოდ ამ ორ კუთხეში დაფიქსირებული ჩვეულებითი სამართლის მასალებითაა შესაძლებელი) და ვნახოთ, თუ რამდენად არსებითია ობიექტური შერაცხვის პრინციპის გავლენა დაუწერელ ჩვეულებით სამართალზე, დანაშაულის მცდელობასთან მიმართებაში, სვანეთსა და ხევსურეთში.

1. დანაშაულის მცდელობის საკითხი ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით. ე. წ. „შეკვეცილი შემადგენლობების“ შესახებ ქართულ ჩვეულებით სამართალში

ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით ეს საკითხი შესწავლილი აქვს გამოჩენილ ქართველ მეცნიერს თინათინ წერეთელს.[1] თავდაპირველად იგი დანაშაულის მცდელობის კონტექსტში ეხება ე. წ. „შეკვეცილი შემადგენლობების“ საკითხს, რაც ქართული ჩვეულებითი სამართლისთვისაც აქტუალურია და ამიტომ აქ ამ პრობლემაზეც შევჩერდებით. მისი განმარტებით, „ქართული ფეოდალური სამართალი არ იცნობს ზოგად ნორმას მცდელობის შესახებ. ისევე, როგორც რომისა და დასავლეთ ევროპის ფეოდალურ სამართალში, აქაც გვხვდება ე. წ. „შეკვეცილი შემადგენლობანი“, რომლებიც საფრთხის შემქმნელ დელიქტებს წარმოადგენენ და ისჯებიან, როგორც დამოუკიდებელი დამთავრებული დანაშაული“.[2] ე. წ. „შეკვეცილი შემადგენლობანი“ ჩვეულებრივი მოვლენაა ძველი სამართლებრივი სისტემებისათვის, რომელთათვისაც უცნობია დანაშაულის მომზადება და მცდელობა, როგორც დანაშაულის განვითარების სტადიები. თ. წერეთელი აღნიშნავს, რომ, მიუხედავად ამისა, ძველ სამართალში მაინც არსებობდა ისეთი მოქმედების დასჯადობის საჭიროება,

[1] თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961.

[2] თ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., 18-19.

რომელიც დღევანდელი გაგებით დაუმთავრებელ დანაშაულს წარმოადგენს. მისი განმარტებით, „ძველი სამართალი იმ ხერხს მიმართავდა, რომ ზოგიერთი კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში სჯიდა თვით მოქმედებას როგორც დამთავრებულ დანაშაულს და არა როგორც დანაშაულის განვითარების სტადიას.“[1] მაგალითად, თ. წერეთლის დაკვირვებით, რომის სამართალსა და შუა საუკუნეების ადრინდელ სამართალში გვხვდება ნორმები, რომლებიც სჯიდნენ თავისთავად მოქმედებას, მიმართულს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე (მხედველობაშია, დანაშაულთა ისეთი შემადგენლობები, რომლებიც შედეგს არ ითხოვენ), კერძოდ, დანაშაულად ითვლებოდა მოკვლის მიზნით იარაღით ხელში სიარული, ამავე მიზნით საწამლავის შეძენა, დამზადება, შარაგზაზე ჩასაფრება, ხმლის ამოღება, კაცის გადაგდება ჭაში ან წყალში, ქურდობის მიზნით თვითნებურად შესვლა სხვის სახლში, რაც თანამედროვე სამართლით დაისჯებოდა, როგორც მკვლელობის თუ ქურდობის მცდელობა, თუმცა, რაკი ძველი სამართალი არ იცნობდა მცდელობის ცნებას, ყველა ეს მოქმედება ისჯებოდა არა როგორც დაუმთავრებელი დანაშაული, არამედ, როგორც დამოუკიდებელი, დამთავრებული დანაშაულებრივი ქმედება. ასეთ დანაშაულებრივ ქმედებებს თანამედროვე სისხლის სამართალში შეკვეცილ შემადგენლობებს ან საფრთხის შემცველ დელიქტებს უწოდებენ.[2] თ. წერეთლის მიხედვით, ძველ ქართულ სამართალში ამის მაგალითია ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მე-13 მუხლი. იგი ითვალისწინებს სასჯელს თავდასხმისათვის, რასაც არ მოჰყვა თავდასხმის ობიექტის სიკვდილი. წინა მე-12 მუხლი ეხება თავდასხმას, რომელმაც ადამიანის სიკვდილი გამოიწვია და შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, რომ მე-13 მუხლში საუბარია მკვლელობის მცდელობაზე, თუმცა თ. წერეთლის მართებული განმარტებით, ეს ასე არ არის. მისი თქმით, მე-13 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტი რომ ყოფილიყო ადამიანის სიცოცხლე, როგორც ეს წინა მე-12 მუხლში მოცემული დამთავრებული დანაშაულის — თავდასხმის შედეგად მკვლელობის — შემთხვევაშია, საქმე გვექნებოდა მკვლელობის მცდელობასთან, მაგრამ მე-13 მუხლში სულ სხვა ვითარებაა. აქ პირდაპირაა მითითებული, რომ თუ თავდასხმის ობიექტი არ მოკვდა, თავდამსხ-

[1] თ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., 8.

[2] იქვე, 9-10..

მელი ისჯება „დედა-წულთა შერცხვენისათვის", ე. ი. ამ დანაშაულის ობიექტია არა ადამიანის სიცოცხლე, არამედ, ოჯახის ღირსება. თ. წერეთელი ამ მუხლის ანალიზის შედეგად ასეთ დასკვნას აკეთებს: „ყოველივე ნათქვამიდან, ჩვენის აზრით, ნათლად დასტურდება, რომ ბექა-აღბულას სამართლის ზემოაღნიშნული მუხლი დაუმთავრებელ დანაშაულს კი არ ითვალისწინებს, არამედ დამთავრებულ დანაშაულს, რომელიც ოჯახის სიმშვიდისა და ღირსების წინააღმდეგ არის მიმართული. მაგრამ, სხვა მუხლებისაგან განსხვავებით, ამ მუხლში მითითებული დანაშაულის შემადგენლობა, საფრთხის შემქმნელ დელიქტს წარმოადგენს. ამ მხრივ იგი იმავე ხასიათს ატარებს, როგორსაც ატარებდნენ რომის სამართლისა და ევროპის საშუალო საუკუნეების სამართლის ზემოთ მოტანილი შემადგენლობანი."[1]

შეკვეცილი შემადგენლობის შესახებ მინიშნებას ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებშიც ვხვდებით, ამიტომ თ. წერეთლის ზემოთ მოყვანილი მსჯელობა აღნიშნულ საკითხზე ძალზედ საგულისხმოა ამ მასალების ანალიზისას. ამ თვალსაზრისით, საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ბ. ნიჟარაძე და მ. კოვალევსკი სვანეთთან დაკავშირებით.

ბ. ნიჟარაძე განმარტავს: „რაგინდ მცირე მოეპარა ქურდს, თუკი დაკეტილი, ურდულ გაყრილი კარები გააღო, ან კედელი შეტეხა, ან ფანჯარაში შეიპარა, თხოულობდა ნაქურდალის დაბრუნებას და გარეშე ამისა კიდევ 12 აცსიშს. ქურდს, თუ სახლის გატეხვაზე მოასწრობდნენ, მაშინაც გადახდებოდა 12 აცსიში."[2] აქ შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, რომ 12 აცსიში (ერთი აცსიში 6 მანეთს უდრიდა) დამატებითი გადასახადი იყო კვალიფიციური ქურდობისათვის, კერძოდ, სახლის გატეხვით ქურდობისათვის, ხოლო ბოლო ფრაზა: „თუ სახლის გატეხვაზე მოასწრობდნენ, მაშინაც გადახდებოდა 12 აცსიში," ქურდობის მცდელობისათვის დადგენილი პასუხისმგებლობის მანიშნებელი. ამ ფრაზაში ნათლად ჩანს, რომ პიროვნებას, რომელიც სახლს გატეხდა ქურდობის მიზნით და წაასწრებდნენ, ხელს შეუშლიდნენ დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებაში, დანაშაულებრივი შედეგის დადგომის მიუხედავად, 12 აცსიში მაინც უნდა გადაეხადა. ე. ი. შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს, სახლის გატეხვით ქურდობის მცდელობა, რომელიც აღკვეთილ იქნა დამნაშავისაგან

[1] თ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., 19-20.

[2] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, 120.

დამოუკიდებელი მიზეზის გამო, სვანურ ჩვეულებით სამართალში დასჯად მოქმედებად ითვლებოდა. მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს: 12 აცსიში არ ყოფილა გადასახადი ქურდობის დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენისთვის, თუ ქურდობის მცდელობისთვის. ბუნებრივია, როდესაც პიროვნება პატრონის უნებართვოდ შეაღწევს სახლში — ურდულგაყრილი კარის გაღებით, კედლის შენგრევით, ფანჯრიდან შეპარვით, ძირითადად ამას რაიმე დანაშაულის (ქურდობა, მკვლელობა თუ სხვა) ჩადენის მიზნით აკეთებს, თუმცა ეს დანაშაულის სრულიად დამოუკიდებელ შემადგენლობას ქმნის. სვანურ ჩვეულებით სამართალში პატრონის უნებართვოდ სხვის სახლში შეღწევა (შეღწევის ხერხის მიუხედავად) დამთავრებულ დანაშაულად ითვლებოდა და თუ „სახლის გამტეხი“ სხვა დანაშაულსაც (ვთქვათ, ქურდობას, ან მკვლელობას) ჩაიდენდა, პასუხს აგებდა ამ კონკრეტული დანაშაულისთვისაც და სახლში უნებართვოდ შეღწევისთვისაც. ხოლო, თუ ჩაფიქრებული დანაშაული ვერ იქნებოდა ბოლომდე მიყვანილი, პასუხისმგებლობა დადგებოდა არა ამ დაუმთავრებელი დანაშაულისათვის, ე. ი. დანაშაულის მცდელობისათვის, არამედ „სახლის გატეხვისათვის“, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულისათვის. გადასახადი 12 აცსიშის ოდენობით სწორედ ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის ზომაა. სხვის სახლში უნებართვოდ შეღწევა რომ დამოუკიდებელი დანაშაულია იქიდანაც ჩანს, რომ მას იმ დანაშაულებისაგან განსხვავებული ობიექტი გააჩნია, რომელთა ჩასადენადაც იგი ხდება. კერძოდ, მისი ობიექტია არა ადამიანის სიცოცხლე, ან საკუთრების უფლება (ასე რომ ყოფილიყო დანაშაულის მცდელობის დასჯადობასთან გვექნებოდა საქმე), არამედ ოჯახის პატივი და ღირსება. ეს კარგად ჩანს ბ. ნიჟარაძესთანაც. მისი თქმით: „სახლის გატეხვას რაღაც დიდი დამჩაგვრელი მნიშვნელობა ეძლევა სვანეთში. სახლის ხელ-უხლებლად, შეუბღალავად შენახვა სვანის ზნეობითი მოვალეობა-მოთხოვნილებაა. გატეხა, გაქურდვა კი პირადი პატივის და ღირსების დამცირება და შეურაცხყოფაა.“[1] სახლის გატეხვის, მასში უნებართვოდ შეღწევის აღქმა დამთავრებულ დანაშაულად და ოჯახის პატივისა და ღირსების შემბღალავ ქმედებად სამართალგანვითარების ადრეულ სტადიაზე მყოფი ხალხებისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

[1] ბ. ნიჟარაძე, დასა. ნაშრ., 120.

უნებართვოდ სახლში შეღწევას, როგორც დამოუკიდებელ დანაშაულს სვანეთში, განიხილავს ასევე მ. კოვალევსკი, ოღონდ ქმრის მიერ საკუთარ სახლში ცოლის საყვარლის მკვლელობასთან დაკავშირებით. სრულად მოვიყვანთ მის შესაბამის ციტატას: „სვანებისათვის არაა ცნობილი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. მკვლელობა მოხდებოდა ჩასაფრებით თუ ჩხუბში, წორის ოდენობა ერთნაირი იყო. გამონაკლისი სვანეთში იყო ქმრის მიერ ცოლის საყვარლის მოკვლა, რომელსაც წაასწრებდა. მაშინ როდესაც ოსები ამ შემთხვევაში დამნაშავისაგან ითხოვენ სრულ სისხლს, სვანები ამცირებენ წორს. გამონაკლისი, რომელზედაც აქ არის საუბარი, შესაძლოა მოჩვენებითიც იყოს. საქმე ისაა, რომ სვანები საკმაოდ მკაცრად სჯიდნენ სხვის სახლში, ძალით, უნებართვოდ შესვლას. ვინც შეიჭრება სხვის სახლში იხდის თორმეტ აცსიშს (ერთი აცსიში ექვსი მანეთი), ე. ი. 72 მანეთს. მრუშობაში ბრალდებული პირველ რიგში, ცხადია, პასუხს აგებს იმისათვის, რომ პატრონის უნებართვოდ შევიდა მის სახლში. თუ გამოვაკლებთ ამისათვის გათვალისწინებულ გადასახადს სრულ წორს, მივიღებთ დაახლოებით წორის იმ ნაწილს, რაც უნდა გადაეხადა ცოლის საყვარლის მკვლელს. არ შეიძლება დამამძიმებელ გარემოებად ჩავთვალოთ ის ფაქტი, როდესაც კაცი შეიჭრება სხვის სახლში და ჩაიდენს მკვლელობას, იხდის წორის ზემოთ 12 აცსიშს, რადგანაც აქ საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა დანაშაულთან, რომლებიც ჩადენილია ერთი და იმავე პირის მიერ და ის პასუხს აგებს მათთვის ერთდროულად“.[1] მრავალმხრივ საინტერესო ციტატაა. საზოგადოებაში, სადაც ობიექტური შერაცხვის პრინციპს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს ყურადღება არ ექცევა. ასე იყო სვანეთშიც, განსაკუთრებით მკვლელობასთან დაკავშირებით, თუმცა დროთა განმავლობაში სიტუაცია შეიცვალა. აქ მოყვანილ შემთხვევაშიც ცოლის საყვარლის მკვლელობა, მ. კოვალევსკის განმარტებით, ითვლება არა დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებად, არამედ მკვლელობისათვის დადგენილ გადასახადს აკლდება მოკლულის მიერ სახლში უნებართვოდ (მხედველობაშია ოჯახის უფროსის ნებართვის გარეშე) შეღწევისათვის დადგენილი საზღაური. ამ ციტატიდანაც აშკარად ჩანს, რომ სხვის სახლში

[1] М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М.,. 1890, 33-34.

უნებართვოდ შესვლა სრულიად დამოუკიდებელი, დამთავრებული დანაშაულია. საინტერესოა, რომ სხვის სახლში უნებართვოდ შეღწევა სვანურ ჩვეულებით სამართლში დამთავრებულ დანაშაულად XX საუკუნის მეორე ნახევარშიც ითვლებოდა, რაც კარგად ჩანს მიხეილ კეკელიას მიერ გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს დაფიქსირებულ მასალებში. ამ მასალებით, სხვის სახლში უნებართვოდ შესული ქურდი, ნაქურდალის ორმაგად ანაზღაურების გარდა „სახლის გატეხვისათვის" დამატებით საზღაურს იხდიდა.[1] ერთ-ერთი ინფორმატორის თქმით, მხოლოდ იმისათვის, რომ ქურდმა სახლი გატეხა, ერთი ძროხა უნდა გადაეხადა, გარდა ნაქურდალის ანაზღაურებისა.[2]

ხევსურული რჯულითაც სხვის სახლში უნებართვოდ შესვლა დამთავრებულ დანაშაულად ითვლებოდა და ალ. ოჩიაურის მონაცემებით, ამისათვის ხუთი ძროხის გადახდა იყო გათვალისწინებული,[3] დამნაშავე თუ მოიპარავდა რამეს, ვალდებული იყო მოპარულიც დაებრუნებინა და სახლში უნებართვოდ შეღწევისთვის 5 ძროხაც გადაეხადა, თუ ვერ მოიპარავდა ვერაფერს, 5 ძროხას სახლში უნებართვოდ შეღწევისათვის მაინც გადაიხდიდა.[4] როგორც ვხედავთ, ხევსურული სამართალი განსახილველ საკითხთან დაკავშირებით სვანურის იდენტურია. აქაც სხვის სახლში უნებართვოდ შეღწევა დამოუკიდებელ დანაშაულად ითვლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ რაიმე სხვა კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად იყო მიმართული.

ამრიგად, ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სხვის სახლში უნებართვოდ შეღწევის, როგორც დამთავრებული დანაშაულის სახით, საქმე გვაქვს საფრთხის შემქმნელ დელიქტთან. ეს ქმედება სხვა დანაშაულის ჩადენის მიზნით ხორციელდებოდა, თუმცა ისჯებოდა როგორც დამოუკიდებელი დანაშაული. ზემოთ მოყვანილი მონაცემები ამ და-

---

[1] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული № 1, 1967; ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 25, 71.

[2] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969, 48.

[3] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, ხელნაწერი, რვეული №1, 6.

[4] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, 1988, ეთნოგრაფიული რვეული, ხელნაწერი, 73.

ნაშაულთან დაკავშირებით გვიჩვენებს, რომ ქართული ჩვეულებითი სამართალისათვის უცხო არ იყო დანაშაულის შეკვეცილი შემადგენლობა, ისევე, როგორც ქართული სამართლის ძეგლებისათვის. ამ თვალსზრისით, ქართული ჩვეულებითი სამართალი, მსგავსებას ამჟღავნებს ქართული სამართლის ძეგლების შესაბამის ნორმებთან.

ძველქართულ სამართალში დანაშაულთა შეკვეცილ შემადგენლობებთან ერთად აშკარად გვხვდება უშუალოდ დანაშაულის მცდელობისათვის პასუხისმგებლობის შემცველი ნორმები. ამასთან დაკავშირებით თ. წერეთელი მიუთითებს: „მართალია, განვითარების იმდროინდელ საფეხურზე მცდელობის ზოგადი ცნება ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა შემუშავებულიყო, მაგრამ ერთი დანაშაულის, სახელდობრ მკვლელობის, მიმართ ქართული ფეოდალური სამართლის ნორმები ითვალისწინებენ მცდელობის დასჯადობას.“[1] ამის დასადასტურებლად ღვაწლმოსილ მეცნიერს მოჰყავს ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის 134-ე მუხლი, ვახტანგის სამართლის წიგნის 59-ე მუხლი, დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის პროექტის 233-ე და 238-ე მუხლები. იგი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ამ მუხლებში საქმე გვაქვს სწორედ დანაშაულის მცდელობისათვის პასუხისმგებლობასთან და არა დანაშაულის შეკვეცილ შემადგენლობასთან.[2] ამასთან, თ. წერეთელი დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის მიხედვით მცდელობის ორ სახეს გამოყოფს, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ახლოს დგას მცდელობა დამთავრებულ დანაშაულთან: 1. დამთავრებული მცდელობა, „ე. ი. ისეთი მცდელობა, როდესაც სუბიექტმა გააკეთა ყოველივე ის, რაც საჭიროდ მიაჩნდა განზრახვის განსახორციელებლად, მაგრამ შედეგი მის ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზის გამო არ განხორციელდა (თოფი დააცემინა, მაგრამ იგი არ გავარდა, ან გავარდა, მაგრამ ააცდინა და კაცისათვის არავითარი ვნება არ მიუყენებია);“ 2. დაუმთავრებელი მცდელობა, „როდესაც პირს არ გაუკეთებია ყოველივე ის, რაც მას საჭიროდ მიაჩნდა შედეგის დადგომისათვის (ჩაუსაფრდა, გზა შეუკრა, იარაღით ხელში დაუდგა, მაგრამ კაცმა არ გამოიარა და ა. შ.).“[3] თ. წერეთლის დასკვნით, ასეთი დაყოფა გვინფეოდალური ხანის იურისტებისათვის იყო დამახასიათებელი, რაც გვაფიქრებინებს, რომ

[1] თ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

[2] იქვე, 21-27.

[3] იქვე, 26.

დავით ბატონიშვილი კარგად იცნობდა XVIII საუკუნის ევროპულ იურისპრუდენციას.[1]

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ძველი ქართული სამართალი არ იცნობდა მცდელობის ზოგად ცნებას, ერთ დანაშაულთან, კერძოდ, მკვლელობასთან დაკავშირებით დანაშაულის მცდელობის დასჯადობას ითვალისწინებდა.

2. დანაშაულის მცდელობის საკითხი სვანურ ჩვეულებით სამართალში

ახლა განვიხილოთ ეს საკითხი ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით. სამწუხაროდ, მონაცემები ქართულ ჩვეულებით სამართალში დანაშაულის მცდელობის შესახებ საკმაოდ მწირი და წინააღმდეგობრივია. ამ მასალებზე დაყრდნობით ერთი რამ შეიძლება ცალსახად ითქვას: მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ჩვეულებით სამართალში (განსაკუთრებით სვანეთსა და ხევსურეთში) ობიექტური შერაცხვის პრინციპი არსებით გავლენას ახდენდა სამართლებრივ ინსტიტუტებზე, დანაშაულის მცდელობის სრულ დაუსჯელობაზე საუბარი არ შეიძლება.

ჩვენს ხელთ არსებული მასალა მცდელობის ინსტიტუტის შესახებ ქართულ ჩვეულებით სამართალში ძირითადად სვანეთსა და ხევსურეთს ეხება. სვანეთში ამ ინსტიტუტს განიხილავს მ. კოვალევსკი. იგი ამ საკითხის განხილვისას ზემო სვანეთს ეხება და ოსური ჩვეულებითი სამართლის ანალოგიურად წარმოაჩენს მას, კერძოდ, მიუთითებს, რომ მცდელობა მთელს სვანეთში არ იწვევს პასუხისმგებლობას. ყველაზე მეტი, მცდელობის ჩამდენი აიძულონ სუფრა გაუშალოს იმის ოჯახის წევრებს, ვის წინააღმდეგაც იყო მიმართული მცდელობა.[2] აქ ცალსახად ჩანს ობიექტური შერაცხვის პრინციპის მოქმედება — თუ ქმედებას რაიმე კონკრეტული შედეგი არ მოჰყვა, არც პასუხისმგებლობა დგება. ეს გარემოება ზემო სვანეთისათვის სრულიად ბუნებრივია, რადგანაც ობიექტური შერაცხვის პრინციპის მოქმედება აქ სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან დაკავშირებითაც ჩანს.

საინტერესოა, რომ მ. კოვალევსკი საუბრობს გამონაკლისზე ზემო სვანეთის (კერძოდ, ბალსზემო სვანეთის) ერთ-ერთ თემში,

[1] თ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., 26.

[2] მ. კოვალევსკი, დასახ. ნაშრ., 32..

უშგულში. მისი განმარტებით, როდესაც აქ თოფს ესვრიან ვინმეს და ტყვია არ გავარდება, დამნაშავეს ახდევინებენ სისხლის ფასს. სხვაა, როდესაც ტყვია გავარდება და ვისაც ესროლეს არ დაიჭრება. ასეთ შემთხვევაში წორზე, ანუ სისხლის ფასზე, საერთოდ არ არის საუბარი.[1] როგორც ვხედავთ, მ. კოვალევსკის მიხედვით, უშგულში დანაშაულის მცდელობისას პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული, ეს კი ობიექტური შერაცხვის პრინციპის უარყოფას წარმოადგენს. თუ ვირწმუნებთ მ. კოვალევსკის მოცემულ ინფორმაციას, შესაძლებელია ვისაუბროთ ზემო სვანეთის ერთ-ერთ თემში პასუხისმგებლობის დადგომაზე განზრახი დანაშაულებრივი ქმედების შემთხვევაში, რომელსაც არავითარი შედეგი არ მოჰყვა, რაც აშკარად მიუთითებს, უპირველეს ყოვლისა, სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინებას პასუხისმგებლობის დაკისრებაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

ის გარემოება, რომ მხოლოდ თოფის სროლისა და ტყვიის არგავარდნის შემთხვევაში ჩანს, მ. კოვალევსკის მიხედვით, უშგულში პასუხისმგებლობის დაკისრება მკვლელობის მცდელობისათვის, ხოლო თოფის გასროლისა და აცდენის შემთხვევაში კი არა, არ ნიშნავს იმას, რომ ერთ შემთხვევაში ობიექტური შერაცხვის პრინციპი მოქმედებდა, მეორეში კი არა. მ. კოვალევსკი ამას იმით ხსნის, რომ „უშგულელები გამორიცხავენ აცდენის შესაძლებლობას, გარდა ნებაყოფლობითისა. ვინც ვერ მოარტყა მოწინააღმდეგეს, მათი აზრით, მას სურდა არა მოკვლა, არამედ მხოლოდ შეშინება. არგავარდნის დროს, პირიქით, შესაძლებელია ვარაუდი, რომ მკვლელობა ან დაჭრა არ მომხდარა სწორედ არგავარდნის მიზეზით“.[2] ამრიგად, მ. კოვალევსკის მიხედვით გამოდის, რომ თოფის სროლისა და აცდენისას უშგულელები გამორიცხავდნენ მსროლელის მხრიდან მკვლელობის ან დაჭრის განზრახვას და სწორედ ამიტომ არ აკისრებდნენ პასუხისმგებლობას ამ შემთხვევაში და არა იმიტომ, რომ დანაშაულებრივი შედეგი არ დადგა. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ თუ კონკრეტულ შემთხვევაში მაინც დამტკიცდებოდა, რომ თოფის მსროლელს რეალურად ჰქონდა მკვლელობის განზრახვა, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზის (მაგალითად, ცუდი ხილვადობის) გამო ააცილა, ან თუნდაც სროლის მომენტში მას ხელი შეუშალეს (ვთქვათ, ხელი აუკრეს) და ამიტომ ვერ მიაღწია საწადელს, პასუხისმგებლობის

[1] მ. კოვალევსკი, იქვე. 32.

[2] იქვე.

დაკისრება მაინც მოხდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ თოფის გასროლისას ტყვია გავარდა, მაგრამ ასცდა. ჩვენი აზრით, მთავარია, ზიანის მიყენების განზრახვა დადასტურებულიყო. თუ პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როდესაც მსროლელმა მიზანს ვერ მიაღწია ტყვიის არგავარდნის მიზეზით, რადგანაც ამ დროს, მ. კოვალევსკის თანახმად, დანაშაულებრივი განზრახვის გამორიცხვა შეუძლებლადაა მიჩნეული, სრულიად შესაძლებელია პასუხისმგებლობა დამდგარიყო მაშინაც, როცა, მაგალითად, მსროლელს ხელი შეეშალა, ხელი აუკრეს და სხვა, თუმცა ტყვია გავარდა და აღნიშნული მიზეზის და არა მკვლელობის განზრახვის არარსებობის გამო, ასცდა მიზანს. ამ შემთხვევაშიც, თოფის გასროლისას ტყვიის არგავარდნის ანალოგიურად, ზიანის მიყენების განზრახვის გამორიცხვა შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა თოფის გასროლისას, მკვლელობა არ მოხდა ტყვიის არგავარდნის მიზეზით, თუ სროლის მომენტში ხელის აშკარად შეშლის მიზეზით? ჩვენი ვარაუდით, არავითარი, და შესაძლებლად მიგვაჩნია, კონკრეტულ შემთხვევაში ტყვიის აცდენის დროსაც, თუ აცდენის ნებაყოფლობითობა საფუძვლიან ეჭვქვეშ დადგებოდა, სვანური წესების შესაბამისად განხილულიყო მსროლელისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი.

სვანეთში დანაშაულის მცდელობის საკითხს მოკლედ ეხება ბ. ნიჟარაძეც. მისი თქმით, „თოფის სროლა მტრისადმი მიმართული, მაგრამ აცილებული, ჩახმახის დაცემინება გატენილის თოფისა ენგურის ხეობაში მდებარე სვანეთში არაფრად ითვლებოდა, ე. ი. საზღაურს არ ითხოვდა, ცხენის წყლის ხეობაში კი სროლა არაფრად ჩაიგდებოდა, ჩახმახის დაცემინება კი ნახევარ სისხლს თხოულობდა“[1]

როგორც ვხედავთ, ბ. ნიჟარაძე განასხვავებს დანაშაულის (კერძოდ, მკვლელობის) მცდელობის საკითხს ენგურის ხეობაში მდებარე, ანუ ზემო სვანეთში და ცხენისწყლის ხეობაში მდებარე ქვემო სვანეთში; ასევე ცალკე-ცალკე გამოყოფს, მ. კოვალევსკის მსგავსად, მკვლელობის მცდელობას გატენილი თოფის „ჩახმახის დაცემინებისას“, რაც თოფის გასროლისას ტყვიის არგავარდნას გულისხმობს და თოფის სროლის შემთხვევაში, როდესაც ტყვია ცდება მიზანს. როგორც ბ. ნიჟარაძის ამ მონაცემიდან ჩანს, დანაშაულის, კერძოდ, მკვლელობის მცდელობისათვის ზემო სვანეთში არავითარი პასუხისმგებლობა არ ყოფილა გათვალისწინებული, რაც ობიექტური შე-

[1] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, 120.

რაცხვის პრინციპის გამოვლენაა. ზემო სვანეთში ეს ეხება როგორც თოფის „ჩახმახის დაცემინებას“, ასევე თოფის სროლის შედეგად ტყვიის აცდენას. ამით იგი ფაქტობრივად ადასტურებს მ. კოვალევსკის ინფორმაციას ზემო სვანეთთან დაკავშირებით, თუმცა არაფერს ამბობს ამ საკითხზე უშგულში მოქმედ თავისებურებაზე, რასაც მ. კოვალევსკი ეხება.

რაც შეეხება ქვემო სვანეთს, აქ საწინააღმდეგო ვითარებასთან გვაქვს საქმე. ბ. ნიჟარაძე ისევე ახასიათებს განსახილველ საკითხს ქვემო სვანეთში, როგორც მ. კოვალევსკი უშგულში. ბ. ნიჟარაძის მიხედვით კარგად ჩანს, რომ ქვემო სვანეთში მკვლელობის მცდელობა საკმაოდ მძიმედ ისჯებოდა და მისთვის მკვლელობისათვის გათვალისწინებული ძალზედ დიდი გადასახადის ნახევარი იყო გათვალისწინებული, რაც ნიშნავს, რომ ობიექტური შერაცხვის პრინციპი ამ საკითხთან დაკავშირებით აქ ალარ მოქმედებდა[1].

აქაც, ისევე, როგორც მ. კოვალევსკის მიხედვით უშგულში, მხოლოდ თოფის „ჩახმახის დაცემინებისას“ ჩანს პასუხისმგებლობის დაკისრება მკვლელობის მცდელობისათვის, ხოლო თოფის გასროლისა და აცდენის შემთხვევაში კი არა. ეს აქაც არ ნიშნავს იმას, რომ ერთ შემთხვევაში ობიექტური შერაცხვის პრინციპი მოქმედებდა, მეორეში კი არა. ამ წინააღმდეგობის ახსნაც, ჩვენი ღრმა რწმენით, ისევე უნდა მოხდეს, როგორც ეს მ. კოვალევსკისთანაა. მ. კოვალევსკის სვანეთში მეგზურობას სწორედ ბ. ნიჟარაძე უწევდა და მრავალ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია მისგან მიიღო, ამდენად, გარკვეული საკითხებისადმი მსგავსი დამოკიდებულება ბუნებრივი უნდა იყოს.

მ. კოვალევსკისა და ბ. ნიჟარაძის მიერ მოყვანილ შემთხვევებში, უშგულთან და ქვემო სვანეთთან დაკავშირებით, ჩვენის აზრით,

---

[1] ქვემო სვანეთში ზემო სვანეთისაგან განსხვავებული მიდგომა სხვა იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებითაც გვხვდება და აქ უფრო მაღალგანვითარებული სამართლის ნიშნები შეიმჩნევა, რაც დანაშაულის მცდელობისადმი დამოკიდებულებაშიც გამოჩნდა. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ქვემო სვანეთში, რომელიც XVIII საუკუნიდან დადიანებმა დაიმორჩილეს, სახელმწიფო სტრუქტურების გავლენა უფრო ძლიერი იყო, აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, ქვემო სვანეთში შედარებით მაღალგანვითარებული სამართლებრივი სისტემის გავლენა ადგილობრივ ჩვეულებით სამართალზეც აისახებოდა და მის განვითარებას უწყობდა ხელს.

აშკარად ჩანს, რომ საქმე გვაქვს სწორედ დანაშაულის მცდელობისათვის პასუხისმგებლობასთან და არა ე. წ. „შეკვეცილ შემადგენლობასთან“. როგორც ვხედავთ, აღნიშნულ ავტორებთან დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობაზე საუბარი მხოლოდ მკვლელობასთან დაკავშირებითაა. სხვა დანაშაულთა მცდელობისათვის პასუხისმგებლობაზე საუბარი საერთოდ არ არის. როგორც ჩანს, ისევე როგორც ქართული სამართლის ძეგლებშია, მცდელობის დასჯადობას სვანეთის ზემოთ აღნიშნულ რეგიონებში ადგილი მხოლოდ მკვლელობასთან დაკავშირებით ჰქონდა და სხვა დანაშაულებზე არ ვრცელდებოდა.

გარკვეული მონაცემები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მ. კეკელიას მასალებშიც გვხვდება და აქაც მკვლელობასთან დაკავშირებით. საინტერესოა, რომ ბალსზემო სვანეთის ერთადერთი თემი, სადაც მ. კეკელიამ მკვლელობის მცდელობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ გარკვეული ინფორმაცია დააფიქსირა, ეს უშგულია. ჩვენთვის ცნობილია, რომ იგი მიზანმიმართულად ეძიებდა ინფორმაციას სვანეთში დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტთან დაკავშირებით. ეს კარგად ჩანს მის პირად არქივში დაცულ იმ კითხვარში, რომელიც მან სპეციალურად სვანეთისათვის შეადგინა. როგორც ჩანს, უშგულის გარდა, ბალსზემო სვანეთის სხვა თემებში დანაშაულის მცდელობის შესახებ მან მნიშვნელოვანი ინფორმაცია ვერ მოიპოვა. დღეს ძნელი სათქმელია, რომ ამ თემებში დროთა განმავლობაში, XIX საუკუნის დასასრულის მსგავსი ვითარება შენარჩუნდა, როდესაც მკვლელობის მცდელობა არ ისჯებოდა (რაც აშკარად ჩანს ბ. ნიჟარაძისა და მ. კოვალევსკის მონაცემებით), თუ დანაშაულის სუბიექტური ფაქტორის მნიშვნელობის ზრდის კვალობაზე დანაშაულის მცდელობისათვის გარკვეული პასუხისმგებლობა დაწესდა. სასურველია, ამ საკითხის დამატებითი შესწავლა ადგილზე, უფრო სრულყოფილი ინფორმაციის მიღების მიზნით.

მ. კეკელიას მიერ შეკრებილი მასალების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასტურდება მ. კოვალევსკის ცნობა უშგულში მკვლელობის მცდელობის დასჯადობის შესახებ. ერთ-ერთი უშგულელი ინფორმატორი განმარტავს: „თუ თოფი ესროლე და აცდინე, ამ შემთხვევაში, თუ დაიფიცე, რომ მოკვლა არ გინდოდა და ამას შენთან ერთად დაზარალებულის მიერ მითითებული ლუფხულები[1] ადასტურებენ ფიც-

[1] ლუფხული — იმავე თანამოფიცარი, რომელიც შერჩეულია დაზარალებულის მიერ, ე. ი. „შეგდებული“, „დასახელებული“ თანამოფიცარი.

ით, არაფერი გარდაგხდება, ხოლო თუ ვერ დაიფიცებ, შენ ან შენი ლუფხულებიც (თუგინდ ერთი), ნახევარი წორი უნდა გადაიხადო."[1] მეორე უშგულელი ინფორმატორიც ადასტურებს ამ ცნობას: თუ განზრახ მესროლე, მაგრამ გადავრჩი, ... ნახევარი წორი უნდა მომცე."[2] როგორც ვხედავთ, მ. კეკელიას ინფორმატორები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ პიროვნებისათვის თოფის არაზუსტად მსროლელმა შეიძლება პასუხი აგოს, თუ დადასტურდება, რომ მას მისი მოკვლის განზრახვა ჰქონდა. ისინი, მ. კოვალევსკისგან განსხვავებით, არ გამორიცხავენ, რომ აცდენა შეიძლება არანებაყოფლობითაც მოხდეს, რაც სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია და ამის თაობაზე ზემოთ უკვე გამოვთქვით ჩვენი მოსაზრება. საკითხის გაურკვევლობის შემთხვევაში კი, თოფის მსროლელმა დაზარალებულის მიერ დასახელებულ თანამოფიცრებთან (სვანურად „ლუფხულებთან") ერთად უნდა დაიფიცოს, რომ მკვლელობის განზრახვა არ ჰქონია. ცნობილია, რომ დაფიცება სადავო სიტუაციების გადაწყვეტის ყველაზე გავრცელებული და ეფექტური მექანიზმია როგორც სვანურ, ისე საერთოდ, ქართულ ჩვეულებით სამართალში. ფიცის რიტუალის სათანადო შესრულება მას პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლებს, რადგანაც დაადასტურებს, რომ მან მიზანმიმართულად აცილა თოფი და მკვლელობა არ სურდა, წინაალმდეგ შემთხვევაში (თუ ვერ დაიფიცა, ან რომელიმე ლუფხვილმა უარი თქვა დაფიცებაზე) ის პასუხს აგებს სწორედ მკვლელობის მცდელობისათვის. მ. კეკელიას მიერ დაფიქსირებული მასალა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სვანურ ჩვეულებით სამართალში პასუხისმგებლობის დაკისრებისას, სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინება ხდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მკვლელობის მცდელობის დასჯადობას ადგილი არ ექნებოდა.

როგორც დავინახეთ, მკვლელობის მცდელობისათვის მ. კეკელიას მასალების მიხედვით, პასუხისმგებლობა ნახევარი წორია, ზუსტად იმდენი, რაც ბ. ნიჟარაძის მონაცემებით გათვალისწინებული იყო იმავე ქმედებისათვის ქვემო სვანეთში, რაც, როგორც ჩანს, გარკვეული ტენდენციის მაჩვენებელია.

---

[1] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1968, 55.

[2] იქვე, 68.

3. დანაშაულის მცდელობის საკითხი ხევსურულ ჩვეულებით სამართალში

მცდელობის დასჯადობის შესახებ ხევსურეთთან დაკავშირებული მონაცემები საკმაოდ წინააღმდეგობრივია. მ. კოვალევსკი სრულიად გამორიცხავს მცდელობის დასჯადობას თუშეთსა და ხევსურეთში, საქართველოს ამ კუთხეების ჩვეულებით სამართალში ობიექტური შერაცხვის პრინციპის ბატონობის გამო: „მკვლელობისას თუშები ხევსურების მსგავსად ითვალისწინებენ არა ბოროტ განზრახვას, არამედ მატერიალურ ზიანს. აქედანაა ხევსურებთან საერთო მცდელობისა და წაქეზების დაუსჯელობა.“[1] თუშეთთან დაკავშირებით ამ საკითხზე სხვა მონაცემების უქონლობის გამო, სამწუხაროდ, ვერაფერს ვიტყვით, ხევსურეთში კი ობიექტური შერაცხვის პრინციპის მოქმედება, მართლაც, დიდხანს შემორჩა, უპირველეს ყოვლისა კი, მკვლელობასთან მიმართებაში. ამდენად, მცდელობის დაუსჯელობის პრინციპის გავრცელება ხევსურეთზე, ერთი შეხედვით, ლოგიკური ჩანს, თუმცა აქ სუბიექტური ელემენტი სრულიად იგნორირებული არ ყოფილა, რაც მცდელობის დასჯადობასთან დაკავშირებით ჩვენს ხელთ არსებულ ხევსურული ჩვეულებითი სამართლის მასალებშიც არის ასახული. ამ მასალებით მ. კოვალევსკისგან განსხვავებული სურათი იხატება.

ხევსურული რჯულის (ხევსურული ჩვეულებითი სამართლის) შესანიშნავი მცოდნე, ხევსურეთის მკვიდრი, ბესარიონ გაბუური, ხევსურეთის შესახებ წერილში, რომელიც XX საუკუნის ოციან წლებში გამოცემულ კრებულში აკაკი შანიძის თხოვნით დაიბეჭდა, ხევსურული ჩვეულებითი სამართლის მრავალ საკითხს მიმოიხილავს და რამდენიმე ფრაზით მკვლელობის მცდელობასაც ეხება. იგი წერს: „თუ კაცმა კაცს თოფი ესროლა და გასცდა, არ მახვდა, მაშინ სამთელ-სამკვდროს აიღებს 5 ძროხას.“[2] ბ. გაბუურის ამ ცნობაში აშკარად ჩანს დანაშაულებრივი შედეგის არდადგომის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრება, რაც სუბიექტური ელემენტის, ამ შემთხვევაში მკვლელობის განზრახვის გათვალისწინებაზე მიუთითებს, მკვლელობის მცდელობის შემთხვევაში. ბ. გაბუურის ინ-

[1] მ. კოვალევსკი, დასახ. ნაშრ., 118.

[2] ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, 1923-1924, 142.

ფორმაცია უფრო სანდოდ უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე მ. კოვალევსკისა. ეს უკანასკნელი ხევსურეთში მცირე ხნით იმყოფებოდა და, ბუნებრივია, ხევსურული სამართლის ყველა ნიუანსს სრულფასოვნად ვერ შეისწავლიდა. ბ. გაბუური კი ხევსურეთის, კერძოდ, არხოტის (სოფელი ჭიმღა) მკვიდრი იყო. იგი, როგორც ხევსურული რჯულის მცოდნე ხშირად ყოფილა „რჯულის კაცი“ (მოდავე მხარეთა მიერ კონკრეტულ საქმეზე არჩეული მედიატორი მოსამართლე), ამიტომ კარგად იცნობდა ხევსურული ჩვეულებითი სამართლის ნორმებს და მკვლელობის მცდელობის დასჯადობის შესახებ მისი ზემოთ მოყვანილი ცნობის სისწორე საეჭვო არ უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ ეს შედარებით გვიანდელი მასალებითაც დასტურდება. მხედველობაში გვაქვს, პროფესორ მ. კეკელიას მიერ 1977 წელს და მისი დაარსებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეროვნული ტრადიციების ცენტრის „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის“ თანამშრომელთა მიერ 1988 წელს ხევსურეთში ჩაწერილი მასალები. ამ მასალებშიც ჩანს ობიექტური შერაცხვის პრინციპის არსებითი როლი ხევსურულ ჩვეულებით სამართალში, თუმცა ვხვდებით მკვლელობის მცდელობის დასჯადობის შესახებ ცნობებსაც. მათ მიხედვით, მკვლელობის მცდელობისათვის სასჯელი უფრო მეტია, ვიდრე ბ. გაბუურთან. გაბუურის ცნობით, როგორც დავინახეთ, საზღაური მკვლელობის მცდელობისათვის, სულ 5 ძროხაა. ეს ბევრად ნაკლებია დამთავრებული მკვლელობისათვის ხევსურეთში დაწესებულ გადასახადზე, რაც 60 ძროხას უტოლდება და მასთან შედარებით არცთუ არსებით სასჯელს წარმოადგენს. ეს სუბიექტური ელემენტის გათვალისწინებას ნიშნავს, თუმცა მის არცთუ დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს. რაც შეეხება მ. კეკელიასა და მისი შექმნილი ზემოთ ნახსენები ლაბორატორიის თანამშრომელთა მიერ შეკრებილ მასალებს, აქ მკვლელობის მცდელობისათვის, მკვლელობის მცდელობის დასჯადობის დამდასტურებელ ინფორმატორთა ცნობით, 30 ძროხის გადახდაა გათვალისწინებული.

როგორც დავინახეთ, ბ. გაბუური მკვლელობის მცდელობისათვის დაწესებულ საზღაურს სამთელ-სამკვდროს უწოდებს. აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის ბოლოს ჩაწერილ მასალაშიც ეს ტერმინი ძირითადად იმავე კონტექსტში მოიხსენიება, თუმცა აღნიშნული სახდელი ხევსურეთში მხოლოდ მკვლელობის მცდელობისას არ გამოიყენ-

ებოდა. კერძოდ, აქ „სამთელ-სამკვდროს“ გადახდა ხდებოდა მაშინ, როდესაც მძიმედ დაჭრის შემთხვევაში სათუო იყო დაჭრილის გადარჩენა, იმისათვის, რომ დამჭრელს თავი აერიდებინა მკვლელობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისათვის დაჭრილის გარდაცვალების შემთხვევაში. ამ დროს, იგი წინასწარ (დაჭრილის გარდაცვალებამდე), დაზარალებული მხარის თანხმობით, იხდიდა სწორედ „სამთელ-სამკვდროს“ 30 ძროხის ოდენობით. ამის თაობაზე ინფორმაციას სხვადასხვა ავტორთან ვხვდებით, მაგალითად, ალ. ოჩიაურთან.[1] XX საუკუნის დასასრულის მასალებით ზოგიერთი ხევსური ინფორმატორი „სამთელმკვდროს“ ისეთ დანაშაულებრივ ქმედებას უკავშირებს, რომელსაც მოჰყვა სასიკვდილო ჭრილობა, თუმცა დაზარალებული სიკვდილს გადაურჩა.[2] ამ შემთხვევებში „სამთელ-სამკვდრო“ მცდელობის დასჯადობის კონტექსტში არ განიხილება და ამიტომ დაწვრილებით ამ კუთხით მას აქ არ შევეხებით. „სამთელსამკვდრო“ (XX საუკუნის დასასრულის მასალებით „სამთელმკვდრო“), ქონებრივი სასჯელის ერთ-ერთი სახეა. მისი უფრო დეტალური შესწავლა სწორედ ქართულ ჩვეულებით სამართალში სასჯელის ინსტიტუტის კვლევის დროსაა მიზანშეწონილი, აქ მას, ძირითადად, მცდელობის დასჯადობასთან დაკავშირებით შევეხებით.

არაერთი ხევსური ინფორმატორისთვის (ისინი ხევსურეთის სხვადასხვა თემიდან არიან და თითოეული მათგანი ხევსურული რჯულის კარგი მცოდნეა) სამთელმკვდრო უშუალოდ მკვლელობის მცდელობისათვის დაწესებული გადასახადიცაა. ჩვენი აზრით, ეს თვალნათლივ ჩანს მათ ცნობებში ამ ინსტიტუტის შესახებ. მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს. ერთ-ერთის განმარტებით: „სამთელმკვდროში იგულისხმება განზრახვა მოკვლისა, მაგ., შენ გინდოდა მოგეკლა, მაგრამ ვერ მოკალი, ვიღაცის ან რაღაცის გამო, ე. ი. შენგან მკვდარი ღვთისა-

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/1, მოსისხლეობა ხევსურეთში, გვ. 12; ს. მაკალათიაც სამთელ-სამკვდროს, ანუ „სამთელმკვიდროს“, როგორც თვითონ უწოდებს, ამავე კონტექსტში განიხილავს (ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 97). ანალოგიურ სიტუაციაში „სამთელ-სამკვდროს“ გამოყენებას XX საუკუნის დასასრულის მასალებშიც ვხვდებით (ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 78).

[2] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 81-82: მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1977, 26.

გან ცოცხალიაო."[1] აქ აშკარად ჩანს, რომ სამთელმკვდროს გადახდა ხდება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მკვლელობის მცდელობას და იგი დამნაშავისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ვერ იქნა ბოლომდე მიყვანილი, ხოლო მკვლელობის მცდელობის ჩამდენისაკენ მიმართული ფრაზა – „შენგან მკვდარი ღვთისაგან ცოცხალიაო" – ზუსტად ასახავს აღნიშნულ გარემოებას: ე. ი. შენ გქონდა მკვლელობის განზრახვა, სასიკვდილოდ გაწირე პიროვნება, მაგრამ შენგან დამოუკიდებელი გარემოების გამო განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანე, იგი ღმერთმა გადაარჩინა. ეს ხევსურეთში საკმაოდ გავრცელებული ფრაზაა და მას მკვლელობის მცდელობასთან დაკავშირებით სხვა ინფორმატორებიც ხმარობენ.[2]

ხალხის წიაღში შობილი ეს ფრაზა მეტყველებს იმაზე, რომ ხევსურები მკვლელობის მცდელობის არსს სუბიექტური შერაცხვის პრინციპისათვის დამახასიათებელი გაგებით აღიქვამდნენ. ხევსურეთის სოფელ აჭევში მცხოვრები ნადირა ლიქოკელი იხსენებს მის თავს გადამხდარ შემთხვევას, როდესაც იგი დაჭრეს და მან ამის საპასუხოდ თოფი ესროლა მოწინააღმდეგეს და უმნიშვნელოდ დაჭრა იგი. სამედიატორო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას მეორე მხარემ ნადირა ლიქოკელისგან ამისთვის მოითხოვა 30 ძროხა სამთელ-სამკვდრო, რადგანაც ჩათვალა, რომ ნადირას მხრიდან მკვლელობის მცდელობას ჰქონდა ადგილი, ხოლო ნადირას მოწინააღმდეგე ღმერთმა გადაარჩინა. მათ შეუთვალეს ამ საქმის გამრჩევ „რჯულის კაცებს": „მისგან მკვდარი, ღვთისაგან ცოცხალიაო."[3] მსგავსი შემთხვევა ალ. ოჩიაურის მასალებშიც გვხვდება. ერთმა პიროვნებამ, სახელად იმედამ, თოფი ესროლა მგელას, რომელიც ცხენზე იჯდა. ტყვიამ მოკლა ცხენი, რომელიც უნაგირიანად კლდეზე დაგორდა და წყალში ჩავარდა. მხედარს ტყვია არ მოხვედრია, თუმცა კლდეზე ისიც დაგორდა და თანმხლებმა პირმა გადაარჩინა, თანაც ფეხზე არააყენა, რის გამოც იმედას იგი მკვდარი ეგონა და მეორედ აღარ უსვრია. მგელას ახლობლები ამბობდნენ: „იმედაისგან მკვდარია მგელა

---

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 72.

[2] ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 6..

[3] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1977, 32-33.

და ხთისაგან ცოცხალიო“ (იმედა შემდგომში არც უარყოფდა, რომ მგელას მოკვლა სურდა) და ამიტომ „სამთელ-სამკვდრო“ მოსთხოვეს იმედას.[1] აქ კარგად ჩანს, რომ პირადად მგელას ზიანი არ მიადგა, ის მსუბუქადაც არ დაჭრილა, თუმცა ეს აღქმულ იქნა, როგორც მკვლელობის მცდელობა, რასაც შესაბამისი საზღაურის მოთხოვნა მოჰყვა. ამ ორივე შემთხვევაში დაზარალებული მხარე „სამთელ-სამკვდროს“ 30 ძროხის ოდენობით ითხოვდა არა ფაქტობრივად მიყენებული ზიანის მიხედვით, არამედ მკვლელობის მცდელობისათვის. ასევე, ორივე მაგალითში ჩანს, რომ მკვლელობის მცდელობას ადგილი ჰქონდა იარაღიდან ტყვიის გასროლით. როგორც ჩანს, ხევსურებს ტყვიის გასროლა ადამიანის მიმართულებით, თუ ის აცდებოდა, ან დაჭრიდა პიროვნებას, შესაძლოა, მკვლელობის მცდელობად აღექვათ და ამ ქმედების ჩამდენისაგან „სამთელ-სამკვდროს“ გადახდა მოეთხოვათ.[2]

ხევსურეთში, შესაძლოა, მკვლელობის მცდელობად ჩათვლილიყო ხანჯლით ჭრილობის მიყენება, თუნდაც მსუბუქის, თუ იგი მიყენებული იყო ტანზე, სხეულის კონკრეტულ ადგილას, ხანჯლის წვერით. ხევსური ინფორმატორების მიხედვით, ასეთი ადგილებია „სარტყლის ზემოთ“, კერძოდ გულმკერდი, მუცლის არე – ფერდი, ნაწლავები და სხვა.[3] ერთ-ერთი მათგანის განმარტებით, აქ იმყოფება სასიცოცხლო ორგანოები და ამ ადგილებში მიყენებულმა ნებისმიერმა ჭრილობამ შეიძლება სიკვდილი გამოიწვიოს, ამიტომ ასეთ ადგილას მიყენებული თუნდაც მცირე ჭრილობისთვის ხდება სამთელმკვდროს გადახდა 30 ძროხის ოდენობით.[4] როგორც ვხედავთ, თვით ფაქტი გულმკერდის არეში, თუ სიცოცხლისათვის საშიშ სხვა ადგილას ჭრილობის მიყენებისა, ხევსურეთში აღიქმებოდა მკვლელობის მცდე-

---

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/14, მოსისხლეობა ხევსურეთში, 168.

[2] ალ. ოჩიაურს მოჰყავს დაჭრის ერთი ფაქტი, როდესაც დაზარალებული „სამთელ-სამკვდროს“ ითხოვდა სწორედ იმ მოტივით, რომ „ტყვიით იყო დაჭრილი“ (ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/11, მოსისხლეობა ხევსურეთში, გვ. 132).

[3] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №2, 62; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №5, 42; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1977, 57.

[4] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №5, 42.

ლობად. იოველებოდა, რომ თუ პირმა ამ ადგილას ხანჯლის წვერით მიაყენა ჭრილობა, ჭრილობის სიმძიმის მიუხედავად, მას მკვლელობის განზრახვა ჰქონდა. შატილის თემის მცხოვრები (სოფელ არდოტიდან) ჭულო დაიაური ასე გადმოგვცემს ამ დამოკიდებულებას: „თუ ხანჯალს წვერით დავკრავდი, ე. ი. სასიკვდილოდ გავიმეტებდი, მაგრამ გადარჩებოდა, მხოლოდ ტანსაცმელში რომ გაუაროს, მაინც უნდა სამთელმკვდრო, ე. ი. როცა განზრახვა გაქვს მოკლა, მაგრამ ვერ მოკლავ. სამთელმკვდრო მთელი სისხლის ნახევარია.“[1]

ის, რომ ხევსურეთში სიცოცხლისათვის საშიშ ადგილას ხანჯლის წვერით მიყენებული ჭრილობა (თუნდაც მსუბუქი) განიხილებოდა მკვლელობის მცდელობად და სასჯელად სამთელმკვდროს ითვალისწინებდა, ყველაზე უკეთ სასამართლო პრაქტიკაში ვლინდება. ხევსურული ჩვეულებითი სამართლის ნორმების რეალიზაცია, ძირითადად, სამედიატორო სასამართლოს, ანუ „რჯულის“ მიერ ხდებოდა, ამიტომ მედიატორთა, ანუ „რჯულის კაცთა“ მიერ გამოტანილი განაჩენები ყველაზე უკეთ ასახავენ ხევსურული ჩვეულებითი სამართლისათვის დამახასიათებელ რეალობას. არხოტელი ინფორმატორი ხირჩლა ოჩიაური მკერდის არეში მისი დაჭრის ფაქტის გამო ჩატარებული სამედიატორო სასამართლოს განაჩენს ასე გადმოგვცემს: „პირადად მეც ადრე ბიძაშვილმა მომაყენა მკერდზე ჭრილობა. ხატში იყო რჯული და რჯულის კაცებმა მომაკუთვნეს სამთელმკვდრო 30 ძროხა. თუმცა ჭრილობა არ იყო დიდი, მაგრამ რჯულის კაცებმა ასე განსაჯეს, რად არტყამდა მკერდში, ხომ შეიძლება სასიკვდილოდ დაეჭრაო, ე. ი. ყოველ მკერდის არეში მოყენებული ჭრილობა, არ ჰქონდა მნიშვნელობა, დიდი იყო თუ პატარა, საშიში იყო თუ არ იყო საშიში სიცოცხლისათვის, ღირდა სამთელმკვდრო.“[2] ეს კონკრეტული შემთხვევა აშკარად მოწმობს, რომ „რჯულის კაცებმა“ სასჯელის განსაზღვრისას ფაქტობრივად მიყენებული ზიანი კი არ გაითვალისწინეს, არამედ მკერდის არეში მიყენებული მცირედი ჭრილობა მკვლელობის მცდელობად შეაფასეს და ამისათვის სრული სისხლის ნახევარი დააკისრეს დამჭრელს. მათი ფრაზა: „რად არტყამდა მკერდში, ხომ შეიძლება სასიკვდილოდ დაეჭრაო,“ პირდაპირი მინიშნებაა ამაზე.

ამრიგად, ხევსურული რჯულისათვის ცნობილია მცდელობის

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 46.

[2] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1977, 43.

დასჯადობა, თუმცა აქაც მხოლოდ მკვლელობასთან დაკავშირებით. სხეულის განსაზღვრულ, სიცოცხლისათვის საშიშ ადგილას ხანჯლის წვერით მიყენებული ჭრილობის (თუნდაც მსუბუქის, უმნიშვნელოს) განხილვა მკვლელობის მცდელობად, ობიექტური შერაცხვის პრინციპიდან გადახვევას წარმოადგენს, რადგანაც პასუხისმგებლობის განსაზღვრა ხდება არა ფაქტობრივად მიყენებული ზიანის, რეალურად დამდგარი შედეგის მიხედვით, არამედ სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინებით, კერძოდ, დამჭრელის განზრახვით, მოკლას მოწინააღმდეგე, რაც დამჭრელისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო არ ხორციელდება. ამას ადასტურებს ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორის ზემოთ მოყვანილი ცნობაც, რომ სიცოცხლისათვის საშიშ ადგილას წვერით დარტყმულმა ხანჯალმა, თუ მხოლოდ ტანსაცმელში გაიარა და სხეულს არც შეხებია (ე. ი. დაჭრას, სხეულის დაზიანებას საერთოდ არ ჰქონია ადგილი), ესეც მკვლელობის მცდელობად ითვლება და ე. წ. სამთელმკვდროს გადახდას ითვალისწინებს 30 ძროხის ოდენობით.[1]

ხევსურეთში ჩაწერილ მასალებში პირდაპირი მითითებაა იმაზე, რომ მკვლელობის მცდელობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ხდებოდა მაშინ, როდესაც დანაშაულებრივი შედეგი არ დადგებოდა დამნაშავისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო. თუ დამნაშავე ნებაყოფლობით აიღებდა ხელს დანაშაულებრივი განზრახვის ბოლომდე მიყვანაზე, მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრებოდა, თუ მის ქმედებაში სხვა დამთავრებული დანაშაულის ნიშნები არ იყო. ამასთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორის

[1] „სამთელ-სამკვდროს“ („სამთელმკვდროს“) ოდენობა ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე ჩვენს ხელთ არსებული ყველაზე სანდო და სრულყოფილი მასალების მიხედვით (მხედველობაშია ალ. ონიაურის, მ. კეკელიას მასალა) ნებისმიერ შემთხვევაში 30 ძროხა, ანუ სრული სისხლის ნახევარია. ყველაზე უფრო მცოდნე და გამოცდილი ხევსური ინფორმატორები ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ცალსახად საუბრობენ ამ ოდენობაზე, კონკრეტული ფაქტები მიუთითებენ ამას. ამ ფონზე მართლაც უცნაურია, რომ ბ. გაბუურის ცნობით, „სამთელ-სამკვდრო“ შესაძლოა მხოლოდ 5 ძროხა ყოფილიყო. ჩვენ მიერ გამოყენებული საკმაოდ დიდი მოცულობის მასალის მიხედვით ამ არსებითი განსხვავების ახსნა შეუძლებელია. ჩვენ ვუშვებთ, რომ შესაძლოა აღმოჩნდეს ახალი, ჩვენთვის უცნობი მასალა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ამ წინააღმდეგობის ახსნა. ამ მიზნით, უპრიანი იქნება, სწორედ ამ კონკრეტულ საკითხზე, დამატებითი მასალის შეკრება ხევსურეთში.

ცნობა: „თუ თოფი მოამზადე და არ გაისროლე, დრამა და საკლავი არ არის საჭირო, მაგრამ უნდა მიუტანო პატივი, ყანწი, ჭიქა, და უნდა უთხრა იმას, ვისაც თოფი მოულერე: „შენ პატივ იყვეს“, ის გეტყვის: „პატივ-ნამუს ნუ მოგიშალოს ღმერთმა, ჩემთან თასი და მტერთან სამართალიო“. ყანწი თუ ჭიქა სასმლით უნდა იყოს საესე.“[1] აქ კარგად ჩანს, რომ, თუ პიროვნება მკვლელობის განზრახვით თოფს მიუშვერს ვინმეს, თუმცა აღარ გაისვრის, ე. ი. ნებაყოფლობით აიღებს ხელს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაზე, მას არ ეკისრება ქონებრივი საზღაურის, ე. წ. დრამის გადახდა, რაც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას, ფაქტობრივად, პირის დაუსჯელობას ნიშნავს. ასეთ შემთხვევაში, როგორც დავინახეთ, სრულიად საკმარისია პატივით, სასმლით მისვლა და შერიგება. ჯ. მერაბიშვილის დაკვირვებით, მკვლელობის მცდელობის დასჯადობა ფშაურ ჩვეულებით სამართალშიც ფიქსირდება. მისი განმარტებით, აქაც გვხვდება მონაცემები, რომელთა მიხედვითაც მკვლელობის მცდელობა ნახევარი სისხლით იყო შეფასებული.

[1] ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 7.

თავი მეშვიდე

სასჯელის ინსტიტუტის ზოგადი დახასიათება ქართულ ჩვეულებით სამართალში

სასჯელთა ცალკეული სახეების განხილვამდე ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, გვინდა ზოგადად დავახასიათოთ აღნიშნული სასჯელები.

1. სასჯელთა სისტემა და კლასიფიკაცია ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით

ჩვენს ხელთ არსებული XIX-XX საუკუნეების ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, სასჯელთა სისტემა შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: 1. სიკვდილით დასჯა; 2. მოკვეთა, ბოიკოტის (უნდობლობის) გამოცხადება; 3. გაძევება, 4. ქონებრივი სასჯელები; 5. გამაწბილებელი სასჯელები; 6. დაწყევლა; 7. გარკვეული ვალდებულების შესრულება; 8. თავისუფლების შეზღუდვა; 9. უფლების ჩამორთმევა; 10. დამასახიჩრებელი და გვემითი სასჯელები. ამ სასჯელებს, მათ სახეებს, შეფარდების წინაპირობებს, აღსრულების წესს ქვემოთ შევეხებით სასჯელთა ცალკეული სახეების განხილვისას ქართულ ჩვეულებით სამართალში.

ისე, როგორც დანაშაულები დავყავით საჯარო და კერძო ხასიათის დანაშაულებად, სრულიად ბუნებრივია, რომ ამ დანაშაულთათვის გათვალისწინებული სასჯელებიც შეიძლება დაიყოს ანალოგიურად — საჯარო და კერძო სასჯელებად. კერძო სასჯელები, ცხადია, რომ გამოიყენებოდა კერძო პირთა ინტერესების ხელმყოფი დანაშაულებისათვის და კერძო ინტერესების (ცალკეული პირების, ოჯახის, ნათესაური ჯგუფის) დასაკმაყოფილებლად იყო მიმართული. საერთოდ ცნობილია, რომ საკმაოდ ხშირად კერძო ხასიათის სასჯელებში, მაგალითად, ქონებრივ საზღაურებში, შესაძლოა გათვალისწინებული იყოს საჯარო ინტერესი — საზღაურის გარკვეული წილი საჯარო ინტერესის დასაკმაყოფილებლად. ასეთი რამ ქართულ ჩვეულებით სამართალშიც გვხვდება, თუმცა შედარებით ნაკლებად.

საჯარო სასჯელთა გამოყენება საჯარო დანაშაულთათვის იყო გათვალისწინებული და არა კერძო, არამედ მთელი საზოგადოების

(სოფლის, თემის, ხეობის მცხოვრებთა) საერთო ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა.

კერძო სასჯელები, ძირითადად, ქონებრივი საზღაურებია და მათი გადახდა დაზარალებული მხარის სასარგებლოდ ხდებოდა. ქონებრივი საზღაურების გამოყენებას, ასევე, საჯარო სასჯელებად ჰქონდა ადგილი და მათი გადახდა უკვე საზოგადოების, თემის სასარგებლოდ ხდებოდა. უპირატესად საჯარო სასჯელებს წარმოადგენდა სიკვდილით დასჯა, გაძევება, მოკვეთა (ბოიკოტის, უნდობლობის) გამოცხადება, გამაწბილებელი სასჯელები და სხვა. საჯაროა თუ კერძო ესა თუ ის კონკრეტული სასჯელი საქაროველოს ამა თუ იმ კუთხის ჩვეულებით სამართალში, კონკრეტული სასჯელის განხილვისას შევეხებით.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სასჯელები, მათ შორის ისინი, რომლებიც, როგორც წესი, საჯარო სასჯელებად გვევლინება, თავდაპირველად, საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე, კერძო სასჯელებს წარმოადგენდა. აქ არაა საუბარი მხოლოდ ქონებრივ საზღაურებზე. ჩვენ მხედველობაში გვაქვს: მოკვეთა, გაძევება, სიკვდილით დასჯა. მოკვეთა, გაძევება მხოლოდ ნათესაური ჯგუფის მიერ გამოიყენებოდა საკუთარი წევრის მიმართ, ამ ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული ქმედებებისათვის, უკიდურესად უზნეო საქციელისათვის.[1] შესაძლოა, ნათესავის მიმართ სასიკვდილო განაჩენიც გამოეტანათ.[2] ამ შემთხვევებში აღნიშნული სასჯელები კერძო ხასიათის მატარებელია. ტერიტორიული თემის ჩამოყალიბების შემდეგ, როდესაც ტერიტორიული ერთეული მხოლოდ ერთი ნათესაური ჯგუფით აღარ იყო დასახლებული (საქართველოს ზოგიერთ რეგიონში საკმაოდ დიდხანს შემორჩა ერთი ნათესაური ერთეულით დასახლებული სოფლებიც), ჩნდება უკვე საჯარო ინტერესი, საჯარო დანაშაულები და სასჯელები. ამის შემდეგ სიკვდილით დასჯა, მოკვეთა, თუ გაძევება, ძირითა-

[1] აღნიშნულ საკითხზე ქვემოთ ვისაუბრეთ მოკვეთა-გაძევების, როგორც სასჯელების განხილვისას.

[2] მაგალითად, მ. კედელაძის მიხედვით, ხევსურეთში გვარი თვითონ მოკლავდა უკანონო შვილის გამჩენ ქალს. „წინათ ორივეს ჩაქოლვა იცოდნენ, თუ ისინი გვარის შიგნით მოიმოქმედებდნენ ამას". მას მოკლავდნენ ქალის ოჯახის წევრები, ე. ი. ქალის ძმა-ბიძაშვილები. თუ რაიმე მიზეზით ქალს ან კაცს ვერ ან არ მოკლავდნენ, გააძევებდნენ (მ. კედელაძე, პირადი არქივი, ხევსურული მასალები, ხელნაწერი, ეთნოგრაფიული რვეული №4, 4-5).

დად, საჯარო სასჯელებად ჩამოყალიბდა, რომლებიც გამოიყენებოდა საზოგადოების (თემის, სოფლის, ხეობის მცხოვრებთა) წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისათვის. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიული თემის ჩამოყალიბების შედეგად, აღნიშნული სასჯელების გამოყენება ნათესაური ჯგუფის მიერ საკუთარი წევრის მიმართ (ანუ, როგორც კერძო სასჯელის) მყისიერად არ უნდა შემწყდარიყო. ამას მიუთითებს ის გარემოება, რომ ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, XX საუკუნეშიც კი, ხევსურეთში, ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე მოკვეთას, გაძევებას თუ სიკვდილით დასჯას ნათესაური ერთეული კვლავ იყენებდა საკუთარი წევრის მიმართ. ამავე დროს, საქართველოს იმავე კუთხეში აღნიშნული სასჯელები საჯარო დანაშაულებისთვისაც გამოიყენებოდა.

გარკვეულწილად სასჯელად შეიძლება აღთქმულ იქნეს შურისძიებაც (საპასუხო მკვლელობა, დაჭრა-დასახიჩრება, ქონებრივი შურისძიება). ამ შემთხვევაში დამნაშავის დამსჯელად დაზარალებული მხარე გვევლინება. შურისძიება — ესაა ნათესაური ჯგუფის თუ ოჯახის საპასუხო დამსჯელი ღონისძიება დამნაშავის მიმართ, რაც კერძო სამართალდარღვევებისას გამოიყენებოდა. როგორც აღინიშნა, საქართველოს ზოგიერთ მთის რეგიონში შურისძიების ინსტიტუტი XX საუკუნეშიც შემორჩა. მისი თავისებურებანი საქართველოს ცალკეული კუთხეების და დანაშაულების მიხედვით უპრიანია განხილულ იქნეს ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ცალკეული დანაშაულების კვლევისას.

2. სასჯელის მიზნები ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით

ჩვენს ხელთ არსებული ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, შესაძლებელია ვისაუბროთ სასჯელთა გარკვეულ მიზნებზე. ზოგიერთ მონაცემში არის პირდაპირი მინიშნება იმაზე, თუ რა მიზნით მოხდა კონკრეტულ შემთხვევაში დამნაშავისათვის ქართული ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე სასჯელის დაკისრება. აღვნიშნავთ, რომ რაიმე ორიგინალურზე საუბარი ამ თვალსაზრისით არ გვიხდება.

საზოგადოებაში, სადაც შემორჩენილია სისხლის აღების, შურისძიების ინსტიტუტი, ცხადია, რომ დამნაშავის მიმართ საპასუხო დამსჯელი ღონისძიების გატარების მიზანი, უპირველეს ყოვლისა,

სამაგიეროს მიზღვაა. საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც საკვლევ პერიოდში შემორჩა სისხლის აღება (ხევსურეთი, სვანეთი, ზემო აჭარა და სხვა), საზოგადოებას სასჯელის მიზნისადმი იმავე დამოკიდებულება ჰქონდა. სამაგიეროს მიზღვა დამნაშავისათვის არა მარტო შურისძიების აქტის განხორციელებისას წარმოადგენდა სასჯელის მიზანს, არამედ სხვა სასჯელების დროსაც. იგი ფაქტობრივად ყველა სასჯელის მიზანი იყო. შეიძლება ითქვას, რომ დამნაშავისადმი სამაგიეროს მიზღვა, სათანადოს მიგება, ქართულ ჩვეულებით სამართალში სასჯელის უნივერსალურ მიზანს წარმოადგენდა.

ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით ყველაზე სრულფასოვნად საუბარი შესაძლოა სასჯელის **პრევენტიულ** მიზანზე. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ინფორმატორები კონკრეტული დანაშაულისათვის სასჯელის დაკისრებაზე საუბრისას ხშირად მიუთითებენ სასჯელის გამაფრთხილებელ მიზანს.

თვალსაჩინოებისათვის რამდენიმე კონკრეტულ მონაცემს მოვიყვანთ. რაჭველი ინფორმატორი იხსენებს კონკრეტულ ფაქტს პიროვნების დასჯისა, რომელმაც სოფლის საერთო საქმეში მონაწილეობაზე უარი თქვა. სოფელმა იგი სათანადოდ დასაჯა ე. წ. „დარბევით". ინფორმატორის მითითებით ეს განხორციელდა იმიტომ, რომ ამ პიროვნებას სხვა დროს ხალხის ღალატი აღარ გაემეორებინა, ხოლო სხვას მისთვის არ მიებაძა.[1] მოხევე ინფორმატორის განმარტებით, ქურდობისას ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურების მიზანს წარმოადგენდა ის, რომ სხვას აღარ მოეპარა.[2] იმერელი ინფორმატორი დამნაშავის დასჯის საკმაოდ მძიმე ფორმაზე საუბრობს: დამნაშავეს კისერზე გამოაბეს თოკი, გადაატარეს ეკლესიის ეზოში არსებულ კოპიტის რტოზე და თოკზე დაქაჩვით ასწი-ჩამოსწიეს რამდენჯერმე. თოკი ნიკაპთან ისე ჰქონდა ამოდებული, რომ არ დამხრჩვალიყო. ასე აწამეს რამდენიმე ხანს. ამ ამბავს მთელი ხალხი უყურებდა. ინფორმატორის თქმით, ეს იყო გაფრთხილება სხვებისათვის, რომ ქურდობა არ ჩაედინა.[3] მეგრელი ინფორმატორი იხსენებს, რომ ქურ-

[1] მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რვეული №5, 10.

[2] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 49.

[3] მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 40-41.

დობის ჩამდენს ჯერ შედარებით მსუბუქად დასჯიდნენ და ეტყოდნენ: „თუ კიდევ ჩაიდენ მსგავს მოქმედებას, სასტიკად დაგსჯითო“[1]. ეს მაგალითები ცალსახად გვიჩვენებს, რომ სასჯელის მიზანი ქართულ ჩვეულებით სამართალში დანაშაულის პრევენცია იყო. როგორც ვხედავთ, საუბარია არა მარტო კერძო, არამედ ზოგად პრევენციაზე.

როგორც ჩანს, დანაშაულის ზოგადი პრევენცია გარკვეულ შედეგს იღებდა. მკაცრი სასჯელისადმი რიდი საზოგადოების წევრებისა, ზოგიერთი ავტორის მინიშნებით, ამცირებდა დანაშაულთა რაოდენობას. მაგალითად, ამას ადასტურებს ეგ. გაბლიანი — ზემო სვანეთის სინამდვილის შესანიშნავი მცოდნე. მისი განმარტებით, რამდენადაც მკაცრი ზომები იყო გათვალისწინებული თემის ღალატისა თუ ეკლესიის გაძარცვისათვის, მათ თავიდან აცილებასაც ყველა ცდილობდა და ამიტომ ამისთანა ხასიათის დანაშაულობის ჩადენას იშვიათად ჰქონდა ადგილი.[2]

სასჯელის ზოგადპრევენტიულ მიზანზე მიუთითებს გარკვეულ სასჯელთა საჯაროდ ჩატარების წესი. საჯარო სასჯელები ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, ძირითადად, საჯარო, გამოსაჩენ ადგილას ტარდებოდა. მაგალითად, ვაჟა-ფშაველა მიუთითებს, რომ ფშავში თემის ღალატისა და უკანონო სქესობრივი კავშირისათვის შესაძლო იყო ჩაქოლვის გამოყენება. აღნიშნული სასჯელის აღსრულება ხდებოდა „..ხიდის ყურზე, ან „გზის შესაყარში“, გზაჯვარედინში, რომ ყველა გამვლელ-გამომვლელს ენახა დამნაშავენი.“[3] სასჯელის სისრულეში მოყვანა ყველასათვის დასანახ ადგილას, განპირობებული იყო იმით, რომ საზოგადოების ნებისმიერ წევრს გაეთავისებინა, თუ რა მოჰყვებოდა აღნიშნული დანაშაულების ჩადენას, ანუ ასეთ ადგილას სასჯელის აღსრულებას გამაფრთხილებელი, პრევენტიული მნიშვნელობა ჰქონდა.

ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ძალზედ გავრცელებული იყო გამაწბილებელი სასჯელები, რომლებიც ყოველთვის საჯაროდ, მთელი სოფლის, თემის თანდასწრებით აღსრულდებოდა. მაგალითად, უზნეო ქმედებისათვის ხშირი იყო დამნაშავეთა სახედარზე შესმა და სოფელში ჩამოტარება. ასეთი სასჯელის მთელი

[1] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 22.

[2] ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, ტფ. 1927, 66.

[3] ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964, 71.

სოფლის მოსახლეობის თვალწინ ჩატარებისას მისი პრევენტიული ასპექტია წინა პლანზე წამოწეული. მაგლითად, XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში სოფ. ნორიოში უზნეო საქციელის ჩამდენს სოფლის ყრილობამ სახედარზე შესმა, თავს-ლაფის დასხმა, გამურვა და სოფელში ჩამოტარება მიუსაჯა. სოფლის ყრილობამ თავის გადაწყვეტილებაში ეს იმით ახსნა, რომ მსგავი რამ არავის გაემეორებინა, არ გარყვნილიყო.[1] მეგრელი ინფორმატორი კი სუსტი ყოფაქცევის ქალის საჯარო დასჯას გამაწბილებელი სასჯელით იმით ხსნის, რომ ეს მაგალითი ყოფილიყო სხვებისათვის.[2]

სასჯელის აღსრულებისას ზოგადპრევენტიული დატვირთვა ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ გარკვეული სასჯელების აღსრულებაში საზოგადოების ყველა წევრი იყო ჩართული. მაგალითად, ჩაქოლვისას, გამაწბილებელი სასჯელის აღსრულებისას. ვლ. ალფენიძე ჩაქოლვაზე საუბრისას სამართლიანად მიუთითებს, რომ სასჯელის აღსრულებაში საზოგადოების ყველა წევრის მონაწილეობა ხელს უწყობდა მათ აღზრდას კანონისადმი კრძალვის, რიდის, ადათის დამრღვევისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.[3]

სასჯელის პრევენტიულ მნიშვნელობასთან ერთად, მასალების მიხედვით, შესაძლებელია ვისაუბროთ სასჯელის ისეთ მიზანზე, როგორიცაა **დამნაშავის გამოსწორება**. როდესაც პიროვნებას სჯიდნენ მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, ეს შეიძლება მომხდარიყო არა მარტო სამაგიეროს მიზღვის, ან გაფრთხილების გამო, არამედ მისი გამოსწორების მიზნითაც. ცნობილია, რომ, როდესაც პიროვნება პირველად ჩაიდენდა დანაშაულს (აქ საუბარი არაა უმძიმეს დანაშაულებზე), მის მიმართ, შესაძლოა, შედარებით მსუბუქი სასჯელი გამოეყენებინათ. ეს ხდებოდა მისი გაფრთხილების მიზნით, რომ მომავალში აღარ ჩაედინა დანაშაული, რადგანაც ამ შემთხვევაში უფრო მძიმე სასჯელი იქნებოდა გამოყენებული მის მიმართ. ასევე, ინფორმატორები მიუთითებენ, რომ ასეთი სასჯელი დამნაშავის გამოსწორებასაც ისახავდა მიზნად. მეგრელი ინფორმატორი, რომელიც ქურდი და სუსტი ყოფაქცევის ქალის მიმართ გამაწბილებელ სასჯელზე საუბრობს, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეს ქალი გამოსწორდა

[1] კორესპონდენცია, გაზ. „დროება“, 1883, №93.

[2] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 21-22.

[3] ვლ. ალფენიძე, ჩაქოლვა, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1972 წლის 20 ივლისი.

და შეწყვიტა ქურდობა და ბოზობა.[1] სხვა მონაცემებშიც გვხვდება მინიშნებები სასჯელის აღნიშნულ მიზანზე. მაგალითად, ხევსური ინფორმატორი აღნიშნავს, რომ მცირე სიმძიმის დანაშაულისას შედარებით მსუბუქი სასჯელის გამოყენება ხდებოდა იმიტომ, რომ დამნაშავე გაფრთხილებულიყო, აღარ გაეგრძელებინა დანაშაულის ჩადენა და გამოსწორებულიყო.[2] ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქართული ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე დაკისრებული სასჯელი დამნაშავის გამოსწორებასაც ისახავდა მიზნად. ცხადია, დამნაშავის გამოსწორება ყველა სასჯელის მიზანი არ იყო. ბუნებრივია, დამნაშავის სიკვდილით დასჯის თუ გაძევების შემთხვევაში, მისი გამოსწორების მიზანზე საუბარი არ შეიძლება.

სასჯელთა მიზანს წარმოადგენდა ასევე **კერძო თუ საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა**. ბუნებრივია, კერძო სასჯელი (ძირითადად ქონებრივი) კერძო პირთა ინტერესის დაკმაყოფილებასა და დაცვას ისახავდა მიზნად, ხოლო საჯარო სასჯელი, საჯარო ინტერესის.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით დასტურდება სასჯელთა შემდეგი მიზნები: 1. სამაგიეროს მიზღვა; 2. პრევენცია (კერძო და ზოგადი); 3. დამნაშავის გამოსწორება; 4. კერძო თუ საზოგადოებრივი ინტერესის დაცვა.

ცალკეული კატეგორიის სასჯელებს შესაძლოა სასჯელთა უმრავლესობისათვის დამახასიათებელი ამ მიზნების გარდა, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი მიზანი ჰქონოდა. მაგალითად, სიკვდილით დასჯას, გაძევებას ზოგადი პრევენციის, თუ სამაგიეროს მიზღვევის მიზნის გარდა საშიში, გამოუსწორებელი დანაშაულებრივი ელემენტებისაგან საზოგადოებისაგან განწმენდის მიზანიც ჰქონდა. გამაწბილებელი სასჯელისათვის დამახასიათებელი მიზანი დამნაშავის ზნეობრივი დამცირება, საჯარო შერცხვენაც იყო, ხოლო დამასახიჩრებელი და გვემითი სასჯელებისათვის, რომელთა გამოყენებაც ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით შედარებით ნაკლებად გვხვდება, დამნაშავისათვის ფიზიკური ტანჯვისა და ტკივილის მიყენება. აი, ასეთი სახით შეიძლება წარმოვაჩინოთ ჩვენს

[1] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 22.

[2] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 68-69.

ხელთ არსებული მასალების მიხედვით, თუ როგორ აღიქვამდა საზოგადოება ქართული ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე დაწესებული სასჯელების მიზნებს.

3. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი, შემამსუბუქებელი და გამომრიცხავი გარემოებები ქართულ ჩვეულებით სამართალში

ცნობილია, რომ საზოგადოებაში, სადაც ობიექტური შერაცხვის ელემენტი ძლიერად იყო შემორჩენილი და გადამწყვეტი მნიშვნელობა დანაშაულებრივ შედეგს ენიჭებოდა, პასუხისმგებლობის დაკისრებისას შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინება არ ხდებოდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, მ. კოვალევსკის მიხედვით, გვაროვნული საზოგადოებისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები უცნობია.[1] გვაროვნული წყობილება საზოგადოებრივი განვითარების ის ეტაპია, როდესაც ობიექტური შერაცხვის პრინციპებია გაბატონებული და ამდენად, მ. კოვალევსკის ეს დებულება სწორედ აღნიშნული პრინციპებითაა განპირობებული. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მსჯელობა მხოლოდ კერძო სამართალდარღვევების მიმართ არის მართებული.

ქართული ჩვეულებითი სამართლის მონაცემების მიხედვით, იქ, სადაც შემორჩენილი იყო ობიექტური შერაცხვის ელემენტები და კონკრეტულ შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრება ობიექტური შერაცხვის პრინციპების საფუძველზე ხორციელდებოდა, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარმოებების გათვალისწინება ასევე არ ხდებოდა. ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებას ადგილი არ ჰქონდა. ჯერ ერთი, ჩვენს ხელთ არსებული ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, როგორც ზემოთ აღინიშნა, საჯარო ხასიათის დანაშაულებიც გვხვდება, რომელთა ჩადენისას სრულიად შესაძლებელი იყო პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინება. მეორე, როდესაც სუბიექტური შერაცხვის ელემენტები დამკვიდრდა, აღნიშნული გარემოებების გათვალისწინება კერძო სამართალდარღვევების დროსაც გვხვდება.

რაიმე წინასწარ განსაზღვრული ჩამონათვალი პასუხისმგებლო-

[1] М. Ковалевский. Современный обычай и древний закон, М., Т.2, 1886, 81.

ბის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებებისა, ქართულ ჩვეულებით სამართალში არ ფიქსირდება. ამ საკითხზე მსჯელობა ცალკეული შემთხვევების განზოგადების საფუძველზეა შესაძლებელი. მასალების მიხედვით გვხვდება შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რომლებიც საქართველოს კუთხეების უმეტესობაში (ან ზოგიერთ კუთხეში) ფიქსირდება. მათთან ერთად გვხვდება ასევე დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, რომლებიც საქართველოს მხოლოდ ერთი კუთხისთვისაა დამახასიათებელი. ყველა ამ გარემოებებს ერთობლივად განვიხილავთ.

უპირველეს ყოვლისა, შევეხებით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს. ჩვენს ხელთ არსებული ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით შესაძლოა ვისაუბრობთ პასუხიმგებლობის შემდეგ დამამძიმებელ გარემოებებზე:

ა. **დანაშაულის ჩადენა არაერთგზის, განმეორებით.** დანაშაულის განმეორებით, არაერთგზის ჩადენა მიუთითებს, რომ საქმე გვაქვს გამოუსწორებელ დამნაშავესთან. ამდენად, დანაშაულის განმეორებით, არაერთგზის ჩამდენის მიმართ უფრო მძიმე სასჯელი გამოიყენებოდა, ვიდრე იმავე დანაშაულის პირველად ჩადენის შემთხვევაში. განმეორებით დანაშაულის ჩადენა დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა ძველ ქართულ სამართალში.[1] ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, აღნიშნული გარემოება დამამძიმებლად ითვლებოდა საქართველოს უმეტესი კუთხის ჩვეულებით სამართალში და მხოლოდ საჯარო სამართალდარღვევების შემთხვევებში. მაგალითად, განმეორებითი მკვლელობის თუ დაჭრა-დასახიჩრების შემთხვევაში (სადაც ეს დანაშაულები კერძო სამართალდარღვევებს წარმოადგენდა) პასუხისმგებლობის დამძიმებას ადგილი არ ჰქონდა და სასჯელი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის მიხედვით განისაზღვრებოდა.

დანაშაულის არაერთგზის ჩადენა საჯარო დანაშაულების შემთხვევაში დამამძიმებელ გარემოებად რომ ითვლებოდა, კარგად ჩანს მასალების მიხედვით. ბ. გაბუური ხევსურეთთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ საკუთარ სოფელში ქურდობის შემთხვევაში (საჯარო დანაშაულად სწორედ საკუთარ სოფელში ჩადენილი ქურდობა ითვლებოდა) ქურდს სოფელი შეარცხვენდა და ეტყოდა: „არ გცხვენიაევ, თავის სოფელში კაცმ რაგორ უნდა იქურდას?“. თუ ქურდო-

[1] იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, 202-204.

ბას მეორედ, მესამედ ჩაიდენდა, მაშინ სოფელი ამ გამოუსწორებელ ქურდს ჩაქოლავდა.[1] აქ აშკარად ჩანს, რომ ქურდის მიმართ უმძიმესი სასჯელის — ჩაქოლვის — გამოყენების საფუძველი ამ დანაშაულის არაერთგზისი ჩადენაა. როგორც ვხედავთ, აღნიშნული დანაშაულის პირველად ჩადენას საკმაოდ მსუბუქი სასჯელი მოჰყვებოდა, განმეორების შემთხვევაში კი, პასუხისმგებლობა არსებითად მძიმდებოდა. ბ. გაბუურის ეს მონაცემი აშკარად მიუთითებს, რომ დანაშაულის განმეორებით, არაერთგზის ჩადენა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა.

დანაშაულის განმეორებით ჩადენა ხევსურეთში დამამძიმებელ გარემოებად სხვა საჯარო დანაშაულებების შემთხვევაშიც ფიქსირდება. მაგალითად, მ. კედელაძის მიხედვით, ხევსურეთში, თემის თუ სოფლის ღალატისათვის, ასევე, გვარის შიგნით ქორწინებისათვის, სხვა დანაშაულებისათვის, რომლებიც ხალხის წინააღმდეგ იყო მიმართული, დამნაშავეს ჯარიმას (ჯურუმს) აკისრებდნენ, ჯვარში სამანს ჩაუსვამდნენ, განმეორების შემთხვევაში კი დამნაშავეს გააძევებდნენ ან მოკლავდნენ.[2] ამ შემთხვევაშიც აშკარაა, რომ უფრო მძიმე სასჯელის გამოყენება დანაშაულის განმეორებით ჩადენითაა განპირობებული. იმავე დასტურდება ფშავის ჩვეულებით სამართალშიც. აქაც სისტემატური, არაერთგზისი ქურდობისათვის შესაძლოა ჩაქოლვაც (უმძიმესი სასჯელი) გამოყენებულიყო.[3] ასეთი მძიმე სასჯელი, ცხადია, პირველად ჩადენილი ქურდობისათვის არ გამოიყენებოდა. იმავე აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებისთვისაც უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი.

დანაშაულის არაერთგზის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის დამძიმება საქართველოს სხვა კუთხეების ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვითაც ფიქსირდება. ხევსურეთის მსგავს ნორმას განმეორებით ქურდობასთან დაკავშირებით ივ. ცისკარიშვილი აფიქსირებს თუშეთში. მისი მითითებით, სხვისი ქონების ხელყოფისათვის ხდებოდა ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურების დაკისრება, ხოლო არაერთგზისი ქურდობისათვის სიკვდილით დასჯაც

[1] ბ. გაბუური, დასახ. ნაშრ., 139.

[2] მ. კედელაძე, ხევსურული მასალა, ეთნოგრაფიული რეული №18, 2-3.

[3] ო. ზოიძე, სასჯელები (ნაშრომის — „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“ მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი,“ 3, გამომცემლობა „მეცნიერება,“ თბ., 1991, 100.

იყო გათვალისწინებული.[1] აქაც აშკარად ჩანს, რომ განმეორებითი ქურდობა პასუხისმგებლობის დამძიმებას იწვევდა. აჭარაში ჩაწერილი მასალების მიხედვით ჩანს, რომ მრავალგზისი ქურდობისათვის პასუხისმგებლობა მძიმდებოდა და დამნაშავეს სოფლიდან აძევებდნენ.[2] პირველად ქურდობის ჩამდენს აფრთხილებდნენ, რომ აღარ გაემეორებინა დანაშაული.[3] ერთ-ერთი აჭარელი ინფორმატორი მიუთითებს, რომ თუ ქურდი არ გამოსწორდებოდა, მას „განდევნიდნენ“ სოფლიდან.[4]

იმერეთსა და გურიაში ჩაწერილი მასალებიდანაც ჩანს, რომ ქურდს, გარყვნილი ქმედების ჩამდენს სოფლის თავკაცები გააფრთხილებდნენ, რომ ეს დანაშაული აღარ გაემეორებინა. პირველ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ გაკიცხვას დასჯერებოდნენ, ცხადია, ნაქურდალის ანაზღაურებასაც ექნებოდა ადგილი. თუ არ გამოსწორდებოდა და ისევ ჩაიდენდა ქურდობას, რაიმე გარყვნილ ქმედებას, მოიწვევდნენ სოფლის ყრილობას და უფრო მძიმე სასჯელს დააკისრებდნენ (ბოიკოტი, გაძევება).[5] მაგალითად, ერთ-ერთი იმერელი ინფორმატორი იხსენებს, რომ მის სოფელში ყოფილა ერთი ქურდი გვარად ჭ-ი. იგი ორჯერ გააფრთხილეს, რომ აღარ ექურდა. როცა კიდევ ერთხელ წაასწრეს ქურდობაზე, მის მიმართ ჯერ გამაწბილებელი სასჯელი გამოიყენეს, ხოლო შემდეგ გამოუსწორებელი დამნაშავე სოფლიდან გააძევეს.[6] იმერეთის სოფელ სერბაისში მცხოვრები ქალი კი, რომელიც ქურდობდა და უპატიოსნოდ ცხოვრობდა, რამდენჯერმე გააფრთხილეს, რომ შეეწყვიტა ეს საქმიანობა. რომ არ მოიშალა, სისტემატური ქურდობისა

---

[1] И. Цискаров, Записки о Тушетии, Кавказ, 1849, №11;

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 14, 39.

[3] ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989-1990, 25.

[4] იქვე, 52.

[5] ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 19, 45. გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 44; გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1989, 23.

[6] გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 43.

და გარყვნილი ქმედებისათვის უფრო მძიმე სასჯელი დააკისრეს.[1] ამ კუთხეების მასალების მიხედვით, ქურდობის გარდა, საზოგადოებაში აყალ-მაყალის ატეხვის, ლანძღვის, ცემის არაერთგზისი ფაქტი ასევე ამძიმებდა პასუხისმგებლობას და სოფლის ყრილობის მიერ დამნაშავისათვის ყველაზე უფრო მძიმე სასჯელის (ბოიკოტი, გაძევება) დაკისრების საფუძველი ხდებოდა.[2]

განმეორებითი ქურდობისათვის პასუხისმგებლობის დამძიმება ფიქსირდება ასევე მთიულეთში (ქსნის ხეობა)[3], მესხეთში.[4] ამის შესახებ მინიშნება გვხვდება სვანეთშიც. ბ. ნიჟარაძე მიუთითებს, რომ სასოფლო ყრილობა სჯიდა ადგილობრივ ქურდებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პირს რამდენჯერმე ჰქონდა ქურდობა ჩადენილი.[5]

როგორც ვხედავთ, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, არაერთგზის ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დამძიმება ძირითადად ქურდობასთან დაკავშირებით გვხვდება. ჩვეულებითი სამართლის კაზუისტური ხასიათიდან გამომდინარე, ეს განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ ყველაზე ხშირად პასუხისმგებლობის დამძიმება არაერთგზის ჩადენილი დანაშაულისათვის სწორედ ქურდობის შემთხვევებში ხდებოდა,[6] სხვა საჯარო დანაშაულებისას კი შედარებით ნაკლებად.

ბ. დანაშაულის ჩადენა ეკლესიაში თუ სალოცავის (ჯვარ-ხატის) ტერიტორიაზე. ძველ ქართულ სამართალში გარკვეულ ადგილებში, მაგალითად, ეკლესიაში დანაშაულის ჩადენა პასუხისმგებლობის

---

[1] გ. დავითაშვილი, იქვე, 32.

[2] გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1989, 1, 20.

[3] მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობა) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 24.

[4] ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 72.

[5] ბ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ. 87.

[6] გამოუსწორებელი ქურდის სიკვდილით დასჯა და მის მიმართ სხვა მძიმე სასჯელის გამოყენება საკმაოდ გავრცელებული იყო ძველ ქართულ სამართალში. მაგალითად, გიორგი III 1170 წელს შიომღვიმის მონასტრისათვის გაცემული შეუვალობის სიგელის მიხედვით, მრავალგზისი ქურდობისათვის გათვალისწინებულია ჩამოხრჩობა, ან განპატიჯება (ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, ტ. 2, თბ., 1965, 22).

დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა.[1] XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, ასევე ჩანს, რომ ეკლესიაში, საკულტო ადგილას ჩადენილი დანაშაული უფრო მძიმე პასუხისმგებლობას იწვევდა, ვიდრე იმავე დანაშაული ჩადენილი სხვა ადგილას. მაგალითად, ცნობილია, რომ ბალსზემო სვანეთში სიკვდილით სჯიდნენ მხოლოდ ეკლესიის გაქურდვისა და საზოგადოების (თემის) ღალატისათვის.[2] სხვა შემთხვევებში ქურდობისათვის ასეთი მძიმე სასჯელი არ გამოიყენებოდა.[3] ფშავ-ხევსურეთში ხატის (ჯვარის) ქონების (ხატ-ჯვარში დაცული განძის) ქურდობა გაიმავებული იყო თემის ღალატთან და ამიტომ მძიმე პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა.[4]

ხევსურული მასალებით, სხვა დანაშაულების ჯვარში ჩადენის შემთხვევაშიც პასუხისმგებლობა ასევე მძიმდება. ალ. ოჩიაურის მასალებში გვხვდება არაერთი კონკრეტული შემთხვევა, როდესაც ჯვარში მკვლელობისა თუ დაჭრისათვის, ამ კონკრეტული დანაშაულისათვის გათვალისწინებული საზღაურის გარდა, დამნაშავე ვალდებული იყო ჯარიმა გადაეხადა, კერძოდ, ჯვარში საკლავი მიეყვანა.[5]

სვანეთისა და ფშავ-ხევსურეთის სინამდვილიდან მოყვანილი მონაცემები მიუთითებს, რომ ეკლესიაში, სალოცავში დანაშაულის ჩადენის ფაქტი იწვევდა მოცემული დანაშაულისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დამძიმებას და ამდენად, შეიძლება ასეთ ადგილებში დანაშაულის ჩადენა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ჩავთვალოთ. სავარაუდოდ, ეკლესიებსა და სალოცავებში დანაშაულის მიმართ ანალოგიურად ნეგატიური დამოკიდებულების გამო, იმავე დებულება საქართველოს სხვა კუთხეებზეც შეიძლება გავრცელდეს.

აღსანიშნავია, რომ ეკლესიაში თუ სალოცავის ტერიტორიაზე

---

[1] იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, 205-206.

[2] იხ. ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, 85-86.

[3] ძირითადად ქურდობისათვის ქონებრივი საზღაური იყო დადგენილი და ამ საკითხს სასჯელთა ცალკეული სახეების განხილვისას შევეხებით.

[4] დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, გამომცემლობა „უნივერსალი", თბ., 2003, 37-38.

[5] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/4, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 39, 48; იქვე, 6/2, 20.; იქვე, 6/1, 7; იქვე, 6/5, 58; ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/8, მოსისხლეობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 88.

თავშეფარებული დამნაშავეც კი ხელშეუხებლად ითვლებოდა. წმინდა ადგილას დევნილის, დამნაშავის ხელშეუხებლობა მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში წესად იყო მიღებული და ასეთ ადგილას დამნაშავის ხელყოფა უკიდურესად ამძიმებდა პასუხისმგებლობას. ამის შესახებ საუბრობს რ. გუჯეჯიანი.[1] ეკლესიაში (მისი გალავნის შიგნით), სალოცავის ტერიტორიაზე დამნაშავის ხელყოფისას მძიმე პასუხისმგებლობის დაკისრება ადასტურებს, რომ ამ წმინდა ადგილას დანაშაულის ჩადენა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა.

გ. დანაშაულის ჩადენა ნათესავის მიმართ. ძველ ქართულ სამართალში პასუხისმგებლობის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებას ნათესავის მიმართ დანაშაულის ჩადენა წარმოადგენდა. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს: „უმძიმეს შეცოდებად იყო მიჩნეული ყოველგვარი დანაშაულობა: მკვლელობა-დაჭრილობა (იხ. ძეგლის დადება) და ამას გარდა ..... მახლობელ ნათესავთან სქესობრივი კავშირი.....“[2] როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილი გამოყოფს სამ დანაშაულს: მკვლელობას, დაჭრასა და უკანონო სქესობრივ კავშირს, რომელთა ჩადენა ნათესავის მიმართ ამძიმებდა ამ დანაშაულთათვის პასუხისმგებლობას და რაც უფრო ახლო ნათესავი იყო, უფრო მეტად. ქართული სამართლის ძეგლები სწორედ უახლოეს ნათესავების მიმართ ჩადენილი დანაშაულობებისათვის ითვალისწინებდა პასუხისმგებლობის განსაკუთებულ ზრდას. მაგალითად, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდება“ არსებითად ამძიმებდა პასუხისმგებლობას მშობლებისა და ძმის მკვლელობისათვის (შესაბამისად – მე-15, მე-17 მუხლები),[3] ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი კი ძმის მიერ ძმის, ძმის მიერ დის და დის მიერ ძმის მკვლელობისათვის (მუხლები: 81-ე, 82-ე).[4]

მსგავსი ტენდენცია ჩანს XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვითაც.

როგორც მთის, ისე ბარის რეგიონების ჩვეულებით სამართალში პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა

---

[1] რ. გუჯეჯიანი, ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან, თბ., 2008, 101.

[2] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, 204-205.

[3] იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, ტ. I, თბ., 1963, 408-409.

[4] იქვე, 502.

უკანონო სქესობრივი კავშირი ნათესავთან. ნათესავებს შორის სქესობრივ კავშირში, ო. ზოიძის მიხედვით, იგულისხმებოდა სქესობრივი კავშირი სისხლით ნათესავთან (მოგვარესთან), სულიერ ნათესავთან, შეძენილ ნათესავთან (მაგალითად, ძმისცოლი).[1] ასეთი დანაშაულისათვის (განსაკუთრებით, თუ ის უახლოესი ნათესავების მიმართ იყო ჩადენილი) ქართული ჩვეულებითი სამართლით ყველაზე უფრო მძიმე სასჯელები იყო გათვალისწინებული. მაგალითად, მთის რეგიონებში, კეროდ, ფშავში მას შესაძლოა ჩაქოლვაც მოჰყოლოდა.[2] ქსნის ხეობაში დაფიქსირებულ მასალაშიც ჩანს, რომ ნათესავებთან სქესობრივი კავშირის დამყარებისათვის შესაძლოა პიროვნება ჩაექოლათ.[3] იქვე ჩაწერილ მასალაში ვხვდებით შემთხვევას, როდესაც პიროვნება სოფელმა მკაცრად დასაჯა ბიძაშვილის ცოლთან დამყარებული სქესობრივი კავშირისათვის,[4] ხოლო სხვა პიროვნება სოფელს დაუსჯია მხოლოდ იმიტომ, რომ მან ბიძაშვილის ცოლს შესთავაზა სქესობრივი კავშირის დამყარება.[5] ამ შემთხვევებში სოფლის მხრიდან მკაცრი სასჯელი, ცხადია, ნათესაური ფაქტორით იყო განპირობებული.

მსგავს შემთხვევებში პასუხისმგებლობის დამძიმებას ბარის რეგიონებშიც ვხვდებით. XX საუკუნის ბოლოს ჩაწერილ მასალაშიც კი გვხვდება შესაბამისი კონკრეტული შემთხვევები. მაგალითად, მესხეთში ფიქსირდება ჩაქოლვა ნათესავთან სქესობრივი კავშირისათვის.[6] ლეჩხუმელი ინფორმატორის ცნობით, პასუხისმგებლობა მძიმდებოდა ნათესავის, მათ შორის სულიერი ნათესავის გაუპატიურებისათვის.[7] იმერეთის ერთ-ერთი სოფლიდან კი გარებიძაშვილები გააძევეს

---

[1] ო. ზოიძე, სასჯელები (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი" მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1991, 98.

[2] ლ. რაზიკაშვილი, არ დავიწყება ძველისა, თბ., 1984, 16.

[3] მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობა) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1985, 38-39.

[4] იქვე, 27.

[5] იქვე, 8-9.

[6] მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1985, №1, 69.

[7] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 51.

უკანონო სქესობრივი კავშირისათვის.[1] გურიაში დაფიქსირებულია შემთხვევა, როდესაც პიროვნებამ სქესობრივი კავშირი დაამყარა საკუთარ შვილთან. აღშფოთებულ სოფელს მისი სიკვდილით დასჯა სურდა, თუმცა მილიციამ არ მისცა ხალხს ამის შესაძლებლობა.[2] სამეგრელოში (წალენჯიხის რაიონი) პიროვნება სოფლიდან გააძევეს მოგვარის დაფეხმძიმებისათვის.[3] იმავე რეგიონში 50 წლის კაცი სამუდამოდ გაგზავნეს სოფლიდან 17 წლის მოგვარის შეცდენისათვის.[4] არაერთი ინფორმატორი იხსენებს სამეგრელოში მომხდარ ფაქტს, როდესაც ერთმანეთთან სქესობრივი კავშირი დაამყარეს მოგვარეებმა (დ-ბმა, სოფელ ნაფიჩხოვოში). ხალხის გადაწყვეტილებით ორივე სიკვდილით დასაჯეს.[5]

ჩვენს ხელთ არსებული ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, ნათესავის მიმართ დანაშაულის ჩადენა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ჩანს მკვლელობის შემთხვევაშიც. მაგალითად, გურიაში დაფიქირებულია შემთხვევა, როდესაც მამამ მოკლა შვილი სრულიად უმნიშვნელო მიზეზით. სოფელმა მკვლელს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, რაც სოფლის მცხოვრებთა მიერ იქნა აღსრულებული.[6]

აქ მოყვანილი მონაცემები აშკარად მიუთითებს, რომ დანაშაულის ჩადენა ნათესავის, განსაკუთრებით ახლო ნათესავის მიმართ, ქართულ ჩვეულებითი სამართლის მიხედვით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა. ეს, უპირველეს ყოვლისა, სქესობრივ სფეროში ჩადენილ დანაშაულს ეხებოდა, რადგანაც ქართული საზოგა-

---

[1] მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 8-9.

[2] გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 17.

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 14-15.

[4] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 53-54.

[5] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 25-26, 54; ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 67.

[6] ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 1-2.

დება ნათესავებს შორის სქესობრივ კავშირს უკიდურესად ნეგატიურად აღიქვამდა, თუმცა აღნიშნული ფაქტორი, როგორც ჩანს, სხვა დანაშაულების დროსაც ამძიმებდა პასუხისმგებლობას.

დ. დანაშაულის ჩადენა უპასკოს მიმართ. ეს გარემოება ძველ ქართულ სამართალში პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ფაქტორი იყო.[1] შესაბამისი მინიშნება ჩვენს ხელთ არსებულ ქართული ჩვეულებითი სამართლის მონაცემებშიც გვხვდება. მაგალითად, დაფიქსირებულია შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთმა პიროვნებამ მეზობლის შვიდი წლის ბავშვთან, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა დაამყარა სქესობრივი კავშირი. ამის გამო მთელი მისი ოჯახი სოფლიდან იქნა გაძევებული.[2] ამ შემთხვევაში ასეთი მძიმე სასჯელის (დამნაშავესთან ერთად მთელი ოჯახის სამუდამოდ გაძევება) განმაპირობებელი სწორედ დანაშაულის მსხვერპლის მცირეწლოვნობა იყო. ამდენად, ამ მონაცემის საფუძველზეც, ჩვენი აზრით, შესაძლებელია სწორედ მცირეწლოვანთან სქესობრივი კავშირის დამყარება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მივიჩნიოთ, რადგანაც მცირეწლოვნის მიმართ უზნეო საქციელის ჩადენას საქართველოში ყველგან ერთანირად, უკიდურესად ნეგატიურად აღიქვამდნენ და პასუხისმგებლობის ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე საზოგადოების მიერ დაკისრებისას ყველაზე უფრო მძიმე სასჯელების გამოყენებას ექნებოდა ადგილი.

ე. მოკლულის ან დასახიჩრებულის მოკვეთილი სხეულის ნაწილის დაკარგვა. აღნიშნული გარემოება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მხოლოდ და მხოლოდ ხევსურეთში დაფიქსირებულ მასალებში გვხვდება. ამას არაერთი ხევსური ინფორმატორი ადასტურებს. ერთ-ერთი მათგანის თქმით, თუ მკვლელობისას მკვლელი მოკლულს თავს მოჰკვეთს და ადამიანი უთაოდ დაიმარხება, მკვლელს ორი თავი ედება, ე. ი. თუ კაცს თავი მოკვეთე, ხოლო ჭირისუფალმა მხოლოდ უთავო გვამი ნახა, თავი ვერ იპოვნა და ისე მიაბარა მიწას, იგი სისხლს ორმაგად იძიებს, შესაბამისად, თუ შერიგებაზე მიდგება საქმე, 120 ძროხას გადაიხდის.[3] მეორე ინფორმატორის განმარტებით, თუ პიროვნებას მოკვეთდნენ სხეულის გარკვეულ ნაწილს: ცხვირს,

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., 205.

[2] ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 67.

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 81.

ყურს, თითებს (გარდა კბილისა) და ისინი დაიკარგებოდა, დაჭრა-დასახიჩრებისათვის გათვალისწინებული საზღაურის გარდა, სწორედ იმიტომ, რომ მოკვეთილი სხეულის ნაწილები დაიკარგა, დამატებით 5 ძროხა უნდა გადაეხადა.[1] ერთ-ერთ ინფორმატორს კონკრეტული შემთხვევაც მოჰყავს, როდესაც დაჭრა-დასახიჩრებისას, დამნაშავეს დაზარალებულის სასარგებლოდ 25 ძროხის გადახდის გარდა 5 ძროხა დამატებით დააკისრეს, იმის გამო, რომ დაზარალებულის მოკვეთილი თითები ველარ იპოვეს.[2] იმავე ინფორმატორის განმარტებით, თავდაპირველად, სხეულის ნაწილის დაკარგვისათვის დამატებითი პასუხისმგებლობის დაკისრება ხევსურეთში მკვლელობის საქმეზე გადაუწყვეტიათ, ხოლო შემდეგ დასახიჩრების შემთხვევებზეც გაუვრცელებიათ.[3]

ამრიგად, მოტანილი მონაცემების მიხედვით, შესაძლოა ვთქვათ, რომ ხევსურული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, მოკლულის თუ დასახიჩრებულის მოკვეთილი სხეულის ნაწილების დაკარგვა, ვერ მოძიება, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა და მკვლელობისა და დაჭრა-დასახიჩრებისათვის გათვალისწინებული გადასახადის გარდა დამნაშავისათვის დამატებითი საზღაურის გადახდას ითვალისწინებდა. ცალსახად ჩანს, რომ დასახიჩრებულის მოკვეთილი სხეული ნაწილის (ცხვირის, ყურის, თითების) დაკარგვის შემთხვევაში, დამატებით 5 ძროხის გადახდა იყო დადგენილი. მოკლულისათვის თავის მოკვეთისა და მოკვეთილი თავის დაკარგვის შემთხვევაში (ანუ, მოკლულის თავის გარეშე დასაფლავებას თუ ექნებოდა ადგილი), პასუხისმგებლობა ორმაგდებოდა. სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში არ ჩანს, თუ რამდენად მოიმატებდა მკვლელობისათვის დაწესებული გადასახადი, თუ ადგილი ექნებოდა მოკლულისათვის არა თავის, არამედ ხელის, ყურის თუ თითების მოკვეთას და მათ გარეშე მოკლულის დასაფლავებას.

ვ. ქურდობა ბინაში შეღწევით თუ გაქურდულისათვის შეურაცხყოფის მიყენებით. ქურდობაში სხვისი ქონების ხელყოფის ყველანაირ საშუ-

[1] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, 87.

[2] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 7.

[3] იქვე.

ალებას ვგულისხმობთ. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში მცხოვრები ინფორმატორები პირდაპირ მიუთითებენ, რომ, როდესაც ადგილი ჰქონდა ქურდობას ბინის გატეხვით, ძარცვა-ყაჩაღობით, გაქურდულისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებით, პასუხისმგებლობა მძიმდებოდა.[1] ერთ-ერთი მეგრელი ინფორმატორის ცნობით, ბინაში შეღწევით ქურდობისას ქურდის მიმართ შესაძლოა გარკვეული ფიზიკური ზემოქმედება განხორციელებულიყო, ხოლო საქონლის მოპარვისას (ანუ როდესაც ქურდობა ბინაში შეღწევასთან არ იყო დაკავშირებული) ასეთი რამ არ ხდებოდა და მხოლოდ ნაქურდალის ანაზღაურებას ექნებოდა ადგილი.[2] ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს გარკვეულ რეგიონებში ქურდობა ბინაში შეღწევით, გაქურდულისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებით, ყაჩაღობით, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა.

სვანეთსა და ხევსურეთში ქურდობისას ბინაში შეღწევის ფაქტის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას არ წარმოადგენდა, რადგანაც სახლის პატრონის უნებართვოდ სახლში ნებისმიერი ხერხით შესვლა უკვე დამთავრებული დანაშაული იყო და ქურდობისას პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას არ წარმოადგენდა. აღნიშნულ საკითხს ჩვენ ზემოთ შევეხეთ და ახლა მასზე აღარ შევჩერდებით.[3]

ზ. სხვა დამამძიმებელი გარემოებები. ხევსურეთში დაფიქსირებულ მასალებში არის გარკვეული მონაცემები პასუხისმგებლობის დამამძიმებელ კიდევ ზოგიერთ გარემოებაზე, თუმცა ისინი ძალზედ მწირია. მიუხედავად ამისა, გადავწყვიტეთ მათ შესახებ ორიოდე სიტყვით საუბარი. კერძოდ, გ. თედორაძე აღნიშნავს, რომ „თუ მკვლელმა მოკლულს დაჰკვლია (შეხედა, უყურა), მაშინ მას სასჯელი ემატება.“[4] როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, მკვლელის მიერ მოკლულის ყურება უკიდურესად შეურაცხმყოფელ საქციელად ითვლებოდა, რის გამოც შესაძლებელი იყო პასუხისმგებლობის დამძიმება. ასეთი მონაცემი

[1] ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 63; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეულ, 1989, 39.

[2] ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 63.

[3] იხ. თავი 6.1.

[4] გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ, 1930, გვ. 115.

ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში მხოლოდ და მხოლოდ გ. თედორაძესთან გვხვდება. მის მიხედვით ჩვენ ვერ ვიგებთ, თუ რა ოდენობით ხდებოდა ასეთ შემთხვევაში მკვლელობისათვის გათვალისწინებული სასჯელის ზრდა, რაც მის არასრულყოფილებაზე მეტყველებს.

მკვლელის დამოკიდებულება მოკლულისადმი სვანურ ჩვეულებით სამართალშიც ჩანს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების განმაპირობებლად. კერძოდ, რ. ხარაძის მიხვევით, სვანურ ჩვეულებით სამართალში წორის ოდენობა იზრდებოდა, როდესაც მკვლელი მკვლელობის შემდეგ მიცვალებულს შეურაცხყოფას მიაყენებდა — ხანჯლით, ან სხვა იარაღით დაამახინჯებდა, დასცინებდა.[1]

გ. თედორაძის და რ. ხარაძის აქ მოტანილი მონაცემები (შესაბამისად ხევსურეთისა და სვანეთის სინამდვილიდან) მიუთითებს, რომ ქართულ ჩვეულებით სამართალში შესაძლებელია საუბარი ისეთ დამამძიმებელ გარემოებაზე, როგორიცაა **მკვლელის მიერ მოკლულის შეურაცხყოფა.**

კიდევ ერთ დამამძიმებელ გარემოებაზე შეიძლება საუბარი ხევსურული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, რ. ხარაძის მონაცემის საფუძველზე. კერძოდ, მისი განმარტებით: „ქალის ხელის მოჭრა არაფრით ნაზღაურდება და აუცილებლად სისხლის აღებას მოითხოვს.“[2] რ. ხარაძის ამ ცნობიდან გამომდინარე, შესაძლოა, **ხელის მოკვეთა ქალისათვის** პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მივიჩნიოთ. ცნობილია, რომ ხევსურეთში ხელის მოკვეთა ქონებრივ საზღაურს იწვევდა და ამ საზღაურის ოდენობაც დადგენილი იყო.[3] რ. ხარაძის მონაცემის მიხედვით კი ქალისათვის ხელის მოკვეთა არა ქონებრივ საზღაურს, არამედ უფრო მძიმე პასუხისმგებლობას, კერძოდ, სისხლის აღებას იწვევდა, მისგან გამომდინარე უმძიმესი შედეგებით. პასუხისმგებლობის გაზრდა კი განპირობებული იყო იმით, რომ აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება სწორედ ქალის მიმართ იყო განხორციელებული. რითი უნდა ყოფილიყო პასუხისმგებლობის ასეთი დამძიმება ქალის მიმართ ჩადენილი ამ დანაშაულისათვის, ძნელი სათქმელია, მაშინ როდესაც ქალის მკვლელობისათვის პასუხისმგებლობა ხევსურეთში, მამაკაცის მკვლელობისათვის გათვალ-

[1] რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, გვ. 31.

[2] რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები“, ტ. I, 1947, გვ. 176.

[3] რ. ხარაძე, იქვე მიუთითებს, რომ ხელი თავსისხლის ნახევრად იყო შეფასებული (იქვე).

ისწინებულ პასუხისმგებლობასთან შედარებით განახევრებული იყო. სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში სხვა ანალოგიური მონაცემი არ გვხვდება (ამის მიზეზი ისიც შეიძლება იყოს, რომ ქალისათვის ხელის მოკვეთას იშვიათად თუ ექნებოდა ადგილი). რ. ხარაძე კი სათანადო განმარტებას არ გვაძლევს. ცხადია, რ. ხარაძის მონაცემი უაღრესად სანდოა და ხევსურეთში (ან მის რომელიმე ნაწილში) ასეთი ნორმის მოქმედებას ადგილი ექნებოდა. სავარაუდოდ, ქალისათვის ხელის მოკვეთა უაღრესად დამამცირებელი იქნებოდა ქალის უახლოესი ნათესავებისათვის და ამით უნდა ყოფილიყო განპირობებული სწორედ ქალისთვის ხელის მოკვეთისას მამაკაცის ხელის მოკვეთასთან შედარებით პასუხისმგებლობის დამძიმება.

* * * * * * * * * * * *

ერთი შეხედვით, ქართული ჩვეულებითი სამართლის ცალკეული მასალების მიხედვით ჩანს, რომ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა ორსული ქალის მკვლელობა. შესაბამისი მონაცემები გვხვდება ხევსურულ და სვანურ ჩვეულებით სამართალში. მაგალითად, ალ. ოჩიაური მიუთითებს, რომ ხევსურეთში ორსული ქალის მკვლელობისათვის დამნაშავეს უნდა გადაეხადა ქალის მკვლელობისათვის გათვალისწინებული თავისისხლის ნახევარი – 30 ძროხის დრამა (კაცის მკვლელობისათვის 60 ძროხა იყო გათვალისწინებული) და გარდა ამისა, რაკი მოკლული ქალი ორსული იყო, დამატებით გადაიხდიდა 30 ძროხის დრამას, მიუხედავად იმისა, ბავშვი ბიჭი იყო თუ გოგო.[1] დამატებითი გადასახადის გადახდას ქალის მკვლელობისას, მისი ორსულობის გამო, ეხვდებით სვანეთშიც. ა. დავითიანი წერს, რომ ადამიანის მოკვლისათვის, მიუხედავად იმისა, მსხვერპლი ქალი იყო, კაცი თუ ბავშვი, ერთნაირი გადასახადი არსებობდა, ორსული ქალის მკვლელობისას კი მუცლად მყოფი ბავშვის სულიც ადამიანის სულად იყო ჩათვლილი და მედიატორებს შეეძლოთ წორი (გადასახადი მკვლელობისათვის) შესაბამისად გაეღიდებინათ ერთი ადამიანის წორთან შედარებით.[2]

---

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, ხელნაწერი, რვეული №1, 11.

[2] ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რვეული №6, 94.

აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ადამიანის მკვლელობისათვის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, ქონებრივი საზაღური იყო დაწესებული, ორსული ქალის მკვლელობისას მკვლელის პასუხისმგებლობა იზრდებოდა.

ჩვენი აზრით, ორსული ქალის მკვლელობისათვის დამატებითი გადასახადის გადახდა განხილულ უნდა იქნეს არა როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, არამედ, როგორც ობიექტური შერაცხვის პრინციპიდან გამომდინარე, ორი ადამიანის მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის დაწესება. ა. დავითიანის მიხედვით, როცა ქალს მუცელში ბავშვი გაეინძრეოდა, იგი ორ სულად, ორ ადამიანად ითვლებოდა — მუცლის ბავშვის სულიც ადამიანის სულად იყო ჩათვლილი და მედიატორები მისი სისხლის ფასის ასანაზღაურებლად ცალკე იმსჯელებდნენ.[1] ალ. ოჩიაურის მიხედვითაც, ქალის სისხლი 30 ძროხად რჩებოდა და მას ემატებოდა მუცლად მყოფი ბავშვისათვის საზღაური.[2] ამდენად, სვანური თუ ხევსურული სამართლის მიხედვით, სრულიად შესაძლებელია, რომ ორსული ქალის მკვლელობისათვის ზედმეტი გადასახადი არა პასუხიმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად განვიხილოთ, არამედ ორი ადამიანის მკვლელობად.

ახლა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და გამომრიცხავ გარემოებებს შევეხებით. მასალების მიხედვით პასუხისმგებლობის შემდეგ შემამსუბუქებელ და გამომრიცხავ გარემოებებს ვხვდებით:

ა. დანაშაულის ჩადენა განზრახვის გარეშე. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ქართულ ჩვეულებით სამართალში გვევლინება დანაშაულის ჩადენა განზრახვის გარეშე. იგი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად საქართველოს იმ რეგიონებშიც კი გვევლინება, სადაც ობიექტური შერაცხვის ელემენტები შემორჩა. მაგალითად, ხევსურეთში, როგორც ბრალის საკითხზე საუბრისას აღვნიშნეთ, არაგანზრახი მკვლელობისას პასუხისმგებლობის შემსუბუქება არ ხდებოდა, თუმცა არაგანზრახი დაჭრის შემთხვევაში სასჯელი ნახევრდებოდა.[3] შემთხვევითი დაჭრისას, დაზარალე-

---

[1] ა. დავითიანი, იქვე.

[2] ალ. ოჩიაური, იქვე.

[3] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, გვ. 18-19, 61; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 54.

ბულს შესაძლოა საერთოდ ეპატიებინა დამნაშავისათვის ჩადენილი დანაშაული,[1] რაც იმას მიუთითებებს, რომ ხევსურეთშიც, ხალხის ცნობიერებაში, არაგანზრახ დანაშაულის ჩადენა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება იყო.

საქართველოს სხვა კუთხეების ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, დანაშაულის ჩადენა განზრახვის გარეშე პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას რომ წარმოადგენდა, ეს კარგად გამოჩნდა ჩვენ მიერ ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ბრალის საკითხის განხილვისას[2] და ამ თემას აქ აღარ შევეხებით.

ბ. დამნაშავის მძიმე ოჯახური მდგომარეობა. ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით პასუხისმგებლობის დაკისრებისას, მონაცემების მიხედვით, შესაძლებელია, კონკრეტულ შემთხვევაში გათვალისწინებული ყოფილიყო დამნაშავის მძიმე ოჯახური მდგომარეობა. ამის დამადასტურებელი რამდენიმე ფაქტი მოგვეპოვება. გ. თედორაძეს ხევსურეთის სინამდვილიდან მოჰყავს შემთხვევა, როდესაც ცილისწამებისათვის სამედიატორი სასამართლომ ქალს შეუფარდა 16 ძროხა დრამის გადახდა, მაგრამ მედიატორებმა მხედველობაში მიიღეს მისი ობოლ-ქვრივობა და დაკისრებული გადასახადი საგრძნობლად შეუმცირეს.[3] მეორე შემთხვევა გურიაშია დაფიქსირებული. 1920-იან წლებში გურიის ერთ-ერთი სოფლიდან გადაწყვიტეს სუსტი ყოფაქცევის ქალის, ნ. რ.-ს გაძევება. როდესაც სოფლის ყრილობაზე დაისვა ეს საკითხი, სოფლის რამდენიმე მცხოვრებმა დაიცვა ეს ქალი და ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ ამ ქალს არ ჰყავდა ქმარი, პატრონი და მარტო ზრდიდა ოთხ შვილს. სოფელმა გაითვალისწინა ეს გარემოება და შეუმსუბუქა ქალს პასუხისმგებლობა.[4] როგორც ვხედავთ, ამ ორივე შემთხვევაში, სასამართლო ორგანომ (შესაბამისად, სამედიატორი სასამართლომ და სოფლის ყრილობამ)

---

[1] ალ. ოჩიაურს მოჰყავს კონკრეტული ფაქტი, როდესაც შუღლში მონაწილე პიროვნებამ დაჭრა გამშველებელი. ამ უკანასკნელმა აპატია დამჭრელს სწორედ იმ მოტივით, რომ დაჭრა შემთხვევით მოხდა (ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/3, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 67).

[2] იხ. თავი 4.4.

[3] გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ, 1930, 119.

[4] ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეჟუ-ლი №2, 1989, 15.

პასუხისმგებლობის შემსუბუქება მოახდინა დამნაშავის მძიმე ოჯახური მდგომარეობის გამო, რაშიც ნაგულისხმევი იყო დამნაშავის ობოლ-ქვრივობა, მცირეწლოვანი შვილების ყოლა. ეს შემთხვევები მიუთითებს, რომ დამნაშავის მძიმე ოჯახური მდომარეობა შესაძლოა ჩათვლილიყო პასუხისმგებლობის შემამცირებელ გარემოებად. ნიშანდობლივია, რომ ორივე შემთხვევაში სასამართლომ მძიმე ოჯახური მდგომარეობა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია ქალის მიმართ. დამნაშავე მამაკაცის მიმართ მძიმე ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში არ გვხვდება, რაც, სავარაუდოდ, მიუთითებს, რომ ეს ნაკლებად შესაძლებელი იყო, მით უმეტეს მთის რეგიონებში, სადაც ვაჟკაცის შეცოდება შეურაცხმყოფელიც კი იყო.

გ. დანაშაულის მონანიება. ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით დანაშაულის მონანიება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას რომ წარმოადგენდა, ჩვენს ხელთ არსებული კონკრეტული მაგალითებით დასტურდება. მაგალითად, იბ. აბაშიძის მიხედვით აჭარაში მრუშ ქალს ჩაქოლავდნენ, ხოლო თუ დანაშაულს მოინანიებდა, მისი ქვებით ჩაქოლვა გაროზგვით იცვლებოდა.[1] ამ მაგალითში კარგად ჩანს, რომ დანაშაულის აღიარება პირდაპირ იყო დაკავშირებული პასუხისმგებლობის შემცირებასთან. ამ შემთხვევაში სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა — სასჯელის შედარებით მსუბუქი სახეობით — გვემითი სასჯელით — იცვლებოდა.

სვანეთში კი დანაშაულის მონანიება შესაბამისი რიტუალის ჩატარებით, შესაძლოა ასევე, პასუხისმგებლობის შემსუბუქების საწინდარი გამხდარიყო. მ. ჩართოლანს მოჰყავს კონკრეტული შემთხვევის მონაწილის მონაყოლი: „ორმა კაცმა მოვკალით ტ-შერების ერთი კაცი და დავჭერით ი. ჯ-ძე. მე ვესროლე რევოლვერი და მკერდში მოვარტყი, ძალიან მაგრად იყო დაჭრილი, მაგრამ მორჩა..... შევრიგდით..... ი. ჯ-სთან სახლში მივედი სავედრებლად. კერიას ქვეშ მინდოდა გაძრომა, მაგრამ მაპატიეს და კერას შემოუარე სამჯერ მარჯვნივ ჩოქვითა და ხვეწნით. ქუდი მოვიხადე და კერის ფეხს სამჯერ ქვევიდან გარშემოვუარე. ასეთი მოქმედება ერთ ხარად და

[1] იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ფონდი №455, 1965, ბათუმი, 42.

ძროხად ფასდებოდა. მე წორის ნახევარი მაინც გადამხდებოდა, მაგრამ მხოლოდ მეოთხედი გამომართვეს ხვეწნა-მუდარის გამო."[1] ამ შემთხვევაშიც, როგორც ინფორმატორი მიუთითებს, მისი პასუხისმგებლობა შემცირდა (ერთი ხარით და ძროხით) სწორედ იმის გამო, რომ მან მოინანია დანაშაული და სვანეთის დამახასიათებელი შესაბამისი რიტუალი შეასრულა, რაც კერიის ირგვლივ ჩოქვით შემოვლაში გამოიხატა. კერიის ირგვლივ ჩოქვით შემოვლა, კერიის ქვეშ გაძრომა[2] დამნაშავის მიერ უდიდესი ხვეწნა-მუდარის, დანაშაულის მონანიების გამომხატველი იყო დაზარალებულის მიმართ.

სვანეთში დანაშაულის მონანიების თავისებური რიტუალი გვხვდება საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემთხვევაშიც. ამ თვალსაზრისით ძალზედ საინტერესო ცნობას გვაწვდის ეგ. გაბლიანი: ვინმე ციოყ გარდაფხაძემ უშგულში ყოფნისას ადგილობრივ მცხოვრებ ჯამთა ჭელიძეს შესთავაზა სხვა ორ უშგულელთან ერთად წაჰყოლოდნენ მას ნალჩიკში, სადაც იმ დროს (დაახლოებით XIX საუკუნის შუა ხანებში) იმყოფებოდა კავკასიის მთავარმართებელი. ციოყი მათ დიდ საჩუქრებს შეჰპირებია. ციოყი სამ უშგულელთან ერთად მთავარმართებელს პიატიგორსკში შეხვედრია, სადაც ეს უკანასკნელი ამ დროს წასულა. ციოყმა ეს სამი უშგულელი მთავარმართებელს წარუდგინა, როგორც უშგულის თემის წარგზავნილები უშგულის თვითმპყრობელობის ქვეშერდომობაში მიღების სათხოვად. ეს თურმე ძალიან ესიამოვნა მთავარმართებელს და მან თითოეულ უშგულელს 50 მანეთი აჩუქა და ასე გამოისტუმრა სამშობლოში. უშგულის გლეხობა უკიდურესად აღაშფოთა ამ ფაქტმა და მათ გადაწყვიტეს ამ სამი უშგულელის სასტიკად დასჯა. ჯამთას და მის ამხანაგებს გაუგიათ ეს, ჩუმად შესულან უშგულში და ღვთისმშობლის (ლამარიას) ეკლესიის კარებისთვის მიუბავთ სამი ხარი. მეორე დღეს მთელ უშგულის საზოგადოებას თავი მოუყრია ეკლესიის გალავანში. ჯამთა და მისი ამხანაგები დაჩოქილები წარდგომიან ხალხის წინაშე და ხალხისთვის პატიება უთხოვიათ. ეკლესიის კარებზე ხარების შებმის გამო უშგულელებს სვანური ჩვეულება დამნაშავეთა დასჯის საშუალებას არ აძლევდა და ამიტომ დამნაშავეებს დანაშაული აპატიეს, ხოლო სამი ხარი იქვე დაკლეს და მირთვეს.[3] ეს კონკრეტული შემთხვევა გვიჩვენებს, რომ მონანიების

[1] მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1961, 141.

[2] იხ. მ. ჩართოლანი, იქვე, 143-144.

[3] ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, ტფ., 1927, 48.

შემთხვევაში, სვანეთში პიროვნება შესაძლოა გათავისუფლებულიყო პასუხისმგებლობისაგან ისეთი უმძიმესი დანაშაულის შემთხვევაში, როგორიც თემის ღალატია. ამისათვის აუცილებელი იყო, რომ დამნაშავეს ეკლესიის კარებზე ხარი შეება და ხალხის წინაშე დაეწოქა. მონანიების ცერემონიალის ეკლესიის გალავნის შიგნით ასეთი სახით შესრულება, როგორც ვხედავთ, დამნაშავის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი იყო, რაც მონანიების, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოების შესახებ მიუთითებს. რ. გუჯეჯიანი აღნიშნავს, რომ სვანეთში შემონახული ჩვეულება დამნაშავის მიერ რომელიმე ეკლესიის კარებთან ხარის მიბმისა (შესაწირად), რასაც „შეხვეწას“//„შევედრებას“ ეძახიან, ძველქართული საკანონმდებლო ძეგლებიდან მომდინარეობს.[1] ტერმინები „შეხვეწა“//„შევედრება“ სწორედ დანაშაულის მონანიების მაჩვენებელია.

დ. დანაშაულის ჩადენა ნათესავის მიმართ. ნათესავის მიმართ დანაშაულის ჩადენა ჩვენ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად განვიხილეთ. ეს ძირითადად სქესობრივ სფეროში ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით ფიქსირდება, ასევე მკვლელობისას. ნათესავის მიმართ დანაშაულის ჩადენა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა მხოლოდ საჯარო ხასიათის დანაშაულებისას. ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, დანაშაულის ჩადენა ნათესავის მიმართ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ, თუ გამომრიცხავ გარემოებას წარმოადგენდა კერძო ხასიათის დანაშაულებისას, ძირითადად, მკვლელობისას და დაჭრისას და აქედან გამომდინარე იმ რეგიონებში, სადაც მკვლელობა ჩვეულებითი სამართლის მიხედვით კერძო სამართალდარღვევად აღიქმებოდა.

ამ თვალსაზრისით საინტერესო ცნობას გვაწვდის ნ. ხიზანაშვილი. იგი წერს: „ზევსურულმა სამართალმა ცოლის და შვილის მოკვლისათვის სისხლი როდი იცის, ან დანაშაულობისათვის მცირედი გადასახადია დაწესებული; ქმარმა რომ ცოლი მოკლას და მამამ შვილი, „დედულებს“ ხუთს ძროხას მისცემს და საქმე ამით გათავდება. ვინც ჩვენის ძველის ოჯახის წყობილობა იცის, იმისათვის ეს მოვლენა ადვილი გასაგებია, ზევსურს თავისი ოჯახი კერძო საკუთრებად მიაჩნია, იგი სრული ბატონია ცოლ-შვილისა.“[2] მსგავს

[1] რ. გუჯეჯიანი, ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან, თბ., 2008, 102. აღნიშნული ჩვეულების ძველქართული საკანონმდებლო ძეგლებიდან მომდინარეობის შესახებ იხ. იქვე, გვ. 101.

[2] ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 48.

ცნობას გვაწვდის ალ. ოჩიაურიც: „ქალს თუ თავისი ქმარი მოკლავდა, ქალის მამისახლს ერთ საკლავს დაუკლავდა, დანარჩენი თავი იკარგებოდა“.[1] ალ. ოჩიაურის ცნობით, შვილის მიერ მამის მკვლელობის შემთხვევაში კი, მეორე შვილი ძმას ნახევარ სისხლს გადაახდევინებდა.[2] ფშავთან დაკავშირებით აღნიშნულ ტენდენციას ვაჟა-ფშაველა ეხმაურება: „სისხლის აღებას გვარეულობის წრეში ალაგი არა ჰქონდა: კაცი, მკვლელი თავის ნათესავისა, განთავისუფლებული იყო სისხლის ზღვევიდამა და ალმანიიდამაც.[3] საგვარეულოში სისხლის აღება წესად არ იყო. მამას შეეძლო შვილი მოეკლა დაუსჯელად, ძმას — ძმა, „თავსისხლს“ იმათ არავინ მოსთხოვდა, თემი იმათ პასუხისგებაში ვერ მისცემდა, მაგრამ ღირსება მათი კი დამცირებული იყო ხალხის თვალში.....“[4] მსგავსი ნორმები სვანეთისთვისაც იყო დამახასიათებელი. ბ. ნიჟარაძე წერს: „თემში (მხედველობაშია გვარი) სიკვდილის, მძიმედ დაჭრის და ცოლის წართმევის მეტს ყველაფერს შეუნდობდნენ ერთმანეთში. თუ ვინიცობაა თემობაში ზემოდ ნახსენები სამი მძიმე დანაშაულობა მოხდებოდა, საქმეს თემივე გაათავებდა „თემურად“, თემის წესით და არა გარეშე კაცების შემწეობით. თემობაში მილებულის წესით, დაჩაგრულს წევრს თემისას მიესჯებოდა ნახევარი იმ ჯარიმისა, რომელიც გარეშე მოჩხუბარ პირებთა შორის იყო ჩვეულებრივის მართლიერებით“.[5] აჭარაში ჩაწერილ მასალაში ვხვდებით შემდეგ ინფორმაციას: „როცა ოჯახის წევრი მოკლავდა, ასეთ დროს შურისძიება არ ხდებოდა“.[6] მ. კეკელიას მოხევე ინფორმატორის ცნობით კი, „ძმის მკვლელობისათვის რაიმე სჯული არაა, არც მოსანანიებლად გვაქვს რაიმე წესი.“[7] ახლა გავაანალიზოთ ეს მონაცემები კიდევ ზოგიერთი სხვა მონაცემის მოშველიებით.

როგორც დავინახეთ, აჭარაში ოჯახის წევრის მკვლელობა არ

---

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, ხელნაწერი, რვეული №2, .13

[2] იქვე.

[3] ალმანიის შესახებ დაწვრილებით იხილეთ თავი 8.2.8.

[4] ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964, 63.

[5] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, 107.

[6] ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 24.

[7] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №3, 27.

იწვევდა პასუხისმგებლობას, თუმცა არაოჯახისწევრ ნათესავთა შორის მკვლელობა ჩვეულებრივ სისხლის აღების წესს ექვემდებარებოდა და შერიგება უფრო ადვილი იყო.[1] ამრიგად, აჭარაში არაოჯახისწევრი ნათესავის მკვლელობა არ იწვევდა პასუხისმგებლობის პირდაპირ შემსუბუქებას, თუმცა შერიგების გაადვილება ამ შემთხვევაში, მაინც შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც პასუხისმგებლობის შემსუბუქების გამოხატულებად.

ვაჟა-ფშაველას მიხედვით ფშავში, გვარის შიგნით მომხდარი მკვლელობა არ იწვევდა სისხლის აღებას, მამის მიერ შვილის, ხოლო ძმის მიერ ძმის მკვლელობისას კი დამნაშავეს მხოლოდ მორალური პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, ანუ ოჯახის წევრის მკვლელობა საერთოდ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას იწვევდა, ხოლო გვარის შიგნით მკვლელობისას სისხლის აუღებლობა პასუხისმგებლობის შემსუბუქების მაჩვენებელია.

როგორც ბ. ნიჟარაძესათან გამოჩნდა, თემის (გვარის, სამხუბის) შიგნით ჩადენილი დანაშაული ბალსზემო სვანეთში არანაირ პასუხისმგებლობას არ იწვევდა, რაც მოითითებს, რომ ნათესავის მიმართ დანაშაულის ჩადენა ფაქტობრივად პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებას წარმოადგენდა. გამონაკლისია სამი უმძიმესი დანაშაული — მკვლელობა, მძიმე დაჭრა და ცოლის წართმევა. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობის საერთოდ გამორიცხვა არ ხდებოდა, თუმცა ამ დანაშაულებს გვარის შიგნით შურისძიება არ მოჰყვებოდა, მას გვარის მესვეურები განიხილავდნენ და დამნაშავეს ამ დანაშაულებისათვის გათვალისწინებული ქონებრივი საზღაურის ნახევარს დააკისრებდნენ. ეს კი მიუთითებს, რომ აღნიშნული დანაშაულების ჩადენა ნათესავის მიმართ (გვარის შიგნით) პასუხისმგებლობას არსებითად ამცირებდა. მ. კოვალევსკის მიხედვით, სვანეთში მამა-შვილის, შვილი მშობლის, ხოლო ძმა ძმის მკვლელობისას სისხლს არ გადაიხდიდა, იმ მოტივით, რომ გვარს თავის თავზე შურისძიება არ შეუძლია,[2] ანუ

[1] იხ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ფონდი №455, 1965, ბათუმი, 19.

[2] М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890., 34-35, 118. რ. ხარაძის მიხედვით, ძმა რომ ძმას მოკლავდა, მაშინ მას მარჯვენა მკლავზე წერილი, აბაზიანების ოდენა გახვრეტილი ქვებისაგან გაკეთებულ საბელს ჩამოკიდებდნენ. ეს უკანასკნელი ჩადენილი დანაშაულის გამომხატველი იყო და ცოდვის მოსანანიებელ საშუალებას წარმოადგენდა (რ. ხარაძე, სახალხო მმართ-

ოჯახის წევრის მკვლელობა პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებას წარმოადგენდა.

ნათესავის მკვლელობა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას რომ წარმოადგენდა, ჩანს მ. კეკელიას მიერ ბალსზემო სვანეთში XX საუკუნის 60-70-იან წლებში ჩაწერილ მასალებშიც.

ერთ-ერთი ინფორმატორი მიუთითებს, რომ ძმის მიერ ძმის, ან მამის მიერ შვილის მკვლელობისას, რაიმე სასჯელი არ არსებობს. ერთი გვარის შიგნით სახლიკაცები თუ მოკლავენ ერთმანეთს, მათი შერიგება მოხდება, სისხლის აღება არ შეიძლება.[1] მეორე ინფორმატორის მიხედვითაც, ერთი გვარის ან ნათესავთა შორის თუ მოხდა მკვლელობა, სისხლის აღებამდე არ მიდის საქმე. მისი თქმით, იგულისხმება, რომ ასეთი მკვლელობა იქნება უნებლიე, ამდენად, შეიძლება სულ არაფერი დაეკისროს დამნაშავეს, ან არადა ნახევარი წორი გააჩინონ მორვებმა."[2]

ეს მონაცემები ადასტურებს, რომ ისეთი უახლოესი ნათესავის მკვლელობა, როგორიცაა შვილი და ძმა, სვანეთში პასუხისმგებლობას არ იწვევდა (მათ შორის არც ქონებრივს), ხოლო მოგვარის (სამხუბის წევრის) მკვლელობისას არ ხდებოდა სისხლის აღება. რაც შეეხება მოგვარის მკვლელობისათვის გადასახდელ ქონებრივ საზღაურს, მ. კეკელიას ინფორმატორიც ადასტურებს მისი განახევრების შესაძლებლობას და მეტიც, უშვებს მის საერთოდ გამორიცხვას, ასეთი მკვლელობის უნებლიეთ ჩადენის გათვალისწინებით. მ. კეკელიას მასალებში ასეთი კონკრეტული შემთხვევა გვხვდება: პიროვნებას XX საუკუნის 30-იან წლებში შემთხვევით შემოაკვდა თავისი ბიძაშვილი, მკვლელი აიყარა უშგულიდან და სხვაგან გადასახლდა. შემდეგ მოხდა შერიგება. მკვლელი მოკლულის ოჯახში მივიდა მონანიების ნიშნად კისერზე ჩამოკიდებული ქვით და მიიტანა საჩუქრები (ხარები, ძროხები და სხვა). ეს ქვა სამი წელი ჰქონდა კისერზე ჩამოკიდებული და უშგულში აღარ დაბრუნებულა

ველობის სისტემა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, 1953, გვ. 170. ამ მონაცემშიც ჩანს, რომ სვანეთში ძმის მიერ ძმის მკვლელობა მკვლელის მხოლოდ მორალურ პასუხისმგებლობას იწვევდა.

[1] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №3, 1968, 10.

[2] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №4, 1968, 61.

საცხოვრებლად, თუმცა ჭირსა და ლხინში მოკლულის ოჯახში მიდიოდა.[1] ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ მკვლელს ფაქტობრივად მკვლელობისათვის გათვალისწინებული საზღაურის (წორის) გადახდა არ დაჰკისრებია სწორედ იმის გამო, რომ მან ეს დანაშაული ჩაიდინა ბიძაშვილის მიმართ და ისიც უნებლიეთ.

სვანეთში ქმრის მიერ ცოლის მკვლელობა, განსხვავებით ხევსურეთისაგან, ჩვეულებრივ სისხლის აღებას იწვევდა, ხოლო დაჭრა — პასუხისმგელობას. ბ. ნიჟარაძე მიუთითებს, რომ სვანეთში ქმარს არ ჰქონდა უფლება მოეკლა ან დაეჭრა ცოლი. მკვლელობის შემთხვევაში ცოლის მშობლები, ძმები, ახლო ნათესავები სისხლს აიღებდნენ, ანდა შესაბამის წორს მიიღებდნენ, დაჭრის შემთხვევაში კი საქმე ჩვეულებრივ იმ წესით განიხილებოდა, რაც გარეშე პირთათვის იყო გათვალისწინებული.[2] მკვლელობასთან დაკავშირებით იმავე ჩანს მ. კეკელიას მიერ დაფიქირებულ მასალებშიც, რასაც მისი ერთ-ერთი ინფორმატორი მიუთითებს.[3] მეორე ინფორმატორიც ადასტურებს ამას: „ქმარმა თუ ცოლი მოკლა, მაშინ სისხლის აღებაზე მიდგება საქმე, ხოლო თუ მორიგდნენ წორს აიღებს ცოლის პატრონი“.[4] სხვაგვარად ჩანს საქმე ქმრის მიერ ცოლის დაჭრისას. კერძოდ, ინფორმატორის მიხედვით, ქმრის მიერ ცოლის დაჭრის შემთხვევაში, თუ აღნიშნულის შედეგად მათი დაცილება არ მოხდა, ქმარს არაფერი გადახდება. ხოლო თუ ქმარი გააგდებს ცოლს, გადაიხდის იმის მიხედვით, თუ როგორი დაზიანება მიაყენა მას. ათი წლის შემდეგაც რომ გააგდოს, ნაცვრიელთან ერთად ჭრილობის ფასიც იანგარიშება, ხოლო თუ ქალი თავისი ნებით წავიდა (ან სხვას გაჰყვა ცოლად), ადრე მისი დაჭრისათვის არაფერი გადახდება ქმარს.[5] აქ კარგად ჩანს, რომ ქმარი ცოლის დაჭრისას პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებოდა, თუმცა მანამ, სანამ იგი ცოლს არ გაუშვებდა. ცოლის გაგდების შემთხვევაში კი ამ უკანასკნელს, ყოველგვარი ხანდაზმულობის ვადის

[1] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №8, 1972-1973, 1-3.

[2] ბ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ., 111.

[3] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 26.

[4] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 57.

[5] მ. კეკელია, იქვე, №3, 1968, 56-57.

გარეშე შეეძლო მოეთხოვა გადასახადი დაჭრისათვის. ჩვენი აზრით, მ. კეკელიას ინფორმატორის ეს ცნობა აზუსტებს ბ. ნიჟარაძის ინფორმაციას. ძნელი წარმოსადგენია სვანეთში ქმრის მიერ დაჭრილი ცოლი, რომელიც არ დასცილდებოდა ქმარს, გააგრძელებდა მასთან ცხოვრებას და დაჭრისათვის გათვალისწინებულ საზღაურს მოსთხოვდა მას. უფრო რეალურად მიგვაჩნია მას ეს საზღაური მოეთხოვა ქმართან დაშორების შემდეგ.

გარკვეული თავისებურებები ახასიათებდა ნათესავის მიმართ ჩადენილ დანაშაულს ხევსურულ ჩვეულებით სამართალშიც. როგორც დავინახეთ, ნ. ხიზანაშვილისა და ალ. ოჩიაურის მასალებიდან ჩანს, რომ ცოლის მკვლელობისათვის პასუხისმგებლობა ფაქტობრივად არ დგებოდა მცირედი გადასახადის გარდა, შვილის მკვლელობისას კი, ნ. ხიზანაშვილის მიხედვით, ასეთივე მცირედი გადასახადია, შვილის მიერ მამის მკვლელობისას კი პასუხისმგებლობდა ნახევრდებოდა, რაც მიუთითებს, რომ დანაშაულის ჩადენა ზოგიერთი ახლო ნათესავის (ოჯახის წევრის) მიმართ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენდა.

ბიძაშვილის მკვლელობისას ხევსურული რჯულით პასუხისმგებლობა ჩვეულებრივ დგებოდა, მკვლელს დაეკისრებოდა თავისისხლის გადახდა, რიგის ყენება, თავის გათავება, მხოლოდ ე. წ. „საგვაროს" არ გადაიხდიდა.[1] აღნიშნული პასუხისმგებლობის შემსუბუქებად ვერ ჩაითვლება.[2] დაახლოებით იმავე შეიძლება ითქვას ძმის მკვლელობაზეც. მ. კოვალევსკი მიუთითებდა, რომ ხევსურები ძმის მკვლელს გარკვეულ გადასახადს ახდევინებდნენ მისი შვილის სასარგებლოდ, უშვილობის შემთხვევაში კი გარკვეულ გადასახადს დედის ნათესავები მიიღებდნენ.[3] ნ. ბალიაურის მასალებში არის მოყვანილი

---

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 63; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 40-41.

[2] „საგვაროს" აღება თავისთავად არ მოხდებოდა იმიტომ, რომ ეს შეუძლებელი იყო. „საგვაროს" მკვლელის გვარი უხდიდა მოკლულის გვარს და ბიძაშვილის მოკლისას გვარი „საგვაროს" საკუთარ თავს ვერ გადაუხდიდა..

[3] М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890., 118. დედის ნათესავების გადასახადში, როგორც ჩანს, მ. კოვალევსკი გულისხმობს ე. წ. „სადედოს", რომელიც მკვლელობისათვის გათვალისწინებული გადასახადის — „თავისისხლის" ნაწილია. „სადედოს", როგორც წესი, მოკლულის დედის ნათესაობა არ

კონკრეტული შემთხვევა ძმის მიერ ძმის მკვლელობისას მოკლულის შთამომავლის სასარგებლოდ გადასახადის გადახდისა. კერძოდ, ცოლშვილიან კაცს საქმე დაუჭერია მოგვარე ქალთან და შესძენიათ უკანონო შვილი. ამ კაცს ჰყოლია ორი ძმა, რომელთაც ჩათვალეს, რომ ამ საქციელით ძმამ უაღრესად დიდად შეურაცხყო ისინი. მათ მოილაპარაკეს, რომ ერთი მოკლავდა შემარცხვენელ ძმას, მეორე კი თავისისწლს არ მოსთხოვდა მას და მხოლოდ სადედოს მიცემა დასჭირდებოდათ. მართლაც, ერთ-ერთმა ძმამ მოკლა თავისი ძმა. საინტერესოა, რომ ამ მკვლელობისათვის გადასახადი მოკლულის შვილიშვილმა მოთხოვა მკვლელის შვილიშვილს და მიაღწია მისგან თავისისწლის გადახდას.[1] ნ. ბალიაურის მოტანილი შემთხვევა გვიჩვენებს, რომ ხევსურეთში ძმის მკვლელობას შესაძლოა სისხლის გადახდა სრულად გამოეწვია. ნ. ბალიაური მიუთითებს: „ხევსურეთის რჯული ..... ყველას ავალდებულებს სისხლის ნიადაგზე ან სხვა რაიმე წესის დარღვევის ნიადაგზე კუთვნილი გადასახდელი არავის დააკლდეს და ყველამ გადაიხადოს“.[2] აქ პირდაპირ არის მინიშნებული, რომ ხევსურეთში პასუხისმგებლობის რაიმე შემსუბუქებას ადგილი არ ჰქონდა. ხევსურული რჯულისთვის დამახასიათებელ ამ პრინციპზე ნ. ბალიაური საუბრობს სწორედ ძმის მკვლელობის კონტექსტში. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც გამოჩნდა, რომ ძმის მკვლელობისას შესაძლებელია პასუხისმგებლობა სრულად დაკისრებოდა მკვლელს, თუ მის შთამომავალს. როგორც დავინახეთ, ერთ-ერთმა ძმამ მას შემდეგ მოკლა ოჯახის შემარცხვენელი ძმა, როდესაც მეორე ძმისაგან მიიღო გარანტია იმისა, რომ იგი მისგან თავისისწლის გადახდას არ მოითხოვდა. ანუ ძმის მკვლელობის სხვა შემთხვევაში, სრულიად შესაძლებელია სხვა ძმას მოეთხოვა მკვლელი ძმისაგან მკვლელობისათვის გათვალისწინებული საზღაურის გადახდა ხევსურეთში არსებული წესით. იმავე უფლება ჰქონდა ძმის მიერ მოკლული ძმის შვილსაც. ამ შემთხვევაში შვილმა არ მოითხოვა მამის მკვლელობისათვის გადასახადი, მაგრამ მოითხოვა შვილიშვილმა და მიაღწია კიდეც საწადელს. სავარაუდოა, რომ თავისისწლის გარკვეული ნაწილის, მაგალითად, „საგვაროს“ გადახდას აქაც არ ექნებოდა ადგილი. ხევსურეთში მკვლელობისათვის დადგენილი გადასახადი –

კარგავდა, მიუხედავად მკვლელსა და მოკლულს შორის ნათესაობის ხარისხისა.

[1] ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 79-80.

[2] იქვე.

„თავსისხლი“ — საკმაოდ რთული სტრუქტურისაგან შედგებოდა, და სხვადასხვა კატეგორიის ნათესავის მკვლელობისას ამ გადასახადს მისი გარკვეული ნაწილი აკლდებოდა (მაგალითად, საგვარო, საძმო). უფრო კონკრეტულად ამ თემაზე საუბარი ხევსურული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით მკვლელობის ინსტიტუტის დეტალური კვლევისას მიგვაჩნია მიზანშეწონილად, რაც წინამდებარე ნაშრომის განხილვის ობიექტი არაა. აქ ამ საკითხს ჩვენ მხოლოდ ნათესავის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოების თვალსაზრისით განვიხილავთ.

ამრიგად, ნ. ბალიაურის მონაცემების მიხედვით, ძმის მკვლელობა ხევსურეთში პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას არ წარმოადგენდა. თუ „თავსისხლის“ მომთხოვნი — მოკლულის სხვა ძმა თუ ძმები, შვილი, შვილიშვილი საბეზე არ იყო, მკვლელს მხოლოდ „სადედოს“ გადადახდა მოუწევდა. ამის გამო ძმის მკვლელობა განვიხილოთ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად, არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, რადგანაც გადასახადის შემცირება აქ იმიტომ კი არ ხდებოდა, რომ უახლოესი ნათესავის მკვლელობას ჰქონდა ადგილი, არამედ, „თავსისხლის“ რთული სტრუქტურიდან გამომდინარე, მისი ცალკეული ნაწილების მიმღები არ იყო სახეზე. არანათესავის მკვლელობის შემთხვევაშიც, თუ მას არავინ ჰყავდა მამაკაცი ოჯახისა და მამიშვილობის წევრი, „თავსისხლის“ მნიშვნელოვანი ნაწილის გადახდას ადგილი არ ექნებოდა.

ამავე დროს, როგორც მოყვანილი მაგალითიდან გამოჩნდა, არსებობდა ალბათობა იმისა, რომ ძმის მიერ მოკლულის სხვა ძმას, ან შვილს არ მოეთხოვა მკვლელის, ან მისი შთამომავლისაგან მკვლელობისათვის გათვალისწინებული გადასახადი, რაც არანათესავის მკვლელობის შემთხვევაში ფაქტობრივად გამორიცხული იყო. ამდენად, ჩვენი აზრით, ხევსურული რჯულის მიხედვით, შესაძლებელია საუბარი იმის შესახებ, რომ ძმის მკვლელობისას (საერთოდ, ახლო ნათესავის მკვლელობისას) სისხლის პატიების ალბათობა ბევრად მეტი იყო, ვიდრე არანათესავის მკვლელობისას. ასევე ნათესავის მკვლელობისას ბევრად ადვილი იყო შერიგება.[1] ამ თვალსაზრისით, ძმის და საერთოდ, ახლო ნათესავის მკვლელობა შესაძლოა

[1] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 41; ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/10, მოსისხლეობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 7/12, 144.

განხილული იყოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ხევსურეთში.[1]

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ხევსურეთი, სვანეთი, ხევი, აჭარა, ფშავი) დაფიქსირებულ ზემოთ მოყვანილ მონაცემებს აერთიანებს ის, რომ ოჯახის წევრის, ნათესავის მკვლელობა ზოგადად პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ (ან გამომარიცხავ) გარემოებას წარმოადგენდა. ამას მიუთითებს ისიც, რომ ნათესავის მკვლელობისას იოლდებოდა შერიგება. ეს ზოგადი ტენდენცია იყო, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველოს ამ კუთხეებში ნათესავთა მკვლელობის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებები არსებობდა და პასუხისმგებლობის შემსუბუქების ხარისხი, ნათესავთა სხვადასხვა კატეგორიის მიმართ განსხვავებული იყო. აქვე აღსანიშნავია, რომ პასუხისმგებლობის შემსუბუქება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ შერიგების გაიოლებას) ყველა ხარისხის ნათესავის მიმართ ზოგიერთ კუთხეში (მაგალითად, ძმის მკვლელობისას ხევსურეთში) არ ხდებოდა.

---

[1] საინტერესოა, რომ XX საუკუნის ბოლოს ხევსურეთში დაფიქსირებული მასალების მიხედვით, ძმის მკვლელობა და დაჭრა პასუხისმგებლობის გამომარიცხავ გარემოებად ჩანს. ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორის განმარტებით: „გაუყრელმა ძმამ რომ ძმა მოკლას, აქ სისხლი არ დაედება, ვინაიდან ვის რა უნდა გამოართვას“ (ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 64). მეორე ინფორმატორის ცნობით კი, ძმებს შორის დაჭრა-მკვლელობა არაფრით ისჯებოდა (დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 87). ეს მონაცემები განსხვავდება მ. კოვალევსკისა და ნ. ბალიაურის ცნობებისაგან. როგორც ვხედავთ, ერთ-ერთი ინფორმატორი ხაზგასმით მიუთითებს, რომ თავისისხლის დაკისრება არ მოხდებოდა, თუ ძმა გაუყრელ ძმას მოკლავდა, ანუ ლოგიკურად გამოდის, რომ გაყრილი ძმის მკვლელობას შესაძლოა მოჰყოლოდა შესაბამისი ქონებრივი საზღაურის დაკისრება. თანაც ეს ინფორმატორი ძმის მკვლელობისას საზღაურის გადაუხდელობის მიზეზად მიუთითებს თავსისხლის მომთხოვნი სუბიექტის არარსებობას. ნ. ბალიაურის მიერ მოყვანილ მაგალითში კი გამოჩნდა, რომ სრულიად შესაძლებელია ძმის მკვლელობისას თავსისხლის მოთხოვნას და გადახდას ჰქონოდა ადგილი, თუმცა შესაძლოა თავსისხლი არც მოეთხოვათ. ისიც არაა გამორიცხული, რომ თავსისხლის მომთხოვნი მართლაც არ ყოფილიყო სახეზე, ასეთის ფიზიკურად არარსებობის გამო. სავარაუდოდ, XX საუკუნის ბოლოს მცხოვრები ხევსური ინფორმატორები ძმის მკვლელობისას თავსისხლის მოთხოვნის ფაქტებს არ შესწრებიან და ამის გამო მიუთითებენ პასუხისმგებლობის სრულიად არარსებობას ასეთ შემთხვევაში.

აღნიშნული ტენდენცია დამახასიათებელია იმ საზოგადოებისათვის, სადაც მკვლელობა-დაჭრა კერძო სამართალდარღვევას წარმოადგენდა და შურისძიებას იწვევდა, მაგალითად, ჩრდილოეთ-კავკასიელი მთიელებისათვის. ოსურ ჩვეულებით სამართალში მშობლის მიერ შვილის, შვილის მიერ მშობლის, და-ძმის მკვლელობისას არც სისხლის აღება იყო და არც ქონებრივი საზღაურის გადახდა.[1]

მ. კოვალევსკი აღნიშნულ მოვლენას შემდეგნაირად ხსნის: საერთო კერიით გაერთიანებული ერთი კომლის წევრთა ერთიანობა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის ადგილი ექნებოდა შინაგან სიმშვიდესა და სიწყნარეს. ეს მშვიდობა კი შეუძლებელი იქნებოდა, ნათესაურ წრეში ჩადენილ დანაშაულს რომ მოჰყოლოდა სისხლის აღება. ამიტომ, არათუ შვილის, არამედ მამისა და ძმის მკვლელობა არ იწვევდა სისხლის აღებას და მეტიც, არა მარტო ერთ ჭერქვეშ მცხოვრებნი გამორიცხავდნენ ერთმანეთში სისხლის აღებას, არამედ ერთი გვარის წევრები.[2] როგორც დავინახეთ, აღნიშნული პრინციპი საქართველოს ზოგიერთი კუთხის ჩვეულებით სამართალში გარკვეული თავისებურებებით XX საუკუნეშიც კი შემორჩა.

ე. **ქურდის მკვლელობა თუ სხეულის დაზიანება.** ვახტანგის სამართლის წიგნის 42-ე მუხლის მეათე პუნქტით, პიროვნება თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი მის სახლში შეპარულ ქურდს მოკლავს.[3] ჩვენს ხელთ არსებულ ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში არის მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, ქურდის მოკვლის თუ სხეულის დაზიანებისათვის პასუხისმგებლობა ფაქტობრივად არ დგებოდა. მაგალითად, ხევსური ინფორმატორის თქმით: „ქურდს რომ მოვხელავთ ჩვენ დამტკიცებულად გავიგებთ, რო ნამდვილად ისი-ას ჩვენი მამპარველი. ისი რომ გზაჩი შაგვეყარას ხელს მავშჭრით, თუ ფეხს, იმაზედ არაფერ გადაგვხვდება.“[4] აჭარული მასალების მიხედვით კი, თუ ქურდს წაასწრებდნენ ქურდობაზე და მოკლავდნენ, მკვლელს არანაირი პასუხ-

[1] Ф. Леонтович, Адаты Кавказских горцев, Т, 2, Одесса, 1883, 4; М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890., 167.

[2] М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 1, М. 1888., 34-35.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1963, 493.

[4] გ. დოლიძე, ხევსურული ტექსტები, თბ., 1975, 54.

ისმგებლობა დაეკისრებოდა.[1] მეგრელი ინფორმატორის ცნობით, კი შესაძლებელი იყო სახლში წასწრებული ქურდისთვის ყურის მოჭრა, რაც პასუხისმგებლობას არ იწვევდა.[2] აქ მოყვანილი მონაცემების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ჩვეულებით სამართალში ქურდის მკვლელობა თუ მისი სხეულის დაზიანება, პასუხისმგებლობის გამქარწყლებელ გარემოებას წარმოადგენდა. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დებულება არ შეიძლება უნივერსალურად ჩაითვალოს საქართველოს ყველა კუთხისათვის. ქურდის ქურდობის ადგილას მკვლელობა რომ წარმოადგენდა პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებას, ჩანს აჭარის ჩვეულებით სამართალში, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოს ყველა კუთხის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით აღნიშნული წესი მოქმედებდა. მაგალითად, ცნობილია და ჩვენ ამაზე გვქონდა საუბარი, რომ ხევსურულ ჩვეულებით სამართალში მკვლელობისას მოქმედებდა ობიექტური შერაცხვის პრინციპი და აქედან გამომდინარე შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ქურდის მკვლელობა ჩვეულებრივ იწვევდა პასუხისმგებლობას, ხოლო სვანეთში ბინაში შესული ქურდის მოკვლისას, თუ მის მიმართ სხვა ღონისძიებების გატარებისას (ქურდის დაჭრა-დასახიჩრება, ცემა), აღნიშნული დანაშაულისათვის დაკისრებული პასუხისმგებლობა იყო გათვალისწინებული. მხოლოდ სახლში უნებართვოდ შესვლისათვის დადგენილი გადასახადი აკლდებოდა ქურდის მკვლელობისათვის თუ დაჭრა-დასახიჩრებისათვის გათვალისწინებულ გადასახადს.[3]

ვ. მრუში ცოლის თუ მისი საყვარლის მკვლელობა. საქართველოს ზოგიერთი კუთხის ჩვეულებითი სამართალი ქმრის მიერ მრუში ცოლისა და მისი საყვარლის მკვლელობას პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად თვლიდა. მაგალითად, მეგრელი ინფორმატორის განმარტებით, „თუ ქმარმა თავის ცოლს წაასწრო სხვა კაცთან და მოკლა ორივე, ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, იგი პასუხს არ აგებდა“.[4] იმავე წესი არსებობდა აჭარაშიც. იბ. აბაშიძის ცნობით:

---

[1] იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ფონდი №455, 1965, ბათუმი, 10.

[2] ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 63.

[3] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, 120.

[4] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული

„თუ ქმარი მოკლავდა მრუშ ცოლს, ამას შურისძიება არ მოჰყვებოდა, პირიქით, ქალის ჭირისუფლები მადლობას შეუთვლიდნენ ყოფილ სიძეს, რომ მოაშორა გვარის და ოჯახის შემარცხვენელი.“[1] ამ მონაცემების საფუძველზე შესაძლოა საუბარი ქმრის მიერ მრუშ ცოლისა და მისი საყვარლის მკვლელობაზე, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებაზე საქართველოს ზოგიერთი კუთხის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. ასეთივე ნორმა ძველი ქართული სამართლის ძეგლებშიც ჩანს,[2] და აქედან გამომდინარე გასაკვირი არაა, რომ ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში ასეთი მონაცემები გვხვდება. ეს ზოგადად ძველი ქართული სამართლისათვის დამახასიათებელი ტენდენცია იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ იმავეს თქმა არ შეიძლება ხევსურულ თუ სვანურ ჩვეულებით სამართალთან მიმართებაში. მაგალითად ბალსზემო სვანეთში ცოლის მრუშობისას ბ. ნიჟარაძის განმარტებით, „ქმარს არა ჰქონდა უფლება ცოლის სიკვდილისა და დაჭრისა, პირველს შემთხვევაში ცოლის ჭირისუფალნი — დედ-მამა, ძმები, ახლო ნათესავები ქმარს სიკვდილს მოკვლით უხდიდა, ანა-და სისხლს აიღებდა (სისხლის საფასურს — გ. დ.), დაჭრის თაობაზე კი საქმე ჩვეულებრივ სამართალში მიეცემოდა, როგორც გარეშე პირთათვის წესი იყო.“[3] ასე რომ, მრუში ცოლის, ასევე მისი საყვარლის მკვლელობა თუ დაჭრა სვანეთში ჩვეულებრივ იწვევდა პასუხისმგებლობას და შემამსუბუქებელ გარემოებას არ წარმოადგენდა. საზოგადოებაში, სადაც საკმაოდ დიდხანს შემორჩა ობიექტური შერაცხვის ელემენტები, ასეთი გამონაკლისი ზოგადქართული ტენდენციიდან გასაკვირი არ უნდა იყოს.

ზ. დანაშაულის ჩადენა თავდაცვის მიზნით. იქ, სადაც პასუხისმგებლობის დაკისრებისას ადგილი ჰქონდა დანაშაულის სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინებას, ცხადია, პაუსხისმგებლობის შემამსუბ-

---

რეული, 1988, 28.

[1] იხ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ფონდი №455, 1965, ბათუმი, 9.

[2] კერძოდ, ვახტანგის სამართლის წიგნის 42-ე მუხლის მეცხრე პუნქტში ვკითხულობთ: „თუ კაცმან თავისი ცოლი ბოზობაზე დააჭელოს და მოკლას, არც ძმისაგან, არც ნათესავისაგან სისხლი არ ეთხოების“ (ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. I, თბ., 493).

[3] ბ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ., 111.

უქებელ თუ გამომრიცხავ გარემოებად უნდა ჩათვლილიყო დანაშაულის ჩადენა თავდაცვის მიზნით. შესაბამისი მონაცემები გვხვდება ჩვენს ხელთ არსებულ მასალებშიც. კერძოდ, ბრალის საკითხის განხილვისას ჩვენ მოვიყვანეთ მაგალითი, როდესაც ქალმა ხანჯლით მოკლა მოძალადე (მომტაცებელი) და ამისათვის არანაირი პასუხისმგებლობა არ დამდგარა.[1]

თ. პასუხისმგებლობის სხვა შემამსუბუქებელი და გამომრიცხავი გარემოებები. მონაცემების მიხედვით, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი თუ გამომრიცხავი გარემოებები შესაძლოა ყოველ კონკრეტულ საქმეზე მოცემული შემთხვევისათვის დამახასიათებელი რაიმე ფაქტორი გამხდარიყო. ქართულ ჩვეულებით სამართალში ბრალის საკითხის განხილვისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ პასუხისმგებლობის შემსუბუქება თუ გაქარწყლება შესაძლოა გამოეწვია **მოსამართლეების მიერ დანაშაულის მოტივის თუ მიზეზის გათვალისწინებას.**[2] ცხადია, ეს იმ შემთხვევაში ხდებოდა, როდესაც მოსამართლეები განაჩენის გამოტანისას დანაშაულის სუბიექტურ ფაქტორებს ითვალისწინებდნენ. კერძოდ, ისინი დეტალურად იკვლევდნენ დანაშაულის ჩადენის ყველა დეტალს, რა მიზეზით, მოტივით მოხდა დანაშაული. ჩვენ ბრალის საკითხის განხილვისას მოვიყვანეთ კონკრეტული შემთხვევები, როდესაც მოსამართლეებმა არსებითად შეამცირეს დამნაშავის პასუხისმგებლობა განზრახი დანაშაულის მოტივისა და მიზეზის გათვალისწინებით.[3] ამ მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ მოსამართლეებს შესაძლოა შეემცირებინათ პასუხისმგებლობა, მაშინ, როდესაც, მაგალითად, მკვლელი თუ დამჭრელი არ იყო ჩხუბის დამწყები, მაპროვოცირებელი და ეს როლი დაზარალებულს ან სხვა პიროვნებას ჰქონდა, როდესაც ქონებრივი დავის გამო ჩადენილი დანაშაულისას (ცნობილია, რომ მკვლელობები მამულზე, მიწაზე დავის

[1] დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში (ფშავის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით), გამომცემლობა „უნივერსალი," თბ., 63.

[2] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული №1, 1967, 58; ეთნოგრაფიული რეეული №6, 1969, 3, 24; ეთნოგრაფიული რეეული №3, 1968, 44-45.

[3] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული №3, 1968, 1-4.

მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული №2, 1968, 59-63; ეთნოგრაფიული რეეული №3, 1968, 1-4.

გამო საკმაოდ ხშირად ხდებოდა) მოსამართლეები დაადგენდნენ, რომ დამნაშავე მართალი იყო ამ დავაში.

დანაშაულის მოტივის გათვალისწინებას მოსამართლეების მიერ განსაკუთრებით ადგილი ჰქონდა მაშინ, როდესაც მსხვერპლი, დაზარალებული, დამნაშავის, მისი ოჯახის ღირსებას შეურაცხყოფდა. მაგალითად, მესხეთში ჩაწერილ მასალაში ჩანს, რომ პიროვნებამ მოკლა ბიძაშვილი, რომელმაც მისი ოჯახის ღირსება შელახა. მას ამ მკვლელობისათვის პასუხი არ უგია.[1] საერთო ტენდენციას წარმოადგენდა (თუ ობიექტური შერაცხვის პრინციპების გათვალისწინებას არ ჰქონდა ადგილი განაჩენის გამოტანისას) ცოლის, ზოგადად, ქალის ღირსების შელახვის გამო დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის შემსუბუქება თუ გაქარწყლება.[2]

სასამართლოს მიერ დანაშაულის მიზეზისა და მოტივის გათვალისწინების გამო პასუხისმგებლობის შემსუბუქების შესახებ საინტერესო მონაცემს გვაწვდის ბ. ნიჟარაძე ბალსზემო სვანეთთან დაკავშირებით. იგი აღნიშნავს, რომ აქ სიკვდილით დასჯა ძველად გამოიყენებოდა საზოგადოების (თემის) ღალატისა და ეკლესიის გაძარცვისათვის, თუმცა იქვე მიუთითებს: „თუ სასოფლო ყრილობა ორს ზემოთ ნაჩვენებს დანაშაულობაში დაინახავდა რაიმე პატივსადებ და შესაწყნარებელს საბუთს, მაშინ დამნაშავეთ სიკვდილით დასჯას შეუცვლიდა ოჯახიანად აყრით და საზოგადოებითგან განდევნით.[3] როგორც ვხედავთ, სვანეთში საზოგადოების ღალატისას და ეკლესიის გაძარცვისას სიკვდილით დასჯა უალტერნატივო სასჯელის სახე არ ყოფილა და იგი შესაძლოა შეცვლილიყო გაძევებით, რაც პასუხისმგებლობის შემსუბუქებას ნიშნავდა. ამის საფუძველი კი უნდა ყოფილიყო „რაიმე პატივსადები და შესაწყნარებელი საბუთი". კონკრეტულად რას გულისხმობს ამაში ბ. ნიჟარაძე არ ჩანს. სავა-

---

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1986, 23.

[2] ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი", I თავის – „დანაშაული" – მე-2 ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1991, 45; დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში (ფშავის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით), გამომცემლობა „უნივერსალი," თბ., 64.

[3] ბ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ., 85-86.

რაუდოდ, ასეთ პატივსადებ და შესაწყნარებელ საბუთად ჩაითვლებოდა დანაშაულის ჩადენის რაიმე კონკრეტული მოტივი ან მიზეზი, რომელსაც საზოგადოების ყრილობა (ამ შემთხვევაში როგორც სასამართლო ორგანო) პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნევდა.

4. პასუხისმგებლობის დაკისრების ზოგიერთი ასპექტი ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით

ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, დამნაშავისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება გარკვეული პრინციპების გათვალისწინებით ხდებოდა. გამომდინარე იქიდან, რომ ქართულ ჩვეულებით სამართალში გარკვეულწილად შემორჩა ობიექტური შერაცხვის პრინციპის ელემენტები პასუხისმგებლობის დაკისრებისას, ზოგიერთ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა დანაშაულებრივ შედეგს. პიროვნებისათვის შესაძლოა მომხდარიყო არაერთი სხვდასხვა ზიანის მიყენება. თითოეული მათგანი ფასდებოდა ცალ-ცალკე და შემდეგ ხდებოდა მათი შეკრება. ზიანის მიმყენებელს სწორედ ამ შენაკრების მიხედვით უნდა ეგო პასუხი, ანუ დანაშაულებრივი შედეგი აქ განმსაზღვრელი იყო. ასევე არის მონაცემები, როდესაც დამნაშავისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას ხდებოდა სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინება. კერძოდ, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლოა, გათვალისწინებული ყოფილიყო პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, ასევე დანაშაულის ჩადენის მოტივი, განზრახაა ჩადენილი დანაშაული თუ განზრახვის გარეშე და სხვა.

4.1 **გაბრა.** ორი მხარის მიერ ერთმანეთისადმი ზიანის მიყენების შემთხვევაში პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, გაბრა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ. ნაშრომის I თავი), გაბრა გულისხმობდა იმას, რომ ხდებოდა ორივე მხარის მიერ ერთმანეთისათვის მიყენებული თითოეული ზიანისათვის კომპოზიციის განსაზღვრა, მათი შეჯამება და შემდეგ ორივე მხარისათვის დადგენილ გადასახადთა შორის სხვაობის განსაზღვრა. ვისაც მეტი გადასახადი დაეკისრებოდა, ის გადაიხდიდა ამ სხვაობას. მეორე მხარის გადასახადი კი გაიბრებოდა.

გაბრის ინსტიტუტი კარგადაა ცნობილი არა მარტო ჩვეულებითი სამართლისათვის. იგი „ჩაროონინების“ სახელით გვხვდება ქართული სამართლის ძეგლებშიც (მაგალითად, ვახტანგის სამართლის წიგნი) და გვიანფეოდალურ სასამართლო ხასიათის დოკუმენტებშიც. ამის დამადასტურებლად მოვიყვანთ ვახტანგის სამართლის წიგნის 36-ე მუხლს: „... უკეთუ მოიკლას დიდებული და მკულელი იგი გამოჩენით იყოს, დიდი კაცის იყოს თუ დაბალი, მეფის აზნაური, თუ თავადის აზნაური, მოკითხული ქენით, თუ რისთვის მოუკლავს. თუ ამხანაგი არ არის დიდებულის მკვლელი დიდებულისა და გამოჩენილი სისხლ მართებია და მისთვის მოუკლავს, ეს ნამართების სისხლიც გაუსინჯეთ და შეადარეთ; რაც ნამართებმან სისხლმან შეიდაროს, ჩაარონინეთ, და რაც მეტი დარჩეს, მიაცემინეთ“.[1] როგორც ვხედავთ, კანონმდებელი მოსამართლეებს მიმართავს, რომ მოახდინონ „ჩაროონინება“, ე. ი. გაბრა, თუ ორივე მხრიდან დანაშაულს ექნებოდა ადგილი. დანაშაულის გაბრის ელემენტები გვხვდება ასევე ვახტანგის სამართლის წიგნის 52-ე, 90-ე, 94-ე მუხლებში. მ. ქიქოძე აღნიშნავს, რომ ტერმინი „ჩაროონინება“ ვახტანგამდელ იურიდიულ დოკუმენტებშიც გვხვდება და შემდეგდროინდელ საპროცესო სამართალშიც. მას მაგალითად მოჰყავს 1640 წლის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს განაჩენს დიდი მოურავისა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის საქმეზე. მოსამართლეები წერენ: „ნალაპარაკევი ერთმანეთს შეუდარეთ და ჩავაროონინეთ“.[2] მ. ქიქოძის მიხედვითაც, „ჩაროონინება“ გაბრას უდრის.[3]

გაბრის გამოყენება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ჩვეულებით სამართალშიც გვხვდება. ბ. ნიჟარაძე ზოგადად აღწერს სვანურ სასამართლო პროცესზე საუბრისას მორვალის მიერ გამოტანილი განაჩენის პერიპეტიებს, სადაც ნათლად ჩანს დანაშაულის გაბრის ელემენტი: „... ვსთქვათ, ესავი უჩივის ბაბის, რომ უკანასკნელმა იგი დაჭრა ხელში და ხელი დაუშავდა. ყოველმა მსაჯულმა იცის, რომ თუ კაცს ასო რომელიმე ჭრილობისაგან დაუშავდა, კანონით უნდა მიესაჯოს „სისხლის“ („წორ“) ნახევარი; ამას ლაპარაკიც არ უნდა. მაგრამ ვთქოთ, ბაბისაც აქვს თავისის მხრით დიაღ პატივსადები

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, ტ. 1, თბ., 1963, 490.

[2] მ. ქიქოძე, დამამტკიცებელ საბუთთა ისტორიისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX – 1959, 129.

[3] იქვე.

მიზეზები, — აი, თუნდაც ეს, რომ დაჭრამდის, გინდა დაჭრის შემდეგ ესავმა ბაბის გაუტეხა სახელი, რომელიც ჰსჭრის 12 აცსიშს (აცსიში უდრის ექვსს მანათს). ესე იგი სულ 72 მანათს, ეს უნდა გამოირიცხოს „სისხლის“ საზღაურიდამ....“[1] აქ კარგად ჩანს, რომ ურთიერთზიანის მიყენებისას მეტ გადასახადს აკლდება ნაკლები და ხდება დარჩენილი სხვაობის გადახდა მეტი ზიანის მიმყენებლის მიერ. გაბრის მაგალითი ბ. ნიჟარაძეს სხვა შემთხვევასთან დაკავშირებითაც მოჰყავს. მისი განმარტებით, სახლის გატეხვისას რაც არ უნდა მცირე მოეპარა ქურდს, უნდა დაებრუნებინა ნაქურდალი და გარდა ამისა, კიდევ უნდა გადაეხადა 12 აცსიში. ქურდს, თუ სახლის გატეხვაზე წაასწრებდნენ, მაშინაც გადახდებოდა 12 აცსიში. ჩვეულებითი სამართლით სვანს არა ჰქონდა უფლება მოეკლა ან მძიმედ დაეჭრა ქურდი, თუნდაც ქურდობაზე წაესწრო მისთვის; თუ მაინც მოკლავდა ან მძიმედ დაჭრიდა, ორივე შემთხვევაში 12 აცსიში გამოაკლდებოდა „წორს“ მკვლელობისას და ნახევარ „წორს“ მძიმედ დაჭრისას გატეხილი სახლის პატრონის სასარგებლოდ.[2] როგორც ვხედავთ, სახლში შეღწევისათვის გათვალისწინებული 12 აცსიში აკლდებოდა ქურდის მკვლელობის თუ მძიმე დაჭრისათვის დაწესებულ გადასახადს.

ა. დავითიანთანაც ჩანს გაბრის გამოყენება ბალსქვემო სვანეთის მაგალითზე. მისი განმარტებით, თუ მკვლელი ან მისი ნათესავი დასახიჩრდებოდა, მაგალითად, ხელის დაკარგვით, თვალის დაკარგვით, სახის დაზიანებით, ფეხებში მოურჩენელი ზიანის მიყენებით და სხვა, მედიატორებს ყველაფერი უნდა გაეთვალისწინებინათ და მკვლელობისათვის გათვალისწინებული გადასახადის — „წორისათვის“ ამ დაზიანების, თუ დაზიანებებისათვის გათვალისწინებული ღირებულება უნდა გამოეკლოთ.[3] თუ გადამტერებულ მხარეებში თანაბარი რაოდენობის მოკლული იყო, მაშინ მედიატორები „მოკლულებს გაათანაბრებდნენ“.[4] ცხადია, რომ ა. დავითიანი აქ სწორედ გაბრაზე საუბრობს მკვლელობის შემთხვევაში. თუ მკვლელობას ახლდა მკვლელის, მისი ახლობლის დასახიჩრება, მოხდებოდა აღნიშნულ

[1] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 98.

[2] იქვე, 120.

[3] ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რეული №6, 71.

[4] ა. დავითიანი, იქვე, 78.

დანაშაულთა გაბრა, ხოლო ურთიერთმკვლელობისას გადასახადი არც ერთ მხარეს არ დაეკისრებოდა. დ. დავითულიანს მოჰყავს ურთიერთმკვლელობის მაგალითი ჯაფარიძეებსა და ჟორჟოლიანებს შორის — თითო-თითო მოკლეს ორივე მხრიდან. შერიგებისას სისხლის ფასი მხარეებს ერთმანეთისათვის არ გადაუხდიათ, რადგანაც ორივე გვარი აზნაურებად ითვლებოდა.[1]

აღსანიშნავია, რომ სავნეთში ქალის მოტაცებისას, თუ ადგილი ექნებოდა მომტაცებლის ოჯახის კერიის წაქცევას, ამით ჩვეულებრივ კმაყოფილდებოდა ქალის პატრონი და შერიგებაზე თანხმდებოდა ქონებრივი ანაზღაურების გარეშე,[2] ანუ შეიძლება ითქვას, რომ ქალის მოტაცებისას კერიის წაქცევა გაბრიდა ერთმანეთს.

გაბრის არაერთი მაგალითია ხევსურული სინამდვილიდან. თუ მოსისხლე გვარებში თანაბარი რაოდენობის მოკლული იქნებოდა, ხდებოდა „სისხლის გაბრა“ და შესარიგებლად არც ერთი მხარე „თავსისხლს“ აღარ გადაიხდიდა. თუ მოკლულთა რაოდენობა ორივე მხარეს არათანაბარი იყო, მაშინ შერიგებისას „რჯულის“ გადაწყვეტილებით კომპოზიციის გადახდა დაეკისრებოდა მხოლოდ იმ მხარეს, რომელსაც მეტი მკვლელობა ექნებოდა ჩადენილი. თუმცა მას გამოაკლდებოდა მეორე მხარის მიერ ჩადენილი მკვლელობისათვის გათვალისწინებული გადასახადი. მეორე მხარის გადასახადი კი გაიქვითებოდა.

ალ. ოჩიაურის საარქივო მასალებში ერთი ასეთი შემთხვევა ფიქსირდება: ხევსურეთში მოხდა ქალის შემთხვევითი მკვლელობა, სანაპასუხოდ კი მოკლეს ორი კაცი. გარკვეული დრის შემდეგ ჩატარდა „რჯული“ (სამედიატორო სასამართლო) მხარეების შესარიგებლად. ალ. ოჩიაური წერს: „რჯულმა დიაცის თავში.... ნახევარი თავი გაუბრა (ხევსურული სამართლით ქალის „სისხლი“ კაცის „სისხლის“ ნახევარია, — გ. დ.). დარჩა ერთი კაცის თავის სრული და ერთი ნახევარი...“.[3] ამ ამონარიდიდანაც კარგად ჩანს, რომ ტერმინი „გაბრა“ კარგადაა ცნობილი ხევსურთა სამართალწარმოებისათვის. ალ. ოჩიაურის მასალებში სხვა ფაქტებიც ფიქსირდება ურთიერთმკვ-

---

[1] დ. დავითულიანი დასახ. ნაშრ., 148.

[2] მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1961, 139.

[3] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/11, მოსისხლეობა ხევსურეთში, 122.

ლელობისას „სისხლის გაბრისა“.[1]

ძალზედ ხშირად მიმართავდნენ ხევსური „რჯულის კაცები“ გაბრას „ჭრა-ჭრილობის რჯულის“ დროს. უმრავლეს შემთხვევაში ხევსურეთში ადგილი ჰქონდა ურთიერთდაჭრას. გადასახადს მხოლოდ ის გადაიხდიდა, რომელსაც მეტის გადახდა დაეკისრებოდა, მეორეს მიერ მიყენებული ჭრილობის თუ ჭრილობების გადასახადი კი გაიბრებოდა. შესაბამისი მაგალითები უხვადაა ალ. ოჩიაურის მონაცემებში. მაგალითად, მას მოჰყავს კონკრეტული შემთხვევა ბათურას და იმედას ურთიერთდაჭრისა. ბათურას ნაჭრევები შეფასდა 30 ძროხად, იმედას ნაჭრევები — 20 ძროხად. ოც-ოცი ძროხა ერთიმეორეში გააბრეს. ათი ძროხა ბათურას ერგო იმედასაგან.[2] მეორე შემთხვევისას ჩხუბში მონაწილე გუჯურას ნაჭრევი დადგა ხუთი ძროხა, თოთიას მკლავი ცხრა ძროხა, რადგან ნაწილობრივ იყო გახაიბრებული. კაცებმა ხუთ-ხუთი ძროხა ერთმანეთში გაბრეს და ოთხი ძროხა დაედო გამოსაღებად გუჯურას.[3]

გაბრის შემთხვევები სვანეთისა და ხევსურეთის გარდა საქართველოს სხვა კუთხეების ჩვეულებითი სამართლის მასალებშიც გვხვდება, მაგალითად, ხევში ურთიერთმკვლელობისას. ვალ. ითონიშვილის მიხედვით, აქ ორ მოსისხლე საგვარეულოს შორის დაზავების პირველ პირობად მიჩნეული იყო ის, რომ დაპირისპირებულ გვარებს თანაბრად ექნებოდა სისხლი გაღებული.[4] შესაბამისი მაგალითი რაჭაშიც ფიქსირდება.[5]

გაბრა, როგორც ინსტიტუტი, დამახასიათებელი იყო ყველა იმ საზოგადოებისათვის, სადაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ობიექტური შერაცხვის პრინციპს და დანაშაულთა მნიშვნელოვანი ნაწილი (მკვლელობა, დაჭრა-დასახიჩრება და სხვა) კერძო ხასიათის სამართალდარღვევას წარმოადგენდა. მ. კოსვენი ამ ინსტიტუტთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ კომპოზიციის გადახდას მაშინ ჰქონდა ადგილი, თუ დელიქტით მხარეებს შორის წონასწორობა დაირღ-

[1] იქვე, 129, 130, 7/7, 75.

[2] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/6, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 63.

[3] იქვე, 68.

[4] ვალ. ითონიშვილი, ხალხური მმართველობის ისტორიიდან („სამან-საყუდი“ ხევში), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. IX, 1957, 167.

[5] მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რეული №9, 30-31.

ვეოდა. ამიტომ, თუ კონფლიქტის შედეგად ორივე მხრეს ერთნაირი ზიანი მიადგებოდა, კომპოზიციის გადახდას ადგილი არ ექნებოდა. მაგალითად, თუ ორი ადამიანი ერთმანეთს ჩხუბში მოკლავდა, კომპოზიციის მოთხოვნის საფუძველი არ იარსებებდა. ადგილი ჰქონდა ურთიერთპრეტენზიების ჩათვლას.[1] გაბრის ინსტიტუტი ქართული სამართლის ძეგლებში ჩვეულებითი სამართლიდან შევიდა. მის შესახებ ყველაზე უფრო სრულყოფილი მონაცემები XIX-XX საუკუნის ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებიდან ხევსურეთსა და სვანეთში გვხვდება, ხოლო სხვა კუთხეებში ამ ინსტიტუტის გამოყენების შესახებ კი მხოლოდ ფრაგმენტული მონაცემებია. თუმცა ის, რომ ეს ინსტიტუტი თავის დროზე მთელ საქართველოში იყო გავრცელებული, მიუთითებს ქართული სამართლის ძეგლებსა და იურიდიული ხასიათის დოკუმენტებში მისი ასახვა.

4.2. მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ქართულ ჩვეულებით სამართალში დანაშაულის ჩადენას, ზიანის მიყენებას თან ახლდა მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის გარდა, დამნაშავეს დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაც ეკისრებოდა. აქ იგულისხმება როგორც პირდაპირი ზიანი, ასევე მიუღებელი შემოსავალიც, ხოლო დაზარლებულის დაჭრა-დასახიჩრებისას მკურნალობის ხარჯიც. ამ კონტექსტში შეიძლება საუბარი ქურდობის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე[2], ასევე ქალის მიერ საქმროს (ქმრის) დაწუნებისას და ამის გამო მათი დაცილებისას ვაჟის დანახარჯის ანაზღაურებაზე ქალის ოჯახის მხრიდან.[3]

სხვადასხვა კუთხეში დაფიქსირებულ მასალაში გვხვდება კონკრეტული მონაცემები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ფიქსირდება გამოცდილი პირების მიერ, საჭიროების შემთხვევაში, მიყენებული ზარალის თუ მიუღებელი შემოსავლის შეფასება.

მატერიალური ზიანის მიყენებისას, ცხადია, შესაბამისი ოდენო-

---

[1] М. Косвен, Преступление и наказание и догосударственном обществе, М., 1925, 84.

[2] ამ საკითხს უფრო უპრიანია შევეხოთ ნაქურდალის ანაზღაურების თუ ქურდობის ინსტიტუტის განხილვისას.

[3] ბ. გაბუური, დასახ. ნაშრ., 135. აღნიშნული საკითხის დეტალური განხილვა მიზანშეწონილია ქართულ ჩვეულებით სამართალში საქორწინო-საოჯახი სამართლის შესწავლისას.

ბის ზარალის ანაზღაურება იყო გათვალისწინებული. მაგალითად, სვანეთში ოთხფეხა პირუტყვის მოკვლა მისი ღირებულების ანაზღაურებას გამოიწვევდა, კერძოდ, ცხენის, ძროხის თუ ხარის.[1] თივის დაზიანება, შესაბამისი ოდენობის თივის დაბრუნებას ან მისი ღირებულების გადახდას იწვევდა[2] და სხვა.

მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში საკმაოდ აქტუალურია პირუტყვის მიერ ნათესების დაზიანებისას. ცხადია, ზიანის ანაზღაურება ამ შემთხვევაში პირუტყვის პატრონს ეკისრებოდა. ერთ-ერთი აჭარელი ინფორმატორი გვიამბობს, რომ პირუტყვის მიერ ყანის გაფუჭებისას ხდებოდა ზარალის შეფასება. თვითონაც ხშირად ყოფილა შემფასებელი და როგორც აღნიშნავს, შეფასებისას ითვალისწინებდნენ, თუ რა მოსავალს მიცემდა ეს ყანა პატრონს, ასევე იმასაც, „გამოკეთდებოდა“ გაფუჭებული ყანა, თუ არა.[3] სვანეთში ყანის დაზიანების ეწოდება „ნავარ.“ ნავარის დროს დაზარალებულს უნდა გადაეხადა ზარალის ღირებულება.[4] ლეჩხუმელ ინფორმატორს კონკრეტული მაგალითიც მოჰყავს: „პავლე პეტრეს ძე მამარდაშვილის ყანა (სიმინდი) შეჭამეს ნიკო იასეს ძე მამარდაშვილის ხარებმა. აირჩიეს მედიატორები. მედიატორებმა ადგილზე დაათვალიერეს გაფუჭებული ყანა და დააკისრეს 4 ფუთი სიმინდი“.[5] როგორც ვხედავთ, შესაძლოა პირუტყვის მიერ ყანის დაზიანებისას წანაზედის შესაფასებლად

[1] ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, ტფ. 1927, 112; მ. კეკელია, მასალები სვანეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968, 11, 86. გამონაკლისი სვანეთში იყო ძაღლის მოკვლა, რისთვისაც ძაღლის ღირებულებაზე არსებითად მეტის გადახდა იყო გათვალისწინებული (იქვე).

[2] მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რვეული №9, 34.

[3] ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 43-44. აჭარაში პირუტყვის მიერ ნათესების დაზიანებისას ზარალის ანაზღაურებაზე მინიშნებას სხვა ინფორმატორთა ცნობებშიც ვხვდებით (იხ. ო. ზოიძე, იქვე, 90-91; იხ. აბაშიძე, დასახ. ნაშრ. 40).

[4] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, 80. გადაუხდელობის შემთხვევაში ანაზღაურება ხდებოდა „წინდარიდან“, ანუ წინდად, გირაოდ წინასწარ დატოვებული ქონებიდან, რომელიც ხერსთავებისათვის ჰქონდა ყველას ჩაბარებული (იქვე). აღნიშნული საკითხის განხილვა გირაოს ინსტიტუტის შესწავლისას უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

[5] მ. კედელაძე, ლეჩხუმის მასალა, 1951, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რვეული, №1, 4.

მედიატორებიც მოეწვიათ და მათ მიეღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება. ფშავში პირუტყვის მიერ ნათესების დაზიანებისას ზარალის შეფასებას სოფლის თავკაცები ახდენდნენ. შეფასებისას მხედველობაში მიიღებოდა მიუღებელი შემოსავლის ღირებულებაც. ზარალს აფასებდნენ ე. წ. „ხადურების" მიხედვით. ყანაში ფშაველები ძნებს ანგარიშობდნენ და აწყობდნენ ხუთ-ხუთს. ერთ ხუთეულ ძნას კი ეწოდებოდა „ხადურა". სოფლის თავკაცებმა დაახლოებით იცოდნენ, თუ რამდენ მოსავალს იძლეოდა ფშავში ერთი ხადურა და ამის მიხედვით შეაფასებდნენ მიყენებულ ზარალს.[1] მსგავსი მონაცემები საქართველოს სხვა კუთხეებშიც ფიქსირდება.[2]

აქ მოყვანილი მონაცემები ნათლად გვიჩვენებს, რომ ნათესების დაზიანების გამო ზიანის ანაზღაურებისას მიუღებელი შემოსავლის გათვალისწინებაც ხდებოდა. ამას, შესაძლოა, სხვა შემთხვევების დროსაც ჰქონოდა ადგილი. ამ თვალსაზრისით ძალზედ საინტერესო შემთხვევას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სინამდვილიდან გვაწვდის არნ. ზისერმანი. მისი თქმით: ერთი ხევსური ფშაველს ედავებოდა, რომ ჯერ კიდევ კავკასიაში რუსეთის შემოსვლამდე მისმა პაპამ არაგვში დაიჭირა დიდი ლოსოსი, რომელიც სიდიდის გამო ვერ წაიღო, ქვაზე დაბა და მეორე დღეს უნდა მისულიყო მის წასაყვანად, თუმცა ღამით იგი მოიპარეს და ამ ხევსურის თქმით, ეს ამ ფშაველის პაპამ გააკეთა. რაკი ლოსოსი ღირდა ერთი ცხვარი, 50 წელიწადში ის მისცემდა მატყლს და ყველს 10 ძროხის ღირებულებისა, ხოლო მისგან 150 ცხვარი მაინც გაჩნდებოდა..... საბოლოო ჯამში, ხევსურმა 55 ძროხა და 275 მანეთი იანგარიშა. ფშაველმა შურისძიების შიშით ძროხების გარკვეული რაოდენობა გადაუხადა.[3] ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩანს, რომ დაზარალებულმა მხარემ ნაკურდალის ანაზღაურება მოითხოვა მიუღებელი შემოსავლის გათვალისწინებით.

მიუღებელი შემოსავლის გათვალისწინება შესაძლოა მომხდრიყო ასევე პიროვნებისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში. თუ ამ დროს პიროვნება დროებით კარგავდა შრომის უნარს, ზიანის მიმყენებელს მისთვის უნდა გადაეხადა ე. წ. განაცდური. ო. ზოიძე ამის შესახებ

---

[1] გ. დავითაშვილი,ვალდებულებითი სამართალი (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი" მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 4, გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1991, 133.

[2] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, 1984, ეთნოგრაფიული რეული, №2, 30.

[3] А. Зиссерман, Двадцать пять лет на Кавказе, М., 1879, 226.

საუბრობს ფშავთან მიმართებაში. იგი აღნიშნავს, რომ განაცდურში იგულისხმება ის ზარალი, რაც დაზარალებულმა ჯანმრთელობის დროებით მოშლის გამო განიცადა. ხოლო განაცდური იანგარიშებოდა იმის მიხედვით, თუ რამდენის გამომუშავება შეეძლო დაჭრილს ავადმყოფობის პერიოდში და იგი ჭრა-ჭრილობის საზღაურში არ შედიოდა.[1] ანალოგიურ მონაცემებს ვხვდებით თუშეთშიც.[2]

შეიძლება ითქვას, რომ ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, მიუღებელი შემოსავლის მიღება ნებისმიერი ხასიათის ზიანისას იყო შესაძლებელი.

გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა მკვლელობის შემთხვევაში დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურებაც. მაგალითად, აჭარაში დაფიქსირებული ცნობით, თუ დაჭრილი გარდაიცვლებოდა, მაშინ გაიღებდნენ მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯებს. ესეც გამონაკლის შემთხვევაში ხდებოდა, რაც დაზარალებული ოჯახის უფროსის ეკონომიკურ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული.[3] როგორც ჩანს, აქ მკვლელობისას დაკრძალვის ხარჯების გაღება ყოველთვის არ ხდებოდა და კონკრეტულ სიტუაციაზე, კერძოდ, დაზარალებული მხარის ეკონომიკურ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. XX საუკუნის დასაწყისში ქართლში დაფიქსირებულია შემთხვევა, როდესაც თანასოფლელის მკვლელობისას დამნაშავეს დააკისრეს მოკლულის დასაფლავების ხარჯების გაღება, ერთი წლის განმავლობაში მიცვალებულის მოსახსენიებელი ყველა სუფრის გამართვა.[4] მკვლელის მხრიდან დაკრძალვის ხარჯების გაღება ფიქსირდება გურიაში,[5] ქსნის ხეობაში.[6]

---

[1] ო. ზოიძე, სასჯელები (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი" მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1993, 135.

[2] ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1966, დ. 299, 146.

[3] იხ. აბაშიძე, დასახ. ნაშრ., 58.

[4] Г. Жорданиа, Народно-уголовные суды Карталинии, «Закавказье», 1911, №258.

[5] დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 40-41.

[6] მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობა) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 77-78.

დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ მკურნალობის ხარჯის დაფარვაც. მისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით ამ საკითხს ცალკე გამოვყოფთ.

4.3. მკურნალობის ხარჯი. ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, დამნაშავის ვალდებულებას წარმოადგენდა ჩადენილი დანაშაულის შედეგად დამნაშავისათვის მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში მკურნალობის ხარჯის სრული ანაზღაურება. აქ იგულისხმება როგორც ექიმის გასამრჯელო (წამლის თუ მკურნალობისათვის გამოყენებული რაიმე საშუალების ღირებულების ჩათვლით), ისე ავადმყოფი დაზარალებულის მოვლის ხარჯი. ქართულ ჩვეულებით სამართალში მოქმედმა აღნიშნულმა წესმა ასახვა პოვა ქართული სამართლის ძეგლებშიც, კერძოდ, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდებაში". ამ ძეგლის 38-ე მუხლში აღნიშნულია, რომ დაჭრის შემთხვევაში დამნაშავეს დაზარალებულისათვის ჭრილობის სიმძიმის შესაბამისი ქონებრივი საზღაური უნდა გადაეხადა და გარდა ამისა „...დასტაქართა წამლის ფასი რაც გასვლოდეს, ისიც მისცეს."[1] ექიმის გასამრჯელოს გადახდის სავალდებულობაზეა საუბარი ამავე ძეგლის 32-ე და 36-ე მუხლებშიც. აქაც ექიმის გასამრჯელო მოხსენიებულია, როგორც „დასტაქართა წამლის ფასი".[2]

საქართველოს კუთხეებში, სადაც ჩვეულებითი სამართლის მიხედვით დაჭრა-დასახიჩრებისათვის პასუხისმგებლობა XX საუკუნეშიც შენარჩუნდა, დამნაშავეს სავალდებულო წესით, დაზარალებულისთვის შესაბამისი ქონებრივი საზღაურის გარდა, მკურნალობის ხარჯიც უნდა დაეფარა. ამ თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად ხელშესახები მონაცემები ხევსურეთში დაფიქსირებულ მასალაში გვხვდება. მათ მიხედვით, ექიმის გასამრჯელო დამჭრელს უნდა გადაეხადა. ხევსურები ადგილობრივ ექიმს „აქიმს"[3], ხოლო მის გასამრჯელოს „სააქიმოს" უწოდებდნენ. როგორც ალ. ოჩიაური აღნიშნავს: „სააქიმო ხელს მიხყვების, — იტყოდნენ ხევსურები, ე. ი. რომელმა ხელმაც დაკრა, მან უნდა იხადოს სააქიმო."[4] დამ-

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1963, 417.

[2] იქვე, 416.

[3] ადგილობრივ „აქიმებს" რაიმე სამედიცინო განათლება არ ჰქონიათ და ხალხური მეთოდების გამოყენებით მკურნალობდნენ.

[4] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/7, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 77.

ჭრელს თვითონ უნდა დაეყენებინა ექიმი მის მიერ დაჭრილისათვის.[1] თუ ორმხრივი დაჭრა მოხდებოდა, ორივეს ერთმანეთისათვის უნდა დაეყენებინათ ექიმები.[2] დამჭრელის მიერ დაჭრილისათვის ექიმის დაყენება და საექიმო ხარჯის გასტუმრება მანიშნებელი იყო მონანიებისა, დაჭრილისადმი პატივისცემის გამოხატვისა და შერიგებისკენ სწრაფვისა. ყოველივე ეს შურისძიების თავიდან აცილებას უწყობდა ხელს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაჭრილი ამას უპატივცემლობის გამოხატვად ჩათვლიდა, რაც შურისძიების ალბათობას ზრდიდა. თუ მოხდებოდა ისე, რომ დამჭრელი დაჭრილს ექიმს არ დააყენებდა, მაშინ ექიმის ხარჯს თვითონ დაჭრილი გაიღებდა. როდესაც სამედიატორო სასამართლო („რჯული“) დამნაშავეს ჭრილობისათვის შესაბამის ქონებრივ საზღაურს დააკისრებდა, მას დაზარალებულის მიერ გადახდილ ექიმის ხარჯსაც დაამატებდა. თუ ორმხრივი დაჭრისას მოხდებდა ისე, რომ დამჭრელები ერთმანეთს არ დააყენებდნენ ექიმს, მხარეები თვითონ გადაუხდიდნენ გასამრჯელოს თავისივე ექიმს. ამ შემთხვევაში „რჯული“ გამოიანგარიშებდა, თუ ვის რამდენის გადახდა მოუწევდა, გადასახადს ერთმანეთში „გაბრიდა“, ხოლო ვინც მეტი ზიანი მიაყენა, მას გადაახდევინებდა ასევე მხარეების მიერ ექიმებისათვის გადახდილ საზღაურთა შორის სხვაობას.[3]

„სააქიმოს“, ანუ ექიმისათვის გადასახდელი გასამრჯელოს ოდენობა დამოკიდებული იყო ჭრილობის სიმძიმეზე და ჭრილობის შესაბამისი ქონებრივი საზღაურის (დრამის) მიხედვით გამოიანგარიშებოდა.[4] რ. ხარაძის მიხედვით, აქიმი საზღაურს იღებს დრამის მიხედვით — ძროხაზე თითო ცხვარს.[5] ალ. ოჩიაურთან განსხვავებულ მონაცემს ვხვდებით. იგი სხვადასხვა ადგილას რამდენჯერმე მიუთითებს, რომ ექიმის გასამრჯელო იყო ხუთ ძროხაზე სამი ცხვარი დრამა.[6] სრულიად შესაძლებელია ექიმის

[1] ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, 187; ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/1, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 2.

[2] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/2, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 16.

[3] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/7, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 77.

[4] ალ. ოჩიაური, სტუარმასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980, 169.

[5] რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, ანალები, ტ. 1, 1947, 174.

[6] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/14, მოსისხლეობა ხევსურეთში, 158; ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/5, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 59.

გასამრჯელოს კონკრეტული ოდენობა ხევსურეთის სხვადასხვა კუთხეში, თემში განსხვავებული ყოფილიყო, თუმცა ყველგან მისი ოდენობა ჭრილობების სიმძიმეზე და აქედან გამომდინარე, დრამის ოდენობაზე იყო დამოკიდებული. რაც მძიმე ჭრილობა იქნებოდა, უფრო მეტ გასამრჯელოს იღებდა ექიმი.

აღსანიშნავია, რომ გასამრჯელოს გარდა დამჭრელს ექიმისათვის კიდევ ერთი საკლავი უნდა მიეყვანა სანათლავად. რამდენი დაჭრილიც იქნებოდა შუღლის შედეგად, იმდენი სანათლავი საკლავი უნდა მიეყვანათ დამჭრელებს ექიმისათვის. ხევსურთა რწმენით, ექიმის საქმიანობა წარმატებული რომ ყოფილიყო, მის ჯვარს (რომლის ყმაც იყო) ხელი უნდა გაემართა მისთვის. ალ. ოჩიაურის მიხედვით, ექიმი თუ არ გაინათლებოდა, მას არც ჯვარი დაეხმარებოდა ჭრილობის განკურნებაში, რადგანაც ადამიანის ჭრილობა უწმინდურად ითვლებოდა და ექიმსაც აუწმინდურებდა, ხოლო ექიმი წმინდად უნდა ყოფილიყო. ჯვარი, რომელიც ექიმს პატრონობდა, მისგან სიწმინდეს ითხოვდა ავადმყოფის დასახმარებლად, რაც სანათლავი საკლავის დაკვლით მიიღწეოდა.[1] ალ. ოჩიაურს მოჰყავს კონკრეტული შემთხვევა, როდესაც ექიმმა მანამ არ მიხედა დაჭრილებს, სანამ სანათლავი საკლავები არ მოიყვანეს.[2] სანათლავი საკლავის ტყავ-ხორცი ექიმს გასამრჯელოსთან ერთად რჩებოდა.[3]

გარკვეული მონაცემები ექიმის გასამრჯელოს შესახებ საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვხვდება, მაგალითად, მესხეთში ჩაწერილ მონაცემებში. მათ მიხედვით, დაჭრისას ზოგჯერ დამჭრელს დააკისრებდნენ გარკვეულ გადასახადს, რაც უმეტესად მკურნალობის ხარჯის გაღებაში გამოიხატებოდა.[4] მკურნალობის ხარჯის ანაზღაურება ექიმისათვის ფშავშიც გვხვდება ხევსურეთის ანალოგიური პრინციპებით.[5] აჭარაში დაფიქსირებულ მასალაშიც ვხდებით მკურნალო-

---

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/1, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში; 6/2, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 16-17.

[2] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/3, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 28.

[3] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/5, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 59.

[4] მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, №1, 67; ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 11.

[5] ო. ზოიძე, სასჯელები (ნაშრომის — „ფშაური ჩვეულებითი სამართალი" მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, გამომცემლობა „მეც-

ბის ხარჯის ანაზღაურებას. აქ მკურნალობის ხარჯის განსაზღვრას დაჭრა-დასახიჩრებისას მხარეთა შესარიგებლად შერჩეული პირები განსაზღვრავდნენ.[1]

4.4. პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობა. ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით შეგვიძლია ცალსახად ვთქვათ, რომ ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით პასუხისმგებლობის დაკისრებისას ხანდაზმულობის ინსტიტუტი არ მოქმედებდა.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ არანაირი ხანდაზმულობის ვადა არ მოქმედებდა სისხლის აღებისას, შურისძიებისას. საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც სისხლის აღება, შურისძიება ფაქტობრივად XX საუკუნეშიც შემორჩა, მკვლელობასა და სხვა დანაშაულებზე საპასუხო მოქმედება შესაძლოა განხორციელებულიყო ამ ქმედებიდან რამდენიმე ათეული თუ ასეული წლის შემდეგ. რაიმე შემზღუდავი ვადები საპასუხო ქმედების განხორციელებისა არ არსებობდა.

სვანეთთან დაკავშირებით საუბრისას ა. დავითიანი წერს: „სვანური სასწორ-სამართალი კაცის სისხლს სიძველით არ უკარგავდა ღირსებას. მით უფრო თუ სისხლი მკვლელობას უკავშირდებოდა, არ ლპებოდა, როგორც ამბობენ არ შრებოდა.....“[2]. მისივე განმარტებით, „სვანის წარმოდგენაში სისხლი ულპობი იყო და მისი აღება, როცა უნდა ყოფილიყო, ნაგვიანებად არასდროს არ ჩაითვლებოდა.“[3] ეგ. გაბლიანი მიუთითებს, რომ თვითონ ყოფილა მოწმე იმისა, რომ ერთი სვანი სასიკვდილოდ დასდევდა მეორე სვანს იმისთვის, რომ 40 წლის წინათ ამ სვანის მამის ჯორს მოურტყია წიხლი თეძოში მისი ბაბუისათვის.[4] მისივე განმარტებით, „ყოფილა შემთხვევები, მამას შვილი მუცელში დარჩენია. ის გაიზარდა და 22 წლის რომ შეიქმნა, მამის სისხლი აიღო. თუ ძმამ, შვილმა სისხლი ვერ აიღო, გადადის შვილიშვილზე. ამგვარად, მთელი საუკუნეები გრძელდება ამგვარი უბედურება.“[5] ბაბუას მკვლელი ან მისი შთამომავალი

ნიერება,“ თბ., 1991, 135.

[1] იხ. აბაშიძე, დასახ. ნაშრ., 58.

[2] ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რვეული №6, 46.

[3] იქვე, 71.

[4] ეგ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფ. 1925, 135.

[5] ეგ. გაბლიანი, იქვე.

შეიძლება მოკლულის შვილიშვილს მოეკლა.[1] მსგავს მონაცემებს ვხდებით ხევსურულ მასალებშიც. ალ. ყამარაული 1932 წელს გამოცემულ ნაშრომში წერს, რომ „ამ ასი წლის წინათ სოფ. ჭიმღას მცხოვრებ თეთრაულებს და სოფ. ახიელს მცხოვრებ ჯაბუშანურებს შორის მკვლელობა მომხდარა და მათ შორის შურისძიება დღემდე გრძელდება, რადგან შერიგება ვერ მოხერხდა."[2]

არანაირი ვადა არ არსებობდა კომპოზიციის მოთხოვნისთვისაც. ფიქსირდება კონკრეტული შემთხვევები დამნაშავის შთამომავლების მიერ დაზარალებულის შთამომავლობისათვის დანაშაულიდან მრავალი წლის შემდეგ კომპოზიციის გადახდისა. მ. კეკელიას სვანი ინფორმატორი პირდაპირ მიუთითებს, რომ დაზარალებულს არ ერთმევა წორის (მკვლელობისათვის გათვალისწინებული საზღაურის) მოთხოვნის უფლება მკვლელობიდან ნებისმიერო დროის გასვლის შემდეგ.[3] ალ. ყამარაულის ცნობით კი, ხევსურეთში მომხდარი ერთ-ერთი მკვლელობიდან (სოფელ ახიელის მცხოვრებმა ნაროზაულმა მოკლა სოფელ ბლოს მცხოვრები გიგაური) მხოლოდ ორასი წლის შემდეგ მოხდა შერიგება (1927 წელს).[4] ალ. ზისერმანის მიერ ზემოთ მოყვანილ მაგალითშიც გამოჩნდა, რომ დაზარალებულის შვილიშვილმა დამნაშავის შვილიშვილს მოსთხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება, დანაშაულის ჩადენიდან საკმაოდ დიდი დროის გასვლის შემდეგ.[5]

აქ მოყვანილი მაგალითები ადასტურებს ჩვენ მიერ ზემოთ ნათქვამს, რომ ქართული ჩვეულებითი სამართალი არ იცნობს პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის ვადას. პასუხისმგებლობის დაკისრება დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნებისმიერ დროს შესაძლოა მომხდარიყო. ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენდა დამნაშავის შთამომავლის მიერ დაზარალებულის შთამომავლობისათვის პასუხის მოთხოვნა.

---

[1] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, გვ. 30.

[2] ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ. 1931, 81.

[3] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969, 29.

[4] ალ. ყამარაული, იქვე, 80-81.

[5] არნ. ზისერმანი, დასახ. ნაშრ., 226.

თავი მეორე

სასჯელების ცალკეული სახეები ძართულ ჩვეულებით სამართალში

1. სიკვდილით დასჯა

XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებით ფიქსირდება ისეთი მძიმე სასჯელი, როგორიცაა სიკვდილით დასჯა. ჩვენ სიკვდილით დასჯას ძირითადად განვიხილავთ, როგორც საჯარო ზასიათის სასჯელს, რომელსაც სოფლის, თემის საზოგადოება (საზოგადოების ყრილობა) უსჯის დამნაშავეს.

11. დანაშაულები, რომელთა დროსაც გამოიყენებოდა სიკვდილით დასჯა. მასალების მიხედვით, სიკვდილით დასჯას თემის თუ სოფლის საზოგადოება იყენებდა, მათი გაგებით, უმძიმესი დანაშაულობების დროს. სიკვდილით დასჯა ძირითადად ხდებოდა თემის ღალატისათვის (რაც სხვადასხვა კონკრეტულ ქმედებაში გამოიხატებოდა)[1], ეკლესიის ქონების ხელყოფისათვის (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში აღნიშნულ ქმედებებს მოიცავს „თემისა და ხატის ღალატი"), ზნეობრივ სფეროში ჩადენილი დანაშაულისათვის (მაგალითად, უკანონო სქესობრივი კავშირისათვის, უკანონო ქორწინებისათვის). სიკვდილით დასჯას იყენებდნენ ასევე გამოუსწორებელი დამნაშავეების (მაგალითად, გამოუსწორებელი ქურდის) მიმართ. ზოგიერთ რეგიონში (ძირითადად, ბარის) სიკვდილით დასჯა ფიქსირდება მკვლელობის ჩამდენის მიმართაც, თუ ეს დანაშაული ჩადენილი იყო ახლო ნათესავის (ოჯახის წევრის) მიმართ, ანგარების თუ რაიმე ნაკლებმნიშვნელოვანი მიზეზის გამო. ამ უკანასკნელ შემთხვევას ვხვდებით მაშინ, როდესაც კონკრეტულ მკვლელობას საზოგადოება საჯარო სამართალდარღვევად აღიქვამს. ეს ისეთი დანაშაულებია,

[1] საქართველოს მთის რეგიონებში თემი ძალზედ მტკიცედ იცავდა თავის დამოუკიდებლობას. იგი სასტიკად უსწორდებოდა მათ, ვინც თემში უპირატესობის მოპოვებასა და თემზე გაბატონებას მოისურვებდა. მაგალითად, უშგულელებმა (ბალსზემო, ანუ თავისუფალი სვანეთი) საკუთარი თემის დამოუკიდებლობის დასაცავად ექვსი თავადი გამოასალმეს სიცოცხლეს (დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975, 31).

რომლებიც მნიშვნელოვნად და არსებითად ხელყოფდნენ მთელი საზოგადოების ინტერესებს.

1.2. **სიკვდილით დასჯის გამოყენების სიხშირე.** საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საზოგადოების ყრილობის გადაწყვეტილებით, სიკვდილით დასჯის ფაქტები ძალზედ იშვიათი იყო. მაგალითად, ბ. ნიჟარაძის განმარტებით, მის თანამედროვეებს (XIX საუკუნის II ნახევარი) არ ახსოვთ ვინმეს მიმართ სიკვდილით დასჯის გამოყენება, არ შესწრებიან საზოგადოების ყრილობის მიერ სიკვდილით დასჯის შემთხვევებს. სიკვდილით დასჯის ორი ფაქტი, რომელსაც ბ. ნიჟარაძე გადმოგვცემს, მათ მხოლოდ ძველი ზეპირგადმოცემის სახით ჰქონდათ გაგებული, თუმცა მათ ჭეშმარიტებაში ეჭვი არ ეპარებოდათ.[1] ბ. ნიჟარაძე მიუთითებს, რომ დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა რამდენადაც სასტიკი სასჯელია, იმდენად იშვიათი ყოფილა შესაბამისი დანაშაულების შემთხვევები.[2] ბ. ნიჟარაძის მოყვანილი სვანების (გულბანი, რატიანები) სიკვდილით დასჯის ფაქტების გარდა, სხვა შემთხვევებს საზოგადოების ყრილობის მიერ სვანების სიკვდილით დასჯისა, ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, ვეღარ ვხვდებით. დ. დავითულიანის მიერ მოყვანილი სულ რაღაც ორი ფაქტი სიკვდილით დასჯისა ჩაქოლვის ფორმით, გამოყენებულ იქნა არა სვანების მიმართ. სვანები მკაცრი სასჯელის შიშით, ძირითადად ერიდებოდნენ ისეთი დანაშაულის ჩადენას (ეკლესიის გაძარცვა, თემის ღალატი), რასაც შესაძლოა სიკვდილით დასჯა მოჰყოლოდა.

სვანეთის მსგავს სურათს ვხვდებით ფშავშიც. ო. ზოიძე ფშავთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ საველე-ეთნოგრაფიული მუშაობით ვერ იქნა მოკვლეული ჩაქოლვის კონკრეტული ფაქტები. ინფორმატორები დარწმუნებით მიუთითებენ სასჯელის ამ სახის არსებობაზე, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევას ვერ ასახელებენ.[3] ხევსურეთთან დაკავშირებითაც იშვიათად გვხვდება ჩაქოლვის კონკრეტული შემთხვევები,[4] აღარაფერს ვამბობთ საქართველოს სხვა კუთხეებზე.

---

[1] ბ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ., 86.

[2] იქვე.

[3] ო. ზოიძე, დასახ. ნაშრ., 96.

[4] მაგალითად, ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი პირდაპირ მიუთითებს, რომ ჩაქოლვა იშვიათად ხდებოდა და არც კონკრეტული შემთხვევები ახსოვს (დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 56-57).

ასე რომ, სიკვდილით დასჯა ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით არ წარმოადგენდა სასჯელის გავრცელებულ სახეს. ამის მიზეზი, იმის გარდა, რომ შესაბამისი დანაშაული შედარებით იშვიათი იყო, არის ისიც, რომ ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, სიკვდილით დასჯა არ წარმოადგენდა ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულებისათვის აბსოლუტურად განსაზღვრულ სანქციას. ამ დანაშაულებისათვის საზოგადოების ყრილობას შეეძლო გამოეყენებინა სხვა საკმაოდ მძიმე საჯარო ხასიათის სასჯელი (მოკვეთა, გაძევება) და მისით შეეცვალა სიკვდილით დასჯა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბ. ნიჟარაძის მიხედვით, როდესაც სვანეთში თემის ყრილობა საზოგადოების ღალატისას და ეკლესიის გაძარცვისას რაიმე პატივსადებ და შესაწყნარებელ გარემოებას დაინახავდა, დამნაშავეებს სიკვდილით დასჯას შეუცვლიდა ოჯახიანად აყრით და საზოგადოებიდან განდევნით.[1]

მსგავსი მონაცემები არც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის იყო უცხო.[2] მაგალითად, ო. ზოიძეს მოჰყავს შემთხვევა ფშავის სინამდვილიდან, რომელსაც ჰყვება ფშავის მცხოვრები ნინო გაუბარაშვილი (მასალა ჩაწერილია 1986 წელს, როდესაც მთხრობელი 76 წლისა იყო): „მამაჩემი თავკაცი იყო. თურმე ერთხელ სოფელს განუზრახავს თავისიანზე შეგმანილი[3] ქალის და კაცის ჩაქოლვა. ქალი და კაცი ერთმანეთზე დაუკრავთ, მაგრამ მამაჩემს არ დაუშვია მათი ჩაქოლვა“.[4]

საზოგადოების ყრილობას სიკვდილით დასჯის შეცვლა მოკვეთა-გაძევებით შეეძლო მხოლოდ მოცემული საზოგადოების (თემის, სოფლის) წევრის მიმართ, რადგანაც ამ სასჯელების შეფარდება უცხო საზოგადოების თემის წევრის მიმართ არ გამოიყენებოდა. საერთოდ, საზოგადოების ღალატის, როგორც დანაშაულის სუბიექტი შესაძლოა ყოფილიყო მხოლოდ მოცემული საზოგადოების წევრი და მის მიმართ სრულიად ბუნებრივადაა შესაძლებელი მომხდარიყო სიკვდილით დასჯის შეცვლა მოკვეთა-გაძევებით. სუბიექტი ზოგიერთი სხვა დანაშაულისა, რომლისთვისაც შესაძლოა შეფარდე-

[1] ბ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ., 86; დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., 109.

[2] გავიხსენოთ თუნდაც ვაჟას „მოკვეთილი“, სადაც ხევისბერმა ჭუჭამ ხალხს ჩაქოლვის განაჩენი შეაცვლევინა და დამნაშავე მოკვეთეს.

[3] შეგმანვა — სქესობრივი კავშირის დამყარება.

[4] ო. ზოიძე, დასახ. ნაშრ., იქვე.

ბულიყო სიკვდილით დასჯა (მაგალითად, ეკლესიის, ჯვარ-ხატის გაძარცვა, თემის წევრთან უკანონო სქესობრივი კავშირის დამყარება), შესაძლებელია ყოფილიყო მოცემული საზოგადოებისა და სხვა საზოგადოების წევრიც. თუ ამ დანაშაულის სუბიექტი მოცემული საზოგადოების (თემის) წევრი იყო, მაშინ, ცხადია, თემს შეეძლო შეეცვალა მისთვის სიკვდილით დასჯა მოკვეთა-გაძევებით. თუ სუბიექტი სხვა საზოგადოების წევრი იყო, ბუნებრივია, მის მიმართ საზოგადოებიდან მოკვეთა-გაძევების სასჯელს საზოგადოების ყრილობა ვერ გამოიტანდა.[1]

ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, სიკვდილით დასჯის გამოყენება იშვიათად ხდებოდა ბარის რეგიონებშიც. ეს გარემოება, მაგალითად, სამეგრელოში უცხოელმა მისიონერებმაც შენიშნეს. დონ კრისტოფორო დე კასტელი აღნიშნავს, რომ სამეგრელოში ჩვევად არ იყო დამნაშავის სიკვდილით დასჯა. სიკვდილით მხოლოდ მაშინ სჯიდნენ, როცა ისეთი მძიმე დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთი ჰქონდათ, როგორიცაა ეკლესიის გაძარცვა, მთავრის მოკვლის თუ სახელმწიფოს დამხობის ცდა.[2] სიკვდილით დასჯის გამოყენების იშვიათობას სამეგრელოში ა. ლამბერტიც ადასტურებს.[3] ლ. გაბისონია არსებული მონაცემების საფუძველზე მიუთითებს, რომ სამეგრელოს მთავარი სიკვდილით დასჯას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში იყენებდა. ამ სასჯელს უფრო დიდებულები და თავადები მიმართავდნენ.[4] როდესაც ვსაუბრობთ სასჯელის, მათ შორის სიკვდილით დასჯის გამოყენებაზე, საქართველოს ბარის რეგიონებში, მაგალითად,

[1] უცხოს მიერ ეკლესიის გაძარცვისათვის შესაძლოა თემს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოეტანა, თუ დამნაშავეს (ან დამნაშავეებს) ხელში ჩაიგდებდა. თუ უკანონო სქესობრივი კავშირი, უკანონო ქორწინება ჩადენილი იყო სხვადასხვა თემის წარმომადგენლებს შორის, ამ შემთხვევაში შესაძლოა მათ მიმართ რეაგირება მოეხდინა თითოეულ თემს, სოფელს, გვარს, ამით შეურაცხყოფილ კონკრეტულ პირს. მათ შესაძლოა პირდაპირ მოეკლათ პიროვნება თავისი თემის, გვარის ქალის მოტაცებისათვის, მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებისათვის. იმავე შესაძლოა მოემოქმედა ამ ქალის დანიშნულსაც. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით დანაშაულეთა ცალკეული სახეების განხილვისას შევჩერდებით.

[2] დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, თბ., 1977, 46.

[3] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, 73.

[4] ლ. გაბისონია, სამეგრელოს სამთავროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა და სამართალი, თბ., 1996, 164.

იმავე სამეგრელოში XVII საუკუნის თუ შემდეგდროინდელი მონაცემების მიხედვით[1], უნდა გავითვალისწინოთ, რომ მათი დაკისრება, ძირითადად, ხელისუფლების წარმომადგენლების (ცალკეული თავადების) მიერ ხდებოდა და არა საზოგადოების ყრილობის მიერ. აქვე ისიცაა აღსანიშნავი, რომ ჩვენს ხელთ არსებული XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის ქართული ჩვულებითი სამართლის მასალების მიხედვით, საქართველოს ბარის რეგიონებში გვხვდება ცალკეული ფაქტები (საკმაოდ იშვიათი) საზოგადოების ყრილობის მიერ სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანისა.

ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, შესაძლებელია საუბარი სიკვდილით დასჯის რამდენიმე სახის შესახებ.

1.3. **ჩაქოლვა**. ჩაქოლვა, როგორც სიკვდილით დასჯის სახე, მრავალ სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენებოდა. იგი ჯერ კიდევ „ძველ აღთქმაში“ გვხვდება. კერძოდ, „გამოსლვათაჲს“ XXI თავში ნათქვამია: „უკუეთუ ურქინოს კურომან მამაკაცსა და დედაკაცსა და მოკუდეს, ქვითა განიტჳნოს კუროჲ და ჴორცი მის არა იჭამოს, ხოლო უფალი მისი უბრალო იყოს...“ (გამოსლვათაჲ, XXI_{28}). „ქვითა განიტჳნოს“ ქვების მიყრით მოკვდინებას, ანუ ჩაქოლვას გულისხმობს. ჩაქოლვა „ძველი აღქმის“ სხვა ნაწილებშიც გვხვდება. კერძოდ, „მეორისა სჯულის“ XIII თავში აღნიშნულია, რომ თუ ძმა, ძე, ასული, ცოლი, თუ მეგობარი ფარულად მოუწოდებს პიროვნებას, რომ ემსახურონ უცხო ღმერთს, მან უნდა ამხილოს იგი „....და ქვა დაჰკრიბონ მას და მოაკვდინონ“ (მეორისა სჯულისაჲ, XIII_{7-11}). ანალოგიური სასჯელია გათვალისწინებული კერპთაყვანისმცემლობისათვის „მეორე სჯულის“ XVII თავის მიხედვითაც. აქ აღნიშნულია, რომ თუ ვინმე ემსახურება კერპს და თაყვანს სცემს მზეს, მთვარეს და სხვა და ეს დამტკიცდება გამოძიებით, მაშინ „....განიყვანოს კაცი იგი გარეშე ქალაქსა, მამაკაცი იყოს, გინა დედაკაცი, ქვა დაჰკრიბონ მას და მოკუდეს“ (მეორისა სჯულისაჲ, XVII_{2-5}). ამ ორივე შემთხვევაში „ქვა დაჰკრიბონ“ სწორედ ჩაქოლვის აღმნიშვნელია. „ძველი აღთქმის“ ეს ნორმები საფუძვლად უდევს ებრაული (მოსეს) სამართლის

[1] თ. სახოკია სამეგრელოში ადასტურებს სიკვდილით დასჯის ისეთი სახეების არსებობას, როგორიცაა თავის მოკვეთა და სარზე ჩამოცმა (თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956, 64-65).

ქართული ვერსიის მე-2 და მე-8 მუხლებს, სადაც ჩაქოლვა იმავე სახით — „ქვა დაჰკრიბონ“ — არის გადმოცემული. ასე რომ, ჩაქოლვა „ძველი აღთქმიდან“ გამომდინარე, საქართველოშიც იყო ცნობილი. სწორედ „ძველი აღთქმიდან“ გამომდინარე ამ სასჯელმა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შემავალ ებრაული სამართლის ქართულ ვერსიაშიც დაიმკვიდრა ადგილი.

საქართველოში ჩაქოლვა სიკვდილით დასჯის ერთ-ერთ უძველეს და საკმაოდ გავრცელებულ სახეს წარმოადგენდა. იგი შორეული წარსულიდან რომ მომდინარეობს, ამას მიუთითებს ერთ-ერთი ქართული აგიოგრაფიული ნაწარმოები — „ცხრა კოლაელ ყრმათა მარტვილობა“. ამ ნაწარმოებიდან ვიგებთ, რომ ცხრა კოლაელი ყრმა გაქრისტიანების გამო დასაჯეს სიკვდილით, მათივე კერპთაყვანისმცემელი მშობლების ინიციატივით. სიკვდილით დასჯა მოხდა სწორედ ჩაქოლვით: „და სიმრავლემან ერისამან დაჰკრიბეს ქვაჲ, ვიდრემდის აღავსეს ჴნარცე იგი და დაფარნეს ქვითა წმიდანი იგი გუამნი მათნი და მიწა იგი აღმოთხრილი მიასხეს ზედა კერძო მათსა“.[1] როგორც ჩანს, ბავშვები ჩასაქოლად ჩაყარეს ორმოში, შემდეგ დააყარეს ქვები („დაჰკრიბეს ქვაჲ“), ბოლოს კი მიწა მიაყარეს. აღნიშნული შემთხვევა დაახლოებით VI საუკუნეში უნდა მომხდარიყო, ხოლო ავტორი IX საუკუნეში ცხოვრობდა.[2] აღნიშნული ამბავი მიუთითებს, რომ ჩაქოლვა, რომელიც აქ „ქვების დაკრებვად“ იხსენიება, ჯერ კიდევ წარმართობის ხანიდან მოდის.

ჩაქოლვას ზოგიერთ ქართული სამართლის ძეგლშიც ვხვდებით. კერძოდ, ჩაქოლვა გათვალისწინებულია კათალიკოსთა სამართლის 22-ე მუხლით, რომლის თანახმად გათვალისწინებულია ჩაქოლვა („დაკირვა“) რძლის ცოლად შერთვისათვის.[3] სულიერ (სუნტიკინოზმანთა) და სისხლის ნათესავთა შორის სქესობრივი კავშირის დამყარებისათვის ჩაქოლვას ვხვდებით XV საუკუნის ძეგლში — „სამთავისის სამწყსოს საკანონოს წიგნი.“ მის მე-12 მუხლში ვკითხულობთ: „უკეთუ ვინმე სუნტიკინოზმანთა თანა დაეცეს ანუ მეყუსთა თანა ჩაიქოლოს...“[4] საინტერესოა, რომ უკანონო ქორწინება და

---

[1] ქართული პროზა, ტ. 1, თბ., 1981, გვ. 185-186.

[2] იქვე, 584.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, ტ. 1, თბ., 1963, გვ. 397.

[4] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი

უკანონო (სულიერ თუ ხორციელ ნათესავთა შორის) სქესობრივი კავშირი ჩაქოლვის საკმაოდ გავრცელებული საფუძველია ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვითაც.

საკმაოდ საინტერესო მონაცემებს ვხვდებით ჩაქოლვის შესახებ ჩვენს ხელთ არსებულ XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში. ჩაქოლვა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფიქსირდება ფაქტობრივად ყველა იმ დანაშაულისათვის, რისთვისაც ქართულ ჩვეულებით სამართალში სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული. ამ მასალებით „ჩაქოლვა“ გამოიხატება ასევე ტერმინებით „ჩაქვავება“[1], „ჩაღორღვა“,[2] „ჩაკირვა“, „ამოკირვა“[3].

131. დანაშაულები, რომელთათვისაც გამოიყენებოდა ჩაქოლვა. თავდაპირველად განვიხილოთ, თუ საქართველოს კუთხეების მიხედვით კონკრეტულად რა დანაშაულისათვის გამოიყენებოდა ჩაქოლვა.

საკმაოდ მწირი მონაცემები გაგვაჩნია ჩაქოლვის შესახებ სვანურ სინამდვილეში. მას გაკვრით ეხება მ. კოვალევსკი[4], ხოლო ბ. ნიჟარაძე

დაურთო ი. დოლიძემ, ტ. 3, თბ., 1970, გვ. 207.

[1] ამ ტერმინს ხმარობს ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი, რომელიც საუბრობს რა ჩაქოლვაზე, მიუთითებს, რომ მას ხან „ჩაქოლვას“, ხან „ჩაქვავებას“ ეძახდნენ (ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურეთის ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 17.). იმავე ტერმინს მ. კეკელია მესხეთშიც აფიქსირებს (მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1986, 14). საინტერესოა, რომ იმავე ტერმინს ჩაქოლვის აღსანიშნავად ეხვდებით ალ. ყაზბეგის „ხევისბერ გოჩაში“ (ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. II, თბ. 1948, გვ. 309).

[2] ეს ტერმინი ხევში გვხვდება. მოხევეები ჩაქოლვას სწორედ „ჩაღორღვად“ იხსენიებენ, რადგანაც დამნაშავეს სწორედ ქვა-ღორღის გამოყენებით უსწრაფავდნენ სიცოცხლეს (მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1984, 51, 69).

[3] „ჩაკირვა“, „ამოკირვა“ ფიქსირდება მესხეთში (მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე., ეთნოგრაფიული რეული, 1986, 13-14). ძირითადად კი აღნიშნული ტერმინები ჩაქოლვის აღსანიშნავად გამოიყენებოდა აჭარაში (ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რეული, 1989-1990, 32, 42: მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 45; გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 65).

[4] М. Ковалевский, Законъ и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890, 35.

საერთოდ არ ახსენებს და კონკრეტულ შემთხვევებში სიკვდილით დასჯის სხვა სახეების გამოყენებაზე საუბრობს. მიუხედავად ამისა, ჩაქოლვის არსებობა სვანეთში ეჭვს არ იწვევს. ამას მიუთითებს თუნდაც ის, რომ ჩაქოლვის ფაქტები სვანეთში XX საუკუნის I ნახევარშიც ფიქსირდება. დ. დავითულიანს მოჰყავს შემთხვევა, რომელიც 1937 წელს კალაში მოხდა. კერძოდ, დამნაშავეებმა გაძარცვეს კალის წმინდა კვირიკეს ეკლესია. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მეორე დღესვე შეიპყრეს დამნაშავეები და ჩაქოლვს. თან ეს სასჯელი ისე მოიყვანეს სისრულეში, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ამის შესახებ ვერაფერი შეიტყვეს.[1] სვანეთში ჩაქოლვის კონკრეტული ფაქტი ფიქსირდება მ. კეკლიას მასალებშიც. 1927 წელს უშგულელებმა ჩაქოლეს ეკლესიის მძარცველები.[2] ცხადია, ეს არ იქნებოდა ჩაქოლვის პირველი შემთხვევები სვანურ სინამდვილეში, მით უმეტეს მ. კოვალევსკი უფრო ადრეულ პერიოდში ადასტურებს მის არსებობას. როგორც ჩანს, ჩაქოლვით მოხდა სასიკვდილო განაჩენის აღსრულება, მაშინაც, როდესაც XIX საუკუნეში ბალყარელმა თავადმა დეევთგერ მურზაყულოვმა, თანმხლებ პირებთან ერთად გაძარცვა უშგულის წმინდა ბარბარეს ეკლესია, ხოლო სოფლის მცხოვრებლების მიერ შეპყრობილ მძარცველებს თემის ყრილობამ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ეგ. გაბლიანის ცნობით, უშგულელებს დევეთგერი მოუკლავს ეკლესიის გალავანთან არსებულ ქვებზე.[3] დ. დავითულიანი კი აკონკრეტებს, რომ დამნაშავეები სწორედ ჩაქოლეს.[4]

როგორც ვხედავთ, სვანეთში, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ჩაქოლვა ეკლესიის გაძარცვისათვის ხდებოდა. იმავე დანაშაულისათვის აღნიშნული სასჯელის გამოყენებას საქართველოს სხვა კუთხეებშიც ვხვდებით, თუმცა სვანეთისაგან განსხვავებით, მისი შეფარდება საზოგადოების მიერ სხვა დანაშაულებისთვისაც ხდებოდა. განსაკუთრებით ეს ეხება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს.

ვაჟა-ფშაველას მიხედვით ფშავში ჩაქოლვის გამოყენება, ხდებოდა თემისა და ხატის ღალატისათვის, უკანონო სქესობრივი კავ-

[1] დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., 110.

[2] მ. კეკელია, მასალები სვანეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №5, 1968-1969, 80.

[3] ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, 24; დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., 107.

[4] დ. დავითულიანი, იქვე.

შირისათვის (მათ შორის წაწლებს შორის კავშირისათვის).[1] იმავეს ადასტურებს ლ. რაზიკაშვილიც. მისი განმარტებით, ჩაქოლვა გამოიყენებოდა ხატის გაძარცვისათვის, ლაშქრობის დროს თემის პირის გატეხვისათვის, თემ-სოფლის ასაკლებად მტრის შემოშვებისათვის (ამ დანაშაულებს ვაჟას ნახსენები თემისა და ხატის ღალატის შემადგენლობა მოიცავს), ნათესავებს შორის სქესობრივი კავშირისათვის.[2] უკანონო სქესობრივი კავშირისათვის ჩაქოლავდნენ (თუ თემი ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა) ქალსაც და კაცსაც. ჩაქოლვა შეიძლება გამოყენებულიყო არანათესავებს შორის უკანონო სქესობრივი კავშირის დამყარებისთვისაც, თუ ამას „გაბიჭიანება“ მოჰყვებოდა. ო. ზოიძეს მოჰყავს 86 წლის ფშაველის ნიკოლოზ თვარელიშვილის ინფორმაცია: „გაბიჭიანებისას.... ქალსაც და კაცსაც ხიდის ყურზე ჩაჰქოლავდნენ. ეს მაშინ, თუ გაბიჭიანება ქალის ნებით მოხდებოდა, ხოლო თუ მისი ნების საწინააღმდეგოდ, – მაშინ ქალი არ ისჯებოდა და მხოლოდ გამბიჭიანებელს ჩაჰქოლავდნენ“.[3] ძალით გაბიჭიანებისათვის, ცხადია, მხოლოდ მამაკაცი ჩაიქოლებოდა.

მასალების მიხედვით, ჩაქოლვა გათვალისწინებული იყო ისეთი მძიმე დანაშაულისთვისაც, როგორიც იყო თემის ან გვარის შიგნით ქორწინება. ფშავში ძველად ქორწინება იკრძალებოდა არა მარტო გვარის, არამედ თემის შიგნითაც. ჩაქოლვა შესაძლოა ამ წესის დარღვევასაც მოჰყოლოდა.[4] ო. ზოიძის განმარტებით, ეს ძველ დროს განეკუთვნებოდა, ვიდრე ბოლო პერიოდს (XIX-XX საუკუნეები). მას ამის დამადასტურებელი მონაცემებიც მოჰყავს.[5]

იმავე დანაშაულებისათვის ჩაქოლვას ადგილი ჰქონდა ხევსურეთში. ერთ-ერთი ინფორმატორი განმარტავს, რომ ჩაქოლვა ძალზედ მძიმე დანაშაულებს მოჰყვებოდა. მაგალითად, ნათესავებს შორის სქესობრივი კავშირის დამყარებისათვის, უკანონო შვილის გაჩენისათვის, ჯვარის (ხატის) გაძარცვისათვის, თემის, გვარის ინტერესის

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, 1964, ტ. IX, 18, 71.

[2] ლ. რაზიკაშვილი, არ დავიწყება ძველისა, თბ., 1984, 16.

[3] იქვე, 99.

[4] დ. ჯალაბაძე, მასალები ფშაურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 30.

[5] ო. ზოიძე, სასჯელები (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“ მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი,“ 3, გამომცემლობა „მეცნიერება,“ თბ., 1991, 100.

დარღვეისათვის.[1] მ. კედელაძის ხევსურულ მასალებშიც არის ცნობა ჩაქოლვის შესახებ. მისი განმარტებით, გვარის შიგნით სქესობრივი კავშირის გამო ქალსაც და კაცსაც ძველად თვითონ გვარი ჩაქოლავდა.[2]

ხევსურეთში ჩაქოლვის კონკრეტული ფაქტებიც ფიქსირდება, მაგალითად, ადგილობრივი სალოცავის — ჯვარის განძეულობის ხელყოფისას. 1876 წლის გაზეთ „დროების“ კორესპონდენცია გვამცნობს, რომ ხევსურეთში, 1875 წლის 15 ნოემბერს გუდანის ჯვარის გაქურდვა მოხდა. ამასთან დაკავშირებით გუდანელებს საზოგადოების ყრილობა ჩაუტარებიათ და დამნაშავეთათვის ძველი ჩვეულების მიხედვით ჩაქოლვა გადაუწყვეტიათ, რაც შემდეგ სისრულეშიც მოიყვანეს.[3] კონკრეტული მაგალითი ჯვარის გაძარცვისათვის ჩაქოლვის გადაწყვეტისა ხევსურულ სინამდვილეში მოჰყავს ნ. ჯალაბაძეს. მისი გადმოცემით, ვაჟკაცობით ცნობილი ბღარიკათ გიორგი ვიღაცას გაუამხანაგდა, მათ ჯვარი გატეხეს და თას-განძი წაიღეს. სოფელმა შეიტყო ქურდის ვინაობდა და გადაწყვიტა ჩაექოლა იგი. ამის გამო გიორგი მიიტყუეს ჯვარში, თითქოს შესარიგებლად. მისმა ბიძაშვილმა, ღვთისმშობლის ჯვარის ხუცესმა, პირველმა დაარტყა ხელკეტი, მაგრამ გიორგიმ იმარჯვა, ღობეს გადაევლო და თავს უშველა.[4]

ფშავ-ხევსურეთში ჩაქოლვა შეიძლება გამოუსწორებელი ქურდის მიმართაც გამოყენებულიყო. კერძოდ, ბ. გაბუურის ცნობით, საკუთარ სოფელში ქურდობის მეორედ თუ მესამედ ჩამდენი სოფელს შეიძლება ჩაექოლა.[5] ო. ზოიძის მითითებით, ფშავში ჩაწერილი მასალებიდან არ ჩანს, თუ რამდენჯერ უნდა მოეპარა კაცს, რომ გამოუსწორებელ ქურდად ჩაეთვალათ იგი. მისი აზრით, საქმე თემის შეხედულებისამებრ გადაწყდებოდა — ჰქონდა თუ არა თემს დამნაშავის გამოსწორების იმედი.[6]

---

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევეული, 1988, 17.

[2] მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, პირადი არქივი, ხელნაწერი, ეთნოგრაფიული რევეული №7, 4-5.

[3] გაზ. „დროება“, 1876, №131.

[4] ნ. ჯალაბაძე, ადათობრივ სამართალთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტი ხევსურეთში, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები“, თბ., 1987, 164.

[5] ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, 1923-1924, 119.

[6] ო. ზოიძე, სასჯელები (ნაშრომის — „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“ მეორე

ჩაქოლვას („ჩაქვავებას“, „ჩაღორღვას“) ვხვდებით ხევშიც. ეს სასჯელი ხევშიც დამნაშავისათვის ქვა-ღორღის მიყრით გამოიყენებოდა თემის ინტერესების შემბღალავი და უზნეობის ჩამდენი პიროვნების მიმართ.[1] ხევში ჩაქოლვის მაგალითს ალ. ყაზბეგის „ხევისბერ გოჩაში“ ვხვდებით. ლაპარაკია ორ ოსზე, რომლებიც თემმა შეიფარა, მისცა ბინა, დაუთმო სახნავი მიწები, მათ კი მტერს უჩვენეს მოსასვლელი ბილიკები, რის გამოც ხევის ჯარს მტერი მოულოდნელად თავს წაადგა. ამისათვის თემმა ისინი ჩაქოლა.[2] ცხადია, ალ. ყაზბეგმა ჩაქოლვა, როგორც სასჯელი, რეალური ცხოვრებიდან აიღო. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა თემის ღალატის, როგორც დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც მტრისათვის გზის ჩვენებაში გამოიხატა.

ჩაქოლვა არც ქსნის ხეობაში ყოფილა უცხო. მ. კეკელიას მიერ 1985 წელს ჩაწერილ მასალაშიც ფიქსირდება იგი. თუმცა ინფორმატორები ჩაქოლვის კონკრეტულ ფაქტს ვერ იხსენებენ.[3]

როგორც ვხედავთ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჩაქოლვა, სვანეთისაგან განსხვავებით, დანაშაულთა საკმაოდ ფართო სპექტრისათვის გამოიყენებოდა. კერძოდ, საზოგადოების ღალატისათვის (რაც შესაძლოა სხვადასხვა ქმედებაში გამოხატულიყო), ადგილობრივი სალოცავის (ჯვარ-ხატის) გაჭურდვისათვის, უკანონო სქესობრივი კავშირისა და უკანონო ქორწინებისათვის, არაერთგზისი ქურდობისათვის.

საკმაოდ ხშირად ვხვდებით ჩაქოლვას აჭარაში ჩაწერილ მასალაში. აჭარაში ჩაქოლვა, ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, ძირითადად, უკანონო სქესობრივი კავშირის დროს ხდებოდა. ამას არაერთი აჭარელი ინფორმატორი ადასტურებს.[4]

თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი,“ 3, გამომცემლობა „მეცნიერება,“ თბ., 1991, 100.

[1] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატები №1, 1984, 51.

[2] ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1948, 309.

[3] მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატები, 1985, 24. ერთ-ერთი ინფორმატორი ქსნის ხეობიდან მიუთითებს, რომ ამ რეგიონში არის სოფელი წირქოლი. გადმოცემით წირქოლი ორი სიტყვის გაერთიანებას წარმოდგენს — წირვა და ჩაქოლვა. თურმე აქ ხდებოდა დამნაშავეთა ჩაქოლვა. თუ როგორ წარმოებდა იგი, ინფორმატორს არ ახსოვს (მ. კეკელია, იქვე, 35-36).

[4] ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატები, 1989-1990, 32, 42; მისივე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, 1989,

ჩაქოლვა საქართველოს სხვა არაერთ კუთხეშიც ფიქსირდება, მათ შორის ბარის რეგიონებშიც. მაგალითად, სასჯელის ამ სახეზე საუბრობს გურული ინფორმატორი.[1] მესხეთში ჩაწერილ მასალების მიხედვით, ჩაქოლვა გამოიყენებოდა სოფლის ღალატისათვის, ნათესავთან სქესობრივი კავშირისათვის და როგორც ერთ-ერთი ინფორმატორი მიუთითებს: „თათრობის გზაზე დადგომისათვის".[2] ეს უკანასკნელი მოვლენა მესხეთისთვის პრობლემური იყო და ქრისტიანის მუსლიმობის გზაზე დადგომას უნდა გულისხმობდეს. როგორც ჩანს, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ასეთი ქმედება საზოგადოების ღალატად აღიქმებოდა და მას უმძიმესი სასჯელი ამიტომაც მოჰყვებოდა.

ჩაქოლვის კონკრეტული მაგალითები ქართლ-კახეთშიც ფიქსირდება. მაგალითად, XIX საუკუნის 60-იან წლებში ქართლის სოფელ ჩოჩელში, 1905 წელს თელავში, 1918 წელს ბაკურციხეში და ა. შ.[3] გ. ჟორდანიას მოჰყავს ჩაქოლვის კონკრეტული ფაქტები მკვლელობისა და ყაჩაღობისას. კერძოდ, საგარეჯოში შვილიშვილს ფულის გამო მოუკლავს მოხუცებული ბებია. სოფელმა ეჭვი სწორედ შვილიშვილზე მიიტანა, მანაც აღიარა დანაშაული. ხალხმა დამნაშავე ქვებით ჩაქოლა.[4] იმავე ავტორის ცნობით, სიღნაღში ხალხმა ჩაქოლა 5 პიროვნება ქურდობისა და ყაჩაღობისათვის.[5] როგორც ჩანს, როდესაც საზოგადოებას უკიდურესად შეაწუხებდა ვინმე ქურდობითა და ყაჩაღობით, ეს მთელი საზოგადოების ინტერესების ხელმყოფ ქმედებად ჩაითვლებოდა და საზოგადოებას შესაძლოა სიკვდილით დასჯა გადაეწყვიტა ამ დანაშაულთა ჩამდენთათვის. როგორც აღნიშნული ფაქტი მიუთითებს, ასეთ შემთხვევაში სიკვდილით დასჯის სახე შესაძლოა ჩაქოლვაც ყოფილიყო.

№2, 37-38; იხ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, №455, ბათუმი, 1965, 41, 42.

[1] დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 11-12.

[2] მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1986, 89-70; მისივე, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №2, 1986, 14; ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1986, 80.

[3] ვლ. ალფენიძე, ჩაქოლვა, გაზ. „სოფლის ცხოვრება", 1972, 20 ივლისი.

[4] გ. ჟორდანია, სისხლის სამართალი ქართლის სოფლებში (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1908, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1813.

[5] იქვე.

1.3.2. ჩაქოლვის ჩატარების ადგილი. სიკვდილით დასჯას, როგორც სასჯელს, ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, არსებითი ზოგადპრევენტიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანია, მაგალითად, ჩაქოლვის პროცედურის ჩატარების ადგილი. ეს ადგილი ისე იყო შერჩეული, რომ ჩაქოლილი (ჩაქოლილები) ყველას დაენახა და ამის შიშით სხვებს თავი შეეკავებინათ ისეთი დანაშაულისაგან, რომელიც ჩაქოლვას იწვევდა. სამეცნიერო ლიტერატურისა და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ასეთი ადგილებია: გზაჯვარედინი („გზათა შესაყარი", „ოთხი გზის შუა")[1], სოფლის ცენტრი,[2] ხიდის ყურე. მაგალითად, ვაჟა-ფშაველას განმარტებით, ჩაქოლვა ხდებოდა გამოსაჩენ ადგილას — გზაჯვარედინზე, „გზის შესაყარში" და ხიდის ყურზე, რომ ყველას დაენახა დამნაშავეები.[3] იმავეს მიუთითებს დ. დავითულიანიც. მის მიერ მოყვანილ კონკრეტულ შემთხვევაშიც ბოროტმოქმედები გზაჯვარედინზე ჩაქოლეს. კალას მცოვრებლებმა ბოროტმოქმედები ტყეში შეიპყრეს. დ. დავითულიანის მოსაზრებით, ხალხს არაფერი უშლიდა ხელს იქვე ფიზიკურად გასწორებოდნენ დამნაშავეებს, მაგრამ ამის ნაცვლად გზის შესაყარში ჩაქოლეს.[4] ცხადია, ეს იმიტომ გაკეთდა, რომ მთელი საზოგადოებისათვის თვალნათელი გამხდარიყო, თუ რა შეიძლება მოჰყოლოდა საზოგადოების ინტერესების ხელყოფას.[5]

---

[1] ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, 1989, №2, 37-38; გ. დავითაშვილი, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 65; მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1986, 69.

[2] ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989-1990, 32.

[3] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, თბ., 1964, ტ. IX, 72.

[4] დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., 112. დ. დავითულიანის განმარტებით, გზაჯვარედინი სვანური გადმოცემით ყოველთვის ცოდვა-მადლის განკითხვის ადგილადაა მიჩნეული (იქვე, 110).

[5] როგორც ჩანს, იმავე მიზნით ჩაქოლვა შესაძლოა განხორციელებულიყო სალოცავის (ჯვარ-ხატის) ტერიტორიაზეც რელიგიური დღესასწაულის დროს. ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ კონკრეტული მაგალითი, როდესაც ჯვარის თას-განძის მომპარავი ჩასაქოლად სწორედ ჯვარში მიიტყუეს და იქ დააპირეს ჩაქოლვის განაჩენის აღსრულება (ნ. ჯალაბაძე, ადათობრივ სამართალთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტი ხევსურეთში, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები", თბ., 1987, 164). მსგავსი შემთხვევა ფშაუშიც ფიქსირდება. აქ არსებული

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ჩაქოლილს მიწასაც არ აღირსებდნენ დასამარხად და ჩაქოლვის ადგილზე ტოვებდნენ.[1] მასალების მიხედვით, გამვლელ-გამომვლელი ჩაქოლვის შემდეგ საკმაო ხნის მანძილზე, ჩაქოლვის ადგილას, ქვას მიაგდებდნენ ხოლმე,[2] რითაც ჩაქოლილისა და მისი მოქმედების მიმართ თავის დამოკიდებულებას გამოხატავდნენ.

1.3.3. ჩაქოლვის ჩატარების წესი. სამწუხაროდ, აღნიშნულ საკითხზე ჩვენს ხელთ არსებული XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალები საკმაოდ მწირ ცნობებს შეიცავენ. მიუხედავად ამისა, შევეცდებით, ჩაქოლვის ჩატარების გარკვეული სურათი წარმოვაჩინოთ.

როგორც მასალებით ირკვევა, ჩაქოლვას მთელი სოფელი ესწრებოდა. ჩაქოლვისას, როგორც წესი, დამნაშავეს ყველა იქ მყოფი სოფლის მცხოვრები ქვა-ღორღს მიაყრიდა და ამ სახით მოუსწრაფებდა სოცოცხლეს. ჩაქოლვაში მონაწილეობა ყველას ვალდებულება იყო, რადგანაც ჩაქოლვის გადაწყვეტილებას მთელი საზოგადოება იღებდა, რაც ერთიანი საზოგადოებრივი აზრის გამოხატულებას წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ყველას ერთნაირად უნდა აელო პასუხის-

---

თორმეტივე თემის წარმომადგენლებმა შეკრეს პირი და გადაწყვიტეს კონკრეტული დანაშაულისათვის გოგოლაურები ჩაექოლათ. ლაშარს მოაგროვეს საქოლაკი ქვა და გადაწყვიტეს დღეობაზე მოსულების ჩაქოლვა (ზ. კიკნაძე, ანდრეზები, თბ., 2009, 207). ამ შემთხვევებში ჩაქოლვის განხორციელება სალოცავის ტერიტორიაზე მხოლოდ აღნიშნული სასჯელის საჯაროდ ჩატარების სურვილით არ უნდა ყოფილიყო განპირობებული, არამედ, ამას, ჩვენი აზრით, კონკრეტული ვითარება მოითხოვდა. პირველ შემთხვევაში დამნაშავე შემორიგების მოტივით მიიტყუეს, შერიგება კი სწორედ ჯვარში შეიძლება მომხდარიყო. აქედან გამომდინარე, დამნაშავე მათ შეეძლოთ ხელში ჩაეგდოთ სალოცავში, სადაც იგი შერიგების იმედით მივიდოდა. მეორე შემთხვევაში კი დამნაშავეთა შეპყრობა და ჩაქოლვა შესაძლებელი იყო ლაშარის სალოცავში, სადაც ისინი დღეობაზე უცილობლად მივიდოდნენ. ეს ორი შემთხვევა გვიჩვენებს, რომ ფშავხევსურეთში ჩაქოლვა სალოცავის (ჯვარ-ხატის) ტერიტორიაზე კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე შეიძლება მომხდარიყო.

[1] ლ. რაზიკაშვილი, არ დავიწყება ძველისა, თბ., 1984, 16.

[2] მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №1, 1986, 69-70; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989-1990, 42; ვლ. ალფენიძე, ჩაქოლვა, გაზ. „სოფლის ცხოვრება", 1972, 20 ივლისი.

მგებლობა აღნიშნული სასჯელის სისრულეში მოყვანაზე.

ამ სასჯელის აღსრულებისას (აჭარაში ჩაწერილი მასალების მიხედვით), შესაძლოა, მიწა გაეთხარათ, დამნაშავე ან დამნაშავეები ორმოში ჩაესვათ (წელამდე ან ყელამდე) და შემდეგ მიეყარათ ქვა-ღორღი.[1] როდესაც ჩაქოლვა ხდებოდა საძრახისი სქესობრივი კავშირისათვის, შესაძლოა, დამნაშავე კაცი და ქალი გზის გაღმა-გამოღმა ჩაექოლათ.[2] ჩასაქოლი ისეთ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო, რომ წინააღმდეგობის გაწევის, გაქცევის შესაძლებლობა არ ჰქონოდა. მაგალითად, გურიაში ჩაწერილი ცნობის მიხედვით, ჩასაქოლი ხელ-ფეხშეკრულ მდგომარეობაში იყო.[3] იმავე ინფორმატორის ცნობით, ჩაქოლვის ცერემონიალს მღვდელიც ესწრებოდა, რომელიც სიკვდილმისჯილს ჩაქოლვამდე აზიარებდა[4] (მთის რეგიონებში ჩაწერილ მასალაში მსგავსი რამ არ ფიქსირდება. ცხადია, არც აჭარაში).

ჩაქოლვის თავისებურ წესს ვხვდებით ხევსურეთში, გაზეთ „დროების" ზემოთ მოყვანილი კორესპონდენციის მიხედვით. აქ ორი სიკვდილმისჯილი დამნაშავისათვის ხანჯლები შეუხსნიათ და ისე დაუხოცავთ. ამ საქმის მოთავე მინდია ადეასშვილს კი ხანჯალიც უხმარია.[5] ე. ი. ჩასაქოლებს ჯერ იარაღი აჰყარეს, მერე ხანჯალი

---

[1] ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეუული, 1989-1990, 32; გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, გვ. 65. დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., 110. ჩაქოლვის აღნიშნული წესი „ცხრა კოლაელ ყრმათა მარტვილობაში" აღწერილს მოგვაგონებს.

[2] ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №2, 1991, 37-38. ასეთი სახით ჩაქოლვა ესადაგება „კათალიკოსთა სამართლის" 22-ე მუხლის მიხედვით გათვალისწინებული ჩაქოლვის ჩატარების წესს, რომლის მიხედვითაც დამნაშავე ქალი და კაცი (რძლის ცოლად შერთვისას) გაღმა-გამოღმა უნდა ჩაკირონ (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, ტ. 1, თბ., 1963, 397). შესაძლებელია, აქ სწორედ გზის გაღმა-გამოღმა ჩაქოლვა იგულისხმებოდეს, თუმცა არ გამოერიცხათ მდინარეზე და მის გაღმა-გამოღმა ჩაქოლვაზე იყოს მინიშნება.

[3] დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 12. იმავე აჭარაშიც ფიქსირდება (ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989-1990, 32).

[4] დ. ჯალაბაძე, იქვე, 11-12.

[5] გაზ. „დროება", 1876, №131.

იხმარეს მათ მიმართ, შემდეგ კი ყველამ მიიღო მონაწილეობა დამნაშავის ჩაქოლვაში. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში გამოკვეთილია პიროვნება, რომელიც პირველი იწყებს ჩაქოლვის აქტის განხორციელებას. კერძოდ, ხანჯალს უყრის დამნაშავეებს. მსგავსი რამ ჩვენს ხელთ არსებულ სხვა მასალაში არ ფიქსირდება. ამ ერთი ფაქტის მიხედვით ძნელი სათქმელია, ეს ხევსურეთისთვის დამახასიათებელი წესი იყო თუ არა. შესაძლებელია, ხანჯლის გამოყენება სწორედ ამ კონკრეტულ შემთხვევაში გახდა საჭირო. კორესპონდენციაში, სამწუხაროდ, არ ჩანს ვინ იყო ეს მინდია ადეასშვილი, რა სტატუსი ჰქონდა მას — სოფლის თავკაცი იყო თუ სასულიერო პირი. სავარაუდოდ, ჩაქოლვის მოთავე რომელიმე ამ სტატუსის მქონე უნდა ყოფილიყო. ხევსურეთის სინამდვილიდან მოყვანილ მეორე შემთხვევაში დამნაშავისათვის პირველი სწორედ სასულიერო პირს უნდა დაერტყა — ღვთისმშობლის ჯვარის ხუცესს.[1]

ამ მწირი მონაცემების საფუძველზე დიდ ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ხევსურეთში ჩაქოლვის ცერემონიალს იწყებდა სოფლის ავტორიტეტული პიროვნება (თავკაცი, ხუცესი). თუ ვინ უნდა ყოფილიყო ჩაქოლვის ცერემონიის დამწყები, ვის უნდა დაერტყა პირველი ქვა ჩასაქოლისათვის, სხვა კუთხეებში ჩაწერილ მასალებში რაიმე კონკრეტული ცნობა არ მოგვეპოვება. მხოლოდ ერთი გურული ინფორმატორი აცხადებს: „ჩაქოლვის დროს პირველი ქვის ჩარტყმის უფლება ჰქონდა ისეთ კაცს, რომელიც უცოდველი იყო და არავითარ დანაშაულში არ ჰქონდა მონაწილეობა მიღებული“.[2] ინფორმატორის განმარტებით, მღვდელი მიმართავდა საზოგადოებას, თუ ვინ იყო მათ შორის ისეთი, რომელსაც არავითარი ცოდვა და დანაშაული ღვთისა და საზოგადოების წინაშე არ ჰქონდა. ვინც პირველი გამოვიდოდა, მას დააფიცებდნენ, რომ წმინდა იყო ღმერთისა და კაცის წინაშე. მაშინ მღვდელი ეტყოდა: პირველი ქვა შენ ჩაარტყიო. ამის შემდეგ ყველა მიბაძავდა მას.[3] სხვა მსგავსი ცნობა ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში არ გვხვდება. მაგალითად, აჭარასა და სხვა კუთხეებში ჩაწერილ მასალაში არ არის რაიმე მინიშნებაც კი იმაზე, რომ პირველი ქვის ჩარტყმისათვის პიროვნებას რაიმე

[1] ნ. ჯალაბაძე, დასახ. ნაშრ., 164.

[2] დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 11.

[3] იქვე.

კრიტერიუმები უნდა დაეკმაყოფილებინა. გურული ინფორმატორის ამ მონათხრობის განზოგადება კი არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. მთის რეგიონებში ასეთი რამ არ ხდებოდა, ბარის რეგიონებში კი, შესაძლებელია, კონკრეტულ შემთხვევაში, ადგილი ჰქონოდა საზოგადოებაში ყველაზე უცოდველის მოხმობას ჩასაქოლისათვის პირველი ქვის ჩასარტყამად.

გ. ნადარეიშვილის განმარტებით, დამნაშავეებისათვის პირველად ქვები დანაშაულის მოწმეებს უნდა ესროლათ.[1] ჩვენს ხელთ არსებული მასალებით ასეთი რამ არ ფიქსირდება. საერთოდ, არც ერთი ცნობა არ არის, რომლის მიხედვითაც, დამნაშავე, რომელსაც საზოგადოებამ ჩაქოლვა გადაუწყვიტა, კონკრეტული მოწმის მიერ იყო მხილებული.

აჭარის შესახებ მასალებში არის ასევე ცნობა, რომლის თანახმადაც შესაძლებელი იყო ჩაქოლვის განხორციელების გადადება. იბ. აბაშიძის განმარტებით, ქალის ან კაცის ავადმყოფობა მათ ჩაქოლვას ვერ შეაჩერებდა, მათი სიკვდილის გარდუვალობის გამო. განაჩენის აღსრულების გადადება ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქალი ფეხმძიმე იყო. მუსლიმური კანონით, დედის მუცელში მყოფი სულიერი არსება დედის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხს არ აგებდა. განაჩენის სისრულეში მოყვანა გადაიდებოდა არა მარტო მშობიარობამდე, არამედ მანამდე, სანამ ბავშვს დედა დასჭირდებოდა, ანუ სანამ ბავშვს დედის გარეშე შეეძლებოდა ყოფნა.[2] იმავე ან სხვა რაიმე ფაქტორი, რომელიც გამოიწვევდა

[1] გ. ნადარეიშვილი, ჩაქოლვა, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ. 11, თბ., 1987, 87. იმავეს მიუთითებს ვლ. ალფენიძე (ვლ. ალფენიძე, ჩაქოლვა, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1972, 20 ივლისი). სავარაუდოა, რომ ეს მონაცემი ებრაული (მოსეს) სამართლის ქართულ ვერსიას ეყრდნობა, კერძოდ, მის მე-8 მუხლს., რომლის მიხედვითაც, კერპთაყვანისმცემლობის გამო პიროვნება უნდა ჩაქოლილიყო. ამისათვის კი აუცილებელი იყო ორი ან სამი მოწმის მხილება და სწორედ მათ უნდა დაერტყათ პირველებს ქვა დამნაშავისათვის (ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, ტ. 1, 1963, 109-110). როგორც ზემოთ აღინიშნა, ებრაული (მოსეს) სამართლის ქართული ვერსიის აღნიშნული მუხლი „ძველი აღთქმის“ „მეორე სჯულის“ XVII თავიდანაა აღებული (მეორისა სჯულისაჲ, XVII2-7).

[2] იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, №455, ბათუმი, 1965, 42.

ჩაქოლვის აღსრულების გადადებას, საქართველოს სხვა კუთხეებში ჩაწერილ მასალებში არ ფიქსირდება.

1.4. **სიკვდილით დასჯა წვეტიანი საგნის გამოყენებით (ანძაზე, შამფურზე ჩამოცმა, შუბებით მოკვლა).** სიკვდილით დასჯის აღნიშნული საშუალება გვხვდება სვანურ ჩვეულებით სამართალში. მისი გამოყენება ჩანს ეკლესიის გაძარცვისა და საზოგადოების ღალატისას, კერძოდ, როდესაც საზოგადოების (თემის) ესა თუ ის წევრი შეეცდებოდა, ეს საზოგადოება რომელიმე თავადიშვილის საყმოდ ექცია თავისი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე. თემის თავისუფლების ასეთი ხელყოფა სვანეთში თემის უმძიმეს ღალატად ითვლებოდა და „ვერი მუქედნეს" – ქვეყნის მოღალატეს – თემი სიკვდილით სჯიდა.[1] ამასთან დაკავშირებით ბ. ნიჟარაძე გადმოგვცემს ასეთ ფაქტს: იფარის საზოგადოებაში მცხოვრებ გივო გულბანს შემოუხიზნია აზნაური გელა დევდორიანი, რომელსაც იფარელებზე გაბატონება სურდა. საზოგადოებას გაუგია გივო გულბანის ეს განზრახვა და იგი სიკვდილით დაუსჯია სწორედ წვეტიან ანძაზე ჩამოცმით.[2] შუბის გამოყენებით სიკვდილით დასჯის შესახებ კი ბ. ნიჟარაძე უშგულში მომხდარ შემთხვევას იხსენებს. აქ ძმებ რატიანებს გაუძარცვავთ ადგილობრივი ეკლესია. ორივე ძმა საზოგადოებას სიკვდილით დაუსჯია – ეკლესიის ახლოს ეკლესიიდანვე გამოტანილი შუბებით გამოუფატრავთ.[3]

დ. დავითულიანი გულბანისა და რატიანების მიმართ გამოყენებულ აღნიშნულ სასჯელებს „შამფურზე წამოგებად" იხსენიებს.[4]

სიკვდილით დასჯის ასეთი საშუალებებს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ძველ პერიოდში ჰქონდა ადგილი და ბ. ნიჟარაძის თანამედროვეები მათ არ შესწრებიან. ბ. ნიჟარაძე მიუთითებს, რომ ხალხი დღესაც ამბობს: „ლეშუმფური ლი" (საშამფურეა), „ლეშუბი ლი" (საშუბეა).[5] ეს მიუთითებს, რომ მაშინ ხალხის ცნობიერებაში შემორჩენილი იყო შამფურის (ანძის) თუ შუბის მეშვეობით საზოგადოების მიერ დამნაშავეთა სიკვდილით დასჯის ტრადიცია.

მსგავსი საშუალებით სიკვდილით დასჯა, XVII საუკუნის იტა-

[1] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I., თბ., 1962, 85-86.

[2] იქვე, 86.

[3] იქვე.

[4] დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., 109.

[5] ბ. ნიჟარაძე, იქვე.

ლიელი მისიონერის ა. ლამბერტის მონაცემებით, სამეგრელოშიც ფიქსირდება.[1]

1.5. **სიკვდილით დასჯა ცეცხლსასროლი იარაღით.** ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში მოგვეპოვება ცალკეული ცნობები საზოგადოების საერთო გადაწყვეტილებით დამნაშავის ცეცხლსასროლი იარაღის მეშვეობით სიკვდილით დასჯის შესახებ. მაგალითად, სამეგრელოში ჩაწერილი ცნობით, ნათესავებს (მოგვარეებს) შორის სქესობრივი კავშირის დამყარებისათვის დამნაშავეებს ხალხმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. მამაკაცმა გაქცევა შეძლო, ქალი კი იარაღით გამოასალმეს სიცოცხლეს.[2]

ამ შემთხვევაში ცეცხლსასროლი იარაღით სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანა სპონტანურად მოხდა (ერთ-ერთმა პიროვნებამ ხალხის მასიდან ისროლა და ასე გამოასალმა ქალი სიცოცხლეს, რომლის გადამალვას და ჩაქოლვისაგან ხსნას ხელისუფლება ცდილობდა). დაფიქსირებულია ზოგიერთი შემთხვევა, როდესაც საზოგადოებამ სასიკვდილო განაჩენის აღსრულება სწორედ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით გადაწყვიტა. ამ თვალსაზრისით ძალზედ საინტერესოა გურიაში მომხდარი ამბავი: მამას შვილი მოუკლავს იმიტომ, რომ იგი ოჯახის გაყრის შემდეგ მამის მხარეს დარჩენილ მსხლის ხეზე იყო ასული და მსხალს კრეფდა. მამას მოუთხოვია შეეწყვიტა ეს ქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მოკვლით დამუქრებია. შვილს მამისთვის ყური არ უთხოვია. მამას კი გამოუტანია

---

[1] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, 73. ა. ლამბერტის მიხედვით, დადიანი ძალზედ იშვიათად იყენებდა სიკვდილით დასჯას. მისი სამთავროს დიდებულებს კი უფლება ჰქონდათ სიკვდილით დაესაჯათ მათი ყმები. ამაში მთავარი არ ერეოდა. იტალიელი მისიონერის ცნობით, ერთ-ერთმა დიდებულმა თავისი ყმა (საკუთარ ცოლთან ურთიერთობაში ეჭვის გამო) „დააკრევინა შამფურსავით გამოჭრილ გრძელ სარზე და მერე დაანთებინა იქ დიდი ცეცხლი და ატრიალებინა ისე, თითქოს წვადსა წვავდნენო. აგრე უწყალოდ შეწვეს საწყალი ადამიანი“ (იქვე). როგორც ჩანს, სამეგრელოში იცნობდნენ სარზე ჩამოცმით სიკვდილით დასჯას, თუმცა ა. ლამბერტის მონაცემის მიხედვით, ეს არ ყოფილა საზოგადოების ყრილობის მიერ შეფარდებული სასჯელი. მას საკუთარ ყმას დიდებული უფარდებს. თუმცა ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ეს სასჯელი სწორედ ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ყოფილიყო გათვალისწინებული.

[2] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 25-26, 54. აღნიშნულ ფაქტს რამდენიმე სხვადასხვა ინფორმატორი იხსენიებს.

სახლიდან თოფი და შვილი მოუკლავს. მამას საზოგადოებამ (მისმა თავკაცებმა) სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. განაჩენის აღსრულება შემდეგნაირად მოხდა — სიკვდილმისჯილს საკუთარი ხელით გაათხრევინეს საფლავი, დააყენეს საფლავის წინ, შემდეგ აიღეს ათი თოფი. აქედან ტყვია ერთში იყო, დანარჩენში მხოლოდ წამალი. არც ერთმა მსროლელმა არ იცოდა, თუ რომელში იდო ტყვია. ინფორმატორის განმარტებით, ასე იმიტომ გააკეთეს, რომ შემდეგ კონკრეტულ პიროვნებასთან შუღლი არ ჩამოვარდნილიყო, ან არავის წამოეძახა — შენ კაცი მოკალიო. ეს გაამწვავებდა ურთიერთობებს. სიკვდილით დასჯილს ხალხმა ქვები და მიწა მიაყარა.[1]

მსგავს შემთხვევას მიეკუთვნება ჩვენ მიერ დანაშაულის სუბიექტის განხილვისას მოყვანილი უშგულელთა მიერ ფუთა დადეშქელიანის მოკვლის ფაქტიც ზემო სვანეთის სინამდვილიდან. ამ ფაქტს კიდევ ერთხელ, უფრო სრულად მოვიყვანთ. როდესაც ფუთა დადეშქელიანმა უშგულზე გაბატონება მოინდომა, უშგულის საზოგადოებამ მისი თავისუფლების ხელმყოფს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. მისი აღსრულება კი საკმაოდ ორიგინალურად მოხდა. ეგ. გაბლიანი გვიამბობს: „ხალხს უნდოდა, რომ ფუთას მკვლელობა ერთ ვისმეს არ დაბრალებოდა, მასიური ხასიათი მიეცათ და ამიტომ მოაგროვეს თურმე თითო მარცვალი თოფის წამალი, ყველამ თავიანთი თოფების ტყვიას ჩამოათალა და მისგან გააკეთა ფუთას მოსაკლავად ერთი ტყვია. ამ ტყვია-წამლით გატენილი თოფი შეიტანეს უშგულის ღვისმშობლის ეკლესიის გალავანში და ტუჩი იქითკენ უქნეს, საიდანაც მოელოდნენ ფუთას მოსვლას. თოფის გასროლაშიც რომ ყველას მიეღო მონაწილეობა, თოფის ჩახმახს გამოაბეს გრძელი ბაწარი და ამის შემდეგ უშგულელებმა გაუგზავნეს კაცები ფუთას მოსაპატიჟებლად. ფუთა არ ენდო მოციქულებს და არ დაყაბულდა წამოსვლას, მძევლები მოითხოვა და მერე წავიდა უშგულში თავისი ამალით. .... ეკლესიის გალავნიდან გავარდა თოფი, რომლის ტყვიამ ფუთა გამოასალმა სიცოცხლეს....[2] იმავე ფაქტს მ. კოვალევსკიმაც მიაქცია ყურადღება. მისი თქმით, იმისათვის, რომ უშგულელებს სისხლის აღებისაგან თავი დაეღწიათ, მათ ტყვია გააკეთეს ყველა ოჯახიდან თანაბრად გამოტანილი თუთიით. ამით მტკიცდებოდა, რომ

[1] ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული №1, 1989, 1-2.

[2] ეგ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფ., 1925, 65.

ამ მკვლელობის მსურველი მთელი სოფელი იყო. გასროლა მოხდა ეკლესიის თოფით და სასხლეტს ხელი ერთდროულად 42-მა ბავშვმა გამოჰკრა მასზე გამობმული თოკის მეშვეობით.[1]

ეს კონკრეტული შემთხვევები გვიჩვენებს, რომ საზოგადოებას ცეცხლსასროლი იარაღით სიკვდილით დასჯის აღასრულება შეიძლება ისე მოეწყო, რომ ცალკე აღებული ერთი პიროვნება არ გამხდარიყო ამაზე პასუხისმგებელი. როგორც დავინახეთ, პირველ შემთხვევაში სასიკვდილო განაჩენის აღსრულება დაევალა ათ პიროვნებას ისე, რომ არავინ იცოდა რომელი იყო უშუალოდ განაჩენის სისრულეში მომყვანი. მეორე შემთხვევაში კი ფაქტობრივად მთელმა თემმა აიღო პასუხისმგებლობა სასიკვდილო განაჩენის აღსრულებაზე: ფუთა დადეშქელიანის მოსაკლავად განკუთვნილი ტყვია ყველა მოსახლისაგან აღებული მასალით დამზადდა, თოფი ეკლესიისა იყო, ხოლო ჩახმახს ხელი ყველა ოჯახის წარმომადგენლმა გამოჰკრა მასზე გამობმული თოკის მეშვეობით.

მიზეზი ასეთი მოქმედებებისა აღნიშნულ მონაცემებშიცაა მოცემული. კონკრეტული პიროვნება რომ გამხდარიყო სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მომყვანი, იგი შესაძლოა სიკვდილით დასჯილის ახლო ნათესაობის მხრიდან შურისძიების ობიექტი გამხდარიყო, ან მისთვის ვინმეს მკვლელი ეწოდებინა. ასეთი რამ არათუ სვანეთში, გურიაშიც არ იყო მიზანშეწონილი. სვანეთში მოქმედი ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, სისხლის აღების ობიექტი ხდებოდა მკვლელობის უშუალოდ ჩამდენი და მისი ნათესაობა. დადეშქელიანების მტრად გადაკიდებას, ცხადია, ცალკე ერთი გვარი ვერ გაბედავდა, ამიტომ პასუხისმგებლობა უშგულის ყველა მცხოვრებმა აიღო საკუთარ თავზე იმით, რომ ფუთა დადეშქელიანის მკვლელობაში კოლექტიურად მიიღო მონაწილეობა. სვანეთში გარკვეული პასუხისმგებლობა იარაღის პატრონსაც ეკისრებოდა, ამიტომ უშგულელებმა კონკრეტული პირისათვის პასუხისმგებლობის არიდებს მიზნით, მკვლელობის იარაღად ეკლესიის კუთვნილი თოფი გამოიყენეს.

ცხადია, როდესაც სასიკვდილო განაჩენის გამოტანა საზოგადოების მიერ ხდება ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე, მის და განაჩენის აღმსრულებლის უკან სახელმწიფო სტრუქტურები არ დგას და მის დაცვას არ უზრუნველყოფს. ამიტომ სასიკვდილო განაჩენის აღსრულება კოლექტიურად, მთელი საზოგადოების მიერ (როგორც

[1] М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, М.. 1888, Т. 2, 17.

ეს უშგულში მოხდა ფუთა დადეშქელიანის მკვლელობისას), ან იმ სახით, რასაც გურიაში დაფიქსირებულ ზემოთ მოყვანილ მონაცემში ვხვდებით (როდესაც შეუძლებელია ზუსტი დადგენა სასიკვდილო განაჩენის სისრულეში უშუალო მომყვანისა) სასიკვდილო განაჩენის აღმსრულებლის (აღმსრულებელთა) დაცვის მოტივით იყო განპირობებული.

1.6. **სიკვდილით დასჯის სხვა სახეები.** აქ სიკვდილით დასჯის იმ სახეებს შევეხებით, რომლებიც ჩვენს ხელთ არსებული ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, ერთეულ შემთხვევებში იშვიათად მოიხსენიება. მაგალითად, ერთ-ერთი გურული ინფორმატორი იხსენებს სიკვდილით დასჯას ცხვნის ძუაზე გამობმით. ეს სასჯელი გამოიყენებოდა უკიდურესად უზნეო დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისას, კერძოდ, მცირეწლოვანის გაუპატიურების შემთხვევაში. ინფორმატორის თქმით, ხდებოდა ყველაზე ავი ცხენის შერჩევა, მას კუდზე გამობამდნენ დამნაშავეს და სწრაფად გააქცევდნენ.[1] ერთ-ერთ გურულ ინფორმატორს (მასალის ჩაწერისას, 1989 წელს, იგი 100 წლისა იყო) ძველი ხალხისგან გაუგონია დამნაშავის ჩამოხრჩობის შესახებ.[2] ჩამოხრჩობა საქართველოში სიკვდილით დასჯის საკმაოდ ცნობილი სახეა. აღიშნული მონაცემის მიხედვით ძნელი დასადგენია მისი დამნაშავისათვის შეფარდება საზოგადოების ყრილობის მიერ ხდებოდა (ანუ ჩვეულებითი სამართლის მიხედვით) თუ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ.

ამით ჩვენს ვასრულებთ ქართულ ჩვეულებით სამართალში სიკვდილის დასჯის ძირითადი სახეების განხილვას.

საზოგადოებას მის მიერ სიკვდილმისჯილი რომ ჩაექოლა, ცეცხლსასროლი იარაღით თუ წვეტიანი საგნით დაესაჯა სიკვდილით, იგი ხელთ უნდა ჰყოლოდა. სრულიად შესაძლებელია სიკვდილმისჯილი არ ყოფილიყო საზოგადოებისათვის ადვილად ხელმისაწვდომი. თუ რას მოიმოქმედებდა საზოგადოება ამ შემთხვევაში, სიკვდილით დასჯის განხილვის ბოლოს, ცალკე საკითხის სახით განვიხილავთ.

1.7. **საზოგადოების მიერ სიკვდილმისჯილის მოკვლის დავალება კონკრეტული პირისა თუ პირებისათვის, ან ამის მოწოდება საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის, ვისაც ეს შეუძლია.** ასეთი რამ შესაძლოა

[1] დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 14.

[2] იქვე, 13-14.

მაშინ მომხდარიყო, როდესაც საზოგადოების საერთო ინტერესების ხელმყოფს საზოგადოება სიკვდილს მიუსჯიდა, თუმცა დამნაშავის ხელში ჩაგდება მისი სიკვდილით დასჯის მიზნით შეუძლებელი იყო (ან ყაჩაღად იყო გავარდნილი, ან ძლიერ, მამაც პიროვნებას წარმოადგენდა და სხვა). ამის გამო საზოგადოება სიკვდილმისჯილის მოკვლას ავალებდა კონკრეტულ პირს თუ პირებს (მათ შორის მოსყიდულებს), ან მოუწოდებდა საზოგადოების წევრებს ამის გაკეთებას, ვისაც ეს ხელეწიფებოდა. მაგალითად, ალ. ოჩიაურის მონაცემით, ყაჩაღებმა ძალზედ შეავიწროეს ხევსურები. ხევსურებს სურდათ მათი მოსპობა, მაგრამ ამას ვერავინ ბედავდა. ბოლოს ხევსურეთის ყრილობა ჩატარდა და მისი მონაწილეები განსაზღვრულ მიწებს შეჰპირდნენ იმათ, ვინც ამ ყაჩაღებს მოკლავდა.[1]

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ხევში მომხდარი ფაქტი დაკავშირებული შიოლა ღუდუშაურთან. ცნობილია, რომ ხევის თემი უკომპრომისოდ ებრძოდა ხევის შიგნით უთანასწორობის რაიმე გამოვლინებას და ვიმეს გააზნაურებას. ხევს პირობა ჰქონდა დადებული, რომ ვინც აზნაურობას მოინდომებდა, ხევს სიკვდილით უნდა დაესაჯა. XVII საუკუნეში გააზნაურების გზაზე დამდგარა შიოლა ღუდუშაური. მას ლეკებთან ბრძოლაში თავი გამოუჩენია და მეფეს მისთვის აზნაურობა და სოფელი აჩხოტი უბოძებია.[2] შიოლა ღუდუშაურს თემის ყრილობამ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.[3] ამ განაჩენის აღსრულება დიდ სირთულეს წარმოადგენდა, რადგან შიოლა გამორჩეული ვაჟკაცი იყო და ადვილად არავის დანებდებოდა. გადაწყდა ეს საქმე ხევის რომელიმე სოფელს ეკისრა. შიოლას მოკვლა წილისყრით სოფელ კარკუჩას ერგო. თემობიდან დაბრუნებულმა კარკუჩელმა კაცებმა სოფელი შეყარეს და ახალგაზრდებს დაუსვეს კითხვა: ერთი მოკლავს თუ მთელი სოფელიო? ერთი ხევსური იყო

---

[1] ალ. ოჩიაური, მასალები სამამო მიწისმფლობელობის შესახებ ხევსურეთში, პირად არქივი, ხელნაწერი, 1953, ეთნოგრაფიული რეული №10, 110.

[2] რ. ხარაძე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვეთი 2, 1959, 176-177.

[3] ამ საკითხზე იხილეთ, ს. მაკალათია, ხევი, თბ., 1934, 43, 97; ვალ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, 91-92; ვახ. ითონიშვილი, მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XVIII საუკუნეში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე", 1983, №4, 113.

ამანათად მოსული და მან აიღო თავის თავზე შიოლას მკვლელობა. მას მშვილდ-ისრით მოუკლავს იგი.[1]

გვხვდება შემთხვევები, როდესაც საზოგადოების ფაქტობრივად ყველა წევრი იღებდა მონაწილეობას საზოგადოებისათვის მიუღებელი პირის სიკვდილით დასჯაში. მაგალითად, ფშაური ანდრეზით, ძმებს სულასა და კურდღელას, რომლებმაც უკიდურესად შეაწუხეს ხალხი, ორი სოფლის საზოგადოებამ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა და განაჩენის სისრულეში მოსაყვანად ამ ორი სოფლის ხალხი დაესხა თავს ძმებს.[2] აქ ჩანს ორი სოფლის მცხოვრებთა ერთობლივი მონაწილეობა სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანაში, რაც ამ მკვლელობისათვის ამ ორი სოფლის კოლექტიურ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს.[3]

საზოგადოების ყრილობის მიერ სიკვდილმისჯილის მოკვლა თემის დავალებით თუ მოწოდებით არა მარტო მთის რეგიონებში გვხვდება. სამეგრელოში ჩაწერილი ცნობით, საზოგადოების მიერ სიკვდილმისჯილი ყაჩაღად გავარდა. საზოგადოების წევრებმა ფული შეკრიბეს, მკვლელი დაიქირავეს, რომელმაც დამნაშავე მოწამლა.[4]

გურიაში 1989 წელს ჩაწერილ მასალაში გვხვდება გამონათქვამი: „ტერორის დანიშვნა“. ეს გულისხმობდა საზოგადოების მიერ ამა თუ იმ პირისადმი (პირებისადმი) სიკვდილმისჯილის მოკვლის დავალებას. ტერორს უნიშნავდნენ სოფლის ამწიოკებელს, გამოუს-

[1] რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., 177.

[2] აღნიშნული ცნობა მოგვყავს წიგნიდან: ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, I, ქუთაისი, 1996, 172-173. ავტორს სხვა ანალოგიური შემთხვევაც მოჰყავს (იქვე, 173).

[3] მთელი სოფლის თუ თემის ერთობლივი მონაწილეობა კონკრეტული მიუღებელი პიროვნების (პიროვნებების) მკვლელობაში ქართული სინამდვილისათვის, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის, ძველად უცხო არ ყოფილა. მაგალითად, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდების“ მეორე მუხლით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა გამგებლის მკვლელობისათვის ერთი სოფლის თუ ერთი ხეობის ხალხის მიერ (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, ტ. 1, 1963, 403). ძეგლის კაზუისტური ხასიათიდან გამომდინარე, აღნიშნული ნორმის ძეგლში შეტანა მასში აღწერილი შემთხვევის მთიულეთში არაერთგზის განმეორებით უნდა ყოფილიყო განპირობებული.

[4] ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 67.

წორებელ ქურდს.[1] ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს, რომ გამოუსწორებელ ქურდს, რომელმაც ქურდობა ვერ მოიშალა, საზოგადოებამ „გადაუწყვიტა ტერორი", კერძოდ, რამდენიმე პირს დაავალა მისი მოკვლა. ერთ-ერთმა შეასრულა კიდეც ეს დავალება.[2] მეორე კონკრეტულ შემთხვევაშიც გამოუსწორებელ ქურდს სოფლის ყრილობამ გადაუწყვიტა ტერორი და მისი აღსრულება ამ ქურდის მოგვარესვე დაავალა. მანაც, იქვე, კრებაზე დანა გაურჭო მას და მოკლა.[3] გურიაში ჩაწერილი მასალების მიხედვით (განსაკუთრებით ეს ბოლო მონაცემს ეხება), პირდაპირ არ ჩანს, რომ სიკვდილმისჯილი ქურდის მოკვლა საზოგადოებამ კონკრეტულ პიროვნებას იმიტომ დაავალა, რომ იგი მოუხელთებელი იყო (ყაჩაღად გავარდნილი, ან შიოლა ღუდუშაურივით ძლიერი და მამაცი პიროვნება). როგორც ჩანს, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საზოგადოებამ მიზანშეწონილად ჩათვალა სასიკვდილო განაჩენი სიკვდილმისჯილის ნათესავს აღესრულებინა, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ მოკლულის ნათესავებს ამ მკვლელობისათვის შესაძლო პრეტენზია სხვა ვინმეს მიმართ არ გასჩენოდათ.

თუ რა მეთოდით ან საშუალებით მოხდებოდა სიკვდილმისჯილის მოკვლა, დამოკიდებული იყო იმ პიროვნებაზე (პიროვნებებზე), ვისაც ამას საზოგადოება დაავალებდა, ან ვინც საკუთარ თავზე აიღებდა ამის გაკეთებას.

ამრიგად, დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ქართულ ჩვეულებით სამართალში სიკვდილით დასჯა საკმაოდ იშვიათად გამოიყენებოდა და სახეების მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა.

2. მოკვეთა, ბოიკოტის (უნდობლობის) გამოცხადება

მოკვეთა უაღრესად გავრცელებულ სასჯელს წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში — ფშავში, ხევსურეთში, მთიულეთში, თუშეთში, ხევში და პიროვნების საზოგადოებიდან გარიყვას, იზოლაციას გულისხმობდა. დაახლოებით იმავე შინაარსის სასჯელს

[1] გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №2, 5, 6.

[2] იქვე, 6.

[3] იქვე.

საქართველოს სხვა რეგიონებშიც ვხვდებით, სადაც ამ სასჯელს სხვადასხვა ტერმინით მოიხსენიებენ („მოკვეთა“, „უნდობლობა“, „ბოიკოტი“).

მოკვეთა ორი სახისა იყო: 1. თემიდან, სოფლიდან (ტერიტორიული ერთეულიდან) მოკვეთა; 2. ნათესაობიდან მოკვეთა. მათ შორის არსებითი განსხვავებაა და ამიტომ ცალ-ცალკე განვიხილავთ.

თავდაპირველად ტერიტორიული ერთეულის — თემის, სოფლის მცხოვრებთა მიერ პიროვნების მოკვეთას შევეხებით. ჯერ საუბარი გვექნება მოკვეთის ინსტიტუტზე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სადაც ეს ინსტიტუტი თემური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი უძველესი ელემენტებით შემორჩა, რაც აქ დაფიქსირებულ ეთნოგრაფიულ მონაცემებშია ასახული. ამ რეგიონის კუთხეებში მოკვეთა, როგორც სასჯელი, დაახლოებით ერთგვაროვანი შინაარსის მატარებელი იყო და ამიტომ ამ ინსტიტუტს აღნიშნული კუთხეების მიხედვით ერთობლიობაში განვიხილავთ. შემდეგ ცალკე გვექნება საუბარი ანალოგიურ ინსტიტუტზე (ბოიკოტის, უნდობლობის გამოცხადებაზე) საქართველოს სხვა კუთხეებში, სადაც განსხვავებების მიუხედავად, მისი მოქმედება ერთგვაროვანი პრინციპების საფუძველზე ხდებოდა. ბოლოს კი შევეხებით ნათესაობიდან მოკვეთას.

2.1. **თემიდან, სოფლიდან მოკვეთა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.** მოკვეთა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ერთ-ერთ უმძიმეს სასჯელად ითვლებოდა. მოკვეთილი თანამოთემის, თანასოფლელის, ნათესავის, მეზობლის თანადგომის გარეშე რჩებოდა. აქ კი სწორედ თემი, გვარი უზრუნველყოფდა პიროვნების უსაფრთხოებას, ჭირსა და ლხინში დახმარებას. საზოგადოებაში, სადაც თემური, კოლექტიური ფსიქოლოგია, თემური, გვაროვნული სოლიდარიზმი იყო გაბატონებული, ადამიანს ძალზედ უჭირდა თანამოძმეთა დახმარების გარეშე ცხოვრება. ამდენად, მოკვეთა (ისევე როგორც გაძევება, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი) თემის წევრისათვის ნამდვილი სოციალური სიკვდილი იყო.

2.1.1. **დანაშაულები, რომელთათვისაც ხდებოდა თემიდან, სოფლიდან მოკვეთა.** თემიდან, სოფლიდან მოკვეთა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დაახლოებით იმავე საქმეებისათვის გამოიყენებოდა, რისთვისაც ჩაქოლვა. თუ რომელ სასჯელს გამოიყენებდა საზოგადოების ყრილობა, ეს კონკრეტულ დანაშაულზე იყო დამოკიდებული. აქ, ცხადია, გათვალისწინებული იქნებოდა დანაშაულის სიმძიმე, დამნა-

შავის პიროვნება და სხვა ფაქტორები. ამდენად, თემიდან, სოფლიდან მოკვეთა გამოიყენებოდა საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისათვის (იმავე იოქმის ბოიკოტის თუ უნდობლობის გამოცხადებაზე საქართველოს სხვა კუთხეებში). ჩვენ ზემოთ დაწვრილებით განვიხილეთ, თუ რა დანაშაულებისათვის შეიძლებოდა მომხდარიყო ჩაქოლვა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. დანაშაულთა ეს ჩამონათვალი სრულიად შესაძლებელია გავავრცელოთ მოკვეთაზეც. აქ კი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ცალკეული კუთხეების მიხედვით, მოვიყვანთ მხოლოდ იმ მონაცემებს, რომლებშიც უშუალოდაა მინიშნებული, თუ რომელი დანაშაულებისათვის ხდებოდა სწორედ მოკვეთის გამოყენება. ამ მონაცემების მიხედვით ეს დანაშაულებია:

1. **თემისა და ხატის ღალატი.** ჩაქოლვის მსგავსად მოკვეთა ამ დანაშაულისათვისაც გვხვდება. ვაჟა-ფშაველას მითითებით, მოკვეთა ხდებოდა თემის პირის გატეხვისათვის, ანუ უპირობისათვის, ხატის წესის დაკლებისათვის.[1] იმავეს ადასტურებს ალ. ოჩიაური ხევსურეთთან დაკავშირებით. მისი თქმით, ვინც სოფლის პირს დაარღვევდა, სოფელს „შორს გაუდგებოდა“ და ან სხვა რამეს ჩაიდენდა ხევსურული წესების წინააღმდეგ, მას სოფელი მოიკვეთდა.[2] ალ. რაზიკაშვილიც მიუთითებს, რომ თემი მოიკვეთდა მას, ვინც თემის დადგენილ წესებს დაარღვევდა, თემის პირს გატეხდა.[3] ს. მაკალათიას მიხედვით, კი, მოკვეთით ისჯებოდნენ თემის პირის გამტეხნი, ხატის დამგმობნი.[4] თემის პირის გატეხვა, სოფლისგან „შორს გადგომა“, თემის თუ სოფლის დადგენილი წესების დარღვევა, ხატის წესის დაკლება, ხატის შეურაცხყოფა თემისა და ხატის ღალატის, როგორც დანაშაულის შემადგენლობის ელემენტებია. ამდენად, ისინი სწორედ ამ დანაშაულის (თემისა და ხატის ღალატის) ქვეშ გავაერთიანეთ. საინტერესოა, რომ 1988 წელს ჩაწერილი მასალის მიხედვითაც, ხევსური ინფორმატორი მიუთითებს, რომ, თუ პირს სოფლის წინაშე მიუძღვოდა დანაშაული, მაგალითად, თემისა და ხატის ღალატი

---

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964, 71.

[2] ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, 1949-1950, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 2, თბ., 1991, 175-176.

[3] ალ. რაზიკაშვილი, არ დავიწყება ძველისა, თბ., 1984, 15.

[4] ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, 93.

ჩაიდინა — მტერი შემოუშვა და სხვა, მთელი სოფელი მოიკვეთდა.[1] ასევე, XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ფშაველთა შორის ჩაწერილ მასალებშიც კარგად ჩანს, რომ თემიდან მოკვეთა ძირითადად ხდებოდა თემის ღალატისა და ხატის შეურაცხყოფისათვის.[2]

თემის ღალატისათვის მოკვეთა ხევსა და მთიულეთშიც ფიქსირდება. მაგალითად, სწორედ ამ დანაშაულისათვის ხევის თემიდან მოუკვეთავთ, ვინმე აღულა ჩქარეული, რომელსაც მტრისათვის (ლეკებისათვის) არშის ციხის გზა უჩვენებია. იგი ლეკებს მიუძღოდა თავის სამშობლოში და მათთან ერთად არბევდა სოფლებს.[3] თემის ღალატის გამოვლინება ხევსა და მთიულეთში იყო ასევე თემისა და სოფლის პირის გატეხვა, თემის (სოფლის) გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, რისთვისაც შეიძლება მოკვეთა ყოფილიყო გამოყენებული.[4] ამ თვალსაზრისით ძალზედ საინტერესო ფაქტი მომხდარა ხევში 1867 თუ 1868 წელს. ხევის თემს ერთობლივად თურმე პირობა ჰქონია დადებული, რომ ქალის ურვათი (ქორწინებისას ქალის გამოსასყიდი) 50 მანეთზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. ამ პირობის დადებაში მონაწილეობა არ ჰქონდათ მიღებული მხოლოდ სოფელ სნოში მცხოვრებ ღუდუშაურებს, რომლებიც ხალხს თავს არ უყადრებდნენ. ამის გამო ხალხს დაუდგენია, რომ არც ღუდუშაურების ქალი შეერთოთ ცოლად და არც თვითონ ღუდუშაურზე გაეთხოვებინათ ქალი. ი. ქ-მ, რომელიც შეძლებული კაცი იყო, გატეხა ხევის ხალხის პირობა და დაინიშნა სოფელ სნოში ღუდუშაურების ქალზე. სწორედ ამიტომ მოიკვეთა იგი ხალხმა.[5] ამ მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ თემიდან მოკვეთის მიზეზი გამხდარა თემის მიერ დადებული პირობის, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, ანუ თემის პირის გატეხვა.

2. **უკანონო ქორწინება.** აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის შესახებ მასალებში საკმაოდ ხშირად გვხვდება მონაცემები უკანონო

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 79.

[2] ო. ზოიძე, დასახ. ნაშრ., 104-105.

[3] ს. მაკალათია, ხევი, ტფ., 1934, გვ. 119; რ. ხარაძე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკეთი 2, 1959, გვ. 172.

[4] რ. ხარაძე, იქვე; რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, გვ. 62.

[5] რ. ხარაძე, იქვე, გვ. 174.

ქორწინებისათვის მოკვეთის შესახებ. მაგალითად, ალ. ოჩიაურთან ჩანს, რომ ნათესავის თუ თანასოფლელის ცოლად შერთვისათვის ხევსურეთში ადგილი ჰქონდა სოფლიდან მოკვეთას.[1] ნ. ხიზანაშვილიც მიუთითებს, რომ ხევსურეთში აკრძალული იყო თანამოთემის ცოლად მოყვანა და თუ ვინმე ამას მაინც გააკეთებდა, მას თემი მოიკვეთდა, როგორც თემის მღალატეს.[2] იმავე ფიქსირდება მთიულეთში.[3] ასევე ვხვდებით მოკვეთას, თუ თანასოფლელის დანიშნულ ქალს ვინმე მოიტაცებდა.

3. **უკანონო სქესობრივი კავშირი, უკანონო შვილის გაჩენა (მისი მოკვლა).** ამ დანაშაულებისათვის მოკვეთას ადასტურებენ XX საუკუნის 80-იანი წლების ხევსური და ფშაველი ინფორმატორები. მაგალითად, ხევსური ინფორმატორი მიუთითებს მოკვეთის შესაძლებლობას ქალის გაუპატიურებისათვის.[4] ფშაველი ინფორმატორები კი საუბრობენ მოკვეთაზე „უკუთვნელად შეგმანვისათვის“ (უკანონო სქესობრივი კავშირისათვის), „გაბიჭიანებულის“ (უკანონოდ დაფეხმძიმებული) მიერ ნაბიჭვრის მოკვლისათვის.[5] მ. კედელაძეს მოჰყავს კონკრეტული შემთხვევა, როდესაც ლიქოკის ხეობაში ერთ-ერთ პიროვნებას დააბრალეს, რომ ბიძაშვილის ცოლთან ჰქონდა ინტიმური კავშირი და ამის გამო ქალიცა და კაციც მოიკვეთეს.[6] ფშავში კი სოფელ მათურას მცხოვრებლებს მოუკვეთიათ ვინმე თადიაური (მდიდარი მშობლების შვილი), რომელიც თავისი სიამაყის გამო „მეზობლის ქალზე შემცდარა“.[7]

4. **ქურდობა.** მოკვეთა ხდებოდა საკუთარ სოფელში (თემში) ქურდობისათვის. აღნიშნული ვაჟა-ფშაველასთან, ალ. რაზიკაშვილთან, ს. მაკალათიასთან დასტურდება.[8] XX საუკუნის ბოლოს ხევსურეთში ჩაწერილ მასალებშიც ჩანს მოკვეთა ქურდობის გამო.[9]

---

[1] ალ. ოჩიაური, სხვადასხვა მასალა ფშავ-ხევსურეთისა, პირადი არქივი, 1949, გვ. 1.

[2] ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940.

[3] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, გვ. 62.

[4] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, გვ. 56-57.

[5] ო. ზოიძე, დასახ. ნაშრ, გვ. 104-105.

[6] მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, პირადი არქივი, რვეული №21, გვ. 2.

[7] მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1988, თბ., 1991, გვ. 70.

[8] ვაჟა-ფშაველა, იქვე; ალ. რაზიკაშვილი, იქვე, ს. მაკალათია, იქვე.

[9] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული

5. უქმის გატეხვა. ალ. ოჩიაურს მოჰყავს კონკრეტული შემთხვევა, როდესაც უქმის გამტეხი მოიკვეთა სოფელმა. მისი ინფორმატორი გვიამბობს: ერთხელ, პარასკევი და შაბათი გატეხეს გიგია და გიორგი ოჩიაურებმა. ისინი წასული იყვნენ ტანიეში, სადაც ზაფხულში ითიბებოდა და საქონელი ზამთარში მიდიოდა გამოსაკვებად. ტანიე ქისტებთან ახლოა და ზაფხულობით იქ ვერ ცხოვრობდნენ მათი მოუსვენრობის გამო. გათიბვა დროულად ვერ დაასრულეს და უქმე დღეებიც მიაყოლეს, რისთვისაც სოფლიდან მოკვეთილ იქნენ.[1] 1988 წელს ხევსურეთში ჩაწერილ მასალაშიც ვხედავთ მოკვეთას უქმის გატეხვისთვისაც.[2]

6. ცილისწამება და ენატანიობა. ცილისმწამებელი და ენატანია პიროვნებას საზოგადოება ვერ ურიგდებოდა და ამიტომ შესაძლოა მისი მოკვეთა მომხდარიყო.[3]

7. საზოგადოებაში პრეროგატივის მოპოვებისკენ სწრაფვა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კუთხეებში (ისევე, როგორც ბალსზემო, თავისუფალ სვანეთში) საზოგადოება უკიდურესად მტკივნეულად აღიქვამდა საზოგადოების ამა თუ იმ წევრის მისწრაფებას თანამოთემეებთან შედარებით, რაიმე პრივილეგიის, უპირატესობის (როგორც უფლებრივის, ისე ქონებრივის) მოპოვებისაკენ. ასეთი მისწრაფების პიროვნება შესაძლოა თემის, სოფლის საზოგადოებას მოეკვეთა.

ვახ. ითონიშვილი მთიულეთსა და გუდამაყარზე საუბრისას აღნიშნავს: „თემი ყველა ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ არ დაეშვა ერთთა სოციალური აღზევება, მეორეთა დამორჩილება-დაყმევების ხარჯზე და დროულად მოეკვეთა ის ურჩი მეთემეები, რომლებიც ბატონის (უპირატესად მეფის) სამსახურში დაწინაურების ან სხვა რამ უპირატესობის მოპოვების შემდეგ ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს ხალხის ინტერესებს და აშკარა ძალმომრეობასაც არ ერიდებოდნენ. ძალმომრეობაში ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, ისეთ ვითარებას ვგულისხმობთ, როდესაც ესა თუ ის მეთემე უნებართვოდ, ხშირად ძალის გამოყენებით, დაიჩემებდა სათემო (სასოფლო) მიწებს და ამ

რვეული, 1988, 56-57.

[1] ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, 1949-1950, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 2, თბ., 1991, 180.

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 12.

[3] ალ. რაზიკაშვილი, იქვე.

გზით ცდილობდა თავისი ეკონომიკური მდგომარეობის რადიკალურ გაუმჯობესებას. ასეთ თავგასულ და ძალმომრე კაცზე მთიულები იტყოდნენ ხოლმე: „გაბუდაყდა და არც ვის არაფრად არ აგდებსო.“[1] ასეთი პიროვნებისათვის უმაღლეს სასჯელს სწორედ მოკვეთა წამოადგენდა. როგორც ვხედავთ, მთიულეთში მოკვეთის საფუძველი ყოფილა ე. წ. „გაბუდაყება“. აქ „გაბუდაყებას“ უწოდებდნენ თემის წევრის ისეთ მოქმედებას, რომელიც ქონების დაგროვებისაკენ მიისწრაფოდა და თემიდან გამოცალკევებას ცდილობდა, ურჩობდა, თვითნებობდა,[2] ანუ საზოგადოებაში და მის ხარჯზე გარკვეული პრეროგატივის მოხვეჭას ცდილობდა.

ფიქსირდება „გაბუდაყებული“ ოჯახის თემიდან მოკვეთის კონკრეტული ფაქტები. ერთ-ერთი შემთხვევას მოვიყვანთ: „სოფ. გვიდაქვეში შვიდი დღის ხატის მამული..... წინათ ო.....იანთ ქონდათ საკულუხედ მიცემული. მეკულუხენი 9 თუნგ არაყს, ერთ საკლავს და ერთ ჩარექ სანთელს იხდიდნენ. ყველაფერი ეს ხატში ქაშვეთობას უნდა მიეტანათ (თიბათვის ნახევარში მოდიოდა ეს დღესასწაული), საკულუხე ცხვარი ჭედილა უნდა ყოფილიყო და წონით არა ნაკლებ ორი ფუთისა. ოჯახს, რომელიც ამ კულუხს იხდიდა, 12 კაცი მთიბავი ჰყავდა. ხატის მამულებიდან და მთიდან მათ კარგი შემოსავალი მოსდიოდათ. მიუხედავად ამისა, მეკულუხე ოჯახმა აღარ მოინდომა კულუხის დაწესებული რაოდენობით გადახდა და დააკლო მოტანილი კულუხის რაოდენობას. მაშინ თემმა სთხოვა მათ დაებრუნებინათ თემისათვის ეს მამული — სხვა დაიჭერს ამ მიწას და დათქმულ კულუხსაც გადაიხდისო, მაგრამ მეკულუხე ოჯახმა მამულის სხვისათვის გადაცემაზე უარი თქვა. როცა ხალხმა დაინახა, რომ ეს ოჯახი „გაბუდაყდა“, გადაწყვიტა მისი მოკვეთა,“[3] რაც გარკვეული დროის შემდეგ აღასრულა კიდეც.[4] ეს მაგალითი კარგად გვიჩვენებს, რომ თემი იკვეთდა საზოგადოების ისეთ წევრს, რომელიც ქონების დაგროვებისკენ მიისწრაფოდა და თემისაგან გან-

---

[1] ვახტანგ ითონიშვილი, მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XVIII საუკუნეში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, 112-113.

[2] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 64.

[3] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 62-63.

[4] იქვე, 63.

ცალკეებას ცდილობდა,[1] ანუ „გაბუდაყებულ“ ოჯახს.

იმავე მოტივით მოკვეთას ვხვდებით ხევშიც. მაგალითად, აქ XIX საუკუნის ბოლოს მომხდარა ასეთი შემთხვევა. ყაზბეგების გვარის წარმომადგენლებს მოუწადინებიათ სტეფანწმინდის მიწების დასაკუთრება და ეს მიწები თავიანთ საკუთრებად გამოუცხადებიათ, იმ მოტივით, რომ ისინი თავის თავს აზნაურებად თვლიდნენ. ადგილობრივ გლეხებს ყაზბეგების პრეტენზიები უსაფუძვლოდ მიუჩნევიათ, რადგანაც მათ ბატონი არასდროს ჰყოლიათ, თან რუსებს აზნაურობა არა ყველა ყაზბეგისათვის, არამედ მხოლოდ გაბრიელ ყაზბეგისათვის უბოძებია. ოლქის სასამართლოს ყაზბეგები გაუმტყუნებია, მაგრამ მათ სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში გაუსაჩივრებიათ. ყაზბეგების ასეთ საქციელს თავი მოუბეზრებია სტეფანწმინდელთათვის, ისინი შეკრებილან და ყაზბეგები მოუკვეთავთ გარდა გენერალი გიორგი ყაზბეგისა, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა ყაზბეგების ბრძოლაში მიწების დასაკუთრებისათვის.[2] აქ კარგად ჩანს, რომ სოფელმა მოიკვეთია ყაზბეგთა საგვარეულოს წარმომადგენლები სწორედ იმიტომ, რომ ისინი ცდილობდნენ სხვებთან შედარებით უფლებრივი და ქონებრივი უპირატესობის მოპოვებას. აზნაურებად თავის გამოცხადება და უსაფუძვლოდ სოფლის მიწების საკუთრად გამოცხადება, სწორედ ამის მიმანიშნებელია.

8. საზოგადოების (თემისა თუ სოფლის) ქონების ხელყოფა. თუ ვინმე რაიმე საბით ხელყოფდა საზოგადოების ქონებას (მოძრავს თუ უძრავს), შესაძლოა ქონების მესაკუთრე საზოგადოების მიერ მოკვეთილიყო. მაგალითად, ხევში სოფელს მოუკვეთავს გერგეტელი ი. წ., რომელსაც სოფლის საერთო ფული შეუჭამია.[3] აქ ჩვენ განვიხილავთ საზოგადოების საერთო ქონების ხელყოფის ისეთ შემთხვევებს, როდესაც ეს ქმედება არ არის დაკავშირებული დამნაშავის მხრიდან საზოგადოებაში რაიმე პრეროგატივის, უპირატესობის მოპოვების მცდელობასთან.

9. მოკვეთის წესების დარღვევა. ამ შემთხვევაში დანაშაულის სუბიექტი შეიძლება ყოფილიყო იმ ტერიტორიული ერთეულის მცხოვრები, რომელიც რაიმე სახის ურთიერთობას დაამყარებდა მოკვეთილთან.

[1] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, იქვე, 64.

[2] წერილი ხევიდან, გაზ. „ივერია“, 1898, №228.

[3] რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ. 172.

ესაა ძირითადად ის დანაშაულები, რისთვისაც ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შესაძლოა მომხდარიყო საზოგადოების მიერ პიროვნების მოკვეთა.

2.12. მოკვეთის ცერემონიალი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დამნაშავის მოკვეთის გადაწყვეტილებას შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის (თემის, სოფლის, ხეობის) მოსახლეობა იღებდა.

ფშავში მოკვეთის ცერემონიალი ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით აღწერილი აქვს ო. ზოიძეს.

გადაწყვეტილებას დამნაშავის მოკვეთის შესახებ აქ იღებდა თემის ყრილობა ხევისბერის თაოსნობით. ხევისბერი თემს ხატში შეჰყრიდა. ხევისბერი მოუთხრობდა ხალხს (თემს) ჩადენილი დანაშაულის შესახებ. მოკვეთის შესახებ ხალხის გადაწყვეტილების შემდეგ ხევისბერი დაკლავდა დასარისხებელ საკლავს და დაარისხებდა მოკვეთილს: არავინ გიმეზობლოს, პურ-წყალი არავინ მოგაწოდოს და ა. შ. დაარისხებდა იმასაც, ვინც ხელს გაუწვდიდა მოკვეთილს. შერისხვას თან ახლდა თასებიდან სასმელის გადაღვრა, სანთლების გაქრობა ხევისბერის მიერ.[4] ვაჟას მოკვეთილშიც კარგად ჩანს აღნიშნული მომენტები: „ვინც ამას იქით ბახასთან გაიაროს ან მკვდარზე, ან ცოცხალზე, ან თავის სახლში გაატაროს, გზაში შეყრილს გამარჯობა უთხრას, ესე დაიქცეს იმისი ყოფაცხოვრება (აქცევს თასს...)..... ასე გაქრეს (აქრობენ ორივე კელაპტარს) იმის სახსენებელი და ემ ბატონის რისხვა გაჰყვეს იმის შვილით-შვილამდე“[5]

ხევსურეთშიც მოკვეთის ცერემონიალი ითვალისწინებდა დამნაშავის სოფელში საკლავის დაკვლასა და მის დარისხებას.[6] შედარებით მძიმე შემთხვევებში შესაძლოა ადგილი ჰქონოდა სამანის ჩასმას.[7]

---

[4] ო. ზოიძე, დასახ. ნაშრ., 105-106. აღნიშნულ ცერემონიალს დარისხებაზე საუბრისას შევეხებით.

5 ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 7, თბ., 1964, 293.

[6] ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, 1951, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 2, თბ., 1990, 175.

[7] სამანი წარმოადგენდა ამა თუ იმ შემთხვევის აღსანიშნავად მიწაში ჩასმულ ქვას. იგი გამოიყენებოდა სამიჯნო ნიშნად (გეოფრაფიული ადგილმდებარეობის, მამულის, სათიბის და სხვა გასამიჯნავად), ასევე მთიელთა სოციალური ურთიერთობების ამსახველ ნიშნად, კერძოდ, არსებობდა ნაფიცრობის, სამახსოვრო, გამაფრთხილებელი, საწყევარი, მოსაკვეთი და სხვა (მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1988,

ამას ხუცესი გააკეთებდა. საერთოდ, სამანის ჩასმა იცოდნენ გუდანის ჯვარში, თუ მეგანძურთ (არაბულები, გოგოჭურები, ჭინჭარაულები) ეხებოდა, კარატის ჯვარში, თუ ლიქოკელებს ეხებოდა, ბისო-ხახმატელთ — ხახმატის ჯვარში, წყლის იქითელთ დიდგორის ჯვარში.[1] შესაბამისად, არხოტის ჯვარში, თუ ეს არხოტივნებს ეხებოდა. მ. კანდელაკის მითითებით, „ჯვარში სამანი აუცილებლად თვალსაჩინო ადილზე უნდა ყოფილიყო, რომ იქ მისულს ყველას ენახა იგი და გაეგო, ვისთვის და რა დანაშაულის გამო იყო ჩასმული. თემ-სოფელში სამანს ყველაზე დიდი დანაშაულისათვის ჩაასობდნენ ხოლმე."[2]

ხევში მოკვეთის ცერემონიალს სრულყოფილად აღწერს ს. მაკალათია კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით. ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი თემის მიერ ვინმე აღულა ჩქარეულის მოკვეთის შესახებ თემის ღალატისათვის. ამ დანაშაულის განსახილველად თითოეული სოფლიდან ორ-ორი კაცი სამების საბჭეოში შეკრებილა და აქ ამ საბჭოს გადაუწყვეტია აღულასა და მისი შთამომავლობის „გადაშორება", ანუ მოკვეთა. ბჭეებმა ჩასვეს „სარისხეულო სამანი", დაკლეს საკლავი, რომლის სისხლი სამანზე დაღვარეს. შემდეგ ხალხი ასე დაიწყევლა: რისხვა ჰქონდეს ამ სამანისა, ვინც აღულას შთამომავლობას აუძრახოს და მათი სისხლიც ასე დაიღვროსო." სამრისხველო სამანი ყველა ხატში, ყველა სოფელში ჩაუსვამთ.[3]

სამანის ჩასმით მოკვეთა მთიულეთშიც ფიქსირდება. სამანს დეკანოზი ჩადგამდა და შემდეგ დაარისხებდა დამნაშავეს.[4] როდესაც თემი სამრისხაო სამანს ჩაუდგამდა დამნაშავეს, იქ სავალდებულო იყო ოჯახიდან თითო კაცის მისვლა. ერთობის გამოხატვის ნიშნად

თბ., 1991, 48). როგორც მ. კანდელაკი მიუთითებს, მთის ყველა კუთხეში სამანის ჩასმას თან სდევდა დაწყევლა იმისა, ვინც მხარეთა შეთანხმების გარეშე გაბედავდა სამანის ამოგდებას: „გაუწყრეს ამ სამანის მადლი, ღვთის მადლი, ოჯახი დაექცეს, ცოლ-შვილი დაეხოცოს....." — წყევლას თან სდევდა სამანის მიწაში ჩასმა და მიწის მიყრა (მ. კანდელაკი, იქვე, 49-50).

[1] მ. კელელაძე, ხევსურული მასალები, 1951, პირადი არქივი, რვეული №18, 3.

[2] მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1988, თბ., 1991, 57.

[3] ს. მაკალათია, ხევი, ტფ., 1934, 119.

[4] მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1988, თბ., 1991, 61.

თითოეულ მათგანს ფეხი უნდა მიეჭირა დარისხების დროს სამანზე.[1] ეს მაჩვენებელი იყო იმისა, რომ მოკვეთა მთელი თემის მიერ ერთობლივად ხორციელდებოდა.

მოკვეთა ფიქსირდება არა მარტო სამრისხველო სამანის ჩასმით, არამედ ჭდის ამოგდებით. შესაბამისი მაგალითი რ. ხარაძემ ჩაიწერა ხევში. გერგეტელი ივანე ხუციშვილი მას მოუყვა გ. წ.-ის მოკვეთის ამბავს, რომელსაც თვითონაც შეესწრო. მოკვეთა მომხდარა მარიამობის დღესასწაულზე სამების ეკლესიასთან ხალხის შეკრებისას. უფროს კაცებს გამოუცხადებიათ სალხისთვის, რომ სოფელში არის კაცი, რომელიც არ არის სოფლის მორჩილი და უნდა მოვიშოროთო. თქვეს, რომ „მაგათი ძროხები ძროხებში არ გავრიოთო, ცხორი ცხორში არ გავრიოთო, მეზობლად ეგ არ მივიღათო“..... მერე აიღეს უფროსმა კაცებმა ერთი ჯოხი, გათალეს და ერთ-ერთმა მათგანმა „ამოსჭდია ჯოხი, ჭდე გააკეთა და დაარისხა: ..... ისე ამოარდესო იმისი საბოლოო, როგორც მე აქ ჭდეს ამოვაგდებო, და იმისი, რომელიც მაგას ან მეზობლად მიუდგება, ან მიიყენებსო. ან ცხორძროხას გაურევსო.“ შემდეგ სოფლის ყველა კაცმა სათითაოდ ჭდე ამოაგდო. მერე საკლავი დაკლეს, ხოლო ის ჭდეამოგდებული ჯოხი საყდარში შეინახეს.[2] როგორც ვხედავთ, ჭდის ამოგდებაში სოფლის ყველა მამაკაცმა მიიღო მონაწილეობა და ერთსულოვნად დაუჭირა მხარი დამნაშავის სრულ იზოლაციას საზოგადოებისაგან. ვინც არ აღასრულებდა იმას, რაც დარისხებისას ითქვა და თავის შინაარსით დამნაშავის საზოგადოებისაგან სრულ იზოლირებას, ანუ მოკვეთას გულისხმობდა, მასზე საწყევარ სიტყვებში გამოხატული წყევლა საშვილიშვილოდ გადავიდოდა.

მოკვეთა იმავე წესით დაფიქსირებულია მთიულეთშიც, სოფელ გვიდაქეში, სადაც ხატში ყველა ოჯახის თითო წარმომადგენელმა ჯოხზე ჭდე ამოაგდო. თუ რომელიმე ოჯახი აქ თავის წარმომადგენელს არ გამოგზავნიდა და ჭდეს არ დააჭდევდა, ეს ნიშნავდა, რომ ისიც მოკვეთილის მომხრე იყო და ამიტომ მასაც მოიკვეთდნენ. ჭდეამოგდებულ ჯოხს ხატში ინახავდნენ და დღეობაზე ხატის „გამობრძანებისას“ მას ყოველთვის შემდეგი სიტყვებით დაარისხებდნენ: „ვინც ამათ აუძრახავს, ვინც ამათ ოჯახში მივა,

[1] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 63.

[2] რ. ხარაძე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვეთი 2, 1959, 172-173).

მოკვეთილები იყვნენ ხატში“. დეკანოზი მოკვეთილს ასე დაარისხებდა: „გათავდეს იმის ძირ-ბოლო, იმისი ძე აღარ იყოს მიწის ზურგზე მისხის მისხი, გაუწყრეს იმას ქაშვეთის წმინდა გიორგი, ვინც იმის სახლში შევიდეს, ვინც აუძრახდეს“, და ხალხიც „ამინ“ ეტყოდა.[1]

მოკვეთისას ცერემონიალის ყველა მონაწილის მიერ ჭდის ამოგდება, ან სამანისათვის ფეხის დაჭერა მაჩვენებელია მოკვეთილისადმი საზოგადოების ეროსულოვანი დამოკიდებულისა, მისი ერთობლივი თანხმობისა დამნაშავის მოკვეთით დასჯაზე. მ. კანდელაკიც მთიულეთზე საუბრისას მიუთითებს, რომ სამანის მიწაში ჩასმამდე, მოკვეთის ცერემონიალში მონაწილე ყველა პიროვნება აუცილებლად ხელს ჰკიდებდა მას. ავტორის მოსაზრებით, „სამანისათვის ყველა დამსწრის ხელშეხება — ესაა დამსწრეთა თვალსაჩინო დასტური მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ესაა ერთსულოვნება, გამოხატული ქმედებით და საბუთი იმისა, რომ სამანს ერთობლივ საზოგადოება აძლევს დასტურს. ეს იმის მანიშნებელიცაა, რომ ცალკეული პიროვნება სოფლის გარეშე სამანის ჩასმის ამ წესს ვერ შეასრულებდა.“[2]

აქ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა კუთხეში მოკვეთის ცერემონიალი დაახლოებით ერთნაირია. შესაძლოა, ცერემონიალის რაიმე ნიუანსი განსხვავებული ყოფილიყო, თუმცა მისი ძირითადი ელემენტები ერთგვაროვანი იყო. ყველგან მოკვეთის ცერემონიალი ტარდებოდა საჯაროდ, ხალხის თანდასწრებით, ჯვარ-ხატში. ხალხს უნდა დაენახა, თუ რა ბედი ეწეოდა თემის, სოფლის ინტერესების ხელმყოფს, ამასთანავე, უნდა გაეგო, თუ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა მას მოკვეთილის მიმართ, რა წესები უნდა დაეცვა მასთან ურთიერთობაში, რა პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა მას, თუ ამ წესებს დაარღვევდა.

მოკვეთის ცერემონიალი შეიცავდა დარისხების, შერისხვის ელემენტს.[3] ამის გარეშე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მოკვეთის რიტუალი არ ხორციელდებოდა. ხევისბერი (ხუცესი) კლავდა სამრისხველო საკლავს და წარმოთქვამდა დარისხების სიტყვებს, რომლებშიც გამოიხატებოდა მოკვეთის არსი, კერძოდ, ის, თუ რა

[1] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 63.

[2] მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1988, თბ., 1991, 56-57.

[3] მის მნიშვნელობაზე საუბარი გვეჭნება დარისხების ინსტიტუტის განხილვისას.

მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო მოკვეთილი და როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა თემს, სოფელს მოკვეთილის მიმართ.

როგორც გამოჩნდა, მოკვეთის ცერემონიალი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, შესაძლოა, ჩატარებულიყო მოკვეთილის სახელზე ჯვარ-ხატში სამანის ჩასმით (შედარებით მძიმე შემთხვევებში), ან ამის გარეშე (შედარებით მსუბუქ შემთხვევებში). ფიქსირდება ასევე მოკვეთის ცერემონიალი ჭდის ამოგდებით.

2.1.3. **მოკვეთილის სტატუსი.** როგორც აღვნიშნეთ, მოკვეთის ცერემონიალისას წარმოთქმულ დარისხების ფორმულაში კარგად ჩანს, თუ რაში გამოიხატება მოკვეთა, როგორია მოკვეთილის სამართლებრივი სტატუსი. ძირითადად, მასალების მიხედვით, მოკვეთა ეხებოდა მოკვეთილის ოჯახის წევრებსაც და მის შთამომავლებსაც.

მოკვეთისას მოკვეთილიც და მისი ოჯახის წევრებიც რჩებოდნენ საკუთარ სოფელში, არ ტოვებდნენ თავის საცხოვრისს, თუმცა აბსოლუტურად უუფლებო მდგომარეობაში იყვნენ.

ფშავში მოკვეთილის სტატუსი ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: მოკვეთილსა და მისი ოჯახის წევრებს არ შეეძლოთ საზოგადოებაში გასვლა, თემის ყრილობაზე დასწრება, ჩამორთმეული ჰქონდათ რელიგიური უფლებებიც. მას ხევისბერი საკლავს არ დაუკლავდა, სახვეწარს არ „დაუდიდებდა“, მისთვის წყალობას აღარ გამოსთხოვდა ხატს. მოკვეთილი ფაქტობრივად თემის ხატის ყმად აღარ ჩაითვლებოდა. თემი მის ოჯახს წისქვილში საფქვავს არ დაუფქვავდა, სამჭედლოს კარებს ჩაურაზავდა, ჭირსა და ლხინში არ დაეხმარებოდა, თუ მოუკვდებოდა ვინმე, ძველი წესისამებრ არავინ მიხედავდა, სახლში არავინ შეუშვებდა, მასთან არავინ გაივლიდა, მოკვეთილს ცოლობაზე უარს ეტყოდა დანიშნულიც.[1]

ხევსურეთში მოკვეთილის სტატუსი სრულად ჩანს ალ. ოჩიაურის მასალებში. მათ მიხედვით, მოკვეთილს არავინ დაეხმარებოდა, ხმას არავინ გასცემდა, ცეცხლი რომ გაჰქრობოდა, ცეცხლს არავინ მისცემდა,[2] ძროხებს ძროხებში არ გაურევდა, მუშაში არ გაჰყვებოდა,

---

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964, 71; ო. ზოიძე, დასახ. ნაშრ., 106-107.

[2] ძველად ხევსურეთში ცეცხლის მიცემა მნიშვნელოვანი საკითხი იყო და მოკვეთილისთვის ცეცხლის მიცემის აკრძალვა მის მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო ამძაფრებდა. საქმე ის არის, რომ ძველად ხევსურეთში ასანთი არ იყო

სახლში არავინ შეუშვებდა და არც მასთან ვინმე შევიდოდა, ცეცხლი რომ მოჰკიდებოდა მის სახლს, არავინ მიეხმარებოდა, არც ჭირში მივიდოდა მასთან ვინმე და არც ლხინში.[1] ასევე მას არ მისცემდნენ ჯვარსა და ხალხში მისვლის შესაძლებლობას.[2] ალ. ოჩიაურის მიხედვით, ხუცესი მოსაკვეთ პიროვნებას ასე დაარისხებდა: „...ეგ მაშორებულ ას, მაკვეთილ. მაგისა საქონი საქონში ნუ გაერივის-დ, კაცი კაცთაში ნუ მივ, ცეცხლ არ ექნების, ცეცხლ არავინ ჩაუდოს, ცეცხლ წაეკიდების, ცეცხლი არავინ გააქრას. მაკვდების ვინ, დასამარხად არავინ მივიდას, დიაც დედათში ნუ გავ, მაგათი-დ კაც მამათში. იყვნან, იცხოვრან თვისად.“[3] დარისხების ამ ფორმულაში ძალიან კარგად ჩანს, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა მოკვეთილი და მისი ოჯახი და ისიც, რომ მოკვეთილი სოფელში აგრძელებს ცხოვრებას. ნ. ხიზანაშვილის მითითებით: „ამგვარი „მოკვეთილი“ სწორედ რომ უბედური არსებაა, მას არა მარტო თავისი, სხვა თემიც მძულვარებით უცქერის და საქმით თუ არა, სიტყვით მაინც სდევნის.“[4]

მოკვეთილის მდგომარეობის შესახებ კარგად ახსოვდათ XX საუკუნის ბოლოს მცხოვრებ ხევსურ ინფორმატორებსაც. მათი განმარტებით, მოკვეთილი სოფელში რჩებოდა, თუმცა მას არავინ შეეწეოდა, ყველასაგან მიტოვებული იქნებოდა. მას ნახირიდან საქონელს გამოურეკავდნენ, ცეცხლს არ მისცემდნენ.[5]

მოკვეთილის სტატუსის შესახებ მონაცემები აღმოსავლეთ

და ცეცხლის მოპოვების თავისებური წესი არსებობდა. საჭიროებისას ცეცხლი მეზობლებისგანაც მიჰქონდათ და სხვა სოფელშიც მიდიოდნენ ცეცხლის მოსატანად (ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილი-მიღმახევი), თბ., 2005, 301-302).

[1] ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, 1951, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 2, თბ., 1990, 175.

[2] ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, ტფ., 1940, 35; მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, პირადი არქივი, რვეული №23, 14.

[3] ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილი-მიღმახევი), თბ., 2005, 184.

[4] ნ. ხიზანაშვილი, იქვე.

[5] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 56-57; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 12, 79.

საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეების მონაცემების ანალოგიურია. ხევის, მთიულეთისა და თუშეთის მასალებიდან ჩანს, რომ მოკვეთილსა და მის ოჯახის წევრებს არც სახლში მოიწვევდნენ, არც იმათ ეწვეოდნენ, ხატობასა და სხვა რაიმე საზოგადო წვეულებაზე არ მიიწვევდნენ, არც ხარ-ცხენითა და ურმით უშველიდნენ, არც მუშით დაეხმარებოდნენ, არც ქელეხში, ქორწილში, ნათლობასა და სამხვეთოში მივიდოდნენ იმათთან და არც თავისთან მიიპატიჟებდნენ, არც წისქვილში დააფქვევინებდნენ, ცეცხლი თუ გაუქრებოდა, არც ცეცხლს მიაწვდიდნენ, მის საქონელს არ გაირევდნენ.[1]

ვინც ამ წესებს დაარღვევდა და თუნდაც რაღაც მცირედით დახმარების ხელს გაუწვდიდა მოკვეთილსა და მის ოჯახს, ისიც მოიკვეთებოდა. მოკვეთილისთვის სალმის მიცემაც კი მოკვეთის საფუძველი იყო. მასზე (შემდეგ მის შთამომავლობაზე) გადავიდოდა ის წყევლა, რომელიც მოკვეთის ცერემონიალის თანმხლები დარისხებისას წარმოითქმებოდა. შესაბამისი წესების დარღვევისას მოკვეთით (დარისხებით, გაძევებით) დასჯა ერთნაირად ვრცელდებოდა კაცზედაც და ქალზედაც.[2]

როგორც ვხედავთ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მოკვეთილის სტატუსი ფაქტობრივად ერთგვაროვანი იყო. საქართველოს ამ მთის რეგიონში, სადაც საკმაოდ მკაცრი კლიმატია და რომელიც ძალზედ რთული საცხოვრებელი პირობებით ხასიათდება, ადამიანთა ყოველდღიური ყოფა აგებული იყო თანასოფლელებს, მეზობლებს, ნათესავებს შორის ურთიერთდახმარების პრინციპზე. ჭირსა თუ ლხინში მეზობლების, თანასოფლელების ურთიერთდახმარება ვალდებულებად აღიქმებოდა. ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნულ სამეურნეო ურთიერთობებს, თემის, ნათესავების

[1] წერილი ხევიდან, გაზეთი „ივერია", 1898, №228; ს. მაკალათია, ხევი, ტფ., 1934, 99, 119; რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 62, 64; ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, თბ., 1966, დ. 299, 147. საინტერესოა, რომ ვ. ლაგაზიძე მოკვეთას მოიხსენიებს, როგორც „სახლის შეკვრას", ხოლო მოკვეთილს „სახლშეკრულს". მსგავსი ტერმინები სხვა არც ერთ მასალაში არ გვხვდება. „სახლის შეკვრის" ქვეშ ავტორი ცალსახად გულისხმობს მოკვეთას. ტერმინი „სახლის შეკვრა" უნდა მიუთითებდეს იმას, რომ ამ სასჯელით დასჯილი პიროვნების ოჯახი, სახლი იყო „შეკრული" თანასოფლელის, თანამეთემელისათვის. მასთან, მის სახლობასთან ურთიერთობის უფლება არავის ჰქონდა.

[2] ალ. რაზიკაშვილი, არ დავიწყება ძველისა, თბ., 1984, 16.

(მოგვარეების) თანადგომას, დახმარებას მტრობისას, რასაც საკმაოდ ხშირად ჰქონდა ადგილი. ამდენად, მოკვეთისას პიროვნება, მისი ოჯახი აბსოლუტურად მიტოვებული და დაუცველი რჩებოდა. ამდენად, მოკვეთილის მდგომარეობაში ყოფნა განსაკუთრებით მთიელისათვის, მართლაცდა, გაუსაძლისი იყო. აქედან გამომდინარე, ამ სასჯელს დიდი პრევენტიული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც იმ დანაშაულის ჩადენას, რომელსაც შეიძლება მოკვეთა მოჰყოლოდა, ყველა მთიელი ერიდებოდა, ხოლო მოკვეთის შინაარსი ისეთი იყო, რომ იგი პიროვნებას კარგად აჩვენებდა, თუ რას ნიშნავდა თემის, სოფლის, მეზობლების თუ ნათესავების გარეშე ყოფნა, რამდენად რთული იყო მათ გარეშე ცხოვრება.

მოკვეთილი იმის გარდა, რომ თანასოფლელების, მოგვარეების თანადგომის გარეშე რჩებოდა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ამას ემატებოდა ის, რომ იგი ჯვარ-ხატიდანაც იკვეთებოდა. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საზოგადოების ორგანიზაცია სწორედ ჯვრ-ხატების ირგვლივ ხდებოდა. აქ უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა „ჯვარისყმობის“ ინსტიტუტი. თითოეული ტერიტორიული ერთეულის მფარველი ღვთაება შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებთა ბატონად ითვლებოდა. თემი მისი მფარველი ღვთაების საყმოდ, ხოლო თითოეული მეთემე მამაკაცი თავისი ჯვარ-ხატის ყმად მიიჩნეოდა.[1] აქედან გამომდინარე, მთიელი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ჯვარ-ხატთან საკუთარ ურთიერთობას, მისადმი სამსახურს, იმ ვალდებულებების შესრულებას, რომელიც მის მიმართ ჰქონდა. ეს მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო და ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა, მთიელთა რწმენით, ჯვარ-ხატის რისხვას იწვევდა. რაკი მოკვეთილი კარგავდა სალოცავში მისვლის, იქ საკლავის დაკვლის უფლებას, იგი ვეღარ შეძლებდა თავისი მოვალეობების შესრულებას ჯვარ-ხატების მიმართ, რის გამოც მათი წყალობის გარეშე რჩებოდა, ვერ დაესწრებოდა რელიგიურ დღესასწაულებს და სხვა. ასევე, ჯვარ-ხატისადმი სამსახური და ჯვარ-ხატში საკლავის დაკვლა აუცილებელი იყო საიქიოში ნათესავ მიცვალებულთა სულების საცხონებლად.[2] ამდენად,

[1] ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIII, №10, 1958, 625.

[2] იხ. ო. ზოიძე, სასჯელები (ნაშრომის — „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“ მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი,“ 3, გამომცემლობა

მოკვეთილი და მისი ოჯახი მოკლებული იყო შესაძლებლობას სრულყოფილად ეზრუნათ მიცვალებულთა სულებზე, რაც მთიელისათვის უაღრესად სამძიმო იყო და მის არსებით დასჯას წარმოადგენდა.[1] ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მოკვეთილის დიდ ყოფით დისკომფორტს, თემის, სოფლის, ნათესაობის მფარველობის დაკარგვას, სამეურნეო-ეკონომიკურ სფეროში იზოლაციას, რელიგიური უფლებების შეზღუდვა, ჯვარ-ხატების მფარველობის, მიცვალებულთა სულებზე სრულფასოვანი ზრუნვის შესაძლებლობის დაკარგვა ემატებოდა. მთიელთა რწმენა-შეხედულებებიდან გამომდინარე კი, ეს არსებითად აძლიერებდა მოკვეთილის ტანჯვას.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მოკვეთილის მდგომარეობაში დამნაშავესთან ერთად მისი ოჯახის წევრებიც ვარდებოდნენ. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, მოკვეთილის ოჯახის წევრებად ითვლებოდნენ და მასთან ერთად იზიარებდნენ მოკვეთილის ხვედრს მისი ის ნათესავები (ძმები, ბიძაშვილები), რომლებიც მოკვეთილთან ერთად ერთ ჭერქვეშ გაუყრელად ცხოვრობდნენ. გაყრილ ნათესავებზე (თუნდაც ძმებზე) მოკვეთილის სტატუსი არ ვრცელდებოდა.[2]

2.1.4. მოკვეთილის შემორიგება. წინასწარ მოკვეთის ხანგრძლივობის დადგენას, ძირითადად, ადგილი არ ჰქონდა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მოკვეთილის შემორიგება არ შეიძლებოდა. მოკვეთა შეიძლება წლების მანძილზე გაგრძელებულიყო, შესაძლოა რამდენიმე თვეც, გააჩნია დანაშაულს, რისთვისაც მოკვეთა მოხდა. მასალების მიხედვით, მთიულეთში მოკვეთილს სამ წელზე ადრე არ შეირიგებდნენ,[3] ხევსურეთში ექვსი თვიდან შვიდ წლამდე.[4] არ იყო გამორიცხული საზოგადოებას შემოერიგებინა დამნაშავის შთამომავლობა მისი გარდაცვალების შემდეგ. მაგალითად, ალ. ოჩიაურის ინფორმაციით, როდესაც ორი პიროვნება უქმის გატეხვისათვის იყო

„მეცნიერება," თბ., 1991, 114-115.

[1] თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მცხოვრებლებისათვის მიცვალებული ნათესავების სულებისათვის ზრუნვა და მათ მიმართ ვალდებულებების შესრულება, ჩვენ ზემოთ განვიხილეთ (იხ. თავი მეორე, 1.).

[2] რ. ხარაზე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 62.

[3] იქვე, 65.

[4] მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1988, თბ., 1991, 58.

მოკვეთილი, მხოლოდ ერთ ზაფხულს იყვნენ ამ სტატუსით და შემდეგ სოფელმა შეირიგა.[1] მიზეზი შედარებით მცირე ხნის შემდეგ შემორიგებისა ჩადენილი დანაშაულის შედარებითი სიმსუბუქე უნდა იყოს. ს. მაკალათიას კი მოჰყავს შემთხვევა, როდესაც თემის მოღალატე მოიკვეთეს და შერიგება მხოლოდ დამნაშავის გარდაცვალების შემდეგ მოხდა. თემმა მისი შთამომავლები შემოირიგა შესაბამისი რიტუალის ჩატარების შემდეგ.[2] ცხადია, თემის ღალატი უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა (მით უმეტეს აქ მტრისათვის დახმარებას ჰქონდა ადგილი) და აქედან გამომდინარე, მისი შემორიგება მცირე ხნის შემდეგ ვერ მოხდებოდა. სამანის ჩასმით მოკვეთისას, რაც მძიმე შემთხვევებში ხდებოდა, მოკვეთის ხანგრძლივობა უფრო დიდი ჩანს. მ. კანდელაკი მთიულეთზე საუბრისას მიუთითებს, რომ „მოსაკვეთის სამანის ხანგრძლივობა მერყეობია. ზოგ შემთხვევაში კი საშვილიშვილოდ დადგენილი წესია, ე. ი. მუდმივია. ფიქსირებულია სამანის ამოღება ხუთი-ექვსი თაობის შემდეგ. ბოლო დრომდე შემოინახა და მოქმედებდა მკაცრი რეგლამენტირება – იკრძალებოდა სამანის ამოგდება იმ პირის ცხოვრებაში, ვისი უშუალო მიზეზიც იყო ეს სამანი.“[3]

როდესაც მოკვეთილი ძალიან შეწუხდებოდა უსოფლოდ, უმეზობლოდ, მაშინ დაიწყებდა შერიგებაზე ზრუნვას და კაც-შუაკაცის მეშვეობით მიაღწევდა ამას. ხევსურეთში მოკვეთილის შემორიგებისას ადგილი ჰქონდა ხარ-ქვაბით შემოყრას. თემი, სოფელი თუ ნათესაობა (ნათესაობიდან მოკვეთის შემთხვევაში) მოკვეთილს ხარ-ქვაბის გარეშე არ შეირიგებდა. მოკვეთილი შესთხოვდა ხალხს პატიებას და თანხმობის შემდეგ საზოგადოება მას განუსაზღვრავდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა, რომ შერიგება მომხდარიყო. საზოგადოება, სოფელი დააკისრებდა მას ჯვარში საკლავის (ხარ-კურეტის ან ცხვრის, ან ორივეს ერთად) მოყვანას, ლუდის დუღებას (ძირითადად ჩანს ერთი ქვაბის), ასევე, შესაძლებელია, დაევალებინა მოკვეთილისათვის, რომ ჯვრისადმი შეეწირა რაიმე (ნ. ხიზანაშვილის მიხედვით, ეს შეიძლება ყოფილიყო ქვაბი და ვერცხლის თასი). მოკვეთილი იტყოდა:

---

[1] ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, 1949-1950, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 2, თბ., 1991, 180.

[2] ს. მაკალათია, ხევი, ტფ., 1934, 120.

[3] მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1988, თბ., 1991, 57.

„მაპატიეთ ჯვარმაც და კაცმაც, მე უთქვენოდ არ შემიძლავ ყოფასიცოცხლე.“ ხუცესი დაკლავდა საკლავს სოფლისა და მოკვეთილის სამწყალობნად, ჯვარში მოხდებოდა ლუდის დულება და საბოლოო შერიგება – ხალხი იტყოდა: „ისევ ისეთი ძმები ვიყვნეთ: ჭირშიც და ლხინშიც, მტერთანაც და მოკეთესთანაც.“[1] ყოველივე იმას, რასაც მოკვეთილს აკისრებდა ხალხი, მ. კედელაძე ჯურუმად იხსენიებს. მისი მასალებიდან ჩანს, რომ მოკვეთილის შემორიგების საკითხი შესაძლოა განეხილა ხევსურეთის ყველა თემიდან მოწვეულ „თავანკარა ხალხს“ (5-9 კაცი). სწორედ ისინი აკისრებდნენ მოკვეთილს ჯურუმს. საკლავის დაკვლისა და ლუდის დულებისას უნდა მიეწვია ყველა ის ხალხი, ვის წინაშეც დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. მ. კედელაძე, იქვე მიუთითებს, რომ შესაძლოა მოკვეთილისათვის საკლავის დაკვლა რამდენიმე ჯვარში დაეკისრებინათ, ხოლო ჯურუმის ოდენობა დანაშაულის სიმძიმეზე იყო დამოკიდებული.[2] მ. კედელაძე არ მიუთითებს, თუ რა შემთხვევაში მოხდებოდა მოკვეთილის შემორიგების საკითხის განხილვა ხევსურეთის სხვადასხვა თემიდან მოწვეული პირების მიერ. ნებისმიერი მოკვეთილის შემორიგებისას, ცხადია, ხევსურეთის ყველა თემიდან ხალხის მოწვევას ადგილი

---

[1] ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, ტფ., 1940, 35-36; მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, პირადი არქივი, რვეული №6, 6; ალ. ონჩიაური, ხევსურული მასალები, II, 1951, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 2, თბ., 1990, გვ. 175-176; მისივე, სხვადასხვა მასალა ფშავ-ხევსურეთისა, პირადი არქივი, 1949, 1. მ. კანდელაკს მოჰყავს საინტერესო შემთხვევა, როდესაც ლიქოკის ხეობიდან უხვედრი ქორწინებისათვის მოკვეთილი წყვილი ორი წელი სთხოვდა შუაკაცთა მეშვეობით თემს შერიგებას. ბოლოს თემი დათანხმდა იმ პირობით, რომ დამნაშავეს უნდა ედულებინა კარატის ჯვარში ხუთი საწყაო ლუდი, დაეკლა ხუთი წლის ხარი და ჯვრისათვის შეეწირა 15 მანეთის ღირებულების ვერცხლის თას-რვალი (სპილენძის ქვაბი) (მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1988, თბ., 1991, 72).

[2] მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, პირადი არქივი, რვეული №18, 2-3. მ. კანდელაკი მიუთითებს, „რომ მთიელთა განმარტების თანახმად, მათ წინაპრებს სცოდნიათ ჯურუმის ნაწილის ჯვარ-სალოცავისათვის შეწირვა: იქ მიტანილ საკლავს ხუცესი და დასტურ-ხელოსნები ხვთიშვილის სახელზე ყელს გამოსჭრიდნენ და საერთო-სასოფლო სუფრას გამართავდნენ. მსგავს ვითარებას ჯურუმის მინიმალური ოდენობის შემთხვევაშიც ექნებოდა.“ (მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1988, თბ., 1991, 52).

არ ექნებოდა. თვით მ. კედელაძეს მოჰყავს კონკრეტული შემთხვევა, როდესაც ლიქოკის ხეობის სოფელ მაღრანში აბიკა ლიქოკელს თემმა (და არა ხევსურეთის ყველა თემიდან მოწვეულმა ხალხმა) შეუთვალა შემოსარიგებლად ჯურუმის — ხარ-ქვაბის გადახდა, ანუ ხარის დაკვლა და ერთი ქვაბი ლუდის დულება.[1] სავარაუდოდ, მთელი ხევსურეთიდან ხალხის (5-9 კაცი) მოწვევას ადგილი ექნებოდა შედარებით მძიმე შემთხვევაში (ვთქვათ, ხევსურეთის თუ თემის ღალატისას).

თუ მოკვეთა სამანის ჩასმით მთხდა, შემორიგების აღნიშნული ცერემონიის შემდეგ მიწიდან სამანის ამოგდებაც მოხდებოდა. სამანის ამოღებას საზოგადოება ერთ პირს, ჩვეულებრივ, ხუცესს ავალებდა.[2]

ხევსურეთში ჩაწერილი XX საუკუნის დასასრულის მასალებიდანაც ჩანს, რომ მოკვეთილის შემორიგება ითვალისწინებს მოკვეთილის მიერ საკლავის დაკვლას, ხუცესის მიერ სათანადო რიტუალის შესრულებას და მოკვეთის ნიშნად ჩასმული სამანის ამოღებას.[3]

საკმაოდ სრულფასოვნად აღწერს სოფლისგან მოკვეთილი ოჯახის შემორიგების ცერემონიალს ნ. ბალიაური. იგი განიხილავს შემთხვევას, როდესაც თანასოფლელები (არანათესავები) ქორწინდებიან, რაც ხევსურული წესებით იკრძალებოდა. დაქორწინებული თანასოფლელები სოფელსა და ნათესავებს ერიდებიან და შორეულ ნათესავს აფარებენ თავს. შვილის ასეთი მიუღებელი და აკრძალული საქციელის გამო სოფელი მის მამასა და ძმებს ჯვარში მისვლას უკრძალავს, ფაქტობრივად მოიკვეთს მათ, სანამ თვითონ არ მოიკვეთონ ულირსი საქციელის ჩამდენ ვაჟს და უარს არ იტყვიან მასზე. მოკვეთა მართლაც ხდება. სოფელი ამას მხედველობაში იღებს, თუმცა მაინც არასაკმარისად თვლის ვაჟის ოჯახის შემოსარიგებლად. ამიტომ კაცს მიუგზავნიან მათ და შეუთვლიან: „საქონს საქონში ნუ გაღრეევთ, ცალკე იყვენით! რახან სოფლელთ ქალ-ზალს არ ინდობთ, ცალკე ჩვენ სოფელი, ცალკე — თქვენ! არც მკვდრებს დავუმარხავთ, არც ჯვარ-ჯვარისკარში მავუშობთ თქვენებ სახლისკაცებს, არც საქონს გაურევთ იმათას.“ ფაქტობრივად, ვაჟის

---

[1] მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, პირადი არქივი, რვეული №21, 2.

[2] მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1988, თბ., 1991, 58.

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 79.

ოჯახი სოფლიდან მოკვეთილი რჩება. ისინი იმავე კაცის პირით შესთხოვენ სოფელს, რომ ნუ გასწირავენ მათ მოსაკვეთად, რომ ისინიც ძალზედ სწუხან მომხდარის გამო. სოფელი ითვალისწინებს ყოველივე ამას, ასევე ოჯახის მიერ ვაჟის მოკვეთის ფაქტს და შესარიგებლად ოჯახს დაავალებს, რომ უახლოესი დღეობისათვის დაკლან კურატი (ორი წლის), ადუღონ ორი ან სამი საწყავი ლუდი, სოფელს დაუდგან ტაბლა. მანამდე მოკვეთილები რჩებიან. როდესაც მოვა აღნიშნული დღეობა, ვაჟის ოჯახი მოამზადებს ყველაფერს, რასაც სოფელი დაავალებს. „.....როცა მოვა დღეობა, ვაჟის ოჯახი ყველაფერს მოამზადებს, რაც სოფელმა დაავალა. გამოაცხობენ პურს, მივლენ ჯვარში და მიჰყავთ კურეტი. დაკლავენ. ტყავს თვით ვაჟის პატრონები ხდიან და ხორცსაც ისინი ხარშავენ. როცა ხორცი მოიხარშება გააკეთებენ ცვილის სანთლებს, ხორცს ნაჭრებად დასჭრიან და პურებზე დაალაგებენ. სანთლებს აანთებენ და ზედ მიაწებებენ. მოიტანენ ლუდს ჩხუტით, რასაც სანთლებსვე აწებებენ. თასებს ავსებენ ლუდით და სუფრაზე დადგამენ, ნაწილს კი უფროსი კაცები და ჯვარიონნი დაიკავებენ ხელში, მოიყვანენ ხელოსანს, რომელიც იხუცებს: ავედრებს ხატს სოფლელებს და ვაჟის პატრონებს. როდესაც ამ ამბავს მორჩებიან, თასებს აიღებენ სუფრიდან და იმათ მიაწოდებენ, ვინც ხელცარიელია და შედარებით ხნიერი.....მამა და ბიძა სოფელთან მოიბოდიშებენ: „სოფლელებო, მადლობელნი ორთ. ჩვენის მამიშვილობის კაცნი (ახლო გვარის ნათესავები); სოფლელებმ შაგვირიგენით, ჩვენ აღარ გვეგონ, თუ სოფლელებ კიდევ გვიძმობდეს..... გთხოვთ კაცსაცა-ჯვარსაც გვაპატიეთ! დედა ვერ იტყვის იმის დედობას, ძმა-ძმობას, და-დობას. იყვას მაკვეთილ-მასხლეტილი“. ასევე ილაპარაკებენ სხვებიც და ბოლოს მოხდებოდა შერიგება.[1] აღნიშნული შემთხვევა სპეციფიკურია. აქ აღწერილია შერიგების პროცესი არა დამნაშავესთან (იგი გაძევებულია და ნათესაობიდან მოკვეთილი), არამედ მის მამასა და ძმებთან, რომლებიც მოკვეთილ იქნენ ამ ნათესავის უღირსი საქციელის გამო. როგორც ჩანს, კონკრეტულ სიტუაციაში შესაძლებელი იყო შემოერიგებინათ არა დამნაშავე, არამედ, მისი ოჯახის წევრები იმ პირობით, თუ ისინი მოიკვეთდნენ დამნაშავეს, როგორც ნათესავს. ასეთი რამ დამახასიათებელია ხევსურული სამართლისათვის. გვაროვნული სოლიდარობის პრინციპების პირობებში უშუალო

[1] ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 36-38.

დამნაშავის გარდა მისი ნათესაობაც აგებდა პასუხს, თუმცა, თუ ნათესაობა (კონკრეტული ნათესავი) მოიკვეთდა დამნაშავეს, იგი თავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისაგან (მაგალითად, მკვლელის ნათესაობა, თუ მოიკვეთდა მას, შურისმაძიებელთა დევნის ობიექტი აღარ იქნებოდა). აღწერილ სიტუაციაში დამნაშავის ოჯახის წევრთა მოკვეთას თან არ ახლდა სამანის ჩასმა და შემორიგება არ ეხებოდა უშუალოდ დანაშაულის ჩამდენს, ამდენად, ეს პროცესი შედარებით ადვილად, მოკლე ვადებში განხორციელდა. მიუხედავად ამისა, აქ აღწერილი რიტუალი, რომელიც საკმაოდ დაწვრილებითაა გადმოცემული, ზოგადად დამახასიათებელია სოფლის, თემის მიერ მოკვეთილის შემორიგების ცერემონიალისათვის. დღეობაზე კურატის დაკვლა, ლუდის დუღება, სუფრის გაშლა, ბოდიშის მოხდა, შერიგებაზე თანხმობა ნებისმიერ შემთხვევაში მოკვეთილის შემორიგების აუცილებელი ელემენტებია.

ფაქტობრივად ანალოგიურად ხდებოდა მოკვეთილის შემორიგება ფშავში. გარკვეული დროის შემდეგ მას უნდა მოენანიებინა დანაშაული და პირობა დაედო, რომ მომავალში აღარ ჩაიდენდა მას. მოკვეთილს ხალხის პატიების მისაღწევად ხატში სამხვეწროდ უნდა მიეყვანა ხარი და ცხვარი და ხევისბერის პირით ეთხოვა თემისა და ხატისათვის პატიება. დამნაშავეს თავდებად დაუდგებოდნენ სოფლის კაცები. ისინი მოახსენებდნენ ხევისბერს, რომ მოკვეთილი პიროვნება ითხოვს შერიგებას, ფიცს დებს ხატისა და თემის წინაშე, რომ, თუ აპატიებენ, აღარ ჩაიდენს რაიმე უწესო საქციელს.[1] ვაჟას მიხედვით, მოკვეთილის ფიცი, რომ აღარ ჩაიდენდა სამარცხვინო საქმეს, შესაძლოა დადებულიყო „ჭდის ამოგდების“ სახით. იგი ხევისბერისა და ხალხის წინაშე იტყოდა: „ესე ამუარდეს (წუთისოფლიდამ) ჩემობა, ჩემი თესლ-ჯილაგი, თუ ამას იქით კიდევ რამე დავაშავო!“ „ამინ, ამინო!“ — დააყოლებდა ხალხი. „ჭდის ამოგდება“ მდგომარეობს იმაში, რომ მოკვეთილი ამოთლიდა ხეზე ნაფოტს, ანუ ჭდეს ამოაგდებდა.[2]

მთიულეთშიც მოკვეთილი შემორიგებისკენ ნაბიჯებს მაშინ გადადგამდა, როდესაც ველარ გაძლებდა თემის, სოფლის, მეზობლების გარეშე. ერთ-ერთ კონკრეტულ შემთხვევაში მოკვეთილმა ოჯახმა სამ წელზე მეტი ვერ გაძლო, შეწუხდა ოჯახი, რომ ოჯახის

[1] ალ. რაზიკაშვილი, არ დავიწყება ძველისა, თბ., 1984, 15-16.

[2] ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, ტ. IX, 71-72.

გარეთ ვერავის დაელაპარაკებოდა. ამიტომ ეხვეწნენ თემს, რომ შეერიგებინათ. დაკლეს ხარი, ჭედილა, აუარებელი საჭმელი და სასმელი დაამზადეს. სამ დღეზე მეტს აქეიფეს ხალხი, დაბოლოს, ხატის საჯარეზე შეირიგეს სოფელი.[1] როგორც ჩანს, აქაც შერიგებისათვის აუცილებელი იყო ხატში საკლავ-სასმელით მისვლა. თემი მოკვეთილს მხოლოდ მაშინ აპატიებდა, როდესაც დარწმუნდებოდა იმაში, რომ მან თავისი დანაშაული შეიგნო და სათანადოდ გამოისყიდა.[2] მ. კანდელაკის მიხედვით, გუდამაყარში სამანის ამოსაღებად უნდა მოეყვანათ თეთრი ხარი და მთელ გვარს სამღვთო უნდა გადაეხადა.[3]

მთიულეთში დაფიქსირებულია შერიგების შემდეგ სამრისხველო სამანის ერთობლივად ამოღების ძალზედ საინტერესო წესი. ერთ კონკრეტულ შემთხვევაში სამანს შეაბეს საბელი. ხალხმა ხელი მოჰკიდა და ამოსწია სამანი საბელით. წესი ასეთი იყო, რომ სამრისხაო სამანი ყველას ერთად უნდა ამოეღო, რადგან „ყველა ერთობით ირიგებდა“.[4] სამანის ერთობლივ ამოღებას იმ სოციალური ჯგუფის (თემი, სოფელი, საგვარეულო) მიერ, რომელმაც იგი ჩასვა, მ. კანდელაკიც ადასტურებს.[5]

თუ სამანი რამდენიმე სალოცავში იყო ჩადებული, მაშინ საკლავის დაკვლა ყველა მათგანში უნდა მომხდარიყო თითოეული სამანის ამოსაღებად. შესაბამისი მაგალითი ხევში ფიქსირდება. მაგალითად, მოკვეთილი აღულას შთამომავლები თავისი მძიმე მდგომარეობით მეტად შეწუხებულან და ოსების შუამკობით თემისათვის შერიგება უთხოვიათ. ბოლოს თემი დათანხმებულა და ნიშნად შერიგებისა აღულას შთამომავლებს, სადაც „სამრისხველო“ სამანი ყოფილა ჩასმული (როგორც აღვნიშნეთ, ეს ხევის ყველა სოფელში მოხდა), ყველგან თითო საკლავი დაუკლავთ და შემდეგ თითოეული სამანი ამოუღიათ.[6]

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მოკვეთილის შემო-

[1] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 64.

[2] იქვე, 64-65.

[3] მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1988, თბ., 1991, 71.

[4] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, იქვე, 64.

[5] მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1988, თბ., 1991, 57.

[6] ს. მაკალათია, ხევი, ტფ., 1934, 120.

რიგების საფუძველი იყო მის მიერ დანაშაულის გამოსყიდვა ვაჟკაცური საქციელით. კერძოდ, თუ იგი მტერთან ბრძოლაში თავს ისახელებდა, თემისთვის ტყვეს დაიხსნიდა, სასჯელისაგან თავისუფლდებოდა.[1] მაგალითად, ფშაური გადმოცემის თანახმად, თემისგან მოკვეთილი „თადიაური შეჰყრია ქისტების შვიდ ძმას, რომელთაც სოფელ ახადიდან გოდერძის ქალი თინა ჰყოლიათ მოტაცებული. თადიაურს მოუკლავს შვიდივე ქისტი და ქალი შინ დაუბრუნებია. ამის შემდეგ სოფელი შეყრილა და თადიაური შეურიგებია – მის დანაშაულზე ლაშარის ჯვარში ჩასმული სამანი მიწიდან ამოულიათ.“[2]

ზემოთ მოყვანილი მონაცემების მოკლე შეჯამება შემდეგნაირად შეიძლება: მოკვეთილს შერიგების მისაღწევად – 1. უნდა მოენანიებინა ჩადენილი დანაშაული, საზოგადოებისათვის პატიება ეთხოვა და დაერწმუნებინა, რომ მომავალში აღარ ჩაიდენდა ულირს საქციელს (ამის დასამტკიცებლად, შესაძლოა, დაეფიცა კიდეც); 2. საზოგადოების გადაწყვეტილებით, ჯვარ-ხატში რომელიმე დღეობისას უნდა მიეყვანა საკლავი, ედულებინა ლუდი და გამასპინძლებოდა ხალხს, შესაძლოა ჯვარ-ხატისათვის რაიმეს შეწირვაც დაევალებინათ (ქვაბი, ვერცხლის თასი და სხვ.)[3]. საკლავის, ლუდისა და ჯვარ-ხატისთვის შესაწირავის ოდენობა დამოკიდებული იყო ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე. შემორიგების ცერემონიალი გულისხმობდა ხევისბერის (ხუცესის) მიერ საკლავის დაკვლას (სოფლისა და მოკვეთილის დასამწყალობლებად), ლუდის დუღებას, ხალხის მხრიდან შერიგების თანხმობას, მოსაკვეთის სამანის ამოღებას (მოკვეთისას მისი ჩასმის შემთხვევაში).

2.2. ბოიკოტის (უნდობლობის) გამოცხადება საქართველოს სხვა კუთხეებში. მოკვეთა, როგორც სასჯელი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გარეთ არსებულ საქართველოს სხვა კუთხეებშიც გამოიყენებოდა. მისი შინაარსი არსებითად იმავე იყო, რაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თუმცა იქ შემორჩენილი უძველესი ელემენტების გარეშე.

---

[1] ალ. რაზიკაშვილი, არ დავიწყება ძველისა, თბ., 1984, 16.

[2] მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1988, თბ., 1991, 70.

[3] თასის, ქვაბის, საკლავის საკულტო, საკრალური მნიშვნელობის შესახებ ფშავ-ხევსურული სარწმუნოების მიხედვით იხ. ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, I, ქუთაისი, 1996, 91-114.

ჩვენს ხელთ არსებული მასალა საშუალებას გვაძლევს აღნიშნული სასჯელი განვიხილოთ ქართლში, აჭარაში, მესხეთში, გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში. როგორც აღინიშნა, საქართველოს ამ კუთხეებში ეს სასჯელი ძირითადად იწოდება „ბოიკოტისა“ და „უნდობლობის“ გამოცხადებად.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, უნდობლობის გამოცხადებას მოკვეთის აღსანიშნავად, ძირითადად, იმერეთში ვხვდებით, ასევე აჭარაშიც (ზოგიერთი აჭარელი ინფორმატორი ტერმინ „ბოიკოტსაც“ იყენებს). სხვა კუთხეებში კი მოკვეთას უმეტესად ბოიკოტის გამოცხადებად იხსენიებენ. გურიაში ბოიკოტგამოცხადებულის აღსანიშნავად გვხვდება ტერმინი — „ბოიკოტქმნილი“. როგორც ჩანს, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საკმაოდ მყარად იყო დამკვიდრებული არაქართული ტერმინი — „ბოიკოტი“. გ. ჟორდანია ქართლის ჩვეულებითი სამართლის შესახებ საუბრისას აღნიშნავს, რომ ეს ტერმინი და შესაბამისი სასჯელი საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროპაგანდის შედეგად დამკვიდრდა.[1] ტერმინი, შესაძლოა, მართლაც იმ პერიოდში ჩნდება. რაც შეეხება თვით სასჯელს, მასალების მიხედვით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში) მისი მანამდე გამოყენება ეჭვს არ იწვევს (კონკრეტული ფაქტები ფიქსირდება). ჩვენი აზრით, იგი ქართლშიც იქნებოდა ცნობილი, ოღონდ რაიმე ქართული სახელწოდებით. საინტერესოა, რომ ერთი გურული ინფორმატორი (გურიაში მხოლოდ „ბოიკოტი“ გვხვდება) მიუთითებს, რომ ქართულად „ბოიკოტს“ მგონი, „გარიყვა“ ერქვაო.[2] სხვა ინფორმატორებთან ეს ტერმინი ბოიკოტისა და თუ მოკვეთის აღსანიშნავად არ გვხვდება, თუმცა სრულიად შესაძლებელია საქართველოში, კერძოდ, გურიაში, ტერმინ „ბოიკოტის“ დამკვიდრებამდე, სხვა ტერმინებთან ერთად, ეს ტერმინიც ყოფილიყო ხმარებაში, მით უმეტეს იგი საკმაოდ კარგად გამოხატავს განსახილველი სასჯელის არსს. მისით დასჯილი სწორედ გარიყული იყო საზოგადოებიდან, სოფლიდან.

საქართველოს აღნიშნულ კუთხეებში ბოიკოტის (უნდობლობის)

---

[1] გ. ჟორდანია, სისხლის სამართალი ქართლის სოფლებში (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1908, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1813.

[2] მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული, რვეული, 1989, 23.

გამოცხადების საკითხს, ძირითადად, „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის“ თანამშრომელთა მიერ XX საუკუნის II ნახევარში ჩაწერილი მასალების მიხედვით განვიხილავთ. აღნიშნულ საკითხზე გარკვეული სურათის შექმნა სწორედ ამ მასალებითაა შესაძლებელი.

2.2.1 დანაშაულები, რომელთათვისაც ხდებოდა ბოიკოტის (უნდობლობის) გამოცხადება. პირველ რიგში ვნახოთ, თუ რა დანაშაულებისათვის ხდებოდა ბოიკოტის (უნდობლობის) გამოცხადება საქართველოს აღნიშნულ კუთხეებში. ჩვენს ხელთ არსებული მასალებით, ბოიკოტის თუ უნდობლობის გამოცხადება შემდეგი დანაშაულისა გვხვდება: 1. სქესობრივ სფეროში ჩადენილი დანაშაულისა თუ უკანონო ქორწინებისათვის. სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ინფორმატორთა მიხედვით ამ სასჯელის გამოყენება ხდებოდა ბოზობისათვის,[1] ნათესავის ცოლად მოყვანისათვის,[2] უკანონო შვილის გაჩენისათვის,[3] გაუპატიურებისათვის.[4] აჭარელი ინფორმატორის ცნობით, ერთ ლაზს ქალიშვილი თურქისთვის

[1] მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 47; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989-1990, 35; ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 35; მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 23; ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 14; გ. დავითაშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 41.

[2] გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, 1989, №2, 6; ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 38; გურიაში ჩაგვიწერეთ ასეთი შემთხვევა: პიროვნებამ ცოლად მოიყვანა თავისი გარდაცვლილი ბიძაშვილის ცოლი, რის გამოც მას სოფელმა ბოიკოტი გამოუცხადა (გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №2, 7).

[3] გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №2, 10; გურიაში, სოფელ დიდ ვანში, პიროვნებამ იშვილა გოგო და გარკვეული დროის შემდეგ მისგან შეეძინა შვილი. როგორც თანასოფლელი ინფორმატორები ამბობენ, ეს მოხდა ცოლის თანხმობით, რადგანაც უშვილო ოჯახი იყო და სურდათ შვილი (ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, 1989, №2, 14).

[4] დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 27, 40; ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 48.

მიუთხოვებია, რის გამოც იგი ლაზებს მოუკვეთიათ.[1] 2. ქურდობისათვის. არაერთი ინფორმატორი მიუთითებს, რომ საკუთარ სოფელში ქურდობის გამო შესაძლოა პიროვნებისათვის ბოიკოტიც გამოეცხადებინათ.[2] ქურდობისას დამნაშავე, ცხადია, ქონებრივ სანაღვლოს იხდიდა და ამის გარდა, მის მიმართ შესაძლოა სხვა სასჯელიც გამოეყენებინათ. ეს შეიძლება ყოფილიყო რომელიმე გამაწბილებელი სასჯელი, ხოლო თუ სოფელი საჭიროდ ჩათვლიდა, ბოიკოტიც. ზოგიერთი ინფორმატორის ცნობით კი, ბოიკოტის გამოცხადება სისტემატური ქურდობისათვის ხდებოდა.[3] ამას ძირითადად გურიაში ჩაწერილ მასალაში ვხდებით. ერთ-ერთი სვანი ინფორმატორიც აღნიშნავს, რომ ბოიკოტის გამოცხადებას სწორედ სისტემატური ქურდობისათვის ჰქონდა ადგილი.[4] როგორც ვხედავთ, ზოგიერთი ინფორმატორი ქურდობას განიხილავს, როგორც ბოიკოტის გამოცხადების საფუძველს და არ უკავშირებს მას ამ დანაშაულის მაინცდამაინც სისტემატურ ჩადენას, ზოგიერთი კი მიუთითებს, რომ

---

[1] მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერული, 1989, 45.

[2] გ. დავითაშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერული, 1989, 41; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერული, 1988, 32; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერული, 1989-1990, 35; ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერული, 1989, 35; გ. დავითაშვილი, მასალები გუირიის ჩვეულებით სამართლაზე, ეთნოგრაფიული რეფერული, 1989, №1, 10; ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერული, 1989, №2, 9; მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, 1989, 23; დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერული, 1989, 40; ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, 1989, 57; ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერული, 1989, 14; ერთ-ერთი გურული ინფორმატორი კონკრეტულ შემთხვევასაც იხსენებს, როდესაც ქურდს გარკვეული ხნით ბოიკოტი გამოუცხადეს (ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერული, 1989, №2, 20-21).

[3] გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერული, 1989, №1, 23; გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერული, 1989, №2, 20; დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერული, 1989, 49.

[4] მ. კეკელია, მასალები სვანეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერული №4, 1968, 77.

ბოიკოტი შეიძლება გამოეცხადებინათ ქურდობის სწორედ სისტემატურად ჩადენისათვის. აღნიშნული საკითხი, ჩვენი ვარაუდით, არ უნდა ყოფილიყო ზუსტად რეგლამენტირებული და გადაწყვეტილების მიღება ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე უნდა მომხდარიყო[1]. 3. ვინმეს ცემისათვის. რამდენიმე ინფორმატორი მიუთითებს, რომ ბოიკოტის გამოცხადება ცემის გამოც მომხდარა.[2] გურიაში შესაბამისი კონკრეტული ფაქტიც ფიქსირდება.[3] მასალებიდან არ ჩანს, თუ ცემა რა შემთხვევაში იწვევდა ბოიკოტის გამოცხადებას. ჩვენი აზრით, ყოველგვარ ცემას ბოიკოტის გამოცხადება არ უნდა გამოეწვია. სავარაუდოდ, ეს მოხდებოდა პიროვნების უმიზეზო, დაუნდობელი, საჯარო, ღირსების შემლახველი ცემისათვის.[4] 4. საზოგადოებრივი წესრიგის სისტემატური დარღვევისათვის. ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით, ზოგჯერ სოფელი ამა თუ იმ პიროვნებას მოსთხოვდა თავი შეეკავებინა აყალმაყალისა და სხვა ცუდი საქმეებისაგან. თუ მოთხოვნას არ შეასრულებდა ვინმე, მთელი სოფელი ბოიკოტს გამოიყენებდა.[5] ასევე სხვა ინფორმატორიც აღნიშნავს, რომ პიროვნებას ბოიკოტს უცხადებდნენ სისტემატური საჯარო აყალმაყალისათვის, ჩხუბისათვის, ლანძღვისათ-

[1] სრულიად შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ზოგ შემთხვევაში სოფელს ბოიკოტი გამოეცხადებინა დამნაშავისათვის ქურდობის პირველადვე ჩადენის შემდეგ, სხვა შემთხვევაში კი პირველი ქურდობისას გაეფრთხილებინა, სხვა რაიმე სასჯელი გამოეყენებინა (მაგალითად, გამაწბილებელი), განმეორების, არაერთგზის ჩადენის შემთხვევაში კი ბოიკოტით დაესაჯა. თუ როდის რომელი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული, სავარაუდოდ, ეს დამოკიდებული იქნებოდა ქურდობის სიმძიმეზე, დამნაშავის პიროვნებაზე, კონკრეტული ქურდობის გარემოებებზე. აღსანიშნავია, რომ სისტემატური ქურდობისას, შესაძლოა, საზოგადოება ბოიკოტით არ დაკმაყოფილებულიყო და დამნაშავე გაეძევებინა კიდეცაც (ამას ქვემოთ, გაძევების შესახებ საუბრისას შევეხებით). სისტემატური ქურდობისათვის, როდის მოხდებოდა ბოიკოტის გამოცხადება და როდის გაძევება, ჩვენი ვარაუდით, იმავე, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით უნდა გადაწყვეტილიყო, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

[2] გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №2, 20.

[3] ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №1, 3.

[4] მაგალითად, ოჯახის წევრების თუ ქალის თანდასწრებით ცემისათვის.

[5] ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №2, 2

ვის.[1] საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ერთ-ერთი პიროვნებისათვის სოფელს ბოიკოტი გამოუცხადებია იმიტომ, რომ ის სისტემატურად ჩხუბობდა და სულ ხმალზე იყურებოდა.[2] როგორც ჩანს, სოფელი საზოგადოებრივი წესრიგის სისტემატურად დამრღვევს საზოგადოებისათვის საშიშად თვლიდა და მას საზოგადოებიდან გარიყავდა მანამ სანამ, იგი არ გამოსწორდებოდა. 5. სოფლის პირის გატეხვისათვის.[3] აქ ძირითადად იგულისხმება სოფლის მიერ ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილების უგულებელყოფა, შეუსრულებლობა, სოფლის საერთო საქმეში ჩამორჩენა. მაგალითად, მასალებში ვხდებით ბოიკოტის გამოცხადებას სოფლის საერთო საქმეში მონაწილეობის მიუღებლობისათვის.[4] ასევე, სოფლის პირის გატეხვად უნდა მივიჩნიოთ ბოიკოტის წესების შეუსრულებლობა. კერძოდ, პირი, რომელიც ბოიკოტგამოცხადებულთან დაამყარებდა რაიმე სახის ურთიერთობას (რაც აკრძალული იყო), მასაც სოფელი, როგორც სოფლის პირის გამტეხს, ბოიკოტს გამოუცხადებდა.[5] ერთ-ერთი ინფორმატორი აღნიშნავს: ,,ვინც ბოიკოტდადებულ კაცს ან ოჯახს დაელაპარაკებოდა, თუ საქმიანობას დაუწყებდა, ასეთ პირს, ან მის ოჯახს ბოიკოტს გამოუცხადებდა ხალხი.“[6] 6. უქმის გატეხვისათვის. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მსგავსად, საქართველოს სხვა კუთხეებში არის გარკვეული ცნობები უქმის გამტეხთა მიმართ ბოიკოტის გამოცხადების შესახებ. მაგალითად, ერთ-ერთი იმერელი ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას, რომ XIX საუკუნის ბოლოს, სწორედ უქმის გამტეხს ბოიკოტი გამოუცხადეს.[7] 7. რაიმე უღირსი საქციელის

[1] გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №2, 20.

[2] ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 50.

[3] გ. დავითაშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 41;

[4] გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №1, 5.

[5] გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №2, 6; ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №1, 3: მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 14-15.

[6] მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 23.

[7] მ. კეკელია, მასალები სვანეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული

ჩადენისათვის. ქართულ საზოგადობას ულირსად, სქესობრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა გარდა, შესაძლოა ჩაეთვალა სხვადასხვა, ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული საქციელი, რომელიც ზნეობის ნორმების დარღვევასთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, მასალებში გვხვდება ბოიკოტის გამოცხადება მოხუცებულის ცემისათვის. არსებობს შესაბამისი კონკრეტული მაგალითებიც. კერძოდ, გურიის ერთ-ერთ სოფელში მეფის რუსეთის დროს მამასახლისს უცემია მოხუცი ქალი, რისთვისაც სოფელს მისთვის ბოიკოტი გამოუცხადებია.[1] გურიის სხვა სოფელში კი პიროვნებას ხელი გაურტყამს მოხუცი მამისთვის, რასაც ასევე მოჰყოლია ბოიკოტის გამოცხადება.[2] ულირს საქციელად ითვლებოდა აგრეთვე დასმენა, ენატანიობა, რასაც შესაძლოა ბოიკოტი გამოეწვია.[3] ცალკეული ინფორმატორები საუბრობენ ბოიკოტის გამოცხადების შესახებ სიზარმაცისათვის, ტყუილისათვის (აქ მხედველობაშია ხალხის, სოფლის მოტყუება).[4] ეს უკანასკნელიც, ჩვენი აზრით, ულირს საქციელთა რიგს უნდა მივაკუთვნოთ. ულირს საქციელად საზოგადოებას შესაძლოა სხვა არაერთი ქმედებაც ჩაეთვალა და მათი ჩამდენისთვის ბოიკოტი გამოეცხადებინა.

ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში გვხვდება მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, ბოიკოტის (უნდობლობის) გამოცხადება ხდებოდა არაერთგზის ჩადენილი გარკვეული დანაშაულისათვის. ინფორმატორები მიუთითებენ, რომ ბოიკოტის თუ უნდობლობის გამოცხადება ხშირად ხდებოდა, როდესაც პიროვნება სისტემატურად სჩადიოდა რაიმე დანაშაულს და გაფრთხილების მიუხედავად არ წყვეტდა მას. ერთ-ერთი ინფორმატორი მიუთითებს, რომ საზოგადოება ბოიკოტს

რეული, 1970, №8, 32 (მ. კეკელიას ამ ეთნოგრაფიული რეულში, რომელიც ძირითადად სვანეთს ეხება, რამდენიმე ჩანაწერი იმერეთშია გაკეთებული).

[1] გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №1, 23.

[2] მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 14.

[3] ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989-1990, 35; გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №1, 10.

[4] ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №1, 9; ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 14-15.

უცხადებდა იმას, ვინც რაიმეს არაერთხელ (ორჯერ, სამჯერ) დააშავებდა.[1] იმავეს ადასტურებს მეორეც.[2] კიდევ ერთი ინფორმატორის თქმით კი, თუ პიროვნებას რამდენჯერმე გააფრთხილებდნენ, რომ შეეწყვიტა დანაშაულებრივი ქმედებები, მაგრამ ამას არ გააკეთებდა, მას საზოგადოება ბოიკოტს გამოუცხადებდა.[3] მაგალითად, ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მასალებში ხშირად გვხვდება ბოიკოტის გამოცხადება საზოგადოებრივი წესრიგის სისტემატური დარღვევისათვის. მასალებში ასევე ჩანს ბოიკოტის გამოცხადება არაერთგზის ქურდობისათვის. როდესაც ვსაუბრობთ ბოიკოტის გამოცხადებაზე, რაიმე სისტემატური ქმედებისათვის, უნდა გავითვალისწინოთ, რომ აქ საუბარია შედარებით მსუბუქ დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომელთა მხოლოდ ერთხელ ჩადენა არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ საზოგადოებას მისთვის ბოიკოტი თუ უნდობლობა გამოეცხადა და იგი შესაძლოა უფრო მსუბუქი სასჯელითაც დაკმაყოფილებულიყო.

იმავე შეიძლება ითქვას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთზეც. აქაც გამოუსწორებელი დამნაშავე, თუ გაფრთხილების, შედარებით მსუბუქი სასჯელის დაკისრების მიუხედავად, განაგრძობდა იმავე ქმედებებს, რისთვისაც დაისაჯა, მის მიმართ საზოგადოება უფრო მძიმე სასჯელს, მათ შორის მოკვეთასაც გამოიყენებდა. ვთქვათ, რაიმე შედარებით მსუბუქი გადაცდომისთვის პიროვნება დასაჯეს, მაგალითად, რომელიმე გამაწბილებელი სასჯელით. თუ იგი განმეორებით ჩაიდენდა იმავეს, სრულიად შესაძლებელი იყო საზოგადოებას იგი მოეკვეთა.

ჩვენ შევეცადეთ „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის“ თანამშრომელთა მიერ XX საუკუნის II ნახევარში ჩაწერილი მასალების მიხედვით მოგვეხდინა იმ დანაშაულთა კლასიფიკაცია, რომლებსაც შესაძლოა ბოიკოტის (უნდობლობის) გამოცხადება მოჰყოლოდა. ეს არ არის დანაშაულთა სრული ჩამონათვალი. ინფორმატორები ხშირად მიუთითებენ ბოიკოტის გამოცხადების ზოგად საფუძვლებზე. მაგალითად, ზოგიერთი მათგანი აღნიშნავს, რომ სოფელი ბოიკოტს თუ უნდობლობას უცხადებდა

---

[1] გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 6.

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 57.

[3] ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989-1990, 25.

პიროვნებას ავკაცობისათვის, ცოდვის ჩადენისათვის, საზოგადოებაში მავნებლობისათვის, სოფელში „გლახა," სამარცხვინო საქციელის ჩადენისათვის.[1] აღნიშნულ საქციელთა ქვეშ შესაძლოა იგულისმებოდეს სრულიად განსხვავებული ქმედებები, რომელთა წინასწარ განსაზღვრული, ამომწურავი ჩამონათვალი არ არსებობდა და ზემოთ ჩამოთვლილ დანაშაულთა გარდა სხვა შემთხვევებშიც შესაძლოა მომხდარიყო ბოიკოტის (უნდობლობის) გამოცხადება.[2]

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმავე დანაშაულისათვის შესაძლოა დამნაშავისთვის გაძევებაც მიესაჯათ. ცხადია, ეს შედარებით მძიმე შემთხვევებში ხდებოდა და ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში საზოგადოების მიერ წყდებოდა სასჯელის რომელი სახე უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

როგორც ვხედავთ, არის დანაშაულები, რომელთა ჩადენის შემთხვევაში მოკვეთა (ბოიკოტის თუ უნდობლობის გამოცხადება) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც ფიქსირდება და მის გარეთაც. თუმცა არის დანაშაულები, რომელთათვისაც მოკვეთა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გვხვდება, ზოგიერთი დანაშაულისათვის კი ბოიკოტის თუ უნდობლობის გამოცხადება საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გარეთ.

2.2.2. **ბოიკოტის (უნდობლობის) გამოცხადების სუბიექტი.** საქართველოს აღნიშნულ კუთხეებში ჩაწერილ მასალაში გვხვდება მონაცემები, რომელთა მიხედვითაც აკრძალული იყო ბოიკოტის (უნდობლობის) გამოცხადება მცირეწლოვნების, ბავშვებისა და სულით ავადმყოფების

---

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 35; მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 37, 68; ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 9; ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 21-22; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 32.

[2] მაგალითად, ერთ-ერთი გურული ინფორმატორი საუბრობს ბოიკოტის გამოცხადებაზე მეზობლის ვენახის აჩეხვისათვის (ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 2-3). ასეთი საქციელი მეზობლის მიმართ სრულიად შესაძლებელია, სოფელს, უბანს, უღირს საქციელად, მავნებლობად, ავკაცობად ჩაეთვალა და მისი ჩამდენი ბოიკოტის გამოცხადებით დაესაჯა.

მიმართ.[1] როდესაც ბოიკოტს (უნდობლობას) მთელს ოჯახს უცხადებდნენ, იგი არ ვრცელდებოდა ამ ოჯახის ბავშვებზე.[2]

ბოიკოტი (უნდობლობა) შესაძლოა გამოეცხადებინათ როგორც ცალკე პიროვნებისათვის (დანაშაულის უშუალოდ ჩამდენისათვის), ისე მთელი მისი ოჯახისათვის.[3] აღნიშნული კონკრეტულ შემთხვევაში წყდებოდა და დანაშაულის სიმძიმესა და მის ცალკეულ გარემოებებზე იყო დამოკიდებული. ერთ-ერთი მეგრელი ინფორმატორის განმარტებით, ბოიკოტს მხოლოდ დამნაშავეს გამოუცხადებდნენ, თუ მთელ მის ოჯახს, დამოკიდებული იყო დანაშაულის სიმძიმეზე. თუ დანაშაული მძიმე იყო, ბოიკოტი შეიძლება მთელი ოჯახისთვისაც გამოეცხადებინათ.[4] იმავე მოტივაციას ვხვდებით გაძევების შემთხვევაშიც, როდესაც წყდებოდა საკითხი დამნაშავე მარტო გაეძევებინათ, თუ ოჯახთან ერთად. ამდენად, აღნიშნულ საკითხს გაძევებაზე მსჯელობის დროსაც დავუბრუნდებით.

შესაძლოა ისედაც მომხდარიყო, რომ დანაშაულის ჩადენაში მთელ ოჯახს მიეღო მონაწილეობა. ამ შემთხვევაში, ცხადია, ბოიკოტით მთელი ოჯახი დაისჯებოდა. ერთ-ერთი გურული ინფორმატორი მიუთითებს, რომ ბოიკოტი შეიძლება მხოლოდ ერთი პიროვნებისათვის (დანაშაულის უშუალო ჩამდენისათვის) გამოეცხადებინათ და არა მთელი ოჯახისათვის, მაგრამ ზოგჯერ ბოიკოტს მთელ ოჯახსაც უცხადებდნენ. ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც ოჯახი, მაგალითად, მოდავე მეზობელს ვენახს აუჩეხდა, ნამყენს მოუჭრიდა, ან სხვა დანაშაულს ჩაიდენდა სწორედ მთელი

---

[1] მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატები, 1989, 23; ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატები, ეთნოგრაფიული რეფერატები, 1989, №2, 10, 21-22. გურული ინფორმატორების მიხედვით, მცირეწლოვნად ითვლებოდა პიროვნება 16 წლის ასაკამდე (მ. კეკელია, იქვე; ო. ზოიძე, იქვე, 22).

[2] მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატები, 1989, 14-15.

[3] მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, 1989, 45; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატები, 1988, 32; ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატები, 1989, №1, 2-3, 9.

[4] ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატები, 1988, 14-15.

ოჯახი.[1] მეორე ინფორმატორის მიხედვითაც, ბოიკოტს ოჯახის ერთ წევრს გამოუცხადებდნენ თუ მთელ ოჯახს, დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა წვლილი მიუძღვოდა ოჯახს დანაშაულის ჩადენაში.[2] ამ თემას კიდევ ერთი ინფორმატორი ეხება იმავე კონტექსტში. მისი განმარტებით, ბოიკოტი შეიძლება დაჰკისრებოდა, როგორც ერთ კაცს, ისე ოჯახის ყველა წევრს, გააჩნია რა დანაშაული იყო. მაგ., თუ მთელი ოჯახი მონაწილეობდა უზნეო საქმეში, მაშინ ბოიკოტს მთელ ოჯახს უცხადებდნენ.[3] ასე, რომ როდესაც ოჯახი ერთობლივად ჩაიდენდა რაიმე დანაშაულს[4] და ამისათვის ბოიკოტის შეფარდება გადაწყდებოდა, მას მთელ ოჯახს შეუფარდებდნენ. საერთოდ, ბოიკოტს გამოუცხადებდნენ დანაშაულის თანამონაწილესა და ხელშემწყობსაც. მაგალითად, ინფორმატორს მოჰყავს შემთხვევა, როდესაც ბოიკოტი გამოუცხადეს ქურდსაც და მის ცოლსაც. ამ უკანასკნელს იმიტომ, რომ, როდესაც ქმარმა ნაქურდალი სახლში მიიტანა, მას ხმა არ ამოუღია, არავისთვის არაფერი უთქვამს ამის შესახებ.[5] როგორც ჩანს, სოფელმა იგი დანაშაულის ხელშემწყობად მიიჩნია და მასაც ბოიკოტი გამოუცხადა.

2.2.3. ბოიკოტის (უნდობლობის) გამოცხადების წესი. ბოიკოტს (უნდობლობას) საქართველოს ამ კუთხეებში უმრავლეს შემთხვევაში სოფელი უცხადებდა. ასევე გვხვდება ბოიკოტის გამოცხადება თემის ფარგლებში (მაგალითად, გარდა სოფლისა, თემის მიერ ბოიკოტის გამოცხადება გვხვდება სვანეთში), ასევე ჩანს ბოიკოტისა თუ უნდობლობის გამოცხადება სოფლის უბნის მიერაც. მაგალითად, ლეჩხუმელი ინფორმატორი მიუთითებს, რომ ბოიკოტს დამნაშავეს მის უბანში (საოცეულოში) უცხადებდნენ და მხოლოდ ამ უბნის ფარგლებში იყო

---

[1] ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეჟუ-ლი, 1989, №1, 2-3.

[2] მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეჟუ-ლი, 1989, 14-15.

[3] იქვე, 23.

[4] სავარაუდოდ, არ იყო აუცილებელი ოჯახის აბსოლუტურად ყველა წევრი, ბავშვებისა და ქალების ჩათვლით ყოფილიყო ჩართული ამ დანაშაულის ჩადენაში.

[5] ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეჟუ-ლი, 1989, №2, 21-22.

იგი იზოლირებული საზოგადოებისაგან.[1] იმავეს ადასტურებს გურული ინფორმატორი.[2] მეგრელი ინფორმატორიც მიუთითებს ამის შესაძლებლობას მის მშობლიურ კუთხეში. მისი განმარტებით, ბოიკოტის გამოცხადება სოფლის მიერ ხდებოდა, თუმცა შესაძლებელი იყო ეს სოფლის უბანს, ე. წ. სამოხიოსაც გაეკეთებინა. მისი განმარტებით, სამოხიო ეს არის სოფელში უბნები, რომლებიც შეიძლება სოფელში რამდენიმე ყოფილიყო. სამოხიოს წევრები ვალდებულნი იყვნენ ჭირშიც და ლხინშიც დახმარებოდნენ ერთმანეთს. ადრე სამოხიოები იყო გვაროვნული ნიშნის მიხედვით დაყოფილი, შემდეგ კი მოხდა სამოხიოში რამდენიმე გვარის გაერთიანება და ამჟამად ისინი ტერიტორიული ნიშნით არიან დაყოფილი.[3] სავარაუდოდ, სოფლის უბნის მიერ ბოიკოტის გამოცხადება შედარებით მსუბუქ შემთხვევებში მოხდებოდა, როდესაც პიროვნება თავისი მოქმედებით ხელყოფდა არა მთელი სოფლის, არამედ მხოლოდ საკუთარი უბნის მცხოვრებთა გარკვეულ ინტერესს. ასევე უბნის ფარგლებში ბოიკოტის გამოცხადების მიზეზი შესაძლოა გამხდარიყო უბნის, სამოხიოს წევრის მიერ სხვა წევრების მიმართ ვალდებულებების შეუსრულებლობა, მათთვის დახმარების გაუწევლობა. როგორც მეგრელ ინფორმატორთან გამოჩნდა, სამოხიოს წევრებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობდა (სავარაუდოდ, უფრო მჭიდრო, ვიდრე სოფლის სხვა მცხოვრებლებთან) და ისინი გარკვეული ურთიერთვალდებულებით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი. მათ შეუსრულებლობას, სრულიად შესაძლებელია მოჰყოლოდა უბნის, სამოხიოს ფარგლებში ბოიკოტის გამოცხადება.

გადაწყვეტილებას პიროვნებისათვის ბოიკოტის (უნდობლობის) გამოცხადების შესახებ იღებდა შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის (სოფლის, უბნის, თემის) მცხოვრებთა ყრილობა საზოგადოების თავკაცების ინიციატივით. ისინი კრებდნენ ხალხს და აცნობდნენ

---

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 15.

[2] გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 5. კიდევ ერთი გურული ინფორმატორი აღნიშნავს, რომ მოხდებოდა უბნის ხალხის ყრილობის მოწვევა, ხალხი იმსჯელებდა და ბოიკოტს გამოუცხადებდა დამნაშავეს (დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 27).

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 34.

საქმის ვითარებას.[1] საქმის განხილვას საზოგადოების ყრილობაზე ესწრებოდა დამნაშავეც.[2]

2.2.4. ბოიკოტქმნილის (უნდობლობა გამოცხადებულის) სტატუსი. საქართველოს აღნიშნულ კუთხეებშიც ბოიკოტქმნილი თუ უნდობლობა გამოცხადებული თავის სოფელში, საკუთარ სახლში რჩებოდა. მას საცხოვრისის დატოვებას არავინ აიძულებდა, თუმცა არავის ჰქონდა უფლება რაიმე სახის ურთიერთობა ჰქონოდა მასთან. ბოიკოტქმნილს (უნდობლობა გამოცხადებულს) არავინ დაელაპარაკებოდა, მის გვერდზეც არ გაივლიდა, სალამსაც არ მისცემდა, არ იმეზობლებდა, არ დაიმოყვრებდა, ფულს არ ასესხებდა, ჭირსა და ლხინში არ დაეხმარებოდა, მასთან არ მივიდოდა, ეზოში, სახლში არ შეიყვანდა, ჭირსა და ლხინში არ დაპატიჟებდა, ყველა ზიზღით უყურებდა. მას არც წისქვილში დააფქვევინებდნენ, არც თავშეყრის ადგილზე მიუშვებდნენ, ნადში არ დაუძახებდნენ. ხშირად იგი იძულებული იყო თვითონ აყრილიყო და დაეტოვებინა თავისი სოფელი.[3]

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 13-14; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 25; ო. ზოიძე, მასალები, აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 32; გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 19; ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 38; გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, №1, 23; შესაძლოა, გადაწყვეტილება პიროვნებისათვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ მიეღო საზოგადოების მიერ არჩეულ პირებს, რომლებსაც ზოგადად ჰქონდათ საზოგადოებისაგან მინიჭებული მართლმსაჯულების განხორციელების უფლება. მაგლითად, ერთ-ერთი მეგრელი ინფორმატორის განმარტებით, ბოიკოტის გამოცხადების საკითხს სამი პატიოსანი პიროვნება განიხილავდა, რომლებიც ხალხის მიერ იყვნენ არჩეული სასამართლო ფუნქციების განსახორციელებლად (მ. კეკელია მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 68).

[2] ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №2, 22.

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 15; გ. დავითაშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 15; მ. კედელაძე, ლეჩხუმის მასალა, პირადი არქივი, 1951, რეული №7, 5; მ. კედელაძე, რაჭის მასალა, პირადი არქივი, 1951, რეული №2, 3; მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, 1989, 45; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთ-

ზოგიერთი ინფორმატორის მითითებით, მას სალოცავში (ეკლესიაში, აჭარაში ჯამეში) შესვლის უფლებაც ჩამოერთმეოდა.[1] ერთ-ერთი აჭარელი ინფორმატორი აღნიშნავს, რომ გაძევებისაგან განსხვავებით, უნდობლობის გამოცხადება შედარებით მსუბუქი დანაშაულისათვის ხდებოდა. მისი ხატოვანი გამოთქმით: „უნდობლობა იმას ნიშნავდა, რომ კაცი კი იყო სოფელ'ში, მაგრამ გინდა ყოფილა, გინდა არა".[2]

როგორც ჩანს, ბოიკოტქმნილთან ურთიერთობის აკრძალვა ბავშვებზეც ვრცელდებოდა. მაგალითად, ერთ-ერთი მეგრელი ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას, რომ მის ბავშვობაში ერთმა მეზობელმა მეორეს რაღაც დაუშავა. მას ბოიკოტი გამოუცხადეს. ბავშვები კი თურმე სკოლაში შეკრიბეს და ბოიკოტქმნილთან დალაპარაკება აუკრძალეს.[3]

ამრიგად, ბოიკოტ თუ უნდობლობა გამოცხადებული სრულიად

ნოგრაფიული რვეული, 1989, 13-14.

მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 37; ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 38, 50.

ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 20-21.

გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 19; ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 35.

გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 5, 10; გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 6; ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 9; ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 14; მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 14-15.

[1] ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 32; ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 73. სავარაუდოდ, ამას არ ექნებოდა ადგილი, თუ პიროვნებას ბოიკოტს მხოლოდ მისი უბანი გამოუცხადებდა. სამწუხაროდ, დამატებითი მონაცემები ამ კონკრეტულ საკითხზე არ გაგვაჩნია.

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 25.

[3] ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 70.

გარიყული, იზოლირებული იყო სოფლელებისაგან (უბნელებისაგან, თანამოთემეთაგან), და ვინც მასთან რაიმე ურთიერთობის დამყარებას გაბედავდა, ისიც დაისჯებოდა. ცხადია, ეს ვალდებულება ვრცელდებოდა იმ საზოგადოებაზე, რომელმაც ბოიკოტის თუ უნდობლობის გამოცხადების გადაწყვეტილება მიიღო. მაგალითად, თუ სოფელი გამოუცხადებდა ბოიკოტს (უნდობლობას) პიროვნებას, მხოლოდ ამ სოფლის მცხოვრებთ ჰქონდათ ვალდებულება ურთიერთობა გაეწყვიტათ დასჯილთან, სხვა სოფლების მცხოვრებლებს მასთან ურთიერთობის შეზღუდვა არ ევალებოდათ.

მონაცემების მიხედვით, ბოიკოტგამოცხადებულთან ურთიერთობას მისი ახლობლებიც წყვეტდნენ. მშობლები, ძმები, ნათესავები ვალდებულნი იყვნენ არ დალაპარაკებოდნენ მას და ურთიერთობა გაეწყვიტათ მასთან.[1] თუ შვილს საკუთარი ოჯახი ჰყავდა, ისიც წყვეტდა ბოიკოტქმნილთან ურთიერთობას.[2] ინფორმატორთა მიხედვით, გამოდის, რომ ბოიკოტქმნილთან ურთიერთობის გაწყვეტა მშობლებს, ძმებს, შვილებს ევალებოდათ, თუ ისინი ცალკე ოჯახად ცხოვრობდნენ.[3] ამდენად, დამნაშავეებთან ერთ ოჯახში მცხოვრებ ნათესავებზე, როგორც ჩანს, ბოიკოტის ვალდებულება არ ვრცელდებოდა, რაც, ბუნებრივია, თუნდაც იმიტომ, რომ ამის კონტროლი რეალურად შეუძლებელი იყო.

2.2.5. ბოიკოტის (უნდობლობის) გამოცხადების ვადიანობა და ბოიკოტქმნილის (უნდობლობა გამოცხადებულის) შემორიგების წესი. ზოგიერთი მონაცემით ბოიკოტის გამოცხადება შესაძლოა მომხდარიყო უვადოდაც და გარკვეული ვადითაც (ბოიკოტის ვადის წინასწარი განსაზღვრით). უმრავლეს რეგიონში ბოიკოტის გამოცხადებისას მისი ხანგრძლივობის წინასწარი განსაზღვრა არ გვხვდება. მეგრელი ინფორმატორი პირდაპირ მიუთითებს, რომ ბოიკოტის ვადა არ იყო წინასწარ მითითებუ-

[1] ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №2, 21-22; ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 57.

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 48.

[3] ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №2, 21-22; ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 48.

ლი.[1] აჭარელი ინფორმატორიც აბსოლუტურად იმავეს მიუთითებს.[2] ამ შემთხვევაში ბოიკოტი შესაძლოა დიდი ხნითაც გაგრძელებულიყო და შედარებით მცირე ხნითაც. მაგალითად, მეგრელი ინფორმატორის მითითებით, ბოიკოტი დიდხანს გრძელდებოდა.[3] ამას ადასტურებს ერთერთი აჭარელი ინფორმატორი,[4] მეორე აჭარელი ინფორმატორი კი აღნიშნავს, რომ, რაკი ბოიკოტის გამოცხადება შედარებით მსუბუქ შემთხვევაში ხდებოდა, ვიდრე გაძევება, ამდენად, სასჯელის ამ სახის გამოყენება დროებითი იყო, თუმცა წინასწარ კონკრეტული ვადის მითითებას ადგილი არ ჰქონდა.[5]

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, საქართველოს ერთადერთი კუთხე, სადაც ფიქსირდება ბოიკოტის გამოცხადება ვადის წინასწარი მითითებით, არის გურია. ინფორმატორთა მიხედვით ბოიკოტი შეიძლება გამოცხადებულიყო ერთი თვით, ოთხი თვით, ექვსი თვით, ერთი წლით, ორი წლით, სამი წლით.[6] ინფორმატორები მიუთითებენ, რომ ბოიკოტის გამოცხადება დიდი ხნით არ ხდებოდა და ამ სასჯელის მაქსიმალურ ხანგრძლივობად სამ წელს ასახელებენ.[7]

ბოიკოტის (უნდობლობის) უვადოდ (კონკრეტული ვადის

---

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 14-15.

[2] ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989-1990, 35-36.

[3] ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 70.

[4] ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 13-14.

[5] ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 25.

[6] გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №2, 6, 7, 20; ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №1, 12; დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 49. ინფორმატორი იხსენებს კონკრეტულ შემთხვევას, როდესაც პირისთვის საკუთარი შვილობილისგან შვილის ყოლისთვის მიუსაჯეს ბოიკოტი 3 წლით (ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №2, 14).

[7] მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 14-15, 23; ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №1, 12.

მითითების გარეშე) გამოცხადების შემთხვევაშიც, დროთა განმავლობაში, როგორც წესი, ხდებოდა ხოლმე პიროვნების შემორიგება.[1] თუ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ბოიკოტი, დამოკიდებული იყო დანაშაულის სიმძიმესა და ასევე ბოიკოტქმნილის ქცევაზე. არაერთი ინფორმატორის განმარტებით, როდესაც ბოიკოტი გამოცხადებული იყო უვადოდ (კონკრეტული ვადის მითითების გარეშე), მისი შემორიგების ყველაზე გავრცელებული საფუძველი იყო ბოიკოტქმნილის გამოსწორება, კარგი ქცევით თავის გამოჩენა, თავისი საქციელის მონანიება.[2]

შემორიგებისათვის, ბუნებრივია, აუცილებელი იყო იმ საზოგადოების თანხმობა, რომელმაც ბოიკოტის გამოცხადების გადაწყვეტილება მიიღო. როდესაც ბოიკოტქმნილი გამოსწორდებოდა, ბოდიშს მოიხდიდა, მოინანიებდა თავის საქციელს, შუამავლების მეშვეობით (რომლებიც უპირატესად მისი ნათესავები იქნებოდნენ) მიმართავდა შემორიგების თხოვნით სოფლის (უბნის) თავკაცებს. თუ ისინი თანახმანი იქნებოდნენ შემორიგებაზე, მაშინ ადგილი ექნებოდა საზოგადოების (სოფლის, უბნის, თემის) ყრილობის მოწვევას და მისი გადაწყვეტილებით მოხდებოდა ბოიკოტქმნილის შემორიგება.[3] გურული ინფორმატორიც მიუთითებს, რომ ვადიანი ბოიკოტის შემთხვევაშიც, ბოიკოტის ვადის გასვლის შემდეგ, საზოგადოება მაინც იმსჯელებდა ბოიკოტის მოხსნაზე.[4] სხვა გურული ინფორმატორი იხსენებს კონკრეტულ ფაქტს ბოიკოტქმნილის შემორიგებისა ბოიკოტის გამოცხადებიდან ერთი წლის შემდეგ. მისი თქმით, იგი თურმე ეხვეწა ხალხს, მეტს აღარ ჩავიდენ, ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია, ან მომკალით, ან მაპატიეთო და ამის შემდეგ

---

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 15.

[2] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 37; ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 14-15, 35, 38.

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 38; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989-1990, 35-36; გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №1, 5.

[4] მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 23.

შემოურიგებია იგი სოფელს.[1]

ერთ-ერთი გურული ინფორმატორის მიხედვით, „ბოიკოტქმნილს" ვადის გასვლის შემდეგ ეკლესიაში ფიცი უნდა დაედო, რომ აღარ ჩაიდენდა დანაშაულს და ასე შეურიგდებოდა სოფელს.[2] როგორც ჩანს, ბოიკოტქმნილის შემორიგებისას, მიუხედავად იმისა, ბოიკოტი ვადიანი იყო თუ უვადო, გარკვეული ცერემონიალი მაინც ტარდებოდა და ვადიანი ბოიკოტის შემთხვევაშიც, ბოიკოტის ვადის გასვლის შემდეგ, დამნაშავე ბოდიშს მოუხდიდა ხალხს, მოინანიებდა დანაშაულს და დადებდა პირობას, რომ მისი მხრიდან დანაშაულის ჩადენას ადგილი აღარ ექნებოდა და ამის დასადასტურებლად შესაძლოა ფიციც დაედო.

2.3. მოკვეთის, ბოიკოტის (უნდობლობის) გამოცხადების ძირითადი განმასხვავებელი ასპექტები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში. მოკვეთა ან მისი მსგავსი ინსტიტუტი მრავალი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში გვხვდება. ამ მხრივ საქართველო არ არის გამონაკლისი. აღსანიშნავია, რომ ეს ინსტიტუტი პირვანდელი არსითა და მნიშვნელობით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჩაწერილ ეთნოგრაფიულ მასალებში ფიქსირდება. აქ, საქართველოს სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, მოკვეთა რელიგიური აქტიცაა. იგი დაკავშირებულია ჯვარ-ხატში ხევისბერის, ხუცესის (ანუ სასულიერო პირთა) მიერ დარისხების რიტუალის ჩატარებასთან, სათანადო რელიგიური ფორმულის წარმოთქმით, სამრისხველო საკლავის დაკვლასთან და გარკვეულ შემთხვევებში სამრისხველო სამანის ჩასმასთან თუ ჭდის ამოგდებასთან (ორივე რიტუალის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა დარისხება). ყოველივე ამის შედეგად პიროვნების მოკვეთა არა მარტო თემიდან თუ სოფლიდან ხდებოდა, არამედ ჯვარ-ხატიდანაც. საქართველოს სხვა რეგიონებში მოკვეთის ინსტიტუტს რელიგიური მომენტები თან არ ახლდა. აქ საზოგადოება საერთო კრებაზე იღებდა შესაბამის გადაწყვეტილებას. ამდენად, უნდობლობის თუ ბოიკოტის გამოცხადება მოკვეთის მარტივ ფორმად უნდა მივიჩნიოთ. სოფლის თუ თემის დამოკიდებულება პიროვნებისადმი, რომელსაც ბოიკოტი თუ უნდობ-

[1] გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 23.

[2] ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 12.

ლობა ჰქონდა გამოცხადებული, დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც მოკვეთილის მიმართ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. აღნიშნული სასჯელის გამოყენებაც დაახლოებით ერთნაირი დანაშაულებისათვის ხდებოდა. თუმცა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მოკვეთის რელიგიური მხარე, აქ მცხოვრებისათვის უფრო სამძიმოს ხდიდა ამ სასჯელს, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებში, ჯვარ-ხატებისადმი აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა დამოკიდებულებისა და მათ ცხოვრებაში ჯვარ-ხატების როლიდან გამომდინარე. ამრიგად, უძველესი დროიდან მომდინარე რელიგიურ-სარწმუნოებრივი შეხედულებანი მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მოკვეთის ინსტიტუტის შინაარსსა და მნიშვნელობას. ეს ფაქტორი კი თემურ-გვაროვნული ელემენტების შემონახულობასთან ერთად საქართველოს ამ რეგიონში განსახილველ ინსტიტუტს უფრო ძველი სახით წარმოაჩენს, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებში.

2.4. „სამძახის დაკვეთა.“ ხევსურეთში ვხვდებით მოკვეთის ნაირსახეობას, რომელსაც აქ „სამძახის დაკვეთას“ უწოდებენ. მისი გამოყენება სცოდნიათ უკიდურეს შემთხვევაში. ალ. ოჩიაური ასე გადმოგვცემს ამ ინსტიტუტის შინაარსს: „სამძახის დაკვეთა იყო ყველაზე მძიმე საქმე და ხდებოდა ძალიან მძიმე დანაშაულზე, სამარცხვინო საქმეზე. შეიძლება ლაშქარში შეშინებულიყო, ხალხისთვის ეღალატა და გამოქცეულიყო, შეიძლება ქალ-რძალში რამე უკუთვნილო საქმე დასთქმოდა, ერთი სიტყვით, ხევსურეთის წესების მიხედვით თუ გადაჭარბებულ საქვეყნო სამარცხვინო საქმეს ვინმე ჩაიდენდა, მაშინ ხევსურნი შეიყრებოდნენ და უკვეთდენ სამძახს, საკლავს დაკლავდნენ და დაარისხებდნენ, ვინც ამათ ქალს მისცემდა ამის შემდეგ და ან მის გულისთვის შუაკაცობას ვინმე გაბედავდა. სამძახის დაკვეთილი შეიძლება ყოფილიყო ერთი კომლი და შეიძლება ერთი მამა. ყველაზე დიდი სასჯელი იყო და სასირცხვილო იყო სამძახის კვეთა, მათ აღარც ვინმე ქალს მისცემდა, აღარც ვინმე იმათ ქალს წაიყვანდა ცოლად, მერე ყოველთვის საყვედურად ედებოდა სამძახდაკვეთილობა. ამ ერთ თაობას მაინც ექნებოდა ასეთი ამბავი და მერე შეიძლება კაც-შუაკაცის ძალით და ჯვარში საკლავის შეხვეწნით აეხსნა ისევ სამძახი. ერთ-ერთ ბრძოლაში ლექსში არის ნათქვამი: .... (თუ ახლა ვერ გავიმარჯვეთ) „დაგვეკვეთების სამძახი, არ მოგვეცემის ქალიო“. სწორედ ასეთის შიშით ომში, ბრძოლაში

უკან ვერავინ იხევდა, რომ სამარცხვინო, სასაცილო არ დამრჩალიყო და მაძახი არ დაკვეთოდა.“[1] აღნიშნულ სასჯელს მ. კედელაძეც ახსენებს: „სახევსურო საქმის გაფუჭებისათვის სამზახს დაუკვეთდნენ, ე. ი. ქალს არ აძლევდნენ.“[2]

ამ მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ „სამძახის დაკვეთა“ გამოიყენებოდა ყველაზე უფრო მძიმე შემთხვევებში: ხალხის ღალატი, ლაშქარში შეშინება, ბრძოლიდან გამოქცევა, ნათესავთან სქესობრივი კავშირი და სხვა ზღვარგადასული უზნეო საქციელი. ეს ფაქტობრივად იმავე დანაშაულებია, რისთვისაც მოკვეთა გამოიყენებოდა, თუმცა, როგორც ჩანს, როდესაც ასეთი კატეგორიის დანაშაულს უკიდურესად, საქვეყნოდ სამარცხვინო ხასიათი თუ ფორმა ექნებოდა, მაშინ მის მიმართ ხალხი „სამძახის დაკვეთას“ გადაწყვეტდა. „სამძახის დაკვეთის“ ცერემონიალი ასევე ჰგავს მოკვეთისას. აქაც ადგილი ჰქონდა საკლავის დაკვლასა და დამნაშავის დარისხებას. „სამძახის დაკვეთა“ მძიმე და სამარცხვინო სასჯელად ითვლებოდა და „სამძახდაკვეთილობა“ ყოველთვის სასაყვედურო იყო პიროვნებისათვის. „სამძახის დაკვეთის“ რეჟიმი განსხვავებით მოკვეთისაგან, შესაძლოა გავრცელებულიყო არა მარტო დამნაშავესა და მის ოჯახზე, არამედ მის მამიშვილობაზეც კი.

„სამძახის დაკვეთა“ მოკვეთის ნაირსახეობად იმიტომ ჩავთვალეთ, რომ „სამძახდაკვეთილის“ მიმართ საზოგადოება გარკვეული ხასიათის ურთიერთობას წყვეტდა. ალ. ოჩიაურისა და მ. კედელაძის მიხედვით, როგორც დავინახეთ, „სამძახის დაკვეთა“ გულისხმობდა იმას, რომ „სამძახდაკვეთილს“ („სამძახდაკვეთილ“ ოჯახს თუ ოჯახებს) ქალს არავინ მიათხოვებდა და არც მის ქალს შეირთავდა ცოლად. ეს აკრძალვა მათთვის იყო სავალდებულო, ვინც „სამძახის დაკვეთის“ გადაწყვეტილების მიღებაში მიიღებდა მონაწილეობას.

ალ. ოჩიაურთან კარგად ჩანს, რომ „სამძახის დაკვეთას,“ როგორც სასჯელს, დიდი პრევენტიული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც „სამძახდაკვეთილობა“ უაღრესად სამარცხვინო იყო და ამ მდგომარეობაში ყოფნას ყველა ერიდებოდა, ამიტომ, მაგალითად, ბრძოლის ველიდან გაქცევას „სამძახის დაკვეთის“ შიშით ვერავინ ბედავდა.

შესაძლებელია მომხდარიყო „სამძახის ახსნაც“ („სამძახის

[1] ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, 1949-1950, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 2, თბ., 1991, 179-180.

[2] მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, 1951, პირადი არქივი, რვეული №18, 2.

დაკვეთა," როგორც ალ. ოჩიაურთან გამოჩნდა, ერთი თაობის განმავლობაში მაინც გრძელდებოდა). მოკვეთილის შერიგების მსგავსად აქაც საჭირო იყო საზოგადოებისადმი შუაკაცების მეშვეობით მიმართვა, შემორიგებისა და „სამძახის ახსნის" თხოვნით. „სამძახის ახსნის" ცერემონიალიც ჯვარში ტარდებოდა და თან შერიგების სახვეწრად საკლავის დაკვლა ახლდა თან.

2.5. ნათესაობიდან მოკვეთა. ამ საკითხის შესახებ ყველაზე სრულყოფილი მონაცემები ხევსურეთთან დაკავშირებით მოგვეპოვება. აქ კარგად ჩანს ნათესაობიდან მოკვეთის სხვადასხვა სახე. ნათესაობიდან მოკვეთა შესაძლოა მომხდარიყო ერთი პირისა ოჯახიდან, საძმოდან, გვარიდან, ასევე, ხდებოდა მოკვეთა მთელი ნათესაური ერთეულისა — გვარის გაყრა, ან ძმობის გაყრა — კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე.

ნათესაობიდან მოკვეთა ხდებოდა მაშინ, როდესაც პიროვნება ნათესავს შეირთავდა ცოლად, ანუ ადგილი ექნებოდა გვარის გატეხვას, ან სხვა რაიმე უხვედრობას, უხნეო საქციელს, ან ცოლს მოიყვანდა, ან გათხოვდებოდა მშობლების ნების საწინააღმდეგოდ. არ იყო გამორიცხული ნათესაობიდან მოკვეთა შურისძიების გამომწვევი დანაშაულის (მაგალითად, მკვლელობის) ჩამდენი მოგვარისა, მოკლულის ნათესაობის მხრიდან დევნის თავიდან აცილების მიზნით.

საინტერესოა, რომ ნათესაობიდან მოკვეთის შესახებ ცნობები XX საუკუნის II ნახევრის მასალებშიც გვხვდება. ამ მასალებითაც ნათესაობიდან მოკვეთას ადგილი ჰქონდა, როდესაც პიროვნება საკუთარი გვარის ქალს მოიყვანდა ცოლად,[1] დაამყარებდა უკანონო სქესობრივ კავშირს, გვარს შეარცხვენდა.[2]

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, ნათესაობიდან მოკვეთა, ზოგადად რომ ვთქვათ, ხდებოდა ისეთი ქმედებისათვის, რომელიც არცხვენდა გვარს თუ საძმოს, ხელყოფდა მის ინტერესებს, ასევე, რომელსაც შეიძლება სხვა გვარის მხრიდან შურისძიება გამოეწვია.

ფიქსირდება ცალკეული კონკრეტული შემთხვევები, როდესაც ნათესაობიდან მოკვეთა მომხდარა არა ტიპურ შემთხვევაში.

[1] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 25.

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 79.

მაგალითად, ერთ-ერთმა პიროვნებამ უარი უთხრა თავის ახლო ბიძაშვილს, რომელსაც დეკეულის მოპარვას აბრალებდნენ „ხელს მაჰკიდებოდა“[1]. სწორედ ამის გამო ეჭვმიტანილმა ბიძაშვილმა ჯვარში სამანი ჩასვა და „ხელს მაკიდებაზე“ უარისმთქმელი ნათესავი მოიკვეთა, რის შემდეგაც მათ შორის ყოველგვარი ურთიერთობა შეწყდა, რაც ორივეს შთამომავლობაზე გავრცელდა. ამ შემთხვევაში პიროვნება მოიკვეთა არა გვარმა, საძმომ, არამედ ერთმა კონკრეტულმა ნათესავმა.[2] ასეთი რამ გამონაკლისი იყო და სხვა შემთხვევა იმავე მიზნით ნათესავის მოკვეთისა არ ფიქსირდება. თვითონ ინფორმატორი (რომელიც მოიკვეთეს) მიუთითებს, რომ ასეთი სახით მოკვეთა საერთო წესით არ ყოფილა მიღებული.[3] ამ შემთხვევაში პიროვნება მოიკვეთეს ისეთი ქმედებისათვის, რომელიც არ იყო საძრახისი და მისი გვარის თუ საძმოს შემარცხვენელი, თუ ინტერესების ხელმყოფი და არც სხვა გვარის მხრიდან შურისძიების გამომწვევი, არამედ მხოლოდ ერთი პიროვნების – ქურდობაში ეჭვმიტანილი ბიძაშვილის ინტერესის. როგორც წესი, ნათესაობიდან მოკვეთა ერთი პიროვნების გადასაწყვეტი არ იყო და ნათესაური ჯგუფის პრეროგატივას წარმოადგენდა.

2.5.1 ნათესაობიდან მოკვეთის სახეები. ნათესაობიდან მოკვეთა შეიძლება მომხდარიყო მაძახურობით, ძაღლის მოკვლით, საწყევარის აგებით, ჯვარში სამანის ჩაგდებით.

ა) მოკვეთა მაძახურობით. ალ. ოჩიაურის განმარტებით, „მოკვეთა მაძახურობით“ ხდებოდა მაშინ, როდესაც ქალი ისეთ ქმარს გაჰყვებოდა, რომელიც არ ეკუთვნოდა მას, ან ეკუთვნოდა, მაგრამ მშობლები და მისიანები იყვნენ წინააღმდეგი, ხოლო მამა ძაღლს არ მოკლავდა მოკვეთის მიზნით, რადგანაც საკითხი უკიდურესად მწვავედ არ იდ-

---

[1] „ხელს მაკიდება“ ხევსურეთში გულისხმობდა თანამოფიცრობას. „ხელს მამკიდე“ თანამოფიცარს ნიშნავდა, რომელსაც დაზარალებული მხარე უსახელებდა ეჭვმიტანილს. მას კი დასახელებული თანამოფიცარი (იგი, როგორც წესი, მისი ახლო ბიძაშვილი, მამიშვილობის წევრი უნდა ყოფილიყო) უნდა დაეთანხმებინა მასთან ერთად დაფიცებაზე.

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 15; მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, პირადი არქივი, 1951, რვეული №5, 3-4.

[3] მ. კედელაძე, იქვე.

გა.[1] აღნიშნული მოკვეთა შემდეგნაირად ხდებოდა: მოსაკვეთის მამა ან ბიძა გამოვა სახლის ბანზე და მაძახურობას იზამს, ე. ი. ხმამაღლა დაიძახებს: „ჩემმა ქალმა, ან შვილმა (ქალს ხევსურები შვილს არ ეძახიან) ესა და ეს საქმე ჩაიდივნა (დაასახელებს ჩადენილ საქმეს), მე ეს არ მინდოდა, ან არ ეკუთვნოდა, ამით ვიშორებ მე ჩემს შვილს (ან ძმიშვილს, ძმას და სხვა), ის ნულარ იტყვის, რო თავისა ვინამ მყავაც ან სიკვდილის დღეს, ან სიცოცხლისას, ის ჩემ აღარაი, მე იმისა, იმას ჯალაფნ აღარ ხყონ, მე ის აღარ მყავ. არც ჭირს ვიკითხავ მაგისას, არც ლხინს, არც სიკვდილს, არც სიცოცხლეს, არ მაუშობა-დ არც მიოლ მაგასთან არც ჭირში, არც ლხინში. მაგდიოდასთ ჯვართანც, კაცთაც, ცასაცა-დ დედამიწასაც დღესიდგე მოკვეთილი, მოშორებული, ავადაც მამაშორდასა-დ კარგადაც. მე მაგისას არას ვიკითხავ, ეგ ჩემ ნურას იკითხავს.“[2] ამ სიტყვების შემდეგ, ვისზედაც ლაპარაკი იყო, ის ითვლებოდა მოკვეთილად, თუმცა შუამავლის მეშვეობით შერიგება იყო შესაძლებელი.[3] ნ. ბალიაური ასე აღწერს მაძახურობით მოკვეთას: „..... როდესაც ვაჟის ოჯახში გაიგებენ, რომ ჩვენ შვილს ის ქალი ცოლად შეურთავსო, მამა ან ძმა (უფრო ხშირად ძმას არ უხდება ამ შემთხვევაში ძმის მოკვეთა, რადგანაც აქ მტერი იჩენს თავს და იტყვის — შიშით მოიკვეთაო. ისე კი ხდება ხოლმე ძმებისაგან ძმის მოკვეთა, ოღონდ ხშირად არა.) გამოვა ბანზე და დაიძახებს: „გამიგონეთ სოფელმაც, მეთემემაც, პირიქითელ გამამწყვდეულ სტუმარმაც; ჩემ შვილს წაუყვანავის ისეთ ქალ ცოლად, რომენიც არ ეკუთვნოდ. არ იყვ საკუთნო. ერთ, რომ სოფლელები ორთ, თავის დასავით უნდა სწამდას სოფლელთ ქალი, მეორეია — ერთუცს სწორფრებად დაზდმაზდევდეს. მამიშორებავ შვილობით! დღესის გარდა იმის მამობას აღარ ვიტყვი, შვილ შვილად არ მინდ, იმის წაყვანილ ქალ-ზლად!“[4]

„მაძახურობით მოკვეთისას,“ როგორც ჩანს, მთელი ოჯახი, ბიძაშვილობა მოიკვეთს მის შემარცხვენელ ოჯახის წევრს და წყვეტს მასთან ყოველგვარ ურთიერთობას. ოჯახიდან მოკვეთილი ფაქტობრივად ისეთივე მდგომარეობაშია, როგორც თემიდან, სოფ-

[1] ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, 1949-1950, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 2, თბ., 1991, 178.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 36.

ლიდან მოკვეთილი, ოღონდ ოჯახის მიმართ, ოჯახთან დამოკიდებულებაში.

ბ) **მოკვეთა ძაღლის მოკვლით.** იგი უფრო მძიმე შემთხვევაში ხდებოდა, ვიდრე „მაძახურობით მოკვეთა“. ძაღლის მოკვლით შესაძლოა მოეკვეთათ კონკრეტული პიროვნებაც და ასევე შესაძლოა მომხდარიყო გვარის ან ძმობის გაყრაც. ალ. ოჩიაური აღნიშნავს, რომ „ძაღლის მოკვლით მოიკვეთენ მაშინ, თუ ხევსურმა ან ნათესავი შეირთოს ცოლად, ან თუ აღარ ემორჩილება თავის გვარს და სჩადის რაიმე უწესობას. შეიძლება გვარში არის უთანხმოება, მაშინაც იკვეთენ ერთმანეთს, ერთი სიტყვით, უწესობის ჩამდენს მოიკვეთენ ძაღლის მოკვლით. ერთ-ერთი ვინმე ძაღლს მოკლავს ტყვიით და იძახებს: „მომიკვეთავ ამ ძაღლის სისხლით (მოკვეთილის სახელი), ეგ ჩემთვის აღარაი არ დღესის შემდეგ მე მაგის აღარაი-ორ. მახკლავს ვინა თავს თავს არ დავზდებ, მოკლავს ვისადა თავს არ დავიდებ.“ ამის შემდეგ რჩება მოკვეთილი, ამას ქვიან „ძაღლმოკლული“, რამდენიმე წლის შემდეგ შუაკაცების ძალით აქაც ხდება შერიგება. ეს შერიგებაც უნდა მოხდეს ერთ-ერთ დღეობაში და ჯვარში. ასეთი მძიმე შერიგება ყოველთვის ჯვარში ხდება, რადგან ჯვარის ხათრით ყველა სთმობს და ამოირეცხს გულს დამნაშავეზე.“[5] ასევე, ალ. ოჩიაურის მიხედვით, მოკვეთილს საკლავი უნდა დაეკლა „ძმობის შასაყრელი“.[6]

ძაღლის მოკვლით მოკვეთის აღწერას ვხდებით მ. ბალიაურთან. ის საუბრობს იმაზე, თუ როდის ხდება გვარისა და ძმობის გაყრა. „ხევსურეთში თუ გვარის შიგნით მოხდებოდა დარღვევა, გვარი შეიყრებოდა და გამოიანგარიშებდა, თუ რამდენად ახლოს იდგა შთამომავლობით ერთმანეთთან ქალ-ვაჟის ოჯახები. თუ ძალიან ახლოს არ იყვნენ, მაშინ გვარი გაიყრებოდა, ხოლო თუ ახლოს იყვნენ, დამნაშავეს ძაღლს მოუკლავდნენ და საქვეყნოდ იტყოდნენ: „ჩვენ ერთურთისებ აღარ ორთ, ყველამ გაიგას, გაიგონას, რომ ჩვენ მამაძმობა გაყრილი ას“. ამის შემდეგ წავიდოდნენ სასაფლაოზე, ვაჟის ახლობელი მიცვალებულის საფლავს ამოთხრიდნენ, წვივის ძვალს ამოიღებდნენ და ორად გატეხავდნენ, ერთ ნატეხს ერთ მხარეს გად-

[5] ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, 1949-1950, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 2, თბ., 1991, 176.

[6] ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილი-მიღმახევი), თბ., 2005, 186.

ააგდებდნენ, ხოლო მეორე ნატეხს მეორე მხარეს და დაიძახებდნენ: „დღეის ამას იქით ჩვენ გაყრილნი ორთ, გვარითადაც, ძვალითადაც.“ მერე სალოცავ ჯვარში ქვის სამანს ჩადგამდნენ და გაიყრებოდა გვარი ძმობით.“[1]

როგორც ვხედავთ, მოკვეთას ძაღლის მოკვლით შეიძლება თან ახლდეს ჯვარში სამანის ჩასმაც. ჯვარში სამანის ჩასმა აუცილებელი კომპონენტი იყო მაშინ, როდესაც ხდებოდა გვარის თუ ძმობის (მამიშვილობის) გაყრა ჯვარში. მ. ბალიაურის მიხედვით გამოჩნდა, რომ გვარის ან ძმობის გაყრა შესაძლოა რამდენიმე ეტაპიანი ყოფილიყო: 1. გვარის თუ ძმობის გაყრის ნიშნად ძაღლის მოკლა; 2. სასაფლაოზე დამნაშავე ვაჟის ახლობელის მიერ მიცვალებულის საფლავის ამოთხრა, წვივის ძვლის ამოღება და ორად გატეხვა; 3. ჯვარში ქვის სამანის ჩადგმა და საბოლოოდ გაყრა.

გ) მოკვეთა საწყევარის აგებით. მოკვეთის ეს სახე გვხვდება ასევე ალ. ოჩიაურთან. მისი თქმით, ასეთი სახით მოკვეთა ძაღლით მოკვეთას უდრიდა.[2] შესაბამისი რიტუალი შემდეგნაირად ტარდებოდა: მომკვეთი ქვებით ააგებდა პატარა კოშკს და იტყოდა: „მამიკვეთავ, მამიშორებავ ესა-დ ეს გვარივ, ან კაცივ. ამ ციხიაზედ რამთვენიც ქვა დაედევივ, ამთვენ ძაღლი-დ ციც იყოსავ ჩემის მკვდრისადაცაო-დ, იმისადაცავ, ვინაცავ ჩვენდ ძმობა-ი თქვასავ.“[3] როგორც ვხედავთ, საწყევარის აგებით ნათესაობიდან მოკვეთას თან ახლდა წყევლა. ამიტომაა, რომ შესაბამისი ცერემონიალისთვის აგებული კოშკი „საწყევრად“ მოიხსენიება. წყევლის არსი კი იმაში გამოიხატებოდა, რომ თუ მომკვეთი მის მიერ მოკვეთილ ნათესავთან თუ ნათესაურ ჯგუფთან გააგრძელებდა ძმობას, მაშინ მისი მიცვალებულებისადმი შეწირული იქნებოდა იმდენი ძაღლი და კატა, რამდენი ქვაც გამოიყენა მან საწყევარი კოშკის აგებისას. იმავე ელოდა მას, ვინც მათ ძმობას ალიარებდა. ცნობილია, რომ ხევსურეთში ძაღლი და კატა უწმინდურ ცხოველებად ითვლებოდა. მათი შეწირ-

---

[1] ეს მონაცემები მოტანილია მ. ბალიაურის ნაშრომიდან: „ქორწინების წესები ხევსურეთში (არხოტის თემის ძველად)“ — ხელნაწერი ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში. მოგვყავს ნაშრომიდან: ლ. მელიქიშვილი, ხევსურული საქორწინო წეს-ჩვეულებების სტრუქტურა, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები“, 1987, 75.

[2] ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილი-მიღმახევი), თბ., 2005, 186.

[3] იქვე.

ვა მიცვალებულებისადმი მათ წაბილწვას ნიშნავდა. მიცვალებულთა სულები მათ წამბილწავს, ხალხის რწმენით, დიდ უბედურებას მოუვლენდნენ, ამიტომ, თუ მომკვეთი ძმობას გააგრძელებდა მოკვეთილთან (მოკვეთილებთან), ან ვინმე სხვა ამ ძმობას აღიარებდა, მისი მიცვალებულები მათ უცილობლად დასჯიდნენ.

ალ. ოჩიაურის განმარტებით, საწყევარის აგებით მოკვეთილის შემორიგება ასევე შესაძლებელი იყო. ამისათვის საჭირო იყო საკლავის დაკვლა „ძაღლ-ციცების დასაბრუნებლად". ხალხის რწმენით, მიცვალებულებისადმი შეწირული ძაღლებისა და კატების დახსნა მიცვალებულთაგან საკლავის დაკვლის გარეშე ვერ მოხდებოდა.[1]

დ) მოკვეთა სამანის ჩასმით. სამანის ჩასმით მოკვეთას ადგილი ჰქონდა როგორც ტერიტორიული ერთეულიდან, ისე ნათესაობიდან სხვადასხვა დანაშაულის შემთხვევაში, მათ შორის ნათესავის მოკვეთა გვარის გატეხვისათვის,[2] თუ სისხლის აღებისაგან თავის არიდების მიზნით. ალ. ოჩიაურის მასალებში ვკითხულობთ: „მოკვეთა ხდება კიდევ ჯვარში სამანის ჩაგდებით. მაგალითად, თუ სისხლი ვისმე ჩამოუვარდა და მკვლელს თავისიანები, სახლის-კაცები დაზარალებულს უთვლიან: „ჩვენ მაგას არ უდგევართ ძმად, თუნდა დღესვე მოკალით." მაშინ ისინი საპასუხოდ შეუთვლიან: „თუ არ უდგეხართ, ჯვარში სამანი ჩააგდით, ძმობა გაყარეთ და მემრე თავისუფლები დარჩებით, ჩვენ თქვნთან საქმე არ გვექნებაო". ისიც შეასრულებს ამ დავალებას და სისხლი მოშორდება...."[3]

ალ. ოჩიაურის მიხედვით, „სამანის ჩადება მტკიცე საქმეა და ამისი დახსნა (ძაღლის მოკვეთისაგან განსხვავებით) აღარ შეიძლება. სამანს ველარავინ ამოიღებს, რადგან მისი ამოგდება მთელი ნათესაობის ამოწყვეტას ნიშნავს."[4]

მოკვეთა სამანის ჩასმით ნათესავის (ნათესავთა) მოკვეთის ყველაზე მძიმე ფორმას წარმოადგენდა და აქტიურად მაშინ გამოიყენებოდა, როდესაც გვარის თუ ძმობის გაყრა საბოლოოდ ხდებოდა.

2.5.2. მკვლელობის ან შურისძიების გამომწვევი სხვა დანაშაულის ჩამდენის ნათესაობიდან მოკვეთის სამართლებრივი შედეგები. ნათესაუ-

---

[1] ალ. ოჩიაური, იქვე.

[2] მ. კედლაძე, ხევსურული მასალები, პირადი არქივი, 1951, რვეული №18, 1-2.

[3] ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, 1949-1950, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 2, თბ., 1991, 176.

[4] ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, 100.

რი ჯგუფის მოკვეთის წესები და სამართლებრივი შედეგები. როგორც აღვნიშნეთ, ხევსურეთში შესაძლოა ნათესაურ ჯგუფს მოეკვეთა არა მხოლოდ ერთი პიროვნება თავისი რიგებიდან, არამედ მთელი ნათესაური ჯგუფი, რის შედეგადაც მოხდებოდა გვარის ან საძმოს გაყრა. ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით, ძმობის (გვარის) გაყრა მოკვეთას ნიშნავდა.[1]

აღსანიშნავია, რომ საერთოდ ნათესაობის, კერძოდ კი, ძმობის გაყრა ხევსურეთში ძალზედ სამძიმო საქმე იყო. საზოგადოებაში, სადაც მრავალი ურთიერთობა ურთიერთდახმარების პრინციპს ეფუძნებოდა, სადაც ჯერ კიდევ მძლავრად იყო შემორჩენილი სისხლ-მესისხლეობა და დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ დროს ნათესავის, ახლო ბიძაშვილის გვერდში დგომას, ნათესაური ურთიერთობების გაწყვეტა, სისხლ-მესისხლეობისას ურთიერთდახმარებაზე უარის თქმა, ეს მართლაცდა ძნელად გადასადგმელი ნაბიჯი იყო და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ხდებოდა. განსაკუთრებულ სირცხვილად ითვლებოდა მკვლელი (ან შურისძიების გამომწვევი სხვა დანაშაულის ჩამდენი) ნათესავის მოკვეთა, მასთან ძმობის გაყრა. ცნობილია, რომ სისხლ-მესისხლეობისას შურისძიების ობიექტად ხევსურეთში ითვლებოდა მკვლელის უახლოესი ნათესაობა მისი მამიშვილობის (საძმოს) წევრთა ჩათვლით. მათ შეეძლოთ, ჯვარში სამანის ჩასმით გაეყარათ მკვლელთან ძმობა და ამით გათავისუფლებულიყვნენ დაზარალებული მხარის მხრიდან დევნისაგან და ყველა საწესოების, მათ შორის მოკლულის ნათესავებისადმი ე. წ. პატივის გადახდისაგან. ხშირად დაზარალებული მხარე, რომელსაც სისხლის აღების მიზანი ჰქონდა, მიმართავდა მკვლელის საგვარეულოს სხვადასხვა ქვეგვარის (მამიშვილობის) წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია მკვლელის მიმართ: გვერდში უდგანან მას, თუ არა და თუ უნდათ გათავისუფლდნენ დევნისა და საწესოების გადახდისაგან, უნდა მოიკვეთონ მკვლელი.[2] მაგრამ ხევსურულ საზოგადოებაში, რომლის ცნობიერება გვაროვნული სოლიდარიზმის იდეით იყო გამსჭვალული, მკვლელი ნათესავის მარტოდმარტო დატოვება მტრის პირისპირ, ყველაზე უფრო კრიტიკულ მომენტში მისთვის ზურგის შექცევა, ამ

[1] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 76.

[2] ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილი-მიღმახევი), თბ., 2005, 185.

საზოგადოების პრინციპების ღალატს წარმოადგენდა. მაშ რაღაა იმ ძმობის ფასი, როცა ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში ყრი ძმობას და უარყოფ მას. ამიტომ, როგორც ალ. ოჩიაური მიუთითებს, მკვლელის ძმობიდან მოკვეთა სირცხვილად ითვლებოდა და იშვიათად ხდებოდა.[1] ანალოგიურ ცნობას ვხდებით მ. კედელაძის მასალებშიც.[2]

მკვლელ ნათესავთან ძმობის გაყრა რომ ათავისუფლებდა პიროვნებას ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, მათ შორის, მკვლელის ნათესავებისადმი მორიდების, პატივისცემის ვალდებულებისაგან, ჩანს ალ. ოჩიაურის მიერ მოყვანილ კონკრეტულ შემთხვევებში.[3]

---

[1] ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, 1949-1950, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 2, თბ., 1991, 176.

[2] მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, პირადი არქივი, 1951, რვეული №5, 5-6.

[3] ერთი შემთხვევის შინაარსი ასეთია: „.... ბაბუას შემოაკვდა ჭოლიკაური ჯღუნა. ამისი შვილ-ძმისწულები და ბიძაშვილები სასტიკად მოეკიდნენ ბაბუას ახლო ბიძაშვილებს, ის თვითონ კი დაიმალა. ბაბუას ახლობელი იყო ახვათ იმედა. იმედამ თქვა: „მე ამ მამკლავს ვერ ავიტან და თავს ვერ დავანებებ. ბაბუას რაც უნდა ის უყვან ჭოლიკაურთაო." ჭოლიკაურთ შეუთვალეს იმედას: თუ თავის დადება არ უნდა, მოიკვეთოს, ძმობა გაყაროს ბაბუასთან და თავისუფალი დარჩება, როგორც სხვა კაცნიო. თუ არა და სადაც შევხვდებით, ჩვენთვის სულ ერთია ბაბუა შეგვხვდება თუ იმედა, რომელსაც ვნახავთ, იმას მოვკლავთო. ძმობის გაყრა ადვილი არ იყო, მაგრამ იმედა მოუთმენარი კაცი იყო და მოსისხლეობის წესების შესრულება, ხათრი და სხვა გაუძნელდებოდა, ამიტომ ძმობის გაყრა არჩია, ჩადგა სამანი ბაბუას მოშორებისა და გათავისუფლდა მოსისხლეობისაგან. ჭოლიკაურთ მაინც გული ვერ ამოირეცხეს, რადგან იმედა ბაბუას ახლობელი იყო და ხათრი მოსთხოვეს მოსისხლეობის ზოგიერთ წესებში. იმედამ უთხრა, მე სამანი ჩავდგი, ბაბუას ძმობა გავყარე, თუ უნდა ჭოლიკაურთ გადმოაგდონ ის სამანი და მერე ვიქნები ბაბუას ძმაო. სამანს კი ვინ გადმოაგდებდა, მაგრამ ჯღუნას, ე. ი. ბაბუას მოკლულის უფროს შვილს და იმედას მოუვიდა ჩხუბი და ხანჯლებით ერთი მეორე მძიმედ დაჭრეს. ბაბუა რომ მოკვეთილი არ ყოლოდა, როცა ჯღუნას შვილი იმედას დასჭრიდა, იმედა ხმას ვერ ამოიღებდა, მაგრამ მოკვეთის შემდეგ მას უფლება მიეცა სწორ-სწორად შეულლისა. ამ ჭრილობების შემდეგ ისინი შეარიგეს ისე როგორც არა მოსისხლეები" (ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, 1949-1950, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 2, თბ., 1991, 177). ალ. ოჩიაური სხვა მსგავს შემთხვევებსაც აფიქსირებს. კერძოდ, მოჰყავს შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდა ხევსურმა, გვარად ოჩიაურმა სხვისი ცოლი მოიტაცა და ქისტეთში გაიქცა. ამას გვარებს შორის მტრობა უნდა მოჰყოლოდა, თუმცა დაზარალებული მხარის მოთხოვნით, ოჩიაურებმა მოიკვეთეს ქალის გამტაცებელი, ჯვარში დაკლეს საკლავი და საჯაროდ

როგორც აღვნიშნეთ, ნათესაობიდან, უპირველეს ყოვლისა, ხდებოდა საძრახისი საქციელის ჩამდენის მოკვეთა. სწორედ ამას შეიძლება მოჰყოლოდა სხვა ნათესავის მოკვეთაც, ან გვარის თუ ძმობის გაყრა, თუ ის ნათესავი, ან ნათესავთა ჯგუფი (თუნდაც გარკვეული ნათესაური ერთეული, რომელიც უფრო ახლოა მოსაკვეთთან ნათესაურად), უარს იტყოდა თავისი საძრახისი საქციელის ჩამდენი ნათესავის მოკვეთაზე და არ შეუერთდებოდა მოკვეთის მსურველთ.[1]

ალ. ოჩიაურის მიხედვით, როდესაც ერთი მამა (ქვეგვარი) ეყრებოდა მეორეს, მაშინ იმ მამის კაცნი ყველა მივიდოდა ჯვარში, მიიყვანდნენ ერთ საკლავს და მიმართავდნენ თავიანთ სალოცავს: „..... ჩვენ არ გვინდაოდავ მაგათგან გვარისა-დ ძმობის გაყრაივ, მაგრამ ჩვენად უნებურად ხჴდებისავო-დ, ამისად შენს კარზე შამახდომასა-დ შამაძახილს ნუ შაგვანანებავ“. შემდეგ მოიტანდნენ გრძელ ქვას, ამოთხრიდნენ ერთ ადგილას მიწას, სადაც ჩასვამდნენ ქვას. ხუცესი იხუცებდა და შესთხოვდა სალოცავს არ გასწყრომოდა მოცემული ქვეგვარის წარმომადგენლებს ძმობის გაყრის გამო. ხუცობის დასრულების შემდეგ სამანზე საკლავის სისხლს ჩაადენდნენ, ხოლო ამ ქვეგვარის ერთ-ერთი უფროსი კაცი ხმამაღლა დაიძახებდა: „..... დღეისიდგე ჩვენს ძმობას სამანი აქვს შუაზე ჩადგმული-დ ერთუცის სახელ-სირცხვილი ჩვენ აღარა მოგვეთხოვების....“ ამის შემდეგ მოკვეთილი მამიშვილობის წარმომადგენლის მიერ მკვლელობის თუ სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ძმობის გამყრელი მამიშვილობა არავითარ პასუხს არ აგებდა დაზარალებულთა წინაშე.[2]

ნათესაობიდან მოკვეთასთან დაკავშირებით მოვიყვანთ ერთ კონკრეტულ შემთხვევას ხევსურეთის სინამდვილიდან, რომლის შესახებაც

უარყვეს ამ პიროვნების ძმობა და განაცხადეს: „ჩვენს თვალწინ რომ ვინმე ეგ მაკლას, ჩვენ ხმას არ ამოვიღებთ და თუ მაგან ვინმე მოკლა, მოკლულის გვარს ჩვენთან საქმე ნუ ექნებაო“ (ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/4, მოსისხლეობა ხევსურეთში, 39).

[1] მაგალითად, ხევსურეთში მოხდა მკვლელობა, მკვლელი იყო ქაცაუაურთი. ქაცაუაურნი ორ მამად იყოფოდნენ: ბიჩინაგანი და სასანანი. მკვლელი ბიჩინაგათ ეკუთვნოდა. შურისძიების მსხვერპლი შესაძლოა ორივე ამ მამის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ. დაზარალებულებმა შეუთვალეს სასანათ, ძმობა გაეყარათ ბიჩინაგათთან და გათავისუფლდებოდნენ მესისხლეობისაგან, რაც მოხდა კიდევაც (ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/11, მოსისხლეობა ხევსურეთში, 132).

[2] ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილი-მიღმახევი), თბ., 2005, 185.

ალ. ოჩიაური[1] მოგვითხრობს და ნ. ბალიაურიც. ეს შემთხვევა ნიშანდობლივია იმით, რომ აქ ვხვდებით ნათესაობის გაყრას (მოკვეთას) ძაღლის მოკვლითაც და სამანის ჩასმითაც, დაწვრილებითაა აღწერილი მოკვეთის რიტუალი, შედეგები, რაც მოჰყვება მოკვეთას და სხვა.

ნ. ბალიაურის განმარტებით, სოფ. ამღაში არის გვარი წიკლაური, რომელიც შემდეგ იყოფა სხვადასხვა გვარებად: ბერდიშვილები, ჩინგლანი, ახალანი, გილანი, ქარჩანი, ჭოლიკაურნი, გაჯალანი და სხვა. ამ სოფელში ყველაზე ბევრნი არიან ბერდიშვილები, რომლებიც თავის მხრივაც იყოფიან. არიან ბერდიშვილები და გიორგანი (ჩანს, რომ ისინი ერთ მამიშვილობას მიეკუთვნებოდნენ). ქალ-დისწულნი ორივეს ერთი ჰყავდა. ვაჟმა, რომელიც გიორგათი იყო (სახელად ბაბუა), ცოლად მოიყვანა თავისივე გვარის დისწული – ნანუკა, რომელიც უფრო ბერდიშვილებს ეკუთვნოდა, რადგანაც მისი დედა ბერდიშვილის ქალი იყო.[2] ქალს ჰყავდა ოთხი მკვიდრი დედის ძმა, აგრეთვე სხვა ახლობელი ბიძები (დედის ახლო ბიძაშვილები). ჰყავდა აგრეთვე ორი დეიდა, დედა კი არ ჰყავდა ცოცხალი. ამ ამბის შემდეგ ქალის ბიძები შეიკრიბნენ, რათა გადაეწყვიტათ, თუ რა მოემოქმედათ შემდგომში. ისინი საკმაოდ მძიმე დილემის წინაშე აღმოჩნდნენ: „.....მოეკლათ ვაჟი, სისხლი დაედებოდათ. მოეკვეთათ, ეს გამოიწვევდა გვარის გაყრას, სამანის ჩადგმას, საუკეთესო ახალგაზრდების ჩამოშორებას, რაც ხევსურეთში ძნელი გასაბედავია. დისწულს მოიკვეთდნენ, ეს კიდევ არაფერი, მაგრამ, თუ მოკვეთილთან და-ძმები შერიგდებოდნენ, არ მოიკვეთდნენ ქალს სამუდამოდ, მაშინ უნდა მოეკვეთათ ქალის და-ძმებიც. ეს არ იყო ლამაზი, რადგან მიცვალებული დაც უნდა მოეკვეთათ (ქალის დედა). ბევრი რჩევისა და ლაპარაკის შემდეგ გადაწყვიტეს, ეკითხათ ვაჟის ბიძაშვილებისათვის, იკვეთდნენ ისინი თუ არა და, თუ არ მოკვეთდნენ, რას აპირებდნენ მისი სახლისკაცები (ვაჟის) – გვარის გაყრას თუ ისევ ერთად ყოფნას, როგორც მანამდე იყვნენ. ასევე უთხრეს დისწულ ქალ-ვაჟებს; რადგანაც ქალის დედ-მამა ცოცხალი არ იყო, ამიტომ საქმეს

[1] ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, 1949-1950, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 2, თბ., 1991, 176-177.

[2] ახლო მონათესავე დეიდაშვილების ცოლქმრობა ხევსურეთში არ დაიშვებოდა, რადგანაც დედის ძმები ორივე ქალ-ვაჟს და მათ დედებს მოიკვეთდნენ (ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 98).

პირდაპირ დისწულებთან იჭერდნენ. დედიძმებიდან ყველაზე მეტად ბათაკა ბრაზობდა., სხვებიც, რა თქმა უნდა, ბრაზობდნენ, მაგრამ იმის გარდა ქალს მოსაკლავად არავინ ემუქრებოდა. მან ქალის მამისახლს კაცი გაუგზავნა და ასე შეთვალა: „თქვენ, ნაროზაულებო, ქუდით გეხვეწებით თქვენს მამიშვილობის კაცთ, რომ მაიკვეთეთ ქალი. მაიშორეთ თავზეით მაგის სახელ-სირცხვილ..... მე დედიძმაი ორ, მაგრამ ჯერ არ გადამრჩების ცოცხალი, ადვილად მავხკლავ; მაკლულისა მეოთხე ნაწილ სისხლი დამედების. სადედო არ გამოის და საგვაროი. ძმას, რაიც მიუოს, თუ ის დას არ მაიკვეთს, იმას მივსცემ თავ-სისხლის მეოთხედ ნაწილს. დიაცის თავი ჯერ კაცის თავის ნახევარი-ღირსა-დ, მემრ ნახევარ შვილ ჩვენი-ას, მეოთხედ სისხლ დამედების, აიამას გადაუგდებ. მე დისწულის მაკვლა მირჩევ იმის თაობაზე ძმისად მაკვეთას. გვარძვალით უნდა მავშორდათ ერთმანეთს ჩვენა-დ გიორგანი ერთის უნამუსო კახპაის გულისად. ერთიმეორეს მტერსთანა, მაკეთესთან არ მავლრიდებიორთ. ერთუცზე ახლოველა ჩვენ ამღას არავინ გვყავ. ჩვენ შუ ჩამადეგ სხვა მამა არ ას. და-დისწულებ უნდა მავიკვეთათ, ძაღლს დავხკრათ თოფი. საიქიოთ მკვდარნ უნდა გადმავთხარნათა-დ მკვდარ მკვდარს უნდა მავსხლიტათ, დედ-მამას პირშავად უნდა შავხყარნათ შვილები. ეემის მქნელ ქალი კაცმ ხანჯრის წვერზე უნდა ააცვას.....“. ნაროზაულებმა უთხრეს: „ჩვენ დას არ მოვიკვეთთ.... ჩვენდ არა ბედენაი-ას, თუნდ ამღიონეს წაეყვან, თუნდ სხვას. ჩვენ არ გვიხარიან, რომ უშნოდ გაქმრიანდ დედიძმათაზე, მაგრამ მაკვეთით ვერ მავიკვეთთ....“ როდესაც ეს გაიგეს დედიძმებმა, დისწულებს შეუთვალეს, თუ ვინ იყო მომხრე დის მოკვეთისა, ვინ იყო მომხრე დედიძმათ მოკვეთისა.

ქალის და-ძმებმა უთხრეს: „ჩვენ რაად გვიკვეთენ დედიძმანი? თუ ჩვენ და ცუდის გამკეთებელი-ას, ის მაიკვეთან.“ დედიძმებმა გადაწყვიტეს მოეკვეთათ დიშვილები: მოეკლათ ძაღლი, გაეყარათ ძმობა გიორგათად. როდესაც დისწულებს იკვეთდნენ, დედიძმებმა დები დაიბარეს (ქალის დეიდები) და უთხრეს: „თქვენ რას იტყვით, ჩვენ დისშვილებს ვიკვეთთ: თუ თქვენ იმათ დედიდაობას ეტყვით, მაშინ ჩვენ თქვენაც მაკვეთილებსთან დაგაყენებთ.“ დებმა უთხრეს: „მამისახლს დისშვილების გულისად ვერ მავისხლეტთა-დ ჩვენაც ჩაგვატანეთ ძაღლის მოკვლაში“. გამოვიდა ბათაკა გატენილი თოფით, ძაღლი ხეზე მიაბა და დაიძახა: „გაიგონეთ კაცმ-დიაცმ, ბერმა-ახალმ,

სოფლელთ-სტუმართ, მტერმა-მაკეთემ, ცამა-დედამიწამ, ქვამა-ხემ, სულმა, ჯვარმა, რომ ჩვენ ოთხნ ძმან თავის ცოლშვილით, ორნ დანი უქმარშვილოდ, ვიკვეთთ დისწულებს, არ ვატანთ ჩვენ დას ნათელას, რახანც ის მკვდარი-ას, ვიკვეთთ სამუდამოდ. ვერც ცოცხლებ შავლენ დედიძმათ სახლების ჭერთ ძირში, ვერც მკვდარნ მივლენ დედიძმათ მკვდართან.....“ და მოკლა ძაღლი. ხევსურეთის წესით, როცა ძაღლს მოკლავენ, ხატში ხევისბერი არც საკლავს დაკლავს და არც რიგს უყენებს ჯვარს, სანამ ძაღლის მომკლავი საკლავს არ დაკლავს ჯვარ-ჯვარისკარის სამხსნელოს. ბათაკამ და იმისმა ძმებმა ძაღლი გზაჯვარედინზე დააგდეს, რომ ყველას დაენახა. ეს უკვე მძიმე მოკვეთა იყო. იმ დღის შემდეგ დისწულები თავის დედიძმებსა და მათ ცოლ-შვილს ხმას ვერ სცემდნენ, ვერც ერთი-მეორის სახლებში დადიოდნენ. როდესაც დედიძმებმა დისწულები მოიკვეთეს, თავის სახლისკაცებს უთხრეს: „თუ ჩვენ ძმობა გინდათა-დ ჩვენთან ყოფაი ჭირსა თუ ლხინში, მაშინ მხარ უნდა დაგვიჭირათა-დ..... ჩვენ გიორგათ მავიკვეთთ, თუ არ გვიდგეხართ იმათ მაკვეთაში, მაშინ იმათთან დარჩითა-დ ჩვენ მამა-შვილები გავყრით მათთან ძმობას“. რადგან ბერდიშვილნი უფრო მეტნი იყვნენ, ამიტომ სახლისკაცები მათთან დარჩნენ. გიორგათ კაცი გაუგზავნეს და შეუთვალეს: „თუ თქვენ მაიკვეთთ ბაბუას, მაშინ ჩვენაც მარტო ბაბუას მავიკვეთთა-დ თქვენა-დ ჩვენ იქავ ძმებად დავრჩებით, თუ არა და ჩვენ სრუ გავხყრით თქვენთან ძმობას. გიორგათ არ მოსწონდათ ეს საქმე, ძალიანაც სწყინდათ, მაგრამ საქმე სხვანაირად იყო. როდესაც ბაბუამ ქალი გაიტაცა, ეს ამბავი, რა თქმა უნდა, გაიგო იმ ვაჟმაც, რომელსაც იგი ჩუმად ჰყავდა დანიშნული. განაცხადა, რომ ქალი მისი დანიშნული იყო და დაიწყო საქმის გამოკიდება. ქალი, მართალია, მისი დანიშნული იყო, მაგრამ ამის შესახებ მისმა ნათესავებმა არაფერი იცოდნენ და არც დაიჯერებდნენ, რადგან ქალი უარს აცხადებდა.....ამიტომ ეს ვაჟი თოფით დასდევდა როგორც თვით ბაბუას, ისე მთელ გიორგათ. იგი გუროელი იყო, შორს ცხოვრობდა და ბაბუას არ იცნობდა, თორემ ცოცხალს არ გაუშვებდა. ..... ასეთ მდგომარეობაში მისი მიტოვება სირცხვილი იქნებოდა. ხალხი იტყოდა: მარტოკა იმიტომ დატოვეს, რომ შეეშინდათო. ყოველივე ამის გათვალისწინებით შეუთვალეს: „ჩვენაც არ გვიხარის ეს სამარცხვინო საქმე, მაგრამ რაიც მახდ, იმას მაკვეთა არას უშველს, სირცხვილ მაინც არ ჩამაგვეცლებისად, მტრებს კი გაუხარდების. თქვენ გაყარეთ გვარი..... ჩვენ ცოტან

დავრჩებითა-დ, თქვენ ბევრნი-ხართ. უთქვენობა ჩვენ კა არ ას, უძმა-უმამისძმობა კაცს ყველაზე მეტად შააწუხებს თავის სიცოცხლეში, მაგრამ როსაც ეს საქმე ჩვენ მამისამ მაახდინ, სხვას რა დავაბრალ-ათ? მავკლათ, ან იმით რა დაეფარების? მავიკვეთათ; სხვა მტერ რამთვენი-გვყავ! დუშმანთ ვერ გავალაღებთ“. ბათიკამ და მისმა ძმებმა გადაწყვიტეს არა გვარის გაყრა, არამედ ძმობის გაყრა და საკლავით სამანის ჩაგდება.

მოიყარეს თავი ყველა ბერდიშვილებმა და მივიდნენ ჯვარის კარში, ამოთხარეს მიწა ღრმად, რადგანაც ქვის ღრმად ჩაფლვა იყო საჭირო, რომ რაიმე მიზეზით არ ამოვარდნილიყო ან არ წაქცეულიყო. ჩაფლეს შიგ გრძელი ქვა და ორმო მიწით ამო-ავსეს. მიიყვანეს საკლავი და დააკლევინეს ხუცესს. სამანთან მდგომმა მთელმა ხალხმა ყური დაუგდო ბათიკას, ნისლაურსა და ჩაჩაურს, რომლებიც უფროსები იყვნენ გვარში. მათ თქვეს: „ჩვენ შავყრილორთ ჯვარისკარ, დავკალით საკლავი, ჩავდგით სამანი. დღესიდგე ჩვენა-დ გიორგანი აღარ ვიქნებით ძმანი, ეს გაიგას სრუყველამ! არ უდგეორთ ერთუცს გვერდი, არც რჯულიანსთან, არც ურჯულოსთან. მახკლავს ვინ გიორგათ მამისას ხევსური, არ ავიღებთ საძმოს, მახკლავს ვინ ხევსურ ბერდიშვილთ მამისა, საძმოს არ აიღებენ გორგანი. მავხკლავთ ვის ჩვენ, არ გაიღებს გორგათ მამის კაცი საძმოს, მახკვლენ ვის გორგანი, არ გავიღებთ საძმოს. რაც ძველ თავ-სისხლი-ას, ან ჩვენ სხვაობაზე, ან სხვათ თავსისხლ ჩვენზე, აისრევ გორგათ მამისაი, არ გავიღებთ პატივს, არც ავიღებთ ერთმანეთის მესისხლეებისას; არ გავხყვებით ერ-თუცს შურის საძევლად საურჯულოოს. დღესის იქით მაგათ ქალ-დისწულს აღარ ვიქალდისწულებთ, არც ეგენ იქალ-დისწულებენ ჩვენ ქალ-დისწულებს; არც უბრალო შუღლში უდგეორთ ერთუცს გვერდი, არც ვპატრონობთ ერთუცის ქალ-ზალს, არც ობოლ-ქვრივს ვუპატრონებთ ერთუცისას. საერთო, საძმო-სამამო, დღეის იქით, ჩვენ, ბერდიშვილთა-დ გიორგათ საერთო აღარა გვექნების. ვინც ბერდიშვილთა გიორგათ ძმობას იტყვის, იმან ჯერ ამააგდას სამან, მემრ თქვას იმათ ძმობაი. თუ არა და ეს სამან მანამდი აქ დგას, ჩვენი-დ მაგათ ძმობა აღარ იქნების. ვინაც ჩვენის მამისა სამანის აქავ დგომით იტყვის იმათკე ყოფას, ისიც იმას მოეკერე-ბის; იმას გაუწყრას ეს იახსარი.....“. „ამინ, ამინ, ამინ იყვას!“ — დაიძახა მთელმა ხალხმა და დაიშალნენ. ამ დღის შემდეგ გაიყარა

მათი ძმობა დღემდე. ის სამანი დღესაც ისევე დგას გაუნძრევლად. ერთიმეორეს მტერთან გვერდზე არ უდგანან. მიუხედავად იმისა, რომ ისინი გაიყარნენ, ერთიმეორეს დისწულები ცოლად არ მიჰყავთ.

ნანუკამ და ბაბუამ დაიწყეს ერთად ცხოვრება, მაგრამ იმ სოფელში, სადაც ისინი იყვნენ, ყველაზე მეტნი ბერდიშვილები არიან და ქალი ისე იყო, როგორც მოსარიდებელი უწმინდური რამე საგანი. მას არსად არ შეეძლო სოფელში წასვლა, არც ხატობაში, არც ქორწილში და სხვა. მას ხმას არავინ სცემდა, ისე დაიხოცნენ დედიძმები, რომ დიშვილები არ შეირიგეს. ნანუკა კი არა, არამედ ისინიც კი არ შეირიგეს, რომლებიც იმ დროს ჰატარები იყვნენ და საქმისა არაფერი გაეგებოდათ. როდესაც დედიძმები დაიხოცნენ, დედიძმის შვილებმა სხვები შეირიგეს, ნანუკა კი არა. მოხარშეს ლუდი, დაკლეს საკლავი „ძაღლის სამხსნელო“ და შერიგდნენ. ქალის წილი ძაღლი კი ისევ დარჩა უხსნელი და ქალი მოკვეთილია დედიძმების მიერ დღემდე. გიორგანი და ბერდიშვილნი მოკვეთილები არიან. ისე კი ხშირად არ ხდება დისწულ დედიძმებს შორის ამისთანა საქმეები.“[1]

ნ. ბალიაურის ეს ინფორმაცია და ასევე სხვა კონკრეტული თუ ზოგადი ცნობები, რომლებიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ, საკმაოდ სრულყოფილი ანალიზის საფუძველს იძლევა.

აქ კარგად ჩანს, თუ რისთვის შეიძლება მომხდარიყო ნათესაობისაგან მოკვეთა და თუ რამდენად სამძიმო იყო ეს ღონისძიება ორივე მხარისათვის (ამ საკითხებზე ჩვენ ძირითადად ვისაუბრეთ და ვრცლად აღარ შევჩერდებით).

ამ ცნობებში კარგად გამოჩნდა, რომ ნათესაობიდან, უპირველეს ყოვლისა, იკვეთდნენ უღირსი, სამარცხვინო საქციელის ჩამდენთ, ხოლო მაინ ბედი შეიძლება გაეზიარებინათ იმ ნათესავებსაც, რომლებიც მონაწილეობას არ მიიღებდნენ მოკვეთის განხორციელებაში. ამის შედეგი იყო გვარის, ძმობის გაყრა. შესაძლოა მომხდარიყო დის შთამომავლობის მოკვეთაც. ამ მაგალითშიც კარგად ჩანს, რომ მოკვეთის ორგანიზატორები (მოსაკვეთის დედის ძმები) ჯერ საძრახისი ქმედების ჩამდენის და-ძმებს მიმართავენ, რომ მათაც სამუდამოდ მოიკვეთონ იგი და როცა უარს იღებენ, ბიძები ამ უკანასკნელებსაც იკვეთენ დამნაშავესთან ერთად. იმავე ხდება ვაჟთან დაკავშირებითაც. ბერდიშვილები

[1] ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, გვ. 90-95.

მიმართავენ გიორგათ, რომ მათაც მოიკვეთონ ბაბუა, მაგრამ როცა უარს იღებენ, არა მარტო ბაბუას იკვეთენ, არამედ მთელ გიორგათ და ამით ხდება ძმობის გაყრა ბერდიშვილებსა და გიორგათ შორის. ისინი ამ გაყრის შემდეგ სხვადასხვა მამიშვილობად ყალიბდებიან.

საკმაოდ სრულყოფილადაა წარმოჩენილი თვით მოკვეთის რიტუალიც როგორც ძაღლის მოკვლით, ისე სამანის ჩასმით. პირველ შემთხვევაში ერთ-ერთი უფროსი პიროვნება, თოფით ხელში ხეზე მიაბავს ძაღლს და წარმოთქვამს მოკვეთის ფორმულას, რომელშიც გარკვევით ჩანს, თუ ვინ ახორციელებს მოკვეთას, რომ მოკვეთა ხდება სამუდამოდ, ასევე ის, თუ რაში მდგომარეობს ამ მოკვეთის არსი, რა შედეგები მოჰყვება შესაბამისი რიტუალის ჩატარებას (ისინი სამუდამოდ წყვეტენ მოკვეთილებთან ყოველგვარ ურთიერთობას) და ამ ფორმულის წარმოთქმის შემდეგ, ამ სიტყვების წარმომთქმელი პიროვნება კლავს ძაღლს. ამ ძაღლს გზაჯვარედინზე აგდებენ, რომ ყველამ დაინახოს, თუ რა მოხდა. აქ არ ჩანს მოხდა თუ არა ამ მოკვეთისას სამანის ჩასმა, თუმცა ჩვენ მ. ბალიაურის ინფორმაციაში ვნახეთ, რომ მოკვეთას ძაღლის მოკვლით შეიძლება თან ახლდეს ჯვარში სამანის ჩასმაც.

სამანის ჩასმით მოკვეთისას (როცა ძაღლის მოკვთა არ ხდება) ჯვარის კარზე ხდება მიწის ღრმად ამოთხრა და მასში გრძელი ქვის (სამანის) ჩასმა. ხუცესს აკვლევინებენ საკლავს.[1] ჯვარის კარზე იკრიბება ყველა ის, ვინც მონაწილეობას იღებს მოკვეთაში (ეთანხმება მოკვეთას). შემდეგ უსმენს უფროს კაცებს, რომლებიც წარმოთქვამენ მოკვეთის (ძმობის გაყრის) ფორმულას. მასში ჩანს: 1. თუ ვინ ვის იკვეთს; 2. მოკვეთის პირობები, რა შედეგები მოჰყვება მოკვეთას; 3. წყევლა, დარისხება იმათი, ვინც არ შეასრულებს იმას, რაც მოკვეთის ფორმულაშია (ეს წყევლა მომკვეთი მხარის წარმომადგენლებს ეხება). მოკვეთის ფორმულის წარმოთქმის შემდეგ, შეკრებილი ხალხი მოკვეთის განხორციელებისადმი თანხმობის ნიშნად წარმოთქვამს „ამინ“ რამდენჯერმე და ამით ცერემონიალი მთავრდება.

მოკვეთის ფორმულა, როგორც აღვნიშნეთ, გვიჩვენებს, თუ რაში გამოიხატებოდა ნათესაობიდან მოკვეთის არსი, კერძოდ, თუ რა

[1] ინფორმატორთა მითითებით საკლავის დაკვლა ზედ სამანზე ხდებოდა და საკლავის სისხლი სამანს ესხურებოდა (ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 62-63; 69).

მოჰყვებოდა ძმობის გაყრას. ჩვენთვის ცნობილია, რომ ერთი მამიშვილობის, საძმოს წევრები ურთიერთვალდებულებებით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული. განსაკუთრებით ეს სისხლ-მესისხლეობით ურთიერთობებს ეხებოდა, კერძოდ, ეს გამოიხატებოდა სისხლის აღების დროს დახმარებაში და სხვა. ასევე ნებისმიერ სიტუაციაში ერთი საძმოს წევრები მხარს უმაგრებდნენ, პატრონობდნენ, იცავდნენ, ეხმარებოდნენ ერთმანეთს. ძმობის გაყრის შემთხვევაში კი გვაროვნული სოლიდარიზმის პრინციპზე დაფუძნებული ასეთი ურთიერთობა სრულიად წყდებოდა. ნ. ბალიაურის მიერ მოყვანილ მოკვეთის ფორმულაში გამოჩნდა, რომ, თუ ბერდიშვილები მოკლავდნენ ვინმეს, გიორგანი არ გაიღებდნენ საძმოს, და, პირიქით. იმავე მოხდებოდა მაშინაც, როდესაც ბერდიშვილთაგან ან გიორგათაგან მოკლავდნენ ვინმეს — ბერდიშვილები არ აიღებდნენ საძმოს გიორგათაგან ვინმეს მოკვლისას და გიორგანი ბერდიშვილთაგან ვინმეს მოკვლისას. ასევე არ დაეხმარებოდნენ ერთმანეთს სისხლის აღებისას, უბრალო შუღლის დროსაც კი, არ უპატრონებდნენ ერთმანეთის ქალ-რძალს, არ მიიჩნევდნენ ერთმანეთის დისწულს თავის დისწულად და ა.შ. ე.ი. წყდებოდა ყოველგვარი ის ურთიერთობა, რაც ბერდიშვილებსა და გიორგათ ერთ მამიშვილობად, საძმოდ წარმოადგენდა. როგორც ჩანს, ნათესაობიდან მოკვეთას ერთგვარი უკუქცევითი ძალა გააჩნდა. იგი ვრცელდებოდა მოკვეთამდე წარმოქმნილ სისხლ-მესისხლეობით ურთიერთობებზეც. გაყრის შემდეგ გაყრილ საძმოს აღარ ეკისრებოდა ის ვალდებულებები, რაც მოკვეთამდე ჰქონდა კონკრეტული მკვლელობის შემთხვევაში, აღარ იქნებოდა მოკლული მხარის მხრიდან დევნის ობიექტი, აღარ შეიძლებოდა მისი მოკვლა თუ დაჭრა. თუ ამას მაინც ექნებოდა ადგილი, ეს დამოუკიდებელ დანაშაულად ჩაითვლებოდა. მაგალითის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს მოკვეთის ფორმულაში გამოჩნდა — „რაც ძველ თავ-სისხლი-ას, ან ჩვენ სხვაობაზე, ან სხვათ თავსისხლ ჩვენზე, აისრევ გორგათ მამისაი, არ გავიღებთ პატივს, არც ავიღებთ ერთმანეთის მესისხლეებისას.“ ე.ი. თუ რაიმე ძველი სისხლ-მესისხლეობა იყო, ბერდიშვილებისა და გიორგათა გაყრის შემდეგ ისინი აღარ დაეხმარებოდნენ ერთმანეთს, პატივს არ გადაიხდიდნენ, არც აიღებდნენ, აღარც სისხლის აღების ობიექტები იქნებოდნენ გაყრილი საძმოს წევრის მიერ ჩადენილი ძველი მკვლელობის შემთხვევაში.

დედისძმების მიერ დისშვილთა მოკვეთისას მოკვეთის ფორმულა,

ბუნებრივია, განსხვავებული იყო, რადგანაც ის ურთიერთვალდებულებები, რაც საძმოს წევრებს შორის არსებობდა და რომელთა შეწყვეტა ძმობის გაყრისას ხდებოდა, დედისძმებსა და დისშვილებს შორის არ არსებობდა. ამდენად, სისხლის აღებისას, საძმოს გაყრისას დახმარებაზე უარის თქმა, რასაც ძმობის გაყრის ფორმულაში ვხვდებით, დედისძმების მიერ დისშვილების მოკვეთისას არ ჩანს და ზოგადად, ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტაზეა აქცენტი გაკეთებული, რომ ერთმანეთთან არ მივლენ, ერთმანეთს არ დაეხმარებიან და ა. შ.

2.5.3. ნათესაობიდან მოკვეთის რელიგიურ-სარწმუნოებრივი ასპექტები. ჩვეულებითი სამართლის არაერთი ინსტიტუტის მსგავსად, ნათესაობიდან მოკვეთის ინსტიტუტიც გაჯერებული იყო რელიგიურ-სარწმუნოებრივი მომენტებით. თუნდაც ის, რომ ნათესაობიდან მოკვეთა, ძმობის (გვარის) გაყრა ჯვარის კარზე ხდებოდა, იქვე სამანის ჩასმით, ხუცესის მიერ საკლავის დაკვლით, მოკვეთის ცერემონიალის რელიგიურობაზეც მეტყველებს. ჯვარში სამანის ჩასმით ხდებოდა მოკვეთის (გაყრის) საბოლოოდ დადასტურება. ეს სამანი ნიშანია ნათესაობის (კერძოდ, გვარის, საძმოს) გაყრისა. სანამ იგი არსებობდა, გაყრილებს შორის ურთიერთობას ვერავინ ბედავდა, უპირველეს ყოვლისა კი, ჯვარის შიშით. მოკვეთის ფორმულაშიც ჩანს რელიგიური სანქცია მოკვეთის პირობების შეუსრულებლობისას. სანამ სამანი ჩაფლული იყო ჯვარში, მოკვეთის პირობების დამრღვევს, ხალხის რწმენით, ჯვარი აუცილებლად გაუწყრებოდა და საშინელ უბედურებას მოუვლენდა. ჯვრის შიშით, ბუნებრივია, სამანის ამოგდებასაც ვერავინ შეძლებდა.

საკმაოდ დიდია ნათესაობიდან მოკვეთის ინსტიტუტზე იმქვეყნიური სამყაროს შესახებ წარმოდგენების გავლენაც. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ხევსურთა წარმოდგენით, საიქიოში მიცვალებულის სული აგრძელებს ხორციელ ცხოვრებას, შენარჩუნებულია ნათესაური ურთიერთობები. მნიშვნელოვანია მიცვალებულთა სამყაროს გავლენა ამქვეყნიერ ცხოვრებაზე და სხვა. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ, როდესაც ნათესაობა იყრებოდა, ამას მოსდევდა მოკვეთა, გაყრა მიცვალებულთა სულებს შორისაც. ამის მაჩვენებელია ის გარემოება, რომ ხდებოდა დამნაშავის (ვისი ქმედებაც გაყრის მიზეზი ხდება) ახლობელი მიცვალებულის საფლავის ამოთხრა, მისი წვივის ძვლის

ამოღება და ორად გატეხვა. ამას მოჰყვებოდა ფრაზა: „დღეის ამას იქით ჩვენ გაყრილნი ორთ, გვარითადაც, ძვალითადაც.“[1] ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ გაყრა მოხდა როგორც ცოცხალთა, ისე მიცვალებლთა შორისაც. მოყვანილ მაგალითშიც ჩანს, რომ ბიძებს არ სურდათ დისშვილების მოკვეთა იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მიცვალებული დაც უნდა მოეკვეთათ. როგორც ჩანს, დის მოკვეთის შემთხვევაში, როდესაც ისინი გარდაიცვლებოდნენ, მათ სულებს აღარ ექნებოდათ ნათესაური, დაძმური ურთიერთობა დის სულთან, რაც ხევსურთათვის ძალზედ სამძიმო და არასასურველი იყო, რადგანაც ისევე როგორც ცოცხალთა შორის ჰქონდა ნათესაურ ურთიერთდახმარებას ამქვეყნად უდიდესი მნიშვნელობა, ხალხის რწმენით, ანალოგიური დამოკიდებულება იყო მიცვალებულთა სამყაროში ნათესავ სულებს შორისაც. მოყვანილ მაგალითში, როდესაც ბიძებმა მოიკვეთეს დისშვილები, მოკვეთის ფორმულაში აღინიშნა დისშვილები და მათი შთამომავლობა „ვერც ცოცხლები მივლენ დედიძმათ სახლების ჭერთ ძირში, ვერც მკვდარნ მივლენ დედისძმათ მკვდართან.....“[2], ე.ი. მათ შორის ურთიერთობა იმქვეყნად შეწყვეტილად ჩაითვლებოდა. ერთ-ერთი ბიძა აღშფოთებული იყო იმით, რომ ერთი „კახპაის“ გულისთვის ბერდიშვილები და გიორგანი გვარ-ძვალით უნდა დაშორებულიყვნენ ერთმანეთს: „საიქიოდ მკვდარნ უნდა გადმოვთხარნაოა-დ, მკვდარი მკვდარს უნდა მავსხლიტად.....“[3], ე. ი. საიქიოშიც უნდა მომხდარიყო გაყრა.

ნათესაობიდან მოკვეთას არა მარტო ხევსურეთში ვხვდებით, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებში ამ ინსტიტუტის შესახებ მწირი მონაცემებია[4] და ამიტომ მათზე აღარ შევჩერდებით.

[1] მ. ბალიაური, ქორწინების წესები ხევსურეთში (არხოტის თემის ძველად) — ხელნაწერი ინახება ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში. მოგვყავს ნაშრომიდან: ლ. მელიქიშვილი, ხევსურული საქორწინო წეს-ჩვეულებების სტრუქტურა, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები“, 1987, გვ. 75.

[2] ნ. ბალიაური, სწორჭრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 93.

[3] იქვე, 92.

[4] მაგალითად, მ. კანდელაკთან ვხვდებით ფაქტს გუდამაყრის სინამდვილიდან: „სოფელ ჩოხში სამი ძმა ყოფილა უმარანი. ერთ-ერთს ხევსური მოუკლავს, რაზედაც გადაემტერნენ და მოსაკლავად დასდევნებიან. დაუჭერიათ ერთი ძმათაგანი და მკვლელის გაცემა მოუთხოვიათ სისხლის აღების მიზნით. ძმის გამყიდველობის მეშვეობით მკვლელი ხევსურების მიერ იქნა მოკლული, მოღა-

აი, ასეთი სახით შეიძლება ზოგადად ჩამოვაყალიბოთ მოკვეთის ინსტიტუტი ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით.

3. გაძევება

გაძევება ძალზედ გავრცელებული სასჯელია სამართლის ისტორიაში. არაერთი ხალხი უძველესი დროიდან იყენებდა სასჯელის ამ ფორმას. იგი ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა ფეოდალურ სამართალშიც. მას სხვადასხვა ხალხის არაერთ სამართლის ძეგლში ვხვდებით. ამ სასჯელს იცნობს ძველი ქართული სამართალიც. კერძოდ, ექსორიასა და გაძევებას ძველ ქართულ სამართალში განიხილავს ივ. ჯავახიშვილი.[1]

გაძევებას, როგორც სასჯელს, ვხვდებით ქართული სამართლის ძეგლებშიც, კერძოდ, ბექა-აღბუღას სამართალსა და გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდებაში". აღნიშნული ძეგლებით გაძევება დაკავშირებული იყო მამულის ჩამორთმევასთან.[2] ბექას სამართლის მიხედვით, გაძევება და მამულის ჩამორთმევა („მამულის დაჭერა") გრძელდებოდა დამნაშავის მიერ სისხლის დაურვებამდე. ამის შემდეგ გაძევებული პირი ბრუნდებოდა სახლში და თავის მამულს ღებულობდა.[3] გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდება" ასევე აწესებს გაძევებასთან ერთად მამულის ჩამორთმევას — „მამულის სასეფოდ დადებას". მაგალითად, „ძეგლისდების" მე-3 მუხლი ითვალისწინებს გამგებლის მკვლელის მამულიდან გაძევებას და შეუნდობლად მისი მამულის სასეფოდ დადებას.[4] აქ საუბარია სამუდამო გაძევებაზე და აქედან გამომდინარე, მამულის სამუდამოდ ჩამორთმევაზე. მე-5, მე-7, მე-9, მე-12 მუხლები კი ითვალისწინებს გაძევებასა და მამულის ჩამორთმევას გარკვეული ვადით (ერთი,

---

ლატე ძმა კი ჩოხელებმა მოკვეთეს გაძევების გარეშე" (მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1988, თბ., 1991, 70). აქ კარგად ჩანს, რომ გვარის ინტერესების ხელყოფისათვის მოხდა პიროვნების გვარიდან მოკვეთა.

[1] იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, 257-259, 368-369.

[2] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, 234.

[3] იქვე, 235.

[4] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, ტ., 1, თბ., 1963, 404.

ორი ან სამი წლით). მაგალითად, მე-5 მუხლით, „თუ ხევისბერმან მოკლას განმგებელი, სამს წლამდის მამულისაგან გაიძიოს და ციხე და მამული სასეფოდ დაიდვას. ერისთავმან თავადნი სახლნი დაუწინდნეს. მესამეს წელიწადს მოვიდეს და ერისთავს შემოეხუეწოს; ერისთავმან ვეზირთ მოახსენოს და ვეზირთ დარბაზთ ჰკადრონ; და დარბაზით მამული ებოძოს ხევისბერსა“.[1] აქ კარგად ჩანს, რომ გამგებლის მკვლელ ხევისბერს აძევებდნენ სამი წლით (ბუნებრივია, აქ ძირითადი სასჯელი იყო სისხლის დაურვება), ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ ხდებოდა მისი შეწყალება და მისთვის მამულის დაბრუნება.

ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით, გაძევება გამოიყენებოდა საკმაოდ მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულებისას (მაგალითად, მკვლელობა), როგორც დამატებითი სასჯელი. იგი შეიძლება ყოფილიყო როგორც ვადიანი, უვადო, ისე გარკვეული პირობის შესრულებამდე, კერძოდ, სისხლის დაურვებამდე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გაძევებული დამნაშავის მამული ფაქტობრივად გვევლინება მკვლელობისათვის გადასახდელი კომპოზიციის საკომპენსაციო ობიექტად, ერთგვარ გირაოდ. თუ დამნაშავე არ გადაიხდიდა კომპოზიციას, მისი მამული ამის სანაცვლოდ დარჩებოდა დაზარალებულს, ხოლო მკვლელი აღმოჩნდებოდა გადახვეწილი თავისი საცხოვრისიდან.

ცნობილია, რომ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი და გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდების“ ძირითადი წყარო ქართული ჩვეულებითი სამართალია. ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებით კარგად ჩანს, რომ ძველად მკვლელი გარბოდა თავისი საცხოვრისიდან, ხოლო, თუ დაზარალებული მხარე ვერ მოახერხებდა შურისძიების განხორციელებას მკვლელის გადახვეწის გამო, იგი ეუფლებოდა მის სახლ-კარს, მამულს, რაც შურისძიების კომპენსაციას წარმოადგენდა. ე. ი. დაზარალებული მხარე საპასუხო მკვლელობის ნაცვლად მკვლელის მამულითა და სახლ-კარით კმაყოფილდებოდა, რაც მკვლელის სიცოცხლის ტოლფასად განიხილებოდა. ქართული სამართლის ძეგლებში მოცემული პიროვნების გაძევების დაკავშირება მამულის ჩამორთმევასთან, ჩვენი აზრით, ზემოთ მოყვანილი მოვლენის გამოძახილი უნდა იყოს.

საერთოდ, გაძევება, როგორც სასჯელი, ჩვეულებითი სამართ-

[1] ქართული სამართლის ძეგლები, იქვე.

ლის პირმშოა და მოკვეთის მსგავსად თავდაპირველად გვაროვნულ-თემური ურთიერთობების მატარებელ საზოგადოებებში ყალიბდება, სადაც პიროვნება თემის, გვარის მფარველობის ქვეშ იმყოფება. აქედან გამომდინარე, გაძევება პიროვნებას ისეთივე ტანჯვას აყენებდა, როგორსაც მოკვეთა (მხედველობაშია შემთხვევა, როდესაც დამნაშავეს მოიკვეთდნენ გაძევების გარეშე), რაც კიდევ უფრო მძაფრდებოდა იმით, რომ გაძევებული იძულებული იყო საერთოდ გასცლოდა თავის თანამოძმეებს, ნათესავებს, დაეტოვებინა სახლ-კარი, ქონება და სხვაგან ფაქტობრივად თავიდან დაეწყო ცხოვრება. გაძევების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ გაძევებულს უნდა დაეტოვებინა ის ტერიტორიული ერთეული, საიდანაც მას აძევებდნენ.

ახლა განვიხილოთ გაძევება როგორც სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით.

3.1. გაძევება ფშავ-ხევსურეთში. ფშავ-ხევსურეთში გაძევება იმავე დანაშაულებისათვის გამოიყენებოდა, რისთვისაც მოკვეთა. ფშავ-ხევსურეთში გაძევება შეიცავდა შერისხვისა და მოკვეთის ელემენტებს. ფშავში გაძევების ინსტიტუტზე საუბრისას ო. ზოიძე აღნიშნავს, რომ დამნაშავეს ჯერ შერისხავდნენ, შემდეგ მოკვეთდნენ, დაბოლოს, გაძევებას მიუსჯიდნენ. მას მოჰყავს ერთ-ერთი ფშაველი ინფორმატორის განმარტება, რომ თემი ხატში დაკლავდა დამნაშავის ხარს და გაშლიდა სუფრას. პურმარილის დამთავრების შემდეგ კი სოფელი ამ კაცს სახლიდან გამოუყრიდა ყოველგვარ ბარგს და გააძევებდა.[1] ო. ზოიძე შეეცადა გაერკვია, თუ რას ნიშნავს ფშაველი ინფორმატორის მიერ ნახსენები „ბარგის გამოყრა". ფშაველ ინფორმატორებს XX საუკუნის დასასრულს ეს ზუსტად აღარ ახსოვდათ. ამიტომ ავტორმა ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილს" მიმართა, რომელშიც მოქმედება ფშავის მეზობელ ხევსურეთში მიმდინარეობს. როგორც ვაჟას „ალუდა ქეთელაურში" ჩანს, თემი არბევდა გაძევებულის ოჯახს. ო. ზოიძის მართებული მოსაზრებით, სწორედ ამ დარბევის ელემენტია ბარგის გამოყრა. დარბევა იმაში გამოიხატებოდა, რომ გაძევებულს უნგრევდნენ სახლს, უწვავდნენ საძოვარს, სათემოდ გამოირეკავდნენ მის ცხვარს, ძროხას, ხარებს. დამნაშავეს ოჯახიანად აძევებდნენ და

[1] ო. ზოიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

ეს სასჯელი უვადო იყო.[1]

აქ მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ძველად გაძევება ფშავსა და ხევსურეთში ერთგვაროვნად ხორციელდებოდა და მისთვის დამახასიათებელი იყო: 1. გაძევებამდე დამნაშავის შერისხვა, დარისხება და მის მიმართ მოკვეთის ცერემონიალის განხორციელება (ჩვენ მოკვეთაზე საუბრისას უკვე აღვნიშნეთ, რომ შერისხვა (დარისხება) მოკვეთის ცერემონიალის შემადგენელი ელემენტი იყო); 2. გაძევებულის მიმართ არსებითი ქონებრივი სანქციების გამოყენება, რაც ფაქტობრივად მისი ოჯახის დარბევაში, ქონების განადგურებასა და ჩამორთმევაში გამოიხატებოდა; 3. ოჯახთან ერთად გაძევების შესაძლებლობა; 4. გაძევების უვადობა. რამდენადაც, გაძევებას ყოველთვის თან ახლდა მოკვეთა, ამდენად, ბუნებრივია, რომ ამ სასჯელთა გამოყენება ერთსა და იმავე შემთხვევებისას ხდებოდა. შესაძლებელია მოკვეთა გაძევების გარეშეც მომხდარიყო, როდესაც დამნაშავე არ ტოვებდა საკუთარ საცხოვრისს. ცხადია, მოკვეთა გაძევების გარეშე შედარებით მსუბუქ შემთხვევებში მოხდებოდა. გაძევებისას კი მოკვეთის ელემენტს ემატებოდა დამნაშავის განდევნა შესაბამისი ტერიტორიული ერთეულიდან,[2] ქონებრივი სანქციის გამოყენებით. ბუნებრივია, საზოგადოება ამას უფრო მძიმე შემთხვევაში შეუფარდებდა დამნაშავეს, ვიდრე მხოლოდ მოკვეთას გაძევების გარეშე. დამნაშავის მოკვეთა მოხდებოდა თუ გაძევება, ამას საზოგადოება (თემი) ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში წყვეტდა, ასევე, დანაშაულის სიმძიმის, კონკრეტული გარემოებების, დამნაშავის პიროვნებისადმი და მის მიერ ჩადენილი დანაშაულისადმი საზოგადოებისა და მისი თავკაცების დამოკიდებულების გათვალისწინებით. ბუნებრივია, თუ დამნაშავეს თემში მავნე, ცუდი ადამიანის სახელი ჰქონდა, დანაშაულის ჩადენაში ადრეც იყო შემჩნეული,[3] ადრე მოკვეთილი იყო

[1] ო. ზოიძე, იქვე, 109-110.

[2] ო. ზოიძეს ამასთან დაკავშირებით მოჰყავს ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორის ცნობა იმის შესახებ, რომ ფშავში შუაფხოსა და გოგოლაურთას თემებს შორის გზის პირას ჩასმული იყო სასაზღვრო სამანი. როდესაც მოხდებოდა თემიდან პიროვნების გაძევება, მას მიიყვანდნენ და ამ სამანს იქით გაუშვებდნენ (ო. ზოიძე, იქვე, 111).

[3] დანაშაულის ჩადენის განმეორება, არაერთგზისობა რომ შეიძლება გამხდარიყო საზოგადოებიდან გაძევების საფუძველი, ამას მიუთითებს გ. თედორაძის მიერ ხევსურეთში დაფიქსირებული შემთხვევა, როდესაც ცილისმწამებელ ქალს შესაბამისი საზღაურის გადახდა დააკისრეს, თან გააფრთხილეს, რომ თუ მსგავს რამეს გაიმეორებდა, მას უცილობლად სოფლიდან გააძევებდნენ (გ. თედორაძე,

საზოგადოების მიერ[1], მის მიერ ჩადენილი დანაშაული საზოგადოებისთვის უაღრესად დიდი ზიანის მიმყენებელი იყო, მას დამამძიმებელი კონკრეტული გარემოებები (მაგალითად, რაიმე ზღვარგადასული უზნეობა) ახლდა თან, მეტი ალბათობა იყო საზოგადოებას მის მიმართ გაძევება გამოეყენებინა და მხოლოდ მოკვეთით არ დაკმაყოფილებულიყო.

ო. ზოიძე აღნიშნავს, რომ ისევე როგორც მოსაკვეთი პირი, გასაძევებელიც ესწრებოდა თემის სამსჯავროს, მით უმეტეს, წინასწარ არავინ იცოდა თემი დამნაშავეს მოიკვეთდა თუ გააძევებდა.[2] შესაძლოა, დამნაშავე დანაშაულის ჩადენის შემდეგ თვითონ გადახვეწილიყო თემიდან, იცოდა რა, რომ იქ აღარ დაედგომებოდა. ო. ზოიძის განმარტებით, ამ შემთხვევაში თემი დამნაშავეს დაუსწრებლად ასამართლებდა.[3]

როგორც ჩანს, გაძევებულის მიმართ დამოკიდებულება დროთა განმავლობაში შემსუბუქდა, იმასთან შედარებით, რაც ეს ვაჟას პოემაშია აღწერილი. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ XX საუკუნის II ნახევრის ფშავ და ხევსურ ინფორმატორებს ქონებრივი სანქციების ასეთი დეტალები არ ახსოვთ და გაძევებულის მიმართ ქონებრივი სანქციები ერთ-ერთი ფშაველი ინფორმატორის მეხსიერებას მხოლოდ დამნაშავისათვის „ბარგის გამოყრის“ სახით შემორჩა.

გაძევება უვადო იყო, თუმცა ეს არ გამორიცხავდა ზოგიერთ შემთხვევაში გაძევებულის შემორიგებასა და უკან დაბრუნებას. როგორც ჩანს, ამის ალბათობა დამოკიდებული იყო დანაშაულის სიმძიმეზე. მაგალითად, ხევსურეთში იკრძალებოდა ერთი სოფლის მცხოვრებთა შორის ქორწინება (მიუხედავად მათი ნათესაობისა). ამ წესის დამრღვევთ სოფლიდან აძევებდნენ. ნ. ბალიაური ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „თუ ქალ-ვაჟი ერთი სოფლიდან არიან და სხადასხვა გვარის, მაინც სოფელს და ნათესავებს გაერიდებიან. მათ წასვლის დროს არ მიაქვთ არაფერი. თავს აფარებენ ვინმე

ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ. 1930, 119).

[1] მ. კედელაძის ინფორმაციით, პიროვნება, რომელსაც მოკვეთას მიუსჯიდნენ გაძევების გარეშე, თუ ამის შემდეგ კიდევ ჩაიდენდა ასეთივე მძიმე დანაშაულს (საზოგადოების ღალატს), მაშინ მას აპყრიდნენ და გააძევებდნენ (მ. კედელაძე, ხევსურული მასალა, პირადი არქივი, 1951, რვეული №18, 3).

[2] ო. ზოიძე, იქვე, 111.

[3] იქვე.

შორეულ ნათესავთან. სოფელი ბრაზობს და სწყინს, რადგანაც ფიქრობს, რომ ერთი სოფლის ქალ-ვაჟი ერთიმეორეს საცოლქმრედ არ უნდა უყურებდესო.“[4] მ. კედელაძე კი მიუთითებს, რომ, თუ ქალი უკანონო შვილს გააჩენდა, გვარი თვითონ მოკლავდა უკანონო შვილის გამჩენ ქალს. „წინათ ორივეს ჩაქოლვა იცოდნენ, თუ ისინი გვარის შიგნით მოიმოქმედებდნენ ამას“. მოკლავდნენ მას ქალის ოჯახის წევრები, ე. ი. ქალის ძმა-ბიძაშვილები. თუ რაიმე მიზეზით ქალს ან კაცს ვერ ან არ მოკლავდნენ, მაშინ გააძევებდნენ. მაგრამ, თუ ეკუთვნოდა ცოლად, დააქორწინებდნენ, მაგრამ სოფლიდან მაინც გააძევებდნენ. თუ ერთი სოფლიდან იყვნენ, ორი-სამი წლის შემდეგ ისევ შეირიგებდნენ.[5] ამ მონაცემების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ თანასოფლელების დაქორწინება (თუნდაც უკანონო შვილის გაჩენის შემდეგ თუ დააქორწინა სოფელმა) თუ ნათესაობა (ან თანასოფლელობის გარდა სხვა ფაქტორი) არ იყო მათი ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება, მართალია იწვევდა მათ გაძევებას, თუმცა, როგორც ჩანს, არ წარმოადგენდა ძალზედ მძიმე დანაშაულს (ამ მონაცემებში გაძევებულთა მოკვეთაზეც არ არის მინიშნება და არც მათ მიმართ ქონებრივ სანქციებზე) და ამდენად, მათი შემორიგება ორ-სამ წელიწადში შესაძლებელი იყო. ცხადია, თუ ადგილი ექნებოდა მოგვარეებს შორის ასეთ უკანონო ურთიერთობას, ან სხვა უკიდურესად მძიმე შემთხვევებს (მაგალითად, როგორიც იყო ალუდა ქეთელაურის დანაშაული), შემორიგება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. შემორიგების შემთხვევაში გაძევებულის შემორიგების ცერემონიალი იმავე უნდა ყოფილიყო, როგორიც მოკვეთილის შემორიგების. საერთოდ უნდა ითქვას, რომ XX საუკუნეში ჩაწერილი მასალების მიხედვით, ფშავ-ხევსურეთში საზოგადოებიდან გაძევება არცთუ იშვიათად ფიქსირდება უკანონო ქორწინებისა (მათ შორის ნათესავებს შორის) და უკანონო შვილის გაჩენისათვის[6]. ეს გარემოება მიუთითებს, რომ საქართველოს ამ კუთხეში

---

[4] ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 36.

[5] მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, პირადი არქივი, ხელნაწერი, თბ., 1951, რვეული №7, 4-5.

[6] მაგალითად, ჩვენ მოვიყვანეთ მ. კედელაძის მონაცემი, რომლის მიხედვითაც გვარის შიგნით უკანონო შვილის გამჩენ ქალს მისი ძმა-ბიძაშვილები მოკლავდნენ, მაგრამ, თუ ეს არ მოხდებოდა, მაშინ გააძევებდნენ (მ. კედელაძე, იქვე);

ზნეობის დარღვევისათვის მძიმე სასჯელის გამოყენება საკლევ პერიოდშიც დღის წესრიგში იყო.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ხევსურეთში ჩაწერილ მასალებში გვხვდება მონაცემები პიროვნების მისივე ნათესავების მხრიდან დასჯის შესახებ. მაგალითად, მოკვეთის ინსტიტუტის განხილვისას საკმაოდ ვრცლად ვისაუბრეთ ნათესაობიდან მოკვეთის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ, მასალებში ნათესავების მიერ მოკვეთილი პიროვნების შესახებ საუბრისას, ასევე გვხვდება მისი სოფლიდან გაძევებაზე მინიშნებაც. როგორც აღინიშნა, ნათესაობიდან მოკვეთა ხდებოდა გარკვეული დანაშაულისათვის (მათ შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი). ცხადია, ნათესაობიდან მოკვეთილის გაძევება იმავე დანაშაულებისათვის მოხდებოდა. ნათესაობიდან მოკვეთილის გაძევებაზე მინიშნება არ უნდა იყოს გასაკვირი. ჩვენი აზრით, ზოგ შემთხვევაში, ნათესაობიდან მოკვეთა, ფაქტობრივად იწვევდა გაძევებას. როდესაც პიროვნებას მოიკვეთდა ნათესაობა, ეს გულისხმობდა მის გაძევებას საკუთარი ოჯახიდან (მაგალითად, უზნეობის ჩამდენი ქალის), მისთვის იკეტებოდა სხვა ნათესავთა ოჯახების კარებიც და ის ფაქტობრივად

ასევე, ნ. ბალიაურს მოჰყავს შემთხვევა, როდესაც სოფელ ახიელში (არხოტი), ერთი გვარის ქალ-ვაჟს გაუჩნდა უკანონო შვილი, რის გამოც ქალი ასევე სოფლიდან გაუძევებიათ. იგი მამის ოჯახს დიდხანს არ შეურიგებია, და მხოლოდ ოცი წლის შემდეგ შეურიგა იგი ძმამ (ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 80); აღნიშნული თვალსაზრისით ძალზედ საინტერესო ფაქტი იქნა ჩაწერილი ახმეტის რაიონში ჩასახლებულ ფშაველებში, „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის“ თანამშრომელთა მიერ 1987 წელს. ინფორმატორი გადმოგვცემს, რომ ერთ-ერთ სოფელში იპოვეს მკვდარი ახალშობილი. სოფლის თავკაცებმა დაადგინეს, თუ ვინ იყო ბავშვის უკანონოდ გამჩენი (მთელ სოფელში ყველა ქალი შეამოწმეს, ჰქონდა თუ არა რძე და ასე იპოვეს იგი), შემდეგ კი ეს ქალი ბავშვის უკანონოდ გაჩენისათვის სოფლიდან გააძევეს (დ. ჯალაბაძე, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1987, 9); მ. კანდელაკის მონაცემებით, გვართა შორის ქორწინების აკრძალვის სამანების დამოწმება ფშავშიც და ხევსურეთში რთული არაა. მაგალითად, კარატის ჯვარში ბასხაჯაურებსა და ლიქოკელებს სამანი აქვთ ჩადგმული იმის სამრისხველოდ, ანუ საწყევრად, რომ ერთმანეთის ქალი ცოლად არ შეერთოთ. წესის დამრღვევს ჯურუში უნდა გადაეხადა და ლიქოკის ხეობის ყველა მცხოვრებისათვის პატივი ეცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქალს გაუშვებდა. მაგრამ თუ ქალს ცოლად წაიყვანდა, უნდა აყრილიყო და სხვაგან გადასხლებულიყო (მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1988, თბ., 1991, 52, 54).

აღმოჩნდებოდა გაძევებული თავისი საცხოვრისიდან, საკუთარი სოფლიდან, მით უმეტეს ხევსურეთში ხშირად სოფლები ერთი ნათესაური ჯგუფით იყო დასახლებული და როდესაც ყველა ნათესავი მოიკვეთდა დამნაშავეს, მას სოფლიდანაც განდევნიდნენ. მაგალითად, ნ. ბალიაურს მოჰყავს შემთხვევა, როდესაც ქალმა საკუთარი ძმა დაასმინა სხვა პირთან (თავის ძმობილთან). ეს ქალის ოჯახმა და ნათესაობამ გაიგო და იგი მამამ, ძმამ, ყველა ნათესავმა სამუდამოდ მოიკვეთა. იგი გაძევებული აღმოჩნდა ნათესავებისაგან, როგორც ნ. ბალიაური ამბობს, უსახლკაროდ და უნათესაოდ დარჩენილი არავინ ითხოვა და ისე გარდაიცვალა, რომ არც ერთ ნათესავს მისთვის ხმა არ გაუცია.[1] ამ ქალის ოჯახისა და ნათესავების მხრიდან მოკვეთა, ფაქტობრივად მისი გაძევების ტოლფასი აღმოჩნდა.

3.2. **გაძევება სვანეთში.** გაძევება, როგორც სასჯელი, ფიქსირდება სვანეთშიც (საუბარი გვაქვს ბალსზემო სვანეთზე). ამ სასჯელის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ „სვანურ საისტორიო ძეგლებში გვხვდება". ამ გარემოებას თავის დროზე ყურადღება მიაქცია მ. კეკელიამ. მას მოჰყავს XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე შედგენილი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, სეტის თემის მოღალატე თემიდან უნდა განდევნილიყო.[2]

ჩვენს ხელთ არსებული XIX-XX საუკუნის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოს მოიანეთის მსგავსად, ეს სასჯელი, ძირითადად, გამოიყენებოდა საჯარო ხასიათის სამართალდარღვევებისას. კერძოდ, სვანეთში გაძევება თემის ყრილობის მიერ გამოიყენებოდა თემის ღალატისათვის, ეკლესიის გაძარცვისათვის. ამ დანაშაულებისათვის, როგორც ზემოთ ვნახეთ, გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა. ბ. ნიჟარაძე მიუთითებს, რომ თუ ყრილობა ამ ორ დანაშაულში რაიმე პატივსადებ და შესაწყნარებელ საბუთს დაინახავდა, დამნაშავეს სიკვდილით დასჯას შეუცვლიდა ოჯახიანად აყრით და საზოგადოებიდან განდევნით.[3] თუ რა იგულისხმება საპატიო მიზეზებში, ბ. ნიჟარაძე არ აკონკრეტებს. სავარაუდოდ, ამას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თემის ყრილობა წყვეტდა თავის შეხედულებისამებრ. სვანეთში გაძევება ასევე

[1] ნ. ბალიაური, სწროფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 17-18.

[2] მ. კეკელია, ზემო სვანეთის საზოგადოებრივი წყობილებისა და სამართლის საკითხები ადიშისა და მესტიის ოთხთავების მინაწერთა მიხედვით, თსუ შრომები, B I (138), 1971, 179.

[3] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, 86.

ფიქსირდება ნათესაობის (როგორც სისხლისმიერი, ისე სულიერი) წაბილწვისათვის.[1] ბ. ნიჟარაძე თემის ყრილობის უფლებების ჩამოთვლისას მიუთითებს, რომ ყრილობა მაჩვშის მეთაურობით „აჰყრიდა მოსახლეს, ერთს, ან მეტს, გადასწვავდა მის სახლ-კარს, განდევნიდა საზოგადოებიდგან მავნე პირთ.....“.[2] გაძევებულისათვის უძრავი და მოძრავი ქონების ჩამორთმევას ეგ. გაბლიანიც ადასტურებს.[3] როგორც ჩანს, გაძევებულის მიმართ ქონებრივი სანქციებიც გამოიყენებოდა, კერძოდ, სახლ-კარის გადაწვა, რაც იმაზეც უნდა მეტყველებდეს, რომ გაძევება სამუდამო იყო და დამნაშავესთან ერთად მისი ოჯახის წევრებსაც აძევებდნენ. სახლ-კარის გადაწვა გაძევებულის უკან დაბრუნების წინააღმდეგ იყო მიმართული.

გაძევების სამუდამო ხასიათი სვანეთში, უკან დაბრუნების უფლების გარეშე, ჩვენი აზრით, განპირობებული იყო იმით, რომ ეს სასჯელი, ფაქტობრივად, სიკვდილით დასჯის ალტერნატივად გამოიყენებოდა იმავე დანაშაულებისათვის, რისთვისაც სიკვდილით დასჯა. აღნიშნული დანაშაულები სვანეთში იმდენად მძიმედ აღიქმებოდა, რომ მათი ჩამდენი, მის მიმართ სიკვდილით დასჯის გამოუყენებლობის შემთხვევაშიც, საზოგადოებისათვის მკვდრად ითვლებოდა. ამიტომ მისი დაბრუნება დაუშვებელი იყო.

გამომდინარე იქიდან, რომ სვანეთში სიკვდილით დასჯა იშვიათად გამოიყენებოდა, საზოგადოებიდან გაძევება, ფაქტობრივად უმძიმეს სასჯელს წარმოადგენდა.

იმავე დანაშაულებისათვის სვანეთში გაძევებას ადასტურებს დ. დავითულიანიც. მისი თქმით, სრულიად სვანეთის თემთა საერთო ყრილობა, როგორც სასამართლო ფუნქციების მატარებელი ორგანო, იყენებდა ორი სახის სასჯელს: სიკვდილით დასჯასა და ხევიდან აყრა-გადასახლებას, ანუ გაძევებას.[4] იმავე ავტორის მითითებით, თემის ყრილობაც იყენებდა თემიდან აყრა-გადასახლებას.[5] როგორც ჩანს, გაძევება არა მარტო თემიდან, არამედ სრულიად სვანეთის ხევიდანაც იყო შესაძლებელი.

---

[1] რ. გუჯეჯიანი, ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან, თბ., 2008, 112.

[2] იქვე, 85.

[3] ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, ტფ. 1927, 65.

[4] დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975, 100.

[5] იქვე, 108.

საინტერესოა, რომ გაძევება, როგორც სასჯელი, ბალსზემო სვანეთში ფიქსირდება მ. კეკელიას მიერ XX საუკუნის 60-70-იანი წლებში ჩაწერილ მასალებშიც. როგორც ჩანს, სასჯელის ეს სახე საბჭოთა პერიოდშიც გამოიყენებოდა, თუმცა შედარებით იშვიათად. მხოლოდ რამდენიმე ინფორმატორი იხსენებს ამ სასჯელის გამოყენებას. მ. კეკელიას ინფორმატორებს გაძევების გამოყენება ფაქტობრივად იმავე დანაშაულებისათვის ახსოვთ, რისთვისაც მისი გამოყენება ბ. ნიჟარაძის მიხედვით ჩანს. ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით, თემიდან გაძევებას შესაძლოა ადგილი ჰქონოდა თემის გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის, რაც თემის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებას წარმოადგენდა და საზოგადოების ღალატის ტოლფასი იყო. ინფორმატორი მიუთითებს, რომ, თუ გამწვავებული მდგომარეობისას თემი ავალებს მხარეებს შერიგებას, ამის გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება. თუ პრინციპულ საკითხში რომელიმე მხარე არ დაუჯერებს საზოგადოებას – თემს, იგი უნდა გასცილდეს მას.[1] სხვა ინფორმატორი იხსენებს კონკრეტულ ფაქტს, როდესაც უშგულიდან გააძევეს ვინმე გ. ჩ., უშგულის ბარბალეს ეკლესიის გაძარცვისათვის, რის შემდეგაც იგი აღარ დაბრუნებულა.[2] 1927 წელს დამნაშავე კვირიკეს სახელობის ეკლესიის გაძარცვისათვის გაუძევებიათ. თავიდან, თურმე, მისი ჩაქოლვა უნდოდათ (კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესია ყველაზე საპატივცემლოდ ითვლებოდა სვანეთში და მისი გაძარცვა განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევდა), თუმცა დამნაშავის ნათესავების თხოვნით, თემი დათანხმებულა მის გაძევებას.[3] როგორც ვხედავთ, XX საუკუნის II ნახევარში ჩაწერილი მასალების მიხედვითაც, სვანეთში გაძევება გამოიყენებოდა საზოგადოების ღალატისა და ეკლესიის გაძარცვისათვის, თანაც იგი კვლავაც აღიქმებოდა სიკვდილით დასჯის ალტერნატივად, რასაც ბოლოს მოყვანილი კონკრეტული მაგალითი მიანიშნებს. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მ. კეკელიას მასალებში არანაირი ინფორმაცია არ არის გაძევებულის მიმართ ქონებრივი სანქციების გამოყენების თაობაზე. აქ აღარ ჩანს მისი სახლ-კარის გადაწვა, რასაც ბ. ნიჟარაძესთან ვხვდებით შედარებით ადრინდელ პერიოდში. სავარაუდოდ,

[1] მ. კეკელია, მასალები სვანეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატი, №5, 1968-1969, 26.

[2] იქვე, 80.

[3] იქვე, 80-81.

ასეთი საბის ქონებრივი ზიანის მიყენებას შედარებით გვიანდელ ხანაში (საბჭოთა ეპოქაში) ადგილი აღარ უნდა ჰქონოდა, თუმცა შესაბამისი მონაცემების უქონლობის გამო ამ საკითხზე სრულფასოვანი საუბარი შეუძლებელია.

როგორც ვხედავთ, სვანეთში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მსგავსად, გაძევება ყველაზე მძიმე საჯარო დანაშაულებისათვის გამოიყენებოდა, რომელსაც საზოგადოების ყრილობა უსჯიდა დამნაშავეს და დაკავშირებული იყო ქონებრივ სანქციებთან – დამნაშავის სახლ-კარის გადაწვასა და მისთვის ქონებრივი ზიანის მიყენებასთან.

3.3. გაძევება საქართველოს სხვა კუთხეებში. გაძევება, როგორც სასჯელი, გვხვდება საქართველოს სხვა რეგიონების ჩვეულებით სამართალშიც, მათ შორის ბარის რეგიონებშიც. მას ვხვდებით თუშეთში, მთიულეთში, ხევში, იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში[1], ლეჩხუმში, მესხეთში, აჭარაში, ქართლში, რაჭაში დაფიქსირებულ ჩვეულებითი სამართლის მასალებში. აჭარაში იგი სოფლიდან „განდევნადაც“ მოიხსენიება ადგილობრივი ინფორმატორების მიერ.[2]

მასალების მიხედვით, გაძევების გამოყენება ზოგიერთი ისეთი დანაშაულისათვის ხდებოდა, რისთვისაც მოკვეთა, უნდობლობის, ბოიკოტის გამოცხადება. გაძევების მისჯას უფრო რთულ, მძიმე შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, ვიდრე მოკვეთის, უნდობლობისა თუ ბოიკოტის გამოცხადებას.[3] როდესაც საზოგადოება ჩათვლიდა, რომ პიროვნების მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის ბოიკოტის, უნდობლობის გამოცხადება საკმარისი არ არის, მაშინ მისი გაძევების გადაწყვეტილებას იღებდა. ამ კუთხეების წარმომადგენელი ინფორმატორები მიუთითებენ, რომ გაძევება უმძიმესი სასჯელი იყო (უფრო მძიმე, ვიდრე მოკვეთის, ბოიკოტის თუ უნდობლობის გამოცხადება),

---

[1] მეგრელი ინფორმატორი ამ სასჯელს „გინოხორიფას“ უწოდებს (მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე), ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 48).

[2] მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 45; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, 1989, 52.

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამარათალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 12; ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 30.

ხოლო ზოგიერთი მათგანის მითითებით კი სასჯელის უმაღლეს ზომას წარმოადგენდა.[1]

ინფორმატორთა განმარტებით, გაძევება ყველაზე მძიმე დანაშაულებისას გამოიყენებოდა.[2] ამ კუთხეებში გაძევება ხშირად ხდებოდა ქურდობისათვის. მხედველობაშია სისტემატური ქურდობა სოფლის (თემის) შიგნით. ქურდს საზოგადოების თავკაცები ჯერ გააფრთხილებდნენ (გაფრთხილება შესაძლოა არაერთხელ მომხდარიყო), მაგრამ თუ იგი არ გამოსწორდებოდა და კვლავ განაგრძობდა ქურდობას, მას გააძევებდნენ.[3] მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორის მიხედვით, ქურდობის საქმე ასე წყდებოდა: თავკაცები რამდენჯერმე გააფრთხილებდნენ ქურდს მეტი აღარ მოეპარა. თუ არ გამოსწორდებოდა ქურდი, მოიწვევდნენ საზოგადოების ყრილობას და ასეთ კაცს გაასახლებდნენ.[4] იმერელი ინფორმატორი

[1] ჯ. მერაბიშვილი, იქვე, 25; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989-1990, 24; გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 44; ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, გაზ. „იერია", 1888, №185; ს. მაკალთია, თუშეთი, თბ., 1983, 103.

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 20, 21; ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 14, 28; მ. კედელაძე, პირადი არქივი, რაჭის მასალა, 1951, რვეული №2, 3; ალ. ხახანაშვილი; იქვე, ს. მაკალათია, იქვე; ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1966, 146-147; მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობა) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 27.

[3] დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგაფიული რვეული, 1989, 19; ო. ზოიძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 14; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 13-14, 52; მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 18; ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 12, 45; გ. დავითაშვილი მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 8, 44; ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 21, 30, 72; ქურდის გაძევება თემიდან დასტურდება თუშეთშიც (ვ. ლაგაზიძე, დასახ. ნაშრ., 146-147).

[4] ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 19.

კონკრეტულ შემთხვევას იხსენებს, როდესაც მისი თანასოფლელი, ვინმე ჭ.ი., ერთხელ გააფრთხილეს ქურდობისათვის, მეორედ გააფრთხილეს და ამის შემდეგ კიდევ ქურდობაზე წაასწრეს. სოფელმა ეს გამოუსწორებელი ქურდი სოფლიდან გააძევა.[1] ითვლებოდა, რომ ქურდი, რომელიც საკუთარ სოფელში (თემში) სისტემატურად ქურდობდა, ამით ხელყოფდა სოფლის მშვიდობიანობას და სხვას ცუდ მაგალითს აძლევდა. ამ სიტუაციიდან გამოსავალი კი იყო უკიდურესი ზომების მიღება დამნაშავის მიმართ, რაც ამ უკანასკნელის გაძევებაში გამოიხატებოდა. სავარაუდოა, იმავე მოტივით გაძევება გამოყენებულიყო სხვა დანაშაულთა სისტემატური ჩადენის შემთხვევაშიც, ზოგადად, გამოუსწორებეული დამნაშავის მიმართ. როგორც ს. მაკალათია მიუთითებს, თუშეთში გამოუსწორებელი დამნაშავე თემისგან იდევნებოდა.[2]

ასევე ძალზედ ხშირი იყო საქართველოს ამ კუთხეებში გაძევება უზნეო (უნამუსო, გარყვნილი) საქციელის ჩადენისათვის. უზნეო საქციელისათვის მის ჩამდენ მამაკაცსაც აძევებდნენ ხოლმე და ქალსაც.[3] გაძევებას ვხვდებით ქალის გაუპატიურების შემთხვევაშიც.[4] ინფორმატორებს კონკრეტული მაგალითებიც მოჰყავთ უზნეო საქციელის ჩამდენთა სოფლიდან (თემიდან) გაძევების შესახებ. მაგალითად, იმერელი ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას, როდესაც მოგვარეებმა (გარე ბიძაშვილებმა) შეიყვარეს ერთმანეთი და იქორწინეს.

---

[1] გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 43.

[2] ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1983, 103.

[3] მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 45, 47; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 25; გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 7; ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 25; გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 7; ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 28; მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 9, 38-39.

[4] ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 28; მისივე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 13-14; მისივე, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 21, 30, 32.

ამის გამო სოფელმა ისინი სოფლიდან გააძევა.[1] გურიაში კი ერთმა პიროვნებამ თავისი ქვრივი ნათლიდედა შეირთო ცოლად. ნათელმირონის გატეხვის გამო იგი სოფლიდან (ზემო სურები) გააძევეს და სხვა სოფელში ნათესავებთან ცხოვრობდა.[2] ასევე გურიაში სოფლიდან გაუძევებიათ უკანონო შვილის გამჩენი ქალიც.[3] სამეგრელოში კი 50 წლის კაცს შეუცდენია 17 წლის მოგვარე მეზობელი, რასაც მისი გაძევება მოჰყოლია.[4] რაჭაში მამაკაცმა ბიძაშვილის ცოლთან იმრუშა, რის გამოც ორივე სოფლიდან იქნა გაძევებული.[5] ხევის ერთ-ერთ სოფელში ხანდაზმულმა კაცმა პ. ჩ.-მ სქესობრივი კავშირი შესთავაზა თანასოფლელ ქალს. ამ ქალმა ეს შესჩივლა სოფლის კაცებს. სოფლის კაცებმა ამ უღირსი საქციელის ჩამდენი სოფლიდან გააძევეს. გაძევებული ამ დროს დაახლოებით 60 წლის იყო და ამის მერე სოფელში არ დაბრუნებულა.[6] საინტერესოა, რომ მსგავსი უზნეო ქმედებისათვის ხევის თემიდან გაძევება, თემის ყრილობის გადაწყვეტილებით, გვხვდება ალ. ყაზბეგის ნაწარმოებში „მოძღვარი". ცნობილია, რომ ალ. ყაზბეგის ნაწარმოებები მოხევეთა რეალურ ყოფას ეფუძნება და ამდენად, საყურადღებოა ჩვენთვის. ნაწარმოების მიხედვით სამების საბჭოში შეკრებილმა თემის ყრილობამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: „მაყვალა, როგორც ..... მოღალატე ქმრისა და მოვალეობისა, შემრცხვენი თემობისა და სახლისა, გამწბილებელი ოჯახობისა და ნათესაობისა, — შეკრულ იქნას და განდევნილ ხევიდგან. ონისე, როგორც დიაცის გამწბილებელი და მეზობლის ოჯახობის შეურაცხმყოფელი, შემრცხვენი ქუდოსანთ სქესისა, დამრღვევი თემის წესისა, გამტეხი მეზობლის სახლისა, — შეკრულ იქნას და

---

[1] მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 8-9.

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, 1989, 30.

[3] იქვე.

[4] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 53-54. იმავე შემთხვევას სხვა ინფორმატორიც იხსენებს (ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 14-15).

[5] მ. კედელაძე, პირადი არქივი, რაჭის მასალა, 1952, რვეული №6, 1-3.

[6] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №3, 30.

განდევნილი ხევიდგან."[1]

როგორც ჩანს, აღნიშნულ ქმედებათა ჩამდენთ საზოგადოება საშიშად მიიჩნევდა, რადგანაც უკანონო ქორწინება, უკანონო სქესობრივი კავშირი, სქესობრივი ძალადობა, უკანონო შვილის გაჩენა მძიმე დანაშაულებად აღიქმებოდა და ამიტომ, შესაძლოა, საზოგადოებას მათ ჩამდენთა გაძევების გადაწყვეტილება მიეღო. როგორც ალ. ყაზბეგის ნაწარმოებში გამოჩნდა, თემში მრუშობის ჩადენა თემის წესის დარღვევად და უკიდურესად სამარცხვინო და უკადრის საქციელად ითვლებოდა და ამდენად, დამნაშავეები — ქალიცა და კაციც საერთოდ ხევიდან იქნენ განდევნილნი.

ინფორმატორთა მონაცემებით, გაძევება ასევე გამოიყენებოდა მკვლელობისას, სოფლის ღალატისას, სოფლის პირის გატეხვისას, ასევე, სოფელში სისტემატურად არეულობის შეტანისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის სისტემატური დარღვევისათვის (ენის მიტან-მოტანით, ჩხუბის ხშირი ატეხვით და სხვა), საზოგადოების უპატივცემლობისა და აბუჩად აგდებისათვის.[2] მაგალითად, გ. ელიავას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი სამეგრელოს სინამდვილიდან საზოგადოების მოღალატის გაძევებისა, რომელმაც ხალხის საიდუმლოება გასცა.[3] ალ. ყაზბეგის ზემოთ მოყვანილ ნაწარმოებში ასევე ჩანს, რომ თემის ყრილობა იმავე საქმეზე თემიდან გაძევებით სჯის ქალის ქმარსაც — გელას, თანამოთემის სისხლის დაღვრისა და ასევე თემის პირის გატეხვისათვის, კერძოდ, თემის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის,[4] რაც თემის ღალატად აღიქმებოდა. სოფლის პირის გატეხვისათვის, რაც გამოიხატა სოფლის საერთო საქმის უგულებელყოფაში, გაძევების კონკრეტული

---

[1] ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1948, 324.

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 13-14; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989-1990, 19; მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 37; ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, 1988, 28; მისივე, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 21, 30; დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 40-41; ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, გაზ. „ივერია", 1888, №185.

[3] გ. ელიავა, დასახ. ნაშრ., 70.

[4] ალ. ყაზბეგი, იქვე.

ფაქტი ფიქსირდება გურიაშიც, სოფელ შუა სურებში.[1] მ. კანდელაკს მთიულეთში აქვს დაფიქსირებული დამნაშავის გაძევება მეზობლის მკვლელობის გამო.[2]

მკვლელობის შემთხვევაში საზოგადოების გაძევება თანასოფლელის (თანამოთემის) მკვლელობისას შეიძლება მომხდარიყო. ამას იმ საზოგადოებაში შეიძლება ჰქონოდა ადგილი, რომელიც გარკვეული ტერიტორიული ერთეულის შიგნით მკვლელობას საჯარო სამართალდარღვევად აღიქვამდა.

ამრიგად, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ზემოთ ჩამოთვლილ კუთხეებში საზოგადოებიდან გაძევებას ყველაზე ხშირად ადგილი ჰქონია საზოგადოების (ძირითადად სოფლის, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სოფლის გარდა თემის) შიგნით სისტემატური ქურდობისათვის, ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისათვის, ასევე საზოგადოების ღალატისათვის, მკვლელობისათვის და სხვა. ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში მოცემულ დანაშაულთა ჩამონათვალი, რომელთათვისაც შეიძლება საზოგადოებიდან გაძევება გამოყენებულიყო, ამომწურავი არ უნდა იყოს. სავარაუდოდ, გაძევება (ბოიკოტის თუ უნდობლობის გამოცხადების ანალოგიურად), შესაძლოა, სხვა შემთხვევებშიც გამოეყენებინათ, ნებისმიერი იმ დანაშაულისათვის, რომელიც საზოგადოების ინტერესს ხელყოფდა და მისი ჩამდენი საზოგადოების მიერ იმდენად საშიშად აღიქმებოდა, რომ მისი სოფელში დატოვება მიზანშეუწონლად ჩაითვლებოდა.

მასალების მიხედვით ჩანს, საქართველოს აღნიშნულ რეგიონებში (გარდა აღმოსავლეთ საქართველოს კუთხეებისა), როგორც წესი, გაძევება ხდებოდა სოფლიდან, სოფლის ყრილობის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, სოფლის თავკაცების ინიციატივით.[3] გაძევებული ტოვებდა სოფელს და თანასოფლელები

[1] გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 7-8.

[2] მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, 1988, თბ., 1991, 73.

[3] დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 19; გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 7; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართლზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 52; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989-1990, 24-25; მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული

მასთან ნებისმიერი სახის ურთიერთობას წყვეტდნენ. გვხვდება კონკრეტული შემთხვევები, როდესაც საზოგადოების ყრილობას განუხილავს პიროვნების სოფლიდან გაძევების საკითხი, თუმცა დამნაშავე შეუწყნარებია და აღარ გაუძევებია. მაგალითად, გურიაში ერთ-ერთი სოფლიდან სურდათ სუსტი ყოფაქცევის ქალის სოფლიდან გაძევება, თუმცა რამდენიმე პიროვნება წასულა ამის წინააღმდეგ იმ მოტივით, რომ ამ ქალის საქციელს თანასოფლელი მამაკაცები უწყობდნენ ხელს, ხოლო ეს ქალი უქმრო იყო და ოთხი შვილი ჰყავდა.[1] მსგავსი შემთხვევა იმერეთშიცაა დაფიქსირებული.[2] აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რეგიონებში (თუშეთი, ხევი, მთიულეთი) გაძევება გვხვდება როგორც სოფლიდან (სოფლის ყრილობისა თუ სოფლის თავკაცების მიერ), ისე თემიდან და მთელი კუთხიდანაც კი. მაგალითად, ალ. ხახანაშვილის ცნობით, გაძევების შესახებ გადაწყვეტილებას იღებდნენ თუშეთის თემების წარმომადგენლები.[3] ეს იმას უნდა მიუთითებდეს, რომ შესაძლებელი იყო დამნაშავე თუშეთის არა მარტო ცალკეული თემიდან გაეძევებინათ, როგორც ეს ს. მაკალათიასთან ჩანს,[4] არამედ მთელი თუშეთიდან. ალ. ყაზბეგის ნაწარმოების მიხედვითაც ჩანს, რომ დამნაშავეები სრულიად ხევიდან იქნენ გაძევებულნი.[5]

გაძევებასთან ერთად შესაძლოა დამნაშავისათვის სხვა სასჯელის შეფარდებაც მომხდარიყო. მაგალითად, ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში გვხვდება რამდენიმე კონკრეტული შემთხვევა, როდესაც დამნაშავის მიმართ ჯერ გამოყენებულ იქნა გამაწბილებელი სასჯელი, ხოლო შემდეგ იგი გაძევებულ იქნა სოფლიდან.[6] ასევე გვხვდება შემთხვევა,

---

რეული, 1988, 37; ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1986, 20; მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 18.

[1] ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №2, 15.

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 12.

[3] ალ. ხახანაშვილი, იქვე.

[4] ს. მაკალათია, იქვე.

[5] ალ. ყაზბეგი, იქვე.

[6] მაგალითად, იმერეთში მრუშობის ჩამდენნი ჯერ ვირზე შესვეს და ისე ჩა-

როდესაც გაძევებამდე ქურდობის ჩამდენი ჯერ შერისხეს (დაწყევლეს).[1] ერთ-ერთი გურული ინფორმატორის თქმით, გაძევებამდე ბოიკოტის გამოცხადება ხდებოდა (ადვილი დასანახია ანალოგია ფშავ-ხევსურეთთან, სადაც გაძევების წინ მოკვეთა ახლდა). აღნიშნული ინფორმატორის მიხედვით ეს საერთო წესი იყო.[2] ინფორმატორის ეს ძინიშნება არ უნდა იყოს უსაფუძვლო. სრულიად შესაძლებელია, რომ გაძევებას წინ უსწრებდა ბოიკოტის გამოცხადება, როდესაც დამნაშავეს საზოგადოება ჯერ გარიყავდა, ხოლო შემდეგ დანაშაულის სიმძიმისა და პიროვნების საზოგადოებისათვის საშიშროების გამო, დამატებით, განდევნიდა სოფლიდან. ნიშანდობლივია, რომ ერთ-ერთი გურული ინფორმატორი გაძევებას, სოფლიდან გასახლებას ბოიკოტის ერთ-ერთ ფორმად თვლის.[3] როგორც ჩანს, იგი გაძევებას ბოიკოტის შედარებით დამძიმებულ ფორმად აღიქვამდა, როდესაც დამნაშავის საზოგადოებიდან გარიყვას, მისი გაძევება ემატებოდა.

გაძევების წინ მოკვეთის განხორციელება არ უნდა იყოს გასაკვირი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რეგიონებში. ალ. ყაზბეგის ზემოთ ნახსნებ ნაწარმოებში პირდაპირ არის მინიშნება იმაზე, რომ სამივე გაძევებული დაიწყევლა და ამავე დროს, მოკვეთილ იქნა თემიდან. მოკვეთის ელემენტი სწორედ წყევლის ფორმულაში გამოჩნდა.[4] თითოეულ მათგანს დაწყევლის, მოკვეთისა და გაძევების ნიშ-

---

მოატარეს სოფელში და შემდეგ გააძევეს (მ. კედელაძე, პირადი არქივი, რაჭის მასალა, 1952, რვეული №6, 1-3). ასევე მესხეთში გაუპატიურების ჩამდენის მიმართ გაძევების წინ იმავე გამაწბილებელი სასჯელი გამოიყენეს (ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 32); გაძევების წინ გამაწბილებელი სასჯელის გამოყენებას ქსნის ხეობაშიც ვხვდებით (მ. კეკელია, მასალები მთიულეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 38-39).

[1] მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრფიული რვეული, 1989, 39-40. ალ. ყაზბეგის ნაწარმოების მიხედვითაც გამოჩნდა, რომ გაძევებას ასევე წინ უსწრებდა დაწყევლა (ალ. ყაზბეგი, იქვე).

[2] დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 40-41.

[3] ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 9.

[4] „წყეულმც იქნება, ვინც მათ ხელს გაუწვდის, მოწყურებულს წყალს მიაწვდის, შეცივებულს დაათბუნებს და შებრალებულს ჰყოფს., წყეულიმც იქნება და განდევნილი თემისაგან“ (ალ. ყაზბეგი, იქვე).

ნად ჩაუდგეს სამრისხველო სამანი.[1] აღვნიშნავთ იმასაც, რომ ჩვენს ხელთ არსებულ სხვა მონაცემებში ხევის, თუშეთისა და მთიულეთის შესახებ გაძევების წინ დამნაშავის მოკვეთა არ გვხვდება. ეს ამ რეგიონებში გაძევების ინსტიტუტის შესახებ მონაცემების სიმწირით უნდა აიხსნას. ჩვენი ვარაუდით, აღმოსავლეთ საქართველოს ამ რეგიონებშიც, სანამ თემური ურთიერთობები ძლიერი იყო და თემი გავლენიან ძალას წარმოადგენდა, გაძევების შემთხვევაში დაწყევლისა და მოკვეთის გამოყენებაც ჩვეულებრივი მოვლენა უნდა ყოფილიყო.

ზოგიერთი ინფორმატორი მიუთითებს, რომ გაძევება უვადო იყო,[2] ზოგიერთი კი მის ვადიანობაზე საუბრობს.[3] როგორც ჩანს, საქართველოს აღნიშნულ რეგიონებში გაძევების ორივე სახე იყო შესაძლებელი. მაგალითად, ლეჩხუმში ჩაწერილ მასალაში გვხვდება შემთხვევა, როდესაც ქურდი სოფლიდან ორი წლით გააძევეს.[4] გურიაში კი უკანონოდ დაქორწინებული სამი წლით გააძევეს, ხოლო შემდეგ იგი ჩვეულებრივ დაბრუნდა და გააგრძელა სოფელში ცხოვრება.[5] ქურდის თემიდან გაძევებაზე თუშეთში ერთი წლიდან სამ წლამდე, საუბრობს ვ. ლაგაზიძე. ამ ვადის გასვლის შემდეგ ქურდს ჩვეულებრივ შეეძლო უკან დაბრუნება.[6] თუ რაზე იყო დამოკიდებული გაძევების ვადიანობა ან უვადობა, ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში ცალსახად არ ჩანს. ერთ-ერთი აჭარელი ინფორმატორი ამასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ გაძევება უვადოდ ხდებოდა, მაგრამ, „თუ დამნაშავე ღრმად არ იყო შერცხვენილი ხალხთან," მას რამდენიმე წლით გააძევებდნენ და ამ დროის გასვლის შემდეგ იგი უკან დაბრუნდე-

[1] იქვე.

[2] მ. კედელაძე, პირადი არქივი, ლეჩხუმის მასალა, 1951, რვეული №7, 6; გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული მასალა, 1989, 7; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 25, 52; მისივე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 19; დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 16;

[3] ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 9.

[4] ო. ზოიძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 20.

[5] ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 30.

[6] ვ. ლაგაზიძე, დასახ. ნაშრ., 147.

ბოდა.[1] როგორც ვხედავთ, ეს ინფორმატორი გაძევების ვადიანობასა თუ უვადობას დანაშაულის სიმძიმეს უკავშირებს. მისი ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ შედარებით მსუბუქ შემთხვევაში დამნაშავისათვის გაძევება შეიძლება რამდენიმე წლით შეეფარდებინათ და არა მუდმივად. ჩვენი აზრით, ეს ინფორმატორი გაძევების ფორმის (ვადიანი უნდა იყოს თუ უვადო) განსაზღვრის უნივერსალურ პრინციპზე მიგვანიშნებს. სრულიად ლოგიკურია, რომ დამნაშავე, რომელმაც იმდენად მძიმე დანაშაული ჩაიდინა, რომ მისი სოფლად ცხოვრება შეუძლებელია, მუდმივად გაძევდებოდა, ხოლო თუ შედარებით ნაკლებად სამარცხვინო ქმედება ექნებოდა ჩადენილი, შესაძლოა, მისი გარკვეული ვადით გაძევება ჩაეთვალათ მიზანშეწონილად. გადაწყვეტილება იმის შესახებ, გაძევება ვადიანი უნდა ყოფილიყო თუ უვადო, როგორც ჩანს, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე მიიღებოდა. გაძევების ვადის გასვლის შემდეგ, გაძევებულს სრული უფლება ჰქონდა უკან დაბრუნებულიყო საკუთარ სოფელში საცხოვრებლად. ზოგიერთი ინფორმატორის მონაცემით, იგი ბოდიშს მოიხდიდა თანასოფლელთა წინაშე და დაიფიცებდა, რომ აღარ ჩაიდენდა რაიმე სოფლის საწინააღმდეგო ქმედებას.[2] ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში არის გარკვეული მინიშნება იმასთან დაკავშირებითაც, რომ შესაძლოა დამნაშავე უვადოდ (კონკრეტული ვადის მითითების გარეშე) გაეძევებინათ, თუმცა იგი გარკვეული დროის მერე მაინც დაბრუნებულიყო სოფელში, ცხადია, თუ თანასოფლელები აპატიებდნენ მას და მიზანშეწონილად ჩათვლიდნენ მის შემორიგებას. ერთ-ერთი ინფორმატორი, რომელიც დამნაშავის უვადო გაძევებაზე საუბრობს, იქვე მიუთითებს, რომ შესაძლებელი იყო მისი შემორიგება და უკან დაბრუნება.[3] მსგავსი მინიშნება მეორე ინფორმატორთანაც გვხვდე-

[1] ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989-1990, 24-25.

[2] ერთ-ერთი გურული ინფორმატორი მიუთითებს, რომ გაძევების ვადის გასვლის შემდეგ დამნაშავე უნდა მისულიყო სოფლის ეკლესიაში, მოენანიებინა დანაშაული და დაეფიცა, რომ სოფლის საწინააღმდეგოს აღარაფერს იზამდა (ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, 1989, №1, 9); აჭარელი ინფორმატორის მიხედვით კი სოფლად დაბრუნებული გაძევებული სახალხოდ ბოდიშს მოიხდიდა და ყურანზე დაიფიცებდა, რომ აღარაფერს დააშავებდა (ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989-1990, 24-25).

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 25.

ბა.[1] საერთოდ, პიროვნებისათვის საკუთარი სახლ-კარიდან მოშორებით ცხოვრება ძალზედ მძიმე იყო, ამიტომ მას ჰქონდა ბუნებრივი ლტოლვა უკან დაბრუნებისა. თუ პიროვნება გაძევებული იქნებოდა კონკრეტული ვადის მითითების გარეშე, სრულიად შესაძლებელია, გარკვეული წლების გასვლის შემდეგ მას თხოვნით მიემართა თანასოფლელთათვის, რომ ეპატიებინათ და მიეცათ მისთვის დაბრუნების უფლება. ჩვენ შესაბამისი კონკრეტული ცნობა არ გაგვაჩნია, თუმცა ინფორმატორთა აღნიშნული მინიშნებების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში დამნაშავის შემორიგება არ იყო გამორიცხული, თუ, რა თქმა უნდა, მას რაიმე უკიდურესად მძიმე ან სამარცხვინო ქმედება არ ექნებოდა ჩადენილი, რაც აბსოლუტურად გამორიცხავდა მის დაბრუნებას სოფელში.

მასალების მიხედვით, დამნაშავე შესაძლოა მარტოც გაეძევებინათ და ოჯახის წევრებთან ერთადაც. მაგალითად, ერთ-ერთი ლეჩხუმელი ინფორმატორი მიუთითებს, რომ გაძევება მხოლოდ ქურდს ეხებოდა და არა მის ოჯახის წევრებს.[2] სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელი სხვა ინფორმატორებიც ადასტურებენ, რომ გაძევება, შესაძლოა, მხოლოდ პიროვნული ყოფილიყო.[3] ამ შემთხვევაში დამნაშავის ოჯახის წევრებზე იყო დამოკიდებული, ისინი თან გაჰყვებოდნენ გაძევებულს, თუ სოფელში დარჩებოდნენ საცხოვრებლად.[4] თუ დამნაშავესთან ერთად მისი ოჯახის წევრებსაც გააძევებდნენ, მაშინ მათ ასეთი არჩევანი არ ჰქონდათ. დამნაშავის ოჯახის წევრებთან ერთად გაძევებას არაერთი ინფორმატორი ადასტურებს.[5] ზოგიერ-

---

[1] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 37.

[2] ო. ზოიძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 20.

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 25, 52; დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 16.

4 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989-1990, 24-25.

[5] ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989-1990, 19; მისივე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №1, 9; ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 12, 19.

თი მთაგანი ორივე შემთხვევის შესაძლებლობას მიუთითებს.[1] ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში არის გარკვეული მონაცემები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია მსჯელობა იმაზე, თუ რა შემთხვევაში მოხდებოდა მხოლოდ დამნაშავის გაძევება და რა შემთხვევაში მასთან ერთად მთელი მისი ოჯახის. ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით, თუ დანაშაული განსაკუთრებით სამძიმო იყო, მაშინ დამნაშავესთან ერთად გააძევებდნენ მის შვილებს, მშობლებს, ოჯახის წევრებს.[2] როგორც ჩანს, ამ ინფორმატორის მიხედვით, დამნაშავის გაძევება მარტო მოხდებოდა თუ ოჯახთან ერთად, დანაშაულის სიმძიმეზე იყო დამოკიდებული. აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესო შემთხვევა ფიქსირდება სამეგრელოში. ერთ-ერთ სოფელში ახალგაზრდა პიროვნებამ, სიმთვრალეში სქესობრივი კავშირი დაიჭირა მეზობლის შვიდი წლის შვილთან. ამის გამო სოფელმა დამნაშავე მის ოჯახთან ერთად გააძევა.[3] ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, დამნაშავის საქციელი იმდენად აღმაშფოთებელი აღმოჩნდა სოფლისთვის, რომ არა მარტო დამნაშავე გააძევეს, არამედ მთელი მისი ოჯახი, რომელშიც იგი გაიზარდა. სოფელმა, სავარაუდოდ, ამ შემთხვევაში გაითვალისწინა აღნიშნული დანაშაულის გარემოებები და შეუძლებლად მიიჩნია უკიდურესად სამარცხვინო საქციელის ჩამდენი დამნაშავისა და მისი ოჯახის სოფელში დატოვება. ამდენად, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დამნაშავეს მარტო გააძევებდნენ თუ ოჯახთან ერთად, დამოკიდებული იყო კონკრეტული დანაშაულის ხასიათზე, მის სიმძიმეზე და ასევე მოცემული დანაშაულისათვის დამახასიათებელ გარემოებებზე. წინასწარ დადგენილი შესაბამისი პირობები არ უნდა არსებულიყო.

მთელი ოჯახის გაძევებას, სავარაუდოდ, მაშინაც ექნებოდა ადგილი, როდესაც დანაშაულის ჩადენაში მთელი ოჯახი მიიღებდა მონაწილეობას, ისევე, როგორც ამას ვხვდებით ბოიკოტის გამოცხადების შემთხვევაში, თუმცა კონკრეტული მონაცემები ამისა ჩვენს

---

[1] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 37; ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 14-15.

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1986, 20.

[3] ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 67.

ხელთ არსებულ მასალებში არ მოგვეპოვება.

ბოლოს, რამდენიმე სიტყვა შეიძლება ვთქვათ გაძევებულის ქონების ბედზეც. ამ მასალების საფუძველზე ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ზემოთ ჩამოთვლილ კუთხეებში (გარდა აღმოსავლეთ საქართველოს კუთხეებისა) გაძევება დამნაშავისა და მისი ოჯახისათვის ქონების ჩამორთმევასთან არ იყო დაკავშირებული.[1] ცხადია, თუ მას სისტემატური ქურდობისათვის აძევებდნენ, იგი შესაბამის საზღაურს გადაიხდიდა. სხვა რაიმე ქონებრივ დანაკარგს გაძევებული არ განიცდიდა. სანამ პიროვნება გაძევებული იყო, მისი ქონება ხელუხლებელი რჩებოდა და დაბრუნების შემდეგ იგი ჩვეულებრივ გააგრძელებდა ამ ქონების ფლობასა და სარგებლობას.[2] თუ სამუდამოდ ტოვებდა თავის სოფელს ოჯახთან ერთად, მაშინ იგი თავის მოძრავ ქონებას თან წაიღებდა, ხოლო უძრავს გაჰყიდდა. ინფორმატორის განმარტებით, უპირველეს ყოვლისა, ეს უძრავი ქონება გაძევებულს თავისი ძმა-ბიძაშვილებისათვის უნდა შეეთავაზებინა. სხვა გვარის წევრზე გასაყიდად სწორედ ამ უკანასკნელთა თანხმობა იყო საჭირო.[3] სამწუხაროდ, აღნიშნულ საკითხზე მონაცემები ხევში, თუშეთსა და მთიულეთში არ მოგვეპოვება.[4]

მასალების მიხედვით, ერთადერთი შემთხვევა, როდესაც გაძევებული ქონებრივ დანაკლის განიცდიდა, იყო სუსტი ყოფაქცევის ქალის გაძევება სოფლიდან. როგორც ერთ-ერთი ინფორმატორი მიუთითებს, თუ ქალს „ბოზობისათვის" გააძევებდნენ, მას არც მზითვს გაატანდნენ და არც წილს.[5]

---

[1] ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989-1990, 19.

[2] ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №1, 9.

[3] ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989-1990, 19.

[4] შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აქ ისეთივე წესები უნდა ყოფილიყო, რაც ფშავ-ხევსურეთში (განსაკუთრებით ეს მძიმე შემთხვევებს ეხება, როგორიც, მაგალითად, ალ. ყაზბეგის ზემოთ ნახსენებ ნაწარმოებშია ასახული), თუმცა შედარებით ნაკლებად მძიმე შემთხვევისას (მაგალითად, რასაც ვადიანი გაძევება მოჰყვება, რაც თუშეთში ქურდობისასაა დაფიქსირებული), სრულიად შესაძლებელია, გაძევებულის ქონების მიმართ იმავე რეჟიმი ყოფილიყო, რაც საქართველოს ზემოთ ჩამოთვლილ კუთხეებში — გურიაში, აჭარაში და სხვა.

[5] ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული

საქართველოს ზემოთ ჩამოთვლილ კუთხეებში გაძევება, როგორც სასჯელი, დაახლოებით ერთგვაროვნად გამოიყენებოდა. ამდენად, ამ კუთხეებიდან რომელიმეში გაძევებასთან დაკავშირებული გარკვეული მონაცემი, შესაძლებელია სხვებთან დაკავშირებითაც გამოვიყენოთ. ამდენად, აქ ჩამოყალიბებული სურათი გაძევების შესახებ, ძირითადად, საერთოა ყველა ამ კუთხისათვის. აღნიშნული შესაძლოა გავავრცელოთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის განსახილველ კუთხეებზეც (ხევი, მთიულეთი, თუშეთი). თუმცა ამ კუთხეებში გაძევების შესახებ ცნობების სიმცირე არ გვაძლევს საშუალებას უფრო სრულყოფილად განვიხილოთ ამ ინსტიტუტის მოქმედება აღნიშნულ კუთხეებში.

4. ქონებრივი სასჯელები

ქართული ჩვეულებითი სამართლის XIX-XX საუკუნეების მასალების მიხედვით სასჯელის ძალზედ გავრცელებულ სახედ გვევლინება ქონებრივი საზღაური — კომპოზიცია.[1] საქართველოს მთიანეთში (განსაკუთრებით სვანეთსა და ხევსურეთში) სისხლის აღების, შურისძიების ინსტიტუტი საკმაოდ დიდხანს შემორჩა, თუმცა კომპოზიციათა სისტემა, რომელიც აქ მის ალტერნატივას წარმოადგენდა, საკმაოდ სრულყოფილი და მრავალმუხლოვანი სახით ჩამოყალიბდა.

ცნობილია, რომ შურისძიების ინსტიტუტს საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე ცვლის კომპოზიციათა სისტემა (ეს პროცესი სხვადასხვა დროს ყველა ხალხმა გაიარა. როგორც მ. კოსვენი მიუთითებს, კომპოზიციების სისტემა შეითვისა ყველა კულტურული ერის სამართლებრივმა სისტემამ. ეს სისტემა აბსოლუტურად გაბატონებული იყო ყველა უძველეს წერილობით კოდექსში)[2]. ვახტანგის სამართლის წიგნი შურისძიებას არ ითვალისწინებს, თვითგასწორებას კრძალავს და სასჯელის უმთავრეს სახედ კომ-

---

რვეული, 1989, 25.

[1] compositio — ლათინური სიტყვაა და შეთანხმებას ნიშნავს. კომპოზიციების სისტემა სისხლისსამართლებრივი ზიანის ფუილადი ანაზღაურების სისტემის სახელწოდებად გავრცელდა ძველ გერმანულ კოდექსებში (М. Косвен, Преступление и наказание и догосударственном обществе, М., 1925, 78.

[2] მ. კოსვენი, იქვე.

პოზიციათა სისტემას წარმოაჩენს, რაც სწორედ ქართული ჩვეულებითი სამართლიდან მომდინარეობს. მაგრამ გადასვლა შურისძიების ინსტიტუტიდან კომპოზიციათა სისტემაზე, როგორც შურისძიების ინსტიტუტზე საუბრისას აღვნიშნეთ, ერთბაშად, მყისიერად არ ხდება – ეს ხანგრძლივი პროცესია და საკმაოდ დიდხანს კომპოზიციათა სისტემა შურისძიების ალტერნატივად გვევლინება, რაც XIX-XX საუკუნეების ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ფიქსირდება საქართველოს მთის რეგიონებში. აქ მკვლელობაზე, დაჭრა-დასახიჩრებაზე პირველ რეაქციას შურისძიების სურვილი წარმოადგენდა და სრულიად შესაძლებელი იყო კიდეც მისი განხორციელება, თუმცა ქართულ ჩვეულებით სამართალში ვხვდებით შურისძიების თავიდან აცილების მექანიზმს, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (ძირითადად, მთის რეგიონებზეა საუბარი), გარკვეული თავისებურებები ახასიათებდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ამ რეგიონებში, საკვლევ პერიოდში (XIX-XX საუკუნეების მასალების მიხედვით), შურისძიება არ არის დაზარალებული მხარის დაკმაყოფილების ერთადერთი საშუალება. შუაკაცების მეშვეობით სრულიად შესაძლებელი იყო დაზარალებულის დაკმაყოფილება და მხარეთა შეთანხმება შურიძიების აქტის განხორციელების გარეშეც, თუ მიღწეულ იქნებოდა დაზარალებული მხარის დათანხმება უსისხლოდ შერიგებაზე და მოხდებოდა შესაბამისი დანაშაულისათვის გათვალისწინებული კომპოზიციის გადახდა.

ამრიგად, ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, შეგვიძლია დავაკვირდეთ სამართალგანვითარების იმ ეტაპს, როდესაც კომპოზიციათა სისტემას სრულად არ განუდევნია შურისძიების ინსტიტუტი, თუმცა აშკარად შეინიშნება მისი შეზღუდვის ტენდენცია, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

4.1. ქონებრივი საზღაურის – „სისხლის" – ზოგადი დახასიათება. მისი ფულადი და ნატურალური გამოხატულება. დრამა. ქონებრივ საზღურს დანაშაულისათვის, კომპოზიციას ძველ ქართულ სამართალში, ცნობილია, რომ ეწოდებოდა სისხლი.[1] ძველი ქართული სამარ-

[1] აღსანიშნავია, რომ მ. კეკელიას განმარტებით, ტერმინ „სისხლის" გამოყენება იმავე მნიშვნელობით, რაც დანარჩენ საქართველოშია, გვხვდება სვანურ საისტორიო ძეგლებშიც (ადიშისა და მესტიის ოთხთავების მინაწერებში) და დანაშაულის საზღაურს ნიშნავს (მ. კეკელია, ზემო სვანეთის საზოგადოებრივი წყობილებისა და სამართლის საკითხები ადიშისა და მესტიის ოთხთავების

თლის ძეგლების მიხედვით, ქონებრივი საზღაურები გამოხატული იყო ფულად ერთეულში. მაგალითად, აღბუღას სამართლითა და გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდებით“ — გიორგაული თეთრით, ანუ გიორგი ბრწყინვალის მიერ მოჭრილი ვერცხლის ფულით, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნით კი თუმნით, მაგალითად გლეხის სისხლი ღირდა 12 თუმანი, მსახურისა 24 (მუხ. 32, 33)[1] და ა. შ. თუმცა, ცხადია, შესაბამისი გადასახადის უცილობლად ფულადი სახით გადახდა სავალდებულო არ ყოფილა. ვახტანგი პირდაპირ მიუთითებს კიდეც, რომ ქართლში ამდენი თეთრი არც არისო და ამიტომ სისხლის ფასის გადახდა შესაძლოა მომხდარიყო ძროხით, ცხვრით, ცხენით, იარაღით, სახლის სახმარი რკინით, სპილენძით, რვალით, აზნაურებისა და თავადების მიმართ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში ოქრო-ვერცხლითაც, ტყვითაც, ფარჩითაც და მამულითაც (მუხ. 18, 19, 20, 21, 22).[2] XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის ჩვენს ხელთ არსებული ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვითაც, ქონებრივი საზღაურის, სისხლის ფასის გადახდა ჩანს როგორც პირუტყვის (შინაური ცხოველების), ასევე მამულის, სახლ-კარის, იარაღის, სახლში გამოსაყენებელი სპილენძეულის სახით. უფრო გვიანდელ პერიოდში კი ფიქსირდება ფულადი ანაზღაურებაც. ასე რომ, ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებმა შემოგვინახა სისხლის გადახდის ძველი ქართული სამართლისათვის დამახასიათებელი ნატურალური ანგარიშსწორების ელემენტებიც.

თავდაპირველად გვსურს ზოგადად დავახასიათოთ ქონებრივი საზღაური — სისხლი ქართული ჩვეულებითი სამაროლის მიხედვით.

რ. ხარაძის განმარტებით, „სისხლის“, როგორც ქონებრივი საზღაურის გადახდა ხდებოდა იმის მეშვეობით, თუ რა იყო საქართველოს მოცემულ კუთხეში წამყვანი მეურნეობა. მაგალითად, ხევსურეთში, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებში, წამყვანი მეურნეობა იყო მესაქონლეობა, ამიტომ სისხლის ფასის გადახდა ხდებოდა საქონლით, ძირითადად, ძროხით.[3]

მინაწერთ მიხედვით, თსუ შრომები, B I (138), 1971, 180).

[1] იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, ტ. B 1, თბ., 1963, 489.

[2] იქვე, 486-487.

[3] რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები“, ტ. 1, 1947, 174.

აქ ძროხა ძირითად გაცვლით ერთეულს წარმოადგენდა. სვანეთში კი მეურნეობა შერეული იყო და ამიტომ „სისხლის“ გადახდის ძირითადი საშუალება (ძირითადი გაცვლითი ერთეული) იყო მიწის ნაკვეთი, ხოლო ნათესაურ გაერთიანებებში შემავალი ცალკეული პირების გადასახდელი ნაწილი საქონლით გამოიხატებოდა.[1]

ხევსურეთში ქონებრივ საზღაურს ზოგადად „დრამას“ უწოდებენ. მისი ოდენობა კონკრეტულ შემთხვევებში ძროხებით განისაზღვრებოდა. აქ (ისევე, როგორც ფშავში) განასხვავებდნენ ქონებრივი საზღურის გადახდას „ხელითი“ და „ფეხითი“ ძროხის სახით. „ფეხით“ ძროხაში იგულისხმებოდა კომპოზიციის გადახდა უშუალოდ საქონლით, ძროხით. „ხელითი“ კი ნიშნავდა ძროხის ღირებულების ანაზღაურებას.[2] კერძოდ, „ხელითში“ იგულისხმება სპილენძის ჭურჭელი, ქვაბები, ტაფები, ტაშტები, თულუხები, თუნგები, ქაფქირები, ფარდაგი, ვერცხლეული, სარტყელი, იარაღი, საარაყე ქვაბი, კოკა, საოჯახო ნივთები ლოგინისა და ტანსაცმლის გარდა[3]. ხევსურეთში „დრამის“ შეფასებისას სწორედ „ხელითი“ ძროხა იგულისხმებოდა.[4]

იმ ნივთების უმრავლესობა, რომლებიც „დრამაში“ გაიცემოდა, წინასწარ იყო შეფასებული, ძროხასთან, როგორც ძირითად გაცვლით ერთეულთან მიმართებაში. მაგალითად, ხევსური „რჯულით“, ერთი „ხელითი“ ძროხა უდრიდა 4 კგ სპილენძს. როდესაც ადგილი ჰქონდა „სახის პირის შერევას“ (სახის არეში პიროვნებისთვის პირველი ჭრილობის მიყენებას), მაშინ 5 კგ სპილენძს. ერთი „ხელითი“ ცხვარი კი შეფასებული იყო ერთ კილოგრამ სპილენძად. „დრამაში“ ხდებოდა სწორედ სპილენძის ჭურჭლის — სპილენძის ქვაბების, ტაშტების და სხვა, გადახდა. ნაწილს ამ საოჯახო ნივთებისა წონიდნენ, ნაწილს კი სასწორი არ სჭირდებოდა და წინასწარ იყო შეფასებული. მაგალითად, თულუხი[5] — ძროხას უდრიდა, ისე, რო-

[1] რ. ხარაძე, იქვე.

[2] რ ხარაძე, იქვე; ო. ზოიძე, სასჯელები (ნაშრომის — „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“ მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი,“ 3, გამომცემლობა „მეცნიერება,“ თბ., 1991, 127.

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, 1988, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 3: მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 74; ო. ზოიძე, იქვე.

[4] რ. ხარაძე, იქვე. როგორც ხევსური ინფორმატორები ამბობენ, ძროხასა და ცხვარზე „დრამას“ არ ამბობდნენ.

[5] წყლის საზიდი, ზურგზე ასაკიდებელი.

გორც ქაფქირი, ხოლო თუნგი[1], ქიტი[2], ბაკანი (სპილენძის ტაშტი), ტაფა — ერთ ცხვარს. 100 გრამი ვერცხლი უდრიდა ერთ „ხელით“ ძროხას.[3] ვერცხლის ანგარიშში ხევსურეთში ხშირად აძლევდნენ ვერცხლის ქამარს. ამ დროს იმ ღვედის (ტყავის) წონა, რაზედაც ვერცხლია ასხმული, ვერცხლად იანგარიშებოდა. მაგალითად, ერთი კილოგრამი ასეთი ქამარი 10 „ხელით“ ძროხას უდრიდა. ვერცხლის ასეთი შეფარდება ძროხასთან არაერთხელ გვხვდება „თავის გათავების“ კონკრეტული შემთხვევებისას მიტანილი „დრამის“ შეფასებისას.[4] „დრამაში“ ხდებოდა ასევე ხალიჩების, ფარდაგების[5], იარაღის მიცემაც. მათი ღირებულება ძროხასთან მიმართებაში, წინასწარ არ იყო განსაზღვრული და ამიტომ მათ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში „რჯულის კაცები“ შეაფასებდნენ.[6]

დანაშაულისათვის გათვალისწინებული ქონებრივი საზღაურის გადახდა ხევსურეთში, ძირითადად, „ხელითი“ ძროხის სახით ხდებოდა. ერთ-ერთი ინფორმატორი აღნიშნავს, რომ მის დამჭრელს 5 ძროხის გადახდა დააკისრეს, თუმცა მას დამნაშავემ ძროხები კი არ მიუყვანა, არამედ 20 კგ სპილენძი გადაუხადა.[7]

---

[1] წყლის დასასხმელი.

[2] ქვაბიდან წვენის ამოსაღები ჩამჩა.

[3] ანუ, ერთი სტილი ვერცხლი (200 გრამი) უდრიდა 2 „ხელით“ ძროხას, ანუ რვა ცხვარს. არის განსხვავებული მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, ერთი „ხელითი“ ძროხა უდრის არა 100 გრამ ვერცხლს, არამედ 200 და 400 გრამსაც (მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №2, 74-75).

[4] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №3, 8-15, (აქ აღწერილია „თავის გათავების“ კონკრეტული ფაქტი): №4, 14-17: №6, 11-14.

[5] შინნაქსოვი ლეიბის პირები.

[6] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №2, 54; ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/3, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 35.

[7] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №5, 32-33. „თავის გათავებისას“ „დრამის“ (16 „ხელითი“ ძროხა) ნახევარში ერთ „ხელით“ ძროხას 4 კგ სპილენძად ანგარიშობდნენ, ხოლო მეორე ნახევარში 5 კგ სპილენძად. ეს ძველთაგანვე მომდინარე წესი ყოფილა (მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №2, 74-75; №3, 8-15.

საინტერესოა, რომ ხევსურეთის ზოგიერთ ნაწილში ქონებრივი საზღაურის ნახევრის გადახდა ხდებოდა „ხელითი“ ძროხის, ხოლო მეორე ნახევარი „ფეხითი“ ძროხის სახით. კერძოდ, ბუდე (პირაქეთა), არაგვის ხეობის ხევსურეთში მხოლოდ „ხელითი“ ძროხით ხდებოდა გადახდა, პირიქითაში კი (მაგალითად, შატილის თემში) ნახევარი „ხელითი“ უნდა ყოფილიყო, ნახევარი კი „ფეხითი“.[1] მაგალითად, ერთ-ერთი შატილელი ინფორმატორი (არდოტის ხეობის სოფელ არჭილოდან) აცხადებს, რომ მას დაჭრისათვის გადასახადი დააკისრეს ნახევარი „ხელითი“ და ნახევარი „ფეხითი“. მისი განმარტებით, ამით განსხვავდებოდნენ პირიქითა ხევსურები არაგვის ხეობის ხევსურებისაგან.[2] მსგავს ცნობებს გვაწვდის მეორე შატილელი ინფორმატორი სოფელ მუცოდან.[3] ალ. ოჩიაურის მასალებშიც ვხვდებით კონკრეტულ ფაქტს, როდესაც დამჭრელმა ნახევარი „ხელითი“ გადაიხადა და ნახევარი „ფეხითი“. იქვე მითითებულია, რომ ბუდე ხევსურეთში „დრამა“ მხოლოდ „ხელითია“, არხოტსა და შატილში, ე. ი. „მთასიქითაში“, „ფეხითის“ გადახდაც ხდებოდა.[4] ქონებრივ საზღაურად სანახევროდ „ხელითის“ და სანახევროდ „ფეხითის“ გადახდა ფშავშიც ფიქსირდება.[5] ფშავ-ხევსურეთის მსგავსად ძროხა დანაშაულისათვის ქონებრივი საზღაურის დაკისრებისას ძირითად საგასამხდელო საზომად ჩანს თუშეთშიც.[6]

როდესაც „ხელითი“ ძროხა იყო გადასახადი, დაზარალებულს არ შეეძლო მოეთხოვა დამნაშავისაგან „ფეხითის“ (ძროხის, ცხენის, ხარის) გადახდა. დაზარალებული ვალდებული იყო მიეღო ის იმ „დრამის“ სახით, რასაც დამნაშავე მიუტანდა, როგორც ალ.

---

[1] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 31.

[2] იქვე, 64.

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 47; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №5, 15.

[4] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/7, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 72.

[5] ო. ზოიძე, დასახ. ნაშრ., 127.

[6] ვასილ ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან (საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1966, დ. 299, 139; ალ ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, ივერია, 1888, № 185; ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1983, გვ. 102.

ოჩიაური მიუთითებს, ხისა და ქვის გარდა.[1] თუ შესაბამისი რაოდენობის „ხელითი“ „დრამა“ დამნაშავეს არ გააჩნდა, მაშინ შესაძლოა მას „ფეხითის“ სახით გადაეხადა დაკისრებული ქონებრივი საზღაური.[2] „ფეხითი“ ძროხის ანგარიშში, ძროხის გარდა სხვა პირუტყვის გადახდაც ხდებოდა. მაგალითად, ერთი ძროხა 4 ცხვარს უდრიდა.[3] ერთ-ერთი ინფორმატორის ცნობით კი, მან 4 ძროხაში დამნაშავისაგან ერთი ცხენი აიღო, ე. ი. ერთი ცხენი შეფასებული ყოფილა 4 ძროხად.[4] ალ. ყამარაულიც ადასტურებს, რომ ერთი ცხენი უდრიდა 4 ძროხას. მისივე განმარტებით, ერთი კვიცი უდრიდა 7 ძროხას, ხოლო ხარი — 7 ცხვარს.[5]

მიწის, მამულის გაცემას „დრამაში“ ხევსურეთშიც ვხდებით, თუმცა ხევსურები ცდილობდნენ სისხლში მიწა არ გაეღოთ. თუ დიდი იყო გადასახადი, ისინი მაინც ცდილობდნენ სხვა საქონლით გადახდას, რათა მამული არ მიეცათ.. ალ. ოჩიაური აღნიშნავს, რომ ხევსურეთში მამული ყველაფერზე ძვირფასი იყო და თანაც სირცხვილად ითვლებოდა სისხლში მამულის მიცემა — „სამამულედ საქმე გაუხდაო, სხვა ვერაფერი მისცაო“ — იტყოდნენ ხევსურები.[6]

---

[1] ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, 1949-1950, კრ. „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, №1, თბ., 1988, 187.

[2] ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით, თუ „ხელითი“ ძროხის გადახდა იყო საჭირო და დამნაშავე „ფეხით“ ძროხას გადაუხდიდა დაზარალებულს, მაშინ 1 „ფეხითი“ ძროხა რვა „ხელით“ ძროხად ჩაითვლებოდა (მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №1, 74).

[3] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 59.

[4] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 67.

[5] ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1932, 110.

[6] ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, 1949-1950, კრ. „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, №1, თბ., 1988, 187. იშვიათი არ იყო შემთხვევა, როდესაც ხევსური შარს აუტეხდა ვინმეს, უმეტესად მიწის, ქონების მქონე ხალხს, თავს დააჭრევინებდა იმისათვის, რომ „დრამა“ მიეღო, განსაკუთრებით კი მიწა. ალ. ოჩიაური აღნიშნავს, რომ უმიწოები მიწიანებს ძალას ატანდნენ და ავიწროებდნენ რაც შეეძლოთ. ხანდახან ცდილობდნენ ისეთ ადგილზე დაერტყმევინათ ხანჯალი, სადაც ძვირი დაუჯდებოდა. ალ. ოჩიაურს ასეთი კონკრეტული მაგალითი მოჰყავს: ხომიზურთ მინდიამ შუღლი აუტეხა გარსიათ ივანეურს (ორივე ცხოვრობდა სოფელ ახიელში). ივანეურმა დაშნა დაჰკრა პირისახეში, გამშველებლები რომ

ს. მაკალათიას ცნობით, ხევსურეთში სახნავი მიწა ძნის სათვალავით იზომებოდა და 70 ძნის მოსავლიანი მიწა, რომელიც დაახლოებით ბარის ნახევარ ღღიურს უდრიდა, აქ ერთ ძროხად ფასობდა, „კარის პირის“ მიწა კი, რომელიც ხუთჯერ მეტ მოსავალს იძლეოდა, ხუთ ძროხად.[1] უფრო ზუსტად, ერთი ძროხა უდრიდა ერთი „წერის“ ყანას, ან 63 ძნას.[2] ერთ-ერთი ინფორმატორის დაზუსტებით კი ერთი წერი მიწა ერთ ძროხას უდრიდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მიწა ადვილად მისადგომი იყო და მასში შესაძლებელი იყო ნაკელის შეტანა, ხოლო, თუ ნაკელი შორს იყო და ჭირდა მისი შეტანა, მაშინ ორი წერი ერთ ძროხას უდრიდა.[3] „დრამა“, როგორც აღვნიშნეთ, ძროხით განისაზღვრებოდა და თუ სისხლში მიწის გადახდა ხდებოდა, მიწის ოდენობა ძროხის ღირებულებასთან მისი თანაფარდობით განისაზღვრებოდა. ერთ კონკრეტულ შემთხვევაში, დამჭრელს დააკისრეს 4 ძროხის გადახდა. მას „დრამა“ არ გააჩნდა და ამიტომ დაზარალებულს 4 ძროხის ანგარიშში, 4 წერის მამული მისცა.[4]

საინტერესოა, ხდებოდა თუ არა ხევსურეთში „დრამის“ ანგარიშში ფულის გადახდა? ზოგიერთი ხევსური ინფორმატორი ამას უარყოფს,[5] ზოგი კი შესაძლებლად მიიჩნევს, მხოლოდ დაჭრის შემთხვევაში[6]. მასალების მიხედვით, კონკრეტული შემთხვევებში,

მივიდნენ, მინდიამ ივანეურს უთხრა: „ეხლა კი მოვაკერენ ზედველანი ზედველათაო“. „ზედველა“ ახიელში ერთ-ერთი ადგილია, რომელიც საუკეთესო საბარო მამულებად ითვლებოდა. აქ ივანეურსა და მინდიას ერთიმეორეზე ჰქონდათ მამულები. მინდია ცდილობდა ივანეურისათვის როგორმე წაერთვა ეს მამული და თავის მამულზე გადაება, მაგრამ ივანეურმა მამული მაინც არ მისცა და სხვა დრამით მოიშორა მისი სახდელი (ალ. ოჩიაური, იქვე, 187-188).

[1] ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 55.

[2] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №5, 30; №6, 27; ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, ხელნაწერი, რეული №1, 15.

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 10.

[4] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/6, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 68.

[5] „დრამა ჩვენთან ფულით არ ყოფილა და არც არის“, — აცხადებს ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი (მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №1, 74).

[6] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული

ფულის გადახდას „დრამაში“ ადგილი ჰქონია. მაგალითად, ალ. ოჩიაურის მასალებში მოცემულია ფაქტი, როდესაც დამნაშავემ სპილენძის გარდა გადაიხადა ვერცხლის ფული. ინფორმატორის თქმით, მან ვერცხლის ფულით სავსე პარკი გადასცა დაზარალებულ მხარეს. თითო ძროხა 5 მანეთად იქნა შეფასებული.[1] ალ. ოჩიაურის მასალებში, კიდევ ერთგან ჩანს „დრამაში“ ვერცხლის ფულის გადახდა. ამ შემთხვევაშიც ერთი „ხელითი“ ძროხა, ასევე 5 მანეთად შეფასდა.[2] ალ. ყამარაულიც ადასტურებს, რომ ერთი ძროხა 5 მანეთს უდრიდა.[3] ს. მაკალათიას განმარტებით, ერთი ძროხა 5 მანეთი ძველად ღირდა.[4] როგორც ჩანს, ასეთ თანაფარდობას ადგილი ჰქონდა მეფის რუსეთისა და მის ახლო პერიოდში. უფრო მოგვიანებით, საბჭოთა პერიოდში, „ხელითი“ ძროხის ფულადი გამოხატულება, ცხადია, შეიცვალა. XX საუკუნის 70-80-იან წლებში მცხოვრები ინფორმატორების თქმით, ერთი „ხელითი“ ძროხა 20 მანეთს უდრიდა.[5] უფრო გვიანდელ პერიოდში დანაშაულისათვის საზღაურის გადახდა თუშეთშიც გვხვდება.[6]

სვანეთში, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადი საგადამხდელო ერთეული იყო მიწის ნაკვეთი. ბალსზემო (თავისუფალ სვანეთში) სისხლის ფასი სახნავი მიწის ზომით, ე. წ. ნალჯომით[7] განისაზღვრებო-

---

რვეული, 1977, №6, 29.

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/3, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 35.

[2] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/2, მოსისხლეობა ხევსურეთში, 14.

[3] ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1932, 110.

[4] ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 87.

[5] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 29; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 73.

[6] სტეფანე მენთეშაშვილი, პირადი არქივი, თუშური მასალები, II, 1937, 167.

[7] ნალჯომი ქართულად საზომს ნიშნავს. დ. დავითულიანის განმარტებით, სვანეთში მიწა დღიურით იზომებოდა. დღიური ნიშნავს ერთი უღელი ხარით, სვანური კავით, მთელი დღის მანძილზე მოხნულ მიწას. სვანური დღიური დაახლოებით 350 კვ. საჟენს აღწევდა, ხოლო ნალჯომი დღიურის მესამედს უდრიდა. სხვადასხვა საზოგადოებაში ნალჯომის ზომები სხვადასხვა იყო: ლენჯერში ნალჯომი დაახლოებით 110 კვ. საჟენს უდრიდა, მესტიაში დღიური 1500 კვ. მეტრი იყო. უშგულის, კალის, მულახის, იფარის და ბალსზემო სვანეთის სხვა საზოგადოებებში ერთი ნალჯომი ლატალისა და ლენჯერის საზოგადოებების 4 ნალჯომს უდრიდა (დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელ-

და. სვანეთში ძირითად საგადამხდელო ერთეულად მიწის არსებობას დ. დავითულიანი შემდეგნაირად ასაბუთებს: „... ჭარბი მოსახლეობის გამო სვანეთი განსაკუთრებით განიცდიდა მიწის ნაკლებობას. მიწა იყო ყიდვა-გაყიდვის, ვალის გადახდის საშუალება და საერთოდ, სვანი გლეხის არსებობის საფუძველიც. სამეურნეო კომლის ეკონომიკური სიძლიერე, უპირველეს ყოვლისა, სახნავი მიწის ოდენობით განისაზღვრებოდა. მეურნეობის ისეთი დარგი, როგორიცაა მეცხოველეობა, სვანეთში თუმცა უძველესი დროიდან იყო წამყვანი დარგი, მაგრამ გეოგრაფიული კარჩაკეტილობის პირობებში შეუძლებელი იყო მესაქონლეობიდან მიღებული ჭარბი პროდუქტების მარცვლეულზე გადაცვლა. ამიტომ სახნავ მიწას, ანუ მიწათმოქმედების დარგს, მიუხედავად მისი ჩამორჩენილობისა სვანეთში, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ სისხლის ფასი აუცილებლად ნალჯომებით (მხედველობაშია ნალჯომი მიწა, — გ. დ.) შეფასდა და არა პირუტყვით, როცა პირველი, ე. ი. სახნავი მიწა მოსახლეობას პირუტყვთან შედარებით ძალიან ცოტა ჰქონდა, ხოლო მეორე უხვად და ჭარბად.“[1]

თუ დამნაშავეს სათანადო რაოდენობის მიწები არ ჰქონდა, ამ შემთხვევაში არსებობდა „ნალჯომის“ სხვა საქონლით გადაფარვის წესები.[2] ასეთ დროს, მაგალითად, უშგულისა და კალის საზოგადოებაში, მკვლელობისას (რაც ზემო სვანეთის უმრავლეს თემებში ექვსი „ნალჯომი“ მიწის ნაკვეთის გადახდას ითვალისწინებდა), დამნაშავეს, პირველ რიგში, უნდა დაეთმო სახლ-კარი (ჩვეულებრივ სვანური სახლ-კარი სამ „ნალჯომს“ უდრიდა), ასევე კარაპანი (საბძელი) და კალო (უდრიდა ერთად ორ ნალჯომს). კიდევ ერთი ნალჯომის ნაცვლად კი გათვალისწინებული იყო მოძრავი ქონების გადახდა (მაგალითად, უშგულში ერთი ნალჯომი 6 ხარი ღირდა, ხოლო ლატალ-ლენჯერში ერთი ხარი და ერთი ძროხა, ამდენად, შესაძლებელი იყო სისხლის ფასის,

---

ნაწერი, თბ., 1974-1975, 170, 171). ბალსქვემო სვანეთში მიწა ე. წ. ცხვადიშით იზომებოდა. ერთი ცხვადიში აქ ლატალ-ლენჯერის ნალჯომის ტოლი იყო (ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 118).

[1] დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975, 24.

[2] დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975, 170.

მისი ნაწილის ხარით თუ ძროხით გადახდა, ასევე ფიქსირდება ქონებრივი საზღაურის ანგარიშში თოფ-იარაღის, სპილენძისა და ვერცხლის ნივთების მიცემა).[1]

ზემო სვანეთში ფიქსირდება სისხლის ფასის ფულით გადახდაც, იმის გათვალისწინებით, რომ, მაგალითად, ნიკოლოზ მეორის დროინდელი ფულით ერთი ხარი 25 მანეთად ფასობდა.[2]

ქონებრივ საზღაურთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო მონაცემებს ვხვდებით მ. კეკელიას მიერ XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისში ბალსზემო სვანეთში ჩაწერილ მასალაში. ინფორმატორებს ახსოვთ კონკრეტული შემთხვევები დანაშაულისათვის ქონებრივი საზღაურის მიწითა და პირუტყვით გადახდისა, თუმცა უფრო ხშირად ფულადი ანაზღაურება ფიგურირებს. ლატალელი ინფორმატორი მიუთითებს, რომ ქონებრივი საზღაური ნალუკომით განისაზღვრებოდა, მაგრამ ახლა ასე აღარ არის და დამნაშავე საზღაურს ფულით იხდის.[3] მასალებიდან ჩანს, რომ აღნიშნულ პერიოდში მოხდა მკვლელობისა თუ სხვა დანაშაულისათვის გათვალისწინებული ქონებრივი საზღაურის გადაანგარიშება საბჭოთა ფულზე. ინფორმატორებს მოჰყავთ კონკრეტული ფაქტები საბჭოთა ფულის ანგარიშით ქონებრივი საზღაურის გადახდისა[4]

---

[1] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 118; დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., 69, 171; ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რეული №6, 66.

[2] სრული სისხლი 36 ხარს შეადგენდა, ამიტომ ფულზე გადაანგარიშებით მისი ოდენობა 780-800 მანეთი იყო (ბ. ნიჟარაძე, იქვე, 119; დ. დავითულიანი, იქვე, 171).. ბალსქვემო სვანეთში კი სრული სისხლი 12 დღიური სახნავი მიწა იყო და 1200 მანეთი ფასობდა – ერთი დღიური 100 მანეთი (ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რეული №6, 48).

[3] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, ეთნოგრაფიული რეული, 1967, №1, 33, 54.

[4] მ. კეკელიას მიერ ჩაწერილ მასალებში მოცემულია ფაქტები, როდესაც სხვადასხვა დანაშაულისათვის გადასახადი მედიატორებმა დამნაშავეს სწორედ საბჭოთა ფულის ანგარიშით განუსაზღვრეს. მაგალითად, კალაში 1968 წელს ერთერთი დაჭრისას მედიატორებმა დამნაშავეს ძველი ფულით (მხედველობაშია 1961 წლის რეფორმამდელი ფულის კურსით) 35 000 მანეთის გადახდა დააკისრეს (მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, №4, 1968, 66); მკვლელობისათვის გადასახადი კი XX საუკუნის 60-70-იან წლებში 100 000 მანეთს აღწევდა, ანუ ახალი კურსით 10 000 მანეთს

ამრიგად, სვანეთში ქონებრივი საზღაურის გადახდა მიწის ნაკვეთის გარდა შესაძლოა საცხოვრებელი სახლით, დამხმარე ნაგებობებით, პირუტყვით, სხვადასხვა ნივთითა და ფულით.

ქონებრივი საზღაური (ნატურისა თუ ფულის სახით) სვანეთისა და თუშ-ფშავ-ხევსურეთის გარდა, საქართველოს სხვა კუთხეების ჩვეულებით სამართალშიც გვხვდება. მაგალითად, ხარ-ძროხით ქონებრივი საზღაურის გადახდა ფიქსირდება მთიულეთსა (ქსნის ხეობასა) და მესხეთში.[1] ქსნის ხეობაში კი ქონებრივი საზღაურის გადახდის გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენდა სპილენძის საარყე ქვაბი.[2] ხევში გაცვლის ძირითად საშუალებად პირუტყვი გვევლინება, სავარაუდოდ, აქ მესაქონლეობის უპირატესი გავრცელებულობის გამო. თემის კაცები ხევში დამნაშავეს გადასახადს ხშირად ცხვრის ანგარიშში უდგენდნენ.[3] სისხლის ფასში ფიქსირდება მიწის გადაცემაც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე და დაზარალებული ერთი სოფლიდან იყვნენ,[4] ასევე ფულისაც. კონკრეტულ მაგალითებს „ქართული დიალექტოლოგიიდან" მოვიტანთ: „მოხევეთა შორის სისხლი ფულითაც ყოფილა შეფასებული. ასე მოსისხლე გვარი: პეტიენი და ბოთოშენი, როდესაც რიგდებოდნენ, სისხლი შეუფასებიათ ფულად, მაგრამ ბოთოშეთ სალომეს, მოკლულის დედას, უარი უთქვამს ფულის აღებაზე. მას უთქვამს: „ჩემს შვილისად ფულზე ვერ შევაფასებო, თქვენს თემობასაო და წმინდა სამების საბჭოს შავსთხოვე, რომ ის ბალღიო საფლავში მაინც მოასვენეთო.

მეორე შემთხვევა მკვლელობისა. სათემო საბჭოს გადაუწყვეტია შერიგების საფასური რვაასი თუმანი, ერთი ოთხი წლის კურეტი ხარი, სამი საკლავი, თორმეტი ვედრო არაყი..... მაგრამ უარი უთქვამთ ფულის აღებაზე."[5] როგორც ჩანს, შესაძლოა სისხლის ფასში

(იქვე, 35; ეთნოგრაფიული რეფერატი №2, 1967, 37).

[1] მ. კეკელია, მასალები მთიულეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატი, 1985, 11; დ. ჯალაბაძე, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატი, 1986, 20.

[2] მ. კეკელია, იქვე.

[3] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატი №3, 1984, 17, 18.

[4] მ. კეკელია მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეფერატი, №1, 1984, 3.

[5] ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ.,

ფულის გარდა თემის კაცებს ხევში პირუტყვი და გარკვეული რაოდენობის არაყი დაეკისრებინა დამნაშავისათვის. რ. ხარაძის მიერ ხევში XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს დაფიქსირებულ ყამარაულთა და ჩაბაიძეთა შერიგების საქმეზე თემის კაცებმა დამნაშავე მხარეს, ასევე ფულის გადახდა დააკისრეს.[1] ასე რომ, სისხლის ფულის სახით დაკისრება ხევში მიღებული ყოფილა.

სისხლის ფასად მიწის, ფულის, პირუტყვისა და საოჯახო ნივთების გადახდა აჭარაშიც გვხვდება. ერთ-ერთი ინფორმატორი აცხადებს: „ჩვენში არსებული წესის მიხედვით, შერიგების დროს მკვლელს გარკვეული თანხა უნდა გადაეხადა მოკლული მხარისათვის. გადასახადში მიეცემოდა მიწაც..... შეიძლება ფულიც მიეცა, მაგრამ უფრო ხშირად მიწა იყო გადახდის საშუალება.“[2] მეორე ინფორმატორიც ადასტურებს ამას. მისი თქმით, დანაშაულისათვის აჭარაში გადასახადი წინასწარ არ იყო დადგენილი და მას თავკაცები (წინაიკაცები) ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავდნენ მიწის, ნივთების (ქვაბების) თუ ფულის სახით.[3] სისხლის ფასად ფულის, საქონლისა და მიწის გაცემას აჭარაში იბ. აბაშიძეც ადასტურებს.[4] საინტერესოა, რომ აჭარაში არაგანზრახი მკვლელობისას, როგორც ჩანს, მიღებული იყო უღელი ხარის, ნოხებისა და ქვეშაგებლების გადახდა.[5] აჭარაში სისხლის ოდენობა დანაშაულისათვის, ხევის მსგავსად, წინასწარ დადგენილი სახით არ ფიქსირდება (სავარაუდოდ, ძველ პერიოდში სისხლის ოდენობა ცალკეული დანაშაულებისათვის წინასწარ იქნებოდა განსაზღვრული) და მას კონკრეტულ შემთხვევაში ადგენდნენ თავკაცები.

იმავე შეიძლება ვთქვათ რაჭის მაგალითზეც. საინტერესოა, რომ საქართველოს ამ კუთხეში, მ. კედელაძის მასალების მიხედვით, საკ-

---

1961, გვ. 36.

[1] რ. ხარაძე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვეთი 2, 1959, 171..

[2] მ. კეკელია, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 9-10.

[3] იქვე, 6.

[4] იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 455, ბათუმი, 1965, 50.

[5] ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 86-87; მ. კეკელია, იქვე, 51.

მაოდ ხშირად ფიქსირდება სისხლის ფასში მიწის გადახდა.[1] ასევე ადგილი ჰქონდა ფულის, პირუტყვის, სხვადასხვა ნივთის, სასმელის (ღვინის) გადახდევინებას.[2]

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, უპირატესად მთის რეგიონებში, XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე, დანაშაულის ჩადენისას ფიქსირდება დამნაშავისათვის ქონებრივი საზღაურის დაკისრება ჩვეულებითი სამართლის ნორმებისა და პრინციპების საფუძველზე. საქართველოს მთის რეგიონებში დანაშაულის ჩადენისას „სისხლის" ნატურის სახით ანაზღაურება შედარებით დიდხანს შემორჩა და XX საუკუნის განმავლობაშიც ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა.

42. საზღაური მკვლელობისათვის. თავსისხლი. წორი. მკვლელობისათვის საზღაური — „თავსისხლი", დადგენილი ჩვეულებითი სამართლის ნორმებით, საქართველოს ზოგიერთ მთის რეგიონში XIX-XX საუკუნის ეთნოგრაფიულ მონაცემებშიც გვხვდება. ამის თვალსაჩინო მაგალითია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კუთხეები — ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი. აქ „თავსისხლი", ანუ საზღაური კაცის მკვლელობისას 60 ძროხაა[3], ხოლო ქალის

[1] მ. კედელაძე, რაჭის მასალა, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რეული, 1951, №4, 1; №6, 7; №9, 7.

[2] მ. კედელაძე, იქვე, №1, 6-7; №7, 14, 15-16; №9, 30, 32.

[3] აღსანიშნავია, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის მე-18 მუხლითაც, „...გლეხის სიკვდილისათვის სამოცი ძროხა იყო გაჩენილი" (ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. 1, თბ. 1963, 486). ასე რომ, გლეხის სისხლი ქართლში ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის შედგენისას 60 ძროხად ყოფილა შეფასებული, რაც ჩვეულებითი სამართლით დადგენილი ნორმა იყო. ვახტანგის სამართლის წიგნის ძირითადი წყარო ხომ ჩვეულებითი სამართალია, ხოლო ძროხა, როგორც გადახდის ეკვივალენტი, ჩვეულებითი სამართლიდან მოდის. სხვადასხვა წოდების სისხლის ფასის განსაზღვრისას ვახტანგმა საფუძვლად სწორედ ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებული გლეხის სისხლის ოდენობა აიღო და იგი ფულადი სახით გამოსახა. რადგან ერთი ძროხა ღირდა 2 მინალთული, ამდენად, 60 ძროხა გამოვიდა 120 მინალთუნი, იმავე 12 თუმანი. ე. ი. გლეხის სისხლად ვახტანგმა 12 თუმანი დაწესა, როგორც 60 ძროხის ეკვივალენტი. ყველი შემდეგი წოდებისათვის კი სისხლის ფასი გეომეტრიული პროგრესიით გაზარდა. კერძოდ, მსახურის სისხლი განისაზღვრა 24 თუმნით, მესამე რანგის აზნაურისა 48 თუმნით და ა. შ. (იხ. ვახტანგის სამართლის წიგნის 33-ე მუხლი). სრულიად შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ხევსურეთში, ფშავსა და თუშეთში სისხლის ფასი 60 ძროხა ვახტანგის სამართლის წიგნის შედგენის პერიოდშიც იქნებოდა. როგორც ჩანს, კაცის სისხლი

მკვლელობისას – 30.[1] ამ კუთხეებში მკვლელობისათვის მხოლოდ ქონებრივი საზღაური იყო დაწესებული და ფშავ-ხევსურეთში მას „თავსისხლი“ ერქვა.

როგორც რ. ხარაძე მიუთითებს, ხევსურეთში „თავსისხლი“ მთელი რიგი სეგმენტებისგან შედგებოდა, როგორიცაა: ა. „მიწად-შეი საკლავი, ბ. საგვარო (ანუ სალაშქრო) რიგი, გ. სადედო რიგი, დ. სახლის რიგი, ე. საძმო რიგი, ვ. საქალო რიგი ...., ზ. სამახნაო რიგი.“[2]

ხევსურეთში მკვლელობისათვის დაწესებული ქონებრივი საზღაურის განხილვისას უცილობლად უნდა მოვიყვანოთ ალ. ოჩიაურის ინფორმაცია მისი უძველესი ფორმის შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ ხევსურეთში უძველეს პერიოდში მკვლელობისთვის არსებული გადასახადების გარდა (რაც დღეს ცნობილია „თავსისხლის“, „რიგის ყენების“ სახით), არსებულა კიდევ ერთი გადასახადი, ე. წ. „სისხლი“, რაც გულისხმობდა „ოცის ოცი ცხვრის“, ე. ი. „დრამის“ სახით ოთხასი ცხვრის გადახდას. ეს იყო ოთხასჯერ ექვსი აბაზი მაშინდელი ფულის ანგარიშით, როცა ცხვარი ნამდვილად ექვსი აბაზი ღირდა. ამ გადასახადს მთელი გვარი იხდიდა. მისი გადახდის შემდეგ „თავსისხლი“, მისი შემადგენელი კომპონენტები, ისევ რჩებოდა გასასტუმრებელი. ეს გადასახადი უმძიმესი ტვირთი იყო ყველასათვის და ძალზედ ჭირდა მასთან გამკლავება. ამის გამო, გუდანის ჯვარში შეკრებილან ხევსურები და გაუუქმებიათ ე. წ. „სისხლი“ – „ოცის ოცი ცხვარი“ და დარჩა მხოლოდ ის, რაც დღეს „თავსისხლის“ სახითაა ცნობილი.[3]

მკვლელობისათვის დადგენილი ქონებრივი საზღაურის გადაუხდელობა შერიგების შესაძლებლობას ფაქტობრივად გამორიცხავდა. როგორც ჩანს, ხევსურებმა თვითონ თქვეს უარი ისეთ გადასახადზე,

---

აღმოსავლეთ საქართველოში, მათ შორის მის მთიან ნაწილშიც სწორედ ამ ფასად იყო შეფასებული (შესაძლოა, ეს უფრო ძველი პერიოდიდანაც მოდის) და საქართველოს აღნიშნულ კუთხეებში ჩვეულებითი სამართლის მოქმედების დიდხანს შემორჩენილობის გამო, XX საუკუნის ეთნოგრაფიული მონაცემებითაც ფიქსირდება.

[1] ო. ზოიძე, სასჯელები (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“ მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი,“ 3, გამომცემლობა „მეცნიერება,“ თბ., 1991, 125; ალ ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, ივერია, 1888, № 185; ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, რვეული №1, 1-3.

[2] რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები“, ტ. I, თბ., 1947, 189-190.

[3] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, ხელნაწერი, რვეული №1, 13-14.

რომლის გადახდა ძალზედ რთული იყო. თუ როდის მოქმედებდა აღნიშნული გადასახადი და როდის მოხდა მისი გაუქმება, ალ. ოჩიაურის მონაცემებში არ ჩანს. იგი მხოლოდ მიუთითებს, რომ ეს უძველესი „რჯულია“. ჩვენ დავუმატებთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ალ. ოჩიაურის იმ ინფორმატორის გარდა, რომელიც მას ამ ინსტიტუტის შესახებ მოუთხრობს, სხვა ინფორმატორები მის შესახებ არაფერს ამბობენ. სავარაუდოდ, აღნიშნული სახდელი იმდენად ძველია, რომ ხევსურ ინფორმატორთა აბსოლუტურ უმრავლესობას მის შესახებ არაფერი სმენია.

სვანურ ჩვეულებით სამართალში მკვლელობისათვის გათვალისწინებულ გადასახადს „წორი“ ეწოდება. „წორი“ მხოლოდ მკვლელობის სისხლის ფასს ერქვა.[4] „წორი“ მიწის საზომით, ანუ „ნალჯომით“ განისაზღვრებოდა.

სვანეთის სხვადასხვა საზოგადოებში „წორის“ ოდენობა განსხვავებილი სახითაა წარმოდგენილი. მაგალითად, უშგულის საზოგადოებაში „წორი“ 6 ნალჯომ სახნავ ყანას შეადგენდა. თითო ნალჯომი ღირდა 6 ხარი. იმავე ღირებულება ჰქონდა „წორს“ კალის საზოგადოებაშიც. მესტიასა და მულახში „წორი“ 6 ნალჯომი ღირდა (სამი ნალჯომი სახნავი და სამი ნალჯომი სათიბი). ლატალსა და ლენჯერში „წორი“ შეადგენდა 24 ნალჯომ სახნავ მიწას (ერთი ნალჯომი ერთ ხარსა და ერთ ძროხას უდრიდა, ანუ „წორი“ — 24 ხარსა და 24 ძროხას), თუმცა, რადგან ლატალისა და ლენჯერის ოთხი ნალჯომი უშგულის ერთ ნალჯომს უდრი-

[4] დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975, 166, 169. დ. დავითულიანი ხსნის ამ ტერმინის წარმოშობას. მისი განმარტებით, სვანურ ჩვეულებით სამართალში გამოიყენებოდა ტერმინი „ლიწვრი“, რაც ნიშნავდა შურისძიებას, ადამიანის ფიზიკურ მოსპობას. „წორი“ კი „ლიწვრის“ გენეზისის შედეგია, როდესაც შურისძიება კომპოზიციით შეიცვალა. „ლიწვრი“ ქართულად პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს „გამოდენას“. მაგალითად, სისხლი „ლიწვრე“ ნიშნავს „სისხლის გამოდენას“. „წორ“, „ლიწვრე“, „ქოლიწვრე“ და ა. შ. ყველა შემთხვევაში ნიშნავს დენას. „დენა“ კი ქართულ სამართლებრივ ტერმინოლოგიაში ხშირად გამოიყენება სასჯელთა განსაზღვრისას. მაგალითად, ვახტანგის სამართლის წიგნში აღნიშნულია: „სისხლის დენის წესი (ანუ სისხლის განსაზღვრის, — დ.დ.) ასრე არის: დიდ გვარიშვილს უფრო დიდი სისხლი სდის, ქვემოითს უფრო პატარა სისხლი სდის“, ე. ი. „დენა“ ანუ იმავე „წორ“ ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, „სისხლის გამოდენას“, ე. ი. მკვლელობის საზღაურს (დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., 167-168).

და, „წორის“ ოდენობა მთელს ბალსზემო სვანეთში დაახლოებით ერთი იყო.[1]

ბალსქვემო (საბატონო სვანეთში) — ბეჩოს, ფარისა და ჩუბეხევის საზოგადოებაში „წორი“ უდრიდა 24 ცხვადიშ სახნავ და სათიბ მიწას. აქაური „ცხვადიში“ ლატალ-ლენჯერის ნალჯომის ტოლი იყო, ეცერის საზოგადოებაში 12 ცხვადიშ სახნავ-სათიბ მიწას. ეცერის ცხვადიში უშგულისა და კალის ნალჯომის ტოლი იყო. სადადიანო სვანეთში (ლაშხეთის, ჩოლურის, ლენტეხის საზოგადოებების) წორი უდრიდა 400 მანეთის ღირებულების მოძრავ ქონებას (თოფი, ვერცხლი, სპილენძის ქვაბები, პირუტყვი), თუ მკვლელს აღნიშნული ღირებულების მოძრავი ქონება არ ჰქონდა.[2]

ზემოთ აღნიშნული „წორის“ ოდენობის გადახდა ხდებოდა გლეხის მკვლელობისას. აზნაურის სისხლი გლეხისაზე ორჯერ მეტი ღირდა.[3] დ. დავითულიანი აღნიშნავს, რომ აზნაურის „წორის“ ადათი „ნაურგიელის“ (გვარიშვილობის) „წორის“ ადათად არის ცნობილი. იგი სამართლიანად შენიშნავს, რომ ეს ადათი შუა საუკუნეების დროიდან მომდინარეობს, რადგან ამ პერიოდის სვანური ძეგლები განასხვავებენ აზნაურსა და გლეხს, „ვარგსა“ და ყმას, თუმცა საერთოდ, ბალსზემო სვანეთში სოციალური დიფერენციაცია, აზნაურთა პრივილეგიები მკვეთრად არ იყო გამოხატული.[4] აღმოსავლთ საქართველოს მთიანეთში თემის (საზოგადოების) ყველა წევრი თანასწორი იყო და „თავისისხლის“ ოდენობა არ იყო დამოკიდებული მოკლულის სოციალურ მდგომარობაზე.

---

[1] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 117-118; დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975, 171, 172. დ. დავითიანის განმარტებით, „წორი“ ყველა საზოგადოებაში 36 ხარი ღირდა (ნალჯომი 6 ხარი, 6 ნალჯომი 36 ხარი). ზუსტად იმავე გამოდის ლატალსა და ლენჯერში, სადაც ერთი ნალჯომი ერთი ხარისა და ერთი ძროხის ღირებულებას უტოლდებოდა, „წორი“ (24 ნალჯომი) კი 24-24 ხარსა და ძროხას უდრიდა. ერთი ხარი ორი ძროხის ღირებულებისა იყო. 24 ძროხა 12 ხარს უდრიდა. 24 ხარს 12 ხარი--36 ხარს (იქვე).

[2] ბ. ნიჟარაძე, იქვე.

[3] დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., 28; ზუსტად იმავეს ადასტურებს ნ. ჩიმაკაძე (ნ. ჩიმაკაძე, თავისუფალი სვანეთი, ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტომი II, ტფ., 1913, განყოფილება IV, გვ. 4.

[4] იქვე.

ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების თანახმად, შესაძლებელი ყოფილა, რომ სისხლის აღებისაგან თავის დასაღწევად გახიზნული მკვლელის მიერ მიტოვებული სახლ-კარი და მამული „თავსისხლის“ ანგარიშში (სისხლის ფასში) მთლიანად დარჩენოდა მოკლულის ნათესაობას.

ასეთი წესი ფიქსირდება ხევსურეთში. ჩვენ ამ საკითხს უკვე შევეხეთ კომპოზიციათა სისტემის წარმოშობის ზოგად ასპექტებზე საუბრისას. მაშინ ალ. ოჩიაურის მონაცემი მოვიტანეთ, რომელსაც ახლაც გავიმეორებთ. ალ. ოჩიაური აღნიშნავს, რომ „თუ მკვლელი გადაიხიზნებოდა და საბოლოოდ თავს დაანებებდა მამულს და სახლკარს, ეს ქონება რჩებოდა დაზარალებულს და გადახიზნული თავისუფლდებოდა სისხლის გადახდისაგან.“[1] ალ. ოჩიაურს რამდენიმე კონკრეტული ფაქტიც მოჰყავს.[2] იგი მიუთითებს, რომ ასეთი შემთხვევისას მკვლელს აღარ სდევნიდნენ, თუმცა მას და მის შთამომავლობას ამ ადგილას გავლის უფლებაც კი არ ჰქონდა.[3] ასეთ მამულს, როგორც წესი, არ ყიდდნენ, რადგანაც იგი სისხლში იყო აღებული და ამით სურდათ შთამომავლობას ჰქონოდა ხსოვნა ამ მკვლელობისა.[4] ამ მამულის არგაყიდვის მიზეზი ისიც უნდა ყოფილიყო, რომ იგი შესაძლოა დასაბრუნებელი გამხდარიყო გახიზნულისათვის, თუ მისი გვარის რომელიმე წევრს დაზარალებული გვარის წარმომადგენელი მოკლავდა.[5]

იმავე წესს ვხვდებით სვანურ სინამდვილეშიც. ა. დავითიანის ცნობით, როდესაც მკვლელი ხელმოკლე იყო და არ შეეძლო „წორის“ გადახდა, იმისათვის, რომ სისხლის აღების მსხვერპლი არ გამხდარიყო, სისხლის საზღაურად მთელი სახლ-კარი და ქონება უნდა დაეტოვებინა მოკლულის ნათესაობისათვის. ამ შემთხვევაში ეს ქონება არ ფასდებოდა და მისი ღირებულების მიუხედავად „წორის“ ეკვივალენტს წარმოადგენდა. ასეთ დროს მკვლელის ოჯახი ყველაფერს ტოვებდა და სოფლიდან სამუდამოდ მიდიოდა. თან მხო-

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, სახატო მიწები ხევსურეთში, ხელნაწერი, რვეული №3, 1938, 28.

[2] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, ხელნაწერი, რვეული №2, 18, 19.

[3] იქვე, 18.

[4] იქვე, 18, 19

[5] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/2, მოსისხლეობა ხევსურეთში, 13.

ლოდ კერიისა და ჯაჭვის წაღება შეეძლო, ხოლო მისი სახლ-კარის, ეზოს, სახნავ-სათესის, სათიბი ტყის და ხეხილის მესაკუთრე დაზარალებული მხარე ხდებოდა.[1]

როგორც ჩანს, სახლ-კარისა და მამულის დატოვება მოკლულის ოჯახისათვის, „თავსისხლის“ თუ „წორის“ ანაზღაურების საშუალებას წარმოადგენდა.

ხევსურეთში „თავსისხლის“ და სვანეთში „წორის“ თაობაზე ამჯერად მხოლოდ ზოგადი ინფორმაციით შემოვიფარგლეთ. „თავისხლის“ შემადგენელი ყველა სეგმენტის, „რიგის ყენების“ და მასთან დაკავშირებული თითოეული ნიუანსის, ასევე „წორის“ ინსტიტუტის ყველა დეტალის (მისი ოდენობა, გადახდის თავისებურებანი — თუ ვის რა დოზით ეკისრება მონაწილეობა მის გადახდაში და სხვა არაერთი საკითხი) განხილვა უპრიანად მიგვაჩნია ხევსურეთსა და სვანეთში მკვლელობის ინსტიტუტის ყოვლისმომცველი შესწავლისას.

4.3. საზღაური დაჭრა-დასახიჩრებისა და სხვა დანაშაულებისათვის. გვეშ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და სვანეთში შემორჩენილია დაჭრისა და დასახიჩრებისათვის, აგრეთვე სხვა დანაშაულებისათვის გათვალისწინებული ქონებრივი საზღაურების მთელი სისტემა. ფშავ-ხევსურეთში ჭრილობისა და სახიჩრობის საზღაურთა სისტემა შეიძლება გამოვხატოთ ტერმინით — „ჭრა-ჭრილობის რჯული“, „ჭრილობის რჯული.“[2]

ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, ჭრილობის საზღაურის ოდენობა დამოკიდებული იყო ჭრილობის სიმძიმეზე — მის სიდიდეზე, სიღრმესა (მაგალითად, თავის არეში მიყენებული ჭრილობისას) და ადგილმდებარეობაზე (კერძოდ, ყურადღება ექცეოდა იმას, ჭრილობა ტანსაცმლით იფარებოდა თუ არა და სხვა). სახის ჭრილობის საზღაური აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქერისა და ხორბლის მარცვლებით გაზომვის შედეგად დგინდებოდა.

[1] ალ. დავითიანი, პირადი არქივი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, ეთნოგრაფიული რეცენზია №6, 71.

[2] თუმცა ფშავ-ხევსურეთში ტერმინი „ჭრა-ჭრილობის რჯული“ უფრო ფართო მნიშვნელობითაც იხმარება და მოიცავს მთელ პროცესს — მხარეთა შებრძოლებას, დაჭრა-დასახიჩრებას, მხარეთა შერიგებისკენ მიმართულ ღონისძიებებს, დაზარალებულის მკურნალობასა და მოვლას, სასამართლო პროცესის ჩატარებას, საზღაურის გადახდის დაკისრებას, მის გადახდას, მხარეთა საბოლოო შერიგებას.

სახიჩრობის საზღაური კი სხეულის თითოეული ნაწილისათვის წინასწარ იყო დადგენილი.[1]

ფშავ-ხევსურეთში ყველა დანაშაულისათვის დრამა იყო გათვალისწინებული. დ. დავითულიანის მიხედვით, სვანეთში მკვლელობის გარდა სხვა დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს ეწოდება „გვეშ“ (მათ შორის დაჭრა-დასახიჩრებისათვის გათვალისწინებულ საზღაურს). ტერმინი „გვეშ“ ქართულად ნიშნავს „საქმეს“. მორევების (მედიატორების) სასამართლო „გვეშის“ გადახდას მიუსჯიდა სხეულის ყოველგვარი დაზიანების, შეურაცხყოფის, ცილისწამების და საერთოდ, ყველა სახის სისხლის სამართლის დანაშაულზე. ე. ი. სვანური გაგებით „გვეშ“ სისხლის სამართლის სასჯელს გამოხატავდა, გარდა მკვლელობისათვის სასჯელისა. როცა სვანურად იტყვიან: „ქაჩობა გვეშ ითქვიცს“, ეს ნიშნავს, რომ „დასჯის“ საზღაური მიუსაჯეს.[2] დ. დავითულიანის განმარტებით, სხეულის მძიმე დაზიანებაზე სასჯელს ეწოდება „ქაჩობა გვეშ“, ფიზიკურ შეურაცხყოფაზე – „ლაყარიელე გვეშ“, სიტყვიერ შეურაცხყოფაზე – „ნასყვადრიელე გვეშ“ და ა. შ.[3]

სვანურ ჩვეულებით სამართალში დაჭრა-დასახიჩრებისათვის გათვალისწინებული საზღაური „წორის“ და „აცსიშის“ სახით განისაზღვრებოდა. სხეულის მძიმე დაზიანებისას (მხედველობაშია სხეულის ამა თუ იმ ორგანოს დასახიჩრება) საზღაური „წორით“ იყო განსაზღვრული. ყველა სხვა დაჭრა, მსუბუქი და მძიმე, რომელსაც არ მოჰყოლია ადამიანის რომელიმე ორგანოს ფუნქციის მოშლა ან დაკარგვა (რაც, ბუნებრივია, უფრო მსუბუქ დაჭრად ითვლებოდა), შეფასებული იყო არა „წორით“, არამედ „აცსიშით“ და ბ. ნიჟარაძის განმარტებით, ღირდა ორი აცსიშიდან 30 აცსიშამდე, ჭრილობის სიმძიმის მიხედვით.[4] მისივე განმარტებით, აცსიში უტოლდებოდა 6 მანეთს, ნიკოლოზ II დროინდელი ფულით.[5] სხვათა შორის ამას

---

[1] ყველა ამ საკითხზე დაწვრილებითი საუბარი დაჭრა-დასახიჩრების, როგორც დანაშაულის განხილვისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია. სწორედ მაშინ განვიხილავთ ისეთ საზღაურებს, როგორიცაა: საგულე, საბეჭე, საფათვლე, საუნამუსოე და სხვა.

[2] დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ., 177.

[3] იქვე, გვ. 169.

[4] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 119.

[5] იქვე, 124.

ადასტურებენ მ. კეკელიას სვანი ინფორმატორები XX საუკუნის 60-70-იან წლებში.[1]

ბ. ნიჟარაძის მიხედვით, დაჭრის გარდა აცსიშით იყო შეფასებული ისეთი დანაშაულები, როგორიცაა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ცილისწამება, სხვის სახლში უნებართვოდ შესვლა, ქალის მანდილის მოხდა და ნაწნავების მოჭრა.[2] იმავე დანაშაულთა აცსიშით შეფასებას მიუთითებს ასევე ეგ. გაბლიანი.[3]

4.4. საზღაური ქურდობისათვის — ნაქურდალის რამდენიმემაგი ანაზღაურება. სამართლის ისტორიისათვის ცნობილია ქურდობისას ნაქურდალის დაბრუნების გარდა, მისი რამდენიმემაგი ანაზღაურება, რაც ფიქსირდება მრავალი ხალხის როგორც ჩვეულებით სამართალში, ასევე წერილობით აქტებში. ცნობილია, რომ ნაქურდალის ასეთ ანაზღაურებას ქართული სამართლის ძეგლებიც იცნობს. მაგალითად, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდებით" გათვალისწინებულია ნაქურდალის სამმაგი ანაზღაურება (მუხლი 44-ე), ბექა-აღბუღას სამართლის წიგნით სამცხეში ორმაგი (62-ე მუხლი), ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნით შვიდმაგი (მუხლი 150-ე, 151-ე, 152-ე, 153-ე 154-ე),[4] სვიმონ მეფის 1590 წლის სიგელით სამმაგი, ხუთმაგი და შვიდმაგი ანაზღაურება (ქურდობის ჩადენის დროისა და ადგილის მიხედვით).[5] ქურდობისათვის ასეთივე ანაზღაურებაზე საუბრობს არქანჯელო ლამბერტი სამეგრელოს სინამდვილეში. იგი წერს: „თუ ქურდს მხოლოდ ერთი ძროხა ან ერთი ხარი, ან ერთი ღორი, ან ერთი ცხენი და ან ერთი სხვა ამისთანა მოუპარავს, დაჭერისთანავე მას დაუყოვნებლივ სასჯელი დაედება. ეს სასჯელი იმაში მდგომარეობს, რომ უნდა გადაიხადოს ნაქურდალის ფასი თხუთმეტჯერ მეტი, რომლისგანაც ხუთი ნაწილი პატრონს ერგება, ხუთი ხაზინას და ხუთიც იმ მოხელეთა გასამრჯელოდ, ვინც სასჯელს დაადებს

---

[1] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რვეული, 1968-1969, №5, 37, №6, 51.

[2] ბ. ნიჟარაძე, იქვე, 119-120.

[3] ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, ტფ., 1927, 111-112.

[4] იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, ტ. 1, თბ., 1963, 419, 448, 519.

[5] ქართლი სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1965, 204.

დამნაშავეს."[1] მსგავსი წესები სვანეთის საისტორიო ძეგლებითაც დასტურდება. გ. გასვიანი აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი წერილობითი ძეგლის მიხედვით, ქურდს მოპარულს რამდენიმემაგად ანაზღაურებინებდნენ, აქედან ნაწილს პატრონს აძლევდნენ, დანარჩენს კი თემი და „მპარავმძებნელი" ინაწილებდნენ.[2] საინტერესოა, რომ სამეგრელოსა და სვანეთში ნაქურდალის ანაზღაურების განაწილების პრინციპი სვიმონ მეფის 1590 წლის სიგელში მოცემულის მსგავსია. ამ სიგელით ნაქურდალის სამმაგი, ხუთმაგი თუ შვიდმაგი საზღაურის ერთი ნაწილი ეკუთვნოდა მეფეს, მეორე ნაქურდალის – პატრონს, ხოლო მესამე – მეკობართმეძებელს, რომელიც უზრუნველყოფდა ქურდის გამოვლენასა და ნაქურდალის ანაზღაურებას.[3]

ქურდობისათვის მსგავსი საზღაური ჩვენს ხელთ არსებულ XIX-XX საუკუნის ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებშიც ფიქსირდება. ამჯერად აღნიშნული მასალების მიხედვით, გვინდა სწორედ ამ საკითხს შევეხოთ.

აღსანიშნავია რომ, საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ნაქურდალის რამდენიმემაგი ანაზღაურება აღარ გვხვდება. მაგალითად, იმერეთის, გურიის, მესხეთის, აჭარის, სამეგრელოს ჩვეულებითი სამართლის მასალებში ვხვდებით ნაქურდალის მხოლოდ „ერთი ერთზე" ანაზღაურებას, ანუ ქურდობისას მხოლოდ ნაქურდალის, ან მისი ღირებულების დაბრუნებას.[4] ზოგიერთი ინფორმატორი შესაბამის კითხვაზე ხაზგასმით

---

[1] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, ტფ. 1938, 74. ნაქურდალის თხუთმეტმაგი ანაზღაურება საქართველოში სხვაგან არსად გვხვდება. სამეგრელოში ასეთი მკაცრი სასჯელი, სავარაუდოდ, ქურდობის უაღრესი გავრცელებულობით იყო განპირობებული.

[2] გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973, 189.

[3] ქართლი სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1965, 204.

[4] ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 45, 74; გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 70; დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 25-26, ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 9; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 5, 11, 20; მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, №1, 10; დ. ჯალაბაძე, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 37; ჯ. მერაბიშვილი,

პასუხობს, რომ მათ კუთხეში მხოლოდ ნაქურდალს აბრუნებდნენ და ორმაგი და სამმაგი ანაზღაურება არ ყოფილა.[1] აჭარაში მხოლოდ ორიოდე ინფორმატორის მეხსიერებას თუ შემორჩა ნაქურდალის ორმაგი ანაზღაურება.[2] აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ნაქურდალის „ერთი ერთზე“ ანაზღაურებას ამ რეგიონებში ხშირად თან სდევდა რაიმე სხვა, დამატებითი სასჯელის, ძირითადად გამაწბილებლის გამოყენება.[3] განმეორებითი ქურდობისას კი შესაძლოა გაძევებასაც ჰქონოდა ადგილი.[4] როგორც ვხედავთ, საქართველოს ამ კუთხეებში XX საუკუნის ბოლო პერიოდის მასალებშიც კი ჩანს ქურდობისათვის პასუხისმგებლობა ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე. აქ ნაქურდალის ანაზღაურებას შესაძლოა მოჰყოლოდა გამაწბილებელი, ხოლო განმეორებითი ქურდობისას ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებული უფრო მძიმე სასჯელიც.[5] აღსანიშნავია ისიც, რომ ამ რეგიონებში ნაქურდალის არაერთგზისი ოდენობით ანაზღაურება, ძირითადად, არ შემორჩენილა და საკვლევ პერიოდში, როგორც წესი, ქურდის ჩვეულებითი სამართლის წესით დასჯისას არ გამოიყენებოდა.

განსხვავებულ ვითარებას ვხვდებით საქართველოს ზოგიერთ მთიან რეგიონში. მაგალითად, ბალსზემო სვანეთში ცალსახად ფიქსირდება ნაქურდალის ორმაგი ანაზღაურება. ამას ადასტურებს ბ.

მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 25, 35; ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, 1988, 12; ჯ. მერაბიშვილი მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 23.

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 13; ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1990-1991, 16; მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1986, №2, 36.

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 52, 60.

[3] გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 8; დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 1; ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1986, 62.

[4] ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 45; გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 8.

[5] ამ სასჯელებს ნაშრომის შესაბამის ქვეთავებში ვეხებით.

ნიჟარაძე, ასევე ეგ. გაბლიანი.[1] ბ. ნიჟარაძე აგრეთვე აღნიშნავს, რომ ნაქურდალის ორმაგად ანაზღაურების გარდა დამნაშავე საზოგადოების სასარგებლოდ ჯარიმას[2] იხდიდა[3]. ამ მონაცემებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ არაზუსტია მ. კოვალევსკის ცნობა იმის შესახებ, რომ სვანეთში ქურდობას მოსდევდა მხოლოდ ნაქურდალის, ან მისი ღირებულების დაბრუნება (ბალსზემო სვანეთში, ამას გარდა ჯარიმის გადახდას ისიც ადასტურებს),[4] ანუ, თითქოს, ნაქურდალის ორმაგ ანაზღაურებას სვანეთში ადგილი არ ჰქონია.

საინტერესოა, რომ ნაქურდალის რამდენიმემაგი ანაზღაურება XX საუკუნის II ნახევრის მასალებითაც კი დასტურდება. კერძოდ, ბალსზემო სვანეთის უმრავლეს საზოგადოებებში ნაქურდალის სწორედ ორმაგ ანაზღაურებას ვხვდებით,[5] ზოგიერთ საზოგადოებაში კი სამმაგსაც. კერძოდ, კალელი და წვირმელი ინფორმატორები აღნიშნავენ ამას.[6] ეს მონაცემები ასევე ადასტურებს, რომ ბალსზემო სვანეთში ნაქურდალის რამდენიმემაგი (ძირითადად ორმაგი, ასევე, ზოგიერთი ცნობით სამმაგი) ანაზღაურება ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ნაქურდალის არაერთმაგ ანაზღაურებას ვხვდებით ასევე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც. აქ ძველი ქართული სამართლისთვის დამახასიათებელი „შვიდეულიც“ კი გვხვდება. ამის მაგალითია ხევსურეთი და ხევი. ბ. გაბუური მიუთითებს: „რჯული ესე გაათავებს საქმეს: რაც მოპარული აქვს შვიდმაგად უნდა აანაზღაუროს. თუ ერთი ხარი ჰყავს მოპარული შვიდი უნდა გადაახდევინოს, თუ ერთი ფური ჰყავს მოპარული შვიდი უნდა ჩააბაროს, თუ ერთი ცხვარი, უნდა ჩააბაროს შვიდი ცხვარი. თუ ერთი თუმანი აქვს მოპარული უნდა ჩააბაროს შვიდი თუმანი.....“[7] მისივე განმარტებით, ქურდს სოფელი გამაწ-

---

[1] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 119; ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, ტფ., 1927, 112.

[2] ჯარიმას, როგორც ქონებრივ საზღაურს ქვემოთ შევეხებით.

[3] ბ. ნიჟარაძე, იქვე.

[4] М. Ковалевский, Законъ и обычай на Кавказе, Т. 2, М.,. 1890, 38.

[5] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №1, 1967, 23, 69, 87; №4, 1968, 75; №5, 1968-1969, 3, 31, 35, 48, 52.

[6] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №5, 1968-1969, 81; №6, 1969, 36.

[7] ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების

ბილებელ სასჯელს დააკისრებდა, ხოლო განმეორების შემთხვევაში საზოგადოება მას სიკვდილითაც დასჯიდა.[1] ამ სასჯელებზე შესაბამის ადგილას ვიმსჯელებთ. აქ მხოლოდ ვიტყვით, რომ ბ. გაბუურის მასალებში არის მინიშნება, რომ აღნიშნული სასჯელების (შვიდმაგი ანაზღაურების, არაერთგზისი ქურდობისას სიკვდილით დასჯის) დაკისრება საკუთარ სოფელში ჩადენილი ქურდობისას ხდებოდა.[2] ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა მ. კოვალევსკის ცნობა ფშავთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, აქ ნაქურდალის შვიდმაგ ანაზღაურებას ექნებოდა ადგილი თუ ორმაგს, დამოკიდებული იყო იმაზე, ქურდობა სახლიდან მოხდა თუ მინდვრიდან.[3] თუ რა გავლენა შეიძლება მოეხდინა პასუხისმგებლობის ხარისხზე ქურდობის ჩადენის ადგილს — საკუთარ საზოგადოებაშია (თემში, სოფელში) ჩადენილი თუ მის გარეთ, სახლიდან მოხდა ქურდობა თუ არა, უპრიანია ვისაუბროთ ქურდობის, როგორც დანაშაულის განხილვისას. ამჯერად ამ საკითხზე მხოლოდ თქმულით შემოვიფარგლებით. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ხევსურეთში ჩაწერილი მასალებიდან (მხედველობაშია გ. დოლიძის „ხევსურული ტექსტებში“ მოყვანილი მასალა) ჩანს ასევე ნაქურდალის სამმაგი ანაზღაურების ვალდებულებაც.[4] ხევსურეთში ქურდობის ინსტიტუტის განხილვასთან დაკავშირებით მ. კოვალევსკი საუბრობს ნაქურდალის შვიდმაგი და ორმაგი ანაზღაურების თაობაზე.[5] ნაქურდალის სამმაგი ანაზღაურება ფშავშიც გვხვდება.[6] ამდენად, ხევსურეთსა და ფშავში ცალსახად ფიქსირდება ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურების წესი, ასევე შესაძლოა ადგილი ჰქონოდა ნაქურდალის ორმაგ თუ სამმაგ ანაზღაურებას.

ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურება ხევშიც ფიქსირდება. კერ-

წელიწდეული, I-II, 1923-1924, გვ. 139.

[1] ბ. გაბუური, იქვე.

[2] იქვე.

[3] М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М.,. 1890, 118-119.

[4] გ. დოლიძე, ხევსურული ტექსტები, თბ., 1975, 54.

[5] М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М.,. 1890, 120.

[6] ო. ზოიძე, სასჯელები (ნაშრომის — „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“ მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი,“ 3, გამომცემლობა „მეცნიერება,“ თბ., 1991, 138.

ძოდ, მ. კეკელიას 1984 წელს ჩაწერილი მასალების მიხედვით, არაერთი მოხევე ინფორმატორი საუბრობს ამის თაობაზე. ერთ-ერთი მათგანის განმარტებით: „ჩვენთან არსებული წესის მიხედვით, თუ ვინმე ერთ ცხვარს მოიპარავდა, მას 7 ცხვარს გადაახდევინებდნენ. ასე იყო ყოველთვის ქურდობის დროს. მიზანი ის იყო, რომ სხვას არ მოეპარა.“[1] სხვა მოხევე ინფორმატორებიც, რომლებიც საქართველოს ამ კუთხეში „შვიდეულის“ შესახებ საუბრობენ, მას პირველ რიგში ცხვრის ქურდობას უკავშირებენ.[2] ეს განპირობებული უნდა იყოს მეცხვარეობის უპირატესი მნიშვნელობით მოხევეთა სამეურნეო ცხოვრებაში.

ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურების წესი მ. კეკელიამ მთიულეთში, კერძოდ, ქსნის ხეობაშიც დააფიქსირა.[3]

მონაცემები „შვიდეულის“ შესახებ გვხვდება თუშეთთან მიმართებაშიც. მ. კოვალევსკი ქურდობის ინსტიტუტს ხევსურეთსა და თუშეთში ერთობლიობაში განიხილავს და ამდენად, რასაც ხევსურეთზე საუბრობს, თუშეთზეც ავრცელებს. მის მიხედვით გამოდის, რომ თუშეთშიც ნაქურდალი შვიდმაგად და ორმაგად ნაზღაურდება.[4] ივ. ცისკარიშვილი და ალ. ხახანაშვილიც საუბრობენ თუშეთში ნაქურდალის შვიდმაგად ანაზღაურების შესახებ.[5] სხვა მკვლევარები არ ადასტურებენ თუშეთში ნაქურდალის შვიდმაგად ანაზღაურებას. კერძოდ, სტეფანე მენთეშაშვილი საუბრობს ნაქურდალის ორმაგ ანაზღაურებაზე,[6] ვასილ ლაგაზიძე კი გამორიცხავს თუშეთში ნაქურდალის შვიდმაგ ანაზღაურებას.[7] მისი განმარტებით, თუშური ხალხური სამართლის კვლევის შედეგად, არც ერთი გადმოცემით

---

[1] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №1, 1984, 49.

[2] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №1, 1984, 31, 81-82; №3, 1984, 16.

[3] მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობა) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 38.

[4] მ. კოვალევსკი, იქვე.

[5] И. Цискаров, Записки о Тушетии, газ. Кавказ, 1849, №11; ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, „ივერია“, 1888, №185.

[6] სტ. მენთეშაშვილი, თუშური მასალები, პირადი არქივი, ხელნაწერი, 1937, 171.

[7] ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1966, დ. 299, 147.

დასტურდება ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურება. შესაძლოა ეს ფშავ-ხევსურეთში იყო და თუშეთზეც გაავრცელა მ. კოვალევსკიმ.“[1] ვ. ლაგაზიძის ცნობები საკმაოდ სანდოა და სრულიად შესაძლებელია თუშეთში ნაქურდალის შვიდმაგ ანაზღაურებას მართლაც არ ჰქონოდა ადგილი, თუმცა, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის თითქმის ყველა კუთხეში შემორჩა ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურების პრინციპი, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ XIX საუკუნის ბოლოს იგი ივ. ცისკარიშვილის, მ. კოვალევსკის თუ ალ. ხახანაშვილს თუშეთშიც დაეფიქსირებინათ. თუ ვ. ლაგაზიძის მიერ XX საუკუნის შუა პერიოდში ჩატარებული კვლევის შედეგად არ დაფიქსირდა ნაქურდალის შვიდმაგი ანაზღაურება, ეს ცალსახად არ ადასტურებს იმას, რომ XIX საუკუნის II ნახევარში, ან უფრი ადრე, მისი არსებობა გამორიცხული იყო.

ამრიგად, საქართველოში ისტორიულად ცნობილი ნაქურდალის რამდენიმემაგი ანაზღაურება, მათ შორის ქართული სამართლის ძეგლებით ცნობილი „შვიდეული“, ჩვენს ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით საქაროველოს მთის რეგიონებში (სვანეთი, ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი, მთიულეთი) XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნეშიც შემორჩა.

4.5. ჯარიმა. ჯურუმი. ჰიბარ. ქონებრივ საზღაურთა რიგს მიეკუთვნება ჯარიმა. ფშავ-ხევსურეთში მას „ჯურუმს“ უწოდებენ, ხოლო სვანეთში გავრცელებული „ჰიბარ“ სწორედ ჯარიმის შესატყვის ინსტიტუტს წარმოადგენდა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის ჩვეულებით სამართალში ჯარიმის გამოყენება მრავალგვარ შემთხვევაში ხდებოდა. იგი გამოიყენებოდა როგორც საჯარო, ისე კერძო სამართალდარღვევებისათვის, როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. ჯარიმა შესაძლოა გადახდილიყო საზოგადოების სასარგებლოდაც და კერძო პირისთვისაც.

4.5.1. ჯარიმა (ჰიბარ) საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის. ქართულ ჩვეულებით სამართალში ჯარიმა ძირითადად საჯარო-სამართლებრივი სასჯელია. მას, როგორც წესი, იხდიდა საჯარო დანაშაულის ჩამდენი საზოგადოების (თემის თუ სოფლის) სასარგებლოდ. გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა ჯარიმის დაკისრება საზოგადოებრივი სამუშაოების თავ-

[1] ვ. ლაგაზიძე, იქვე.

ის არიდებისათვის,[1] უღირსი საქციელის ჩადენისათვის, უკანონო ქორწინებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის, საზოგადოებრივი საკუთრების ხელყოფისათვის (მაგალითად, ტყის გაჩეხვა), საზოგადოების მიერ დადგენილი წესების დარღვევისათვის[2] და საერთოდ ისეთი სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც საზოგადოების ინტერესს ხელყოფდნენ. საზოგადოების სასარგებლოდ გადახდილ ჯარიმას, როგორც წესი, თვით საზოგადოების წევრები მოიხმარდნენ საერთო პურობაზე. საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული ცალკეული დანაშაულისათვის ჯარიმის გადახდა, ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე, საქართველოს თითქმის ყველა იმ კუთხის ჩვეულებით სამართალში ფიქსირდება, რომლის შესახებაც მასალები გაგვაჩნია.

ასეთი ჯარიმების ყველაზე მწყობრი სისტემა სვანურ ჩვეულებით სამართალში გვხვდება ე. წ. ჰიბარის სახით. რ. ხარაძე განმარტავს: „ჰიბარს იხდიდა საურავის სახით, სოფლისა თუ თემის სასარგებლოდ ის ოჯახი, რომელიც საზოგადოების მიერ დადგენილ წესებს არღვევდა და ამით საზოგადოების წევრებს ზიანს აყენებდა.....“[3] „ჰიბარის“, როგორც საზღაურის გადახდას, უზრუნველყოფდა საზოგადოების ყრილობა.[4] ნატურის სახით გადახდილი „ჰიბარის“ გამოყენება ხდებოდა მთელი საზოგადოების მიერ რე-

---

[1] მაგალითად, გ. ჟორდანიას მასალებში ფიქსირდება კონკრეტული შემთხვევა საზოგადოებრივი საქმისადმი თავის არიდებისათვის სოფლის სასარგებლოდ ჯარიმის გადახდისა 1 მანეთისა და 20 კაპიკის ოდენობით. ასეთი მცირე საზღაური შედარებით მსუბუქი შემთხვევებისას ხდებოდა (გ. ჟორდანია, სისხლის სამართალი ქართლის სოფლებში (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1908, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1813).

[2] რ. ხარაძეს აღნიშნულის საილუსტრაციოდ სვანეთის საისტორიო ძეგლებიდან მოჰყავს ერთი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ზემო სვანეთის საზოგადოება აწესებს ჯარიმის გადახდას ერთმანეთის ღალატისათვის, ერთმანეთში ჩხუბისათვის, ქურდობისათვის, ერთმანეთისათვის ყანების გაფუჭებისათვის, უქმე დღეებში მუშაობისათვის.. საზოგადოების ეს დადგენილება კი ფიცით იყო განმტკიცებული (რ. ხარაძე, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, 1953, 193).

[3] რ. ხარაძე, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, 1953, 193.

[4] დ. დაითულიანი, დასახ. ნაშრ., 187.

ლიგიური დღესასწაულების დროს.[1] „ჰიბარი“, როგორც საჯარო ხასიათის გადასახადი, ჯერ კიდევ XIV-XVI საუკუნის სვანურ საისტორიო ძეგლებში საკმაოდ დიდი ინტენსივობით ფიქსირდება საზოგადოების მიერ დადგენილი წესების დარღვევისათვის. ეს საკითხი სრულყოფილად აქვს განხილული გ. გასვიანს.[2] საზოგადოების (თემის, სოფლის) სასარგებლოდ ჯარიმის („ჰიბარ“) გადახდა XIX-XX საუკუნის მასალებშიც გვხვდება. ჯარიმის გადახდა ეკისრებოდა საზოგადოების წევრს, „რომელიც მამა-პაპათაგან დადგენილ წესსა და რიგს დაარღვევდა“.[3] ავტორები არაერთ საჯარო ხასიათის დანაშაულს ჩამოთვლიან, რისთვისაც სწორედ ჯარიმა („ჰიბარ“) უნდა გადაეხადა დანაშაულის ჩამდენის ოჯახს. მაგალითად, ეს დანაშაულობებია: 1. მელოგინე ქალის დანიშნულ ვადაზე ადრე სახლიდან გამოყვანა, კერძოდ, მშობიარობის შემდეგ ერთ თვეზე ადრე ქალის გარეთ გამოშვება, თვიური ავადმყოფობის შემდეგ კი ერთ კვირაზე ადრე ქალის სხვებთან ერთად ყოფნა[4]; 2. უქმე დღეების გატეხვა, სამუშაოდ გასვლა ისეთ დღეებში, როდესაც რაიმე რელიგიური რიტუალი ტარდებოდა[5]; 3.

---

[1] იქვე, 198.

[2] გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973, 183-187.

[3] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 88.

[4] ბ. ნიჟარაძე, იქვე; ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, ტფ., 1927, 69.

[5] ბ. ნიჟარაძე, იქვე, ეგ. გაბლიანი, იქვე, დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ. 187. ეგ. გაბლიანის მიხედვით, ბალსზემო სვანეთში უქმე დღეებად ითვლებოდა პარასკევი, შაბათი, ზაფხულობით კი — ორშაბათი (ეგ. გაბლიანი, იქვე). დ. დავთულიანის თანახმად, ჯარიმის გადახდა ხდებოდა კვირა დღეს მუშაობისთვისაც (დ. დავითულიანი, იქვე). ასევე, რ. ხარაძე ეხება უქმის გატეხვისათვის ჰიბარის გადახდას, მათ შორის სვანური საისტორიო ძეგლების მიხედვით, რომელთა თანახმადაც, შესაძლოა საზოგადოებას (სოფელს) აღეკვეთა გარკვეულ დღეებში მუშაობა, ხოლო დადგენილი წესის დამრღვევი ჯარიმით დაესაჯა. მის მიერ მოტანილი ერთ-ერთი საბუთის მიხედვით საზოგადოებას აღუკვეთია მუშაობა პარასკევს, შაბათსა და კვირას. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ოჯახი იძულებული იყო უქმე შეგნებულად გაეტეხა, თუ მისთვის გარკვეული სამუშაოს შესრულება გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენდა, მაგალითად, თუ სახლის ამშენებელს კირის დაწვა უქმე დღეს შეხვდებოდა, მაშინ ჰიბარი წინასწარ უნდა გადაეხადა (რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., 193, 194-195).

ნათესაობისა და მირონის გატეხვა[1]; 4. სასულიერო პირის სიმთვრალე, ლოთობა[2]; 5. საზოგადოებაში საშიში სენის შემოტანა[3]; 6. საზოგადოების ქონების ხელყოფა[4]; 7. ქალიშვილის მეძაობა, თუ მას უკანონო შვილი ეყოლებოდა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საზოგადოების ყრილობა მის დედ-მამას, ან თუ მშობლები არ ჰყავდა, მასზე ზედამხედველ ახლო ნათესავებს ჯარიმის სახით ჩამოართმევდა ერთ დღიურ ყანას ან მის შესატყვის სათიბს, ტყეს, რომლებიც სამუდამოდ სასოფლო ადგილებად რჩებოდნენ.[5]

ჯარიმის (ჯურუმის) გადახდა ხევსურეთში გვხვდება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის რელიგიური დღესასწაულის (ხატობის) მიმდინარეობისას. ნ. ხიზანაშვილი აღნიშნავს, რომ ხატობისას მშვიდობიანობის და წესრიგის დაცვას ხუცესი უზრუნველყოფდა და ჩხუბის ამტეხს, წესრიგის დამრღვევს „დააჯურუმებდა“, კერძოდ, გადაახდევინებდა ცხვარს თუ ფულს.[6]

ამ საკითხზე საინტერესო მონაცემებს ვხვდებით ალ. ოჩიაურის მასალებში. აქ ხატობისას შუღლის არაერთი კონკრეტული ფაქტია მოცემული, რომელთაც შუღლის მონაწილეების დაჯარიმება მოჰყვა. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით ჩანს, რომ, თუ ჯვარში დაჭრა მოხდებოდა და სისხლი დაიღვრებოდა, მაშინ დამჭრელს ჯვარისკარის სანათლავად აუცილებლად უნდა მიეყვანა საკლავი. სანამ ჯვარისკარის განათვლა არ მოხდებოდა, არანაირი რიტუალი ჯვარში

[1] ბ. ნიჟარაძე, იქვე. ნათესავებს შორის ქორწინება თუ სქესობრივი კავშირი საზოგადოების ყრილობის განსჯას ექვემდებარებოდა (ბ. ნიჟარაძე, იქვე, ეგ. გაბლიანი, იქვე, 70).

[2] ბ. ნიჟარაძე, იქვე, ეგ. გაბლიანი, იქვე, 69. ბ. ნიჟარაძის განმარტებით, საზოგადოების ყრილობას ექვემდებარებოდა სასულიერო წოდებაც, კერძოდ, ადგილობრივი სასულიერო პირი — ბაბი.

[3] დ. დავითიანი დასახ. ნაშრ. 188. ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., 68. საილუსტრაციოდ აღნიშნულ ავტორებს მოჰყავთ XIV საუკუნის საბუთი, რომლის მიხედვითაც ოსეთში წასულ შვიდ მოსახლეს რაღაც სნეულება შემოუტანიათ, რასაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე უმსხვერპლია. ამის გამო სეტის საზოგადოების ყრილობას მათთვის ჰიბარი გადაუხდევინებია (ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., 68-69, დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ. 188).

[4] მაგალითად, ნაკრძალი მიწის სავარგულების ხელყოფა (დ. დავითულიანი, დასახ. ნაშრ. 188).

[5] იქვე.

[6] ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 24.

ალარ ჩატარდებოდა, დღეობის მონაწილეებს ლუდს არ მიუტანდნენ.

ერთ-ერთი ხატობისას არხოტის ჯვარში მოხდა დაჭრა. არხოტის ჯვარის ერთ-ერთმა მესვეურმა გამოაცხადა: „მანამ ჯურუმად საკლავი არ მოვა და კაცის სისხლით მოსვრილი ჯვარისკარი არ დაინათლება, მანამდინ ჯვარის რიგი დაკეტილია, არც ჯვარს ვუყენებთ რიგსად, არც სოფელს მივსცემთ დღეს, რაც ლუდ მიუდის...“[7] ამის შემდეგ დამჭრელმა სახლიდან ჯურუმად ცხვარი მოაყვანინა ჯვარისკარის სანათლავად, რომელიც დასტურმა სასაკლაოზე დაკლა. საკლავის სისხლი ყველგან უწიეს, სადაც კაცის სისხლი იყო დაღვრილი, რითაც გაინათლა და გაინწმინდა ეს ადგილები.[8] მსგავსი შემთხვევები არცთუ იშვიათად ხდებოდა.[9] რადგანაც კაცის სისხლი უწმინდურად ითვლებოდა, ჯვარში სისხლის დაღვარა დიდ შეუარაცხყოფას წარმოადგენდა. ამდენად, სისხლით გაუწმინდურებულ ჯვარში მისი დიდება განათვლამდე არ შეიძლებოდა.[10] აქედან გამომდინარე, არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ჯვარის დარბაზში მომხდარი ერთ-ერთი მკვლელობის შემდეგ დასტურებმა დარბაზიდან კაცის სისხლი მიწიანად გამოხვეტეს და მის ნაცვლად ახალი მიწა შეიტანეს, წყალი დაასხეს და გატკეპნეს.[11]

ხშირად ჯვარში ორმხრივ დაჭრას ჰქონია ადგილი. ამ დროს ორივე მხარეს მოჰყავდა საკლავი ჯვარისკარის სანათლავად.[12] ჯვარში მასობრივი შეღლისას (რაც ასევე იშვიათი არ იყო), მასში მონაწილე ყველა პირი იყო ვალდებული ჯვარში საკლავი მიეყვანა.

[7] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/4, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 39.

[8] ალ. ოჩიაური, იქვე.

[9] იქვე, 6/2, 20. საინტერესოა, რომ ასეთი შემთხვევა მ. კეკელიას მიერ 1977 წელს ხევსურეთში ჩაწერილ მასალაშიც გვხვდება. მისი ერთ-ერთი ინფორმატორი უშუალო თვითმხილველი იყო ამისა. მისმა მამამ არხოტის ჯვარში დაჭრა მეზობელი ახალი წლის დღესასწაულზე. ინფორმატორი მამა მაშინვე მისულა სახლში და იქიდან კურატი წამოუყვანია, რომელიც ჯვარში დაიკლა და დაინათლა ის ადგილები, სადაც ადამიანის სისხლი იყო დაღვრილი, ანუ ამ ადგილებს კურატის სისხლი მიასხეს. როგორც ინფორმატორი განმარტავს, ეს აუცილებელი იყო იმისათვის, რომ ჯვარს მამამისისთვის ეპატიებინა ჯვარში სისხლის დაღვრა (მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 25).

[10] ალ. ოჩიაური, იქვე, 6/1, 7.

[11] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/8, მოსისხლეობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 88.

[12] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/4, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 48.

ალ. ოჩიაურის ინფორმატორი კონკრეტული შემთხვევის აღწერისას მიუთითებს, რომ ორმხრივ შუღლში მონაწილეებმა ჯვარში ერთი საკლავი ჯვარისკარის სანათლავად მიიყვანეს, ხოლო მეორე ჯურუმად ჯვარში შუღლისთვის,[1] ხოლო მასობრივი შუღლისას მასში იარაღით მონაწილე ყველა პირს უწევდა საკლავის მოყვანა ჯვარისკარის სანათლავად. მხოლოდ დარბაზის დანათვლის შემდეგ შესრულდებოდა ჯვარის რიგის წესები.[2]

ჯვარში მოშუღარების მიერ ჯურუმად საკლავის მიყვანის ვალდებულება განპირობებული იყო იმით, რომ ჯვარში შუღლი, სისხლის დაქცევა ითვლებოდა ჯვრის შეურაცხყოფად და აქედან გამომდინარე, ჯვრის რისხვას იწვევდა. ჯვარისკარის დანათვლამდე ხდებოდა ჯვრის დროშის გადმოყუდება მოშუღართა სამრისხაოდ. ეს ჯვრის ძალზედ დიდ რისხვას ნიშნავდა. სანამ ყველა მოშუღარი საკლავს არ მიიყვანდა ჯვარისკარის სანათლავად, მანამ დროშა სამრისხაოდ გადმოყუდებული რჩებოდა. საკლავების მოყვანის შემდეგ კი მედროშე დროშას უკან დააბრუნებდა.[3] საზოგადოებაში იყო რწმენა, რომ ვინმეზე განრისხებული ჯვარი მას (ამ შემთხვევაში ჯვარში მოშუღარს) და მის ოჯახს მკაცრ სასჯელს მოუვლენდა — ავადმყოფობას, სიკვდილს და სხვა. ამ რწმენიდან მომდინარეობს ჯვარში მოშუღარისა და სისხლის დამქცევის ვალდებულება ჯვარისკარის სანათლავად ჯარიმად (ჯურუმად) საკლავის მიყვანისა. იგი ჯვარის რისხვის შიშით იძულებული იყო ეს გაეკეთებინა.

ჯვარში ჩხუბი, შუღლი, ცხადია, დღეობის დროს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას იწვევდა. ჯვარში წესრიგი კი ჯვარის მსახურთა მხრიდან განსაკუთრებული დაცვის ობიექტი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ შუღლს ხშირად მოჰყვებოდა დაჭრა, ზოგჯერ მკვლელობაც და ჯვრის გაუწმინდურება. ასეთი შუღლი ჯვარში, როგორც აღვნიშნეთ, ხალხის რწმენით, ჯვრის განრისხებას იწვევდა. ეს ფაქტორი შუღლში მონაწი-

[1] ალ. ოჩიაური, იქვე.

[2] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/5, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 58; ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/8, მოსისხლეობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 88; მაგალითად, გუდანის ჯვარში ჭინჭარაულებსა და არაბულებს შორის შუღლისას ორივე გვარიდან 60 კაცი დაიჭრა და თითოეულ დამჭრელს თითო საკლავის მიყვანა მოუხდა (ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილი-მიღმახევი), თბ., 2005, 159).

[3] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/5, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 58.

ლეთათვის საკლავის სახით გათვალისწინებული ჯურუმის გადახდის უზრუნველყოფის საშუალებად შეიძლება განვიხილოთ.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჯვარში ჩხუბი, შუღლი, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, საჯარო სამართალდარღვევას წარმოადგენდა, ხოლო ამისათვის გათვალისწინებული ჯურუმი საჯარო ხასიათის სასჯელს.

აღსანიშნავია, რომ ხევსურეთში საზოგადოების წევრთა დაჯარიმების უფლება ჰქონდათ ჯვარის მესვეურებს სხვადასხვა სახის დარღვევისათვის, რომელიც ჩადენილი იყო როგორც ჯვრის ტერიტორიაზე (მხედველობაში არაა აქ მხოლოდ მკვლელობა-დაჭრა), ისე მის გარეთ. ისინი რომელიმე რელიგიური დღესასწაულისას (მხედველობაშია „დიდი დღეობები“, როდესაც დროშის გამობრძანება ხდებოდა, უფრო წელწადისა და აღვსების დროს) ჯვრის დარბაზში იღებდნენ გადაწყვეტილებას კონკრეტულ პირთა დაჯარიმების შესახებ, რომელთაც ჩაიდინეს რაიმე ისეთი დარღვევა, რისთვისაც პასუხისმგებლობის დაკისრება (ძირითადად, ჯარიმის სახით) მათ პრეროგატივას შეადგენდა. ასეთი პროცედურა პერიოდულად ტარდებოდა და ჯვრის მესვეურები წინა დაჯარიმებიდან შემდგომ პერიოდში მომხდარ ყველა შესაბამის შემთხვევას განიხილავდნენ. შემდეგ დღეობაზე შეკრებილ ხალხს საჯაროდ ამცნობდნენ იმის შესახებ, თუ ვის, რისთვის, რა ოდენობის ჯარიმა დაეკისრა. ამას ხუცესი აკეთებდა ჯვარიონთა თანხლებით. ბოლოს იგი დათქვამდა ჯარიმის გადახდის ვადას, რომ, თუ მეორე დღეს ჯარიმა არ იქნებოდა გადახდილი, როგორც ჯვარში სისხლის დაღვრის შემთხვევაში აღინიშნა, ჯვრის დროშა კარში დარჩებოდა გადმოყუდებული ჯარიმის არგადამხდელის სამრისხველოდ.[1] თუ ვინმე დაკისრებულ ჯარიმას არ გადაიხდიდა, ხალხის რწმენით, მოხდებოდა მისი, მისი ოჯახისა და გვარის დაწყევლა და სრული ამოწყვეტა.[2] ახლა მოკლედ განვიხილოთ, თუ რა

[1] ალ. ონჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილი-მიღმახევი), თბ., 2005, 251, 271-272, 301; ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIII, №10, 1952, 626.

[2] ამიტომ, როგორც ამას ალ. ონჩიაური მიუთითებს, თვით გვარი არავის მისცემდა ურჩობის უფლებას. ჯერ გვარი შეიკრიბებოდა და დაჯარიმებულს მოსთხოვდნენ ჯარიმის გადახდას. თუ ვინმე გაჯიქდებოდა და უარს ამბობდა ჯარიმის გადახდაზე, მაშინ გვარი თვითონ აგებდა პასუხს და ჯვარში მიიყვანდა „საჯურუმო“ საკლავს. ჯარიმის არგადამხდელი მოგვარე კი შესაძლოა გვარს მოეკვე-

დარღვევებისათვის აჯარიმებდნენ ჯვრის მესვეურნი პირებს. ხევსურეთის სხვადასხვა თემში ჩაწერილი მონაცემების მიხედვით ასეთი სურათი იკვეთება: უპირველეს ყოვლისა, ჯარიმდებოდა ჯვრის თუ საზოგადოების (სოფლის) ქონების ხელმყოფი. მაგალითად, შატილის ტერიტორიაზე იდგა ტყემლის, მაჟალოსა და პანტის ხეები. ერთ დანიშნულ დღეს ამ ხეებს დაბერტყავდნენ და სოფელში კომლზე გაანაწილებდნენ. შესაძლოა, ვინმეს ჩუმად წაელო სახლში ხილი. ვინც ამას გააკეთებდა, ჯვრის მესვეურები ჯარიმას დააკისრებდნენ.[1] ასევე აჯარიმებდნენ იმას, ვისი პირუტყვიც ჯვრის ჭირნახულს დააზიანებდა.[2] ჯარიმდებოდნენ ჯვარში მოშულარნი,[3] ასევე, მოჩხუბარი ქალები. ხევსურეთში ქალების „ჭყივილ-კივილი“ მიუღებელი იყო და თუ ისინი შეულლობდნენ, ილანძღებოდნენ, იწყევლებოდნენ, მათ „ჯურუმად“ საკლავს ახდევინებდნენ.[4] ალ. ოჩიაურის მონაცემების მიხედვით, ასეთ შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა დამოკიდებული იყო ქალის საქციელის სიმძიმეზე. მაგალითად, ორმა ქალმა იჩხუბა. ერთი უფრო ხმამაღლა ჭყიოდა და მეორეს ხელი გაარტყა. ამ ქალს, რომელმაც უფრო მძიმე დარღვევა ჩაიდინა, დააკისრებდნენ ერთი წლის საკლავს ან ერთი წლის ცხვარს, ან მეტისას, მეორე ქალს, კი, რომელმაც შედარებით ნაკლები დარღვევა ჩაიდინა, დააკისრებდნენ ბატკანს, ან კიდევ უფრო მცირე დარღვევისათვის ორ აბაზ ფულს.[5] ჯვრის მესვეურებს შესაძლოა დაეჯარიმებინათ პიროვნება (თუ მოკვეთას არ ჩათვლიდნენ მიზანშეწონილად) სოფლის პირის გატეხვისათვის, კერძოდ, სოფლის საიდუმლოს გატანისათვის, სოფლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დარღვევისათვის და სხვა.[6]

თა (ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილი-მიღმახევი), თბ., 2005, 301).

[1] ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილი-მიღმახევი), თბ., 2005, 271-272. შატილში ანატორის ჯვრის მესვეურებმა დააჯარიმეს ვინმე ადუა ხილის მოპარვისათვის და დააკისრეს ორი გვერდი ქერი (გვერდი – ნახევარი ფუთი) ანატორის ჯვრის სასარგებლოდ (იქვე).

[2] იქვე, 272.

[3] იქვე, 251, 272.

[4] იქვე, 251, 272.

[5] იქვე, 251.

[6] იქვე, 251, 272. ალ. ოჩიაურის მასალებში ვხვდებით საინტერესო შემთხვევას

ყველა ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში ჯარიმა (ჯურუმი, ჰიბარი) ძირითადი სასჯელია, თუმცა იგი შესაძლოა კონკრეტული საჯარო ხასიათის სამართალდარღვევისას დამატებითი სასჯელიც ყოფილიყო. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია საკუთარ საზოგადოებაში (თემში, სოფელში) ქურდობა. მაგალითად, ბალსზემო სვანეთში საკუთარ საზოგადოებაში ქურდობისათვის ნაქურდალის ორმაგად ანაზღაურების გარდა, ქურდს საზოგადოების სასარგებლოდ უნდა გადაეხადა ჯარიმაც, რომლის ოდენობასაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საზოგადოების ყრილობა განსაზღვრავდა საკუთარი შეხედულებით. ამ დროს ხდებოდა ქურდის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინება. შესაძლოა ერთი ცხვრის ქურდობისას საზოგადოებას ქურდისათვის დაეკისრებინა სამი ხარის გადახდა, ხოლო სხვა შემთხვევაში ერთ ძროხასაც დასჯერებულიყო.[1]

ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში არის მონაცემები ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისას ძირითადი სასჯელის გარდა ჯარიმის დაკისრებისა. მაგალითად, 1876 წელს სოფელ პატარა თიანეთში სულიერ ნათესავებს შორის სქესობრივი კავშირის გამო, რასაც უკანონო შვილის დაბადება მოჰყვა, საზოგადოების ყრილობამ დამნაშავეების დასჯა გადაწყვიტა. საზოგადოების მიერ გამოყოფილმა პირებმა ტალახში ამოსვრილი დამნაშავეები ვირზე შესვეს, სოფელში საჯაროდ ჩამოატარეს, თან ურტყამდნენ. ბოლოს კი მათ

შატილში ანატორის ჯვრის მესვეურთა მიერ სოფლის პირის გატეხვისათვის პიროვნების დაჯარიმებისა. ალ. ოჩიაურის განმარტებით, როდესაც შატილიონები მიღმახველზე ათხოვებდნენ ქალს ურვადს იღებდნენ, თვითონ კი მიღმახველი ქალის მოყვანისას არა. ერთ-ერთმა შატილიონმა კი ურვადი მისცა მიღმახველს სოფლისგან მალულად. ეს სოფლის ღალატად, სოფლის პირის გატეხვად ჩაითვალა. ამის გამო ანატორის ჯვრის დარბაზში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ამ პიროვნებას ჯვარში „ჯურუმად" უნდა მიეყვანა სამი წლის კურატი, ხოლო ურვადი უკან დაებრუნებინა, თუ ურვადს არ დაუბრუნებდნენ, ქალი უკან წამოეყვანა. თუ ამას არ გააკეთებდა, სოფელს იგი უნდა მოეკვეთა (ალ. ოჩიაური, იქვე, 273). როგორც ვხედავთ, სოფელში დადგენილი წესის დარღვევა სოფლის პირის გატეხვად შეფასდა და ჯვრის მესვეურებმა დამნაშავეს ჯარიმა დააკისრეს და დარღვევის გამოსწორებაც მოსთხოვეს (ურვადის ან ქალის უკან დაბრუნება). წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავე უფრო მძიმე სასჯელის საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა.

[1] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 87, 119; ეგ. გაბლიანი, დასახ. ნაშრ., 69.

ჯარიმა დააკისრეს, რომელიც სოფლის საჭიროებას მოხმარდა.[1] ქსნის ხეობაში დაფიქსირებულია შემთხვევა, როდესაც პიროვნებამ ნაოესავის ცოლთან სქესობრივი კავშირის დაამყარა. ორივეს მიმართ გამოყენებულ იქნა გამაწბილებელი სასჯელი (ვირზე შესმა), თუმცა, ამას გარდა, ასევე მოხდა მათთვის ჯარიმის დაკისრება.[2]

ყველა ამ შემთხვევაში კარგად გამოჩნდა, რომ ჯარიმა დამატებითი სასჯელია, რომელიც სხვა ძირითად სასჯელთან (ნაქურდალის მრავალმაგი ანაზღაურება ქურდობისას, გამაწბილებელი სასჯელი ზნეობრივი დანაშაულისას) ერთად გამოიყენებოდა.

4.5.2. ჯარიმა (ჰიბარი) კერძო ხასიათის დანაშაულისათვის, რომელიც საზოგადოების სასარგებლოდ გადაიხდება. ქართულ ჩვეულებით სამართალში ფიქსირდება მასალა, რომელიც ადასტურებს კერძო სამართალდარღვევებისას დამნაშავის მიერ კერძო სასჯელის გარდა საზოგადოების სასარგებლოდ ჯარიმის (ჰიბარი) გადახდას. ამ თვალსაზრისით საინტერესო მონაცემებს ვხვდებით რ. ხარაძის მონაცემებში უშგულთან დაკავშირებით. ამ მონაცემების მიხედვით, დაზარალებულისათვის გადასახდელი ქონებრივი საზღაურის (საურავის) გარდა დამნაშავეს საზოგადოების სასარგებლოდ უნდა გადაეხადა ჰიბარი. მაგალითად, 1. სათიბის თუ ყანის გაფუჭებისას დამნაშავეს, პატრონისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების გარდა, უნდა გადაეხადა ჰიბარი მიყენებული ზარალის სამმაგი რაოდენობით; 2. თემის შიგნით მომხდარი მკვლელობისათვის, მკვლელის ოჯახს წორის გარდა უნდა გადაეხადა ჰიბარი თემისათვის; 3. თავისი თემის რომელიმე წევრის უმიზეზოდ ცუდი სიტყვით მიმართვისათვის, მის ოჯახს შეურაცხყოფის გამო დაწესებული დაზარალებულისათვის გადასახდელი საურავის გარდა უნდა გადაეხადა ჰიბარი.[3] ამ მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ სამივე შემთხვევაში დამნაშავე ჩვეულებრივ იხდის დაზარალებულის სასარგებლოდ დაწესებულ ქონებრივ საზღაურს, რასაც ადგილი ექნებოდა არა მარტო უშგულში, არამედ სხვა საზოგადოებებშიც, თუმცა საზოგადოების სასარგებლო ჰიბარის გადახდაც უწევს, რაც აღნიშნულ კერძო ხასიათის დანაშაულებს საჯარო ელემენტს სძენს.

---

[1] "Тифликий Вестник", 1880, №41.

[2] მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 27.

[3] რ. ხარაძე, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, 1953, 195.

კერძო ხასიათის დანაშაულისათვის დაზარალებულის სასარგებლოდ გათვალისწინებული გადასახადის გარდა ჯარიმის გადახდას ბალსქვემო (სათავადო) სვანეთშიც ვხვდებით. მ. კოვალევსკის ცნობით, ბატონი ქვეშევრდომებს აძლევდა უფლებას სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით გადაეწყვიტათ დავები, თუმცა დამნაშავისაგან ჯარიმას ითხოვდა, რასაც ძირითადად პირუტყვის სახით იღებდა. კერძოდ, ბეჩოს საზოგადოებაში მკვლელობისათვის ჯარიმა იყო 300 მანეთი, ქურდობისათვის – 200, ხოლო დაჭრისათვის – 100.[1] აქაც კარგად ჩანს, რომ დამნაშავე დაზარალებულისათვის განკუთვნილი საზღაურის გარდა თავადისათვის უნდა გადაეხადა ჯარიმა, რომელიც საჯარო ხასიათის სასჯელს წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ მ. კეკელიას მიერ სვანეთში ჩვეულებითი სამართლის მასალების ჩაწერის დროს (XX საუკუნის 60-70-იანი წლები) საზოგადოების სასარგებლოდ ჯარიმის გადახდას, როგორც ჩანს, აღარ ჰქონდა ადგილი. ერთ-ერთი ინფორმატორი აღნიშნავს, რომ ძველად ხდებოდა ჯარიმის გადახდა, ახლა კი არც ერთი სასჯელი არაა ისეთი, რომელიც მთელი საზოგადოების სასარგებლოდ იყოს განკუთვნილი.[2] ამის მიზეზი, სავარაუდოდ, ის იყო, რომ საბჭოთა პერიოდში ყოველგვარი საჯარო ელემენტი სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ იქნა შთანთქმული და ჩვეულებითი (ხალხური) სამართლის საფუძველზე სუბიექტებს შორის ურთიერთობების დარეგულირებისას ქონებრივი საზღაურის გადახდა მხოლოდ კერძო პირთა სასარგებლოდ ხდებოდა.

4.5.3. ჯარიმა (ჯურუმი) კერძო ხასიათის დანაშაულისათვის, რომელიც დაზარალებული მხარის სასარგებლოდ გადაიხდება. ხევსურეთში ჩვეულებრივ და საკმაოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა ჯარიმის (ჯურუმის) გადახდა კერძო ხასიათის დანაშაულთა (ძირითადად, მკვლელობის) ჩადენისას არა საზოგადოების, არამედ კერძო პირთა სასარგებლოდ. მოცემული სახდელის დაკისრება ძირითადად გვხვდება „მამკალ-მამკვდრობის", მკვლელისა და მოკლულის მხარეებს შორის ურთიერთობის წესების დარღვევისათვის. მას, როგორც წესი, თვითონ დაზარალებული მხარე აკისრებდა დამნაშავე მხარის წარმომადგენელს. ამ ჯურუმის გადახდა ხევსურული „რჯულით" სავალ-

[1] М. Ковалевский, Законъ и обычай на Кавказѣ, Т. 2, М.,. 1890, 19.

[2] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №5, 1968-1969, 79-80.

დებულო იყო, მაშინაც კი, როდესაც მისი დაკისრება მკვლელის მხარეს უსამართლოდ მოეჩვენებოდა, რადგანაც მისი გადაუხდელობის შემთხვევაში შერიგების პროცესი შეჩერდებოდა, რაც მკვლელის მხარის ისედაც რთულ მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებდა.

ახლა კონკრეტულად ჩამოვთვალოთ, თუ ძირითადად რა შემთხვევებში ხდებოდა ჯურუმის დაკისრება მოკლული მხარის მიერ მკვლელის მხარისათვის:

1. „მიწადშეი საკლავის" დაგვიანება. მკვლელს პირველ რიგში მოკლულის ოჯახში უნდა გაეგზავნა აღნიშნული საკლავი, თან ეს აუცილებლად უნდა მოესწრო მოკლულის დასაფლავებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში დაეკისრებოდა ჯურუმი 5 ძროხის დრამის ოდენობით.[1] მისი გადაუხდელობა შეუძლებელს ხდიდა „რიგის ყენებაზე" დაზარალებული მხარის დათანხმებას.

2. რიგის საკლავის დაგვიანება. „რიგის ყენებაზე" თანხმობის მიცემის შემდეგ მკვლელის მხარეს მოკლულის მხარისათვის წელიწადში ერთხელ წინასწარ დათქმულ რომელიმე დღესასწაულზე (ამაღლება, აღდგომა, ახალი წელი) თითო საკლავი უნდა მიეყვანა. დაგვიანება (თუნდაც ერთი დღით) იწვევდა ჯურუმის დაკისრებას. მის ოდენობას დაზარალებული მხარე განსაზღვრავდა — ერთი კილოგრამი სპილენძიდან (ერთი ცხვარი) 20 კილოგრამ სპილენძამდე (ხუთი ძროხა), ე. ი. ეს შეიძლება ყოფილიყო ორი, სამი, თუ ხუთი ძროხის დრამა.[2] ჯურუმი იყო სახლის რიგის დაგვიანების შემთხვევაშიც.[3]

---

[1] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №2, 13, 35; №6, 3; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 64; ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1932, 75.

[2] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №2, 36; №6, 2-3, 55-56; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 31; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 85.

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 31; „სახლის რიგი" გულისხმობს მკვლელის ოჯახის მიერ მოკლულის ოჯახში მისატანს კურატის, საკლავის და გარკვეული რაოდენობის დრამის ოდენობით. მისი მიტანა მოკლულის დასაფლავებიდან რამდენიმე თვეში უნდა მომხდარიყო (რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები", ტ. 1, 1947, 179; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №5, გვ. 47).

3. მკვლელის ან მისი ნათესავის მხრიდან დაზარალებული მხარის მიმართ რაიმე უკადრისის, შეურაცხმყოფელის თქმა. თუ დაზარალებული მხარე გაიგებდა, რომ მკვლელის მხარეს (თვითონ მკვლელს, მის ოჯახის წევრებს, ახლობლებს, I და II შინშებს, III არა) მოკლულზე რაიმე უკადრისი თუ დამამცირებელი უთქვამს, დააკისრებდა ჯურუმს.[1] მაგალითად, მკვლელი თუ იტყოდა: ახია რომ მოვკალი, ან თავს თუ არ დაგვანებებენ, კიდევ ვინმეს მოვკლავ მაგათ გვარშიო, ან თუ მკვლელის ნათესავი ხათრს არ გაუწევდა, გალანძღავდა მოკლულის ნათესავს.[2]

4. მკვლელის ან მის ნათესავთა მხრიდან დაზარალებულის მიმართ შეურაცხმყოფელი საქციელი. მკვლელის მხარე ვალდებული იყო პატივი მიეგო დაზარალებული მხარისათვის, რაც შემდეგში გამოიხატებოდა:

ა. მკვლელს და მის ნათესავებს არ ჰქონდა უფლება ცხენზე ამხედრებულებს გაეელოთ მოკლულის ოჯახში; ბ. გზაში თუ შეხვდებოდა ცხენით მკვლელის მხარის წარმომადგენელი მოკლულისას, უნდა ჩამოქვეითებულიყო და ისე გაეგრძელებინა გზა; გ. მკვლელის მხარის წარმომადგენელს (მკვლელს, მის სახლიკაცს, შინშს) სუფრაზე არ უნდა შეესვა სასმელი, სანამ პატივს არ გაუგზავნიდა მოკლულის მხარის წარმომადგენელს. კერძოდ, ვალდებული იყო მერიქიფის ხელით თასი, ყანწი გაეგზავნა მისთვის და თვითონ მუხლზე ჩამჯდარი დალოდებოდა, სანამ არ დალევდა იგი სასმისს და უკან არ გადააწვდიდა მას; დ. მკვლელის მხარის წარმომადგენელს არ ჰქონდა უფლება მოკლულის მხარის წარმომადგენლის თანდასწრებით ეცეკვა ან ემღერა; ე. არ შეეძლო ეჩხუბა მოკლულის მხარის წარმომადგენელთან ან სხვასთან ამ უკანასკნელის თანდასწრებით; ვ. მოკლულის მხარის წარმომადგენლის ჩხუბისას მკვლელის მხარის წარმომადგენელს მისთვის დახმარება უნდა გაეწია[3]; ზ. სხვა ისეთი

---

[1] რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები", ტ. 1, 1947, 179. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №2, 36.

[2] ალ. ოჩიაური, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბ. 1980, 183.

[3] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1977, №1, 70-71, 73; №2, 73; №6, 36-37; ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/6, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 69, 72; მისივე, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, რეული №3, 30-31; ბ. გაბუური, დასახ. ნაშრ., 140-141; რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ. 179; ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 85-86.

საქციელის ჩადენა, რომელსაც მოკლულის ოჯახი შეურაცხყოფად მიიღებდა.[1] ასეთი შემთხვევა შეიძლება ძალზედ მრავალგვარი ყოფილიყო.

ჩამოთვლილთაგან რომელიმე შემთხვევაში ხათრის არგაწევა იწვევდა ჯურუმის დაკისრებას აღნიშნული წესების დამრღვევისადმი.[2]

5. მკვლელის მხარის წარმომადგენლების მიერ გარკვეული სახეობის საქმიანობა თუ მოქმედება მოკლულის ოჯახის ნებართვის გარეშე.

მაგალითად, გახიზვნის შემდეგ უკან დაბრუნებულ მკვლელის ნათესავებს ხვნა, თიბვა, წისქვილით სარგებლობა და სხვა შეეძლო მხოლოდ დაზარალებული მხარის თანხმობით,[3] ასევე გახიზნული დამნაშავე მხარის წარმომადგენელი დაზარალებულის ნებართვის გარეშე არ უნდა დაბრუნებულიყო მალულად საკუთარ სახლში საოჯახო საქმეების საწარმოებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯურუმის დაკისრებას ექნებოდა ადგილი.[4] იმავე შედეგი დადგებოდა, თუ მკვლელის ოჯახის რომელიმე წევრი დაზარალებული ოჯახის ნებართვის გარეშე მკვლელობის პირველ ხანებში სახლიდან გარეთ გამოვიდოდა.[5]

6. მკვლელის ცუდი, უპატივცემლო დამოკიდებულება მოკლულისადმი მისი დაჭრილად ყოფნისას, თუ იგი მიყენებული ჭრილობიდან გარკვეული დროის შემდეგ გარდაიცვალა.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას აქცევდნენ, თუ როგორ ეპყრობოდა დამნაშავე დაჭრილს. მაგალითად, თუ დამნაშავემ რაიმე ცუდი თქვა დაჭრილზე, უარყო მის მიერ დაჭრის ჩადენა, ან პატივი[6] არ

[1] ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა: როდესაც მოკლულს მიასვენებდნენ სასაფლაოსკენ, მკვლელმა სწორედ ამ დროს მტვრიანი ტყავის ჩასაცმელი გარეთ გამოიტანა და გაბერტყა. ეს გაიგო მოკლულის ცოლმა და 5 ძროხის დრამა ჯურუმი დაადო მკვლელს (ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/7, მოსისხლეობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 82).

[2] ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 9.

[3] ალ. ოჩიაური, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980, 183.

[4] მ. კანდელაკი, ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან (უცხოს გათაყვანების წესი), თბ., 2001, 27.

[5] ალ. ოჩიაური, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980, 186.

[6] დამჭრელი დაჭრილს თავდაპირველად შუაკაცების ხელით უგზავნიდა ე. წ. პატივს. პატივი არის ორი სახის: ხმელი პატივი და საკლავ-პატივი. ხმელი პატივი იყო მსუბუქი ჭრილობისას და დაჭრილისათვის ერთი აბაზი ვერცხლის ფულის გაგზავნას გულისხმობდა. უფრო მძიმე დაჭრისათვის იგზავნებოდა

დადო დაჭრილს, დაზარალებულის მხრიდან ასევე ჯურუმი დაეკისრებოდა.[1]

ჯურუმის დაკისრება შესაძლოა სხვა წესების დარღვევასაც მოჰყოლოდა.

დაზარალებული დადგენილი წესების დამრღვევ დამნაშავე მხარის წარმომადგენელს ჯურუმს აკისრებდა ერთი ცხვრის დრაიდან მაქსიმუმ 5 ძროხის დრამის ოდენობით.[2] როგორც ინფორმატორები ამბობენ, დამნაშავეს ჯურუმს ,,გამაუბმენ".[3] შესაძლოა ცხვრით, ბატკნით, კურატით დაჯურუმებაც მომხდარიყო.[4] ძველად ჯურუმის მაქსიმალური ოდენობა ცხრა ცხვარი ყოფილა, შემდეგ ხუთ ძროხამდე ასულა.[5]

დაზარალებული მხარე ჯურუმის ოდენობის განსაზღვრისას გარკვეულ გარემოებებს ითვალისწინებდა. მაგალითად, მკვლელის დამოკიდებულებას მოკლულისადმი (ინანიებდა დანაშაულს თუ, პირიქით), დანაშაული ჩადენულია განზრახ თუ იშობრად, ასევე იმას, თუ ზემოთ ჩამოთვლილი დარღვევების ჩამდენი რამდენად ახლო ნათესავი იყო მკვლელისა (რაც უფრო ახლო მოგვარე იყო, მეტ ჯუ-

---

საკლავ-პატივი, რომელიც იყო ორი სახის: ,,სისხლიანი" და ,,ხმელი". ხმელი საკლავ-პატივი იყო ექვსი აბაზი ვერცხლის ფული, ხოლი სისხლიანი საკლავ-პატივი გულისხმობდა ერთ აბაზ ფულსა და ერთ საკლავს. ,,პატივის" დადება ამშვიდებდა დაჭრილს და თუ სადმე შეხვდებოდა დამჭრელს, შეღლს აღარ დაუწყებდა. ,,პატივის" დაუდებლობა კი ხევსურეთში ნიშნავდა დაჭრილის აბუჩად აგდებას, შეურაცყოფას, რაც მისი მხრიდან საპასუხო მოქმედებას გამოიწვევდა. (ალ. ოჩიაური, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980, 162). უფრო დეტალურად აღნიშნულ საკითხს დაჭრა-დასახიჩრების, როგორც დანაშაულის განხილვისას შევეხებით. აქ მხოლოდ ვიტყვით, რომ თუ დაჭრილი გარდაიცვლებოდა და მისთვის მკვლელს თავის დროზე აღნიშნული ,,პატივი" არ ექნებოდა დადებული, ეს, ცხადია, მოკლულის ნათესავების მხრიდან მკვლელისთვის ,,ჯურუმის" დაკისრების საფუძველი იქნებოდა.

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, რვეული №3, 27.

[2] მ. კეკელია. მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 55-56.

[3] ოჩიაური, პირადი არქივი, 7/2, მოსისხლეობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 22; ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, ხელნაწერი, რვეული №3, 29; ალ. ოჩიაური, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980, 183.

[4] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №6, 36-37; ბ. გაბუური, იქვე, 140.

[5] ოჩიაური, პირადი არქივი, 7/3, მოსისხლეობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 26.

რუმს დააკისრებდნენ, რადგანაც მისგან უფრო მიუღებელი იქნებოდა ასეთი საქციელი), რამდენად იყო მოკლულის ოჯახი ნაწყენი ამა თუ იმ დარღვევით და სხვა.[1]

ზოგიერთ შემთხვევაში ჯურუმის გადახდის ვალდებულება თავისთავად იგულისხმებოდა. მაგალითად, „მიწადშეი საკლავის“ ან რიგის საკლავის დაგვიანებისას დაზარალებულის მხრიდან მისი დაკისრების აუცილებლობა არ იყო, საჯურუმე დარღვევის ისედაც სახეზე ყოფნის გამო. დაზარალებული მხარე მხოლოდ განსაზღვრავდა მის ოდენობას და მოითხოვდა დამნაშავე მხარისაგან მის გადახდას. სხვა შემთხვევებისას (მაგალითად, ხათრის არგაწევის, პატივის დაუდებლობისას და სხვა) დაზარალებული მხარე თვითონ განსაზღვრავდა დაჯურუმების საკითხს და თუ ჩათვლიდა, რომ დამნაშავე მხარის წარმომადგენელმა რაიმე დარღვევა ჩაიდინა, რომელმაც შეურაცხყო, დაამცირა დაზარალებული მხარე, მაშინ თვითონ დააკისრებდა დამრღვევს ჯურუმს.

დაზარალებლი მხარე „რიგის ყენების“ წინ იძიებდა — დამნაშავე მხარის წარმომადგენლებს რაიმე საჯურუმო ხომ არ ჰქონდა ჩადენილი და შესაბამისი ფაქტის შემთხვევაში ჯურუმს აკისრებდა მათ. სანამ არ მოხდებოდა ჯურუმის გადახდა დაზარალებულის მიერ დადგენილი ოდენობით, „რიგის ყენებაზე“ დათანხმებას ადგილი არ ექნებოდა.[2] იმავე მოხდებოდა პირშესამყრელოებზე დათანხმების წინ. დაზარალებული ადგენდა მკვლელის მოგვარეებიდან, ბიძაშვილებიდან (ვისაც პირშესამყრელოში უნდა მიეღო მონაწილეობა), ხომ არავის ჰქონდა რაიმე ჩადენილი, რომელიც დაჯურუმებას მოითხოვდა და მხოლოდ მათ მიერ ჯურუმის გადახდის შემდეგ თანხმდებოდა მათთან შერიგებას.[3]

მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ დაჯურუმებას შესაძლოა ადგილი ჰქონოდა მკვლელისა და დაზარალებული მხარის შერიგების პროცესის ნებისმიერი ეტაპის წინ და ჯურუმის გადაუხდელობისას ამ პროცესის შეჩერების და მტრობის განახლების (თუ გამძაფრების) შესაძლებლობა, როგორც წესი, დაზარალებულის მიერ დაკისრებული ნებისმიერი ჯურუმის გადახდის უზრუნველყოფას უწყობდა

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, ხელნაწერი, რვეული №3, 28; მისივე, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980, 193.

[2] იქვე.

[3] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, ხელნაწერი, რვეული №3, 30.

ხელს. რასაც დაზარალებული ჯურუმად დაადგენდა, დამნაშავე მხარე, როგორც წესი, უსიტყვოდ უგზავნიდა მას.

ჩვენ აქ მხოლოდ ზოგადად შემოვფარგლეთ მკვლელის ნათესავთა წრე, რომელთაც შეიძლება დაჰკისრებოდა დაზარალებულის მიერ ჯურუმი, ასევე მოკლულის ნათესავთა წრე, რომელთა მიმართ ზემოთ ჩამოთვლილი წესების დარღვევა გამოიწვევდა ჯურუმის დაკისრებას. ესენი ძირითადად არიან მკვლელის თუ მოკლულის ოჯახის წევრები, ბიძაშვილები, კერძოდ, მამიშვილობის წევრები.[1] უფრო დეტალურად ამ თემაზე (საერთოდ, მკვლელობის შედეგად წარმოქმნილ სამართლებრივ ურთიერთობებზე, მათში მონაწილე სუბიექტების წრეზე, შერიგების პროცესზე, „რიგის ყენებაზე", „პირშესამყრელოებზე", პატივის დადებაზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე) საუბარი, ჩვენი აზრით, უფრო უპრიანი და მიზანშეწონილია მკვლელობის, როგორც დანაშაულის, განხილვისას.

4.5.4. „დარბევა", როგორც დაჯარიმების ფორმა. ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში ხშირად გვხვდება შემთხვევა, როდესაც საზოგადოების ინტერესის ხელმყოფი დანაშაულის ჩამდენის დაჯარიმება ხდება ე. წ. „დარბევის" ფორმით. ტერმინი „დარბევა" ამ შემთხვევაში გამოხატავს დამნაშავისათვის დაკისრებული ჯარიმის ამოღების მეთოდს, წესს. „დარბევა" გამოიხატება შემდეგში: ხალხი (ხალხის წარმომადგენლები) მიდის დაჯარიმებულის ოჯახში და მისგან უკითხავად გამოაქვს მისი სახლიდან ჯარიმის სახით პირუტყვი, ღვინო, რითაც შემდეგ მთელი საზოგადოება ქეიფობს.

„დარბევას" საქართველოს არაერთ კუთხეში ვხვდებით. კონკრეტული შემთხვევების საფუძველზე შესაძლებელია დავადგინოთ, თუ რა დანაშაულისას გამოიყენებოდა დაჯარიმება „დარბევის" ფორმით.

განსაკუთრებით ხშირად ვხდებით მის გამოყენებას სოფლის საერთო საქმეში მონაწილეობის მიუღებლობისათვის. მაგალითად, თუ გზის გაყვანას, შეკეთებას, წისქვილის მშენებლობას და სხვა საერთო საქმეს სოფლის რომელიმე მცხოვრები დააკლდებოდა, სამუშაოს დასრულების შემდეგ „დარბევის" მსხვერპლი გახდებოდა. მაგალითად, ერთ-ერთი იმერელი ინფორმატორი განმარტავს: „სოფლის საერთო საქმეზე ყველას უნდა ეზრუნა. თუ ვინმე დააკლდებოდა

[1] იმ მოგვარეებს, ბიძაშვილებს, რომლებიც სხვა, გაყრილ მამიშვილობას ეკუთვნიან, ეს წესები არ ეხებათ.

გზის გაყვანას, შეკეთებას, ან სხვა რაიმე საერთო საქმეს, საღამოთი ყველა მომუშავე მასთან მივიდოდა, უკითხავად დაუკლავდნენ დეკეულს, თუ ღორს, ამოულებდნენ ჭურჭლიდან ღვინოს და იქეიფებდნენ, ამას „დარბევას“ ეძახდნენ. არ დაარბევდნენ ავადმყოფს, ან იმის ოჯახს, ვისი უფროსიც სხვაგან იყო წასული.“[1] მსგავს ცნობას სხვა იმერელი ინფორმატორიც გვაწვდის.[2]

ასეთი ცნობები მრავლადაა რაჭის მასალებშიც. მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორი (სოფელ ღარიდან) იხსენებს კონკრეტულ შემთხვევას: სოფლის ყველა მამაკაცს ერთი დღის განმავლობაში მონაწილეობა უნდა მიეღო გზის შეკეთებაში. გაფრთხილების მიუხედავად ეს არ გააკეთა დომენტი ჭელიძემ. სამუშაოდან დაბრუნებულმა ხალხმა დომენტის ჯარიმა დააკისრა, რის გადახდაზეც მან უარი განაცხადა. ამის შემდეგ სოფლის მცხოვრებლებმა ძალა იხმარეს, მისი მარნიდან ღვინო გამოიტანეს და მეზობლის სახლში დალიეს.[3] იქვე სხვა შემთხვევაში, იმავე ჩაიდინა ჭუჭულა ბაქრაძემაც, რის გამოც ხალხმა მას ორი ფუთი ღვინო წაართვა.[4] ქსნის ხეობაში კი საზოგადოებრივი საქმისადმი (გზის შეკეთება) თავის ამრიდებელი „დაარბიეს“ (ინფორმატორი ამ ტერმინს ხმარობს) ფუტკრის სკის წართმევით. გაგზავნეს ხალხი, რომელთაც სკა მოიტანეს, გატეხეს და იქიდან ამოღებული თაფლი შესვენებისას შეჭამეს.[5]

„დარბევას“ ვხვდებით ასევე საერთო მტერთან ბრძოლაში მონაწილეობის მიუღებლობისათვის. მაგალითად, ინფორმატორის გადმოცემით, რაჭაში სოფელ ღარის მცხოვრებლებს ოსებმა წაართვეს საძოვარი და სათიბი მთა. ხალხი შეიკრიბა და ოსებთან საბრძოლველად გაემართა, რაც წარმატებით დასრულდა. ამ ბრძოლაში განგებ არ მიუღია მონაწილება მიხეილ ორდენიძეს, რის გამოც

---

[1] ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 44.

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 19.

[3] მ. კედელაძე, რაჭის მასალა, პირადი არქივი, ეთნოგრაფიული რვეული, 1951, №5, 10-11.

[4] იქვე, 12.

[5] მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 67-68.

დაბრუნებულმა ხალხმა მისი სახლ-კარიდან ხარი გამოიყვანა, დაკლა და მიირთვა.[1] მსგავს შემთხვევას იხსენებს ფშაველი ინფორმატორიც. თურმე მამამისს დაავალეს ქისტებისთვის გზა გადაელობა, რომ ისინი სოფელში არ შემოეშვა. მამამისს უთქვამს: „არ მცალიაო“. ამის გამო მათთან სახლში მისულა 5-6 კაცი, რომელთაც მისთვის უთქვამთ: „დარბეული ხარო“. წაართვეს სამი ჭედილა, დაკლეს და ხალხს გაუმასპინძლდნენ.[2]

„დარბევა“ უქმის გატეხვის შემთხვევაშიც გამოუყენებიათ. ფშავში ამას ადასტურებს ს. მაკალათია.[3] კონკრეტული ფაქტი გვხვდება ქსნის ხეობაში. აქ ერთ-ერთ პიროვნებას უქმე დღეს გაუთიბავს, რაც სოფელმა არ აპატია და დაავჯარიმა, რაც „დარბევით“ განხორციელდა. კერძოდ, იმ დღესვე მას მიუგზავნეს სამი პიროვნება. მათ მისი სახლიდან წამოიყვანეს დეკეული, რომელიც სოფელმა დაკლა და მიირთვა. დამრღვევს არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია (ეს ამბავი XIX საუკუნის ბოლოს მომხდარა).[4]

„დარბევას“ საკუთარ სოფელში ქურდობაც იწვევდა. ამ თვალსაზრისით ცნობებს ვხვდებით სვანურ ჩვეულებით სამართალში. დანაშაულთა კლასიფიკაციაზე საუბრისას ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ბ. ნიჟარაძის აღწერილი შემთხვევა, რომელსაც 1880 წელს პირმა კალის საზოგადოებაში თანასოფლელს ცხვარი მოპარა. ამასთან დაკავშირებით გაიმართა სოფლის ყრილობა, რომლის გადაწყვეტილებით ქურდს ხალხმა წაართვა ორი ცხვარი და ერთი ხარი. ორი ცხვარი დაზარალებულს გადასცა (მოხდა წესისამებრ ნაქურდალის ორმაგი ანაზღაურება), ხოლო ხარი თვითონ საზოგადოებამ დაკლა და მიირთვა. ბ. ნიჟარაძე იქვე მიუთითებს, რომ მსგავსი შემთხვევები მრავლად ყოფილა.[5] მიუხედავად იმისა, რომ ბ. ნიჟარაძე არ ხმარობს ტერმინს — „დარბევა“, აშკარად ჩანს, რომ ნაქურდალის საზღაურისა და ჯარიმის (ჰიბარის) ჩამორთმევა ხალხის მიერ სწორედ „დარბევის“ ფორმით მოხდა.

---

[1] მ. კედელაძე, იქვე, 9.

[2] ო. ზოიძე, სასჯელები (ნაშრომის — „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“ მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი,“ 3, გამომცემლობა „მეცნიერება,“ თბ., 1991, 139.

[3] ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, 183.

[4] მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 66-67.

[5] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 87.

მასალებში გვხვდება კონკრეტული ცნობები „დარბევისა“ უზნეო საქციელის ჩადენის შემთხვევაში. მაგალითად, გ. ჟორდანია აღწერს, რომ მას ბავშვობიდან ჩარჩა მეხსიერებაში ფაქტი, როდესაც გორის მაზრის ერთ-ერთ სოფელში ბრბომ მრუშობის ჩამდენ მამაკაცს წაართვა წყვილი ხარი და 10 კოკა ღვინო და ამით მოაწყო გრანდიოზული ღრეობა.[1] უზნეო საქციელის გამო „დარბევის“ არაერთი ფაქტი დააფიქსირა მ. კეკელიამ ქსნის ხეობაში. კერძოდ, ერთ-ერთი ინფორმატორი მიუთითებს, რომ დარბევა ხშირად ხდებოდა ნათესავთან სქესობრივი კავშირისათვის.[2] ერთ-ერთი პიროვნება ბიძაშვილის ცოლს დახვედრია და მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება შეუთავაზებია. ქალს უარი უთქვამს და ამის შესახებ სოფელში განუცხადებია. სოფელს გადაუწყვეტია ულირსი ბიძაშვილის დაჯარიმება, რაც „დარბევის“ ფორმით განუხორციელებია. წაურთმევიათ მისთვის ორი ქვაბი (40 ლიტრა) არაყი და ერთი მოზვერიც, რომელიც სოფელს მოუხმარია.[3]

ამრიგად, მოტანილი შემთხვევები ცხადყოფს, რომ დაჯარიმება „დარბევის“ ფორმით ხდებოდა საერთო საქმისათვის თავის არიდებისას, საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაზე უარის თქმისას, უქმის გატეხვისას, საკუთარ სოფელში ქურდობისას, უზნეო საქციელის (სქესობრივი დანაშაულის) ჩადენისას. მასალებში ასევე ჩანს, რომ „დარბევა“ შესაძლოა მომხდარიყო საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისას, საზოგადოების საერთო საკუთრების ხელყოფისას და სხვა.[4] გამომდინარე იქიდან, რომ „დარბევა“ ჯარიმის ამოღების მეთოდს წარმოადგენდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი შესაძლოა ყველა იმ საჯარო დანაშაულს მოჰყოლოდა, რომლის ჩადენაც ჯარიმის დანიშვნას ითვალისწინებდა.

---

[1] Г. Жордания, Народно-уголовные суды Карталинии, «Закавказье», 1911, №258.

[2] მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, გვ. 78-79; მაგალითად, „დარბევის“ ფორმით დააჯარიმეს მამამთილი რძალთან სქესობრივი კავშირისათვის (იქვე, გვ. 9), კიდევ ერთი პიროვნების „დარბევა“ მოხდა ბიძაშვილის ცოლთან სქესობრივი კავშირისათვის (იქვე, 27).

[3] მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, გვ. 8.

[4] Г. Жордания, Народно-уголовные суды Карталинии, «Закавказье», 1911, №258.

მასალების მიხედვით ჩანს, რომ „დარბევის“ გადაწყვეტილებას საზოგადოების (სოფლის) ყრილობა იღებდა, ანუ ის ორგანო, რომელსაც საჯარო ხასიათის დანაშაულისას გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გააჩნდა. ზოგიერთო მონაცემით, შესაძლოა ყრილობას ჯერ მოეთხოვა დამნაშავისათვის ჯარიმის გადახდა და მხოლოდ უარის მიღების შემდეგ მიემართა „დარბევისათვის.“[1]

როგორც გამოჩნდა, ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში „დარბევას“ ახორციელებს არა მთელი საზოგადოება, ხალხის დიდი მასა (რასაც შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა), არამედ რამდენიმე პიროვნება საზოგადოების ყრილობის დავალებით. ერთ-ერთი შემთხვევისას ვნახეთ, რომ „დარბევის“ გასახორციელებლად სამი პირი გაგზავნეს[2], ფშავში ჩაწერილი შემთხვევისას კი „დასარბევად“ ხუთი თუ ექვსი პირი მივიდა[3].

მასალები გვიჩვენებს, რომ „დარბევის“ შედეგად დამნაშავის ოჯახიდან ჯარიმის სახით გამოჰქონდათ ხარი, მოზვერი, ძროხა, დეკეული, ცხვარი, ღორი, ღვინო, არაყი. ერთ შემთხვევაში თაფლიც კი წაართვეს დაჯარიმებულს. ყოველივე ამას კი სოფლის მოსახლეობა მოიხმარდა საერთო ტრაპეზზე.

შემთხვევითი არ არის, რომ ტერმინ დარბევას ბრჭყალებში ჩასმულს ვიყენებთ. მასალების მიხედვით კარგად ჩანს, რომ ე. წ. „დარბევის“ მეთოდით ჯარიმის ამოღება პირდაპირი მნიშვნელობით დარბევას არ წარმოადგენდა. ნამდვილ დარბევას ადგილი ჰქონდა მოკვეთა-გაძევებისას (რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი). არაა გამორიცხული, რომ აქ განხილული „დარბევა“ იმ დარბევის გამოძახილია და სახელწოდებაც იქიდან მოდის. მხოლოდ ეს „დარბევა“ შედარებით მსუბუქ შემთხვევებში ხდებოდა და დარბევის იმიტაციას თუ წარმოადგენდა. ფშავში ერთ-ერთი შემთხვევისას ვნახეთ, რომ „დამრბევები“ მივიდნენ „დასარბევთან“ და უთხრეს „დარბეული“ ხარო, წაიყვანეს მისგან საქონელი და „დარბევაც“ ამით დამთავრდა. აქ არ ჰქონდა ადგილი რაიმეს განადგურებას, მოსპობას, ვინმესთვის ფიზიკური ზიანის მიყენებას, მხოლოდ „დარბეულისგან“ უკითხავად მიჰყავდათ მისი საქონელი,

[1] მ. კელელაძე, იქვე, 9, 11; გ. ჟორდანია, იქვე.

[2] მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 66-67.

[3] ო. ზოიძე, დასახ. ნაშრ., 138.

ან მიჰქონდათ მისი ღვინო თუ არაყი — ის რაც მისართმევად იყო ვარგისი. ეს არ იყო დაჯარიმებულის მთელი ქონება, არამედ მისი ქონების მხოლოდ განსაზღვრული ნაწილი.

ამრიგად, ჩვენ ზოგადად მიმოვიხილეთ ჯარიმის ინსტიტუტი ქართულ ჩვეულებით სამართალში. შევეხეთ ჯარიმის, ჯურუმის, ჰიბარის სახელწოდებით ცნობილ ქონებრივ სახდელებს. ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში აქ განხილულის გარდა ჯარიმის, როგორც ქონებრივი სასჯელის, სხვა სახეობებიც გვხვდება განსხვავებული სახელწოდებებით. მათ ჩვენ ქვემოთ, ცალკე განვიხილავთ, შესაბამისი სპეციფიკის გათვალისწინებით.

4.6. არბითი, საენაო. „არბითი" ჯარიმის თავისებური სახეა, რომელსაც დაზარალებულს უხდის: 1. დანაშაულის ჩადენის თუნდაც მისდა უნებურად ხელისშემწყობი; 2. ვინც არ მიიღო ზომები დანაშაულის აღსაკვეთად; 3. თვითონ დანაშაულის ჩამდენი, მოცემული დანაშაულისათვის გათვალიწინებული გადასახადის ზემოთ. „არბითს" ხევსურეთში ვხვდებით. სახდელის ეს სახე თანამონაწილეობის ინსტიტუტის კვლევისას განვიხილეთ და მისი არსი შესაბამის კონტექსტში წარმოვაჩენით. ამჯერად მას მხოლოდ როგორც ქონებრივ საზღაურს ისე განვიხილავთ.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, „არბითის" შესახებ ხევსური ინფორმატორები, ძირითადად, მკვლელობასთან დაკავშირებით საუბრობენ. „არბითი", როგორც გადასახადი არ შედიოდა „თავსისხლის", ანუ მკვლელობისათვის გათვალისწინებული ძირითადი სახდელის შემადგენლობაში.[1] მისი ოდენობა ხევსურეთში 5 ძროხა ხელითი დრამა იყო. ამას ფაქტობრივად ყველა ხევსური ინფორმატორი და ავტორი ადასტურებს, ვინც კი „არბითს" ეხება.[2] ზოგიერთი მონაცემით, „არბითის" ოდენობა შესაძლოა მეტიც ყოფილყო. მაგალითად, რ. ხარაძე, მიუთითებს, რომ „არბითი" შესაძლოა

---

[1] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №5, 1977, 12.

[2] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №5, 1977, 12; №6, 8-9; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 18, 36; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 20, 81; ს. მაკალათია, ხევსურეთი, 95.

ყოფილიყო 5-დან 16 ძროხამდე,[1] ნ. ხიზანაშვილის მიხედვით, „არბითი“ რვა ძროხა იყო,[2] ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორის თქმით კი, „არბითი“ შეიძლება იყოს 5, 12 და 16 ძროხა.[3] თუ რაზე იყო დამოკიდებული მისი ოდენობა, ამ მონაცემებში არ ჩანს. აღნიშნული თვალსაზრისით, ძალზედ საინტერესო ცნობას გვაწვდის ალ. ოჩიაური. მისი განმარტებით, „არბითის“ ოდენობა დროთა განმავლობაში იცვლებოდა და თანდათანობით მცირდებოდა. თავდაპირველად „არბითი“ ყოფილა 16 ძროხა, შემდეგ ჩამოსულა 12 ძროხამდე, შემდეგ 8-მდე, ბოლოს კი გამხდარა 5 ძროხა.[4] თურმე ხანდახან ჭირისუფალი ისევ 5 ძროხაზე მეტს ითხოვდა, თუმცა „რჯული“ მეტს აღარ ითვალისწინებდა.[5] როგორც ჩანს, ზემოთ მოყვანილი მონაცემები „არბითის“ 5 ძროხაზე მეტი ოდენობის შესახებ ადრინდელი პერიოდის გამოძახილია. სხვადასხვა პერიოდში იგი განსხვავებული იყო. მაგალითად, ნ. ხიზანაშვილის დროს რვა ძროხამდე ჩამოსულა, უფრო ადრე კი მეტიც ყოფილა, ბოლოს კი 5 ძროხა გამხდარა. ალ. ოჩიაურის თანამედროვე ეპოქაში „არბითი“ 5 ძროხას არ აღემატებოდა. აქედან გამომდინარე, ალ. ოჩიაურის მონაცემების მიხედვით (რომელთა სანდოობა ეჭვს არ იწვევს) თუ ვიმსჯელებთ, ერთ კონკრეტულ პერიოდში „არბითის“ ოდენობა ზუსტად განსაზღვრული უნდა ყოფილიყო და მასთან დაკავშირებით რაიმე ალტერნატივის წინაშე მხრეები არ უნდა მდგარიყვნენ.

ახლა გავარკვიოთ, თუ ვინ რა შემთხვევაში გადაიხდიდა „არბითს“. უპირველეს ყოვლისა, „არბითს“ იხდიდა არა დანაშაულის ჩამდენი, არამედ დანაშაულის, თუნდაც მისდა უნებურად, ხელშემწყობი. კერძოდ, „არბითის“ გადახდა ეკისრებოდა იმას, რომლის ენის მიტანას, ენატანიობას მოჰყვებოდა დანაშაული. ასევე, სხვისი იარაღით (თოფით, ხანჯლით, დანით) დანაშაულის ჩადენისას, „არბითის“ გადახდა ამ იარაღის პატრონს ეკისრებოდა. მასალების მიხედვით, „არბითს“ გადაახდევინებდნენ ასევე იმ პიროვნებას, რომელიც მოახდენდა იმ ჩხუბის პროვოცირებას, რომელსაც ამ ჩხუბში მონაწილე სხვა პირებს შორის მკვლელობა

---

[1] რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები“, ტომი I, 1947, 188.

[2] ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 82.

[3] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №6, 8-9.

[4] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, რვეული №3, 35.

[5] იქვე.

ან დაჭრა მოჰყვებოდა.[1] მაგალითად, რომელიმე პირმა დაიწყო ჩხუბი, რამაც სხვების წაჩხუბებაც გამოიწვია, თვითონ კი გამოეცალა და ამ ჩხუბს შედეგად მკვლელობა თუ დაჭრა მოჰყვა.[2]

ზოგიერთი ინფორმატორი აღნიშნულ ქონებრივ საზღაურს „საენო“ თუ „სამაენეო“ არბითს უწოდებს,[3] რაც ზუსტად ვერ ასახავს ამ სახდელის არსს, რადგანაც მისი გადახდა, როგორც აღვნიშნეთ, არა მარტო დანაშაულის გამომწვევ ენის მიმტანს ეკისრებოდა.

პიროვნებას, რომელსაც ეკისრებოდა „არბითის“ გადახდა, „მეარბითე“ ერქვა. „არბითის“ და „მეარბითეს“ შესახებ მოვიყვანთ ერთერთი ხევსური ინფორმატორის ცნობას, რომელიც საკმაოდ სრულად ასახავს მათ არსს: „მეარბითე — ასე ეძახიან იმას, ვინც ვინმეს რაიმე იარაღს ათხოვებს და ეს უკანასკნელი კი ამ იარაღით მოკლავს ვინმეს, მაშინ მან არბითი უნდა გადაიხადოს. მაგ., ხმალი ათხოვა ვინმეს და მან ამ ხმლით ჩაიდინა მკვლელობა..... არბითი აგრეთვე ენასაც მოსდევს. თუ ვინმეს ენის მიტან-მოტანის გამო ჩამოვარდა შუღლი და მოხდა მკვლელობა, მეენესაც არბითი გადახდება. ე. ი. არბითი აქვს იარაღს და ენას.“[4] იმავე ინფორმატორი მიუთითებს, რომ „არბითი“ „რკინას დაედების“, ანუ „არბითის“ გადახდა მაშინ უნდა მომხდარიყო, როდესაც დანაშაული რკინის იარაღით (თოფით, დანით, ხანჯლით) მოხდებოდა.[5]

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ხევსურეთში დანაშულის ჩადენისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმის გარკვევას, თუ ვის უნდა დაჰკისრებოდა „არბითის“ გადახდა, ვინ იყო „მეარბითე“. ამისათვის

[1] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, №5, 1977, 12, 42-43; №6, 8-9; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1988, 18; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1988, 20, 81; რ. ხარაძე, დასახ., ნაშრ., 188; ნ. ხიზანაშვილი, იქვე; გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ., 115; ბ. გაბუური სხვისი იარაღით მკვლელობის ჩადენისას ასევე საუბრობს იარღის პატრონისათვის 5 ძროხის ოდენობით ჯარიმის გადახდაზე, თუმცა ამ სახდელს „არბითად“ არ იხსენიებს (ბ. გაბუური დასახ. ნაშრ., 142).

[2] რ. ხარაძე, იქვე.

[3] ს. მაკალათია, ხევსურეთი, 95; ნ. ხიზანაშვილი, იქვე.

[4] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1988, 36.

[5] იქვე.

ხდებოდა საქმის დეტალური გამოკვლევა და იმის გარკვევა, თუ საიდან დაიწყო მოცემული საქმე. ეს შესაძლოა შორეული ამბავიც ყოფილიყო და ამდენად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმის გარკვევას, თუ ვისი პროვოცირებით, ენატანიობით და სხვა მოხდა მოცემული დანაშაული.[1]

როგორც თანამონაწილეობის ინსტიტუტთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, პიროვნება, რომლის იარაღით, ენის მიტანით და ა.შ მოხდა დანაშაულის ჩადენა, „არბითს" გადაიხდიდა, მიუხედავად იმისა, ეს მან შეგნებულად გააკეთა, მოცემული დანაშაულის განხორციელების მიზნით და მიზანმიმართულად წააქეზა სხვა ადამიანი დანაშაულის ჩადენისაკენ, თუ ასეთი მიზანდასახულობის გარეშე.[2]

თუ დანაშაული მოხდა ვინმეს ენატანიობის, პროვოცირების, წაქეზების გარეშე (შეიძლი სხვას არ დაუწყია და არც სხვისი ენის მიტანით მომხდარა) და დანაშაულის ჩამდენის იარაღით, მაშინ „არბითი" დაეკისრებოდა იმ პიროვნებას, რომელმაც არაფერი გააკეთა იმ შეიძლის აღსაკვეთად, რომელსაც დანაშაულებრივი შედეგი მოჰყვა. კერძოდ, ალ. ოჩიაური მიუთითებს, რომ ასეთ შემთხვევაში „არბითი" დაეკისრებოდა იმ პიროვნებას, რომელიც დაესწრო შეიძლს და არ გააშველა მოჩხუბარნი. იმავეს დასტურებს რ. ხარაძეც.[3] თუ ასეთიც არავინ იყო, მაშინ „არბითს" გადაახდევინებდნენ მას, ვინც ამ შეიძლის დროს სოფელში, სახლში იყო, კარები ღია ჰქონდა და გასაშველებლად არ გამოვიდა.[4] სავარაუდოდ, ამ შემთხვევაში პიროვნებას იმიტომ შეიძლება დაჰკისრებოდა „არბითის" გადახდა, რომ მას ჰქონდა ინფორმაცია მიმდინარე შეიძლის თაობაზე. საფიქრებელია, რომ მისი სახლის ღია კარი (რაზეც აქცენტს აკეთებს ალ. ოჩიაური) გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ მას ამ შეიძლის შესახებ არაფერი გაეგო. სოფლის მასშტაბით ამის შესაძლებლობას ხევსურული რჯული, როგორც ჩანს, გამორიცხავდა. მოშეიძლართა გაშველებისაგან თავის არიდება კი, როგორც არავა-

---

[1] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №5, 1977, 42-43;

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 81.

[3] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, რვეული №3, 36; რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., 188.

[4] ალ. ოჩიაური, იქვე.

ჟკაცური საქციელი, ხევსურეთში „არბითის“ დაკისრების საფუძველს წარმოადგენდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა ვინმე, რომელიც შესაძლოა „მეარბითე“ ყოფილიყო, კერძოდ, ენის მიმტანი, დამნაშავისათვის იარაღის მიმცემი, ჩხუბის წამომწყები, ზოგადად დანაშაულის წამქეზებელი, არ იყო სახეზე.

გამორიცხული არ იყო „მეარბითე“ კონკრეტულ შემთხვევაში რამდენიმე პიროვნება ყოფილიყო. ამ დროს „არბითი“, როგორც გადასახადი, მათზე თანაბრად ნაწილდებოდა.[1]

თუ არც ერთი ზემოთ დასახელებული პიროვნება არ იყო სახეზე, მაშინ „არბითს“, ხევსურული რჯულის შესაბამისად, თვითონ დამნაშავე იხდიდა,[2] ანუ „არბითი“ არასდროს იკარგებოდა და ეგი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო გადახდილი, მიუხედავად „მეარბითეს“ არარსებობისა. საილუსტრაციოდ ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორის განმარტებას მოვიხმობთ: „თუ მეარბითე სხვა არავინაა, მაშინ უშუალოდ ვინც მოკლა მან უნდა გადაუხადოს. ე. ი. არბითი არ იკარგება. თუ აღმოჩნდა კაცი, რომელმაც მისცა იარაღი და ამ იარღით მოხდა დანაშაული, ხომ კარგი, გადაიხდის არბითს იარაღის მიმცემი, ხოლო თუ ასეთ რამეს არ ქონია ადგილი და კაცმა კაცი თავისივე იარაღით მოკლა, ყოველივე ენატანიობის გარეშე მოკლა, ამ არბითსაც თვითონ იხდის ძირითადი გადასახადის გარდა..... მოარბითე ამ შემთხვევაში თვითონ დამნაშავეა.“[3] რ. ხარაძის მიხედვით, როდესაც მხარეებს შორის პირშესამყრელოს აქვს ადგილი, დაზარალებული შუაკაცების მეშვეობით შეუთვლის დამნაშავეს: „მეარბითე ვინ ჰყავ, თუ თავად მამცემს?“. თუ მეარბითე არავინ ეყოლა, მაშინ არბითიც მკვლელმა უნდა გადაიხადოს. მამკვდრის პატრონი არბითს არ დაიკლებს“.[4]

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ „არბითს“ პირველ რიგში იხდიდა ის პიროვნება, რომელმაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას (ენის მიტანით, დამნაშავისათვის იარაღის მიცემით, დამნაშავის წაქეზებით, ჩხუბის დაწყებით, რომელსაც სხვებს შორის მკვლელობა

---

[1] ალ. ოჩიაური, დასახ. ნაშრ., იქვე.

[2] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №6, 1977, 8-9; ჯ. მერაბიშვილი, იქვე.

[3] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №5, 1977, 12.

[4] რ. ხარაძე, დასახ. ნაშრ., 188.

თუ დაჭრა მოჰყვა). თუ ასეთი პიროვნება კონკრეტული დანაშაულის ჩადენისას არ იყო სახეზე, მხოლოდ მაშინ „არბითის“ გადახდა ეკისრებოდა მას, რომელიც ესწრებოდა შუღლს (ან სოფელში სახლში იყო და კარები ჰქონდა ღია) და არ გააშველა მოჩხუბარნი, ანუ არ მიიღო ზომები შუღლის აღსაკვეთად. ხოლო კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით მხოლოდ ამ ორი კატეგორიის პირთა არარსებობის შემთხვევაში, „არბითის“ გადახდა უკვე უშუალოდ დანაშაულის ჩამდენს ეკისრებოდა.

დღეს ძნელია იმის დაზუსტებით თქმა, თუ რამ გამოიწვია, „არბითის“, როგორც განსაკუთრებული სახის სახდელის გაჩენა ხევსურეთში. ჩვენი ვარაუდით, ეს დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იმასთან, რომ ადამიანებს თავი შეეკავებინათ ენის მიტან-მოტანისაგან, საკუთარი იარაღის სხვისთვის გადაცემისგან, ჩხუბის ატეხვისაგან და სხვა.

„არბითის“ მსგავსი, ინსტიტუტი ფშავშიც ფიქსირდება. მას აქ „საენაოს“ უწოდებენ. „საენაოს“ მნიშვნელობას კარგად განმარტავს ვაჟა-ფშაველა. მისი თქმით, თუ ვინმეს ენატანიობით, ანუ როგორც ფშაველი ამბობს, „ენაკაჭლობით“, „მოყურიადობით“ ერთიმეორეს გადაემტერებოდა და სისხლი დაიქცეოდა, მაშინ ამ ლაქლაქას უნდა გადაეხადა დაზარალებულის ნათესავების სასარგებლოდ ხუთი ძროხა „საენაო“.[1] როგორც ვხედავთ, „საენაოს“ „არბითთან“ შედარებით უფრო ვიწრო მნიშვნელობა ჰქონდა. მისი გადახდა მხოლოდ იმ პიროვნებას ეკისრებოდა, რომლის მიერ ენის მიტანამაც დანაშაულის ჩადენა გამოიწვია. როგორც დავინახეთ, ხევსურეთში „არბითის“ გადახდა ასეთ შემთხვევაშიც ხდებოდა, თუმცა „არბითის“ ზუსტ ანალოგს ფშავში, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ვერ ვხვდებით.

4.7. „სამფიცარი“, „ქურდად გასამხდელო“. სახდელის ამ სახეებს ბრალმდებელი მხარე (დაზარალებული) უხდიდა მის მიერ ქურდობაში, ან სხვა დანაშაულში უსაფუძვლოდ ბრალდებულ პიროვნებას. მაგალითად, თუ ქურდობის გამო დაზარალებული („დამკარგავი“) ბრალს წაუყენებდა სხვა პიროვნებას ამ დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ ვერ დაუმტკიცებდა ამას, მაშინ ეს უკანასკნელი ტყუილად ბრალმდებელს გადააბდევინებდა ე. წ. „ქურდად გასამხდელოს“ 5 ძროხის ოდენობით.[2]

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964, 76.

[2] ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების

თუ ბრალმდებელი (დაზარალებული) დაფიცებას მოსთხოვდა მის მიერ დანაშაულში ბრალდებულ პიროვნებას, ისიც ჯვარში დაიფიცებდა (ხელს მამკიდეებთან, ანუ თანამოფიცრებად) და თავს გაიმართლებდა, შეეძლო ტყუილად ბრალმდებლისათვის გადაეხდევინებინა ე. წ. „სამამფიცროც“, ასევე 5 ძროხის ოდენობით.[1] ჯვარში დაფიცება ხევსურეთში საკმაოდ სამძიმო საქმედ ითვლებოდა ნებისმიერ შემთხვევაში, ამდენად, მართალი ადამიანის ჯვარში თავის მართლება თანამოფიცარ ნათესავებთან ერთად, მისი მხრიდან უკმაყოფილებას გამოიწვევდა და ბ გაბუურის მიხედვით, იგი ბრალმდებელს ეტყოდა: „ტყუილად ჯვარის კარში შამაგდავ.“[2]

„ქართული ჩვეულებითი სამართლის ლაბორატორიის“ თანამშრომელთა მიერ 1988 წელს ხევსურეთში ჩაწერილ მასალებში გვხვდება ხევსურ ინფორმატორთა მონაცემები, რომელთა მიხედვით, ფიცით გამართლებული ბრალდებული ამ გასამრჯელოს — „სამამფიცროს“ მიიღებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გამოვლინდებოდა ნამდვილი დამნაშავე. ერთ-ერთი ინფორმატორი ამბობს: „ქურდი თუ სხვა აღმოჩნდება, მაშინ ქურდად გახდილი (მხედველობაშია ქურდობაში ეჭვმიტანილი, რომელმაც ფიცით იმართლა თავი, — გ. დ.) „სამამფიცროსაც“ მოითხოვს 5 ძროხას. თუ ქურდი არ აღმოჩნდება, „სამამფიცროს“ ვერ მოითხოვს.“[3] ამრიგად, ფიცით გამართლებული პიროვნება „სამამფიცროს“ მიღების უფლებას მაშინ მიიღებდა, როდესაც რეალურად აღმოჩნდებოდა იმ დანაშაულის ჩამდენი, რომელსაც მას აბრალებდნენ.

ქურდობაში ეჭვმიტანილისათვის, მისი გამართლების შემთხვევაში გარკვეული ჯარიმის გადახდა თუშეთშიც ფიქსირდება. კერძოდ, ვ. ლაგაზიძე აღნიშნავს, რომ თუ ქურდობაში ეჭვმიტანილი თავს გაიმართლებდა ორდალის (კერძოდ, „მდუღარეს“) მეშვეობით, მაშინ ბრალმდებელს მისთვის უნდა გადაეხადა ჯარიმა 5 ძროხის ოდენობით.[4]

წელიწდეული, I-II, 1923-1924, 138.

[1] ბ. გაბუური, იქვე, 139.

[2] იქვე.

[3] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 15.

[4] ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან, საკანდიდატო დისერტაცია, დ. 299, ხელნაწერის უფლებით, თბ., 1966, 148. მონაცემი დაფიქსირებულია სოფელ ქვემო ალვანში 1953 წელს.

„სამშიცრო“ და „ქურდად გასამხდელო“ ჯარიმის ნაირსახეობებია. როგორც ვხედავთ, მსგავსი შინაარსის ჯარიმა, თანაც იმავე ოდენობით თუშეთშიც გვხვდება, თუმცა რაიმე სპეციფიკური დასახელების გარეშე. ხევსურეთისგან განსხვავება ისაა, რომ მას ორდალით, კერძოდ, „მდუღარეთი“ გამართლებულს უხდიდნენ და არა ფიცით გამართლებულს. ხდებოდა თუ არა ხევსურეთშიც „მდულარეთი“ გამართლებულისათვის ჯარიმის გადახდა, შეუძლებელია ითქვას, რადგან საქართველოს ამ კუთხეში XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის ჩვეულებითი სამართლის მასალებში „მდულარის“, ან ორდალის სხვა სახეების შესახებ არანაირი მონაცემები არ ფიქსირდება. ხევსურეთში ეჭვმიტანილის გამართლება, ძირითადად, ფიცით ხდებოდა და ამიტომაც, ჯარიმას სწორედ ფიცით და არა ორდალით გამართლებულს უხდიდნენ. თუშეთში კი, ხევსურეთისგან განსხვავებით, იმავე პერიოდის მასალებში ინფორმატორთა მეხსიერებას შემორჩა მონაცემები „მდულარეს“ გამოყენების შესახებ. მათ მიხედვით ჩანს, რომ ქურდობაში ეჭვმიტანილს შესაძლოა თავი ემართლა ორდალის ამ სახის მეშვეობით და ამდენად, „მდულარეთი“ გამართლებულის სასარგებლოდ ჯარიმის გადახდაც გვხვდება, თუმცა არანაირი ცნობა არ არის ფიცით გამართლებულისათვის ჯარიმის გადახდის შესახებ.

4.8. ალმანია, ალვანია. ქონებრივი საზღაურის აღნიშნული სახე გვხვდება ფშავსა და ხევსურეთში. ფშავში ვაჟა-ფშაველას მიხედვით მას ალმანიას (ასევე „ყისტს“) უწოდებდნენ და მისი გამოყენება მკვლელობის შემთხვევაში ხდებოდა.[1] ხევსურეთში კი ამ საზღაურს მკვლელობის დროს არ მიმართავდნენ[2] და მხოლოდ დაჭრა-დასახიჩრების შემთხვევაში აკისრებდნენ დამნაშავეს. რ. ხარაძის განმარტებით, აღნიშნულ საზღაურს ალვანიას უწოდებენ პირიქით ხევსურეთში, ხოლო ალმანიას პირაქეთში.[3]

ეთნოგრაფიული მონაცემების განზოგადების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ალვანია, ალმანია არის დამნაშავის კონკრეტული

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964, 72.

[2] კერძოდ, ამას პირდაპირ მიუთითებს დ. ჯალაბაძის ერთ-ერთი ინფორმატორი (დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 36). ასევე, ხევსურული ჩვეულებითი სამართლის შესახებ მასალებში არსად ფიქსირდება ამ საზღაურის გამოყენება მკვლელობისათვის გათვალისწინებული გადასახადის გადახდისას.

[3] რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, „ანალები“, ტ. 1, თბ., 1947, 174.

ქონება, რომელიც მას (მკვლელს — ფშავში, დამჭრელს — ხევსურეთში) უნდა გადაეხადა დაზარალებული მხარის მოთხოვნით. ეს, ცხადია, ფშაველისა თუ ხევსურისათვის მნიშვნელოვანი, ძვირფასი ქონება იქნებოდა, მაგალითად, მამული, ხმალი, ხანჯალი, პირუტყვი. დაზარალებული ალმანიის, ალვანიის აღებისას, რა ქონებასაც დაუსახელებდა დამნაშავეს (ცხადია, ეს ქონება გარკვეული ღირებულების ფარგლებში იქნებოდა, რომელიც ხევსურეთში წინასწარ იყო განსაზღვრული), ის ვალდებული იყო მისთვის მიეცა.

ვაჟა-ფშაველას განმარტებით, ფშავში მოკლულის ნათესავები მკვლელს, შერიგების შემდეგ, თავსისხლის საფასურის გარდა, ალმანიის სახით მისი ქონებიდან მოსთხოვდნენ მათ მიერ მოწონებულ ნივთს. დამნაშავეს უარის თქმა არ შეეძლო და იგი ვალდებული იყო აღნიშნული ქონება დაზარალებულებისათვის გადაეცა.[1] ეს ქონება შესაძლოა მამულიც ყოფილიყო, თუმცა, როგორც ვაჟა მიუთითებს, ალმანიიდან გათავისუფლებული იყო ზოგიერთი სახელოვანი იარაღი. ვაჟას მხედველობაში აქვს ისეთი იარაღი, რომელიც ომის დროს პატრონს ასახელებდა. ხევისბერი დალოცავდა ასეთ სახელოვან ხმალს ან თოფს და შეაჩვენებდა, „დაარისხებდა" იმას, ვინც ალმანიაში წაართმევდა მის პატრონს ამ იარაღს.[2] როგორც ვხედავთ, ფშავში ალმანიის მოთხოვნისას გარკვეული შეზღუდვა არსებულა, რაც მხოლოდ და მხოლოდ „სახელოვან" იარაღზე ვრცელდებოდა. იარაღის ალმანიიდან გამორიცხვის სავალდებულო პირობას კი, როგორც ვაჟასთან გამოჩნდა, მასთან დაკავშირებით ხევისბერის მიერ გარკვეული რიტუალის ჩატარება წარმოადგენდა, რა დროსაც იგი დალოცავდა ამ იარაღს და დაწყევლიდა (დაარისხებდა) იმას, ვინც ამ იარაღს ალმანიის სახით მოითხოვდა. ბუნებრივია, ასეთი პრევენტიული მოქმედების შემდეგ ამ იარაღის ალმანიაში მოთხოვნას ველარავინ გაბედავდა.

ხევსურეთში ალვანიის, ალმანიის მოთხოვნისას ასეთი შეზღუდვა არ გვხვდება. აქ ალვანია, ალმანია დაჭრა-დასახიჩრებისათვის გათვალისწინებული საზღაურის ნაწილია. თუმცა აღსანიშნავია, რომ მისი მოთხოვნის უფლება დაზარალებულს ნებისმიერი დაჭრა-დასახიჩრებისას არ ჰქონდა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ, თუ რა სახის დაჭრა-

[1] ვაჟა-ფშაველა, იქვე.

[2] იქვე, 73. ასეთი იარაღი ფშავში ბევრი ყოფილა, და ერთი მათგანი ვაჟას დროსაც ყოფილა შემორჩენილი.

დასახიჩრებისას ჰქონდა დაზარალებულს ალვანიის, ალმანიის მოთხოვნის უფლება. ამ საკითხზე და საერთოდ ამ საზღაურზე ხევსურულ ჩვეულებით სამართალში ყველაზე სრულყოფილ ცნობებს გვაწვდის ალ. ოჩიაური. მისი განმარტებით, ალვანიას დაჭრილი მხოლოდ ზოგიერთ ჭრილობაზე იღებდა. მაგალითად, „ტვინზეით ამოსულ ძვალზე, ხელ-ფეხის გაუხმრებაზე, პირისახეში ზოგიერთ ადგილას ჭრილობაზე, სადაც თმა-წვერ არ ფარავდა და დრამა ათ ძროხას აღემატებოდა“.[1] ანუ, ალ. ოჩიაურის მიხედვით დაჭრილს ალვანიის, ალმანიის მიღების უფლება ჰქონდა მხოლოდ მაშინ, თუ ადგილი ჰქონდა თავში მიყენებულ მძიმე ჭრილობას (როდესაც ნაჭრევი ტვინამდე იყო ჩასული), ხელის ან ფეხის დასახიჩრებისას, ან სახის არეში მიყენებული ზოგიერთი ჭრილობისას, ისეთ ადგილას, რომელსაც თმა-წვერი არ ფარავდა (ხევსურეთში ასეთი ჭრილობა უფრო მძიმედ ითვლებოდა, ვიდრე წვერით დაფარულ ადგილას მიყენებული ჭრილობა). აქ ალ. ოჩიაური გულისხმობს ლოყაზე, ცხვირზე, შუბლზე მიყენებულ ჭრილობას.[2] ალ. ოჩიაურს კონკრეტული შემთხვევაც მოჰყავს სახის არეში მიყენებული ჭრილობისათვის ალვანიის გადახდის თაობაზე.[3] ალვანიის გამოყენება იმავე შემთხვევებში დასტურდება მ. კეკელიასა და მისი დაარსებული „ქართული ჩვეულებითი სამართლის ლაბორატორიის“ თანამშრომლების მიერ XX საუკუნის 70-80-იან წლებში ჩაწერილი მონაცემებითაც. კერძოდ, არხოტელი ინფორმატორები აღნიშნავენ, რომ ალვანიის გადახდა მძიმე ჭრილობისას ხდებოდა, ხელის თუ ფეხის გახაიბრებისას, თავზე მიყენებული მძიმე ჭრილობისას.[4]

ალვანიის, ალმანიის გადახდა ალ. ოჩიაურის მიხედვით, 5 ძროხის ღირებულების ანგარიშში ხდებოდა.[5] მის მიერ მოყვანილ კონკრეტულ შემთხვევებშიც ალვანიის, ალმანიის სახით დაზარალე-

---

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/1, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 6.

[2] ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 1988, 187.

[3] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/1, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 11.

[4] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, №1. 74; №6, 22, 27; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 10.

[5] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/1, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 6: მისივე, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, ხელნაწერი, 1945, რეული №3, 42; მისივე, ხევსურული მასალები, II, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 1988, 187.

ბულმა 5 ძროხის ოდენობის ქონება გადაიხადა.[1] 5 ძროხის ღირებულების ფარგლებში ალვანია, ალმანიად ალ. ოჩიაურის მიხედვით, ხევსურეთში ხდებოდა ძვირფასი ხმლის (ფრანგულის), თოფის, მამულის, ძროხის, ცხენის, ხარის გადახდა.[2] XX საუკუნის 70-80-იანი წლების არხოტში ჩაწერილი მასალებით ჩანს, რომ აქ დაჭრა-დასახიჩრებისათვის გათვალისწინებული საზღაურის გადახდა „ხელითი" ძროხით ხდებოდა, „ფეხითი" ძროხით კი მხოლოდ ალვანიის შემთხვევაში იცოდნენ. ამ პერიოდის ინფორმატორების განმარტებითაც, დაზარალებული ალვანიაში მოითხოვდა იმას, რასაც თვითონ მოინდომებდა — ხარს, ცხენს, ძროხას, ხმალს, ასევე მამულს.[3]

თუ რა იქნებოდა ალვანიის, ალმანიის საგანი დამოკიდებული იყო დაზარალებულის სურვილსა და დამნაშავის ქონებრივ მდგომარეობაზე. ალვანია, ალმანიის მოთხოვნისას ხევსურები, პირველ რიგში, იარაღის მიმართ იჩენდნენ ინტერესს. ასეთი ძვირფასი იარაღის ქონა სასახელო იყო და ყველა ცდილობდა ხელში ჩაეგდო. მისი პატრონისათვის სირცხვილი იყო ასეთი იარაღის გაღება და ამღებისათვის სახელი.[4] ალ. ოჩიაურის მიერ მოყვანილ ერთ-ერთ შემთხვევაში დაზარალებულმა ალვანიად ფრანგული ხმალი აიღო 5 ძროხის ანგარიშში. დამნაშავეს, სახელად გიგიას, მისთვის ეს ძვირფასი ხმალი დაზარალებულისათვის არ ემეტებოდა, თუმცა რაკი ალვანიაში შეუთვალეს, იძულებული გახდა მიეცა.[5] თუ დამნაშავეს არ ჰქონდა კარგი იარაღი, მაშინ სხვა ქონების მოთხოვნას ექნებოდა ადგილი. მაგალითად, ალ. ოჩიაურის მიერ მოყვანილი კონკრეტული შემთხვევისას დამნაშავეს არ ჰქონდა ძვირფასი იარაღი და დაზარალებულმა 5 „ფეხითი" ძროხა მოითხოვა, რაც მიიღო კიდეც.[6] ალვანია, ალმანიის გარდა დანარჩენი დრამა რა სახით იქნე-

---

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/1, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 11, 24.

[2] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/1, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 6; მისივე, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, ხელნაწერი, 1945, რვეული №3, 42; მისივე, ხევსურული მასალები, II, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 1988, 187.

[3] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №6, 22, 27; დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 10.

[4] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/1, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 11.

[5] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/2, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 24.

[6] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/1, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 6.

ბოდა წარმოდგენილი, ეს თვითონ დამნაშავეზე იყო დამოკიდებული და რასაც მიუტანდა დაზარალებული, იმით უნდა დაკმაყოფილებულიყო.[1] ერთ-ერთი შემთხვევისას 5 ძროხა ალვანიის გარდა დამნაშავეს გადასახდელი ჰქონდა 11 ძროხა დრამა. ეს 11 ძროხა დრამა დამნაშავემ თავისი შეხედულებისამებრ, სპილენძის ქვაბებით, ფარდაგებით, თულუხით გადაიხადა.[2]

დაზარალებულს შესაძლოა ალვანიად მამულიც მოეთხოვა. მცირემიწიანობის გამო მამული ასევე ძალზედ ძვირფას ქონებას წარმოადგენდა ხევსურისათვის. თუ ვინმე მოითხოვდა ალვანიაში მამულს, მაშინ დამნაშავეს სხვა გზა არ ჰქონდა, დაზარალებულის მიერ მითითებული მამული მისთვის უნდა გადაეცა, 5 ძროხის ღირებულების ანგარიშში,[3] ანუ მოხდებოდა მამულის მოცულობის გადაანგარიშება გადასახდელი ძროხების რაოდენობაზე. კერძოდ, ერთი ძროხა უდრიდა ერთ წერ ყანას (ერთი წერი კი 63 ძნას).[4]

XX საუკუნის 70-80-იან წლებში დაფიქსირებულ ჩვენს ხელთ არსებულ ზოგიერთ მონაცემში ვხვდებით გარკვეულ განსხვავებებს ალვანია, ალმანიას შესახებ ალ. ოჩიაურის მასალებისაგან. ძირითადად ეს ეხება ალვანია, ალმანიას ოდენობას. მაგალითად, ერთ-ერთი არხოტელი ინფორმატორი აღნიშნავს, რომ ალვანიას ოდენობა (მისი გადახდის სავალდებულობისას) მოცემული დანაშაულისათვის რჯულის კაცების მიერ დადგენილი საზღაურის მესამედი უნდა ყოფილიყო: „მაგალითად, 30 ძროხის ჭრილობა რომ გჭირდეს, 10 ძროხა გავა ალვანიით, 20 ისე როგორც წესია.“[5] კიდევ ერთი ინფორმატორის ცნობით, თუ 30 ძროხა იყო გადასახდელი, აქედან 8 ძროხა ალვანია უნდა ყოფილიყო.[6] ამ უკანასკნელ მონაცემში კონკრეტულად

---

[1] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 38.

[2] იქვე.

[3] ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 1988, 187.

[4] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №6, 27.

[5] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 10.

[6] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №1. 74.

არ არის მითითებული ალვანიის ოდენობის განსაზღვრის პრინციპი, თუმცა პირველი მონაცემის მსგავსად, რომლის მიხედვითაც ალვანია დაჭრა-დასახიჩრებისათვის დადგენილი საზღაურის 1/3-ია, აქაც არის მინიშნება, რომ ალვანიის ოდენობა შესაძლოა იცვლებოდეს აღნიშნული საზღაურის რაოდენობის მიხედვით. ალ. ოჩიაურის მიხედვით კი, როგორც ზემოთ გამოჩნდა, ალვანია, ალმანიის ოდენობა 5 ძროხას არ აღემატებოდა, მიუხედავად დაჭრა-დასახიჩრებისათვის გათვალისწილებული საზღაურისა (ანუ ამ საზღაურის ოდენობაზე არ იყო დამოკიდებული და მაგალითად, 30 ძროხის გადახდის დაკისრებისას ალვანია 5 ძროხას მაინც არ გადასცდებოდა). ალ. ოჩიაური არსად მიანიშნებს, რომ ალვანია, ალმანია შესაძლოა დაჭრა-დასახიჩრებისათვის დადგენილი საზღაურის რაღაც ნაწილი (მაგალითად, 1/3) ყოფილიყო. ალ. ოჩიაური ალვანია, ალმანიას ოდენობაზე საუბრისას კონკრეტულ მაგალითებს ეყრდნობა და ამდენად, მისი ამ ცნობების სანდოობა ეჭვს არ იწვევს. ამისგან განსხვავებული ზოგიერთი მონაცემის არსებობა XX საუკუნის 70-80-იანი წლების მასალებში, სავარაუდოდ, აიხსნება იმით, რომ შესაძლოა ხევსურეთის რომელიმე რეგიონში ალვანიის დადგენის თავისებური, განსხვავებული წესი არსებობდა, ან XX საუკუნის 70-80-იანი წლებისათვის არსებულმა წესმა (რომელსაც ალ. ოჩიაურთან ვხვდებით) ტრანსფორმაცია განიცადა.

4.9. ხელჩასამრთაო. სახდელის აღნიშნულ სახეს ასევე თანამონაწილეობის ინსტიტუტთან დაკავშირებით შევეხეთ. აქ ამ ინსტიტუტის განუხილველ ასპექტებზე ვისაუბრებთ.

„ხელჩასამრთაოს“ გადახდა დღის წესრიგში დგებოდა მხოლოდ მკვლელობის შემთხვევაში, როდესაც მოკლულს სასიკვდილო ჭრილობის გარდა სხვა რაიმე ჭრილობაც (თუნდაც სრულიად უმნიშვნელო) ექნებოდა მიყენებული არა მკვლელის, არამედ სხვა პიროვნების (თუ პიროვნებების) მიერ. ამ სახდელს იხდიდა არა მკვლელი, არამედ სასიკვდილო ჭრილობის გარდა სხვა ჭრილობის (ჭრილობების) მიმყენებელი, 5 ძროხა დრამის ოდენობით.

მასალების მიხედვით, სასიკვდილო ჭრილობის გარდა მოკლულისათვის არასასიკვდილო ჭრილობის (ჭრილობების) მიყენებას არამკვლელის მიერ ხევსურეთში ხშირად ჰქონდა ადგილი ჯგუფური შეღლისას, რაც აქ არცთუ იშვიათი მოვლენა იყო. მოკლულისათვის მიყენებული ნებისმიერი არასასიკვდილო ჭრილობის მიმყენებელი,

ვალდებული იყო დაზარალებული მხარისათვის „ხელჩასამრთაო“ გადაეხადა. ხევსური ინფორმატორი განმარტავს: თუ მკვლელობა ჯგუფმა ჩაიდინა, ვისი ხელითაც უშუალოდ მოკვდება პირი, ის აგებს პასუხს. „თუ ჭრილობა ყველამ მიაყენა, ვისი ჭრილობაც სასიკვდილო იყო, იმას დაედება სისხლი, დანარჩენებსაც გადახდებათ გარკვეული გადასახადი, ე. წ. ხელჩასამრთაო 5 ძროხის ოდენობით თითოს.“[1] ალ. ოჩიაურს კონკრეტული მაგალითიც მოჰყავს ჯგუფური ჩხუბის შედეგად დამდგარი მკვლელობისას არასასიკვდილო ჭრილობის მიმყენებლის მიერ „ხელჩასამრთაოს“ გადახდისა. კერძოდ, ჯგუფურ ჩხუბში მოუკლავთ ვინმე ლაგაზა. მისთვის სასიკვდილოს გარდა სხვა ჭრილობა მიუყენებია ვინმე იას, რომელიც არ იყო მკვლელი. სწორედ ამის გამო იას ლაგაზას ოჯახისათვის 5 ძროხა „ხელჩასამრთაო“ გადაუხდია.[2] იქვე ალ. ოჩიაური განმარტავს, რომ ასეთი ჭრილობა სულ უმნიშვნელოც რომ ყოფილიყო, „ხელჩასამრთაოს“ გადახდა მაინც ვალდებულებას წარმოადგენდა.[3]

როგორც თანამონაწილეობის ინსტიტუტზე საუბრისას აღვნიშნეთ, ჯგუფურ ჩხუბში პირის მკვლელობისას მკვლელობისათვის პასუხისმგებლობა მხოლოდ სასიკვდილო ჭრილობის მიმყენებელს ეკისრებოდა. ამ ჩხუბში მოკლულისათვის სხვა ჭრილობის თითოეული მიმყენებელი კი, როგორც ხევსური ინფორმატორის ზემოთ მოყვანილ ინფორმაციაშიც გამოჩნდა, გადაიხდიდა „ხელჩასამრთაოს“ 5 ძროხის დრამის ოდენობით.

საინტერესოა, რომ ხევსურული რჯულით, „ხელჩასამრთაოს“ არა მხოლოდ ჯგუფური მკვლელობისას არასასიკვდილო ჭრილობის მიმყენებელი მკვლელობის თანაამსრულებელი იხდიდა, არამედ ის პიროვნებაც, რომელმაც არასასიკვდილო ჭრილობა მოკლულს სასიკვდილო ჭრილობის მიმყენებლისაგან დამოუკიდებლად მიაყენა, სხვა დროსა და ვითარებაში, არა როგორც მისმა თანაამსრულებელმა. ხევსურეთში ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც დაჭრილი იმ ჭრილობის მიყენებიდან, რომელმაც მისი სიკვდილი გამოიწვია, გარკვეული დროის შემდეგ გარდაიცვლებოდა. თუ ამ ჭრილობის მიყენების შემდეგ, დაჭრილის გარდაცვალებამდე, ვინმე სხვაც მიაყენებდა მას ჭრი-

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 75.

[2] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/5, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 57.

[3] იქვე.

ლობას, ისიც იხდიდა „ხელჩასამრთაოს“. ალ. ოჩიაურის მასალებში გვხვდება კონკრეტული შემთხვევა, რომელიც ადასტურებს ზემოთ თქმულს: ერთმა პიროვნებამ მეორეს მიაყენა ჭრილობა. გარკვეული დროის შემდეგ დაზარალებული გარდაიცვალა, თუმცა ჭრილობის მიმყენებელმა უარი განაცხადა პასუხი ეგო მისი მკვლელობისათვის იმ მოტივით, რომ გარდაცვლილს მის მიერ ჭრილობის მიყენებამდე იმავე ადგილას ადრე ჰქონია სხვა ჭრილობა მიყენებული, რომელიც დაჩირქდა და დაჭრილის გარდაცვალების მიზეზი გახდა, ხოლო მის მიერ მიყენებული ჭრილობა უმნიშვნელო იყო და მას არ შეეძლო დაჭრილის გარდაცვალება გამოეწვია. საქმის სასამართლო განხილვისას მან ეს თავისი პოზიცია ფიცით დაამტკიცა, ასევე დაჭრილის მკურნალმა ადგილობრივმა ექიმმაც დაადასტურა ეს და ამიტომ სასამართლომ („რჯულმა“) იგი გაამართლა, თუმცა 5 ძროხა „ხელჩასამრთაოს“ გადახდა დააკისრა[1] როგორც ვხედავთ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ხელჩასამრთაოს“ გადახდა დაეკისრა გარკვეული დროის წინ მიყენებული ჭრილობის ადგილას მეორე ჭრილობის მიმყენებელს. „რჯულის კაცებმა“ დაჭრილის გარდაცვალების მთავარ მიზეზად პირველი ჭრილობა მიიჩნიეს და ამიტომ მეორე ჭრილობის მიმყენებელს მხოლოდ „ხელჩასამრთაოს“ დაკისრება აკმარეს.

აღნიშნულ საკითხს ეხება ალ. ოჩიაური. მისი განმარტებით: „ხევსურული რჯულით მეხელე მაინც ხანჯრის დამკრავი რჩებოდა. თუ სხვას ვინმეს დაეკრა რამე იმ ადგილზე, მაშინ რჯულით დამკრავი ხელჩასამრთაოს, 5 ძროხას გადაიხდიდა დრამით. როგორც მეხელე, ანუ მამკლავი მარტო პირველი დამჭრელიევე რჩებოდა, თუ ის ჭრილობა კლავდა, სადაც პირველმა დაკრა იარაღი. თუ სხვა ადგილზე დაკრა მეორემ და ამ დაკრულმა მოკლა, მაშინ თავი მეორეს დაედებოდა და ხელჩასამრთაო ხუთ ძროხას პირველი გადაიხდიდა.“[2] ამრიგად, თუ დაჭრილ პიროვნებას სხვა პიროვნება (არა პირველი ჭრილობის მიმყენებელი) კვლავ დაჭრიდა იმავე ადგილას, სადაც პირველი ჭრილობა იყო მიყენებული და დაჭრილი გარდაიცვლებოდა, პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის პირველი ჭრილობის მიმყენებელს დაეკისრებოდა, ხოლო მეორე ჭრილობის მიმყენებელს „ხელჩასამრთაოს“ გადახდა მოუწევდა (ცხადია, ამას ადგილი ექნებოდა

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/7, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 82-84.

[2] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/7, მოსისხლეობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 79.

იმ შემთხვევაში, თუ პირველი ჭრილობა საკმაოდ სერიოზული იყო. როგორც ჩანს, ამ დროს თვლიდნენ, რომ თუ არა პირველი ჭრილობა, დაჭრილი შესაძლოა არ გარდაცვლილიყო და სწორედ იგი აღიქმებოდა გარდაცვალების მაპროვოცირებლად). თუ მეორე ჭრილობა სხვა ადგილას იქნებოდა მიყენებული და იგი გახდებოდა გარდაცვალების მიზეზი, მაშინ, ცხადია, მკვლელობისათვის პასუხისმგებლობა ამ მეორე ჭრილობის მიმყენებელს დაეკისრებოდა, ხოლო პირველი ჭრილობის მიმყენებელი „ხელჩასამართაოს“ გადაიხდიდა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხევსურეთში „ხელჩასამრთაოს“ გადახდა ეკისრებოდა არა მარტო დანაშაულის თანაამსრულებელს, რომელმაც მოკლულს არასასიკვდილო ჭრილობა მიაყენა მაშინ, როდესაც მკვლელობის ჩადენა მოხდა, ანუ უშუალოდ იმ შუღლისას, რომელიც მკვლელობით დასრულდა, არამედ, იმ პირსაც, რომელმაც არასასიკვდილო ჭრილობა მიაყენა მოკლულს სასიკვდილო ჭრილობის მიყენებიდან გარკვეული დროის შემდეგ, ან სასიკვდილო ჭრილობის მიყენებამდე გარკვეული დროით ადრე.

4.10. **სამთელსამკვდრო. სამთელმკვდრო.** ხევსურული ჩვეულებითი სამართლის შესახებ მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „სამთელსამკვდრო“ წარმოადგენდა ქონებრივ საზღაურს, რომელსაც დამჭრელი უხდიდა დაჭრილს ისეთი ჭრილობისათვის, რომელიც სიცოცხლისათვის საშიში იყო, ან მიყენებული იყო სიცოცხლისათვის საშიშ ადგილას, ან როდესაც ერთი პიროვნების მოქმედების შედეგად მეორეს სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა, თუმცა სასიკვდილო შედეგი არ დამდგარა. აღნიშნული სახდელი დანაშაულის მცდელობის შესახებ საუბრისას განვიხილეთ, რადგანაც მისი გადახდა ხევსურეთში მკვლელობის მცდელობის დროსაც ფიქსირდება. ახლა კონკრეტულად განვიხილოთ ის შემთხვევები, როდესაც ხევსურეთში ადგილი ჰქონდა „სამთელსამკვდროს“ გამოყენებას.

„სამთელსამკვდროს“ გადახდა, უპირველეს ყოვლისა, უნდა განვიხილოთ ე. წ. „სიცოცხლით თავის გათავებასთან“ დაკავშირებით. ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა მაშინ, როდესაც პიროვნება მძიმედ იყო დაჭრილი და არ იყო ცნობილი იგი გადარჩებოდა თუ არა. ამ შემთხვევაში დამნაშავე მხარე თუ დაითანხმებდა (ცხადია, შუაკაცების მეშვეობით) დაზარალებულ მხარეს „სიცოცხლით თავის გათავებაზე“, მაშინ ადგილი ექნებოდა „სამთელსამკვდროს“ გადახდას,

რაც სრული სისხლის (60 ძროხა) ნახევარი (30 ძროხა)[1] იყო. თუ მოხდებოდა „სამთელსამკვდროს“ გადახდა, ამას გარკვეული სამართლებრივი შედეგი მოჰყვებოდა: თუ დაჭრილი გარდაიცვლებოდა, მის ნათესაობას ეკარგებოდა უფლება მოეთხოვა მკვლელისაგან მკვლელობისათვის გათვალისწინებული გადასახადის გადახდა, რაც „სამთელსამკვდროს“ ოდენობას ორჯერ აღემატებოდა. თუ დაჭრილი გადარჩებოდა, მაშინ დამჭრელს აღარ ჰქონდა უფლება უკან მოეთხოვა მის მიერ გადახდილი საზღაურის ნაწილი, თუ აღმოჩნდებოდა, რომ კონკრეტული ჭრილობისათვის გათვალისწინებული საზღაური „სამთელსამკვდროს“ ოდენობაზე (30 ძროხაზე) ნაკლები იყო.

ამ საკითხზე ყველაზე სრულყოფილ ინფორმაციას ალ. ოჩიაური გვაწვდის. მისი განმარტებით: „სასიკვდილოდ დაჭრილი კაცი თუ სწუხს და მისი სიცოცხლე საორბედიო (სათუო, — გ. დ.) არის, მისი თავის გათავება სიცოცხლით შეიძლება. სიცოცხლით თავის გათავება ხდება სხვადასხვა შემთხვევაში. თუ დაჭრილი არის „იშობრად“ (შემთხვევით) ..... ეს რაც მოხდა, მოხდა და თავსისხლის გაგრძელება აღარ უნდა, ამ შემთხვევაში აუტყდება კაცშუაკაცი და სთხოვენ დაზარალებულის პატრონს სიცოცხლით თავის გათავებას. შეიძლება ადვილად დაითანხმონ, თუ ერთი მეორეში ინტერესი არაფერი ქონდა დაჭრილს და დამჭრელს, ან შეიძლება მომაკვდავმა თვითონ მოითხოვოს: მე მაგისგან ძალმომრეობით და გონობით არ ვკვდები, ეს მაგას არ უნდოდა, მაგრამ ალბათ ასეთი იყო წერა და იშობარი მოუვიდაო, მე მინდა, რომ სიცოცხლით გაათაოთ და ჩემს თაობაზე აღარავინ მოკვდესო; დაჟინებით მოითხოვს შეასრულეთ რასაც გეუბნებით, რომ მოვკვდე სამარით ნუ გადმომაგდებთო. დათანხმდება დაზარალებულს პატრონიც, კაცშუაკაცი დამნაშავის სახლიდან მიიტანს ოცდაათ ძროხა დრამას. ამ დრამამ, თუ სულის ამოსვლას მოასწრო, თავი აღარ ედება. თუ იმ დროს მოასწვრეს, რომ სული ამოზდის და კარებიდან დაუგვიანდება დრამის შეტანა, მაშინ დრამას შუაკაცები საკვამურიდანაც ჩაყრიან, რომ სულის ამოსვლას

[1] „სამთელსამკვდროს“ იმავე კონტექსტში განიხილავს ს. მაკალათიაც და მას „სამთლემკვიდროს“ უწოდებს, თუმცა მისი ოდენობა ამ მკვლევართან 60 ძროხაა (ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 97). აქ შეცდომასთან გვაქვს საქმე. ყველა სხვა მონაცემით „სიცოცხლით თავის გათავებისას“ „სამთელსამკვდრო“ 30 ძროხაა, რაც ალ. ოჩიაურის მიერ მოტანილი კონკრეტული ფაქტებითაც ფიქსირდება (იხ. ქვემოთ).

მოასწროს და თავსისხლი გათავდეს. ამ დრამას ერთ საკლავსაც მიაყოლებენ და ასე თავდება სიცოცხლით თავი. სიკვდილის შემდეგ იქნებიან ერთად ისე, მითომც არაფერი მოხდა მათ შორის, ხოლო დამნაშავე მოკლულის ხარჯებში ვერ მოვა — ისინი არ დაუშლიან, მაგრამ თვითონ ერიდება, თუ მათ არ დაპატიჟეს."[1]

ალ. ოჩიაური სხვა ადგილასაც ეხება იმავე საკითხს და ავსებს აქ მოყვანილ მონაცემებს „სამთელსამკვდროს" შესახებ: „თავსისხლი რომ არ დაზდებიყო, ამის საშველი იყო ერთი წესი: „სამთელ-სამკვდრო". როცა ავადმყოფი (დაჭრილი) ძალიან სწუხდა და მისი სიცოცხლე ბევრად არ იყო საიმედო, მაშინ დამნაშავე მონახავდა თაოსან კაცებს, ვის სიტყვასაც უფრო გასავალი ჰქონდა, წააყვანინებდა ავადმყოფთან ერთ საკლავს და შუაკაცები თხოვდნენ „სამთელ-სამკვდროს" აღებას ავადმყოფს. ავადმყოფს იმ დროს იმდენი ძალ-ღონე აღარ ჰქონდა, რომ შუაკაცებისათვის პასუხი გაეცა, მაგრამ იმის ძმა-ბიძაშვილები აძლევდნენ პასუხს. „სამთელ-მკვდრო" იყო ნახევარი კაცის თავი. სრული კაცის თავი დაფასებული იყო სამოც ძროხად და სამთელ-სამკვდრო იყო კაცისთავის ნახევარი: ოცდაათი ძროხა. ავადმყოფი „სამთელ-სამკვდროს" რომ აიღებდა, თუ მორჩებოდა, ხმას ვერავინ გასცემდა, შერჩებოდა ოცდაათი ძროხა. იმ შემთხვევაში თავსისხლი იკარგებოდა, თავს აღარ დაიდებდა დამნაშავე, არც ადგილიდან აიყრებოდნენ და არც რიგს უყენებდა, ვერც გადაემტერებოდნენ, საამისო უფლებები აღარ რჩებოდა დაზარალებულის ოჯახს და ნათესავებს. მხოლოდ სიკვდილის დღეს, ხარჯების დროს და სხვა ასეთებში კი არ მივლენ დამნაშავე და მისი ახლობელი. ერიდებიან აღლვების დროს, ან სასმელში სიმთვრალის დროს არავინ ასტეხოს შუღლი. მათ შორის უბრალო შუღლი არც მოხდებოდა, თუ მომხდარიყო კი უეჭველად მოკვდებოდა ვინმე, ხოლო არავის ახსოვს, რომ „სამთელ-სამკვდროს" აღების შემდეგ კიდევ რამე მომხდარიყოს შერიგებულთა შორის, რადგან ხელი აქვს შეკრული."[2]

ალ. ოჩიაურის ამ მონაცემების მიხედვით კარგად ჩანს, რომ „სიცოცხლით თავის გათავებისათვის" „სამთელსამკვდროს" გადახდის უფლება დამნაშავე მხარეს დაზარალებული მხარისაგან უნდა მიეღო შუაკაცების თხოვნის საფუძველზე. დაზარალებულთა თანხმობის მიღება შედარებით ადვილი იყო მაშინ, როდესაც დაჭრა იშობრად

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, რვეული №1, 7-8.

[2] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/1, მოსისხლეობა ხევსურეთში, 12.

(შემთხვევით) მოხდებოდა, დამჭრელსა და დაჭრილს შორის ადრე მტრობა, კონფლიქტი არ ყოფილა და მათ ერთმანეთის მიმართ „ინტერესი არაფერი ჰქონდა“. შესაძლებელია „სამთელსამკვდროს“ გადახდა დაჟინებით უშულოდ დაჭრილსაც მოეთხოვა (თუ ამის უნარი ექნებოდა), იმ მოტივით, რომ დაჭრა შემთხვევით მოხდა და მას არ სურდა მისი გარადაცვალების გამო სისხლის ღვრა გაგრძელებულიყო. თანხმობის მიღების შემთხვევაში შუაკაცებს „სამთელსამკვდრო“ – 30 ძროხის დრამა დაჭრილის გარდაცვალებამდე, „სულის ამოსვლამდე“ უნდა მიეტანათ, დაგვიანების შემთხვევაში „თავი დაედებოდათ“ და მკვლელობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა სრულად დაეკისრებოდათ. „სამთელსამკვდროს“ დროულად გადახდის შემთხვევაში კი, თუ დაჭრილი გარდაიცვლებოდა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დამნაშავე მხარეს ხევსურეთში მკვლელობისათვის გათვალისწინებული არავითარი პასუხისმგებლობა აღარ დაეკისრებოდა, კერძოდ, თავსისხლი იკარგებოდა, დამნაშავე მხარე „თავს არ დაიდებდა“, არც „რიგს უყენებდა“, არც გაიხიზნებოდა, დაზარალებული მხარე დამნაშავე მხარეს ვერ გადაემტერებოდა. დამნაშავე მხარის წარმომადგენლები მხოლოდ გასვენებაში და მიცვალებულის სხვა სუფრებზე ვერ მივიდოდნენ და დაზარალებული მხარის წარმომადგენლებს აღელვებისას თუ სიმთვრალისას მოერიდებოდნენ, რომ შუღლი არ ატეხილიყო. დაჭრილის გადარჩენის შემთხვევაში, კი „სამთელსამკვდროს“ გადამხდელი უკან ვეღარაფერს მიიღებდა, მიუხედავად მის მიერ მიყენებული ჭრილობისათვის გათვალისწინებული საზღურის ოდენობისა.

ალ. ოჩიაურის ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს „სიცოცხლით თავის გათავების“ ერთ კონკრეტულ ფაქტს: „მე მოვესწარი სიცოცხლით თავის გათავებას. არხოტში ერთ მონადირეს ადუა გაბურს ჯიხვებისათვის სროლაში თოფი მოუხვდა (ე. ი. ტყვია მოხვდა შემთხვევით) თავის გვერდზე მყოფ ამხანაგს გიგიტა ცისკარაულს. მუხლის ძვალი ტყვიამ დაამტვრია. იყვნენ ძალიან მაღალ მთაზე „შავწყალს“ ქისტების სამძღვარზე. ზედაც დაღამდა და დარჩნენ უცეცხლოდ, ზამთარი იყო, ქრისტეშობისთვე. ადუას რაც თბილი ტყავი ეცვა, დაჭრილს დაახურა და თვითონ ფეხზე მდგარმა გაათია მთელი ღამე. დილით წავიდა ქისტების სოფელ ნეთხაში და ქისტების დახმარებით საკაცით ჩაიყვანეს იმათ სოფელში. მერე წამოვიდა არხოტში, შეატყობინა და ხალხმა

აქაც საკაცით მოიყვანა. გადაჭარბებული სიცივეების გამო სისხლიანი ფეხი დაზრა და ძალიან დაუსივდა და დაუჩირქდა. კვდებოდა გიგიტა და თვითონ უთხრა თავის ბიძაშვილებს: ადუას იშობარი მოუვიდა და ჩემის გულისთვის ბევრი იწვალა, მე რო მოვკვდები მაგის თავს ნუ დამდებთ, თორემ სამარით გადმოვარდები, სიცოცხლითვე გაარჩიეთ საქმეო. ბიძაშვილები უარზე იყვნენ, მაგრამ კაცშუაკაცმა ისინიც დაითანხმა, მოუტანეს და ჩააბარეს ოცდაათი ძროხის დრამა. ეს კაცი ლოგინში ორ წელიწადს იწვა, მაგრამ ბოლოს მაინც გამორჩა. დრამა მას დარჩა.....“[1] როგორც ვხედავთ, მიუხედავად „იშობრად“ ჩადენილი მკვლელობისა, და დაჭრილის მოთხოვნისა, შუაკაცებს მაინც გაუჭირდათ „სამთელ-სამკვდროზე“ დაზარალებულების დათანხმება. როგორც ჩანს, ამის მიღწევა საერთოდ ადვილი არ იყო,[2] ხოლო დაჭრილის გადარჩე-

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, რვეული №1, 7-8.

[2] ეს გარემოება ალ. ყამარაულთანაც ჩანს. მისი განმარტებით, ხევსურთა მხრიდან ასეთი დათმობა (ანუ „სამთელსამკვდროს“ მიღებაზე თანხმობა) ძალზედ იშვიათად ხდებოდა (ალ. ყამარაული, ხევსურეთი, თბ., 1932, 74). ალ. ოჩიაურის მიერ მოტანილი ერთ-ერთი კონკრეტული ცნობიდან ჩანს, თუ რატომ იყო რთული დაზარალებული მხარის დათანხმება „სიცოცხლით თავის გათავებაზე“. მოვიყვანთ ამ შემთხვევას: „გიგიტა სასიკვდილოთ იყო განწირული. მისი სიცოცხლის იმედი აღარავის ქონდა. ადუას და იმის ძმა-ბიძაშვილებს ეშინოდა თავ-სისხლისა, ამიტომ შეუდგნენ „სამთელ-სამკვდროს“ მიცემას. თუმცა ეს საქმე ადვილი არ იყო. მეორე იმიტომ, რომ სამთელ-სამკვდროს აღებას გიგიტა და მისი ბიძაშვილები ადვილად არ გაბედავდნენ. ცოტა არ იყოს სასახელო ამბად არ ითვლებოდა დრამის აღება, ერთი იმიტომ, რომ მამკლავის მოკვლის თავი არა აქვსო, იტყოდა ხალხი, მეორე, დრამის აღებას დაეშურაო, მესამე კიდევ – გიგიტა რომ მამაკვდარიყო, მამკლავი თავისუფალი რჩებოდა და შურს ვეღარ იძიებდნენ, ჯავრს ვეღარ ამოიყრიდნენ. ამიტომ შეარჩიეს არხოტში თაოსანი ხალხი შუაკაცებად და თხოვეს დახმარება, რაც არ უნდა დაუჯდეს მოახერხონ და როგორმე ააღებინონ „სამთელ-სამკვდრო“. შუაკაცები იყვნენ ისეთი ხალხი, ვის სიტყვასაც ხალხში გავლენა ჰქონდა და მრავალი მტრები შეურიგებია. .....მისცეს ერთი საკლავი, სასმელი და .....შუაკაცები მიუგზავნეს გიგიტას და იმის ბიძაშვილებს (გიგიტას ძმა არ ჰყავდა). გიგიტა თვითონ ძალიან მწუხარე ავადმყოფი იყო და ბიძაშვილებში შუაკაცებს არ გაუგონეს, უარი სთქვეს „სამთელ-სამკვდროს“ აღებაზე. კარგა ხნის შემდეგ ავადმყოფმა ცოტა იმჯობინა და შუაკაცები განმეორებით მიუვიდნენ. ბევრის ხვეწნის შემდეგ დაითანხმეს დრამის აღებაზე. ჯერ არხოტის ჯვარში საკლავი დაკლეს და მერე წავიდნენ ჭიმღაში დრამის გადასაფასად“ (ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/2, მოსისხლეობა ხევ-

ნის გამო გადახდილი 30 ძროხის დრამა დაზარალებულ მხარეს შერჩა.

„სიცოცხლით თავის გათავებისას“ „სამთელსამკვდროს“ გადახდა XX საუკუნის დასასრულის მასალებშიც გვხვდება. მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორის ცნობით: „სამთელმკვდრო 30 ძროხაა. მას მაშინ უხდიან დაზარალებულს, როცა დაჭრილი საეჭვოა, რომ გადარჩება, დამჭრელი წინასწარ უხდის მას სამთელმკვდროს და თუ დაჭრილი გარდაიცვლება, რახან დრამა უკვე მიღებული აქვს, ვერაფერს მოსთხოვენ, ვერც რიგის ყენებას და ვერც სხვა რამეს“.[1] როგორც ჩანს, „სამთელსამკვდროს“ გადახდა „სიცოცხლით თავის გათავებისას“ ხევსურეთში XX საუკუნის დასასრულსაც შემორჩა და მისი ოდენობაც და სამართლებრივი შედეგიც იმავე დარჩა.

ამრიგად, შეიძლება ვთქვათ, რომ საზღაურს, რომელიც ხევსურეთში „სიცოცხლით თავის გათავებისას“ გამოიყენებოდა, „სამთელსამკვდრო“ ერქვა და მოცემულ შემთხვევაში დაჭრილის გარდაცვალებისას თავისისხლის გადახდის, რიგის ყენების, ოჯახიდან გახიზვნის, ანუ მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის თავიდან არიდების ერთადერთი ლეგალური საშუალება იყო ხევსურული რჯულით.

ხევსურეთში დაფიქსირებული მასალებით, „სამთელსამკვდროს“ გადახდა მხოლოდ ე. წ. „სიცოცხლით თავის გათავებასთან“ დაკავშირებული არ იყო. ეს კარგად ჩანს XX საუკუნის 80-იანი წლების მასალებიდან (მხედველობაშია მ. კეკელიასა და მისი დაფუძნებული „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის“ თანამშრომელთა მიერ ხევსურეთში 1977 და 1988 წლებში დაფიქსირებული მასალები), რომელთა მიხედვითაც განსახილველი სახდელი

სურეთში, 13-14). ამ მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ დაზარალებულთა დათანხმება „სოცოცხლით თავის გათავებაზე“ დაჭრილის გარდაცვალების შემთხვევაში, ფაქტობრივად, შურისძიებისაგან თავის არიდების ტოლფასი იქნებოდა, რაც ხევსურეთში სამარცხვინოდ ითვლებოდა. დაზარალებულის დათანხმება ასეთ ვითარებაში, ცხადია, საკმაოდ რთული იყო. შეიძლება ითქვას, რომ „სიცოცხლით თავის გათავებაზე“ დაზარალებული მხარის დათანხმება ისევე რთული იყო და იმავე მიზეზებით, რაც მკვლელობის შემთხვევაში დაზარალებული მხარის დათანხმება „რიგის ყენებაზე“. არ არის გასაკვირი, „რიგის ყენებაზე“ დათანხმების მსგავსად, „სამთელსამკვდროზე“ დათანხმებაც შედარებით ადვილდებოდა შემთხვევით ჩადენილი დანაშაულისას.

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 76.

„სამთელმკვდროდ“ მოიხსენიება. მისი გადახდა ფიქსირდება მძიმე, სასიკვდილო ჭრილობის მიყენებისას, როდესაც პიროვნება გადარჩებოდა.

ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით, „სამთელმკვდროს“ გადახდა ხდებოდა მაშინ, როდესაც „კაცი ისეთი მძიმე დაჭრილი იყო, რომ სანთელს დააჩვევდნენ (ე. ი. ხელში მისცემდნენ სანთელს, როგორც მკვდარს) და მაინც გამობრუნდებოდა.“[1] მისთვის დამჭრელს „სამთელმკვდროს“ სახით 30 ძროხა უნდა გადაეხადა.[2] მეორე ინფორმატორიც ადასტურებს იმავეს. მისი თქმით, „სამთელმკვდრო“ 30 ძროხაა და როცა სასიკვდილოდ დაჭრილი ვიღაცას და გადარჩებოდა, მაშინ იხდიდი.[3] ზოგიერთი სხვა ინფორმატორიც „სამთელმკვდროს“ ისეთ მძიმე ჭრილობას უკავშირებს, როდესაც დაჭრილის გადარჩენა საეჭვოა.[4] როგორც ვხედავთ, აღნიშნული მონაცემებით, „სამთელმკვდრო“ მძიმე ჭრილობისათვის (რომელიც სიკვდილის საფრთხეს უქმნის დაჭრილს) დაწესებული გადასახადის აღმნიშვნელია და როდესაც მძიმედ დაჭრილი გადარჩებოდა, მაშინ მოხდებოდა მისი გადახდა. ასე რომ, არ იყო აუცილებელი „სამთელმკვდრო“ მაინცდამაინც „სიცოცხლით თავის გათავებისათვის“ ყოფილიყო გადახდილი.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, „სამთელსამკვდროს“ გადახდა მკვლელობის მცდელობის შემთხვევაშიც ფიქსირდება. ამ საკითხზე ჩვენ დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტის განხილვისას ვისაუბრეთ და აქ აღარ შევეხებით.

ბოლოს დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ „სამთელსამკვდრო“, იმავე „სამთელმკვდროს“ გადახდა ხევსურეთში სხვადასხვაგვარ შემთხვევებში გამოიყენებოდა: 1. „სიცოცხლით თავის გათავებისას“; 2. მძიმე, სიცოცხლისათვის საშიში ჭრილობის მიყენებისას, რომლის მიუხედავად დაჭრილი გადარჩებოდა; 3. მკვლელობის მცდელობისას. ამ განსხვავებულ გარემოებებს აერთიანებს ის, რომ „სამთელსამკვდროს“ ყველა შემთხვევაში იღებდა სიცოც-

---

[1] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 81-82.

[2] იქვე.

[3] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული № 4, 1977, 26.

[4] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 72; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 87.

ხლისათვის საშიშ მდგომარეობაში აღმოჩენილი დაზარალებული, რომელიც სიკვდილს გადაურჩა, ან სიკვდილის საფრთხის წინაშე იდგა. სახელის სახელწოდებაც, ჩვენი აზრით, გვიჩვენებს, რომ იგი დაზარალებულის („სამთელსამკვდროს“ ამღების) სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ყოფნას უკავშირდება.

4.11. **სასუდარმკვდრო**. აღნიშნული საზღაური ხევსურეთში გვხვდება მხოლოდ მკვლელობასთან დაკავშირებით. „სასუდარმკვდროს“ დაზარალებული მხარის სასარგებლოდ გადაიხდიდა დამნაშავე მხარე, როგორც წესი, მიწის სახით. მოკლულის ნათესავთა და მკვლელის შერიგებისას, მკვლელს უნდა მიეცა დაზარალებულთათვის 5 წერის მამული. ეს უნდა ყოფილიყო საუკეთესო, ე. წ. გულის მამული (ანუ მიწის ნაკვეთი მამულის შუაგულში), რომელსაც დაზარალებული მხარე მიუთითებდა. გადაცემული მამული გადადიოდა დაზარალებული მხარის საკუთრებაში.[1] აღნიშნული მამული არის სიმბოლო იმისა, რომ მკვლელობისათვის გადახდილი „სისხლი“ მამულის სახით, სამუდამოდ რჩება გვარში, მოკლული ნათესავის და მისი მკვლელობისათვის გადახდილი „სისხლის“ ხსოვნის ნიშნად.[2]

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ მიწის გადაცემა „სასუდარმკვდროდ“ ხდებოდა მაშინ, როდესაც მკვლელიც და მოკლულიც ერთი სოფლიდან იყვნენ, ხოლო თუ სხვადასხვა სოფლიდან იქნებოდნენ, არა მიწა, არამედ 5 ძროხის დრამა უნდა გადაეხადა მკვლელს მოკლული მხარისათვის.[3]

---

[1] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 22-23; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 76; ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/4, მოსისხლეობა ხევსურეთში, 48; იქვე, 7/5, 52. მისივე, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, რეული №3, 28. ს. მაკალათია, ხევსურეთი, 86. ს. მაკალათია და გ. თედორაძე სასუდარმკვდროს იმავე მნიშვნელობას ადასტურებენ, მხოლოდ სასუდარმკვდროდ გადასახდელი მიწის მოცულობა მათ მიხედვით არის ერთი ღიური (ს. მაკალათია, ხევსურეთი, 86; გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ., 1930, 116). აქ მონაცემებში არსებით ცდომილებასთან არ გვაქვს საქმე. 5 წერის მამული დაახლოებით ერთი ღიური მიწაა. უბრალოდ, ხევსური ინფორმატორები და ალ. ოჩიაური უფრი დაზუსტებულ მონაცემებს გვაწვდიან.

[2] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, რეული №3, 28.

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, გვ. 76; ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/4, მოსისხლეობა ხევსურეთში, 48.

ალ. ოჩიაურთან და 1988 წელს „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის“ თანამშრომლების მიერ დაფიქსირებული ამ ცნობების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „სასუდარმკვდროს“ სახით 5 წერის მამულის გადაცემა ხდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ მკვლელი და მოკლული ერთი სოფლიდან იყვნენ. თუ სხვადასხვა სოფლიდან იყვნენ, მაშინ მკვლელი მოკლულის მხარეს მამულის სანაცვლოდ უხდიდა იმავე, ანუ 5 ძროხის ოდენობის დრამას.

საფიქრებელია, რომ „სასუდარმკვდრო“ იმ პერიოდის გამოძახილია, როდესაც მოკლულის მხარეს გახიზნული მკვლელის მამული რჩებოდა კომპენსაციად.

4.12. **საუკენმამკვდრო**. ქონებრივი საზღაურის ეს სახე ასევე ხევსურეთში გვხვდება. მას იხდის საპასუხო მკვლელობის ჩამდენი, სისხლის ამღები 5 ძროხის დრამის ოდენობით. ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი განმარტავს: „თუ მამკლავი მოკლეს „თავი თავში წავა“ და „საუკენმამკვდრო“ გავა, ე. ი. ბოლოს ვინც მოკლავს, ვინც სისხლს აიღებს, იმან უნდა გადაიხადოს 5 ძროხა ხელითი.“[1] თან სისხლის ამღებმა ასეთ შემთხვევაში 5 ძროხა საუკენმამკვდროს გადახდის გარდა უნდა დააბრუნოს მის მიერ მიღებული მთელი დრამა, რომელიც შერიგების პროცესში გადაუხადა მას მკვლელმა და მისმა ნათესაობამ,[2] გარდა ჯურუმისა.[3] მკვლელის მოკვლისას „საუკენმამკვდროს“ 5 ძროხის ოდენობით გადახდას, მიღებული დრამის უკან დაბრუნებასთან ერთად, ადასტურებენ გ. თედორაძე, ს. მაკალათია, ალ. ოჩიაური.[4]

ალ. ოჩიაურის განმარტებით, ტერმინში „საუკენმამკვდრო“ „ბო-

[1] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 5.

2 ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 31; მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1977, 58-59.

[3] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1977, 5; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 69.

[4] ს. მაკალათია, ხევსურეთი, 87; გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ., 1930, 117; ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/7, მოსისხლეობა ხევსურეთში, 75, იქვე, 7/10, 118, იქვე, 7/11, 123, 129. ალ. ოჩიაური 5 ძროხა „საუკენმამკვდროს“ გადახდის თაობაზე კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით საუბრობს.

ლოს მომკვდრის ასაღები“ იგულისხმება, რაკი მას საპასუხო მკვლელობის მსხვერპლის ნათესაობა იღებს.[1]

აღსანიშნავია, რომ „საუკენმამკვდროს“ გადახდა საპასუხო მკვლელობის ჩამდენის მიერ ნებისმიერ შემთხვევაში არ ხდებოდა. მასალებიდან ჩანს, რომ „საუკენმამკვდროს“ გადახდის ვალდებულება შურისძიების ჩამდენს დაეკისრებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც პირველი მკვლელობის ჩამდენს და მის ნათესაობას არსებითი ნაბიჯები ექნებოდა გადადგმული მოკლულის ოჯახთან და ნათესაობასთან შესარიგებლად, გადახდილი ექნებოდა მკვლელობისას შესარიგებლად გათვალისწინებული გადასახადები.[2] ზოგიერთი ინფორმატორის განმარტებით, „საუკენმამკვდრო“ სისხლის ამღებს გადახდებოდა, თუ საპასუხო მკვლელობა „თავის გათავების“, ან პირშესამყრელოების[3] (ძმის, შინშების და სხვა) შემდეგ მოხდებოდა. ხევსურეთში მკვლელისა და მოკლულის მხარის შერიგების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია. ძალზედ რთულია დაზარალებული მხარის დაყოლიება შერიგების პროცესის დაწყებაზე, ამდენად, მკვლელობისათვის გათვალისწინებული სხვადასხვაგვარი გადასახადების გადახდის პროცესი შესაძლებელია დიდხანს გაგრძელდეს, პირშესამყრელოები და მით უმეტეს „თავის გათავება“ კი მკვლელობიდან საკმაო პერიოდის გასვლის შემდეგ მოხდეს. ამ მონაცემებიდან გამომდინარე, შესაძლოა დავასკვნათ, რომ სისხლის ამღებს 5 ძროხა „საუკენმამკვდროს“ გადახდა დაეკისრებოდა მაშინ, როდესაც პირველი მკვლელობის ჩამდენს (მის ნათესაობას) მოკლულის მხარისათვის (ოჯახის, ნათესაობისათვის) გადახდილი ექნებოდა ხევსურული „რჯულით“ დადგენილი გადასახადები, ჩატარდებოდა პირშესამყრელოების ცერემონიები. ყოველივე ამას დამნაშავე მხარის მხრიდან საკმაო ძალისხმევა და დრო სჭირდებოდა, ანუ „საუკენმამკვდროს“ საპასუხო მკვლელობის ჩამდენი გადაიხდიდა მაშინ, თუ პირველი მკვლელობის ჩამდენი მხარე შერიგებისათვის დიდ ძალისხმევასა და ხარჯს გასწევდა.

„საუკენმამკვდროს“, როგორც სახდელის არსებობა ხევსურეთში, როგორც ჩანს, განპირობებულია სწორედ იმით, რომ პირველი

---

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, რვეული №3, 39.

[2] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №5, 5; ს. მაკალათია, იქვე, 87.

[3] მოკლულის ძმებთან, თუ შინშებთან (ბიძაშვილებთან) მოკლულის ძმების თუ შინშების შერიგების ცერემონიალი.

მკვლელობის ჩამდენი თუ გადადგამს არსებით ნაბიჯებს შერიგებისაკენ და მაინც გახდება შურისძიების მსხვერპლი, ამ ძალისხმევის საკონპენსაციოდ იღებს „საუკენმამკვდროს“ 5 ძროხის ოდენობით. ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი პირდაპირ მიუთითებს ამას. მისი განმარტებით, სისხლის ამღებმა „საუკენმამკვდრო“ „..... იმიტომ უნდა გადაიხადოს, რომ მამკლავმა ბევრი იწვალა შერიგებაზე.[1] მართლაც, პირველი მკვლელობის ჩამდენი განიცდის დიდ წვალებას, კერძოდ, შესაძლებელია მას, თავის ახლო ნათესავებთან ერთად მოუწიოს სახლიდან გახიზვნა, სხვაგან გადასახლება, ზრუნვა პირშესამყრელოების მოწყობაზე და სხვა. თუ დამნაშავე მხარის დიდი წვალებისა და ხარჯის მიუხედავად, სისხლის აღება მაინც განხორციელდა, მოხდება „თავის თავში გაბრა“, ანუ გაქვითვა. ცხადია, შურისმაძიებელმა მხარემ პირველი მკვლელობის ჩამდენს მისგან მიღებული დრამა უნდა დაუბრუნოს, თუმცა იმ წვალებას, რომელიც პირველი მკვლელობის ჩამდენმა მხარემ გაისწია (შესაძლოა არაერთი წლის განმავლობაში), საპასუხო მკვლელობის ჩამდენი არ განიცდის. არ არის გამორიცხული, რომ, მართლაც ამის სანაცვლოდ ჩამოყალიბდა ხევსურეთში სახელი, რომელსაც დამატებით იხდის საპასუხო მკვლელობის ჩამდენი „საუკენმამკვდროს“ სახით.

„საუკენმამკვდროს“ არსებობის კიდევ ერთ საფუძველზე საუბრობს ს. მაკალათია. მისი განმარტებით, სისხლის ამღები ზედმეტად „საუკენმამკვდროს“ იხდის იმიტომ, რომ პირველი მკვლელობა მოხდა უგონოდ (შემთხვევით), ხოლო საპასუხო მკვლელობა გონებით. მაგალითად, თოთიამ ჩხუბში უგონოდ მოკლა ნადირას ძმა, ნადირამ კი გონებით შური იძია და მოკლა თოთიას ძმა.[2] იმავე მოსაზრებას ვხვდებით გ. თევდორაძესთანაც.[3]

ეს მოსაზრება საეჭვოდ გვეჩვენება, თუნდაც იმიტომ, რომ ჩხუბში მკვლელობა არ შეიძლება შემთხვევით მკვლელობად ჩაითვალოს, რასაც ს. მაკალათიასთან ვხვდებით. ხევსურეთშიც ჩხუბში მკვლელობა „გიზმაობით“, ანუ განზრახ მკვლელობად აღიქმება, ოღონდ, განსხვავებით შურისძიებით მკვლელობისაგან, ის არ არის წინასწარი განზრახვით ჩადენილი მკვლელობა. თანაც სისხლის

[1] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 5.

[2] ს. მაკალათია, იქვე.

[3] გ. თევდორაძე, იქვე.

ალება ხევსურეთში წესია, ჩვეულებაა და მხოლოდ იმიტომ, რომ პირველი მკვლელობის ჩამდენმა შესაძლოა წინასწარი განზრახვის გარეშე (თუმცა განზრახ) მოკლას დამნაშავე, ხოლო შურისძიებით მკვლელობა მხოლოდ წინასწარი განზრახვით ხდება, საკმარისი არგუმენტი არ არის „საუკენმამკვდროს“ არსებობის ასახსნელად. პირველი მკვლელობა სრულიად შესაძლებელია მოხდეს წინასწარი განზრახვით და ამას რატომ გამორიცხავს ს. მაკალათია, გაუგებარია. ასეთ შემთხვევაში ს. მაკალათიას არგუმენტი სავსებით ბათილდება. თანაც იგი არაფერს ამბობს იმაზე, რომ „საუკენმამკვდროს“ გადახდა შურისძიებით მკვლელობის ყველა შემთხვევაში არ ხდებოდა და დაკავშირებული იყო პირველი მკვლელობის ჩამდენის მხრიდან შერიგებისათვის ძალისხმევისა და ხარჯების გაწევასთან. ს. მაკალათიას არგუმენტი ამ ფაქტორს არ ითვალისწინებს. თუ „საუკენმამკვდროს“ არსებობა დაკავშირებული იყო იმასთან, რომ შურისძიებით მკვლელობა წინასწარი განზრახვით ხდებოდა, ხოლო პირველი მის გარეშე, მაშინ რატომ არ ხორციელდებოდა „საუკენმამკვდროს“ გადახდა მაშინ, როდესაც პირველი მკვლელობის ჩამდენს შერიგებისათვის გარკვეული ძალისხმევა და ხარჯები არ ჰქონდა გაწეული? ამ შემთხვევაში ს. მაკალათიას მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხომ არ იცვლებოდა სიტუაცია პირველი და საპასუხო მკვლელობის წინასწარი განზრახვით, ან მის გარეშე ჩადენასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ჩვენი მოსაზრებით, ს. მაკალათიას არგუმენტი „საუკენმამკვდროს“ არსებობასთან დაკავშირებით არ არის დამაჯერებელი (ან თუ მის არსებობას რაიმე საფუძველი აქვს არ არის ძირითადი) და „საუკენმამკვდროს“ შემოღების უფრო იმ არგუმენტისკენ ვიხრებით, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ და დაკავშირებულია პირველი მკვლელობის ჩამდენის მიერ შერიგებისათვის გაწეული ძალისხმევის გარკვეულ კონპენსაციასთან — მან წლების განმავლობაში იზრუნა შერიგებისათვის, მოკლულის მხარემ მისგან ამისათვის საჭირო დრამა (ან მისი ნაწილი) მიიღო, მაგრამ შემდეგ მაინც ჩაიდინა საპასუხო მკვლელობა. სრულიად შესაძლებელია, რომ ასეთი შემთხვევების არსებობის გამო, ხევსურეთში საჭიროდ მიიჩნიეს შურისძიებით მკვლელობისას, პირველი მკვლელობის ჩამდენის სასარგებლოდ, მის მიერ გადახდილი დრამის უკან მიღების გარდა, დამატებით „საუკენმამკვდროს“ შემოღება აღნიშნული მიზეზით.

ალ. ოჩიაურის მასალების მიხედვით, სრულიად შესაძლებელია,

სისხლის ამღებს ზოგიერთ სხვა შემთხვევაშიც არ დაჰკისრებოდა „საუკენმამკვდროს“ გაღება. მაგალითად, „საუკენმამკვდროს“ გადახდა ხევსურეთში დამოკიდებული იყო პირველად ჩადენილი მკვლელობის მსხვერპლის ოჯახურ მდგომარეობაზე, კერძოდ, ცოლშვილიანია თუ არა. თუ ცოლშვილიანი არ იყო, მისი მკვლელობის გამო სისხლის ამღები „საუკენმამკვდროს“ არ იხდიდა, მაშინ როდესაც, ცოლშვილიანი რომ ყოფილიყო, „საუკენმამკვდროს“ გადაიხდიდა.[1] ალ. ოჩიაური ამას იმით ხსნის, რომ „უიმედო უცოლშვილო კაცის სიკვდილი მწვავედ დგას, რადგან ის სულ ისპობა უშთამომავლოდ და მისი მკვლელის მოკვლა სამართლიანია. თუ პირველად მოკლულს შვილი, შთამომავლობა დარჩა და სულ არ ისპობა, მაშინ შედარებით მსუბუქად ითვლებოდა ასეთი სიკვდილი და მისი მკვლელის მოკვლისათვის უნდა გაილოს ხუთი ძროხა საუკენმამკვდრო.“[2] ალ. ოჩიაური ერთ-ერთი კონკრეტული შემთხვევის აღწერისას ხაზგასმით მიუთითებს, რომ სისხლის ამღებ მხარეს დაეკისრა „საუკენმამკვდრო“, რადგანაც პირველი მსხვერპლი (სახელად კვირიკა) ცოლშვილიანი იყო.[3] ხევსურეთში საერთოდ მტკივნეულად აღიქმებოდა მამაკაცის უშვილობა და ამ გარემოებამ „საუკენმამკვდროს“ გადახდის ვალდებულებაზეც მოახდინა გვალენა.

„საუკენმამკვდროს“ გადახდა არ ხდებოდა, თუ ადგილი ექნებოდა ურთიერთმკვლელობას. ალ. ოჩიაური ერთ-ერთ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „საუკენმამკვდრო აღარავის დაედო, რადგან ერთი მეორისაგან იყვნენ მოკლულნი.“[4] ასევე, პირველი მკვლელობის ჩამდენის ცისხეში გარდაცვალების შემთხვევაშიც არ ეკისრებოდა „საუკენმამკვდროს“ გადახდა მოკლულის მხარეს, თუ მკვლელის დაპატიმრება დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე არ მოხდა.[5] თუ მკვლელს დაზარალებულები უჩივლებდნენ, მის ცისხეში

---

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/11, მოსისხლეობა ხევსურეთში, 129.

[2] იქვე.

[3] იქვე, 130.

[4] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/14, მოსისხლეობა ხევსურეთში, 168.

[5] ალ. ოჩიაურს მოჰყავს კონკრეტული შემთხვევა: „პეტრემ მოკლა სუბელჯა. ამაზე პეტრე დაიჭირეს და იგი ცისხეში მოკვდა. თავი თავში გაიბრა. გაჯალათ უნდა მიეცათ საუკენმამკვდრო, თუ მათ ნაჩივარზე დაეჭირა და მაშინ მომკვდარიყო, მაგრამ გაჯალათ არ უჩივლიათ, ისე დაიჭირეს და ამიტომ საუკენმამკვდრო არ მიუცია. გაჯალათ რაც რიგი იყენეს, ის კი რჯულმა ისევ დაუბრუნა მარაისძეთ (ალ. ოჩიაური,

ჩასმას ხელს შეუწყობდნენ და ამას მკვლელის ციხეში გარდაცვალება მოჰყვებოდა, მაშინ ჩაითვლებოდა, რომ დაზარალებულმა მხარემ წვლილი შეიტანა მის გარდაცვალებაში, და ფაქტობრივად მისი ასეთი ქმედება მკვლელის ციხეში გარდაცვალების შედეგით, ხევსურეთში საპასუხო მკვლელობის ტოლფასად ჩაითვლებოდა და იმავე სამართლებრივი შედეგები მოჰყვებოდა, რაც მოკლულის ნათესავთა მხრიდან სისხლის აღებას. ამიტომ საპასუხო მკვლელობის ჩამდენი დრამასაც დააბრუნებდა (რომელიც პირველი მკვლელობის ჩამდენისაგან ჰქონდა მიღებული) და „საუკენმამკვდროსაც“ გადაიხდიდა.

საპასუხო მკვლელობის ჩამდენი შესაძლოა „საუკენმამკვდროს“ გადახდისაგან გათავისუფლებულიყო, ცალკეულ შემთხვევაში, კონკრეტული გარემოების გათვალისწინების გამო. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ერთი კონკრეტული შემთხვევა, რომელიც ალ. ოჩიაურის მასალებში გვხვდება. ერთ-ერთ საპასუხო მკვლელობას შესაბამისი სამართლებრივი შედეგები მოჰყვა და „საუკენმამკვდროც“ უნდა გადაეხადა სისხლის ამღებ მხარეს, თუმცა „რჯულმა“ პირველი მკვლელობის ჩამდენ მხარეს ამ სახდელის მიღების უფლება ჩამოართვა. ამის მიზეზი ის გახდა, რომ „რჯულის კაცებმა“ პირველი მკვლელობა (ვინმე ბათირას მიერ ბერდიშვილისა) მიიჩნიეს უკიდურესად უხეო შინაარსის დანაშაულად და ამიტომ აღარ დააკისრეს „საუკენმამკვდრო“ საპასუხო მკვლელობის ჩამდენს. კერძოდ, თავის დროზე ბედრიშვილმა დიდი სიკეთე გაუწია ბათირას, დაეხმარა ტყვის გამოსყიდვისათვის სახსარის შეგროვებაში (ზოგი აჩუქა, ზოგიც ასესხა). რამდენიმე წლის შემდეგ კი უკან მოსთხოვა. სტუმრად მისული ბედრიშვილი ბათირამ მოკლა. შემდეგ საპასუხოდ მოკლეს ბათირაც, თუმცა როგორც აღვნიშნეთ, კუთვნილი „საუკენმამკვდრო“ ბათირას ნათესავებს „რჯულმა“ „დაუკარგა“.[1] როგორც ჩანს, კონკრეტულ შემთხვევაში, „რჯულის კაცებს“ შეეძლოთ პირველი მკვლელობის მოტივაციის გათვალისწინებით, საპასუხო მკვლელობის ჩამდენი გაეთავისუფლებინათ „საუკენმამკვდროს“ გადახდისაგან, რისი დამადასტურებელიც ალ. ოჩიაურის მიერ მოყვანილი ეს მკვლელობაა.

4.13. სალოგინე. „სალოგინეს“ ხევსურეთში ვხვდებით. ხევსური

პირადი არქივი, 7/14, მოსისხლეობა ხევსურეთში, 25).

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/9, მოსისხლეობა ხევსურეთში, 109.

ინფორმატორების განმარტებით, როდესაც დაჭრილი ლოგინში იწვა, მეულლე უვლიდა და არ შეეძლო საპირფარეშოში (ფეხის ადგილას) გასვლა, მაშინ დამჭრელი იხდიდა „სალოგინეს“ 5 ძროხა დრამის ოდენობით.[1]

4.14. სასტუმრო. მასაც ხევსურეთში ვხვდებით. ალ. ოჩიაურს მოჰყავს კონკრეტული შემთხვევა, როდესაც სოფელ ამღაში (არხოტი) მცხოვრებ მარაიზძე წიკლაურს სტუმრად ეწვია მეგობარი ქისტი სახელად ანძორა. ეს უკანასკნელი დაპატიჟეს ქორწილში, მეზობელ სოფელ ახიელში. აქ ქისტი სტუმარი მოკლეს. მკვლელი გაიქცა, ხოლო მარაიზძე მოსაკლავად დასდევდა მას. მკვლელი დროთა განმავლობაში შეურიგდა ქისტებს, გადაიხადა თავისისხლი, ხოლო მარაიზძეს გადაუხადა ე. წ. „სასტუმრო“ — 5 ძროხა.[2] ალ. ოჩიაურის ამ მონაცემის მიხედვით, „სასტუმროს“ გადახდას 5 ძროხის ოდენობით მაშინ ჰქონდა ადგილი, როდესაც სტუმრად მყოფ პიროვნებას კლავდნენ და საქმე შერიგებით სრულდებოდა. ამ შემთხვევაში თავისისხლის გადახდის გარდა მკვლელს 5 ძროხა „სასტუმრო“ უნდა გადაეხადა მოკლულის მასპინძლისათვის.

4.15. სამწუნობრო, ნამაშვრალი, ნაცვრიერ. „სამწუნობრო“, როგორც ჯარიმის სახეობა გვხვდება ალმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი). საქართველოს ამ კუთხეებში დაფიქსირებული მონაცემებით, „სამწუნობრო“ იყო გადასახადი, რომელსაც ცოლი უხდიდა მის მიერ დაწუნებულ ქმარს ან ქმარი დაწუნებულ ცოლს. ხევსურეთში დაფიქსირებული მასალების მიხედვით, „სამწუნობრო“ საკმაოდ სოლიდური ოდენობის სახდელი იყო, რომელიც დროთა განმავლობაში მცირდებოდა. კერძოდ, როგორც ალ. ოჩიაური მიუთითებს, დაწუნებულ ქმარს ცოლის ოჯახი უხდიდა „სამწუნობროს“ — 16 ძროხას. შემდეგ ეს ოდენობა 8 ძროხამდე შემცირებულა, ალ. ოჩიაურის თანამედროვე პერიოდში კი 5 ძროხამდე დასულა, ისიც თუ მოპასუხე აქტიურად მოითხოვდა ამას და ზოგი არაფერსაც აძლევდა.“[3] ალ. ოჩიაურს კონკრეტული შემთხვევაც მოჰყავს, როდესაც ქმარი მისი დამწუნებელი ცოლისაგან სწორედ 5

[1] მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1977, №2, გვ. 20; ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, გვ. 25.

[2] ალ. ოჩიაური, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980, 132.

[3] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, რვეული №3, 42.

ძროხა „სამწუნობროს“ ითხოვდა.[1] ს. მაკალათიას განმარტებით, ქალის ოჯახს ქმრისათვის „სამწუნობროს“ გარდა, ქორწილის ხარჯიც უნდა აენაზღაურებინა. გადაუხდელობის შემთხვევაში კი მათ შორის მტრობა და შუღლი ჩამოვარდებოდა.[2]

როგორც აღინიშნა, „სამწუნობროს“ ქმარიც უხდიდა უმიზეზოდ გაშვებულ ცოლს. მაგალითად, ალ. ხახანაშვილი აფიქსირებს „სამწუნობროს“ თუშეთში, სადაც ქმარი უშვილობის გამო გაშვებულ ცოლს „სამწუნობროს“ გადაუხდიდა — რამდენიმე ძროხას ან ცხვარს.[3] აქ „სამწუნობროს“ ოდენობა მიახლოებით არის დასახელებული. სავარაუდოდ, იგი ფშავ-ხევსურეთში „სამწუნობროს“ ოდენობის ფარგლებში იქნებოდა. ასევე, სავარაუდოა, რომ თუშეთში აღნიშნულ სახდელს ქმარი არა მარტო ცოლის უშვილობის გამო გაშვებისათვის გადაიხდიდა, არამედ საერთოდ, უმიზეზოდ გაგდებისათვის, რაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებისთვისაც იყო დამახასიათებელი. მაგალითად, ვაჟა-ფშაველა ფშავთან დაკავშირებით წერს: „ქმარი თუ დაიწუნებდა ცოლს, არა უნამუსობით, არამედ რომელისამე სხვა მიზეზის გამო, უნდა მიეცა ცოლისათვის ხუთი ძროხა „სამწუნობრო“.[4] აქ კარგად ჩანს, რომ ქმარი ცოლს „სამწუნობროს“ ყველა იმ შემთხვევაში გადაუხდიდა, თუ მისი გაშვება ცოლის უნამუსო საქციელთან, ღალატთან არ იქნებოდა დაკავშირებული. უშვილობის გამო ცოლის გაშვება არც ხევსურეთში იყო დაშვებული და ამ შემთხვევაშიც ქმარი ვალდებული იყო „სამწუნობრო“ გადაეხადა მისი ოჯახისათვის. ნ. ხიზანაშვილი აღნიშნავს, რომ მხოლოდ უშვილობისთვის ქმარი ცოლს ვერ გაუშვებს და თუ მაინც

---

[1] ალ. ონიაური, პირადი არქივი, 7/5, მოსისხლეობა ხევსურეთში, 54-55.. ალ. ყამარაულის მიხედვით, „სამწუნობრო“ („სამწუნვარი“, როგორც მას ავტორი უწოდებს) 8 ძროხაა (ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ., 1932, 110). ს. მაკალათიას მიხედვით კი, 16 ძროხა (ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 177). ეს განსხვავებანი, როგორც ალ. ონიაურთან გამოჩნდა, ამ გადასახადის სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული ოდენობითაა განპირობებული.

[2] ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 177.

[3] ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, ივერია, 1888, №185.

[4] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964, 74.

გააგდო, „სამწუნობრო“ უნდა გადაეხადა.[1] იმავეს აფიქსირებს ს. მაკალათიაც[2].

ცოლის უმიზეზოდ გაშვებისას ხევსურეთში ქმარს ცოლისთვის „სამწუნობროს“ გარდა „ნამაშვრალიც“ უნდა გადაეხადა.[3] ნ. ხიზანაშვილი მიუთითებს, რომ „ნამაშვრალი“ ჯარიმის მსგავსია, თუმცა იქვე განმარტავს, რომ იგი თავისი ხასიათით ჯარიმისგან განირჩევა.[4] ეს ნ. ხიზანაშვილის მართებული შენიშვნაა, რადგანაც „ნამაშვრალი“ უფრო უმიზეზოდ გაშვებული ცოლის მიერ წლების მანძილზე ოჯახისათვის გაწეული ამაგის, შრომის კონპენსაციად უნდა იყოს აღქმული და არა ჯარიმად. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ მისი ოდენობა დამოკიდებული იყო ცოლქმრული ურთიერთობის ხანგრძლივობაზე, ანუ რაც მეტი ჰქონდა ნაშრომი ქალს ქმრის ოჯახში, მით მეტი ოდენობის „ნამაშვრალი“ უნდა მიეღო მას. ნ. ხიზანაშვილის განმარტებით, ქმარმა „ნამაშვრალის“ სახით ცოლის ოჯახს იმდენი ძროხა უნდა გადაუხადოს, რამდენი წელიც ისინი ერთად ცხოვრობდნენ, პირველი და ბოლო წლის გამოკლებით. მაგალითად, თუ რვა წელი უცხოვრიათ ერთად, „ნამაშვრალის“ ოდენობა 6 ძროხაა.[5] იმავე დასტურდება მ. ბალიაურისა და ნ. მაკალათიას მონაცემებითაც.[6] „ნამაშვრალის“ გადახდა ხდებოდა მაშინაც, როდესაც ქალს „იშობრად“ მოკლავდნენ, ხოლო მისი ქმარი მოკლულს არ უპატრონებდა და ამას მამის სახლი გააკეთებდა, ის „აყენებინებდა რიგს“ მკვლელს. ამ შემთხვევაში ჩაითვლებოდა, რომ ქმარმა მიატოვა ცოლი და ამიტომ მოკლული ცოლის ოჯახი მის ქმრისაგან „ნამაშვრალს“ მოითხოვდა. ნამაშვრალს მიიღებდა აგრეთვე ქალი მაშინაც, როცა ქმარი გარდაიცვლებოდა და მას მშობლების ოჯახში მოუწევდა დაბრუნება.[7]

გამომდინარე იქიდან, რომ „ნამაშვრალი“ არ წარმოადგნდა ჯარიმის თუ ზოგადად სასჯელის საზეს, ამიტომ მისი დეტალური გან-

[1] ნ. ხიზანაშვილი, დასახ. ნაშრ., 44.

[2] ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 178.

[3] ნ. ხიზანაშვილი, იქვე; ს. მაკალათია, იქვე.

[4] ნ. ხიზანაშვილი, იქვე.

[5] ნ. ხიზანაშვილი, დასახ. ნაშრ., 44.

[6] მ. ბალიაური, ნ. მაკალათია, მიცვალებულის კულტი არხოტის თემში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, 1940, 48.

[7] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, რეული №1, 12.

ხილვა მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქართულ ჩვეულებით სამართალში განქორწინების თუ მემკვიდრეობის ინსტიტუტის შესწავლისას.

სვანურ ჩვეულებით სამართალში „სამწუნობროს" მსგავს ჯარიმას წარმოადგენდა „ნაცვრიერი". აქ ერთ-ერთ მძიმე დანაშაულად ითვლებოდა „ცვარობ", ანუ ქმრის მიერ ცოლისა და ცოლის მიერ ქმრის მიტოვება. ამ დანაშაულს მოჰყვებოდა მკვლელობა, რადგან ეს ქმედება უმძიმეს შეურაცხყოფას წარმოადგენდა, ან თუ მედიატორების მეშვეობით გადაწყდებოდა საქმე, მაშინ ჯარიმის გადახდა.[1] ბ. ნიჟარაძის განმარტებით, მოცემული დანაშაულისათვის გათვალისწინებულ ჯარიმას ერქვა „ნაცვრიერ".[2] მისი ოდენობა ნახევარ „წორს" შეადგენდა[3] როგორც ქმრის მიერ ცოლის, ისე ცოლის მიერ ქმრის მიტოვებისას. ალი დავითიანი ცალსახად მიუთითებს, რომ მედიატორები ქმრის დატოვებას ცოლის დატოვების თანაბრად აღიარებდნენ და ამ დანაშაულისათვის გადასახადი ნახევარი წორი იყო.[4]

„ნაცვრიელის" გადახდა მ. კეკელიას მასალებშიც ფიქსირდება. ერთ-ერთი ინფორმატორი მიუთითებს, რომ სვანური წესით, ქალი რომ ქმარს მიატოვებს, ან, პირიქით, ქმარი მიატოვებს ცოლს, მიტოვებისათვის ნაცვრიელი უნდა გადაიხადოს.[5] მ. კეკელიას ინფორმატორები მიუთითებენ, რომ „ნაცვრიელის" გადახდას ადგილი ჰქონდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთი მეუღლის მიერ მეორის მიტოვება უმიზეზოდ ხდებოდა. მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორის თქმით: „თუ უმიზეზოდ დატოვა ქალმა ქმარი, ან, პირიქით, ნაცვრიელი ნახევარი წორის ოდენობით უნდა გარდახდეს დამნაშავეს".[6] ზუსტად იმავეს ადასტურებენ სხვა ინფორმატორ-

---

[1] რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939, 25; ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, ტფ., 1927, 111.

[2] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები, თბ., 1962, 111. მ. კეკელიას მიერ ჩაწერილი მონაცემების მიხედვით (XX საუკუნის 60-70-იანი წლები), ინფორმატორები უწოდებენ „ნაცვრიელ" (მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, №3, 1968, 46, 54, 56, 79; №5, 1968-1969, 11, 23, 85, 89).

[3] რ. ხარაძე, იქვე; ეგ. გაბლიანი, იქვე.

[4] ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, 85-86.

[5] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, რეული №5, 1968-1969, 85.

[6] მ. კეკელია, იქვე, №3, 1968, 53.

ებიც.[1] თუ ქმარი ცოლს ღალატისათვის გააგდებდა, ან განქორწინება მოხდებოდა ორივე მხარის თანხმობით, „ნაცვრიელის“ გადახდას ადგილი არ ექნებოდა.[2] ერთ-ერთი ინფორმატორი მიუთითებს, რომ, თუ ქმარი ცოლს წაუსწრებდა საყვარელთან, ცოლი უხმოდ დატოვებდა ქმრის სახლს და თან ვერაფერს წაიღებდა, მზითვის ჩათვლით. შვილებიც ქმართან რჩებოდნენ.[3] მედიატორები „ნაცვრიერის“ საკითხის გადაწყვეტისას, ცხადია, უკვირდებოდნენ ქმრის მიერ ცოლის გაგდების თუ მიტოვების, ასევე, ცოლის მიერ ქმრის ოჯახის დატოვების მიზეზებს. შესაძლოა მათ გარკვეული ფაქტორებისთვის მიექციათ ყურადღება და შემამსუბუქებელი გარემოებები გაეთვალისწინებინათ. ისინი გადაწყვეტილებას ყოველი კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე იღებდნენ.[4]

ინფორმატორთა განმარტებით, „ნაცვრიელის“ გადახდას ცოლის წართმევის დროსაც ჰქონდა ადგილი.[5] ამ შემთხვევაშიც ცოლის მიერ ქმართან განშორება ქმრის უნებართოდ ხდებოდა და, როგორც ჩანს, ამიტომაც „ნაცვრიერის“ გადახდა იყო საჭირო. ასეთ დროს ამ სახდელს ცოლის წამრთმევი იხდიდა და არა ქალის მამის ოჯახი, რაც ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე, როდესაც ქალი ქმრის უკითხავად მამის სახლში დაბრუნდებოდა.

4.16. საუპატიო, საუპატიურო. „საუპატიო“, „საუპატიურო“ ჯარიმის ნაირსახეობად შეიძლება ჩაითვალოს. როგორც თვით ტერმინი

---

[1] იქვე, 11. №5, 1968-1969, გვ. 23. მაგალითად, ცოლს უბრალოდ აღარ სურს, აღარ შეუძლია ქმართან ცხოვრება და ტოვებს მას, „ნაცვრიერის“ გადახდა უწევს (იქვე, №3, 1968, 46).

[2] იქვე, №3, 1968, 53.

[3] მ. კეკელია, იქვე, №3, 1968, 12; №5, 1968-1969, 85.

[4] მაგალითად, ქმრის მიერ ცოლის გაგდებისას თუ მიტოვებისას ყურადღებას აქცევდნენ ქალის მხრიდან უპატიოსნო საქციელს, ოჯახის წევრებთან მის ცუდ დამოკიდებულებას, მის მიერ ქურდობის ჩადენას (იქვე, №3, 1968, 47). ცოლის ოჯახიდან წასვლისას, ასევე უკვირდებოდნენ მიზეზს, თუ რა აიძულებდა ცოლს მიეტოვებინა ქმარი (იქვე). ამ დროს შემამსუბუქებელი გარემოებები შეიძლება ყოფილიყო ქმრის აუტანელი ხასიათი, ლოთობა, ცვედანობა და სხვა (იქვე, №5, 1968-1969, 89).

[5] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებათ სასამართლოზე, რვეული, №3, 1968, 11; №4, 1968, 79.

მიუთითებს, მისი გადახდა ხდებოდა უპატიობის, შეურაცხყოფის, შერცხვენისათვის. მისი გამოყენება შეიძლება მომხდარიყო როგორც დამატებითი, ისე ძირითადი სასჯელის სახით.

ქართულ ჩვეულებით სამართალში „საუპატიო“, „საუპატიურო“ ძირითად სასჯელად ფიქსირდება ხევსურეთსა და ფშავში, თუმცა განსხვავებულ შემთხვევებში. ხევსურეთში „საუპატიუროს“ შესახებ ცნობას გვაწვდის ნ. ხიზანაშვილი. მისი განმარტებით, „საუპატიუროს“ გადახდას მაშინ ჰქონდა ადგილი, როდესაც ქმარი ცოლს დაქორწინებიდან მოკლე ვადაში დაშორდებოდა და ოჯახიდან გაუშვებდა. ნ. ხიზანაშვილი ამ გადასახადს ერთგვარად „ნამაშვრალს“ უპირისპირებს და აღნიშნავს, რომ: „ნამაშვრალი“ ხანგრძლივ ცხოვრებისათვის არის დადებული. ვინიცობაა წლის დამლევს ქმარმა ცოლი დაითხოვა, მაშინ „საუპატიუროს“ იხდის სამ ძროხას, ისიც თუ გაუპატიურებულმა ცოლმა მოითხოვა.“[1] იმავეს (როგორც ჩანს, ნ. ხიზანაშვილზე დაყრდნობით) ვხვდებით ს. მაკალათიასთანაც.[2] ამ მონაცემიდან კარგად ჩანს, რომ, თუ ქმარი ცოლს ერთ წელზე ნაკლები ვადის განმავლობაში დაითხოვდა, მას არა „ნამაშვრალს“ გადაუხდიდა, არამედ „საუპატიუროს“ სამი ძროხის ოდენობით. ბუნებრივია, როდესაც ცოლს არ ექნებოდა მნიშვნელოვანი ამაგი გაწეული ყოფილი ქმრის ოჯახში, მის მიერ „ნამაშვრალის“ მიუღებლობა სრულიად ბუნებრივია, რადგანაც ეს უკანასკნელი სწორედ ქმრის მიერ გაშვებული ცოლის, ქმრის ოჯახში გაწეული შრომისათვის გათვალისწინებული გარკვეული კომპენსაციაა.

ფშავში გვხვდება „საუპატიო“. მისი არსი მნიშვნელოვნად განსხვავდება ხევსურეთში ნ. ხიზანაშვილის მიერ დაფიქსირებული „საუპატიუროსაგან“. კერძოდ, „საუპატიო“ ფშავში ქალის მოტაცებისათვის განსაზღვრული გადასახადია. ს. მაკალათიას განმარტებით, მომტაცებელს ქალის მშობლებისათვის ერთი წლის განმავლობაში უნდა გადაეხადა „საუპატიო“ ჯარიმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ქალ-სიძეს არ შეირიგებდნენ, ხოლო ქალის ძმები და ბიძაშვილები მუქარას შეუთვლიდნენ, დაბოლოს, შურსაც იძიებდნენ. „საუპატიოს“ მიუღებლობა თემში სამარცხვინოდ ითვლებოდა. ასეთ ოჯახს სოფელი დაძრახავდა.[3] „საუპატიო“ შესაძლოა გადახდილიყო

[1] ნ. ხიზანაშვილი, დასახ. ნაშრ., 44.

[2] ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 178.

[3] ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, 138.

ფულითაც და საქონლითაც.[1] ო. ზოიძე ფშავში დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე ადასტრებს „საუპატიოს“ იმ მნიშვნელობას, რომელსაც ს. მაკალათიასთან ვხვდებით. მისი განმარტებით, „საუპატიო“ ერთ ცხვარს და ერთ ხარს უდრიდა და მას დამნაშავე უხდიდა ქალის ოჯახს. „საუპატიოს“ გადახდა შერიგების აუცილებელი პირობა იყო. იგი დაზარალებულთან ერთად მთელ სოფელს ეკუთვნოდა, რადგანაც ქალის მოტაცება არა მარტო ქალის ოჯახის, არამედ მთელი სოფლის შეურაცხყოფას წარმოადგენდა.[2] „საუპატიოს“ სახით დამნაშავის მიერ გაგზავნილი ხარი და ცხვარი გატაცებული ქალის ოჯახს მეზობლებისთვისაც უნდა დაეკლა. მხოლოდ თვითონ თუ მირთმევდა, დასაძრახი იყო.[3]

როგორც ჩანს, „საუპატიო“ ჯარიმა ფშავში საჯარო ხასიათის მატარებელიც იყო, რადგანაც ქალის მოტაცება არა მარტო ოჯახის, არამედ მთელი სოფლის ინტერესის ხელმყოფი დანაშაულებრივი ქმედება იყო და აქედან გამომდინარე, „საუპატიო“ (ერთი ცხვარი და ერთი ხარი) ოჯახთან ერთად მთელი სოფლის კუთვნილებასაც წარმოადგენდა.

4.17. სამარხი. „სამარხი“ ქონებრივი საზღაურია, რომელიც ხევსურეთში ფიქსირდება. მისი გადახდა ხდებოდა მაშინ, როდესაც ადგილი ჰქონდა ადამიანის შემთხვევით სიკვდილს, მის გარდაცვალებაში არავის მიუძღვოდა ბრალი, მაგრამ გარდაცვლილის ნათესავები მოითხოვდნენ დაკმაყოფილებას იმ პიროვნებისაგან, რომლის უშუალო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის არ არსებობდა პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი, თუმცა რომ არა ეს პიროვნება, მძიმე შედეგი არ დადგებოდა.

უფრო გასაგები რომ გახდეს ამ საზღაურის გამოყენების საფუძველი, ალ. ოჩიაურის მონაცემებს მოვიყვანთ. იგი წერს: „კაცი თუ ისე მოკვდა, რომ ბრალი სხვას ედება და მისი ხელით კი არ არის მომკვდარი, მკვდრის პატრონი ცდილობს თავი დასდოს და ის კი თავს არ იდებს, მაგის სიკვდილი ჩემი ბრალი არ არისო. ასე საარდარაოდ (სადავოდ, — გ. დ.) რომ გახდება საქმე, მაგალითად,

[1] ს. მაკალათია, იქვე.

[2] ო. ზოიძე, სასჯელები (ნაშრომის — „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“ მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი,“ 3, გამომცემლობა „მეცნიერება,“ თბ., 1991, 139-140.

[3] იქვე.

თუ ვინმემ სადმე გაგზავნა, ან გაიყოლა კაცი და ამ გზაზე შემთხვევით მოკვდა, მკვდრის პატრონი იტყვის: მაგას რომ არ გაეგზავნა, არ მოკვდებოდაო, თავი უნდა დაიდოს, თუ არა მოვკლავო. აუტყდებოდა კაცშუაკაცი და გაიყვანს რჯულში. რჯული ასეთ შემთხვევაში გაათავებს (გადაწყვეტს) სამარხს. სამარხი ქვიან იმას, რომ ამ შემთხვევაში ბრალდებულმა უნდა გადაუხადოს თექვსმეტი ძროხა დრამა. შუაკაცები დრამას მიუტანდნენ დაზარალებულს და მერე ბრალდებულს მიიყვანდნენ იმის სახლში საკლავით და სასმლით და მოხდება შერიგება საბოლოო".[1]

ამ მასალიდან ჩანს, რომ აქ აღწერილი შემთხვევისას „რჯულის კაცები" მკვლელობისათვის დაწესებულ გადასახადს კი არ აკისრებდნენ გარდაცვლილის გამგზავნს (60 ძროხა), არამედ „სამარხს" — 16 ძროხას, რაც, ტერმინის სახელწოდებიდან გამომდინარე, ამ პირისათვის გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯების ადეკვატური ანაზღაურების დაკისრებას უნდა გულისხმობდეს. ამ მნიშვნელობით „სამარხი" ქართული სამართლის ძეგლებში, კერძოდ, ვახტანგის სამართლის წიგნში გეხვდება. ვახტანგის სამართლის წიგნის 92-ე მუხლის მიხედვით, ფათერაკით (ანუ შემთხვევით, ვახტანგის სამართლის წიგნით, განზრახვის გარეშე) მკვლელობისათვის მკვლელს უნდა გადაეხადა მხოლოდ „სამარხი" (სამარხად მკვლელობის იარაღი იყო გათვალისწინებული).[2] „სამარხის" გადახდა იყო გათვალისწინებული 10 წლამდე ასაკის პირის მიერ მკვლელობის ჩადენისას. ამ დროს დამნაშავეს არ ეკისრებოდა „სისხლის" (მკვლელობისათვის დადგენილი საფასურის) გადახდა, არამედ მის მშობლებს უნდა დაჰკისრებოდა მხოლოდ „სამარხის" გადახდა (187-ე მუხლი).[3]

ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, ტერმინ „სამარხის" შინაარსი გვაფიქრებინებს, რომ იმავე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მას ხევსურეთშიც, ანუ იგი გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურებას გულისხმობდა.

4.18. ქონების კონფისკაცია. ჩვენს ხელთ არსებულ ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში პირდაპირი ცნობები ქონების კონფისკაციის, ანუ დამნაშავისათვის მთელი მისი ქონების ჩამორთ-

[1] ალ. ონიაური, პირადი არქივი, ხევსურული რჯული, 1945, ხელნაწერი, რვეული №1, 10.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, ტ. 1, თბ., 1963, 505.

[3] იქვე, 527-528.

მევის შესახებ ფაქტობრივად არ გვხვდება. მხოლოდ ეგ. გაბლიანი ბალსზემო სვანეთთან დაკავშირებით მიანიშნებს ამასთან დაკავშირებით. იგი საუბრობს თემის ყრილობის უფლებაზე „მახვშის“ თავმჯდომარეობით, გამოიტანოს დადგენილება ერთი მოსახლის ან რამდენიმე კომლის აყრისა და თემიდან გაძევების შესახებ. შემდეგ იგი წერს: „მას (თემის ყრილობას, — გ. დ.) შეეძლო ცეცხლითა და მახვილით მოსახლის განადგურება, უძრავი და მოძრავი ქონების ჩამორთმევა საზოგადოების ფონდში გადასაცემად, დამნაშავეების სიკვდილით დასჯა“.[1] თემის ყრილობის იმავე უფლებებზე და თითქმის იმავე სასჯელებზე საუბრობს ბ. ნიჟარაძეც (ეგ. გაბლიანი ამ შემთხვევაში გარკვეულწილად ბ. ნიჟარაძეს ეყრდნობა), ოღონდ იგი ეგ. გაბლიანისაგან განსხვავებით, ქონების ჩამორთმევაზე არაფერს ამბობს.[2] დამნაშავისათვის უძრავი და მოძრავი ქონების ჩამორთმევა საზოგადოებრივ ფონდში გადასაცემად, ქონების კონფისკაციას უნდა გულისხმობდეს, თუმცა ეგ. გაბლიანთან ზუსტად არ ჩანს, თუ რა დანაშაულისათვის გამოიყენებოდა იგი. ბ. ნიჟარაძის მიხედვით, მსგავსი სასჯელები გამოიყენებოდა თემის ღალატისათვის, ადგილობრივი ეკლესიის გაძარცვისათვის. მისივე განმარტებით, ამ დანაშაულის ჩამდენის სიკვდილით დასჯა შესაძლოა შეცვლილიყო ოჯახიანად აყრით და საზოგადოებიდან განდევნით.[3] სავარაუდოდ, ეგ. გაბლიანის მიერ ნახსენები დამნაშავის უძრავი და მოძრავი ქონების ჩამორთმევა (ანუ ქონების კონფისკაცია) ამ კონტექსტში უნდა იყოს განხილული და არ არის გამორიცხული, რომ დამნაშავის და მისი ოჯახის მიმართ თემიდან გაძევებისას გამოიყენებოდა.

4.19. სახლის გადაწვა. სახლის გადაწვა, როგორც სასჯელი, კარგად ჩანს ბ. ნიჟარაძის მიხედვით სვანურ სინამდვილეში. პიროვნება უმძიმესი საჯარო დანაშაულისათვის — საზოგადოების ღალატისა და ეკლესიის გაძარცვისა, როგორც აღინიშნა, შესაძლოა დასჯილიყო საზოგადოებიდან აყრით, განდევნით და მისი სახლ-კარის გადაწვით.[4] ამ მონაცემში აშკარად ჩანს აღნიშნული სასჯელის საჯარო ხასიათი. ეს სასჯელი დასტურდება რ. ხარაძესთანაც. იგი საუბრობს თემის შეიარაღებული ძალის „სუიმრის“ შესახებ, რომელსაც სა-

[1] ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, ტფ. 1927, 65.

[2] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 85.

[3] იქვე, 85-86.

[4] იქვე, 85.

ზოგადოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება ეკალებოდა. თემის გადაწყვეტილების შემთხვევაში შესაძლოა „სუიმრას“ დამნაშავის დასასჯელად მისი სახლიც გადაეწვა.[1]

სახლის გადაწვა, როგორც სასჯელი, გვხვდება სვანურ საისტორიო ძეგლებში, რაც სვანეთში მის არსებობას ძველი დროიდან ადასტურებს. მათ მიხედვით აღნიშნული სასჯელი მ. კეკელიამ შეისწავლა. მისი განმარტებით, „დაწვა“ წარმოადგენდა არა სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ სასჯელს, არამედ ქონებრივი ხასიათისას, რაც, უპირველესად, სახლ-კარისათვის ცეცხლის წაკიდებაში გამოიხატებოდა.“[2] ამ სასჯელს სვანეთში ძირითადად, საჯარო ხასიათი ჰქონდა და მისი დამნაშავის მიმართ შეფარდება ხდებოდა საზოგადოების ყრილობის მიერ, მისი ინტერესების ხელმყოფი დანაშაულისათვის. მ. კეკელია ძეგლების მიხედვით ამ სასჯელის გამოყენების შემდეგ შემთხვევებს ჩამოთვლის: „1. ხევში უცხო კაცის მოყვანისა და მისი დახმარებით ცხენის მოპარვის, ვინმეს სახლის დაწვის, ან სხვა რამ დანაშაულში მისი გამოყენებისათვის (№54); 2. აზნაურის მიერ გლეხისათვის ღალატით, სხვა სიავის გარდა, სახლის დაწვისათვის (№122); 3. ხევის წევრთა შორის ჩხუბისათვის (№122); 4. ხევის მიერ მიღებული კანონის შეუსრულებლობისათვის (№123).“[3]

როგორც მ. კეკელია მიუთითებს, სვანეთის საისტორიო ძეგლების მიხედვით, სახლის დაწვა არა მარტო სასჯელს წარმოადგენდა, არამედ დანაშაულიც იყო. ამისათვის, ზოგიერთ შემთხვევაში იმავე „ძეგლების“ მიხედვით, სამაგიეროს მიზღვის მიზნით, სახლისავე დაწვაა გათვალისწინებული. მაგალითად, აზნაურს გლეხის ღალატისათვის, რაც სხვა სიავეებთან ერთად სახლის გადაწვაში გამოიხატებოდა, საპასუხოდ თემმა სახლი უნდა დაუწვას (№122). ასევე სხვა დოკუმენტის მიხედვით, თუ გარეშე კაცის დახმარებით ბოროტმოქმედი სხვის სახლს დაწვავს, მასაც სახლი უნდა დაეწვას.[4] მ. კეკელიას აზრით, „დაწვას, როგორც საჯარო ხასიათის სასჯელს, შინაარსი ეცვლება და იგი სამაგიეროს მიზღვის საშუალე-

---

[1] რ. ხარაძე, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, 1953, 189.

[2] მ. კეკელია, ზემო სვანეთის საზოგადოებრივი წყობილებისა და სამართლის საკითხები ადიშისა და მესტიის ოთხთავების მინაწერთა მიხედვით, თსუ შრომები, BI (138), 1971, 180.

[3] იქვე.

[4] იქვე.

ბად წარმოგვიდგება."[1]

ჩვენი აზრით, აქ სამაგიეროს მიზღვევის ფაქტორი, ცხადია, არის, თუმცა მიგვაჩნია, რომ სასჯელის საჯარო ელემენტი შენარჩუნებულია. სასჯელის შინაარსში სამაგიეროს მიზღვევის ელემენტის არსებობა თავისთავად ამ სასჯელის საჯარო ხასიათს არ გამორიცხავს. გ. ნადარეიშვილი შენიშნავს, რომ სასჯელის, როგორც საჯარო-სამართლებრივი ღონისძიების ცნება ყოველთვის სამაგიეროს მიზღვას უკავშირდება.[2]

მ. კეკელიას მიერ მოყვანილ პირველ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ, თუ აზნაურმა გლეხს უღალატოს – სახლი დაუწვას, კაცი მოუკლას, საქონელი შეუჭამოს „ყველმან სეტელმან ერთობილმან" მისი სახლი უნდა დაწვას.[3] ჩამოთვლილ შემთხვევებში აზნაურის სახლის გადაწვის დაწესება და მისი აღსრულება სეტის საზოგადოების ყველა წარმომადგენლის მიერ, მიუთითებს, რომ სახლის დაწვა საჯარო ხასიათის სასჯელის შინაარსის მატარებელი მაინც არის. დოკუმენტის თანახმად, აზნაურის ზემოთ ჩამოთვლილ ქმედებებს, როგორც ჩანს, სეტის საზოგადოება მისი საერთო ინტერესის ხელმყოფად მიიჩნევს და ამდენად, ამისათვის დაწესებული სასჯელი – დამნაშავის სახლის გადაწვა, რეაგირებაა საჯარო დანაშაულზე და თვითონაც საჯარო ხასიათის მატარებელია. ამ გარემოებას ისიც ადასტურებს, რომ სახლის გადაწვა, როგორც სასჯელი, მხოლოდ სახლის დაწვისთვის (როგორც დანაშაულისათვის) არ არის გათვალისწინებული, არამედ სხვა დანაშაულებრივი ქმედებებისთვისაც და ამიტომ მხოლოდ სახლის დაწვაზე, როგორც დანაშაულზე საპასუხო რეაგირებას არ წარმოადგენს. იმავე ითქმის მ. კეკელიას მიერ მოყვანილ მეორე დოკუმენტზეც, რომლის მიხედვითაც აღნიშნული სასჯელი ლაჰილის საზოგადოების მიერ არის დაწესებული.[4] ამ შემთხვევაშიც, ლაჰილის მცხოვრების მიერ უცხო პიროვნების გამოყენება საკუთარ სოფელში დანაშაულის ჩასადენად,

---

[1] მ. კეკელია, დასახ. ნაშრ., იქვე.

[2] გ. ნადარეიშვილი, კერძო და საჯარო სასჯელები ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ალმანახი, №14, ოქტომბერი 2000, 125; გ. ნადარეიშვილი, სასჯელები ქართული სამართლის მიხედვით, კრებული „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები", თბ., 1995, 104.

[3] პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკეთი მეორე, თბ., 1941, 110.

[4] იქვე, 60.

ეს იქნება ცხენის ქურდობა, სახლის დაწვა, თუ სხვა, ასევე ლაჰილის საზოგადოების მიერ აღიქმება საჯარო სამართალდარღვევად და მისთვის დაწესებული სასჯელები, მათ შორის დამნაშავის სახლის გადაწვა, საჯარო ხასიათის სასჯელად უნდა მივიჩნიოთ. აქაც სახლის გადაწვა, როგორც სასჯელი, მხოლოდ სახლის დაწვისთვის არ არის განსაზღვრული და სხვა დანაშაულებისათვისაც არის გათვალისწინებული. თანაც ეს დანაშაულები სახლის დაწვასთან ერთად, საზოგადოების სასარგებლოდ ქონებრივი საზღაურის გადახდასაც ითვალისწინებს,[1] რაც ასევე ადასტურებს ამ დანაშაულთა და მათთვის გათვალისწინებულ სასჯელთა (რომლებიც არ არიან მიმართული კერძო პირთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად) საჯარო ხასიათს.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახლის გადაწვა, როგორც სასჯელი, სვანურ ჩვეულებით სამართალში საჯარო ხასიათის მატარებელი იყო და დანაშაულის ჩამდენ პირს საზოგადოების დადგენილების საფუძველზე შეეფარდებოდა.

5. გამაწბილებელი სასჯელები

ქართული ჩვეულებითი სამართალი არაერთ გამაწბილებელ სასჯელს იცნობს. გ. ნადარეიშვილი მიუთითებს, რომ გამაწბილებელი სასჯელების მიზანი არ მდგომარეობს იმდენად ფიზიკური ტანჯვის მიყენებაში, რომელიც აქ უმნიშვნელო როლს ასრულებს, არამედ დამნაშავის ზნეობრივად დამცირებაში, მის შერცხვენაში.[2] მისივე თქმით, ზოგიერთი გამაწბილებელი სასჯელი, ამავე დროს, პატივისა და ღირსების დამამცირებელიც იყო.[3] ღვაწლმოსილი მეცნიერი ეხება იმ გამაწბილებელ სასჯელებს, რომლებიც ქართული სამართლის წერილობით ძეგლებში გვხვდება. ასეთია, მაგალითად: ვირზე შესმა, ტალახში ამოსვრა და სახალხოდ ჩამოტარება, თავზე წვენის დასხმა,

---

[1] პ. ინგოროყვა, იქვე.

[2] გ. ნადარეიშვილი, ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI-XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1959, 94.

[3] გ. ნადარეიშვილი, კერძო და საჯარო სასჯელები ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ალმანახი, №14, ოქტომბერი 2000, 125; გ. ნადარეიშვილი, სასჯელები ქართული სამართლის მიხედვით, კრებული „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები", თბ., 1995, 162.

თავზე ნაცრის დაყრა და სხვა.[1] ზოგიერთი გამაწბილებელი სასჯელი ქართული სამართლის ძირითად ძეგლებშიც გვხვდება. მაგალითად, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდების“ მე-2 მუხლით გათვალისწინებულია გაპარსვა.[2] ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მე-13 მუხლში გვხვდება ე. წ. „ჩათრევა,“[3] მსგავსი სასჯელი გათვალისწინებულია იმავე ძეგლის 23-ე მუხლითაც.[4] „ჩათრევისას“ დამნაშავეს გააშიშვლებდნენ და საცვლების ამარა („ნიფხვითა ოდენ“) მიიყვანდნენ სანეხვეზე, სადაც მეხრე სამჯერ დაარტყამდა შოლტს.[5] 23-ე მუხლით გათვალისწინებული გამაწბილებელი სასჯელი გულისხმობდა გაშიშვლებული („ნიფხვით ოდენ“) და ყელსაბლიანი დამნაშავის ქუჩა-ქუჩა ჩამოტარებას.[6] გაშიშვლებულისა და ყელსაბლიანის სავაროდ, სოფელ-სოფელ ჩამოტარება, როგორც ჩანს, საკმაოდ გავრცელებული გამაწბილებელი სასჯელი იყო საქართველოში. იგი დამნაშავის „საუკუნო“ სირცხვილსა და გაწბილებას იწვევდა საზოგადოების თვალში. თუ რა დანაშაულისას ხდებოდა ამ სასჯელების გამოყენება, რა პირობების შემთხვევაში და რა მნიშვნელობა ჰქონდა მათ, განხილული აქვთ ი. დოლიძესა[7] და გ. ნადარეიშვილს[8].

საქართველოს სინამდვილეში გამაწბილებელი სასჯელების გამოყენება ძალზედ ეფექტური იყო. ეს სასჯელი სავაროდ, მთელი საზოგა-

[1] გ. ნადარეიშვილი, კერძო და საჯარო სასჯელები ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ალმანახი, №14, ოქტომბერი 2000, 125, 126.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, ტ., 1, თბ., 1963, 403.

[3] იქვე, 429.

[4] იქვე, 433.

[5] იქვე, 429.

[6] იქვე, 433. საინტერესოა, რომ ფაქტობრივად იმავე შინაარსის გამაწბილებელ სასჯელს ვხვდებით ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 69-ე მუხლში მაჭანკლობისათვის. ამ მუხლის მიხედვით დამნაშავეს ყელზე საბელი უნდა მოაბან, და შიშველი („ნიფხვითა ოდენ“) სოფელში უნდა ჩამოატარონ (იქვე, 499). აშკარაა, რომ სწავლულ კაცთა კომისიამ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის 23-ე მუხლი წყაროდ გამოიყენა და აღნიშნული გამაწბილებელი სასჯელი იქიდან ისესხა.

[7] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, 231-232.

[8] გ. ნადარეიშვილი, კერძო და საჯარო სასჯელები ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ალმანახი, №14, ოქტომბერი, 2000, 126.

დოების (თემის, სოფლის, უბნის) თანდასწრებით ტარდებოდა. ძველად საქართველოში ისეთი ზნეობრივი ფონი იყო შექმნილი, რომ გამაწბილებელი სასჯელით პიროვნების საჯარო შერცხვენა, დამცირება, მისთვის ალბათ სიკვდილზე უარესი იყო. „სახელის გატეხვას თავის გატეხვა სჯობიაო“ — ეს ცნობილი გამონათქვამი სწორედ ქართულმა სინამდვილემ შვა. საქართველოში ყველა ერიდებოდა საზოგადოების თვალში სახელის გატეხვას, ზნეობრივად დამცირებას. ყველა ოჯახში ფიქრობდნენ იმას, თუ რას იტყოდა მათზე ხალხი, როგორ შეაფასებდა მათ ამა თუ იმ მოქმედებას. ამიტომ საზოგადოების შეხედულებით, სამარცხვინო საქციელის ჩადენა, რასაც შეიძლება გამაწბილებელი სასჯელი მოჰყოლოდა, ყველა ერიდებოდა. აქედან გამომდინარე, გამაწბილებელ სასჯელებს დიდი აღმზრდელობითი და პრევენტიული მნიშვნელობა ჰქონდა. გამაწბილებელი სასჯელები შესაძლოა გამოყენებულიყო როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელების სახით.

ახლა განვიხილოთ ყველაზე გავრცელებული გამაწბილებელი სასჯელები, რომლებიც ფიქსირდება XIX-XX საუკუნეების ჩვენს ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით.

5.1 **„სახალხო შერცხვენა“, „გაკიცხვა“**. აღნიშნული ტერმინები გულისხმობს გამაწბილებელ სასჯელს, რომლის შინაარს წარმოადგენდა საზოგადოების წევრთა მხრიდან საჯაროდ, სახალხო თავშეყრის ადგილას დამნაშავის გაკიცხვა, სიტყვიერი შერცხვენა, დამცირება, შეურაცხყოფა. ხშირად საჯარო გაკიცხვას, დამნაშავის სიტყვიერ შერცხვენას თან ახლდა დამნაშავისათვის მიფურთხება და გარკვეული ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება.

„სახალხო შარცხვენის“ სახელწოდებით სასჯელს ვხვდებით ფშავში. აქ „სახალხო შარცხვენა“ ხდებოდა ხატში, როდესაც პირი ჩაიდენდა თემის წევრისათვის შეუფერებელ საქციელს. მას იყენებდნენ შედარებით მცირე საქმეზე.[1] ხატში თემის ყრილობა დამნაშავის თანდასწრებით განიხილავდა მის საძრახის საქციელს, დაგმობდა მას და შეარცხვენდა. შერცხვენა გამოიხატებოდა სიტყვიერი შეურაცხყოფის გარდა მიფურთხებაში, წიხლის ამოკვრასა თუ სილის გაწვნაში.[2]

[1] ო. ზოიძე, სასჯელები (ნაშრომის — „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“ მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი,“ 3, გამომცემლობა „მეცნიერება,“ თბ., 1991, 121.

[2] მ. კეკელია, მასალები ფშაურ ჩვეულებით სამართალზე. ეთნოგრაფიული რვეუ-

იმავე სახელწოდებით ანალოგიურ სასჯელს ვხვდებით მესხეთში ჩაწერილ მასალებშიც. აქ იგი გამოიყენებოდა ზნეობრივი ნორმების დარღვევისათვის, ასევე ქურდობისათვის.[1] მესხეთში დამნაშავეს „სახალხო შერცხვენას" უსჯიდნენ „წინაპარი კაცები" (თავკაცები), რაც იმაში მდგომარეობდა, რომ საზოგადოების თითოეული წევრი მივიდოდა უზნეობის ჩამდენთან, შეაფურთხებდა და ეტყოდა: „შეგირცხვეს სახელი ასეთი საქციელისთვისო".[2]

ფაქტობრივად ასეთივე შინაარსის სასჯელს ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ვხვდებით იმერეთში, გურიასა და საქართველოს სხვა კუთხეებში სხვადასხვა სახის გადაცდომების შემთხვევაში. აქაც დამნაშავეს ხალხის თავშეყრის ადგილას ხალხი კიცხავდა, აფურთხებდა და სხვა. ზოგიერთი იმერელი და გურული ინფორმატორი ამ სასჯელს „გაკიცხვას" უწოდებს. მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორის ცნობით, „გაკიცხვა" იმ პირის მიმართ ხორციელდებოდა, რომელიც „სოფელს არ მიუდგებოდა გვერდში".[3] საჯარო „გაკიცხვა" ხშირად ქურდებისა და გარყვნილი ქალების მიმართ გამოიყენებოდა. მათ ასევე აფურთხებდნენ, „ქოქოლას აყრიდნენ" და სხვა.[4]

სახალხო შერცხვენისა და გაკიცხვისათვის დამახასიათებელი ელემენტების შემცველი გამაწბილებელი სასჯელი გვხვდება ასევე სამეგრელოში, ხევში, მთიულეთში.[5]

ერთ-ერთი იმერელი ინფორმატორი „სახალხო შერცხვენის",

ლი, 1986, 32.

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 21, 37-38, 62.

[2] საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში (ფშავი, მესხეთი, 1986), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი", 1988, 154-155.

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 19.

[4] გ. დავითაშვილი, მასალები იმერულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 19, 70; გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 23, დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 1.

[5] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 22, 48-49; მ. კეკელია, მასალები მთიულეთის ჩვეულებით სამართალზე (ქსნის ხეობა), ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 38-39; გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 65.

„გაკიცხვის“ ანალოგიურ სასჯელს „დაქოლვას“ უწოდებს. ეს ანალოგია მისი მონათხრობიდან ჩანს: „მეზობლებისაგან გამიგონია, რომ ძველად ქურდს სახალხოდ გამოიყვანდნენ, გაკიცხავდნენ, ლანძღავდნენ, წყევლიდნენ, მიაფურთხებდნენ. ამას „დაქოლვას“ ეძახდნენ. ეს იყო ყველაზე დიდი სასჯელი“.[1]

დამნაშავის გაკიცხვის, „სახალხო შერცხვენის“ საკმაოდ თავისებურ წესს აღწერს გურული ინფორმატორი ჩოხატაურის რაიონიდან. მის ბავშვობაში ხარის ქურდს მოატანინეს ამ ხარის ტყავი, დასვეს ეს კაცი ამ ტყავზე სახალხოდ და დაუწყეს დარიგება და შერცხვენა. მისი თქმით, ასეთი სახალხო შერცხვენა ციხეზე ძლიერი სასჯელი იყო. დანარჩენი რომ ამას შეხედავდა, აღარ ჩაიდენდა დანაშაულს.[2] დამნაშავის სახალხო შერცხვენას ნაქურდალი პირუტყვის ტყავზე დასმით, მხოლოდ ამ ინფორმატორთან ვხვდებით, თუმცა არაა გამორიცხული აღნიშნულ რეგიონში ასეთი რამ წესად ყოფილიყო, ხოლო ეს ფაქტი არ არის ერთეული შემთხვევა. როგორც ვხედავთ, ეს ინფორმატორიც ამ სასჯელს „სახალხო შერცხვენად“ იხსენიებს.

ინფორმატორთა მონათხრობიდან კარგად ჩანს, რომ საზოგადოება საქართველოს არაერთ კუთხეში „საჯარო გაკიცხვას“, „სახალხო შერცხვენას“ (ანალოგიურ სასჯელებს) საკმაოდ მძიმე სასჯელად აღიქვამდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისუფლების აღკვეთასთან, დამნაშავეზე არსებით ფიზიკურ ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ ყოფილა და ძირითადად პიროვნების შერცხვენასა და დამცირებას ისახავდა მიზნად. ინფორმატორები, როგორც ვხედავთ, ამ სასჯელის პრევენტიულ მნიშვნელობასაც უსვამენ ხაზს.

„საჯარო გაკიცხვის“, „სახალხო შერცხვენის“ დამახასიათებელ ელემენტებს არაერთი სხვა გამაწბილებელი სასჯელი შეიცავდა. მაგალითად, სამარცხვინო ბოძზე გაკვრას, ვირზე შესმას, ქურდის ნაქურდალით ჩამოტარებას და სხვა გამაწბილებელი სასჯელის გამოყენებას ხშირად თან ახლდა საზოგადოების მხრიდან დამნაშავის გაკიცხვა მისი ლანძღვის, შეურაცხყოფის, შეფურთხების სახით. თუ კონკრეტულად როგორ ხდებოდა ეს, ამას აღნიშნული სასჯელების განხილვისას შევეხებით.

---

[1] გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1970, 70.

[2] გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №2, 1989, 25.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დამნაშავის საჯარო „გაკიცხვა“, „სახალხო შერცხვენა“, ასევე მათი ანალოგები, თავისი შინაარსით, ფაქტობრივად, ერთ სასჯელს წარმოადგენს, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ინფორმატორები განსხვავებული სახელწოდებით იხსენიებენ („სახალხო შერცხვენა“ და „გაკიცხვა“ ყველაზე ხშირად გვხვდება ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში). იგი საქართველოს მრავალ კუთხეში გამოიყენებოდა პიროვნების მიერ უღირსი საქციელის ჩადენის შემთხვევაში. აქ მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი საჯარო ხასიათის სასჯელი იყო, საჯაროდ ტარდებოდა და დამნაშავის შერცხვენა-დამცირებას ისახავდა მიზნად.

საინტერესოა, რომ ჩვენს ხელთ არსებულ ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში გვხვდება ისეთი მონაცემებიც, როდესაც პიროვნების საჯარო გაკიცხვა-შერცხვენა კერძო პირის ინტერესების ხელმყოფი სამართალდარღვევის დროსაც გამოიყენებოდა და მას თვით დაზარალებული ახორციელებდა. კერძოდ, 1989 წელს ჩაწერილ ინფორმაციაში ჩანს, რომ გურიაში (ეს საქართველოს სხვა კუთხეებისათვისაც იყო დამახასიათებელი) ხშირი იყო სესხის მიცემისას ვექსილად ულვაშის ღერის დატოვება: „ვალში ულვაშს მოპწკალავდნენ“.[1] სესხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში კრედიტორი მიიტანდა ულვაშის ღერს თავშეყრის ადგილას (მაგალითად, ეკლესიის ეზოში რაიმე დღესასწაულის დროს), საჯაროდ გამოაცხადებდა თუ ვისი იყო იგი და რომ მისმა პატრონმა ფული არ დაუბრუნა და სიტყვებით: „ფული, შენს კაცობას“, ან „შეგარცხვინა ღმერთმა“, გადააგდებდა ამ ღერს ყველას დასანახად.[2]

აქ აღწერილ ქმედებას, ჩვენი აზრით, აშკარად აქვს საჯარო გაკიცხვა-შერცხვენის შინაარსი, თუმცა ინფორმატორი კონკრეტული სახელწოდებით ამ სასჯელს არ იხსენიებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში

---

[1] ცნობილია, რომ ულვაშის ღერი მისი პატრონის სინდის-ნამუსის გამოხატულება იყო და სესხის აღებისას მისი ვექსილად გაცემა ძველად საქართველოში სესხის დაბრუნების უმტკიცეს გარანტიად აღიქმებოდა. ვალის გადაუხდელობისას კი საზოგადოება დებიტორის ნამუსიანობაში ეჭვს შეიტანდა და მას სახელი გაუტყდებოდა.

[2] გ. დავითაშვილი, ო. ზოიძე, საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში (იმერეთი, ლეჩხუმი, გურია, აჭარა, 1989), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, №3, თბ., 1991, 177-178.

მას კერძო სასჯელის სახე აქვს და კერძო პირი (კრედიტორი, რომელსაც ვალი არ დაუბრუნეს) დამოუკიდებლად აღასრულებს მას. მისი ეს ქმედება საჯაროდ ხორციელდება. ეკლესიის ეზოში, დღესასწაულისას ყოველთვის ბევრი ხალხი იყო, ამიტომ ასეთ ვითარებაში კრედიტორის მიერ ვალაუვალი დებიტორის ვექსილად გაცემული ულვაშის ღერის საჯარო გადაგდება (ულვაშის სიმბოლური მნიშვნელობის გათვალისწინებით), ამ ულვაშის პატრონის დასახელება და მისი სიტყვიერი შერცხვენა, ვალაუვალი დებიტორის მიმართ, სწორედ საჯარო გაკიცხვა-შერცხვენის, როგორც გამაწბილებელი სასჯელის, გამოყენებაზე მიუთითებს.

5.2. **სიმბოლური ჩაქოლვა („ჩაქოლვა", „ჩაკირვა", „ამოკირვა").** ჩვენს ხელთ არსებულ ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში ჩანს, რომ გამაწბილებელ სასჯელს შესაძლოა სიმბოლური ჩაქოლვის ფორმაც ჰქონოდა. მაგალითად, ამის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ს. მაკალათია ხევის სინამდვილიდან: „წინათ თუ შვილი მშობლებს უდიერად ექცეოდა, დედ-მამა ამაზე „ერობას" (უფროსთა კრებულს) შესჩივლებდა. ასეთ შვილს ერობა დაიბარებდა და საჯაროდ შეარცხვენდა, შემდეგ მას კენჭებსა და ღორღს მიაყრიდნენ და ისე გააგდებდნენ. ერობისაგან შერცხვენილს ქორწილში, ხატობაში თუ სხვა რაიმე საზოგადო წვეულებაზე არ დაიწვევდნენ და მას ასე შერცხვენილად უნდა ევლო განსაზღვრულ დრომდე მანამ, სანამ ერობისაგან არ ეპატიებოდა."[1] მსგავს ცნობას მესხეთში ჩაწერილ მასალებშიც ვხვდებით. ინფორმატორის ცნობით, ულირსი საქციელის ჩამდენს (ქალის შემცდენელს, ქურდს) ხალხი კიცხავდა და აფურთხებდა, ასევე კენჭებს მიაყრიდა, „ვითომ ჩასაქოლად".[2]

საინტერესოა, რომ ზოგიერთი ინფორმატორი, როდესაც საუბრობს ასეთი სახის სასჯელზე, მას უწოდებს „ჩაქოლვას", „ჩაკირვას", „ამოკირვას" და ამაში გულისხმობს არა სიკვდილით დასჯას, არამედ სწორედ დამნაშავის დასჯას გამაწბილებელი სასჯელით. ამ სასჯელის აღსრულების რიტუალი ისევე ტარდება, როგორც თავის დროზე ჩაქოლვა უნდა მომხდარიყო, მხოლოდ დამნაშავის სიკვდილით დასჯის გარეშე. მთიული ინფორმატორი გვამცნობს: „გადმოცემით მე გამიგონია, რომ ცუდი ყოფაქცევის ქალს (ბოზს) და ასევე ახლობელი

[1] ს. მაკალათია, ხევი, ტფ., 1934, 99.

[2] ვ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1986, 69-70.

ქალების დაუნდობელ კაცს სოფელი ჩაქოლავდა. ჩაქოლვა ნიშნავდა იმას, რომ ასეთ ადამიანს გაიყვანდნენ სოფელში და მიაყრიდნენ ქოქოლას, თან ესროდნენ ქვებს, მაგრამ ისე გააკეთებდნენ, რომ არ მომკვდარიყო, რომლის შემდეგ გააძევებდნენ სოფლიდან."[1] ანალოგიურ ცნობას გვაწვდის ერთ-ერთი მესხი ინფორმატორი, რომელიც აღნიშნულ სასჯელს „ჩაკირვას" ეძახის. მისი განმარტებით, მათთან ჩაქოლვას „ჩაკირვას" ეძახიან. მისი თქმით, ძველად შესაძლოა ეს სიკვდილით დასჯას ნიშნავდა, მაგრამ შემდეგ ამან სიმბოლური ხასიათი მიიღო. „როდესაც ვინმე რამეს დააშავებდა, გამოიყვანდნენ მას გზაჯვარედინზე, სადაც ხალხი იყო შეკრებილი, სახალხოდ გაამტყუნებდნენ მას და შემდეგ ყველა იქ მყოფი მიაფურთხებდა, ან კენჭს ესროდა. ეს იყო ჩაქოლვა".[2] აჭარელი ინფორმატორიც ჩაქოლვას „ამოკირვად" იხსენიებს. „ამოკირვა ასე ხდებოდა.: გზაჯვარედინის შუაგულში მიწას ამოთხრიდნენ და ცოცხალ კაცს, რომელმაც რაღაც დანაშაული ჩაიდინა, წელს ქვევით ჩასვამდნენ. სოფელი მიდიოდა იქ და აფურთხებდნენ მას. რა დანაშაულისათვის ამოკირავდნენ ხოლმე, ზუსტად არ ვიცი. მგონი, უპატიოსნო ქალს, ან სოფლის ქურდს."[3]

ამ მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ ტერმინი „ჩაქოლვა", „ჩაკირვა", „ამოკირვა" შესაძლოა სიკვდილით დასჯის აღმნიშვნელი არ ყოფილიყო და ფაქტობრივად დამნაშავის გაკიცხვა-შერცხვენას გამოხატავდა.

მოცემულ შემთხვევებში დამნაშავისათვის კენჭების, ქვებისა თუ ღორღის მიყრა მისი მოკვდინების გარეშე გამაწბილებელი სასჯელის შემადგენელი ელემენტია და უღირსი საქციელის ჩამდენის მხოლოდ სიმბოლურ „ჩაქოლვაზე" მიუთითებს. ძველად ჩაქოლვა, ამოკირვა სწორედ დამნაშავისათვის ქვა-ღორღის მიყრით ხორციელდებოდა (სოფლის გზაჯვარედინზე და ხშირად ამოთხრილ მიწაში დამნაშავის ჩასმით), რასაც მისი სიკვდილი მოჰყვებოდა. ასეთი მკაცრი სასჯელი, ცხადია, მძიმე დანაშაულისას გამოიყენებოდა. მოცემულ

[1] მ. კეკელია, მასალები მთიულეთის ჩვეულებით სამართალზე (ქსნის ხეობა), ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 38-39.

[2] მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 13-14.

[3] გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 65.

შემთხვევაში კი დამნაშავისათვის კენჭებისა და ქვების მიყრა ასეთი ფატალური შედეგით არ სრულდებოდა.

ჩაქოლვის ელემენტის გამოყენება აღნიშნულ რეგიონებში ძველად ამ სასჯელის არსებობაზე მიუთითებს, რაც ხალხის მეხსიერებას შემორჩა. ინფორმატორებს გაუგიათ, რომ ძველად ჩაქოლვა სწორედ სიკვდილით დასჯას გულისხმობდა, თუმცა მათ თანამედროვე ეპოქაში იგი მხოლოდ სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. დროთა განმავლობაში ჩაქოლვა, როგორც სიკვდილით დასჯა, ტრანსფორმირდა სიმბოლურ „ჩაქოლვად", როდესაც კენჭებისა და ქვების მიყრა დამნაშავისათვის მხოლოდ მისი დამცირებისა და შერცხვენის მიზნით ხდებოდა. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული მოქმედება, როგორც ჩანს, საზოგადოების წევრთა გამძაფრებულად უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავდა ულირსი საქციელის ჩამდენის მიმართ და სიმბოლურად მიუთითებდა იმას, რომ ეს დამნაშავე საზოგადოებისათვის თითქოს მკვდარია, „ჩაქოლილია". ზოგიერთ რეგიონში ასეთი სახით დასჯილს აძევებდნენ, ან გარკვეული ვადით საზოგადოებიდან გარიყავდნენ კიდეც და სანამ არ აპატიებდნენ, მასთან ურთიერთობა არ ჰქონდათ, რაც ასევე ასახავს საზოგადოების იმ დამოკიდებულებას დამნაშავისადმი, რაც მან მისი სიმბოლური „ჩაქოლვით" გამოხატა. ასეთივე დამოკიდებულების მაჩვენებელი უნდა იყოს იმერეთში დაფიქსირებული საჯარო გაკიცხვა-შერცხვენის გამომხატველი ტერმინი „დაქოლვა", რომლის შესახებაც საუბარი წინა გამაწბილებელი სასჯელის განხილვისას გვქონდა.

როგორც ვხედავთ, სიმბოლური „ჩაქოლვის" გამოყენება სხვა სასჯელებთან ერთადაც ხდებოდა. კერძოდ, იგი ხანდახან წინ უძღოდა დამნაშავის საზოგადოებიდან გაძევებას. აქ ძირითად სასჯელად გაძევება უნდა მივიჩნიოთ. გაძევება ქართულ ჩვეულებით სამართალში უმძიმეს სასჯელად ითვლებოდა და მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაკარგვასთან იყო დაკავშირებული. საზოგადოების ძირითადი ნება ასეთ შემთხვევაში პირის გაძევებაში მდგომარეობდა, რადგანაც მისთვის პრინციპულად მიუღებელი ხდებოდა ულირსი საქციელის ჩამდენის გვერდით ცხოვრება. გაძევების წინ დამნაშავის სიმბოლური „ჩაქოლვა" მისი საჯარო გაკიცხვა-შერცხვენის მიზნით, ჩვენი აზრით, შეიძლება დამატებით სასჯელად იყოს აღქმული.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ „ჩაქოლვა", „ჩაკირვა",

„ამოკირვა“ ქართულ ჩვეულებით სამართალში სიკვდილით დასჯის გარდა გამაწბილებელ სასჯელსაც წარმოადგენდა. ინფორმატორები შესაბამის გამაწბილებელ სასჯელს სწორედ აღნიშნული ტერმინებით იხსენიებენ. მის ასეთ სახელწოდებებს განაპირობებდა ის რიტუალი, რომლითაც ხდებოდა მისი აღსრულება და ჩაქოლვის, როგორც სიკვდილით დასჯის, რიტუალის გარკვეულ სიმულაციას წარმოადგენდა. შეიძლება ითქვას, რომ სახეზეა სიმბოლური ჩაქოლვა, როგორც გამაწბილებელი სასჯელი.

როგორც ვხედავთ, სიმბოლური ჩაქოლვით („ჩაქოლვით“, „ჩაკირვით“, „ამოკირვით“) პირი ისჯებოდა ზემოთ განხილული „სახალხო შერცხვენის“ თუ „გაკიცხვის“ ანალოგიურ შემთხვევებში. თანაც, მისი აღსრულებისას გამოიყენებოდა „სახალხო შერცხვენის“ თუ „გაკიცხვისათვის“ დამახასიათებელი ელემენტები: სიტყვიერი შეურაცხყოფა, მიფურთხება და სხვა. შეიძლება ითქვას, რომ სიმბოლური ჩაქოლვა საკმაოდ ახლოს დგას „სახალხო შერცხვენასთან“ თუ „გაკიცხვასთან“, თუმცა ჩვენ იგი დამოუკიდებელ გამაწბილებელ სასჯელად გამოვყავით, იმდენად, რამდენადაც, მისი უმთავრესი სეგმენტი სიმბოლური ჩაქოლვის რიტუალია, რომელიც თავისი დატვირთვით აღნიშნული სასჯელის ძირითად შინაარს განაპირობებს. ეს იმაშიც გამოიხატება, რომ ინფორმატორები მას „ჩაქოლვას“, „ამოკირვას“, „ჩაკირვას“ უწოდებენ, რითაც აღნიშნულ სასჯელში სწორედ სიმბოლური ჩაქოლვის ელემენტებს აღიქვამენ განმსაზღვრელად.

5.3. სასოფლო მუშტის დარტყმა. „სასოფლო მუშტის დარტყმა“ გვხვდება მხოლოდ მესხეთში ჩაწერილ მასალებში. როგორც ჩანს, ეს საქართველოს ამ კუთხისთვის დამახასიათებელი სასჯელი იყო. იგი ასევე ახლოს დგას „სახალხო შერცხვენასთან“. როგორც ზემოთ გამოჩნდა, ეს სასჯელი ითვალისწინებდა დამნაშავისათვის საზოგადოების წევრთა მიერ სილის გაწვნას, წიხლის ამორტყმას, გარკვეული ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას, დამნაშავის დამცირებისა და შერცხვენის მიზნით. მესხეთში კი დამნაშავის მიმართ ფიქსირდება სოფლის მცხოვრებთა მხრიდან სხეულის არეში მუშტის დარტყმა. „სახალხო შერცხვენისაგან“ განსხვავებით, „სასოფლო მუშტის დარტყმისას“ დამნაშავის სიტყვიერ გაკიცხვას, შერცხვენას, შეურაცხყოფას ადგილი არა აქვს და ამიტომ მას ცალკე სასჯელის სახით განვიხილავთ. ამ სასჯელის აღსრულებისას ადგილი ჰქონდა

მხოლოდ დამნაშავისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას მისთვის საჯაროდ მუშტის დარტყმის სახით.

ჩვენ აღნიშნულ სასჯელს არ განვიხილავთ გვემითი სასჯელების კატეგორიაში, რადგანაც მთავარი ამ სასჯელის გამოყენებისას არის არა დამნაშავისათვის ფიზიკური ტკივილის მიყენება (რასაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი), რაც საზოგადოებისათვის ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია, არამედ დამნაშავის საჯარო შერცხვენა და დამცირება.

მესხეთში ჩაწერილი მასალების მიხედვით, „სასოფლო მუშტის დარტყმა“ საჯარო ხასიათის სასჯელს წარმოადგენდა და საზოგადოების ინტერესების ხელმყოფ დანაშაულთათვის გამოიყენებოდა. მესხი ინფორმატორების მიხედვით, მას მიუსჯიდნენ სოფელში თავშერცხვენილ კაცს, სოფლის ინტერესების, მაგალითად, სოფლის საერთო საკუთრების ხელმყოფს, ან ენატანიობით ხალხის გადამკიდეს, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევს და სხვა.[1]

„სასოფლო მუშტის დარტყმის“ შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა სოფელი თავკაცების („წინაპრების“) თაოსნობით. სოფლის მცხოვრებნი იკრიბებოდნენ, სათითაოდ მივიდოდნენ დამნაშავესთან და თითო-თითო მუშტს დაარტყამდნენ, ზოგი ძლიერად, ზოგი შედარებით სუსტად. დარტყმა მოხდებოდა ტანზე, სხვადასხვა ადგილას (უფრო ხშირად მხარზე). [2] ერთ-ერთ მესხ ინფორმატორს თვითონ მიუღია მონაწილეობა აღნიშნული სასჯელის აღსრულებაში. იგი იხსენებს: „ჩემს ხსოვნაში, დაახლოებით 1917-1918 წლებში, სასოფლო მუშტი დაარტყეს პეტრე კაჭკაჭიშვილს, სიმონ აფრიამაშვილს, თომა თათეშვილს. მათ სასოფლო მუშტი თავშეყრის ადგილზე წესრიგის დარღვევისათვის მიიღეს. პეტრეს დასჯაში მეც მივიღე მონაწილეობა. სწორედ მის ოდაში ვიყავით შეკრებილები..... პეტრე მთვრალი იყო და აყალმაყალი ატეხა, იგინებოდა, ილანძღებოდა. მყუდროებას არღვევდა, რისთვისაც მიიღო კიდეც სახალხო მუშტი.“[3] ამ ინფორ-

---

[1] მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №2, 1986, 13-14, 22-23; ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1986, 70-71.

[2] მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №2, 1986, 13-14.

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1986, 70-71.

მატორის განმარტებით, „მუშტდარტყმული“ კაცი სოფელში შერცხვენილი დადიოდა, „მას ხმის ამოღების უფლება არა ჰქონდა. თუკი რამეს იტყოდა, მაშინვე წამოაძახებდნენ, რა ხმა ამოიღე, შენ სასოფლო მუშტი გაქვს დარტყმული და რამდენს ლაპარაკობ.“[1]

ამ ამონარიდში კარგად ჩანს განსახილველი სასჯელის ბუნება. საზოგადოება, როგორც ჩანს, მას გამაწბილებელ სასჯელად აღიქვამდა და მისით დასჯილს, გარკვეული ხნის განმავლობაში, როგორც შერცხვენილს, ისე უყურებდა და ზედმეტად ხმის ამოღების უფლებას არ აძლევდა.

ერთი წლის მერე ეს პიროვნება სოფელს შემოურიგებია დიდი თხოვნითა და მობოდიშებით. ასეთ შემთხვევაში დასჯილის შემორიგება, სწორედ, ერთი წლის შემდეგ ხდებოდა. ეს ზოგადი წესი ყოფილა.[2]

5.4. თავს ლაფის დასხმა. საქართველოში შერცხვენილ კაცზე ამბობენ „თავს ლაფი დაისხაო“, „თავსლაფდასხმულიაო“. ეს დღეს უკვე ფიგურალური გამოთქმები წარსულში არსებულ ყოფით რეალობაზეა დაფუძნებული. „თავს ლაფის დასხმა“ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ერთ-ერთი გამაწბილებელი სასჯელი იყო. მისი გამოყენება შესაძლოა დამოუკიდებლად მომხდარიყო, ან სხვა სასჯელებთან ერთად.

აღნიშნული სასჯელის გამოყენება ხდებოდა გვარის შემარცხვენლის, ამორალური საქციელის, ქურდობის და სხვა უწესო საქციელის ჩამდენის მიმართ. როგორც ერთ-ერთი ინფორმატორი აღნიშნავს, ამ სასჯელს უმეტესად სქესობრივი დანაშაულის ჩადენისას იყენებდნენ.[3]

თვით სასჯელის აღსრულება შემდეგნაირად ხდებოდა: დამნაშავეს გაიყვანდნენ ორღობეში, სადაც ლაფი იყო და რაიმე ჭურჭლით ყველა სათითაოდ დაასხამდა თავზე ლაფს (ინფორმატორის განმარტებით ლაფი ეს იყო თხელი, მოზელილი ტალახი).[4] ასეთი

---

[1] ჯ. მერაბიშვილი, იქვე, 71.

[2] იქვე.

[3] მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 9; მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 8; გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 8.

[4] მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 9; მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 8.

სახით დასჯილს „თავსლაფდასხმულს“ ეძახდნენ.[1]

სამეგრელოში „თავს ლაფის დასხმა“ ერთგვარი კომბინირებული სახით გვხვდება სხვა გამაწბილებელ სასჯელთან – **„ცოცხლად დამარხვასთან“** ერთად. ამ საჯელის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის გ. ელიავა. მისი განმარტებით, ამოთხრიან ორმოს, სადაც დამნაშავეს ყელამდე ჩამარხავდნენ და ლაფს ასხამდნენ. ამის შემდეგ ცოცხლად დამარხულს ამოიყვანდნენ და თემიდან მოჰკვეთდნენ და გააძევებდნენ. „ცოცხალო თხორილი“ სამეგრელოში დღესაც შეურაცხმყოფელ მიმართვად ითვლება. ასეთი მიმართვის არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ დასჯის ეს წესი მთელს სამეგრელოში უნდა არსებულიყო.[2] აღნიშნული სასჯელის გამოყენება თემის ღალატის შემთხვევაში ხდებოდა და მას საზოგადოების კრება – „საზოგადოში კათუა“ – უნიშნავდა დამნაშავეს. გ. ელიავას მოჰყავს კონკრეტული შემთხვევა, როდესაც პიროვნებას შეუფარდეს ეს სასჯელი ერთ-ერთი ციხის საიდუმლოების გაცემისათვის.[3]

როგორც ჩანს, „თავს ლაფის დასხმა“ „ცოცხლად დამარხვასთან“ ერთად დამატებით სასჯელად გამოიყენებოდა. ძირითადი სასჯელი კი დამნაშავის მოკვეთა-გაძევება იყო. ძალზედ საინტერესო მოვლენაა „ცოცხლად დამარხვა“, როგორც გამაწბილებელი სასჯელი „თავს ლაფის დასხმასთან“ ერთად. თავს ლაფის დასხმით დამნაშავეს არცხვენდნენ, ამცირებდნენ. ეს გარემოება კი მძაფრდებოდა პიროვნების სიმბოლური ცოცხლად დამარხვით, რაც გამოხატულებაა იმისა, რომ პიროვნების შერცხვენა ადამიანის სიკვდილის ტოლფასია, თუ უფრო უარესი არა.

გ. ელიავას ამ ინფორმაციიდან კარგად ჩანს, რომ „თავს ლაფის დასხმა“ სხვა სასჯელებთან ერთადაც შეიძლება გამოყენებულიყო. ამ შემთხვევაში იგი წინ უძღვის მოკვეთა-გაძევებას და ხორციელდება სიმბოლურ „ცოცხლად დამარხვასთან“ ერთად. ასევე სხვა ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, იგი შესაძლებელია გამოყენებულიყო სხვა სასჯელებთან, მაგალითად, საჯარო გაკიცხვას-

---

[1] მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 17.

[2] გ. ელიავა, თვითმმართველობის ხალხური ინსტიტუტი ძველ სვანეთში, „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გაერთიანებული სამეცნიერო სესიის მასალები, გეგეჭკორი, 1981, 66.

[3] იქვე.

თან, ვირზე შესმასთან, გაძევებასთან ერთადაც.[1] თავს ლაფის დასხმა ყოველთვის ახლდა თან მთელ საქართველოში ისეთ გავრცელებულ გამაწბილებელ სასჯელს, როგორიცაა დამნაშავის ვირზე შესმა და მისი სოფელში ჩამოტარება. ამ სასჯელებს ჩვენ ცალკე განვიხილავთ და აქედან გამომდინარე, მათთან დაკავშირებულ თავს ლაფის დასხმას ამ სასჯელებზე საუბრისას შევეხებით.

„თავს ლაფის დასხმა“ ჩვენ ცალკე სასჯელად გამოვყავით, იმდენად, რამდენადაც იგი, როგორც ზემოთ გამოჩნდა, დამოუკიდებელი სახითაც ხორციელდებოდა, ყოველგვარი სხვა სასჯელის გარეშე.

5.5. „სამარცხვინო ბოძზე (კეტელზე) გაკვრა“. საქართველოში პიროვნების შერცხვენის აღსანიშნავად იყენებენ ასევე გამოთქმას — „სამარცხვინო ბოძზე გააკრაო“. ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალები გვიჩვენებს, რომ „სამარცხვინო ბოძზე გაკვრას“ პირდაპირი მნიშვნელობით იყენებდნენ საქაროველოს სხვადასხვა კუთხეში გამაწბილებელ სასჯელად. ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით, სასჯელის ეს სახე გამოიყენებოდა ამორალური საქციელის ჩამდენთა მიმართ. თუ საკუთარ სოფელში ვინმე ქურდობას დაიწყებდა (ეს საქართველოში ძალზედ სამარცხვინო საქციელად ითვლებოდა), ან ქალი გარყვნილ ცხოვრებას მიჰყოფდა ხელს (რაც საკმაოდ იშვიათობა იყო), სოფლის თავკაცები მიუსჯიდნენ მას „სამარცხვინო ბოძზე გაკვრას“. ამის თვალსაჩინო მაგალითია ჩვენ მიერ იმერეთში ჩაწერილი შემთხვევა, რომელსაც არაერთი ინფორმატორი ადასტურებს. მათი გადმოცემით, ხარაგაულის რაიონის სოფელ სერბაისში ცხოვრობდა ქალი — გ. ა., რომელიც არ ერიდებოდა არავითარ უპატიოსნო საქციელს, მათ შორის ქურდობასაც. იგი ჯერ სოფლის ყრილობაზე გააფრთხილეს, რომ ამ საქმიანობისათვის თავი დაენებებინა, მაგრამ უშედეგოდ. მაშინ სოფლის თავკაცებმა სოფლის ყრილობაზე მიიღეს გადაწყვეტილება: სისტემატური ქურდობისათვის და უპატიოსნო ცხოვრებისათვის, რაც სოფელ სერბაისის სახელს ბღალავდა, დაუდგინეს სამი დღით სამარცხვინო ბოძზე გაკვრა. ბოძი ჩასვეს ეკლესიის ეზოში და მიაკრეს ზედ თოკით. იგი ფეხზე იდგა და ტანსაცმლიანი იყო. სამი დღის განმავლობაში მზის ქვეშ იდგა

[1] გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 8; ა. დევიძე, სამანი, გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, 16 ივნისი, 1990; ნ. ბერულავა, სახალხო შერცხვენა-გაქირდვის ერთი წესი ძველ საქართველოში, გაზეთი „საბჭოთა სვანეთი“, 18 იანვარი, 1966.

მშიერ-მწყურვალი. მასთან ახლოს არავის უშვებდნენ. თუ ვინმე ხელებს გაუხსნიდა, ან დაეხმარებოდა, მასაც იმავე ელოდა.[1] იმერეთში მომხდარ კიდევ ერთ შემთხვევაში, „სამარცხვინო ბოძზე“ გააკრეს ქურდი, რომელიც არაერთხელ გააფრთხილეს, რომ ამ საქმიანობას ჩამოსცილებოდა. თუმცა, როდესაც მორიგ ქურდობაზე წაასწრეს, ჯერ ხეზე მიაბეს, შემდეგ კი სოფლიდან გააძევეს.[2] როგორც ვხედავთ, ერთ შემთხვევაში, აღნიშნული სასჯელის აღსასრულებლად სპეციალურად ბოძი ჩაასვეს მიწაში, ხოლო მეორეში „სამარცხვინო ბოძად“ ხე იქნა გამოყენებული.

სამეგრელოში კი ჩაწერილია ფაქტი, როდესაც სოფელ სერბაისში მომხდარი შემთხვევის მსგავსად, ხალხის გადაწყვეტილებით, „სამარცხვინო ბოძზე“ გააკრეს ქურდი და ამავე დროს, სუსტი ყოფაქცევის ქალი. იგი მიუყვანიათ სოფლის ცენტრში და ხეზე მიუკრავთ. ხალხი ჩამდგარა რიგში და სათითაოდ მიუფურთხებია ამ ქალისათვის. ამის შემდეგ იგი თურმე გამოსწორებულა.[3] ამ შემთხვევაში დამნაშავის ხეზე მიკვრას, როგორც სასჯელს, ინფორმატორი „სამარცხვინო ბოძზე გაკვრას“ არ უწოდებს, თუმცა ამ სასჯელის აღწერილობიდან გამომდინარე, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია იგი „სამარცხვინო ბოძზე გაკვრად“ განვიხილოთ, რადგანაც ამ სასჯელის უმთავრესი მომენტი დამნაშავის ხეზე გაკვრაა, ხოლო ხე ამ შემთხვევაში საზოგადოების მიერ „სამარცხვინო ბოძად“ აღიქმება. ხეზე მიკვრა კი სწორედ დამნაშავის შერცხვენის გამოხატულებაა. ამ შემთხვევაში დამნაშავის ხეზე მიკვრასთან ერთად მისთვის მიფურთხებაც ხდება, რაც „სამარცხვინო ბოძზე გაკვრის“ შემარცხვენელ ეფექტს კიდევ უფრო ამძაფრებს.

„სამარცხვინო ბოძზე გაკვრა“, მიუხედავად იმისა, მიწაში ჩასმული ბოძის თუ ხის გამოყენებით ხდებოდა, მიზნად ისახავდა დამნაშავის საჯარო შერცხვენას მისი ამორალური ცხოვრების წესის გამო. როგორც მასალებიდან გამოჩნდა, განსახილველი სასჯელი შესაძლოა დამატებითიც ყოფილიყო. ერთ-ერთ ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში იგი წინ უსწრებს სოფლიდან გაძევებას, როგორც ძირი-

[1] გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 32.

[2] იქვე, 43.

[3] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 21-22.

თად სასჯელს, თუმცა ძირითად სასჯელადაც გამოიყენებოდა.

აქ მოყვანილი მასალიდან კარგად გამოჩნდა, რომ „სამარცხვინო ბოძზე გაკვრა“ გარკვეულ ფიზიკურ ტანჯვასთანაც იყო დაკავშირებული. მაგალითად, ხარაგაულის რაიონში ჩაწერილი ზემოთ მოყვანილი შემთხვევით თუ ვიმსჯელებთ, დასჯილი ქალი სამი დღე-ღამე იყო გაკრული ბოძზე, ამ დროის მნიშვნელოვანი ნაწილის განმავლობაში მზის ქვეშ, თან არავის ჰქონდა უფლება მისთვის საჭმელ-სასმელი მიეწოდებინა. ყოველივე ეს მართლაც, საკმაოდ დიდ ფიზიკურ განცდებთან არის დაკავშირებული. მაგრამ მთავარი ამ სასჯელში, რა თქმა უნდა, დამნაშავის ზნეობრივი გაკიცხვა, მისი საჯარო შერცხვენაა. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ სასჯელის არსს, მასში ზნეობრივი დამცირების პრიმატს, ფიზიკურ ტანჯვასთან შედარებით, მისი სახელწოდებაც გამოხატავს — „სამარცხვინო ბოძზე გაკვრა“. ზოგიერთი სხვა შემთხვევისას დამნაშავისათვის სოფლის მცხოვრებთა მხრიდან სათითაოდ მიფურთხება ასევე ამ სასჯელის გამაწბილებელ ხასიათზე მიუთითებს.

ქსნის ხეობაში ჩაწერილ მასალაში მ. კეკელიას დაფიქსირებული აქვს სასჯელი, როდესაც ამორალურ ქალს არა ხეზე, ან ბოძზე, არამედ კედელზე აკრავდნენ ჯაჭვით (ხელებითა და ფეხებით), სოფლის მამაკაცების გადაწყვეტილებით, ხოლო სოფლის ქალები მიდიოდნენ და აფურთხებდნენ მას.[1] აღნიშნული სასჯელიც, რაც დამნაშავის კედელზე გაკვრაში გამოიხატება, ჩვენი აზრით, აშკარად გამაწბილებელი ხასიათისაა და „სამარცხვინო ბოძზე გაკვრის“ გარკვეულ ნაირსახეობად, თუ მასთან ახლოს მდგომ სასჯელად შეიძლება მივიჩნიოთ. „სამარცხვინო ბოძის“ როლს აქ კედელი ასრულებს, რომელსაც ფიგურალურად „სამარცხვინო კედელი“ შეიძლება ვუწოდოთ.

5.6. „კალთაის მოჭრა“, „თასის ჩამაყრა“. ეს გამაწბილებელი, შემარცხვენელი სასჯელები გვხვდება ხევსურეთში. მათი გამოყენება ხდებოდა სოფლის გადაწყვეტილებით, შედარებით მცირემნიშვნელობის საქმეზე, რისთვისაც მოკვეთას ვერ მიუსჯიდნენ. ამ სასჯელთა შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას გვაწვდის ალ. ოჩიაური და ამიტომ მათზე საუბრისას, ძირითადად, მას დავეყრდნობით. ალ. ოჩიაურის განმარტებით, ამ სასჯელების გამოყენება შემდეგ შემთხვევებში ხდებოდა: თუ მამაკაცი ისე ვერ უძღვებოდა ოჯახს როგორც საჭირო იყო და მას ცოლი ჩაგრავდა, თუ ცოლი საზოგადოებაში ჩხუბობდა,

[1] მ. კეკელია, მასალები ქსნის ხეობის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1985, 9-10.

ილანძღებოდა, ყვიროდა და ქმარი მის ასეთ საქციელს ვერ აღკვეთდა, თუ მამაკაცს ქალთან ურთიერთობაში რაიმე არასაკადრისის ჩადენას დააბრალებდნენ და ის თავს ვერ იმართლებდა, თუ მშობლებს ცუდად ექცეოდა და სხვა. მოკლედ რომ ვთქვათ, ხევსურეთში მოქმედ წესებს ვერ ასრულებდა, სილაჩრეს იჩენდა, თუმცა მოსაკვეთი დანაშაულიც არ ჰქონდა ჩადენილი.[1]

როდესაც ასეთი ქმედების ჩამდენის მიმართ სოფელი გადაწყვეტდა „კალთაის მოჭრას", ამ სასჯელის აღსრულებას დაავალებდნენ ერთ პიროვნებას, უფრო იმ კაცის ახლობელს („თავისიანს"). ეს ხდებოდა რაიმე დღეობაზე, სადაც ხალხი იყო შეკრებილი („სადაც ჯარია გამართული"). აღნიშნული პიროვნება მივიდოდა იმასთან, ვისთვისაც კალთა უნდა მოეჭრა, ამოიღებდა ხანჯალს, დაუჭერდა ჩოხის კალთას, მოაჭრიდა მას და ეტყოდა: „შენ ესა და ეს ჩაიდინე. ჯარზე მოსაშვები არა ხარ, კალთამოსაჭრელი ხარ, სამარცხვინო და თუ კიდევ ასეთს გაიმეორებ, უარესიც დაგემართებაო".[2] ალ. ოჩიაურის განმარტებით, „კალთაის მოჭრა" დიდი შეურაცხყოფა იყო, თუმცა დასჯილს ჯვარისა და ხალხის ხათრით უნდა მოეთმინა. იგი სირცხვილის გამო დღეობაზე ველარ გაჩერდებოდა[3] და როგორც ჩანს, სალოცავში დღეობაზე მისვლას, „ჯარზე" დასწრებას მხოლოდ მას შემდეგ შეძლებდა, რაც ხალხი დართავდა ამის ნებას. ალ. ოჩიაურის თქმით, გარკვეული დროის შემდეგ სოფელი თვითონ მიიყვანდა „ჯარზე", გააფრთხილებდა და წესიერებისკენ მოუწოდებდა.[4]

როგორც ვხედავთ, „კალთაის მოჭრა" საჯაროდ ხდებოდა, სასჯელმისჯილისათვის სრულიად მოულოდნელად (სოფლის შესაბამისი გადაწყვეტილება მისგან ფარულად მიიღებოდა), რაიმე დღეობაზე, განსაზღვრული ცერემონიალის ჩატარებით. აღნიშნული საჯაროობა და შესაბამისი ცერემონიალის დღეობაზე, ხალხის თანდასწრებით ჩატარება, ცხადია, განაპირობებდა განსახილველი სასჯელის გამაწბილებელ, შემარცხვენელ მნიშვნელობას.

„კალთამოჭრილს" რომ გარკვეული ხანი „ჯარზე" არ უშვებდ-

---

[1] ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, 1949-1950, კრებული ქართული ჩვეულებითი სამართალი, №2, 178; მისივე, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილი-მიღმახევი), თბ., 2005, 159.

[2] ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

ნენ, ეს ნ. ბალიაურთანაც ჩანს. მისი მონათხრობის მიხედვით, სოფელ ახიელის მცხოვრებს უკანონო შვილი გაუჩენია თავისი მოგვარისაგან, რაც ხევსურული წესების არსებით დარღვევას წარმოადგენდა. ქალი სოფლიდან გაუძევებიათ და მამის ოჯახი 20 წელი არ ირიგებდა მას, ბოლოს კი ძმას შეურიგებია. ვაჟისთვის კი აღნიშნული სამარცხვინო საქციელის ჩადენისათვის „კალთა მოუჭრიათ“.[1] ეს დიდ სირცხვილად ითვლებოდა და როგორც ნ. ბალიაური განმარტავს: ხალხი ეტყოდა დასჯილს, „რომ შენ ხალხში დასაჯდომი არა ხარო“.[2] ვაჟი ერთი წლის შემდეგ შემოურიგებიათ.[3] აქ კარგად ჩანს, რომ „კალთა-მოჭრილს“ გარკვეული ხანი საზოგადოების თავშეყრის ადგილებში ყოფნა („ხალხში დაჯდომა“) აეკრძალა.

საინტერესოა, რომ „კალთაის მოჭრა“ XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ჩაწერილ მასალებშიც გვხვდება.[4]

ასეთივე შემთხვევებში ხდებოდა „თასის ჩამაყრის“ გამოყენებაც. ალ. ოჩიაურის განმარტებით, „თასის ჩამაყრა“ ისეთივე წესით ხდებოდა, როგორც „კალთაის მოჭრა“. ისიც სოფლის გადაწყვეტილებით ჯვარში ტარდებოდა, რომელიმე დღეობისას და მას სასჯელმისჯილის ახლობელი ახორციელებდა სოფლის დავალებით. „თასის ჩამაყრაც“ უდიდესი შეურაცხყოფა იყო, თუმცა ამ შემთხვევაშიც სასჯელმისჯილი ჯვარისა და ხალხის ხათრით სასჯელის აღმსრულებელს ვერაფერს უპასუხებდა, ხალხის გადაწყვეტილების წინააღმდეგ იგი ვერ წავიდოდა.[5] ალ. ოჩიაურს „თასის ჩამაყრის“ კონკრეტული ფაქტიც მოჰყავს, რომელსაც არხოტში ჰქონია ადგილი. იგი მოგვითხრობს: „ახიელში ჩაბაკაურთ გაგა თურმე ვერ უვლიდა კარგად მოხუცებულ დედას, საჭმე-სასმელს დროზე ვერ აძლევდა, რასაც მისცემდა იმასაც საყვედურით. დაავალეს ერთ-ერთს იმისავე მოგვარეს. ერთ დღეობაში გაგა ჯარზე მოვიდა, დასვეს და ლუდიანი თასი მისცეს ხელში. მივიდა დავალებული კაცი (სახელი არ მახსოვს ვინ იყო) და თასი ხელიდან ჩამოართვა და უთხრა: „შენ თასის და

[1] ნ. ბალიაური სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 80.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 68.

[5] ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები II, 1949-1950, კრებული ქართული ჩვეულებითი სამართალი, №2, 179.

ჯარზე ყოფნის ღირსი არ ხარ, რომ მშობელ დედას სცემ და ცუდად ექცევი, წადი, დაიღუპე აქედან. თუ ამას არ მაიშლი და დედას ისე არ მოუვლი როგორც წესია, სულ მოგიკვეთო სოფელი“.[1]

როგორც ვხედავთ, „კალთაის მოჭრის“ მსგავსად „თასის ჩამაყრაც“ საჯაროდ ტარდებოდა, რომელიმე დღეობაზე, ხალხის თანდასწრებით. მისი განხორციელებაც დასჯილის ახლობელს (მოგვარეს) ევალებოდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში „თასის ჩამაყრა“ მოხუცი მშობლის არასათანადოდ მოვლის გამო გადაუწყვიტეს პიროვნებას. როგორც ამ შემთხვევიდან ჩანს, „თასის ჩამაყრა“ გამოიხატებოდა დღეობაზე სასჯელმისჯილისათვის მიწოდებული ლუდის თასის ჩამორთმევაში, რაც დიდი სირცხვილი იყო და მის საჯარო შერცხვენას იწვევდა. აღნიშნული სასჯელის გამოყენებასაც მოსდევდა საჯაროდ შერცხვენილის დღეობიდან გაძევება.

ამრიგად, „კალთაის მოჭრას“ და „თასის ჩამაყრას“ ბევრი საერთო აქვს, მხოლოდ შესაბამისი ცერემონიალი ტარდებოდა განსხვავებულად. ორივე ამ გამაწბილებელი სასჯელის გამოყენება შედარებით მცირემნიშვნელობის საქმეებზე ხდებოდა, თუმცა, თუ სასჯელმისჯილი პიროვნება გააგრძელებდა იმ საქმიანობას, რისთვისაც მას „კალთაის მოჭრა“, ან „თასის ჩამაყრა“ მიუსაჯეს, როგორც ზემოთ მოყვანილ მონაცემებში გამოჩნდა, მაშინ მას უფრო მძიმე სასჯელსაც დააკისრებდნენ, კერძოდ, სოფელი მას მოიკვეთდა.

5.7. დამნაშავის სოფელში ჩამოტარება. ჩვენს ხელთ არსებული ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დამნაშავის სოფელში ჩამოტარება ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გამაწბილებელი სასჯელი იყო მთელს საქართველოში. იგი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება. ინფორმატორები იხსნებენ არაერთ კონკრეტულ შემთხვევას დამნაშავის სოფელში ჩამოტარებისა, რომლებსაც თვითონაც შესწრებიან. ძირითადად სოფელში ქურდს ჩამოატარებდნენ ხოლმე. ძველად ქართულ სოფლებში იშვიათი იყო ქურდის გამოჩენა. თუ ეს მაინც მოხდებოდა, მას არა მარტო ნაქურდალს დააბრუნებინებდნენ, არამედ ხშირად მის მიმართ გამაწბილებელ სასჯელსაც იყენებდნენ, რადგანაც ქურდობა უზნეო და სამარცხვინო საქციელად ითვლებოდა.

ქურდის სოფელში ჩამოტარება სხვადასხვა ფორმით შეიძლება მომხდარიყო. ყველაზე გავრცელებული ფორმა გახლდათ სოფელ-

[1] ალ. ოჩიაური, იქვე.

ში ქურდის ნაქურდალით ჩამოტარება. ქურდს ნაქურდალს ან ზურგზე აჰკიდებდნენ, ან ხელში დააჭერინებდნენ და ისე ჩამოატარებდნენ სახალხოდ სოფელში. ხალხი აფურთხებდა მას, წყევლიდა, არცხვენდა.[1]

კონკრეტული მაგალითების მოყვანა საქართველოს არაერთი კუთხიდანაა შესაძლებელი. აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება ახალი დამყარებული იყო, როცა პიროვნებამ წისქვილიდან სიმინდი მოიპარა. ნაქურდალი სიმინდი ქურდს ზურგზე აჰკიდეს და დილიდან საღამომდე სოფელში ატარებდნენ,[2] ხოლო იმავე პერიოდში ერთი ხელი ლოგინის ქურდს, ნაქურდალი ზურგზე აჰკიდეს და სოფელში ჩამოატარეს.[3] იმერეთში (სოფელ ვახანში) ქურდს ზურგზე აჰკიდეს მოპარული ქათმები და ისე ჩამოატარეს სოფელში.[4] ერთ-ერთი მოხვევ ინფორმატორი კი ბავშვობაში თავად გამხდარა მსგავსი გამაწბილებელი სასჯელის მსხვერპლი. მას ათი წლის ასაკში თანატოლებთან ერთად მოუპარავს მზესუმზირა. ეს გაიგეს სოფლის უფროსმა კაცებმა და მათ ყველა ქურდ ბიჭს კისერზე დაჰკიდეს მოპარული მზესუმზირა და ასე ჩამოატარეს სოფელში.[5]

ხშირად ნაქურდალით ჩამოტარებულს აიძულებდნენ ეყვირა, რომ ის ქურდია და ესა და ეს მოიპარა. მაგალითად, იმერეთში ჯამის ქურდი ნაქურდალით ხელში ჩამოატარეს და თან აყვირებდნენ: „ჯამის ქურდი ვარო“,[6] ლობიოს ქურდ ქალებს კი აძახებინებდნენ: „ქურდები ვართ ლობიოსიო“.[7] მსგავსი ფაქტი მრავლადაა დაფიქ-

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 60; ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 1; ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 32, 37-38, 81.

2 ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991, 8.

[3] ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1990-1991, 37.

[4] გ. დავითაშვილი, მასალები იმერულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 33.

[5] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1984, 68.

6 მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 5.

7 მ. კეკელია, იქვე, 8.

სირებული გურიაშიც: მაღაზიის გამტეხს ნაქურდალი კისერზე ჩამოჰკიდეს, სოფელში ასეთი სახით ჩამოატარეს და თან აყვირებდნენ — „მოვიპარე, მოვიპარე და მეტს აღარ ვიზამო“,[1] ხოლო სიმინდის ქურდს ნაქურდალი სიმინდი გოდრით აჰკიდეს და სოფელში ჩამოტარებისას აყვირებდნენ: „მე ქურდი ვარ, ეს სიმინდი ამა და ამ კაცისგან მოვიპარეო“.[2] მსგავსი რამ ხაპის ქურდს გაკეთებინეს სოფელ შემოქმედში.[3] ქურდის ნაქურდალით ჩამოტარება სამეგრელოშიც ფიქსირდება. მაგალითად, ინდაურის ქურდები ნაქურდალით ხელში ჩამოატარეს სოფელში და თან აყვირებდნენ: „მე მოვიპარე, მე მოვიპარეო“.[4] ცხენის ქურდს კი სამეგრელოში ხელში აჭერინებდნენ ლაგამს და ასე ჩამოატარებდნენ სოფელში ხალხის თვალწინ, თან იძახდა, რომ „მე ცხენი მოვიპარეო“.[5]

საინტერესოა, რომ ქურდის სოფელში ნაქურდალით ჩამოტარება არც აღმოსავლეთ საქართველოსთვის, კერძოდ, ქართლისთვის იყო უცხო. გ. ჟორდანიას განმარტებით, ქართლში ხშირად ხდება სოფელში ქურდის ნაქურდალით ჩამოტარება. თან ქურდს აიძულებენ იყვიროს რომ ის ქურდია და მან რაღაც მოიპარა.[6]

ქურდის ნაქურდალით ჩამოტარების თავისებური ფორმა იყო ქურდისთვის ფიცრის, ქაღალდის, თუ ლენტის ჩამოკიდება შესაბამისი წარწერით. ეს განსაკუთრებით გურიაში იყო გავრცელებული. მაგალითად, მაღაზიის ქურდებს სოფელმა ზურგზე მიაკრა ფანერა, რომელსაც მიაწერა „ქურდია“ და სოფელში (საჭამიასერში) ჩამოატარა.[7] ზემო სურებში კი წინდების ქურდს ფიცარი მიაკრეს

---

[1] გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 5.

[2] ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1989, 10.

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 54.

[4] ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 48.

[5] ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 13.

[6] Г. Жорданиа, Ӏретеиский суд в Сванетии,. «Закавказье», 1912, #2-3.

[7] გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 22.

იმავე წარწერით.[1] აქვე ძროხის ქურდს ზურგზე დააწერეს „ძროხის ქურდიაო".[2] ეს ამბები მენშვიკების დროსა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდში მომხდარა. საინტერესოა, რომ მსგავს შემთხვევას გურიაში XX საუკუნის 80-იან წლებშიც ჰქონია ადგილი. 1989 წელს ჩაწერილ მასალაში ვკითხულობთ: „7 წლის წინათ კაცმა ქათმები მოიპარა. სოფელმა მოიწვია კრება. კრებამ გადაწყვიტა შეერცხვინა ეს ქურდი. ლენტი დაკიდეს მხარზე და დააწერეს ქურდი. ჩამოკიდეს ზურგზე ქათმები და სოფელში ჩამოატარეს."[3] ლენტით ჩამოტარებას ძირითადად გურიაში ვხვდებით. ამას სხვა ინფორმატორებიც ადასტურებენ.[4]

ქურდის ზურგზე მიკრული ქაღალდით ჩამოტარება იმერეთსა და აჭარაშიც ჩანს. ქაღალდზე მიაწერდნენ, თუ რა ჩაიდინა და ისე ჩამოატარებდნენ სოფელში.[5] იმერეთში დაფიქსირებულია შემთხვევა, როდესაც ქურდებს (უფრო სწორად კი ფულის გამომძალველებს, რომლებიც ხალხმა დაიკავა) ქალის საცვლები ჩააცვეს და ისე ჩამოატარეს სოფელში. შემდეგ კი სოფლის ყრილობის გადაწყვეტილებით, სოფლიდან გააძევეს.[6]

შესაძლებელია დამნაშავის სოფელში ჩამოტარება არა მარტო ქურდობისას, არამედ სხვა დანაშაულის დროსაც მომხდარიყო. ძირითადად ეს ზნეობრივ, სქესობრივ სფეროში მომხდარ დანაშაულს ეხება.

სამაგალითოდ რამდენიმე შემთხვევას მოვიყვანთ. იმერელი ინფორმატორი მოგვითხრობს, რომ საჩხერეს რაიონის სოფელ არეკში ქალი სახელად მელანო ღალატობდა მეუღლეს (სახელად სპირიდონს). სოფელმა ამ საქციელისათვის მელანოს გადაუწყვიტა სოფელში ჩამოტარება. ხის ნიჩაბზე (ყურძნის საწურზე) დაწერეს:

---

[1] გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 2.

[2] იქვე, 8.

[3] იქვე, 20.

[4] იქვე, 32; დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 36.

[5] დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 62; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 35.

[6] გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 8.

„მელანო ტყუის სპირიდონთან“ და ამ ნიჩბით ჩამოატარეს სოფელში. ხალხი არცხვენდა მას.[1] მესხეთში ჩაწერილი მასალით კი სოფელში ჩამოტარებას ადგილი შეიძლება ჰქონოდა გაუპატიურების შემთხვევაში. გამაწბილებელი სასჯელით დასჯის შემდეგ დამნაშავეს სოფლიდან აძევებდნენ.[2] აქ გაძევება ძირითადი სასჯელია, რომელსაც წინ გამაწბილებელი სასჯელი უძღვის.

ამრიგად, დამნაშავის სოფელში საჯაროდ ჩამოტარება საქართველოში უაღრესად გავრცელებული გამაწბილებელი სასჯელი იყო და ძირითადად ქურდების მიმართ გამოიყენებოდა. თუმცა სხვა შემთხვევებშიც (მეუღლის ღალატი, გაუპატიურება) არ იყო მისი მისჯა გამორიცხული. როგორც დავინახეთ, სოფელში დამნაშავის ჩამოტარება სხვადასხვა ფორმით ხდებოდა: ნაქურდალის კისერზე ჩამოკიდებით, მისი ხელში დაკავებით, დამნაშავისათვის ზურგზე შესაბამისი წარწერის (ქურდია და მისთ.) მქონე ქაღალდის, ფიცრის მიკვრით, მხარზე წარწერიანი ლენტის ჩამოკიდებით, ქალის საცვლების ჩაცმით და სხვა. ამ სასჯელის დაკისრება, როგორც წესი, სოფლის ყრილობის მიერ წყდებოდა, თუმცა შეიძლება ეს სოფლის თავკაცების გადაწყვეტილებითაც მომხდარიყო. ცხადია, აღნიშნული სასჯელის აღსრულება საჯაროდ, მთელი სოფლის დასანახად ხდებოდა და მას ხშირად სდევდა სოფლის მცხოვრებთა მხრიდან დამნაშავის დაწყევლა, შეურაცხყოფა, შეფურთხება და სხვა.

5.8. ლენტის ტარება. წინა გამაწბილებელი სასჯელის განხილვისას დავინახეთ, რომ გურიაში დამნაშავის სოფელში ჩამოტარებისას შესაძლებელია მისთვის მხარზე ლენტი ჩამოეკიდათ წარწერით „ქურდი“ და სანამ ჩამოტარება მიმდინარეობდა, დამნაშავე ამ ლენტს ატარებდა. ამ შემთხვევაში ლენტის ტარება დამნაშავის ჩამოტარების, როგორც სასჯელის შემადგენელი ნაწილია და მხოლოდ ამ ჩამოტარების დროით შემოიფარგლება. ამჯერად, განვიხილავთ „ლენტის ტარებას“, როგორც დამოუკიდებელ გამაწბილებელ სასჯელს.

ეს სასჯელი ასევე გურიაში გვხვდება. მისი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ლენტს დამნაშავეს ჩამოჰკიდებდნენ, არა მისი სოფელში ჩამოტარების მიზნით, არამედ გარკვული ვადით. უმთავრესად ამ სასჯე-

---

[1] გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 79.

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986, 32.

ლის გამოყენებაც ქურდობისას ხდებოდა. ინფორმატორის განმარტებით, იგი გამოიყენებოდა „გამოუსწორებელი ქურდის“ მიმართ.[1] ლენტს მკერდზე მიაკერებდნენ ან ჩამოჰკიდებდნენ, ხოლო ზედ მიწერილი ჰქონდა, რომ იგი ქურდია ან „გამოუსწორებელი ქურდი“.[2] ცხადია, დამნაშავეს მოპარულ ქონებას დააბრუნებინებდნენ, ან ნაქურდალის ღირებულებას ანაზღაურებინებდნენ, თუმცა ამის გარდა შესაძლოა „ლენტის ტარებაც“ დაეკისრებინათ გარკვეული ვადით, ინფორმატორთა განმარტებით, რამდენიმე კვირით, ორი თვით, ექვსი თვით, მაქსიმუმ კი ერთი წლით (ეს დამოკიდებული იყო ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა თუ რაოდენობრიობაზე). ამ ხნის განმავლობაში დამნაშავეს არ ჰქონდა უფლება ლენტი მოეხსნა და ყველგან ამ ლენტით უნდა ყოფილიყო. თუ თვითნებურად მოიხსნიდა, სასჯელს დაუმძიმებდნენ.[3]

გურიაში ჩაწერილი მასალებიდან ჩანს, რომ „ლენტის ტარება“ საჯარო სასჯელია. მას და მის ხანგრძლივობას სოფლის საზოგადოება განუსაზღვრავდა დამნაშავეს. გარკვეული ვადით საზოგადოებაში სიარული მკერდზე მიკრული ლენტით, რომელსაც აწერია „ქურდი“, ცხადია, დამნაშავისათვის უაღრესად შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი იყო, რაც „ლენტის ტარებას“ გურიაში საკმაოდ ეფექტურ გამაწბილებელ სასჯელად წარმოაჩენს.

5.9. ვირზე შესმა. ვირზე შესმა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გავრცელებული გამაწბილებელი სასჯელი იყო. მას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ვხვდებით, მეტ-ნაკლებად განსხვავებული ვარიაციით.

ზოგადად ვირზე შესმა შემდეგნაირად ხდებოდა: ქმრის მოღალატე ცოლს, ან მეძავ ქალს ვირზე პირუკუ სვამდნენ, ვირის კუდს ხელში დააჭერინებდნენ და სოფელში აატარ-ჩამოატარებდნენ. სოფლელები მას აფურთხებდნენ, ლაფს ესროდნენ.[4]

აღსანიშნავია, რომ ვირზე შესმა საქართველოში სასჯელის საკმაოდ ძველი სახეობაა. მაგალითად, იგი არსებულა ძველ კოლხეთში,

---

[1] დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 25.

[2] იქვე, 25-26, 40, 48-49.

[3] იქვე.

[4] გ. დავითაშვილი, ო. ზოიძე, საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში (იმერეთი, ლეჩხუმი, გურია, აჭარა, 1989), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, №3, თბ., 1991, 172.

რის შესახებაც მოგვითხრობს VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათაია სქოლასტიკოსი.[1] საინტერესოა, რომ ეს გამაწბილებელი სასჯელი არც ბიზანტიური სამართლისათვის იყო უცხო.[2]

არაერთ ცნობას ამ სასჯელის გამოყენების შესახებ ვხვდებით XIX-XX საუკუნის მასალებშიც. მოვიყვანთ ერთ კონკრეტულ ფაქტს, რომელიც 1876 მომხდარა სოფელ პატარა თიანეთში: ქვრივმა მელანია კ-მა დაბადა მკვდარი ბავშვი დავით დ-თან მრუშობის შედეგად. მათ სულიერი ნათესაობა ჰქონიათ. ამ უმსგავსო საქციელის გამო შეკრებილა სოფლის კრება და გადაწყვიტეს მელანიას დასჯა. ამისათვის აირჩიეს 18 კაცი. მათ მეთაურობდა სოფლის უხუცესი ალთუნაშვილი და მოსამართლე სარქისოვი. მშობიარობის შემდეგ მწოლიარე მელანია გამოიყვანეს სახლიდან, ამოსვარეს ტალახში, შესვეს ვირზე და დაჰყავდათ სოფლის ქუჩებში.[3]

ანალოგიურ ცნობას ვხვდებით გაზეთ „დროების“ 1883 წლის კორესპონდენციაშიც. კორესპონდენციის ავტორი წერს: „ჩვენში მრუშობისათვის კაცს, თუ დედაკაცს, როდესაც ბოზობაზეც მოასწრებდნენ ვისმე შეიყრებოდა მთელი სოფელი, ჯერ სულ შემურავდნენ, მერე პირუკუღმა შესვამდნენ ვირზედ, ჩამოატარებდნენ მთელ სოფელზედ და თავზე ლაფს დაასხამდნენ. რა თქმა უნდა, ეს იყო დიდი ზნეობითი სასჯელი, რომელსაც დამნაშავის სინდისზედ უნდა ემოქმედა და მაყურებელი შემდეგისათვის გაეფრთხილებინათ. ასე კაცის დასჯა თუმცა ახალი კანონით სასტიკად აკრძალულია, მაგრამ თითქმის წელიწადი არ გავა, რომ რომელიმე საქართველოს კუთხეში სადმე კაცი, ან დედაკაცი ვირზედ არ შესონ. ერთი ასეთი ამბავი ამ

---

[1] გ. ნადარეიშვილი, კერძო და საჯარო სასჯელები ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ალმანახი, №14, ოქტომბერი 2000, 125.

[2] ამის დასტურს წარმოადგენს თუნდაც ბერძნული სამართლის ქართული ვერსია, რომელიც ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულშია შესული. ამ ძეგლის მე-2 მუხლით, უსამართლო მოსამართლე ხელმწიფემ უნდა გადააყენოს და ასევე მის მიმართ გამოიყენოს გამაწბილებელი სასჯელიც, კერძოდ, „პირი შავად შეუღებოს, ვირზედ შესვას, ცხურის ფაშვი თავს ჩამოაცვას და სულ ბაზარი და ქუჩები ასე შემოარონინოს....“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, ტ. 1, თბ., 1963, 133). როგორც ვხედავთ, საქართველოს მსგავსად აქაც მურგასმულ, ვირზე შესმულ დამნაშავეს საჯაროდ შემოატარებდნენ ხოლმე ქუჩებს.

[3] "Гифликий Вестник", 1880, №41.

ამ ორი წლის წინათ სოფ. ნორიოში მოხდა....."[1]

ამ ცნობიდან კარგად ჩანს, რომ ვირზე შესმა არა მარტო ქალის, არამედ მამაკაცის მიმართაც შეიძლება გამოყენებულიყო, ძირითადად, უკანონო სქესობრივი კავშირისათვის. აღსანიშნავია, რომ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, ვირზე შესმა არა მარტო სქესობრივ სფეროში ჩადენილი დანაშაულისათვის, ამორალური საქციელისათვის ხდებოდა. ზოგიერთი ცნობით, აღნიშნული გამაწბილებელი სასჯელი გამოიყენებოდა ქურდობისას, ცილისწამებისას, დასმენისას, ცრუ ჩვენების მიცემისას.[2] ი. მეუნარგიას მიხედვით კი, სამეგრელოში ვირზე შესმა გამოიყენებოდა ბრძოლიდან გამოქცევისათვის, როდესაც ლეჩაქმოხდილ დამნაშავეს პირუკუღმა შესვამდნენ ვირზე და ხალხში ჩამოატარებდნენ.[3]

ვირზე შესმის შესახებ ცნობები, მათ შორის რამდენიმე კონკრეტული ფაქტი XX საუკუნის მონაცემებითაც (მათ შორის XX საუკუნის ბოლოს ჩაწერილით) ფიქსირდება საქართველოს არაერთ კუთხეში, კერძოდ, იმერეთში,[4] რაჭაში,[5] ხევში,[6] ქართლში[7], მთიუ-

[1] „დროება", 1883, №93.

[2] ნ. ბერულავა, სახალხო შერცხვენა-გაქირდვის ერთი წესი ძველ საქართველოში, გაზეთი „საბჭოთა სვანეთი", 1966, 18 იანვარი; ქურდობის გამო ვირზე შესმით დასჯის ფაქტი ქსნის ხეობაში ფიქსირდება. კერძოდ, მ. კეკელიას ინფორმატორი მოგვითხრობს, რომ დაახლოებით XX საუკუნის 70-იან წლებში სოფელ საზუეთში ერთ მოზარდს თურმე ქურდობაზე წაასწრეს. მასზე ადრეც ჰქონიათ ეჭვი. ფაქტზე წასწრების შემდეგ, სოფლის გადაწყვეტილებით, უკუღმა შესვეს ვირზე, კუდი დააჭერინეს და ისე ჩამოატარეს სოფელში (მ. კეკელია, მასალები მთიულეთის ჩვეულებით სამართალზე (ქსნის ხეობა), ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 24).

[3] ი. მეუნარგია, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბ., 1939, 41.

[4] მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 5.

[5] მ კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, ხელნაწერი, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1-3.

[6] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1984, 29.

[7] Г. Жорданиа, Народно-уголовные суды Карталинии, «Закавказье», 1911, №258.

ლეთში (ქსნის ხეობა),[1] მესხეთში[2], ფშავში[3].

ამ მასალებითაც ვირზე შესმას უმთავრესად ამორალური ქმედებისათვის (უკანონო სქესობრივი კავშირი, მეძაობა) უსჯიდნენ. მათ მიხედვით, აღნიშნული სასჯელის აღსრულების საინტერესო ნიუანსებზეა შესაძლებელი ყურადღების გამახვილება. მაგალითად, მესხეთში ჩაწერილი მასალების მიხედვით ჩანს, რომ ვირზე შესმით დასჯილი შესაძლოა სოფელში ჩამოეტარებინათ არა ერთხელ, არამედ რამდენჯერმე. ერთი ცნობით — სამჯერ[4], მეორეთი კი — შვიდჯერ[5]. როგორც ჩანს არაერთხელ ჩამოტარება ეს წესი იყო, ხოლო რამდენჯერ უნდა მომხდარიყო ეს, სავარაუდოა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადგენდნენ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე. ხევში დაფიქსირებული ფაქტი კი გვიჩვენებს, რომ საქართველოს ამ კუთხეში ვირზე შესმით დასჯილის ჩამოტარება შესაძლოა ერთი სოფლით არ შემოფარგლულიყო და ამ სასჯელის აღსრულების ცერემონიალს მთელი თემის ტერიტორია მოეცვა. ასეთი შემთხვევა მომხდარა სოფელ სიონში. სოფლის მცხოვრებმა ნ. ს-მ თანასოფლელ ქვრივ ქალს ფულის (ერთი მანეთის) სანაცვლოდ სქესობრივი კავშირის დამყარება შესთავაზა. ამ ქალმა ეს სოფლის კაცებს შესჩივლა. ისინი შეიკრიბნენ სიონის ეკლესიასთან და გადაწყვიტეს: ამორალური საქციელის ჩადენისათვის ნ. ს. ხევის ბოლო სოფელ ცდოში უკუღმა შეესვათ ვირზე და ასე ჩამოეტარებინათ ხევის მეორე ბოლოს არსებულ სოფელ ყანობამდე. ამის შესახებ საიდანღაც გაუგია ნ-ს და ღამით გაპარულა (დაუტოვებია სახლ-კარი).[6] ამ ინფორმაციაში კარგად ჩანს, რომ დამნაშავეს გადაუწყვიტეს ვირზე შესმა და ჩამოტარება ხევის თემის ყველაზე ჩრდილოეთ სოფელ ცდოდან დაწყებული, სამხრეთის მიმართულებით განლაგებული სოფლების

---

[1] მ. კეკელია, მასალები მთიულეთის ჩვეულებით სამართალზე (ქსნის ხეობა), ეთნოგრაფიული რეული, 1985, 24, 27, 68.

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1986, 7, 20.

[3] ლ. ბოძაშვილი, ფშავი და ფშაველები, თბ., 1988, 99.

[4] ჯ. მერაბიშვილი, იქვე, 20

[5] იქვე, 7.

[6] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული №3, 1984, 29.

გავლით, ბოლო სოფელ ყანობამდე, ანუ ვირზე შესმულის ჩამოტარება რამდენიმე სოფელში უნდა მომხდარიყო.

პიროვნების უკულმა ვირზე შესმა და სოფელში საჯაროდ, ყველას დასანახად ჩამოტარება თავისთავად დიდად დამამცირებელი და შეურაცხმყოფელია, თუმცა ხშირად აღნიშნული სასჯელის აღსრულებას დამატებით (როგორც ეს ზემოთ მოყვანილ მაგალითებშიც გამოჩნდა) თან ახლდა სოფლის მცხოვრებთა მხრიდან დასჯილის გაკიცხვა, შერცხვენა, რაც სხვადასხვა სახის მოქმედებით ხორციელდებოდა. ამ დამამცირებელი მოქმედებების შესახებ სხვა მონაცემებითაც შეიძლებოდა მსჯელობა.

მაგალითად, რაჭის ერთ-ერთ სოფელში (წედისი) ქმრის მოღალატე ცოლსა და მის თანასოფლელ საყვარელს მიუსაჯეს ვირზე შესმა და სოფელში ჩამოტარება და შემდეგ გაძევება. თავიდან თურმე მათ ჩაქოლვაზე იყო საუბარი, თუმცა შემდეგ შეცვალეს გადაწყვეტილება. დასჯილებს ვირზე შესმის წინ მთლიანად გახადეს ტანსაცმელი, მთელს ტანზე ნახშირი, ტალახი და საქონლის ნაკელი წაუსვეს, და ამის მერე ჩამოატარეს სოფელში, შემდეგ კი გააძევეს.[1] მსგავსი რამ ქსნის ხეობაში დაფიქსირებულ შემთხვევაშიც გვხვდება. აქაც უკანონო სქესობრივი კავშირის ჩამდენები (ქალიც და კაციც) ვირზე შესმამდე გააშიშვლეს და ნახშირით გამურეს.[2] გ. ჟორდანიას განმარტებით, ქართლის სოფლებში ვირზე შესმით დასჯილს სოფელში ჩამოტარებისას ხალხი დასცინოდა, აბუჩად იგდებდა, ამასხარავებდა, ტალახის გუნდებს ესროდა, ყოველ ტლაპოსთან პროცესია ჩერდებოდა და დასჯილს ტალახს ასხამდნენ.[3] ს. ბერულავას მიხედვით, კი ვირზე შესმას ამორალური საქციელის ჩამდენს უსჯიდნენ სოფლის თავკაცები სოფლის მცხოვრებთა თანხმობით. ვირზე შესმულ მამაკაცს ქუდს ხდიდნენ, ქალს კი მანდილს, ხოლო ჩამოტარებისას სოფლის ყველა მცხოვრები ტალახს ასხმადა თავზე. თუ გვალვა იყო, სოფლის ყველა მცხოვრები ვალდებული იყო, ჰქონოდა წყალში აზელილი მიწა დამნაშავისათვის გადასასხმელად. ასეთი დასჯილი

---

[1] მ. კედელაძე, რაჭის მასალა, 1951, პირადი არქივი, ხელნაწერი, ეთნოგრაფიული რეული №6, 1-3.

[2] მ. კეკელია, მასალები მთიულეთის ჩვეულებით სამართალზე (ქსნის ხეობა), ეთნოგრაფიული რეული, 1985, 68.

[3] Г. Жордания, Народно-уголовные суды Карталинии, «Закавказье», 1911, №260.

ხალხი საზოგადოებაში ვერ გამოდიოდა. გარკვეული დროის შემდეგ კი სოფელი მას შეირიგებდა.[1]

როგორც ვხედავთ, დამნაშავის ვირზე შესმამდე შესაძლებელია იგი გაეშიშვლებინათ, ჭუდი ან მანდილი მოეხადათ, ნახშირით გაემურათ, საქონლის ნაკელი წაესვათ, ტალხში ამოესვარათ. ვირზე შესმის შემდეგ კი ხდებოდა მისი დაცინვა, აბუჩად აგდება, სიტყვიერი შერცხვენა, მიფურთხება, ასევე დამნაშავისათვის ტალახის გუნდების სროლა, ტალახის თავზე გადასხმა. თითქმის ყველა აქ ჩამოთვლილი მოქმედება — გაშიშვლება, გამურვა, ნაკელის წასმა, თავს ლაფის დასხმა, საჯარო გაკიცხვა-შერცხვენა, რაც სიტყვიერ შეურაცხყოფას, მიფურთხებას მოიცავდა, დამოუკიდებელი გამაწბილებელი სასჯელებია. ზოგი განსახილველ პერიოდში დამოუკიდებელი სახითაც შემორჩა (ჩვენ მათ ცალკე ვიხილავთ), ზოგიერთი კი სხვა გამაწბილებელ სასჯელებთან, მათ შორის ვირზე შესმასთან ერთად გამოიყენებოდა და ამ სასჯელისათვის დამახასიათებელ ელემენტს წარმოადგენდა. როდესაც საზოგადოება პიროვნებას უსჯიდა ვირზე შესმას და სოფელში ჩამოტარებას, ეს განაჩენი თავისთავად გულისხმობდა, რომ ამ სასჯელის თანმდევი უნდა ყოფილიყო თავს ლაფის დასხმაც, გამურვაც, გაშიშვლებაც, ან სხვა ზემოთ ნახსენები დამამცირებელი მოქმედება. მათი გამოყენებისათვის რაიმე სპეციალური გადაწყვეტილების მიღება არ ხდებოდა და ვირზე შესმას, როგორც სასჯელს, ის დამამცირებელი მოქმედება თავისთავად მოჰყვებოდა, რომელსაც საქართველოს მოცემულ კუთხეში ამ სასჯელის აღსრულებისას იყენებდნენ.

ზემოთ მოყვანილი მასალებიდან კარგად ჩანს, რომ ვირზე შესმა საჯარო ხასიათის სასჯელია, რომელიც მთელი საზოგადოების ინტერესების ხელმყოფი დანაშაულისას გამოიყენებოდა. მას დამნაშავეს მთელი საზოგადოების სერთო ყრილობა უსჯიდა, ან ის პირები, რომელთაც საზოგადოებისაგან ჰქონდა მინიჭებული თემის ინტერესების ხელმყოფი დანაშაულებისათვის პირის გასამართლების უფლება. ხალხი, როდესაც იღებდა შესბამის გადაწყვეტილებას, გამოყოფდა პირთა გარკვეულ ჯგუფს, რომელსაც ავალებდა სასჯელის სისრულეში მოყვანას. სწორედ ისინი უზრუნველყოფდნენ დასჯილთა ვირზე შესმასა და სოფელში ჩამოტარებას. გამაწბილებელი სასჯელებისათვის უცხო არ იყო ისიც,

[1] ნ. ბერულავა, სახალხო შერცხვენა-გაქირდვის ერთი წესი ძველ საქართველოში, გაზეთი „საბჭოთა სვანეთი", 1966, 18 იანვარი.

რომ ამ სახით დასჯილი, რაოგრც ჩანს, გარკვეული ხანი გარიყული იყო საზოგადოებისაგან, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ საზოგადოება მას შემოირიგებდა.

5.10. საქოლავი ციხის აგება. ეს გამაწბილებელი სასჯელი ქსნის ხეობაში ჩაწერილ მასალებში გვხვდება. იგი სიმბოლური ჩაქოლვის ელემენტის შემცველია. ეს ელემენტი ამ სასჯელის მთავარი სეგმენტია. მისი გამოყენება ხდებოდა სამარცხვინო, ამორალური საქციელის ჩადენისას (განსაკუთრებით ახლობელთან, მოგვარესთან სქესობრივი კავშირის გამო), ოჯახის ღირსების შემლახავი მოქმედებისას.[1]

განსახილველი სასჯელი დამნაშავეს სოფლის გადაწყვეტილებით ეკისრებოდა. მისი აღსრულება საჯაროდ ხორციელდებოდა მთელი სოფლის თანდასწრებით. ე. წ. „საქოლავი ციხის" აგება ხდებოდა გზის პირას, სადაც ხალხის მოძრაობა იყო.[2] სოფლის თავკაცები აქ შეკრებდნენ თანასოფლელებს. გზის პირზე ერთი კაცი დააწყობდა ერთმანეთზე რამდენიმე ქვას (ეს იწოდებოდა „საქოლავ ციხედ", რომელიც დაახლოებით ერთ მეტრამდე სიმაღლის იყო) და იტყოდა: „ჩაიქოლოს ესა და ეს პირი (იტყოდა სახელს) ხეობისათვის სამარცხვინო მოქმედებებისათვის" და პირველი თვითონ მიაგდებდა პატარა ქვას, მერე იქ მყოფნი ყველანი დაწყევლიდნენ დამნაშავეს და ამ „საქოლავ ციხეს" ისინიც მიაგდებდნენ ქვას. ჩასაქოლი იქ არ იყო. ეს საქოლავი ციხე წლობით იდგა, მისი დანგრევა არ შეიძლებოდა და გამვლელს შეახსენებდა, რომ ამა და ამ კაცმა თუ ქალმა ეს სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა. ვინც შემდეგ ჩაივლიდა ამ ადგილას, იცოდა, რომ ეს „საქოლავი ციხე" ამა და ამ პიროვნების შერცხვენის მიზნით იყო აგებული. შესაძლოა, გზად მიმავალ პიროვნებასაც მიეგდო ქვა „საქოლავ ციხეზე".[3] პიროვნებას, რომლის შესარცხვენადაც ააგებდნენ „საქოლავ ციხეს", ჭირსა და ლხინში არ ეძახდნენ და შესაძლოა, მას საერთოდ დაეტოვებინა სოფელი".[4]

აღნიშნული სასჯელი საჯარო ხასიათისა იყო და მიზნად დამნაშავის სახალხო შერცხვენას ისახავდა. ამ მიზნით ადგილი ჰქონდა

---

[1] მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეჟული, 1985, 23, 45, 75.

[2] იქვე, 24-25, 45-46, 69-70.

[3] იქვე.

[4] იქვე, 80.

სოფლის მთელი მოსახლეობის შეკრებას გზასთან, სადაც მოხდებოდა ე. წ. „საქოლავი ციხის“ აგება. ამას მოჰყვებოდა ხალხის მხრიდან „საქოლავი ციხის“ მიმარულებით ქვების მიყრა და დამნაშავის დაწყევლა. ეს მოქმედებები დამნაშავის სიმბოლური ჩაქოლვის გამომხატველი იყო[1] და მათ იმავე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც ჩვენ მიერ ზემოთ განხილული „სიმბოლური ჩაქოლვის“ („ჩაქოლვა“, „ჩაკირვა“, „ამოკირვა“) აღსრულების რიტუალს. მისგან განსახილველი სასჯელის ერთ-ერთი განმასხვავებელი ის იყო, რომ მისი აღსრულებისას დამნაშავე („ჩასაქოლი“) იქ არ იმყოფებოდა და გზის პირას ხდებოდა ქვებისაგან „საქოლავი ციხის“ აშენება.

სასჯელის აღსრულებისას დამნაშავის დაუსწრებლობა, როგორც ჩანს, არ ამცირებდა მის გამაწბილებელ, დამამცირებელ ეფექტს. მთელი სოფლის თანდასწრებით, გზის პირას, კონკრეტული პიროვნების სახელზე ე. წ. „საქოლავი ციხის“ აგება, მისი შენარჩუნება ხანგრძლივი დროის მანძილზე, ყოველი გამვლელის დასანახად, საკმაოდ დიდხანს ახსენებდა საზოგადოებას კონკრეტული პიროვნების მიერ ამორალური საქციელის ჩადენის ფაქტს, რასაც მისი საჯარო დამცირება, შერცხვენა მოჰყვა. ეს პიროვნება საზოგადოებისაგან გარიყული იყო და მასთან კონტაქტს არავინ ამყარებდა.

5.11. „ძაღლის სალაფავზე დაბმა“. „ძაღლის სალაფავზე დაბმა“ ფშავში გვხვდება. მას ო. ზოიძე ეხება და ძალზედ მკაცრ და დამამცირებელ სასჯელად თვლის.[2] ამ სასჯელზე საუბრობს ვაჟა-ფშაველა, როდესაც ეხება მისი პოემის „გოგოთურ და აფშინას“ დაწერის მიზეზებს. ვაჟა წერს: „... გოგოთური .....სცხოვრობდა ამ მეცხრამეტე საუკუნეში. იყო მცხოვრებელი სოფელ ყოფჩისა. იმის ვაჟკაცობის მხოლოდ ის მსმენოდა, რომ ერთხელ ქურდბაცაცობისთვის შეეპყრო ორი ხევსური, შეეყვანა სახლში შეკონილები. ცოლისთვის ეთქვა: სალაფავი გააკეთე, ამ ძაღლებს უნდა ვაჭამოვო. სალაფავი ცარიელ წყალში ნადუღარი ქატოა. მართლაც ძაღლის საჭმელი

---

[1] სავარაუდოა, რომ ძველად, ქსნის ხეობაში, როდესაც რეალურად ხდებოდა დამნაშავის სიკვდილით დასჯა ჩაქოლვით, მისი ერთ-ერთი ფორმა ის იყო, რომ ჩასაქოლს მართლაც მოაქცევდნენ ხოლმე ქვებით ამოშენებულ, ე. წ. „საქოლავ ციხეში“, თუმცა კონკრეტულად როგორ ხდებოდა ეს, დღეს ძნელი სათქმელია. არაა გამორიცხული ადგილი ჰქონოდა ქვებით ამოშენებულ „საქოლავ ციხეში“ დამნაშავის ჩაკირვას.

[2] ო. ზოიძე, დასახ. ნაშრ., 123.

გეჯაში ჩაესხა ქურდ ხევსურებისათვის და დაედგა წინ: „ეს ჭამეთ, ქურდი და სხვის სარჩოს მტაცებელი ამის ღირსიაო!“[1] ასევე ვაჟა თავის „მოკვეთილში“ ერთ-ერთ პერსონაჟს, სახელოვან მოლაშქრეს ჩონთას რამდენჯერმე აოქმევინებს, რომ დამნაშავის დაბმა ძაღლის სალაფავზე მამაპაპური წესია.[2]

აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ „ძაღლის სალაფავზე დაბმა“ რეალურად არსებული გამაწბილებელი სასჯელი უნდა ყოფილიყო. დამნაშავისათვის ძაღლის სალაფავის დასხმა, ცხადია, უკიდურესად შეურაცხყოფდა მას. ამ სასჯელის გამაწბილებელ მნიშვნელობას ზუსტად გადმოგვცემს ო. ზოიძე. მისი განმარტებით: „ვაჟკაცისათვის იარაღის აყრა და შეკრული სახლში მიყვანა თავისთავად უდიდესი სირცხვილი იყო; ამას ემატებოდა ძაღლის სალაფავზე დაბმა. კაცის ამგვარად დასჯა სრული ზნეობრივი სიკვდილია.“[3] ვაჟას მიერ აღწერილ შემთხვევაში აღნიშნული სასჯელის გამოყენება ქურდობის გამო მოხდა, რაც სამარცხვინო საქციელად ითვლებოდა. სავარაუდოა, რომ მისი გამოყენება მხოლოდ მამაკაცების მიმართ ხდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი ექნებოდა ვაჟკაცისათვის შეუფერებელი, სამარცხვინო საქციელის ჩადენას.

როგორც დავინახეთ, ვაჟას მონაცემებით, ამ სასჯელის დაკისრებასა და აღსრულებას კერძო პირი ახორციელებს. ერთ შემთხვევაში თავისი ვაჟკაცობითა და ღირსებით გამორჩეული პიროვნება — გოგოთური, ხოლო „მოკვეთილის“ მიხედვით ამ სასჯელის გამოყენების სურვილს გამოთქვამს ასევე გამოჩენილი ვაჟკაცი — ჩონთა. საფიქრებელია, რომ ამ სასჯელის დაკისრება ასეთი პიროვნებების გარკვეულ პრეროგატივას წარმოადგენდა, თუნდაც იმის გამო, რომ მათ ამის ფიზიკური შესაძლებლობაც ჰქონდათ და მორალური უფლებაც. მათი ეს პრეროგატივა შესაძლოა საზოგადოების მიერაც ყოფილიყო აღიარებული. საზოგადოების მხრიდან კერძო პირის მიერ „ძაღლის სალაფავზე დაბმის“ დაკისრებისა და აღსრულების უფლების აღიარება (რეალურად ვის შეეძლო ამის განხორციელება უკვე აღინიშნა) ვაჟას მონაცემებშიცაა მინიშნებული. „მოკვეთილში“ პირდაპირაა მითითებული, რომ აღნიშნული სასჯელის გამოყენება სამარცხვინო საქციელის ჩამდენის მიმართ მამაპაპური წესია და საუბარია, სწორედ, კერძო პირის მიერ მისი აღსრულების შესაძლე-

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964, 323.
[2] ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VII, 1964, 274, 276.
[3] ო. ზოიძე, დასახ. ნაშრ., იქვე.

ბლობაზე. მამაპაპური წესი გულისხმობს, რომ იგი საზოგადოებაში დამკვიდრებული წეს-ჩვეულებაა, რომელიც წინაპართაგან მომდინარეობს და მას მთელი საზოგადოება აღიარებს. როდესაც დაშვებულია მამაპაპური წეს-ჩვეულების აღსრულება კერძო პირის მიერ, თავისთავად იგულისხმება, რომ მისი ასეთი უფლებაც საზოგადოების მიერაა აღიარებული.

სათანადო მასალების უქონლობის გამო ძნელი სათქმელია განსახილველი გამაწბილებელი სასჯელის შეფარდება შეეძლო თუ არა საზოგადოების (მაგალითად, სოფლის თუ თემის) ყრილობას.

სამწუხაროდ, უფრო კონკრეტულად, დამატებით რაიმეს თქმა განსახილველ სასჯელთან დაკავშირებით შეუძლებელია, რადგანაც ვაჟას მონაცემების გარდა მასთან დაკავშირებით სხვა ცნობები ხელთ არ გვაქვს. XX საუკუნის 80-იან წლებში ჩაწერილ მასალებშიც ამ სასჯელის შესახებ ცნობა არ არის.

5.12. სხვა გამაწბილებელი სასჯელები. აქ გავაერთიანეთ ის გამაწბილებელი სასჯელები, რომელთა შესახებაც ჩვენს ხელთ არსებულ XIX-XX საუკუნის ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში ძალზედ მცირე, ფრაგმენტული ცნობებია.

გურიასა და სამეგრელოში ფიქსირდება **„ალეაში გატარება“**. ამ რუსული სახელწოდების მქონე გამაწბილებელი სასჯელის გამოყენება, მასალების მიხედვით, ხდებოდა ქურდობის დროს.[1] სავარაუდოა, სხვადასხვა სახის სამარცხვინო საქციელის ჩადენის შემთხვევაშიც მომხდარიყო მისი შეფარდება.

აღნიშნული სასჯელის აღსრულება შემდეგნაირად ხდებოდა: ხალხი განლაგდებოდა ორ მწკრივად და დამნაშავეს ამგვარ კორიდორში გაატარ-გამოატარებდა. თან მას ამ დროს ლანძღავდნენ, არცხვენდნენ.[2] გურიაში ჩაწერილი ცნობის მიხედვით, „ალეაში“ გატარებისას ქურდს ნაქურდალს აჰკიდებდნენ და ისე ატარებდნენ ხალხის მწკრივში.[3] სამეგრელოში ჩაწერილი ცნობის მიხედვით, ორ-მწკრივად განლაგებული ხალხი თავს ზევით ხანჯლის წვერებს მიადებდა ერთმანეთს და ასეთი

---

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 17.

[2] იქვე, 17, 18; მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 5.

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 17.

სახის კორიდორში გაატარებდა დამნაშავეს.[1]

ამ მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ „ალეაში გატარება“ გამაწბილებელი სასჯელია, რომელიც საჯაროდ ხორციელდებოდა. საზოგადოებაში ასეთი სახით დასჯა უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა და უაღრესად ამცირებდა დამნაშავეს.

სამეგრელოში ფიქსირდება სიმბოლური **„ცოცხლად დამარხვა“**, რომელიც გამაწბილებელ სასჯელს წარმოადგენდა. იგი ჩვენ თავს ლაფის დასხმასთან ერთად განვიხილეთ და აქ მას აღარ შევეხებით. ხდებოდა თუ არა მისი გამოყენება თავს ლაფის დასხმის გარეშე, დამოუკიდებლად, ამაზე ვერაფერს ვიტყვით სათანადო მასალების უქონლობის გამო.

ასევე სამეგრელოშია ჩაწერილი შემთხვევა, როდესაც გამაწბილებელ სასჯელად გამოყენებულ იქნა **„კუბოში ჩაწვენა“**. სამწუხაროდ, ინფორმატორს არ ახსოვს, თუ რისთვის მოხდა ეს. მისი განმარტებით, დამნაშავე დასჯის მიზნით, ჩააწვინეს კუბოში, რომელიც დადგეს ეკლესიაში. ამ დროს ეკლესიაში შემოსულან მძარცველები. კუბოში მწოლიარეს ხმაურზე გაუღვიძია და დაუძახია მათთვის. შეშინებულ მძარცველებს მიუტოვებიათ ნაძარცვი და თავქუდმოგლეჯილები გაქცეულან ეკლესიიდან. ეს ამბავი გადმოცემის სახით შემორჩენილა ხალხის მეხსიერებას.[2] სხვა რაიმე ცნობა ამ სასჯელის შესახებ არ მოგვეპოვება. აღნიშნული მონაცემის მიხედვით, შეიძლება ვთქვათ, რომ პიროვნების ცოცხლად კუბოში ჩაწვენა (ცხადია, ეს გარკვეული ვადით უნდა განხორციელებულიყო) მისი სახალხოდ შერცხვენის მიზნით ხდებოდა. ეს ნიშნავს, რომ „კუბოში ჩაწვენის“ სახით საქმე გვაქვს გამაწბილებელ სასჯელთან. ამაზე აღნიშნული სასჯელის სიმბოლური მნიშვნელობაც მეტყველებს: სამარცხვინო საქციელის ჩამდენი ხალხისთვის თითქოს მკვდარია და ამ დამოკიდებულების გამოსახატად მას უსჯის ცოცხლად კუბოში ჩაწვენას, რითაც მიანიშნებს, რომ შერცხვენილი ადამიანი საზოგადოებისთვის მიცვალებულის ტოლფასია.

პიროვნების სახალხოდ შესარცხვენად საჭირო იყო სასჯელის საჯაროდ აღსრულება. სავარაუდოდ, ამ მიზნით კუბო დადგეს ეკლესიაში, სადაც დამნაშავეს იქ შესულთა თვალწინ მოუწევდა კუბოში

[1] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 5.

[2] იქვე, 10.

წოლა, რაც მის სახალხოდ შერცხვენას უზრუნველყოფდა.

ჩვენს ხელთ არსებული მასალებით ფიქსირდება ასევე შემდეგი გამაწბილებელი სასჯელები: **„ულვაშის მოჭრა“**,[1] **„ბოსელში დაბმა“**, როდესაც ხდებოდა ასეთი სახით დასჯილისათვის თივის დაყრა.[2]

მესხეთში ჩაწერილ მასალაში გვხვდება **„ჩოქვით ეკლესიის შემოვლა“**. ამ გამაწბილებელ სასჯელს უღირსი საქციელის ჩამდენს უსჯიდა მღვდელი, რომელიც საჯაროდ აცხადებდა ამის შესახებ. სასჯელი იმაში გამოიხატებოდა, რომ დამნაშავე სახალხოდ, ჩოქვით შემოუვლიდა ეკლესიას.[3]

ზემოთ განხილული გამაწბილებელი სასჯელების განხილვისას გამოჩნდა, რომ მათ აღსრულებას თან ახლდა სხვა გამაწბილებელი სასჯელების გამოყენება. კერძოდ, სანამ უღირსი საქციელის ჩამდენს ვირზე შესვამდნენ, შესაძლოა მომხდარიყო მისი **გაშიშვლება, ჭუდის (მამაკაცისთვის), ან მანდილის (ქალისთვის) მოხდა, ნახშირით გამურვა, საქონლის ნაკელის წასმა, ტალახში ამოსვრა**. ამ სახით დამნაშავის სახალხოდ ჩამოტარებას (თუნდაც ვირზე შესმის გარეშე), ცხადია, დიდი შემარცხვენელი ეფექტი ექნებოდა.

აი, ასეთი სახით შეიძლება წარმოვაჩინოთ გამაწბილებელი სასჯელები ჩვენს ხელთ არსებული XIX-XX საუკუნეების ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით.

6. დაწყევლა

ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით დაწყევლა დამოუკიდებელ სასჯელს წარმოადგენდა. ამ სასჯელის არსებობას და მის შინაარს განაპირობებდა რელიგიური ფაქტორი, კერძოდ, საზოგადოების, ხალხის რწმენა იმისა, რომ პიროვნების მიერ წარმოთქმულ საწყევარ სიტყვებს, რომელთაც თან ახლდა შესაბამისი რიტუალი, უცილობლად მოჰყვებოდა ის შედეგი, რაც საწყევარ სიტყვებში იყო გადმოცემული, ანუ დაწყევლილის, მისი ოჯახის წევრების, შთამომავლობის გაუბედურება, ამოწყვეტა და მისთანანი. ხალხის რწმენით, ასეთი მისტიკური ზემოქმედების მოხდენა დაწყევლილზე ღმერთის (აღ-

[1] მ. კეკელია, იქვე, 63.

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 25.

[3] საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში (ფშავი, მესხეთი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, №1, 1988, 155.

მოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჯვარ-ხატის) ძალით ხდებოდა და ამდენად, მაწყევარი პირის დაწყევლით (შესაბამისი რიტუალის ჩატარებით) ღმერთს ანდობდა დამნაშავის დასჯას. ანალოგიურ რელიგიურ წარმოდგენებს ეფუძნებოდა, მაგალითად, ფიცის ინსტიტუტი. ტყუილად დამფიცებელს ხომ ასევე, ხალხის რწმენით, ღმერთი სჯიდა. ქართულ საზოგადოებაში საკმაოდ დიდხანს შემორჩა რწმენა წყევლის ძალისა, რომ დაწყევლილის უბედურება (ავადმყოფობა, სიკვდილი, ოჯახის წევრთა სიკვდილიანობა) სწორედ წყევლის შედეგია და უცილობლად ღვთაებრივი სასჯელს წარმოადგენს. ამდენად, არაა გასაკვირი, რომ ჩვენს ხელთ არსებულ არა მარტო XIX, არამედ XX საუკუნის II ნახევრის მასალებშიც უხვადაა მონაცემები დაწყევლის, როგორც სასჯელის შესახებ, რომლის გამოყენება ამ პერიოდშიც კი ხდებოდა როგორც მთის, ისე ბარის რეგიონებში.

დაწყევლა, როგორც სასჯელი, ცხადია, დანაშაულის შემთხვევაში გამოიყენებოდა. ჩვენ დაწყევლას, როგორც სასჯელს, განვიხილავთ იმ დანაშაულისათვის, რომლებიც ასეთად ითვლებოდა ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. აქედან გამომდინარე, დაწყევლის ინსტიტუტზე ვისაუბრეთ სწორედ ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. დაწყევლა, წყევლა-კრულვა, შეჩვენება, ცნობილია, რომ წარმოადგენდა მძიმე საეკლესიო სასჯელს, რომელსაც იყენებდა ეკლესია. ჩვენ დაწყევლაზე საეკლესიო სამართლის მიხედვით საუბარი არ გვექნება.

ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, დაწყევლა, როგორც სასჯელი, გამოიყენებოდა როგორც კერძო, ისე საჯარო დანაშაულისათვის. დაწყევლა შეიძლება მომხდარიყო, როგორც კონკრეტული პიროვნების, როდესაც ცნობილი იყო დამნაშავის ვინაობა, ასევე ზოგადად დამნაშავის, კონკრეტული პიროვნების მითითების გარეშე, როდესაც მისი ვინაობა არ იყო ცნობილი. ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც წყევლა, ხალხის რწმენით, დამნაშავეზე გავრცელდებოდა. დაწყევლა შესაძლოა, დამნაშავის გამოვლენის, გამოტეხვის მეთოდი ყოფილიყო. დაწყევლის შიშით დამნაშავეს ხშირად უღიარებია დანაშაული. დაწყევლა დანაშაულის პრევენციის საშუალებასაც წარმოადგენდა. ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც ამა თუ იმ საზოგადოების მესვეურები დაწყევლიდნენ მომავალში კონკრეტული დანაშაულის, ან დანაშაულების ჩამდენ პირებს და თუ ამ საზოგადოების წევრთა შორის ვინმე ჩაიდენდა ამ დანაშაულთაგან რომელიმეს, მასზე,

ხალხის რწმენით, წყევლა გავრცელდებოდა, რასაც დამნაშავისა და მისი ოჯახისათვის შესაბამისი შედეგი უნდა მოჰყოლოდა. ამდენად, წყევლის შიშით, აღნიშნული დანაშაულის თუ დანაშაულთა ჩადენას მოცემული საზოგადოების წევრები ერიდებოდნენ. ხშირად წყევლა წინ უძღვოდა დაფიცებას (ეს იქნებოდა ეჭვმიტანილის, მოწმის თუ მოსამართლის ფიცი) და ცრუ ფიცის შემთხვევაში წყევლა ცრუ მფიცარზე გადავიდოდა.

ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, დაწყევლის სხვადასხვაგვარი სახე არსებობდა. მათ გამოყენებას განსხვავებული ცერემონიალები ახლდა თან. ყველა ისინი ჩვენ გავაერთიანეთ ტერმინ „დაწყევლის“ ქვეშ. ეს ტერმინი ყველასათვის ცნობილი და გასაგებია და ამიტომ შევჩერდით მასზე, როგორც ზოგად ტერმინზე. დაწყევლის სახეები სხვადასხვა სახელწოდებით გამოიხატებოდა და მათ ჩვენ ცალ-ცალკე დავახასიათებთ.

6.1 დარისხება, შერისხვა, გარეცხა (წყევლა-კრულვა). დაწყევლა, როგორც სასჯელი, ამ ტერმინებით ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით საქართველოს მთის რეგიონებში, კერძოდ, ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთში, ხევში, სვანეთში გვხვდება. თავდაპირველად სასჯელის სახეებს სწორედ ამ მთის რეგიონების მიხედვით განვიხილავთ.

ტერმინები „დარისხება“[1], „შერისხვა“ დაწყევლის აღსანიშნავად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გვხვდება.[2] აქ დარისხება ყოველთვის იყო მოკვეთა-გაძევების თანმხლები და წინ უსწრებდა მათ, თუმცა იგი დამოუკიდებელ სასჯელადაც არსებობდა. ამჯერად „დარისხებას“ როგორც დამოუკიდებელ სასჯელს განვიხილავთ. მკვლევართა დაკვირვებით, დარისხება, როგორც დამოუკიდებელი სასჯელი, გამოიყენებოდა შედარებით მსუბუქ შემთხვევაში, ვიდრე

[1] ნ. ბალიაურის განმარტებით, „დარისხება“ იყო დაწყევლა მამაკაცების მიერ. წყევლის მაგიერ მამაკაცზე იტყოდნენ — არისხებსო, ხოლო ქალზე იტყოდნენ — სწყევსო (ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 30).

[2] საინტერესოა, რომ ტერმინი „შერისხვა“ დაწყევლის აღსანიშნავად გვხვდება იმერეთში ჩაწერილ ჩვეულებითი სამართლის მასალაშიც. ინფორმატორის განმარტებით, „შერისხვა“ ხდებოდა სოფლის ყრილობის თანდასწრებით და სოფლის თაკაცების თაოსნობით. ისინი ხალხს გამოუცხადებდნენ, თუ რა დანაშაული (მაგალითად, გარყვნილება და სხვა) ჩაიდინა პიროვნებამ და მღვდელი „შერისხავდა“ მას (ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეჟული, 1989, 73-74).

მოკვეთა, როდესაც ჩადენილი დანაშაული შედარებით მსუბუქი იყო და თემისაგან მოკვეთას არ საჭიროებდა.[1] ო. ზოიძე ფშავის მაგალითზე ასევე მიუთითებს, რომ დარისხება სიმძიმით ვერ შეედრება ჩაქოლვასა და მოკვეთა-გაძევებას.[2]

დარისხებას ახორციელებდა საზოგადოება (მთელი ხეობა, თემი, სოფელი), ასევე შესაძლოა დარისხება გვარს, ნათესავებს განეხორციელებინათ.[3] აღნიშნული გაერთიანებები ერთობლივად იღებდნენ გადაწყვეტილებას დარისხების შესახებ.

წყევლა-კრულვა დამოუკიდებელ სასჯელად გვევლინება სვანეთშიც, რაც კარგად ჩანს „სვანური საისტორიო ძეგლების" მიხედვით.[4] აღსანიშნავია, რომ წყევლა-კრულვა (სვანურად გარცამი), როგორც სასჯელი, სვანეთში ფიქსირდება XX საუკუნის მონაცემებითაც. აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის 60-იან წლებში ჩაწერილი მასალების მიხედვით, სვანი ინფორმატორები თვითონ ყოფილან სჯარო წყევლა-კრულვის მომსწრენი. წყევლიდნენ ქურდს (იგი იქნება საქონლის თუ სხვისი ნაშრომის — შეშის, თივის მომპარავი), სოფლის ინტერესების გამცემს, დამბეზღებელს, მოღალატეს და ბოლო პერიოდში უსახელო წერილების დამწერს.[5]

ახლა განვიხილოთ, თუ რა შემთხვევებში შეიძლება მომხდარიყო დარისხება (შერისხვა).

ხევში ჩაწერილი მასალებიდან ჩანს, რომ აქ არისხებდნენ ხალხისთვის, სოფლისთვის რაიმე ცუდი საქმის გამკეთებელს, სოფლის შეურაცხმყოფელს, იმ თანასოფლელს, რომლის საქციელი სოფლისთვის აუტანელი იყო.[6] მაგალითად, ერთ-ერთი პიროვნება დაურისხ-

---

[1] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 65.

[2] ო. ზოიძე, სასჯელები (ნაშრომის — „ფშაური ჩვეულებითი სამართალი" მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1991, 111-112.

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევეული, 1988, 15.

[4] გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973, 189; დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975, 189-190.

[5] მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევეული, №3, 11; №5, 91.

[6] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რევეული, 1984, №1, 25, 78, №3, 20.

ებიათ, იმიტომ, რომ მან მეზობლის რძალს დაუწყო არშიყობა, მას კი ამის შესახებ „სამების საბჭეოში“ განუცხადებია, რომლის გადაწყვეტილებითაც მომხდარა დარისხება.[1] ხევსურეთშიც არისხებდნენ ქალთან უწესობის ჩამდენს, „ქალ-რზალში თავდაუჭერს, ან ზლისად გულის მცვლელს“ (ეს უკანასკნელი ნიშნავს იმ კაცს, რომელიც ქალს ან რძალს ქმარზე ცუდს ეუბნება და მასზე გულს აცრუვებინებს).[2] ხევსურეთში ხდებოდა ცუდი ენის კაცის დარისხება, რომელიც თავის სოფელში მომხდარ არდასაშვებ ამბავს სხვაგან გაიტანდა. ამ დარისხების შიშით სოფელში ბევრი ამბავი ისე იფარებოდა, რომ თემი ვერ გაიგებდა.[3] დაარისხებდნენ ასევე ცუდი ხელის კაცს (ქურდს), სოფლის გამტეხს, მოღალატეს.[4] ალ. ოჩიაურის მიერ არდოტში (ხევსურეთი) ჩაწერილი მასალის მიხედვით ხუცესი ასე არისხებდა: „ღმერთო დალოცვილო, შენ გაუმარჯვე ჩვენ სალოცავს გიორგის....გაუწყერ, მიეც რისხვა სოფელში ავის ენისას, ავის ხელისას, ენითა და ელით მეღალატეს, ქალ-ზლის დაუნდობელს, მიზდი შვილთაშვილამდინ, ქალის შვილამდინ....“[5] მთიულეთში არისხებდნენ ცუდი ენით თემში არეულობის შემტანს.[6]

მთიულეთში დარისხებას ვხდებით ამა თუ იმ მეთემის „გაბუდაყების“[7]

---

[1] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 67. ძველად სამების ეკლესიის გვერდზე იყო საბჭეო, სადაც ბჭეები იკრიბებოდნენ და სხვადასხვა საქმეს განიხილავდნენ.

[2] ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 30; მ. კანდელაკი, ხევისბერის ინსტიტუტის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVIII, 1975, 119.

[3] ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, 1949-1950, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 2, თბ., 1990, 174.

[4] ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, 74; მისივე, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილი-მიღმახევი), თბ., 2005, 184.

[5] ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილი-მიღმახევი), თბ., 2005, 366.

[6] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 65.

[7] როგორც მოკვეთაზე საუბრისას აღინიშნა, მთიულეთში „გაბუდაყებას“ უწოდებდნენ თემის წევრის ისეთ მოქმედებას, რომელიც ქონების დაგროვებისაკენ მიისწრაფოდა და თემიდან გამოცალკევებას ცდილობდა, ურჩობდა, თვითნებობდა (რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 64). ეს ძირითადად იყო ის ხალხი, რომელიც მეფის სამსახურში დაწ-

შემთხვევაში. ამ დროს შესაძლებელი იყო ასეთი პირის მოკვეთაც, თუმცა შედარებით მსუბუქი შემთხვევისას მიმართავდნენ სამრისხველო სამანის ჩასმას.[1] როგორც ჩანს, აქ იგულისხმება „გაბუდაყების“ ისეთი შემთხვევა, როდესაც თემის წევრის „გაბუდაყება“ თემისათვის შედარებით ნაკლებად საზიანო მოქმედებებში გამოიხატა და მოკვეთა არ იქნა თემის მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული.

დარისხება შედარებით მსუბუქ შემთხვევებში რომ ხდებოდა, ეს ფშავშიც ჩანს. მაგალითად, ს. მაკალათიას მიხედვით, დარისხება შესაძლოა მოჰყოლოდა ხევისბერისათვის განკუთვნილი ძღვენის — „სათეოს“[2] და „ტყავის სახსირის“[3] მიუცემლობას.[4]

დარისხება ხდებოდა უქმის გატეხვის შემთხვევაშიც. ერთ-ერთი ხევსური ინფორმატორი მიუთითებს, რომ შაბათი, კვირა და ორშაბათი იყო უქმე დღეები და ვინც უქმეს გატეხდა, მას დაარისხებდნენ, როგორც სოფლის პირის გამტეხს.[5] უქმის, „ნაკვეთი დღის“ გატეხ-

---

ინაურდებოდა, ან სხვა რაიმე უპირატესობას მიაღწევდა და ხალხის ინტერესს ნაკლებად ითვალისწინებდა, ძალმომრეობას მიმართავდა. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი უნებართვოდ იჩემებდა სათემო (სასოფლო) მიწებს. ასეთ კაცებზე იტყოდნენ მთიულები: გაბუდაყდა და არავის არაფრად აგდებსო. ასეთ ადამიანს საზოგადოება სათანადოდ სჯიდა კიდეც (ვახტანგ ითონიშვილი, მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XVIII საუკუნეში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, 112-113).

[1] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 65.

[2] „სათეო“ — ხევისბერისათვის შობიდან ახალი წლის წინაღამემდე თემის მიერ მისართმევი ძღვენი, რომელიც გულისხმობდა ერთ ცხვარს, ორ ქადას, შვიდ ხმიადს, შვიდ კვერს, ერთ სტიკ (ორი კვერცხის წონა) სანთელს და ერთ ჯორის ბარგ შეშას. „სათეოს“ თემის 5-5 მეკომური ყოველწლიურად რიგრიგობით იხდიდა (ო. ზოიძე, დასახ. ნაშრ, 112. ავტორი განმარტებისათვის ეყრდნობა ს. მაკალათიას წიგნს „ფშავი“, 172).

[3] ხევისბერი ხატის სამსახურისთვის ჯამაგირს არ იღებდა, მას ეძლევა საკლავის „ნასხეპი“, ნახევარი ცხვარი თავისი თავ-ფეხით, კურატის თავი და ბეჭი. კურატის ტყავის ნაცვლად იგი ტყავის საფასურს იღებდა. „ტყავის სახსრად“ ხევისბერს ფულს აძლევდნენ და ვინც ამას არ გაიღებდა, მას ხევისბერი დაარისხებდა ან მოიკვეთდა (ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, 195).

[4] ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, 172, 195.

[5] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 71; უქმის გატეხვის შემთხვევაში დარისხება ხევსურეთში ალ.

ვისათვის დარისხება გვხვდება მთიულეთსა და ფშავშიც.[1] სვანური საისტორიო ძეგლებიც (მაგალითად, საბუთი №75) ითვალისწინებენ დაწყევლას უქმის გატეხვისათვის.[2]

ფშაველი ინფორმატორის თქმით კი, არისხებდნენ ხატის მოღალატეს, ხატის კარზე მკვლელს თუ დამჭრელს,[3] ასევე ხატისა და ხევისბერის შეურაცხმყოფელს, ქურდს.[4]

ჩვენს ხელთ არსებული ქართული ჩვეულებითი სამართლის მონაცემები ადასტურებს იმას, რომ დარისხება დამოუკიდებელ სასჯელად, ძირითადად, გამოიყენებოდა შედარებით მსუბუქ შემთხვევებში, ვიდრე მოკვეთა-გაძევება. მონაცემებიდან ჩანს, რომ ზოგიერთი დანაშაულისთვის, რომლისთვისაც ადგილი ჰქონდა დარისხების, როგორც დამოუკიდებელი სასჯელის გამოყენებას, სხვა შემთხვევაში მოკვეთა-გაძევების შეფარდებაც შესაძლებელია მომხდარიყო. ამ დანაშაულებს საკმაოდ მარავლფეროვანი შემადგენლობა გააჩნდათ და ამდენად, შესაძლებელია ისინი გამოხატული ყოფილყვნენ როგორც

ოჩიაურთანაც ჩანს. მისი მასალების მიხედვით, უქმის გატეხვისათვის პიროვნებას სოფელი ან მოიკვეთდა, ან დაარისხებდა (ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილი-მიღმახევი), თბ., 2005, 183.

[1] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 65; ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, 182-183. ს. მაკალათიას განმარტებით, „ჯეჯილი რომ ამოვა, თემი თუ სოფელი „ნაკვეთ დღეს" აწესებს, რომ ყანა სეტყვამ, გვალვამ და ნიაღვარმა არ გააფუჭოს, ნაკვეთ დღედ ფშავში დაწესებულია ორშაბათი, პარასკევი და შაბათი და თითოეულ თემს შეუძლია ერთი ამ დღეთაგანი ნაკვეთ დღედ აირჩიოს. ნაკვეთი დღის დასადგენად სოფელი იკრიბება კვირიას ან ადგილის დედის ხატთან, სადაც ხევისბერი დაილოცება და ნაკვეთ დღესაც დააწესებს. ხევისბერი ყველას გააფრთხილებს, რომ ეს დღე ჭირნახულის აღებამდის წმინდად შეინახონ, რათა ხატმა სოფელი არ დაამხეზოს და ჭირნახული არ განადგურდეს. ამის შემდეგ თუ ვინმემ ეს „ნაკვეთი დღე" გატეხა და იმუშავა, იმას ხევისბერი ხატში დაარისხებს (ს. მაკალათია, იქვე).

[2] მ. კეკელია, ზემო სვანეთის საზოგადოებრივი წყობილებისა და სამართლის საკითხები ადიშისა და მესტიის ოთხთავების მინაწერთა მიხედვით, თსუ შრომები, III (138), 1971, 184.

[3] მ. კეკელია, მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 16-17.

[4] ო. ზოიძე, სასჯელები (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი" მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1991, 112.

მძიმე, ისე შედარებით მსუბუქი დანაშაულებრივი ქმედების საზით. ცხადია, ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, არ იყო ზუსტად განსაზღვრული, თუ როდის უნდა გამოყენებულიყო ასეთი დანაშაულის ჩადენისას მოკვეთა-გაძევება და როდის დარისხება, როგორც დამოუკიდებელი სასჯელი. ჩვენი აზრით, საკითხი ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში გადაწყდებოდა სხვადასხვა შემამსუბუქებელი თუ დამამძიმებელი ფაქტორების გათვალისწინებით. მაგალითად, როგორც გამოჩნდა „გაბუდაყებისათვის“ პიროვნება მთიულეთში, შესაძლოა დასჯილიყო მოკვეთითაც და მხოლოდ დარისხებითაც. საკითხი გადაწყდებოდა იმის გათვალისწინებით, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა „გაბუდაყება“, რა ზიანი მიაყენა ამან საზოგადოებას. თუ ჩაითვლებოდა, რომ ეს არ არის ისეთი მძიმე შემთხვევა, რომელსაც, შესაძლოა, ისეთი მძიმე სასჯელი მოჰყვეს, როგორიც მოკვეთაა, მაშინ მხოლოდ დარისხების გამოყენება მოხდებოდა. ჩვენი აზრით, იმავე შეიძლება ითქვას საზოგადოების, ხატის ღალატის შემთხვევაშიც.

როგორც ვხედავთ, დაწყევლა, დარისხება, საკმაოდ ხშირად გამოიყენებოდა, როგორც დამოუკიდებელი სასჯელი, მოკვეთა-გაძევების გარეშე. საქართველოს სხვადასხვა მთის რეგიონში ეს განსხვავებულ შემთხვევებში შეიძლება მომხდარიყო. მონაცემებს თუ შევაჯამებთ, ამას ადგილი ჰქონდა: ქურდობისას, საზოგადოების ღალატისას, მისი ინტერესების შელახვისას (ეს ბევრი სხვადასხვა ქმედებით შეიძლება გამოხატულიყო), სოფლისათვის რაიმე ცუდი საქმის გაკეთებისას, „გაბუდაყებისას“, სოფლის შეურაცხყოფისას, ქალთან უწესობის ჩადენისას (არა იმ ხასიათის უწესობის, რაც მოკვეთა-გაძევებას გამოიწვევდა), სოფლის საიდუმლოს გარეთ გატანისას, ცუდი ენით სოფელში არეულობის შეტანისას, ჯვარ-ხატის წინააღმდეგ რაიმე დანაშაულის ჩადენისას, ჯვარ-ხატისა და მისი მსახურების მიმართ მოვალეობის შეუსრულებლობისას, მათი შეურაცხყოფისას, უქმის გატეხვისას, ჯვარ-ხატის კარზე დანაშაულის ჩადენისას და სხვა. ეს ჩამონათვალი, ცხადია, სრულყოფილი არ არის. ჩვეულებითი სამართალი კაზუისტური ხასიათისაა და აქედან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელია, რაიმე სხვა შედარებით მსუბუქ კონკრეტულ შემთხვევაშიც მიზანშეწონილად ჩაეთვალათ დარისხების, როგორც დამოუკიდებელი სასჯელის გამოყენება.

დარისხება, როგორც დამოუკიდებელი სასჯელი, შესაძლებელია

კონკრეტული დანაშაულისათვის გამოყენებულიყო როგორც სხვა სასჯელთან ერთად, ისე სხვა სასჯელის გარეშეც. მაგალითად, ზემოთ დავინახეთ, რომ ფშავში შესაძლოა დაერისხებინათ ხატის კარზე მკვლელი ან დამჭრელი. მკვლელობა და დაჭრა ფშაური ჩვეულებითი სამართლით, კერძო სამართალდარღვევას წარმოადგენდა და მათ შესაძლოა შურისძიება ან ქონებრივი საზღაურის გადახდა მოჰყოლოდა, თუმცა ამ დანაშაულების ხატის კარზე ჩადენისას, როგორც ჩანს, ისინი გარკვეულ საჯარო სამართალდარღვევის ელფერს იძენდნენ და ხატის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად აღიქმებოდნენ. რადგანაც მათი ჩადენა სწორედ ხატის კარზე მოხდა, დამნაშავის მიმართ მკვლელობისა თუ დაჭრისათვის გათვალისწინებული სასჯელის გარდა, შესაძლოა დარისხების გამოყენებაც მომხდარიყო. იმავე ითქმის ქურდობაზეც. ამ დანაშაულისათვისაც შესაბამისი სასჯელის დაკისრება ხდებოდა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, საზოგადოებას საჭიროდ მიეჩნია ქურდის დაწყევლაც. ამ დროს დარისხებასაც ექნებოდა ადგილი და ქურდობისთვის გათვალისწინებულ ქონებრივ სასჯელსაც. ქურდობას შესაძლოა დარისხებაზე მძიმე სასჯელიც მოჰყოლოდა (განსაკუთრებით მისი რეციდივის შემთხვევაში). სავარაუდოდ, დარისხებას, როგორც დამოუკიდებელ სასჯელს, ქურდობისას მაშინ იყენებდნენ, როდესაც მოკვეთა-გაძევებას ამ დანაშაულისათვის მიზანშეწონილად არ ჩათვლიდნენ.

დარისხება შესაძლოა გამოყენებულიყო მაშინაც, როდესაც დაზარალებულ მხარეს ხელი არ მიუწვდებოდა დამნაშავეებზე. მაგალითად, ხევსურეთში უმიზეზოდ მოუკლავთ მოხევეები. მოხევეებმა ამ მკვლელობის საპასუხოდ დაარისხეს მკვლელი და მისი მამიშვილობა, მისი შთამომავლობა. ეს დარისხება თურმე ხდებოდა ყოველწლიურად, ერთ-ერთ დღეობაზე. ხალხის რწმენით, ამის შედეგი იყო, რომ მკვლელის მამიშვილობიდან ერთი კაცი დარჩენილა ცოცხალი.[1] მკვლელობისას, ძირითადად, სისხლის აღებას ჰქონდა ადგილი, თუმცა, როგორც ჩანს, რაკი დამნაშავე სხვა კუთხიდან იყო, მოხევეებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს დამნაშავის დარისხება.

დარისხება თუ გარცამი ხდებოდა დანაშაულის პრევენციის მიზნითაც. ამ დროს ტარდებოდა არა კონკრეტული პიროვნების დარისხ-

[1] ალ. ოჩიაური, სამამო მიწისმფლობელობის შესახებ ხევსურეთში, პირადი არქივი, რვეული №5, „ამოწყვეტილი გვარები ხევსურეთში“, 50.

ება, არამედ ნებისმიერი იმ პირის, რომელიც ამ დარისხების შემდეგ ჩაიდენდა იმ დანაშაულს, ქმედებას, რომლის გამოც დარისხება მოხდა. ამ დროს შესაძლოა მომხდარიყო გამაფრთხილებელი სამანის ჩასმა.

ხევში გვხვდება დარისხების მაგალითები დანაშაულის, რაიმე მიულებელი მოქმედების თავიდან აცილების მიზნით. მაგალითად, ხევში, სოფელ კარკუჩაში დაურისხებიათ ის, ვინც ღორის ხორცს შეჭამდა და საერთოდ, ღორს იყოლიებდა და ამაზე „რისხვის სამანი“ ჩაუსვამთ. ამის შემდეგ ამ სოფელში ღორი არავის ჰყოლია.[1] სოფელ სიონში კი თურმე სოფლის მოსახლეობა არ უვლიდა სათიბებს, ანადგურებდა მთის კალთებზე გაშენებულ ახალგაზრდა ფიჭვის ნარგავებს. როდესაც ამ საქმეს არაფერი ეშველა, სოფელი შეიკრიბა ერთ მინდორზე, მოიყვანეს დეკანოზი, რომელმაც დაარისხა: „ვინც ამის შემდეგ ამ ადგილებში საქონელი გაუშვას, არ ასცდეს იმ საქონლის პატრონს, სიკვდილი და ამოწყვეტაო“. ხალხმა „ამინით“ დაუდასტურა.[2] იმავე სოფელში უმოწყალოდ ნადგურდებოდა ეკლესიის გვერდით არსებული ტყე. დაურისხებიათ ამ ტყის გამჩეხი, რასაც გადაურჩენია ეს ტყე.[3] ხევსურეთში ჩანს დარისხება იმ ადამიანისა, რომელიც სოფელში თავშეფარებულ ამანათს არ დაეხმარებოდა. კერძოდ, პიროვნების ამანათად მიღების რიტუალის ჩატარებისას ხუცესი ამწყალობებდა ამანათს და მის ხელშემწყობს და დაარისხებდა მოღალატეს, რომელიც მას მტრისგან არ დაიცავდა და ძმობას არ გაუწევდა.[4]

პრევენციის მიზნით წყევლა-კრულვას (გარცამს) სვანეთშიც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, ერთ-ერთ XV საუკუნის ხელნაწერში ვკითხულობთ: „ქ–მაცხოვარისა მულახისა თავსდებობით და შუამდგომლობითა, მთავარ მოწამის სეტისა თავსდებობითა და შუამდგომლობითა, დაგიწერეთ წიგნი ესე უქცეველი. სამი ხარი ბეგარა ძალით დაგაპატიჟეთ, გურის მთა.... ვინ ეს შეშალოს გინა მოსამართლის გულისათვის, გინა საქონლისა გულისათვის, კრულიმც არს

---

[1] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №3, 20.

[2] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 49.

[3] იქვე, 50.

[4] მ. კანდელაკი, ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან (უცხოს გათავისების წესი), თბ. 2001, 9.

ჯუარითა ქრისტესითა კაცი იგი დასაბამითგან ვიდრე უკუნისამდ“.[1] ამ დოკუმენტიდან კარგად ჩანს, რომ ბეგარის არგადამხდელი დაწყევლილი იქნებოდა. ანალოგიური რამ XX საუკუნის მასალებშიც ჩანს. მ. კეკელიას ერთ-ერთი სვანი ინფორმატორის განმარტებით, ბალსზემო სვანეთში, წმინდა კვირიკეს ეკლესიასთან, გარკვეული პერიოდულობით ხდებოდა დაწყევლა იმ პირთა, ვინც მომავალში გარკვეულ დანაშაულს (ქურდობას, სოფლის ინტერესების გაცემას და სხვა) ჩაიდენდა.[2]

გამაფრთხილებელი სამანის ჩასმა ხევსურეთშიც იცოდნენ. ამ სამანის შიშით დანაშაულის ჩადენას ყველა ერიდებოდა.[3] გამაფრთხილებელი სამანი ჩაუსვამთ ხევსურეთში გარკვეული მიუღებელი ქმედების შეწყევტის თუ განუხორციელებლობის მიზნით. მაგალითად, ხევსურეთში, ლიქოკის ხეობაში, ლიქოკელთა საგვარეულოს წარმომადგენლებს შორის მოხდა მკვლელობა და შურისძიება. არ დაადგა საშველი მხარეთა შერიგებას და მოსალოდნელი იყო მკვლელობათა ჯაჭვის გაგრძელება. ეს, ცხადია, ხელყოფდა თემის სიმშვიდეს, ამიტომ შეიკრიბა მთელი თემი და სამრისხველო სამანის ჩასმით დაარისხა ის მოწინააღმდეგე მხარე, რომელიც მტრობას არ შეწყვეტდა და შერიგებაზე უარს იტყოდა.[4]

არხოტის თემში კი აუკრძალავთ არხოტის ჯვრის დარბაზში შესვლა აქ დღეობებისას სიმთვარალის ნიადაგზე გახშირებული მკვლელობების გამო. ამ მიზნით დაურისხებიათ ის, ვინ არხოტის ჯვრის დარბაზში შევიდოდა, ცხადია, ჯვარიონთა გარდა.[5]

ფშავ-ხევსურეთში ხშირია სამანები გარკვეულ გვარებს შორის ქორწინების აკრძალვისა.[6]

შესაძლოა, დარისხება პრევენციის მიზნით და გამაფრთხილებელი სამანის ჩასმით მომხდარიყო რაიმე მოქმედების განხორციელების მოთხოვნით. დარისხებულად ჩაითვლებოდა ის, ვინც რაღაც კონკ-

[1] პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკეთი მეორე, თბ., 1941, 47.

[2] მ. კეკელია, მასალები სვანეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №5, 91-92.

[3] მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, პირადი არქივი, რვეული №6. 4.

[4] მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, პირადი არქივი, რვეული №23, 12-13.

[5] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/8, მოსისხლეობა ხევსურეთში, 88.

[6] მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები“, 1988, თბ., 1991, 54.

რეტულ მოქმედებას არ ჩაიდენდა. მაგალითად, ალ. ყაზბეგის ნაწარმოებში „მოძღვარი“ გვხვდება შემთხვევა, როდესაც თემის ყრილობა გადაწყვეტს მკვლელის მოძებნას და დეკანოზი არისხებს თითოეულ იმ პიროვნებას, რომელიც ყველაფერს არ იღონებს მკვლელის მოსაძებნად. დარისხება მთავრდება სამანის ჩასმით.[1]

იმავე მიზნით წყევლა-კრულვა სვანეთშიც ფიქსირდება. მაგალითად, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აქ თურმე ძალზედ გახშირებული ყოფილა მკვლელობები. ამის გამო თემების მიხედვით მომხდარა ხალხის შეკრება და ხატის წინაშე დაწყევლა იმათი, ვინც მედიატორული წესით არ შერიგდებოდა. საწყევარი სიტყვები — გარცამი — წარმოუთქვამს მღვდელ კონსტანტინე ჯაჭველიანს (იგი პირადად მოუყვა ამ ამბავს მ. კეკელიას): „ვინც გატეხოს ფიცი და მედიატორული წესით შერიგებაზე უარი თქვას, ამოწყდეს, საშველი არ მისცემოდეს მის ჯილაგს“. ხალხიც „ამინს“ ეუბნებოდა, მიდიოდნენ სათითაოდ ხატთან და კოცნიდნენ. ჯერ ეს გაუკეთებიათ ცხუმარის თემში, შემდეგ ბეჩოში, ფარში, ლახამურში.[2]

დაწყევლა, დარისხება პრევენტიული მიზნით საქართველოს მთის რეგიონებში გვხვდება საზოგადოების (ხეობის, თემის, სოფლის) ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების (მაგალითად, საკანონმდებლო ნორმის მიღების თუ შეცვლის შესახებ) შესრულების უზრუნველსაყოფად. გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად ადგილი ჰქონდა დარისხებას იმ პირისა, რომელიც ამ გადაწყვეტილებას მომავალში დაარღვევდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ასეთ დარისხებას სამრისხველო სამანის ჩასმა ახლდა თან. მაგალითად, არხოტის თემის ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება მესისხლეობის წესებში ცვლილებების შეტანის შესახებ და ამ წესების ყველა პოტენციური დამრღვევი დაარისხა სამრისხველო სამანის ჩასმით.[3] ცხადია, წყევლის შიშით საზოგადოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების დარღვევას ყველა ერიდებოდა და ამდენად, დარისხება ხელს უწობდა მის ცხოვრებაში გატარებას.

პრევენციის მიზნით დარისხება და გამაფრთხილებელი სამანის

[1] ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1948, 494.

[2] მ. კეკელია, მასალები სვანეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, №9, 1-5.

[3] ო. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, 99.

ჩასმა ხდებოდა ისეთ დანაშაულთან დაკავშირებითაც, რომელსაც შესაძლოა მოკვეთა-გაძევება და ჩაქოლვაც კი მოჰყოლოდა. მაგალითად, ხევსურეთში არისხებდნენ ხალხის მოღალატეს: ხევსურეთის მოღალატეს, თემის მოღალატეს, სოფლის მოღალატეს.[1] იმავე მიზნით სოფლის მოღალატის, სოფლის პირის გამტეხის დარისხებას ხევსურეთში ვ. ბარდაველიძე და ალ. ოჩიაურიც აფიქსირებენ.[2] აღსანიშნავია, რომ მოღალატის დარისხებას პრევენციის მიზნით ვხვდებით ალ. ყაზბეგის ნაწარმოებში „ელგუჯა“. აქ არის ეპიზოდი, როდესაც თემის ყრილობა იღებს გადაწყვეტილებას რუსებისათვის გზების ჩაკეტვის შესახებ. შემდეგ კი დეკანოზი არისხებს მათ, ვინც ღალატს ჩაიდენდა, ან მოღალატეს დაიფარავდა, დაინდობდა და მფარველობას გაუწევდა.[3] „სვანურ საისტორიო ძეგლებშიც“ გვხვდება დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ბალსზემო სვანეთის მოსახლეობას დაუწყევლია ყველა ის, ვინც ეკლესიას გატეხდა, ტყვეს შეიპყრობდა, ან ადამიანს ოსეთში გაჰყიდდა.[4]

ამ დროს დარისხებისა და გამაფრთხილებელი სამანის ჩასმის მთავარი მიზანი იყო ნახსენები უმძიმესი დანაშაულების თავიდან არიდება, ხოლო მის ჩამდენის მიმართ, ხალხის რწმენით, დაწყევლა ავტომატურად გავრცელდებოდა, მიუხედავად იმისა, სხვა სასჯელების (ჩაქოლვა, მოკვეთა-გაძევება) შეფარდება მათ მიმართ მოხდებოდა თუ არა. სრულიად შესაძლებელია, დანაშაული არ გამჟღავნებულიყო. აი, ამ შემთხვევისათვის საზოგადოების (მთელი ხევის, თემის თუ სოფლის), მოღალატის დარისხება საუკეთესო საშუალება იყო იმისა, რომ იგი დაუსჯელი არ დარჩენილიყო. დარისხების ძალა და შედეგები დამნაშავეზე დანაშაულის გაუმჟღავნებლობის შემთხვევაშიც უნდა გავრცელებულიყო.

პრევენციის მიზნით დარისხება, დაწყევლა საქართველოში ხდებოდა სხვადასხვა მიზნით ჩასმული სამანის „მოშლის“ – მისი ამოღების, გადაადგილებისათვის. ცნობილია, რომ საქართველოში სამნებს

---

[1] მ. კედელაძე, ხევსური მასალები, პირადი არქივი, რვეული №18, 1.

[2] ვ. ბარდაველიძე, ხევსური თემის მმართველობის სისტემა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIII, №10, 626; ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილი-მიღმახევი), თბ., 2005, 273.

[3] ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. 1, თბ., 1948, 94-95.

[4] პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკეთი მეორე, თბ., 1941, 38.

სვამდნენ. სხვადასხვა სუბიექტების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ერთმანეთისაგან გასამიჯნავად. ამ დროს სამანის ჩასმისას ხდებოდა დარისხება, დაწყევლა იმისა, ვინც „მოშლიდა“ მომავალში ამ სამანს. ამ დარისხების შიშით ადამიანები ერიდებოდნენ სამანის „მოშლას“, თუმცა, თუ გააკოებდენენ ამას, ხალხის რწმენით, ოჯახური უბედურება არ ასცდებოდათ.[1]

მოხევე ინფორმატორი სამანის ამოღების კონკრეტულ ფაქტს გვიამბობს, რომელიც ძველად მომხდარა მის სოფელში. ერთ-ერთ ეზოში სამანი ყოფილა ჩასმული. სამანის ადგილას ეზოს პატრონმა გადაწყვიტა სახლის აშენება. ნათესავებმა გააფრთხილეს, რომ ეს არ გაეკეთებინა, მაგრამ მან მაინც არ მოიშალა, ხოლო სამანის ქვა სახლის მშენებლობის მასალად გამოიყენა. მცირედი დროის გასვლის შემდეგ მის ოჯახში უბედურებები დაიწყო და მალე მთელი ოჯახი ამოწყდა. ინფორმატორის რწმენით, ეს სამანის ამოღების მიზეზით მოხდა.[2] ამდენად, დარისხება, ხალხის რწმენით, ვრცელდებოდა დასარისხებლად ჩასმული სამანის ამომგდებსა და მის ნათესავებზეც, მიუხედავად იმისა, თუ რა მიზნით იყო სამანი ჩასმული. საერთოდ, სამანის ამოგდება მძიმე დანაშაული იყო.

მ. კანდელაკი მიუთითებს, რომ მოის ყველა კუთხეში სამრისხველო სამანის ჩასმას თან სდევდა დაწყევლა იმისა, ვინც მხარეთა შეთანხმების გარეშე სამანის ამოგდებას გაბედავდა. წყევლა წარმოითქმებოდა ასევე იმათ მიმართ, ვინც გაბედავდა და შეეხებოდა სამანს, „მოსწვდიდა“ (ლეჩხუმი) მას: ვინც ეს სამანი მოწოდოს, დაესოს გულზე, ამოვარდეს მისი ცხოვრება, გაუწყრეს სამანის მადლი და ღმერთი, ცოდვიანი იყოს, კარგი არაფერი ნახოს და სხვა. ასეთივე სიტყვებით მიმართავდნენ აგრეთვე სამანის ადგილგადანაცვლების მოსურნესაც (ფშავი, ხევსურეთი).[3]

როგორც ვხედავთ, დარისხება პრევენციის მიზნით, შესაძლოა, ძალზედ მრავალგვარი დანიშნულებით მომხდარიყო, კერძოდ, მძიმე დანაშაულთა თავიდან ასაცილებლად (მათ შორის სამანის ამოგდება-გადაადგილების, უქმის გატეხვის), მტრების შერიგების უზრუნველ-

[1] ა. დევიძე, სამანი, გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 16 ივნისი, 1990.

[2] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №2, 89.

[3] მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები“, 1988, თბ., 1991, 49-50.

საყოფად, გარკვეული მოქმედებების შესასრულებლად თუ, პირიქით, ასაკრძალად (მათ შორის ოჯახში ღორის ყოლის), გარკვეულ ნათესაურ ჯგუფებს შორის ქორწინების თავიდან ასაცილებლად, საზოგადოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების (კანონის) თუ დადებული პირობის შესრულების უზრუნველსაყოფად, საერთო (სათემო, სასოფლო) ქონების (მაგალითად, ტყის) განადგურებისაგან, დაზიანებისაგან გადასარჩენად და სხვა.

პრევენციის მიზნით დარისხების შემთხვევაში დარისხების მექანიზმი ამუშავდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი ექნებოდა დარისხებით აკრძალული დანაშაულის თუ მოქმედების ჩადენას.

დარისხების, შერისხვის გამოყენება ხდებოდა ასევე დამნაშავის გამოტეხვის, მისი გამოვლენის მიზნით. მაგალითად, ფშაურში დაფიქსირებული მასალებით, თუ დამნაშავე არ იცოდნენ ვინ იყო და არც ეჭვი ჰქონდათ ვინმეზე, ხდებოდა დამნაშავის დარისხება. დაზარალებული ხატში ჭედილას წაიყვანდა, ეს ე. წ. სამრისხველო საკლავი დაიკვლებოდა და დაზარალებული დამნაშავეს ხევისბერს დაარისხებინებდა: „ვინც ეს ნივთი მოიპარა, ან ვინც ეს გააკეთა, ესე და ესე მოუვიდესო“.[1] იმავე მიზნითა და წესით, სამრისხველო საკლავის დაკვლით ხდებოდა დარისხება ხევსურეთშიც.[2] დარისხებას წინ უსწრებდა ხალხის გაფრთხილება, რომ დაებრუნებინათ ნაქურდალი, ან ჯვარის მსახურთათვის შეეტყობინებინათ ჩადენილი დანაშაულის შესახებ.[3] დარისხების შიშით დანაშაულის აღიარება იშვიათი არ ყოფილა.

წყევლის (გარცამის) მეშვეობით დამნაშავის გამოვლენა ძალზედ გავრცელებული იყო სვანეთშიც. ერთ-ერთი სვანი ინფორმატორი გვიამბობს, რომ ბალსზემო სვანეთში სამ წელიწადში ერთხელ წმინდა კვირიკეს ეკლესიაში (კალაში) ხდებოდა მთელი ხეობის ხალხის დაფიცება, რომ არც თვითონ მოუპარავთ და არც რაიმე იციან ქურ-

---

[1] გ. დავითაშვილი, სასამართლო მტკიცებულებანი (ნაშრომის — „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“ მესამე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი,“ 3, გამომცემლობა „მეცნიერება,“ თბ., 1991, 153-154.

[2] გ. დავითაშვილი, სასამართლო მტკიცებულებანი ხევსურულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 1998, 100.

[3] მ. კანდელაკი, ხევისბერის ინსტიტუტის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 1975, XVIII, 118.

დობის ან ქურდის შესახებ. ამ კოლექტიურ დაფიცებას წინ უძღვოდა წყევლა (გარცამი): „ვინც იცოდეს ქურდობასთან დაკავშირებით და არ თქვას, გაუწყრეს წმინდა კვირიკე მას და მის ოჯახს.“ ხალხი „ამინით“ ერთხმად ადასტურებდა ამას. თუ ვინმეს რაიმე მოპარული ჰქონდა, ან იცოდა ქურდის თუ ქურდობის შესახებ, უნდა ეთქვა ამის შესახებ სპეციალურად გამოყოფილი პირისათვის, რომელიც იქვე იმყოფებოდა და ჩაიწერდა მათ ნათქვამს.[1] გარცამისა და მისი შედეგების შიში ქურდის გამოვლენას უწყობდა ხელს.

სვანეთში, საერთოდ, წყევლა (გარცამი) წინ უძღვოდა ფიცს. ეს ხდებოდა მაშინაც, როდესაც ადგილი ჰქონდა საზოგადოების (მთელი ხეობის, თემი, სოფლის) ყველა წევრის კოლექტიურ დაფიცებას (რაიმე პირობის დადებასთან დაკავშირებით იმის თაობაზე, რომ არ მოხდებოდა ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენა, ან დანაშაულის ჩამდენის გამოვლენის მიზნით), ასევე კონკრეტული ეჭვმიტანილის (თუ ეჭვმიტანილების) დაფიცებისას, თავის მართლების მიზნით, ასევე ტოლობის თუ ერთგულების ფიცისას.[2] ფიცის დარღვევის შემთხვევაში, ხალხის რწმენით, დამრღვევზე გადავიდოდა ის საშინელი გარცამი (წყევლა), რომელსაც ამ დაფიცების წინ ჰქონდა ადგილი.[3]

დარისხების, შერისხვის, როგორც სასჯელის, ბუნების გარკვევისათვის არსებითია მისი ჩატარების ცერემონიალი და წყევლის ფორმულა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში საკმაოდ გავრცელებული იყო დარისხება სამანის („სამრისხველო სამანის“) ჩასმით.[4] აქ ეს

[1] მ. კეკელია, მასალები სვანეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, №5, 24-25; №4, 75.

[2] ეჭვმიტანილის ფიცი ბალსზემო სვანეთში განხილული გვაქვს ნაშრომში: „სასამართლო მტკიცებულებანი ქართულ ჩვეულებით სამართალში“, თბ., 2003, 40-43; ტოლობისა და ერთგულების ფიცი ნაშრომში: „სამედიატორი სასამართლო სვანეთში“, თბ., 2002, 38-82.

[3] გარცამს ანუ წყევლას, ეჭვმიტანილის დაფიცებისას, ტოლობისა და ერთგულების ფიცისას ბალსზემო სვანეთში, აქ აღარ შევეხებით, რადგანაც შესაბამისი წყევლის ფორმულები და მათი შინაარსი განხილული გვაქვს ზემოთ აღნიშნულ ნაშრომებში.

[4] მ. კანდელაკის განმარტებით, სამრისხველო სამანის გავრცელების არე მოიცავდა ფშავ-ხევსურეთს, ხევს, მთიულეთ-გუდამაყარს (მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები“, 1988, თბ., 1991, 60).

ხდებოდა საჯაროდ, ხალხის თავშეყრის ადგილას, სადაც ჯვარი, ხატი, სალოცავი იყო და სადაც ხალხი ხატობაზე იკრიბებოდა.[1] დარისხებას სპეციალურად ამთხვევდნენ ხატობა დღეს, რათა მთელი სოფელი თუ თემი დასწრებოდა ამ ცერემონიალს.[2] მ. კანდელაკის განმარტებით, დარისხება ხევსურეთში ტარდებოდა როგორც კაცების, ისე ქალების წინაშე (ქალები მოშორებით იდგნენ).[3] ხევში სამების ეკლესიასთან ახლაც ყოფილა შემორჩენილი „რისხვის სამნები", თუმცა ხალხს აღარ ახსოვს, თუ ვისთვის, ან რისთვის ჩაუსვამთ ისინი. ხევში დაფიქსირებული მასალით, მას შემდეგ, რაც თემის, სოფლის თავკაცები, სოფლის ყრილობა მიიღებდა გადაწყვეტილებას დამნაშავის დარისხების შესახებ, საწყევარ სიტყვებს წარმოთქვამდა დეკანოზი, დაიკლებოდა საკლავი. ამის შემდეგ ხდებოდა „სამრისხველო სამანის" ჩასმა. ამოთხრიდნენ მიწას, შიგ ჩაასხამდნენ დაკლული საკლავის სისხლს და შემდეგ ჩასვამდნენ სამანს. ქვას ისე „ჩააყუდებდნენ", რომ მისი თავი გამოსაჩენი ყოფილიყო.[4] აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დარისხებისას ხდებოდა საკლავის (ხარის, ან ცხვრის) დაკვლა.

დარისხება, შესაძლოა, „სამრისხველო სამანის" ჩასმის გარეშეც მომხდარიყო. ეს მაგალითად, ხევში ფიქსირდება. ერთ-ერთ ინფორმატორს ამის კონკრეტული მაგალითიც მოჰყავს, რომელსაც სოფელ სიონში ჰქონია ადგილი XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში.[5]

ახლა შევჩერდეთ დარისხების ფორმულაზე და იმ მოქმედებებზე, რომლებიც თან ახლდა საწყევარი სიტყვების წარმოთქმას.

ნ. ბალიაური ასე გადმოგვცემს ხევსურეთში ქალთან უწესობის ჩამდენის დარისხების ფორმულას: „სოფლის მოღალატესა-დ ქალზლის დაუნდოს მისდიე, დალოცვილო, (ჯვარის სახელი) შენის

---

[1] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 65; მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 26-27; ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 30.

[2] მ. კანდელაკი, ხევისბერის ინსტიტუტის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 1975, XVIII, 118.

[3] იქვე.

[4] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №1, 25-26, 26-27, 67-68, 78, 88; №2, 4, 49; №3, 20.

[5] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1984, №2, 48-49.

ცეცხლითად, ლახტით, შენის ლაშქრითა-დ, მწევრით შვილისშვილამდინ, ქალ-დისწულამდი! ამააგდი-დ, გააქარ იმისობა“[1]

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ფიქსირდება დარისხება (შერისხვა) ხევისბერის მიერ სანთლების ანთებითა და ჩაქრობით, თასების (ჭიქების) ლუდით თუ არყით ავსებითა და გადაღვრით. ფშაველი ხევისბერი შოთა რიგიშვილი ასე აღწერს შერისხვის ცერემონიალს: „შერისხვას ასეთი სიტყვებით ვაყალიბებთ: „შენს მოღალატეს (მივმართავთ ხატს), შენს შემარცხვენელს, შენს მცარცველს, შენს კარზე მკვლელს, შენს კარზე დამჭრელს (იმის მიხედვით, ვინ რა ჩაიდინა), მიეც რისხვა, დაკრუნჩხე, გაუნადგურე (გაუთავე) ოთხფეხი და ორფეხი, ნაწველი და ნადღვები“. ამას მე ვიტყვი, თან სამჯერ ავანთებ და ჩავაქრობ სანთელს, ასევე სამ ჭიქა არაყს შევავსებთ და გადავღვრით. მესამე ჩაქრობის შემდეგ კი სანთლებს გადავაგდებთ. ჩემს მიერ საწყევარი სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ხალხი „ამინს“ მეუბნება.“[2] დაახლოებით ასეთივე რიტუალს ვხვდებით ხევშიც. ალ. ოჩიაურის აღწერით, ხევისბერი ავსებდა ლუდით სპილენძის ჩანახს, ანთებდა სანთლებს, შემდეგ კი დაარისხებდა დამნაშავეს და იტყოდა: წმინდა გიორგი (ალ. ოჩიაურს აღწერილი აქვს დარისხება წმინდა გიორგის სახელობის სალოცავში) ასე დააქციე დამნაშავის სისხლი, როგორც ეს ლუდი და დაღვრიდა ლუდს, ისე ჩააქრე მისი მოდგმა, როგორც ეს სანთელი და ჩააქრობდა სანთლებს.[3] აღსანიშნავია, რომ ასეთივე დარისხების რიტუალი, ოღონდ ეჭვმიტანილის დაფიცების წინ, აღწერილი აქვს ვაჟა-ფშაველას ფშავის სინამდვილიდან. ვაჟა წერს: „... ხევისბერი აავსებდა თასს ლუდით, არყით, ან ღვინით; ცალს ხელში ეჭირა სასმლით სავსე თასი, მეორე ხელში ანთებული სანთელი და იტყოდა: „ვინც მართალი დამალოს და არ თქვას, გაუწყრეს ეგ ჩვენის ბატონის მადლი და დავლათი და ეგ თასივით დაიღვაროს მისი ოჯახი (დააქცევდა თასს). ეგ სანთელივით გაქრეს იმისი სახსენებელი დედამიწის ზურგზედა.“ გააქრობდა სანთელს.“[4]

---

1 ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 30.

2 მ. კეკელია, მასალები ფშაურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 16-17.

3 ალ. ოჩიაური, სამამო მიწისმფლობელობის შესახებ ხევსურეთში, პირადი არქივი, რვეული №5, „ამოწყვეტილი გვარები ხევსურეთში“, 50. ანალოგიურ რიტუალს ს. მაკალათიაც აღწერს (ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985, 183).

4 ვაჟა-ფშაველა, ფშაველების ძველი სამართალი და საოჯახი წესები, თხზულე-

დარისხების ანალოგიური რიტუალი ხევსურეთშიც გვხვდება. მაგალითად, ალ. ოჩიაური ასე აღწერს წელწადის დღეობაზე ხუცესის მიერ ჩატარებულ დარისხების ცერემონიალს: მას უჭირავს ლუდით სავსე სახუცო კოჭობი სანთლებით და იტვის: „გაუწყრას მიქიელის დავლათი სოფელში ცუდი ენის კაცს, მოღალატეს, ცუდის ხელისას (ქურდი), სოფლის გამტეხს, ღრისხევდას, მიზდიოს შვილით შვილამდენა, ქალის შვილამდინ, ნუ გამაიყვანას იმის სახლში ნუც ქუდიანი, ნუც მანდლიანი“. „ამინ, ღრისხევდას“ — ერთხმად დაუდასტურებს ხალხი. ხუცესი თავის კოჭობზე სანთელს სამჯერ დააქრობს და იტყვის: „გაქრას ეესრ მოღალატე, მავნე კაცისობაი“. „ამინ ღრისხევდას“ — არის ხალხის პასუხი. მერე ხუცესი თავისი თასიდან მთლად დაღვრის ლუდს მიწაზე და იტყვის: „დაიღვარას ეესრ მეღალატისა, სოფლის გამტეხის სისხლი მტრის ხელით“ — „ამინ! — წარმოთქვამს ხალხი.[1]

როგორც ჩანს, ფშავს-ხევსურეთსა და ხევში შერისხვის, დარისხების აუცილებელი კომპონენტები იყო სანთელი და სასმელი, ხოლო შესაბამის ცერემონიალს ხევისბერი (ხუცესი) ატარებდა. სანთლების ჩაქრობა

ბათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, თბ., 1964, 76.

[1] ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, 74. მ. კანდელაკი ამ რიტუალის დამახასიათებელ ზოგიერთ ნიუანსზეც ამახვილებს ყურადღებას. მისი განმარტებით, ხუცესი ჩამქრალ სანთლებს ჯვარში ისეთ ადგილას გადაყრიდა, სადაც კაცის ფეხი არ შედის. თუ დარისხება კონკრეტული პიროვნების ინიციატივით ხდებოდა (მ. კანდელაკი ქურდის დარისხებას აღწერს), დღეობაზე, რომელზეც დარისხების ცერემონიალი უნდა ჩატარებულიყო, მას ლუდისათვის პირველს უნდა მიეტანა ერთ საწყავამდე ფქვილი, აგრეთვე სვე. დასტურები ამ ფქვილსა და სვეს ჯვარისათვის განკუთვნილ ფქვილსა და სვეში აურევდნენ და ლუდს ერთად ადულებდნენ, რასაც ხევსურეთში „სამრისხალოს ჩატანება“ ერქვა. „სამრისხალოს ჩამტანებელი“ ერთი საკლავით მიდიოდა ხუცესთან. ხუცესი საკლავს დაკლავდა დამრისხებლის სამწყალობნად, ლუდით აავსებდა თასს და დაარისხებდა ქურდს. მ. კანდელაკის მიხედვით, დარისხებას მოჰყვებოდა სახუცო თასიდან, იქვე, მოგიზგიზე ცეცხლზე არყის გადასხმა. ხუცესი იტყოდა: „ეესრ დაიწვას, აპრიალდეს არდოტის ორგული“. არაყს დალევდა ყველა იქ მყოფი, ქალებიც კი, ოღონდ დასტურის ხელიდან, რადგან თვითონ ჯვარის თასგ-განძს ხელს ვერ მოჰკიდებდნენ. ყველა დალევდა „სამრისხალოს“, ოღონდ ხუცესისაგან იმ განსხვავებით, რომ ცეცხლში აღარ ჩაასხამდნენ არაყს (მ. კანდელაკი, ხევისბერის ინსტიტუტის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVIII, 1975, 118-119).

და სასძლის დაქცევა კი სიმბოლურად გამოხატავდა წყევლის შინაარს, შერისხულისა და მისი ოჯახის განადგურებას. კერძოდ, როგორც სანთელი ჩაქრა ისე ჩაქრება დამნაშავის სახსენებელი, როგორც სასმელი დაიღვარა, ისე დაიღვრება დამნაშავის სისხლი, მისი ოჯახი.

აქ მოყვანილი სხვადასხვა დარისხების ცერემონიალი და ფორმულა გვიჩვენებს, რომ დამნაშავესთან ერთად ხდებოდა მისი ოჯახის წევრებისა და შთამომავლობის დაწყევლა (ზოგიერთი ფორმულის მიხედვით დამნაშავის საქონელიც იწყევლებოდა) და მათზე ყველაზე ვრცელდებოდა საწყევარ სიტყვებში გამოხატული ამოწყვეტის მოთხოვნა. მათ, ხალხის რწმენით, ყველას დაატყდებოდა ხატის რისხვა. მ. კანდელაკს მოჰყავს მაგალითი ხალხის მიერ მთიულეთში ერთ-ერთი მამიშვილობისათვის სამრისხველო სამანის ჩასმისა, რის შემდეგაც მამიშვილობა დაღუპვის გზას დაადგა. ეს შემთხვევა მ. კანდელაკის აზრით, მთიულთა ცნობიერებაში აისახა, როგორც სამანის ჩასმით დარისხებული მამიშვილობის შთამომავლობის დაღუპვის დასაწყისი, მათი ამოწყვეტის ტოლფასი ამბავი, როგორც რწმენა იმისა, რომ წინაპრის მიერ ჩადენილი ცოდვა შთამომავლობას გადაეცემა.[1]

ო. ზოიძე, ფშაურში დარისხების შესახებ საუბრისას, მართებულად შენიშნავს, რომ როდესაც დარისხება დამოუკიდებელ სასჯელს წარმოადგენდა და არ იყო დაკავშირებული დამნაშავის მოკვეთასთან, ხევისბერი მხოლოდ ხატს მიმართავდა დამნაშავის (მისი შთამომავლობის) დასჯის თხოვნით, მოკვეთის შემთხვევაში დარისხებისას კი ხევისბერი ხალხისგანაც მოითხოვდა დამნაშავის გარიყვას, რაც ნიშნავს, რომ დარისხებას, როგორც დამოუკიდებელ სასჯელს, არ მოსდევდა დამნაშავისა და მისი ოჯახის საზოგადოებიდან გარიყვა.[2] ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე საქართველოს სხვა კუთხეებშიც. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დაფიქსირებულ მასალებში ჩანს, რომ დარისხებული არ იყო მოკვეთილი, ის აგრძელებდა სახლში ცხოვრებას, მეზობლობიდან გარიცხული არ იყო, თუმცა მასთან კარგი ურთიერთობა ფაქტობრივად არ ჰქონდათ.[3] დარისხებული,

---

[1] მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები", 1988, თბ., 1991, 56.

[2] ო. ზოიძე. სასჯელები (ნაშრომის — „ფშაური ჩვეულებითი სამართალი" მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1991, 113.

[3] მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული,

გარდა იმისა, რომ, ხალხის რწმენით, წყევლის ზემოქმედების ქვეშ ექცეოდა, გარკვეულ უფლებებს კარგავდა. მაგალითად, მას აღარ ჰქონდა უფლება ხატში მისვლის, სალოცავში საკლავის დაკვლისა, ხუცესი (ხევისბერი) არ დაამწყალობებდა მას.[1] ამდენად, შერისხული, დარისხებული ჩამოცილებული იყო ჯვარ-ხატს, მისგან ვერანაირ წყალობას მიიღებდა, ვერც იქ გამართულ რაიმე რიტუალში მიიღებდა მონაწილეობას.[2]

არსებით ფაქტორს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ დარისხება საჯაროდ ტარდებოდა, შესაბამის ცერემონიალში კი მთელი საზოგადოება იღებდა მონაწილეობას და ერთობლივად ადასტურებდა დარისხების ფაქტს.

დარისხებისაგან გათავისუფლება შესაძლოა მომხდარიყო, თუმცა ამისათვის აუცილებელი იყო შესაბამისი რიტუალის ჩატარება. ცხადია, დარისხებულის პატიება და სამანის ამოღება ერთობლივი გადაწყვეტილებით ხელწიფებოდა იმას (ხეობა, თემი, სოფელი, გვარი, ნათესაური ერთეული), რომელმაც მოახდინა დამნაშავის დარისხება და სამრისხველო სამანის ჩასმა. როდესაც დარისხება თავის შედეგებს გამოიღებდა, დარისხებული ან მისი შთამომავალი დამრისხებელს მიმართავდა პატიების თხოვნით, რომ დარისხებისგან გაეთავისუფლებინათ და სამრისხველო სამანიც ამოელოთ (მისი არსებობის შემთხვევაში). ამ თხოვნით დარისხებული ხალხს მიმართავდა ხატში, რომელიმე დღეობაზე. მასალებში დაფიქსირებულია კენჭისყრის შესაძლებლობაც დარისხებულის პატიებასთან დაკავშირებით (მთიულეთი), იმიტომ, რომ ზოგი მეთემე შესაძლოა ყოფილიყო პატიების წინააღმდეგი, ზოგიც მომხრე. ასეთ ვითარებაში კენჭისყრა გადაწყვეტდა დარისხებულის პატიების საკითხს. დარისხებულს (მის შთამომავალს) მოჰყავდა საკლავი, რომელსაც დასამწყალობებლად

1984, №1, 67, 78-79; რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 65.

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 71; რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 65.

[2] აღნიშნულ საკითხზე უფრო დაწვრილებით იხილეთ: ო. ზოიძე, სასჯელები (ნაშრომის — „ფშაური ჩვეულებითი სამართალი" მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1991, 114-115.

დაკლავდნენ და დარისხებულს შეიწყალებდნენ, ხოლო სამრისხველო სამანს ამოაგდებდნენ.[1] ამდენად, შესაბამისი ცერემონიალი ისევე ტარდებოდა, როგორც საერთოდ სამანის ამოღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცერემონიალი.

6.2. ხატზე გადაცემა. დაწყევლის, როგორც სასჯელის გავრცელებულ სახეს წარმოადგენდა ხატზე გადაცემა. ეს იყო დამნაშავის დაწყევლა სხვადასხვა ხერხით. მისი სხვა ნაირსახეობებიც არსებობს, მაგალითად, „წინდით გადაცემა“, „ბედუა“. მათ ჩვენ ცალკე შევეხებით. ახლა დამნაშავის დაწყევლის იმ ცერემონიებს განვიხილავთ, რომლებსაც ინფორმატორები „ხატზე გადაცემად“ იხსენიებენ. „ხატზე გადაცემის“ შესახებ საკმაო მონაცემი მოგვეპოვება იმერეთში, გურიაში, ლეჩხუმსა და იმერეთში დაფიქსირებულ მასალაში და ჩვენ დაწყევლის აღნიშნულ სახეს ამ კუთხეების მიხედვით შევეხებით.

თავიდანვე ვიტყვით, რომ „ხატზე გადაცემისადმი“ რწმენა აღნიშნულ რეგიონებში შედარებით ხანდაზმულ მოსახლეობას XX საუკუნის დასასრულისთვის ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონდა. ამ პერიოდში ჩაწერილი მასალების მიხედვით ისინი ბევრს საუბრობენ ამ ინსტიტუტის შესახებ და იხსენებენ არაერთ შემთხვევას ხატზე გადაცემისა, რომლებიც ახლო წარსულში მოხდა. ისინი ხშირად პიროვნების, მისი ოჯახის უბედურებას სწორედ ხატზე გადაცემით გამოწვეულად მიიჩნევდნენ. ბევრი მათგანი დარწმუნებული იყო, რომ ვისაც ხატზე გადასცემდნენ, მას სიკვდილი, მძიმე ავადმყოფობა, ოჯახის წევრთა სიკვდილიანობა და სხვა არ ასცდებოდა. მათი რწმენით, „ხატზე გადაცემა“ ძალზედ ძლიერ წყევლას წარმოადგენდა და მისი ზემოქმედების ხარისხი ხატზე გადაცემულისა და მისი ოჯახისათვის უდიდესი იყო. ინფორმატორებს მოჰყავთ კონკრეტული ფაქტები ოჯახის ამოწყვეტისა, გაუბედურებისა, რაც ხატზე გადაცემის შედეგად მიაჩნიათ.

მაგალითად, ერთ-ერთი იმერელი ინფორმატორი იხსენებს, რომ მის სოფელში ქალს ხუთი ვაჟი მოუკვდა. სოფელში ყველა ამბობდა, რომ ხატზე იყო გადაცემული მეზობლის მიერ ამ უკანასკნელის მიწის მითვისების გამო.[2] მეორე იმერელი ინფორმატორი ასევე მოგვითხრობს

[1] ალ. ონიაური, სამამო მიწისმფლობელობის შესახებ ხევსურეთში, პირადი არქივი, რვეული №5, „ამოწყვეტილი გვარები ხევსურეთში“, 50; რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965, 65.

[2] ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული

ხატზე გადაცემულის მთელი ოჯახის ამოწყვეტის შესახებ.[1] კიდევ ერთი იმერელი ინფორმატორი კი იხსენებს შემთხვევას, როდესაც მის მამას მოჰპარეს ეკლესიაში შენახული ფული, რის გამოც მან ქურდი ვ. კ. ხატზე გადასცა. ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, ქურდი ვერ დაყრუვდა და მერე გარდაიცვალა, რაც ხალხმა ხატზე გადაცემას დაუკავშირა.[2] ლეჩხუმის ერთ-ერთ სოფელში კი ქალმა ხატზე გადასცა მეზობელი პ. გ., იმის გამო, რომ მან ამ ქალს ჯოხი დაარტყა: უშვილო ხარ და ეზოს რატომ არ მაძლევო? ინფორმატორის თქმით, ხატზე გადაცემული დღემდე დავრდომილია და ველარ დადის, რასაც იგი, ცხადია, ხატზე გადაცემას უკავშირებს.[3] ლეჩხუმშივე ქალებს საქონლის ქურდები გადაუცია ხატზე. ქურდები ავად გამხდარან და სამივე გარდაცვლილა.[4] საქართველოს ამავე კუთხეში, ომის დროს მართა გ-ის მეზობლის ბავშვს ჭუკები დაუხოცავს, რომლებიც ბავშვის დედას ხევში გადაუყრია. ამის საპასუხოდ მართამ თავისი სიმაღლის სანთელი დაახვია ჭიქასავით, მივიდა ეკლესიაში, დაიჩოქა ხატთან და შეეხვეწა ხატს: „რა ხელმა ჩემი ჭუკები დახოცა, ადამიანს არ შეეხებოდეს, ისე იყოს მისი მარჯვენა ხელიო.“ ..... ზუსტად ამ დღეს, ერთი წლის შემდეგ, ეს ბავშვი წყალში დაიხრჩო საბანაოდ ჩასული. შემდეგ დედამ ხელი მოიტეხა.....[5] მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან. თითოეული მათგანი ნათლად მეტყველებს, თუ ხალხის რწმენით რა ძალა ჰქონდა წყევლას, ხატზე გადაცემის სახით.

ახლა გავარკვიოთ, თუ რა შემთხვევაში გამოიყენებოდა ხატზე გადაცემა. ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ხატზე გადაცემა ხშირად ხდებოდა დამნაშავის გამოვლენის, მისი გამოტეხვის მიზნით, როგორც წესი, ქურდობის შემთხვევაში. ხატზე გადაცემა, როგორც

რეული, 1989, 18-19.

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 68.

[2] დ. ჯალაბაძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 47.

[3] დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 36-37.

[4] ო. ზოიძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 3.

[5] გ. დავითაშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 4-5.

დამნაშავის გამოტეხვის საშუალება, ჩვენ საკმაოდ დაწვრილებით განვიხილეთ სხვა ნაშრომში.[1] ხატზე გადაცემის ინსტუტუტის სრულად წარმოჩენისათვის ჩვენ მიერ აღნიშნულ ნაშრომში მოტანილი გარკვეული მონაცემებისა და გამოთქმული მოსაზრებების განმეორება მოგვიწევს.

ქურდობის შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე არ იყო ცნობილი და არც ეჭვი ჰქონდათ კონკრეტულ პიროვნებაზე, დაზარლებულს, შესაძლოა, წინასწარ სახალხოდ გამოეცხადებინა, რომ აპირებს დამნაშავის ხატზე გადაცემას. არაერთხელ მომხდარა, რომ ასეთი მუქარით შეშინებული დამნაშავე გამომტყდარა (მათ შორის თვით წყევლის დროს) და ნაქურდალიც უკან დაუბრუნებია. ამ თვალსაზრისით საინტერესო მონაცემებს ვხდებით სამეგრელოში. ერთერთი ინფორმატორის განმარტებით, „ხატიშა გინოჩიმა“ (ხატზე გადაცემა მეგრულად) მაშინ გამოიყენებოდა, როცა დანაშაული მოხდებოდა და დამნაშავე არ ჩანდა. დაზარალებული მივიდოდა მღვდელთან და ითხოვდა „ხატისათვის ჩაებარებინა“ დამნაშავის ძებნა. მღვდელი ხალხს განუცხადებდა: ამა და ამ დღეს მოხდება ამა და ამ დანაშაულისათვის ხატზე გადაცემა. იმ დღეს (დათქმულ დროს) მართლაც შეიკრიბებოდა ხალხი ეკლესიასთან, სადაც მღვდელი გამოიტანდა ხატს, დადგამდა ამბიონზე და დაიწყევლებოდა: „ხატო, ამა და ამ საქმის ჩამდენი დააქციე და დაანელე“. ისეთი შემაძრწუნებელი სიტყვებით გადასცემდა დამნაშავეებს, რომ ქვასაც კი შეაშინებდა. ზოგჯერ იქვე წამოიყვირებდა დამნაშავე: „მიშველეთ, მე ვქენი ეგო“ და ამით გამოვლინდებოდა დამნაშავე.[2] იმავეს ადასტურებს მეორე ინფორმატორიც: მაგალითად, დაიკარგა ხარი, მაგრამ პატრონმა არ იცის, ვინ შეიძლება იყოს ქურდი. ამ დროს მღვდელი კონკრეტული პიროვნების დაუსახელებლად, ზოგადად იწყევლებოდა: ვინც ქურდია, ასე და ასე მოუვიდესო. ხალხი კი „ამინით“ უდასტურებდა. იმ დროს, რაკი ყველა მორწმუნე იყო და მღვდელი მოუწოდებდა ხალხს — „მოდით, უნდა გადავცე ქურდიო“, ცხადია, ქურდიც მივიდოდა წყევლის მოსასმენად. ზოგჯერ წყევლის დროს გამოტყდება ქურდი — მე მოვი-

[1] გ. დავითაშვილი, სასამართლო მტკიცებულებანი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2003, 54-63.

[2] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 8.

პარეო. ხოლო თუ თავს აარიდებდა გადაცემაზე დასწრებას, ამით საეჭვო მდგომარეობაში ჩაიყენებდა თავს.[1] აღნიშნულს კონკრეტული ფაქტებიც ადასტურებს. დაახლოებით XX საუკუნის 70-იან წლებში სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში მოხდა ქურდობა. დამნაშავე უცნობი იყო და დაზარალებულმა გადაწყვიტა დამნაშავე გადაეცა ილორის წმინდა გიორგის ხატისათვის. ქურდი ისე შეშინებულა, რომ გამომტყდარა და ფულიც დაუბრუნებია.[2] მსგავსი შემთხვევა იმერეთშიც მომხდარა. ინფორმატორი ფაქტის თვითმხილველი ყოფილა. ბებიამისს (1917-1918 წლებში) დაუკარგავს ძროხა, რომელიც აღარ გამოჩენილა. მას სანთლების შეკვრით ჩამოუვლია ორი სოფელი, ყველა ოჯახი. შედიოდა ოჯახში, სანთელს გადაგრიხავდა და იტყოდა: „ღმერთო, შენი ჭირიმე, ვინც ჩემი ძროხა მოიპარა, ასე მოეგრიხოს კისერიო". ერთ-ერთ ოჯახში რომ დააპირა სანთლის გადაგრეხვა და წყევლის სიტყვების წარმოთქმა, ქურდის დედა გამოვარდა და თქვა: „არ დაგვღუპო, არ მოუგრიხო სანთელს თავი. შენი ძროხა ჩემს შვილს ჰყავს დამალული სოფელ ვანის ტყეშიო".[3] ლეჩხუმში ომიანობის დროს ასი წლის მოხუცის პავლე ლიპარტელიანისათვის საცვლები მოუპარავთ. მაშინ დიდი გაჭირვება იყო და მოხუცს ქურდები სახალხოდ, ეკლესიაში წირვის დროს, ხატზე გადაუცია. ამით შეშინებულ ქურდებს საცვლები მეორე დღესვე უკან დაუბრუნებიათ.[4]

როგორც ვხედავთ, ხატზე გადაცემა დამნაშავის გამოვლენის საკმაოდ ეფექტური მეთოდი იყო. არ იყო გამორიცხული კონკრეტული ეჭვმიტანილიც გამოეტეხათ ხატზე გადაცემის მუქარით. კერძოდ, ქურდობაში ეჭვმიტანილს წინასწარ გააფრთხილებდნენ, რომ ელიარებინა დანაშაული, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ხატზე გადასცემდნენ, რისი შიშითაც იგი ხშირად აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს.[5]

---

[1] მ. კეკელია, იქვე, 23-24.

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 33-34.

[3] გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 52.

[4] დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 50.

[5] დ. ჯალაბაძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 48; დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე,

ხატზე გადაცემა დამნაშავის გამოვლენის თუ გამოტეხვის გარეშეც დასრულებულ სამართლებრივ ინსტიტუტს წარმოადგენდა. იგი როგორც წყევლა, უპირველს ყოვლისა, ხატზე გადაცემულის, მისი ოჯახის წევრების დასჯის საშუალებას წარმოადგენდა. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ხატზე გადაცემა ქურდობის გარდა სხვა შემთხვევებშიც გამოიყენებოდა. ზემოთ მოყვანილი კონკრეტული მაგალითებიდან გამოჩნდა, რომ პიროვნება მეორეს ხატზე გადასცემდა მისთვის ქონების (მაგალითად, მიწის) წართმევის, შეურაცხყოფის მიყენების, მატერიალური ზარალის მიყენების შემთხვევაში. ასევე ხატზე გადასცემდნენ ხოლმე მოქიშპეს, მტერს, ვისი ჯინიც სჭირდათ სხვადასხვა მიზეზის გამო.

ახლა განვიხილოთ, თუ როგორ ტარდებოდა ხატზე გადაცემა, მისი განსხვავებული ცერემონიები.

1. **ხატზე გადაცემა უშუალოდ ხატის წინაშე.** ხატზე გადაცემა, ძირითადად, ხატის წინაშე ხდებოდა. ამ ინსტიტუტის სახელწოდებაც მიუთითებს, რომ დაწყევლა სწორედ ხატის წინაშე უნდა მომხდარიყო. ხშირად დაზარალებული განაცხადებდა საჯაროდ, რომ აპირებს ხატზე გადაცემას, ან კონკრეტულ ეჭვმიტანილს ეტყოდა, რომ იგი ხატზე უნდა გადასცეს. როგორც ზემოთ გამოჩნდა, ამასთან დაკავშირებით შესაძლოა მღდელსაც შეთანხმებოდა წინასწარ, რომელიც დაწყევლიდა ხოლმე დამნაშავეს. ასეთ შემთხვევაში ხატზე გადაცემა საჯაროდ ტარდებოდა ხალხის თანდასწრებით, ეკლესიაში, ან ოჯახშიც კი. ეკლესიიდან მოხდებოდა ხატის გამოსვენება (შესაძლოა ხატი ოჯახში მიესვენებინათ). სამეგრელოში ხატის გამომსვენებელი იყო ე. წ. მეხატული, რომელიც ხშირად თვითონ წარმოთქვამდა ხოლმე საწყევარ სიტყვებს. მათ შეკრებილი ხალხი „ამინით“ პასუხობდა. ამ მომენტში ხალხი შესაძლოა დაჩოქილიც ყოფილიყო ხატის წინაშე.[1]

სამეგრელოში ხატზე გადაცემის ცერემონიალს დაწვრილებით აღწერს თ. სახოკია. მისი განმარტებით, დაზარალებული ხატზე გადაცემას რომელიმე რელიგიურ დღესასწაულს დაამთხვევდა, მაგალითად, გიორგობას, რადგანაც იმ დღეს, ხალხის რწმენით, წმინდა გიორგი განსაკუთრებით ძლიერია. მას ეკლესიაში აუცილე-

---

ეთნოგრაფიული რეული, 1989, 46-47; ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 4, 12.

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 46.

ბლად მიჰქონდა ძღვენი: მოზვერი („მომავალ წელს სახარედ რომ გამოდგება"), ფულადი შესაწირი, საჩუქარი მეხატულისათვის, თაფლის სანთელი ხატის წინაშე ასანთებად. დაზარალებული წინასწარ მოელაპარაკებოდა მეხატულს ხატზე გადაცემის შესახებ და შემდეგ დაესწრებოდა წირვას. ხატზე გადამცემიც და სალოცავად მისული ხალხიც ხატზე გადაცემის მოლოდინში იყო, რაც დამნაშავის დასჯის წმინდა გიორგისადმი მინდობას გულისხმობდა. მეხატული ეკლესიიდან გამოასვენებდა წმინდა გიორგის ხატს, რომელსაც წითელი აბრეშუმის პერანგი ემოსა, მოწიწებით აასვენებდა შვიდმეტრიან სიმაღლის ხის სამრეკლოზე. პირჯვრის წერით პერანგს შემოხსნიდა ხატს, რომელსაც მარჯვენა ხელში დაიჭერდა და პირს სამხრეთისაკენ შეაქცევდა ისე, რომ მზის სხივები ვერცხლის ხატს პირდაპირ მოხვედროდა. ამის შემდეგ იგი წარმოთქვამდა საწყევარ სიტყვებს, ანუ ხატზე გადასცემდა დამნაშავეს (თუ საქმე ეხებოდა ცხენების ქურდობას, წყევლის შინაარსი სწორედ მათ დაწყევლაში იქნებოდა გამოხატული). ხალხი ხატზე გადაცემის პასუხად წარმოთქვამდა „ამინ". შემდეგ ისეთივე მოწიწებით, მეხატული წამოასვენებდა ხატს და დაასვენებდა ეკლესიის კანკელის მარჯვენა მხარეს.[1]

როგორც ვხედავთ, სამეგრელოში XIX საუკუნის ბოლოსთვის ხატზე გადაცემა ხდებოდა ეკლესიაში, საჯაროდ, როგორც წესი, რომელიმე რელიგიური დღესასწაულისას, წირვის შემდეგ. ხატზე გადამცემს კი გარკვეული ძღვენი უნდა მიეტანა ეკლესიაში. აღსანიშნავია, რომ ხატზე გადაცემის მსგავსი ელემენტები XX საუკუნის 80-იან წლებში ჩაწრილ მასალებშიც ფიქსირდება ზოგიერთ შემთხვევაში ხატისთვის „გასამრჯელოს" მირთმევის ფაქტიც.[2] ხატზე გადაცემის მსგავსი აღწერა ერთ-ერთ იმერელ ინფორმატორთანაც გვხვდება. ხატზე გადაცემის მისეული აღწერა ასეთია: მივიდოდა კაცი მღვდელთან, თან მიიტანდა პურმარილს ან ფულს და სთხოვდა: ამა და ამ კაცმა ესა და ეს ცუდი გამიკეთა და ხატზე გადაეციო. მღვდელიც ხატს გამოიტანდა და საბალხოდ იტყოდა: ამა და ამ კაცმა ეკლესიას ესა და ეს შესწირა და ითხოვა ამა და ამ კაცის ამიტომ და ამიტომ ხატზე გადაცემა. შემდეგ კი დაწყევლიდა დამ-

[1] თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956, 66-67.

[2] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 62.

ნაშავეს.[1] აქაც ვხედავთ, რომ ხატზე გადამცემს მიაქვს გარკვეული ძღვენი, წინასწარ უთანხმდება მღვდელს ხატზე გადაცემის ცერემონიალის ჩატარებას, ხოლო მღვდელი საჯაროდ ატარებს შესაბამის ცერემონიალს და წარმოთქვამს საწყევარ სიტყვებს. ეს ინფორმატორი მიუთითებს, რომ ხატზე გადაცემულიც ესწრებოდა ხოლმე ამ ცერემონიალს და ან აღიარებდა წყევლის შიშით დანაშაულის ჩადენას, ან პირიქით უარყოფდა მას.[2]

როგორც აღინიშნა, ხატზე გადაცემა შესაძლოა ოჯახშიც ჩატარებულიყო. ამის მომსწრე ყოფილა მ. კეკელიას ერთ-ერთი მეგრელი ინფორმატორი, რომლის ოჯახშიც ჩატარებულა ხატზე გადაცემის ცერემონიალი მის ბავშვობაში. მის მამას თურმე მარნიდან ღვინო მოჰპარეს. ხატი სწორედ მარანთან მოასვენა მეხატულმა. ხატი ხალხის მოსვლამდე დაასვენეს სახლში. ხალხს სოფლის მამასახლისმა შეატყობინა, რომ ხატზე გადაცემას ექნებოდა ადგილი. ინფორმატორის განმარტებით, ხატზე გადაცემას ყველა უნდა დასწრებოდა. როცა ხალხი მოვიდა, ხატი მარანში გადაასვენეს. აქ ხატი ყურთბალიშზე დაასვენეს. ხატზე გადაცემის სიტყვები მეხატულმა წარმოთქვა. ხალხმა ეს წყევლა „ამინით“ დაუდასტურა.[3]

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ ხატზე გადაცემა არა ეკლესიაში, არამედ ოჯახში ჩატარდა, ცერემონიალს საჯარო ხასიათი ჰქონდა, მას ხალხი დაესწრო, ხატი უშუალოდ ოჯახში მიასვენეს და საწყევარი სიტყვები მეხატულმა წარმოთქვა.

ხატზე გადაცემის ცერემონიალი შესაძლოა არასაჯაროდაც ჩატარებულიყო.[4] ეს უფრო მაშინ ხდებოდა, როდესაც ხატზე გადამცემი კონკრეტულ პიროვნებას გადასცემდა ხატზე, ისე, რომ ხატზე გადაცემულმა არც იცოდა ამის შესახებ. ხშირად, ეს უკანასკნელი, ან მისი ოჯახი მოგვიანებით შეიტყობდა ხოლმე (ძირითადად, რაღაც ცუდი რომ შეემთხვეოდათ) ხატზე გადაცემის შესახებ.[5]

---

[1] მ. კეკელია, იქვე, 27.

[2] მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 27.

[3] ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 70.

[4] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 58-59.

[5] ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფი-

თ. სახოკიას მასალებში ყურადღებას იპყრობს „მეხატულის“ ინსტიტუტი, რომელიც გამოასვენებს ეკლესიიდან ხატს და წარმოთქვამს საწყევარ სიტყვებს.[1] XX საუკუნის დასასრულის მასალებში საწყევარი სიტყვების წარმომთქმელად ჩანს მღვდელიც[2] და მეხატულიც,[3] ასევე თვითონ ხატზე გადაცემის ინიციატორიც.[4] ზოგიერთი მეგრელი ინფორმატორის ცნობით კი, ხატზე გადაცემისას საწყევარი სიტყვები შესაძლოა წარმოეთქვა ასეთი სიტყვების წარმოთქმაში სპეციალურად დახელოვნებულ პიროვნებას. ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით, ამის გაკეთება ყველას არ შეეძლო, ამიტომ ვისაც კარგად ეხერხებოდა წყევლა, იგი დაჰყავდათ ხოლმე ხატზე გადასაცემად. მაწყევარს მეგრულად „მაჭყალი“ ერქვა.[5] ასეთი მაწყევარის არსებობას სხვა ინფორმატორიც ადასტურებს,[6] თუმცა არიან ინფორმატორები, რომლებსაც საერთოდ არ გაუგიათ ასეთი პიროვნებების არსებობა.[7] როგორც ჩანს, თუ ვინ იქნებოდა მაწყევარი სიტყვების წარმომთქმელი, კონკრეტულ შემთხვევაზე იყო დამოკიდებული.

ხატზე გადაცემა ხატის წინაშე იმერეთსა და ლეჩხუმში დაახ-

ული რვეული, 1988, 42.

[1] თ. სახოკიას მიხედვით, ხეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში მეხატული ყოფილა კვიკინა კუკავა, მაღალი, თეთრწვერა, მაღალი ხმის პატრონი, რომელიც გამოასვენებდა ხოლმე ხატს და წარმოთქვამდა საწყევარ სიტყვებს. (თ. სახოკია, იქვე, 66).

[2] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 8; ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 4, 12.

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 17, 42.

[4] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 61-62.

[5] იქვე, 61.

[6] მეგრელი ინფორმატორი სოფელ ჯგალიდან აღნიშნავს, რომ ძველად მათ სოფელში ყოფილა მაწყევარი პიროვნება – ბოკოკია. ხალხს სჯეროდა, რომ, როდესაც იგი დაიწყევლებოდა, მერე თვალებით შეატყობდა ვინ იყო დამნაშავე (ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, 1988, 70).

[7] მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატრი მიუთითებს, რომ მის სოფელში სპეციალური მაწყევარი პირი არ არსებობდა და ამას მეხატული ასრულებდა (ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 17).

ლოებით ისევე ტარდებოდა, როგორც სამეგრელოში. აქ დაფიქსირებულ მასალაში არ გვხვდება საწყევარი სიტყვების წარმოთქმა ე. წ. მეხატულისა თუ წყევლაში სპეციალურად დახელოვნებული პირის მიერ. ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით საწყევარ სიტყვებს აქ თვითონ ხატზე გადამცემი წარმოთქვამდა ან მღვდელი.[1]

ხატზე გადაცემას ხშირად თან ახლდა სანთლის ანთება. ჩვენს ხელთ არსებულ ყველა მონაცემში, რომელიც უშუალოდ ხატის წინაშე ხატზე გადაცემას აღწერს, ეს არ ჩანს. უფრო ხშირად ეს გვხვდება ლეჩხუმსა და იმერეთში დაფიქსირებულ მასალაში.

მაგალითად, ლეჩხუმელი ინფორმატორები მიუთითებენ, რომ ხატზე გადაცემისას ხატზე გადამცემი აუცილებლად წაიღებდა სანთელს, ხატის წინ დაანთებდა და დაიწყევლებოდა.[2] ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი კონკრეტული შემთხვევისას ქალბატონმა ხატზე გადასაცემად თავისი სიმაღლის სანთელი დაახვია ჭიქასავით, მივიდა ეკლესიაში, დაიჩოქა, აანთო სანთელი და დაწყევლა მისთვის ზიანის მიმყენებელი.[3] ანალოგიურად მოქცეულა კიდევ ერთი ლეჩხუმელი ქალბატონი. მან თავისი ოჯახის ცილისმწამებლის ხატზე გადასაცემად ჩამოქნა სანთელი, დაანთო ეკლესიაში ხატის წინ და დაწყევლა დანაშაულის ჩამდენიც და მისი ამ დანაშაულის ჩადენაში დამბრალებელიც.[4] როგორც ვხედავთ, ლეჩხუმში, როგორც წესი, თვითონ დაზარალებული ატარებდა სანთლის ანთებით ხატზე გადაცემის ცერემონიალს და საწყევარ სიტყვებსაც თვითონ წარმოთქვამდა.

ხატზე გადაცემისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა წყევლის ფორმულას. იგი, როგორც წესი, ხატის წინაშე „გადაცემისას" შეიცავდა იმ ქმედების დასახელებას, რის გამოც ადგილი ჰქონდა ხა-

[1] დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 36; 36-37; 38; მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 27.

[2] დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 38; 46-47; ო. ზოიძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 3; ერთ-ერთი ლეჩხუმელი ინფორმატორის განმარტებით, სანთლის ანთება შესაძლოა ეკლესიის გარეთაც მომხდარიყო. ხატზე გადამცემი სანთლით სამჯერ შემოუვლიდა ეკლესიას და მერე შევიდოდა შიგნით (გ. დავითაშვილი, იქვე, 43-44).

[3] გ. დავითაშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 5-6.

[4] იქვე, 43.

ტზე გადაცემას და ამ ქმედების ჩამდენისა და მისი შთამომავლობისათვის უბედურების მოვლენის მოთხოვნას ხატის თუ ღმერთის მხრიდან. მაგალითად, ერთ-ერთი მეგრელი ინფორმატორის მონათხრობით ცხენის ქურდის ხატზე გადაცემისას მეხატულს ასე დაუწყევლია დამნაშავე: ვინც „მოიპარა ცხენი, მის ოჯახში ცხენის ხელს მომკიდებული არავინ გამოჩენილიყოს, ამომწყდარიყოს ოჯახი.“[1]

ინფორმატორები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ხშირად ხატზე გადაცემულს ზუსტად ის ემართებოდა, ის ორგანო უზიანდებოდა, რაზედაც იყო აქცენტი გამახვილებული წყევლის ფორმულაში. მაგალითად, ერთ-ერთმა პიროვნებამ მისთვის მოზვერის ქურდობის დამბრალებელი შემდეგი სიტყვებით გადასცა ხატზე: „ვინც მართლა მოიპარა ეს მოზვერი, ვინც დამაბრალა, ისეთი სენი შეეყაროს, რომ ერთ-ორ წელიწადში მომკვდარიყოს. ვინც წაიყვანა, რომელი ხელითაც წაიყვანა ის ხელი გაუხმესო.“[2] ეს გადაცემა საკმაოდ „ეფექტური“ აღმოჩნდა: ინფორმატორის თქმით, მეორე წელს გარდაიცვალა ქურდობის დამბრალებელი ძვლების დაშლით, ხოლო ერთ-ერთ ქურდს სწორედ ხელი გაუფუჭდა.[3]

წყევლის ფორმულა შესაძლოა ხატზე გადამცემს ძალზე მჭევრმეტყველურად გამოეთქვა და მისი ახსნის ფაქტობრივად შეუძლებელი პირობა ჩაერთო მასში, რაც სვანური გარეკამისთვის არის დამახასიათებელი. მაგალითად, სამეგრელოში ერთ-ერთ მეგრელ ქალბატონს გაუზრდია აზნაურიშვილი და ამ უკანასკნელს მისთვის ბეგარა დაუკისრებია. ამ ქალმა ხატზე გადასცა თავისი აღზრდილი შემდეგი სიტყვებით: „წმინდა გიორგი, ჩემმა გაზრდილმა და მისმა შთამომავლობამ, სანამ ამ ბეგარის დადებისთვის არ მომიყვანოს თეთრი მწვარი შავი ყვერებით და შავი მწვარი თეთრი ყვერებით, მანამდე ხსნა არ მისცე მის შთამომავლობასო. მათ ჩემი წყევლისაგან ხსნა შეუძლიათ მხოლოდ ჩემი მარჯვენით. რომ მოვკვდე, ჩემი საფლავი ხილული არ იქნეს და თუ მოძებნიან მას და ჩემს მარჯვენას გადივლებენ თავზე, მხოლოდ მაშინ მიეცით საშველიო. ვიცი, რომ ამას ვერ გააკეთებენ და ამიტომ წყეულნი იყვნენ უკუნითი უკუნითამდე.“[4]

---

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 46.

[2] გ. დავითაშვილი, იქვე.

[3] იქვე.

[4] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული

წყევლის ფორმულაზე კიდევ შეიძლება ის ითქვას, რომ იგი უნდა ყოფილიყო ძალზედ დამაჯერებელი და შთამბეჭდავი დამსწრეთათვის და ხატზე გადამცემის სურვილის ზუსტად და ნათლად გამომხატველი.

2. ხატზე გადაცემა სანთლის გადაგრეხვით. ხატზე გადაცემა სანთლის (სანთლების) გადაგრეხვით, ძირითადად, ასევე უშუალოდ ხატის წინაშე ხდებოდა, თუმცა ჩვენ იგი ცალკე გამოვყავით, რამდენადაც თავისებური რიტუალით ტარდებოდა, მისთვის დამახასიათებელი წყევლის ფორმულით, თანაც ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში გვხვდება კონკრეტული შემთხვევები, როდესაც ხატზე გადაცემა (დაწყევლა) სანთლის გადაგრეხვით უშუალოდ ხატის წინაშე არ ჩატარებულა. ასეთი წესით ხატზე გადაცემა ძირითადად იმერეთში ჩაწერილ მასალაში გვხვდება.

ერთ-ერთი ინფორმატორი ასე აღწერს ხატზე გადაცემის ამ ხერხს: თუ ვინმეს რაიმე დაეკარგებოდა, დაზარალებული სამ სანთელს გადაგრიხავდა ერთმანეთზე, ეკლესიაში ხატთან დაანთებდა და იტყოდა: „ღმერთო, ვინც სიძინდი (თუ სხვა რამე) მომპარა, იმისი ოჯახი ასე დაგრიხეო.“[1] ანალოგიურ ცერემონიალს აღწერს სხვა ინფორმატორიც: „ხატზე გადაცემა ასე იცოდნენ: დაგრეხდნენ რამდენიმე სანთელს, ერთად წაუკიდებდნენ ცეცხლს და ასე დაიგრიხოს იმის კისერიო და ასე დაიღვენთოს მისი ოჯახი, როგორც ეს სანთელი.“[2] ხატზე გადაცემის ასეთივე ცერემონიალი გვხვდება სხვა ინფორმატორებთანაც.[3]

ამ მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ ხატზე გადაცემა სანთლის გადაგრეხვით ერთგვაროვნად ტარდებოდა. ხატზე გადამცემი იღებდა რამდენიმე სანთელს, გადაგრეხდა ერთმანეთზე, დაანთებდა ხატის წინაშე და წარმოთქვამდა წყევლის სიტყვებს, რომლის შინაარსის სიმბოლური გამოხატულება იყო სანთლების გადაგრეხვა და მათი დაღვენთა, კერძოდ, ისე უნდა მოიგრიხოს დამნაშავის კისერი და დაიღვენთოს მისი ოჯახი, როგორც მოიგრიხა და დაიღვენთა ეს სან-

---

რვეული, 1988, გვ. 61-62.

[1] ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 18.

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, გვ. 35.

[3] იქვე, 60; დ. ჯალაბაძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, გვ. 3.

თელი, რაც ფაქტობრივად დამნაშავის სიკვდილისა და მისი ოჯახის ამოწყვეტის მოთხოვნას წარმოადგენდა ხატის წინაშე. ამდენად, ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა წყევლის ფორმულის შინაარსის შესაბამის სიმბოლურ მოქმედებას ხატზე გადამცემის მხრიდან, რაც, საერთოდ, დამახასიათებელი იყო ხატზე გადაცემისა და მისი სახეებისათვის საქართველოში.

ჩვენ ზემოთ უკვე მოვიყვანეთ კონკრეტული ფაქტი, როდესაც ხატზე გადაცემა სანთლების გადაგრეხვით ჩატარდა არა ეკლესიაში ხატის წინაშე, არამედ დაზარალებულმა (მას ძროხა მოჰპარეს) მეზობლის რჩევით მიიტანა სანთლები, რომლებიც ერთად იყო შეკრული და ჩამოიარა ორ სოფელში ყველა ოჯახი. იგი შედიოდა ოჯახებში და ამბობდა: ვინც ჩემი ძროხა მოიპარა, ასე მოეგრიხოს კისერიო და გადახრიდა სანთელს.[1] ამ ხერხით მან შეძლო ქურდის გამოვლენა. ეს შემთხვევა გვიჩვენებს, რომ შესაძლებელი იყო ხატზე გადაცემა სანთლების გადაგრეხვით ხატის წინაშე დაწყევლის გარეშეც მომხდარიყო, რასაც, ხალხის რწმენით, ხატზე გადაცემულისათვის ასვე სავალალო შედეგი მოჰყვებოდა.

3. ხატზე გადაცემა ლურსმნის მიჭედებით. ეს ხატზე გადაცემის საკმაოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა. შესაბამისი ცერემონიალი, ძირითადად, ხატის გარეშე ტარდებოდა, მიუხედავად ამისა, ინფორმატორები დაწყევლის ამ ფორმას ხატზე გადაცემას უწოდებენ. განსაკუთრებით ხშირად იყენებდნენ ხატზე გადაცემის ამ ხერხს გურიაში. ხატზე გადაცემისას ლურსმანს ეკლესიის კედელში არჭობდნენ.

ერთ-ერთი გურული ინფორმატორი იხსენებს შემთხვევას, რომელიც XX საუკუნის 80-იან წლებში მოხდა. ქალმა მოქიშპე მამაკაცის ქუდი ჩაიგდო ხელში, მივიდა ეკლესიის ნანგრევებთან, ეს ქუდი ლურსმნით მიაჭედა ეკლესიის ერთ-ერთ ნანგრევის ქვაზე და დაიწყევლა: „ამ ქუდის პატრონი მოკვდესო“. სამ დღეში იგი მართლაც მომკვდარა, რაც ქალის ამ მოქმედების შედეგად შეაფასა ხალხმა.[2] ხდებოდა ხოლმე ლურსმანზე პილპილის ჩამოცმა და მისი ამ სახით მიჭედება ეკლესიის კედელზე, რასაც, ცხადია, დამნაშავის

[1] გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1989, 52.

[2] გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეეული, 1989, №1, 14.

წყევლა მოჰყვებოდა.[1]

ასევე ხდებოდა ლურსმნის მიჭედება არა მარტო პილპილთან, არამედ მწარე ხაპთან (გოგრასთან) ერთადაც, კერძოდ, პილპილთან ერთად ხდებოდა ლურსმანზე მწარე ხაპის (გოგრის) თესლის ჩამოკიდება და ისე მიჭედება ეკლესიის კედელზე.[2] ბუნებრივია, ლურსმნის მიჭედებით ხატზე გადაცემა შესაძლოა მწარე ხაპის გარეშეც ჩატარებულიყო.[3] როგორც ჩანს, ლურსმნის ეკლესიის კედელში მიჭედება სხვადასხვა სიმწარით, ხალხის რწმენით, ამძაფრებდა წყევლის ძალას. ერთ-ერთი ინფორმატორის თქმით, ეკლესიის კედელში შერჭობილი ლურსმნის გვერდით, შესაძლოა, სანთელიც მიეკრათ.[4] ეკლესიის კედელზე ლურსმნის მიჭედებით „გადაცემა“ ლეჩხუმშიც გვხვდება. აქ შესაბამისი კონკრეტული მაგალითიც არის დაფიქსირებული, როდესაც ქურდობის გამო დაზარალებულმა ეკლესიის კედელზე (ეკლესია ხისა იყო) მიაჭედა ლურსმანი და ასე დაწყევლა ქურდი.[5]

საკმაოდ გავრცელებული იყო ხატზე გადაცემა ლურსმნის ხეზე მიჭედებით. გურული ინფორმატორის თქმით: „ერთ-ერთ სოფელში იყო წმინდა გიორგის ეკლესია. იგი ახლა დანგრეულია. მის ირგვლივ არის ბუნებრივი ნაძვნარი. ხატზე გადაცემას ეძახიან ამ ნაძვნარში, რომელიმე ხეზე ლურსმნის მირტყმას და მერე დაწყევლას.“[6] ანალოგიური ფორმით ხატზე გადაცემის ცერემონიალს საკმაოდ საინტერესოდ აღწერს კიდევ ერთი გურული ინფორმატორი. მისი განმარტებით, გურიის ერთ-ერთ სოფელში დაუნგრევიათ ეკლესია და მის ნაცვლად აუშენებიათ სკოლა. იქვე ყოფილა ნაძვნარი. სწორედ აქ ტარდებოდა თურმე ხატზე გადაცემა. აქ შეკრებდნენ მთელ სოფელს, მღვდელი

---

[1] ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 31.

[2] გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 41; ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 53.

[3] ჯ. მერაბიშვილი, იქვე.

[4] გ. დავითაშვილი, იქვე.

[5] დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 50.

[6] გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 18.

გამოაცხადებდა, თუ რა დანაშაულთან დაკავშირებით ხდებოდა ხატზე გადაცემა, შემდეგ კი იგი მიაჭედებდა ლურსმანს ნაძვზე ბოლომდე და წარმოთქვამდა: „ვინც ეს საქმე ჩაიდინა, ასე გახმეს, როგორც ეს ხე.“ ეს ლურსმანი სპეციალურად გამოჭედილი იყო მჭედლის მიერ ისეთი ნივთიერებისაგან, ხეში რომ ჩაარჭობდნენ, ხე ხმებოდა.[1]

ხატზე გადაცემის ასეთივე ხერხი იმერეთშიც გვხვდება. ინფორმატორის განმარტებით, ხატზე გადამცემი ლურსმანს შემოახვევდა სანთელს და ისე, მიაჭედებდა ხეზე.[2] სამეგრელოში კი ხეზე ლურსმნის მიჭედებით ხატზე გადაცემა თ. სახოკიას მიერ ფიქსირდება. იგი წერს: „წყევლის სიტყვებს, რომ მეტი ძალა მიეცეს, მაწყევარი თან იწყევლება და თან ლურსმანს შეარჭობს წმინდა ხეს. ასეთი ხეები ჩვეულებრივ მინდვრებადაა ხოლმე ეკლესიის გარშემო..... ეს ხეები წმინდა ხეებად ითვლება და ვერავინ გაჰბედავს ცული შეახოს. მათ. ვინ დასწყევლის ვისმე, მოიტანს ლურსმანს და ამ წმინდა ხეში ჩაარჭობს.....“, შემდეგ კი დაიწყევლება.[3] ხატზე გადაცემის აღნიშნული ხერხი სამეგრელოში XX საუკუნის ბოლოს ჩაწერილ მასალებშიც გვხვდება.[4] თანაც აქ ჩანს, რომ ხატზე გადასაცემად ლურსმანი შესაძლოა მიეჭედებინათ არა მარტო ეკლესიის (ან ნაეკლესიარის) ირგვლივ არსებულ ხეებზე. ინფორმატორები მიუთითებენ, რომ არსებობდა წმინდა ხეები, რომელზედაც ლურსმნის მიჭედებითაც შეიძლება მომხდარიყო ხატზე გადაცემა. მაგალითად, ასეთი იყო ბლის ხე. ინფორმატორების განმარტებით, სწორედ ბლის ხე ითვლებოდა, ძველი გადმოცემით, წმინდა ხედ, თუმცა რატომ არ ახსოვთ.[5] ფიქსირდება ასევე ხატზე გადაცემისას ლურსმნის მიჭედება მუხის, ცაცხვისა და ტყემლის ხეზე.[6]

---

[1] დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 12-13.

[2] მ. კეკელია, მასალები ქართულ ჩვეულებით სამართალზე, ლეჩხუმი, იმერეთი, ეთნოგრაფიული რეული, 1972, 32.

[3] თ. სახოკია, მიცვალებულის კულტი სამეგრელოში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, III, 1940, 164.

[4] ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 48.

[5] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1988, 9-10; 35.

[6] ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფი-

ხატზე გადასაცემად და ლურსმნის ხეზე მისაჭედებლად წმინდა ხეს იყენებდნენ. ასეთი იყო ხეები ეკლესიის (თუ ნაეკლესიარის) ირგვლივ (მაგალითად, ასეთ ადგილას არსებული ნაძვნარი), ასევე წმინდა ხეებად აღიარებული ხის ჯიშები, მაგალითად, ბლის, მუხის თუ ცაცხვის ხეები.

ლურსმნის მიჭედებით ხატზე გადაცემას, ცხადია, თან ახლდა ხატზე გადაცემულის მიმართ საწყევარი სიტყვების წარმოთქმა. ამ ფორმით ხატზე გადაცემისას ხშირად ხატზე გადამცემი წარმოთქვამდა შემდეგ ფრაზას: ყოვლად ძლიერო წმინდა გიორგი, ამა და ამ პიროვნებას (სახელს იტყოდა) რისხავდე და „სანამ თავისი კბილით არ გამოაძროს ეს ლურსმანი ამ ხიდან, საშველი არ მისცე“,[1] ან „მანამ საშველი არ გქონდეს, სანამ მე ეს ლურსმანი კბილით არ ამოვიღო“.[2]

ხატზე გადაცემა ლურსმნის მიჭედებით (ისევე როგორც ხატზე გადაცემა სანთლის გადაგრეხვით), როგორც მასალებიდან ჩანს, ძირითადად ხორციელდებოდა თვითონ ხატზე გადამცემის მიერ, თუმცა არის ცალკეული მონაცემები, რომელთა მიხედვითაც შესაბამისი ცერემონიალი (ლურსმნის მიჭედება, საწყევარი სიტყვების წარმოქმა) მღვდლის მიერ შეიძლება განხორციელებულიყო. ასევე, შესაბამისი ცერემონიალი შესაძლოა ჩატარებულიყო როგორც საჯაროდ, ხალხის (მათ შორის დამნაშავის) მონაწილეობით,[3] ასევე არასაჯაროდ, ხალხის დაუსწრებლად, მათ შორის დამნაშავის დაუსწრებლად, რომელიც ხშირად მოგვიანებით იგებდა მისი ხატზე გადაცემის ფაქტს.[4]

4. ხატზე გადაცემა სანთლის უკულმა დანთებით. ხატზე გადაცემის ეს ხერხი სამეგრელოში გვხვდება. ხატზე გადამცემი სანთელს ხეზე უკულმა მიაკრავდა და იტყოდა: „ისე დაილიოს და დაიღვენთოს მისი (იგულისხმება დამნაშავის, – გ. დ.) ოჯახი, როგორც ეს სან-

---

ული რვეული, 1988, 17-18; 41; 46.

[1] თ. სახოკია, იქვე.

2 ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 17-18, 41, 46; დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 50.

[3] დ. ჯალაბაძე, იქვე, 12-13, 50; ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამრთალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 18.

[4] ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 35, 46.

თელი იღერებაო“,[1] ან „ასე დალეულიყოს, დაღვენთილიყოს ის, მისი ოჯახი, ნათესაობა, საქონელი, ვინც მე ეს საქმე გამიკეთა.“[2] ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით კი, ანთებული სანთლის უკუღმა მიკვრა წმინდა ხეზე, მაგალითად, ბლის ხეზე ხდებოდა.[3]

აი, ეს არის ხატზე გადაცემის სხვადასხვა ხერხი, რომლებიც ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ ხატზე გადაცემის რიტუალი განსხვავებულად ტარდებოდა, ყველა შემთხვევაში მას ახასიათებდა საერთო პრინციპი, რომ მაშინაც კი, როდესაც „გადაცემა“ უშუალოდ ხატის წინაშე არ ტარდებოდა, ხორციელდებოდა წმინდა ადგილას (ან წმინდა ხის გამოყენებით), საწყევარი სიტყვების აუცილებელი წარმოთქმით. ხალხის რწმენით, ხატზე გადაცემისას წარმოთქმული წყევლის აღსრულება გარდუვალი იყო და თანაც საკმაოდ მოკლე ვადებში. ერთ-ერთი ინფორმატორი იმასაც კი ამბობს, რომ „ხალხური გადმოცემით — ხატზე გადაცემა თუ შემოდგომაზე მოხდა, როცა ფოთოლი ცვივა, აუცილებლად მომავალ შემოდგომამდე, ფოთოლცვენამდე ასრულებდა.“[4] აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ხალხური წარმოდგენით, ხატზე გადაცემა საშიში და უბედურების მომტანი იყო არა მარტო ხატზე გადაცემულისათვის, არამედ ხატზე გადამცემისთვისაც. ხალხის რწმენით, წყევლის ნახევარი ხატზე გადამცემს უკან უბრუნდებოდა, ამიტომ ხალხი ამ მიზეზით ხშირად ერიდებოდა ხატზე გადაცემას.[5]

ხალხის რწმენით, ხატზე გადაცემული შესაძლოა გადარჩენილიყო ღვთის რისხვას, უბედურებას, თუ მოხდებოდა მისი ხატზე გადაცემიდან გათავისუფლება, „აშვება“. ამისათვის აუცილებელი იყო მხარეთა შერიგება.

როდესაც ხატზე გადაცემულსა და მის ოჯახის წევრებს რაიმე უბედურება დაატყდებოდა თავს, იგი შეეცდებოდა ხატზე გადამცემი

---

[1] ჯ. მერაბიშვილი, იქვე, 48.

[2] ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 48.

[3] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 9-10.

[4] იქვე, 36-36.

[5] ჯ. მერაბიშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 19; გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 78.

დაეთანხმებინა მისი წყევლისგან გათავისუფლებაზე. თ. სახოკია ასე აღწერს ამ პროცესს: როდესაც ხატზე გადაცემული ქურდი ლოგინად ჩავარდება, გზავნის კაცს ცხენების პატრონთან (ხატზე გადამცემთან), ეხვეწება „ალობის“ (შენდობის, პატიების) მიცემას, ჰპირდება ნაპარავის ერთიორად გადახდას. როდესაც ცხენების პატრონი თანხმდება, მიდის ქურდის სახლში, თავზე ფულს შემოავლებს. ამ შემოვლებით ფულს გაატანს ავადმყოფის ყოველივე ჭირს, შესთხოვს წმინდა გიორგის მის მორჩენას. ამას მოჰყვება ორივე მხარის მიერ წმინდა გიორგის ეკლესიაში წასვლა, ძღვენის მიტანა, მეხატულის ჩარევა საქმეში, შუამდგომლობა, აპატიოს მას, მეხატულისათვის შესაბამისი ჰონორარის მიცემა შრომისათვის. ცხენის ორმაგ საფასურს პატრონს აძლევენ. ორივე მხარე დაკმაყოფილებულია.[1]

XX საუკუნის ბოლოს სამეგრელოში ჩაწერილი მასალიდან თ. სახოკიას მონათხრობი შეიძლება შევავსოთ გარკვეული ელემენტებით. მაგალითად, ამ მასალებიდან ჩანს, რომ ხატზე გადაცემული აწყობდა სუფრას, ხატზე გადამცემი კი იმავე ხატის წინ, რომელზედაც გადასცა დამნაშავე, ღმერთს დამნაშავის წყევლისაგან გათავისუფლებას სთხოვდა და იტყოდა „ალობას“ ვაძლევო.[2] სხვა ინფორმატორებთანაც ჩანს, რომ ხატზე გადამცემის მიერ „გადაცემულის“ პატიებას სამეგრელოში „ალობა“ ერქვა.[3] შერიგება შესაძლოა ხატზე გადამცემისა და „გადაცემულის“ შთამომავლებს შორის მომხდარიყო. როდესაც ხატზე გადაცემულის შვილები მშობლის გარდაცვალებას ხატზე გადაცემას „დააბრალებდნენ“.[4] ერთ-ერთი ინფორმატორი მომსწრე ყოფილა „აშვებისა“. მისი განმარტებით „აშვება“ შესაძლოა ეკლესიაშიც ჩატარებულიყო და ოჯახშიც. იგი იხსენებს: დაახლოებით 100 წლის წინათ (მონაცემი ჩაწერილია 1988 წელს), მისი მეზობელი დომენტი გაბედავას ბაბუა ხატზე გადაუცია მის ბიძაშვილს მიწაზე დავასთან დაკავშირებით. საპასუხოდ დომენტის ბაბუასაც გადაუცია ბიძაშვილი. გასულა დრო, ორივე მხრიდან დაიხოცა ხალხი, ერთმანეთთან ვერ მიდიოდნენ ჭირსა და ლხინში. ამიტომ შთამომავლებმა განიზრახეს შერიგება და ხატზე გადაცემის ახსნა (ორივემ

[1] თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956, 68.

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 42.

[3] იქვე, 4, 12.

[4] იქვე, 46.

ერთმანეთი ილორის წმინდა გიორგის ხატზე გადასცა თურმე). ამ მიზნით 15 წლის წინ ამოვიდნენ ხობიდან დომენტის მოგვარეები, რომლებმაც მათი შერიგება ითავეს. მოიყვანეს ცხვარი. შუამავალმა აანთო სანთლები, ილოცა, ორივე მხარე კარგად მოიხსენია, სთხოვა წმინდა გიორგის ეპატიებინა მათთვის, აეშვა ისინი გადაცემისაგან. დაალოცვინა ერთმანეთი და მიუსხდნენ სუფრას. ამ შუამავალმა სანთელი და გასამრჯელო (ვერცხლის ფული) წაიღო ილორში, წმინდა გიორგის ხატისთვის მისართმევად. ამის შემდეგ ეს ოჯახები ერთმანეთთან კარგად არიან.[1]

იმერეთში ჩაწერილი მასალიდან კი ჩანს, რომ ხატზე გადამცემი „გადაცემულის" ხატზე გადაცემიდან გასათავისუფლებლად მივიდოდა ეკლესიაში და სანთელს დაანთებდა ხატის წინაშე, დალოცავდა მას და ღმერთს შესთხოვდა მის პატიებას.[2] ერთ-ერთი ინფორმატორის თქმით, ხატზე გადამცემი პატიებისათვის „გადაცემულს" ხატისათვის მოზვერის შეწირვას მოსთხოვდა. მას ეს მოზვერი იმ ეკლესიაში უნდა დაეკლა, სადაც ხატზე გადაცემა მოხდა.[3] ასევე შესაძლებელია მომხდარიყო ხატზე გადაცემის ნიშნად ხეზე მიჭედებული ლურსმნის ამოღება.[4]

ამრიგად, როგორც მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს, ხატზე გადაცემისგან „აშვებისათვის" რამდენიმე პირობის დაკმაყოფილება იყო საჭირო: 1. ხატზე გადაცემულის მიერ დანაშაულის აღიარება და დაზარალებულისათვის (ხატზე გადამცემისათვის) პატიების თხოვნა; 2. მიყენებული ზიანის ანაზღაურება (მაგალითად, ნაქურდალის დაბრუნება), თუ ასეთს ადგილი ექნებოდა. მასალების მიხედვით ხატზე გადაცემისაგან გათავისუფლების პროცედურა შემდეგნაირად ტარდებოდა: ხატზე გადაცემული (ან მისი შთამომავალი) შუაკაცების მეშვეობით ცდილობდა ხატზე გადამცემთან (ან მის შთამომავლებთან)

---

[1] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 59-60.

[2] დ. ჯალაბაძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 3; მ. კეკელია, მასალები ქართულ ჩვეულებით სამართალზე, (ლეჩხუმი, იმერეთი), ეთნოგრაფიული რვეული, 1972, 32.

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 34.

[4] მ. კეკელია, მასალები ქართულ ჩვეულებით სამართალზე, (ლეჩხუმი, იმერეთი), ეთნოგრაფიული რვეული, 1972, 32.

შერიგებას. ხატზე გადაცემიდან „ახსნა“, „აშვება“ ძირითადად ხდებოდა იმავე ეკლესიაში, სადაც ხატზე გადაცემა ჩატარდა, შუამავლების მონაწილეობითა და სათანადო რიტუალით (თუმცა შესაძლოა შესაბამისი ცერემონიალი ოჯახში ჩატარებულიყო, ეკლესიაში ძღვენის გაგზავნით). „აშვება“ მთავრდებოდა ორივე მხარის საერთო პურმარილით.

ახლა განვიხილოთ ხატზე გადაცემის (დაწყევლის) ნაირსახეობები. ისინი ცალკე გამოვყავით იმიტომ, რომ ინფორმატორები მათ ხატზე გადაცემას არ უწოდებენ და განსხვავებული სახელწოდებებით მოიხსენიებენ.

6.3. ბედუა. „ბედუა“, როგორც სასჯელი, გვხვდება აჭარის მუსლიმ მოსახლეობაში. აღნიშნული ინსტიტუტი ჩვენ განხილული გვაქვს, როგორც დამნაშავის გამოტეხვის საშუალება.[1] თავისი ბუნებით იგი ხატზე გადაცემის ანალოგიურია. მსგავსად ხატზე გადაცემისა, იგი სასჯელს წარმოადგენდა – „ბედუაც“ წყეველა იყო, რომლისაც დანარჩენი საქართველოს მსგავსად აჭარაშიც ძალზედ ეშინოდათ. საჭიროებისას „ბედუა“ დამნაშავის გამოტეხვის მიზნით ინიშნებოდა, როდესაც დაზარალებულს კონკრეტულ პიროვნებაზე ეჭვი არ ჰქონდა (ჩვენი მონაცემების მიხედვით უმრავლეს შემთხვევაში ასე ხდებოდა) და მხოლოდ მაშინ ტარდებოდა, როდესაც დამნაშავე დანაშაულს არ აღიარებდა. ამდენად, ადგილი ჰქონდა დამნაშავეზე ფსიქიკურ ზემოქმედებას. საზოგადოება, მათ შორის დამნაშავე, წინასწარ იყო ინფორმირებული „ბედუას“ ჩატარების შესახებ და გაცნობიერებული ჰქონდა, რომ „ბედუას“ ღმერთის რისხვა და ამის შედეგად დამნაშავისა და მისი შთამომავლობის ამოწყვეტა მოჰყვებოდა, რაც ხშირად უბიძგებდა დამნაშავეს ეღიარებინა დანაშაული „ბედუას“ თავიდან ასაცილებლად.[2] თუ დამნაშავე გამოტყდებოდა „ბედუას“ შიშით, მაშინ მას აღნიშნული დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს დააკისრებდნენ, ხოლო მის დაწყევლას „ბედუას“ სახით ადგილი აღარ ექნებოდა.

„ბედუა“ ჯამეში (მეჩეთში) ტარდებოდა პარასკევ დღეს დაზარლებულის მოთხოვნით ხოჯას მიერ. პარასკევი ჯამეში ლოცვის დღე იყო და მუსლიმთათვის უქმე. „ბედუას“ შესახებ საზოგადოება წინასწარ (მინიმუმ ორი დღით ადრე) იყო ინფორმირებული ხოჯისა

[1] გ. დავითაშვილი, სასამართლო მტკიცებულებანი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2003, 63-67.

[2] იქვე, 67.

თუ სოფლის თავკაცების მიერ იმ მიზნით, რომ, თუ ვინმემ რაიმე იცოდა დანაშაულის შესახებ, უნდა განეცხადებინა, ხოლო დამნაშავეს ელიარებინა დანაშაული. ხშირად პარასკევ დღემდე ხოჯასთან მიდიოდა დამნაშავე და გამოუტყდებოდა დანაშაულში, ან გამოჩნდებოდა პიროვნება, რომელიც დაასახელებდა დამნაშავის ვინაობას. ამ შემთხვევაში „ბედუას“ აღარ ექნებოდა ადგილი.[1] თუ ასე არ მოხდებოდა, დანიშნულ დღეს ხოჯა დაწყევლიდა დამნაშავეს და აგრეთვე მას, ვინც რაიმე იცოდა აღნიშნული დანაშაულის შესახებ და არ განაცხადა. „ბედუა“ შესაძლოა ჩატარებულიყო კონკრეტული დამნაშავის მიმართაც. ამ შემთხვევაში „ბედუა“ მხოლოდ სასჯელად გამოიყენებოდა და მის დანიშვნას დამნაშავის გამოტეხვის მიზანი არ ჰქონდა.

„ბედუას“ უნდა დასწრებოდა სოფლის ყველა მამაკაცი (ოჯახიდან ერთი მაინც). ეს არ ეხებოდა ავადმყოფებს, ლოგინად ჩავარდნილებს, ასევე ქალებსა და ბავშვებს. ქალმა თუ დანაშაულის შესახებ რაიმე იცოდა, ქმრისათვის უნდა ეთქვა (თუ გათხოვილი არ იყო, ოჯახის უფროსი მამაკაცისათვის). თუ ვინმე არ დაესწრებოდა „ბედუას“, ან „ბედუას“ რიტუალის დროს მეჩეთიდან გამოვიდოდა, ჩაითვლებოდა, რომ მან დანაშაული აღიარა.[2]

„ბედუას“ ჩატარების რიტუალი ჩვენ აღწერილი გვაქვს უკვე ნახსენებ ნაშრომში. როდესაც უშუალოდ „ბედუას“ ჩატარებამდე მივიდოდა საქმე, ამ შემთხვევაში იგი მხოლოდ სასჯელად განიხილებოდა. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ გავიმეოროთ ამ რიტუალის ძირითადი ელემენტები. ხოჯა ყურანიდან წაიკითხავდა შესაბამის მუხლებს, შემდეგ ყურანს სამჯერ ამოაბრუნებდა და წყევლას წარმოთქვამდა: „ასე და ასე მოუვიდეს დამნაშავეს და მის ოჯახს“. წყევლის დროს დამნაშავის გარდა იმასაც მოიხსენებდა, ვინც იცოდა ამ დანაშაულის შესახებ და არაფერს ამბობდა. ხალხი ხოჯას წყევლის საპასუხოდ წარმოთქვამდა: „ამინ“.[3]

ხალხის რწმენით, დამნაშავეს, რომელიც არ გამოტყდებოდა, „ბედუა“აუცილებლად მიეწეოდა და ღვთიური სასჯელი მას არ ასცდებოდა. თუ დამნაშავეს რაიმე უბედურება დაატყდებოდა თავს, ხალხი ამას ყოველთვის „ბედუას“ უკავშირებდა და წყევლის შედეგად თვლიდა. მაგალითად, ერთ-ერთი ინფორმატორი კონკრეტულ

[1] გ. დავითაშვილი, დასახ. ნაშრ., 64-64.

[2] იქვე, 65-66.

[3] იქვე, 66.

შემთხვევასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ბედუასას დამნაშავენი არ გატყდნენ. ამის გამო ცოდვამ უწიათ. მეგრელიშვილს ცოლ-შვილი გაუწყდა, ვერულიძეს შვილები უკვდებოდა. სულ ერთი შერჩა, ისიც მუნჯი“.[1] ერთ-ერთი „ბედუა“ კი თურმე სიმინდის ქურდმა არაფრად ჩააგდო და არ აღიარა დანაშაული, პირიქით, თქვა: „თქვენი „ბედუა“ ფეხებზე მკიდიაო“. „ბედუადან“ გამოსული ხის საჭრელად წასულა, ნაჯახი ფეხზე მოურტყამს და ცოტა ხნის შემდეგ გარდაცვლილა კიდეც.[2] მსგავსი შემთხვევა მომხდარა XX საუკუნის 40-იან წლებში სოფელ ონაშარიძეებში. სულეიმან ოსმან აღა გორგოძე შეესწრო ნალიიდან სიმინდის მოპარვას, მაგრამ არ გაამჟღავნდა, ბედიუს დროს კი ხოჯას ხელი მიაფარა პირზე „ბედუას“ შესაჩარებლად. ხუთ დღეში კი ქურდი ხიდან ჩამოვარდა და მოკვდა.[3] აღნიშნული ფაქტებიც ხალხმა, ცხადია, „ბედუას“ დაუკავშირა. ხალხს დიდი რწმენა ჰქონდა „ბედუის“, რადგან იცოდნენ, რომ დაწყევლილ კაცს უბედურება შეემთხვეოდა, ხოლო „ბედუა“ შვილთაშვილამდე გადავიდოდა.[4] „ბედუას“ შედეგად დაწყევლილ ოჯახს „ნაბედვარი“ ერქვა.[5]

„ბედუასადმი“ აღნიშნული დამოკიდებულების გამო ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც „ბედუას“ შიშით დამნაშავე აღიარებდა დანაშაულს. მომხდარა ისეც, რომ შეშინებულ ქურდს წინასწარ გამოუშვია მოპარული საქონელი, ან უჩუმრად დაუდვია ღამით თავალსაჩინო ადგილას.[6]

როგორც აღინიშნა, „ბედუა“ უკვე ცნობილი, კონკრეტული დამნაშავის (დამნაშავეების) მიმართაც ტარდებოდა. ერთ-ერთი აჭარელი ინფორმატორი იხსენებს ფაქტს, როდესაც „ბედუა“ ჩატარდა მამაშვილი გოლიაძეების მიმართ, რადგანაც ისინი ყაჩაღობდნენ, ხალხს

---

[1] ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1989, 43.

[2] ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1990, 1.

[3] გ. დავითაშვილი, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 7.

[4] იქვე, 24-25.

[5] ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1989, 12-13.

[6] ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 26.

ამწარებდნენ.[1] ამ შემთხვევაში დამნაშავეთა ვინაობა დასადგენი არ იყო. მამისა და ოთხი ძმის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ საყოველთაოდ იყო ცნობილი და საზოგადოებამ მათთვის ყველაზე ადეკვატურ და მათი მოუხელთებლობის გამო შესაძლო სასჯელად „ბედუა“ მიიჩნია.

დასკვნის სახით შესაძლოა აღვნიშნოთ, რომ „ბედუა“ მხოლოდ აჭარის რეგიონში ფიქსირდება. მისი ჩატარების რიტუალი (ჯამეში, ხოჯას მიერ, ყურანის კითხვით) ადგილობრივი მოსახლეობის მუსლიმური რელიგიის მიმდევრობით იყო განპირობებული. მას საკმაოდ ხშირად მიმართავდნენ უცნობი დამნაშავის გამოტეხვის მიზნით, თუმცა „ბედუა“ სასჯელს წარმოადგენდა და თავისი შინაარსით წყევლას გულისხმობდა. მისი გამოყენება ხდებოდა როგორც უცნობი, ისე ცნობილი დამნაშავის მიმართ და როგორც დანარჩენ საქართველოში მსგავსი სასჯელების დროს იყო, ხალხის რწმენით, დამნაშავის, ასევე იმ პირის მიმართ, რომელიც დანაშაულს არ გაამჟღავნებდა, რელიგიური სანქციის გამომწვევი იყო.

6.4. წინდით გადაცემა. ხატზე გადაცემის ნაირსახეობას წარმოადგენდა „წინდით გადაცემა“. ჩვენ ეს ინსტიტუტიც განხილული გვაქვს როგორც ქურდობის შემთხვევაში დამნაშავის გამოტეხვის საშუალება.[2] აქ მოკლედ შევეხებით მას, როგორც სასჯელს. იგი ფაქტობრივად დაწყევლას წარმოადგენდა. მას მაშინ მიმართავდნენ, როდესაც ქურდობისას დამნაშავე არ იყო ცნობილი. ამ შემთხვევაში დაზარალებული მიდიოდა თანასოფლელთა თუ თანაუბნელთა ოჯახში და იქიდან მოჰქონდა ე. წ. „წინდი“. „წინდად“ გამოიყენებოდა პირადი, საყოფაცხოვრებო, ან სასოფლო-სამეურნეო ნივთები (ტანსაცმელი, ჭურჭელი, ნაჯახი, თოხი და სხვა), ასევე შესაძლებელია ზოგჯერ „წინდად“ ფულიც გამოეყენებინათ. დაზარალებულს „წინდი“ აღნიშნული ნივთების სახით მიჰქონდა ეკლესიაში და ხატის წინაშე დაწყევლიდა დამნაშავეს, მაგალითად, იტყოდა: „ვინც მე მომპარა (იტყოდა, რაც მოპარეს მის სახელს), იმის ოჯახს არ მოაკლო, ღმერთო, სიავე, ჭირი და გადაშენება“. ინფორმატორთა განმარტებით, ამის შემდეგ, ვინც მართალი იყო, თავის „წინდს“ წაიღებდა სახლში, ხოლო ვინც მართალი არ იყო, დაწყევლილ „წინდს“ დატოვებდა და

[1] ჯ. მერაბიშვილი, იქვე, 16-17.

[2] გ. დავითაშვილი, სასამართლო მტკიცებულებანი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2003, 56-57.

ამით იგებდნენ, თუ ვინ იყო დამნაშავე.[1] სავარაუდოა, რომ, ხალხის რწმენით, დამნაშავის მიერ მისი დაწყევლილი „წინდის“ სახლში წაღება ამ წყევლის მასა და მის ოჯახზე გადასვლას გამოიწვევდა. ამიტომ ქურდი მისი „წინდის“ (ნივთის) სახლში წაღებას ვერ ბედავდა.[2]

„წინდით გადაცემა“ მ. კეკელიას მიერ დაფიქსირებულია XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ქართლსა და ზემო იმერეთში, ასევე 1989 წელს „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის“ თანამშრომელთა მიერ, ასევე, ზემო იმერეთში, კერძოდ, საჩხერის რაიონში. ინფორმატორები ამ ინსტიტუტს ძირითადად დამნაშავის გამოტეხვის საშუალებად განიხილავენ, თუმცა ის, რომ იგი სასჯელს წარმოადგენდა, მათ კარგად ესმოდათ. ერთ-ერთი ინფორმატორი ასეთ შემთხვევაზე მოგვითხრობს: ჩვენმა მეზობელმა მოუკრიფა მეზობელს ჯონჯოლი. ჩამოიარა ამ დაზარალებულმა სოფელი, ქურდი ვერ აღმოაჩინა. შემდეგ მან ყოველი კომლისაგან აკრიფა რაიმე ნივთი — ამას ჰქვია წინდი და თქვა, რომ ამას მივიტან ხატთან, გადავცემ ღმერთს და შევთხოვ, რომ ამის მომპარავი დასაჯე შენო. ..... მან მიიტანა ეს ნივთები ეკლესიაში ხატთან და შესთხოვა: „ჩემი ჯონჯოლის მომპარავი დასაჯეო.“ მართლაც, გავიდა ხანი და ერთ-ერთი ნივთის პატრონი გახდა ცუდად. მან აღიარა, რომ ეს გავაკეთეო და ითხოვა პატიება. დაზარალებულმა ქალმა ახლა შესთხოვა ღმერთს, რომ ეპატიებინა მისთვის და იგი მართლაც კარგად გახდა.[3]

აღნიშნული კონკრეტული შემთხვევა ადასტურებს, რომ, ხალხის რწმენით, „წინდით გადაცემას“ დაწყევლის ძალა ჰქონდა და „გადაცემულის“ ავადმყოფობას იწვევდა, თუმცა, როგორც სხვა სახის „გადაცემის“ შემთხვევაშია, შესაძლებელი იყო „წინდით გადაცემიდან“ და აქედან გამომდინარე, მისგან გამოწვეული შედეგებიდან ახსნა, რაც ამ შემთხვევაში დაზარალებულის მიერ განხორციელდა.

6.5. დაკოჭვა. დაკოჭვა დამნაშავის დაწყევლის კიდევ ერთ ნაირ-

---

[1] მ. კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, ტ. 2, თბ., 1981, 163; დ. ჯალაბაძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 62, 63.

[2] გ. დავითაშვილი, დასახ. ნაშრ., იქვე.

[3] ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 20.

სახეობას წარმოადგენდა, რომელიც აჭარის რეგიონში ფიქსირდება. იგი „წინდით გადაცემის“ მსგავსია. მისი გამოყენება „ბედუას“ მსგავსად დამნაშავის გამოტეხვის საშუალებასაც წარმოადგენდა, თუმცა თავისი ბუნებით სასჯელი იყო და მისი არსი დამნაშავის დაწყევლაში გამოიხატებოდა. აჭარელი ინფორმატორები დაკოჭვის სხვადასხვა ხერხს მიუთითებენ, თუმცა ყველაზე ხშირად ძაფებით დაკოჭვაზე საუბრობენ. თუ პიროვნებას რაიმეს მოჰპარავდნენ, ან სხვა დანაშაულს ჩაიდენდნენ მის მიმართ და დამნაშავე არ იყო ცნობილი, მაშინ დაზარალებული მეზობელი ეჭვმიტანილი ოჯახებიდან წამოიღებდა ფერად ძაფებს, რომელთაც მიუტანდა ხოჯას. ხოჯა ამ ძაფებს რამდენიმე ადგილას გაკვანძავდა და თითოეული გაკვანძისას შეულოცავდა (მაგალითად, პირველი გაკვანძვისას იტყოდა დამნაშავეს ფეხები გაუჩერდესო, მეორისას – კაცობა დაეკარგოსო და ა. შ.). ამ შემთხვევაში დაკოჭვას ესწრებოდა ყველა ის პირი, რომელიც ეჭვმიტანილი იყო და რომელთა ოჯახებიდანაც ძაფები იყო წაღებული. თუ ეჭვმიტანილი აღიარებდა დაკოჭვის შემდეგ თავის დანაშაულს, ხოჯა ლოცვით დაიხსნიდა დაკოჭილს და ისიც გათავისუფლდებოდა წყევლისაგან. თუ ეჭვმიტანილი არ გამოტყდებოდა, გარკვეული დროის შემდეგ ამ ძაფს ჩააგდებდნენ ზღვაში. ე. ი. ისპობოდა ამ დაკოჭილის გახსნის შესაძლებლობა. თუ ეჭვმიტანილი მართლა დამნაშავე იქნებოდა, მას, ხალხის რწმენით, მუცელი გაებერებოდა და მოკვდებოდა.[1]

დაკოჭვა ხშირად კონკრეტული პირის მიმართ ტარდებოდა. დაკოჭვის ცერემონიალი ანალოგიური იყო. პიროვნება, რომელსაც სურდა დაეკოჭა სხვა პიროვნება, მისი ოჯახიდან ჩუმად წამოიღებდა ძაფებს, ან მათ თავისი ოჯახიდან მიიტანდა. ინფორმატორთა განმარტებით, ძაფების რაოდენობა უნდა ყოფილიყო შვიდი, აუცილებლად სხვადასხვა ფერის. წყევლას, როგორც წესი, ხოჯა ახორციელებდა: იგი ძაფების გაკვანძვისას კითხულობდა ყურანის სათანადო ადგილებს და თითოეული კვანძის გაკეთებისას დაიწყევლებოდა (წყევლა ითვალისწინებდა დასაკოჭის სიკვდილს, ფეხების წართმევას, კაცობის დაკარგვას და სხვა). ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით, დაკოჭვა ხოჯას გარეშეც შეიძლება მომხდარიყო. ვინც იცოდა კითხვა ყურანიდან, დასაკოჭად მასაც მიმართავდნენ. დაკოჭვის ცერემონია-

[1] მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეჟული, 1989, 30-32, 37.

ლის დასრულების შემდეგ ძაფებს ის პიროვნება ინახავდა თავისთან, ვინც დააკოჭინა. ერთ-ერთი ინფორმატორის ცნობით კი, შესაძლოა ძაფები ჩუმად დაკოჭილის სახლის რომელიმე ნაწილში შეეგდოთ.[1] ასეთი სახით დაკოჭვისათვის შესაძლოა დასაკოჭის ტანსაცმელი (ან მისი ნაჭერი) ან თმა გამოეყენებინათ და ისინი გაეკვანძათ. დამკოჭავი სპეციალურად ზრუნავდა, რომ დასაკოჭის ძაფი, ნაჭერი თუ თმა მოეპოვებინა.[2]

ინფორმატორები დაკოჭვის განსხვავებული ხერხების შესახებაც მიუთითებენ. კერძოდ, დაკოჭვა ხდებოდა ლობიოს მარცვლებით. ამისათვის ლობიოს მარცვლებს აგროვებდნენ მეზობლებში. ინფორმატორის თქმით, საჭირო იყო შვიდი მარცვლის შეგროვება. შემდეგ ხოჯა (ან ის პიროვნება, რომელიც დაკოჭვის რიტუალს ჩაატარებდა) ლობიოს მარცვლებს ჩაყრიდა თიხის ჭურჭელში, პატარა ქოთანში, რომელიც ახალი, გამოუყენებელი უნდა ყოფილიყო. მარცვლებს ერთდროულად ჩაყრიდა, წყალს დაასხამდა და დაიწყევლებოდა: ვინც ეს დანაშაული ჩაიდინა, მოკვდესო, რაიმე უბედურება ეწიოსო. სანამ შედეგი არ იქნებოდა, ლობიოს მარცვლები ქოთანში უნდა ყოფილიყო.[3] ერთ-ერთი ინფორმატორი საუბრობს დანის გამოყენებით დაკოჭვაზე. კერძოდ, თუ პიროვნებას უნდოდა ვინმეს დაკოჭვა, იგი გზის ერთ მხარეს დადებდა დანას, მეორე მხარეს კი დანის ქარქაშს. დაკოჭვის ასეთ ხერხს მიმართავდნენ ცოლ-ქმრის მიმართ, რომლებთან დაკავშირებითაც დამკოჭველს ცუდი ზრახვები ჰქონდა. როდესაც ეს ცოლ-ქმარი ერთად დანისა და მისი ქარქაშის შუაში გაივლიდა, დამკოჭველი დანას ქარქაშში ჩადებდა და ამით ცოლ-ქმარს დაკოჭავდა, ხოლო დანას სახლში შეინახავდა. ასეთი ქმედება, ხალხის რწმენით, წყევლასავით მოქმედებდა და ამ ცოლ-ქმრისათვის უბედურების მომტანი იყო. ასეთი დაკოჭვით კაცი კაცობას კარგავდა, შეიძლება შვილი აღარ ჰყოლოდა, ან გაგიჟებულიყო.[4] დასაკოჭი

---

[1] გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1; 67; №2, 5, 21; ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 62.

[2] მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 42.

[3] გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 68; №2, 21.

[4] გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული

შესაძლოა ძაფებს შორისაც გაეტარებინათ და შემდეგ ალნიშნული ძაფებით დაეკოჭათ.[1] ერთი ინფორმატორი დაკოჭვის კიდევ ერთ ხერხს აღწერს: დამკოჭავი ქათმის ბუმბულს პურისა და ქატოს ფქვილით დასვრიდა, რა სურვილიც ჰქონდა დასაკოჭის მიმართ, იმას ჩაუთქვამდა და ამ უკანასკნელს ოჯახში ჩაუდებდა, რაც მის ავადმყოფობას გამოიწვევდა.[2] დაკოჭვის კიდევ ერთი ასეთი ხერხი იყო: თუ ვინმეს სხვისი ჯავრი ჰქონდა, მიცვალებულის დაკრძალვისას მის ფოტოსურათს, ან მისი ტანსაცმლის ნაჭერს, ან რაიმე პირად ნივთს მიცვალებულს ჩააყოლებდა და ეს პირი, ხალხის რწმენით, ამით დაიკოჭებოდა.[3]

ინფორმატორთა განმარტებით, დაკოჭვა გამოიხატებოდა ასევე ტერმინით „სირ", ხოლო დაკოჭილი კი იწოდებოდა „მოსირულად".[4] როდესაც კონკრეტული პიროვნების დაკოჭვა ხდებოდა, მაშინ შესაბამისი რიტუალი საიდუმლოდ ტარდებოდა. ტერმინ „დაკოჭვის" ქვეშ აჭარელი და ამავე რეგიონში მცხოვრები ლაზი ინფორმატორები ფაქტობრივად დაწყევლას გულისხმობენ. დაკოჭვას, ხალხის რწმენით, ფაქტობრივად იმავე შედეგი მოჰყვებოდა, რაც დაწყევლას, ხატზე გადაცემას. ინფორმატორთა გადმოცემით, დაკოჭილი ჯერ გასივდებოდა და შემდეგ კვდებოდა, ან რაიმე სხვა უბედურება მოევლინებოდა.

როგორც ჩანს, დაკოჭვა დამნაშავის დასასჯელად ხდებოდა, ძირითადად ქურდობის შემთხვევაში, თუმცა შესაძლებელია დაკოჭვა პიროვნებას იმის წინააღმდეგაც გამოეყენებინა, რომლის ჯიბრი თუ ქიშპი ჰქონდა.

არსებობდა ასევე დაკოჭვის ახსნა, რასაც წყევლის გაქარწყლება და ხალხის რწმენით, დაავადმყოფებული დაკოჭილის გამოჯამრთელება მოჰყვებოდა. ახსნის პირობა დამნაშავის მიერ დანაშაულის აღიარება და დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება იქნებოდა. ინფორმატორთა განმარტებით, დაკოჭილი,

---

რვეული, 1989, №1, 68.

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 62.

[2] მ. კეკელია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, 48.

[3] გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №2, 68.

[4] მ. კეკელია, იქვე, 42, 48.

რომელიც დროთა განმავლობაში გაიგებდა მისი დაკოჭვის შესახებ, შესაძლოა შეშინებული მისულიყო ხოჯასთან ან დაზარლებულთან, ან ხალხს გაუგზავნიდა დაზარალებულს და ითხოვდა დაკოჭვის ახსნას. ქურდობის შემთხვევაში კი, ან ნაქურდალს დააბრუნებდა, ან მის ღირებულებას. ყოველივე ამას მოჰყვებოდა ხოჯას მიერ ნასკვის გახსნა და წყევლისა თუ გადაცემისაგან პირის გათავისუფლება. თუ დანის მეშვეობით მოხდებოდა დაკოჭვა, დამკოჭავი დანას ისევ ქარქაშში ჩააგებდა და ამით წყევლა იხსნებოდა. ლობიოს მარცვლებით დაკოჭვისას იმავე შედეგი ლობიოიანი ქოთნის ზღვაში (მდინარეში) გადაგდებას მოჰყვებოდა. დაკოჭვის შემდეგ, თუ დიდი დრო გავიდოდა, მაშინ ხოჯა განასკვულ ძაფებს, თმას თუ ნაჭერს წყალში (ზღვაში, ან მდინარეში) გადაყრიდა, ან დაწვავდა და ამ შემთხვევაში, ხალხის რწმენით, დაკოჭილს აღარაფერი უშველიდა.[1]

როგორც ვხედავთ, ინფორმატორები „დაკოჭვაში" განსხვავებულ მოქმედებებს გულისხმობენ. მათ აერთიანებთ სახელწოდება და შედეგი, რომელიც, ხალხის რწმენით, უნდა დამდგარიყო ამ მოქმედებების განხორციელების შედეგად.

7. სხვა სასჯელები

7.1. **გარკვეული ვალდებულების შესრულება.** ქართული ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე შესაძლოა საზოგადოებას დამნაშავისათვის სასჯელის სახით დაეკისრებინა გარკვეული სამუშაოს შესრულების ვალდებულება, ან პიროვნებას თვითონ, საკუთარ თავზე აეღო სასჯელად გარკვეული ვალდებულების შესრულება. უკანასკნელ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ე. წ. „ძენგლის დადება", რომელიც ძირითადად ხევსურეთში გვხვდება.

7.11. **გარკვეული სამუშაოს შესრულების ვალდებულება.** საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ჩაწერილ მასალაში გვხვდება რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის პიროვნებას დააკისრეს გარკვეული საქმიანობის შესრულების ვალდებულება. მაგალითად, იმერეთში (ხარაგაულის რაიონი) საზოგადოებრივი წესრიგის სისტემატური დარღვევისათვის (რაც გამოიხატა არაერთგზის, მთვრალ მდგომარეობაში, სახალხოდ

[1] გ. დავითაშვილი, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, №1, 68; №2, 5, 21; მ. კიკალეია, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 37, 42-43.

აყალმაყალის ატეხვასა და სხვებისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში), ერთ-ერთ პიროვნებას საზოგადოების ყრილობამ მიუსაჯა საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოს ჩატარება, კერძოდ, 300 კვ. მ ფართობი გზის მოპირკეთება. იგი ერთი კვირის განმავლობაში ამ საქმის გაკეთებას მოუნდა.[1] სოფლის თავკაცების მიერ დამნაშავისათვის გარკვეული სამუშაოს შესრულების ვალდებულების დაკისრებას გურიაშიც ვხვდებით.[2] აღნიშნული თვალსაზრისით, საინტერესო შემთხვევა მომხდარა სვანეთში: აქ ეკლესიის ამშენებელ კალატოზს დანაშაულისათვის მიუსაჯეს მის მიერ აშენებული ეკლესიისათვის გალავნის შემოვლებისა და მისი დამცავი ციხის აგების ვალდებულება.[3]

მსგავსი მაგალითები ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში ბევრი არაა, თუმცა აღნიშნული მონაცემები, ჩვენი აზრით, სრულიად საკმარისია იმის სათქმელად, რომ გარკვეული სამუშაოს შესრულების ვალდებულების დაკისრება, როგორც სასჯელი, საკმაოდ ცნობილი იყო საქართველოში და საზოგადოება იყენებდა მას მისი ინტერესების ხელმყოფი რაიმე დანაშაულისათვის. სამუშაო შესაძლოა მრავალგვარი ყოფილიყო, მხოლოდ უცილობლად საზოგადოებისთვის სასარგებლო, ანუ საზოგადოების (სოფლის) საერთო ინტერესების შესაბამისი. შესაძლებელია, ამ სასჯელს ეწოდოს გამასწორებელი სამუშაო, რომლის შეფარდებაც იმიტომ ხდებოდა, რომ დამნაშავე გამოსწორებულიყო და შეეწყვიტა საზოგადოებისათვის საზიანო ქმედებების ჩადენა.

7.1.2. **ძენგლის დადება**„ძენგლის დადების“ სახით საქმე გვაქვს საკმაოდ საინტერესო და ორიგინალურ ინსტიტუტთან. „ძენგლ დაედებოდა“ პიროვნებას, როდესაც მას დანაშაულის ჩადენისათვის (მაგალითად, ჯვარში კაცის მოკვლისთვის, დაჭრისთვის და სხვა) ჯვარი (სალოცავი) გაუწყრებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ არაა აუცილებელი ეს დანაშაული მაინცდამაინც უშუალოდ ჯვრის საწინააღმდეგოდ ყოფილიყო მიმართული.[4]

---

[1] გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რეული, 1989, გვ. 79.

[2] ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალში, ეთნოგრაფიული რეული, 1989, 9.

[3] ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, ტფ., 1927, 65.

[4] მ. კანდელაკი, ხევისბერის ინსტიტუტის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართ-

ხევსურთა რწმენით, როდესაც პიროვნებას, მის ოჯახს ავადმყოფობა, რაიმე უბედურება დაატყდებოდა თავს და ვერაფერი შველოდა, მიმართავდა ხოლმე მკითხავებს, რომლებიც მას აუხსნიდნენ, რომ მისი ამა და ამ საქციელისათვის (ეს, ცხადია, დანაშაულიც შეიძლება ყოფილიყო) ჯვარი გამწყრალია მასზე და ჯვრის გულის მოსაგებად და თავის გადასარჩენად, მან რაიმე უნდა მოიმოქმედოს. მკითხავს შესაძლოა ერჩია დანაშაულის ჩამდენისათვის, რომ რაიმე ვალდებულების შესრულება ეკისრა ჯვრის სასარგებლოდ „ძენგლის დადების სახით“.[1] „ძენგლის დადება“ ხევსურეთის ყველა ჯვარში სცოდნიათ, პირაქეთ ხევსურეთშიც და პირიქითშიც, შატილშიც.[2] ახლა გავარკვიოთ თუ რას გულისხმობდა „ძენგლის დადება“.

ალ. ოჩიაურის განმარტებით, „ძენგლის დადება“ ნიშნავდა იმას, რომ პიროვნება წელიწადში ერთხელ, ერთ-ერთ რომელიმე დღეობაში, ანუ ერთ კონკრეტულ დღეს, ვალდებულების სახით კისრულობდა: ან ღამისთევას ჯვარში და მისთვის გარკვეული სამსახურის გაწევას, ან საკლავის მიტანას, ან „დროშის განათვლას“.[3] შესაძლოა, ამ რამდენიმე ვალდებულების ერთდროულ აღსრულებასაც ჰქონოდა ადგილი. შესაბამისი შემთხვევები ალ. ოჩიაურთან არის განხილული.

ჯვარში სამსახურის გაწევის ვალდებულებასთან დაკავშირებით მას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი: ერთ კვირიწმინდელ (კვირიწმინდა სოფელია) პიროვნებას თავისი მოსისხლე მტერი უნახავს არხოტის ჯვრის გალავნის ახლოს და დასდევნებია ხმლით მოსაკლავად. მოსისხლე გადამხტარა ჯვრის გალავანზე. გადახტომისას კვირიწმინდელს მოუქნევია ხმალი, რომელიც გალავნის ყორეს მოხვედრია. იგი მტერს გალავანში აღარ გადაჰყოლია. კვირიწმინდელი ავად გამხდარა (თურმე სისხლს ანთხევდა), მკითხავმა ეს დაუკავშირა მის ჯვრის გალავანთან ჩადენილ მოქმედებას, რამაც ჯვარი გაანაწყენა და ურჩია მას არხოტის ჯვარში „ძენგლის დადება“, კერძოდ, „წელწადში“ (ახალი წლის დღეობაზე) ჯვარში დასტურობა. ამის შემდეგ ახალი წლის დღეობაზე კვირიწმინდელები დას-

ველოს მთიანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVIII, 1975, 121.

[1] შესაბამისი კონკრეტული მაგალითები მოჰყავს ალ. ოჩიაურს. იხ. ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილი-მიღმახევი), თბ., 2005, 65, 372.

[2] იქვე, 286.

[3] ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, 50.

ტურებთან ერთად მუშაობდნენ, დასტურობას წევდნენ ყველა საქმიანობაში, ქვაბის დულილიდან დაწყებული დღეობის დამთავრებამდე.[1] როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში „ძენგლის დადება“ გამოიხატა ჯვრისათვის მომსახურების გაწევაში და არა საკლავის მიტანის ვალდებულებაში.

როდესაც „მეძენგლე“ (დამნაშავე, რომელიც „ძენგლის დადებას“ იკისრებდა) ჯვარში საკლავის მიტანას ივალდებულებდა, იგი წელიწადში ერთხელ რომელიმე დღეობაზე აკეთებდა ამას. მაგალითად, ერთ-ერთ მამიშვილობას, რომელსაც „ძენგლი დაედო“, ევალებოდა დიდგორის ჯვარში ყოველწლიურად ერთი საკლავის მიყვანა და ერთი კოდი ლუდის დულება.[2] როდესაც „მეძენგლენი“ მიიტანდნენ ჯვარში საკლავს, მათ გამოეგებებოდნენ ხუცესი და დასტურები. ხუცესი დაამწყალობებდა „მეძენგლეებს“ და მასვე ევალებოდა საკლავის დაკვლა, რასაც დასტურის დახმარებით აკეთებდა.[3] არდოტში ერთ-ერთმა პიროვნებამ „ძენგლი დაიდვა“ ჯვარში დასტურის დაჭრისათვის. იგი ყოველწლიურად ამზადებდა ლუდს და მიჰყავდა ერთი საკლავი, რითაც ხალხსა და დასტურ-ხელოსნებს უმასპინძლებოდა.[4]

საკლავის მიყვანასთან იყო დაკავშირებული „მეძენგლის“ მიერ „დროშის განათვლის“ ვალდებულების კისრებაც.[5] ამისათვის ჯვრის დროშის გამობრძანება უნდა მომხდარიყო. დღეობაზე დროშის გამობრძანება გარკვეულ ხარჯთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, ამისათვის აუცილებელი იყო სანათლავი საკლავი, რომლითაც უნდა განათლულიყო ხელოსანი, რის შემდეგაც იგი „გაწმიდდებოდა“ და გახდებოდა ღირსი დროშის შეხებისა და მისი გამობრძანებისა. ჯვრის დროშა ძალზედ წმინდად მიაჩნდათ და მას ხელს ვერავინ ახლებდა გარდა იმ ხელოსნისა, რომელსაც მისი გამობრძანება ევალებოდა. ისიც კი ამას

---

[1] ალ. ოჩიაური, დასახ. ნაშრ., 69-70.

[2] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, სამამო მიწისმფლობელობის შესახებ ხევსურეთში, ხელნაწერი, 1953, რვეული №5, 66.

[3] ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, 50.

[4] ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილი-მიღმახევი), თბ., 2005, 372.

[5] ალ. ოჩიაურის განმარტებით, „დროშის განათვლა“ გულისხმობდა იმას, რომ საკლავის დაკვლისას მისი სისხლი დროშამდე „უწევდა“ (ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988, იქვე).

განათვლის გარეშე ვერ გააკეთებდა. მას დაკლული სანათლავი საკლავის სისხლი უნდა გაესვა შუბლსა და გულზე, რითაც განიწმინდებოდა და გახდებოდა დროშის შეხების ღირსი.[1] როდესაც „მეძენგლე“ ივალდებულებდა „დროშის განათვლას“, მაშინ დროშის გამობრძანების ხარჯი სწორედ მას უნდა გაეღო. ალ. ოჩიაურს მოჰყავს ნაროზაულთა მიერ „ძენგლის დადების“ მაგალითი, რომლითაც ივალდებულეს არხოტის ჯვარში ყოველწლიურად შობის დღესასწაულზე ღამისთევა და დროშის გამობრძანება. ე. ი. ამ დღეობისას ნაროზაულთ უნდა გაენათლათ ხელოსანი და ეკისრათ დროშის გამობრძანების ხარჯი. საერთოდ, აღნიშნულ დღეობაზე დროშის გამობრძანება წესად არ ყოფილა და ნაროზაულთ უკისრიათ ამის უზრუნველყოფა.[2] როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში „მეძენგლეს“ რამდენიმე ვალდებულება ერთად უკისრია. მსგავს შემთხვევას აღწერს ალ. ოჩიაური შატილის სინამდვილიდან. მისი გადმოცემით, შატილში, ანატორის ჯვარში ერთ კაცს ტყუილად დაუფიცია, რაზედაც „გამწყრალა“ ანატორის ჯვარი და იგი სასიკვდილოდ ავად გაუხდია. მკითხავის რჩევით ამ კაცს ძენგლი დაუდია საშვილიშვილოდ. ეს კაცი და შემდეგ მისი შთამომავლობა ყოველწლიურად ათენგენობის დღესასწაულზე კლავდა თითო კურატს, ადუღებდა განსაზღვრული რაოდენობის ლუდს და იხდიდა ჯვარში ღამისთევას, რაც ჯვარისადმი გარკვეული მომსახურების გაწევას გულისხმობდა. „მეძენგლის“ შთამომავლობა თავდაპირველად თურმე კარგად ასრულებდა აღნიშნულ ვალდებულებას, ბოლოს კი უარი უთქვამთ და აღარ შეუსრულებიათ. ეს გვარი თურმე ძირფესვიანად ამოწყვეტილა, რასაც ხალხი ანატორის ჯვარის გაწყრომას უკავშირებდა ჯვარის წინაშე დაკისრებული ვალდებულების შესრულების შეწყვეტის გამო.[3] ამ მაგალითიდან ჩანს, რომ, „მეძენგლე“ რამდენიმე ვალდებულებას ასრულებდა: საკლავის დაკვლა, ლუდის დუღება, ჯვარში ღამისთევა. ასევე გამოჩნდა ისიც, როგორც ამას ალ. ოჩიაური აღნიშნავს, რომ, ხალხის რწმენით, თუ „მეძენგლე“ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, იგი კარგად ცხოვრობდა, საქმე კარგად მისდიოდა, ხოლო ვინც ამ მოვალეობებს აღარ შეასრულებდა, მისი საქმე საბოლოოდ ცუდად წავიდოდა. ხალხის რწმენით, ის სასტიკად დაისჯებოდა ან სიკვდილით, ან სხვა რაიმე მარცხი

[1] ალ. ოჩიაური, დასახ. ნაშრ., 49.
[2] იქვე, 50.
[3] ალ. ოჩიაური, ქართლული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილი-მიღმახევი), თბ., 2005, 286..

მოუვიდოდა. ყველაფერ ამას კი ხალხი „ძენგლის შეუსრულებლობას“ მიაწერდა.[1] „ძენგლის დადების“ ვალდებულების შეუსრულებლობა საზოგადოებაში სამარცხვინო საქციელად ითვლებოდა. ასეთ პიროვნებას ხალხი დასცინებდა: „შენ რა კაცი ხარ, ძენგლის შესრულების თავი არ გაქვსო.“[2]

მასალები გვიჩვენებს, რომ „ძენგლის დადების“ ვალდებულება წლების განმავლობაში გრძელდებოდა და შთამომავლობაზეც გადადიოდა.[3]

ხევსურეთში ფიქსირდება შემთხვევა, როდესაც ჯვრის წინაშე „ძენგლი“ მოსისხლეობის ნიადაგზე ორივე დაპირისპირებულ მხარეს დაედო, რომელსაც ამაღლების დღესასწაულზე ასრულებდნენ. ორივე ადუღებდა განსაზღვრული რაოდენობის ლუდს, ჯვარში ათევდა ღამეს, ხოლო საკლავი ერთ წელიწადს ერთს მიჰყავდა, ხოლო მეორე წელიწადს მეორეს. საკლავის დაკვლის შემდეგ, მას თვითონ „მეძენგლეები“ ატყავებდნენ და ხორცს ხარშავდნენ. „მეძენგლეებს“ თვითონ მიჰქონდათ პური, მარილი და ამ ხორცის სუფრას უდგამდნენ ჯვარის მსახურთ და იქ მყოფ ხალხს. თვით „მეძენგლეები“ ფეხზე იდგნენ და ჭამის დროს ლუდს ურიგებდნენ და ასმევდნენ ხალხს. „ძენგლის დადების“ ცერემონიალს სოფელი არ ესწრებოდა. „მეძენგლეები“ ვისაც სურდათ იმათ პატიჯებდნენ და პატივს სცემდნენ.[4]

საკუთარი სალოცავის წინაშე მსგავსი ვალდებულების აღება ყოველწლიური პერიოდულობით აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც ფიქსირდება. კერძოდ, მ. კანდელაკს დაფიქსირებული აქვს „ძენგლის დადების“ მსგავსი „დანადების“ წესი ფშავში და „საკლავის წესი“ მთათუშეთში.[5] მისი სამართლიანი შეფასებით,

---

[1] ალ. ოჩიაური, იქვე, 286, 372.

[2] იქვე, 372.

[3] ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988. 50; ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილი-მიღმახევი), თბ., 2005, 65, 372.

[4] ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილი-მიღმახევი), თბ., 2005, 321.

[5] მ. კანდელაკი, ხევისბერის ინსტიტუტის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVIII, 1975, XVIII, 121.

ფორმულის „ვალად იდეს ძენგლი“ უფრო ზუსტი გამოხატულებაა „ვალად დაადეს ძენგლი“. ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს თუშეთის მაგალითი, როდესაც პიროვნებას სოფლის ხატის ხელოსანი, რომელიც მკითხაობდა კიდეც, ურჩევს, რომ „საკლავის წესი“ უნდა შესრულებულიყო და ისიც ასე მოქცეულა.[1] ამ შემთხვევაში ფაქტობრივად „მეძენგლეს“ შესაბამისი ვალდებულება დააკისრეს.

ხევსურეთის სინამდვილიდან მოყვანილი მასალებით ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ „ძენგლის დადებას“ „მეძენგლე“ თვითონ აკისრებდა საკუთარ თავს. ცხადია, ასეთ შემთხვევაში „ძენგლის დადებაზე“, როგორც სასჯელზე, საუბარი არ შეიძლება. შეუძლებელია სასჯელად აღქმულ იქნეს ვალდებულება, რომლის დაკისრება თვითონ დამნაშავეზეა დამოკიდებული. ჩვენ აღნიშნულ ინსტიტუტს მაინც სასჯელად მივიჩნევთ და სწორედ ამიტომ არის იგი მოცემულ ნაშრომში ჩვენი განხილვის საგანი. ვთვლით, რომ „ძენგლის დადება“ დამნაშავის ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული, არამედ ფაქტობრივად ადგილი აქვს მისი, როგორც ვალდებულების დაკისრებას. ამდენად, სრულიად შესაძლებელია, „ძენგლის დადებაზე“, როგორც სასჯელზე საუბარი.

როდესაც ხევსურეთში მკითხავი ურჩევდა დამნაშავეს ჯვრის გულის მოსაგებად „ძენგლის დადებას“, იგი ამას აღიქვამდა, როგორც ჯვრის ნებას, რომლის შეუსრულებლობაც მას და მის ოჯახს დიდ უბედურებას მოუტანდა, ამდენად, „ძენგლის დადების“ ვალდებულების კისრება, დამნაშავის არჩევანსა და გადაწყვეტილებას, უბრალოდ რჩევის გაზიარებას კი არ წარმოადგენდა, არამედ ჯვრის მიერ მისთვის დაკისრებულ სასჯელს, რომელიც მას უნდა აღესრულებინა. ამდენად, „ძენგლის დადება“ ფაქტობრივად, დამნაშავის მიერ საკუთარი თავისთვის დადგენილი სასჯელი კი არ იყო, არამედ მკითხავის პირით მისთვის გადაცემული ჯვრის, ანუ ადგილობრივი სალოცავის (ღვთაების) გადაწყვეტილი და აქედან გამომდინარე, სავალდებულო სასჯელი. ამრიგად, სრულიად შესაძლებელია, „ძენგლის დადება“ განვიხილოთ, როგორც სასჯელის სახე, რომელიც ეკისრებოდა დამნაშავეს. „ძენგლის დადებით“ გათვალისწინებული ვალდებულება ჯვარ-ხატის სასარგებლოდ ხორციელდებოდა და შეიძლება საჯარო ხასიათის სასჯელად იქნეს განხილული, მით უმეტეს, ძირითადად დამნაშავეს ეკისრებოდა, ჯვრის წინააღმდეგ მიმართული დანაშაუ-

[1] იქვე.

ლისათვის, რომელიც სწორედ საჯარო დანაშაულს წარმოადგენდა.

7.2. თავისუფლების შეზღუდვა. ჩვენს ხელთ არსებული ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში გვხვდება მონაცემები დამნაშავისათვის ბორკილების თუ ხუნდების დადებისა და მისი საპატიმრო ადგილას (ციხეში, დილეგში) მოთავსების შესახებ. თავისუფლების შემზღუდავ სასჯელებში სწორედ მათ ვგულისხმობთ. აღსანიშნავია, რომ ეს მონაცემები ძირითადად სამეგრელოს შესახებ მასალებში გვხვდება. ასევე არის გარკვეული მონაცემები ბალსზემო სვანეთში დამნაშავის დილეგში ჩასმის თაობაზეც. როგორც ჩანს, საქართველოს სხვა კუთხეებში ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე თავისუფლების აღმკვეთი რაიმე სასჯელის გამოყენება არ ხდებოდა, ან თუ ხდებოდა, ძალზედ იშვიათად, რაც ადგილობრივ მცხოვრებთა მეხსიერებას არ შერჩენია. საერთოდ, მონაცემები აღნიშნულ სასჯელებზე ძალზედ მწირია და სრულყოფილი სახით მისი განხილვა ჩვენს ხელთ არსებული მასალებით შეუძლებელია. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ დავაფიქსიროთ საქართველოს ზოგიერთი კუთხის ჩვეულებით სამართალში აღნიშნული სასჯელების არსებობა.

საინტერესოა, რომ სამეგრელოში ბორკილების დადება, როგორც თავისუფლების შემზღუდავი სასჯელი, შესაძლოა დაჰკისრებოდა დამნაშავეს საზოგადოების ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე. შესაბამის კონკრეტულ მაგალითს ვხვდებით მ. კეკელიას მიერ სამეგრელოში 1988 წელს ჩაწერილ მასალაში. ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს, რომ ხალხმა (მხედველობაშია სოფლის ყრილობა) ვინმე კალანდიას მიუსაჯა ფეხებზე რკინის ბორკილების (ხაჯალურის) დადება, რადგანაც იგი სისტემატურად ქურდობდა. ამგვარად, დასჯილი თავის ეზოში ამ ბორკილებით დადიოდა, რითაც საზოგადოება ცდილობდა მისთვის ქურდობის საშუალება მოესპო. სამწუხაროდ, ინფორმატორს არ ახსოვს რა ვადით მოუწია დამნაშავეს ბორკილების ტარება.[1] როგორც ვხედავთ, სამეგრელოში თავისუფლების შეზღუდვა დამნაშავისათვის ბორკილების დადების სახით ხალხური სამართლის მიხედვითაც ხდებოდა და ხალხის (საზოგადოების ყრილობის) გადაწყვეტილებით ეფარდებოდა დამნაშავეს საჯარო ხასიათის სასჯელის სახით.

მ. კეკელიას კიდევ ერთი ინფორმატორი გვამცნობს, რომ

[1] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 17.

მის სახლთან ახლოს არის „გარახის ჯიხას“ (გარახის ციხის) ნანგრევები (დაახლოებით 200 მეტრზე), რომელიც ეკუთვნოდა თავად შელიას. იქ, ციხის ტერიტორიაზე ეგდო წისქვილის ქვის სიდიდის, შუა ადგილას გამოჭრილი ქვა, რომელიც გახვრეტილი იყო მთელ სიგრძეზე. გადმოცემით, ეს იყო საპატიმრო ქვა („ქუაშ ხუნდი“ – ქვის ხუნდი). ინფორმატორი ამბობს: მე ასე გამიგონია, რომ ქვაზე ამოჭრილ ნახვრეტში ჩაადებინებდნენ დაპატიმრებულს ფეხს, რომელსაც ჩაკეტავდნენ და მიაბავდნენ გახვრეტილში გაყრილ ჯაჭვზე, რითაც უზრუნველყოფილი იყო პატიმრის დაუძვრელობა ადგილიდან. ქვა ჩემს სიცოცხლეში ციხეში იყო, რომელიც შემდეგ მე გადმოვიტანე ჩემს ოჯახში და ვიყენებდი დასაჯდომად. დაახლოებით 4-5 წლის წინ ის ქვა წაიღეს მუზეუმში.[1] სავარაუდოდ, აღნიშნული ქვის ხუნდით შებორკილ პატიმარს, ნახსენებ გარახის ციხეში ამყოფებდნენ. აქ ისიც ჩანს, რომ ეს ქვის ხუნდი ერთ-ერთი თავადის კუთვნილება უნდა ყოფილყო, რომელსაც იგი, სავარაუდოდ, იყენებდა იმ პირების მიმართ, რომლებიც მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ.

სამეგრელოში სასჯელის სახით დამნაშავისათვის ხუნდების თუ ბორკილების დადება განხილული აქვს ლ. გაბისონიას, რომელიც სამეგრელოს სამთავროს სამართალს იკვლევს. ზოგიერთი მონაცემის საფუძველზე იგი საუბრობს დამნაშავის თავისუფლების შეზღუდვის ისეთ საშუალებებზე, როგორიცაა ხუნდები და „დადიანური ხაჯალური“. ამ მონაცემებით, „ხუნდი ეს გახლავთ გრძელი, მრგვალი და მსხვილი ძელი. საწრეტელით ამოღრუტნული ფეხების ჩასაყოფად. ფეხების ჩაყოფის შემდეგ მაგრად გაეყრებოდა გათლილი სოლები, რომლის ამოღება ხუნდზე დასმულ კაცს სხვის დაუხმარებლად არ შეეძლო. ხუნდზე იჯდა დამნაშავე რამდენიმე დღისა და კვირის განმავლობაში. ბოლოს ღონემიხდილს და სასომიხდილს ბატონი მოურავს ათავისუფლებინებდა. მეორე ცნობილი დასასჯელი საშუალება იყო დადიანური ხაჯალური, ანუ ჯაჭვი რკინისა – საკმაოდ გრძელი რკინის ჯაჭვია. ერთს ბოლოში რგოლი აქვს. ამ რგოლში დასასჯელს კისერს გააყოფინებდნენ, დააბამდნენ სადმე ბნელს ალაგას და ამყოფებდნენ ასე ცარიელი მჭადისა და წყლის სინაბარა სასჯელის მოხდამდე. ამ ჯაჭვს სახელი დადიანური ალბათ მისი გამომგონის მთავარ

[1] მ. კეკელია, იქვე, 73.

დადიანისაგან დაერქვა."[1]

ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ თავისუფლების შეზღუდვის აღნიშნულ საშუალებებს სამეგრელოს მთავარი თუ მებატონე იყენებდა. როგროც ჩანს, ხუნდებით ან რკინის ჯაჭვით შებორკილი ადამიანი სადმე საპატიმრო ადგილას უნდა ყოფილიყო მოთავსებული. „ბნელს ალაგას" დაბმა სწორედ დამნაშავის საპატიმროში (დილეგში) ჩასმას უნდა გულისხმობდეს. ძველ საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენა იყო საპყრობილეში შებორკილი პატიმრის ყოფნა[2] და ასეთივე წესის არსებობა სამეგრელოში გასაკვირი არ უნდა იყოს. მთავრებისა თუ მებატონეების მიერ დამნაშავეთა მიმართ საპატიმრო ღონიეძიებების გატარება საქართველოს სხვა კუთხეებისთვისაც არ იქნებოდა უცხო, თუმცა ძნელია იმის თქმა, ეს სასჯელები ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე ეკისრებოდა დამნაშავეს, თუ არა.

სვანეთში დაპატიმრების გამოყენება, კერძოდ, დილეგში ჩასმა, სწორედ ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე ხდებოდა. ეს თავისუფლების შემზღუდავი სასჯელი შესაძლოა დაეკისრებინა დამნაშავისათვის საზოგადოების ყრილობას. რ. ხარაძის განმარტებით, თემის შეიარაღებულ ძალას („სუიმრა") შეეძლო სათემო საბჭოს გადაწყვეტილებით, დამნაშავე დილეგში ჩაესვა.[3] უფრო კონკრეტული მონაცემები ამ საკითხზე რ. ხარაძესთან მოცემული აღარაა.

სვანეთში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ადამიანების დატყვევება და ბორკილების დადება, ან ფეხში ხუდგაყრილის დილეგში ჩასმა კერძო პირთა მიერ ხდებოდა.[4] ასეთი სახის დატყვევება სვა-

[1] ლ. გაბისონია, სამეგრელოს სამთავროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა და სამართალი, თბ., 1996, 167.

[2] შებორკვის წესის შესახებ ძველ საქართველოში იხილეთ: ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, 367-368.

[3] რ. ხარაძე, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, 1953, 189.

[4] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 121. ბ. ნიჟარაძის განმარტებით, ხუნდი იყო ხისა, ორად შუაზე გაპობილი. ეს ორი თანასწორი ნახევარი ხუნდის შიგნით მხარეს მრგვალად იყო ამოთლილი შუა ადგილას იმდენად, რამდენადაც საჭირო იყო იმისათვის, რომ შიგ კაცის წვივი მოთავსებულიყო. ფეხის შეყრის დროს ხუნდი ორად გაიხსნებოდა, შეყრის შემდეგ კი იკეტებოდა ერთგვარი ხის ბოქლომით, რომლის გასაღებსაც დამტყვევებელი ინახავდა. დილეგს სვანეთში ეძახდნენ კოშკის ქვედა სართულზე არსებულ ოთახს (იქვე).

ნეთში დანაშაულად განიხილებოდა და არა სასჯელად და ამდენად, ცალკეული დანაშაულის შესწავლისას უნდა იქნეს განხილული.

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ საკვლევ პერიოდში ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე თავისუფლების შემზღუდავი სასჯელების გამოყენება იშვიათად ხდებოდა.

7.3. უფლების ჩამორთმევა. უფლების ჩამორთმევა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე შესაძლოა განსხვავებული შინაარსით გამოხატულიყო. კერძოდ, გეხვდება გარკვეული საქმიანობის თუ მოქმედების განხორციელების, ან ქმრის მიერ ცოლისათვის დაქორწინების უფლების ჩამორთმევა თუ შეზღუდვა, ე. წ. „კვეთილში ჩასმა“.

7.3.1. საქმიანობის თუ მოქმედების უფლების ჩამორთმევა. ბალსზემო სვანეთის ჩვეულებით სამართალში გარკვეული საქმიანობის თუ მოქმედების უფლების ჩამორთმევა სასჯელის სახით, საზოგადოების (თემის) ყრილობის გადაწყვეტილებით ხდებოდა. ამის მაგალითია საზოგადოების ყრილობის მიერ ადგილობრივი მღვდლისთვის („ბაპისთვის“) თავისი საქმიანობის უფლების ჩამორთმევა მის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. ბ. ნიჟარაძე მიუთითებს, რომ, თუ სასულიერო პირი ვინმეს მოკლავდა, ან დაჭრიდა, საზოგადოების ყრილობა მას სამუდამოდ ჩამოართმევდა ღირსებას, ანუ თავისი საქმიანობის განხორციელების უფლებას, ხოლო მის მიერ ჩადენილი დანაშაული ადგილობრივი სასამართლოს განსჯადობას დაექვემდებარებოდა, ხოლო მრუშობის შემთხვევაში აღნიშნული უფლების ჩამორთმევა დროებით მოხდებოდა.[1] როგორც ჩანს, ადგილობრივი სასულიერო პირები საზოგადოების ყრილობას ემორჩილებოდნენ. აქედან გამომდინარე, მათ მიერ რაიმე გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში ეს ორგანო რეაგირებას ახდენდა და ამ შემთხვევაში სასულიერო პირთა მიმართ გარკვეული სადამსჯელო ღონისძიების გამოყენებაც შეეძლო. მკვლელობისა და დაჭრისათვის ქონებრივ საზღაურს დამნაშავე სასულიერო პირს, როგორც ნებისმიერ სხვას, სამედიატორო სასამართლო განუსაზღვრავდა, საზოგადოების ყრილობა კი, როგორც დავინახეთ, მას შესაბამისი საქმიანობის უფლებას ჩამოართმევდა და თანამდებობიდან გადააყენებდა. საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, როგორც ვხედავთ, შესაძლოა ყოფილიყო როგორც უვადოდ, ისე, გარკვეული ვადით,

[1] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, 88.

რაც სასულიერო პირის მიერ ჩადენილი გადაცდომის სიმძიმეზე იყო დამოკიდებული.

საზოგადოების ყრილობა ბალსზემო სვანეთში გარკვეული მოქმედების უფლებას ართმევდა მეძავ ქალსა და მის უკანონო შვილს, კერძოდ, მათ არ ჰქონდათ უფლება, მისულიყვნენ საყდარში, დასწრებოდნენ სახალხო თუ რელიგიურ დღესასწაულებს.[1]

უფლების ჩამორთმევის შინაარსის მატარებელია გურიაში დაფიქსირებული სასჯელი **„ღირსების ახდა“**. ამ სასჯელს დამნაშავეს აკისრებდა სოფლის ყრილობა საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის. მისი შინაარსი გამოიხატებოდა იმაში, რომ დამნაშავეს ჩამოერთმეოდა უფლება, მონაწილეობა მიეღო საზოგადო საქმიანობაში.[2] „ღირსების ახდით“ დასჯილი პიროვნება პროცესუალურ უფლებებშიც იყო შეზღუდული. კერძოდ, მას „არც მოწმედ ენდობოდნენ“,[3] რაც ფაქტობრივად სასამართლო პროცესზე მოწმედ გამოსვლის უფლების ჩამორთმევას ნიშნავდა.

7.3.2. კვეთილში ჩასმა. აღნიშნული სასჯელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გვხვდება. იგი გამოიყენებოდა ქმრის მიერ მისი დამწუნებელი ცოლის მიმართ. სასჯელს ფშავში ადასტურებს ვაჟა-ფშაველა. მისი განმარტებით, თუ ცოლი სწუნობდა ქმარს და სურდა მასთან განშორება (ისე, რომ არ ღალატობდა მას), ამ მიზნის მიღწევას იგი სხვადასხვა ხერხით ცდილობდა, კერძოდ, ქმარს თავს აჩვენებდა ავადმყოფად, სნეულად, ეუბნებოდა მას, რომ თითქოს ხატი ეცხადება და უკრძალავს ქმართან წოლას და სხვა. ასეთ ცოლს ქმარი უფლებას აძლევდა ეცხოვრა იქ, სადაც სურდა, თუმცა უკრძალავდა სხვა კაცზე გათხოვებას. ეს ჩვეულება იწოდებოდა „კვეთილში ჩასმად“.[4] „კვეთილში ჩასმა“ თუშეთსა[5] და ხევსურეთშიც გვხვდება. ნ. ხიზანაშვილი მიუთითებს, რომ, როდესაც ხევსურეთში ცოლი მიატოვებდა ქმარს, მისთვის პირობა უნდა მიეცა, რომ სხვა

---

[1] ბ. ნიჟარაძე, იქვე.

[2] ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, №1, 4.

[3] იქვე.

[4] ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964, 79.

[5] И. Цискаров, Записки о Гушетии, Кавказ, 1849, №11; ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1966, დ. 299, 152.

კაცზე არ გათხოვდებოდა და საუკუნოდ უქმრო დარჩებოდა. ამას ეძახდნენ „კვეთილში ჩასმას“. ამ პირობის გატეხვის შემთხვევაში ქალიცა და მისი ცოლად შემრთავიც უცილობლად მიტოვებული ქმრის მსხვერპლი გახდებოდა.[1]

აქ მოყვანილი მონაცემების მიხედვით გამოდის, რომ „კვეთილში ჩასმა“ ქმრის მიერ გაშვებული ცოლისათვის გათხოვების უფლების საერთოდ აკრძალვას გულისხმობს. ხევსურეთში ჩაწერილ მასალებში ასეთი სრული აკრძალვა მხოლოდ ნ. ხიზანაშვილთან გვხვდება.[2] სხვა მონაცემებით ასეთი სახის აკრძალვას ხევსურეთში ვერ ვხდებით. ამ მასალებით შესაძლებელია ქმარს აეკრძალა ყოფილი ცოლისათვის ქორწინება, ან რომელიმე კონკრეტულ პიროვნებაზე, ან კონკრეტულ სოფელში. მაგალითად, ს. მაკალათია „კვეთილში ჩასმის“ შესახებ წერს: „თუ ქმარმა იცის, რომ მისი ცოლი სხვას ყვარობს და ამის გამო მას წუნობს, მაშინ ის ცოლს გაყრის ნებას არ აძლევს, ტანჯავს და ცემს, მაგრამ ბოლოს ქალი იძულებული ხდება ჭირვეული ცოლი მოიშოროს და რჯულის მიხედვით გაეყაროს, მხოლოდ ნებას არ აძლევს მას თავის მოწონებულ კაცზე გათხოვდეს. ამას კვეთილში ჩასმა ეწოდება. ვინც ამ წესს დაარღვევს მასზე შურს იძიებენ.“[3] აქ კარგად ჩანს, რომ ყოფილი ქმარი გაშვებულ ცოლს იმ მამაკაცზე უკრძალავდა დაქორწინებას, რომლის გამოც ცოლი მას იწუნებდა.

ყოფილი ცოლისათვის ქორწინების უფლების შეზღუდვა კარგად ჩანს ალ. ოჩიაურისა და ბ. გაბუურის მასალებში. „კვეთილში ჩასმა“ დანიშნულზეც ვრცელდებოდა. ბ. გაბუურის მიხედვით, ქალის მიერ ქმრის (საქმროს) დაწუნება უფრო ხშირად მის წაყვანამდე ხდებოდა — ხევსურეთში ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ნათხოვნი ქალი წლების განმავლობაში (9-10 წელი) მამის

---

[1] ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, 43.

[2] ჩვენი აზრით, ასეთი აბსოლუტური აკრძალვა შესაძლოა მხოლოდ გარკვეულ ტერიტორიაზე გავრცელებულიყო, მაგალითად, ხევსურეთის ან საქართველოს ამ კუთხის რომელიმე რეგიონის მასშტაბით. ქალი თუ საქართველოს სხვა კუთხეში გადასახლდებოდა, ან საერთოდ წავიდოდა ქვეყნიდან, ნაკლებ შესაძლებლად მიგვაჩნია, ყოფილ ქმარს რეალურად გაეკონტროლებინა გათხოვდებოდა იგი თუ არა და გათხოვების შემთხვევაში მისი წამყვანის მიმართ რაიმე ღონისძიებები გაეტარებინა.

[3] ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, 177.

სახლში რჩებოდა, თუმცა გამორიცხული არ იყო ქმრის სახლში წაყვანილის გაყრაც ქმართან ამ უკანასკნელის დაწუნების მოტივით. შედარებით ხშირად ხდებოდა ქალის მიერ ქმრის (საქმროს) დაწუნება, როდესაც გოგოს 6-7 წლის ასაკში ითხოვდნენ, ან აკვანში დანიშნავდნენ. ასეთ შემთხვევებში, როცა ქალ-ვაჟი წამოიზრდებოდა, შესაძლოა, ქალს ქმარი არ მოსწონებოდა და მეტიც — სხვა მამაკაცი შეჰყვარებოდა. ამ დროს იგი ქმრის (საქმროს) დაწუნებას იწყებდა.[1] ხევსურული რჯულით, ქმარს შეეძლო ცოლი არ გაეთავისუფლებინა და სხვაგან გათხოვების ნება არ მიეცა, თუნდაც ის მამის სახლში ყოფილიყო. ცოლს დაწუნებული ქმრის (საქმროს) მიტოვება და სხვაზე გათხოვება მხოლოდ მაშინ შეეძლო, როდესაც ქმარი (საქმრო) განაცხადებდა, რომ თავს ანებებდა მას და სხვაზე დაქორწინების უფლებას აძლევდა. მაგრამ თუ ეჭვი ეპარებოდა ვინმეზე, რომ ქალი მისი გულისთვის შორდებოდა მას, სწორედ ამ პიროვნებაზე დაქორწინების უფლებას „უკვეთდა“.[2] ბ. გაბუურის მიხედვით ქმარი შემდეგი სიტყვებით გამოხატავდა ამას: „..... ეს გაგებული გქონდასთ: მე მაგ ქალს ..... იმ კაცს უკვეთ საქმროდ. სხვას ვისაც უნდ, წაუიდას, ხელ ამიღავ, თავ დამინებებავ..... მარტო ეს გეცოდინებოდასთ, რომ თუ ეგ ქალი იმ კაცს წაუვიდ, იცოდათ, რომ მე და იმას ხოცა გვინდ, ერთუთს ვერ გადავშრებით.“[3] თუ სწორედ ის პიროვნება წაიყვანდა ქალს ცოლად, მაშინ ყოფილი ქმარი მას უცილობლად მოკლავდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უდიდესი სირცხვილი იქნებოდა.[4] მკვლელობის ერთ-ერთი გავრცელებული მიზეზი ხევსურეთში სწორედ „ნაკვეთი ქალის“ წაყვანა იყო.[5]

აქ მოყვანილი მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ ქმარს შესაძლოა კონკრეტულ პირზე გათხოვება აეკრძალა ყოფილი ცოლისათვის. ასევე მისთვის გათხოვების აკრძალვა ტერიტორიული პრინციპითაც ხდებოდა, კერძოდ, ქმარი ყოფილ ცოლს „უკვეთდა“ გარკვეულ სო-

[1] ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, 1923-1924, 134-135.

[2] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/4, მოსისხლეობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 38; იქვე, 7/13, 152.

[3] ბ. გაბუური, იქვე.

[4] ალ. ოჩიაური, იქვე.

[5] ბ. გაბუური, იქვე, 136.

ფლებში გათხოვებას. მაგალითად, ნ. ბალიაურს მოჰყავს შემთხვევა, როდესაც დაწუნებულმა ქმარმა მამის სახლიდან ცოლის ძალით წაყვანა არ იკადრა, თუმცა ცოლს აუკრძალა („უკვეთა") იმ სოფლებში გათხოვება, სადაც ქალის გათხოვებას ეჭვობდა, მათ შორის მისივე სოფელში გათხოვება. ნაკვეთ სოფლებში გათხოვების შემთხვევაში, ყოფილი ქმარი ქალის წამყვანს ან მოკლავდა, ან დაჭრიდა.[1]

შესაძლოა, ქალისთვის მიეთითებინათ არა მარტო ის ადგილები, სადაც ეკრძალებოდა ქორწინება, არამედ ისიც, სადაც დაქორწინება შეეძლო. ასეთ შემთხვევას ნ. ბალიაურთან ვხვდებით. ქმრის დაწუნებისათვის ქალს „რჯულმა" (განქორწინების საკითხს „რჯული", ანუ სამედიატორო სასამართლო განიხილავდა) გათხოვება აუკრძალა, გარდა მთასიქითისა.[2] ეს შემთხვევა არხოტში მოხდა და ქორწინების აკრძალვა თვით არხოტის თემსა და მის ახლოს მდებარე სოფლებზე (ჯუთა, ართხმო) ვრცელდებოდა. „მთასიქითში" კი შატილის ხეობა იგულისხმებოდა.[3] ამდენად, შედარებით ახლოს მდებარე ადგილებიდან (სადაც, როგორც ჩანს, თვლიდნენ, რომ ქალის გათხოვების ალბათობა მეტი იყო) ქალს ერთგან აუკრძალეს ქორწინება, თუმცა გარკვეულ ადგილზე („მთასიქით") ქორწინების ნება დართეს.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „კვეთილში ჩასმა" გულისხმობდა ცოლის მიერ ქმრის დაწუნების შემთხვევაში ქალისათვის ყოფილი ქმრის მიერ ქორწინების უფლების ჩამორთმევას. ეს შეიძლება ყოფილიყო ქორწინების უფლების ჩამორთმევა, მისი აკრძალვა კონკრეტულ პირთან (რომელზედაც ეჭვი იყო, რომ მისი გულისთვის მოხდა ცოლის მიერ ქმრის დაწუნება), კონკრეტულ სოფლებში (სოფელში), ასევე ქორწინების აკრძალვა, გარკვეულ ტერიტორიაზე დაქორწინების დაშვების მითითებით.

„კვეთილში ჩასმა" შესაძლოა კერძო ხასიათის სასჯელთა რიგს მივაკუთვნოთ. მას უსჯიდა დაწუნებული ქმარი (ამ შემთხვევაში დაზარალებული) ყოფილ ცოლს. ხევსურეთში ასეთი რამ წესად იყო მიღებული და ადგილობრივი „რჯულით" (ხევსურული ჩვეულებითი სამართლით) დადგენილ ნორმას წარმოადგენდა. ჩვენ მიერ მოყვანილ ერთ-ერთ შემთხვევაში ქორწინება ქალს სამედიატორო სასამართლომ აუკრძალა, რაც აღნიშნული სასჯელის ხასიათს არ ცვლის, რადგანაც

[1] ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991, 116.

[2] იქვე, 113–114.

[3] იქვე, 112.

სამედიატორო სასამართლო კერძო სამართლებრივ დავებს განიხილავდა და ასეთივე ხასიათის სასჯელის დაკისრება შეეძლო. ,,კვეთილში ჩასმა" რომ კერძოსამართლებრივი სასჯელია, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ თუ ქალი ქმრის მიერ დადგენილ საქორწინო აკრძალვას დაარღვევდა, ამაზე შესაბამის რეაგირებას თვით ყოფილი ქმარი ახდენდა. აღნიშნული რეაგირება (შესაძლო შურისძიება ყოფილი ქმრის მხრიდან) წარმოადგენდა განსახილველი სასჯელის აღსრულების (მხედველობაშია, საქორწინო აკრძალვის დაურღვევლობა, მისი დაცვა) უზრუნველმყოფ ფაქტორს. რადგანაც ,,კვეთილში ჩასმის" შინაარსი უფლების ჩამორთმევაში, კერძოდ, ქორწინების უფლების ჩამორთმევაში, ქორწინების აკრძალვაში მდგომარეობდა, ამ სასჯელის აღსრულება სწორედ ამ აკრძლავის დაცვას გულისხმობდა.

7.4. დამასახიჩრებელი და გვემითი სასჯელები. დამასახიჩრებელი და გვემითი სასჯელები ჩვენს ხელთ არსებული მასალებით ძირითადად სამეგრელოსა და ფშავ-ხევსურეთში გვხვდება, ასევე გარკვეული მონაცემები ამ სასჯელთა შესახებ საქართველოს სხვა კუთხეებშიც ფიქსირდება.

სამეგრელოში ,,ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის" თანამშრომელთა მიერ XX საუკუნის ბოლოს ჩაწერილ მასალაშიც გვხვდება ცნობები დამასახიჩრებელი და გვემითი სასჯელების გამოყენების შესახებ. ინფორმატორებს ახსოვთ შემთხვევები, როდესაც აღნიშნული სახის სასჯელები დამნაშავის მიმართ საზოგადოების ყრილობის (მაგალითად, სოფლის კრების) მიერ იქნებოდა შეფარდებული. ერთ-ერთ ინფორმატორს ბაბუისაგან ჰქონია გაგებული, რომ ბინის გატეხვისათვის ხდებოდა დამნაშავის ცემა ქურდობის ადგილზე და მისთვის ყურის მოჭრა.[1] ყურის მოჭრის შესახებ წინაპრებისაგან მეორე ინფორმატორსაც ჰქონია გაგებული,[2] კიდევ ერთს კი თვალის ამოგდების შესახებ.[3] ერთ-ერთი ინფორმატორი იხსენებს ძალზედ საინტერესო შემთხვევას. 1920 წელს სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში მომხდარა ქურდობა. ქურდები აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ადრეც იყვნენ შემჩნეული ამ საქმიანობაში.

---

[1] ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 63.

[2] იქვე, 13-14.

[3] მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 7.

სოფლის ყრილობამ მათ გასასამაროლებლად გამოყო ხუთი პირი, რომელთაც დამნაშავეებს ასეთი განაჩენი გამოუტანეს: თითოეულს 12 წნელით უნდა გაელახათ ერთმანეთი და მანამ უნდა ერტყათ, სანამ არ გაცვდებოდა ეს წნელები.[1]

ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ დამასახიჩრებელი და გვემითი სასჯელების გამოყენება სამეგრელოში ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე ხდებოდა. XX საუკუნის ბოლოს სამეგრელოში მცხოვრებ ინფორმატორებს მათ შესახებ ცნობები წინაპრებისგან ახსოვთ და, ცხადია, თვითონ არ შესწრებიან. როგორც დავინახეთ, სოფლის ყრილობის მიერ გვემითი სასჯელის შეფარდება 1920 წელს მომხდარა, ანუ აღნიშნულ სასჯელებს XX საუკუნის I მეოთხედში ჯერ კიდევ იყენებდნენ. მასალების მიხედვით ჩანს, რომ აღნიშნული სასჯელებით ძირითადად ქურდებს სჯიდნენ. დამასახიჩრებელი სასჯელებიდან ინფორმატორებს გაუგიათ ყურის მოკვეთა და თვალის ამოგდება, ხოლო გვემითი სასჯელებიდან დამნაშავის ცემა, მათ შორის წნელით ცემა.

სამეგრელოში დამასახიჩრებელი და გვემითი სასჯელების შესახებ ცნობების შემონახულობა XX საუკუნის II ნახევარში განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ აღნიშნული სასჯელი საკმაოდ გავრცელებული იყო ჯერ კიდევ სამეგრელოს სამთავროში. ამის შესახებ ცნობებს ჯერ კიდევ ა. ლამბერტისთან ვხდებით. იგი საუბრობს სამეგრელოს მთავრის მიერ სხვადასხვა მძიმე დანაშაულის ჩამდენთა მიმართ დამასახიჩრებელი სასჯელის გამოყენების შესახებ. ლამბერტი წერს: „მთავარი არც ერთ დანაშაულს დაუსჯელად არ დატოვებს. სასჯელი სხვადასხვანაირია დანაშაულის მიხედვით: ქურდებს ჩვეულებრივ მოსჭრიან ან ხელს, ან ფეხს და ან ყურს; მკვლელებს ხელსა ჭრიან, მაგრამ თუ მკვლელი მეტად გაბოროტებულია და მრავალკაცის მკვლელობა და ავაზაკობა ჩაუდენია, იმ შემთხვევაში ამას თვალებს დასწვავენ. ესევე სასჯელია მეამბოხეთათვის, რომელთაც გარდა ამისა სჭრიან ცალ ფეხს და ცალ ხელს ..... ხელებსა და ფეხებს სჭრიან გახურებული ნაჯახით“.[2] როგორც ვხედავთ, ა. ლამბერტი დამასახიჩრებელი სასჯელების მისჯას ასევე ადასტურებს ქურდობის შემთხვევაში, თუმცა მკვლელთა მიმართაც

[1] ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988, 15.

[2] ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, 73-74.

მიუთითებს მთავრის მიერ მათ გამოყენებას. ლამბერტი აზუსტებს, თუ რომელი დამასახიჩრებელი სასჯელი რა დანაშაულისათვის გამოიყენებოდა. კერძოდ, ქურდებს სჭრიდნენ ხელს, ფეხსა და ყურს, მკვლელს — ხელს, თუმცა, თუ არაერთგზის ჩაუდენია მკვლელობა თუ ავაზაკობა (ქურდობა), უფრო მძიმე დამასახიჩრებელ სასჯელს უფარდებდნენ — თვალების დაწვას. იმავე სასჯელს უფარდებდა მთავარი მეამბოხეებს, თან ხელისა და ფეხის მოკვეთასთან ერთად. თვალების ამოწვა გახურებული რკინით ხდებოდა,[1] ხოლო ხელ-ფეხს გახურებული ნაჯახით იმიტომ აჭრიდნენ, რომ ცეცხლით შეეჩერებინათ სისხლი, რომელიც ბლომად გამოდიოდა ძარღვებიდან ჭრილობის ადგილზე. ხელებსა და ფეხებს სახსრის ზევით სჭრიდნენ.[2]

თ. სახოკიას განმარტებით, როდესაც XIX საუკუნის II ნახევარში სამეგრელოში რუსული სასამართლოები შემოვიდა, დამნაშავეთა აღნიშნული სასჯელებით დასჯა გადავარდა.[3] როგორც ჩანს, დამასახიჩრებელი სასჯელების გამოყენება სამეგრელოში რუსული მმართველობის დამკვიდრების შედეგად შეწყდა ხელისუფლების მხრიდან, თუმცა ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე საზოგადოების მიერ მათი შეფარდება უფრო დიდხანს შემორჩა. წინააღმდეგ შემთხვევაში XX საუკუნის დასასრულს მცხოვრებ მეგრელ ინფორმატორებს მათ შესახებ აღარაფერი ემახსოვრებოდათ. როგორც დავინახეთ, დამასახიჩრებელი თუ გვემითი სასჯელების გამოყენება ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე ინფორმატორებს ქურდობასთან დაკავშირებით ახსოვთ. დღეს, სათანადო მასალების უქონლობის გამო, შეუძლებელია ვისაუბროთ სამეგრელოში, სხვა დანაშაულების ჩადენისას, ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე აღნიშნული სასჯელების გამოყენების შესახებ.

ეთნოგრაფიულ მონაცემებში გვხვდება კიდევ ერთი დამასახიჩრებელი სასჯელი — გახურებული შანთით დადაღვა. ამ სასჯელის გამოყენება ფიქსირდება XIX საუკუნის II ნახევრის მასალებით სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში. მას ხალხი უფარდებდა ქალს, რომლის კუდიანობაშიც იგი დარწმუნდებოდა.[4] ამ შემთხვევაში ხდე-

[1] ა. ლამბერტი დაწვრილებით აღწერს თვალების დაწვის პროცედურას (იხ. ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, 74).

[2] იქვე, 74.

[3] თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956, 64.

[4] საქართველოს მოსახლეობაში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იყო გავრცელებული

ბოდა გახურებული შანთით მისი სახის, ხელების ან ფეხების დადაღვა.[1] აღნიშნული სასჯელი საჯარო ხასიათის მატარებელი იყო.

დამასახიჩრებელი სასჯელის გამოყენებას ქურდობის შემთხვევაში ვხდებით ხევსურეთში ჩაწერილ მასალებშიც. კერძოდ, ერთ-ერთი მონაცემით დაზარალებულს შეეძლო ხელი ან ფეხი მოეკვეთა მისი ქონების ქურდისათვის და ამისათვის არაფერს გადაიხდიდა, თუმცა ქურდობისათვის გათვალისწინებულ საზღაურს ამ შემთხვევაში ველარ მიიღებდა.[2]

გვემითი სასჯელი, კერძოდ, ცემა, ფიქსირდება სვანეთშიც. მისი გამოყენება ხდებოდა რელიგიური წესების დამრღვევის თუ ეკლესიის მძარცველისა და მისი ოჯახის წევრების მიმართ.[3]

როდესაც ვსაუბრობთ დამასახიჩრებელ სასჯელებზე ქართულ ჩვეულებით სამართალში, გვერდს ვერ ავუვლით მრუშში ცოლის დასახიჩრების თემას. საქართველოს არაერთ კუთხეში ფიქსირდება ქმრის მიერ მოღალატე ცოლის დასახიჩრება. ყველაზე მეტი მონაცემი ქართული ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე დამასახიჩრებელი სასჯელის გამოყენების შესახებ სწორედ ცოლის მრუშობის შემთხვევაში გვხვდება.

ვაჟა-ფშაველა საუბრობს ქმრის მიერ მოღალტე ცოლის „გახაიბრებაზე", ანუ დასახიჩრებაზე ფშავის სინამდვილეში. იგი წერს: „დიაცი თუ აშკარად დაიწუნებდა ქმარსა და ამ დაწუნებას უნამუსობით, მოღალატობით დაამარილებდა, მაშინ ქმარი ამისთანა ცოლს დაასახიჩრებდა, ანუ როგორც ფშაველი იტყვის, „გაახაიბრებდა" — მოსჭრიდა ცხვირს, ან ხელს, მოაკლებდა დედაკაცს კაცის თვალგულის მისასვლელს თვისე-

---

ცრურწმენა კუდიანების შესახებ. ხალხის რწმენით, მათ ჰქონდათ უნარი გავლენა მოეხდინათ ამინდზე, სნეულებათა გავრცელებაზე და სხვა. კუდიანები ქალები უნდა ყოფილიყვნენ და აუცილებლად მოხუცებულები. რაც უფრო მოხუცი იყო ქალი და სიბერისაგან დამახინჯებული სახე ჰქონდა, მით უფრო შეიძლება იგი კუდიანად ჩაეთვალათ. თუ სოფელში რაიმე უსიამოვნება ხდებოდა — პირუტყვის დაცემა, სნეულების გავრცელება, უამინდობის გამო მოსავლის დაღუპვა — ხალხი კუდიანებს აბრალებდა ამას. იმისათვის, რომ დაედგინათ, მართლა კუდიანია თუ არა ქალი, მიმართავდნენ ორდალს — გამოცდას „ცივი წყლით" (ამ საკითხზე დაწვრილებით იხილეთ: გ. დავითაშვილი, ცივი წყლით გამოცდის შესახებ გასული საუკუნის ცნობები, „სამართალი", 1999, №6-7, 97-100).

[1] გ. დავითაშვილი, ცივი წყლით გამოცდის შესახებ გასული საუკუნის ცნობები, „სამართალი", 1999, №6-7, 99.

[2] გ. დოლიძე, ხევსურული ტექსტები, თბ., 1975, 54.

[3] М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М.,. 1890, 35.

ბას — სილამაზეს; ამითი, თითქო, უსპობდა საშუალებას უნამუსობისას, გარყვნილობისასა და განიშორებდა.[1] ამასვე ადასტურებს დ. ხიზანიშვილი. იგი ნარკვევში „ფშაველთი და ფშაულები" მიუთითებს, რომ ქმარს შეეძლო მოღალატე ცოლი ცხვირის მოჭრით და ხელ-ფეხის დაშავებით „გაეხიბრა".[2] საინტერესო ფაქტს შეესწრო დ. ბაქრაძე. ფშავში ყოფნისას იგი სტუმრობდა ვინმე გელას. ეს უკანასკნელი მოუყვა მას, რომ ჰყავდა მეორე ცოლი, ხოლო პირველი ღალატობდა მას. გელამ წაასწრო ცოლს სხვა მამაკაცთან. კაცი ხანჯლით იქვე მოკლა, ხოლო ცოლს ცხვირი მოაჭრა და გააგდო.[3] ფშავში მოღალატე ცოლისათვის სახის დამახინჯება გამოიხატებოდა ტერმინით „გაჯულურება". იგი ცხვირის თუ ყურის მოჭრას ნიშნავდა და არ გულისხმობდა ხელისა და ფეხის მოკვეთას.[4] ო. ზოიძის განმარტებით, აღნიშნული სასჯელი გახეიბრების გარდა მიზნად ისახავდა მრუშისათვის სულიერი და მორალური ტანჯვის მიყენებას. გაჯულურებულ ქალს ზიზღით უყურებდნენ, რადგან იცოდნენ ცხვირის მოჭრის მიზეზი.[5]

მოღალატე ცოლის დასახიჩრების საქართველოს სხვა მთიან რეგიონებშიც ვხვდებით. მაგალითად, მ. კოვალევსკი მიუთითებს, რომ სვანეთში ქმარს მოღალატე ცოლის მოკვლის უფლება აქვს, თუმცა ჩვეულებრივ ცხვირს აჭრის და სახლიდან აგდებს.[6] მოღალატე ცოლისთვის ცხვირის მოჭრას ვხვდებით თუშეთშიც,[7] თითების მოჭრას — ქსნის ხეობაში,[8] ცხვირის ან ბერა თითის მოკვეთას (ხელსაქმობა რომ არ შესძლებოდა) — ხევსურეთში.[9]

---

[1] ვაჟა-ფშაველა, თხზ. სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, 1964, 74.

[2] დ. ხიზანიშვილი, ფშაველთი და ფშაულები, „ივერია", 1891, № 24.

[3] Д. Бакрадзе, Мое знакомство с Пшавии, «Кавказ», 1850, №99.

[4] ო. ზოიძე, სასჯელები (ნაშრომის — „ფშაური ჩვეულებითი სამართალი" მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1991, 118-120.

[5] იქვე, 120.

[6] მ. კოვალევსკი, დასახ. ნაშრ., 120.

[7] И. Цискаров, Записки о Тушетии, газ. Кавказ, 1849, №11; ალ. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, „ივერია", 1888, №185.

[8] მ. კეკელია, მასალები მთიულეთის (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985, 9. მ. კეკელიას ინფორმატორი მოღალატე ცოლისათვის ყველა თითის მოკვეთას მიუთითებს.

[9] ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1884, 177.

საინტერესოა, რომ ხევსურული მასალების მიხედვით, ქმარს შეეძლო ცოლი დაესახიჩრებინა არა მარტო ღალატის გამო, არამედ ქმრის ნებართვის გარეშე ოჯახის მიტოვებისთვისაც. მაგალითად, ალ. ოჩიაურის მასალების მიხედვით, ხევსურეთში, ვიდრე ქმარი არ ეტყოდა ცოლს, სადაც გინდა გათხოვდიო, მანამდე იგი ფეხს ვერ გადგამდა ქმრის სახლიდან. თუ გაიპარებოდა, ამას მოჰყვებოდა შულღი და ასევე, ქალისათვის ხელ-ფეხის მოჭრა-გახაიბრება, ცხვირის მოჭრა, პირისახეზე დაჭრა, დამახინჯება და სხვა.[1] ალ. ოჩიაურს კონკრეტული ფაქტიც მოჰყავს ქმრის მიერ ცოლის სახის დასახიჩრებისა, როდესაც მან ცხვირზე და ლოყაზე მიაყენა ცოლს ჭრილობა. იქვე მითითებულია, რომ ხევსურები ცოლს ან ცხვირზე დასჭრიდნენ, ან პირისახეზე, რომ სახე დამახინჯებოდა, ან ბერა თითს მოჭრიდნენ, რომ ჩეჩა და სხვა სამუშაოს შესრულება აღარ შესძლებოდა.[2]

მრუში ცოლის დასახიჩრება სამეგრელოშიც ფიქსირდება. ქმარს აქაც შეეძლო მოღალატე ცოლის დასახიჩრება. ცნობილი ისტორიული ფაქტია, როდესაც ლევან II დადიანმა თავის მეუღლეს, აფხაზთა მთავრის სულეიმან შერვაშიძის ასულს დარეჯანს ბრალი დასდო ღალატში და ცხვირი და ყურები დააჭრა.[3] სამეგრელოს სამთავროში ასევე დამასახიჩრებელი სასჯელით ისჯებოდა სასახლის რომელიმე ქალთან ცოდვის ჩადენა. ამ შემთხვევაში ორივეს ცხვირს მოსჭრიდნენ და ერთმანეთზე დაქორწინებას აიძულებდნენ.[4]

მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ დამასახიჩრებელი და გვემითი სასჯელების გამოყენება ქართული ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე იშვიათი იყო. XX საუკუნის II ნახევარში დაფიქსირებულ ეთნოგრაფიულ მასალაში, მხედველობაში თუ არ მივიღებთ მოღალატე ცოლის დასახიჩრებას ქმრის მიერ, დამასახიჩრებელი და გვემითი სასჯელების შესახებ მონაცემები, სამეგრელოს გარდა საქართველოს სხვა კუთხეში თითქმის არ გვხვდება. ერთადერთი მონაცემია ხევსურეთში ქურდისათვის დაზარალებულის მიერ ხელ-ფეხის მოკვეთის შესახებ. აღსანიშნავია, რომ უფრო ადრინდელ მა-

[1] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 6/7, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, ხელნაწერი, 75.

[2] ალ. ოჩიაური, პირადი არქივი, 7/5, მოსისხლეობა ხევსურეთში, 54-55.

[3] თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956, 105; ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, 16.

[4] ა. ლამბერტი, იქვე, 74.

სალებშიც საკმაოდ იშვიათად გვხვდება აღნიშნული სასჯელები. ეს მონაცემები რეალურად ასახავს არსებულ ვითარებას. საქართველოს იმ კუთხეებშიც კი, სადაც ჩვეულებითი სამართლის მოქმედება საკმაოდ დიდხანს შემორჩა, დამასახიჩრებელი და გვემითი სასჯელები, თუ არ ჩავთვლით მოღალატე ცოლის დასახიჩრებას, ფაქტობრივად არ გამოიყენებოდა.

მაგალითად, სვანეთში დამნაშავისა და მისი ოჯახის წევრების ცემა, ანუ გვემითი სასჯელის გამოყენება მხოლოდ რელიგიური წესების დარღვევისას და ეკლესიის გაძარცვისას გვხვდება მ. კოვალევსკისთან, ისიც როგორც ერთეული შემთხვევა. მ. კოვალევსკი პირდაპირ მიუთითებს, რომ ბალსზემო სვანეთში დამასახიჩრებელ სასჯელებს არ იყენებენ.[1] გამოდის, რომ მისივე მონაცემი ქმრის მიერ მოღალატე ცოლისათვის ცხვირის მოჭრის შესახებ გამონაკლისია. სხვა შემთხვევაში ამ სასჯელის გამოყენებას ადგილი არ ჰქონდა. მ. კოვალევსკის ამ ცნობას ეხმიანება და ფაქტობრივად ადასტურებს ბალსზემო სვანეთში დაფიქსირებული ჩვენს ხელთ არსებული სხვა მასალა (XIX-XX საუკუნეების), რომელიც ფაქტობრივად არ შეიცავს ცნობებს აქ დამასახიჩრებელი სასჯელების გამოყენების შესახებ.

ასევე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დამასახიჩრებელ სასჯელზე საუბარი შესაძლებელია მხოლოდ მოღალატე ცოლის დასახიჩრებასთან დაკავშირებით. ხევსურეთში გ. დოლიძის „ხევსურულ ტექსტებში“ მოხსენიებული ქურდის დასახიჩრება დაზარალებულის მიერ, ჩვენი აზრით, უფრო გამონაკლის შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს. სხვა მონაცემების მიხედვით, ქურდობისას ხევსურეთში უფრო ქონებრივი საზღაური გვხვდება. გვემით სასჯელებს საქართველოს ამ რეგიონში ფაქტობრივად არ ვხვდებით.

. რით უნდა იყოს განპირობებული დამასახიჩრებელი და გვემითი სასჯელების ნაკლებად გამოყენება ქართული ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე? ზოგადად ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ქართულ ჩვეულებით სამართალში საკმაოდ ძლიერად შემორჩა კერძოსამართლებრივი საწყისი და ისეთი სასჯელები, როგორიცაა თავისუფლების აღკვეთა თუ დამასახიჩრებელი და გვემითი სასჯელები ნაკლებად განვითარდა. როგორც დავინახეთ, ხშირად დამასახიჩრებელი სასჯელები კერძო ხასიათს ატარებდა. დამასახიჩრებელ სასჯელებთან შედარებით გვემითი სასჯელები კიდევ უფრო ნაკლებად გამოიყენებოდა და ჩვენს

[1] მ. კოვალევსკი, დასახ. ნაშრ., 35.

ხელთ არსებული მასალების მიხედვით საქართველოს უმრავლესი კუთხეების ჩვეულებითი სამართალში საერთოდ არ გვხვდება. ამის მიზეზად ო. ზოიძე თვლის ქართველი ადამიანის, განსაკუთრებით, ქართველი მთიელის მომეტებული სიამაყის გრძნობას. მთიელისათვის ცემა სამარცხვინო და სიკვდილზე უარესი იყო, ამიტომ ადგილობრივი ჩვეულებითი სამართალი, რომელიც ხალხის მორალური სახის გამოხატულებას წარმოადგენდა, ასეთ სასჯელს არ ითვალისწინებდა.[1] ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში დაფიქსირებული გვემითი სასჯელები (ცემა, წნელებით ცემა) საჯარო ხასიათის სასჯელებს წარმოადგენდა.

დასასრულს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს ხელთ არსებული ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, გვხვდება შემდეგი დამასახიჩრებელი სასჯელები: თვალების ამოგდება, ყურის მოჭრა, ცხვირის მოჭრა, ხელ-ფეხის მოკვეთა, თითების მოკვეთა. ისინი როგორც საჯარო, ისე კერძო სასჯელებად გვევლინება. ჩამოთვლილი დამასახიჩრებელი სასჯელები ცნობილია ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით და გამოიყენებოდა როგორც საჯარო ხასიათის სასჯელები.[2]

ასევე საკვლევ პერიოდში საკმაოდ გავრცელებული სახით შემორჩა ქმრის მიერ მოღალატე ცოლის დასახიჩრების ჩვეულება. ხევსურეთში აღნიშნული სასჯელი ფიქსირდება ცოლის მიერ ქმრის უნებართვოდ მიტოვების დროსაც. უფრო ხშირად ქმარი მოღალატე ცოლს ცხვირს აჭრიდა. ასევე ჩანს ყურის, ხელის თუ ფეხის, ასევე თითების თუ თითის მოკვეთა, კერძოდ, ხევსურეთში ცერა თითის მოკვეთა. ხევსურეთში ჩანს, ასევე ცოლისთვის სახეზე ჭრილობის მიყენება. აღნიშნული სასჯელით მოღალატე ცოლის დასჯას უშუალოდ ქმარი წყვეტდა და თვითონვე აღასრულებდა, რაც მის კერძო ხასიათზე მეტყველებს.

---

[1] ო. ზოიძე, სასჯელები (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი" მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი," 3, გამომცემლობა „მეცნიერება," თბ., 1991, 116-117.

[2] დამასახიჩრებელი სასჯელების შესახებ წერილობითი წყაროების მიხედვით იხილეთ: ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 369-370; გ. ნადარეიშვილი, კერძო და საჯარო სასჯელები ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ალმანახი, №14, ოქტომბერი 2000, 120, 124.

როგორც დავინახეთ, ფშავ-ხევსურულ მასალებში მოღალატე ცოლის დასახიჩრება გამოიხატება ტერმინით „გახაიბრება“. ეს ტერმინი, უფრო ზუსტად „გახეიბრება“ საკმაოდ ცნობილია წერილობითი წყაროებითაც და ასევე დასახიჩრებას ნიშნავს. სწორედ ამ მნიშვნელობით გვხვდება იგი ვახტანგ VI სამართლის წიგნითაც, კერძოდ, 220-ე და 251-ე მუხლებში.[1] ცოლის ასეთი სახით დასჯის მიზეზი განპირობებული იყო იმით, რომ იგი ველარ გათხოვილიყო და საერთოდ, სახის დამახინჯების გამო მამაკაცებს მისადმი ინტერესი დაეკარგათ, როგორც ქალისადმი. ამით იგი სამაგიეროს უხდიდა მოღალატე ცოლს. მისთვის ცერა თითის მოჭრა კი მას უვარგისად აქცევდა ხელსაქმისათვის, რითაც ქმარი მიზნად ისახავდა მოღალატე ცოლს ხევსურეთში ქალისათვის მნიშვნელოვანი ფუნქცია დაეკარგა. სახის დასახიჩრება ასევე მორალურ ზიანსაც აყენებდა ქალს, რადგანაც, როგორც ო. ზოიძე შენიშნავს, ყველამ იცოდა დასახიჩრების მიზეზი და ქალს ამიტომ ზიზღით უყურებდნენ.[2]

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, ტ., 1, თბ., 1963, 538, 544.

[2] ო. ზოიძე, იქვე, 120.

დასკვნები

პირველი თავისათვის:

1. ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით დანაშაულობები შესაძლებელია დავყოთ: საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებად და კერძო სამართალდარღვევებად.

2. დანაშაულთა ამ ორ ჯგუფს შორის ჩვეულებითი სამართლით დადგენილი ზუსტი მიჯნა არ არსებობდა, თუმცა ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარკვეული დანაშაულებანი, კონკრეტულ შემთხვევებში, უმთავრესად საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებებად ითვლებოდა, ხოლო მეორენი, კერძო სამართალდარღვევებად. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს დანაშაულებანი ორ ზემოთ აღნიშნულ ჯგუფად დავყოთ.

3. ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს (საჯარო სამართალდარღვევებს) ძირთადად მიეკუთვნება: საზოგადოების ღალატი, საზოგადოების თავისუფლების ხელყოფა, საზოგადოების პირის გატეხვა, ქურდობა (საკუთარ სოფელსა თუ თემში ჩადენილი, ძირითადად, განმეორებითი, სისტემატური), უზნეო საქციელი (უკანონო სქესობრივი კავშირი, გაუპატიურება, ბუშის გაჩენა), საზოგადოების გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, ეკლესიის ქონების ხელყოფა (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჯვარ-ხატის), საზოგადოების (თემის, სოფლის) საერთო საკუთრების, საერთო ქონების ხელყოფა, მისი უკანონო ექსპლოატაცია, უკანონო ქორწინება, თემში, სოფელში რაიმე უპირატესობის (სოციალურის, ქონებრივის) მოპოვებისაკენ სწრაფვა და თემისაგან განცალკევების მცდელობა (ეს ფიქსირდება ზოგიერთ მთის რეგიონში), უქმის გატეხვა და სხვა.

4. კერძო სამართალდარღვევებს (კერძო დანაშაულებებს) ძირითადად მიეკუთვნება: მკვლელობა, დაჭრა-დასახიჩრება, ქურდობა, შეურაცხყოფა, ქონების დაზიანება, ვალის დაუბრუნებლობა და სხვა.

მეორე თავისათვის:

1. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (სვანეთი, ხევსურეთი და სხვა) სისხლის აღების ინსტიტუტი XX საუკუნეშიც შემორჩა.

2. სისხლის აღების ინსტიტუტს რელიგიერ-სარწმუნოებრივი

საფუძველი ჰქონდა, რაც ქართულ სინამდვილეშიც ფიქსირდება. კერძოდ, იგი დაკავშირებული იყო მიცვალებულის კულტთან.

3. სისხლის აღება ვალდებულებაა სწორედ მოკლულის წინაშე, რომელიც თავისი ნათესავებისაგან მკვლელის ან მისი ნათესავის სისხლს მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდ უბედურებას მოუვლენს საკუთარ ნათესაობას. სისხლის აუღებლობის გამო მიცვალებულისგან მოვლენილი საშინელი საფრთხის სრულიად რეალურად წარმოსახვის გამო, სისხლის აღება საზოგადოების წარმოდგენაში ვალდებულებად აღიქმებოდა.

მესამე თავისათვის:

1. ქართულ ჩვეულებით სამართალში ფიქსირდება კოლექტიური, ჯგუფური პასუხისმგებლობა, რაც დამახასიათებელია იმ ხალხებისათვის, რომლებშიც შენარჩუნებულია შურისძიების ინსტიტუტი, დაცულია გვაროვნულ-თემური სოლიდარობა. ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით დანაშაულის სუბიექტად ინდივიდის გარდა გვევლინება გვარი, გვარის სტრუქტურული ერთეული (სამხუბი, მამიშვილობა), თემი, სოფელი.

2. ჩვენი დაკვირვებით, ქართული ჩვეულებითი სამართალი მნიშვნელოვნადაა გაცდენილი განვითარების იმ საფეხურს, როდესაც პასუხისმგებლობის დაკისრებისას ჯგუფი სრულად შთანთქავს ინდივიდს. შეინიშნება პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის გარკვეული ელემენტები. ჩვენი აზრით, ქართულ ჩვეულებით სამართალში (სვანური და ხევსურული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ), კოლექტიური პასუხისმგებლობიდან ინდივიდუალურზე გადასვლის გარკვეული ეტაპი ფიქსირდება. ხოლო საქართველოს იმ რეგიონების ჩვეულებით სამართალში, სადაც არ შემორჩა სისხლის აღების ინსტიტუტი (მაგალითად, ქართლის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით), დამნაშავის აბსოლუტურად ინდივიდუალური პასუხისმგებლობა ფიქსირდება.

3. ობიექტური შერაცხვის პრინციპის გავლენით, ქართულ ჩვეულებით სამართალში (ხევსურეთსა და სვანეთში დაფიქსირებული მონაცემებით), მცირეწლოვნის თუ სულით ავადმყოფის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა სრული მოცულობით დგება იმ ჯგუფის მიმართ, რომლის წარმომადგენელიცაა დამნაშავე. სულით ავადმყოფი თუ მცირეწლოვანი დამნაშავე, როგორც

წესი, არ ხდებოდა შურისძიების ობიექტი. დაზარალებული მხარე თავის შურისგებას, ძირითადად, მისი გვარის (უფრო ზუსტად მამიშვილობისა თუ სამხუბის) ვაჟკაცობით გამორჩეული წევრის წინააღმდეგ მიმართავდა. იმ რეგიონებში კი, სადაც სისხლის აღებისა და გვაროვნული სოლიდარობის პრინციპი ჩვეულებითი სამართლის მასალებით არ ფიქსირდება, სულით ავადმყოფისა და მცირეწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ადგილი არ ჰქონდა.

4. ქართულ ჩვეულებით სამართალში დანაშაულის სუბიექტად მხოლოდ ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი გვევლინება და არ ფიქსირდება ცხოველების, ფრინველების, მწერების თუ უსულო საგნების პასუხისმგებლობა.

5. შინაური ცხოველის მიერ ზიანის მიყენების შემთხვევაში, პასუხისმგებლობის სუბიექტად მისი პატრონი ითვლება. ფიქსირდება, ასევე იარაღის (მაგალითად, თოფის) პატრონის გარკვეული პასუხისმგებლობა, სხვისი იარაღით დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

მეოთხე თავისათვის:

1. ქართული ჩვეულებითი სამართალი ცალსახად განასხვავებს ბრალის ორ ფორმას: განზრახვასა და განზრახვის გარეშე ქმედებას. ეს ფიქსირდება საქართველოს ყველა იმ კუთხეში, სადაც ჩვეულებითი სამართლის მოქმედება XIX საუკუნის მეორე ნახევრის და XX საუკუნის ჩვენს ხელთ არსებული მასალებით ფიქსირდება (მათ შორის XX საუკუნის დასასრულის მასალებით).

2. განზრახვის აღსანიშნავად ქართულ ჩვეულებით სამართალში ვხვდებით შემდეგ ტერმინებს: „გიზამობით“, „განგებ“, „განგებისაით“, „მოფიქრებით“, „სიმტერისით“, „ნებით.“ ამ ტერმინებში იგულისხმება დამნაშავის ნება-სურვილით ჩადენილი დანაშაული.

3. განზრახვის გარეშე ჩადენილი დანაშაული ქართულ ჩვეულებით სამართალში გამოიხატება ტერმინებით: „იშობრად“, „შემთხვევით“, „უცაბედად“, „ფათერაკით“, „უნებურად“, „უნებლიეთ“, „ყეზად“. ამ ტერმინების შინაარსი დღევანდელი გაგებით მოიცავს როგორც გაუფრთხილებლობას, ისე შემთხვევას, კაზუსს, ანუ შეიძლება მათი დაკავშირება განზრახვის გარეშე, დამნაშავის ნება-სურვილის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთან.

4. ქართულ ჩვეულებით სამართალში საკმაოდ დიდხანს შემორჩა

ობიექტური შერაცხვის პრინციპისათვის დამახასიათებელი ელემენტები. ეს განსაკუთრებით ეხება ხევსურეთსა და სვანეთს, სადაც ჩვეულებითი სამართლის მოქმედება სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე სრულყოფილი, თანაც უძველესი სახით ფიქსირდება. ობიექტური შერაცხვის პრინციპების გამოვლენა ქართულ ჩვეულებით სამართალში შემდეგში გამოიხატება: ა) ხევსურეთსა და სვანეთში დაფიქსირებულ არაერთ მონაცემში გამოკვეთილად ჩანს, რომ პასუხისმგებლობის დაკისრებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა დანაშაულებრივ შედეგს და არა დანაშაულის მოტივსა და მიზეზს. ამ მონაცემების მიხედვით, დანაშაული განზრახ იყო ჩადენილი თუ განზრახვის გარეშე (შემთხვევით, უნებლიეთ, ფათერაკით), ამას პასუხისმგებლობის დაკისრებისას ყურადღება არ ექცეოდა. ამ თვალსაზრისით, ობიექტური შერაცხვის პრინციპის მოქმედება, განსაკუთრებით ხევსურეთში ვლინდება. მკვლელობასთან დაკავშირებით ამ პრინციპის მოქმედება აქ XX საუკუნის დასასრულის მასალებითაც ფიქსირდება. სვანეთში ობიექტური შერაცხვის პრინციპის მოქმედება კი ეგ. გაბლიანისა და ა. დავითიანის მასალებში ჩანს. ამ მასალებით, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ მედიატორ მოსამართლეებს (მორვებს) ძალიან კარგად ესმოდათ განსხვავება განზრახ და შემთხვევით დანაშაულებს შორის, დანაშაულის მიზეზისა და მოტივის მნიშვნელობა, მაინც გარკვეულ ფაქტორებს უწევდნენ ანგარიშს და ამ ფაქტორებს განაჩენის გამოტანისას (განსაკუთრებით მკვლელობის საქმეზე) არ ითვალისწინებდნენ; ბ) სისხლის აღებისას დაზარალებულ მხარეს შეეძლო არა მარტო მკვლელის, არამედ მის ნაცვლად, მისი ახლო ნათესავის მოკვლა, რაც იმ პიროვნების პასუხისმგებლობის შესაძლებლობას გულისხმობს, რომელსაც არანაირი სუბიექტური დამოკიდებულება მოცემულ დანაშაულთან არ ჰქონია. ასე რომ, სამართალგანვითარების ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელი ობიექტური შერაცხვის პრინციპის ელემენტები საქართველოს ზოგიერთი კუთხის ჩვეულებით სამართალში XX საუკუნის განმავლობაშიც კი შემორჩა.

5. ქართულ ჩვეულებით სამართალში მხოლოდ ობიექტური შერაცხვის პრინციპის მოქმედება არ ფიქსირდება. საქართველოს იმ კუთხეებშიც კი, სადაც ობიექტური შერაცხვის პრინციპი არსებით როლს ასრულებდა, სუბიექტური შერაცხვის ელემენტები მაინც ვლინდება. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ შედარებით გაად-

ვილებული იყო მხარეთა შერიგება განზრახვის გარეშე (შემთხვევით) ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში. საქართველოს ყველა იმ კუთხეში, სადაც სისხლის აღების ინსტიტუტის მოქმედება XX საუკუნის მასალებით ფიქსირდება, გაადვილებული იყო მხარეთა შერიგება არაგანზრახი მკვლელობისას, განზრახ მკვლელობასთან შედარებით.

6. სუბიექტური შერაცხვის პრინციპის მოქმედება ქართულ ჩვეულებით სამართალში ყველაზე მეტად პასუხისმგებლობის განსაზღვრისას დანაშაულისადმი დამნაშავის სუბიექტური დამოკიდებულების გათვალისწინებაში გამოიხატება. ამას მიუთითებს განზრახვის გარეშე (შემთხვევითი) დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი შემცირება, რაც ძირითადად XX საუკუნის მასალებით ფიქსირდება — ხევსურეთში (მხოლოდ დაჭრა-დასახიჩრებისას და არა მკვლელობისას), ფშავში, სვანეთში (როგორც მკვლელობისას, ისე დაჭრა-დასახიჩრებისას).

7. მ. კეკელიას მიერ სვანეთში XX საუკუნის 60-70-იან წლებში ჩაწერილი მასალებიდან ცალსახად ჩანს პასუხისმგებლობის დაკისრებისას დანაშაულის მოტივისა და მიზეზის გათვალისწინება.

8. სვანეთში სხვადასხვა დროს დაფიქსირებული მასალები ცალსახად გვიჩვენებს სვანური ჩვეულებითი სამართლის პროგრესს. კერძოდ, ეგ. გაბლიანის მიხედვით, პასუხისმგებლობის დაკისრებისას არავითარი ყურადღება არ ექცევა იმას, დანაშაული განზრახაა ჩადენილი თუ შემთხვევით, არც დანაშაულის მოტივსა და მიზანს, რაც სვანურ ჩვეულებით სამართალში ჯერ კიდევ ობიექტური შერაცხვის პრინციპის გარკვეულ გავლენას ადასტურებს. მ. კოვალევსკისა და ა. დავითიანის მიხედვით, შემთხვევითი დანაშაულისას შესაძლო იყო როგორც სრული გადასახადის დაკისრება, ისე მისი შემცირება. ა. დავითიანის განმარტებით, შემთხვევითი მკვლელობის ჩამდენს, ძირითადად, სრულ „წორს“ აკისრებდნენ, „წორის“ შემცირებისათვის კი დამნაშავე მხარეს გარკვეული პირობები უნდა შეესრულებინა, ხოლო დანაშაულის მიზეზისა და მოტივის გათვალისწინება (მათი გათვალისწინების სამართლიანობის გაცნობიერების მიუხედავად), გარკვეული მიზეზების გამო, ფაქტობრივად არ ხდებოდა. შედარებით გვიანდელი პერიოდის ამსახველ მ. კეკელიას მასალებით კი, ცალსახად ჩანს სვანი მორვების მიერ დანაშაულის მიზეზისა და მოტივის უპირობო გათვალისწინება, ასევე შემთხვევითი მკვლელობისას პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი შემცირება. როგორც ჩანს, გარკვეულ ეტაპზე,

ფაქტორებს, რომლებიც აფერხებდნენ სვანეთში პასუხისმგებლობის დაკისრებისას დანაშაულის მიზეზისა და მოტივის გათვალისწინებას, ხოლო არაგანზრახი მკვლელობისას „წორის“ მნიშვნელოვან შემცირებას, ძველებურად აღარ ექცეოდა არსებითი ყურადღება. ეს მიუთითებს დროთა განმავლობაში სუბიექტური შერაცხვის პრინციპის სრულფასოვან დამკვიდრებას სვანეთში მორევთა სასამართლო საქმიანობისას, რაც სვანური ჩვეულებითი სამართლის გენეზისის მაჩვენებელია (თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამის პარალელურად სვანეთში ობიექტური შერაცხვის პრინციპის შემორჩენილობაც დასტურდება, რაც სისხლის აღების ნიადაგზე მკვლელის სრულიად უდანაშაულო ახლო ნათესავის მოკვლის შესაძლებლობაში გამოიხატება).

9. აჭარაში, ხევში, ფშავში და საქართველოს ზოგიერთ სხვა კუთხეში ჩაწერილ მასალებში ასევე ფიქსირდება პასუხისმგებლობის დაკისრებისას დანაშაულის მოტივისა და მიზეზის გათვალისწინება, რაც ზოგიერთი მონაცემით, განსაზღვრულ შემთხვევებში, მკვლელობისას თუ სხვა დანაშაულებისას, პასუხისმგებლობის გამორიცხვაშიც გამოიხატება.

მეხუთე თავისათვის:

1. ხევსურული ჩვეულებითი სამართლის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, პასუხისმგებლობა ეკისრებოდა არა მხოლოდ დანაშაულის ჩამდენს, არამედ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებულ სხვა პირებსაც: დანაშაულის თანაამსრულებლებს, დამნაშავისათვის იმ იარაღის მთხოვებელს, რომლითაც დანაშაული განხორციელდა, ენის მიტანის საფუძველზე დანაშაულის ჩადენისას, ენის მიმტანს და სხვა, რაც მიუთითებს ხევსურეთში, გარკვეული ფორმით, თანამონაწილეობის ინსტიტუტის არსებობას. ეს გარკვეულწილად გადახვეულა ობიექტური შერაცხვის პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც პასუხისმგებლობა დანაშაულის ჩადენისას ეკისრება მხოლოდ ზიანის უშუალო მიმყენებელს, დანაშაულებრივი შედეგის გამომწვევს. თუმცა ობიექტური შერაცხვის პრინციპის გავლენა თანამონაწილეობის ინსტიტუტზე ხევსურეთში, მაინც არსებითია.

2. ხევსურეთში ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მხოლოდ დანაშაულის უშუალო ჩამდენს (მაგალითად, მკვლელობისას სასიკვდილო ჭრილობის მიმყენებ-

ელს). მკვლელობის თანაამსრულებელი იხდიდა „ხელჩასამრთაოს“, რომელიც არ შედიოდა მკვლელობისათვის გათვალისწინებული კომპოზიციის შემადგენლობაში, ხოლო თანაამსრულებელს არ ეხებოდა იმ წესების შესრულება, რაც ხევსურეთში მკვლელობისათვის პასუხისმგებელს ეკისრებოდა, ე. ი. იგი არ აგებდა პასუხს იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის ფარგლებში, რომლის თანაამსრულებელი იყო. იმავე შეიძლება ითქვას ენის მიმტანსა და იარაღის მიმცემზე, რომლებიც იხდიდნენ „არბითს“, ჩადენილი დანაშაულისადმი მათი სუბიექტური დამოკიდებულების მიუხედავად. აღნიშნული ფაქტორები მიუთითებს სწორედ ობიექტური შერაცხვის პრინციპის გავლენას თანამონაწილეობის ინსტიტუტზე.

3. ხევსერულ ჩვეულებით სამართალში თანამონაწილეობის ინსტიტუტის თავისებურებას განაპირობებს აგრეთვე ის, რომ მკვლელობა, დაჭრა-დასახიჩრება და სხვა დანაშაულები კერძო დელიქტის ბუნების მატარებელნი არიან. დაზარალებულისთვის მთავარი იყო დანაშაულით მისთვის მიყენებული ზიანის ქონებრივი კომპენსირება. ამ დანაშაულთა ჩადენისათვის გათვალისწინებული კომპოზიციის ოდენობაზე არანაირ გავლენას არ ახდენდა დანაშაულში მონაწილეთა რაოდენობა. თუ დანაშაულის უშუალო ჩამდენის დადგენა ვერ ხერხდებოდა, თანაამსრულებელნი სოლიდარულად იღებდნენ მონაწილეობას „თავსისხლის“ გადახდაში, როგორც ერთი სუბიექტი. სისხლის აღებისას კი თანამონაწილეთაგან მხოლოდ ერთ-ერთის მიმართ შეიძლებოდა განხორციელებულიყო შურისძიების აქტი.

4. ზემოთ თქმული გვიჩვენებს, რომ ხევსურულ ჩვეულებით სამართალში თანამონაწილეობის ინსტიტუტი თანამედროვე გაგებით არ გვხვდება. ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს თანამონაწილეობის ინსტიტუტის ადრეულ, ჩანასახობრივ ფორმასთან, რომლის თავისებურება განპირობებულია ობიექტური შერაცხვის პრინციპის პრიმატით, სუბიექტურთან შედარებით და ასევე დანაშაულთა კერძოდელიქტური ბუნებით.

5. სვანური ჩვეულებითი სამართლის მასალებითაც ჩანს დანაშაულის თანაამსრულებლის, დამნაშავისათვის დანაშაულის ჩადენის იარაღის მთხოვებლის, დანაშაულის გამომწვევი ჩხუბის დამწყების პასუხისმგებლობა (ჩვენს ხელთ არსებული მასალებით არ დასტურდება წამქეზებლის პასუხისმგებლობა).

6. ხევსურეთისაგან განსხვავებით, სვანეთში აღნიშნულ პირთა

გადასახდელი საზღაურის ოდენობა წინასწარ არ ყოფილა განსაზღვრული და მორვები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადგენდნენ მას, მათი დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილეობის ხარისხის შესაბამისად, რაც სვანურ ჩვეულებით სამართალში სუბიექტური ფაქტორის განვითარების მაჩვენებელია. ეს საზღაური მნიშვნელოვნად ნაკლებია იმ საზღაურზე, რომელიც მხარეთა შერიგებისას დანაშაულის უშუალო ჩამდენს უნდა გადაეხადა. მისი სახეზე ყოფნისას მოცემული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა, შესაბამისი ქონებრივი საზღაურის (წორის) გადახდით, მას ეკისრებოდა.

7. მიუხედავად იმისა, რომ თანამონაწილეობის ინსტიტუტი სვანეთში უფრო სრულფასოვნად არის გამოვლენილი, ვიდრე ხევსურეთში და გარკვეული განსხვავებები თანამონაწილეობასთან დაკავშირებით შეიმჩნევა, ამ ინსტიტუტის ძირითადი თავისებურებანი საქართველოს ამ ორივე კუთხის ჩვეულებით სამართალში ერთმანეთის მსგავსია.

მეექვსე თავისათვის:

1. ქართული სამართლის ძეგლების მსგავსად, ქართულ ჩვეულებით სამართალში გვხვდება დანაშაულის ე.წ. „შეკვეცილი შემადგენლობა." ჩვენი აზრით, ასეთი შემადგენლობის მქონეა და ამდენად, საფრთხის შემქმნელ დელიქტს წარმოადგენს სხვის სახლში უკანონოდ შეღწევა, რომელიც სხვა დანაშაულის ჩასადენად ხორციელდება, თუმცა სვანურ და ხევსურულ ჩვეულებით სამართალში დამთავრებულ დანაშაულს წარმოადგენს.

2. ქართულ, კერძოდ, სვანურსა და ხევსურულ ჩვეულებით სამართალში, მიუხედავად მათზე ობიექტური შერაცხვის პრინციპის მნიშვნელოვანი გავლენისა, მაინც აშკარად დასტურდება დანაშაულის მცდელობის დასჯადობა. სვანეთთან დაკავშირებით ეს ძირითადად, ქვემო სვანეთს ეხება, ხოლო ზემო სვანეთში XIX საუკუნის დასასრულის მასალებით, მცდელობის დასჯადობა არ ფიქსირდება (გამონაკლისია მ. კოვალევსკის ცნობა უშგულთან დაკავშირებით). მკვლელობის მცდელობის დასჯადობა დასტურდება მ. კეკელიას მიერ XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს უშგულში ჩაწერილი მასალებითაც.

3. ქართული სამართლის ძეგლების მსგავსად, სვანეთსა და ხევსურეთში მხოლოდ ერთი დანაშაულის, კერძოდ, მკვლელობის მცდელობის დასჯადობა ვლინდება.

4. ჩვენს ხელთ არსებული უმრავლესი მონაცემის მიხედვით, მკვლელობის მცდელობისათვის სასჯელის ზომა დამთავრებული მკვლელობისათვის გათვალისწინებული სასჯელის ნახევარია. ამას ადასტურებს მ. კეკელიას სვანი და ხევსური ინფორმატორების უმრავლესობა, რომელიც მკვლელობის მცდელობის დასჯადობის შესახებ საუბრობს, ასევე ბ. ნიჟარაძე ქვემო სვანეთთან დაკავშირებით.

5. ხევსურეთში სიცოცხლისათვის საშიშ ადგილას ხანჯლის წვერით მიყენებული ჭრილობა (თუნდაც მსუბუქი, უმნიშვნელო) განიხილება მკვლელობის მცდელობად, რაც სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებებშიც კარგად ჩანს და ნახევარი სისხლის გადახდას ითვალისწინებს.

6. სვანურ და ხევსურულ ჩვეულებით სამართალში მკვლელობის მცდელობის დასჯადობა მაჩვენებელია იმისა, რომ, კონკრეტულ შემთხვევებში, პასუხისმგებლობის დაკისრება ხდებოდა არა მიყენებული ფაქტობრივი ზიანის, რეალურად დამდგარი შედეგის მიხედვით, არამედ სუბიექტური ფაქტორის, კერძოდ, მკვლელობის განზრახვის არსებობის გათვალისწინებით, რაც ხევსურულ და სვანურ ჩვეულებით სამართალში სუბიექტური შერაცხვის პრინციპის ელემენტების არსებობასაც ადასტურებს.

მეშვიდე თავისათვის:

1. დანაშაულის კლასიფიკაციის მსგავსად, სასჯელებიც ქართულ ჩვეულებით სამართალში, შეიძლება დაიყოს საჯარო და კერძო სასჯელებად.

2. სასჯელის მიზნებად ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით ჩანს: სამაგიეროს მიზღვა, ზოგადი და კერძო პრევენცია, დამნაშავის გამოსწორება, კერძო თუ საზოგადოებრივი ინტერესის დაცვა.

3. მასალების განზოგადების საფუძველზე შესაძლებელია პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებზე საუბარი ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს წარმოადგენდა: დანაშაულის ჩადენა განზრახვის გარეშე, დამნაშავის მძიმე ოჯახური მდგომარეობა, დანაშაულის მონანიება, დანაშაულის ჩადენა ნათესავის მიმართ (გარკვეული კერძო ხასიათის დანაშაულებისას) და სხვა. პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს წარმოადგენდა: დანაშაულის

ჩადენა არაერთგზის, დანაშაულის ჩადენა ეკლესიაში თუ სალოცავის ტერიტორიაზე, დანაშაულის ჩადენა უასაკოს მიმართ (ჩანს უკანონო სქესობრივ კავშირთან მიმართებაში), დანაშაულის ჩადენა ნათესავის მიმართ (გარკვეული საჯარო ხასიათის დანაშაულებისას) და სხვა.

მერვე თავისათვის:

1. ჩვენს ხელთ არსებული ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით, ფიქსირდება სასჯელთა ისეთი სახეები, რომლებიც ქართული სამართლის ძეგლებსა და სხვა იურიდიული ხასიათის წერილობით აქტებში გვხვდება და ასევე ისეთებიც, რომლებიც წერილობითი ძეგლებისათვის უცნობია. ამდენად, აღნიშნული მასალა საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ წერილობითი ძეგლებისათვის უცნობი სასჯელების შესახებ.

2. გვხვდება სასჯელები (ან სასჯელთა ელემენტები), რომლებიც დამახასიათებელია საზოგადოებებისათვის, რომელშიც ძლიერია თემურ-გვაროვნული ურთიერთობები. ეს საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ საზოგადოებრივი განვითარების ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელი სასჯელები და მათი ნიშნები.

3. **სიკვდილით დასჯა,** ცხადია, ყველაზე უფრო მძიმე დანაშაულისათვის გამოიყენებოდა. ქართული ჩვეულებითი სამართლის ნორმების საფუძველზე სიკვდილით დასჯის გამოყენება იშვიათად ხდებოდა. გვხვდება სიკვდილით დასჯის უძველესი სახე – „ჩაქოლვა“, რომლის გამოყენება XX საუკუნის დასაწყისშიც კი ფიქსირდება. სიკვდილით დასჯის ამ სახეს საქართველოში საკმაოდ ფართო გავრცელება ჰქონდა. „ჩაქოლვას“ ვხვდებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სვანეთში, აჭარაში, ასევე ბარის რეგიონებში. გვხვდება სიკვდილით დასჯის სხვა სახეებიც, მაგალითად, წვეტიანი საგნებით (ანძა, შამფური, შუბები), ცეცხლსასროლი იარაღით და სხვა.

4. **მოკვეთა (ბოიკოტის, უნდობლობის გამოცხადება)** ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით საკმაოდ გავრცელებულ სასჯელს წარმოადგენდა. მოკვეთა ხდებოდა როგორც ტერიტორიული ერთეულიდან (თემიდან, სოფლიდან), ისე ნათესაობიდან. გადაწყვეტილებას მოკვეთის (ბოიკოტის გამოცხადების) შესახებ იღებდა შესაბამისი ტერიტორიული ერთეული საზოგადოების ყრილობა, ან შესაბამისი ნათესაური ჯგუფი. მოკვეთა (ბოიკოტის, უნდობლობის გამოცხადება) ყველაზე უფრო მძიმე დანაშაულებისათ-

ვის გამოიყენებოდა, მაგალითად, საზოგადოების (თემის, სოფლის) ღალატისათვის, უკანონო ქორწინებისათვის, უკანონო სქესობრივი კავშირისთვის, ქურდობისათვის და სხვა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მოკვეთის რიტუალს თან ახლდა ჯვარ-ხატში სამრისხველო საკლავის დაკვლა და ზოგიერთ, ყველაზე უფრო მძიმე შემთხვევაში, სამანის ჩასმა. მოკვეთილი (ბოიკოტგამოცხადებული) რჩებოდა თავის სახლში, თუმცა სრულიად გარიყული იყო საზოგადოებისაგან. მოკვეთილთან საზოგადოების ყველა წევრს ყოველგვარი ურთიერთობა ეკრძალებოდა. ჭირსა თუ ლხინში მას არავინ დაუძახებდა, არ დაეხმარებოდა, საერთოდ არ დაელაპარაკებოდა, რაიმე საზოგადოებრივი სიკეთით სარგებლობის უფლებას საზოგადოება არ მისცემდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავ-ხევსურეთში) მოკვეთილი ჯვარ-ხატიდანაც მოკვეთილად ითვლებოდა, აქედან გამომდინარე შედეგებით. გარკვეული დროის შემდეგ შესაძლებელი იყო მოკვეთილის შემორიგებაც. ნათესაობიდან ძირითადად იკვეთდნენ უკანონო ქორწინებისათვის (გვარის გატეხისათვის), უკანონო სქესობრივი კავშირისათვის და სხვა. ნათესაობიდან მოკვეთა ხდებოდა მაძახურობით, ძაღლის მოკვლით, ხოლო უმძიმეს შემთხვევაში სამანის ჩასმით. ნათესაობიდან მოკვეთილის მიმართ მოკვეთაში მონაწილე თითოეული პირი ნათესაობაზე დაფუძნებული ყველა ვალდებულებისაგან თავისუფლდებოდა, მათ შორის სისხლ-მესისხლეობის საფუძველზე წარმოქმნილი ვალდებულებისაგან. ნათესაობიდან მოკვეთილის მიერ მკვლელობის ჩადენის შემთხვევაში, მისი მომკვეთი ნათესაობა თავისუფლდებოდა ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან — არ იქნებოდა დაზარალებული მხარის დევნის ობიექტი, არ დაეკისრებოდა შესაბამისი ნათესაური ჯგუფისათვის სავალდებულო კომპოზიციის (დრამის) წილის გადახდა, გათავისუფლდებოდა მოკლულის ნათესავებისადმი ე. წ. „პატივის“ გადახდისაგან. მოკვეთილი ნათესავის მკვლელობის შემთხვევაში კი მკვლელსა და მის ნათესაობას ვერაფერს მოსთხოვდა.

5. მოკვეთის გარდა ქართული ჩვეულებითი სამართალი გაძევებასაც იცნობს. ეს ერთ-ერთი უძველესი სასჯელი საქართველოში საკმაოდ დიდხანს შემორჩა და მასზე მსჯელობა XX საუკუნის II ნახევარში ჩაწერილი მასალებითაც არის შესაძლებელი. გაძევება, როგორც სასჯელი, ფიქსირდება საქართველოს ფაქტობრივად ყველა კუთხის ჩვეულებით სამართალში როგორც მთის, ისე ბარის რეგიონ-

ებში. გაძევება ხდებოდა გარკვეული ტერიტორიული ერთეულიდან. მთავარია, გაძევებული ამ ტერიტორიული ერთეულის ფარგლებს გასცლოდა და თუ სად წავიდოდა საცხოვრებლად, მისი გადასაწყვეტი იყო. გაძევება ხდებოდა სოფლიდან, თემიდან (სოფლების გაერთიანება) და ხეობიდან (თემების გაერთიანება). ბარის რეგიონებში, ძირითადად, სოფლიდან გაძევება ფიქსირდება, ხოლო მთის რეგიონებში ასევე თემიდან და მთელი ხეობიდან გაძევებასაც ეხვდებით. ეს იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ საკვლევ პერიოდში თემური გაერთიანება მთის რეგიონებში უფრო მყარი სახით შემორჩა, ვიდრე ბარში. გაძევება შესაძლოა ყოფილიყო ვადიანიც და უვადოც, ქონებრივი სანქციებითაც და ამის გარეშეც. ჩვეულებრივი მოვლენა იყო გაძევებასთან ერთად სხვა სასჯელების გამოყენებაც (მაგ., დარისხება, მოკვეთა). გაძევების შესახებ გადაწყვეტილებას ფაქტობრივად ყველა რეგიონში შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის საზოგადოების ყრილობა იღებდა (ზოგიერთ კუთხეში საზოგადოების მესვეურები, რომელთაც შესაბამისი უფლებამოსილება საზოგადოებისგან ჰქონდა მინიჭებული) და მისი შეფარდება, ძირითადად, საჯარო ხასიათის სამართალდარღვევებისათვის ხდებოდა, ხოლო გაძევებულთან გაძევების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ყველა სუბიექტი ყოველგვარ კავშირს წყვეტდა. ეს სასჯელი ფაქტობრივად იმავე დანაშაულებისას გამოიყენებოდა, რისთვისაც მოკვეთა. საზოგადოება გაძევებას უპირატესად მაშინ მიმართავდა, როდესაც შესაბამისი დანაშაული შედარებით მძიმე გარემოებებში იქნებოდა ჩადენილი, ან მას მძიმე შედეგი მოჰყვებოდა. საზოგადოება გადაწყვეტილებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იღებდა აღნიშნული ფაქტორების თუ დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით. საზოგადოებიდან გაძევება უმძიმეს სასჯელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში გვხვდება.

6. ქართულ ჩვეულებით სამართალში კერძო ხასიათის სამართალდარღვევებისათვის ყველაზე გავრცელებული **ქონებრივი სასჯელები** იყო. ქონებრივი საზღაურის — კომპოზიციის გადახდა ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე ფიქსირდება როგორც ნატურით, ისე ფულით. კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გადახდის ძირითადი საშუალება იყო პირუტყვი, სვანეთში კი მიწა, რაც ამ რეგიონებში წამყვანი მეურნეობის ფაქტორით იყო განპირობებული. პირუტყვი და მიწა აქ ქონებრივი საზღაურის გად-

ახდის ძირითად ეკვივალენტს წარმოადგენდა. მასალების მიხედვით ქონებრივი საზღაურის საკმაოდ ბევრი სახე ფიქსირდება. სვანეთში, ფშავ-ხევსურეთში, თუშეთში მკვლელობისათვის გადასახადი წინასწარ განსაზღვრული სახით ფიქსირდება — ფშავ-ხევსურეში მას „თავსისხლს“ უწოდებენ, სვანეთში — „წორს“. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და სვანეთში დაჭრისა და დასახიჩრებისათვის, აგრეთვე სხვა დანაშაულებისათვის ჩამოყალიბებული იყო ქონებრივი საზღაურების მთელი სისტემა. ასევე ბევრ რეგიონში გვხვდება ქურდობისათვის ნაქურდალის რამდენიმემაგი ანაზღაურება, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ კუთხეში კი, ქართული სამართლის ძეგლებისათვის კარგად ცნობილი „შვიდეული“. ძალზედ გავრცელებულ ქონებრივ საზღაურს წარმოადგენდა ჯარიმა. იგი ძირითადად საჯარო სამართალდარღვევებისას გამოიყენებოდა, თუმცა მისი დაკისრება კერძო სამართალდარღვევების დროსაც გვხვდება, თანაც როგორც საზოგადოების, ისე კერძო პირის სასარგებლოდ. დაჯარიმების თავისებურ ფორმას წარმოადგენდა „დარბევა“. ამ ტერმინით გამოიხატებოდა დამნაშავისათვის დაკისრებული ჯარიმის ამოღების მეთოდი. „დარბევისას“ ხალხს (ხალხის წარმომადგენლებს) დაჯარიმებულის ოჯახიდან მისგან უკითხავად ჯარიმის სახით გამოჰყავდა პირუტყვი, გამოჰქონდა ღვინო, რითაც შემდეგ მთელი საზოგადოება ქეიფობდა. ქონებრივი საზღაურის სხვა სახეები, ძირითადად, საქართველოს ცალკეულ კუთხეებში გვხვდება და მათი გამოყენება სხვადასხვა განსხვავებულ შემთხვევაში ხდებოდა.

7. ჩვენს ხელთ არსებული XIX-XX საუკუნეების ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, საქართველოში ფიქსირდება სხვადასხვა სახის **გამწბილებელი სასჯელების** გამოყენება ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე. ყველაზე გავრცელებულ გამაწბილებელ სასჯელებს წარმოადგენდა: სახალხო შერცხვენა-გაკიცხვა, სიმბოლური ჩაქოლვა, თავს ლაფის დასხმა, ვირზე შესმა, სამარცხვინო ბოძზე გაკვრა, სოფელში ჩამოტარება. ზოგიერთი გამაწბილებელი სასჯელი მხოლოდ ცალკეული კუთხეებისათვის იყო დამახასიათებელი. მაგალითად, სასოფლო მუშტის დარტყმა და საქოლავი ციხის აგება გვხვდება მესხეთში, „კალთაის მოჭრა“, „თასის ჩამაყრა“ — ხევსურეთში, ლენტის ტარება — გურიაში. სხვა გამაწბილებელი სასჯელების შესახებ შედარებით მწირი მონაცემები გვაქვს. გამაწბილებელი სასჯელი შესაძლოა გამოყენებულიყო როგორც ძირითად,

ისე დამატებით სასჯელად. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, პიროვნება, რომლის მიმართაც გამაწბილებელ სასჯელს გამოიყენებდნენ, იგი გარკვეული ხნის განმავლობაში საზოგადოებიდან გარიყული იყო და მასთან ურთიერთობას ყველა გაურბოდა, ისე, რომ მოკვეთას თუ ბოიკოტის გამოცხადებას ადგილი არ ჰქონია.

8. ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, **დაწყევლა** სხვადასხვა ფორმითა და სახით საკმაოდ გავრცელებულ სასჯელს წარმოადგენდა. თავისი შინაარსით, იგი შეიძლება ყოფილიყო როგორც საჯარო, ისე კერძო ხასიათის. როგორც გამოჩნდა, შესაძლოა, დაწყევლა დარისხების, შერისხვის სახით დამნაშავისათვის შეეფარდებინა საზოგადოებას (მთელს ხეობას, თემს, სოფელს) კულტის მსახურთა მონაწილეობით. ამ შემთხვევაში დაწყევლა საჯარო ხასიათის სასჯელს წარმოადგენდა. ის გარემოება, რომ მას გარკვეული ტერიტორიული ერთეულის საზოგადოების ყრილობა უფარდებდა, მიუთითებს იმ დანაშაულის საჯარო ხასიათზე, რომლისთვისაც მისი გამოყენება ხდებოდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ, როდესაც ნათესაური ჯგუფი არისხებდა პიროვნებას, მაშინ ეს ხდებოდა არა საჯარო ხასიათის დანაშაულისათვის, არამედ ისეთი დანაშაულისათვის, რომელიც მხოლოდ ამ ნათესაური ერთეულის ინტერესს ხელყოფდა და ამდენად, ამ შემთხვევაში გამოყენებულ მოცემულ სასჯელს კერძო ხასიათი უნდა ჰქონოდა, თუმცა ძირითადად, დარისხება მაინც საჯარო სასჯელად ჩანს ჩამოყალიბებული. რაც შეეხება დაწყევლის სხვა სახეებს — ხატზე გადაცემა, „ბედუა“, წინდით გადაცემა, დაკოჭვა — მათი შეფარდება, ძირითადად, კერძო პირთა ინიციატივით ხდებოდა, უშუალოდ მათი ინტერესების ხელმყოფი ქმედებების შემთხვევაში. ხშირად შესაბამის ცერემონიალსაც თვითონ დაზარალებულები ახორციელებდნენ. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული სასჯელები კერძო ხასიათის მატარებლებად შეიძლება ჩაითვალოს.

9. ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით კიდევ სხვა სახის სასჯელებიც ფიქსირდება, რომელთა შესახებაც ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში მონაცემები შედარებით მწირია. მასალების მიხედვით შესაძლებელია საუბარი **დამნაშავისათვის გარკვეული ვალდებულების შესრულების დაკისრებაზე**. აქ იგულისხმება **გარკვეული სამუშაოს შესრულების ვალდებულება**, კერძოდ, დამნაშავისათვის შეიძლება დაეკისრებინათ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაში

(მაგალითად, სასოფლო გზის მშენებლობაში) მონაწილეობის მიღება. იმავე კატეგორიის სასჯელს შეიძლება მივაკუთვნოთ **„ძენგლის დადება“**, რაც გულისხმობდა დამნაშავის მიერ წელიწადში ერთხელ, რომელიმე დღეობაზე ჯვრის მიმართ გარკვეული სამსახურის შესრულების ვალდებულებას. ძალზედ იშვიათად გამოიყენებოდა **თავისუფლების შეზღუდვა**. აქ იგულისხმება დამნაშავისათვის ბორკილების თუ ხუნდების დადება და მისი საპატიმრო ადგილას (ციხეში, დილეგში) მოთავსება. შესაბამისი მონაცემები ჩვენს ხელთ არსებულ ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალებში მხოლოდ სამეგრელოსა და სვანეთთან დაკავშირებით გვხვდება. ქართულ ჩვეულებით სამართალში შესაძლოა გამოიყოს სასჯელები, რომელთა შინაარსი **უფლების ჩამორთმევაში** მდგომარეობს. ისინი შეიძლება დავყოთ ორ კატეგორიად: 1. გარკვეული საქმიანობის თუ მოქმედების განხორციელების უფლების ჩამორთმევა; 2. ქმრის მიერ ცოლისათვის დაქორწინების უფლების ჩამორთმევა თუ შეზღუდვა, ე. წ. „კვეთილში ჩასმა“. ამ უკანასკნელს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ვხვდებით. იგი გამოიყენებოდა ქმრის მიერ მისი დამწუნებელი ცოლის მიმართ. ამ აკრძალვას შესაძლოა ჰქონოდა აბსოლუტური ხასიათი, ასევე გამოხატული ყოფილიყო დაქორწინების უფლების შეზღუდვაში, კერძოდ, შესაძლოა ქმარს ცოლისთვის ქორწინება აეკრძალა არა საერთოდ, არამედ მხოლოდ კონკრეტულ პირზე თუ პირებზე, კონკრეტულ სოფელსა, თუ სოფლებში. **დამასახიჩრებელი და გვემითი სასჯელები** ძირითადად სამეგრელოსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გვხვდება. სხვა კუთხეებში აღნიშნული კატეგორიის სასჯელების გამოყენების შესახებ მხოლოდ ცალკეული შემთხვევები ფიქსირდება. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გვხვდება ქმრის მიერ მოღალატე ცოლის დასახიჩრება.

George Davitashvili

Crime and Punishment in Georgian Customary Law

Resume

The paper studies crime and punishment institute in Georgian customary law on the basis of materials of Georgian customary law of the second half of XIX and XX centuries. Namely, the present work gives general description of this institute.

Chapter one: Essence of crime, crime classification in Georgian Customary law.

1. According to materials of Georgian customary law crimes can be classified in the following way: Crimes directed against the society and private offences.

2. There was no clear distinction between these two categories of crimes established by customary law, though based on materials of Georgian Customary law we may say that certain crimes in specific cases were mainly considered crimes against the society and others – private offences.The above enables us to divide crimes in the two above mentioned categories.

3. According to the materials of Georgian customary law crimes directed against society (public offences) comprise mainly: public treason, public freedom infrindgement, public default, larceny (committed in one's own village or community, mainly repeated, systematic), immoral act (illegitimate sexual relation, rape, giving birth to a bastard), failure to comply with the community decision, infringement of property of the Church (of Pagan chapels in mountainous regions of Eastern Georgia), infridgement of, unlawful use of common possessions, property of public (village, community), illegitrimate marriage, striding towards gaining certain privilages (social, economical) in the village, community and attempt to get separated from the community

(this is identified in certain mountaious regions), failure to observe days off, etc.

4. Private deliquencies (private offences) mainly comprise: homicide, injury, maiming, larceny, insult, damage of the property, nonpayment of debt, domestic disputes, divorce, pecuniary disputes, disputes related to property sharing, etc.

Chapter two: General Description of the institutie of vengeance in Georgian customary law.

1. Vendetta (blood vengeance) still existed in XX century in certain regions of Georgia (Svaneti, Khevsureti).

2. Institute of vendetta had religious- belief basis, which is also true for Georgian reality. Namely, it is related to the cult of the deceased.

3. Vendetta is an obligation to the murdered person, who requiers from his relatives blood of the murderer or murderer's relative, otherwise the murdered will bring misery to his own relatives. Because of extremely realistic vilualisation of horrible danger brought by the murdered for "not taking blood" (for not committing blood revenge), vendetta was perceived by the community.

Chapter three: Subject of the crime in Georgian customary law.

1.In Georgian customary law there is collective, group responsibility, characteristic for those nations, which have preserved institute of vengeance and observe clan-community solidarity. According to materials of Georgian customary law an subject of the crime can be an individual, as well as a clan, a structural unit of a clan (Samkhubi), a community, a village.

2. According to our observations Georgian customary law significantly exceeds the level of evolution, when an individual is completely absorbes by a group, while imposing the reponsibility. We can identify

certain distinct elements of individualization of responsibility. In our opinion, in Georgian customary law (in case we make judgements on the basis of materials of Svaneti or Khevsureti customary law), there is certain stage of transition from collective to personal responsibility in Georgain customary law; In those regions, where vendetta is not preserved (e.g. according to Kartli customary law), we can see absolutely sole, individual responsibility of a perpetrator.

3. Under the influence of the Objective Immutability Principle (based on data of Svaneti and Khevsureti), in case of an offence, committed by a juvenile or a mentally ill person, responsibility is fully born by a group, represented by a perpetrator. Mentally diseased or a juvenile offender would not usually become an object of revenge. Sufferer party Would generally direct the vengeance against the members of his clan (more specifically his Samkhubi), distringuished for their courage. In those regions where blood vengeance and clan solidarity principles have not been registered in the materials of customary law, there was no criminal responsibility for crimes committed by mentally ill or minor persons.

4. Only a human being or a group of persons are subjects of crime in Georgian customary law and no cases of responsibility born by anumals, birds, insects ot inanimate objects have been registered.

5. In case of damage inflicted by a domestic animal, its owner is considered a responsible subject. We also see cases of certain reposnsibility born by an owner of a weapon (gun) , in case a crime is committed with another person's weapon.

Chapter four: Issue of fault in Georgian customary law.

1. Georgian customary law clearlyt distinguishes two forms of fault: premeditation and action without premeditation. This is registered in all regions of Georgia, where existence of customary law in the end of XIX and XX centuries has been identified on the basis of

materials available to us (inter alia materials,belonging to the end of XX century).

2. In Georgian customary law there are the following terms to define premeditation: `gizamaobit", "gangeb", "gangebisait", "mofiqrebit", "simterisit", "nebit", which means: deliberately, with forethough, with hostility, wilfully, intentionally, voluntarily.

3. Crimes committed without premeditation in Georgian customary law is defined with the following terms: "ishobrad", "kezad". Which means: accidentally, mishap, involuntarily, unintentionally, suddenly, mischievously, etc.In present understanding the above terms imply negligence, as well as an accident, a mishap, i.e. they can be related to an offence, committed without intention, against the will of an perpetrator.

4.Elements characteristic for Objective Immutability Principle have been long preserved in Georgian customary law. It is especially true for Khevsureti and Svaneti where, compared to other regions, customary law was enforced at its fullest and most ancient form. The principles of Objective Immutability implied the following: 1). from various data, registered in Svaneti and Khevsureti it is clear, that while imposing responsibility, decisive weight was assigned to criminal outcome, rather than motive and reason of an offence. According to these data, when imposing responsibiilty no attention was given to the fact whether a crime was committed with or without premeditation (accidentally, unintentionally). In this regard principles of Objective Immutability were especially strong in Khevsureti. In relation to homicide this principle could be found here as late as the end of XX century. In Svaneti principle of Objective Immutability can be found in materials of Eg. Gabliani and A. Davitiani. According to these materials local mediator judges (morves) fully understood the difference between wilfull and unintentional offence, importance of reason and motive, but still had to comply with certain rules/traditions and ignored the above factors when passing a sentence. b). A sufferer party could kill not just a murderer, but also his relative instead of him,,

which implied probability of responsibility of a person, who had no personal relation to this particular crime. Consequently, elements of the principle of Objective Immutability, characteristic for early stage of evolution of jurisprudence were present in customary law of certain regions of Georgia even in XX century.

5. Principles of Objective Immutability are not the only ones, existing in Georgian customary law. Even in those regions of Georgia, where Objective Immutability played essential role, we are still able to see presence of Subjective Immutability. The above circumstance is proved by the fact, that in cases of an unintentional (accidental) offence reconciliation of parties was relatively easy. In all regions of Georgia, where existence of the institute of vendetta is confirmed on the basis of materials of XX century, reconciliation of parties was relatively simple in case of unwilfull homicide, compared to intentional one.

6. Functioning of the principle of Subjective Immutability in Georgian customary law implies, while determining the responsibiilty, putting main focus on considering personal attitude of an offender towards the offence. It becomes obvious from the fact, that responsibility imposed was much less in case of unintentional (accidental) offence, mentioned in the materials of XX century - in Khevsureti (for injuries and maiming, but not for murdur), in Pshavi, in Svaneti (both for cases of murder, as well as injuries and maiming).

7. In materials, recorded by M. Kekelia in 60-70 –ies of XX century we can clearly see that motive and reason of an offence were taken into consideration while imposing the responsibility.

8. Materials from Svaneti of various periods clearly illustrate progress of Svaneti customary law. Namely, according to Eg. Gabliani while imposing the reponsibility no attention was paid, whether the crime was intentional or unintentional, either to the motive and reason of the crime, which confirms impact of Objective Immutability Principle

on Svaneti customary law. According to M. Kovalevski and A. Davitiani in case of unintentional offence it was possible to impose full fine or decued one. A. Davitiani mentions, that unintentional murderer would usually be imposed full fine; for reduction of fine a perpetrator had to comply with certain conditions; as for motive and reason of the crime, for some reason they were usually ignored (though judges fully understood that it would be fair to considered them). Materials of M. Kekelia of later period clearly show, that Svanetian judges unconditionally took into consideration motive and reason of a crime, they also tend to substantially reduce responsibility in case of unintentional murder. Obviously, at certain stage, factors, which impeded consideration of motive and reason of a crime while imposing responsibility, as well as significant reduction of fine in case of unintentional murder, were not paid as much attention as earlier. The above illustrates that gradually the principle of Subjective Immutability was fully established in Svanetien judges judiciary activities, which indicates genesis of Svaneti customary law (though it should be mentioned that concurrent functioning of Svaneti Objective Immutability Principle is also confirmed, which implies possibility of murder of absolutely innocent close relative on the basis of blood vengeance).

9. In materials, recorded in Adjara, Khevi, Khevsureti, Pshavi and some other regions of Georgia we find facts of consideration of motive and reason of the crime while imposing the responsibility, which, according to various data, in certain cases even implies removing any responsibility for murder or other offences.

Chapter five: Issue of participation (complicity) in Georgian customary law.

1. According to Khevsureti customary law materials, available to us, responsibility is also imposed on persons other than perpetrators, involved with crime committment: an accomplice, a lender to an offender of a weapon, which was used for committment of an offence; in case a crime was committed on the basis of snitching – an informer, etche above shows existence of an institute of participation of some

form in Khevsureti. In a way this is deviation from the principle of Objective Immutability, which implies only imposing the responsibility on a person, directly inflicting damage, causing criminal outcome. Though influence of the principle of Objective Immutability on the institute of participation is still quite strong.

2. In Khevsureti responsibility for a crime committed was only imposed on an actual perpetrator (e.g. in case of murdur, on a person inflicting an lethal injury). An accomplice of a murdur had only to pay "khelchasamrtao"(payment for giving a hand in a crime), which did not imply full fine, prescribed for murder; an accomplice did not have to comply with the rules, set for a murderer in Khevsureti, i.e. he was not responsible within the confines of the punishment for the offence, he was involved in. The same can be said about an informer and a lender of a weapon, which had to pay "Arbit", regardless of their own personal attitude towards the crime. The above factors illustrate influence of the principle of Objective Immutability on the institute of participation.

3. Peculiarity of the institute of participation in Khevsureti can be explained by the fact, that murder, injury , maiming and other offences are delicts of private nature. For a sufferer party the most important thing was to receive pecuniary compensation for damage incurred. Number of accomplices, involved in the crime had nothing to do with the amount of fine, composition implied for the specific crime. If direct committer of the crime could not be identified, accomplices bore solidary responsibility for "paying for blood", as a single entity. In case of blood vengeance the act or revenge could only have been exercised in relation to one of the accomplices.

4. The above shows, that in Khevsureti customary law we do not have institute of participation in our modern understanding, We think, that here we deal with early, embryonic stage of the institute of participation, and its peculiar nature is conditioned, on one hand, with supremacy of the principle of Objective Immutability Principle over the personal one, and on the other hand, with the fact, that offences belong to the category of private delicts.

5. From Svaneti customary law materials we can also see responsibility of an accomplice of an offence, of a lender of a weapon to the offender, or a person, starting a fight resulting in the crime (materials available to us do not illustrate responsibility of an inciter).

6. Unlike Khevsureti in Svaneti amount of fine to be paid by the above persons was not fixed in advance and Morves prescribed it for each particular case according to the degree of their participation in criminal activity, which indicates certain level of development of personal factor in Svaneti customary law. This fine is substantially less compared to the amount, which had to be paid by direct committer of an offence in the process of reconciliation. In case of presence of the latter responsibility for given crime, including relevant pecuniary compensation (Tsori), had to be paid by him.

7. Despite the fact, that The institute of participation seems to be more developed in Svaneti, compared to Khevsureti and there are certain differences in regards to participation issues, main peculiarities of this institute in the customary law of both regions are rather similar.

Chapter six: Issue of attempted crime in Georgian customary law.

1. Similar to materials of Georgian law, in Georgian customary law we also see so called "restricted corpus delicti". We think that a delict of such resrtricted corpus, and therefore of high threat is illegitimate penetration into other person's place, carried out for the purpose of committing another offence, though such illegitimate penetration is considered a completed offence according to Svaneti and Khevsureti customary laws.

2. Though the principle of Objective Immutability had strong impact on Georgian, namely, Svaneti and Khevsureti customary law, they still clearly illustrate punishability of an attempted crime. In regards to Svaneti, it is especially true for Kvemo (lower) Svaneti; in Zemo (upper) Svaneti punishability of an attempted crime has not been registered on the basis of materials of the end of XIX century (exception is M. Kovalevski's document related to Ushguli). Punishability of an

attempted murder is confirmed with materials recorded by M. Kekelia at the end of 60-ies of XX century.

3. Similarly to materials of Georgian law, in Svaneti and Khevsureti punishability of only one particular attempted crime, namely of attempted murder has been confirmed.

4. According to majority of materials, available to us, punishment for an attempted murder is half of a punishment for a completed murder. This is confirmed by majority of Svani and Khevsuri informers used by M. Kekelia, who writes about punishability of an attempted murder, also by B. Nijaradze in relation to Kvemo (lower) Svaneti. Only B. Gaburi gives different data in relation to Khevsureti – the fine is 5 cows.

5. In Khevsureti an injury, inflicted with the end of a sabre in a vulnerable spot (even a light, insignificant wound), was considered an attempted murder, which is obvious from decisions of mediatory court and implied payment of half of fine.

6. In Svaneti and Khevsureti customary law punishability of an attempted murder shows, that in certain cases, responsibility was imposed considering personal factor, namely, fact of intention to commit murder, rather than based on actual damage inflicted, actual outcome received. All this confirms that in Svaneti and Khevsureti customary law the principle of Subjective Immutability was also present.

Chapter seven: General description of the institute of punishment in Georgian customary law.

1. Similarly to classification of delicts, punishments in Georgian customary law can be categorized as belonging to public and private punishments.

2. According to materials of Georgian customary law objectives of punishment can be: vengeance, public and private prevention, correc-

tion of a delinquent, protection of private and public interests.

3. On the basis of generalization of materials we can talk about aggravating and mitigating circumstances in Georgian customary law. Mitigating circumstances were the following: committing an offence without intention, hard domestic conditions of a delinquent, repentance, committing a crime in relation to one's own relative (except for certain offences of private character) etc. Aggravating circumstances were the following: repeated commitment of an offence, committing an offence in a church or on the territory of a chapel (praying house), committing a crime in relation to a minor (it is obvious in connection to illegitimate sexual relation), a crime committed in relation to one's a relative (certain crimes of public nature) etc.

Chapter eight: Various types of punishment in Georgian customary law.

1. According to materials of Georgian customary law available to us, we can see types of punishments, which are registered in legal written documents and also some other types, which are not recorded in legal documents. Therefore the above mentioned materials enable us to have an idea about punishments which legal written documents were unfamiliar with.

2. There are certain punishments (elements of punishments), characteristic for the society with strong clan-communal relations. This enables us to review punishments and their reflections, characteristic for early stages of development of the society.

3. Capital punishment, was certainly applied for the most grave crimes. Capital punishment was rarely applied on the basis of Georgian customary law norms. We can also see the oldest form of capital punishment -"stoning" (killing through throwing stones), cases of which have taken place as late as the beginning of the XX century. This type of capital punishment was very spread in Georgia. We can see it in Mountainous regions of Eastern Georgia, in Svaneti, Ajara, also in

lowland regions. We also see other types of capital punishment, e.g. with sharp, pointed objects (skewer, spear), with a fire gun, etc.

4. The most frequent punishment for private offences in Georgian customary law was pecuniary punishment. Pecuniary compensation ("composition") could have been paid in kind or in cash. Namely, in Mountainous regions of Eastern Georgia main means of payment was mostly cattle, in Svaneti it was land, which was conditioned by factor of leading types of economy in these regions. Cattle and land were main equivalents of pecuniary compensation in these regions. In Svaneti, Pshav-Khevsureti, Tusheti compensation for murder was fixed amount - in Pshav-Khevsureti it was called "Tavsiskhli", in Svaneti – "Tsori". In mountainous regions of Eastern Georgia and Svaneti there was whole system established for pecuniary compensation for injuries, maiming and other offences. In some other regions we can see multifold compensation of stolen property in case of larceny, in mountainous regions of Eastern Georgia from materials of Georgian law we are familiar with so called "Seven" – sevenfold compensation of stolen property. Penalty was a very popular form of pecuniary compensation. It was mostly imposed in case of public offences, though sometimes it was also imposed for private offences, for the benefit of both public and of a private person. A specific form of penalty was plunder. This term implied method to collect fine imposed on a perpetrator. In the process of plunder people (representatives of the people) would take out from a perpetrator's home cattle, wine, without the consent of the latter and the whole community would then party. Other types of pecuniary compensation can be seen in various regions of Georgia and they were applied in different cases.

5. According to ethnographic data of XIX-XX centuries available to us, in Georgia we have cases of application of various types of humiliating punishments on the basis of customary law. Most popular humiliating punishments were the following: public criticizing – condemning, symbolic "stoning", pouring mud over the head of a perpetrator, putting on a donkey, tying to pillory, taking through the village.

Some of humiliating punishments were only characteristic for certain regions. Humiliating punishment could have been applied both as a basic, or an additional penalty. It has to be mentioned, that, according to certain data, a person, subjected to humiliating punishment, was isolated from the society without being cast out or boycotted.

6. Casting out (declaration of boycott, distrust) was rather popular punishment according to the materials of Georgian customary law. A person could have been cast out both from the territorial unit (community, village), and from the relatives circle. A decision about casting out (boycotting) was taken by a community meeting of a relevant territorial unit, or a relevant group of relatives. Casting out (boycotting, declaring distrust) was applied for the most grave offences, e.g. for public (village, community) treason, illegitimate marriage, illegitimate sexual relation, larceny, etc.The outcast (boycotted person) would stay in his/her home, though he/she was completely isolated from the society. All members of the society were banned to have any relations with the person. No one would invite, help, talk to the person, community would not let him/her enjoy any kind of public benefic. After certain time an outcast could have been returned back to the society. The relatives would usually cast a person out for illegitimate marriage (for disgracing family), illegitimate sexual relation, etc. Casting out from relatives' circle would be carried out through "madzaxuroba" (loudly cursing a person), through killing a dog, and in certain, especially grave cases, through (sticking a pointed stone at the border of an offender's property): All relatives, participating in casting out, would be released from any liabilities of kinship in relation to the outcast, including responsibility on the basis of blood vengeance. In case a person, cast out from the relatives had committed a murder, relatives casting the person out were released from any responsibility – would not be subject to persecution on behalf of a sufferer side, would not have to pay share of composition usually imposed on relatives. In case of murder of an outcast relative they would not raise any claims in relation of a murderer and his relatives.

7. According to Georgian customary law, apart from casting out there also was tradition of expelling. This one of the most ancient punishment has been preserved in Georgia till quite late period and we can judge about it on the basis of materials recorded in the second half of XX century. Expelling, as a punishment was registered in customary law of actually every region of Georgia, both mountainous, and lowlands. A person would be expelled from certain territorial unit. The main thing was for a person expelled to leave the confines of the territorial unit, it was up to him/her where to go. A person could be expelled from a village, from a community (union of villages, or a gorge (union of communities). In lowlands we mostly see expelling from the village, in mountainous regions there are also cases of expelling from the community or the whole gorge. It can be explained by the fact, that in the period of survey community unions were stronger in the mountains, compared with the lowlands. Expelling could have been with or without time limitations, with or without pecuniary penalties attached. It was traditional to apply other punishments (condemning, casting out) in conjunction with expelling. In almost every region of Georgia the decision about expelling was taken by the meeting of the community of the relevant territorial unit (in certain regions by custodians of the community, which were authorized by the community). This decision was usually applied in relation to public offences. All persons, taking a decision about expelling would cease any kind of relations with the expelled. Expelling and casting out were actually applied for the same types of offences. The community would make a decision about expelling in the case of an offence with aggravating circumstances, or if it had grave consequences. The community would take a decision in each particular case considering the above factors, or personality of a perpetrator. Expelling is considered one of the most strict punishments, which we come across in the materials of Georgian customary law.

8. According o Georgian customary law, **cursing** of different form and type was quite frequently applied punishment. According to its content it could have been both public and private. As it is ob-

vious, cursing could have been applied by the society (village, community, gorge) in the form of condemning with the participation of cult servants. In this case cursing was a punishment of public nature. The fact, that it was imposed by the meeting of the society of certain territorial unit, indicates public nature of the offence it was imposed for. Here we would also like to mention, that when a group of relatives condemned a person, it would be not for a public offence, but for an offence, encroaching interests of this particular unit of relatives and therefore a punishment applied had to be of private nature, though, generally speaking, it was still to be considered a public punishment. As for other types of cursing – anathematizing, "bedua", they were mainly applied at the initiation of private persons in case of actions, infringing their interests. Frequently, this ceremony was conducted by a sufferer side. In such case, the above punishments were considered to be of private nature.

ლიტერატურა

1. ვლ. ალფენიძე, ჩაქოლვა, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1972 წლის 20 ივლისი.

2. ნ. ბალიაური, სწორფრობა ხევსურეთში, თბ., 1991.

3. მ. ბალიაური, ნ. მაკალათია, მიცვალებულის კულტი არხოტის თემში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, თბ., 1940.

4. ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIII, №10, 1952.

5. ნ. ბერულავა, სახალხო შერცხვენა-გაქირდვის ერთი წესი ძველ საქართველოში, გაზეთი „საბჭოთა სვანეთი“, 18 იანვარი, 1966.

6. ლ. ბოძაშვილი, ფშავი და ფშავლები, თბ., 1988.

7. ლ. გაბისონია, სამეგრელოს სამთავროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა და სამართალი, თბ., 1996.

8. ეგ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925.

9. ეგ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927.

10. ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, ქართლის საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, 1923-1924.

11. გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973.

12. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961.

13. რ. გუჯეჯიანი, ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან, თბ., 2008.

14. გ. დავითაშვილი, სასამართლო მტკიცებულებანი ხევსურულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 1998.

15. გ. დავითაშვილი, სამედიატორო სასამართლო, ანუ „რჯული“ ხევსურეთში, თბ., 2001.

16. გ. დავითაშვილი, სამედიატორო სასამართლო სვანეთში, თბ., 2002.

17. გ. დავითაშვილი, სასამართლო მტკიცებულებანი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2003.

18. გ. დავითაშვილი, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2004.

19. გ. დავითაშვილი, ქართული ჩვეულებითი სამართალი — ქართველოლოგიური იურიდიული დისციპლინა — სახალხო თვითმმართველობა საქართველოში, თბ., 2007.

20. გ. დავითაშვილი, ვაჟა-ფშაველა და ქართული ჩვეულებითი სამართალი, კრებული, „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 2, თბ., 1990.

21. გ. დავითაშვილი, სასამართლო მტკიცებულებანი (ნაშრომის — „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“ მესამე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი,“ 3, გამომცემლობა „მეცნიერება,“ თბ., 1991.

22. გ. დავითაშვილი, ო. ზოიძე, საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში (იმერეთი, ლეჩხუმი, გურია, აჭარა, 1989), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, №3, თბ., 1991.

23. გ. დავითაშვილი, „მიცვალებულისადმი შეწირვა“, როგორც სასამართლო მტკიცებულების ელემენტი ქართულ ჩვეულებით სამართალში, „სამართალი“, 1999, №5.

24. გ. დავითაშვილი, ცივი წყლით გამოცდის შესახებ გასული საუკუნის ცნობები, „სამართალი“, 1999, №6-7.

25. გ. დავითაშვილი, სისხლის აღების ინსტიტუტის რელიგიურ-სამართლებრივი ასპექტები, „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები“, საიუბილო კრებული მიძღვნილი თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი, თბ., 2003.

26. გ. დავითაშვილი, დანაშაულის ბუნებისათვის ქართულ ჩვეულებით სამართალში, „სამართალი“, 2004, №1-2.

27. ა. დევიძე, სამანი, გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, 16 ივნისი, 1990.

28. დ. დავითულიანი, სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, ხელნაწერი, თბ., 1974-1975.

29. ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953.

30. გაზ. „დროება“, 1876, №131.

31. გაზ. „დროება“, 1879, № 12.

32. გაზ. „დროება“, 1883, №93.

33. გ. დოლიძე, ხევსურული ტექსტები, თბ., 1975.

34. გ. ელიავა, თვითმმართველობის ხალხური ინსტიტუტი ძველ სვანეთში, „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გაერთიანებული სამეცნიერო სესიის მასალები, გეგეჭკორი, 1981.

35. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VII, ტ. IX, თბ., 1964.

36. ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქათული სამართლის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1946.

37. ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. 2, თბ., 1948.

38. ო. ზოიძე, სასჯელები (ნაშრომის — „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“ მეორე თავი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი,“ 3, გამომცემლობა „მეცნიერება,“ თბ., 1991.

39. გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ, 1930.

40. ვალ. ითონიშვილი, ხალხური მმართველობის ისტორიიდან („სამან-საყუდი“ ხევში), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. IX, 1957.

41. ვალ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960.

42. ვახ. ითონიშვილი, მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XVIII საუკუნეში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, 1983, №4.

43. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, ტექსტები, თბ., 1941.

44. მ. კანდელაკი, ხევისბერის ინსტიტუტის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVIII, 1975.

45. მ. კანდელაკი, სამანი საქართველოს მთიანეთში, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები“, 1988, თბ., 1991.

46. მ. კანდელაკი, ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან (უცხოს გათავისების წესი), თბ., 2001.

47. მ. კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, ტ. 2, თბ., 1981.

48. მ. კეკელია, ზემო სვანეთის საზოგადოებრივი წყობილებისა და სამართლის საკითხები ადიშისა და მესტიის ოთხთავების მინაწერთა მიხედვით, თსუ შრომები, B I (138), 1971.

49. ზ. კიკნაძე, ანდრეზები, თბ., 2009.

50. ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, I, ქუთაისი, 1996.

51. ვ. ლაგაზიძე, თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, თბ., 1966.

52. ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938.

53. ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984.

54. ს. მაკალათია, ხევი, თბ., 1934.

55. ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1983.

56. ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985.

57. ლ. მელიქიშვილი, ხევსურული საქორწინო წეს-ჩვეულებების სტრუქტურა, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები,“ 1987.

58. ჯ. მერაბიშვილი, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ნაშრომის – „ფშაური ჩვეულებითი სამართალი“, I თავის – „დანაშაული“ – მე-2 ნაწილი), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი,“ 3, გამომცემლობა „მეცნიერება,“ თბ., 1991.

59. ი. მეუნარგია, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბ., 1939.

60. გ. ნადარეიშვილი, კერძო და საჯარო სასჯელები ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ალმანახი, №14, ოქტომბერი 2000.

61. გ. ნადარეიშვილი, სასჯელები ქართული სამართლის მიხედვით, კრებული „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“, თბ., 1995.

62. გ. ნადარეიშვილი, ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI-XII სს. საქართველოში, თბ., 1959.

63. გ. ნადარეიშვილი, ჩაქოლვა, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ. 11, თბ., 1987.

64. ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I., თბ., 1962.

65. ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოებათმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1958.

66. ალ. ოჩიაური, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980.

67. ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, 1949-1950, კრ., „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, თბ., 1988; კრ., „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 2, თბ., 1990.

68. ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი, თბ., 1988.

69. ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუდე-ხევსურეთი, შატილი-მიღმახევი), თბ., 2005.

70. ალ. რაზიკაშვილი, არ დავიწყება ძველისა, თბ., 1984.

71. საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში (ფშავი, მესხეთი, 1986), კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 1988.

72. თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956.

73. თ. სახოკია, მიცვალებულის კულტი სამეგრელოში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, III, 1940.

74. ფშაური ჩვეულებითი სამართალი, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 3, „მეცნიერება“, თბ., 1991.

75. ქართული პროზა, ტ. 1, თბ., 1981.

76. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბ., ტ. 1, 1963.

77. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, ტ. 2, თბ., 1965.

78. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, ტ. 3, თბ., 1970.

79. მ. ქიქოძე, დამამტკიცებელ საბუთთა ისტორიისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX – B, 1959.

80. ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1948.

81. ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1948.

82. ალ. ყამარაული, ხევსურეთი, ტფ. 1931.

83. მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1961.

84. ნ. ჩიმაკაძე, თავისუფალი სვანეთი, ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტომი II, ტფ., 1913.

85. თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961.

86. წიგნნი ძველისა აღთქუმისანი, ნაკვეთი I, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ, თბ., 1989.

87. წერილი ხევიდან, გაზ. „ივერია“, 1898, №228.

88. რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939.

89. რ. ხარაძე, სვანური რჯული, ანალები, ტ. 1, 1947.

90. რ. ხარაძე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV. ნაკვ. II, თბ., 1959.

91. რ. ხარაძე, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, 1953.

92. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964.

93. რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965.

94. ალ ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდამ, ივერია, 1888, № 185.

95. ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940.

96. დ. ხიზანიშვილი, ფშაველთი და ფშაველები, „ივერია“, 1891, №24.

97. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984.

98. დ. ჯალაბაძე, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით (ხალხურ) სამართალში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2003.

99. ნ. ჯალაბაძე, ადათობრივ სამართალთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტი ხევსურეთში, „ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები“, თბ., 1987.

100. Д. Бакрадзе, Мое знакомство с Пшавии, «Кавказ», 1850, №99.

101. Н. Берзенов, Дигория, «Закавказский Вестник», 1852, №39.

102. Г. Жорданниа, Третеиский суд в Сванстии,. «Закавказье», 1912, №2-3.

103. Г. Жорданниа, Народно-уголовные суды Карталинии, «Закавказье», 1911, №258, 260.

104. А. Зиссерман, Двадцать пять лет на Кавказе, М., 1879.

105. М. Ковалевский, Современный обычай и древний закон, Т. 2, М., 1886.

106. М. Ковалевскиий, Закон и обычай на Кавказе, Т. 1, М.. 1888.

107. М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, Т. 2, М. 1890.

108. М. Косвен, Преступление и наказание и догосударственном обществе, М., 1925.

109. Ф. Леонтович, Адаты Кавказских горцев, Т,1, Одесса, 1882.

110. Ф. Леонтович, Адаты Кавказских горцев, Т, 2, Одесса, 1883.

111. "Тифликий Вестник", 1880, №41.

112. Дж. Дж. Фрезер, Фольклор в Ветхом Завете, М., 1990.

113. И. Цискаров, Заметки о Тушетии, «Кавказ», 1849, №11.

საარქივო მასალები:

1. იბ. აბაშიძე, სისხლის აღება და მასთან დაკავშირებული რეალიები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №455, ბათუმი, 1965.

2. გ. ჟორდანია, სისხლის სამართალი ქართლის სოფლებში (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1908, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1813.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი:

3. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 7/1, 1954.

4. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 7/2, 1954.

5. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 7/3, 1954.
6. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 7/4, 1954.
7. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 7/5, 1954.
8. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 7/6, 1954.
9. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 7/7, 1954.
10. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 7/8, 1954.
11. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 7/9, 1954.
12. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 7/10, 1954.
13. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 7/11, 1954.
14. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 7/12, 1954.
15. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 7/13, 1954.
16. ალ. ოჩიაური, მოსისხლეობა ხევსურეთში, 7/14, 1954.
17. ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 6/1, 1954.
18. ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 6/2, 1954.
19. ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 6/3, 1954.
20. ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 6/4, 1954.
21. ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 6/5, 1954.
22. ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 6/6, 1954.
23. ალ. ოჩიაური, ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, 6/7, 1954.
24. ალ. ოჩიაური, ხევსურული რჯული, რვეული №1, 1945.
25. ალ. ოჩიაური, ხევსურული რჯული, რვეული №2, 1945.
26. ალ. ოჩიაური, ხევსურული რჯული, რვეული №3, 1945.
27. ალ. ოჩიაური, სახატო მიწები ხევსურეთში, რვეული №3, 1938.
28. ალ. ოჩიაური, სამამო მიწისმფლობელობის შესახებ ხევსურეთში, რვეული №3, 1953.

29. ალ. ოჩიაური, სამამო მიწისმფლობელობის შესახებ ხევსურეთში, რვეული №5, 1953.

30. ალ. ოჩიაური, სამამო მიწისმფლობელობის შესახებ ხევსურეთში, რვეული №10, 1953.

31. ალ. ოჩიაური, სხვადასხვა მასალა ფშავ-ხევსურეთისა, 1949.

32. ა. დავითიანი, სვანეთი ეთნოგრაფიულად, ეთნოგრაფიული რვეული №6.

33. სტეფანე მენთეშაშვილი, პირადი არქივი, თუშური მასალები, II, 1937.

34. მ. კედელაძე, ლეჩხუმის მასალა, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1951.

35. მ. კედელაძე, ლეჩხუმის მასალა, ეთნოგრაფიული რვეული №7, 1951.

36. მ კედელაძე, რაჭის მასალა, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1951.

37. მ კედელაძე, რაჭის მასალა, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1951.

38. მ კედელაძე, რაჭის მასალა, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1951.

39. მ კედელაძე, რაჭის მასალა, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1951.

40. მ კედელაძე, რაჭის მასალა, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1951.

41. მ კედელაძე, რაჭის მასალა, ეთნოგრაფიული რვეული №7, 1951.

42. მ კედელაძე, რაჭის მასალა, ეთნოგრაფიული რვეული №9, 1951.

43. მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1951.

44. მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1951.

45. მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1951.

46. მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, ეთნოგრაფიული რვეული №7, 1951.

47. მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, ეთნოგრაფიული რვეული №18, 1951.

48. მ. კედელაძე, ხევსურული მასალები, ეთნოგრაფიული რვეული №23, 1951.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეროვნული ტრადიციების კვლევის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის“ მასალები (ეთნოგრაფიული რვეულები):

49. მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული № 1, 1967.

50. მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული № 2, 1968.

51. მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1968.

52. მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული № 4, 1968.

53. მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1968-1969.

54. მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1969.

55. მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №7, 1970.

56. მ. კეკელია, მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №8, 1972-1973.

57. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1977.

58. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1977.

59. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1977.

60. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №4, 1977.

61. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №5, 1977.

62. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №6, 1977.

63. მ. კეკელია, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988.

64. მ. კეკელია, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.

65. მ. კეკელია, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988.

66. მ. კეკელია, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.

67. მ. კეკელია, მასალები ფშაურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986.

68. მ. კეკელია, მასალები მთიულურ (ქსნის ხეობის) ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1985.

69. მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1986.

70. მ. კეკელია, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1986.

71. მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1984.

72. მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1984.

73. მ. კეკელია, მასალები ხევის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №3, 1984.

74. მ. კეკელია, მასალები ქართულ ჩვეულებით სამართალზე (ლეჩხუმი, იმერეთი), ეთნოგრაფიული რვეული, 1972.

75. მ. კეკელია, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული, რვეული, 1989.

76. ჯ. მერაბიშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988.

77. ჯ. მერაბიშვილი, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.

78. ჯ. მერაბიშვილი, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986.

79. ჯ. მერაბიშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.

80. ჯ. მერაბიშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.

81. ჯ. მერაბიშვილი, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988.

82. ჯ. მერაბიშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.

83. დ. ჯალაბაძე, მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1987.

84. დ. ჯალაბაძე, მასალები ფშაურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.

85. დ. ჯალაბაძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.

86. დ. ჯალაბაძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988.

87. დ. ჯალაბაძე, მასალები მესხეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1986.

88. დ. ჯალაბაძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.

89. დ. ჯალაბაძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.

90. ო. ზოიძე, მასალები, აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988.

91. ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1989.

92. ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989-1990.

93. ო. ზოიძე, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1990.

94. ო. ზოიძე, მასალები აჭარის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991.

95. ო. ზოიძე, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988.

96. ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1989.

97. ო. ზოიძე, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1989.

98. ო. ზოიძე, მასალები სამეგრელოს ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1988.

99. ო. ზოიძე, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.

100. ო. ზოიძე, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.

101. გ. დავითაშვილი, მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.

102. გ. დავითაშვილი, მასალები ხევსურულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1991.

103. გ. დავითაშვილი, მასალები აჭარულ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.

104. გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №1, 1989.

105. გ. დავითაშვილი, მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული №2, 1989.

106. გ. დავითაშვილი, მასალები ლეჩხუმის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989.

კომპ. უზრუნველყოფა: თამარ სტეფნაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №45
E – mail: info@meridianpub.com ტ. 239-15-22